რევაზ გაჩეჩილაძე

საქართველო მსოფლიო კონტექსტში

XX და XXI საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ვუძღვნი ჩემს მშობლებს –

გივი გაჩეჩილაძეს და ირინე კანდელაკს

რევაზ გაჩეჩილაძე
საქართველო მსოფლიო კონტექსტში
XX და XXI საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები

© რევაზ გაჩეჩილაძე, 2013
ყველა უფლება დაცულია

რედაქტორი: თეა ქიტოშვილი
დიზაინერი და დამკაბადონებელი: გიორგი კეცლიშვილი
ყდის დიზაინერი: ია მახათაძე

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელ-ფოსტა: info@sulakauri.ge

www.sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-809-4

REVAZ GACHECHILADZE
Georgia in the World Context: Highlights of Political Life in XX and XXI Centuries

© Revaz Gachechiladze, 2013
All Rights Reserved

Sulakauri Publishing
150 David Agmashenebeli ave.
0112, Tbilisi, Georgia
E-mail: info@sulakauri.ge

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში"
Printed by LTD „Favorite Print"

შინაარსი

კარტოსქემების სია 13

წინასიტყვაობა 14

შესავალი

საქართველოს ცვალებადი პოლიტიკური გეოგრაფია 15

სივრცე-დროითი განზომილება 23

წიგნის მიზნისა და ავტორისეული მიდგომის შესახებ 25

ნაწილი I
მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი

თავი 1

XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიო

როდის იწყება XX საუკუნე? 31

ახალი საუკუნის დამდეგი 31

სულ რამდენიმე ფერის მქონე მსოფლიო პოლიტიკური რუკა 33

სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება 39

თავი 2

რუსეთის იმპერია საუკუნის დასაწყისში

რუსეთის ისტორიული გეოპოლიტიკა 41

რუსეთ-იაპონიის ომი 46

პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები რუსეთში 49

თავი 3

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური და სოციალური გეოგრაფია იმპერიის უკანასკნელ ათწლეულებში

ტოპონიმური პოლიტიკა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 53

მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა 59

თბილისის როლი საქართველოს ურბანიზაციაში 64

ეკონომიკური განვითარება და ეთნიკური კაპიტალი 68

ქართული ნაციონალური იდეა 71
სომხური ნაციონალური იდეა 78
Divide et impera! 84

თავი 4
ერთი რკინიგზელის ოჯახი საქართველოს
სოციალურ-დემოგრაფიულ ფონზე 87

თავი 5
გარდაუვალობის მოლოდინი? 92

თავი 6
პირველი მსოფლიო ომი
საერთაშორისო ვითარება მსოფლიო ომის წინ 94
მსოფლიო ომის დასაწყისი 99
ოსმალეთის იმპერია მსოფლიო ომში 103
მსოფლიო ომის დასასრული 107

თავი 7
პირველი მსოფლიო ომის შედეგები
ვინ იყო „ომის გამჩაღებელი“? 111
მსოფლიო ომის პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები 112
„ბალფურის დეკლარაცია“ 116
ომი და ტექნოლოგიური ძვრები 117
ომი, ევროპელები და კავკასია 119
მსოფლიო ომი რომ არ მომხდარიყო... 120

თავი 8
სამხრეთ კავკასია 1918-1921 წლებში
ბრესტის ზავი და სამხრეთ კავკასია 123
პოლიტიკური პარტიები 125
პოლიტიკური განვითარება დამოუკიდებლობამდე 129
დამოუკიდებელი სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიაში 133
სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბების მცდელობა 142
ეთნოტერიტორიული კონფლიქტები 149
1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება 157
„სომხური საკითხის“ გეოპოლიტიკა 161

მენშევიკური მემკვიდრეობა ისტორიის სამსჯავროზე 165
საქართველოს პირველი რესპუბლიკის დასასრულისათვის 168

თავი 9

„წითლები“ საქართველოში

სამოქალაქო ომის ბოლო აკორდები და
საერთაშორისო პოლიტიკა 170
საქართველოს გასაბჭოება 172
„შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა“ 175
პირველი წლები გასაბჭოების შემდეგ 177

თავი 10

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური გეოგრაფია გასაბჭოების შემდეგ

რეგიონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გამიჯვნა 180
სამხრეთ კავკასიის ავტონომიზაცია 187
ფედერალიზაცია, „ნაციონალ-უკლონიზმი“,
საბჭოთა კავშირის შექმნა 195

თავი 11

ლენინ-სტალინის ეპოქა

ბოლშევიკური რევოლუცია და მარქსიზმის რევიზია 201
სახელმწიფოს მართვის ბოლშევიკური მეთოდები 208
საბჭოეთის სამი საყრდენი 212
ნეპ-ის უდღეური ხანა 214
ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია 216
მასობრივი რეპრესიები 222
პოლიტიკური და კულტურული განვითარების პარადოქსები 228
ქალაქმშენებლობა 235
ლოზუნგები, სახელები, ზნეობა 238

თავი 12

ომთაშორისი პერიოდის ძირითადი ნიშნები

თანამედროვე მსოფლიოს ფორმირების დასაწყისი 245
ტოტალიტარული რეჟიმების წარმოშობა 248
„ევრსალის სინდრომის“ როლი ნაციზმის აღზევებაში 252
„მშვიდობისათვის ბრძოლის“ ორი დეკადა 256

თავი 13

მეორე მსოფლიო ომი: უვერტიურა და ფინალი

ახალი მსოფლიო ომის პრელუდია 259

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი 261

„ზამთრის ომი“, ბალტიისა და ბესარაბიის ანექსია 266

დიქტატორების სტრატეგიული გათვლები და დიპლომატიური ფანდები 269

გერმანიის დამარცხების მიზეზები 282

ამერიკის გამოსვლა იზოლაციონიზმიდან და იაპონიის დამარცხება 289

ჰუმანიტარული და დემოგრაფიული კატასტროფა ევროპაში 294

საქართველო მეორე მსოფლიო ომში 301

თავი 14

ომისშემდგომი მსოფლიო

სამხედრო დამნაშავენი განსასჯელთა სკამზე 304

პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებები 1940-იან წლებში. საბჭოეთის გაფართოება 305

გეოპოლიტიკური ძვრები 314

დანგრეული ეკონომიკის აღდგენის გზები 319

ბირთვული იარაღი, მსოფლიო პოლიტიკა და ქართველები 321

თავი 15

სამხრეთ კავკასია კრემლის გეოპოლიტიკურ გათვლაში

ხალხთა დეპორტაცია 325

საბჭოთა-თურქული და საბჭოთა-ირანული ურთიერთობები 329

კრემლის გეოპოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის ხალხების ჩათრევის მცდელობა 333

ნაწილი II

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი

თავი 16

დესტალინიზაცია

ბრძოლა ძალაუფლებისათვის: ბერიას დაცემა 343

სტალინის მემკვიდრეები: ხრუშჩოვის აღზევება 352

ხრუშჩოვის მოხსენების ექო მსოფლიოსა და საქართველოში 353
საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შეფასების ცდა 358
სტალინი რუსეთში, საქართველოსა და გორში 362

თავი 17

საბჭოეთის სიმწიფის ხანა

პოლიტიკური მართვის სისტემა 369
მრავალეროვანი კავშირის გამოწვევები 374
ნომენკლატურა, უძრაობა, კორუფცია 388
საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ნიუანსები 394
საბჭოეთის ეკონომიკური სისტემის შესახებ 397
პროპაგანდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და შემდეგ 409

თავი 18

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

ნოსტალგია და სინამდვილე 417
„პოლიტოლოგიური ანალიზის" ერთი იმდროინდელი მაგალითი 419
საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის:
მჟავანაძის, შევარდნაძის, პატიაშვილის ეპოქები 422
კომუნიზმი ქართულად 433
კულტურულ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური
მემკვიდრეობა: შუქ-ჩრდილები 436

თავი 19

ცივი ომის არსისათვის

ტრუმენი, კენანი, ჩერჩილი vs სტალინი 444
სამხედრო ბლოკები 449

თავი 20

ცხელი ომები ცივი ომის დროს

მეოცე საუკუნის ომების თავისებურებათა შესახებ 451
ომი კორეის ნახევარკუნძულზე 453
ცხელი ომი ვიეტნამში 455
1973 წელი: ჩილეს ხუნტა, იომ-ქიფურის ომი,
ნავთობის „ფასების რევოლუცია" და სხვა 457
1979 წელი: ისლამური რევოლუცია თეირანში,
რუსული ტანკები ქაბულში და სხვა 463

ცივი ომის დასასრულისაკენ: რონალდ რეიგანი – ამერიკის პრეზიდენტი 471

თავი 21

ცივი ომის დროინდელი შეჯიბრებები

შეჯიბრება კოსმოსში 472

შეჯიბრება სპორტულ სარბიელზე 474

შეჯიბრება კულტურის სფეროში – მიკროფონთან და პოდიუმზე 478

თავი 22

რუსული მოდელის „კომუნისტური ექსპერიმენტის" დასასრულისაკენ

„კომუნისტური ექსპერიმენტის" შესახებ 484

გერონტოკრატია 486

პროგნოზები და რეალობა 488

თავი 23

საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზები

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები 490

საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები 497

შიდაპოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორები 501

სუბიექტური ფაქტორები და შემთხვევითობა 503

თავი 24

საბჭოთა კავშირის დაშლის პოლიტიკური გეოგრაფია

ბალტიური ერთსულოვნება, შუააზიური კონფორმიზმი, კავკასიური განხეთქილება 512

კავკასიური განხეთქილების მაგალითი: კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო 519

ნაწილი III

დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულები და მსოფლიო ჩვენ ირგვლივ

თავი 25

საქართველოს „მესამე რესპუბლიკა"

რესპუბლიკების ნუმერაციის პრობლემა 527

პირველი არაკომუნისტური ხელისუფლება საქართველოში 531

„მესამე რესპუბლიკა": ცოტა პლუსი, ბევრი მინუსი 534

ქართული ნაციონალიზმი და ზვიადიზმი 545

თავი 26

დამოუკიდებლობის არცთუ კარგი დასაწყისი

„ხუნტის“ პოლიტიკა 549

როგორ იწყებოდა „გვიანი შევარდნაძის ეპოქა“ 551

ომი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში 555

პირველი გასროლა 560

ბოლო გასროლა 564

თავი 27

საქართველო 1990-იან წლებში

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება 569

შიდაპოლიტიკური ვითარება 580

თბილისი ახალი გარდატეხის საწყის ეტაპზე 585

თავი 28

საქართველო XXI საუკუნის დასაწყისში

„გვიანი შევარდნაძის“ ეპოქის დასასრული 589

ვარდები და ეკლები: 2003-2012 წლები 598

2008 წლის კატასტროფა 634

2012 წელი: ნორმალური პოლიტიკური პროცესის დასაწყისი? 649

თავი 29

საქართველოს უპირველესი საფრთხე – გამწვავებული დემოგრაფია

მოსახლეობის დინამიკა XX საუკუნის საქართველოში 669

მოსახლეობის დინამიკის ტენდენციები
დამოუკიდებელ საქართველოში 671

გარე მიგრაციების შედეგები 676

ეთნიკური უმცირესობები 680

დემოგრაფიული გამოწვევები 685

თავი 30

ორი დამოუკიდებლობის შედარების ცდა

მსგავსება და სხვაობა 688

დამოუკიდებლობისწინა ვითარების შედარება 689

ეკონომიკური ვითარების შედარება 692

საგარეო-პოლიტიკური და გეოპოლიტიკური შედარება 695
შიდა პოლიტიკური და სოციალური ვითარების შედარება 697
გაკვეთილი მომავლისათვის? 700

თავი 31

საქართველოს სამეზობლო

ჩვენი მეზობელი რუსეთი 702
ჩვენი მეზობელი თურქეთი 719
ჩვენი მეზობლები – სომხეთი და აზერბაიჯანი 728

თავი 32

ცოტა მოშორებით მყოფი დანარჩენი მსოფლიო

ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე 736
ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე 742
სამომხმარებლო საზოგადოების განვითარება 745
ევროპა გაერთიანებას იწყებს, მაგრამ ვერ ამთავრებს 752
ნატო ფუნქციის ძიებაში და საქართველო 763
უნიპოლარიზმის ტკივრთი ამერიკისათვის 768
ახლო აღმოსავლეთი თავისი პოლიტიკური პრობლემებითურთ 775

თავი 33

ორიოდე კითხვა დასკვნის მაგივრად

რა მომავალი აქვს დემოკრატიას საქართველოში? 784
რას გაიხსენებს შთამომავლობა? 787
რა როლს ასრულებს კლიო? 789

გამოყენებული ლიტერატურის სია 791
გეოგრაფიული სახელების საძიებელი 801
საკუთარი სახელების საძიებელი 811

კარტოსქემების სია

ნახ. I (გვ. 17)	საქრისტიანოს გავრცელების არეალი I და II ათასწლეულების მიჯნაზე
ნახ. 1.1 (გვ. 33)	ევროპის პოლიტიკური რუკა 1901 წელს
ნახ. 3.1 (გვ. 56)	სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რუსეთის იმპერიის ბოლო ათწლეულებში
ნახ. 7.1 (გვ. 113)	ევროპის პოლიტიკური რუკა 1920 წლის დასაწყისში
ნახ. 8.1 (გვ. 145)	სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების მიახლოებითი ტერიტორიული პრეტენზიები 1920 წლის დასაწყისისათვის (ძირითადად არტურ ცუციევის ატლასის მიხედვით)
ნახ. 8.2 (გვ. 146)	საქართველოს ვერსია 1920 წლის საზღვრების შესახებ
ნახ. 8.3 (გვ. 162)	თურქეთის დანაწევრების გეგმა 1920 წლის სევრის ხელშეკრულების თანახმად
ნახ. 10.1 (გვ. 198)	ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შიდა საზღვრები (1923 წლისათვის)
ნახ. 14.1 (გვ. 306)	ტერიტორიული ცვლილებები ევროპაში 1939-1947 წლებში
ნახ. 30.1 (გვ. 754)	ევროპული კავშირისა და ნატო-ს წევრი ქვეყნები (2013)

წინასიტყვაობა

ეს ნაშრომი თავიდან წარმოადგენდა მცდელობას ერთ წიგნად გამეერთიანებინა 2008-2011 წლებში გამოცემული ორტომეული „ჩემი მეოცე საუკუნე: საქართველო მსოფლიო გეოპოლიტიკისა და ისტორიის კონტექსტში", რაც გულითადად შემომთავაზა ჩემმა გამომცემელმა ბაკურ სულაკაურმა.

მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ორი ტომის მექანიკურად შერწყმა შეუძლებელია. საჭირო გახდა ორი შესავალი წერილის ნაცვლად ერთის დაწერა, თითქმის ყველა თავსა და ქვეთავში (განსაკუთრებით, XX საუკუნის მეორე ნახევრის შესახებ) ცვლილებების შეტანა, მათი გადაადგილება, რამდენიმე თავისა და ქვეთავის საერთოდ ამოღება, ახალი თავების, ქვეთავების, კარტოგრამების, ცხრილების, ჩანართების დამატება. ისტორიული განვითარების ლოგიკამ მოითხოვა წიგნის *ქრონოლოგიური ჩარჩოს გაფართოება 2012 წლის ბოლომდე* (საბოლოოდ ამ ზღვარსაც ოთხი თვით გადავცდი!) და ახალი ნაწილის მომზადება.

ამიტომაც გამომივიდა ძველ მასალაზე დაფუძნებული განახლებული წიგნი, რომლისთვისაც ძველი ქვესათაური ახალ სათაურად იქცა – „საქართველო მსოფლიო კონტექსტში: XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები".

აქვე სასიამოვნო მოვალეობად მივიჩნევ მადლობა ვუძღვნა ყველა ადამიანს, ვინც სასარგებლო რჩევა მომცა წიგნის წერის დროს, კერძოდ ზურაბ აბაშიძეს, არჩილ გეგეშიძეს, გივი გაჩეჩილაძეს, ზაზა გაჩეჩილაძეს, პეტრე მამრაძეს, მზია მარსაგიშვილს, ალექსანდრე რონდელს, მანანა ჯაოშვილს.

ავტორი
28 აპრილი, 2013

შესავალი

საქართველოს ცვალებადი პოლიტიკური გეოგრაფია

ბანალური გეოგრაფიული ჭეშმარიტებაა: საქართველო არ მდებარეობს ოკეანეში გადაკარგულ კუნძულზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა *მეტ-ნაკლებად* განმარტოებულად ცხოვრება და თავის არიდება აყალმაყალის ამტეხი მეზობლისათვის, რომელსაც ნასვამ მდგომარეობაში ახსენდება, რომ თითქოს ბაბუამისს უთქვამს, „იმათ თავიანთი მამული ადრე ჩვენ ნებაყოფლობით დაგვითმესო".

ცხადია, მშვიდად ცხოვრება კუნძულზეც კი აუსრულებელი ოცნებაა. მეტოქის მონახვა ადამიანის ბუნებაშია. თუ არ გვეყოლებოდა გარეშე მტერი, გამოვნახავდით შინაურს! დედამიწაზე მცხოვრებ, ნებისმიერი ეთნოსისა და სარწმუნოების ადამიანებს სახელმწიფო ტერიტორიის გამო კი არა, ეზოს, ბინის ან საწოლის გაყოფის გამოც შეუძლიათ მტრობა.

დონ კიხოტის ერთგულ საჭურველმტვირთველ სანჩო პანსასაც ენატრებოდა განმარტოებული კუნძულის გუბერნატორობა...

საერთაშორისო ორგანიზაციები დღემდე ვერ შეთანხმებულან ქვეყნის რომელ ნაწილს მიგვაკუთვნონ – ევროპას თუ აზიას: გაეროს დემოგრაფიულ ცნობარში საქართველო დასავლეთ აზიაშია შეტანილი, ევროპის საბჭომ კი თავის წევრად მიგვიღო.

გვინდა თუ არ გვინდა, საქართველოს ბედ-იღბალს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი *გეოგრაფია*: აქ იგულისხმება, უპირველესად, *პოლიტიკური გეოგრაფია, რომელიც* გეოპოლიტიკაში არ უნდა აგვერიოს (იხ. ჩანართი I).

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხან ჩვენთვის უფრო სასარგებლო იყო (როდესაც საქართველო „კუნძულის" როლში გამოდიოდა), ხანაც – უფრო წამგებიანი, მაგალითად, როდესაც ჩვენი ტერიტორია გარეშე ძალისათვის „სამხედრო შარაგზის" ან „სამხედრო პლაცდარმის" როლს ასრულებდა ან პირდაპირი დაპყრობის ობიექტი ხდებოდა.

ჩანართი I
ორიოდე სიტყვა პოლიტიკური გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის შესახებ

ბოლო დროს გაჩნდა ერთგვარი ტენდენცია, ჩაანაცვლონ ტერმინი *პოლიტიკური გეოგრაფია* „მოდური" ტერმინით *გეოპოლიტიკა*. თუმცა ეს ცნებები საერთო

საწყისიდან – გეოგრაფიიდან – მოდის, ისინი სხვადასხვა რამეს აღნიშნავენ.

არაკორექტულია, მაგალითად, მსჯელობა რომელიმე ქალაქის ან სახელმწიფოში შემავალი მხარის „გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე". ქალაქის ან რაიონის *მდებარეობა* შედის *გეოგრაფიის* კომპეტენციაში, რომლის შემადგენელ ნაწილს, *პოლიტიკურ გეოგრაფიას*, საქმე აქვს ნებისმიერი სახის ძალაუფლების სივრცეში განანილებასთან, მაგალითად, ქვეყნის საზღვრებთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან, არჩევნების მომზადებასთან და მათ სივრცით შედეგებთან და ა.შ. სახელმწიფოს და დასახლებულ პუნქტსაც ყოველთვის აქვს *გეოგრაფიული* (სატრანსპორტო-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკურ-გეოგრაფიული, სამხედრო-გეოგრაფიული და სხვ.) *მდებარეობა*, რომელიც ცვალებადია და განსხვავებულ პერიოდებში შეიძლება იყოს სხვადასხვა დონით ხელსაყრელი ან არახელსაყრელი.

გეოპოლიტიკა კი „არ ერევა" სახელმწიფოს შიდა გეოგრაფიულ საკითხებში: ის პოლიტიკურ მეცნიერებათა რიგში შედის და სწავლობს გეოგრაფიულ ფაქტორთა კომპლექსის ზემოქმედებას *სახელმწიფოების* საგარეო პოლიტიკაზე და, ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკაზე. სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს *გეოპოლიტიკური მიზანი*, მას აქვს *გეოპოლიტიკური კოდი*, რომელიც *ასახავს ხელისუფლებისა და ხალხის კონსენსუსს (ერთსულოვან აზრს) მისი საგარეო პოლიტიკური ინტერესების, ამ ინტერესებისათვის შექმნილი საფრთხეებისა და ამ საფრთხეებისათვის გასაცემი პასუხების შესახებ*.

ზესახელმწიფოებს *გლობალური გეოპოლიტიკური კოდი* აქვთ: მაგალითად, *აშშ*-ს მსოფლიოს ლამის ყველა კუთხეში აქვს საგარეო პოლიტიკური („სასიცოცხლო") ინტერესები. „ცივი ომის" დროს გლობალური გეოპოლიტიკური კოდი ჰქონდა *საბჭოთა კავშირს*. ახლო მომავალში ასეთივე კოდი გაუჩნდება (თუ უკვე არ გაუჩნდა!) *ჩინეთს*.

პატარა ქვეყნებს *ლოკალური გეოპოლიტიკური კოდი* აქვთ.


პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას დინამიურობა ახასიათებს. ის შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე შესავალშივე, ასე ვთქვათ, ფართო *ისტორიული მონასმებით* მეჩვენებინა ბოლო ათასწლეულის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ცვალებადობა.

* * *

ჩვ. წ. I და II ათასწლეულების მიჯნაზე საქართველო უშუალოდ ემეზობლებოდა დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოს – [აღმოსავლეთ] რომის იმპერიას, რომელსაც დასავლეთევროპელებმა მოგვიანებით „ბიზანტია" შეარქვეს (იხ. ნახ. I). სხვა მეზობელი იყო ასევე ქრისტიანული (თუმცა კონფესიურად განსხვავებული) სომხეთი.

ჩვენი წინაპრების ურთიერთობა ბიზანტიასთან ყოველთვის მშვიდობიანი არ ყოფილა, მაგრამ მისი კულტურული გავლენა ძირითადად კეთილისმყოფლად უნდა მივიჩნიოთ. XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა – სამხრეთით ჩვენი მეზობლები განსხვავებული ცივილიზაციის მქონე სელჩუკიანი თიურქები გახდნენ. მერე მონღოლები მოვიდნენ, მერე – თურქმანები, ოსმალები, სპარსელები.

XVI-XVIII საუკუნეებში (ეს ჩვენთვისაა *გვიანი შუა საუკუნეები, თორემ ევროპაში ახალი ისტორია უკვე დაწყებულია), საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ძალიან არასახარბიელო იყო.* მის სამხრეთით მდებარე ორ, ერთმანეთთთან მძაფრად დაპირისპირებულ ისლამურ იმპერიას – ოსმალეთსა და სპარსეთს – გარდა წმინდა პოლიტიკური ჭიდილისა, იდეოლოგიური დაპირისპირებაც ჰქონდათ ისლამის სხვადასხვა მიმართულებების სახით: ოსმალეთი *სუნიტური* ქყო, ხოლო სპარსეთი – *შიიტური.* ხანგრძლივი, გამომფიტავი ომების შემდეგ, როდესაც ამ იმპერიებიდან ვერც ერთი ვერ ახერხებდა მეორის მთლიანად განადგურებას, ისინი თანხმდებოდნენ ხოლმე ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს გაყოფაზე (1555, 1639, 1746 წლების ზავები). ხაზს ვუსვამ, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთის მოკავშირე *არასოდეს* ყოფილა და საქართველოს წინააღმდეგ ისინი ერთობლივად არასოდეს მოქმედებდნენ. საქართველო კი დაყოფილი იყო ერთმანეთთან მოქიშპე სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ.



ნახ. I. საქრისტიანოს გავრცელების არეალი I და II ათასწლეულების მიჯნაზე (ძირითადად კევინ მაკკედის ატლასის მიხედვით)

სპარსეთ-ოსმალეთის ომების დროს ქართველ მეფე-მთავრებს მცირე პოლიტიკური მანევრის საშუალება ეძლეოდათ: მათ შეეძლოთ აერჩიათ მოკავშირე, თუმცა ძალიან

დიდი სიფრთხილე მართებდათ, რადგან არსებობდა არჩეული მოკავშირის დამარცხების ან, გამარჯვებული მოკავშირის მხრიდან „ბუნებრივი მზაკვრობის" რისკი. ქართველ მმართველებს უხდებოდათ სიუზერენად ეცნოთ *„ყეენი"* (სპარსეთის შაჰი) ან *„ხონთქარი"* (ოსმალეთის სულტანი).

იმის გამო, რომ ოსმალეთისა და სპარსეთის ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ქართული სამეფო-სამთავროები ამ იმპერიების სასაზღვრო (ან სადავო) რაიონებში მდებარეობდნენ, ისინი მათი ომების დროს მეტადაც ზარალდებოდნენ: ერთი ქართული სამთავრო (სამცხე-საათაბაგო) საერთოდ გაქრა პოლიტიკური რუკიდან. მაგრამ პერიფერიულ მდებარეობას ჩვენთვის ერთგვარად დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა: ქართველი მმართველები იმავე იმპერიების ბირთვთან ახლომდებარე პროვინციებთან შედარებით მეტი პოლიტიკური და კულტურული ავტონომიით სარგებლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ყეენიცა და ხონთქარიც ჩვენს მმართველებს (მეფე-მთავრებს) ადგილობრივი დინასტიებიდან ამტკიცებდნენ. ამიტომაც რაღაც დონის [კვაზი?]*სახელმწიფოებრიობას* საქართველო ინარჩუნებდა, მაშინ როცა ჩვენმა სამხრეთელმა მეზობელმა ხალხებმა სახელმწიფოებრიობა ან მთლიანად დაკარგეს (სომხები) ან ვერც შეიძინეს (ქურთები).

1745 წელს ქართლისა და კახეთის *ვალი*-ებად (მმართველებად) სპარსეთის შაჰინშაჰმა *ნადირშაჰ ავშარმა* კახეთის ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები – მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე – დაამტკიცა და მათ ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევის უფლებაც მისცა. მანამდე კი, თითქმის საუკუნე-ნახევრის განმავლობაში, ქართლისა და კახეთის ბაგრატიონებს ხელისუფლებაში დასამკვიდრებლად შიიტური მიმართულების ისლამში გადასვლა უხდებოდათ, თუმცა მათ ქვეშევრდომებს შორის ძირითადად ქრისტიანობა ბატონობდა.

1762 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე II-მ ქართლისა და კახეთის სამეფოები გააერთიანა. მანვე ისარგებლა იმდროინდელი სპარსეთის ფარდობითი სისუსტით და იარაღის ძალით თავის მოხარკედ აქცია სპარსეთის დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე მუსლიმური სახანო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. 1790 წელს ქართული სამეფო-სამთავროების ერთგვარი „კონფედერაცია" შეიქმნა, რომელიც მეთაურად მეფე ერეკლეს აღიარებდა.

გარკვეული სამხედრო წარმატებების მიუხედავად, ერეკლე II-ს შეზღუდული ჰქონდა საგარეო-პოლიტიკური მანევრის შესაძლებლობა. ევროპა შორს იყო, ოსმალეთი და სპარსეთი – ახლოს, რუსეთი კი სულ უფრო მძლავრად მოიწევდა კავკასიისკენ.

დასავლეთ და ცენტრალურ ევროპასთან საქართველოს პოლიტიკური კავშირი XVII-XVIII საუკუნეებში შეუძლებელი იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

XVIII საუკუნის დასაწყისში სულხან-საბა ორბელიანის მისია ევროპელი მონარქების გეოპოლიტიკური ინტერესის საქართველოსაკენ შემოსაბრუნებლად თავიდანვე წარუმატებლობისათვის იყო განწირული. საკმარისი იყო რუკაზე დახედვა: XVI საუკუნიდან ხომ უკვე არსებობდა *მერკატორის მსოფლიო ატლასი*? რამდენიც უნდა ეხვეწნა სულხან-საბა ორბელიანს დასავლეთევროპელი მონარქებისათვის, მათ შორის 1714 წელს „მეფე-მზისათვის" – ლუი XIV-სათვის (რომლის მზეც მომდევნო წელს ჩაესვენა!), ისინი საქართველოს ვერავითარ სამხედრო დახმარებას ვერ გაუწევდნენ: *შუაში ოსმალეთის იმპერია იყო!*

სტამბოლი ტრადიციულად, 1535 წლიდან, ინარჩუნებდა მეგობრულ ურთიერთობას იმ დროს კონტინენტური ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მონარქიასთან – *საფრანგეთთან* (ოსმალურ-ფრანგული თანამშრომლობა ურღვევი ჩანდა ოსმალეთის კუთვნილ ეგვიპტეში ნაპოლეონ ბონაპარტის გალაშქრებამდე, XVIII საუკუნის ბოლო წლებში).

XVII-XVIII საუკუნეში *ინგლისელ* ვაჭარ-ზღვაოსნებს აღმოსავლეთით ძირითადად ინდოეთი და სპარსეთი აინტერესებდათ, რადგან იქიდან აბრეშუმი, სანელებლები, ძვირფასი თვლები და სხვა ძვირადღირებული საქონელი გაჰქონდათ.

რაც შეეხება იმ დროს მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევ სხვა ევროპულ ქვეყნებს, ვერც *ავსტრია*, ვერც *ვენეცია*, ვერც *პრუსია*, ვერც *ესპანეთი*, ვერც *ჰოლანდია* ვერ მოვიდოდნენ საქართველოს დასახმარებლად. ან რატომ უნდა მოსულიყვნენ? რას შევთავაზებდით სანაცვლოდ? გზად ოსმალეთის იმპერია უნდა დაემარცხებინათ!

თანაც ქართლში მეფობისას თეიმურაზ II-მ კათოლიკური მისია თბილისიდან გააძევა და ევროპასთან კულტურული კავშირის ეს საშუალებაც (დროებით) მოსპო. დეტალია, მაგრამ საგულისხმო.

მეზობელი ისლამური იმპერიების საპირწონედ და, განსაკუთრებით, ჩრდილოკავკასიელი მოთარეშეების („ლეკიანობის") წინააღმდეგ ერეკლე II-ს მხოლოდ რუსეთის გამოყენება შეეძლო.

ერეკლემ რუსეთის იმპერიას შესთავაზა ერთადერთი „რესურსი" – თავისი სამეფოს გეოგრაფიული მდებარეობა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატში ეს პირდაპირ არ წერია, მაგრამ ქვეტექსტში იკითხება. როდესაც ტრაქტატის მე-4 *არტიკულით* ერეკლე ფაქტობრივად უარს აცხადებდა საკუთარი საგარეო პოლიტიკის გატარებაზე, ეს ნიშნავდა იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში, თბილისის დაუკითხავადაც კი, რუსეთს შეეძლო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია გამოეყენებინა სამხედრო პლაცდარმად თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნებისათვის.

ტრაქტატით რუსეთის მონარქი ერეკლეს სამეფოს პროტექტორი ხდებოდა. სუვერენიტეტის ნაწილის დათმობის ფასად ტრაქტატის მე-6 *არტიკულით* ქართლ-კახეთის სამეფო სამუდამოდ რჩებოდა კახეთის ბაგრატიონების შტოს – ერეკლესა და მისი შთამომავლობის – ხელში.

იმპერატრიცა ეკატერინა II-ის მემკვიდრეებმა ეს პირობა დაივიწყეს.

XIX საუკუნეში რუსეთმა მთლიანად შეიერთა საქართველოცა და დანარჩენი სამხრეთ კავკასიაც. თავისი საბოლოო *გეოპოლიტიკური მიზნის – „სამხრეთის თბილ ზღვებზე" გასვლის – მისაღწევად* ის რამდენჯერმე ანატოლიაშიც შეიჭრა. ეს გეოპოლიტიკური მიზანი *რუსეთის იმპერიას და მის ფაქტობრივ სამართალმემკვიდრე საბჭოთა კავშირს XX საუკუნის შუა წლებამდე ჰქონდა.*

რუსეთის იმპერიის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში საქართველოს ეკისრებოდა ერთ-ერთი საყრდენის როლი. რასაც პოლიტიკურად ამაგრებდა ქართული არისტოკრატიის *რუსთ ხელმწიფისადმი* უსაზღვრო ერთგულება (ბუნებრივია, დიდი პრივილეგიების მიღების სანაცვლოდ!), ხოლო იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული თვალსაზრისით – ერთმორწმუნეობა. თბილისი რუსეთის კავკასიის ცენტრი გახდა.

XIX საუკუნეში საქართველოში დიდი სოციალურ-კულტურული ძვრები მოხდა: დაიწყო, თუნდაც ჩრდილოეთის გზით შემოსული და ზედაპირული, ევროპეიზაცია;

გაუმჯობესდა დემოგრაფიული სიტუაცია: ქართველობა რიცხობრივად გაიზარდა; ეროვნული კონსოლიდაცია დაჩქარდა. მაგრამ იმ საუკუნეში საქართველო დიდი იმპერიის ნაწილი იყო და არავითარ დამოუკიდებელ საგარეო-პოლიტიკურ ფუნქციას არ ასრულებდა. *იმპერიისათვის კი ეს ტერიტორია ფასობდა მხოლოდ მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო.*

XX საუკუნეში, კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ვითარება ერთ ხანს თითქოს შეიცვალა. ხანმოკლე პირველი დამოუკიდებლობის (1918-1921 წწ.) დროინდელ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ პრობლემებზე წიგნის მე-8 და 30-ე თავებშია მსჯელობა.

*1921-1991 წლებში კი საქართველო, ნომინალურად „სუვერენული სახელმწიფო", საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთ-ერთი „დამაარსებელთაგანი", რეალურად მდებარეობდა დიდი უნიტარული სახელმწიფოს პერიფერია*ზე, პოლიტიკურ-გეოგრაფიულად – ჩიხში. მისი მეზობლობა დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, თურქეთთან, იმ დროს საერთოდ არ იგრძნობოდა, რადგან საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი მთლიანად ჩაკეტილი იყო. ხალხმა, მგონი, დაივიწყა კიდეც, რომ მეზობლად *თურქეთის რესპუბლიკა* ჰყავს და იქ ისევე *ოსმალეთის იმპერია* ეგულებოდა. ამას ირიბად ადასტურებს, მაგალითად ის, რომ თბილისში გამომავალ საბჭოთა პერიოდის სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგის" პოლიტიკურ კარიკატურებზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი *თურქეთის „რეაქციულ მმართველ წრეებს"* გამოსახავდნენ თავზე ოსმალური წითელი ფესით (აღმოსაელური ფოჩიანი თავსაბურავით). ეს ანაქრონიზმი იყო: უკვე 1925 წელს თურქეთის რესპუბლიკაში ფესისა და სხვა არაევროპული ტანსაცმლის ტარება კანონით აიკრძალა.

იმდროინდელ საზღვარგარეთელ *სოვეტოლოგებს*, ანუ ვინც საბჭოთა კავშირს სწავლობდა, თავიანთ კვლევებში შეეძლოთ მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, უგულვებელყოფა და კონცენტრირება მხოლოდ იმაზე, თუ რა ხდებოდა სახელმწიფოს ცენტრში, მოსკოვში.

* * *

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა 1992 წლიდან მკვეთრად შეიცვალა. ის დაუმეზობლდა ოთხ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – თურქეთს, რუსეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს.

თანამედროვე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობას ძირითადად განაპირობებს მისი გეოგრაფიული მდებარეობა (ჩანართი II). *უპირველესად იგულისხმება მდებარეობის პოლიტიკურ-გეოგრაფიული ასპექტი, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული ასპექტიც.*

ჩანართი II
მაინც სად მდებარეობს საქართველო – ევროპაში თუ აზიაში?

ეს კითხვა ხშირად გვანუხებს. პასუხები კი ეყრდობა ხან ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ხან კულტურულ-გეოგრაფიულ, ხანაც პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მიდგომას.

სკოლაში (ჩვენთანაც და მსოფლიოშიც) ჩვეულებრივ *ფიზიკურ-გეოგრაფიული კუთხით* ასწავლიან და უფრო ხშირად ევროპასა და აზიას შორის საზღვარს ატარებენ *კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე*. მაგრამ არსებობს სხვა ვარიანტებიც: როდესაც საშუალო სკოლაში დავდიოდი, გეოგრაფიის გაკვეთილზე გვასწავლეს, რომ საზღვარი ევროპასა და აზიას შორის *ყუმა-მანიჩის ღრმულზე* გადის. ორივე ამ ვარიანტით საქართველო აზიაშია, მაგრამ თუ წყალგამყოფ ქედს გაეყვებით, მაშინ მოხვეები, პირიქითელი ხეცურები და წოვა-თუშები ჩეჩნებთან და ყალმუხებთან ერთად ევროპელები გამოდიან, თბილისელები კი – აზიელები!

სინამდვილეში *ფიზიკურ-გეოგრაფიული მიდგომა* სუბიექტურია. ევროპა ცალკე კონტინენტი არაა! არსებობს ერთიანი კონტინენტი – *ევრაზია*. ის, რასაც „ევროპას" ვუწოდებთ, ევრაზიის ნახევარკუნძულია და არა ცალკე კონტინენტი. საზღვარი აზიასა და ევროპას შორის თვალნათლივ *ჩანს* მხოლოდ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისა და მათ შორის მდებარე მარმარილოს ზღვის ნაპირებზე; დანარჩენი საზღვრის გავლება, ვთქვათ, ურალის ქედზე, მდინარე ემბაზე, კავკასიონის ქედზე, ყუმა-მანიჩის ღრმულზე, დამოკიდებულია საზღვრის შემომთავაზებელი მეცნიერის „გემოვნებაზე", მისი არგუმენტაციის უნარზე და მისი შრომების პოპულარობაზე სხვა მეცნიერთა შორის.

სუბიექტურია *კულტურულ-გეოგრაფიული მიდგომაც* (ის *ისტორიულ-გეოგრაფიულადაც* შეიძლება განვიხილოთ), როდესაც ევროპად მიიჩნევენ გარკვეული მსგავსი კულტურული ფასეულობების მატარებელ საზოგადოებას (ჩვეულებრივ, ეს ფასეულობები ქრისტიანობის საფუძველზე აღმოცენებულად განიხილება). ასეთი მიდგომით I და II ათასწლეულის მიჯნაზე ევროპის საზღვარი სადღაც მდინარე ევფრატის ზემოწელზე და აღმოსავლეთ ანატოლიაში უნდა გაგვეველო. *არზ-ე-რუმი*, თანამედროვე *ერზურუმი*, სპარსულად „რომის მიწას" ნიშნავს: [აღმოსავლეთ] *რომის იმპერიის* პოლიტიკური და კულტურული გავლენა იქამდე ვრცელდებოდა; ამას შეგვიძლია დავუმატოთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობამდე (ზოგან – გადაღმაც) საქრისტიანოს ყველაზე აღმოსავლეთი ნაწილი – გაერთიანების გზაზე მდგარი საქართველო (იხ. ნახ I). მაგრამ იმავე მიდგომით, XVI საუკუნეში ევროპის „კულტურული" საზღვარი დასავლეთით უნდა გადავწიოთ და შუა უნგრეთში გავატაროთ, რადგან მდ. დუნაის ერთ ნაპირზე მდებარე ბუდა ოსმალთა ხელში მყოფი მუსლიმური ქალაქი იყო, მის მოპირდაპირე ნაპირზე კი ქრისტიანული ქალაქი პეშტი მდებარეობდა. XVII საუკუნიდან ეს ერთი ევროპული ქალაქია და მას *ბუდაპეშტი* ეწოდება.

სუბიექტურია *პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომაც*. მაგრამ ის სხვა მიდგომებზე უფრო პრაგმატულია, ვინაიდან საერთაშორისო ორგანიზაციები ძირითადად მისი პრინციპების გამოყენებით მოქმედებენ. ამიტომაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრია და მის მისწრაფებას – გახდეს ევროპული კავშირის წევრი, სერიოზული ლოგიკა უდევს საფუძვლად. უეფამაც თავის რიგებში მიგვიღო და ჩვენი ნაკრები ესპანეთსა და გერმანიას ეთამაშება და არა ტაილანდსა და მონღოლეთს.

ამიტომაც, ყველაზე რეალისტური, პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომით, XXI საუკუნეში საქართველო მდებარეობს ევროპის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორია სატრანზიტოა, როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანისათვის. საქართველოს სახმელეთო და საჰაერო გზების გამოყენებით უკავშირდება *სომხეთი* თავის მოკავშირე *რუსეთს*, ხოლო *აზერბაიჯანი* – თავის მოკავშირე *თურქეთს*.

ამ უკანასკნელისათვის საქართველო უპირველესად სატრანზიტო ტერიტორია და გასაღების ბაზარია; ბუნებრივია, ანკარა დაინტერესებულია, რომ საქართველოში სტაბილური ვითარება არსებობდეს (ამაზე 31-ე თავში მეტია ნათქვამი).

იმის გამო, რომ *სომხეთსა* და *აზერბაიჯანს* შორის მხოლოდ დაზავებაა და ისინი ჯერაც ომის მდგომარეობაში არიან ერთმანეთთან, ორივე ქვეყნისათვის თბილისი არის უახლოესი ადგილი, სადაც შესაძლებელია მათი წარმომადგენლების სპორადული შეხვედრა. უცხოური დელეგაციები, რომელთაც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში უხდებათ ჩასვლა, თბილისიდან დადიან ბაქოსა და ერევანშიც.

საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე *რუსეთის ფედერაცია*, რომელსაც 1991 წლის ბოლოს ტერიტორია მკვეთრად შეუმცირდა, ერთ-ერთ უმთავრეს დანაკარგად საქართველოს მიიჩნევს, რადგან ეს უკანასკნელი, თავისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო „*კავკასიის გასაღებად*" მიაჩნია. ასე იყო რუსეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული და ასე რჩება ახლაც.

მაშინ, როცა რუსეთის ხელმძღვანელობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას თავისი „პრივილეგირებული ინტერესების სფეროდ" განიხილავს, *ნატომ* (რეალურად, მისმა წამყვანმა წევრმა – ამერიკამ) გამოამჟღავნა ერთგვარი დაინტერესება საქართველოს მიმართ.

ამ დაინტერესების პასუხად, 2008 წელს რუსეთმა გამოიყენა საბაბად თბილისისა და მისი ერთი ავტონომიის გართულებული ურთიერთობა, შემოიჭრა საქართველოში და მის ტერიტორიაზე დააარსა თავისი ორი სამხედრო ფორპოსტი, რომლებსაც „დამოუკიდებელი სახელმწიფოები" დაარქვა (ამაზე 28-ე თავშია საუბარი).

მიუხედავად ასეთი სერიოზული პრობლემებისა, *პირველ დამოუკიდებლობასთან (1918-1921) შედარებით, 1992 წლიდან საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა, თუმცა კარგისაგან ის ჯერაც შორსაა (ამაზე საუბარია 30-ე თავში).*

1918-1921 წლებში მხოლოდ ოცნება შეგვეძლო, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ გაჩნდებოდა დასავლეთის ქვეყნების გარკვეული დაინტერესება. ახლა კი ასეთი რამ მკაფიოდ ჩანს, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. ეს თითქოს უნდა აწონასწორებდეს საქართველოზე რუსეთის გავლენას, თუმცა, ამავდროულად, ამ უკანასკნელის მხრიდან უფრო მკვეთრი ნაბიჯების პროვოცირებას ახდენს.

საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ერთგვარ გაუმჯობესებაზე მსოფლიოში განვითარებულმა *სხვა პროცესებმაც* იმოქმედა. კასპიის ზღვის აუზის ნახშირწყალბადოვანი რესურსების (უფრო გასაგებად – ნავთობისა და გაზის) დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირებისათვის ყველაზე ხელსაყრელად საქართველოსა და თურქეთზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტი იქნა მიჩნეული.

ამ არჩევანის შემთხვევაში *ეკონომიკურ მოტივაციაზე* უფრო მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ აშშ-ისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მთავრობების *გეოპოლიტიკური* მოტივაცია. მათი ზენოლის შედეგად ტრანსნაციონალური კომპანიების კონსორციუმმა მილსადენების გაყვანა საქართველოს გავლით დაგეგმა და XXI საუკუნეში ისინი აამოქმედა კიდეც.

ახლა საქართველო უფრო მეტადაა ჩაბმული მსოფლიო ეკონომიკურ და, შესაბამ-

ისად, პოლიტიკურ პროცესებში და ის მსოფლიო კონტექსტში უნდა განვიხილოთ კიდეც.

აქვე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო მსოფლიო ეკონომიკის ძალიან მცირე ნაწილია და *მის მიმართ მსოფლიო პოლიტიკური ცენტრების ინტერესი უსაზღვრო არაა.*

ამ წიგნში წარმოდგენილია მცდელობა, აიხსნას თუ რას წარმოადგენდა მსოფლიო კონტექსტი საქართველოსათვის XX საუკუნის განმავლობაში და XXI საუკუნის დასაწყისში.

სივრცე-დროითი განზომილება

ქვეყნის სრულყოფილად აღქმა შეუძლებელია, თუკი მას *სივრცითი კონტექსტიდან* ამოვგლეჯთ. ამიტომაც ამ წიგნის I და II ნაწილებში საქართველო საკმაოდ ხშირად განხილულია მეზობლებთან ერთად: უპირველესად იგულისხმება დანარჩენი სამხრეთ კავკასია და, განსაკუთრებით, რუსეთი, რომელთან ერთადაც საერთო სახელმწიფოში ვცხოვრობდით თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში. წიგნში აუცილებელი გახდა საკმაოდ ვრცლად მიმომეხილა ისტორიული პროცესი *საბჭოთა კავშირში*, რომლის მცირე ნაწილიც (კავშირის დაშლის მომენტისათვის მოსახლეობის 1,88 პროცენტი და ტერიტორიის 0,31 პროცენტი,) *სამოცდაათი წლის განმავლობაში* იყო ჩვენი ქვეყანა.

საერთაშორისო ფაქტორი საქართველოსათვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ქვეყნის მდებარეობა და ზომა (მცირე ტერიტორია, მოსახლეობა, ეკონომიკური პოტენციალი) ძალიან ზღუდავდა ჩვენს შესაძლებლობას, ზემოქმედება მოგვეხდინა ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესებზე. ამის საპირისპიროდ, საგარეო პროცესები უფრო მეტ გავლენას ახდენდა ჩვენზე. *ასეთია ყველა პატარა ქვეყნის ხვედრი: მისი შიდა პოლიტიკური პროცესებიც კი, არცთუ იშვიათად, საგარეო ფაქტორებზეა დამოკიდებული.* ის კი არა, საერთაშორისო ფაქტორების გადამკიდე, ავტორიტარული მიდრეკილების მქონე ადგილობრივმა ლიდერებმა ერთი „ხეირიანი, სრულფასოვანი დიქტატურაც“ კი ვერ შექმნეს: ერთი ასეთი ლიდერი ქართველებმა ისე გააძევეს, რომ მსოფლიოს ამის წინააღმდეგ კრინტიც არ დაუძრავს, მეორე – არჩევნების გზით [თითქმის] მოიშორეს და ეს უკანასკნელი საერთაშორისო ზეწოლამ აიძულა არჩევნების შედეგების გაყალბების მცდელობაზე უარი ეთქვა და დამარცხება ეცნო.

ნათელია, რომ ჩვენს ირგვლივ და მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ახსნის გარეშე გაუგებარი დარჩებოდა საქართველოს განვითარების თავისებურებები.

XX საუკუნეში *ტექნოლოგიაში და კომუნიკაციებში მომხდარი გრანდიოზული ძვრები*, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ერთი დღის განმავლობაში (ხშირად უფრო სწრაფადაც) მისვლის საშუალება, ვაჭრობისა და ფინანსების სფეროებში სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების საოცარი ზრდა, მთელ პლანეტას აქცევს *„მსოფლიო სოფლად“*.

ერთ ადგილას მომხდარმა ლოკალურმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა მოვლენამ ძალიან მალე შეიძლება გამოიღოს ირიბი, მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობის შედეგი. XX საუკუნემაც ეს ნათლად დაამტკიცა და XXI საუკუნეც ამტკიცებს ამას.

ისტორიას ახსოვს *შორს მომხდარი* მრავალი მოვლენა, რომელმაც საქართველოზე

უარყოფითი გავლენა იქონია: წიგნში ასეთი რამდენიმე ფაქტი იქნება განხილული. ზოგიერთი შორეული მოვლენის (ხანდახან – ტრაგიკულისაც კი) ირიბი შედეგი კი ჩვენთვის სასარგებლო აღმოჩენილა. მაგალითად:

- 1914 წელს ტერორისტის მიერ *სარაევოში ნასროლმა რამდენიმე ტყვიამ* მსოფლიო ომის პროვოცირება მოახდინა; ომმა კი ოთხი იმპერია – რუსეთი, ოსმალეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია – შეიწირა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გაჩენა რუსეთის იმპერიის გაქრობის შედეგი იყო;
- 1979 წლის *ირანის ისლამურმა რევოლუციამ* და 1988 წელს მთიანი ყარაბაღის გამო *სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ატეხილმა ომმა* განაპირობა ის, რომ კასპიის ზღვის აუზიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ მიმართული ნავთობისა და გაზის საექსპორტო მილსადენები სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გავიდა და არა სხვაგან, რამაც ჩვენ ევროატლანტიკურ მისწრაფებას მეტი რეალობა შესძინა.
- 1991 წლის 8 დეკემბრის *ბელოვეჟიეს ტყვრის* მოვლენამ, როდესაც სამი საბჭოთა სლავური რესპუბლიკის – რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის – ხელმძღვანელები შეთანხმდნენ საბჭოთა კავშირის უსისხლო დაშლაზე, საბოლოო ჯამში, გავლენა იქონია მრავალ, ერთი შეხედვით დაუკავშირებელ, მოვლენაზე მსოფლიოში. ამ მოვლენამ დამოუკიდებლობის ცნობა მოუტანა საქართველოს.

ეს და მსგავსი მაგალითები გლობალიზაციის გარკვეული გამოვლინებაა.

გლობალიზაციამ დააჩქარა სივრცე და აამჭარა დრო.

გლობალიზაცია, მიუხედავად იმისა, მოგვწონს იგი თუ არა, რეალობაა, და ის დღეს არ დაწყებულა. ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ იყო გეოგრაფიულად ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ევროპა-აზია-აფრიკის მიმდებარე რეგიონებით შემოზღუდული „*მინი-გლობალიზაცია*“: მას Pax Romana[1] ერქვა. მაგრამ რეალური გლობალიზაცია XV საუკუნის ბოლოდან მიმდინარეობს, ევროპელების მიერ წამოწყებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ.

ორი ათასი წლის წინ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და დასავლეთ ევროპისათვის პოლიტიკური ცენტრი პირველი (და ერთადერთი ნამდვილი) *რომი* იყო. შეგახსენებთ, რომ „მეორე“ და „მესამე რომად“ თავს აცხადებდნენ *კონსტანტინოპოლი* და *მოსკოვი*.

„*სამივე რომთან*“ *საქართველოს შეხება ჰქონდა:* პირველთან – მცირე, მეორესთან – საკმაოდ დიდი, მესამესთან – ძალიან დიდი.

ახლა *Washington D.C.*-ის იმედი გაგვიჩნდა (რომელიც ჩვენთვის „*მეოთხე რომია*“). ამერიკის შეერთებულ შტატებს დანარჩენი მსოფლიოს პრობლემებიც აწუხებს: მსოფლიო ლიდერობა ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა!

მაგრამ რამდენ ხანს ექნება გადასაწყვეტი გლობალური პრობლემები მხოლოდ „მეოთხე რომს“?

ხომ სავსებით შესაძლებელია, რომ XXI საუკუნეში ჩინეთისა და/ან ინდოეთის განვითარება მსოფლიოსათვის განმსაზღვრელი გახდეს და გლობალიზაციის ახალი ცენტრი/ცენტრები გაჩნდეს? ვინ იტყვის ახლა, თუ სად იქნება ჩვენთვის „*მეხუთე რომი*“ ერთი საუკუნის შემდეგ?

[1] რომაული მშვიდობა (ლათ.); გადატანით – „წესრიგი რომის წესებით“.

* * *

არც ერთი ისტორიული მოვლენა არ შეიძლება ამოიგლიჯოს *დროითი კონტექსტი-დან:* ის გასაგები ხდება მხოლოდ თავისსავე ეპოქასთან კავშირში.

როდესაც წარსული ძალიან ახლოსაა, გვგონია, რომ მასზე ყველაფერი ვიცით და მას ისტორიად ვერც აღვიქვამთ. სინამდვილეში კი ყოველი განვლილი დღე, საათი და წამი უკვე წარსულია, ანუ ისტორიის კუთვნილება. ხვალინდელი დღე ძალიან სწრაფად იქცევა გუშინდელად. პოეტური ენით ეს ასე გამოითქმის:

„თქვენც, მომავალის დღეებო უქმო
წარსულის რიგში დაირაზმებით".

(გივი გაჩეჩილაძე)

ვერ გავექცევით *დროით მასშტაბსაც* – შორეული მანძილიდან უკეთ ჩანს ზემოხსენებული დროითი კონტექსტი: ის, რასაც დღეს რიგით მოვლენად მივიჩნევთ, წლების შემდეგ სერიოზული ტენდენციის მაჩვენებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

ამიტომაც საჭიროა ყურადღების გამოჩენა იმ გარდასულ დღეთა მიმართ, როდესაც გამოიკვეთა ზოგიერთი ამუამინდელი პოლიტიკური ტენდენცია ან ჩაისახა დღევანდელი პრობლემები.

წიგნის მიზნისა და ავტორისეული მიდგომის შესახებ

წიგნის ძირითადი მიზანი იყო მსოფლიო პროცესების კონტექსტში მეჩვენებინა საქართველოს შედარებით ახლო წარსული – XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული თითქმის დღემდე (ანუ 2012 წლის ბოლომდე).

მინდოდა მეჩვენებინა, თუ რა *მსოფლიო გეოპოლიტიკურ ოკეანეში უხდებოდა და დღემდე უხდება ლავირება საქართველოს.*

ქარიშხლიან ოკეანეში ყოფნისას გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ შეცდომების დაშვება სავსებით მოსალოდნელი იყო. ადრე დაშვებული შეცდომების გათვალისწინებამ იქნებ მომავალში თავიდან აგვაშოროს იგივე შეცდომა?

სამწუხაროდ, ზოგიერთი შეცდომა დაშვებული იქნა არა გარეშე ფორს-მაჟორის გამო, არამედ წმინდა სუბიექტური მიზეზებით. ამიტომ *საქართველოს ყველა პირველი პირისა თუ პირების ნაღვაწი უნდა შეფასდეს ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემით: გამოიყენეს თუ არა ქვეყნის სასარგებლოდ მათ ხელთ არსებული რეალური შესაძლებლობები?*

წიგნში ძირითადად ვმსჯელობ პროცესებზე და ტენდენციებზე; ფაქტები, უფრო ხშირად, მაგალითისათვის მომყავს. არ ვაპირებდი ისტორიული ფიგურების დახასიათებას, თუმცა რამდენიმე, არცთუ ყოველთვის პოზიტიური თვალსაზრისით გამორჩეული, პოლიტიკოსის მოხსენიებას და მათი ნაღვაწის მოკლე შეფასებას ვერ გავექცეოდი: *ეპოქა ქმნის პოლიტიკურ მოღვაწეებს, მაგრამ პოლიტიკოსებიც ქმნიან ეპოქას.*

ჩემი *მიზანი არ ყოფილა რომელიმე ისტორიული პირის მიკერძოებით განდიდება*

და, მით უმეტეს, ვინმეს უსამართლოდ განქიქება. ყველაფრის მხოლოდ შავად ან მხოლოდ თეთრად წარმოდგენა სწორი არ მეჩვენება.

როდესაც *„ყამთააღმწერლად“* ცნობილი XIV საუკუნის ანონიმი ქართველი ისტორიკოსი წერდა თამარ მეფის ასულის, რუსუდანის *ბოროტისმოქმედებაზე* საკუთარი ძმისწულის მიმართ, რომელიც ჩვენთვის ცნობილია *ულუ დავითის* სახელით, *მეფეთათვის არა საკადრებელ უშუერსა რასმე თხრობისათვის* შენდობას ითხოვდა იმ მოტივით, რომ *„ყამთააღმწერლობა ჭეშმარიტისმეტყუელება არს და არა თუალახმა ვისიმე“. ცნობისათვის: თუალახმა „მიკერძოებით განდიდებას“* უდრის.

ბუნებრივია, საუკუნოვანი ისტორია ერთ წიგნში სრულად ვერ აისახებოდა. *წიგნი არ იძლევა საქართველოსა და, მით უმეტეს, მსოფლიოს გეოპოლიტიკისა და პოლიტიკური ისტორიის სრულ სურათს.* ბევრი ისტორიული მოვლენა, რომელთა მსოფლიო მნიშვნელობაც ეჭვს არ იწვევს, ხანდახან მნიშვნელოვანიც კი, საერთოდ უგულვებელყოფილი აღმოჩნდა. ზოგი მოვლენა მხოლოდ სქემატურადაა მონიშნული.

მაგრამ, შეეცადე გეერდი არ ამეცლო, ჩემი აზრით, ისეთი *საკვანძო მოვლენებისა და პროცესებისათვის*, რომელთაც, პირდაპირ, ან თუნდაც ირიბად, მოახდინეს გავლენა საქართველოზე. ვცდილობდი შემეფასებინა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები *საქართველოს პოზიციიდან* – რამდენად დადებითი ან უარყოფითი იყო მათი შედეგები ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის.

XX საუკუნისა და XXI საუკუნის დასაწყისის პერიოდიზაცია, სხვადასხვა მოვლენის მიმართ წიგნში მოცემული მიდგომა და მათი შეფასება ხშირად არ ემთხვევა ტრადიციულ, კანონიკურად მიჩნეულ თვალსაზრისს. ჩემი თაობისა და ჩემზე უფროს ადამიანებს შეიძლება არ მოეწონოთ წიგნში მოცემული ჩვეული, სკოლაში ჩანერგილი ისტორიული სტერეოტიპების მსხვრევის მცდელობა. თუმცა, უეჭველია, რომ XXI საუკუნეში ისტორიაზე ძველი წარმოდგენები უჩემოდაც შეიცვლება.

ვშიშობ, რომ წიგნის ცალკეული პასაჟები არ მოეწონებათ არც „სტალინისტებს“, არც „ზვიადისტებს“ და არც „მიშისტებს“, არც ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ, აზერბაიჯანელ თუ თურქ ულტრაპატრიოტებს, არც ირანელ აიათოლებს, არც ამერიკელ ნეოკონსერვატორებსა და არც რუს ნეოიმპერიალისტებს, არც საბჭოთა კომუნიზმის ნოსტალგიით შეპყრობილ ადამიანებს და არც ე.წ. „მენშევიკური ემიგრაციის“ შთამომავლებს.

უახლეს ისტორიაში არ არსებობს და ვერც იარსებებს ერთი აზრი ყველა მოვლენის შეფასებისას. წარსული ძალიან ახლოსაა და ისტორიის ჯერაც ცოცხალ სუბიექტებს, ანუ მათ, ვინც რეალურ ისტორიას ქმნიდნენ ან ჯერაც ქმნიან, წარსულის აღმწერისაგან განსხვავებული წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეთ *საკუთარ ღვაწლზე*. როგორც წესი, „ისტორიის შემოქმედნი“ ან მათი შთამომავლები და სულიერი მემკვიდრეები *გადაჭარბებით პოზიტიურად აფასებენ ამ ღვაწლს.*

ასეთ თვითშეფასებას კი შეიძლება სულაც არ დაეთანხმოს ისტორიკოსი, რომელიც ვალდებულია, სხვადასხვა კუთხიდან კრიტიკულად შეაფასოს წარსულის მოვლენა ან პროცესი და მისი შედეგები.

„სკეპტიციზმი ისტორიის ღირსებაა, ისევე, როგორც ფილოსოფიისა“ – ეს ნაპოლეონის სიტყვებია.

წიგნში წარმოდგენილი, ჩემი აზრით, ზომიერი სკეპტიციზმის ფონზე, მკითხველს უჩნდება შესაძლებლობა, თავად განსაჯოს – ახლოსაა თუ არა მისი საკუთარი თვალსაზრისი ჩემს შეფასებასთან. არ ვამბობ, ჭეშმარიტებასთან-მეთქი, რომელიც, ზემოხსენებული მე-14 საუკუნის *ჟამთააღმწერლის* აზრის საპირისპიროდ, მოკვდავისათვის საერთოდ მიუღწეველ რამედ მეჩვენება.

მინდა გავუზიარო XX საუკუნისა და XXI საუკუნის დასაწყისის შეგრძნება მომდევნო თაობებს, რომელთაც სულ სხვა ეპოქაში მოუწევთ ცხოვრება. ამიტომ, ქვემოთ მოყვანილი ტექსტის წაკითხვა, ასე მგონია, 2030-იანი წლებიდან აჯობებს. იმ დროისათვის შეფარდებით შემცირდება იმათი რიცხვი, ვინც აქ აღწერილი მოვლენების მომსწრე იყო, სამაგიეროდ მოიმატებს იმათი რიცხვი, ვისთვისაც XX საუკუნე და XXI საუკუნის დასაწყისი უცნობი წარსული იქნება. ინფორმაცია „დაღვინდება" და უფრო მეტისათვის შეიძლება გახდეს საინტერესო.

ნაწილი I

მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი

თავი 1

XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიო

როდის იწყება XX საუკუნე?

ლოგიკურია, რომ პასუხი ამ კითხვაზე უნდა იყოს – 1901 წელს.
მაგრამ აქვე მახსენდება ფრანგი მწერლის, მორის დრიუონის სიტყვები: „*1910 წლის საზოგადოებასა და 1920 წლის საზოგადოებას შორის გაჩნდა უფრო ღრმა, გაუვალი უფსკრული, ვიდრე 1820 წლის საზოგადოებასა და 1910 წლის საზოგადოებას შორის.*"

დრიუონის სოციოლოგიური მიდგომა, რასაკვირველია, გულისხმობდა 1914-1918 წლების „დიდი ომის" შედეგებს, რომელთაც მკეთრად შეცვალეს მსოფლიო.

თუკი ამავე ლოგიკით მსჯელობას განვავითარებთ, შეგვიძლია დავუშვათ, რომ XIX საუკუნე დამთავრდა 1918 წელს, პირველ მსოფლიო ომთან ერთად, ხოლო XX საუკუნე 1919 წელს დაწყებულა!

იმავე ლოგიკით შეგვიძლია ისიც ვამტკიცოთ, რომ XIX საუკუნე დაიწყო 1789 წელს – ბასტილიის აღებით, ხოლო XXI საუკუნე – 1991 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად თითქოს გაქრა მსოფლიოსათვის უაღრესად სახიფათო „ცივი ომის" განახლების საფრთხე.

ამ „ქრონოლოგიურ ვარიანტებს" ყასიდად ვასახელებ – დაუსაბუთებლად! უბრალოდ, მინდა მკითხველს თავიდანვე აღვუძრა კამათის სურვილი.

ახალი საუკუნის დამდეგი

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე და XX საუკუნის პირველ ათწლეულში მსოფლიოში თითქოს მშვიდობა სუფევდა. ლოკალური ომები, რომელთა გარეშე კაცობრიობას ერთი დღეც არ უცხოვრია, ძირითადად, აფრიკისა და აზიის პერიფერიებში მიმდინარეობდა. XX საუკუნის მეორე ათწლეულში ლოკალური ომები

ევროპაშიც დაიწყო, კერძოდ, ბალკანეთში, და ისინი უფრო დიდი კატასტროფის პრელუდია აღმოჩნდა.

მაგრამ პერიოდი – საუკუნის დამდეგიდან 1914 წლამდე – მაინც მშვიდობიანად უნდა მივიჩნიოთ.

მოგზაურობა, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებს შორის, თავისუფლად შეიძლებოდა. საზღვარგარეთ წასვლა დამოკიდებული იყო ფულსა და ქვეშევრდომის ქვეყანაში გაცემულ პასპორტზე (საზღვარგარეთულზე: სხვა არც იყო! შიდა პირადობის მოწმობა არც ერთ ქვეყანაში არ არსებობდა). პასპორტში ფოტოს ჯერ არ აკრავდნენ და მისი ნამდვილი მფლობელის ზუსტად დადგენა ვერ ხერხდებოდა. მაგრამ პატიოსნება საყოველთაო ნორმად იყო მიჩნეული, ყველაფერი ნდობას ეყრდნობოდა. ამით სარგებლობდნენ რუსეთის მეფის ქვეშევრდომი რევოლუციონერები, რომელთაც კანონი სერიოზულად ჰქონდათ დარღვეული, და ადვილად გარბოდნენ საზღვარგარეთ („პოლიტიკურ ემიგრაციაში მიდიოდნენ“).

რუსული *რუბლი* კონვერტირებადი იყო და მას ისევე სცემდნენ პატივს, როგორც ინგლისურ *პაუნდს* (გირვანქას), ფრანგულ *ფრანკს*, გერმანულ *რაიხსმარკს*. ამერიკული *დოლარი* შედარებით უცნობი ვალუტა იყო, რაღაც მექსიკური *პესოს* მსგავსი და ევროპაში მას ერთგვარი ეჭვით უყურებდნენ!

ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქებში ახალი საუკუნის დაწყება 1901 წლის 1 იანვარს ზარ-ზეიმით აღინიშნა. სანქტ-პეტერბურგში, მოსკოვსა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში ფრანგული შამპანურის (ალბათ ეს იქნებოდა პუშკინის ეპოქიდან მოყოლებული რუსეთში ყველაზე პოპულარული *Veuve Clicquot – „კლიკოს ქვრივი“* – რომელსაც რეიმსში 1772 წლიდან დღემდე აწარმოებენ) ბოთლების ბათქაბუთქით ახალი საუკუნის დადგომა 13 დღით გვიან აღნიშნეს: იმპერია ჯიუტად იცავდა იულიანურ კალენდარს, ანუ *ძველ სტილს*. XXI საუკუნეში ამ ანაქრონიზმის დამცველ ბასტიონებად რჩება სულ რამდენიმე ქრისტიანული ავტოკეფალური ეკლესია, მათ შორის რუსული, ქართული და სომხური.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საუკუნის დამდეგს მხოლოდ გაზეთები წარმოადგენდნენ. ტელევიზია ჯერ არ არსებობდა და სხვადასხვა ქვეყნებთან კოორდინირებული ზეიმის მოწყობა ძნელი იყო.

მსოფლიოს დიდ ნაწილში XX საუკუნის დადგომა საერთოდ არ შეუნიშნავთ. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც, რამდენიმე მომცრო ბრიტანული პროტექტორატისა და სპარსეთის გამოკლებით, მოიცავდა მთელ ახლო აღმოსავლეთს, დღევანდელ ლიბიასა და ბალკანეთის ნაწილსაც კი, *ისლამურ მთვარის კალენდარს* იყენებდნენ: სტამბოლში იდგა *ჰიჯრით* 1316 წელი. ოსმალეთის სულტანი აბდულ-ჰამიდ II, რომელიც იმ დროისათვის უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნე მართავდა თავის გაკოტრებულ იმპერიას, ერთდროულად ხალიფაც იყო და ამიტომ მსოფლიოს ყველა მუსლიმის მეთაურობასაც იჩემებდა. მუსლიმების ახალი საუკუნე კი სხვა დროს დადგებოდა და ის სულაც არ იქნებოდა მეოცე.

სულ რამდენიმე ფერის მქონე მსოფლიო პოლიტიკური რუკა

საუკუნის დამდეგის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, ნიდერლანდის, გერმანიის, ბელგიის ფერები დომინირებდა.

საუკუნის დამდეგს ევროპის დიდი ნაწილი იმპერიებში იყო გაერთიანებული. მთელ კონტინენტზე არსებობდა სულ ოცდასამი სუვერენული სახელმწიფო (იხ. ნახ. 2.1), ჯუჯა ქვეყნების – მონაკოს, სან-მარინოსა და ლიხტენშტაინის – ჩათვლით. ანდორა, რომლის არსებობასაც დაინტერესებული მკითხველი ალბათ შემახსენებს, მაშინ ფორმალურად სუვერენული არ იყო.

ევროპის სახელმწიფოებიდან მხოლოდ სამი იყო რესპუბლიკა: უძველესი სან-მარინო, შვეიცარია და საფრანგეთი, ყველა დანარჩენი კი – მონარქია. ასი წლის წინანდელთან შედარებით XXI საუკუნის დამდეგს ევროპაში ორჯერ მეტი სახელმწიფოა და მათ შორის მხოლოდ ათია მონარქია, დანარჩენში რესპუბლიკური წყობაა.



ნახ. 2.1 ევროპის პოლიტიკური რუკა 1901 წელს

აფრიკა და აზია ევროპულ კოლონიურ იმპერიებს ჰქონდათ დანაწილებული.

აფრიკაში დამოუკიდებელი მხოლოდ ორი სახელმწიფო იყო – აბისინია (ეთიოპია) და ლიბერია; სამხრეთ აფრიკის ბურების რესპუბლიკები ინგლისმა 1902 წელს დაიპყრო.

აზიაში დამოუკიდებელი რჩებოდა მხოლოდ იაპონია, ჩინეთი, სიამი (ტაილანდი), ნეპალი, ავღანეთი, სპარსეთი და ოსმალეთი. XX საუკუნის დამდეგს აზიის ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო მონარქია იყო. XXI საუკუნის დასაწყისში აზიაში მონარქიები შემორჩა მხოლოდ არაბეთისა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულებზე, იორდანიაში, იაპონიასა და ბრუნეიში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში დაემხო მონარქიები იემენში, ირანში, ავღანეთში, ნეპალში, მალე მათ რიგს იორდანიაც შეიძლება შეუერთდეს.

ამერიკაში (ჩრდილოეთსა და სამხრეთში) არსებობდა ოცი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ყველა – რესპუბლიკა. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში და ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე მრავლად იყო ევროპული სახელმწიფოების კოლონიები, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ეჭირა 1867 წლიდან ბრიტანული დომინიონის სტატუსის მქონე კანადას.

1901 წლის 1 იანვარს გამოცხადდა *ავსტრალიის კავშირის შექმნა*, რომელიც ბრიტანეთის დომინიონად დარჩა. 1906 წელს ბრიტანული დომინიონი გახდა *ახალი ზელანდია*, ხოლო 1910 წელს – *სამხრეთ აფრიკის კავშირი*.

ოსმალეთში, სპარსეთსა და *ჩინეთში* საუკუნის პირველ დეკადებში *რევოლუციები* მოხდა. ევროპაში ეს ამბები სათანადოდ ვერ შეაფასეს, თუმცა ამ ქვეყნებმა – აზიაში იშვიათმა, ვინც დამოუკიდებლობა შეინარჩუნა – პირველი ნაბიჯი გადადგეს XX საუკუნის მოდერნიზაციისაკენ, რაც პრაქტიკულ შედეგს უფრო გვიან მოიტანს.

მეტროპოლიის – ინგლისის – კულტურულ-პოლიტიკური გავლენით მისი კოლონიის, ინდოეთის პოლიტიკური ელიტა ყოველგვარი რევოლუციის გარეშე, თანდათან ეუფლებოდა დემოკრატიული წესებით ქვეყნის მართვას. საუკუნის დასაწყისში იქ უკვე მიმდინარეობდა ისეთი პოლიტიკური პროცესები, რომლებიც მოგვიანებით განთავისუფლებულ *ინდოეთის რესპუბლიკას* დასავლური ტიპის დემოკრატიად გადააქცევენ.

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ვიქტორია, რომელმაც 64 (!) წელი იმეფა, 1901 წელს გარდაიცვალა. მასთან ერთად წარსულს ჩაბარდა ხანგრძლივი *„ვიქტორიანული ეპოქა“*. დედოფლის სიკვდილი შეიძლება დიდი ბრიტანეთის მსოფლიო ჰეგემონიის დასრულების ერთგვარ სიმბოლოდ მივიჩნიოთ, რისი გარდაუვალობაც XIX საუკუნის ბოლო დეკადებში გახდა ნათელი.

1899-1902 წლებში წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ჯამში მსოფლიოს მოსახლეობის 10 პროცენტს არ აჭარბებდა, გაზეთების მეშვეობით ადევნებდა თვალს ბრიტანული არმიის ჯახირს *სამხრეთ აფრიკელი*

ბურების ორი პატარა რესპუბლიკის დასამორჩილებლად.

მანამდე უძლეველ ალბიონს (ეს ინგლისის მეტსახელია), რომელიც თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ამაყად აფრიალებდა თავის დროშას, *„იუნიონ ჯეკს“*, ყველა ოკეანესა და მსოფლიო ხმელეთის მეოთხედზე, ახლა ისეთი მოწინააღმდეგე შეხვდა, რომელზეც კბილების მომტვრევაც შეიძლებოდა.

XIX საუკუნის შუაგულში რუსეთის იმპერიასთან მოგებული *ყირიმის ომის* შემდეგ ბრიტანელებს ბრძოლა უხდებოდათ შუბებით, მშვილდ-ისრით ან ძველი მუშკეტებით შეიარაღებულ აფრიკელ ან აზიელ მოწინააღმდეგესთან, რომელიც შეფილდში ჩამოსხმულ ხრახნილლულიან ქვემეხებს წინ ვერ დაუდგებოდა. ბურებს კი ევროპული (ძირითადად – გერმანული წარმოების) იარაღი აღმოაჩნდათ და კარგადაც იბრძოლეს.

საბოლოოდ დიდმა ბრიტანეთმა სამხრეთ აფრიკაში მაინც გაიმარჯვა. ბურებმა 1902 წელს დამარცხება აღიარეს. მათი ყოფილი რესპუბლიკები, სხვა ბრიტანულ კოლონიებთან ერთად, *სამხრეთ აფრიკის კავშირში* გაერთიანდნენ, რომელიც 1910 წელს თვითმმართველობის მქონე ბრიტანულ დომინიონად გარდაიქმნა.

გამარჯვების მიუხედავად, ბრიტანელების სამხედრო ძალას ჩრდილი მიადგა. ბერლინში ზოგიერთს, შესაძლოა, მცდარი ილუზია შეექმნა, რომ დიდი ბრიტანეთი „ქაღალდის ვეფხვია“!

ანგლო-ბურების ომი ჩრდილოეთ ამერიკაში ინდიფერენტულად აღიქმებოდა. 1901 წელს ტერორისტის მიერ *პრეზიდენტ მაკ-კინლის* მოკვლის შემდეგ გაპრეზიდენტებული ძალიან აქტიური *თეოდორ რუზველტის* დროს ვაშინგტონი კვლავინდებურად ამჯობინებდა ძველი სამყაროს მოვლენებისაგან გამიჯვნას და მოქმედებას *მონროს დოქტრინის* – „ამერიკა ამერიკელებისათვის“ – თანახმად. ლათინურ ამერიკაში კარგად იცოდნენ, რასაც გულისხმობდა *პრეზიდენტ მონროს* დროს, 1823 წელს, ჩამოყალიბებული ეს დოქტრინა: „მთელი ამერიკა – ჩრდილოამერიკელი გრინგოებისათვის“!

XX საუკუნის დამდეგს თეთრი სახლის ადმინისტრაციას ყველაზე მეტად აინტერესებდა *კოლუმბიის რესპუბლიკისათვის პანამის ყელის მოწყვეტა* და იქ ცალკე რესპუბლიკის გამოცხადება. ამერიკას ეს იმისათვის სჭირდებოდა, რომ წყნარი და ატლანტის ოკეანეების დამაკავშირებელი არხის გაყვანა უფრო იაფი დამჯდარიყო. არხი მყარ საფუძველს შეუქმნიდა აშშ-ის ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ბატონობას წყნარ და ატლანტის ოკეანეებზე.

1903 წელს პანამა გაშლილყო კოლუმბიას. აშშ-მა საწადელს მიაღწია და სასწრაფოდ ცნო სეპარატისტული *პანამის რესპუბლიკის* დამოუკიდებლობა. ეს წმინდა წყლის იმპერიალიზმი იყო, მაგრამ იმდროინდელი „საერთაშორისო საზოგადოებრიობა“ ასეთივე იმპერიალისტებისაგან შედგებოდა და დიდ სახელმწიფოთაგან ვაშინგტონი არავის დაუგმია.

ვაშინგტონმა პანამის რესპუბლიკისაგან „უვადო მფლობელობაში" მიიღო არხის ზონა და მხოლოდ 1999 წელს დააბრუნა ის არხთან ერთად, რომელიც სერიოზულ მოდერნიზაციას საჭიროებს.

პანამის არხი, რომელიც იმ ეპოქის ტექნოლოგიური შედევრი იყო, 1914 წელს გაიხსნა. ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ არხის მშენებლობას სხვადასხვა ქვეყანაში დაქირავებული 30 ათასი მუშის სიცოცხლე შეეწირა. ისინი ძირითადად ტროპიკულმა ციებ-ცხელებამ იმსხვერპლა.

მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე XX საუკუნის დასაწყისში დიდი ცვლილებები არ ხდებოდა: „მსოფლიო ნამცხვარი" თითქმის დანაწილებული იყო. მაგრამ არსებობდა კოლონიების გადანაწილების სურვილი, უპირველესად – ბერლინში. სერიოზულ გეოპოლიტიკურ ძვრას ამზადებდა *„ბერლინ-ბაღდადის რკინიგზის"* მშენებლობა, რასაც გერმანიის კაიზერის (იმპერატორის) მფარველობით ახორციელებდა გერმანული კომპანია *„ბაღდადის რკინიგზის საიმპერიო საზოგადოება"*: კაიზერი ოსმალეთის სულტანთანაც ლობირებდა ამ მშენებლობას. რკინიგზას უნდა უზრუნველეყო გერმანული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გავრცელება ინდოეთის ოკეანემდე. ეს დიდად აშფოთებდა ლონდონს. პირველი მსოფლიო ომის დროს მან მიაღწია კიდეც იმას, რომ ამ რკინიგზის მშენებლობა არ დამთავრებულიყო.

1907 წელს დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა ზღვარი დაუდეს ცენტრალურ აზიაში თავიანთ ხანგრძლივ გეოპოლიტიკურ მეტოქეობას, რომელიც *„დიდი თამაშის"* (Great Game) სახელითაა ცნობილი. როგორც ჩანს, ორივე ძველი იმპერიალისტი მიხვდა, რომ გერმანიის იმპერიის სახით მათ „ახალგაზრდა" და უფრო აგრესიული მეტოქე ეზრდებოდათ. ლონდონი და პეტერბურგი მორიგდნენ ერთმანეთში, რომ *უარს აცხადებენ პრეტენზია ზე ტიბეტისა* და *ავღანეთის მიმართ:* მხარეები *ტიბეტ ზე* სიუზერენიტეტს ჩინეთს უთმობდნენ. ჩინეთი იმ დროს სუსტი იყო, ამიტომაც ტიბეტი „არც შე, არც შენ, არამედ – პეკინს!" ტიბეტელებს, რასაკვირველია, არავინ დაეკითხა, ვინ უნდოდათ თავიანთ ბატონად. ტიბეტის პრობლემა XXI საუკუნესაც გადმოჰყვა.

ავღანეთი იქცა ბუფერულ სახელმწიფოდ რუსულ შუა აზიასა და ბრიტანულ ინდოეთს შორის (ამჟამად ავღანეთის მეზობელი პაკისტანია, ბრიტანეთის ინდოეთის ერთ-ერთი მემკვიდრე). რუსეთი ავღანეთის საკუთრებად ცნობდა *ვახანის კორიდორს* – ბრიტანეთის მიერ XIX საუკუნის ბოლოს *ჰინდუყუშის ქედის* გასწვრივ შექმნილ ვიწრო, გრძელ მიწის მონაკვეთს, რომლითაც ავღანეთი ჩინეთს ებჯინებოდა. *ვახანის კორიდორი* მკაფიოდ მიჯნავდა რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიების სამფლობელოებს.

იმავე შეთანხმებით, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი *გავლენის სფეროებად იყოფდნენ სპარსეთს.* რუსეთის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა ჩრდილოეთ სპარსეთის 790 ათასი კვ. კილომეტრი (ფართობით დღევანდელი თურქეთის

ტოლფასი); ბრიტანელები კმაყოფილდებოდნენ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უდაბური ნაწილით, რომელიც ბრიტანულ ინდოეთს ემეზობლებოდა და უფრო სტრატეგიულად იყო მნიშვნელოვანი, ვიდრე ეკონომიკურად (ფართობით სპარსეთის ეს ნაწილი დღევანდელ გერმანიას უტოლდებოდა). სპარსეთის ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ნეიტრალურ ზონად ცხადდებოდა (პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთის თანხმობით, იქ ბრიტანელები შეივდნენ). ყაჯართა დინასტიის შაჰინშაჰი თეირანიდან ნომინალურად აგრძელებდა სპარსეთის მართვას. ლონდონი და პეტერბურგი მას თვალთმაქცურად ჰპირდებოდნენ სამფლობელოს შენარჩუნებას. მაგრამ ევროპელი იმპერიალისტები წინდაწინვე მოემზადნენ დასუსტებული სპარსეთის გასანაწილებლად.

სპარსეთს, რომელიც 1935 წლიდან *ირანის* სახელითაა ცნობილი, მისდა საბედნიეროდ, მსოფლიოს პოლიტიკურმა განვითარებამ ტერიტორიული მთლიანობა შეუნარჩუნა: I მსოფლიო ომში დამარცხდნენ მისი მტრები – რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები; დიდი ბრიტანეთი არაბული სამყაროთი დაკავდა. XX საუკუნეში ირანის ნიაღში აღმოჩნდა ნავთობისა და გაზის ულევი მარაგი. მომძლავრებული ირანი XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე თვითონ ხდება რეგიონის ერთ-ერთი უმთავრესი გეოპოლიტიკური მოთამაშე.

1908 წელს ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ შეიერთა მის მიერვე 30 წლის წინ ოკუპირებული, ნაწილობრივ მუსლიმური, ენობრივად კი სერბული *ბოსნია და ჰერცეგოვინა*, რამაც სერბეთსა და სერბულენოვან ჩერნოგორიაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. სერბეთს თავად სურდა ამ ტერიტორიის შეერთება. დიდი სახელმწიფოების ჩარევის შედეგად თავიდან იქნა აცილებული ავსტრო-სერბული ომი, რომელიც შეიძლებოდა ევროპულ ომში გადაზრდილიყო. მაგრამ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრი – *სარაევო* – ექვსი წლის შემდეგ მაინც იქცა დიდი ომის დაწყების სიმბოლოდ, როცა სერბმა ტერორისტმა ამ ქალაქში მოკლა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე.

1910 წელს იაპონიამ მოახდინა თავისივე პროტექტორატის, *კორეის*, ანექსირება და 1945 წლამდე ერთიან სახელმწიფოს ქმნიდა მასთან ერთად. უკვე 1895 წლიდან იაპონიას ოკუპირებული ჰქონდა ნომინალურად ჩინეთის კუთვნილი კუნძული *ფორმოზა* (ტაივანი) და *რიუკიუს* კუნძულების მწკრივი.

1911 წელს იტალიამ ომის გზით ნაართვა ოსმალეთის იმპერიას *ლიბია* (მაშინ მას *ტრიპოლიტანია* და *კირენაიკა* ერქვა) და *დოდეკანესის კუნძულები* მცირე აზიის სიახლოვეს. უფრო ადრე იტალიამ სომალი და ერიტრეა დაიპყრო და ამით დაიკმაყოფილა სნობური სწრაფვა, შესულიყო კოლონიური სახელმწიფოების პატივცემულ კოჰორტაში. ლიბია მაშინ უდაბური მიწა იყო და სხვა იმპერიალისტები მას არ დაჰხარბდნენ. ნავთობითა და გაზით მისი წიაღის სიმდიდრე ნახევარი საუკუნის შემდეგ გახდება ცნობილი, მაშინ, როდესაც იტალიას ყველა კოლონია უკვე დაკარგული ექნება.

ყოფილი ოსმალური სამფლობელოები, იმ დროისათვის კი სუვერენული სამეფოები – *სერბეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი* და შუა საუკუნეებიდანვე დამოუკიდებელი სამთავრო *ჩერნოგორია* (ევროპაში ცნობილი, როგორც *მონტენეგრო*) – 1912 წელს გაერთიანდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ და *ბალკანეთის პირველი ომის* მოგების შემდეგ თითქმის მთლიანად განდევნეს ოსმალები ევროპიდან, სადაც ისინი XIV საუკუნიდან მოყოლებული ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. *საბერძნეთმა* შეიერთა კუნძული კრეტა და ეგეოსის ზღვის კუნძულების უმრავლესობა. *ბულგარეთმა* ეგეოსის ზღვაზე გასასვლელი მიიღო. *ალბანეთი* დამოუკიდებელი გახდა.

ოსმალეთის ხელში ხუთი საუკუნის განმავლობაში მყოფი *მაკედონიის* ტერიტორია სერბეთშა, საბერძნეთმა და ბულგარეთმა დაინაწილეს. XXI საუკუნეშიც კი ასეთი დანაწილება პოლიტიკურ პრობლემას ქმნის (იხ. თავი 30).

1913 წელს, *ბალკანეთის პირველი ომის* დამთავრებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, *სერბეთი, საბერძნეთი* და *რუმინეთი* გაერთიანდნენ ყოფილ მტერთან, *ოსმალეთთან*, ყოფილი მოკავშირის, *ბულგარეთის*, წინააღმდეგ, რომელსაც მეტისმეტად დიდი ტერიტორიული მადა აღმოაჩნდა, დაამარცხეს ის *ბალკანეთის მეორე ომში* და ჩამოართვეს ახალდაპყრობილი მიწები. ბულგარეთი იძულებული გახდა საბერძნეთისათვის დაეთმო ახალშეძენილი გასასვლელი ეგეოსის ზღვაზე, სერბეთმა და საბერძნეთმა მაკედონიის ნაწილები შეიერთეს, სამხრეთ დობრუჯა კი – რუმინეთმა. ოსმალეთმა დაიბრუნა ქ. ედირნე (ადრიანოპოლი). თურქეთის თანამედროვე საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სწორედ ბალკანეთის მეორე ომის შედეგად ჩამოყალიბდა.

რუსეთი არ დაეხმარა ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ, სლავურ ბულგარეთს, რადგან მის მეფეს (წარმოშობით გერმანელს) არ სწყალობდა რუსეთის იმპერატორი. ესეც იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ სერბეთის, რუმინეთისა და საბერძნეთის მიმართ რევანშის სურვილით ანთებული ბულგარეთი მალე დაწყებულ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკის მხარეს გამოვიდა და არა რუსეთისა, რომელიც სერბეთთან და რუმინეთთან მოკავშირეობდა.

დასავლეთ ევროპაში საუკუნის დასაწყისის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ შუა საუკუნეებში არსებული *ნორვეგიის სამეფოს დაბრუნება მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე*. ეს 1905 წელს მოხდა. მცირე ყოყმანის შემდეგ – ეომა თუ არა – შვედეთმა მაინც ამჯობინა, მშვიდობიანად მიენიჭებინა დამოუკიდებლობა თითქმის საუკუნის განმავლობაში მასთან დინასტიურ უნიაში მყოფი ნორვეგიისათვის, რომელმაც საყოველთაო არჩევნების გზით (!) მეფედ დანიელი უფლისწული დასვა.

გავიხსენოთ, რომ შექსპირის „ჰამლეტის“ ფინალი ზუსტად საპირისპიროა: იქ სამეფო დინასტიაგაწყვეტილ დანიის სამეფოს ნორვეგიელი უფლისწული ეუფლება!

სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება

ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სწრაფად მიმდინარეობდა *სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია*. XX საუკუნის დამდეგისათვის უკვე არსებობდა ელექტროგანათება, ფოტოგრაფია, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, კინემატოგრაფი, ხმისჩამწერი მაგნიტური ლენტა. XIX საუკუნეში გერმანიაში გამოიგონეს შიგაწვისა და დიზელის ძრავები და შექმნეს პირველი ავტომობილი.

ავიაცია კი XX საუკუნის პირმშოა. ძმების *უილბერ* და *ორვილ რაიტების* პირველი გაფრენა ბენზინის ძრავიანი, ჰაერზე უფრო მძიმე აპარატით შედგა აშშ-ის ჩრდილოეთ კეროლაინის შტატში. 1903 წლის 17 დეკემბერს ძმები რაიტების თვითმფრინავმა მიწაზე დანარცხებამდე სულ 250-იოდე მეტრი იფრინა, მაგრამ ეს ახალი ეპოქის დასაწყისი აღმოჩნდა.

ქალაქებში დადიოდნენ ჯერჯერობით იშვიათი ავტომობილები, რომლებიც ხმაურითა და ბოლით ეტლებსა და დროგებში შებმულ ცხენებს აფრთხობდნენ. 1901 წელს ამერიკის ქალაქ დეტროიტში დაიწყო „ოლდსმობილის" მოდელის მსუბუქი ავტომობილების სერიული წარმოება, 1904 წლის 4 მაისს *ჩარლზ როლსმა* და *ჰენრი როისმა* ინგლისში გამოუშვეს პირველი „როლს-როისი", ხოლო 1913 წელს ჰენრი ფორდმა ისევ დეტროიტში დანერგა ავტომანქანების კონვეიერული მეთოდით აწყობა. 1908 წელს ჩატარდა ავტოგარბენა ნიუ-იორკიდან პარიზამდე, მთელი ევრაზიის გავლით, ვლადივოსტოკიდან მოყოლებული: ამას 169 დღე დასჭირდა.

ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნილება დღითი დღე მატულობდა. ეს ზრდიდა ნავთობით მდიდარი რეგიონების ეკონომიკურ მნიშვნელობას. *ნავთობი გეოპოლიტიკის მთავარი ფაქტორი ხდებოდა*. ორივე მსოფლიო ომის დროს მეტოქეების ძირითადი მიზანი ნავთობსარეწების დაუფლება იყო. XX საუკუნის შუაგულიდან კი *ნავთობი* და *გეოპოლიტიკა* განუყრელ ცნებებად იქცევა.

1908 წელს სამხრეთ კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესის ახლოს, *ჰოლივუდში* დამთავრდა ალექსანდრ დიუმას რომანის, „გრაფ მონტე-კრისტოს" ეკრანიზაცია, რასაკვირველია, მუნჯ ფილმად. მალე მრავალი კინოპროდიუსერი ფილმების გადასაღებად ყველაზე ხელსაყრელ ადგილად სწორედ ჰოლივუდს დაიგულებს, რომელიც XX საუკუნეში კინოინდუსტრიის მსოფლიოს უდიდეს ცენტრად იქცევა.

ფარდობითობის თეორიის შემქმნელი გერმანელი (მისი ებრაული წარმოშობა მაშინ არავის აინტერესებდა) *ალბერტ აინშტაინი* XX საუკუნის პირველ დეკადაში უკვე ცნობილი მეცნიერია.

გერმანელი ფიზიკოსი *ვილჰელმ კონრად რიონტგენი* (მას რენტგენად უფრო ვიცნობთ), რომელმაც 1895 წელს აღმოაჩინა მისივე სახელით ცნობილი

უხილავი რადიოაქტიური სხივები, რამდენიმე სხვა მეცნიერთან ერთად 1901 წელს ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა. ეს პრემია სწორედ XX საუკუნის დამდეგს დაარსდა: მის დასაფინანსებლად ანდერძით დიდძალი ქონება დატოვა დინამიტის გამომგონებელმა შვედმა *ალფრედ ნობელმა*.

1911 წელს ინგლისელმა *ერნსტ რეზერფორდმა* ჩამოაყალიბა ატომური ბირთვის აღნაგობის თეორია, რამაც კაცობრიობა ატომური ბომბის შექმნამდე მიიყვანა. ეს XX საუკუნის, ალბათ, უმთავრესი, თუმცა არცთუ უწყინარი სამეცნიერო მიღწევა გახდა.

თავი 2

რუსეთის იმპერია საუკუნის დასაწყისში

რუსეთის ისტორიული გეოპოლიტიკა

რამდენადაც მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ისტორია მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული რუსეთის ისტორიასთან და ჩვენ მხოლოდ XXI საუკუნეში გავდივართ მისი იმპერიული გავლენის სფეროდან, საჭიროდ მივიჩნიე გამეკეთებინა *მოკლე წიაღსვლა რუსეთის ისტორიულ გეოპოლიტიკაში.*

რუსეთი არაა ტიპური ევროპული სახელმწიფო. გარეგნული ევროპეიზაცია, რაც მან XVIII საუკუნიდან განიცადა, არ ცვლიდა მის ევრაზიულ არსს. „ევრაზიულობა", რასაკვირველია, სულაც არ ატარებს რაიმე ნეგატიურ მნიშვნელობას: ის მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი „მხოლოდ ევროპა" არ არის. დღევანდელ რუსეთშიც ხაზს უსვამენ ევრაზიულ ხასიათს.

რუსეთს ისეთი გეოგრაფიული ადგილი უჭირავს მსოფლიოში, რომ ცნობილმა ოქსფორდელმა გეოგრაფმა, *სერ ჰაროლდ მაკინდერმა*, მისი ტერიტორია ჯერ კიდევ 1904 წელს გამოაცხადა „ჰართლენდად" და მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ღერძად. მართლაც, ძირითადი მიზეზი, რაც რუსეთის განსაკუთრებულობასა და ევროპისაგან განსხვავებულ ისტორიულ განვითარებას განაპირობებს, მისი გეოგრაფიული მდებარეობაა.

ევრაზიის უკიდეგანო სტეპები ხალხთა დიდი მასების მიგრაციის გზა იყო. თუკი დასავლეთ ევროპა, რომელიც სინამდვილეში ევრაზიის კონტინენტის ნახევარკუნძულია, ამ მიგრაციების საბოლოო პუნქტი იყო, დღევანდელი რუსეთის ტერიტორია „გამავალ დერეფანს" უფრო წარმოადგენდა. ბევრი მომხდური ხალხი იქ დასახლდა კიდეც.

VIII საუკუნის ბოლოს მდინარე დნეპრის ნაპირზე მოსულმა ერთ-ერთმა დამპყრობელმა, სკანდინავიელი ვიკინგების (ვარიაგების) ჯგუფმა თავისი სახელი – „*რუს*" – გადასცა იქ მცხოვრებ სლავურ ტომებს. ამ სლავურენოვან ხალხში, რომელიც „რუსების" სახელით გახდა ცნობილი, ქრისტიანობა შევიდა

კონსტანტინოპოლიდან [აღმოსავლეთ რომიდან], ისევე, როგორც აღმოსავლეთ და ცენტრალური ბალკანეთის ხალხებში. ხოლო უფრო დასავლეთით მცხოვრები ხალხები ქრისტიანობას საკუთრივ რომის მეშვეობით ეზიარნენ. ამ ფაქტმა ჩაუყარა საფუძველი კულტურულ-იდეოლოგიურ გამიჯვნას აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპად, ბერძნული ტიპის მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმის სფეროებად.

კიევის რუსი მთავრები, *რიურიკოვიჩები*, და მათი მემკვიდრეები თავიანთ სამფლობელოს ჩრდილო-აღმოსავლეთით აფართოვებდნენ. ექსპანსიის წარმატებას განაპირობებდა მართლმადიდებლობის გავრცელებაც, რაც ხელს უწყობდა პოლიტიკურად არაორგანიზებული წვრილ-წვრილი ფინურენოვანი ტომების სლავიზაციას. XIII საუკუნეში ამ ექსპანსიას სამიოდე საუკუნით დაუდეს ზღვარი აღმოსავლეთიდან მოსულმა მონღოლებმა.

მოსკოვის დიდი სამთავრო, ანუ *მოსკოვია*, მონღოლებთან თანამშრომლობის წყალობით გახდა „დიდი". მისი მთავრები რუსულ სამთავროებში ოქროს ურდოსათვის გადასახადის აკრეფით გამდიდრდნენ. ურთიერთობამ თათარ-მონღოლებთან, რომელიც ბევრ შემთხვევაში კონფრონტაციული სულაც არ იყო, უზარმაზარი კვალი დატოვა რუსი ერის ეთნოფსიქოლოგიასა და, ნაწილობრივ, გენეტიკურ ტიპში.

XV საუკუნის ბოლოდან, მონღოლთა იმპერიის ნარჩენების გადაგვარებისა და გაქრობის კვალდაკვალ, მდინარე ვოლგის გადაღმა გაჩნდა გეოპოლიტიკური ვაკუუმი, რომელიც სწრაფად შეავსეს მოსკოვის დიდმა მთავრებმა (რიურიკოვიჩების დანილოვიჩთა შტომ). მათ კარგად დაისწავლეს თავიანთი სიუზერენების – *ოქროს ურდოს ხანების* – პოლიტიკური მართვის მეთოდები.

ისევე, როგორც შუა საუკუნეების ყველა მონარქს, მოსკოვის დიდ მთავრებსაც საკუთარი სიმდიდრისა და ძალაუფლების გაზრდის სურვილი ამოძრავებდათ. ისინი მიწებსაც იპყრობდნენ, მით უმეტეს, რომ მეზობლად მდებარე მიწებს სუსტი პატრონები ჰყავდათ. XVI საუკუნის მეორე ნახევარში შედარებით ადვილად დასაძლევი წინაღობების – ყაზანის, ასტრახანის, ციმბირის თათრული სახანოების – განადგურების შემდეგ *მოსკოვის დიდმა სამთავრომ*, რომელმაც თავი *რუსეთის სამეფოდ* გამოაცხადა, საუკუნეზე ნაკლებ დროში განავრცო თავისი ძალაუფლება აზიის აღმოსავლეთ მიჯნამდე – წყნარ ოკეანემდე.

„დინამიკური სახელმწიფოსათვის აუცილებელია ტერიტორიული ექსპანსია" – პოლიტიკური გეოგრაფიის ფუძემდებლის, *ფრიდრიხ რატცელის*, ამ აზრში არაფერი იყო უჩვეულო XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც ის ამ სიტყვებს წერდა და, სამწუხაროდ, არც შემდეგ. ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში ყველაზე მეტად გაფართოებული იმპერია რუსეთი გამოდგა. ექსპანსიის შეჩერება მისთვის ავადმყოფობის ტოლფასი იყო, ხოლო დაპატარავების

დაწყება – სასიკვდილო სენის მომასწავებელი. ტერიტორიული ექსპანსია რუსეთის პოლიტიკურ იმპერატივად გადაიქცა: **სივრცობრივი გაფართოება მისი განვითარების აუცილებელი ატრიბუტი, შეიძლება ითქვას – თვითმიზანი გახდა.**

რუსეთის ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის ფონზე თითქოს ანომალიად ჩანს, რომ 1867 წელს პეტერბურგმა ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰყიდა ჩრდილოეთ ამერიკაში *ეკატერინა II*-ის დროიდან მას საკუთრებაში მყოფი ალასკა და ალეუტის კუნძულები. იმ დროს უდაბური და რესურსებით ღარიბი ალასკის (ნავთობის, გაზის, ოქროს, სხვა ძვირფასი წიაღისეულის იქ არსებობა მაშინ უცნობი იყო) ფასი ვაშინგტონში ეძვირათ: იქ ყოყმანობდნენ კიდეც – ღირდა თუ არა 7,2 მილიონი დოლარის გადაყრა 1,6 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობის ჩრდილოეთის ამ უსარგებლო მიწისათვის. გარიგების სარგებლიანობაში კონგრესმენები და სენატორები სახელმწიფო მდივანმა *უილიამ სიუარდმა* დაარწმუნა, რომელსაც უკეთ ესმოდა პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია.

იმპერატორ *ალექსანდრ II*-ის ქცევაში, ვინც ალასკის გაყიდვის გარიგებას ხელი მოაწერა, თითქოს მართლაც იყო რაღაც არაიმპერიულად ირაციონალური. მაგრამ ამას აქვს პოლიტიკურ-გეოგრაფიული ახსნა: რუსეთი ვერ ახერხებდა ძალიან შორს მდებარე ტერიტორიის მართვას. ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე განლაგდა სულ რამდენიმე რუსული დასახლება, ჯამში 2500-მდე მცხოვრებით.

ალასკის გაყიდვის გარიგებას იმდროინდელი საგარეო პოლიტიკური ვითარებაც განაპირობებდა: ლონდონი პეტერბურგისა და ვაშინგტონის საერთო მტრად აღიქმებოდა. ამერიკის სამოქალაქო ომში (1861-1865 წწ.) რუსეთი ემხრობოდა (უფრო მორალურად, ვიდრე სამხედრო თვალსაზრისით) საბოლოოდ გამარჯვებულ ჩრდილოეთის შტატებს, დიდი ბრიტანეთი კი – სამხრეთის მეამბოხე შტატების კონფედერაციას. ამავე დროს, ალასკის აღმოსავლეთი საზღვარი *ბრიტანულ ჩრდილოეთ ამერიკასთან* (რომელიც იმავე 1867 წელს გამოცხადდა „*კანადის კონფედერაციად*“, დიდი ბრიტანეთის დომინიონის სტატუსით) ვირტუალური იყო – სახაზავით გავლებული რუკაზე. რუსეთს გაუჭირდებოდა ალასკის დაცვა კანადური (რეალურად – ბრიტანული) ამბიციებისაგან.

ძლიერების ზენიტში მყოფი ლონდონისათვის დათმობას, რუსეთმა ამჯობინა ალასკის ნებაყოფლობით მიყიდვა ვაშინგტონისათვის. სანაცვლოდ, რუსეთი ელოდა ამერიკულ მხარდაჭერას ბრიტანეთ-საფრანგეთ-ოსმალეთ-პიემონტის კოალიციასთან ყირიმის ომის წაგების შემდეგ დადებული 1856 წლის პარიზის ტრაქტატის მისთვის ძალიან დამამცირებელი პირობების გაუქმებაში: ამ ტრაქტატით რუსეთს ეკრძალებოდა შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის ყოლა.

ეს აკრძალვა 1871 წელს მართლაც გაუქმდა. ამერიკის როლი ამ საქმეში მცირე იყო: უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ დროს მეტად გულთბილი დამოკიდებულება რუსეთის იმპერიასა და ახალწარმოქმნილ გერმანიის იმპერიას შორის, რომელთა ერთობლივი ზეწოლის შედეგად დიდმა ბრიტანეთმა და პრუსიის მიერ ახალდამარცხებულმა საფრანგეთმა თანხმობა განაცხადეს რუსეთის იმპერიის მიერ შავ ზღვაში სამხედრო სტატუსის აღდგენაზე.

დასავლეთის (ევროპის) მიმართულებით რუსეთის ექსპანსიას ართულებდა იქ არსებული ძლიერი სახელმწიფოებრიობა. რუსეთმა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მოახერხა ბალტიის ზღვის ნაპირზე გასვლა და იქ დამკვიდრება, ხოლო იმავე საუკუნის ბოლო მეოთხედში – პოლონეთის გაყოფისას მისი დიდი ნაწილის დასაკუთრება. მაგრამ უფრო დასავლეთით წაწევა მისთვის არარეალური იყო.

სამხრეთის მიმართულებით რუსეთის ექსპანსიას (1721 წლიდან ის უკვე იმპერიაა, ახალი დედაქალაქით – პეტერბურგში) აფერხებდა ოსმალეთი. XVII საუკუნიდან XX საუკუნის მეორე დეკადამდე რუსეთმა და ოსმალეთმა 14 (!) ომი გადაიხადეს, რომელთა უმრავლესობა რუსეთმა მოიგო, შავი ზღვის ნაპირზეც დამკვიდრდა და კავკასიის ქედის სამხრეთითაც გადავიდა. კავკასიისათვის ბრძოლაში სპარსეთის წინააღმდეგობა რუსეთმა უფრო ადვილად გატეხა: საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ ორ ომში გამარჯვება, რომ სპარსეთი მას მდინარე არაქსის სამხრეთით უკუეგდო.

1804-1813 და 1826-1828 წლებში სპარსეთთან და 1828-1829 და 1877-1878 წლებში ოსმალეთთან გამარჯვების შედეგად რუსეთის იმპერიამ სამხრეთ კავკასია მთლიანად თავის დომენად აქცია.

სამხრეთ კავკასიაში („**Закавказье**"-ში, ანუ „იმიერკავკასიაში": ჩვენი მხრიდან ეს იყო „ამიერკავკასია") რუსეთის იმპერიის გადასვლა თავიდან უფრო სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურებოდა, ვიდრე ეკონომიკურს. მით უმეტეს, არ მოსულა იგი თითქოსდა „ქრისტიანი ხალხების, ქართველებისა და სომხების, გადარჩენის მიზნით", რასაც ამტკიცებს რუსული და საბჭოთა ისტორიოგრაფია. სამხრეთ კავკასიის ტერიტორია რუსეთისათვის კიდევ უფრო სამხრეთით ექსპანსიის პლაცდარმი იყო. რუსეთ-ოსმალეთის XIX საუკუნის ყველა ომში რუსეთი ბალკანეთიდან და კავკასიიდან ერთდროულად უტევდა და ცდილობდა ხელთ ეგდო *კონსტანტინოპოლი (სტამბოლი). იმპერიის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა „თბილ ზღვებზე", ხმელთაშუა ზღვისპირეთში და/ან ინდოეთის ოკეანის ნაპირზე დამკვიდრება.* იმავე მიზანს დაისახავს სტალინისდროინდელი საბჭოთა იმპერიაც (იხ. თავი 15).

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი სულაც არ იყო. მანძილი პრობლემას არ ქმნიდა. რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვარს, ვთქვათ, ერევნიდან – ხმელთაშუა ზღვამდე ან ლენქორანიდან – სპარსეთის

ყურემდე, პირდაპირი ხაზით აშორებდა ათასზე ნაკლები კილომეტრი, მაშინ, როცა მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე თითქმის შვიდჯერ მეტი მანძილია. ასეთი ექსპანსიის შესაძლებლობა აბსურდად რომ არ მივიჩნიოთ, მაგალითად მოვიყვან იმას, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის არმიას ხმელთაშუა ზღვამდე პირდაპირი ხაზით სულ 500 კილომეტრი აშორებდა და მას მხოლოდ იმის გამო ვერ მიაღწია, რომ იმ დროს ის ევროპის ფრონტებზე მარცხდებოდა.

სამხრეთის მიმართულებით რუსეთის იმპერიის გაფართოებას ხელს უშლიდა მსოფლიო გეოპოლიტიკური რეალობა. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ დასუსტებული მისი მეზობლების, ოსმალეთისა და სპარსეთის, უკან ბევრად სერიოზული ძალა იდგა – ბრიტანეთის იმპერია – რომელსაც სულაც არ სჭირდებოდა ახალი მეტოქის შემოშვება „თავის წყლებში“ – ინდოეთის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვის აუზში. მართალია, პირველ მსოფლიო ომში რუსეთი და ბრიტანეთი მოკავშირეები აღმოჩნდნენ, მაგრამ რუსეთში ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა და მისი გეოპოლიტიკური ოცნება – „თბილ ზღვებზე“ გასვლა – დასამარდა.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერია ცენტრალურ აზიაშიც ფართოვდებოდა, სანამ XX საუკუნის დასაწყისში არ მიებჯინა ბრიტანული ინტერესების სფეროს – ავღანეთსა და სპარსეთს, რომელთა სამხრეთ-აღმოსავლეთითაც მდებარეობდა ბრიტანეთის იმპერიის მარგალიტი – ინდოეთი. როგორც ამ წიგნის I თავში ითქვა, რუსეთმა და ბრიტანეთმა 1907 წელს გამიჯნეს თავიანთი ინტერესების სფეროები სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაში.

აღმოსავლეთით რუსეთი მაქსიმალურად გაფართოვდა XIX საუკუნის შუაგულში: 1858 წლის *აიგუნის ხელშეკრულებით* შეიერთა იმ დროისათვის დაუძლურებული ჩინეთის კუთვნილი *გარე მანჯურია*, ანუ მდინარე ამურის მარცხენა ნაპირი (ესაა დღევანდელი რუსეთის *ხაბაროვსკის მხარე*) და ამურის შენაკადის, მდინარე უსურის, მარჯვენა ნაპირი (*პრიმორიეს მხარე*, სადაც 1860 წელს დააარსა ქალაქი *ვლადივოსტოკი*, რაც ითარგმნება როგორც „ფლობდე აღმოსავლეთს!“), აგრეთვე კუნძულ სახალინის სამხრეთი ნაწილი (1853 წლიდან რუსეთი კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს უკვე ფლობდა). პეკინში დღემდე მიიჩნევენ, რომ მათთვის თავსმოხვეული უთანასწორო ხელშეკრულებებიდან ერთ-ერთი პირველი დაიდო აიგუნში, რომელსაც, სხვათა შორის, ჩინეთის იმდროინდელმა იმპერატორმა ხელი არ მოაწერა.

თავის მხრივ, რუსეთიც არ მიიჩნევდა საბოლოოდ მდინარე ამურზე ჩინეთთან დადებულ საზღვარს: მას თვალი ჰქონდა დადგმული ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთზეც, ანუ შიდა მანჯურიაზე.

რუსეთ-იაპონიის ომი

XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერია გეოპოლიტიკურ ავანტურაზე წავიდა, როდესაც ჩრდილოეთ ჩინეთში, ქ. ჰარბინის გავლით ვლადივოსტოკამდე გაიყვანა „ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზა" (Китайско-Восточная железная дорога), რომელიც 1902 წელს ამოქმედდა. რკინიგზის მშენებლობაზე ნებართვა ჩინეთის საიმპერატორო კარიდან იყო მიღებული: ფორმალურად რუსეთი და ჩინეთი „მოკავშირეები" იყვნენ. ტექნიკურად რკინიგზა მკვეთრად ამოკლებდა მანძილს რუსეთის ცენტრიდან წყნარ ოკეანემდე, პოლიტიკურად კი დასუსტებულ ჩინეთში რუსული გავლენის ზრდას ემსახურებოდა. მისი დაცვის საბაბით იქ დადგა რუსის ჯარი.

ჯერ კიდევ რკინიგზის გახსნამდე, 1898 წელს, რუსეთის იმპერიამ მიიტაცა ჩინეთის ლიაოდუნის ნახევარკუნძული და იქ მდებარე ნავსადგურები: პორტ-არტური და და-ლიან-ვანი. ამ აქციაზე იმდროინდელი რუსეთის ფინანსთა მინისტრი (შემდგომში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) გრაფი *სერგეი ვიტე* თავის მემუარებში წერდა:

> „მიტაცება წარმოადგენდა არნახული მზაკვრობის აქტს. რამდენიმე წლით ადრე ჩვენ ვაიძულეთ იაპონელები, წასულიყვნენ იქიდან ჩინეთის მთლიანობის შენარჩუნების ლოზუნგით, ჩინეთთან შევკარით საიდუმლო თავდაცვითი კავშირი და ხანმოკლე დროის შემდეგ ჩვენვე დავიპყარით ამ ოლქის ნაწილი".

სხვათა შორის, იმავე ვიტემ დაწერა, რომ ამ ტერიტორიის ფორმალური დათმობისათვის მან მოისყიდა ჩინეთის იმპერატორის უმაღლესი მოხელეები, რომლებიც შემდგომში სიკვდილით დაუსჯიათ.

ლონდონსა და ტოკიოში, რომელთაც 1902 წელს სამოკავშირეო ხელშეკრულება დადეს ერთმანეთთან, მიიჩნიეს, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში რუსული ექსპანსიის გაფართოება რეგიონს საფრთხეს უქმნიდა. მათ საკუთარი იმპერიალისტური მიზნებიც ჰქონდათ.

1902 წელს რუსეთი თვალთმაქცურად შეთანხმდა ჩინეთის მთავრობასთან, რომ 18 თვის განმავლობაში გაიყვანდა თავის სამხედრო კონტინგენტს მანჯურიიდან, მაგრამ პირობა არ შეასრულა.

1903 წლის 31 დეკემბერს ტოკიომ პეტერბურგს წარუდგინა ულტიმატუმი – ჩინეთიდან არმიის გაყვანა ან ომი. ულტიმატუმი უგულებელყოფილ იქნა. რუსეთში გაისმოდა ტრაბახი: „Япошек шапками закидаем!"[2]

1904 წლის 9 თებერვალს *პორტ-არტურის* (ამჟამად – ლიუშუნი) კარგად გამაგრებულ რუსულ სამხედრო-საზღვაო ბაზაზე თავდასხმით იაპონიამ დაიწყო ომი. თერთმეტი თვის შემდეგ, 1905 წლის 2 იანვარს პორტ-არტური დაეცა. რუსებმა რამდენიმე სახმელეთო ბრძოლაც წააგეს. იაპონიის ტექნიკურმა

[2] იაპონელებს ქუდების სროლით დავაფრთხობთ (რუს.).

უპირატესობამ და უკეთესმა სამხედრო ორგანიზაციამ თავისი სიტყვა თქვა. პეტერბურგის დამცირების აპოთეოზად იქცა 1905 წლის 27 მაისს იაპონიასა და კორეას შორის მდებარე *ცუშიმის სრუტეში* რუსული სამხედრო-საზღვაო ფლოტის განადგურება. რუსეთი დამარცხდა, იაპონია კი მსოფლიო რანგის სახელმწიფოდ იქცა.

1905 წლის 5 სექტემბერს პორტსმუთში (აშშ) ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად (რუსეთის მხარეს ზემოხსენებული გრაფი ვიტე წარმოადგენდა), რუსეთმა უარი თქვა თავის პრეტენზიებზე ჩრდილოეთ ჩინეთში, იაპონიას გადასცა კუნძულ სახალინის სამხრეთი ნაწილი და აღიარა იაპონიის ინტერესები კორეაში. რუსეთის იმპერიის არსებობის ორი საუკუნის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ომის შედეგად ის ტერიტორიას კი არ იძენდა, არამედ თმობდა, ისიც აზიურ ქვეყანასთან დამარცხების შედეგად.

რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება დამთავრდა (ალასკის გაყიდვით გამოწვეული დანაკარგი გადაფარა რუსეთის ტერიტორიულმა შენაძენმა ცენტრალურ აზიაში 1880-იან წლებში). 1905 წლიდან 1918 წლამდე, როდესაც რუსეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა, მისი ტერიტორია მცირდებოდა. კომუნისტურმა ხელისუფლებამ 1920-იანი წლების დამდეგსა და 1939-45 წლებში ბევრგან აღადგინა და გააფართოვა კიდეც რუსეთის იმპერიის საზღვრები, მაგრამ 1904 წლის ფართობს ვეღარ მიაღწია.

იაპონიის მიერ რუსეთთან ომის მოგება იყო თანამედროვე ეპოქაში აზიური სახელმწიფოს პირველი გამარჯვება ევროპულ სახელმწიფოზე, რაც აზიაში მანამდე მიუღწეველ ოცნებად იყო მიჩნეული. ამ ომის შედეგმა საოცარი ენთუზიაზმი გამოიწვია მთელ აზიაში და იაპონიისაგან ძალიან შორს მდებარე ქვეყნებში, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში ხელი შეუწყო ანტიდასავლური („ანტიიმპერიალისტური“) ნაციონალიზმის გაღვივებას. იაპონიის წარმატება ოსმალეთში სამაგალითოდ იქნა მიჩნეული და არაპირდაპირ წაახალისა მისი ლიდერების, „ახალგაზრდა თურქების“, ავანტურისტული საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის მეორე ათწლეულში.

ბავშვობისას სახლში ვიპოვე ქართული გაზეთის „ცნობის ფურცლის“ 1904-1905 წლების აკინძული ნომრები და დიდხანს გულდასმით ვკითხულობდი ინფორმაციას რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ. გაზეთების შეკვრას ბებია-ჩემი სათუთად უვლიდა, რადგან ამ ომში მონაწილეობდა მისი ძმა, კავალერიის ობერ-ოფიცერი ნიკოლოზ ელიოზიშვილი. გაზეთის ერთ ნომერში მისი ფოტოც კი იყო. სახლში ახსოვდათ, რომ უკვე კავალერიის როტმისტრის ჩინით ძია კოლია პირველ მსოფლიო ომშიც იბრძოდა, იყო 1916 წელს კარპატის მთებში „ბრუსილოვის გარღვევის“ მონაწილე, როდესაც რუსეთის არმია ავსტრია-უნგრეთში შეიჭრა (მართალია, მას მალე მოუხდა უკანდახევა) და

თვით სარდლის, გენერალ *ალექსეი ბრუსილოვის* პირადი ადიუტანტიც კი. 1918 წლის დასაწყისში, როდესაც რუსეთის ფრონტები საერთოდ მოიშალა, ძია კოლიამ რის ვაივაგლახით ჩამოაღწია თბილისში. მის უამრავ ორდენს ფარულად ინახავდნენ. ამის შემდეგ მან ოპერის მომღერლის კარიერა აირჩია და არტისტულ ფსევდონიმად *მასალსკი* აიღო. როგორც ჩანს, ამის გამო ბოლშევიკური რეპრესიების დროს მეფის ეს ოფიცერი „გამორჩათ" და მან 1956 წლამდე იცოცხლა.

„ცნობის ფურცლის" თვალიერებიდან მეხსიერებაში ჩამრჩა ორი პარალელური ფოტო ერთ-ერთ გვერდზე: ყუმბარების ჩატვირთვა რუსულ კრეისერსა (ეს ხელით ხდებოდა) და იაპონურ კრეისერზე (ამას მექანიკური კონვეიერით ახდენდნენ). ფოტოებს კომენტარი არ ახლდა და ზედმეტიც იყო!

იაპონიის მიერ რუსეთის დამარცხების უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ იაპონიამ რუსეთზე უფრო სწრაფად მოახდინა ტექნოლოგიური *ლიპფროგინგი*, ანუ „გადახტომა" მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე შუალედური სტადიების გამოტოვებით. ერთგვარი ჰიპერბოლის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო შეიარაღებაში სამურაის მახვილისა და მშვილდ-ისრიდან იაპონია პირდაპირ გადავიდა 12-დიუმიანი ქვემეხებით შეიარაღებულ საზღვაო ჯავშნოსნებზე.

ეს მოხდა სულ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ამერიკელმა *კომოდორმა მეთიუ პერიმ* თავისი სამხედრო გემების ესკადრით 1854 წელს „შეამტვრია ფანჯარა" იქამდე ორასიოდე წლის განმავლობაში თვითიზოლაციაში მყოფ კუნძულოვან სახელმწიფოში.

ამერიკული გემების ქვემეხების სიდიდემ და რაოდენობამ გააოგნა იაპონელები: ტოკუგავას კლანის შიოგუნები, რომლებიც იქამდე სამიოდე საუკუნის განმავლობაში მართავდნენ იაპონიას იმპერატორის სახელით, აჯანყების შიშით ქვეყანაში ცეცხლსასროლ იარაღს კრძალავდნენ.

პერიმ იაპონიას თავს მოახვია შეერთებული შტატებისათვის სასარგებლო სავაჭრო ხელშეკრულება. მაგრამ მისმა სამხედრო ოპერაციამ, „ფანჯრის შემტვრევის" სანაცვლოდ, იაპონიას დასავლური ცივილიზაციის კარი გაუღო. 1868 წელს 16 წლის იმპერატორ *მუცუჰიტოს* ტახტზე ასვლასთან ერთად დაემხო *ტოკუგავას* ფეოდალური კლანის ბატონობა. მუცუჰიტოს მეფობას იაპონელებმა უწოდეს „მეიძი" ანუ „განათლებული ხელისუფლება", ხოლო 1868 წლის მოვლენებს – *„მეიძის რესტავრაცია"*. იაპონია მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა შუა საუკუნეებიდან, განახორციელა სერიოზული რეფორმები თანამედროვე საზოგადოებისა და ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად. აღმოჩნდა, რომ ცივილიზაციური სუბსტრატი, რაც კულტურაზე ზემოქმედებს, იაპონელებს აძლევდა საშუალებას, ნებისმიერი ახალი ტექნიკა სწრაფად აეთვისებინათ და გაეუმჯობესებინათ კიდეც. იაპონელების დისციპლინა, საქმის ერთგულება და სამხედრო შემართება თვალსაჩინოდ გამორჩეული იყო.

რუსეთში კი, სადაც ბატონყმობის გადავარდნა, ანუ არსებითად ფეოდალიზმის ეპოქიდან გამოსვლა, თითქმის იმავე პერიოდში, 1860-იან წლებში, მოხდა, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევა რთულად ხდებოდა.

გარდა ამისა, უშუალოდ *ომის შედეგ ზე გავლენა მოახდინა გეოგრაფიულმა ფაქტორმაც*. თუ ევროპულ რუსეთში დასავლეთიდან შემოტევის შემთხვევაში გეოგრაფია – დიდი მანძილი, უგზოობა, ცივი კლიმატი – რუსეთისათვის სასარგებლო როლს ასრულებდა, იაპონიასთან ომის დროს იგივე ფაქტორები რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდა. საომარი მოქმედება ძალიან იყო დაშორებული რუსეთის სამრეწველო ცენტრებიდან და მოსახლეობის კონცენტრაციის ადგილებიდან. ევროპული რუსეთიდან არმიის ცოცხალი ძალის მიყვანა და სამხედრო საჭურვლის გადაზიდვა შესაძლებელი იყო ერთადერთი რკინიგზით პორტ-არტურამდე, მუკდენის გავლით, რაც ორ კვირაზე მეტ დროს მოითხოვდა. იაპონიის კუნძულები კი ბრძოლის ველთან შედარებით ახლოს მდებარეობდა. რუსეთის დიდი ფლოტი ევროპის, აფრიკისა და აზიის გარშემო შვიდი თვე მიცურავდა, სანამ ბალტიის ზღვიდან ცუშიმას სრუტემდე მიაღწევდა. იქ მას მოუთმენლად ელოდა იაპონელი ადმირალი *ჰეიჰაჩირო ტოგო*, რომლის ფლოტმაც წარმატებით ჩაძირა თითქმის ყველა რუსული ჯავშნოსანი და კრეისერი. რუსეთის იმპერიისათვის ეს უდიდესი ლახვარი აღმოჩნდა: სიტყვა „*ცუსიმა*" (სწორია *ცუშიმა*) – რუსეთში იქცა სამხედრო და მორალური კატასტროფის სინონიმად.

იაპონიასთან ომის დროს და მის შემდეგ რუსეთში რევოლუციური აჯანყებები იყო, რომლებმაც ორ წელს გასტანა. იმ ჯერზე იმპერიამ გაუძლო.

პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები რუსეთში

ომში დამარცხებამ და რევოლუციამ რაღაცა ასწავლა რუსეთის იმპერიის მმართველ წრეებს. ომის შემდეგ განხორციელდა გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები.

პიოტრ არკადიევიჩ სტოლიპინმა, 1906 წლიდან რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ (დღევანდელი ტერმინოლოგიით – პრემიერ-მინისტრმა), განიზრახა რუსეთის გადაყვანა განვითარების ახალ ეტაპზე, კერძოდ, აგრარული რეფორმის გზით კაპიტალისტ-ფერმერთა კლასის შექმნა. მისი გეგმით, უნდა დანგრეულიყო რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მუხრუჭი – სასოფლო თემი (**сельская община**), რომელიც მიწის კერძო მფლობელობას ზღუდავდა და სოფლად პატრიარქალურ წესებს აკონსერვებდა. თემიდან გასულ რუს მოახალშენეებს სამხრეთ ციმბირში თითქმის უფა-

სოდ ურიგებდნენ სახაზინო მიწას, ისე, როგორც ამას ნახევარი საუკუნით ადრე აკეთებდა აშშ-ის მთავრობა ჩრდილო ამერიკის დასავლეთ მხარეებში გადასახლებული თავისი ფერმერებისათვის. სტოლიპინიც ცდილობდა შეექმნა რუსული ფერმერული მეურნეობისა და, შესაბამისად, მთავრობისაგან დამოუკიდებელი საშუალო კლასის ჩამოყალიბების წინაპირობები.

თუ ყურადღებას მიაქცევთ იმპერიის დროინდელი თბილისის საუკეთესო სახლებს სოლოლაკსა და მთაწმინდაზე, ბევრი მათგანის პარაპეტებს დღესაც ამშვენებს წარწერები „1910", „1911", „1912", „1913". ასე მიუთითებდნენ წელს, როდესაც სახლის აშენება მთავრდებოდა. ფართო მშენებლობა კი ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობის ნიშანია, რაც მთელ იმპერიაში იგრძნობოდა. პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთის ეკონომიკური განვითარების ტემპი დაჩქარდა, მთლიანი შიდა პროდუქტი წლიურად თითქმის 10 პროცენტით იზრდებოდა.

რეფორმები მხოლოდ წლების შემდეგ გამოიღებდა ხელშესახებ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგს. სტოლიპინი ოცნებობდა ოცწლიან მშვიდობაზე რუსეთის სრულად გარდასაქმნელად. მაგრამ მას არ დააცადეს. სტოლიპინი სძულდა ყველა ჯურის რევოლუციონერსაც და ბევრ მემამულესაც. ისე, როგორც 30 წლით ადრე რეფორმატორი იმპერატორი ალექსანდრ II მოკლეს სულსწრაფმა ნაროდოვოლცებმა, 1911 წლის 1 სექტემბერს რეფორმატორი პრემიერ-მინისტრი მოკლა სულსწრაფმა „ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულმა ანარქისტმა", ახალგაზრდა კიეველმა ებრაელმა ბოგროვმა. სულ ორიოდე ათწლედის შემდეგ კი „სტოლიპინის ფერმერები" უკვე ბოლშევიკებმა *განაკულაკეს* (რაც საბჭოთა ჟარგონზე ქონების სრულ ჩამორთმევას ნიშნავდა) და ბევრი ფიზიკურადაც მოსპეს.

1905 წლიდან რუსეთში გაჩნდა ან ლეგალიზებულ იქნა ადრე ფარულად არსებული პოლიტიკური პარტიები. დაიწყო ქვეყნის ევროპულ ყაიდაზე დემოკრატიზაციისათვის საფუძველის ჩაყრა, მაგრამ ეს პროცესი 1917 წლის ბოლოს ჩაკვდა.

როგორც წესი, ავტოკრატიული ხელისუფლების მხრიდან დემოკრატიისათვის მცირეოდენი დათმობა მეტი დათმობის მოთხოვნის საფუძველი ხდება ხოლმე. *ნახევართავისუფლება სრული თავისუფლების მოთხოვნის საწინდარია.*

მონარქიაში ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარების საჩვენებლად 1906 წელს პირველად შეიკრიბა საკმაოდ შეზღუდული უფლებების მქონე და მხოლოდ პრივილეგირებული კლასების მიერ არჩეული რუსეთის იმპერიის *სახელმწიფო სათათბირო* (Дума, ანუ პარლამენტი). მაგრამ „ლიბერალიზაცია" მხოლოდ გარეშე თვალისათვის ხდებოდა: ნიკოლაი II-მ ჯადამდე დაითხოვა როგორც I მოწვევის, ისე 1907 წლის II მოწვევის *სახელმწიფო სათათბირო,*

რადგან დეპუტატების შემადგენლობა მონარქსა და მის გარემოცვას „მეტის-მეტად თამამი და ზედმეტად მომთხოვნი" ეჩვენა. ამავე დროს, ორივე მოწვევის სათათბიროს შემადგენლობაში ყველაზე რადიკალური მემარცხენე სოციალ-დემოკრატები – ბოლშევიკები – არც შედიოდნენ.

ტრადიციულ-მონარქისტულ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებზე დაყრდნობასაც ცდილობდა რუსეთის მონარქიული რეჟიმი, ქვეყანაში საკმარისი მხარდაჭერა არ აღმოაჩნდათ, თანაც მათ რეალურად დაუპირისპირდა არა *ლიბერალი ზომი*, როგორც ეს ევროპის ქვეყნებში ხდებოდა (რუსეთში ლიბერალიზმს არც მაშინ ჰქონდა და არც XXI საუკუნის დასაწყისში აქვს ფართო სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური დასაყრდენი), არამედ *რევოლუციურ-სოციალისტური* ძალები, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული სახელმწიფო ხელისუფლების ძირფესვიანად შეცვლა და არა მისი რეფორმირება.

რევოლუციურ ძალებს შორის გამოირჩეოდნენ *სოციალ-დემოკრატები* და *სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები)*. ესერების პარტიის ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი იმპერიის ოფიციალური პირების მიმართ განხორციელებული *ინდივიდუალური ტერორი ზმი* იყო. გამოთვლილია, რომ 1901-1911 წლებში „ესერთა საბრძოლო ორგანიზაციის" ტერორისტულ აქციებს შეეწირა 2 მინისტრი, 33 გენერალ-გუბერნატორი, გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი, 16 ქალაქის თავი, პროკურორი და პოლიცმაისტერი, 7 გენერალი და ადმირალი და ა.შ. სამწუხარო ფაქტია, რომ „საზოგადოების უკეთესად გარდაქმნის" ეს უვარგისი მეთოდი – ტერორიზმი – რუსეთის მოსახლეობის ნაწილში, განსაკუთრებით გლეხობაში, თანაგრძნობას იწვევდა. თავიდან ესერებს მეტი მხარდამჭერიც კი ჰყავდათ, ვიდრე სხვა სოციალისტურ პარტიებს.

რადიკალურმა მოძღვრებამ, *მარქსიზმმა* რუსეთის ინტელიგენციაში ჰპოვა დასაყრდენი. ინტელიგენტთა ნაწილმა მიიჩნია, რომ მარქსიზმი უნივერსალურ სამართლიანობას მოიტანდა. მარქსისტულმა მომავალმა მწარედ დასაჯა ეს „რბილტანიანი არსებები" (პროლეტარული მწერლის, *მაქსიმ გორკის*, მიერ მათთვის შერქმეული სახელია!). სასჯელი კი მოუვლინა *ვლადიმირ ულიანოვმა*, XX საუკუნეში მარქსიზმის უდიდესმა ინტერპრეტატორმა და „ბოლშევიკური რუსეთის მამამ", რომელიც თვითონაც ინტელიგენტის ოჯახიდან იყო გამოსული.

იმპერიაში ინტელიგენციის შესამჩნევ ნაწილს ყოფილი *ინოროდცები* ქმნიდნენ, უპირატესად გარუსებული ბალტიისპირელი გერმანელები ან პოლონელები. გერმანელების უდიდესი როლი რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ განვითარებაში, რუსული კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სისტემის ფორმირებაში შეგნებულად მიეცა დავიწყებას 1914 წლის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, როდესაც რუსეთი და გერმანია, პირველად ახალ ისტორიაში, ერთიმეორის მტრის როლში აღმოჩნდნენ. 1917 წლის ოქტომ-

ბრის რევოლუციის შემდეგ გერმანული წარმოშობის რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, სახელმწიფო მოხელეები, საუკეთესო ხელოსნები ფიზიკურად ნადგურდებოდნენ ან რუსეთს ტოვებდნენ. 1941 წლიდან კი, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, გერმანელის ჭაჭანება აღარ იყო ევროპულ რუსეთსა და კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, სადაც მათ რამდენიმე აყვავებული სოფელი ჰქონდათ: ყველა გაასახლეს ყაზახეთში, შუა აზიასა და ციმბირში.

იმპერიის ეპოქის გამორჩეულ ინტელიგენტებს შორის ებრაელი აქა-იქ თუ ერია, ისიც უმეტესწილად მართლმადიდებლად მონათლული. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ რუსეთის ინტელიგენციაში ებრაელთა ხვედრითმა წონამ მკვეთრად მოიმატა. იმპერიის ხანის ინტელიგენციაში საკმაოდ ბევრი იყო სომხური წარმოშობის პირიც. მაგრამ სამხრეთ კავკასიაში, ადგილობრივ „აზიატებში", ქართული ინტელიგენცია ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. ბევრი მათგანი სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევარი გახდა.

თავი 3

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური და სოციალური გეოგრაფია იმპერიის უკანასკნელ ათწლეულებში

ტოპონიმური პოლიტიკა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

ის, რომ დასახლებული პუნქტის და, მით უმეტეს, ტერიტორიული ერთეულის სახელი პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს, იმპერიის მესვეურებს კარგად ესმოდათ. მაგალითად, 1898 წელს ჩინეთისაგან მიტაცებულ ნავსადგურ დალიან-ვან-ისათვის უნდოდათ რუსული სახელი მიეცათ: იხილებოდა ვარიანტები „სვეტონიკოლაევსკი“, პორტ-სლავსია“, „ალექსეევსკი“. ფინანსთა მინისტრმა ვიტემ კი ნიკოლაი II-ს შესთავაზა საზეიმო სახელებისაგან თავის შეკავება: ვინ იცის, იქნებ შევრცხვეთ იმ ადგილასო (1905 წელს ასეც მოხდა: რუსები იქ იაპონელებთან დამარცხდნენ და მიტაცებული ტერიტორია დაკარგეს). ნიკოლაიმ პორტს „დალნი“ („შორეული“) დაარქვა. ეს ტოპონიმური პოლიტიკის გამოვლინებაა.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის *ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში* ეთნიკურ ან სუბეთნიკურ სახელებს თითქმის არ იყენებდნენ.

იშვიათ ოფიციალურ ეთნოტერიტორიულ სახელთა შორის იყო „ფინლანდია“ (ფინეთი), „ესტლანდიის გუბერნია“, „თურქესტანის მხარე“ და ერთი-ორი სხვა. უფრო ადრე არსებობდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისთვის ეთნიკური სახელების მინიჭების პრაქტიკაც, მაგრამ რუსეთში შემავალი პოლონეთის 1863 წლის აჯანყების შემდეგ ეს პოლიტიკა შეიცვალა.

რუსეთის იმპერატორის ერთ-ერთი ტიტული იყო „პოლონეთის მეფე“ (Король Польский), მაგრამ ასეთი სამეფო მხოლოდ ვირტუალურად არსებობდა. რუსეთის იმპერიაში შემავალ პოლონურ ტერიტორიებზე 1863 წლის შემდეგ საგუბერნიო ქალაქის სახელის მქონე რამდენიმე გუბერნია შეიქმნა. რუსეთის იმპერიის იმდროინდელ ადმინისტრაციულ რუკაზე ვერ ნახავდით

1918 წლის შემდეგ შექმნილ ისეთ სახელებს, როგორებიცაა „აზერბაიჯანი", „უზბეკისტანი", „ყაზახსტანი", „ყირგიზსტანი", „თურქმენისტანი", „ტაჯიკისტანი" და ა. შ. მართალია, ასეთი სახელის მქონე ზოგი ეთნიკური ჯგუფი მანამდეც არსებობდა, მაგრამ ტერიტორიული ერთეულები ასეთი სახელით იმპერიაში არ იყო.

XX საუკუნის დამდეგს სახელი *„გრუზია"* იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში არ გამოიყენებოდა, ისევე, როგორც არ გამოიყენებოდა ადრე ისტორიულად არსებული სხვა სახელები, მაგალითად, „*არმენია*", „*უკრაინა*", „*მოლდოვა*".

ხელმწიფე-იმპერატორის მინისტრები და მრჩევლები, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ ტოპონიმიკის პოლიტიკაში და *კარგად ესმოდათ როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის ეთნიკური ჯგუფის სახელის მინიჭების, ისე ამ ერთეულების მონოეთნიკურობის პოლიტიკური საფრთხე იმპერიისათვის.*

გამონაკლისი იყო მხოლოდ 1809 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებული, მანამდე შვედეთის სამეფოში შემავალი ფინეთის დიდი სამთავრო, რომლის კონსტიტუციური (!) მონარქი იყო რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატორი. ფინეთს ფართო ავტონომია ჰქონდა – კონსტიტუცია, სეიმი, საჯარისო ფორმირებები, ფულის ერთეული (ფინური მარკა). 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებშიც კი რუსეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლად გამოვიდა და 6 ოქროს მედალი მოიპოვა (რუსეთმა – არც ერთი). სოციალურ-პოლიტიკურად ფინეთი თავის მეტროპოლიაზე წინ იყო წასული. მაგალითად, 1906 წელს ფინეთმა მსოფლიოში პირველმა მიანიჭა ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მაშინ, როცა რუსეთის იმპერიის პერიფერიაზე მდებარე ეთნიკური ტერიტორიები 1917 წლის რევოლუციების შემდეგ დამოუკიდებლობისათვის ნაკლებად აღმოჩნდნენ მზად, ევროპაში მდებარე ფინეთმა 1917 წლის ბოლოდან ადვილად შეიფერა დამოუკიდებლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1918 წელს ფინეთშიც იყო ხანმოკლე, მაგრამ ძალიან სისხლიანი (დაიღუპა 37 ათასი ადამიანი) სამოქალაქო ომი. ერთმანეთს ებრძოდნენ პრო-სოციალისტური „წითლები", რომელთაც საბჭოთა რუსეთი ეხმარებოდა და კონსერვატიული „თეთრები", რომელთაც გერმანია ეხმარებოდა. „თეთრებმა" გაიმარჯვეს და ქვეყანას დამოუკიდებლობაც შეუნარჩუნეს: ფინეთი საბჭოთა რესპუბლიკა არ გახდა!

* * *

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მთლიანად შემავალი კავკასიის ადმინისტრაციული რუკა მრავალჯერ შეიცვალა.

1840-46 წლებში არსებობდა უცნაური კონფიგურაციის მქონე *საქართველო-იმერეთის* (Грузино-имеретинская) *გუბერნია*, რომელშიც შედიოდა როგორც

დღევანდელი საქართველოს დიდი ნაწილი (სამეგრელოს, აფხაზეთის, სვანეთისა და აჭარის გარეშე), ისე სრულებით არაქართული ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად შეადგენენ სომხეთის რესპუბლიკას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილს და ნახჭევნის ავტონომიას. საქართველო-იმერეთის გუბერნია მალე გაუქმდა და ახალ გუბერნიებსა და მათში შემავალ *მაზრებს* (რუსულად – уезд) უკვე მთავარი ქალაქის სახელებს არქმევდნენ.

იმპერიის არსებობის ბოლო ათწლეულებში სამხრეთ კავკასია იყოფოდა *თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებად, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებად, ბათუმისა და ყარსის ოლქებად* (იხ. ნახ. 3.1).

ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე *სტავროპოლისა და შავი ზღვის გუბერნიებიდან, ყუბანის, თერგისა და დაღესტნის ოლქებიდან* პირველი სამი თითქმის მთლიანად სლავიზებული იქნა, მას შემდეგ, რაც ადგილობრივ ადიღური მოდგმის ტომებსა და ნოღაელთა ნაწილს ოსმალეთში გადასახლებისაკენ უბიძგეს. თერგისა და დაღესტნის ოლქები კი პოლიეთნიკური დარჩა: ჩასახლებულ რუს კაზაკებთან ერთად იქ სხვადასხვა ტომის ჩრდილოკავკასიელები ცხოვრობდნენ, რომელთა „ეთნიკური ტერიტორიები" გამიჯნული არ იყო (საეჭვო გამიჯვნას საბჭოთა რუსეთი მოახდენს და ამით დიდ პრობლემებს დაუტოვებს თავის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციას).


1904 წელს შავი ზღვის გუბერნიას, რომლის ცენტრი იყო ნოვოროსიისკი, სოხუმის ოკრუგიდან გადასცეს გაგრის კლიმატური სადგური (ეს იყო ტერიტორია მდინარე ბზიფიდან მდინარე ფსოუმდე, კერძოდ, სოფელ *პილენკოვომდე, რომელსაც* საბჭოთა პერიოდში დაბა *განთიადი ეწოდებოდა*). უფრო ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სოჭი არც ადრე და არც შემდეგ არ შედიოდა სოხუმის ოკრუგში.

სადაც იმპერია ვერ ახერხებდა პერიფერიაზე მდებარე რომელიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მთლიანად გარუსებას, იქ ამჯობინებდა, შეენარჩუნებინა ანდა ხელოვნურად შეექმნა ეთნიკური სიჭრელე.

დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადგილას მდებარეობდა *ბაქოს გუბერნია, ელისავეტპოლის გუბერნიის დიდი ნაწილი და, აგრეთვე, ზაქათალის ოკრუგი* (მისი ძველი სახელებია *საინგილო, ჭარ-ბელაქნის ჯამაათები* და *ილისუს სასულტნო*).

პატარა ქალაქ *ბაქოს* (1850 წელს იქ მხოლოდ 7400 ადამიანი სახლობდა) ადმინისტრაციულ დაწინაურებას ხელი შეუწყო 1859 წელს სხვა ადგილზე მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ. იმ წელს საშინელმა მიწისძვრამ ნანგრევებად აქცია შირვანის ძველი დედაქალაქი, რუსეთის იმპერიის ერთი საგუბერნიო ცენტრი *შემახა*. მისი აღდგენის ნაცვლად კავკასიის მეფისნაცვლის რეკომენდაციით პეტერბურგში გადაწყდა ახალ საგუბერნიო ცენტრად ექციათ

ქალაქი ბაქო. ამ უკანასკნელის ირგვლივ, აფშერონის ნახევარკუნძულზე, 1872 წლიდან ნავთობის სამრეწველო მოპოვება დაიწყო და ბაქო უსწრაფესად განვითარდა. სწორედ აფშერონისა და კასპიის ზღვის კონტინენტური შელფის წიაღში არსებულ ბუნებრივ რესურსებს უნდა უმადლოდეს აზერბაიჯანი მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, რაც ახლა საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.



ნახ. 3.1. სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რუსეთის იმპერიის ბოლო ათწლეულებში

ბაქოსა და *ელისავეტპოლის* გუბერნიებში ძირითადად აზერბაიჯანული მოსახლეობა იყო. სომხები უპირატესად ქალაქებში ცხოვრობდნენ, თუმცა სასოფლო განსახლებაც ჰქონდათ. XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან განაკუთრებით გაძლიერდა სომხების ლტოლვა გამდიდრების შანსის მომცემი ბაქოს მიმართულებით: იქამდე მათი თემი ამ ქალაქში უმნიშვნელო იყო. იმავე ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში და ზაქათალის ოკრუგში აგრეთვე ახლობდნენ ირანულენოვანი თათები, თალიშები და ქურთები, დაღესტნელი ალხები, ქართულენოვანი ქრისტიანი და მუსლიმი ინგილოები, დაღესტნურ ნებზე მოლაპარაკე ხალხები, უპირველესად ლეზგები და ავარლები.

1868 წლიდან *ელისავეტპოლის* (ისტორიული და ამჟამინდელი განჯა) უბერნიაში, იქამდე კი ჯერ *შემახისა*, შემდეგ კი მის შემცვლელ ბაქოს გუბერნიაში (სპარსეთის ბატონობის ხანაში – *ყარაბაღის* სახანოში) შედიოდა 7893 კვ.

კმ ფართობის მქონე *ზანგეზურის მაზრა*, რომლის ნახევარზე მეტი ამჟამად სომხეთის შემადგენლობაშია *სიუნიქის მაზრის* სახელით.

ელისავეტპოლის გუბერნიაში შედიოდა *შუშის მაზრა* (5098 კვ. კმ). ამ *მაზრის* დასავლეთი, მთიანი მხარისა და უფრო ჩრდილოეთით მდებარე *ჯევანშირის მაზრის* ნაწილის ხარჯზე, სადაც სომხური მოსახლეობა ჭარბობდა, საბჭოთა პერიოდში შეიქმნა *მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი* (საერთო ფართობით 4338 კვ. კმ).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, სახელად „*აზერბაიჯანი*", იმპერიაში არ იყო.

1850 წლიდან არსებობდა *ერევნის გუბერნია*, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი *დღევანდელ სომხეთის რესპუბლიკაში* შედის. ამ გუბერნიას განეკუთვნებოდა *ნახჭევნის მაზრაც*, რომლის ტერიტორია, ყოფილ *შარურ-დარალაგიოზის* მაზრის ნაწილთან (შარურთან) ერთად, ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკაა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში.

1897 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, სომხები ერევნის გუბერნიაში უმრავლესობას, 56 პროცენტს, წარმოადგენდნენ. იქაურ მცხოვრებთა ორ მეხუთედზე მეტი აზერბაიჯანელი, ქურთი, თურქი და რუსი იყო. ცალკე ნახჭევნის მაზრაში სომხები 37 პროცენტს შეადგენდნენ, აზერბაიჯანელები – 62 პროცენტს.

გარდა ამისა, *ისტორიული სომხეთი* მოიცავდა რუსეთის იმპერიის მიერ 1877-1878 წლების ომში დამარცხებული ოსმალეთისათვის ჩამორთმეული *ყარსის ოლქის* ნაწილსაც. იმპერია ამ ოლქში რუსული უმრავლესობის შექმნას გეგმავდა. მაგრამ იქ ადრე მცხოვრებ სომხურ თემს მალევე შეუერთდნენ ოსმალეთის სხვა ნაწილებიდან გადმოსახლებული თანამემამულეები და საუკუნეთა მიჯნაზე სომხებმა ოლქის მოსახლეობის თითქმის მესამედი შეადგინეს. რუსეთის ევროპული ნაწილიდან მოსული რუსი მოახალშენეები, ძირითადად – კაზაკები და ქრისტიანი „სექტანტები", ოლქის მოსახლეობის მეათედს ოდნავ აჭარბებდნენ. ნახევარზე მეტი კი იყვნენ ჯერ კიდევ ოსმალეთის დროიდან მცხოვრები თურქები, ქურთები, და კიდევ უფრო ადრინდელი მოსახლეობა, გამუსლიმებული ქართველები, რომელთაც ოფიციალური რუსული სტატისტიკა თურქებს მიათვლიდა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, სახელად „*არმენია*" *ან „ჰაიასტანი*", იმპერიაში არ არსებობდა.

დღევანდელი საქართველოს ადგილას რუსეთის იმპერიის პერიოდში მდებარეობდა *ტფილისისა* და *ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის ოკრუგი* (ისტორიული აფხაზეთის სამთავრო) და *ბათუმის ოლქი* (ისტორიული აჭარა-ქობულეთი). ამ უკანასკნელში შედიოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგები. *სოხუმის ოკრუგი* და *ბათუმის ოლქი* წინა საუკუნის დამდეგს „სამხედრო-სახალხო

მმართველობის ნაწილით" ქუთაისის გუბერნატორს ექვემდებარებოდა, ხოლო *ზაქათალის ოკრუგი* – ტფილისის გუბერნატორს, თუმცა ორივე ოკრუგი და ოლქი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად განიხილებოდა.

ტფილისის გუბერნიაში შედიოდა *ტფილისის, გორის, ბორჩალოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, დუშეთის, ახალციხისა* და *ახალქალაქის მაზრები*. რაიმე „სამხრეთ ოსეთი" ადმინისტრაციულ რუკაზე მოხსენიებული არ იყო. მართალია, 1842-1859 წლებში არსებობდა *„ოსეთის ოკრუგი"* (Осетинский округ), რომელიც მოიცავდა დღევანდელ ჯავის რაიონს (არც ცხინვალისა და არც ახალგორის რაიონებს ის არ ფარავდა) და მიმდებარე ტერიტორიას კავკასიონის ქედის ჩრდილოეთითაც (ეს დაახლოებით ემთხვეოდა ისტორიულ დვალეთს საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში), მაგრამ 1859 წელს ეს ოკრუგი გაუქმდა და წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მდებარე მისი ტერიტორია გორის მაზრას შეუერთდა. 1860-იან წლებში, „ოსეთის ოკრუგი" ერთხანს არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, თერგის ოლქში, მაგრამ მალე ისიც გაუქმდა.

ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა *ქუთაისისა* და *შორაპნის მაზრები* (მაგრამ არა იმერეთი), *ოზურგეთის მაზრა* (მაგრამ არა გურია), *ზუგდიდისა* და *სენაკის* მაზრები (მაგრამ არა სამეგრელო). მართალია, იმავე გუბერნიაში შედიოდა *რაჭის, ლეჩხუმის* (ქვემო სვანეთთან ერთად), ხოლო ტფილისის გუბერნიაში – *ბორჩალოს* მაზრები, მაგრამ ეს სახელები მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ტერმინებად აღიქმებოდა: რაჭულ, ლეჩხუმურ, ბორჩალურ სეპარატიზმს პეტერბურგში არ ელოდნენ!

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, სახელად *„გრუზია" ან „საქართველო"*, იმპერიაში არ არსებობდა.

იმპერიაში პრინციპში არ იკრძალებოდა „გრუზიას", „არმენიას", „უკრაინას" ხსენება. პუშკინს შეეძლო ეწერა „На холмах Грузии лежит ночная мгла"[3], ან „Тиха украинская ночь"[4]. პეტერბურგისათვის ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ პოეტური ისტორიული სახელები.

მაგრამ ტოპონიმური პოლიტიკა განუხრელად ტარდებოდა: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელებად *„საქართველოს", „ჰაიასტანის"* ან *„აზერბაიჯანის"* ოფიციალურ გამოყენებას არ დაუშვებდნენ. ეს იმპერიისათვის საშიშ პრეცედენტს შექმნიდა.

საქართველოს ბორცვებს ღამის წყვდიადი აწევს (რუს.).

ყნარია უკრაინული ღამე (რუს.).

მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა

საუკუნეთა მიჯნაზე სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის *ეთნიკურ სტრუქტურაში* მკვეთრად გამოირჩეოდა სამი დიდი ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფი – ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები.

იმპერიის დიდი მცდელობის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის სასოფლო არეალში ეთნიკურმა რუსებმა ვერ შექმნეს ერთიანი განსახლების დიდი მასივები. ამით სამხრეთ კავკასია მკვეთრად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ კავკასიისგან, საიდანაც ადგილობრივ მოსახლეობას (უპირატესად *ადიღური* მოდგმის ტომებს, ნაწილობრივ – ნოღაელებსა და ვაინახებს) 1860-იან წლებში პეტერბურგმა ოსმალეთში მასობრივი გადასახლებისაკენ უბიძგა, ხოლო მათ ადგილზე სლავური მოსახლეობა დაასახლა. ამჟამად ამ ტერიტორიაზეა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, აგრეთვე ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ეთნიკურად შერეული რესპუბლიკები. სამხრეთ კავკასიაში რუსები შედარებით ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი მხოლოდ რეგიონის დიდ ქალაქებში, ცალკეულ სოფლებში კი დაასახლეს ან რუსი ქრისტიანი „სექტანტები" – დუხობორები, სტაროვერები, მოლოკანები („მალაკანები") და სხვ., ან რუსის ჯარიდან დემობილიზებულთა ოჯახები, რომელთა რაოდენობა ჯამში დიდი არ იყო.

1905 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული *მოსახლეობის პირველი* (და, როგორც მერე გაირკვა, უკანასკნელი) *საყოველთაო აღწერის* მასალების მეორე ტომი, საიდანაც ვიგებთ, რომ იმ პერიოდის სამხრეთ კავკასიაში *ქართველები* რიცხოვნობით (1,350 მილიონი) ოდნავ სჭარბობდნენ *აზერბაიჯანელებსა* (1,3 მილიონი) და *სომხებს* (1,2 მილიონი).

პირველი მსოფლიო ომის წინ, 1914 წლის წელიწდეულის, „Кавказский календарь"-ის შეფასების თანახმად, სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანელებმა რიცხოვნობით (1,791 მილიონი) გაასწრეს ქართველებს (1,741 მილიონი). სომხების რიცხოვნობა 1,685 მილიონ სულად შეფასდა. სამი ეთნოსი *სიდიდით* დაახლოებით თანაბარი იყო, ხოლო მათი *განსახლება* – შერეული, რაც მალე დიდ პრობლემებს წარმოქმნის მთელ რეგიონში.

* * *

1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სოხუმის ოკრუგსა და ბათუმის ოლქში, რაც ფართობით სჭარბობდა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას (ბათუმის ოლქში ართვინის ოკრუგიც შედიოდა, რომელიც ახლა თურქეთის შემადგენლობაშია; ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში შედიოდა ლორეს საპოლიციო უბანი,

რომელიც ახლა სომხეთის რესპუბლიკას ეკუთვნის), აღირიცხა ათი „ხალხი". მათ შორის ორ მესამედზე მეტს ქმნიდა ორი „ხალხი", თითოეული ნახევარ მილიონამდე – *იმერლები* (რაჭველ-ლეჩხუმელებთან ერთად) და „*გრუზინები*" (*ქართლელ-კახელები*). მათ მოსდევდნენ *მეგრელები* (240 ათასი, ანუ 18 პროცენტამდე), *გურულები* (93 ათასი, ანუ 7 პროცენტამდე), *აჭარლები* (70 ათასი, ანუ 5 პროცენტზე ცოტა მეტი) და მცირერიცხოვანი *სვანები, ხევსურები, ფშავლები, თუშები, ლაზები* (თითოეული ამ სუბეთნოსის რიცხოვნობა 3-16 ათასით განისაზღვრა). გარდა ამისა, ზაქათალის ოკრუგში, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის შემადგენლობაშია, აღირიცხა 14 ათასი ქართულენოვანი *ინგილო* („მეთერთმეტე ხალხი").

აღწერის ანალიტიკოსები აერთიანებდნენ ამ თერთმეტივე „ხალხს" ერთ „*ქართველურ, ანუ ივერულ ჯგუფში*", რომელიც, მათივე აღიარებით, „*ჰომოგენურ მთელს*" ქმნიდა.

მართლაც, ეს „ხალხები" უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ნაციის – *ქართველების* – სუბეთნოსები იყვნენ.

XIX საუკუნის ბოლოს აღმწერთა მიერ „ივერული ჯგუფის ხალხების" დაცალკევების მეთოდი მეცნიერული ვერ იქნებოდა, რადგან *1897 წლის მოსახლეობის აღწერა არ* იკვლევდა ეროვნებას: სააღწერო ფურცელში იყო კითხვა მხოლოდ *მშობლიური ენის* შესახებ. ნათელია, რომ მშობლიური ენა იმერლისა და ფშავლისთვისაც *ქართული* იქნებოდა. აღწერისას ნახევარ მილიონს კი არა, არც ერთს არ უპასუხია, რომ „იმერულ ენაზე" ლაპარაკობს და არც 6 ათასს უხსენებია „ფშაური", როგორც დედა ენა. ნათელია ისიც, რომ ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის მაზრებსა და სოხუმის ოკრუგში *მშობლიურ ენად*, ქართულის გარდა მეგრულიცა და სვანურიც დასახელდებოდა.

აღწერის ანალიტიკოსები მოსახლეობის ეთნიკურობასა და სუბეთნიკურობას აზუსტებდნენ ირიბი მეთოდებით, როგორც ჩანს, განსახლების არეალის მეშვეობით. კავკასიის საკითხების ექსპერტად მოიწვიეს ვინმე *პატკანოვი*, რომლის კომპეტენციაშიც აღმოჩნდა ეთნოსების რიცხოვნობის განსაზღვრა. ასე, მაგალითად, მან *აფხაზებს მიათვალა სამურზაყანოში* (გალის რაიონში) *მცხოვრები ყველა მეგრულენოვანი ადამიანი*. ამიტომაც სოხუმის ოკრუგში აფხაზებმა მოსახლეობის ნახევარი „შეადგინეს", რაც მათი რეალური რაოდენობის ხელოვნურად გაორმაგებას ნიშნავდა. პატკანოვის მიერ „დადგენილი" (თუ შედგენილი?) რიცხვები შემდგომში დიდ პოლიტიკურ დატვირთვას შეიძენს. პეტერბურგში, სადაც აღწერის შედეგებს აჯამებდნენ, შეგნებულად მიმართავდნენ ქართველების შიდაეთნიკურ დანაწევრებას: ეს რუსიფიკაციისათვის სასარგებლოდ მიაჩნდათ.

საუკუნეთა მიჯნაზე *სოხუმის ოკრუგი* ეთნიკურად უკვე ძალიან ჭრელი იყო. 1866 და 1878 წლებში იქიდან ოსმალეთში გადასახლდა მრავალი ეთნი-

კური აფხაზი, მას შემდეგ, რაც ისინი რუსეთის იმპერიას აუჯანყდნენ. დარჩენილ აფხაზებს რაოდენობრივად სჭარბობდნენ ქართველები, რომლებიც ძირითადად სამურზაყაანოელებით იყვნენ წარმოდგენილი. იმავე ოკრუგში ცხოვრობდნენ რუსები, სომხები, ბერძნები, ბულგარელები, ესტონელები, მოლდაველები და სხვები, რომლებსაც პეტერბურგი საგანგებოდ ასახლებდა აფხაზებისაგან დაცლილ სოფლებში. იმპერია ამ ოკრუგში ქართველების ჩასახლების წინააღმდეგი იყო, რათა თავიდან აეცილებინა მეტოქეობა ისეთ ძლიერ ეთნიკურ ჯგუფთან, რომელსაც თვითონ ჰქონდა, ან მალე გაუჩნდებოდა, ეროვნული მშენებლობის საკუთარი პროექტი.

საკუთრივ *ქუთაისის გუბერნია* (მისდამი დაქვემდებარებული სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის გარეშე) მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. კავკასიაში ეს ერთადერთი მონოეთნიკური გუბერნია იყო: ეთნიკურ უმცირესობათა (ძირითადად, ქართულენოვანი ებრაელების) წილი იქ 5 პროცენტსაც არ შეადგენდა.

ქართველები (მათი უმეტესობა მუსლიმი იყო) *ჭარბობდნენ ბათუმის ოლქშიც*, თუმცა ქალაქი ბათუმი პოლიეთნიკური იყო.

ტფილისის გუბერნიაში ქართველები იმხანად ორ მეხუთედს ოდნავ აჭარბებდნენ: მათ გარდა, იქ ცხოვრობდნენ სომხები (განსაკუთრებით ქალაქებში და მესხეთ-ჯავახეთში), ოსები, რუსები, აზერბაიჯანელები, გერმანელები, ბერძნები, ქისტები და სხვ. XX საუკუნის დამდეგიდან ქართველთა ხვედრითი წილი გუბერნიაში ნელა მატულობდა, ძირითადად, დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულთა ხარჯზე.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე (ანუ რუსეთის იმპერიის ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში) ქართველები და აფხაზები ავტოქტონურ, ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. თითქმის ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფი კი რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნეში ჩამოასახლა.

მართალია, რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი უფრო ადრეც, XVII-XVIII საუკუნეებში, დამკვიდრდა ქართლ-კახეთში: ესენი იყვნენ ბორჩალუსა და ორიოდე სხვა ტომის თიურქები[5] (ახლა მათ აზერბაიჯანელებად ვიცნობთ), ჯაველი ოსები, თბილისელი, გორელი, თელაველი, სიღნაღელი სომხები.

მეფე ერეკლე II-ის ეპოქაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ქართლ-კახეთში ჩასახლება შეგნებული პოლიტიკა იყო: მეფეს ქვეშევრდომები აკლდა. მისი

[5] ტერმინს „თიურქები" ვიყენებ „თიურქულენოვანი" ხალხების (თურქები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, ყაზახები, თათრები, უზბეკები და მრავალი სხვა) კრებით სახელად. რადგან „თიურქულენოვნების" მოხსენიება ნიგნში არაერთხელ მომიწევს, მინდა განვასხვავო [ანატოლიური] თურქული ენა სხვა „თიურქულენოვანი" ხალხების ენებისაგან. ინგლისურად მათ განსასხვავებლად გამოიყენება „Turkic" და „Turkish", რუსულად – „тюркский" და „турецкий". სამწუხაროდ, ამ მიზნით ვერ გამოვიყენებ ქართული ანბანიდან ამოგდებულ „იოტას".

თანხმობით მოინვიეს სომხები – ყარაბაღიდან, ბერძნები – გიუმუშჰანეს რაიონიდან (აღმოსავლეთ ანატოლია), მიიღეს ოსები – ჩრდილოეთ კავკასიიდან, ქვემო ქართლის მიწაზე დააბრუნეს ერევნის სახანოში, არაქსის ხეობაში გადასახლებული ბორჩალუს თიურქული ტომი. ყველა ამ ეთნოსს გარკვეული ეკონომიკური ფუნქცია ეკისრებოდა: სომხები – ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ, ბერძნები – სამთამადნო მრეწველობის გასავითარებლად იყვნენ საჭირო, ოსები მებატონეებს მიწის მუშებად უნდოდათ, „ბორჩალო თათრები" ცხვარსა და კარგი ჯიშის ცხენს აშენებდნენ.

საერთო ჯამში, ერეკლე II-ის დემოგრაფიულმა პოლიტიკამ მის სამეფოში არც ისე ბევრი არაქართველი დაასახლა. აღმოსავლეთ საქართველოში რეალური ეთნიკური სიჭრელის შექმნა რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შედეგია.

* * *

სამხრეთ კავკასიაში დიდ ეთნიკურ ჯგუფს ქმნიდნენ „ადერბეიჟანელი თათრები". Адербейжанские татары – XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს ასე უწოდებდნენ რუსები დღევანდელ *აზერბაიჯანელებს*, რათა განესხვავებინათ ისინი ყირიმელი, ყაზანელი, ასტრახანელი *თათრებისაგან*. იმდროინდელი ქართველები, ისევე, როგორც სომხები, აზერბაიჯანელებს უბრალოდ *„თათრებს"* ეძახდნენ და ისინი ანატოლიელ თურქებში არ ერეოდათ, რადგან იქ, სადაც ახლა თურქეთის რესპუბლიკაა, მაშინ *„ოსმალო თათრები"* ცხოვრობდნენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში *„თათარი"* ჩვენთვის *თიურქულენოვანი მუსლიმის* სინონიმი იყო და არ ატარებდა რაიმე ნეგატიურ დატვირთვას.

მკითხველს დამატებითი სირთულე რომ არ შევუქმნა, ჩვენს მეზობელ კავკასიელ ხალხს წიგნში ყოველთვის „აზერბაიჯანელებად" მოვიხსენიებ.

რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ათწლეულებში აზერბაიჯანელები რიცხობრივად დომინირებდნენ *ბაქოს, განჯის გუბერნიებში*; ისინი მრავლად იყვნენ ზაქათალის ოკრუგში, ერევნის გუბერნიაში, ნაკლებად – ტფილისის გუბერნიაში.

ქართველების მცირეშვილიანობის საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციის გამო აზერბაიჯანელებმა სამხრეთ კავკასიაში რიცხოვნობით ძალიან გაგვისწრეს. XX საუკუნის განმავლობაში ქართველების რაოდენობა კავკასიაში ორნახევარჯერ გაიზარდა, მაშინ როცა აზერბაიჯანელებისა – თითქმის ხუთჯერ. XXI საუკუნეში სხვაობა ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ კიდევ უფრო გაიზრდება.

* * *

XX საუკუნის მიჯნაზე *სომხები* რიცხოვნობით სამხრეთ კავკასიაში მესამე ადგილზე იდგნენ. ისინი თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიაში იყვნენ გაფანტული, უმნიშვნელო უმრავლესობას მხოლოდ *ერევნის გუბერნიაში* ქმნიდნენ.

XX საუკუნის პირველ დეკადებში სომხების მეტად საგრძნობი მატება სამხრეთ კავკასიაში მექანიკური მოძრაობის შედეგადაც ხდებოდა, ოსმალეთიდან შემოხიზნულ თანატომელთა ხარჯზე. ოსმალეთის სულტნის საკმაოდ საშიშ ქვეშევრდომობას სომხების მზარდი ნაწილი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის ქვეშევრდომობას ამჯობინებდა და კავკასიის საგუბერნიო ცენტრებში, უპირველეს ყოვლისა – თბილისსა და ბაქოში, და სოხუმის ოკრუგში (აფხაზეთში) სახლდებოდა.

XX საუკუნის მესამე დეკადიდან სომხებმა, რომელთა სოფლის მოსახლეობას იმ პერიოდში დიდი მატება ახასიათებდა, სამხრეთ კავკასიაში რიცხოვნობით ქართველებს გაგვისწრეს და 1980-იანი წლების ბოლომდე გვჭარბობდნენ. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზის გამო სამხრეთ კავკასიიდან ემიგრაციაში მეტი სომეხი წავიდა, ვიდრე ქართველი. ამიტომაც ამ ორი ერის რიცხოვნობა რეგიონში თითქმის გათანაბრდა. მსოფლიოში კი სომხები 2,5-ჯერ მეტნი არიან, ვიდრე ქართველები.

* * *

სამხრეთ კავკასიის მომავალი სუვერენული სახელმწიფოების დედაქალაქების, საუკუნით ადრე კი საგუბერნიო ცენტრების, მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა ცალკე მოხსენიებას მოითხოვს, რადგან საუკუნის განმავლობაში ის მკვეთრად შეიცვალა. მათი მონოეთნიზაციის ტენდენცია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო დეკადებში ძალიან მკაფიო გახდა.

1897 წლის აღწერით ინდუსტრიულ ქალაქ *ბაქოს* მოსახლეობაში (სულ 112 ათასი) ქრისტიანები სჭარბობდნენ: 34,8 პროცენტი – რუსები და 17,1 პროცენტი – სომხები ჯამში ნახევარზე მეტს შეადგენდნენ. ბაქოში იმ დროს 1008 ქრისტიანი ქართველიც ცხოვრობდა, ანუ ქალაქის მოსახლეობის 1 პროცენტი. მოსახლეობის 36 პროცენტი აზერბაიჯანელი იყო, 3 პროცენტი – სპარსელი.

XXI საუკუნის დამდეგისათვის მილიონნახევრიანი *ბაქო* თითქმის მთლიანად აზერბაიჯანული გახდა.

იმავე 1897 წლის აღწერით პატარა საგუბერნიო ქალაქ *ერევნის* 29 ათასი მცხოვრებიდან სომხები 43,2 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო აზერბაიჯანელები – 42,7 პროცენტს. ერევნის დანარჩენი მოსახლეობა ძირითადად რუსი, ებრაელი და პოლონელი იყო. ერევანში იმ წელს 142 ქართველი აღირიცხა, უპირატესად – სახელმწიფო სამსახურში მყოფი მამაკაცები.

2001 წლის მოსახლეობის აღწერით მილიონიან ქალაქ *ერევანში* სომხური მოსახლეობა 97 პროცენტს აღწევდა. 104 წლის წინანდელი აღწერისაგან განსხვავებით, იქ არცერთი აზერბაიჯანელი არ აღრიცხულა. 2001 წელს ერევანში ოდნავ მეტი ქართველი აღმოჩნდა, ვიდრე 1897 წელს – ამჯერად ეს იყო 200-მდე ქალი, რომლებიც ადრე სომხებზე გათხოვილან და ერევანში წასულან.

თბილისშიც კი, რომელიც თავისი 1,1 მილიონი მცხოვრებით სამხრეთ კავკასიის სხვა დედაქალაქებთან შედარებით ყველაზე მრავალეროვანია, ჰომოგენურობამ მკვეთრად იმატა: 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ქართველობა 84 პროცენტი აღმოჩნდა და, შესაბამისად, სხვა ეთნოსების წილმა მკვეთრად იკლო.

რეგიონის უმთავრესი ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი – თბილისი – თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყოველთვის იყო კავკასიის ბუნებრივი დედაქალაქი.

თბილისის როლი საქართველოს ურბანიზაციაში

XIX საუკუნის ბოლო მესამედში და XX საუკუნის დამდეგს საქართველოში *ურბანიზაცია* დაჩქარდა. საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა ბათუმი, ქუთაისი, ფოთი. მაგრამ ურბანიზაციის უტყუარი და გამოკვეთილი ლიდერი თბილისი იყო. 1897 წელს იქ 160 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 53 პროცენტით მეტი, ვიდრე 1876 წელს, წინა საქალაქო აღწერისას. 1902 წელს თბილისში უკვე 190 ათასი ადამიანი ცხოვრობდა და მოსახლეობა სწრაფად მატულობდა.

XX საუკუნის დამდეგს, ისევე, როგორც თავისი არსებობის უმეტეს დროს, *თბილისი მრავალეროვან ქალაქს წარმოადგენდა*. თუმცა ყველამ იცოდა, რომ ის ისტორიული საქართველოს დედაქალაქი იყო, მაგრამ იმპერიის პერიოდში თბილისი ფორმალურად ქართულ ქალაქად არ ითვლებოდა. ის იყო რუსეთის საგუბერნიო ცენტრი, იმპერიული ხელისუფლების თვალსაზრისით – ერთერთი *რუსული ქალაქი*, ისეთივე როგორც, მაგალითად, კიევი, ოდესა, ვარშავა, ვილნო, რიგა, იურიევი (ტარტუ), ბაქო, ტაშკენტი, ერევანი და ა.შ. უბრალოდ იქ დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ *„ტუზემცები"* („ადგილობრივები", რომლებიც მმართველ ერს არ განეკუთვნებოდნენ), ან *„ინოროდცები"* (საზღვარგარეთიდან მოსული არამართლმადიდებელი, არარუსი მოსახლეობა). თბილისში *„ტუზემცები"* ქართველები და სომხები იყვნენ, „რუსულ ქალაქებში" – ბაქოსა და ერევანში – *„ტუზემცებს"* აზერბაიჯანელები და სომხები წარმოადგენდნენ. კიევსა და ოდესაში მცხოვრებ მალოროსებს, ანუ უკრაინელებს, რუსი ერის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ და არა *„ტუზემცებად"*, მაგრამ იქაც *„ინოროდცები"*, ძირითადად, ებრაელობა, რიცხობრივად ძალიან ბევრი იყო.

1897 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, თბილისის ეთნიკურ ჯგუფებს შორის რიცხოვნობით პირველ ადგილზე (29,8 პროცენტი) იდგნენ *რუსები*, უფრო ზუსტად – *აღმოსავლეთ სლავები*, რადგან იმ დროს მალოროსებსა (ანუ უკრაინელებს) და ბელორუსებს ველიკოროსებთან (ანუ საკუთრივ რუსებთან) ერთად *რუსებს* უწოდებდნენ. რუსებს შორის ჭარბობდა

ბიუროკრატია, ოფიცრობა და ყაზარმებში დაბანაკებული ჯარისკაცები.

თბილისის მოსახლეობაში რიცხოვნობით მეორე ადგილზე *სომხები* იყვნენ (29,5 პროცენტი), რომელთა საგრძნობი ნაწილისათვის მშობლიური ენა ქართული იყო. სომხები დომინირებდნენ ვაჭრებსა და ხელოსნებს შორის. საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხური ინტელიგენცია თბილისს სომეხი ხალხის კულტურული განვითარების ერთ-ერთ ცენტრად აქცევდა, სადაც ჩამოყალიბდა აღმოსავლურ-სომხური სალიტერატურო ენა. დასავლურ-სომხური კულტურის ცენტრი სტამბოლი (კონსტანტინოპოლი) იყო.

რუსებსა და სომხებს რიცხოვნობით მცირედ ჩამორჩებოდნენ *ქართველები* (თბილისის მოსახლეობის მთელი რაოდენობის 26,4 პროცენტი), ძირითადად მუშები, მოსამსახურეები და ინტელიგენცია. თბილისის ქართული ელემენტი სწრაფად მატულობდა, უპირატესად დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული მიგრანტების ხარჯზე.

გარდა სამი დიდი ეთნიკური ჯგუფისა, თბილისში ცხოვრობდნენ „ინოროდცები" – სპარსელები, აზერბაიჯანელები, გერმანელები, პოლონელები, ფრანგები და სხვები. ეს პოლიეთნიკური სტრუქტურა ზემოქმედებდა სოციალურ ცხოვრებაზე და სპეციფიკური „თბილისური სუბკულტურის" შექმნას უწყობდა ხელს. „ევროპელები" ერთგვარ მისაბაძ მაგალითს აძლევდნენ სხვა თემებს, რომლებიც ცდილობდნენ მათსავით ეცხოვრათ, ჩაეცვათ, ისეთივე განათლება მიეცათ შვილებისათვის, როგორსაც „ევროპელები" აძლევდნენ თავიანთ შვილებს.

* * *

თბილისი უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი იყო, ვიდრე რომელიმე სხვა ქალაქი მთელ კავკასიაში. ნავთობით გამდიდრებულ *ბაქოშიც* კი 1897 წლის აღწერისას თბილისზე ნაკლები მცხოვრები დაფიქსირდა – 112 ათასი. საგუბერნიო ცენტრ *ერევანში* კი იმავე აღწერით სულ 29 ათასი ადამიანი აღირიცხა: ეს ნაკლები იყო, ვიდრე იმავე გუბერნიის სამაზრო ცენტრ *ალექსანდროპოლის* (ამჟამინდელი *გიუმრი*) მოსახლეობა. პირველ მსოფლიო ომამდე ერევნის მოსახლეობა არც გაზრდილა.

თბილისის ადმინისტრაციულ ფუნქციას აძლიერებდა ის, რომ 1844-1882 და 1904-1917 წლებში იქ იჯდა კავკასიის მეფისნაცვალი (1882-1904 წლებში – მთავარმართებელი). მეფისნაცვლად ხშირად იგზავნებოდა რომანოვთა სამეფო დინასტიის წევრი ან იმპერატორთან დაახლოებული სხვა „გვამი პატიოსანი", რაც თბილისის პრესტიჟს ზრდიდა. 1862-1882 წლებში მეფისნაცვალი იყო იმპერატორ ალექსანდრ II-ის ძმა, ხალხში ძალიან პოპულარული დიდი მთავარი *მიხაილ ნიკოლაევიჩ რომანოვი*. სამთავრობო რეზიდენცია მაშინ იყო კავკასიის პირველი მეფისნაცვლის, *მიხაილ ვორონცოვის* მიერ XIX საუ-

კუნის შუაგულში აგებული სასახლე, რომელიც მდებარეობდა დღევანდელ *რუსთაველის* გამზირზე (გამზირის ამ მონაკვეთს *დვორცოვაიას* უწოდებდნენ, დანარჩენს *გოლოვინსკი პროსპექტი* ერქვა). ახლა ის მოსწავლეთა სასახლეა. მეფისნაცვალს ან მთავარმართებელს საკმაოდ დიდი ადმინისტრაციული აპარატი ემსახურებოდა, თუმცა ქალაქის მთელ მოსახლეობაში ხვედრითი წილით ეს აპარატი თბილისის დღევანდელ ბიუროკრატიას დიდად ჩამოუვარდებოდა.

მსოფლიო ომის წინ თბილისში განლაგებული იყო ცხრა ქვეყნის, მათ შორის დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, აშშ-ის, ოსმალეთის, სპარსეთის საკონსულოები.

არც ერთი ქალაქი რუსეთის კავკასიაში არ ფლობდა ისეთი ზომის სოციალურ ინფრასტრუქტურას და არ ასრულებდა ისეთ კულტურულ ფუნქციას, როგორსაც თბილისი. წელიწდეულ „Кавказский календарь"-ის მიხედვით ირკვევა, რომ 1913 წელს თბილისში მოქმედებდა კერძო უმაღლესი სასწავლებელი – ქალთა უმაღლესი კურსები, ვაჟთა ექვსი და ქალთა ხუთი გიმნაზია, სულ კი ასორმოცდაათამდე სხვადასხვა სასწავლებელი. იქ გამოდიოდა კავკასიის ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა: 19 რუსულ, ათი სომხურ, ექვსი ქართულ, ორი აზერბაიჯანულ და ერთი გერმანულ ენაზე. ქალაქს ჰქონდა ხუთი თეატრალური დარბაზი, რვა კინოთეატრი, ათი საავადმყოფო, ოცამდე აფთიაქი, 37 სასტუმრო, მრავალი ბანკისა და სადაზღვევო კომპანიის განყოფილება, ათი ყველასათვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა, 46 მართლმადიდებლური, 22 სომხურ-გრიგორიანული (იგულისხმება კარის ეკლესიებიც), თითო კათოლიკური და ლუთერანული ეკლესია, ორი სინაგოგა და ორი მიზგითი. ქალაქში არსებობდა სატელეფონო ქსელი, 1904 წლიდან დადიოდა ელექტროტრამვაი.

1905 წელს ერთმა ბელგიურმა კომპანიამ მთაწმინდაზე სამთო-სააბაგირო რკინიგზა – *ფუნიკულიორი* – გაიყვანა. თვითნასწავლმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა თავის ნახატზე უკვდავყო XX საუკუნის თბილისის ეს ახალი ნიშანსვეტი.

ქალაქის მუნიციპალური საზღვარი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლო მესამედში გასცდა „მოსკოვის საგუშაგოს", რომელსაც „ზემელის" სახელით ვიცნობთ: იქ გერმანელ აფთიაქარ Semmel-ს ჰქონდა თავისი დაწესებულება. საუკუნის დამდეგისათვის თბილისმა მიაღწია დღევანდელი მელიქიშვილის ქუჩის ბოლოს, ვარაზის ხევს. იმ დროს ხევს გადაღმა, წყნეთის გზაზე (ახლანდელ – ილია ჭავჭავაძის გამზირზე) სულ რამდენიმე შენობა იდგა. 1906 წელს დამთავრდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის აგება, რომელსაც ქართული საზოგადოება საუნივერსიტეტოდ ამზადებდა. 1918 წლიდან მასში მართლაც განთავსდება თბილისის უნივერსიტეტი.

საუკუნის დამდეგს *ვაკე* ჯერაც მოვაკებული ადგილი იყო, შიგადაშიგ ყანებით, საძოვრებითა და აგურის პატარა ქარხნებით, საბურთალო კი ჯერ

კიდევ მართლაც *საბურთაო* ადგილად თუ გამოიყენებოდა. მდინარე ვერაზე XVII საუკუნეში აგებული ხიდიდან (1950-იანი წლების ბოლოს ის ქალაქის რეკონსტრუქციას ემსხვერპლება), დღევანდელ გმირთა მოედანზე, იწყებოდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ვლადიკავკაზამდე მიდიოდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი ეს ცნობილი გზა მოსკოვის საგუშაგოსთან (ზემელზე) იწყებოდა. ამ გზის მონაკვეთი დიდ მთავარ ოლღას ქუჩად იქცა და მას 1920-იან წლებამდე *ოლგინსკაია* ერქვა. შემდეგ ის 65 წლის განმავლობაში იყო ლენინის ქუჩა, 1989 წლიდან კი მერაბ კოსტავას ქუჩაა.

მართალია, თითქმის მთლიანად ქართველებით დასახლებული ქალაქი *ქუთაისიც* საგუბერნიო ცენტრი იყო, მაგრამ ქუთათური ინტელიგენციის საგრძნობმა ნაწილმა უკვე XX საუკუნის პირველ დეკადებში თბილისში ცხოვრება და მოღვაწეობა ამჯობინა.

გალაკტიონი მარტო არ იყო თავის არჩევანში, როდესაც 1916 წელს წერდა:

„და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი";

ბევრი ცნობილი ქართველი მეცნიერი თუ კულტურის მოღვაწე დაიბადა დასავლეთ საქართველოში, ისე, როგორც გალაქტიონი, და თბილისში მოგვიანებით გადმოსახლდა.

„იმერლებმა" (ასე უწოდებდნენ ქართლ-კახეთში ყველას, ვინც ლიხთ-იმერიდან იყო გადმოსული – საკუთრივ იმერლებსაც, რაჭველებსაც, გურულებსაც, ლეჩხუმელებსაც, ხანდახან – მეგრელებსაც, რომლებსაც თბილისელთათვის გაუგებარ ენაზეც შეეძლოთ ლაპარაკი) აითვისეს თბილისის ახლოს, რკინიგზის ხაზის გადაღმა მდებარე მიწა, რომელსაც ყველა ჯურის ხალხი რუსულ სახელს – „ნახალოვკას" – უწოდებდა.

სოფლიდან მოსული ხალხი მართლაც თავხედურად („ნახალურად") სახლდებოდა სახაზინო მიწაზე საგუბერნიო ცენტრის ოფიციალური საზღვრის გარეთ, მაგრამ ქალაქის შორიახლოს. ასეთივე „ნახალოვკები" არსებობდა ბაქოში, ტაშკენტსა და იმპერიის სხვა მზარდ ქალაქებშიც.

საბოლოოდ თბილისს თავისი „ნახალოვკაც" შეუერთდა (მოგვიანებით ეს „ნაძალადევად" ითარგმნა), სადაც ქართველობა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდა. მათი სახლები თავიდან უბრალო ხუხულები იყო, კომუნალური მომსახურება – რუდიმენტული. მაგრამ დიდ ქალაქში ყოფნა ამ ყოჩაღ ხალხს, უპირატესად ახალგაზრდა მამაკაცებს, ჩაბმულს მრეწველობაში, მშენებლობაში, მომსახურების სფეროში, აძლევდა სტიმულს, ეზრუნა უკეთეს მომავალზე.

დასავლეთ საქართველოდან თბილისში მოსახლეობის მიგრაციას *ქართვე-*

ლი ერის კონსოლიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მიგრანტები ყოველთვის გამოირჩევიან ენერგიულობითა და ამბიციურობით, ანუ იმ თვისებებით, რომლებიც დასავლეთ-ქართულ ელემენტს არ აკლდა. ეს მიგრანტები „თავის ქალაქში" ჩადიოდნენ – თბილისს ქართველთა ყველა სუბეთნოსი საკუთარ დედაქალაქად მიიჩნევდა, განსხვავებით, მაგალითად, ბაქოსაგან, რომელსაც ქართველები მხოლოდ სამუშაოს საძებნელად ან სიმდიდრის მოსახვეჭად თუ ეტანებოდნენ.

ურბანიზაციის ერთ-ერთი შედეგია, რომ XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან *თბილისი თანამედროვე ქართველი ერის „სადნობ ქვაბად" გვევლინება* და იქ თანდათან ყალიბდება თანამედროვე საერთო-ქართული ეროვნული მენტალიტეტი, რაშიც დასავლურ-ქართულმა ელემენტმა დიდი წვლილი შეიტანა.

დაახლოებით 1870-იანიდან 1920-იან წლებამდე პერიოდი ქართველი ერის განსაკუთრებით ინტენსიური კონსოლიდაციის ხანაა (რაც, ბუნებრივია, უფრო ადრეც მიმდინარეობდა). ამ დროს საბოლოოდ შედუღაბდა ქართული სუბეთნოსები *თანამედროვე ქართველ ნაციად*.

ზოგი, ალბათ, არ დაეთანხმება ამ „კრამოლურ აზრს": ისტორიის სახელმძღვანელოებმა ჩაუნერგეს მათ, რომ *ქართველი ერი*[1] XII საუკუნეშიც და კიდევ უფრო ადრე არსებობდა. სინამდვილეში, ასე დიდი ხნის წინ არ არსებობდნენ არც ფრანგი, არც ინგლისელი, არც გერმანელი, არც იტალიელი, არც რუსი, არც თურქი, არც ქართველი, არც სომეხი და არც სხვა *ერები* (ნაციები) *თანამედროვე გაგებით (ანუ ადამიანთა პოლიტიკურად შეკავშირებული ერთობლიობის მნიშვნელობით)*, თუმცა, გარკვეული პირობითობით, მათ ასეც იხსენიებენ ხოლმე. თანამედროვე ევროპულმა ერებმა (ნაციებმა) ბევრად უფრო გვიან დაიწყეს წარმოქმნა – XIV-XVIII საუკუნეებიდან. ეს მრავალსაუკუნოვანი და მტკივნეული პროცესი იყო და ევროპაშიც კი, მით უმეტეს აზიასა და აფრიკაში, ზოგან დამთავრებულიც არაა.

ეკონომიკური განვითარება და ეთნიკური კაპიტალი

საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის ურბანიზაციას აჩქარებდა *ეკონომიკური განვითარება*, თუმცა რეალური ინდუსტრიალიზაცია ჯერჯერობით არ ...დებოდა.

[1] ქართული სიტყვა „ერი" ისტორიულად აღნიშნავდა „*რიგითი ადამიანების კრებულს*" (აქედან *ერისკაცი*", განსხვავებით სოციალურად მასზე უფრო მაღლა მდგომი სასულიერო პირისაგან). *ერისთავი*" ნიშნავდა მოსახლეობის ტერიტორიული ჯგუფის სამხედრო-ადმინისტრაციულ ფროსს და არა „*ნაციონალურ ლიდერს*"! „*ერის*" ნაცვლად თანამედროვე ქართულში ვიყენებთ რაბული წარმოშობის სიტყვას – „*ხალხი*". „*ერისა*" და „*ნაციის*" (*natio* ლათინურადაც ხალხს ...შნავდა) სინონიმებად ქცევა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება.

სოციალურ-ეკონომიკური ძვრებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღმოჩნდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. 1872 წელს თბილისის – ფოთთან, 1883 წელს – ბათუმთან და ბაქოსთან *რკინიგზით* დაკავშირებამ, ხოლო 1902 წელს *ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელთან* ერევნის შეერთებამ ბოლო მოუღო კავკასიური პროვინციების იქამდე არსებულ კარჩაკეტილობას და ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციას საგუბერნიო ცენტრებისაკენ. 1900 წლიდან სამხრეთ კავკასია ბაქოს გავლით დაუკავშირდა დანარჩენი რუსეთის იმპერიის სარკინიგზო ქსელს, იქიდან კი – ევროპას (მეორე სარკინიგზო ხაზი, შავი ზღვის სანაპიროს გავლით, სამხრეთ კავკასიასა და ევროპულ რუსეთს მხოლოდ 1944 წლიდან დააკავშირებს).

ბაქოს გარშემო, აფშერონის ნახევარკუნძულზე, 1914 წელს არსებული ოთხი ათასი ჭაბურღილი რუსეთის ნავთობის მოპოვების 80 პროცენტს და მსოფლიო მოპოვების ნახევარს შეადგენდა. **პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს ბაქოს ნავთობსარეწების დაუფლება/შენარჩუნება მეომარი მხარეების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო.**

1897-1907 წლებში გაყვანილ იქნა მსოფლიოში პირველი, 835 კილომეტრი სიგრძის *მილსადენი ბაქოდან ბათუმამდე* ნავთის (კეროსინის) გადასაზიდად. ბათუმი მსოფლიო ოკეანეში ბაქოს გასასვლელად იქცა. მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეს ორი ქალაქი მსოფლიო გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაში ერთმანეთზე გადაჯაჭვული იქნება.

ბაქო კავკასიის მთავარი სამრეწველო ცენტრი გახდა. ინდუსტრიალიზაციის დონით თბილისი და ბათუმი მას საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. გაჩნდა მოპოვებითი მრეწველობის ცენტრებიც (ჭიათურა – მანგანუმის, ალავერდი – სპილენძის, ტყიბული – ქვანახშირის წყალობით).

სამხრეთ კავკასიის სხვა ქალაქებში კი მრეწველობა თითქმის არ იყო: ისინი ადგილობრივი მომსახურებისა და ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ბაქო კაპიტალის დაგროვების კარგ შანსს აძლევდა გაქნილ საქმოსანს იმის ხარჯზეც, რომ ადგილობრივი და რუსეთის სხვა გუბერნიებიდან მოსული მუშებისათვის უბადრუკი გასამრჯელოს გადახდა შეეძლო.

სხვებთან ერთად, უფრო სწორად, სხვებზე მეტად, *ბაქოში* გამდიდრდნენ ეროვნებით შვედი *რობერტ და ალფრედ ნობელები*, ებრაელი *როტშილდები*, სომხები – *მანთაშევი, მაილოვი, მირზოევი, პიტოევი, ღუკასოვი, არამიანცი* და მრავალი სხვა. ბაქოში მოიხვეჭეს სიმდიდრე ქართველებს შორის იშვიათმა წარმატებულმა ბიზნესმენებმა *ძმებმა ზუბალაშვილებმა* და *ხოშტარიამ*. ზუბალაშვილებმა დაგვიტოვეს თავისი სახსრებით აგებული დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი და ზოგი სხვა მშვენიერი შენობა თბილისში.

ერთი სომეხი მილიონერის გვარი თბილისელთათვის უკეთ უნდა იყოს ცნობილი: *მიხაილ იოსიფოვიჩ არამიანცმა* უკვდავყო თავისი სახელი თბილისის 1 კლინიკური საავადმყოფოთი, რომლის ერთ-ერთი პირველი შენობა მისი სახსრებით აიგო და 1910 წელს საზეიმოდ გაიხსნა. თუმცა მას შემდეგ იმავე ტერიტორიაზე მრავალი სხვა სამედიცინო დანიშნულების შენობა აიგო, ხალხი ამ საავადმყოფოს დღემდე „არამიანცს" უწოდებს. ნაკლებად ცნობილია, რომ 1915 წელს გახსნილი სასტუმრო „მაჟესტიკი" (შემდგომში – „თბილისი", ამჟამად „მერიოტ-თბილისი") ასევე არამიანცის სახსრებითაა აშენებული.

თბილისელი მოქალაქის *ისაი ეგოროვიჩ პიტოევის* სახსრებით 1901 წელს თბილისში აიგო „არტისტული საზოგადოების" მშვენიერი შენობა, რომელსაც 1921 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი ენოდა.

ქველმოქმედი იყო, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, „მსხვილი რუსი ოლიგარქი", თბილისელი სომეხი *ალექსანდრ ივანოვიჩ მანთაშევი*, რომელმაც ბაქოში ძალიან დიდი ფული დააგროვა. მის მემკვიდრეობას 30 მილიონ მანეთად აფასებდნენ, მაშინდელი რუსული მანეთი კი მსყიდველობითი უნარით დღევანდელ 30-35 ამერიკულ დოლარს უთანაბრდებოდა. მანთაშევის კაპიტალით აიგო ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის სასახლე – ეჩმიაწინში, სომხური ეკლესია – პარიზში, ნერსისიანის სემინარიის შენობა – თბილისში და სხვ. 1911 წელს პეტერბურგში გარდაცვლილი მანთაშევი მშობლიურ თბილისში ჩამოასვენეს და მეუღლის გვერდით დაკრძალეს ვანქის ტაძრის სასაფლაოზე. მისი რვა შვილი მატერიალურად თითქოს სამარადისოდ იყო უზრუნველყოფილი, თუმცა ერთი-ორი მათგანი მფლანგველი აღმოჩნდა. მალე რევოლუციაც მოხდა და ქონება თითქმის მთლიანად დაიკარგა. მანთაშევის შვილებიდან ზოგი პარიზში ტაქსის მძღოლად მუშაობდა. მისი საფლავი კი 1938 წელს საბჭოთა თბილისის რეკონსტრუქციას შეეწირა. Sic transit gloria mundi![7]

თბილისის მოსახლეობის 70 პროცენტს შეადგენდნენ ქართველები, რუსები, პოლონელები, გერმანელები, სპარსელები და სხვები, რომელთაც სომხებზე არანაკლები წვლილი მიუძღვით თბილისის აღმშენებლობაში. სომეხი მილიონერები კი საგანგებოდ იმიტომ ვახსენე, რომ მაშინდელ თბილისში ფინანსურად ისინი დომინირებდნენ და ბევრს იშენებდნენ კიდეც. ამას *აღვნიშნავ*, თორემ დღევანდელ სომხებს სწყინთ, როდესაც თბილისში მათი თანამემამულეების სამშენებლო ღვაწლს „არავინ ახსენებს".

XX საუკუნის დამდეგს ბაქოს ცენტრშიც ბევრი თვალსაჩინო შენობა იქვე გამდიდრებული სომეხი და სხვა ეროვნების კაპიტალისტთა სახსრებით აიგო. არა მგონია, მშენებლობის დამფინანსებლის გვარის უგულებელყოფა ვინმეს რაიმეს არგებდეს.

როდესაც რუსეთის იმპერიის მდიდარი სომხები თბილისსა თუ ბაქოში,

[7] ასე მიდის მინიერი დიდება (ლათ.)

დონის როსტოვსა თუ მოსკოვში იშენებდნენ სასახლეებს, ამას საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისათვის აკეთებდნენ: დიდ ქალაქში ცხოვრება უფრო კომფორტული იყო. მდიდარი ქველმოქმედი იქვე თეატრის შენობასაც ააგებდა, საავადმყოფოსაც და სემინარიასაც. სომეხი ბიზნესმენები სერიოზულ კაპიტალს აბანდებდნენ რუსეთის იმპერიის დიდი ქალაქების მშენებლობაში და საუკუნოდ აპირებდნენ იქ დამკვიდრებას. იმპერია მათ სამარადისოდ მიაჩნდათ. მათდა სამწუხაროდ, ეს „მარადისობა" სწრაფწარმავალი აღმოჩნდა!

თუ თავიდან სომხური ბურჟუაზიის სამშენებლო საქმიანობის ეთნიკური ნიშანი მეორეხარისხოვანი იყო, XIX საუკუნის ბოლოდან ეთნიკური საფუძველი წინა პლანზე გადმოდის. მანთაშევისა და სხვა სომეხი მეცენატების ქველმოქმედება კავკასიაში ხშირად სომეხი ინტელექტუალების მიერ ჩამოყალიბებული *ნაციონალური იდეით* (ამაზე ოდნავ ქვევით ვიტყვი) იყო ნაკარნახევი.

რუსეთის რევოლუციის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ სომეხი კაპიტალისტების უძრავი ქონება, რომლის წაღებაც შეუძლებელი იყო, სხვა ხალხების ეროვნულ ინტერესებს მოხმარდა.

ამაში არაფერია განსაკუთრებული. რომაული ამფითეატრები და აკვედუკები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, ევროპელი კოლონიზატორების მიერ აგებული შენობები ლათინურ ამერიკაში ახალი ეროვნული სახელმწიფოების კულტურულ მემკვიდრეობად იქცა. ჰაბსბურგთა იმპერიის დაშლის შემდეგ ავსტრიელთა მიერ მკვიდრად ნაგები ლამაზი შენობები უნგრეთის, რუმინეთის, უკრაინის, პოლონეთის, ხორვატიის, სლოვენიისა და სხვა ქვეყნების ქალაქების მშვენებად დარჩა და მათი მშენებლობის დამფინანსებლების სახელები ძირითადად მივიწყებას მიეცა.

ქართული ნაციონალური იდეა

„ნაციონალიზმს", ისევე, როგორც მის დერივატებს, მაგალითად, *„ნაციონალური იდეა"*, *„ნაციონალიზმი"*, *„ნაციონალისტი"* სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. წიგნში ამ ტერმინებს ნეიტრალური დატვირთვა ენიჭება. ყოველ შემთხვევაში, ეს დატვირთვა ნეგატიური არაა.

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა" რეალურად *„ნაციონალიზმის"* ევფემიზმია: საბჭოთა პერიოდში პირველს იყენებდნენ მოვლენისათვის პოზიტიური მნიშვნელობის, მეორეს კი – ნეგატიური მნიშვნელობის მისაცემად. წიგნში ამ ორ ტერმინს ზუსტ სინონიმებად ვიყენებ.

შუა საუკუნეების ადამიანთა ერთობას სარწმუნოება ადუღაბებდა, ხოლო მათი ლოიალობა უფრო მმართველი დინასტიის მიმართ იყო გამოხატული, ვიდრე იმ დროს ბუნდოვანი საზღვრების მქონე „სამშობლოს" მიმართ.

XVIII საუკუნის ბოლო დეკადებში ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში, აღმოცენებულმა ნაციონალურმა იდეამ, რომელიც *სამშობლოს* (*la patrie*) ცნებას უზენაეს მნიშვნელობას ანიჭებს, წარმოშვა „ეთნოტერიტორიული ნაციონალიზმი“: *„ეს მიწა ჩვენი სამშობლოა და ის წმიდათა წმიდაა!“* ცოტა ადრე მსგავსი იდეა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისურ კოლონიებში გაჩნდა, რომლებიც ინგლისის მეფეს აუჯანყდნენ და შეერთებული სახელმწიფოები (შტატები) შექმნეს. იგივე იდეა ასულდგმულებდა ამერიკის დამოუკიდებლობის ომის მონაწილე *ტადეუშ კოსციუშკოს*, რომელიც 1794 წელს მეთაურობდა პოლონეთის თავგანწირულ ბრძოლას რუსეთის იმპერიისა და პრუსიის სამეფოს წინააღმდეგ.

ევროპული ნაციონალიზმის გავლენით XIX საუკუნის ბოლო დეკადებში ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში თითქმის ერთდროულად და ზოგჯერ ერთმანეთთან დაპირისპირებისას ყალიბდება ებრაული, თურქული, არაბული, ირანული, სომხური, ქართული ნაციონალური იდეა. ყველა მათგანს ტერიტორიული განზომილება უჩნდება.

როდესაც ილია ჭავჭავაძე ევროპის „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევის“ გაგონებისას ნატრობდა:

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“

ის „მამულში“ სამშობლო-საქართველოს გულისხმობდა, რომელსაც თავისი ბორკილები ჰქონდა დასამტვრევი. *ეს ნაციონალური იდეის* ჩამოყალიბების დაწყებას მოასწავებდა.

მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა ან ხალხი, რომელსაც რაიმე ფორმით არ ჰქონდეს „ნაციონალური იდეა“ – ჩამოყალიბებული კონსენსუსი ეთნიკური ერთობის ძირეული ინტერესების შესახებ. ქართული ნაციონალური იდეა ილია ჭავჭავაძემ მოხევე ლელთ ღუნიას გამოათქმევინა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“.

ქართული ნაციონალური იდეა თანდათან ვრცელდებოდა ხალხში. მას მძლავრი ბიძგი მისცა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობამ 1887 წელს: მისი დაკრძალვა დიდ პოლიტიკურ მოვლენად იქცა. *არჩილ ჯორჯაძე* ამ შემთხვევის შესახებ1907 წელს წერდა:

> „ჭეშმარიტება და სიმართლე მწუხარებასა და ტანჯვაში იშვებიანო, რომ ამბობენ, სწორედ ჩვენზე და ჩვენს პირობებში მყოფ ერებზეა ნათქვამი. მწუხარებამ შეგვძინა ახალი ძალა, ახალი შემეცნება, ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობა... ეს შევიგენით ჩვენ, ხოლო ჩვენმა მტრებმაც შეიგნეს ჩვენი ამ შეგნების გზაზე დადგომა... ერთი საფეხურით წინ წავდექით, ჩვენდა მოულოდნელად ერთად ვიგრძნევით ჩვენი თავი, თვითშემცნე და თვითშემგნე ერად... ახლა ამ მოხუცის წყალობით, მთაწმინდაზე რომ მიწას

აბარია, გადაჭრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგან".

ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია რამდენიმე მომენტი, რაც ქართულ ნაციონალურ იდეას ემსახურებოდა: ქართველებმა მკაფიოდ დაინახეს მტრის ხატი – ეს რუსული დიდმპყრობელობა იყო; დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო, დაკრძალეს თბილისში, ქართველების დედაქალაქში; ყიფიანს სამარადისო განსასვენებელი მთაწმინდაზე მიუჩინეს, რომელიც ამიერიდან იქცა პანთეონად – წმინდა ადგილად ქართველებისათვის; პოლიტიკურ მობილიზაციას ემსახურებოდა ქართული მასმედია: იმ დროს ეს ძირითადად გაზეთი „ივერია" იყო, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ბეჭდავდა.

სხვათა შორის, ქართველმა კომუნისტებმა ფაქტობრივად შეუნარჩუნეს მთაწმინდას საკრალური მნიშვნელობა, როდესაც იქ დაკრძალეს რამდენიმე დიდი მწერალი და ხელოვანი. მართალია, პოლიტიკურმა კონიუნქტურამ მთაწმინდაზე მოახვედრა ზოგიერთი ოდიოზური ან შემთხვევითი ფიგურაც, მაგალითად, იოსებ ჯუღაშვილის დედა.

კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც „ნაციონალიზმს" მხოლოდ ნეგატიური გაგებით ახსენებდა, ამტკიცებდა, თითქოს ნაციონალიზმი დამახასიათებელია ბურჟუაზიისათვის, პროლეტარიატისათვის კი ის უცხოა. სინამდვილეში, ნაციონალური იდეა ჩნდება ინტელექტუალურ წრეებში და, განათლების გავრცელების კვალდაკვალ, ვრცელდება პროლეტარიატშიც, წვრილ ბურჟუაზიასა და გლეხობაშიც. ნაციონალიზმი შედარებით ნაკლებ პროდუქტიულია სწორედ მსხვილი კაპიტალისტისათვის: მას მხოლოდ მოგება სჭირდება და არა კონფრონტაცია სხვა ერების წარმომადგენლებთან, მისი აზრით, „ფუჭი დავისათვის", თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ტერიტორია.

XX საუკუნის დამდეგს ქართველებმა კარგად იცოდნენ, თუ რა არის მათი სამშობლო – საქართველო. განსაკუთრებით შეუწყო ხელი ასეთი ცოდნის გავრცელებას 1865 წლიდან მრავალჯერ გამოცემულმა იაკობ გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოებმა, რომლებითაც სულ უფრო მეტი ქართველი ბავშვი სწავლობდა. იქ კი მკაფიოდ იყო მითითებული, თუ რა არის „საქართველო" და ვინ არიან „ქართველები".

ქართული სახელმწიფოებრიობა სულ ასიოდე წლით ადრე შეწყდა და ერის ისტორიულ მეხსიერებაში რჩებოდა ინფორმაცია, თუ რას მოიცავდა საქართველოს ბირთვი – ქართლ-კახეთის სამეფო. ზოგმა ისიც იცოდა, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის იმპერია მის მფარველობაში შესული სამეფოს მიმართ ვალდებულებას იღებდა სხვა ქვეყნებთან ომის მოგების შემთხვევაში ძველი ქართული მიწები (იგულისხმებოდა სამცხე-საათაბაგო) შეეერთებინა. ლიხს გადაღმა ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი 1810 წლამდე იმერეთის ბაგრატიონთა სამფლობელო, ანუ ისიც საქართველო იყო. ქართვე-

ლი ერის ნაწილებად მიიჩნევდნენ თავს ყოფილი გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების მცხოვრებნიც (XX საუკუნის პირველ დეკადებში *ყველა აფხაზი* ასე არ ფიქრობდა).

1829 წელს რუსეთის იმპერიამ შეიერთა მესხეთ-ჯავახეთი, ხოლო 1878 წელს – აჭარა-ქობულეთი, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა-არტაანი, ტაოს ნაწილი. მრავალი საუკუნის შემდეგ ისტორიული ქართული მიწები კვლავ ერთი ხელმწიფის ხელქვეით გაერთიანდა. მართალია, ამჯერად ეს ხელმწიფე პეტერბურგში იჯდა და არა თბილისში და სამეფოც ქართული არ იყო, მაგრამ საერთო ქართული მენტალიტეტის აღსადგენად ერთ იმპერიაში ცხოვრება სასარგებლო გამოდგა.

1901 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი აღინიშნა. ქართული არისტოკრატიის ბევრი წარმომადგენელი სიხარულით შეხვდა იუბილეს, ლიბერალური ქართული პრესა კი ბევრად უფრო თავშეკავებული იყო ამ ისტორიული მოვლენის შეფასებისას. 1899 წელს ერთ-ერთ სტატიაში ილია ჭავჭავაძე ძალიან ტაქტიანად ცდილობდა ეპოვა ასი წლით ადრე, 1799 წელს, თბილისში რუსის ჯარის შემოსვლის (ეს კი საქართველოს ანექსიის პრელუდია იყო) დადებითი შედეგები და პოულობდა კიდეც. ამ უდიდეს პატრიოტსაც ესმოდა, რომ ცუდსაც სდევს რაღაც სიკეთე!

ისევე, როგორც ბევრ აზიურ და აფრიკულ კოლონიას მეტროპოლიებმა რაღაც პოზიტიური შესძინეს, იმპერიაში ყოფნით საქართველომაც ნახა სარგებელი: ქართული მიწები ერთ სახელმწიფოში გაერთიანდა, საზოგადოების მოდერნიზაციისა და ვესტერნიზაციის პროცესები დაჩქარდა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს შეერთება რუსეთთან ძირითადად მშვიდობიანად მოხდა, რაც იმით აიხსნება, რომ იმჟამად სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველოს საგარეო მტრები (სპარსეთი, ოსმალეთი, ჩრდილო კავკასიელი მთიელები) რუსეთის მტრებიც აღმოჩნდნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს იმდროინდელი *გეოპოლიტიკური კოდი* ნაწილობრივ დაემთხვა რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკურ კოდს კავკასიასთან მიმართებაით. მსოფლიო ისტორიაში ასეთი დამთხვევა არცთუ იშვიათი მოვლენაა, მაგრამ ეს როდი მოასწავებს ქვეყნების ინტერესების სამარადისო მსგავსებას.

ახალი მიწების დაპყრობისას ყველა იმპერიის პროპაგანდისტული გზავნილია „წესრიგის დამყარება ადრე ცუდად მართულ ტერიტორიაზე", ზოგჯერ – „ჭეშმარიტი სარწმუნოების დანერგვა" დაპყრობილ მიწაზე.

რუსული იმპერიული მესიანიზმიც გულისხმობდა, რომ ის „ცივილიზატორის როლს" ასრულებს ყველა შემოერთებულ მიწაზე, „მოაქვს მშვიდობა და წესრიგი", რომ მისი ხელმწიფის ხელქვეით აღმოჩენილ „ყველა ტომს ეძლევა ფიზიკური გადარჩენის საშუალება". ზოგი რუსი მეცნიერი და მწერალი იმასაც

ამტკიცებს, თითქოს რუსეთი ლამის საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მოვიდა კავკასიაში „ერთმორწმუნე ქართველების მონვევითა და მათ გადასარჩენად"!

ყველანაირი იმპერიული მესიანიზმი მითებს უფრო ეფუძნება, ვიდრე რეალობას, თუნდაც ზემოთ მოყვანილი ლოზუნგები ნაწილობრივ სიმართლეს შეესაბამებოდეს. არც ერთი იმპერია არც ერთ შემოერთებულ ქვეყანას არ ამზადებს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. ეს, მით უმეტეს, აშკარა იყო რუსეთის იმპერიის შემთხვევაში, რომელიც განსხვავებით ევროპული იმპერიებისაგან, რომელთაც კოლონიები ზღვების გადაღმა ჰქონდათ (ანუ „მეტროპოლიას იმპერია ჰქონდა"), ფართოვდებოდა მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე, ანუ აფართოებდა „ერთიან და განუყოფელ წმინდა რუსეთს" (единая и неделимая Святая Русь). ეს ტერიტორიები რუსეთის „ორგანულ ნაწილად" აღიქმებოდა. რუსეთს იმპერია კი არ ჰქონდა, არამედ ის თვითონ იყო იმპერია!

მეტროპოლიისა და კოლონიის ნაციონალური ინტერესების დაპირისპირება რაღაც ეტაპზე გარდაუვალი ხდება. თუკი XIX საუკუნის შუაგულში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს (შემდგომში – პრემიერ-მინისტრს) *ლორდ პალმერსტონს* შეეძლო ეთქვა, რომ მის ქვეყანას *„არა ჰყავს მუდმივი მტრები ან მუდმივი მოკავშირეები, მაგრამ აქვს მუდმივი ინტერესები"*, სხვა ქვეყნებში, მათ შორის იმპერიის მიერ ანექსირებულშიც, შეიძლებოდა იგივე ეთქვათ და მათი „მუდმივი ინტერესების" სასარგებლოდ იქაც მომხდარიყო *გეოპოლიტიკური ძვრა*. პატარა ქვეყნისათვის ეს ძვრა ჩვეულებრივ ნიშნავს ხოლმე პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას სხვა ძლიერ მოკავშირეზე.

ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს შემთხვევაში ასეთი *გეოპოლიტიკური ძვრა* ორჯერ მოხდა: ჯერ ქრისტიანობის მიღებისას და შემდეგ ქრისტიანობის ქალკედონური (დიოფიზიტური) მიმართულების დამკვიდრებისას. ორივეჯერ ეს იყო *პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა აღმოსავლეთიდან* (სასანიანთა ირანიდან) *დასავლეთ ზე* (აღმოსავლეთ რომის იმპერიაზე, იმავე „ბიზანტიაზე"). მაგრამ ეს არც „კონსტანტინოპოლთან სამარადისო ძმობასა და მეგობრობას" ნიშნავდა.

XX საუკუნის ბოლოს და, განსაკუთრებით, XXI საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთიდან წამოსროლილი დაყვედრება ქართველების (აგრეთვე უკრაინელების, აზერბაიჯანელებისა და სხვების) მიმართ – *„ჩვენ გადაგარჩინეთ, ჩვენ გაგაერთიანეთ, თქვე უმადურებო, თქვენ კი სხვა მხარეს იწევთ!"* – სრულებით უსამართლოა. გამოდის, თითქოს იმპერიას საკუთარი ტერიტორიის გაფართოებისას მხოლოდ ალტრუიზმი ამოძრავებდა.

სინამდვილეში, იმპერიული ექსპანსიისას პეტერბურგს საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური გეგმები ჰქონდა. მისი არც პოლიტიკური და არც კულტურული ელიტის მიზანი სულაც არ იყო ქართველების ან რომელიმე სხვა ეთნიკური უმცირესობის ეროვნული კონსოლიდაცია და

მისი მომზადება დამოუკიდებლობისათვის. იმპერია საკუთარი თავისთვის ზრუნავდა, მაგრამ შედეგად სულ სხვა რამ მიიღო.

არც სხვა იმპერიები გეგმავდნენ მექსიკელი, ინდოელი, ინდონეზიელი, ალჟირელი და სხვა ერების (ნაციების) შექმნას. ეს *ნაციები* კი, და მრავალი სხვაც, სწორედ იმპერიების წიაღში ჩამოყალიბდა, რაც ისტორიული გარდაუვალობა იყო. ასეთი შედეგი ევროპელმა კოლონიზატორებმა *თავისდა უნებურად* მიიღეს ლათინურ ამერიკაში, ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში და სხვაგან.

რაც შეგვეხება ქართველებს, ჩვენ, ალბათ, არ უნდა დაგვენანოს მადლიერების გამოხატვა აწ არარსებული რუსეთის იმპერიის მიმართ იმის გამო, რომ *საკუთარი სურვილის წინააღმდეგ* მან ხელი შეუწყო ჩვენს ეროვნულ-ტერიტორიულ კონსოლიდაციას.

ამიტომაც, დიდი მადლობა და მშვიდობით!

იმპერიის სამართალმემკვიდრისაგან კი ჩვენ არ ველით რაიმე მადლობას იმ წვლილისათვის, რაც რუსეთის/საბჭოთა იმპერიის მშენებლობაში შეიტანეს ეთნიკურმა ქართველებმა: ეს მადლობა არც გვჭირდება, რადგან მათი უმეტესობა უსამართლო საქმეს ემსახურა!

ინდოელებმა, ალჟირელებმა, სომხებმა, უკრაინელებმა, აზერბაიჯანელებმა და სხვებმა თვითონ გადაწყვიტონ, თუ რას ეტყვიან შესაბამის იმპერიებს.

საქართველო საკმაოდ კარგად იყო შემოხაზული. ის პრაქტიკულად მთლიანად შედიოდა რუსეთის იმპერიაში და მოიცავდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის ოლქს და სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებს, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდა ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა. შუა საუკუნეების საქართველო მოიცავდა ყარსის ოლქის დასავლეთ ნაწილსაც, რომელიც 1878 წლიდან ასევე შედიოდა რუსეთის იმპერიაში. შუა საუკუნეების ქართველი მეფე-მთავრები უფრო სამხრეთით მდებარე მიწებსაც ფლობდნენ, მაგრამ XIX-XX საუკუნეებში მათზე პრეტენზია არ სცდებოდა პოეტური ოცნებების სფეროს.

მიუხედავად *ნაციონალური იდეის – საქართველოს დამოუკიდებლობის მილწევის* – ნელი გავრცელებისა, იმდროინდელი ქართველების საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით თავადაზნაურობა (ამ უკანასკნელთა „თეატრალურ ეთნიკურობას" – კურტუაზულ ქცევას, ქეიფის წესებს, ჯირითს, სიმღერას, ცეკვას – პეტერბურგი თავისებურ ეთნოგრაფიულ ფენომენად მიიჩნევდა), ხელმწიფე-იმპერატორის ლოიალური ქვეშევრდომი იყო.

საქმე ისაა, რომ ნებისმიერი წარმოშობის, თუნდაც არაგაბატონებული ერის, არისტოკრატია იმპერიაში პრივილეგირებულ კლასს წარმოადგენს, ეთნიკურ დისკრიმინაციას ის ჩვეულებრივ ვერ გრძნობს ხოლმე: *არისტოკრატიისათვის ბატონი არის არა სხვა ეთნოსი, არამედ უშუალოდ ხელმ-*

წიფე, რომლის ეთნიკურ წარმოშობას მნიშვნელობა არა აქვს. ასე იყო რუსეთის იმპერიაში. იგივე ითქმის ავსტრია-უნგრეთზეც, სადაც პოლონური თუ ჩეხური არისტოკრატია ჰაბსბურგთა დინასტიის ერთგულ დასაყრდენს წარმოადგენდა. ასეთი *„ელიტური ინტერნაციონალური ლოიალობა“* ყველა იმპერიის მდგრადობისათვის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია.

სამაგიეროდ, ეთნიკურ დისკრიმინაციას ნათლად გრძნობენ რიგითი ადამიანები, რომლებიც არ განეკუთვნებიან გაბატონებულ ეთნოსს/ეთნოსებს. რუსეთის იმპერიის შემთხვევაში ესენი იყვნენ *არარუსები*, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემთხვევაში – *არაგერმანელები* და *არაუნგრელები*, ანუ სამხრეთ და დასავლეთ სლავები (მათ შორის შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში პოლონელები იყვნენ), რუმინელები და სხვ.

განსაკუთრებით მგრძნობიარე ასეთი დისკრიმინაციის მიმართ არიან ხოლმე ინტელექტუალური წრეები. ხანდახან ისინი ხელოვნურად აზვიადებენ კიდეც ამ ფაქტს საკუთარი ეთნოსის *ნაციონალური მობილიზაციის* მიზნით.

ქართული ინტელიგენცია სულ უფრო ხშირად მსჯელობდა იმპერიის შემადგენლობაში მთელი საქართველოსათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების აუცილებლობაზე. იყო ლაპარაკი პროტექტორატის აღდგენაზეც, თუკი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს გაიხსენებდნენ, რომელიც პეტერბურგმა ცალმხრივად გააუქმა 1801 წელს.

იმპერიის მოხელეთა თვალსაზრისით, უფრო „სეპარატისტულად“ ქუთაისის გუბერნიის ქართველები იყვნენ განწყობილი, თუმცა რაიმე პოლიტიკურ ქმედებას ამ მიმართულებით ისინი არ ახდენდნენ და ლეგალურად ვერც მოახდენდნენ. იმპერია ჯერაც თვითმპყრობელური იყო. ქვეშევრდომებისათვის შეზღუდული კონსტიტუციის ბოძების განზრახვას, სამოქალაქო თავისუფლებებით, პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაციითურთ, იმპერატორი *ნიკოლაი* (ნიკოლოზ) II 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოაცხადებს, ისიც იმის გამო, რომ რუსეთი დამარცხდება იაპონიასთან ომში, ხოლო მარად უკმაყოფილო ელემენტი, რომელიც რეჟიმის სისუსტეს იგრძნობს, ქვეყანაში რევოლუციას წამოიწყებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნის დამდეგს რუსეთიდან *სეცესიაზე* (გამოყოფაზე) ქართველებიცა და სამხრეთ კავკასიის სხვა ხალხებიც ნაკლებად ფიქრობდნენ. საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე იმ დროს ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობდა, თუმცა ნათელი იყო, რომ ეს თემა გაჩნდებოდა და ძალიან მალე ასეც მოხდა.

ამასთან, ქართველებს შორის ყველაზე გავლენიან პარტიაში – *სოციალ-დემოკრატიულში* – ამ თემას ტაბუ ედო: პარტიის ქართველი წევრები ინტერნაციონალიზმსა და რუსეთთან ერთად (ანუ რუსეთში!) ყოფნაზე დებდნენ თავს 1918 წლის 26 მაისამდე, როდესაც თვითონვე გამოაცხადებენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

1907 წელს მკვლელებმა, ნაქეზებულებმა, როგორც ბევრი ფიქრობდა, სოციალ-დემოკრატების მიერ (ზოგიერთი მკვლევარი მკვლელებადაც ამ პარტიის წევრებს მოიაზრებს), მოკლეს ილია ჭავჭავაძე და ამით სცადეს ქართული ეროვნული მოძრაობის შეფერხება. ქართველობისათვის ეს უდიდესი დანაკარგი იყო.

მაგრამ *ნაციონალური იდეა* ხალხში უკვე გამჯდარი იყო. ილიას მოკვლა არ ნიშნავდა ქართველი ერის სრულ დემორალიზაციას. ჩვენმა მტრებმა მიზანს ვერ მიაღწიეს.

სომხური ნაციონალური იდეა

სომხების მკაფიო გამიჯვნა „სხვებისაგან" საკმაოდ ადრე დაიწყო. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ სომხები ქრისტიანობის *ექსკლუზიურ მიმართულებას* მისდევენ.

დასავლეთ ევროპისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ეთნოსების სულებზე დიდხანს ბატონობდა *ზეეროვნული კათოლიკური ეკლესია*, ცენტრით რომში. დღემდე არგენტინელ, ფილიპინელ თუ ავსტრიელ კათოლიკეს საერთო ტაძარში შეუძლია ილოცოს.

კათოლიციზმს გამოყოფილი *პროტესტანტული ეკლესიები* ასევე ზეეროვნულია. ასე მაგალითად, *ბაპტისტი* ან *ანგლიკანი* ინგლისელიც შეიძლება იყოს, ამერიკელიც, ზამბიელიც და ავსტრალიელიც; *ლუთერანობა* გერმანიის გარეთ (სადაც ის წარმოიშვა), გავრცელებულია სკანდინავიელებს, ესტონელებს, ფინელებს, ლატვიელებს შორისაც.

ბიზანტიის [აღმოსავლეთ რომის] ძველი კულტურული გავლენის სფეროში *ზეეროვნული მართლმადიდებლობა* ბატონობს. რუს თუ ბერძენ, რუმინელ თუ უკრაინელ, ბულგარელ თუ ალბანელ, სერბ თუ ქართველ მართლმადიდებელს ერთ ტაძარში, თუნდაც სხვადასხვა ენაზე, შეუძლია ილოცოს. ქართველები ექსკლუზიურ ქრისტიანულ მიმართულებას არ მივდევთ, თუნდაც ზოგიერთი ასეთად *მართლმადიდებლობას* მიიჩნევდეს. თბილისში ზის *„სრულიად საქართველოს* (და არა „ყოველთა ქართველთა") *კათოლიკოს-პატრიარქი*" და მისი სამწყსო ქართველებთან ერთად მოიცავს საქართველოში მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელ რუსს, ოსს, აფხაზს, ბერძენს და სხვას.

სომხების სულიერი მოძღვარი კი იყო და დღემდე არის *სომხური სამოციქულო ეკლესია*, რომლის მეთაურია ეჩმიაწინში მყოფი *„ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი*". ეს ეკლესია მხოლოდ ერთ ერს ემსახურება და რელიგიურზე არანაკლებ ეროვნული იდეით კვებავს მრევლის სულს. ამ ეკლესიის ნაციონალური ხასიათი ჩანს იქიდანაც, რომ კათოლიკოსის არჩევაში სასულიერო

პირებთან ერთად მონაწილეობენ საერო პირებიც (მხოლოდ გრიგორიანობის მიმდევარი სომხები): ამ მიზნით დელეგატებს სომხური თემები მთელ მსოფლიოში ირჩევენ.

სომხების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელიც ქრისტიანობის *არაქალკედონურ* (ე.წ. მონოფიზიტურ) მიმართულებას მისდევს, საკუთარი საეკლესიო შენობა სჭირდება, რომელსაც ააგებენ იქ, სადაც მათი თემი მეტ-ნაკლებად დიდი გახდება. *ეკლესია* ფიზიკურად კრებს და აახლოვებს სომხებს. მცირერიცხოვანი კათოლიკე, მართლმადიდებელი [ქალკედონიტი] და პროტესტანტი სომხები უფრო გვიან გაჩნდნენ.

შუა საუკუნეების ქართველი მართლმადიდებლისათვის *გრიგორიანობა ზე*[8] გადასული თანამემამულე, მას ქართულის გარდა სხვა ენა რომც არ სცოდნოდა, „სომეხი" ხდებოდა. იმავე პერიოდის სამხრეთ კავკასიაში მართლმადიდებლობაზე მოქცეული სომეხი „ქართველი" ხდებოდა, რადგან სხვა მართლმადიდებელი ახლომახლო არავინ სახლობდა: ბიზანტია XI საუკუნის ბოლოდან მეზობელი აღარ იყო, ტრაპიზონის იმპერია XV საუკუნეში დაეცა, რუსები კი მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს მოვლენ. *სომეხი ქალკედონიტები*, ანუ დიოფიზიტური მართლმადიდებლობის სომხურენოვანი მიმდევრები, „ქართველებად" აღიქმებოდნენ დანარჩენ სომხებშიცა და ქართველებშიც. ბევრი მათგანი შეერწყა კიდეც ქართველობას.

სომხების ნაციონალური განვითარების თავისებურებას ქმნიდა ისიც, რომ ისინი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შერეულად ცხოვრობდნენ სხვა ეთნოსებს შორის. სომხები ხშირად ითავისებდნენ დომინანტი ეთნოსის ენას (ვთქვათ, თბილისში ოჯახშიც კი ქართულად ლაპარაკობდნენ, მოსკოვში – რუსულად, სტამბოლში – თურქულად, ისფაჰანში – სპარსულად), მაგრამ სხვა ეთნოსს ნაკლებად ერწყმოდნენ, თუკი სარწმუნოებას არ შეიცვლიდნენ.

სომხების *გაფანტულობას* (ბერძნულად – *„დიასპორა"*, სომხურად – *„სფიურქ"*), სხვადასხვა პოლიტიკურ მიზეზთან ერთად, განაპირობებდა ისიც, რომ ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში მათ მომგებიანი ეკონომიკური ნიშის დაკავება მოახერხეს. გარდა იმისა, რომ მუყაითი გლეხობა ჰყავდათ, მათ შორის მრავლად იყო კარგი ხელოსანი, წარმატებული ვაჭარი. რადგან ხელოსანი და ვაჭარი ყველგანაა საჭირო, სომხებმა, ყოველგვარი „გარეშე ბიძგის" გარეშე, წაიწიეს სტამბოლისა და შუა ანატოლიის, სპარსეთის, სირიის,

[8] „გრიგორიანი" თვითსახელი არაა: სხვები უწოდებენ ასე სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრებს მათი განმანათლებლის, გრიგორ პართევის სახელის მიხედვით. გრიგორიანები თავს „მართლმადიდებლებად" მიიჩნევენ და რათა განასხვაონ თავი „დიოფიზიტი" (მათ შორის ქართველი) მართლმადიდებლებისაგან, ამ უკანასკნელთ „ქალკედონიტებად" მოიხსენიებენ. ეს სახელი მომდინარეობს 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრებიდან, რომელმაც დოგმად ცნო იესო ქრისტეს ორბუნებიანობა. ქალკედონის კრების დადგენილებას გრიგორიანი სომხები არ ცნობენ და ამიტომ სხვები მათ „მონოფიზიტებად" მოიხსენიებენ.

ბალკანეთის, კავკასიის, სამხრეთ რუსეთის, პოლონეთის ქალაქებისაკენ და შექმნეს იქ ეთნორელიგიურად კარჩაკეტილი, მდიდარი ეკონომიკური ელიტა.

XVIII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში იმპერიული რუსეთის ექსპანსიის კვალდაკვალ (ხანდახან რუსების დამკვიდრებამდეც კი) სომეხმა მოახალშენეებმა დააარსეს ან ძირითადად დაასახლეს რამდენიმე ქალაქი, მათ შორის *არმავირი, ყიზლარი, სურბ ხაჩი* (დღევანდელი *ბუდიონოვსკი*), *ნორ ნახიჯევანი* (დღევანდელი *დონის როსტოვის* ნაწილი) და სხვ.

მელიქ-შაჰნა ზარიანის ცნობით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერიის მრეწველობის 25 პროცენტს და შიდა ვაჭრობის 60 პროცენტს სომხური კაპიტალი აკონტროლებდა. ეს ფაქტი ორლესულ მახვილს ჰგავდა: ის სომხების ეკონომიკური გავლენის ზრდასაც ნიშნავდა და მუსლიმების ნეგატიურ განწყობასაც მოასწავებდა.

იმ ტერიტორიაზე, სადაც სომხები უმრავლესობას ქმნიდნენ, სხვა ეთნოსის წარმომადგენლისათვის ფუნქციური ადგილი აღარ რჩებოდა: სომხებმა თითქმის ყველაფრის კეთება იცოდნენ!

შუა საუკუნეებში, ისევე როგორც დღესაც, არ არსებობდნენ „სომეხი ებრაელები"[9] (ანუ სომხურენოვანი იუდეველები). საქმე ისაა, რომ *შუა საუკუნეების ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში „ებრაელობა" ისევე აღიქმებოდა „რჯულად", როგორც „ფუნქციად"* და ეს ფუნქცია იყო ვაჭრობა/ხელოსნობა/მევახშეობა. სომხების განსახლების არეალში კი *„ებრაელის ფუნქცია"* ვაკანტური არ იყო: სომხები ამ ფუნქციასაც წარმატებით ითავსებდნენ.

ალბათ, სომხების ტრადიციული მრავალფუნქციობა *ერთ-ერთი* ფაქტორია იმისა, რომ დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ყველაზე ჰომოგენური სახელმწიფოა: ამჟამად მისი მოსახლეობის 97 პროცენტზე მეტი ეთნიკური სომეხია.

მუსლიმი და ქრისტიანი ხელმწიფეები სომეხ ვაჭრებსა და ხელოსნებს საგანგებოდ იწვევდნენ და თავიანთ ქალაქებში ასახლებდნენ. XVII საუკუნის დამდეგს სპარსეთის შაჰმა აბას I-მა მდინარე არაქსის ხეობიდან და არარატის დაბლობიდან, სადაც სომხების განსახლება ორ ათასწლეულზე მეტ ხანს ითვლიდა, ძალით აყარა ისინი და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების მიზნით სპარსეთის ქალაქებში დაასახლა. ქალაქ *ჯულფადან* (მისი სომხური სახელია *ჯულა*) წამოყვანილ სომხებს შაჰ-აბასმა საკუთარ დედაქალაქ ისფაჰანთან მიუჩინა ადგილი (მას დღემდე *ნოუ ჯოლფას* – „ახალ ჯულფას" – უწოდებენ) და პირადად მფარველობდა. სომეხმა სოვდაგრებმა სეფიანთა სპარსეთის

[9] სომხეთის რესპუბლიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, სიუნიქში (ქართულ წყაროებში ამ ოლქს „სივნეთად" მოიხსენიებენ), სულ ბოლო წლებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს შუა საუკუნეების საკმაოდ ვრცელი ებრაული სასაფლაო, რაც იმას მოწმობს, რომ იქ მათი თემი ცხოვრობდა. სავარაუდოა, ებრაელები საქართველოდან ლტოლვილ ორბელთა ფეოდალურ საგვარეულოს გაჰყვნენ, რომელიც სიუნიქის სწორედ იმ ადგილზე დამკვიდრებული ჩანს.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზაცია მოახდინეს და ბევრი მათგანი ძალიან გამდიდრდა.

სამხრეთ კავკასიაში სომხების ძველი განსახლების დაცარიელებული არეალი, სადაც სპარსეთის შაჰებმა ერევნისა და ნახჭევნის სახანოები შექმნეს, შეავსეს ისლამის შიიტური მიმართულების მიმდევარმა თიურქულენოვანმა ტომებმა (ახლა მათ აზერბაიჯანელებად ვიცნობთ). როდესაც 1828 წელს ეს სახანოები რუსეთის იმპერიამ შეიერთა, იქ 100 ათასზე ნაკლებ მცხოვრებში სულ 25 ათასი სომეხი იყო, დანარჩენი – მუსლიმი. რუსეთის იმპერიამ ამ დემოგრაფიული შეფარდების შეცვლა დაიწყო და ანექსირებულ ყოფილ სახანოებში 1828-1829 წლებში ჩაასახლა 45 ათასამდე სომეხი ჩრდილოეთ და დასავლეთ სპარსეთის მაქუს, მარაღას, სალმასთის, ურმიას, ხოის რაიონებიდან. ამ გადასახლებას უძღვებოდა რუსეთის ელჩი თეირანში *ალექსანდრ გრიბოედოვი*, რუსეთის სამსახურში მყოფი ერთი ქართველი თავადის სიძე.

1829 წელს რუსეთის იმპერიამ ოსმალეთისაგან შემოერთებულ *მესხეთ-ჯავახეთშიც* სომხები დაასახლა. სომხები იქ გადმოსახლდნენ ოსმალეთის იმპერიის *ერზურუმის ეიალეთიდან*[10].

ვ. ფარსამიანის გამოთვლით, 1820-1830-იანი წლების მიჯნაზე რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში 140 ათასამდე სომეხი მიიღო, რამაც მკვეთრად შეცვალა რეგიონის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა. ახალდაპყრობილი, ცოტა ხნით ადრე ისლამური ქვეყნების ხელში მყოფი მიწების შემოსამტკიცებლად პეტერბურგს იმ დროს ეს *აქტიური ქრისტიანული ელემენტი* ერჩივნა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგი ბევრად მეტი ეჭვით უყურებდა იმავე *აქტიურ ელემენტს*, რომელსაც, მისი აზრით, იმპერიისათვის სახიფათო ნაციონალური იდეა და დიდი გეოპოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა.

თითქოსდა ამ ამბიციების დასაოკებლად კავკასიის მთავარმმართებლის *გრიგორი სერგეევიჩ გოლიცინისა* და სხვა მოხელეების ინიციატივით 1903 წლის 12 ივნისს პეტერბურგში გამოიცა უზენაესი ბრძანებულება სომხური ეკლესიის ქონების კონფისკაციის შესახებ. კანონის აღსრულებას სომხების აბობოქრება მოჰყვა. კოჯრის გზაზე მიმავალი თავადი გოლიცინი მძიმედ დაჭრეს სომეხმა ტერორისტებმა, სოციალ-დემოკრატიული პარტია „ჰნჩაკ"-ის წევრებმა. ორიოდე წლის შემდეგ სომხურ სამოციქულო ეკლესიას რუსეთის იმპერატორმა ქონებაც დაუბრუნა და სომხურ ენაზე განათლების მიცემის უფლებაც აღუდგინა.

ამავე დროს, გრძელდებოდა *კავკასიის ეკონომიკურ მაღლობებზე სომხური*

[10] 1864 წლის ადმინისტრაციული რეფორმით ოსმალეთის დიდი პროვინციები, „*ეიალეთ*"-ები, დაიშალა საშუალო ზომის გუბერნიებად, „*ვილაიეთ*"-ებად, რომელთაც თურქეთის რესპუბლიკაში „*ილ*"-ები დაერქვათ.

ბურჟუაზიის გაბატონების პროცესი. 1850-60-იანი წლებიდან თბილისის მდიდარი სომხური ბურჟუაზია მამულებს ყიდულობდა გაღატაკებული ქართული თავადაზნაურობისგან: ეს უკანასკნელი თავისივე ბედოვლათობისა და უსაქმურობის გამო სათანადოდ ვერ იყენებდა მიწას და ხშირად აგირავებდა მას. XX საუკუნის დასაწყისში განვითარების ტენდენცია ისეთი იყო, რომ ტფილისის გუბერნიის ქართველი გლეხობის უმეტესობა 20-30 წელიწადში სომხური ბურჟუაზიისა ან საიმპერიო ხაზინის კუთვნილ მიწაზე მოიჯარადრედ იქცეოდა.

ეკონომიკური თეორიების თანახმად, ზემოხსენებული ტენდენცია სავსებით შეესაბამება კაპიტალისტური განვითარების პროცესს: *მიწის კონცენტრაცია ბურჟუაზიის ხელში ხდება, რომელიც მოგების მისაღებად გამოიყენებს მას.* შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ფეოდალ-მემამულეთა კლასი, რომელსაც წესად აქვს დროსტარებაში ქონების გაფლანგვა, თანდათან ანაქრონიზმად იქცევა და უნდა გარდაიქმნას კაპიტალისტ-ფერმერებად, ანდა საერთოდ გადაშენდეს.

მაგრამ სამხრეთ კავკასიაში ეს ეკონომიკური ტენდენცია სახიფათო ეთნიკურ შეფერილობას იძენდა. 1875 წლიდან არსებული ტფილისის გუბერნიის *„სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი“*, რომელიც მოწოდებული იყო შეემსუბუქებინა ეს პროცესი, არ იყო საკმარისი ქართველების ხელიდან სხვა ეთნიკური ელემენტის ხელში სასოფლო-სამეურნეო მიწის გადანაცვლების სრულად შესაჩერებლად. ადრე თუ გვიან, ამ ეკონომიკურ პროცესს ეთნო-პოლიტიკური გართულება უნდა მოჰყოლოდა.

ანალოგიურ პროცესს ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში თან სდევდა სისხლიანი გარჩევები, კაცისკვლა და დამნაშავეთა, ძირითადად, აზერბაიჯანელთა, „გაციმბირება“ (ციმბირში საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნა).

რეგიონის ეთნოსებს შორის სომხებში ყველაზე სრულყოფილად ხორციელდებოდა პოლიტოლოგებისათვის ცნობილი ე.წ. *„ინსტრუმენტული მიდგომა“*, რომლის თანახმადაც ელიტები იყენებენ ეთნიკურ სოლიდარობას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და, ამავე დროს, პოლიტიკური მობილიზაციის პროცესში, ამწვავებენ ჯგუფის ეთნიკურ თვითშეგნებას ანუ, განუმარტავენ უბრალო ხალხს მათ *განსხვავებულობასა* და *უპირატესობას სხვებზე.*

სომხებმა იცოდნენ, თუ რას უნდა მოიცავდეს მათი სამშობლო – ჰაიასტანი. XIX საუკუნიდან, უფრო მისი მეორე ნახევრიდან, სომხური ინტელექტუალური ელიტა – მწერლები და ისტორიკოსები – დიდი რუდუნებით ამკვიდრებდა მითოლოგიას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო იმ *ნაციონალური იდეის* საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრება, რომ *სომხეთი ისეთსავე ქვეყნად უნდა აღმდგარიყო, როგორიც ხანმოკლე დროით არსებობდა ორი ათასწლეულით ადრე, მეფე ტიგრან II დიდის დროს.*

სომხური ელიტის აზრით, რაც სახალხო განათლების გაფართოებასთან ერთად მალე ყველა სომხისათვის აბსოლუტურ ჭეშმარიტებად იქცა, მომავალ

„დიდ სომხეთს" უნდა მოეცვა ყველა ის მიწა, რომელიც „ორი ათასი წლის წინათ ტიგრან დიდის სამეფოში შედიოდა". ეს უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიაში შემავალი სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი (მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე), ოსმალეთის იმპერიის ყველა აღმოსავლური და ზოგი ცენტრალური ვილაიეთი და ჩრდილოეთ სპარსეთის საგრძნობი ნაწილი. ზოგი პოეტისა და მეცნიერის მაქსიმალისტური მიდგომით, ისტორიული სომხეთი ხმელთაშუა ზღვაზეც გადიოდა და მას განეკუთვნებოდა *კილიკიაც* (თურქეთის რესპუბლიკის ადანის ილი), სადაც სომხური ეთნიკური ელემენტი XI საუკუნიდან მომრავლდა და იქ 1375 წლამდე არსებულ სამეფო-სამთავროებს სომხური წარმოშობის დინასტიებიც მართავდნენ.

სწორედ ასეთი „ფართო ინტერესები" უქმნიდა (ან მალე შეუქმნიდა) სომხებს დიდ პრობლემას.

სომეხი მილიონერები იშენებდნენ სასახლეებს თბილისში, ბაქოში, ლვოვში, როსტოვში, კონსტანტინოპოლში და სხვაგან; მდიდარი მეცენატები ზემოხსენებულ და მრავალ სხვა ქალაქშიც აშენებდნენ საავადმყოფოებს, თეატრებს, სომხურ სასულიერო სემინარიებსა და კულტურულ ცენტრებს[11].

მაგრამ იმავე (და სხვა) ქალაქებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხები თანაცხოვრობდნენ სხვა, რაოდენობრივად არანაკლებ ეთნოსებთან, რომლებიც ქალაქს თავისად მიიჩნევდნენ. მაგალითად, თბილისს თავისად მიიჩნევდნენ ქართველები (ამას ბევრი სომეხი სცნობდა კიდეც), კონსტანტინოპოლს – თურქები, როსტოვს – რუსები, ლვოვს – პოლონელები და უკრაინელები, ბაქოს – აზერბაიჯანელები და ა. შ. ამის გამო სომხები თითქმის ყველგან აწყდებოდნენ (ან მალე წააწყდებოდნენ) დაპირისპირებას ეთნიკურ ნიადაგზე. კონფლიქტებში მონაწილეობდნენ პოლიტიზებული სომეხი რევოლუციონერები, ზარალდებოდა არაპოლიტიზებული სომხური მოსახლეობა.

XIX საუკუნის ბოლოდან პარტია *„სომეხთა რევოლუციური ფედერაცია – დაშნაკცუთიუნი"* (მასზე მე-8 თავში მეტია ნათქვამი) სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში (მისთვის ეს *დასავლეთ სომხეთი* იყო). ერზურუმის, ვანის, მუშის, ბითლისის ვილაიეთებში პრაქტიკულად გამუდმებით მიმდინარეობდა *რევოლუციონერების*, იმავე *„ჰაიდუკების"*, იმავე *„ფიდაი"*-ების (ბოლო სიტყვა არაბულად „შეწირულს, თავდადებულს" ნიშნავს) პარტიზანული ბრძოლა *რეაქციონერებთან* – „სულტნის სატრაპებთან", ანუ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და „მათ დამქაშებთან", ანუ იქ მოსახლე ქურთულ ტომებთან.

რევოლუციონერების ქმედებას, თუნდაც მათ მიერ მოკლული *რეაქცი-*

[11] აღსანიშნავია, რომ სომხური აღმშენებლობა არ ეხებოდა პატარა საგუბერნიო ქალაქ ერევანს: რუსი ინჟინრებისა და აზერბაიჯანელი მუშების შრომით მოპოვებული ბაქოს ნავთობის მსოფლიოში გაყიდვით გამდიდრებული სომეხი მილიონერები სულ არ ზრუნავდნენ *ერევანზე*, რომელიც ღრმა პროვინციად რჩებოდა.

ონერების რაოდენობა ჯამში დიდი არ ყოფილიყო, პასუხად სდევდა სისხლის აღება მუსლიმების – თურქების, ქურთების, რუსეთის იმპერიიდან გამოდევნილი და იქვე ჩასახლებული ჩრდილოკავკასიელების („*ჩერქეს*"-ების) მხრიდან.

ევროპის ქვეყნებში ხმამაღლა გმობდნენ სულტნის მთავრობის მიერ სომხური რევოლუციური მოძრაობის უხეში ძალის მეშვეობით ჩახშობას, რაც ხანდახან გადაიზრდებოდა ხოლმე სომეხთა ჟლეტაში (მაგალითად, ასე მოხდა 1894-1896 წლებში). ევროპული საზოგადოება, რომელიც შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ანტიისლამური და ანტითურქული განწყობით იყო გამსჭვალული, ოსმალეთის სომხების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძნობდა.

ოფიციალური ლონდონი, პარიზი, პეტერბურგი, ვენა, ბერლინი კი რეალურად მხოლოდ საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე ზრუნავდნენ. ოსმალეთის სომხების ბედი მათ მთავრობებს დიდად არ ანაღელებდათ.

1914 წლის 8 თებერვალს ევროპის დიდმა ქვეყნებმა რუსეთის იმპერიის ინიციატივით ოსმალეთს თავს მოახვიეს აღმოსავლეთ ანატოლიის სომხებით დასახლებული (თუმცა სომხები უმრავლესობას არ ქმნიდნენ) ექვსი ვილაიეთის ორ ადმინისტრაციულ სექტორში გაერთიანება, რომლებიც უცხოელ გენერალურ ინსპექტორებს უნდა ემართათ. ამ მიზნით შეირჩა ერთი ჰოლანდიელი და ერთიც ნორვეგიელი ადმინისტრატორი. ეს „სომხური საკითხის" გადაჭრის ნინაპირობად აღიქმებოდა. ამ შემთხვევაშიც ზესახელმწიფოებს სულ სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო გეგმები ჰქონდათ. მაგრამ ცხრა თვეში, ოსმალეთის მსოფლიო ომში ჩაბმისთანავე, ეს ევროპული გეგმა ჩაიფუშა.

ოსმალეთის სომხებზე სხვა სახელმწიფოების ეს ფსევდო-ზრუნვა უაღრესად სახიფათო იყო, რადგან მკვეთრად ზრდიდა იმპერიის მუსლიმი უმრავლესობის უნდობლობას თავიანთი ქრისტიანი მეზობლების მიმართ.

ბევრი სომეხი, რომელსაც აშინებდა და სულაც არ სურდა მონაწილეობა სისხლიან გარჩევებში, გარბოდა რუსეთის კავკასიაში. ამ იმიგრანტების ხარჯზე 1894-1910 წლებში სომხური მოსახლეობა მარტო თბილისში 47 ათასიდან 125 ათასამდე გაიზარდა და თვალსაჩინო რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვა სხვა ეთნოსებთან შედარებით.

Divide et impera![12]

იმპერიის ცენტრში, სადაც შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს კავკასიაში სომხური, ქართული, აზერბაიჯანული ნაციონალიზმის გაღრმავებას, ამჯობინებდნენ ისინი ერთმანეთისათვის შეეჯახებინათ და *ეთნიკური დაპირისპირების* გზით დამატებითი საპირწონეებიც შეექმნათ.

გათიშე და იბატონე (ლათ.).

1905 წელს, როგორც ფიქრობენ, იმპერიის მიერ წაქეზებული კონფლიქტები ბაქოს, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში, სადაც სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა შერეულად ცხოვრობდა, ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მარტო ქალაქ ბაქოში სამასამდე ადამიანი დაიღუპა.

იმპერია შიდაეთნიკური დაპირისპირების შექმნასაც ცდილობდა. იმისათვის, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის სწრაფი ტემპი შეეჩერებინა, 1880-იანი წლებიდან პეტერბურგს ჰქონდა მცდელობა მეგრულ ენაზე ეთარგმნა ბიბლია და „ამით ხელმწიფე-იმპერატორის ქვეშევრდომებისათვის ქრისტიანული რელიგიისადმი ზიარება გაეადვილებინა". მომზადდა მეგრულენოვანი სასკოლო წიგნები რუსულ გრაფიკაზე აგებული ხელოვნურად შექმნილი ანბანით. ეჭვგარეშეა, რომ ასეთ პოლიტიკას იმავე სუბეთნოსის ვიღაც „კეთილმოსურნეც" დაუჭერდა მხარს. საბედნიეროდ, ასეთი ცოტა აღმოჩნდა.

ამ პოლიტიკის წარმატება სინამდვილეში ნიშნავდა დიდი სიმწრით შექმნილი ქართველი ერის ერთიანობის გახლეჩას. ამის წინააღმდეგ ილაშქრებდა დიმიტრი ყოფიანი: პატრიოტიზმი მას საბოლოოდ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ზემოხსენებული მცდელობა მე-19 საუკუნეში ჩაფუშეს ქართველმა პატრიოტებმა – იმავე სუბეთნოსის წარმომადგენლებმა, რომლებიც ადვილად მიუხვდნენ ბოროტ განზრახვას „კეთილმოსურნეებს".

სამწუხარო ისაა, რომ ასეთი „კეთილმოსურნეები" ჩვენ შორის XX საუკუნის ბოლოს ისევ გამოჩნდნენ და XXI საუკუნის დასაწყისში აქტიურობენ კიდეც.

იმპერიული ეთნოპოლიტიკის სხვა მაგალითია სოხუმის ოკრუგი, სადაც ქართველების ხვედრითი წილისა და გავლენის ზრდის შესასუსტებლად XX საუკუნის დამდეგიდან პეტერბურგმა ეთნიკური აფხაზური ნაციონალიზმის წახალისება დაიწყო.

ამის დასტურია იმპერიის მოხელის, გარუსებული გერმანელის, *ევგენი ვაიდენბაუმის* მიერ XX საუკუნის დამდეგს კავკასიის მთავარმართებლისათვის წარდგენილი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ის წერდა:

> „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია ანბანი და ლიტერატურა, ახლო ან არცთუ შორეულ მომავალში განწირულია დასაღუპად. საკითხავია, რომელი ენა შეცვლის მას? ნათელია, რომ კულტურული იდეებისა და ცნებების გავრცელების ენად უნდა იქცეს არა ქართული, არამედ რუსული. მიმაჩნია, რომ აფხაზური დამწერლობითი ენის შემოღება არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ საშუალება, რომ მისი მეშვეობით შევასუსტოთ ეკლესიასა და სკოლაში ქართული ენის მნიშვნელობა და ის თანდათანობით ჩავანაცვლოთ სახელმწიფო [რუსული: რ.გ.] ენით".

XX საუკუნის დამდეგს პეტერბურგის მცდელობით მართლმადიდებელი აფხაზების წირვა-ლოცვა ქართულიდან რუსულ ენაზე გადავიდა. ამან საფუძველი ჩაუყარა გაუცხოებას ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომლებიც იქამდე, საუკუნეების მანძილზე, საერთო კულტურულ ფასეულობებს

იზიარებდნენ, ხოლო ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის ერთ ენას – ქართულს – იყენებდნენ: უკანასკნელი განსაკუთრებით ეხებოდა აფხაზურ არისტოკრატიას.

მოკლე კომენტარი, რომელიც შესაძლოა ზედმეტიც იყოს, ასეთია: იმპერია ერთგული იყო ძველი რომაული ლოზუნგისა divide et impera. იმპერია აფხაზებზე არ ზრუნავდა, იმპერიას აფხაზები მხოლოდ ქართველებთან დასაპირისპირებლად სჭირდებოდა.

ამ თვალსაზრისით იმპერიამ წარმატებას მიაღწია.

თავი 4

ერთი რკინიგზელის ოჯახი საქართველოს სოციალურ-დემოგრაფიულ ფონზე

ქვემოთ მოტანილ ერთ აბზაცში ჩატეული მშრალი ინფორმაცია XIX-XX საუკუნეთა მიჯნის საქართველოში მომხდარ ერთ პატარა ფაქტს ასახავს. თარიღები ძველი სტილითაა მოცემული.

1901 წლის 11 მარტს ელისავეტპოლის გუბერნიის თავუზის რკინიგზის სადგურის თანამშრომელს, რაჟდენ ალფეზის ძე გაჩეჩილაძეს, დაბადებულს 1872 წლის 11 იანვარს რუსეთის იმპერიის ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ წევაში, სოციალური წარმოშობით გლეხს, არასრული საშუალო განათლებით, და მის მეუღლეს სოფიო ალექსანდრეს ასულ ელიოზიშვილ-გაჩეჩილაძისას, დაბადებულს 1875 წლის 3 მარტს ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ წილკანში, სოციალური წარმოშობით აზნაურს, საშუალო განათლებით, ქ. თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში ვაჟი შეეძინათ. მას სახელად რევაზი დაარქვეს. ოჯახში ამ დროს უკვე ჰყავდათ ერთი წლის ელენე, რომელსაც ნელის ეძახდნენ.

რასაკვირველია, ეს კერძო შემთხვევა იყო: მერე რა, რომ ერთი რკინიგზელის ოჯახში ვაჟი გაუჩნდათ? მაგრამ ამ ინფორმაციის *სოციოლოგიური და დემოგრაფიული ანალიზი*, ვფიქრობ, საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ქართველი ერის სხვადასხვა სუბეთნოსის წარმომადგენელთა შორის ქორწინება ქართულ საზოგადოებაში ადრეც და, მით უმეტეს, XIX საუკუნის ბოლოს არავითარ კითხვას არ ბადებდა.

ამავე დროს, ოჯახი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლების მიერ იყო შექმნილი.

წილკნელი ელიოზიშვილები ძალიან ამაყობდნენ ტახტის აზნაურობით; წეველი გაჩეჩილაძეები კი გლეხები იყვნენ. 1864 წლამდე, სანამ საქართველოში ოფიციალურად დაიწყებოდა ბატონყმობის გაუქმების პროცესი, ვის შეეძლო წარმოდგენა, რომ აზნაურის ქალი ცოლად გაჰყვებოდა გლეხს, თუნდაც არა ყმას? XIX საუკუნის მიწურულს კი პრობლემა თავისთავად გვარდებოდა. ასეთი შემთხვევები, როგორც ჩანს, გამონაკლისს აღარ წარმოადგენდა.

1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ ქართველებს შორის მემკვიდრეობითი თავადაზნაურობა (ოჯახის წევრებითურთ) შეადგენდა 5,3 პროცენტს, მაშინ, როდესაც მთელ რუსეთის იმპერიაში – 1 პროცენტი იყო; პირადი, არამემკვიდრეობითი, აზნაურობა მინიჭებული ჰქონდა ქართველების 1 პროცენტს (იმპერიაში – 0,5-ს); სამღვდელოება ქართველობის 2,2 პროცენტს შეადგენდა (იმპერიაში – 0,5-ს). ამრიგად, ქართველებში სხვადასხვა პრივილეგირებული კლასის წარმომადგენელი 8,5 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც მთელ იმპერიაში ოთხჯერ ნაკლებს. ქართველების 87 პროცენტი გლეხობა იყო, იმპერიაში კი – 77 პროცენტი. „მეშჩანების" (ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის) ხვედრითი წილი (3,5 პროცენტი) ქართველებს შორის სამჯერ ნაკლები იყო, ვიდრე იმპერიაში (10,7 პროცენტი). შედარებისათვის, იმპერიაში მცხოვრებ ებრაელებს შორის „მეშჩანები" 94 პროცენტს შეადგენდნენ.

საუკუნეთა მიჯნაზე *ქართველების სოციალური სტრუქტურა ნაკლებად იყო მზად საზოგადოების კაპიტალისტური გ ზით განვითარებისათვის.* პრივილეგირებული კლასების (არისტოკრატია, სამღვდელოება) მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები სახელმწიფოს გადასახადს არ უხდიდნენ და, ამ თვალსაზრისით, „საზოგადოების პარაზიტები" იყვნენ. ქართული ბურჟუაზია XX საუკუნის დამდეგისათვის მცირერიცხოვანი იყო და სხვა ეროვნების ბურჟუაზიასთან ძლიერი კონკურენციის გამო მომდევნო ორ ათწლეულშიც დიდად ვერ გაიზარდა. საუკუნის მესამე ათწლეულიდან კი ახალმა კომუნისტურმა, რეჟიმმა ბურჟუაზია საერთოდ *მოსასპობ კლასად* გამოაცხადა და შეუსრულა კიდეც დანაპირები.

ოჯახის უფროსი წარმოშობით გლეხი იყო, მაგრამ ჩაბმული არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. რაუდენი ნახევარი საუკუნით ადრე რომ დაბადებულიყო, ბევრად მეტი ალბათობა იქნებოდა, რომ ისიც არ გამოსულიყო მშობლიური სოფლის, ნესტიანი წევის „კაკლის ჩეროდან" (მხატვრულ სახეს მუხრან მაჭავარიანს დავესესხე!) და სადღაც ფერდობზე მიწის პაწაწინა ნაკვეთზე სიმინდის ყანა ეთოხნა. უკეთეს შემთხვევაში ის სოფლის მღვდელი გახდებოდა, ანდა თავისი ძმებივით ჩაებმებოდა წვრილ ვაჭრობაში შორაპნის ბაზარზე. მაგრამ XIX საუკუნის ბოლო დეკადებში საქართველოს ბევრ მცხოვრებს მიეცა სხვაგვარი დასაქმების შანსი. 1872 წელს რკინიგზამ წიფის გვირაბის მეშვეობით დააკავშირა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო. ზემო იმერეთის უმიწაწყლო გლეხებმა სწრაფად აუღეს ალღო ამ ტექნიკურ სიახლეს და ბევრი მათგანი რკინიგზელი გახდა. უფრო ადრე კი ლიხთიმერიდან წამოსული ყმაწვილისათვის „დიდ კარიერად" ითვლებოდა თბილისში მოხვედრა და რომელიმე ქართველი თავადის, ან, უფრო მოსალოდნელია, სომეხი ვაჭრის სახლში მოჯამაგირედ, „იმერელ ბიჭად", დადგომა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს იმ დროის კვალობაზე საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული.

რაჟდენმა ჯერ სოფელ წევის ორკლასიანი სკოლა, შედეგ კი ქუთაისის სასულიერო სემინარია დაამთავრა. ეს არასრულ საშუალო განათლებას უდრიდა. მისი მოზარდობის დროს საქართველოში სულ რამდენიმე გიმნაზია და რეალური სასწავლებელი არსებობდა.

1897 წლის აღწერის თანახმად, წერა-კითხვა ქართულ ენაზე იცოდა *ყველა* (ბავშვების ჩათვლით) მამრობითი სქესის ქართველის 10-მა პროცენტმა, რუსულად კი – 6-მა პროცენტმა, ქალებს შორის ანალოგიური ინდექსები შესაბამისად 8 და 2-მა პროცენტს შეადგენდა. ბუნებრივია, ამ პროცენტული მაჩვენებლების მექანიკურად შეკრება არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება დაახლოებით გამოვთვალოთ, რომ *შრომისუნარიანი ასაკის* ქართულ მოსახლეობაში წიგნიერი მეოთხედზე ნაკლები იყო.

ქართველებს შორის წერა-კითხვის ცოდნის თუნდაც დაბალი მაჩვენებელი მაინც სჯობდა ზოგი მეზობელი ხალხის ანალოგიურ მაჩვენებლებს და იმპერიის საერთო მაჩვენებელსაც დიდად არ ჩამოუვარდებოდა: სახალხო განათლების ხელმისაწვდომობით რუსეთის იმპერია არ ბრწყინავდა. განსაკუთრებით გაუნათლებელი იყო გლეხობა.

XX საუკუნის დასაწყისიდან სახალხო განათლების საქმემ საკმაოდ სწრაფად დაიწყო გაუმჯობესება: იაკობ გოგებაშვილი 1912 წლის „ბუნების კარში“ *დასავლეთ საქართველოს* შესახებ წერდა, რომ ის „*ბოლო წლებში მთლად მოიფინა სკოლებითა*“. მაგრამ ქართლში საქმე, როგორც ჩანს, სხვაგვარად იყო.

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი რუსეთის კავკასიაში არ გახსნილა. XX საუკუნის დამდეგს ცნობილი რუსი იმპერიალისტი და არმენოფობი, მაგრამ ქართველების მიმართ რაღაც პატერნალისტური გრძნობით გამსჭვალული *ვასილი ლვოვიჩ ველიჩკო*, თბილისში გამომავალი ოფიციალური გაზეთის, „Кавказъ“-ის რედაქტორი, აფრთხილებდა ქართველებს – *თბილისში უნივერსიტეტის გახსნისათვის რომ იბრძვით, ნუთუ ვერა ხედებით, რომ იქ მხოლოდ სომხური პროფესურა და სტუდენტობა იქნებაო?*

პირველი უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში, *კერძო* დაწესებულება – თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები, 1909 წელს გაიხსნა. *კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი* კი პროფესორ ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით თბილისში 1918 წელს დაარსდა, როდესაც რუსეთი რეგიონიდან გავიდა და ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა გარდაუვალი გახდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ველიჩკოს წინასწარმეტყველება არ ახდა: თბილისის უნივერსიტეტი ქართული იყო.

ქართულად და რუსულად რაჟდენი უშეცდომოდ წერდა, მშვენიერი კალიგრაფიით, რაც მისი სამსახურეობრივი კარიერისათვის ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა. ორ ენაზე წერა-კითხვა და ქართული და რუსული ლიტ-

ერატურა კარგად იცოდა მისმა მეუღლემაც. სოფიოს თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული.

სწორედ განათლების წყალობით შეხვდა ეს წყვილი ერთმანეთს. გიმნაზიადამთავრებული სოფიო 1899 წელს მასწავლებლად წავიდა ელისავეტპოლის გუბერნიის პატარა ქალაქ შამქორში, სადაც რკინიგზის სადგურში ვინმე რაჟდენ გაჩეჩილაძე მუშაობდა. მალე რაჟდენს დააწინაურებენ და იმავე ელისავეტპოლის გუბერნიის სადგურ თავუზში გადაიყვანენ, სადაც ის უკვე თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად წავა.

რაჟდენმა და სოფიომ თავიანთი ქალ-ვაჟისათვის კარგი განათლების მიცემა მოინდომეს. ნელი მიაბარეს დიდ მთავარ ოლღა ფეოდოროვნას სახელობის თბილისის ქალთა გიმნაზიაში, რეზო კი – თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. როდესაც თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა, რეზო მისი მეორე მიღების სტუდენტი გახდა 1919 წელს.

ჩემი წინაპრების *ქორწინების ასაკი* ერთი ფრთხილი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას მაძლევს: XX საუკუნის ბოლოს ვაჟისთვის 27 და ქალის 24 წელი ნორმალურ საქორწინო ასაკად ჩაითვლებოდა, მაგრამ ერთი საუკუნის წინ ეს ნაგვიანევი ქორწინება იქნებოდა. 24 წლის სოფიო ხომ საერთოდ შინაბერად იგრძნობდა თავს! ის დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა და ამიტომაც წავიდა მასწავლებლად მიყრუებულ პატარა ქალაქში. იქნებ ასაკობრივი მოტივის გათვალისწინებითაც დასთანხმდა ტახტის აზნაურის ოჯახი, მიეთხოვებინა ქალი სოციალურ კიბეზე უფრო დაბლა მდგომი კაცისათვის?

ცოლ-ქმარს დიდხანს ჰყავდათ მხოლოდ ორი შვილი. მეტი შვილი, როგორც ჩანს, მათ აღარც უნდოდათ. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ქართველების ნაწილში უკვე იწყებოდა *დემოგრაფიული გადასვლა მცირე ოჯახებზე*. ქალაქში დიდი ოჯახი მოდიდან გამოდიოდა.

მაგრამ ჩემმა წინაპრებმა ვერ მოახერხეს ოჯახის სრულყოფილად დაგეგმვა. 1914 და 1918 წელს მათ კიდევ ორი ვაჟი შეეძინათ: გივი და თეიმურაზი. ბაბუაჩემის ოჯახის ზრდის მიზეზი, განსაკუთრებით მსოფლიო ომის დროს, უნდა ვიფიქროთ, უფრო იმდროინდელი კონტრაცეფციის სისუსტე იყო, ვიდრე მისი მეუღლის მხრიდან დედობის დაუოკებელი სურვილი. მაგრამ ეს „დემოგრაფიული აფეთქება“ ჩემთვის ცუდი არ აღმოჩნდა: ზემოხსენებული ორი ვაჟიდან პირველი 29 წლის შემდეგ მამაჩემი გახდება.

უნდა დავძინო, რომ იმ დროს ქართული მოსახლეობის თითქმის ცხრა მეათედი ჯერ ისევ სოფლად ცხოვრობდა. სოფლის ქართველებს კი საკმაოდ მაღალი შობადობა ახასიათებდათ. თუმცა საშუალო ქართულ ოჯახში მეზობელი ერების ოჯახებთან შედარებით ნაკლებ შვილს აჩენდნენ, მაგრამ უფრო დაბალი სიკვდილიანობის გამო ქართველებს XIX საუკუნეში ბუნებრივი ნამატი მეტი გამოსდიოდათ. არსებითად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში და

XX საუკუნის პირველ დეკადებში შეიქმნა ქართველების ის დემოგრაფიული პოტენციალი, რომელიც ახლა საკმაოდ სწრაფად იხარჯება. ემიგრაციისა და შობადობის მკვეთრი დაცემის გამო მომავალში დიდი ეროვნული საფრთხე მოგველის.

ხელმწიფის სამსახურში მყოფ რკინიგზელს არმიის ოფიცერივით უწევდა მომთაბარეობა. ბაბუაჩემი სხვადასხვა დროს მუშაობდა შამქორის, თავუზის, აბაშის სადგურებში, იყო რიონის, სამტრედიის, მცხეთის, ნავთლულის, გორის, გომის რკინიგზის სადგურების უფროსი. მეუღლე წვრილშვილითურთ თან დასდევდა. მოზრდილი შვილები თბილისში სწავლობდნენ.

სხვადასხვა პატარა ქალაქში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ ცოლ-ქმარი საბოლოოდ თბილისში დამკვიდრდა, სადაც დაიბადა მათი ოთხივე შვილი. ბებიაჩემ სოფიოს ქალაქში მშობიარობის მიზეზი ტრივიალური იყო: ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი საავადმყოფო თბილისში მდებარეობდა, რომელიც უპირველესად რკინიგზელთა ოჯახებს ემსახურებოდა.

რაჟდენის შთამომავლები უკვე თბილისელები იყვნენ.

ეს ყველაფერი პირდაპირ ან ირიბად იკითხება წიგნის ამ თავის მეორე აბზაცში, რომელშიც ერთი რკინიგზელის ოჯახში ბიჭის დაბადებაზეა ლაპარაკი.

თავი 5

გარდაუვალობის მოლოდინი?

XX საუკუნის დამდეგს საქართველოში ჯერ ცოცხლები არიან *ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა.*

XX საუკუნის დამდეგს სადღაც თბილისის, ბათუმისა თუ ბაქოს ქუჩებში დადის თბილისის სასულიერო სემინარიიდან უსახსრობის გამო გარიცხული და მთელ მსოფლიოზე შემომწყრალი, თბილისის გუბერნიის *პატარა ქალაქ გორში 1879 წლის 21 დეკემბერს დაბადებული,* 21 წლის ახალგაზრდა, სახელად *სოსო ჯუღაშვილი.* ის მზადაა ხელისუფლებაზე მისნაირად განაწყენებულ ნახევრად კრიმინალურ ელემენტთან ერთად (ზოგი მათგანი თავს ცნობილი გერმანელი ეკონომისტის, კარლ მარქსის მიმდევრად თვლის) შური იძიოს რეჟიმზე, რომელმაც ის დაჩაგრა. ვის შეუძლია 1901 წელს თქვას, რომ მეოთხედი საუკუნის შემდეგ ეს ადამიანი რეინკარნირებული რუსეთის იმპერიის სათავეში აღმოჩნდება, ხოლო ნახევარ საუკუნეში კონტროლს დაუწესებს ევრაზიის ნახევარზე მეტს?

XX საუკუნის დამდეგს სადღაც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ქალაქ ლინცის ქუჩებში დადის *ავსტრიის პატარა ქალაქ ბრაუნაუ-ამ-ინში 1889 წლის 20 აპრილს დაბადებული* 11 წლის ბიჭი, სახელად *ადოლფ ჰიტლერი* (ეს გვარი აღიდგინა მამამისმა, რომელიც დიდხანს ატარებდა დედის, ანუ ადოლფის ბებიის გვარს – *შიკლგრუბერ*-ს). ბიჭს მხატვრობა იზიდავს. ვის შეუძლია 1901 წელს თქვას, რომ ორმოცი წლის შემდეგ ეს ადამიანი დაუპირისპირდება ზემოხსენებულ იოსებ ჯუღაშვილს, რომელსაც იმ დროისათვის უკვე რუსული გვარი ექნება – *სტალინი,* გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაითრევს მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოებს, რომლებიც მისი დამარცხების შემდეგ ახალ მსოფლიო წესრიგს ჩამოაყალიბებენ?

ვის შეუძლია **XX** საუკუნის დამდეგს ინინასწარმეტყველოს, რომ სულ 17-18 წლის შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან წაიშლება რუსეთის რომანოვების, გერმანიის ჰოჰენცოლერნების, ავსტრია-უნგრეთის ჰაბსბურგების, თურქეთის ოსმანთა იმპერიების სახელები? და გალაკტიონი დაწერს ასეთ სტრიქონებს:

„რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,
ნიკოლოოზი და ფერდინანდი.“

ისტორიკოსის უპირატესობაა, რომ განვლილი დროის აღწერისას მან იცის, თუ „რა მოხდება მომდევნო წელს“, რადგან ის წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგებს ითვალისწინებს. ამიტომაც ის უფრო „ბრძენი“ გამოდის, ვიდრე ადრე მცხოვრები ადამიანები, რომელთაც გადაწყვეტილების მიღება უხდებოდათ მოსალოდნელი შედეგების ბუნდოვანი ვარაუდით.

წარსულის ცოდნის გათვალისწინებით მეცნიერს შეუძლია მხოლოდ ივარაუდოს მოვლენათა განვითარება. მან არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა მოელის მსოფლიოს, მის ქვეყანას და პირადად მას მომავალ წელს და, მით უმეტეს, ოციოდე წლის შემდეგ.

XX საუკუნის დამდეგის ადამიანები ცოცხლობდნენ თავიანთი დღევანდელობით. მათ შორის იყვნენ *ბედნიერები* და *უბედურები*, *მდიდრები* და *ღატაკები*, *მომავლის იმედით აღსავსენი* და *უიმედოები*.

როგორც ყოველთვის ხდება ნებისმიერ საზოგადოებაში, ამ ანტიპოდებში მეორეები მკვეთრად სჭარბობდნენ პირველებს.

მაგრამ იმ დროს ბედნიერებმა, მდიდრებმა და იმედიანებმაც არ იციან, თუ რა მოელით ახლო მომავალში.

თავი 6

პირველი მსოფლიო ომი

საერთაშორისო ვითარება მსოფლიო ომის წინ

„მსოფლიო ომი" („პირველი მსოფლიო ომი" მას მხოლოდ 1939 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ეწოდა), „დიდი ომი", „ყველა ომების დამამთავრებელი ომი", „იმპერიალისტური ომი", „ომი ცივილიზაციის დასაცავად" – ამ და სხვა მსგავსი ეპითეტებით შემკული გიგანტური სისხლისმღვრელი აქცია დიდხანს მზადდებოდა. საერთოევროპული ომი შეიძლებოდა დაწყებულიყო 1908, 1912 ან 1913 წელს, ან უფრო მოგვიანებით, 1914 წლის შემდეგაც. მაგრამ დიდი ომი გარდაუვალი ჩანდა. თანაც თავიდანვე ნათელი იყო, თუ ვინ იქნებოდნენ ძირითადი მეტოქეები.

საქმე ისაა, რომ ომის წინ განვლილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში *მკვეთრად შეიცვალა მსოფლიოს ეკონომიკური რუკა, რასაც უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური რუკის გარდაქმნის მცდელობაც.* ასეთი გარდაქმნა კი ნებაყოფლობით, ორ- ან მრავალმხრივი თანხმობით, არ ხდება ხოლმე. მსოფლიო კვლავაც „მგლური კანონებით" ცხოვრობდა და ტერიტორიების მიტაცება და კოლონიების გადანაწილება ნორმად ითვლებოდა.

საერთოევროპული ომი უფრო ადრე იმიტომ არ დაიწყო, რომ არსებობდა გარკვეული საერთაშორისო წესრიგი, რომელიც ემყარებოდა როგორც „შიშის ბალანსს", ისე ევროპელი მონარქების პირად, ხშირად ნათესაურ, ურთიერთობებს. ომის ცეცხლის გასაჩაღებლად ნაპერწკლები არ კმაროდა: მუგუზალი იყო საჭირო!

საბოლოოდ კი, ბიძაშვილ-მამიდაშვილობის მიუხედავად, გერმანიის კაიზერმა *ვილჰელმ II ჰოჰენცოლერნმა,* რუსეთის იმპერატორმა *ნიკოლაი II რომანოვმა,* ინგლისის მეფე *ჯორჯ V საქსენ-კობურგ-გოთამ* არ შეუშალეს ხელი თავიანთ მინისტრებს, წამოეწყოთ ის, რასაც შეიძლება „იმპერიების უკანასკნელი ომი" ვუწოდოთ.

თითქმის საუკუნის განმავლობაში, 1870-იანი წლების შუაგულამდე, მსოფლიოს აღიარებული ჰეგემონი იყო დიდი ბრიტანეთი – მომცრო კუნძულოვანი ქვეყანა ევროპის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთით. XVIII საუკუნის დასაწყისიდან (ეს კი „უხსოვარ დროდ" აღიქმებოდა) დიდი ბრიტანეთის მუდმივი მეტოქე ევროპის კონტინენტზე იყო საფრანგეთი. მაგრამ, ამ უკანასკნელის მიერ პრუსიასთან წამოწყებულ 1870-1871 წლების ომში დამარცხების შემდეგ, რომლის შედეგადაც საფრანგეთმა დაკარგა ორი პროვინცია, *ელზასი* და *ლორენი* (ლოტარინგია), ევროპის კონტინენტზე ჰეგემონობის პრეტენდენტი აღმოჩნდა პრუსიის მიერ გაერთიანებული გერმანია.

გერმანიის იმპერიის, „მეორე რაიხის" („პირველ რაიხად" შუა საუკუნეებიდან 1806 წლამდე არსებულ „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია" ითვლება; „მესამე რაიხს" კი თავს ნაცისტური გერმანია უწოდებდა), ეკონომიკა სწრაფად და ეფექტიანად განვითარდა, რასაც მისი სამხედრო პოტენციალის ზრდაც მოჰყვა. გერმანული დისციპლინა ამ უპირატესობას აორმაგებდა. გერმანია ძალიან ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. XIX საუკუნის ბოლოს, იმპერატორ ვილჰელმ II-ის ზეობისას, გერმანია ოკეანეების გადაღმა კოლონიებითაც დაინტერესდა. მსოფლიო კი თითქმის დანაწილებული იყო: კოლონიების უდიდესი ნაწილი დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს ეკუთვნოდა. სამხედრო კონფრონტაცია გარდაუვალი ხდებოდა.

ლონდონს მესამედი საუკუნე დასჭირდა იმ სიახლესთან შესაგუებლად, რომ მთავარი მეტოქე ბერლინი იყო და არა პარიზი. ამაში ის საბოლოოდ 1898 წელს დარწმუნდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ გერმანია სამხედრო-საზღვაო ძალების მკვეთრ ზრდას შეუდგა. ეს პირდაპირი გამოწვევა იყო „ზღვათა მპყრობელი" ბრიტანეთისათვის. 1904 წელს ლონდონმა საფრანგეთთან „გულითადი შეთანხმება" (Entente cordiale) დადო: ის არსებითად გერმანიის ამბიციების დასაოკებლად იყო მოწოდებული. ბრიტანულ-ფრანგულ ალიანსს „ანტანტა" დაერქვა.

გერმანიასთან რევანშის აღების სურვილით ანთებულმა საფრანგეთმა, რომელიც თავის სისუსტეს გრძნობდა, ყველაფერი გააკეთა, რომ თავის კიდევ ერთ მოკავშირედ ექცია ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებული, მაგრამ ტერიტორიით მსოფლიოში უდიდესი და ხალხმრავალი რუსეთის იმპერია: XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მოსახლეობა მთელი კაცობრიობის 7,8 პროცენტს შეადგენდა. *შედარებისთვის*: XX საუკუნის ბოლოს იმავე ტერიტორიაზე მსოფლიოს მოსახლეობის 3 პროცენტი ცხოვრობდა. 1991 წლიდან დამოუკიდებლად არსებულ რუსეთის ფედერაციაში კი, რომელიც რუსეთის იმპერიაზე ნაკლებ ფართობს ფლობს, მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი ცხოვრობს და მისი მოსახლეობის აბსოლუტური კლების პროცესი დღემდე არ წყდება. ეს კლება წინა საუკუნის პირველ ნახევარში განცდილი

დემოგრაფიული კატასტროფების შედეგიცაა, რაზეც მომდევნო თავებში გვექნება საუბარი.

1893 წლის მინურულს რუსეთის იმპერატორმა საბოლოოდ მოიწონა წინა წელს ხელმოწერილი ფრანკო-რუსული საიდუმლო სამხედრო კონვენცია, რომლის შესაბამისად საფრანგეთის რესპუბლიკა და რუსეთის იმპერია კისრულობდნენ ერთმანეთისათვის სრული სამხედრო დახმარების აღმოჩენას ერთ-ერთ მათგანზე გერმანიისა და/ან მისი მოკავშირეების თავდასხმის შემთხვევაში. ეს „სრულიად საიდუმლო" კონვენცია საიდუმლოდ დიდხანს ვერ შეინახებოდა. მალე ის ცნობილი გახდა სხვა დედაქალაქებშიც და მისთვის ანგარიშის გაწევა გარკვეულად განაპირობებდა დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკას.

XX საუკუნის პირველ დეკადებში მთელი მსოფლიოს ბედ-იღბალს განსაზღვრავდა ევროპის ექვსი ზესახელმწიფო (great powers, великие державы): *დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი* და *იტალია*. ევროპის გარეთ ზესახელმწიფოთა რიცხვს ემატებოდა *აშშ* და *იაპონია*. თანამედროვე ტერმინოლოგიით, მსოფლიო მაშინ „მრავალპოლარული" იყო!

ომის წინ ყველა ამ ზესახელმწიფოს ეკონომიკა მეტ-ნაკლები აღმავლობის გზაზე იყო, მიმდინარეობდა გარკვეული დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის პროცესები. მიუხედავად ამისა, ომის საწყის ეტაპზევე თითქმის ყველა მათგანში (აშშ-ის გარდა) აგრესიულმა ნაციონალიზმმა და მილიტარიზმმა ადვილად დაიპყრო მასები.

მსოფლიო ომში რვა ზესახელმწიფოდან *ორს* – გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს – დანარჩენი *ექვსი* დაუპირისპირდა. თანაც დედამიწის დიდი ნაწილი ამ *ექვსის* კოლონია/დომინიონი იყო და, ამდენად – მათი რესურსების წყარო. დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიასა და იაპონიას კოლონიები ზღვებს გადაღმა ჰქონდათ. რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიები კი მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე იყვნენ გაფართოებული.

იმ დროისათვის მსოფლიოში ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულ ქვეყანას, *ამერიკის შეერთებულ შტატებს*, მხოლოდ დასავლეთ ნახევარსფეროს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტროლზე ჰქონდა პრეტენზია, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით სწრაფად მზარდ *იაპონიას* კი – კორეასა და ჩინეთის ნაწილზე. წყნარი ოკეანის მთელი აუზისათვის იაპონიისა და აშშ-ის მეტოქეობა მათი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების მიზეზი XX საუკუნის შუაგულში გახდება.

ძველ კოლონიურ ქვეყნებს – *ესპანეთს, პორტუგალიას, ნიდერლანდს*, აგრეთვე, შედარებით ახალს – *ბელგიას*, XX საუკუნის დასაწყისში სერიოზულ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებად არავინ აღიქვამდა.

პოლიტიკური ალიანსების ჩამოყალიბებისას ლაპარაკიც არ იყო ისეთ

ქვეყნებზე, რომლებიც XXI საუკუნის დამდეგს დიდად ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ. XX საუკუნის დასაწყისში კი:

- ***ჩინეთი*** თავად იყო კოლონიური ექსპლუატაციის ობიექტი;
- ***ინდოეთი*** (რომელიც ამჟამინდელ *პაკისტანსა და ბანგლადეშსაც* მოიცავდა) დიდი ბრიტანეთისათვის სამრეწველო ნედლეულისა და ომის დროს ჯარისკაცების მიმწოდებელი კოლონია იყო, ისევე, როგორც ბრიტანული დომინიონები: ***კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია*** და ***სამხრეთ აფრიკის კავშირი;***
- დიდი ტერიტორიისა და ბუნებრივი სიმდიდრის მფლობელი ***ბრაზილია,*** სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, იმ დროს უმნიშვნელო ქვეყანას წარმოადგენდა: ისიც ანტანტის მოკავშირე იყო;
- შუა საუკუნეების შემდეგ დასუსტებული ***სპარსეთის*** (თანამედროვე ირანის) ტერიტორია ომის დროს ბრძოლის ველი იყო რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და ოსმალეთისათვის: პირველ მსოფლიო ომში სპარსეთი ნეიტრალიტეტს იცავდა;
- ***არაბული სამყაროს*** ნავთობით სიმდიდრე ჯერ კიდევ უცნობი იყო. მისი უდიდესი ნაწილი ნომინალურად ემორჩილებოდა ოსმალეთის სულტან-ხალიფას, ხოლო აქლემებზე ამხედრებული არაბ ბედუინთა ტომები ძველებურად ეომებოდნენ ერთმანეთს უდაბნოს მტვერში.

შუა საუკუნეების დაუძინებელი მტრები, ჰაბსბურგისა და ოსმანის დინასტიათა იმპერიები, ***ავსტრია-უნგრეთი*** და ***ოსმალეთი,*** მსოფლიო ომის დროს მოკავშირეები აღმოჩნდნენ. მათ შორის პირველი ყველაზე ლიბერალური იმპერია იყო, მეორე კი – ევროპის ფონზე ყველაზე ჩამორჩენილი. ორივე მათგანს მძიმე შიდაეთნიკური დაპირისპირებები ღრღნიდა. მათ უფრო თავის გადარჩენაზე უნდა ეფიქრათ, ვიდრე ექსპანსიაზე. მაგრამ ვენასა და სტამბოლში პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ სამხედრო წარმატება ხელს შეუწყობდა პრაქტიკულად შეუძლებელი ამოცანის გადაწყვეტას – იმპერიის შენარჩუნებას.

1905 წელს იაპონიასთან ომში განცდილმა მძიმე მარცხმა ***რუსეთის იმპერიას*** უჩვენა, რომ მას აღარ შეეძლო მოკავშირის გარეშე ყოფნა და მომავალ დიდ ჩხუბში ფანჯრიდან მაყურებლის როლში დარჩენა. ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლაი II რომანოვი, რომელსაც გერმანული წარმოშობის (და, რუსეთში გავრცელებული ხმებით, პროგერმანული განწყობის) მეუღლე ჰყავდა, დიდხანს მერყეობდა საგარეო პოლიტიკის ვექტორის არჩევისას.

დიდ ბრიტანეთთან რუსეთს უფრო მეტი ჰქონდა სადავო, თუკი იგი კოლონიური ექსპანსიის გაგრძელებას აპირებდა. მას ერჩივნა რევანში იაპონიასთან დამარცხებისათვის. მაგრამ იაპონია იმ დროს დიდი ბრიტანეთის მოკავშირე იყო. ამ ორ ძლიერ სახელმწიფოსთან საშიშ კონფრონტაციას რუსეთი

ერიდებოდა: ასეთ შემთხვევაში მას აღარ უნდა ჰქონოდა საფრანგეთის იმედი, რომელსაც მხოლოდ გერმანიის დამარცხება აინტერესებდა.

რუსეთის პოლიტიკურ, საქმიან და კულტურულ ელიტებში ანტიბრიტანულ განწყობას მკვეთრად აჭარბებდა ანტიგერმანული განწყობა. მაგრამ გერმანიასთან ომი ბევრს აშინებდა. მაგალითად, რუსეთის კონსერვატიულ-მონარქისტული წრეების წარმომადგენელი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი *პიოტრ ნიკოლაევიჩ დურნოვო*, რომელსაც მეფესთან შეესვლებოდა, აფრთხილებდა მას, რომ ომი დაანგრევდა რუსეთის ეკონომიკას და ქვეყანა გამარჯვებული რომც გამოსულიყო, მასაც გადაედებოდა ის სოციალური რევოლუცია, რომელიც დამარცხებულ ქვეყანაში გარდაუვალი იქნებოდა. ბევრი სხვაც ფიქრობდა ასე. მათ არ დაუჯერეს, წინასწარმეტყველება კი ახდა.

რუსეთი მართლაც არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ევროპაში ომით. მხოლოდ *შორეული სტრატეგიული გათვლებით* შეიძლება იმის ახსნა, თუ რატომ წავიდა იგი ერთი შეხედვით უმიზნო კონფრონტაციაზე გერმანიასთან, რომელიც იმ დროს უშუალოდ არ ემუქრებოდა მას: გერმანია კონტინენტზე თავის უპირველეს მტრად საფრანგეთს მიიჩნევდა და ეძებდა საბაბს, დროულად გაენადგურებინა მისი მზარდი სამხედრო პოტენციალი. მაგრამ ასეთ ომში გამარჯვებული გერმანია უკვე ევროპის ჰეგემონი და ყველა მეზობლისათვის საშიში მეტოქე გახდებოდა. რუსეთის მმართველ წრეებს სწორედ ამის დაშვება არ სურდათ.

საფრანგეთს კი გერმანიის მიერ ანექსირებული ტერიტორიების – *ალზასისა* და *ლორენის* – დაბრუნება უნდოდა. პარიზი ყველაფერს აკეთებდა, რათა ბერლინისათვის დაეპირისპირებინა პეტერბურგი, რომელიც ფინანსურად ძალიან იყო დამოკიდებული ფრანგულ ბანკებზე.

ობიექტურად, გერმანიაზე მეტად რუსეთის მტერი იყო ავსტრია-უნგრეთის იმპერია, რომელიც ბალკანეთში გაფართოებას ცდილობდა. რომანოვთა დინასტია კი თავს ბალკანელი მართლმადიდებლებისა და სლავების მფარველად მიიჩნევდა. იმ დროს რუსეთის ბალკანურ პროტეჟედ მხოლოდ *სერბეთი* რჩებოდა. რეალურად რუსეთს ბალკანეთში არაფრის დაპყრობა ან არ სჭირდებოდა, ან აღარ შეეძლო. მას გარკვეული პრეტენზია ჰქონდა ავსტრია-უნგრეთში შემავალ *გალიცია ზე* (ამჟამინდელ დასავლეთ უკრაინაზე ლვოვითურთ და სამხრეთ პოლონეთზე კრაკოვითურთ), მაგრამ სისხლისღვრად ისიც არ უღირდა.

აქსიომაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ალტრუიზმი არ მოქმედებს: ყველა ქვეყანას საკუთარი ეგოისტური მიზნები ამოძრავებს. ორი ან მეტი ქვეყნის სრული მოკავშირეობისათვის ეს ეგოისტური მიზნები მეტ-ნაკლებად უნდა დაემთხვეს ერთმანეთს. რუსეთის იმპერია კი თითქოს ამ აქსიომის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, როდესაც სერბიის დასაცავად გამოეენთო (იხ. ქვემოთ).

უკვე მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ, რუსეთს გამოუჩნდა ომის პრაქტიკუ-

ლი მიზანი: 1914 წლის ნოემბრიდან რუსეთის მტერი აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერია. პეტროგრადში[13] ისევ აღორძინდა საუკუნოვანი იმედი, რომ ოსმალეთის დამარცხების შედეგად დაიპყრობენ *კონსტანტინოპოლს* (რუსეთში მას *ცარგრადს* უწოდებდნენ), შავი ზღვის სრუტეებზე გაბატონდებიან და გავლენ ხმელთაშუა ზღვაზე!

ომის დაწყების შემდეგ დასავლეთელი მოკავშირეები რუსეთს ამ იმედს განუმტკიცებდნენ. 1915 წლის 12 მარტის ნოტით ***დიდი ბრიტანეთის მთავრობა ოფიციალურად იღებდა ვალდებულებას, ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთისათვის გადაეცა კონსტანტინოპოლი*** და შავი ზღვის სრუტეები მიმდებარე ტერიტორიითურთ. ცოტა მოგვიანებით ამ პირობას საფრანგეთიც დაეთანხმა. როგორც ჩანს, ეს საიდუმლო გარიგება ცნობილი გახდა ოსმალეთის მთავრობისთვისაც, რომელიც რუსეთისა და მისი მოკავშირეების მიმართ კიდევ უფრო მტრულად განეწყო.

კონსტანტინოპოლი ომის უძვირფასესი ნადავლი იქნებოდა და მისი გადასვლა ოსმალეთისაგან რუსეთის ხელში რადიკალურად შეცვლიდა გეოპოლიტიკურ ვითარებას არა მარტო ევრაზიაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

სხვა საქმეა, რომ რუსეთმა ვერ მიიღო მონაწილეობა ოსმალეთის დანაწევრებაში, რადგან ომს სეპარატულად გამოეთიშა. გამარჯვებულთა ნაალაფევში წილი მას არ ეკუთვნოდა.

მსოფლიო ომის დასაწყისი

მას შემდეგ, რაც 1914 წლის 28 ივნისს ბოსნიელმა სერბმა ტერორისტმა სარაევოში დახოცა ვენისა და ბუდაპეშტის ტახტების მემკვიდრე ერცჰერცოგი *ფრანც ფერდინანდი* და მისი მეუღლე, ავსტრია-უნგრეთი თავს ვალდებულად მიიჩნევდა, სამაგალითოდ დაესაჯა რუსეთის იმედზე მყოფი „თავგასული" სერბეთი. ვენაში მიიჩნიეს, რომ მკვლელობის ინსპირატორი სერბეთის მთავრობა იყო. ასეთი მძიმე დანაშაულის რეაგირების გარეშე დატოვება კი არც ერთ თავმოყვარე ქვეყანას, მით უმეტეს, იმპერიას, არ შეუძლია.

ვენაში კარგა ხანს ფიქრობდნენ და სამი კვირის შემდეგ უმკაცრესი ულტიმატუმი წარუდგინეს ბელგრადს. ამ უკანასკნელმა კი, რუსეთის დახმარების იმედით, მისი ზოგიერთი პუნქტის შესრულებაზე უარი განაცხადა.

28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა დეპეშით (sic!) გამოუცხადა ომი სერბეთს. ეს *პირველი მსოფლიო ომის პირველ დღედ ითვლება*. უკვე მომდევნო დღეს

[13] 1914 წელს, გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე, *პეტერბურგს* პატრიოტული მოსაზრებით სახელი გამოუცვალეს და გერმანული „ბურგი" სლავური „გრადით" შეცვალეს: აქედანაა *პეტროგრადი*. იმავე მოსაზრებით, 1917 წელს ინგლისის გერმანული წარმოშობის სამეფო დინასტიამ *საქსენ-კობურგ-გოთას* ნაცელად გადაწყვიტა, ახალ სახელად აეღო *უინძორი*.

ავსტრიული არტილერია ბომბავდა ბელგრადს, რომელიც იქვე, იმდროინდელი ავსტრია-უნგრეთისა და სერბეთის სახელმწიფო საზღვრის გადაღმა მდებარეობდა, იქ, სადაც მდინარე დუნაის უერთდება მდინარე სავა. ომის შემდეგ კი სერბეთის სამეფოს სამართალმემკვიდრე *სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფოს* (მომავალში მას იუგოსლავია დაერქმევა) საზღვარმა ახალშექმნილ *უნგრეთის რესპუბლიკასთან* 150 კილომეტრით უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლა.

ამრიგად, ომი, რომელსაც შემდგომში „პირველი მსოფლიო ომი" დაერქმევა, ბალკანეთში დაიწყო. ბალკანეთი რალაც საბედისწერო გეოპოლიტიკურ კვანძად იქცა! საკმარისია ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგისათვის ლამის გადამწყვეტი გამოდგა გერმანიის დაუგეგმავი ომები ბალკანეთში (ამაზე მე-13 თავში გვაქვს საუბარი). XXI საუკუნის დასაწყისში სერბეთის პროვინცია კოსოვოს (ისევ ბალკანეთში!) მიერ ცალმხრივად გამოცხადებულმა დამოუკიდებლობამ დაძაბა საერთაშორისო ვითარება ევროპაში და, არაპირდაპირ, უმძიმესი შედეგი მოუტანა საქართველოს (ამაზე 32-ე თავში გვაქვს საუბარი).

აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნეშიც რუსეთი, ისევე, როგორც ერთი საუკუნის წინ, თამაშობს „სერბეთის პროტექტორის" როლს, მაგრამ ამჯერად უფრო სიტყვით, ვიდრე საქმით.

1914 წელს მოვლენები მეტისმეტად სწრაფად ვითარდებოდა და ულმობლად ითრევდა ხორცსაკეპში მთელ ევროპას.

ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბეთთან ომის დაწყების საპასუხოდ, 30 ივლისს მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა შორის საყოველთაო მობილიზაცია პირველმა რუსეთმა გამოაცხადა.

მობილიზაციის გამოცხადება – ომია! ეს ყველა სამხედრო შტაბში იციან. 30 ივლისს რუსეთის იმპერიამ გადადგა შეუქცევადი ნაბიჯი ომისაკენ: ***ფაქტობრივად, სწორედ პეტერბურგში მიეცა იმპულსი მსოფლიო ომს,*** თუმცა ფორმალურად ომის წამომწყებად ავსტრია-უნგრეთი და გერმანია ითვლებიან.

უნდა ითქვას, რომ იმპერატორი ნიკოლაი II დიდხანს ყოყმანობდა სრული მობილიზაციის ბრძანების გაცემისას, რაც გერმანიასთან გარდაუვალ ომს ნიშნავდა, მაგრამ მას სუსტი ხასიათი ჰქონდა და თავისივე აგრესიულმა მინისტრებმა დაიყოლიეს.

1 აგვისტოს გერმანიის მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადების საბაბი გახდა რუსეთის მიერ დაწყებული სრული მობილიზაცია. ნათელი იყო, რომ ამას რუსეთი გერმანიის წინააღმდეგ აკეთებდა: *ნაწილობრივი მობილიზაცია* შეიძლებოდა სერბეთის დასაცავად, მხოლოდ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ მიმართულ აქციად წარმოეჩინათ და სამშვიდობო დიპლომატიას პატარა შანსი მაინც დარჩენოდა.

ბერლინმა პეტერბურგს ულტიმატუმი წაუყენა: ან მობილიზაციის შეწყვეტა

ან ომი. ულტიმატუმი უგულებელყოფილ იქნა. 1 აგვისტოს დილას გერმანიამაც დაიწყო სრული მობილიზაცია და იმავე საღამოს, რეალური საომარი მოქმედების დაწყების გარეშე, გამოუცხადა ომი რუსეთს: იმ დროს ჯერ კიდევ მოქმედებდა შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ეს „რაინდული წესი" – ომის წინასწარ გამოცხადება. გერმანიის მთავრობას ეს აქტი შიდა პოლიტიკური მიზნებისთვის ესაჭიროებოდა: გერმანიიის *რაიხსტაგის* (პარლამენტის) სოციალ-დემოკრატი წევრები, რომლებიც რუსული ცარიზმის მტრები იყვნენ, ასეთ შემთხვევაში მხარს დაუჭერდნენ მთავრობას ევროპულ ომში ჩასაბმელად. მთავრობას შეეძლო რუსეთისათვის ომის გამოცხადება მიესაღებინა რაიხსტაგისათვის, როგორც „თვითმპყრობელობასთან და ტირანიასთან კეთილშობილური ბრძოლა". საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყების მხარდაჭერა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის მორალურად უფრო რთული იყო, თუმცა მალე ისინი ამაზეც წავიდნენ.

1914 წელს რაიხსტაგის სათნო სოციალ-დემოკრატი დეპუტატებისათვის იმპერატორი ნიკოლაი რომანოვი ისეთივე ბოროტება იყო, როგორიც 2003 წელს აშშ-ის კონგრესის სათნო რესპუბლიკელი სენატორებისათვის ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი. სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ შიდაპოლიტიკური კონიუნქტურის აყოლით ქვეყანა იმ მომენტში უხილავი საგარეოპოლიტიკური უფსკრულისაკენ გადადგამს ხოლმე ნაბიჯს.

საფრანგეთმაც 1 აგვისტოს გამოაცხადა მობილიზაცია, ანუ იმავე დღეს, როდესაც გერმანიამ. ამის საპასუხოდ ბერლინმა ჯერ ულტიმატუმი წარუდგინა პარიზს, ხოლო 3 აგვისტოს ომი გამოუცხადა. საქმე დასწრებაზე მიდგა.

რუსეთის სრულ მობილიზაციას – ახალწვეულთა შეგროვებას, შეიარაღებას, თავდაპირველ წვრთნას – 40 დღეზე მეტი სჭირდებოდა. ევროპაში საუკეთესო სამხედრო ორგანიზაციისა და მაღალგანვითარებული სარკინიგზო ქსელის წყალობით გერმანიის სრული მობილიზაციისათვის სულ რამდენიმე დღე კმაროდა.

ბერლინის გენერალურ შტაბში შემუშავებული *შლიფენის გეგმით*, გერმანიას ექვს კვირაში უნდა მოესწრო საფრანგეთის არმიის განადგურება, მანამ, სანამ რუსეთი მობილიზაციას დაამთავრებდა, და აღმოსავლეთის ფრონტს შემდეგ მიბრუნებოდა. 1905 წელს დამტკიცებული *ალფრედ ფონ შლიფენის გეგმა არ ითვალისწინებდა არც ომში დიდი ბრიტანეთის შესაძლო ჩაბმას* და *არც რუსეთის ადრეულ შეტევას გერმანიაზე.*

მაგრამ საქმე სულ სხვანაირად წავიდა.

1914 წლის ზაფხულში ლონდონს ჰქონდა საშუალება ეაქტიურა, როგორც მსოფლიოში ყველაზე გავლენიან სახელმწიფოსა და უდიდესი კოლონიური იმპერიის მფლობელს, და არ დაეშვა ომი ევროპაში. მაგრამ მისმა მთავრობამ კარგა ხანს ამჯობინა ისეთი „ნეიტრალიტეტის" დაცვა, რომელიც ომს გარდაუვალს

გახდიდა. 4 აგვისტოს კი გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო დიდმა ბრიტანეთმა გერმანიას ომი გამოუცხადა. ბრიტანეთში საყოველთაო მობილიზაცია 1916 წლამდე არ დაუწყიათ, ორი წელი ის ომში მხოლოდ მოხალისეებს აგზავნიდა, რომელთა ნაკლებობა თავიდან არ იგრძნობოდა.

ამავე დროს, რუსეთმა გადაწყვიტა, საფრანგეთისათვის თავისი სამოკავშირეო ერთგულება დაემტკიცებინა და გერმანიისათვის ზურგში დაერტყა. რუსეთში არ დაუცადეს ძალების სრულ მობილიზაციას და აგვისტოს შუაგულში *ორი რუსული არმია გერმანიაში, კერძოდ, აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრა.* შემდგომ გავრცელებული მითი კი ამტკიცებს, თითქოს პირველ მსოფლიო ომში გერმანია დაესხა თავს რუსეთს!

რუსეთს აჩქარება ძვირად დაუჯდა. გერმანელმა გენერლებმა, *ლიუდენდორფმა* და *ჰინდენბურგმა,* გაანადგურეს შემოჭრილი მტერი. რუსულმა II არმიამ არსებობა შეწყვიტა: 26 ათასი ჯარისკაცი დაიღუპა ან დაიჭრა, 30 ათასი კი ტყვედ ჩაბარდა. არმიის სარდალმა *ალექსანდრ სამსონოვმა* 29 აგვისტოს თავი მოიკლა. გერმანიაში ამას *„ტანენბერგთან გამარჯვება“* უწოდეს, რათა ეს ყოფილიყო სიმბოლური რევანში დაახლოებით იმავე ადგილზე (*გრიუნვალდთან*) პოლონელ-ლიტველ-რუსების მიერ 1410 წელს გერმანელ ტევტონთა ორდენის დამარცხებისათვის.

ტანენბერგის შემდეგ გერმანელები მიუბრუნდნენ რუსულ I არმიას და ბრძოლით განდევნეს ის აღმოსავლეთ პრუსიიდან.

გერმანიამ მოიგო ბრძოლები, მაგრამ არა – ომი. აღმოსავლეთ პრუსიაში სამხედრო მოქმედებამ აიძულა გერმანიის გენერალური შტაბი, ძალები დასავლეთის ფრონტიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გადაესროლა, თუმცა ამ ძალებმა ვერც მოასწრეს ბრძოლაში ჩაბმა: რუსები უკვე დამარცხებული დახვდათ. ძალთა გაფანტვის გამო კი საფრანგეთში გერმანელთა ზეწოლა შესუსტდა. ეს გერმანიისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

იმავე 1914 წლის სექტემბერში პარიზის ახლოს, მდინარე მარნაზე, გერმანელებმა მძიმე მარცხი განიცადეს ფრანკო-ბრიტანულ არმიებთან ბრძოლაში. ორივე მხრიდან ორ მილიონზე მეტი ჯარისკაცი იბრძოდა, აქედან ნახევარი მილიონი დაიღუპა ან დაიჭრა.

შლიფენის გეგმა ჩაიშალა. გერმანული *ბლიც-კრიგი* (ელვისებური ომი) ვერ შედგა. მოხდა ის, რისიც გერმანელ სამხედრო სტრატეგებს ასე ეშინოდათ: ქვეყანას მოუხდა ხანგრძლივი ბრძოლა ევროპის ორ ფრონტზე. ერთდროულად საჭირო გახდა დახმარების აღმოჩენა სუსტი მოკავშირეებისათვის – *ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთისა და ბულგარეთისათვის.*

გერმანიას მხოლოდ ეს სამი მოკავშირე ჰყავდა. ერთად მათ *„ოთხთა კავშირს“* ან *„ცენტრალურ სახელმწიფოებს“* უწოდებდნენ.

ოსმალეთის იმპერია მსოფლიო ომში

ევროპაში ორ ფრონტზე მებრძოლი გერმანია დაინტერესებული იყო, რომ რუსეთსაც ჰქონოდა დამატებითი ფრონტი და ძალიან მოინდომა, დაეტაკებინა ერთმანეთისათვის რუსეთი და თავიდან ნეიტრალური, თუმცა პროგერმანულად განწყობილი ოსმალეთი. გერმანიის გენერალური შტაბის გათვლით, რუსეთ-ოსმალეთის (კავკასიის) ფრონტი დააბანდებდა რუსეთის იმ ძალებს, რომლებიც მას ევროპის ფრონტებზე შეეძლო გამოეყენებინა; ოსმალეთის ხელში მყოფი შავი ზღვის სრუტეების – ბოსფორისა და დარდანელის – ჩაკეტვა რუსეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის ტოლფასი იქნებოდა. საკმარისია ითქვას, რომ საზღვაო გზით წარმოებული რუსეთის საგარეო ვაჭრობის 60 პროცენტი და ხორბლის მთელი ექსპორტი 1914 წლამდე შავი ზღვის სრუტეების გავლით ხორციელდებოდა. გარდა ამისა, ოსმალეთის ომში ჩართვა ახლო აღმოსავლეთში ბრიტანეთის დამატებითი ძალების გადასროლას მოითხოვდა, რაც შეასუსტებდა ბრიტანულ დაწოლას დასავლეთის ფრონტზე.

მართლაც, შავ ზღვაში ოსმალეთის ფლოტის (რეალურად, ეს იყო გერმანული ჯავშნოსნები გერმანელი ადმირალის, *სუშონის* მეთაურობით) სამხედრო პროვოკაციას – 1914 წლის 30 ოქტომბერს შავიზღვისპირა რუსული ქალაქების მოულოდნელ და უმიზეზო დაბომბვას – მოჰყვა რუსეთის იმპერიის მიერ 1914 წლის 2 ნოემბერს ოსმალეთის იმპერიისათვის ომის გამოცხადება. საპასუხოდ ოსმალეთმა ჩაუკეტა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები რუსულ სამხედრო და სავაჭრო ფლოტს და რუსეთში მიმავალ ტვირთს. რუსეთი სამხრეთიდან ბლოკირებული აღმოჩნდა.

ოსმალეთის ფრონტების გახსნის გერმანიის გენერალური შტაბის გეგმამ თავიდან გაამართლა, თუმცა *ცენტრალური სახელმწიფოები* საბოლოო მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ოსმალეთის ომისწინა და ომისდროინდელ იდეოლოგიაზე. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ დეკადებში ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკურ ელიტაში *პანისლამისტური* და *პანთიურქისტული* იდეები ტრიალებდა.

ერთი ხანობა ოსმალეთში *პანოსმანიზმის* იდეაც არსებობდა, რაც ერთიანი ხალხის, Osmanlı-ს (ფრანგულად „les Ottomans", ქართულად „ოსმალო") შექმნას გულისხმობდა; მაგრამ ეს იდეა სწრაფად იქნა უკუგდებული, როგორც შეუძლებელი. „ოსმალო ხალხის" შექმნა ისეთივე ქიმერა იყო, როგორიც XX საუკუნის ბოლოს „საბჭოთა ხალხის" შექმნის მცდელობა.

პანისლამიზმი, ანუ ყველა „მუსლიმური მიწის" გაერთიანების იდეა, აღსასრულისკენ მიმავალი ძველი იმპერიისათვის ასევე მიუღწეველი იყო. 1908 წლის რევოლუციის შედეგად ოსმალეთის სათავეში მოსული პარტიის „*ითიჰად*

ვე თერაქი"-ს („ერთიანობა და პროგრესი": ამ პარტიის ლიდერებს „ახალგაზრდა თურქებს" უწოდებდნენ) სეკულარულად განწყობილმა მთავრობამ პანისლამიზმის იდეას *თურქული ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის იდეა* ამჯობინა.

ამან მძაფრად დაუპირისპირა ერთმანეთს სტამბოლის ეთნიკურად თურქული და დამასკოს, ბაღდადის, კაიროს, მექის არაბული ელიტა. ომის დროს იმპერიის მრავალი არაბი ქვეშევრდომი აჯანყდა და ბრიტანელთა მხარეს დადგა. ოსმალეთმა დაკარგა ისლამის წმინდა ქალაქები: *მექა, მედინა, იერუსალიმი.*

პანთიურქიზმი იყო XIX საუკუნის ბოლო დეკადებში წარმოქმნილი კონცეფცია ყველა, ენობრივად მონათესავე თიურქულენოვანი ხალხის – [ოსმალო] თურქების, აზერბაიჯანელების, თურქმენების, ვოლგისპირელი და ყირიმელი თათრების, უზბეკების, ყაზახებისა და მრავალი სხვა ეთნოსის ერთ სახელმწიფოში, *თურანში,* გაერთიანების შესახებ. თავდაპირველად პანთიურქიზმი მხოლოდ თეორიული იდეა იყო, ისტორიის ლოგიკით – *ქიმერა*, ანუ მიუღწეველი ოცნება, ისეთივე აბსურდული, როგორიც რუსეთის იმპერიის ზოგიერთ ინტელექტუალურ წრეში არსებული *პანსლავიზმის* იდეა.

კავკასიის ფრონტის გახსნა რუსეთისათვის, როგორც იტყვიან, მისწრება აღმოჩნდა: ომის პირველ წლებში რუსეთმა ყველაზე მეტ წარმატებას სწორედ ამ ფრონტზე მიაღწია. კავკასიურ არმიაში ბევრი გაიწვიეს ადგილობრივი ხალხებიდან: მრავალი ოფიცერი ქართველი იყო; მოხალისეებისგან შეიქმნა შვიდი სომხური ბატალიონი, რომლებიც მტრის ზურგშიც მოქმედებდნენ. რუსული *კავკასიური არმია* მსოფლიო ომის მასშტაბით მცირე იყო (რუსეთის ძირითადი ძალები ევროპის ფრონტებმა შებოჭეს) და მას გაუჭირდა დიდი სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა. მიუხედავად ამისა, 1916 წელს რუსეთის ჯარის ხელში იყო ერზურუმის, ვანის, ტრაპიზონის ვილაიეთები. პეტროგრადში სავსებით სერიოზულად მსჯელობდნენ აღმოსავლეთ ანატოლიის ანექსირების შესახებ. ამაზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებდნენ როგორც კავკასიის, ისე ოსმალეთის სომხები, თუმცა, როგორც წყაროები ცხადყოფენ, იმპერია არ გეგმავდა დაპყრობილი ტერიტორიის გადაცემას არასლავი ეთნოსებისათვის.

1915 წლის 18 თებერვალს ინგლისურ-ფრანგულმა ესკადრამ დარდანელის სრუტეში სამხრეთიდან შეჭრა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო: სამი საბრძოლო ხომალდი პირველსავე დღეს ნაღმებზე აფეთქდა და ჩაიძირა. ამის გამო სრუტის დასავლეთით მდებარე გალიპოლის (თურქულად – გელიბოლუს) ნახევარკუნძულზე ანტანტის ჯარების დიდი დესანტი გადასხეს. სახმელეთო *„გალიპოლის ოპერაცია"* ათი თვე გაგრძელდა და იმით დამთავრდა, რომ ანტანტამ თავისი ძალები 1916 წლის იანვარში გაიყვანა. მოკავშირეებმა 50 ათასამდე მოკლული

დატოვეს ბრძოლის ველზე, თურქებმა – 87 ათასი; დაჭრილი – ორჯერ მეტი იყო.

„გალიპოლის ოპერაციის" გამარჯვებულად ოსმალეთია მიჩნეული, მის არმიას გერმანელი გენერალი *ოტო ლიმან ფონ სანდერსი* სარდლობდა. ოსმალების მხრიდან კი ნამდვილი გმირი გამოდგა პოლკოვნიკი *მუსტაფა ქემალი*. ომის შემდეგ ის გამოიყენებს 1915-1916 წლებში მოპოვებულ დიდ ავტორიტეტს დამარცხებული სამშობლოს ფეხზე წამოსაყენებლად და თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდება. 1935 წელს ის გვარად *ათათურქს* აიღებს.

რუსეთის არმიასთან ბრძოლის პირველსავე თვეებში ოსმალეთმა მძიმე მარცხი იწვნია. 1915 წლის გაზაფხულზე სავსებით დასაშვები პროგნოზი იყო გალიპოლიში ანტანტის წარმატება, ბრიტანული დრედნოუტების შეჭრა მარმარილოს ზღვაში და სტამბოლში გამოჩენა, რაც ომის სწრაფად დამთავრებას მოასწავებდა. ოსმალეთის იმპერია დამარცხებისა და დაშლის რეალური საფრთხის წინაშე დადგა.

ომის დროს ოსმალეთის მთავრობამ გამოთვალა, მოსახლეობის რომელ *ეთნორელიგიურ ჯგუფებზე* შეეძლო დაყრდნობა მის ტერიტორიაზე მოქმედ მოწინააღმდეგეს, რუსეთის იმპერიულ არმიას: ესენი იყვნენ აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები ქრისტიანი სომხები და ასირიელები.

1915 წლის აპრილიდან ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით დაიწყო ანატოლიელი სომხებისა და ასირიელების დეპორტაცია სამხრეთის მიმართულებით, სირიის უდაბნოსაკენ, რასაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობა შეხვდა. ძალადობრივმა დეპორტაციამ მხეცური ხასიათი შეიძინა.

ჯერ კიდევ მსოფლიო ომამდე ოსმალეთის იმპერიაში შეიმჩნეოდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება ოფიციალური სტამბოლის პოლიტიკასთან. თუ ზოგი ეროვნული მოძრაობა (მაგალითად, არაბული, ალბანური) იმპერიის პერიფერიებზე მიმდინარეობდა და უშუალოდ თურქთა განსახლების არეალს ნაკლებად ეხებოდა, სომხური ნაციონალიზმი აღმოსავლეთ ანატოლიაზე აცხადებდა პრეტენზიას, რომელიც თურქებისა და ქურთების განსახლების არეალსაც წარმოადგენდა. ამდენად, ოსმალეთის მთავრობისათვის შედარებით ადვილი აღმოჩნდა ქრისტიანი სომხებისა და ასირიელების წინააღმდეგ ადგილობრივ მუსლიმ ქურთთა ტომების დარაზმვა.

სომხების, ასირიელების, აგრეთვე იეზიდების (ესაა ქურთების სუბეთნოსი, რომელიც არამუსლიმურ რელიგიას მისდევს) ნაწილი უმოწყალო დეპორტაციის, მისი თანმხლები შიმშილის ან პირდაპირი ჟლეტის მსხვერპლი გახდა. საკმაოდ ბევრმა ოსმალეთიდან გაქცევა მოასწრო. დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები სომხების დიდი ნაწილი სწორედ ამ ლტოლვილთა შთამომავალია. მცირერიცხოვანი ასირიელები კი რეალურად

იდგნენ სრული მოსპობის პირას. სომხები, ასირიელები („აისორები") და იეზიდები მასობრივად 1915 წელს დასახლდნენ თბილისში.

იმ პერიოდის რეპრესიები არ შეეხოთ ოსმალეთში მცხოვრებ ქრისტიან ბერძნებს (საბერძნეთი 1917 წლის 29 ივნისამდე ომში ნეიტრალიტეტს იცავდა), თუმცა 1923 წელს მათაც მოუხდათ ანატოლიის დატოვება, ლოზანის ხელშეკრულებით განსაზღვრული *მოსახლეობის გაცვლის* წესის თანახმად.

1917 წლის ბოლოდან, როდესაც პეტროგრადში მომხდარი ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად რუსის ჯარმა ოსმალეთის აღმოსავლეთ ნაწილში ომის დროს ოკუპირებული მიწების დატოვება დაიწყო, ერზურუმის, ვანის, ტრაპიზონისა და სხვა ვილაიეთებში, აგრეთვე რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ყარსის ოლქში მცხოვრებმა იმ სომხებმა, რომელთაც არ შეხებიათ 1915 წლის დეპორტაცია და თანამდევი ექსცესები, ოსმალების შიშით კავკასიას შეაფარეს თავი. ისინი საბოლოოდ იქვე დასახლდნენ, დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ნანილი – საქართველოში, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ცნობილი სომეხი ისტორიკოსი *ნიკოლაიოს ადონცი*, რომელიც 1918 წლის მარტში აანალიზებდა ანატოლიაში თავისი ერის უმძიმეს ტრაგედიას, მის მთავარ წამქეზებელ მიზეზად ასახელებდა 1912-1914 წლებში „სომხური საკითხის" გაძლიერებას (ამაზე მე-3 თავში ითქვა) და, აგრეთვე, სომხების ხაზგასმულ რუსოფილობას:

> „სომხებს ძვირად დაუჯდათ სწრაფვა რუსეთისაკენ და სიმპათია მისადმი. ომში ჩათრეულმა ოსმალეთმა „სომხურ საკითხში" რუსული დიპლომატიის წარმატებისათვის სამაგიეროს გადასახდელად... ისეთი დევნა მოუწყო სომხებს, რომ დაავიწყა ყველა საშინელება, რაც ადრე, საუკუნეების განმავლობაში, თავს დასტეხიათ" (ციტ. პ. ოგანიანის მიხედვით).

1918 წლის მარტში მსოფლიო ომიდან ბოლშევიკური რუსეთის გამოთიშვამ ოსმალეთს კავკასიაში ექსპანსიის მოულოდნელი შანსი მისცა და *მითური თურანის სახელმწიფოს* პანთიურქისტულმა იდეამ თითქოს ხორცშესხმა დაიწყო.

სწორედ იმ დროს, როდესაც არაბეთის ფრონტებზე ოსმალეთი ბრიტანელებთან ბრძოლაში ერთმანეთის მიყოლებით კარგავდა ქალაქებს (1917 წელს დაეცა ბაღდადი და იერუსალიმი, 1918 წელს – ბეირუთი და დამასკო), მოკავშირე გერმანიის მართლზომიერი მოთხოვნის – გაემაგრებინათ სამხრეთის ფრონტი – უგულებელყოფით, ოსმალეთის ავანტურისტმა ლიდერებმა, „ახალგაზრდა თურქებმა", ყველაზე ბრძოლისუნარიანი დივიზიები გადაისროლეს კავკასიის დასაპყრობად.

საქმე იმით დამთავრდა, რომ სტამბოლის მთავრობა ანტანტას დანებდა 1918 წლის ოქტომბერში, მაშინ, როდესაც ე.წ. „ისლამის არმიის" ხელთ იყო *ბაქო, დარუბანდი, თემირ-ხან-შურა* (ამჟამად ბუინაკსკი), *პორტ-პეტროვსკი* (ამჟამად მახაჩკალა) და ის თურქესტანში ლაშქრობას გეგმავდა.

ოსმალო ასკერები შინ დაბრუნდნენ. „ახალგაზრდა თურქები" საზ-

ღვარგარეთ გაიქცნენ, სადაც სომეხმა შურისმაძიებლებმა, „ოპერაცია ნემესისის“ მონაწილეებმა, 1921-1922 წლებში ისინი სათითაოდ იპოვეს და ჩახოცეს. ერთი მათგანი, *ჯემალ-ფაშა*, 1922 წლის ივლისში თბილისში, მთაწმინდაზე, ამჟამინდელი ჩაიკოვსკისა და ინგოროყვას ქუჩების კუთხეში მოკლეს.

მსოფლიო ომის დასასრული

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მრავალი ცდა, დაზავებულიყვნენ ანტანტასთან, უშედეგო გამოდგა. ანტანტას ესაჭიროებოდა გადამწყვეტი გამარჯვება მტერზე, უპირველესად, გერმანიის სრული გაცამტვერება. უკვე 1916 წელს, მით უმეტეს მომდევნო წლებში, ანტანტა და მისი მოკავშირეები შეიარაღებითა და ცოცხალი ძალის რაოდენობით მკვეთრად სჭარბობდნენ „ცენტრალურ სახელმწიფოებს“.

საომარი მოქმედების შეჩერება ანტანტას ხელს არ აძლევდა: დაზავება, უბრალოდ, სულის მოთქმის საშუალებას მისცემდა გერმანიას და გადაავადებდა ომის განახლებას. ანტანტა მტრის სრულ და უპირობო კაპიტულაციას მოითხოვდა. ძალიან ეფექტიანი ბრიტანული პროპაგანდა ანტიგერმანულად განაწყობდა მსოფლიოს. მაგალითად, ბრიტანელი დაზვერვის ოფიცრის მიერ გამოგონილმა „ცნობამ“, თითქოს გერმანელები მკვდარი ჯარისკაცებისაგან ღორების საკვებსა და საპონს ამზადებდნენ, ძალიან გაუადვილა ჩინეთისა და აშშ-ის მთავრობებს გერმანიისათვის ომის გამოცხადება. ათი წლის შემდეგ ინგლისის ლორდთა პალატამ სიცრუედ აღიარა ეს ცნობა. „სიმართლე ომის პირველი მსხვერპლია“: ამ ანდაზის გამეორება არაერთხელ მოგვიხდება!

1915 წლიდან გერმანიის მხრიდან მიმდინარეობდა ფარული ზონდირება რუსეთთან სეპარატული ზავის დადების შესახებ. რუსეთი ძალიან დაიღალა, მას არ ჰყოფნიდა ფინანსები და შეიარაღება და ევროპაში ომს აგებდა. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ რუსეთის მეფის ტახტიდან გადადგომის (ფაქტობრივად – გადაყენების) ერთ-ერთი მიზეზი გახდა მისი სავსებით მოსალოდნელი ნაბიჯი – დასთანხმებოდა სეპარატულ ზავს, რაზეც მეფე ხმამაღლა მსჯელობდა უკვე 1916 წელს, და არა მხოლოდ სახალხო მღელვარება დედაქალაქში. ქ. პეტროგრადში გამოვლენილი მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის დროს მეფე იმყოფებოდა ქ. მოგილიოვში, უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში, და პირდაპირი საფრთხე მეამბოხეებისაგან არ ელოდა. მტკიცე მმართველი ბოლომდე იბრძოლებდა მეამბოხეებთან, მაგრამ ეს ნიკოლაის მორალურ ძალას აღემატებოდა.

ანტანტას კი სჭირდებოდა საომრად განწყობილი რუსეთის მთავრობა და უნებისყოფო მეფის გარემოცვაში მრავლად ჰყავდა თავისი მომხრეები, რომ-

ლებიც ნიკოლაი II-ს „სწორი გადაწყვეტილების მიღებაში" დაეხმარებოდნენ. თითქმის ყველა ფრონტის სარდალი ემხრობოდა მეფის გადადგომას.

მალე ნათელი გახდა, რომ 1917 წლის თებერვალში პეტერბურგში დაწყებული არეულობა რევოლუცია იყო. შემდეგში მას რუსეთის თებერვლის რევოლუცია დაერქმევა. 3 მარტს (ახალი სტილით 16 მარტს) ნიკოლაი რომანოვი გადადგა. ტახტზე უარი განაცხადა მისმა ძმამაც. რუსეთში მონარქია გაუქმდა. 1 სექტემბერს ის რესპუბლიკად გამოცხადდა.

22 მარტს ანტანტის ქვეყნებმა ცნეს რუსეთის *დროებითი მთავრობა*, რომელმაც მათ ომის გაგრძელება აღუთქვა.

გერმანიამ კი ომში გამარჯვების მოსურნე დროებით მთავრობას რადიკალურად განწყობილი რევოლუციონერები – *ბოლშევიკები* – დაუპირისპირა, რომლებიც მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხების მომხრეები იყვნენ.

ამ მხრივ საინტერესოა ემიგრაციაში მყოფი *ვლადიმირ ლენინის* თეზისების მონახაზი, რომელიც მან უშუალოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 17 მარტს შვეიცარიაში დაწერა. ეს მონახაზი არაა დამუშავებული და, როგორც ჩანს, ასახავს ლენინის ნამდვილ განწყობასა და აზრებს.

რუსეთის დროებითი მთავრობის შესახებ ლენინი წერდა:

> „ახალი მთავრობა შედგება გერმანიასთან იმპერიალისტური ომის აშკარა მომხრეებისა და დამცველებისაგან, ე.ი. ომისა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურ მთავრობებთან კავშირში, ომისა – ძარცვისა და უცხო ქვეყნების: სომხეთის, გალიციის, კონსტანტინოპოლის და ა. შ. დაპყრობის მიზნით".

ამრიგად, ლენინი სულაც არ მიიჩნევდა რუსეთის ომს *სომხეთისა* (აღმოსავლეთ ანატოლიის) და *გალიციის* (ახლა ის დასავლეთ უკრაინაა) განმათავისუფლებელ ომად. ლენინისათვის ეს იყო „ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურ მთავრობებთან ერთად წარმოებული დაპყრობითი ომი". „იმპერიალისტურ ომში" ის არ ადანაშაულებდა გერმანიას. უფრო პროგერმანულად განწყობილ რუს პოლიტიკოსს ბერლინი ვერც ინატრებდა!

ამ თეზისებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ორი დღის შემდეგ, 19 მარტს, გაგზავნილი ლენინის დეპეშა, რომლის ტექსტი, ეჭვგარეშეა, ავტორის თანხმობით, შვეიცარიის პრესაში მოხვდა და დაუყოვნებლივ გადაიბეჭდა გერმანიაში. დეპეშა[14] აშკარად იყო მიმართული რუსეთის ახალი მთავრობის წინააღმდეგ. პარტიის ტაქტიკის ერთ-ერთ ელემენტად „პროლეტარიატის შეიარაღება" იქნა მიჩნეული. ეს რუსეთში სამოქალაქო ომს მოასწავებდა.

ახლა აღარა აქვს მნიშვნელობა, უხდიდა თუ არა, ან რატომ უხდიდა ფულს

[14] აი, დეპეშის სრული ტექსტი: *„ჩვენი ტაქტიკაა: სრული უნდობლობა, არავითარი მხარდაჭერა ახალ მთავრობას; კერენსკის განსაკუთრებით არ ვენდობით; პროლეტარიატის შეიარაღება – ერთადერთი გარანტიაა; დაუყოვნებელი არჩევნები პეტროგრადის სათათბიროში; არავითარი დაახლოება სხვა პარტიებთან. დეპეშით აცნობეთ ეს პეტროგრადში. ულიანოვი".*

ბოლშევიკებს გერმანიის მთავრობა (იმდროინდელი ოპონენტები უკიჟინებდნენ ლენინს, რომ ის „გერმანიის კმაყოფაზე მყოფი ჩამოვიდა რუსეთში“: მოგვიანებით ეს დადასტურდა კიდეც). მთავარია, რომ მოხდა *ინტერესების პრაგმატული დამთხვევა*. გერმანიას სჭირდებოდა ქაოსი რუსეთში და, საბოლოოდ, მისი ომიდან გამოთიშვა. ბოლშევიკები რუსეთში არეულობის შემოქმედნი შეიძლება გამომდგარიყვნენ და გამოდგნენ კიდეც. თავის მხრივ, ბოლშევიკები ესწრაფოდნენ ძალაუფლებას, რომელიც ნებისმიერი გზით უნდა წაერთმიათ მრავალპარტიული დროებითი მთავრობისათვის.

გერმანიასთან მეომარი ქვეყნის, რუსეთის, ქვეშევრდომები – 159 ბოლშევიკი პოლიტიკური ემიგრანტი *ვლადიმირ ულიანოვ-ლენინის* მეთაურობით – შვეიცარიიდან შვედეთში, მთელი გერმანიის გაელით, გარედან დალუქული ვაგონებით გადაიყვანეს. შვედეთიდან ბოლშევიკთა ამ ჯგუფმა ადვილად შეაღწია რუსეთში, სადაც რევოლუციური ქაოსი სუფევდა და მტერ-მოყვარის გარჩევა ჭირდა.

ეს მგზავრობა შესაძლებელი გახდა გერმანიის გენერალური შტაბის სრული ხელშეწყობით. ასე იქცევიან ხოლმე, როდესაც მტრულ ქვეყანაში დივერსანტების შეგზავნა უნდათ.

1917 წლის 16 აპრილს პეტროგრადის ფინლანდიის ვაგზალთან შეკრებილი ბრბო აღტაცებით ხვდებოდა ლენინს. უკრავდა სამხედრო ორკესტრიც კი!

1917 წლის 7 ნოემბერს ბოლშევიკებმა დაამხეს დროებითი მთავრობა და დაეუფლნენ პოლიტიკურ ძალაუფლებას. გერმანიამ თითქოს მიაღწია საწადელს: ბოლშევიკურმა მთავრობამ 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში მასთან სეპარატულ ზავს მოაწერა ხელი და რუსეთი ომს გამოეთიშა. გერმანელებს მხოლოდ დასავლეთის ფრონტი დარჩათ.

მაგრამ ეკონომიკურად გამოფიტული, დამშეული და სისხლისგან დაცლილი გერმანია ვეღარ უძლებდა ბრიტანულ-ფრანგული ძალების დაწოლას, რომელთაც უწყვეტად მოსდიოდათ დახმარება აშშ-დან, როგორც ცოცხალი ძალის, ისე საჭურვლის, საწვავისა და სურსათ-სანოვაგის სახით.

გერმანიის სუსტი მოკავშირეები ბრიტანულ-ფრანგული ძალების გადამწყვეტი შეტევის წინაშე უძლურნი აღმოჩნდნენ. ისინი გამოიფიტნენ და მორალურადაც გატყდნენ. 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ბულგარეთი, ოსმალეთი, ავსტრია-უნგრეთი ზედიზედ დანებდნენ ანტანტას – დაზავებას მოაწერეს ხელი, რაც კაპიტულაციის ტოლფასი იყო. ავსტრია-უნგრეთი ხუხულასავით დაიშალა.

გერმანია სამხრეთიდან დაუცველი დარჩა. მისი უკმაყოფილო, მშიერი მოსახლეობა დრტვინავდა. სოციალისტი რადიკალები ამ უკმაყოფილებას აღვივებდნენ. გერმანიაში რევოლუცია დაიწყო.

სახელმწიფოს, რომლის მიწაზეც იმ დროს ჯერ არ გაეგონათ მტრის

ჯარისკაცის ჩექმის ბრახუნი – გერმანული არმიები ჯერაც იდგნენ დასავლეთითა და აღმოსავლეთით ოკუპირებულ ტერიტორიებზე – ანტანტის ძალიან მძიმე პირობებით დაზავების (რეალურად – კაპიტულაციის) გარდა სხვა გზა აღარ დარჩა.

1918 წლის მე-11 თვის 11 რიცხვში 11 საათზე მსოფლიო ომი დამთავრდა: ამ დროს კომპიენის ტყეში, ფრანგი მხედართმთავრის, *მარშალ ფოშის* საშტაბო მატარებელში, სწორედ იმ ვაგონში, სადაც 1871 წელს გერმანელებმა კაპიტულაციის პირობები უკარნახეს ფრანგებს, ამჯერად გერმანელმა გენერლებმა მოაწერეს ხელი დამამცირებელ ზავს.

22 წლის შემდეგ, 1940 წლის 21 ივნისს, *ჰიტლერი* იმავე ვაგონში დაამცირებს ფრანგ გენერლებს, როდესაც მათ საფრანგეთის კაპიტულაციაზე მოაწერინებს ხელს.

თავი 7

პირველი მსოფლიო ომის შედეგები

ვინ იყო „ომის გამჩაღებელი“?

გამარჯვებულმა ანტანტამ ომის მთავარ გამჩაღებლად გერმანია გამოაცხადა და მკაცრად დასაჯა, შესაძლოა – გადაჭარბებულადაც კი.

გერმანია მართლაც იყო აგრესორი, მაგრამ ზუსტად იმდენად, რამდენადაც ომის სხვა მონაწილენი, რომლებიც თავიდანვე ესწრაფვოდნენ ომის შედეგად სხვისი ტერიტორიის დაუფლებას.

გამონაკლისად, ალბათ, სულ სამიოდე ქვეყანას თუ მივიჩნევთ. *ბელგიის* ნეიტრალიტეტი მისივე გეოგრაფიულ მდებარეობას ემსხვერპლა: გერმანია სამხრეთ ბელგიის გავლით შეიჭრა საფრანგეთში. სხვათა შორის, ბელგიელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტრის ჭარბ ძალას და სერიოზულად შეაფერხეს გერმანიის „ბლიც-კრიგი“. ბელგიის ბევრი ქალაქი და სოფელი ნანგრევებად იქცა. გერმანული აგრესიის მსხვერპლი გახდა *ლუქსემბურგიც*.

ძნელია დაპყრობით განზრახვებში *აშშ-ის* დადანაშაულება. ის ლამის ძალით ჩაითრიეს ომში, მას შემდეგ, რაც გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა ატლანტის ოკეანეში მისი სავაჭრო გემების მასობრივი ჩაძირვა დაიწყო. აშშ ომში ოფიციალურად მონაწილეობდა არა როგორც ანტანტის „მოკავშირე“ (ally), არამედ როგორც „დაკავშირებული“ (associate) ქვეყანა, ისიც მხოლოდ გერმანიის წინააღმდეგ: ოსმალეთის, ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთისათვის მას ომი არც გამოუცხადებია. ომის დამთავრების შემდეგ ამერიკელები ევროპას გაეცალნენ და ყველანაირ ტერიტორიულ მოგებაზე უარი თქვეს. მაგრამ ამერიკასაც ვერ მივიჩნევთ მთლად მიუკერძოებლად: ომში ჩაბმამდეც ის სერიოზულ სამხედრო დახმარებას უწევდა დიდ ბრიტანეთს.

დანარჩენ მეომარ სახელმწიფოებს კი თვითონ ჰქონდათ აგრესიული ზრახვები სხვა ქვეყნების მიმართ. *სერბეთიც* კი, რომლისთვისაც ავსტრია-უნგრეთის მიერ ომის გამოცხადებას მსოფლიო ომის პირველი გასროლა მოჰყვა, არ იყო

აგრესიის უმანკო მსხვერპლი. სერბეთი არც მალავდა ბალკანეთში დომინირებისა და ბელგრადის ეგიდით სამხრეთ სლავების ერთ სახელმწიფოში გაერთიანების სურვილს, რაც მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ნიშნავდა.

ზოგ შემთხვევაში სიხარბე უკვე ომის დროს გაჩნდა: მადა ხომ ჭამაში მოდის! მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა, რომელსაც ძალიან არ უნდოდა ხმელთაშუაზღვისპირეთში რუსეთის გამოჩენა და თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იცავდა ოსმალეთს რუსული იმპერიული ექსპანსიისაგან, „ცენტრალური სახელმწიფოების" მხარეზე ოსმალეთის ომში ჩაბმისთანავე უარი თქვა ამ პოლიტიკაზე. „*საიქს-პიკოს შეთანხმების*" სახელით ცნობილი ფარული გარიგებით 1916 წელს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა (მოგვიანებით მათ რუსეთი და იტალიაც შეუერთდნენ) წინდაწინ გაიყვეს ჯერ დაუპყრობელი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია.

რეალურად რუსეთმა ვერაფერი მიიღო, რადგან სეპარატული ზავით გამოეთიშა ომს. ლონდონმა და პარიზმა კი თავიანთი შეხედულებებისამებრ გადააკეთეს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. „*საიქს-პიკოს შეთანხმებაში*" სიტყვაც არ თქმულა ოსმალეთის ტერიტორიის ხარჯზე სომხეთის სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

მსოფლიო ომის პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები

ომის შედეგად დაიშალა ოთხი იმპერია – ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, რუსეთი და ოსმალეთი. მონარქიების ნანგრევებზე სხვადასხვა ტიპის რესპუბლიკები შეიქმნა.

ზოგჯერ ისმის კითხვა: „*რა სჯობდა ადამიანთა კეთილდღეობისათვის – საკმაოდ ლიბერალური და ტოლერანტული იმპერიები, თუ ახალი, ეროვნული სახელმწიფოები, რომელთაგან ბევრში დიქტატურა დამყარდა?*"

პასუხი ასეთი შეიძლება იყოს: „მრავალეროვანი იმპერიები შუა საუკუნეების გადმონაშთს წარმოადგენდნენ (გამონაკლისი იყო გერმანიის იმპერია). ეროვნული სახელმწიფოები უფრო შეესაბამებოდნენ იმ ახალ რეალობას, რომელიც *იმპერიების მესვეურების უპასუხისმგებლობითვე გამოწვეული ომის* შედეგად შეიქმნა".

მართლაც, თითქოს რაღაც ირაციონალური ძალა მართავდა იმპერატორებისა და მათი მინისტრების საომარ ჟინს, რომელმაც იმპერიები დაღუპვამდე მიიყვანა.

ომის დამთავრებისთანავე დაიწყო მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკური რუკის შექმნა. ნახ. 7.1-ზე ასახულია ევროპისა და, ნაწილობრივ, ახლო აღმოსავლეთის, პოლიტიკური რუკა 1920 წლის დასაწყისისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მოვლენა იყო XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის მიერ დანაწევრებული *პოლონეთის* დაბრუნება ევროპის პოლიტიკურ რუკაზე.

XVI-XVIII საუკუნეებში პოლონეთი ძალიან მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ნიშას ავსებდა: ის ფაქტობრივად მიჯნავდა ერთმანეთისაგან დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას, უფრო ზუსტად, „ევროპასა და ევრაზიას", რადგან მისი ძირითადი მეტოქეები აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით იმ დროს იყვნენ რუსეთი და ოსმალეთი – ორივე ევრაზიული სახელმწიფო. XX საუკუნეში კი აღდგენილ პოლონეთს რუსეთსა და გერმანიას შორის ბუფერის როლი უნდა შეესრულებინა.



ნახ. 7.1. ევროპის პოლიტიკური რუკა 1920 წლის დასაწყისში

ანტანტა თავიდანვე გეგმავდა თავისი გამარჯვების შემთხვევაში პოლონეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ომის დასაწყისში რუსეთმაც განაცხადა, რომ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დამარცხების შემდეგ აღადგენს პოლონეთს ამ იმპერიების შემადგენლობაში მყოფი პოლონური მიწების ხარჯზე. იმავეს გეგმავდნენ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, ოღონდ რუსეთისაგან განთავისუფლებული პოლონური გუბერნიების ტერიტორიაზე. ბუნებრივია, მეტოქეების გეგმებით *„მათი პოლონეთი"* მათივე მარიონეტული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო.

გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა დაასწრეს ანტანტასა და რუსეთს: 1916 წლის 5 ნოემბერს მათ ნომინალურად აღადგინეს პოლონეთის სამეფო რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიაზე, საიდანაც რუსის ჯარი უკუგდებულ იქნა.

ომისშემდგომი *პოლონეთის რესპუბლიკა* (*რეჩპოსპოლიტა*) რეალურად შეიქმნა რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებში შემავალი ისტორიული პოლონეთის ტერიტორიების ხარჯზე. ეს გულისხმობდა იმ დროისათვის უკვე სხვა ერებად ჩამოყალიბებული ხალხების მიწების შეერთებასაც, მაგალითად, პოლონეთმა დაიტოვა ისტორიული ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი, უკრაინული გალიცია, ცენტრით ლვოვში. რეჩპოსპოლიტის მთელი მოსახლეობის 10 პროცენტამდე ებრაელი იყო. აღდგენილი პოლონეთი მრავალეროვნული სახელმწიფო გახდა (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის მონოეთნიკურია).

1918 წელსვე პოლონეთი საყოველთაოდ ცნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მისი დამოუკიდებლობის გარანტებად საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი გამოდიოდნენ. 1939 წლის სექტემბერში დასავლეთელმა მოკავშირეებმა სცადეს პოლონეთისათვის „ერთგულების დამტკიცება", როდესაც მასზე გერმანიის თავდასხმისთანავე ომი გამოუცხადეს ამ უკანასკნელს: ამით დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. სხვა საქმეა, რომ პოლონეთი, რომელსაც აღმოსავლეთიდან საბჭოთა კავშირიც დაესხა თავს, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ვერ გადაარჩინეს.

ცენტრალურ ევროპაში ხელახლა დაბრუნდნენ შუა საუკუნეებში არსებული *ავსტრია, უნგრეთი, ლიტვა* – ამჯერად რესპუბლიკებისა და არა სამეფო-სამთავროების სახით.

ევროპაში აღმოცენდნენ ადრე არარსებული სახელმწიფოები: *ფინეთი, ლატვია, ესტონეთი, ჩეხოსლოვაკია* (ცალკე ჩეხეთის სამეფოს ადრეც უარსებია). ისტორიაში პირველად პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ, თუნდაც მცირე ხნით, ისეთი ერთეულები, როგორიც ახლაც არიან *უკრაინა* და *ბელარუსი*. სერბების ჰეგემონიით ერთ სახელმწიფოში – *სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოში* (1929 წლიდან მას *იუგოსლავია* ეწოდა) გაერთიანდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ყველა სლავი ხალხი, გარდა ბულგარელებისა. ამ გაერთიანების ხელოვნურობა საუკუნის ბოლო დეკადაში გამოაშკარავდა, როდესაც იუგოსლავია სისხლსა და ცეცხლში დაინგრა.

ტერიტორიულად ერთგვარად დაზარალებული აღმოჩნდა ომში გამარჯვებული ქვეყანაც: 1922 წელს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფოს ნაწილში, კუნძულ ირლანდიაზე (ჩრდილოეთით მდებარე პროვინცია *ოლსტერის* გარეშე), შეიქმნა *ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო – ეირე*, ჯერ ბრიტანული დომინიონი, შემდგომში – რესპუბლიკა.

ომის დროს *კანადელები, ავსტრალიელები, ახალ ზელანდიელები* პირველად იბრძოდნენ სწორედ ამ სახელებით და არა როგორც *„ბრიტანეთის გვირგვინის ქვეშევრდომები“*. ამან ბრიტანულ დომინიონებში ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრებასა და ახალი ერების წარმოქმნას დიდად შეუწყო ხელი. ინდოელები და აფრიკის კოლონიების მკვიდრნი, რომლებიც მოკავშირეთა არმიებში გაიწვიეს, ასევე სულ სხვა იდეებით დაბრუნდნენ შინ: „თეთრი ადამიანი უძლეველი სულაც არ ყოფილა!“

კავკასიაში შეიქმნა სამი რესპუბლიკა – *საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი*.

არაბები, რომელთა დიდი უმრავლესობა ოთხასი წლის განმავლობაში სტამბოლს ემორჩილებოდა, დამოუკიდებლები გახდნენ. ჯერ კიდევ 1914 წელს ოსმალეთის იმპერიას გამოეყო ბრიტანული ოკუპაციის ქვეშ მყოფი *ეგვიპტე*. ომის დროსვე ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა *იემენი*, როდესაც ის ოსმალეთის სამხედრო ნაწილებმა დატოვეს. 1916 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა *ჰიჯაზმა*, სადაც მდებარეობს მუსლიმთა წმინდა ქალაქები *მექა* და *მედინა*. ევროპის სახელმწიფოებმა ჰიჯაზის დამოუკიდებლობა ცნეს.

იმავე პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულის შუა ნაწილებს ბრძოლით აერთიანებდა საუდიანთა დინასტიის დამაარსებელი *აბდ ალ-აზიზ ას-საუდი*, რომელმაც 1924 წელს ჰიჯაზიც დაიპყრო. ევროპის სახელმწიფოებმა ეს დაპყრობაც ცნეს. 1932 წელს ას-საუდი ამ დიდ, უდაბურ ტერიტორიაზე გამოაცხადებს *საუდის არაბეთის* სამეფოს შექმნას. იმავე წელს გეოლოგები სამეფოში აღმოაჩენენ ნავთობის უდიდეს საბადოებს, რაც XX საუკუნის მეორე ნახევარში შეცვლის ახლო აღმოსავლეთის რეგიონისა და მსოფლიოს გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკას.

არაბთა განსახლების არეალის საგრძნობი ნაწილი კიდევ თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე იმართებოდა ანტანტის ქვეყნების მიერ – ერთა ლიგის მანდატით (*სირია, ლიბანი, ერაყი, ტრანსიორდანია*), ან რჩებოდა ბრიტანეთის პროტექტორატებად (*ქუვეითი, კატარი, ომანი და მასკატი, შეთანხმებითი ომანი, ბაჰრეინი*) და კოლონიად (*ადენი*). ლონდონმა და პარიზმა იზრუნეს, რომ არაბული სამყარო არ გაერთიანებულიყო. დღეისათვის ახლო აღმოსავლეთში *12 არაბული სახელმწიფოა*, რომელთა საზღვრები ძირითადად ევროპის ზემოხსენებული დედაქალაქების კაბინეტებში დაიხაზა. XXI საუკუნეში რეგიონში აუცილებლად გაჩნდება კიდევ ერთი არაბული სახელმწიფო – *პალესტინა*.

„ბალფურის დეკლარაცია"

ლონდონის ერთობ კეთილშობილურმა მიზანმა – მსოფლიოში გაფანტული *ებრაელობისათვის ეროვნული კერის შექმნის შესაძლებლობა მიეცა*, იმავე ლონდონს მალე თავბედი აწყევლინა და რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში გაუთავებელი ომების მიზეზი გახდა.

ბრიტანეთის იმპერიის გეოპოლიტიკურმა მიზნებმა და აქტიურმა ზეწოლამ სიონისტური ორგანიზაციის მხრიდან, რომელიც იერუსალიმში („სიონში") და მის ირგვლივ, პალესტინაში, ებრაული სახელმწიფოს აღორძინებისათვის იღვწოდა, აიძულა ბრიტანეთის მთავრობა გამოეცა დოკუმენტი, რომელმაც მკვეთრად შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება ჯერ ახლო აღმოსავლეთში და, მოგვიანებით, მსოფლიოშიც. ეს დოკუმენტი ცნობილია, როგორც *„ბალფურის დეკლარაცია"*, რადგან დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის სახელით მას ხელს ანერდა საგარეო საქმეთა მინისტრი *ლორდი არტურ ბალფური*. დეკლარაციაში აღნიშნული იყო ბრიტანეთის მთავრობის ნება, რომ ებრაელთათვის *პალესტინაში* შექმნილიყო ეროვნული კერა. დოკუმენტი გამოქვეყნდა 1917 წლის 2 ნოემბერს, როდესაც პალესტინა ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში იყო (იხ. ჩანართი 7.1).

ჩანართი 7.1

ფორინ ოფისი
ნოემბრის 2, 1917 წ.

ძვირფასო ლორდო როტშილდ,

ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი თანაგრძნობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და დამტკიცდა კაბინეტის მიერ:

„მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გააადვილოს ამ მიზნის მიღწევა, იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, ანდა იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში".

მადლობელი დაგრჩებით, თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას.

არტურ ბალფური

დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა ეს „დეკლარაცია" გამოსცა *იმ ტაქტიკური იმედით*, რომ მოიპოვებდა ამერიკის ებრაელობის მხარდაჭერას მსოფლიო ომში, დააჯერებდა რუსეთის ებრაელობას, რომ საჭიროა გავლენის

მოხდენა მთავრობაზე ომში მონაწილეობის გასაგრძელებლად. ამავე დროს, ლონდონს უნდოდა ეჩვენებინა გერმანიის ებრაელობისათვის, რომ „ბრიტანეთი მათზეც ზრუნავს".

ბრიტანელებს ეს ტაქტიკური იმედი ძალიან სწრაფად გაუცრუვდათ. მართალია, „ბალფურის დეკლარაციის" გამოქვეყნებიდან სულ ხუთიოდე დღის შემდეგ, 1917 წლის 7 ნოემბერს, რუსეთის სათავეში მოსული ბოლშევიკების უმაღლეს ხელმძღვანელთა შორის ებრაელები ლამის უმრავლესობა აღმოჩნდნენ (ტროცკი, სვერდლოვი, კამენევი, ზინოვიევი, სოკოლნიკოვი, ურიცკი, ლიტვინოვი, კაგანოვიჩი, ლარინი და სხვები), მაგრამ ისინი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" იდეით შეპყრობილი მარქსისტები იყვნენ და არც სიონიზმსა და არც ანტანტას არ სწყალობდნენ. რაც შეეხება გერმანიის ებრაელებს, ისინი მტკიცედ იდგნენ ბერლინის მხარეს. ბევრი მათგანი გერმანული არმიის შემადგენლობაში თავგანწირვით იბრძოდა.

უსაფუძვლო აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის *სტრატეგიული გეოპოლიტიკური გათვლაც*, თითქოს პალესტინაში ებრაული კერის შექმნა დიდი ხნით უზრუნველყოფდა ბრიტანულ გავლენას ახლო აღმოსავლეთში. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ლონდონს პალესტინაში ან ებრაელობის საქმე უნდა ეკეთებინა, ან არაბები და ებრაელები გაეშველებინა. ორივე მხარე კი ლონდონს მეორის მხარდაჭერაში ადანაშაულებდა.

საყურადღებოა, რომ „ბალფურის დეკლარაციაში" მითითებული იყო: *„არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს*". სიონისტებმა ამ პუნქტს ყურადღება არ მიაქციეს, ბრიტანელებმა კი ის არ დაიცვეს.

1917 წლიდან სამიოდე ათწლეულში ბრიტანული გავლენა რეგიონში ლამის ნულამდე დაეცა. ასე რომ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს *ერნესტ ბევინს* ნამდვილად ჰქონდა საბაბი, ეთქვა: *„ბალფურის დეკლარაცია იყო ბრიტანული საგარეო პოლიტიკის უდიდესი შეცდომა XX საუკუნეში*".

ომი და ტექნოლოგიური ძვრები

მსოფლიო ომმა და მისთვის გამალებულმა მზადებამ უზარმაზარი ტექნიკური სიახლეები მოიტანა, უპირველესად სამხედრო მრეწველობაში. ომის შემდეგ კი, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ტექნიკური პროგრესი სამოქალაქო სფეროსაც გადაედო. ეს გამოჩნდა, მაგალითად, რადიოს უსწრაფეს გავრცელებაში, საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკისა და ქიმიური პროდუქტების, ავტომობილების, ტრაქტორების, სამოქალაქო თვითმფრინავების წარმოებაში და ა.შ.

1911 წელს საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსს უთქვამს: *„აეროპლანი საინტერესო სათამაშოა, მაგრამ ომისათვის სრულებით გამოუსადეგარი"*. სულ რამდენიმე წლის შემდეგ ის დარწმუნდა, რომ ცდებოდა. *სამხედრო თვითმფრინავი*, თუნდაც ჯერჯერობით არასრულყოფილი, მსოფლიო ომში წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი გახდა. 1918 წლის ივლისში ბრიტანელებმა პირველად გამოიყენეს *ავიამზიდი*: სამხედრო ხომალდის საგანგებოდ მოწყობილი გემბანიდან სამხედრო თვითმფრინავები აფრინდნენ და ოპერაციის შემდეგ იქვე დაეშვნენ.

1916 წლის 15 სექტემბერს ბრიტანეთმა პირველად გამოიყენა შეჯავშნული მუხლუხებიანი მანქანა, რომელსაც ქვემეხი ან ტყვიამფრქვევი ჰქონდა. გერმანული მზვერავი თვითმფრინავების თვალის ასახვევად ბრიტანელებმა სარკინიგზო პლატფორმებზე დაწყობილ ახალ საბრძოლო ტექნიკას ბრეზენტი გადააფარეს და დააწერეს „Tanks", რაც ინგლისურად „ცისტერნებს" ნიშნავს. მუხლუხებიან მექანიკურ ურჩხულს სახელად „ტანკი" შერჩა. პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლებში *ტანკებს* ცალკეულ ბრძოლებში გარდატეხის შეტანა შეეძლოთ.

სულ 20-25 წლის შემდეგ კი, მეორე მსოფლიო ომში, ბევრად უფრო სრულყოფილ ტანკებსა და ავიაციას სამხედრო წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. პირველი მსოფლიო ომის დროსვე გამოჩნდნენ დაჯავშნული ავტომობილები.

ელექტროტექნიკის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია ის, რომ ომის პერიოდში *წყალქვეშა ნავები*, განსაკუთრებით გერმანული, იმდენად სრულყოფილი და ეფექტიანი აღმოჩნდა ატლანტის ოკეანით დიდი ბრიტანეთისაკენ მიმავალი ამერიკული სავაჭრო გემების მასობრივი განადგურებისას, რომ 1917 წელს განრისხებული ამერიკის ომში ჩაბმის საბაბი გახდა. პარადოქსია, რომ გერმანული წყალქვეშა ნავების მაღალი ტექნიკური ხარისხი გახდა გერმანიის დამარცხების მიზეზი: ამერიკამ თავისი უზარმაზარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით გამარჯვების სასწორი ანტანტის მხარეს გადახარა.

ჯერ კიდევ ომამდე დადებული საერთაშორისო შეთანხმებების უგულებელყოფით, ჯერ გერმანიამ, შემდეგ – ანტანტამ ომის დროს გამოიყენეს მომწამლავი საბრძოლო აირი. ეს *ქიმიური მრეწველობის* წარმატება იყო, მაგრამ იმდენად სახიფათო თვით მისი გამომყენებელი მხარისათვის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, მიუხედავად მებრძოლი მხარეების მძაფრი ურთიერთსიძულვილისა, ქიმიური იარაღი არც ჰიტლერმა და არც სტალინმა არ გამოიყენეს. საერთაშორისო კონვენციაზე მეტად, ამაზე, ალბათ, *შიშის ბალანსმა* იმოქმედა: ერთი მხარის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება, რომელიც შეიძლება არც გამომდგარიყო ეფექტიანი, საპასუხო გამანადგურებელ ნაბიჯს გამოიწვევდა. სხვათა შორის, პირველი მსოფლიო ომის დროსვე გამოიგონეს *აირწინაღი*.

ომი, ევროპელები და კავკასია

პირველი მსოფლიო ომი უმთავრესად ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობდა. ევროპელები ლპებოდნენ ათასობით კილომეტრი სიგრძის ნესტიან სანგრებში, ევროპელები ხოცავდნენ ერთმანეთს ხიშტებით. მაგალითად, *ბრიტანეთის იმპერიამ* (თავის დომინიონებთან და კოლონიებთან ერთად) პირველი მსოფლიო ომის ოთხ წელიწადში *მილიონამდე ჯარისკაცი დაკარგა* მოკლულებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულების სახით (მათ შორის 700 ათასი უშუალოდ ბრიტანეთის კუნძულების მკვიდრი), რაც ორჯერ მეტია მისსავე დანაკარგზე ექვსწლიანი მეორე მსოფლიო ომის დროს.

კიდევ უფრო დიდი დანაკარგი ჰქონდა *საფრანგეთს* – 1,4 მილიონი მოკლული და უგზო-უკვლოდ დაკარგული. დამარცხებული ქვეყნების დანაკარგიც არ იყო ნაკლები: *გერმანიისა და რუსეთისა* – ორ-ორი მილიონი, *ავსტრია-უნგრეთისა* – მილიონზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომში საკუთრივ ინგლისის ცოცხალი ძალის დანაკარგში მნიშვნელოვანი იყო ბრძოლაში დაღუპულ არისტოკრატიის წარმომადგენელთა, ელიტური ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ხვედრითი წილი: ომში მოხალისედ წასვლა ინგლისელი ჯენტლმენის ღირსების საქმე იყო.

ომის შემდეგ შინ დაბრუნდა მილიონობით დაჭრილი და დასახიჩრებული მამაკაცი. დასავლეთ ევროპაში თითქმის ყველგან პოპულარული გახდა *პაციფიზმი*. მთავრობებს ამის გათვალისწინება უხდებოდათ.

ომის დროს „დაკარგული თაობა" (პირდაპირი და გადატანითი აზრით) ომისშემდგომი დასავლური ლიტერატურის ერთ-ერთ შთაგონებად იქცა.

პაციფიზმი და ევროპის *ელიტური ახალგაზრდობის დანაკარგი* იმის გამოც ვახსენე, რომ მათ არაპირდაპირი კავშირი აქვთ ომისშემდგომი სამხრეთ კავკასიის ბედ-იღბალთან.

მეომარი ქვეყნები გამოიფიტნენ. სხვა ერის ***„დაღლის ფაქტორს"*** მსოფლიოს მეორე კუთხეში ხანდახან უგულებელყოფენ და მძლეთამძლისაგან შეუძლებელს ითხოვენ. ომში გამარჯვებული ანტანტის ქვეყნების საზოგადოება 1918 წლისათვის იმდენად დაიღალა ომისაგან, მისი ელიტა იმდენად დაიცალა სისხლისაგან, რომ შორეული კავკასიის საქმეებში ჩასარევად დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები თავიანთ ელექტორატს ვერაფრით დაითანხმებდნენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ გაიმარჯვეს დემოკრატიულმა ქვეყნებმა, რომელთა მთავრობებსაც ხალხი ირჩევდა.

ამერიკელებსაც მობეზრდათ ომი ევროპაში. ამიტომ აშშ-ის სენატმა არც 1919 წელს შექმნილ *ერთა ლიგაში* შესვლა ისურვა (თუმცა ის ამერიკის პრეზიდენტის, *ვუდრო უილსონის* ინიციატივითა და უშუალო ძალისხმევით დაარსდა) და არც სომხეთზე მანდატის აღებაზე დათანხმდა.

1920 წლის შუაგულში ანტანტის სრულმა გასვლამ კავკასიიდან იქ სამოქმედოდ ხელი გაუხსნა ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ[15] თურქეთს, რომელთაც საერთო ენა გამონახეს ერთმანეთთან „ბრიტანული იმპერიალიზმის აგენტების დასასჯელად" და ტერიტორიების დასანაწილებლად.

ბუნებრივია, საქმე ტრადიციულად ეხებოდა ძლიერი ქვეყნების ტერიტორიულ გაფართოებას სუსტი ქვეყნების ხარჯზე. XX საუკუნეში სიახლე ის იყო, რომ ფასობდა *ნავთობით* მდიდარი ტერიტორია. რადგანაც ასეთი მიწა, სახელად *ბაქო*, 1920 წლის აპრილიდან მტკიცედ ეპყრათ ხელში რუს ბოლშევიკებს, მათვე სჭირდებოდათ *ბათუმი* – ბაქოდან წამოსული ნავთსადენის ტერმინალი და ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგური შავ ზღვაზე, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნოდა.

დანარჩენ მიწებზე მოსკოვსა და ანკარას შორის მოლაპარაკება უფრო ადვილი ჩანდა. ამიერიდან „ბრიტანელი იმპერიალისტები" მათ კერძო გარიგებებში ვეღარ ჩაერეოდნენ.

მსოფლიო ომი რომ არ მომხდარიყო...

ომი თავისთავად უბედურებაა. მაგრამ ის სამწუხარო რეალობაა და სხვადასხვანაირი შედეგი მოჰყვება ხოლმე.

ქვემოთ მომაქვს *ჰიპოთეტური რეტროსპექტული სცენარი,* რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს გავიაზროთ, *შეუწყო თუ არა ხელი პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა ქართველი ხალხის უზენაესი მიზნის – ქვეყნის დამოუკიდებლობის – მიღწევას.*

პირველი მსოფლიო ომი საერთოდ რომ არ დაწყებულიყო, ან მისი დაწყება დიდი ხნით გადავადებულიყო, შეიძლებოდა მიგვეღო რუსეთის განვითარების ასეთი სურათი:

იმპერიის კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნის პროცესი, რომელიც დაწყებული იყო, დასრულდებოდა. ლიბერალიზმი და სოციალ-დემოკრატიის ლიბერალური ფრთა რუსეთში სულ უფრო მეტ ძალას შეიძენდა.

რუსეთი შეინარჩუნებდა იმ დიდ დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და კულტურულ პოტენციალს, რომელიც 1914 წლამდე ჰქონდა და რომელიც 1914-1920 წლების ომებში დაკარგა. სწრაფი ეკონომიკური და კულტურული განვითარება გაგრძელდებოდა.

ერთდროულად მოსალოდნელი იყო ეთნიკური პერიფერიების რადიკალიზაცია. მონარქია შეეცდებოდა, შეეკავებინა თავის შემადგენლობაში მყოფი

[15] ტერმინები: „ქემალიზმი" და „ქემალისტები" მომდინარეობს ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე შექმნილი ახალი თურქეთის ხელმძღვანელის, გენერალ *მუსტაფა ქემალის* სახელიდან.

ეკონომიკურად სწრაფად განვითარებადი პოლონური პროვინციები მათთვის ფართო ავტონომიის მინიჭებით (რაც, არსებითად, დამოუკიდებლობისათვის მომზადებას ნიშნავს). დანარჩენ ეთნიკურ რეგიონებშიც გაჩნდებოდა ავტონომიის პრეტენზია.

გამჭრიახი იმპერიალისტები შეეცდებოდნენ, რომ პერიფერიაზე, განსაკუთრებით, ფეთქებად კავკასიაში, მიენიჭებინათ საკმაო თვითმმართველობა პატარ-პატარა ტერიტორიებისათვის, შესაძლოა გუბერნიების ან მაზრების ფარგლებშიც კი. ეს თვითმმართველობა დროებით მაინც დააკმაყოფილებდა ადგილობრივ ელიტებს, რომლებიც მიღებულ ძალაუფლებას ჩაებღაუჭებოდნენ და სხვა ეთნიკურ ან სუბეთნიკურ ელიტებთან დავისას ცენტრის, ანუ პეტერბურგის, დასაყრდენი გახდებოდნენ. მოგვიანებით, ასე მოიქცევა კომუნისტური რუსეთი.

ასეთი განვითარება საქართველოს ერთიანობისათვის მძიმე განსაცდელი იქნებოდა. თუკი გეორგიევსკის ტრაქტატის რაიმე ფორმით აღდგენაზე დაიწყებოდა სერიოზული საუბარი, პეტერბურგს შეეძლო გაეხსენებინა, რომ ტრაქტატი ეხებოდა მხოლოდ იმ ტერიტორიას, სადაც ქართლი, კახეთი და დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმდებარე მხარეები მდებარეობდა, მაგრამ არ ეხებოდა დასავლეთ საქართველოს.

სამხრეთ კავკასიაში სომხური თემის ეკონომიკურად კიდევ უფრო მომძლავრებული მესვეურები ავტონომიას მოითხოვდნენ ისეთ ტერიტორიაზეც, სადაც მათი ეთნოსი შერეულად იყო წარმოდგენილი, ვთქვათ, თბილისზე.

რუსეთის იმპერიის ომამდელი განვითარების ტენდენციის გაგრძელება – იმპერიაში ყოფნის გახანგრძლივება – ქართული ნაციონალური იდეის განხორციელებისათვის სათანადო პირობებს არ ქმნიდა. საზოგადოების ნაწილი ამას იგრძნობდა. მოსალოდნელი იყო ეთნორელიგიურ პრინციპზე ახალი რადიკალური პარტიების შექმნა, ან არსებული პარტიების რადიკალიზაცია, რასაც სისხლისღვრაც შეიძლება მოჰყოლოდა.

ცხადია, ზემოთ მოტანილ რეტროსპექტულ სცენარში ვერ იქნება გათვალისწინებული ისეთი შემთხვევითი მოვლენები, როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკურ ასპარეზზე ძლიერი, ქარიზმატული ლიდერის გამოჩენა, ან პირიქით, სუსტი ხელმძღვანელი იმპერიის სათავეში, რაც ზემოქმედებას ახდენს ხოლმე ისტორიის მსვლელობაზე. უმძიმესი გენეტური დაავადების – ჰემოფილიის – მქონე უფლისწული ალექსი, რუსეთის მეფის ერთადერთი ვაჟი, ვერ ელირსებოდა ტახტს. თუ ქვეყანაში რესპუბლიკის იდეა ვერ გაიმარჯვებდა, მაშინ რომანოვთა დინასტიას გააგრძელებდა ნიკოლაი II-ის უფროსი ასული. ვინ იქნებოდა მის გვერდით?

ერთი რამ ნათელია: რუსეთის მშვიდობიანი განვითარების არც ერთ რეტროსპექტულ სცენარში არ ჩანს ბოლშევიკთა ლიდერების – ლენინის, ტროცკის, სტალინის – ადგილი.

ეს არის რუსეთის ომისგარეშე განვითარების ძირითადი ვექტორის ექსტრაპოლაციის ერთგვარი ცდა, ისიც ხანმოკლე პერიოდისათვის. უფრო გრძელვადიანი რეტროსპექტული პროგნოზისათვის უკვე იმდენი ფაქტორის გათვალისწინება გვიხდება, რომ შეუძლებელია ყველა იმ ვარიანტის გათვლა, თუ როგორ მიაღწევდა, და საერთოდ, მიაღწევდა თუ არა საქართველო დამოუკიდებლობას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენთვის სასარგებლო იყო ის, რაც რეალურად მოჰყვა ომს – რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების გაქრობა და მათი მემკვიდრე სახელმწიფოების კავკასიაში, თუნდაც დროებით, არყოფნა.

ამ თვალსაზრისით, პირველი მსოფლიო ომის შედეგები საქართველოსათვის პოზიტიურად შეიძლება მივიჩნიოთ.

თავი 8

სამხრეთ კავკასია 1918-1921 წლებში

ბრესტის ზავი და სამხრეთ კავკასია

აქ ჩვენ მივადექით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიაში *ძალიან მოკლე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან პერიოდს*, როდესაც რეგიონში ხელახლა გაჩნდა ან პირველად დაიბადა სახელმწიფო წარმონაქმნები – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. იმ პერიოდის პოლიტიკური შედეგები დღემდე იგრძნობა, მათ შორის საზღვრების ფორმირების ასპექტით, რაც პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ანალიზს მოითხოვს.

სწორედ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ხანმოკლე დამოუკიდებლობამ აიძულა საბჭოთა რუსეთი, შეექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) და არა ავტონომიური ერთეულები ფედერაციული საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში. სსრ კავშირის კონსტიტუცია (1924, 1936, 1977 წლების ვერსიები), თავის მხრივ, გახდა *მოკავშირე რესპუბლიკების*, კონსტიტუციურად – „სუვერენული სახელმწიფოების", დამოუკიდებლობის იურიდიული საფუძველი 1991 წლის ბოლოს.

1918-1921 წლების განვითარების თავისებურებათა წყალობით არის დღევანდელი სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო რეალური გეოპოლიტიკური მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. ძირითადად ***მაშინ ჩამოყალიბდა სამივე ქვეყნის საზღვრები*** და საფუძველი ჩაეყარა ყველა იმ ***ტერიტორიულ კონფლიქტს***, რომლებიც XXI საუკუნეშიც გადმოჰყვა რეგიონს.

* * *

1917 წლის ბოლოდან დაიწყო რუსეთის დაშლა. იმავე წელს ფინეთი, 1918 წელს კი პოლონეთი გამოეყო მას. პეტროგრადიდან მოსკოვში გადასულ ბოლშევიკურ მთავრობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უყურებდნენ, როგორც დროებით ანომალიას.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრუ-

ლებით („ბრესტის ზავით") რუსეთმა *ფაქტობრივად* დამარცხება აღიარა. ის თმობდა 780 ათასი კვ. კილომეტრი ფართობის ტერიტორიას, სადაც ომამდე ცხოვრობდა 56 მილიონი ადამიანი – რუსეთის იმპერიის მოსახლეობის მესამედი. მომდევნო 73 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის პარტიული ხელმძღვანელობის დაკვეთით დაწერილ ისტორიაში ხაზგასმული იყო ლენინის გამჭრიახობა, რომელმაც თითქოს განჭვრიტა, რომ ბრესტის ზავი დროებითი იყო. მაგრამ 1918 წლის ადრე გაზაფხულზე ვერავინ იტყოდა, კიდევ რამდენ ხანს გასტანდა ომი და შეძლებდნენ თუ ვერა *ანტანტის* ქვეყნები ომის ისე მოგებას, რომ ამით ბოლშევიკურ რუსეთს ესარგებლა. ბრესტის ზავის წყალობით ომში გერმანიის გამარჯვების შანსმა გარკვეულად მოიმატა კიდეც.

ლენინი და მისი პარტია გერმანიასთან სეპარატულ ზავს მხოლოდ იმისთვის დებდნენ, რომ საკუთარი რეჟიმი შეენარჩუნებინათ. ისინი რისკიანად თამაშობდნენ, მაგრამ გაუმართლათ.

თუმცა ბრესტის საზავო ხელშეკრულების ტექსტში სიტყვა „დამარცხებული" არსად ეწერა, მის შესაბამისად ჩატარებული „ტერიტორიული მონესრიგება" ცალსახად მიუთითებდა თუ ვინ დამარცხდა. ადრე რუსეთის შემადგენლობაში შემავალი *ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი* ქმნიდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომელთაც რუსეთი ცნობდა. მისი საზღვარი დღევანდელი უკრაინისა და ბელარუსის აღმოსავლეთ მიჯნაზე იქნა გადატანილი.

ზავის თანახმად, რუსის ჯარი უნდა გასულიყო 1877-78 წლების ოსმალეთთან ომის შედეგად ანექსირებული ყარსის, ბათუმისა და არტაანის რაიონებიდან. დამატებითი ხელშეკრულებით უნდა აღდგენილიყო 1877 წლის საზღვარი ოსმალეთთან, რომელიც ძალით ეუფლებოდა ტერიტორიას: მანამდე, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, იქ ჩასახლებული ადამიანები, უპირველესად სომხები და რუსები, ოსმალთა შიშით სასწრაფოდ ტოვებდნენ სახლ-კარს. რუსები პირდაპირ მიდიოდნენ თავიანთ ძველ საცხოვრისში – კავკასიის ქედს გადაღმა. სამხრეთ კავკასიის ქალაქები კი, ყველაზე მეტად თბილისი, სომეხი ლტოლვილებით აივსო.

ბრესტის ზავის ტექსტში სამხრეთ კავკასიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ნომინალურად ის რუსეთის შემადგენლობაში რჩებოდა, პრაქტიკულად კი უპატრონოდ იქნა მიტოვებული. რუსის ჯარი სტიქიურად გადიოდა კავკასიიდან, მის ადგილს თანდათან იკავებდა ოსმალოს ჯარი.

პოლიტიკური პარტიები

ვის შეეძლო ეპატრონა სამხრეთ კავკასიისათვის?
რეგიონში აღარ იყვნენ ან მკვეთრად დაქვეითებული ჰქონდათ მმართველობითი ფუნქცია მთავრებს, თავადებსა და ხანებს, რომლებიც შუა საუკუნეებში ბუნებრივად ავსებდნენ ხოლმე წასული (მოკლული, გარდაცვლილი ან განდევნილი) მონარქებისა და სხვა ფეოდალური ელიტის მიერ გამოთავისუფლებულ სახელისუფლებო ნიშას. არც უმაღლეს სასულიერო იერარქებს ჰქონდათ ისეთი ავტორიტეტი, რომ ემოქმედათ ისე, როგორც ხანდახან შუა საუკუნეებში მოქმედებდნენ მათი წინამორბედები და საერო ხელისუფლების ფუნქცია აეღოთ საკუთარ თავზე. ადგილობრივი მმართველობა მოიშალა.

ანტანტა ან ამერიკა კავკასიის საქმეებში ომის დამთავრებამდე ვერ ჩაერეოდნენ: იქ მათი მოწინააღმდეგის, გერმანიის სამხედრო ნაწილები და ოსმალეთის მთელი არმია იდგა. ომის შემდეგ, 1918 წლის მიწურულიდან, 1919 წელს და 1920 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში ბრიტანული ინტერვენცია რეგიონში (რეალურად, ბაქოსა და ბათუმის ოკუპაცია, სომხეთისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა) დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. სამხრეთ კავკასიაში დასავლეთ ევროპის დამკვიდრების მცდელობა ხანმოკლე ისტორიულ ეპიზოდად დარჩა.

ფეოდალური ეპოქის ელიტები რეგიონში აღარ არსებობდნენ, სამაგიეროდ, უკვე იყვნენ *პოლიტიკური პარტიები*. 73 წლის შემდეგ დამდგარი ხელახალი დამოუკიდებლობის პერიოდისაგან განსხვავებით, იმდროინდელი პარტიები არ იყო ჭარბად პერსონიფიცირებული. თითოეული მათგანი საკმაოდ მდგრადი იყო, რადგან უფრო იდეოლოგიას ეფუძნებოდა და არა რომელიმე ერთი ლიდერის ავტორიტეტს.

მსოფლიო ომის წინ და მის დროსაც რუსეთსა და კავკასიაში პოლიტიკური ცხოვრება გრძელდებოდა. ზოგიერთმა პარტიამ გარკვეული გავლენა მოიპოვა კავკასიის ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფში. უბრალო ხალხი მხარს უჭერდა ისეთ პარტიებს, რომელთაც წინ გამოჰქონდათ სოციალური საკითხები – თანასწორობა, მშრომელებზე ზრუნვა, აგრარული რეფორმა და ა. შ. რაც მთავარია, ჯერჯერობით ხალხს პარტიებისა სჯეროდა: ისინი ქვეყნის სათავეში ჯერ არ ყოფილან და დაპირებათა შეუსრულებლობით სახელი არ გაუტეხიათ. არჩევნების გაყალბების მექანიზმებზე მოსახლეობას ჯერ არაფერი სმენოდა.

* * *

ეროვნულ ნიადაგს ეფუძნებოდა *სომხური პარტიები*, უპირველესად მათ შორის ყველაზე გავლენიანი „*ჰაი ჰეღაფხაკან დაშნაკცუთიუნ*“ („*სომეხთა რევოლუციური ფედერაცია*“), რომელიც დაარსდა თბილისში 1890 წელს. ეს

იყო რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბებული ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური პარტია, თუ ყველაზე პირველი არა. შემოკლებული სახელით ის ცნობილია, როგორც *„დაშნაკცუთიუნი“*, რაც „ფედერაციას“ ნიშნავს. მის წევრებს *„დაშნაკცაკანებს“* (ფედერალისტებს), შემოკლებით *„დაშნაკებს“*, უწოდებენ. სომხური მეტოქე პარტიები მათ *„დროშაკისტებად“* მოიხსენიებენ, რადგან პარტიულ გაზეთს *„დროშაკ“*-ი (დროშა) ერქვა. თავიდან პარტია წმინდა ნაციონალისტური იყო და რევოლუციური ბრძოლის მეთოდებით აპირებდა სომხური ნაციონალური იდეის განხორციელებას – დასავლეთ სომხეთის განთავისუფლებას ოსმალური უღლისაგან და იქ სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. 1907 წლიდან, რუსი ესერების რეკომენდაციით, დაშნაკების პარტია *მეორე (სოციალისტურ) ინტერნაციონალში* მიიღეს. სოციალისტური ლოზუნგებით „დაშნაკცუთიუნი“ სომეხ ხალხში თავის პოპულარობას ზრდიდა. პარტია დღესაც „სოციალისტური ინტერნაციონალის“ წევრია.

სამხრეთ კავკასიაში კონკრეტულ მიზნად „დაშნაკცუთიუნს“ დასახული ჰქონდა ადმინისტრაციული რუკის ისე გადაკეთება, რომ ყველა ტერიტორია, რომელზეც სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა, მომავალ სომხურ სახელმწიფოში შესულიყო.

1905 წლიდან პარტია „დაშნაკცუთიუნი“ ლეგალიზებულ იქნა რუსეთის იმპერიაში. 1908 წლიდან, „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის შემდეგ, ის სერიოზულ პოლიტიკურ ძალად იქცა ოსმალეთშიც: *მეჯლისში* (პარლამენტში) 1908 წელს არჩეული 288 დეპუტატიდან 14 სომეხი იყო, მათი უმეტესობა – დაშნაკი. ოსმალეთის მთავრობაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი სამუშაოების მინისტრის პოსტი ეთნიკურ სომეხს ეკავა. მაგრამ ასეთი „ინტეგრაცია“ საკმარისი არ აღმოჩნდა მდგრადი „ერთაშორისი მშვიდობის“ დასამყარებლად ოსმალეთის იმპერიაში.

რამდენადაც ნაციონალური იდეა მარად ცოცხლობს, „დაშნაკცუთიუნი“ XXI საუკუნეშიც არსებობს და თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობს. იგი სერიოზული გავლენით სარგებლობს დასავლეთის ქვეყნებში არსებულ სომხურ დიასპორაში.

სომხებში ნაკლები მხარდამჭერი ჰყავდა სხვა პარტიებს, მაგალითად, *სომეხთა სახალხო პარტიას* (*„ჰაი ჟოლოვრდაკან კუსაკცუთიუნ“*), ე.წ. პოპულისტებს, რუსეთის კადეტთა პარტიის კავკასიურ ფილიალს, რომელსაც დასაყრდენი მდიდარ და საშუალო კლასებში ჰქონდა. მცირერიცხოვანი იყო *სომეხ ესერთა პარტია*. თავიდან *„დაშნაკცუთიუნს“* კონკურენციას უწევდა სოციალ-დემოკრატიული პარტია *„ჰნჩაკ“*-ი („ზარი“), მაგრამ მსოფლიო ომის ბოლოსათვის მისი როლი მკვეთრად შემცირდა.

აზერბაიჯანელებს შორის ყველაზე გავლენიანი იყო 1911 წელს დაარსებული პარტია *„მუსავათი“* (რაც არაბულ ენაზე „თანასწორობას“ ნიშნავს). ეს

შედარებით ლიბერალური პარტია მხოლოდ მუსლიმთა შორის თანასწორობას ქადაგებდა. „მუსავათიც“ არ ამბობდა უარს სოციალურ ლოზუნგებზე და ამით უბრალო ხალხის გრძნობებზე ზემოქმედებდა. მსოფლიო ომის ბოლო წელს კი პარტია პანთიურქიზმისაკენ იხრებოდა.

„მუსავათი“ XXI საუკუნეშიც არსებობს და აზერბაიჯანის ოპოზიციაში გარკვეული გავლენით სარგებლობს.

სხვა აზერბაიჯანული პარტიებიდან მცირე გავლენა ჰქონდა პანთიურქისტულ *„ითიჰადს“*. არსებობდა საერთო-რუსული პარტიების აზერბაიჯანული ფილიალებიც. ქალაქ ბაქოში გავლენიანი იყო *რუსეთის კომუნისტური პარტია* (ბოლშევიკებისა) და სოციალისტური მიმართულების სხვა პარტიები.

რაც შეეხება *ქართველებს*, მათ შორის უდიდესი გავლენა ჰქონდა რუსეთის სოციალ-დემოკრატთა მემარჯვენე ფრთას, ე.წ. *„მენშევიკებს“*. მართალია, საქართველოში იყო ეროვნულ ნიადაგზე მდგომი პარტიებიც, მაგალითად, *ეროვნულ-დემოკრატიული პარტია* და *სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია*, მაგრამ მათ იდეებს ნაკლები მხარდამჭერი გამოუჩნდა.

1918 წლამდე ქართველ მენშევიკებს პრეტენზია ჰქონდათ, რომ ისინი არ წარმოადგენენ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს, რომ ისინი ინტერნაციონალისტები არიან და მათი ვალია მთელი მსოფლიოს ან, სულ მცირე, მთელი რუსეთის პროლეტარიატის ინტერესების დაცვა.

სახელი *„მენშევიკები“* საკმაოდ ადრე, სპეციფიკურ გარემოებაში წარმოიშვა. 1903 წელს *რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის* (რსდმპ) II ყრილობაზე, სადაც პარტიას ქართველ სოციალ-დემოკრატთა მოზრდილი ჯგუფიც შეუერთდა, ცენტრალური კომიტეტისა და პარტიულ გაზეთ „ისკრას“ რედაქციის არჩევნებისას შედარებით ზომიერი ლიდერის, *იული მარტოვის* (ნამდვილი გვარი – *ცედერბაუმი*) მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. აქედანაა „მენშევიკები“ (რუსული меньше-დან, რაც *„ნაკლებს“* ნიშნავს). მენშევიკების მხარეს იჭერდა მარქსიზმის ცნობილი თეორეტიკოსი *გეორგი პლეხანოვიც* (მისი სახელი 70 წელზე მეტ ხანს ერქვა დღევანდელ დავით აღმაშენებლის გამზირს თბილისში). ქართველი სოციალ-დემოკრატების უმეტესობაც ამ ფრთას მიემხრო.

პარტიის მემარცხენე, რადიკალურმა ფრთამ, *ვლადიმირ ლენინის* (ნამდვილი გვარი – *ულიანოვი*) მეთაურობით, რომელსაც იმ მომენტში უმრავლესობა აღმოაჩნდა, სახელად *„ბოლშევიკები“* (რუსული больше-დან, რაც *„მეტს“* ნიშნავს) დაირქვა.

სინამდვილეში რუსეთის სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთა უმცირესობა სულაც არ იყო: მომხრეების რაოდენობით ის გაცილებით სჭარბობდა ლენინის ბოლშევიკ მომხრეებს საკუთრივ რუსეთშიც, ხოლო 1917-20 წლებში საქართველოს მოსახლეობაში თითქმის მონოპოლიური გავლენით სარგებლობდა.

1906-1912 წლებში რსდმპ-ის ორი ფრთა ხელახლა გაერთიანდა, მერე კი ისევ დაშორდა ერთმანეთს. 1918 წლამდე პარტია საერთო სახელს ინარჩუნებდა: მაგრამ იდეოლოგიური და პიროვნული დაპირისპირება გაღრმავდა. 1918 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატთა ბოლშევიკური ფრთა *რუსეთის კომუნისტურ პარტიად* გარდაიქმნა. რუსმა მენშევიკებმა პარტიის ძველი სახელი შეინარჩუნეს. ქართველმა მენშევიკებმა *საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია* შექმნეს. ძველი რსდმპ-ის ბაზაზე სამი პარტია გაჩნდა.

ერთ საფუძველზე, მარქსიზმზე, აღმოცენებული ბოლშევიზმი და მენშევიზმი უკვე XX საუკუნის პირველ დეკადებშივე ისევე დაშორდნენ და დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, როგორც ერთი წყაროდან გამოსული ქრისტიანული მიმართულებები 10-15 საუკუნით ადრე.

მაგრამ როგორც ქრისტიანობის მიმართულებებს ჰქონდათ საერთო ცენტრალური იდეა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთასაც აკავშირებდა საერთო იდეები – კლასთა ბრძოლა, ინტერნაციონალიზმი და ა.შ. მენშევიკებსა და ბოლშევიკებს ერთი და იგივე მარქსისტული ლოზუნგი ჰქონდათ – „*პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!*“

ეს იდეოლოგიური დოგმები ძალიან ურთულებდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს ქართული ეროვნული ინტერესების დაცვას. დაშნაკები ხშირად ახსენებდნენ მენშევიკებს მათსავე ადრეულ *ინტერნაციონალისტურ* განცხადებებს, რომ კავკასიის მომავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ეთნიკური პრინციპით უნდა მომხდარიყო. ამ პრინციპით კი (მაგალითად, პლებისციტის ჩატარებით მრავალეროვნულ რეგიონებში) შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ტფილისის გუბერნიაში შემავალი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, ქვემო ქართლის ნაწილი, ლორეს ჩათვლით, და თბილისიც კი, სადაც სომხები რიცხოვნობით პირველ ადგილზე იდგნენ, სომხეთის მომავალ სახელმწიფოს რგებოდა, დანარჩენი ქვემო ქართლი კი – აზერბაიჯანს.

როგორც კი მენშევიკები საქართველოს მმართველ პარტიად იქცნენ, მათი ინტერნაციონალისტური რიტორიკა შემცირდა და წინა პლანზე გამოვიდა უფრო სერიოზული მიდგომა სახელმწიფო მშენებლობის მიმართ. ისინი უკვე ნაკლებად უსმენდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფების ნაციონალისტური პარტიების საყვედურებს.

სოციალური დემოკრატიის იდეების ნაწილი ქართული საზოგადოებისათვის მკვდარი არაა: სოციალური სამართლიანობა, დემოკრატია, ინტერნაციონალიზმი (მაგრამ არა სახელმწიფოსათვის საზიანო) ბევრისათვის დღესაც მისაღები უნდა იყოს.

ამასთან რეალობაა, რომ განსხვავებით „*დაშნაკცუთიუნისა*“ და „*მუსავათისაგან*“, XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ არც იცის, არსებობს თუ არა „*სოციალ-დემოკრატიული პარ-*

ტია". XX საუკუნის ბოლოს ის უშედეგოდ ცდილობდა რეანიმირებას, XXI საუკუნის მეორე ათწლეულში კი ისევ გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე.

ის, რომ *მენშევიკები, დაშნაკები* და *მუსავათისტები* რუსეთის რევოლუციების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში დომინირებდნენ, მტკიცდება 1917 წლის ნოემბერში რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატების პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებით. *მენშევიკებმა* 662 ათასი ხმა მიიღეს (ძირითადად ქართველებისაგან), *მუსავათისტებმა* – 616 ათასი (თითქმის მთლიანად აზერბაიჯანელებისაგან), *დაშნაკებმა* – 558 ათასი (მთლიანად სომხებისაგან). სხვა პარტიები მკვეთრად ჩამორჩნენ – ესერებმა 117 ათასი ხმა მიიღეს, ბოლშევიკებმა – 94 ათასი, ისიც უპირატესად ბაქოსა და სხვა ქალაქებში, სადაც სამრეწველო საწარმოებში მრავლად იყვნენ რუსი მუშები.

პოლიტიკური განვითარება დამოუკიდებლობამდე

სამხრეთ კავკასიას ასცდა რუსეთის დაუნდობელი სამოქალაქო ომი, თუმცა ამ რეგიონშიც იყო ლოკალური სამოქალაქო ომები და მძაფრი კლასობრივი დაპირისპირების გამოვლინება, მაგალითად, გლეხთა სისხლიანი ამბოხებები, რომლის დროსაც მემამულეებს ოჯახებითურთ ჟლეტდნენ. გარდა ამისა, რეგიონს სხვა, არანაკლებ მძიმე პრობლემები ელოდა წინ.

1917 წელს და 1918 წლის დასაწყისშიც კი ქართველ მენშევიკთა ლიდერები არ აფიქსირებდნენ რუსეთისაგან ჩამოშორებისა და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის გეგმას. ისინი ჯერაც ერთიანი რსდმპ-ის წევრებად მოიაზრებდნენ თავს.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა იმდროინდელი ლოგიკა გასაგებია: 1917 წლის მარტიდან რუსეთში ხომ თვითმპყრობელობა დაემხო და ის დემოკრატიის მშენებლობას შეუდგა? რუსეთის ახალ ხელმძღვანელობაში რამდენიმე აქტიური და გავლენიანი ქართველი მენშევიკიც იყო. დროებითი მთავრობის დაუძინებელი მტერი, ლენინი, 1917 წელს ებრძოდა ამ მთავრობის გავლენიან წევრებსა და მხარდამჭერებს, მენშევიკებს *ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს, აკაკი ჩხენკელს, ირაკლი წერეთელს. მაგრამ* ძალიან მალე ამ უკანასკნელთ რუსეთის პროლეტარიატის ინტერესების ნაცვლად ქართველი ერის ინტერესების დაცვა მოუწევთ.

1918 წელს თავის ლექსში „რამდენიმე დღე პეტროგრადში" *გალაკტიონი* წერდა:

„მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,
ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი".

ორივე „გამქრალი" კი უკვე თბილისში იყო. ჩხეიძე *ამიერკავკასიის სეიმს* (იხ. ქვემოთ) თავმჯდომარეობდა კიდეც. ჩამოვიდა ჩხენკელიც.

ტაქტიკური მოსაზრებით, რუსეთთან ერთად ყოფნის მომხრეები იმ დროს იყვნენ „დაშნაკცუთიუნიცა" და „მუსავათიც". დაშნაკები ემხრობოდნენ ამ იდეას იმის გამო, რომ აშინებდათ ოსმალების პირისპირ სომხების მარტო დარჩენა. „მუსავათი" მხარს უჭერდა რუსეთის გარდაქმნას ფედერაციულ რესპუბლიკად და ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის შექმნას ყველა სამხრეთკავკასიელი მუსლიმისათვის, რომელთა უმრავლესობა მალე ცნობილი გახდება, როგორც *აზერბაიჯანელი*.

ბოლშევიკური რევოლუციის და, განსაკუთრებით, დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ ნათელი გახდა, რომ რუსეთი ძველი სახით ვეღარ იარსებებდა. იმპერიის პერიფერიებში წინა პლანზე გამოდიოდა ნაციონალიზმი.

რუსეთში დაწყებული ანარქიის ფონზე მოსკოვში გადაბარგებული კომუნისტური მთავრობის გავლენა ვეღარ სწვდებოდა კავკასიას. ისე გამოდიოდა, რომ რუსეთმა ფაქტობრივად ხელი აიღო ამ რეგიონზე, თუმცა ბოლშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი *გეორგი ჩიჩერინი* 1918 წელს მძაფრ ნოტებს უგზავნიდა ოსმალეთის მთავრობას „რუსეთის ტერიტორიის ხელყოფის" გამო: ის, უპირველესად, ბაქოს გულისხმობდა.

1918 წლის 10 თებერვლიდან 22 აპრილამდე რეგიონს ნომინალურად მართავდა *ამიერკავკასიის სეიმი* (პარლამენტი), რომელშიც შევიდნენ 1917 წლის ბოლოს რუსეთის დამფუძნებელ კრებაში სამხრეთ კავკასიიდან არჩეული დეპუტატები. მათ შორის დომინირებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ზავის შემდეგ, რაც, რასაკვირველია, გერმანიის სამხედრო წარმატების შედეგი იყო, მისი მოკავშირე ოსმალეთი, რომელიც იქამდე არაბეთისა და კავკასიის ფრონტებზე ქრონიკულად მარცხდებოდა, მოულოდნელი გამარჯვებულის როლში მოევლინა კავკასიას. ეს სულ შვიდიოდე თვეს გაგრძელდა, მაგრამ ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში სერიოზული პოლიტიკური მოვლენები განვითარდა.

ზავმა, რომლის დასადებადაც ბრესტში *ამიერკავკასიის სეიმის* დელეგაცია არ მიუწვევიათ, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის ნაწილზე ოსმალეთს პრეტენზია გაუჩინა. ემოციებს აყოლილმა *ამიერკავკასიის სეიმის* ზოგიერთმა ქართველმა და სომეხმა წევრმა სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც წმინდა პოპულისტური მიზნით ოსმალეთთან ომის შესაძლებლობაზე მსჯელობა დაიწყო, მაშინ, როდესაც მშვენივრად იცოდა, რომ *სეიმს* არმია არ ჰყავდა და ბრძოლა რეალურად არ შეეძლო. თანაც *სეიმის* აზერბაიჯანელმა წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი ოსმალეთთან ომს არ აპირებენ.

ოსმალეთმა კი ხელზე დაიხვია *ამიერკავკასიის სეიმის* „აგრესიულობა" და გამოიყენა საბაბად, რომ აღარ დაკმაყოფილებულიყო მის შემადგენლობაში

1878 წლამდე მყოფი მიწების მოთხოვნით და საბრძოლო მოქმედების დაწყების მუქარით დამატებით მოსთხოვა სომხეთსა და საქართველოს საკმაოდ დიდი ტერიტორიის დათმობა (იხ. ქვემოთ).

ამასობაში, საბჭოთა რუსეთმა, რომელსაც ბრესტის ზავის დადების შემდეგ გარკვეული ძალა ერთხანს გამოუთავისუფლდა (სამოქალაქო ომი ჯერ სრული ძალით არ გაჩაღებულიყო), თავისი ძალაუფლების გავრცელება კავკასიაშიც მოინდომა. ბუნებრივია, ბოლშევიკებს ნავთობსარეწების გამო უპირველესად სჭირდებოდათ ბაქო, სადაც მათ სცადეს და 1918 წლის მარტში დროებით შეძლეს კიდეც საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ბაქოში მრავალრიცხოვანი იყო მუშათა კლასი, ძირითადად რუსები: ბოლშევიკებს მათზე საკმაო გავლენა ჰქონდათ.

პარტია „მუსავათი", რომელიც მთელ აზერბაიჯანს თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა, ბოლშევიკებს შეეწინააღმდეგა. 1918 წლის 30 მარტს – 1 აპრილს ქ. ბაქოს ქუჩებში არტილერიის, ტყვიამფრქვევების, ავიაციის, კასპიის სამხედრო ფლოტილიის გამოყენებით გაჩაღდა მძაფრი სამოქალაქო ომი, რომელშიც ორივე მხრიდან ოცი ათასამდე კაცი მონაწილეობდა, მათგან სამი ათასზე მეტი დაიღუპა ან დაიჭრა.

საბჭოთა პერიოდში, 1963 წელს გამოცემულ აზერბაიჯანის ისტორიის აკადემიურ სამტომეულში, ბაქოს სამოქალაქო ომი ასეა აღწერილი:

> „დაშნაკებმა და სომხურმა ეროვნულმა საბჭომ, რომლებმაც ვერ მიაღწიეს მუსავათისტებთან შეთანხმებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო გამოსვლის შესახებ, ბაქოში სამოქალაქო ომის დასაწყისში ოფიციალურად გამოაცხადეს ნეიტრალიტეტი. მაგრამ, როდესაც დაინახეს, რომ წარმატება საბჭოთა ხელისუფლების მხარეს იხრება, ცბიერად განაცხადეს, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ ბაქოს საბჭოს. დაშნაკებმა სცადეს მუსავათისტურ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში სომხური ნაწილების მონაწილეობა იმისათვის გამოეყენებინათ, რომ ბრძოლა მუსავათისტური ამბოხების წინააღმდეგ გადაექციათ ერთაშორის ხოცვა-ულეტად. დაშნაკთა შეიარაღებულმა რაზმებმა დაიწყეს მშვიდობიანი აზერბაიჯანული მოსახლეობის ძარცვა და ხოცვა. ამან 'თავდაცვის რევოლუციური კომიტეტი' აიძულა, გამოეყო ძალები დაშნაკური მარაოდიორობისა და ძალადობის წინააღმდეგ".

ე. ტოკარჟევსკის ნაშრომის მიხედვით ბოლშევიკ წითელგვარდიელთა საგანგებო რაზმს ხელმძღვანელობდა კომისარი *პროკოფი* (პარტიული ფსევდონიმი: *ალიოშა*) *ჯაფარიძე*, რომელიც, თურმე „*დაშნაკ პროვოკატორებსა და მარაოდიორებს დანაშაულის ადგილზევე შეუბრალებლად ხვრეტდა*". საინტერესოა, როგორ განარჩევდა ჯაფარიძის საგანგებო რაზმი ბოლშევიკების მოკავშირე პარტიის წევრ „პროვოკატორებს"? იქნებ პარტბილეთებს უმოწმებდა? ხომ შეიძლებოდა მარაოდიორები სხვა პარტიის წევრებიც, ან სხვა ეთნოსის წარმომადგენლებიც ყოფილიყვნენ? ფაქტია, რომ ბაქოს სამოქალაქო ომში მონაწილე ყველა მხარე მძიმე დანაშაულს ჩადიოდა.

აზერბაიჯანის ისტორიის აკადემიური სამტომეულის ავტორები ასკვნიან:

„თუმცა სომხური ეროვნული ნაწილების მონაწილეობამ მუსავათისტური შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ სამოქალაქო ომს ბაქოში გარკვეული ეროვნული ელფერი მიანიჭა, მაგრამ მას არ შეეძლო შეეცვალა [1918 წლის] მარტის ბრძოლის კლასობრივი მიმართულება, ბრძოლისა ძალაუფლებისათვის პროლეტარიატსა და კონტრრევოლუციას შორის".

ზემოთმოყვანილ ციტატებში ბევრია, რბილად რომ ვთქვათ, არასრული და უზუსტო ინფორმაცია და ანალიზი: ამას განაპირობებდა იმდროინდელი იდეოლოგიური დოგმები. საბჭოთა აზერბაიჯანული, ისევე, როგორც საბჭოთა ქართული, საბჭოთა სომხური ისტორიოგრაფია ვალდებული იყო, ისტორიული მოვლენები სტანდარტული კლიშეს მიხედვით შეეფასებინა, რომლის თანახმადაც „მუსავათი", „დაშნაკცუთიუნი" და „მენშევიკები" – ბურჟუაზიულ-კონტრრევოლუციური პარტიებია, ხალხის ინტერესების ერთადერთი დამცველია კომუნისტური პარტია, რომელიც შორიდანვე განჭვრეტს, თუ ვინაა კონტრრევოლუციონერი, პროვოკატორი თუ მაროდიორი და „ადგილზევე შეუბრალებლად უნდა დაიხვრიტოს"!

ამასთან, ფაქტია, რომ პარტიები „მუსავათი" და „დაშნაკცუთიუნი" (რომელთა წევრები, შესაბამისად, აზერბაიჯანელები და სომხები იყვნენ და მათ სულაც უპარტიო ხალხი შეუერთდა) ამ სამოქალაქო ომის დროს ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგნენ. ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ ისროლა პირველმა. ეთნოსთაშორისი დაპირისპირება ისედაც ნათელია.

ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებამ, სომეხ დაშნაკებთან ერთად, სისხლისმღვრელი ბრძოლა მოუგო „კონტრრევოლუციურ მუსავათს". მაგრამ ბრძოლის დროსვე „კლასობრივმა მიმართულებამ" მეორე პლანზე გადაინაცვლა, წინ ეთნიკური მომენტი გადმოვიდა. დამარცხებულ მხარეს, როგორც წესი, სჩვევია კოლექტიური პასუხისმგებლობა დააკისროს გამარჯვებულს. საკმარისია საკუთარი ეროვნების/სარწმუნოების რამდენიმე მოკლულიც კი, მით უმეტეს, ათასზე მეტი ცხედარი, რომ წარმოიშვას სამაგიეროს გადახდის უმძაფრესი სურვილი. მუსავათისტებს რევანშის აღების შანსი სულ რამდენიმე თვის შემდეგ მიეცემათ და მას ხელიდან არ გაუშვებენ.

იმ დროს, როცა ბაქოსა და მის მიმდებარე რაიონებში კომუნისტურ ხელისუფლებას წარმოადგენდა და ნომინალურად მოსკოვს ექვემდებარებოდა ბაქოს *სახალხო კომისართა საბჭო*, რეგიონის წამყვანმა არაკომუნისტურმა პარტიებმა კავკასიის სამი დიდი ერის – ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების – სახელით 1918 წლის 22 აპრილს შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, *ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა*, რომლის დედაქალაქადაც თბილისი გამოაცხადეს.

თეორიულად ფედერაციას ერთაშორისი მშვიდობის განმტკიცებისათვის უნდა ეზრუნა, პრაქტიკულად კი მას არ გააჩნდა შინაგანი ერთიანობის საფუძველი. ეთნოტერიტორიული დავებით აღსავსე მრავალეროვანი სახ-

ელმწიფო სიცოცხლისუნარიანი არ იყო. ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ სულ ერთი თვე იარსება და მაისის ბოლოს დაიშალა.

ამიერკავკასიის ფედერაცია ისედაც დასაშლელად იყო განწირული, კონკრეტული ინიციატივით კი საქართველო გამოვიდა, რომელსაც მოულოდნელად მიეცა შესაძლებლობა მიეღო დახმარება გერმანიისაგან. იმ დროს გერმანია ჯერ კიდევ შეიძლებოდა აღქმულიყო მსოფლიო ომში გამარჯვებულად.

დამოუკიდებელი სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიაში

მიუხედავად ურთულესი საერთაშორისო ვითარებისა, სამხრეთ კავკასიაში დადგა ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობის დრო.

26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა საქართველომ, 28 მაისს – აზერბაიჯანმა, 30 მაისს – სომხეთმა. ამ უკანასკნელის მთავრობა უკვე 28 მაისს შეიქმნა და ამიტომაც სომხეთის დამოუკიდებლობას ამ დღიდან ითვლიან.

ყველა ეს აქტი თბილისში გამოცხადდა, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ სამხრეთ კავკასიის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურები, რომელთაც შექმნეს კიდეც ახალი რესპუბლიკების მთავრობები.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მალე გადავიდა დროებით დედაქალაქ *განჯაში*, რადგანაც *ბაქო* ბოლშევიკ სახალხო კომისართა საბჭოს ეჭირა ხელში.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის წევრების ნაწილს ძალიან ენანებოდა თბილისის დატოვება (ბევრი მათგანი თბილისელი იყო), მაგრამ *ერევნიდან* დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ისინი წავიდნენ, ივლისის დამდეგს ჩააღწიეს ერევანში და ახალი რესპუბლიკის მართვას შეუდგნენ.

თბილისში დარჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

* * *

საქართველოს ჰქონდა სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი და შედარებით მცირე ხნის წინ შეწყვეტილი გამოცდილება. საუკუნეზე ცოტა მეტი ხნით ადრე ჯერ კიდევ არსებობდა შუა საუკუნეების საქართველოს სამეფოს ბირთვი და ის საერთაშორისო სამართლის სუბიექტიც იყო: 1783 წელს *რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა II-ისა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის* წარმომადგენლები გეორგიევსკში საერთაშორისო ხელშეკრულებას დებდნენ, თუნდაც ის არათანასწორუფლებიანი ყოფილიყო. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ თბილისს, მიუხედავად ამისა, თბილისში მჯდომი მეფის პირველობას არსებითად ცნობდნენ (1790 წელს მათ ეს აღიარეს საგანგებო შეთანხმებით). XIX საუკუნეში ზოგადქართული

თვითშეგნება განმტკიცდა და კუთხური სეპარატიზმის საფუძველი მოისპო. ერისა და ქვეყნის თვითსახელები – *„ქართველი"* და *„საქართველო"* – ქართველთა ყველა სუბეთნოსისათვის საერთო იყო და განეკუთვნებოდა კატეგორია *„ჩვენ"*-ს კატეგორია *„ისინი"*-ს საპირისპიროდ.

მაგრამ სახელმწიფოებრიობის ისტორიული ტრადიცია, რომელიც მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, პრაქტიკულ დახმარებას ვერ გაუწევდა ახალი საქართველოს, ამჟამად დემოკრატიული რესპუბლიკისა და არა აბსოლუტური მონარქიის, მშენებლობას.

საკმაოდ კარგად შემოხაზული ისტორიული საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის აღდგენა უმტკივნეულოდ მოხდებოდა, რომ არა მისი ზოგიერთი ეთნიკური პერიფერიის განზე გაწევის მცდელობა: იმ ჯერზე ახალგაზრდა ქართულმა სახელმწიფომ შეძლო ჯავახეთის სომხური, მესხეთის „თათრული", აფხაზური, ოსური ნაციონალ-სეპარატიზმის მოთოკვა იმის წყალობითაც, რომ სეპარატისტების მხარდამჭერი ძალები (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი) იმ პერიოდში, განსაკუთრებით 1918 წლის ბოლოდან 1920 წლის დასაწყისამდე, დასუსტებული იყვნენ და სრული ძალით ვერ გამოვიდნენ თავიანთი პოტენციური პროტეჟეების მხარეს.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან კი რუსეთის ფედერაციის სტრატეგია ბევრად უფრო ხისტი იქნება – ქართული სახელმწიფოებრიობის დასასუსტებლად და მთელი საქართველოს საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაში შესანარჩუნებლად მოსკოვი იმავე ეთნიკურ პერიფერიებს გამოიყენებს.

* * *

შუა საუკუნეებში უკანასკნელმა სომხურმა სახელმწიფომ კავკასიაში 1045 წლამდე იარსება. XI-XIV საუკუნეებში ხმელთაშუაზღვისპირეთში, ძირითადად სომხებით დასახლებულ კილიკიის სამეფოს კავკასიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მაგრამ სახელმწიფოებრიობის იდეა სომხებში არ მომკვდარა. თვითსახელები *„ჰაი"* (სომეხი) და *„ჰაიასტან"* (სომხეთი) მტკიცედ იყო გამჯდარი ხალხში. ამას ხელს უწყობდა, როგორც ზემოთაც ითქვა, ექსკლუზიური *სომხური ეკლესიის* არსებობაც.

სომეხი მწერლებისა და ისტორიკოსების მიერ XIX საუკუნეში შექმნილი პოლიტიკური მითოლოგია ორი ათასი წლის წინ ხანმოკლე დროით არსებული *დიდი სომხეთის* აღდგენის ოცნებებით კვებავდა ხალხს. ახალწარმოშობილმა სომხურმა *პოლიტიკურმა ელიტამ* (სულ ცოტა ხნით ადრე ის *ინტელექტუალური ელიტა* იყო – მწერლები, მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები) ისტორიულ მითოლოგიაზე დაფუძნებული ნაციონალური იდეის განხორციელება იკისრა.

XIX საუკუნის ევროპულ სახელმწიფო მშენებლობაში მითოლოგიის გამოყენება უცხო არ იყო. გავიხსენოთ, რომ არსებითად ისტორიულ მითებზე დაყრდ-

ნობით იწყებოდა საბერძნეთის განთავისუფლებაც და იტალიის გაერთიანებაც.

რეალურად კი ბერძნებისა და იტალიელების ნაციონალური იდეის განსახორციელებლად მითოლოგიაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა *ევროპაში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება*. ზემოხსენებული ხალხების მისწრაფებები დაემთხვა უფრო ძლიერი სახელმწიფოების – დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის იმპერიის – იმდროინდელ საგარეოპოლიტიკურ ინტერესებს და მათ მოიპოვეს ამ სახელმწიფოების დიპლომატიური და სამხედრო მხარდაჭერა. გარედან დახმარების მისაღებად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთისა და იტალიის ზღვისპირა გეოგრაფიულ მდებარეობასაც.

XX საუკუნის მეორე ათწლეულის ბოლოს *ანატოლიაში, კავკასიასა და მთელ მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება* კი სომხური ნაციონალური იდეის სასარგებლოდ არ მუშაობდა. ქვეყანა ჩაკეტილი იყო, ზღვაზე გასასვლელი მას არ ჰქონდა. ანტანტა რეგიონში ხანმოკლე დროით შემოვიდა და მალევე გავიდა. 1918-19 წლების უმძიმესი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ ფეხზე დგებოდა მეზობელი თურქეთი, სადაც სომხური ელემენტი პრაქტიკულად აღარ დარჩა. პოტენციური მოკავშირე, რუსეთი, მსოფლიო ომს გამოეთიშა და საკუთარ სამოქალაქო ომში ჩაეფლო. 1920 წელს კავკასიაში დაბრუნებულმა, ამჯერად ბოლშევიკურმა რუსეთმა, ტაქტიკური მოსაზრებით, ქემალისტურ თურქეთთან მოკავშირეობა არჩია.

სომხური სახელმწიფოს მშენებლობისათვის სირთულეს ისიც წარმოადგენდა, რომ სომხები კომპაქტურად არ ცხოვრობდნენ და პრეტენზიას გამოთქვამდნენ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სხვა ეთნოსების განსახლების არეალიც იყო. ყველაზე მძაფრი მათი ტერიტორიული დავა აღმოჩნდა აზერბაიჯანელებთან.

მიუხედავად დასავლეთის მხარდაჭერისა, რომელიც უფრო მორალური იყო, ვიდრე მატერიალური, ყველაზე მეტი გართულებებით რეგიონში იბადებოდა ეთნიკურად ყველაზე შედუღაბებული, დიდი ინტელიგენციის, მდიდარი ბურჟუაზიის მყოლი ერის, *სომხების*, სახელმწიფო. მაგრამ ის მაინც დაიბადა და საკმაო სიცოცხლისუნარიანობაც გამოამჟღავნა.

* * *

სახელმწიფოებრიობის თავისებური ისტორია ჰქონდა აზერბაიჯანს. სახელმწიფო წარმონაქმნი, სახელად „აზერბაიჯანი", დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირველად მხოლოდ 1918 წელს გაჩნდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი აღნიშნული ტერიტორიის სახელად სხვების მიერ უფრო ადრეც გამოიყენებოდა. მაგალითად, რუსეთის იმპერიის სამხედრო შტაბებში საომარი თეატრების მიმოხილვისას უკვე XIX საუკუნეში იყენებდნენ ტერმინს „ჩრდილოეთ აზერბაიჯანი", დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის აღსანიშნავად.

აზერბაიჯანი (ქართულ წყაროებში – *ადარბადაგანი*) ისტორიულად ეწოდებოდა მდინარე არაქსის სამხრეთით მდებარე სპარსეთის პროვინციას. თიურქულენოვანი მოსახლეობა რვა-ცხრა საუკუნით ადრე მოვიდა და ადგილობრივ მოსახლეობას შეერია როგორც *ადარბადაგანში*, ისე არაქსის ჩრდილოეთით, ისტორიულ *კავკასიის ალბანეთში*. სომხები ამ უკანასკნელს უწოდებდნენ *აღვანქს* (აქედან წარმოდგა ალბანი> ალბანეთი), არაბები და სპარსელები – *არ-რანს*. შუა საუკუნეების ქართველებისათვის ეს ტერიტორია იყო *რანი* და *შირვანი*. გავიხსენოთ XII-XIII საუკუნეების საქართველოს მონარქების ტიტულატურა: *„მეფე აფხაზთა და ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა...“ „რანნი“ რანში* ცხოვრობდნენ, *შარვანშა* კი შირვანის შაჰი იყო (მიიჩნევენ, რომ „შარვანშა“-დან მოდის შარვაშიძეთა/შერვაშიძეთა გვარი).

მეზობლების საყურადღებოდ: ***ამ ისტორიული ფაქტების მოტანა სულაც არ ნიშნავს რალაც ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებას! შუა საუკუნეები კარგა ხანია დამთავრდა!***

სწორედ *ადარბადაგანიდან* დაიწყო სეფიანთა დინასტიამ მთელი სპარსეთის გაერთიანება XVI საუკუნის დამდეგს. მოგვიანებით სპარსეთის სეფიანმა შაჰებმა სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილებიც დაიპყრეს და იქ ყარაბაღის, განჯის, შექის, შირვანის, ბაქოს, ყუბის, თალიშისა და რამდენიმე სხვა სახანო შექმნეს. სპარსეთის დასუსტების პერიოდებში ეს სახანოები კვაზი-სახელმწიფოებრიობას ფლობდნენ, მაგრამ მათგან არც ერთი არ უწოდებდა თავს „აზერბაიჯანს“.

როგორც მე-3 თაეში ითქვა, კავკასიის თიურქულენოვან მუსლიმებს იმპერიის სტატისტიკა „ადერბეიჟანელ თათრებად“ იცნობდა. მაგრამ ეთნიკურ თვითსახელად *„აზერბაიჯანელს“*, ხოლო ქვეყნის სახელად *„აზერბაიჯანს“* ადგილობრივი მოსახლეობა არ ხმარობდა.

რუსი ისტორიკოსი დმიტრი ფურმანი XX საუკუნის პირველი ათწლეულების აზერბაიჯანზე წერდა:

> „აზერბაიჯანული ნაციონალიზმის კონსტრუირება ადვილი საქმე არ იყო, თუ გავიხსენებთ ხალხში ნაციონალური თვითშეგნების სრულ არარსებობას და აზერბაიჯანული კულტურის რთულ ხასიათს. ეს იყო სწორედ რომ კონსტრუირება, არსებითად იდეოლოგიური მცდელობა განესაზღვრათ ნაცია და მისი თავისებურებები“.

ამასთან ერთად, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის პრაქტიკულად ერთი ენა და შიიტური მიმართულების ისლამი ერთიანობის ძლიერი ფაქტორები აღმოჩნდა (სუნიტები უმცირესობას შეადგენდნენ). მართალია, ევროპულად განათლებული აზერბაიჯანული ელიტა მცირერიცხოვანი იყო, და ისიც მხოლოდ ქ. ბაქოში კონცენტრირებული, მაგრამ სწრაფად იზრდებოდა.

გარდა ამისა, გაჩნდა ნაციონალური კონსოლიდაციისათვის მნიშვნელოვანი ელემენტი – „მტრის ხატი". ეს ძალიან მძაფრადაა აღწერილი *ყურბან საიდის* რომანში *„ალი და ნინო"*.

1918 წლიდან *„ადერბეიჯანელ თათრებს"*, რომლებიც აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1920 წლიდან – საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში) ცხოვრობდნენ, უკვე ძალიან ხშირად მოიხსენიებენ „აზერბაიჯანელებად". 1930-იან წლებში ეს სახელი ოფიციალურად დამკვიდრდება და გავრცელდება სამხრეთ კავკასიის სხვა თიურქულენოვან ტომებზეც.

* * *

ამრიგად, სამხრეთ კავკასიაში სამი ახალი სახელმწიფო წარმოიშვა. მაგრამ მათი დამოუკიდებლობის განმტკიცება მარტივად არ ხდებოდა.

თავის ტერიტორიულ მოთხოვნებზე ოსმალეთმა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგაც *არ თქვა უარი*. 1918 წლის 4 ივნისს მან აიძულა საქართველოსა და სომხეთის ახალშექმნილი რესპუბლიკები, ბათუმში ხელი მოეწერათ ხელშეკრულებებისათვის ოსმალეთთან „მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ". გარდა ბათუმის ოლქისა, რომელიც ბრესტის ზავით გადაეცა ოსმალეთს, ამ ხელშეკრულებით საქართველო დამატებით თმობდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს. მცირე შეღავათი იყო ის, რომ ოსმალებმა ახალციხის მაზრაში შემავალი აბასთუმანი და ანყური აღარ მოითხოვეს.

სომხეთის რესპუბლიკა იძულებული გახდა ოსმალეთისათვის დაეთმო ერევნის გუბერნიაში შემავალი სურმალუს მაზრა, ქ. ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი, საბჭოთა პერიოდში – ლენინაკანი) და იქიდან სამხრეთისაკენ მიმავალი რკინიგზა მიმდებარე ზოლითურთ, რომელიც *ეჩმიაწინისა* და *შარურ-დარალაგიოზის* მაზრების ნახევარსა და *ნახჭევნის* მთელ მაზრას მოიცავდა. აღსანიშნავია, რომ სამი უკანასკნელი მაზრის ტერიტორია, რომელიც იქამდე რუსეთის იმპერიის ერევნის გუბერნიაში შედიოდა, რუსეთმა მოიპოვა არა ოსმალეთთან, არამედ სპარსეთთან ომის შედეგად.

ყველა „დათმობილ" ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ შევიდა ოსმალეთის არმია.

4 ივნისს ბათუმში ხელშეკრულება გაფორმდა აზერბაიჯანთანაც: ტექსტის მიხედვით, ის არ იყო კაბალური ამ უკანასკნელისათვის – ოსმალეთი მისგან მიწებს არ ითხოვდა, მაგრამ რეალურად ოსმალეთი მთელი აზერბაიჯანის შემოერთებაზე ფიქრობდა.

პანთიურქისტული იდეებით ნაკვები ოსმალეთის „ახალგაზრდა თურქთა" მთავრობა იმ დროს ჩრდილოეთ სპარსეთის დაპყრობასაც გეგმავდა, რადგან იქაც თიურქულენოვანი მოსახლეობა ეგულებოდა. ამიტომ ესაჭიროებოდა მას რკინიგზა ალექსანდროპოლიდან ჯულფამდე – სპარსეთის საზღვრამდე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ისტორიის ამ მძიმე პერიოდში მან გერმანიასთან საერთო ენის გამონახვა მოახერხა: ეს უკანასკნელი საკუთარ მოკავშირესთან, ოსმალეთთან, ფაქტობრივი კონფრონტაციის პირობებში ასე თუ ისე მფარველობდა თბილისს. საქართველო რეალურად გერმანიის პროტექტორატად იქცა და ამას ბოლშევიკური რუსეთიც შეეგუა. მაგრამ ასეთი ვითარება სულ რამდენიმე თვეს გაგრძელდა.

1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ზემოხსენებული ხელშეკრულებები რატიფიცირებული არ ყოფილა და ამდენად, არ შეუძენია იურიდიული ძალა. ხუთი თვის შემდეგ კი ისინი ბათილად გამოცხადდა, ისევე, როგორც ბრესტის საზავო ხელშეკრულება (ამ უკანასკნელის დენონსაცია რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ მოახდინა 1918 წლის 13 ნოემბერს, სულ ორი დღის შემდეგ, რაც გერმანია დასავლეთის ფრონტზე დამარცხდა).

მაგრამ თითქმის ხუთ თვეს ოსმალოს ჯარი სამხრეთ კავკასიაში პარპაშებდა. ცნობილია ისიც, რომ მესხეთის მუსლიმი მოსახლეობის, ე.წ. „თათრების" ნაწილი ოსმალებს შეეგება, როგორც გამათავისუფლებლებს, ხოლო თავის მეზობლებს, ადგილობრივ სომეხ და ქართველ ქრისტიანებს ისე მოექცა, რომ მათ წყენა კარგა ხანს არ დავიწყებიათ და 1944 წელს მოსკოვის გადაწყვეტილებით „თათრების" დეპორტაციას განსაკუთრებული გულისტკივილით არ შეხვედრიან.

1918 წლის ზაფხულის ბოლოს *აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის* მთავრობამ სტამბოლისაგან სამხედრო მხარდაჭერა მიიღო და 15 სექტემბერს ოსმალურ „ისლამის არმიასთან" ერთად ბრძოლით აიღო ბაქო, რომელსაც 1 აგვისტოდან მართავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ მოსული ე.წ. „ცენტროკასპიის დიქტატურა", რომელშიც რუსი ესერები, მენშევიკები და სომეხი დაშნაკები შედიოდნენ. განსაკუთრებული თავგამოდებით იბრძოდნენ სომხური ნაწილები: მათ კარგად იცოდნენ, რომ როგორც გარეთ, ისე ქალაქის შიგნით მყოფი მტრისაგან დანდობა არ ელოდათ.

დაპყრობილ ქალაქში შუა საუკუნეების წესით სამი დღის განმავლობაში ძარცვა და ხოცვა-ულეტა გრძელდებოდა. 1920 წელს თბილისში გამოცემული *ბ. იშხანიანის* წიგნის მიხედვით, ამას ადგილობრივი, ბაქოელი, მუსლიმი მოსახლეობა სჩადიოდა. 1963 წელს გამოცემული „აზერბაიჯანის ისტორია" აღიარებს, რომ ბაქოს აღების შემდეგ *„ათასობით ბაქოელი მოიკლა, ძირითადად სომხური მოსახლეობიდან"*, მაგრამ დანაშაულს მხოლოდ ოსმალურ არმიას აკისრებს. ამასთან, არც იშხანიანი და არც აზერბაიჯანელი საბჭოთა აკადემიკოსები არ უკავშირებენ ამ ფაქტს იმავე წლის მარტის სამოქალაქო ომს, თუმცა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ნათელია: ეს იყო „კოლექტიური" სისხლის აღება უსასტიკესი მეთოდით.

იშხანიანის ძალიან გულმოდგინე გამოკვლევის თანახმად, 1918 წლის სექტემბერში ბაქოს 87 ათასი სომეხი მცხოვრებიდან 10,7 პროცენტი დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მათგან უმრავლესობა – ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მამაკაცი იყო, რომელთაც იარაღის გამოყენება შეეძლოთ და იყენებდნენ კიდეც. ბევრი გაიქცა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდა. სომხური მოსახლეობა ბაქოში მრავლად იყო მუსავათის მთავრობის დროსაც (სექტემბერი, 1918 – აპრილი, 1920) და კომუნისტურ პერიოდშიც, 1990-იანი წლების დამდეგამდე.

15 სექტემბერს ბაქოდან კრასნოვოდსკში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, გადაიყვანეს „ცენტროკასპიის დიქტატურის" მიერ ადრე დაპატიმრებული *ბაქოელი კომისრები* (მათი ეთნიკური შემადგენლობა ასეთი იყო: რვა სომეხი, ექვს-ექვსი რუსი და ებრაელი, ორ-ორი ქართველი და აზერბაიჯანელი და თითო ლატვიელი და ბერძენი). დაპატიმრებამდე ბოლშევიკი კომისრები რამდენიმე თვის განმავლობაში მართავდნენ ბაქოს. თავიანთი მმართველობის დროს ამ მრავალეროვან და ბურჟუაზიით სავსე ქალაქში ისინი უმოწყალოდ ებრძოდნენ „კლასობრივ მტერს" და ჰუმანიზმით თავი არ გამოუჩენიათ.

პოსტიმპერიულ ქაოსში, როდესაც მტერ-მოყვარე ძნელი გასარჩევი იყო, 26 ბაქოელი კომისარი კასპიისგაღმა უდაბნოში დახვრიტეს (როგორც ჩანს, ესერებმა). გადარჩა 27-ე, *ანასტას მიქოიანი*: მისი გვარი კომისრების სიიდან რატომღაც ამოღებული აღმოჩნდა.

თავისთავად, ეს ტრაგედიაა, თუმცა ბოლშევიკები თვითონ ხვრეტდნენ ათასობით უდანაშაულო ადამიანს. საბჭოთა პროპაგანდამ, სტალინის დავალებით, 26 ბაქოელი კომისარი „კომუნიზმისათვის წამებულთა" რანგში აიყვანა და საკუთარი მითოლოგიის ნაწილად აქცია. ყველა ახალ რელიგიას ესაჭიროება თავისი წმინდანები და წამებულები: კომუნიზმი კი რელიგიის ფუნქციასაც იღებდა თავის თავზე. ბაქოელი კომისრების თავკაცის, *სტეფან შაჰუმიანის* სახელი უკვდავყოფილ იქნა მთიანი ყარაბაღის ცენტრ *სტეფანაკერტში* (ყოფილი ხანკენდი), ჩრდილოეთ სომხეთის ქალაქ *სტეფანავანში* (ყოფილი ჯალალ-ოღლი), საქართველოს დაბა *შაუმიანში* (ყოფილი შულავერი). ყველა ეს სახელი დღემდე გამოიყენება. *სტეფან შაჰუმიანის* ძეგლი ახლაც დგას ქ. ერევანში.

აზერბაიჯანელებისა და ოსმალო თურქების ენობრივი ნათესაობის პოლიტიკურ ფაქტორად გამოყენება სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ორ სახელმწიფოს კარგს არაფერს უქადდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შიიტი აზერბაიჯანელების საგრძნობი ნაწილი სულაც არ მიიჩნევდა სუნიტ თურქებს ერთმორწმუნეებად და მათი არმიის შემოსვლას ახალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ მიესალმებოდა.

სომხეთის რესპუბლიკა 1918 წლის მაის-ოქტომბერში ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა. მისი ტრადიციული მფარველი, რუსეთი, დამარცხებული იყო და

კავკასიიდან გავიდა, „ევროპელი მეგობრები" კი – დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი – შორს იბრძოდნენ. სომხეთი საკუთარი ძალების ამარა დარჩა.

სამაგიეროდ, 1918 წლის ნოემბრიდან, როდესაც გერმანია დამარცხდა და ოსმალეთთან ერთად გავიდა რეგიონიდან, სომხეთი გახდა დიდი ბრიტანეთის მთავრობისა და, განსაკუთრებით, ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო უილსონის „საყვარელი შვილობილი". მართალია, „მამობილი" სამხედრო თვალსაზრისით ბევრი ვერაფრით დაეხმარა მას, მაგრამ გარკვეული სასურსათო ჰუმანიტარული დახმარება გაუწია.

ახლა უკვე სამხრეთ კავკასიის ორ სხვა ახალგაზრდა რესპუბლიკას მოუხდა მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობა.

უკვე 1918 წლის ნოემბერში სომხეთმა შეგნებულად აარიდა თავი მონაწილეობას კავკასიის ოთხი რესპუბლიკის კონფერენციაში, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით თბილისში უნდა გამართულიყო. მეოთხე – *მთიელთა და დაღესტნის რესპუბლიკა* იყო, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ნაწილზე აცხადებდა პრეტენზიას. ეს რესპუბლიკა უდღეური გამოდგა: მალე ის გაანადგურა 1919-1920 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი „თეთრი" გენერლის, *დენიკინის* არმიამ.

თბილისის კონფერენციაზე იგეგმებოდა კავკასიის სახელმწიფოების მიერ ურთიერთცნობა, სასაზღვრო დავების მოგვარება და „თეთრი მოძრაობის" წინააღმდეგ კავკასიის ერთიანი ფრონტის შექმნა. სომხეთის ხელმძღვანელობამ ლოგიკურად მიიჩნია, რომ ანტანტა მის მიმართ უკეთ იქნებოდა განწყობილი, ვიდრე გერმანიისა და ოსმალეთის ყოფილი პროტეჟეების, საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ და განერიდა საბოლოოდ არშემდგარ კონფერენციას, რომელზეც მას ელოდა დანარჩენი სამი რესპუბლიკის კოლექტიური ზეწოლა თავის სასაზღვრო პრეტენზიებზე უარის თქმის მიზნით. გენერალი დენიკინი კი მორალურ და ერთგვარ სამხედრო დახმარებას უწევდა კავკასიაში რუსეთის ტრადიციულ მოკავშირეებს – სომხებს. ამ უკანასკნელთ, ბუნებრივია, სულაც არ სურდათ *რუს თეთრგვარდიელთა* წინააღმდეგ ერთიან ფრონტში მონაწილეობა.

ომის შემდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვებული ანტანტის, განსაკუთრებით – დიდი ბრიტანეთის პოზიციას. მაგრამ მის მინისტრთა კაბინეტში არ იყო ერთსულოვნება – დაეჭირათ მხარი სამხრეთ კავკასიის ახალგამოცხადებული რესპუბლიკებისათვის, თუ აეღოთ ორიენტაცია გენერალ დენიკინზე, რომელიც რუსეთის ერთიანობის აღსადგენად აპირებდა ბოლშევიკების განადგურებას და ყოფილი იმპერიის პერიფერიაზე, განსაკუთრებით კავკასიაში, „სეპარატიზმის" ჩახშობას.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი *ლორდი ჯორჯ ნეთენიელ კერზონი* სამხრეთ კავკასიის, კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანის,

მხარდასაჭერად იყო განწყობილი. კერზონის ინიციატივით გამოიგზავნა 1919 წელს თბილისში ბრიტანეთის მთავარ კომისრად (Chief Comissioner) ქართველოლოგი *ჯონ ოლივერ უორდროპი*, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურად მთარგმნელის, *მერჯორი უორდროპის* ძმა: ის საკმაოდ პროქართულად იყო განწყობილი. უორდროპი 1920 წლის აპრილამდე დარჩა ამ პოსტზე.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო მინისტრი *უინსტონ ჩერჩილი* კი სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერის საჭიროებას ვერ ხედავდა. ნავთობის წყარო სამხრეთ სპარსეთში ბრიტანულ-სპარსული ნავთობის კომპანიამ ჯერ კიდევ მსოფლიო ომამდე მონახა. *ქალაქ აბადანში*, 1913 წელს აგებულ იმ დროს მსოფლიოში უდიდეს ქარხანაში ნედლი ნავთობის გადამუშავება და სუეცის არხის გავლით მისი ტანკერებით ტრანსპორტირება ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ბათუმიდან ნავთის გამოზიდვა. ნავთობის დიდი საბადოები აღმოჩნდა *მოსულის ვილაიეთშიც*, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა თავის სამანდატო ტერიტორიას – *ერაყს* – შეუერთა. ასე რომ, ლონდონს ბაქო საერთოდ აღარ სჭირდებოდა. კავკასიაში მისთვის სახეირო კი სხვა არაფერი იყო.

განსაკუთრებით უარყოფითად იყო განწყობილი სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობისა და იქ ანტანტის სამხედრო ნაწილების გაგზავნის მიმართ დიდი ბრიტანეთის იმპერიული გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი *ჰენრი უილსონი*, რომელიც რეგიონს კვლავაც რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. მისი მტკიცებით, რეგიონის დაცვა *ერთა ლიგის* ძალებს აღემატებოდა. მას შემდეგ, რაც 1922 წელს უილსონი მოკლეს ირლანდიელმა ნაციონალისტებმა, გამოქვეყნდა მისი დღიურები, სადაც ის თურმე „სულელებს" უწოდებდა ანტანტის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებიც პარიზში შეიკრიბნენ და 1920 წლის 10 იანვარს *de facto* დამოუკიდებლად ცნეს ჯერ საქართველო და აზერბაიჯანი, ხოლო 19 იანვარს – სომხეთიც.

ჩვენი პოზიციიდან ჰენრი უილსონი „რეაქციონერი და იმპერიალისტი" იყო (ალბათ ასევე ფიქრობდნენ ირლანდიელი ნაციონალისტებიც). საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე კი, ლონდონს ერჩივნა ერთიანი, წინასწარმეტყველებადი და თავის საზღვრებს გარეთ ნაკლებ აგრესიული რუსეთი. ლონდონი ასეთად ბოლშევიკურ მთავრობას ვერ მიიჩნევდა. ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა ამჯობინა დახმარება ისევ „თეთრებისათვის" გაეწია.

მაგრამ 1920 წლის 28 მარტს წითელმა არმიამ „თეთრებისაგან" გაწმინდა ქ. ნოვოროსიისკი, საბოლოოდ დაამარცხა დენიკინი, 28 აპრილს კი ბაქოც აიღო. ბოლშევიკებმა იქ მყარად მოიკიდეს ფეხი. ამის შემდეგ ბრიტანეთმა საერთოდ დაკარგა ინტერესი კავკასიის მიმართ. საფრანგეთი და იტალია კი ამ რეგიონით სერიოზულად არასოდეს დაინტერესებულან.

1920 წლის ზაფხულში ბრიტანეთის ჯარისკაცებს ერთი სული ჰქონდათ დაეტოვებინათ კავკასია. ლაპარაკია სანახევროდ ინდოელებით დაკომპლექტებულ

რამდენიმე ბატალიონზე, რომელიც მხოლოდ ბათუმში იდგა. მათი იქ ყოფნა „კავკასიაში ბრიტანული ინტერესების არსებობას" ნიშნავდა. ამ დროისათვის კი „თეთრი მოძრაობა" რუსეთში სულს ღაფავდა.

1920 წლის 9 ივლისს ბრიტანელები კავკასიიდან წავიდნენ, ბათუმი კი საქართველოს ჩააბარეს.

სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბების მცდელობა

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი აღიარებული საზღვრების არსებობაა.

იმპერიის დაშლის შედეგად წარმოშობილი ახალი სახელმწიფოების გამიჯვნისას თეორიულად შესაძლებელია *„ეთნიკური განსახლებისა"* და *„ისტორიული ტერიტორიის"* პრინციპების გამოყენება. პრაქტიკულად კი ბევრ შემთხვევაში სულ სხვა „პრინციპები" მუშაობს ხოლმე.

„ეთნიკური განსახლება" ცვალებადია, განსაკუთრებით ომის პირობებში, ხოლო „ისტორიული ტერიტორია", ჩვეულებრივ, ძალიან ბუნდოვანი კატეგორიაა (იხ. ჩანართი 8.1). შუა საუკუნეებისა და უფრო ძველი საზღვრები, თუკი ისინი რაიმე ფიზიოგრაფიულ ნიშანს (ზღვის ნაპირი, დიდი მდინარე, მაღალი ქედი) არ ეყრდნობა, მითოლოგიას უფრო განეკუთვნება, ვიდრე ისტორიის სფეროს და ხშირად ეთნოტერიტორიული კონფლიქტის საწინდარია ხოლმე.

თუკი ერთი ეთნოსისათვის „ისტორიული ჭეშმარიტებაა", რომ მხოლოდ მას ეკუთვნის ესა თუ ის ტერიტორია, მეორე ეთნოსისათვის, რომელიც იმავე ტერიტორიაზე დასახლდა, როგორც თვითონ ფიქრობს – „უხსოვარ დროს", ეს სულაც არაა „ჭეშმარიტება": ის არ მიიჩნევს „კანონიერ მფლობელად" იმ ეთნოსს, რომელიც კიდევ უფრო ადრე მცხოვრებთა შთამომავლად აცხადებს თავს. რასაკვირველია, თუკი ჩამოყალიბებული საზღვრების მქონე სახელმწიფო ანექსირებულ იქნა იმპერიის მიერ, იქ ისტორიული ტერიტორია შედარებით ადვილად დგინდება. მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ და ეთნოდემოგრაფიული ცვლილებების შედეგად, შეიძლება ასეთი „ისტორიული ტერიტორიის" საზღვრებიც გახდეს სადავო.

ასეთ ფონზე სახელმწიფო საზღვრების საფუძვლად კავკასიის ახალ სახელმწიფოებს, ალბათ, უჯობდათ *„იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის"* პრინციპი გამოეყენებინათ: ტერიტორიული მოწესრიგებისას ეს კონფლიქტების თავიდან აცილების ერთგვარი საშუალებაა, თუმცა ფაქტია, რომ ეს პრინციპიც მთლად სამართლიანი ვერ იქნება.

ჩანართი 8.1
„ისტორიული ტერიტორიის“ ცნების შესახებ

ძნელია იმის მეცნიერულად დადგენა, თუ რა არის „ისტორიული ტერიტორია“. **არ არსებობს უნივერსალური ფორმულა, რომლითაც ყველასათვის დამაჯერებლად დამტკიცდება, თუ რომელი დღევანდელი ერის მარადიული კუთვნილებაა დედამიწის ესა თუ ის მონაკვეთი, და რომ სხვა ერის წარმომადგენლებმა ის ძველ „კანონიერ მფლობელს“ უნდა დაუთმონ.**

მაგალითად, ებრაელებმა მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობის მიერ *წმინდა წიგნად* აღიარებულ ებრაულ *თანახზე (ქრისტიანებისათვის ის ბიბლიის ძველი აღთქმაა)* დაყრდნობითაც კი ვერ შეძლეს და ვერ დაუმტკიცეს ათასწლეულზე მეტ ხანს პალესტინაში მცხოვრებ არაბულენოვან მოსახლეობას, რომ კანონიერია ებრაელთა მოთხოვნა, დაიბრუნონ მათივე ღმერთისგან აღთქმული მიწა. თავის მხრივ მოსახლეობა, რომელსაც ახლა *პალესტინელებად* ვიცნობთ, იმავე ბიბლიაზე დაყრდნობით, თავს ქანაანელთა, ანუ წინარე-ისრაელიტური მოსახლეობის შთამომავლებად აცხადებს. ებრაელებმა სცადეს მათი ძალით აყრა, მაგრამ ეს მსოფლიოში არავინ მოუწონა.

იქნებ ასევე კანონიერია ინდიელთა ტომის შთამომავლების პრეტენზია კუნძულ მანჰეტენზე, სადაც ახლა ქალაქი ნიუ-იორკი მდებარეობს? იქ *სულ ოთხასი წლის წინ* ევროპელებზე, კერძოდ, ჰოლანდიელებზე, ადრე მართლაც მათი წინაპრები სახლობდნენ.

ცნობილია, რომ ინგლისელები, უნგრელები, სერბები, თურქები, რუსები და ბევრი სხვა ეთნოსი თავიანთი ამჟამინდელი განსახლების ადგილებზე შორიდან მოვიდნენ; მათ ადგილობრივი მოსახლეობა დახვდა – უმეტესწილად მტრულად განწყობილი. გერმანული წარმოშობის ანგლო-საქსებმა ბრიტანეთის კუნძულზე 16 საუკუნის წინ დაიწყეს დამკვიდრება, სერბებმა და სხვა სლავურმა ტომებმა ბალკანეთში – 14-15 საუკუნის წინ, მადიარებმა (უნგრელებმა) პანონიაში – 10-11 საუკუნის წინ, თურქებმა ანატოლიაში – 9-10 საუკუნის წინ. რუსები ციმბირში ოთხ-ნახევარი საუკუნის წინ დამკვიდრდნენ, ჩრდილოეთ კავკასიაში – დაახლოებით სამი საუკუნის წინ, შორეულ აღმოსავლეთში – სულ საუკუნე-ნახევრის წინ და ა. შ.

არის თუ არა ეს მიწები თანამედროვე ამერიკელების, ინგლისელების, სერბების, უნგრელების, თურქების „ისტორიული ტერიტორია“? არის თუ არა ციმბირი და ჩრდილოეთ კავკასია „ოდინდელი რუსული მიწა“ (исконно русская земля)?

უმრავლესობა მსოფლიოში, ალბათ, ამ კითხვებს დადებითად უპასუხებს. თუმცა ზოგან შემორჩენილი კიდევ უფრო ადრეული მოსახლეობის შთამომავლები ამ თვალსაზრისს არ გაიზიარებენ.

გავიხსენოთ, რომ აფრიკის დეკოლონიზაციის დროს, 1960-იან წლებში, კოლონიური ადმინისტრაციული საზღვრები (ხშირად – რუკაზე სახაზავით გავლებული ლონდონისა თუ პარიზის კაბინეტებში) სახელმწიფო საზღვრებად გამოცხადდა, თუმცა ნათელია, რომ აფრიკის სახელმწიფოთა საზღვრები, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიაში, ეთნიკური სულაც არ იყო. აფრიკის ახალი სახელმწიფოების საზღვრების დაკანონება მოხდა ყოფილი მეტროპოლიების ძალისხმევითა და გარკვეული ძალდატანებითაც. ამას ისიც აადვილებ-

და, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, აფრიკაში სახელმწიფოებრიობის ტრადიცია თითქმის არ არსებობდა. საბოლოოდ, ასეთი გამიჯვნის წყალობით აფრიკის 40-ზე მეტი ახალი სახელმწიფოს დიდ ნაწილს სასაზღვრო ომები ასცდა (თუმცა, გამონაკლისი იქაც იყო). არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ აფრიკის დეკოლონიზაცია ცივილიზებული მეთოდით, ყოფილი მეტროპოლიებისა და გაეროს ზედამხედველობით ხდებოდა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისას ასევე გამოყენებულ იქნა საბჭოთა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა: მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციული საზღვრები ახალი სახელმწიფოების საზღვრებად გამოცხადდა და ისინი საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული. ამან ბევრგან უზრუნველყო უკონფლიქტო განვითარება. მხოლოდ სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში, სადაც ეს პრინციპი სრულად არ გაიზიარეს (ამაში ყოფილმა მეტროპოლიამაც შეიტანა თავისი წვლილი), დღემდე შემორჩა გადაუჭრელი კონფლიქტები.

1918 წელს „იმპერიული *ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის*" პრინციპის გამოსაყენებლად საჭირო იყო *კონსენსუსი*, რომელსაც თითქმის თანაბარი ძალის მქონე სამმა კავკასიურმა რესპუბლიკამ ვერ მიაღწია.


როგორც მე-3 თავში აღინიშნა, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა არ ითვალისწინებდა ეთნიკური ჰომოგენურობის ფაქტორს. პირიქით, იმპერია *ეთნიკური სიჭრელის* შექმნას ამჯობინებდა. კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების უმეტესობა პოლიეთნიკური იყო. ამიტომაც სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკა ვერაფერზე მორიგდა და ამით ფაქტობრივად ხელი შეუწყო გარეშე ძალის დაბრუნებას რეგიონში, რომელმაც აიძულა ისინი „მოენახათ კონსენსუსი". ეს *გარეშე ძალა* ისევ რუსეთი იქნება, ამჯერად – ბოლშევიკური.

გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა შემადგენლობისაა *ეთნიკური სიჭრელე* კონკრეტულ ტერიტორიაზე.

აქ შეგვიძლია განვიხილოთ *ბალტიის რეგიონის* კონტრასტული მაგალითი, სადაც რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად 1918 წელს შეიქმნა სამი რესპუბლიკა – ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. მათი საზღვრების ჩამოყალიბებას „სპეციფიკურმა ეთნიკურმა სიჭრელემ" ხელი არ შეუშალა: ყველა ახალ სახელმწიფოში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოჩნდნენ *არა მე ზობელი* ბალტიელი ერების, *არამედ სხვა ეთნოსების* (პოლონელები, რუსები, ებრაელები, გერმანელები) წარმომადგენლები. ამიტომაც ბალტიის ქვეყნებს ასცდათ ერთმანეთთან ეთნოტერიტორიული დავა.

მაგალითად, ლიტვას ჰქონდა დავა პოლონური უმრავლესობის მქონე ვილნიუსისა და მისი რეგიონის გამო და გერმანული მოსახლეობის მქონე მემელის (კლაიპედას) რაიონის გამო, მაგრამ ეს დავა მას შესაბამისად პოლონეთთან და გერმანიასთან ჰქონდა. სამაგიეროდ, ლიტვას არავითარი ეთნოტერიტორი-

ული პრეტენზია არ ჰქონდა მეზობელი ლატვიის მიმართ, რომელსაც, თავის მხრივ, არაფერი აღმოაჩნდა სადავო მეზობელ ლიტვასთან და ესტონეთთან.




ნახ. 8.1. სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების მიახლოებითი ტერიტორიული პრეტენზიები 1920 წლის დასანყისისათვის (ძირითადად *არტურ ცუციევის* ატლასის მიხედვით)

ნახ. 8.1-ზე სქემატურად არის მითითებული 1920 წლის დასანყისისათვის სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის ნომინალური იურისდიქციის ქვეშ მყოფი (უფრო ზუსტად – დეკლარირებული) ფართობი და მათი ძირითადი ტერიტორიული პრეტენზიები. რუკას აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია არა აქვს: მე შეგნებულად ვწერ „რესპუბლიკის ნომინალური იურისდიქციის ფარგლები" და არ ვახსენებ *საზღვრებს*, რადგან დელიმიტირებული, ისიც საკმაოდ ზოგადად, იყო მხოლოდ საქართველო-რუსეთის საზღვარი (1920 წლის 7 მაისიდან), რომელიც ეყრდნობოდა ფიზიოგრაფიულ ნიშანს – ძირითადად გადიოდა კავკასიონის მთავარ ქედზე. გარდა ამისა, საერთაშორისო დონეზე განსაზღვრული იყო ლორეს ნეიტრალური ზონის ტერიტორია. დანარჩენი თითქმის მთლიანად სადავო იყო.

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების საზღვრების დიდი ნაწილი დამოუკიდებლობის პერიოდში დაუდგენელი დარჩა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით სახელმწიფოს ტერიტორიას შეადგენდნენ რუსეთის იმპერიის ყოფილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგები (1920 წელს რსფსრ-ის მთავრობამ სწორედ ეს ტერიტორია ცნო საქართველოს კუთვნილებად). ამ გუბერნიებსა და ოკრუგებში ქართველები ყველგან აბსოლუტურ ან შეფარდებით უმრავლესობას ქმნიდნენ, გარდა ზაქათალის ოკრუგისა, რომელიც ძირითადად დასახლებული იყო მუსლიმი ავარელებითა და აზერბაიჯანელებით, ხოლო მოსახლეობის მეოთხედამდე ქართველთა სუბეთნოსი – მუსლიმი და მართლმადიდებელი ინგილოები – იყო.

გარდა ზემოხსენებულისა, საქართველოს პრეტენზია ჰქონდა ყარსის ოლქის არტაანისა (არდაჰანის) და ოლთისის ოკრუგებზეც, თუმცა იქ ქართულენოვანი, ისიც მხოლოდ მუსლიმი, მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო.



ნახ. 8.2. საქართველოს ვერსია 1920 წლის საზღვრების შესახებ (ორმხრივ აღიარებული იყო მხოლოდ საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის). გ. გაჩეჩილაძისა და ქ. ძაგანიას მიერ შედგენილი და გამოცემული რუკა: რუკების გამოცემა „დეგე", ტფილისი, 1920 წ.

საქართველოს საზღვრები ჩანს 1920 წელს თბილისში დაბეჭდილ რუკაზე (იხ. ნახ. 8.2).

საზღვრების „ქართულ ინტერპრეტაციას" არ ეთანხმებოდნენ ბაქოში – ზაქათალის ოლქს თავისად მიიჩნევდნენ; ერევანს კი ლორეზე ჰქონდა პრეტენზია. ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩვენი მეზობლების პრეტენზიებს დაუჭირა

მხარი. ანკარამაც მოსკოვთან შეთანხმებით „შეასწორა“ ჩვენი საზღვრები.

სახელმწიფოებრივი გამიჯვნისას დამოუკიდებელი საქართველო უპირატესობას ანიჭებდა „*იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის* (საგუბერნიო საზღვრების)“ პრინციპს, რომელიც მისთვის ძირითადად ემთხვეოდა „*ისტორიული ტერიტორიის*“ პრინციპსაც.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავის სრულ საგამგებლოდ მიიჩნევდა ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებს (ამ უკანასკნელში შედიოდა როგორც ზანგეზურის მაზრა, ისე ყაზახის მაზრა, XIX საუკუნემდე – ყაზახისა და შამშადილის სასულტნოები) და აგრეთვე ნომინალურად საქართველოში შემავალ ზაქათალის ოკრუგს.

„ეთნიკური განსახლების“ პრინციპით აზერბაიჯანი ერთხანს მოითხოვდა ყოფილი ტფილისის გუბერნიის ძირითადად აზერბაიჯანლებით დასახლებული ბორჩალოს მაზრის ნაწილს (ამჟამინდელ მარნეულის რაიონსა და მიმდებარე ტერიტორიებს), თბილისისა და სიღნაღის მაზრების სამხრეთ ნაწილებს. მას პრეტენზია ჰქონდა ერევნის გუბერნიის ნახჭევნისა და შარურ-დარალაგიოზის მაზრებზე, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა სომხებს რიცხოვნობით სჭარბობდა.

აზერბაიჯანი თავიდან ყარსის ოლქსაც მოითხოვდა, სადაც მუსლიმი მოსახლეობა მრავლად იყო. საბოლოოდ ბაქომ ბორჩალოსა და ყარსის ოლქზე უარის თქმა ამჯობინა. საქართველომ და აზერბაიჯანმა ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიები შეარბილეს და, საბედნიეროდ, საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე არ მიუყვანიათ.

საერთოდ, ბევრ საკითხზე საქართველო და აზერბაიჯანი უფრო ადვილად ახერხებდნენ კომპრომისის მიღწევას, ვიდრე თითოეული მათგანი – სომხეთთან. განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობა.

ამრიგად, სახელმწიფოებრივი გამიჯვნისას დამოუკიდებელი აზერბაიჯანი ნაწილობრივ ცნობდა „*იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის*“ პრინციპს. ხშირ შემთხვევაში კი ის თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნევდა „*ეთნიკური* (უფრო ზუსტად, *ეთნორელიგიური*) *განსახლების*“ პრინციპს.

სახელმწიფოებრივი გამიჯვნის „*ეთნიკური განსახლების*“ პრინციპი დიდ წინააღმდეგობას ქმნიდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობაში, რადგან ორი ეთნიკური ჯგუფის განსახლება ძალიან ხშირად შერეული იყო.

სომხეთის რესპუბლიკა სახელმწიფო საზღვრების ფორმირებისას თავისთვის ხელსაყრელ პრინციპად მიიჩნევდა „*ეთნიკურ განსახლებას*“, იმის გამო, რომ სომხები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გაფანტული და ზოგან (მაგრამ არა ყველგან) უმრავლესობას ქმნიდნენ.

კიდევ უფრო სამართლიანად მიიჩნევდა სომხეთი „*ისტორიული ტერი-*

ტორიის" პრინციპს. ოღონდ, განსხვავებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან, რომელიც ერთი-ორი საუკუნით ადრე ქართველი მეფე-მთავრების კუთვნილ მიწებზე აცხადებდა პრეტენზიას, სომხები ოპერირებდნენ ერთი-ორი ათასწლეულით ადრე არსებული პოლიტიკური საზღვრებით, რომელთა დადგენაც ძალიან ძნელია, თუ შეუძლებელი არა. *დიდი სომხეთის* იდეის რეალობად ქცევა, ბუნებრივია, მეზობელი ხალხების განსახლების არეალის ხარჯზე უნდა მომხდარიყო, რომლებიც, სომეხ მეცნიერთა ინტერპრეტაციით, საუკუნეების განმავლობაში დასახლდნენ „ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე".

რაც შეეხება *„იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის"* პრინციპს, სომხებისათვის ის საერთოდ მიუღებელი იყო.

„ისტორიული ტერიტორიის" პრინციპით სომხეთი თავისად მიიჩნევდა მთელ ერევნის გუბერნიას, ნახჭევნის მაზრასთან ერთად, და ყარსის ოლქს. იქ ყველგან სომხები მუსლიმურ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, *„ეთნიკური განსახლებისა"* და *„ისტორიული ტერიტორიის"* პრინციპების სინთეზით სომხეთს პრეტენზია ჰქონდა ტფილისის გუბერნიის სამხრეთზე – *ბორჩალოს მაზრის დიდ ნაწილზე* და მთელ *ახალქალაქის მაზრაზე*. თავიდან მას პრეტენზია ჰქონდა *თბილისზეც*, მაგრამ საბოლოოდ შეურიგდა იმას, რომ ქალაქი ქართველებს დარჩებოდათ.

„ეთნიკური განსახლების" პრინციპით სომხები თავისად თვლიდნენ ელისავეტპოლის გუბერნიაში შემავალ მთელ *ზანგეზურის მაზრას, შუშის, ჯევანშირის* მაზრების დიდ ნაწილს (ორ უკანასკნელ მაზრაში მდებარეობდა *მთიანი ყარაბაღი*) და *ელისავეტპოლის* მაზრის ნაწილს, სადაც სომხური და აზერბაიჯანული სოფლები გვერდიგვერდ მდებარეობდა. იმპერიის ხანაში ზანგეზურის მაზრაში სომეხზე მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, ხოლო მთიან ყარაბაღში – პირიქით.

იმავე ელისავეტპოლის გუბერნიის *ყაზახის მაზრის* სამხრეთ-დასავლეთი მთიანი ნაწილი, მდინარე აღსტევის (აღსთაფის) აუზი, სადაც სომხური მოსახლეობა მცირედ სჭარბობდა აზერბაიჯანულს, სომხეთის რესპუბლიკამ 1918 წელსვე შეიერთა. ამჟამად ამ ტერიტორიაზე სომხეთის რესპუბლიკის მონოეთნიკური *ტავუშის მარზია*, სადაც მდებარეობს ქალაქები *იჯევანი* (ყოფილი ქარავანსარაი), *ბერდი* (ყოფილი თოვუზკალე), *ნოემბერიანი* (ყოფილი ბარანა) და *დილიჯანი*. 1920 წელს სომხეთს იმავე ყაზახის მაზრის დაბლობი ნაწილიც ეჭირა (იქ აზერბაიჯანელები სჭარბობდნენ) და დროებით კონტროლს უწევდა საქართველოდან სამხრეთით მიმავალი მთავარი გზის მნიშვნელოვან პუნქტს – მდინარე ხრამზე შუა საუკუნეებიდან არსებული „ნითელი ხიდის" ერთ მხარეს.

„ისტორიული ტერიტორიის" პრინციპიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის გარეთ ძირითადი, და ფართობით კავკასიურზე ბევრად უფრო დიდი

ტერიტორიული პრეტენზია სომხეთს ოსმალეთის მიმართ ჰქონდა, რომლის აღმოსავლურ ვილაიეთებში მსოფლიო ომამდე საკმაოდ დიდი სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა. როგორც ზემოთ ითქვა, მსოფლიო ომის შემდეგ ანატოლიაში სომხური თემი პრაქტიკულად არ დარჩა.

ეთნოტერიტორიული კონფლიქტები

როგორც კი ოსმალები და გერმანელები 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამხრეთ კავკასიიდან გავიდნენ, ახალი ძალით იფეთქა **ტერიტორიულმა კონფლიქტებმა**. ყველა რესპუბლიკას თავისი ტერიტორიის გაფართოება მოუნდა ან იმის შენარჩუნება, რასაც იმპერიისაგან მემკვიდრეობით მიღებულად მიიჩნევდა.

ეს ნიშნავდა ომს ტერიტორიისათვის, რასაც ხშირად თან ახლდა *ეთნიკური წმენდა, რაც გარკვეული ტერიტორიიდან მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფის მთლიანად ან თითქმის მთლიანად განდევნას ნიშნავს*. ასეთი „წმენდა" უსისხლოდ არ ხდება ხოლმე.

1923 წელს, რუსეთის კომპარტიის X ყრილობაზე დისკუსიის დროს, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში სტალინი საკმაოდ მშვიდად აცხადებდა:

> „აზერბაიჯანში აზერბაიჯანელები, როგორც უმრავლესობა, ჩაგრავენ და ულეტენ სომხებს, როგორც ეს იყო ნახჭევანში, სადაც თითქმის ყველა სომეხი გაჟლიტეს. სომხები კი თავისთან, სომხეთში, ულეტენ თითქმის ყველა თათარს: ეს ზანგეზურში მოხდა".

მართლაც, ერევნის გუბერნიაში შემავალ ნახჭევნის მაზრაში და შარურ-დარალიაგიოზის მაზრის ნაწილში 1919 წელს სომხებს ეთნიკური წმენდა მოუწყვეს. ახალი ეთნიკური სტრუქტურის გათვალისწინებით ნახჭევნის მაზრა და შარურის ქვერაიონი რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში დარჩა. ნახჭევანში მცირე რაოდენობით სომხები ცხოვრობდნენ 1980-იანი წლების ბოლომდე, შემდეგ კი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო იძულებული გახდნენ, გასახლებულიყვნენ იქიდან. ნახჭევანს არა აქვს საერთო საზღვარი დანარჩენ აზერბაიჯანთან, რადგან შუაში მდებარეობს სომხეთის რესპუბლიკის *სიუნიქის მარზი*. ნახჭევანი აზერბაიჯანის რესპუბლიკის *ექსკლავად* იქცა.

ამის საპირისპიროდ, ელისავეტპოლის გუბერნიაში შემავალი *ზანგეზურის მაზრის* (ქართულ ისტორიულ წყაროებში – *სივნიეთი*, ამჟამად სომხეთის რესპუბლიკის *სიუნიქის მარზი*) სომხეთთან შესაერთებლად იბრძოლა შემდგომში სომხეთის ეროვნულ გმირად შერაცხულმა ვიცე-პოლკოვნიკმა *გარეგინ ნჟდეჰმა* (ნამდვილი გვარი *ტერ-ჰარუთიუნიანი*) 1968 წელს ბეირუთში გამოცემული მისი ერთი ბიოგრაფიის მიხედვით:

> „[ნუდეჰმა] 1919-1920 წლებში არა მარტო შეძლო სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაეცვა კაპანისა და გენეაზის [ამჟამად ქ. მელრი: რ.გ] სომხებით დასახლებული ათობით სოფელი გარშემორტყმული ასობით თიურქული სოფლით, არამედ გაწმინდა კიდეც ყველა ეს რაიონი მტრისაგან“ (ციტირებულია გ. არაქელიანის სტატიის მიხედვით).

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის თანახმად, ზანგეზურის მაზრაში მოსახლეობის ნახევარზე მეტი აზერბაიჯანული იყო (71 ათასი, 64 ათას სომეხთან შედარებით). მომდევნო ოცი წლის მანძილზე ეს შეფარდება რომც შეცვლილიყო, როგორც ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩანს, იქ „ათობით სომხური“ სოფლის ირგვლივ „ასობით თიურქული“ (აზერბაიჯანული) სოფელი იყო. რასაკვირველია, „ათობით“ და „ასობით სოფელი“ უფრო ჰიპერბოლაა, ვიდრე რეალური შეფარდება. ეთნიკური წმენდა კი იქ სომხებმა მოაწყვეს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანელები ზანგეზურში დარჩნენ: 1970 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით ისინი ამ მხარის მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენდნენ, 1989 წლის აღწერით კი – 6,8 პროცენტს. ახლა *სიუნიქი* მონოეთნიკურია – მთლიანად სომხური.

ყურადსაღებია არგუმენტაცია, რომლითაც სომხური დიასპორის თვალსაჩინო მოღვაწე, მწერალი *შაგან ნათალი* (*ჰაკოფ ტერ-ჰაკოფიანის* ფსევდონიმი) 1928 წელს ათენში გამოცემულ წიგნში ამართლებდა ეთნიკურ წმენდას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სომხეთის მომავლისათვის (წიგნის თარგმანი 2007 წელს მოსკოვში დაიბეჭდა და მისი ნაწილი გადმოიბეჭდა ერევნის პრესაში):

> „...ნაციის შექმნის ნამდვილი იარაღი... იყო სომხეთის გაწმენდა მის საზღვრებს შიგნით, რაც, ვინც რაც უნდა ილაპარაკოს, მოხდა სომხეთის რესპუბლიკის დროს; მხოლოდ ამ ქმედების წყალობით ქმნიან დღეს სომხები უმრავლესობას მიწაზე, რომელიც, თუნდაც ბოლშევიკური, მაინც სომხეთია და სომხები იქ – ნაციაა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ნაცია და სამშობლო ნიშნავს მოსახლეობის ერთგვაროვან უმრავლესობას გარკვეულ ტერიტორიაზე... სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, სომხეთის არმენიზაციას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სომხეთის სახელმწიფოებრიობის გამოცხადებას“.

* * *

როგორც ზემოთ აღინიშნა, *სომხურ პოლიტიკურ ელიტას პრეტენზია ქონდა* ტფილისის გუბერნიაში შემავალ *ახალქალაქის მაზრაზე* და იმავე უბერნიის *ბორჩალოს მაზრის ნაწილ ზე – ლორე ზე*.

ვითარების უკეთ წარმოსაჩენად საჭიროდ მიმაჩნია მოკლე ისტორიული ექსკურსი.

ცნობილია, რომ *მესხეთ-ჯავახეთი* შუა საუკუნეების ქართულ სამეფოებში იდიოდა. სომეხი ისტორიკოსები ადრეული პერიოდის ისტორიული წყაროების ეთ ინტერპრეტაციას იძლევიან, თითქოს 1500-2000 წლის წინ ეს ტერიტორია

სომხურ სამეფოებს ექვემდებარებოდა. ამ წყაროებს რაიმე იურიდიული ძალა არა აქვს. ბოლო ათასწლეულის ისტორია კი ასეთია: XVI საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველოს ერთიანი სამეფოს XIII საუკუნემდე შემადგენლობაში შემავალი და მონღოლთა ხანაში მისგან გამოყოფილი ქართული სამთავრო *სამცხე-საათაბაგო*. სხვათა შორის, ოსმალებმა მას „გურჯისტანის (ე.ი. საქართველოს) ვილაიეთი" უწოდეს. ამ ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი – მესხეთი და ჯავახეთი – რუსეთის იმპერიამ ოსმალეთს 1829 წელს ჩამოართვა. ამ პროვინციების ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსადმი ისტორიულ კუთვნილებას მოწმობდა ქართული ტოპონიმები, თუნდაც *ახალციხე* და *ახალქალაქი*, ქართული მატერიალური კულტურის უმრავი ძეგლები, რუსების მოსვლის დროისათვის არსებული ქართულენოვანი მოსახლეობა. ზოგი სომეხი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ოსმალთა ბატონობის ხანაშიც ჯავახეთში იყო რამდენიმე სომხური სოფელი, რაც არ არის იმის საბუთი, რომ ტერიტორია „ისტორიული სომხეთის ნაწილად" მივიჩნიოთ.

1829 წელს რუსეთის შემადგენლობაში უკვე შედიოდა ერთი წლით ადრე სპარსეთისათვის ჩამორთმეული ყოფილი ერევნის სახანო, რომელიც სომხების განსახლების ბირთვად იქცა. მაგრამ ოსმალეთისაგან ახალშემოერთებული ტერიტორიები, მესხეთი და ჯავახეთი, იმპერიამ დაუქვემდებარა არა ერევანს, არამედ ჯერ ქუთაისსა და შემდეგ – თბილისს.

ტერიტორიის დღევანდელი სტატუსისათვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, რომ პეტერბურგმა მესხეთ-ჯავახეთი *ტფილისის გუბერნიაში* შეიყვანა. ამის უპირველესი მიზეზი იყო *ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი* (ორივე პროვინცია მდინარე მტკვრის აუზში მდებარეობს და ეკონომიკურად მიისწრაფვის თბილისისაკენ) და, სავარაუდო (თუმცა უფრო საეჭვო) *ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორი*. იქნებ პეტერბურგში გაიხსენეს, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის იმპერიამ გარკვეული ვალდებულება აიღო, ძველი ქართული ტერიტორიების განთავისუფლების შემთხვევაში ისინი ქართლ-კახეთის სამეფოსათვის გადაეცა. ეს სამეფო აღარ არსებობდა, მაგრამ მის ადგილზე იყო ტფილისის გუბერნია.

საქართველოს მთავარმართებელმა და კავკასიის ჯარების სარდალმა გრაფმა *ივან ფეოდოროვიჩ პასკევიჩმა* 1829-30 წლებში მესხეთ-ჯავახეთში მოსახლეობა შეცვალა, როდესაც უბიძგა აქედან ოსმალეთში წასასვლელად მუსლიმ, მნიშვნელოვანწილად ქართულენოვან, მოსახლეობას და სანაცვლოდ დაასახლა ოსმალეთის იმპერიიდან მოწვეული 30 ათასზე მეტი სომეხი (გრიგორიანული და ნაწილობრივ, კათოლიკური სარწმუნოებისა). ეს ცნობა რაიმე სიახლეს არ წარმოადგენს. მაგალითად, ჯავახეთში ეთნიკური შემადგენლობის რადიკალური შეცვლის შესახებ წერს კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი *რიჩარდ ჰოვანისიანი* თავის წიგნში „The Republic of Armenia".

ამჟამინდელი მესხეთ-ჯავახეთის თითქმის ყველა სომეხს დღემდე ახსოვს, თუ რომელი *გავარის* (ხევის) მკვიდრი იყო მისი წინაპარი ოსმალეთის *ერზურუმის ეიალეთში*, საიდანაც ისინი რუსეთის სამხრეთ კავკასიაში გადასახლდნენ.

1918 წლის დამოუკიდებლობის პერიოდისათვის სომხები ახალქალაქის მაზრაში უმრავლესობას შეადგენდნენ. ასეთი სიტუაცია საუკუნეზე ნაკლები ხნის წინ შეიქმნა, მას შემდეგ, რაც ჯავახეთსა და ქალაქ ახალციხეში პასკევიჩის ზემოხსენებული პოლიტიკა გატარდა. 1910-20-იან წლებში ჯავახეთის არასომხური მოსახლეობა (ქრისტიანი და მუსლიმი ქართველები, რუსი დუხობორები, ქურთები და სხვ.) მეოთხედზე მეტს შეადგენდა, მათ შორის ქრისტიანი ქართველები – ათ პროცენტს.

1918 წელს ახალქალაქის მაზრაში სომხური მოსახლეობის სიჭარბე ერევნისათვის მასზე პრეტენზიის გამოცხადების საბაბი გახდა. მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ამ შემთხვევაში არაფერი დათმო და პროვინციაში დაუყოვნებლივ შეიყვანა ქართული საჯარისო ნაწილები. ახალქალაქი *არასოდეს შესულა სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ამას* ზოგიერთი სომეხი პუბლიცისტი ამტკიცებს, და მის საქართველოსადმი კუთვნილებას იმდროინდელი ერევნის მთავრობა ფაქტობრივად ცნობდა.

რაც შეეხება *ლორეს* (სომხურად – *ლორი*), ის მდ. ხრამის შენაკადის, დებედის აუზში მდებარეობს. პროვინცია შუა საუკუნეებიდან ექვემდებარებოდა საქართველოს სამეფოს და 600-700 წელი თბილისის გამგებლობაში იყო. იქ მდებარე დაბა ახტალაში, სადაც ვერცხლს მოიპოვებდნენ ერეკლე II-ის მიერ მოწვეული ბერძენი ხელოსნები, სამეფო ზარაფხანა მოქმედებდა და ქართულ ფულს ჭრიდა. 1801 წელს ლორე რუსეთის იმპერიამ შეიერთა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ინტეგრალური ნაწილი. რუსეთის იმპერიის ბოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ლორე, პამბაკის ქედამდე – სამხრეთით, შედიოდა ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში.

გვიან შუა საუკუნეებში ლორეს მმართველს „მელიქს“ უწოდებდნენ. „მალიქ“ არაბულად „მეფეს“ ნიშნავს, სამხრეთ კავკასიაში კი ეს ტიტული, რომელიც სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე გამოიყენებოდა, დაახლოებით „ერისთავს“ გაუთანაბრდა. ლორეში მდებარე მართლმადიდებლური (ქალკედონური) *ახტალის* მონასტრის მთავარ ეკლესიაში დღესაც შეიძლება ადგილობრივი თავადების – მელიქიშვილების – ქართულწარწერებიანი საფლავის ქვების ნახვა.

ქართველ თავადაზნაურობას შორის, რომელსაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად უფლებებით რუსულ дворянство-სთან ათანაბრებდნენ, ირიცხებოდა ტახტის აზნაური *ლორისმელიქისშვილი* (Лорисмеликов). ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, 1824 წელს თბილისში დაბადებული *მიხაილ ტარიელოვიჩ ლორისმელიქოვი*, რომელმაც რუსეთის იმპერატორ ალექსანდრ

II-ის პირველ მინისტრობას მიაღწია, ლორის მელიქების შთამომავალი იყო. აღსანიშნავია, რომ მის რუსიფიცირებულ გვარშიც რჩებოდა ქართული გრამატიკული ფორმა – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „*ის*": გვარი სომხურად რომ ყოფილიყო წარმოებული, იქნებოდა „*ლორვამელიქ[ოვი]*".

ლორეში სომხებთან ერთად ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები. დასახლებათა თიურქული სახელები, მაგალითად, *ჯალალ-ოღლი, ალავერდი, ჰამამლუ, უზუნლარი, შაჰალი, ჰაიდარბეკი, შამლუღი* და მრავალი სხვა მათი მოსახლეობის ეთნიკურობაზე მიგვანიშნებს. აზერბაიჯანელები ლორეში 1988 წლამდე, ყარაბაღის კონფლიქტამდე ცხოვრობდნენ.

მაგრამ 1918 წელს ლორეში არც ერთი ქართული სოფელი არ იყო, რაც ძალიან ასუსტებდა მასზე თბილისის პრეტენზიას.

საქართველოს მთავრობა მიიჩნევდა, რომ ბორჩალოს მაზრა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ტფილისის გუბერნიის ნაწილი, საქართველოს უნდა დარჩენოდა. ეკონომიკური თვალსაზრისით თბილისს განსაკუთრებით სურდა შეენარჩუნებინა ლორეს ჩრდილოეთი ნაწილი – მდ. დებედის ნაპირზე მდებარე ქ. *ალავერდი* მოქმედი სპილენძსადნობი ქარხნითა და ახლომდებარე სპილენძის მადნის საბადოებით.

1918 წლის დეკემბერში სომხეთსა და საქართველოს მოუხდათ ხანმოკლე შეიარაღებული კონფლიქტი ლორეს გამო. ხანდახან ამ კონფლიქტს „ქართულ-სომხურ ომს" უწოდებენ.

შუა დეკემბერში სომხეთის მთავრობამ ლორეს დაკავება უბრძანა გენერალ *დროს*. მისი ნამდვილი სახელი და გვარი იყო *დრასტამატ კანაიანი*. დაშნაკები ხშირად იყენებდნენ მხოლოდ სახელს, გვარის გარეშე, მაგალითად, ზოგი იმდროინდელი სომეხი მოღვაწე ისტორიაში შევიდა, როგორც *არამი, ჰამაზასპი, რუბენი, იშხანი, როსტომი* და ა.შ. დაშნაკებს შორის *დრომ* სახელი გაითქვა იმით, რომ 1905 წელს პირადად მოკლა ბაქოს გუბერნატორი *ნაკაშიძე*.

გენერალმა დრომ, რომლის სამხედრო ნაწილებსაც სარდლობდნენ იმპერიული არმიის გამოცდილი, ეთნიკური რუსი ოფიცრები, გაანადგურა ლორეს ტერიტორიაზე განთავსებული მცირერიცხოვანი ქართული რაზმი და სწრაფად გადაიტანა მოქმედება უფრო ჩრდილოეთით, ლორეს გარეთ. მალე მან მიაღწია დღევანდელ ბოლნისსა და თეთრიწყაროს (მაშინ მათ *ეკატერინენფელდი* და *ბელი კლიუჩი/აღბულაღი* ერქვათ). 1918 წლის 20 დეკემბერს სომხური არმია თბილისიდან სულ ორმოციოდე კილომეტრში იდგა. დაპყრობილი ტერიტორია ყოველთვის ძლიერი არგუმენტია სამშვიდობო მოლაპარაკებისას. ამიტომაც სომხებს უნდოდათ, რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის დაკავება. მაგრამ აქ უკვე კონტრშეტევაზე გადავიდნენ ქართული სამხედრო ნაწილები იმპერიული არმიის ასევე გამოცდილი ქართველი ოფიცრების მეთაურობით და 31 დეკემბრისათვის, როდესაც მათ მოუსწრო *ანტანტის* ზეწოლით მიღებულმა

და ზავებამ, გენერალი დრო მდინარე დებედასთან მდებარე სოფელ სადახლომდე იქნა უკუგდებული. ლორეში ქართული ნაწილები არ შესულან.

ლორეს ჩრდილოეთი ნაწილი საქართველოსა და სომხეთს შორის *ნეიტრალურ ზონად* გამოცხადდა. მისი სტატუსის დადგენა გაურკვეველი ვადით გადაიდო. ლორეს სამხრეთი ნაწილი, პამბაკი, სადაც მდებარეობს *ჯანა-ძორი* (მაშინდელი *კარაქილისა*) და *სპიტაკი* (მაშინდელი *ჰამამლუ*), რომლის მიმართ საქართველოს პრეტენზია არც გამოუთქვამს, სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში 1918 წელსვე შევიდა.

კონფლიქტს ლორესათვის, რომელიც საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე სომხური არმიის შეჭრაში გადაიზარდა, ქართული საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. მენშევიკურმა მთავრობამ ისარგებლა ამით, თბილისის საქალაქო სათათბირო დაითხოვა, ახალი არჩევნები დანიშნა და ქართული უმრავლესობის მქონე ორგანო მიიღო. მანამდე თბილისის სათათბიროში უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ, რომელთა მდიდარი ნაწილი აფინანსებდა *სხვა* სახელმწიფოს – სომხეთის – არმიას.

აღსანიშნავია, რომ სერიოზულ ექსცესებს ეთნიკურ ნიადაგზე თბილისში ადგილი არა ჰქონია. საომარი მოქმედების დროს თბილისელმა სომხებმა, შესაძლოა, საკმაო უსიამოვნება განიცადეს: ზოგიერთი მათგანი დროებით დააპატიმრეს, ზოგი – სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს. მაგრამ ბაქოს სამოქალაქო ომის მსგავსი რამ საქართველოში არ მომხდარა.

თუმცა სამხედრო მოქმედების შედეგად დანაკარგი ორივე მხრიდან რამდენიმე ასეულ მოკლულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაჭრილ ჯარისკაცს შეადგენდა, ფაქტია ისიც, რომ ორივე მხარე ცდილობდა დაევიწყებინა ეს კონფლიქტი. 1919 წლიდან ორივე ქვეყანა ცდილობდა მეგობრული ურთიერთობის აღდგენას. სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულ კრებაში ერთმა დეპუტატმა კონფლიქტს „სამარცხვინო ფაქტიც" კი უწოდა. საქართველომ და სომხეთმა 1919 წელსვე დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა და საქართველოს პირველი ელჩი, *გერასიმე მახარაძე*, ერევანში დიდი პატივით მიიღეს.

სამაგიეროდ, საბჭოთა ლიდერები, უპირველესად კი სტალინი, განუწყვეტლივ იხსენებდნენ ამ კონფლიქტს და მათთვის ჩვეული პროვოკაციულობით აკისრებდნენ სრულ პასუხისმგებლობას მასზე ქართველ მენშევიკებს, თუმცა კონფლიქტი მთლიანად მიმდინარეობდა *ტფილისის გუბერნიის ტერიტორიაზე*, თბილისიდან სულ 40-80 კილომეტრში და საქართველოს მხრიდან „აგრესიაზე" ლაპარაკი, სულ ცოტა, უმართებულოა.

სამხრეთ კავკასიის სრულად გასაბჭოების შემდეგ იმდროინდელი ფაქტობრივი ხელისუფლების, რუსეთის კომუნისტური პარტიის *კავკასიის ბიუროს* („კავბიურო") გადაწყვეტილებით *ლორეს ნეიტრალური ზონა 1921 წელს საბჭოთა სომხეთს შეუერთდა.*

ეს გადაწყვეტილება საბოლოო აღმოჩნდა. საქართველოს საზღვრის საგრძნობი მონაკვეთი სომხეთთან ახლაც მიუყვება 1918 წლის 31 დეკემბრის ცეცხლის შეწყვეტის ხაზს.

ზემოთ მოყვანილი ისტორიული ინფორმაცია სულაც არ ნიშნავს, რომ ქართველებს რაიმე ტერიტორიული პრეტენზია გვაქვს მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. კარგად გვესმის, რომ 1991 წლის საზღვრები ურღვევი უნდა დარჩეს. ამასთან, მოველით, რომ მეზობლებიც პატივისცემით მოეპყრობიან ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას.

* * *

შედარებითი სიმშვიდე 1919 წელსა და 1920 წლის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შეეძლოთ საკუთარი სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად გამოეყენებინათ. დიდი მეზობლებისაგან მომდინარე საგარეო საფრთხე თითქოს უკანა პლანზე გადავიდა. თურქეთი ანატოლიაში ღრმად შეჭრილ საბერძნეთის არმიას ებრძოდა, ბოლშევიკური რუსეთი – „თეთრ მოძრაობას“.

რეგიონის ახალგაზრდა რესპუბლიკებმა კი ვერც ერთმანეთთან მოახერხეს მორიგება და ვერც ქვეყნის შიგნით დაამყარეს წესრიგი. თბილისს მოუხდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ წაქეზებული ოსი და ქართველი გლეხების, ხოლო მესხეთში – ადგილობრივი მუსლიმების ამბოხებების ჩახშობა. მძაფრი დაპირისპირება არსებობდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ნახჭევნის, მთიანი ყარაბაღისა და ზანგეზურის გამო. ფაქტობრივად, იქ ომი მიმდინარეობდა.

„საოჯახო არქივში“ აღმოვაჩინე 1920 წლის 2 აპრილის გაზეთ „საქართველოს" ნომერი. გაცრეცილი გაზეთი ახლა, ალბათ, ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. პირველი გვერდი რეკლამითაა სავსე: მომხმარებელს სთავაზობდნენ ადგილობრივი წარმოების ღვინოს, ლიმონათსა და დაწნულ ავეჯს; თეატრები, კლუბები და ცირკი მაყურებელს იზიდავდნენ, ხოლო რესტორნები – მოქეიფეებს. ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქალაქში სიცოცხლე დუღდა და გადადუღდა. სინამდვილეში კი ქალაქში სიღატაკე სუფევდა.

გაზეთის მეორე გვერდი კი იხსნება რუბრიკით „დღეს“, სადაც მოკლედ წერია: *„ბოლშევიკებმა ქ. კავკაზი აიღეს. საბჭოთა ჯარებმა ქ. პეტროვსკი დაიჭირეს“.*

ამრიგად, დღევანდელი ქალაქები ვლადიკავკაზი (კავკავი) და მახაჩკალა (პორტ-პეტროვსკი) უკვე გადასულიყო წითელი არმიის ხელში, რომელიც სწრაფად მიიწევდა სამხრეთისაკენ. მისი მთავარი მიზანი ნავთობით მდიდარი ბაქო იყო. იმავე 1920 წლის 28 აპრილს საბჭოთა რუსეთის ჯავშნოსანი მატარებლები სროლის გარეშე, ლამის საყოველთაო ზარ-ზეიმით შევიდნენ ბაქოში. იქ მყოფი, ანკარის ხელისუფლებას დაქვემდებარებული თურქული სამხედრო შენაერთები ბოლშევიკებს მოკავშირეობასაც კი უწევდნენ.

1920 წლის მარტის ბოლოსაც კი, ანუ ბაქოს გასაბჭოებამდე ერთი თვით ადრე, აზერბაიჯანის რეგულარული ჯარები ზანგეზურსა და ყარაბაღში სომხეთის რეგულარულ ჯარებთან იბრძოდნენ. იმავე გაზეთ *„საქართველოს“* სარედაქციო წერილს სახელად ჰქვია „სომხეთი და აზერბაიჯანი“, სადაც ორ ქვეყანას შორის მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო ომის მიზეზებთან დაკავშირებით წერია:

> „თავიდანვე ტერიტორიული საკითხი ამიერკავკასიაში ანორმალურად გადაიჭრა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ სამივე რესპუბლიკა დაეპატრონა იმ მიწა-წყალს, სადამდისაც იმ დროს მისწვდებოდა მისი ხელისუფლება და რისი გამაგრებაც შეეძლო მაშინდელ შეიარაღებულ ძალების შემწეობით. ზოგი რესპუბლიკა პრეტენზიას აცხადებდა ისეთ ტერიტორიაზეც, რომელთანაც არავითარი სახელმწიფოებრივ-ისტორიულ-ეკონომიკური კავშირიც არ ჰქონია“.

ავტორი დიპლომატიურად არ აზუსტებდა თუ რა *„ისეთ ტერიტორიებს“* გულისხმობდა! მისი დასკვნა კი პესიმისტური იყო, მაგრამ სწორი: ის არ მოელოდა ტერიტორიული დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

1920 წელს მოსულმა ბოლშევიკებმა სამხედრო ძალის გამოყენებით შეწყვიტეს სომხეთ-აზერბაიჯანის ომი მთიანი ყარაბაღისათვის, რომელიც ავტონომიური ოლქის სტატუსით აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩა. მაგრამ Pax Sovietica[16]-მ მხოლოდ 67-წლიანი დაზავება მოუტანა მთიან ყარაბაღს. XX საუკუნის ბოლოს ომი ისევ განახლდა.

1919-1920 წლების განმავლობაში თურქეთსა და რუსეთში რთული შიდა და საგარეო პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა. ომში დამარცხებული ორივე ქვეყანა ხელახალ კონსოლიდაციას ახდენდა და ძალას იკრებდა.

შუა ანატოლიის პატარა ქალაქ ანკარაში დაბანაკებულმა თურქეთის რეალურმა ხელისუფლებამ *მუსტაფა ქემალ-ფაშას* მეთაურობით, რომელსაც სტამბოლში მყოფი ოსმალეთის სულტნის მთავრობა მეამბოხედ მიიჩნევდა, მძიმე ვითარებაში მოახერხა საბერძნეთიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ხალხის დარაზმვა. ათენის მთავრობის უკან ანტანტა, კონკრეტულად დიდი ბრიტანეთი, მოჩანდა. ანტანტის სხვა წევრთან, საფრანგეთთან, თურქეთმა 1921 წელს ზავი დადო და დიდ ბრიტანეთთანაც ცდილობდა მორიგებას.

საერთო, თუნდაც დროებითმა, „საგარეო მტრის ხატმა“ – ასეთად იმ დროს ანტანტა აღიქმებოდა – საბაბი მისცა ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს, გაეერთიანებინათ ძალისხმევა კავკასიური პოლიტიკის განხორციელებისას. რეალურად კი ანტანტა (არსებითად, დიდი ბრიტანეთი) საკმაოდ სწრაფად გადიოდა კავკასიის რეგიონიდან.

ძველი იმპერიების ადგილზე წარმოქმნილმა სახელმწიფოებმა შეძლეს მოლაპარაკების გზით გაემიჯნათ თავიანთი ინტერესები კავკასიაში.

ცნობილია თურქეთის დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) თავმჯდომარის

[16] საბჭოთა მშვიდობა (ლათ.).

მუსტაფა ქემალ-ფაშას 1920 წლის 26 აპრილის (ანუ ბაქოს გასაბჭოებამდე ორი დღით ადრე შედგენილი) პირველი წერილი ლენინისადმი, სადაც ის, სხვათა შორის, წერდა, რომ მზადაა

> „აიღოს პასუხისმგებლობა მთელი ჩვენი მუშაობის, ყველა ჩვენი ოპერაციის რუსეთის ბოლშევიკებთან გასაერთიანებლად... თუ საბჭოთა ძალები გეგმავენ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დანყებას... კავკასიიდან ინგლისელთა გასაძევებლად... თურქეთის მთავრობა თავის თავზე აიღებს ოპერაციებს იმპერიალისტური სომხეთის წინააღმდეგ და ვალდებულებას კისრულობს, აიძულოს აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შეუდეს საბჭოთა სახელმწიფოების წრეში".

საბჭოთა რუსეთი, უნდა ითქვას, განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე გამოეხმაურა ამ შეთავაზებას. მაგრამ ორმა ძველმა მეტოქემ, რომელთაც ახალი ხელმძღვანელები – *მუსტაფა ქემალი* და *ვლადიმირ ლენინი* – ჰყავდათ, მოახერხა თავ-თავისი ინტერესები გარკვეული ტაქტიკური კომპრომისებით ერთმანეთისათვის შეეხამებინა.

სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოებს სწორედ ამ დიდ მეზობლებთან უნდა ემუშავათ და არ ჰქონოდათ დასავლეთის ზესახელმწიფოების იმედი.

1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სერიოზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1920 წლის 7 მაისს მან რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასთან (რსფსრ) ხელშეკრულება გააფორმა.

ხელშეკრულების დადებას რუსეთის ჯერ დაუმთავრებელმა სამოქალაქო ომმა და საერთაშორისო პოლიტიკურმა ვითარებამ შეუწყო ხელი. „თეთრი" გენერალი ვრანგელი ჯერაც ყირიმში იყო გამაგრებული. საბჭოთა რუსეთს ომი ჰქონდა პოლონეთთან: 8 მაისს პოლონელთა მომავალმა პრეზიდენტმა და მარშალმა *იუზეფ პილსუდსკიმ* ხანმოკლე დროით კიევი აიღო.

1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თანახმად, ***რუსეთი ცნობდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას ყოფილი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის ოლქის, ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგების ფარგლებში.***

ამით, ფორმალურად, საბჭოთა რუსეთი ლორესაც საქართველოს საკუთრებად აღიარებდა, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, მისი ჩრდილოეთი ნაწილი *ნეიტრალურ ზონად* რჩებოდა.

საბჭოთა რუსეთი ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში სოხუმის ოკრუგის, ანუ აფხაზეთის, არსებობას. ამრიგად, სამართლებრივად უსუსური არგუმენტია სოხუმელი სეპარატისტებისა და

მათი მოსკოველი წამქეზებლების სპეკულაცია იმის თაობაზე, თითქოს 1992 წელს თბილისის იმდროინდელი ხელისუფლების მიერ საბჭოთა კონსტიტუციაზე უარის თქმა და დაბრუნება 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ნიშნავდა, რომ „საქართველომ ამით უარი თქვა აფხაზეთზე", რომელიც თითქოს სტალინმა შეიყვანა საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში, თორემ „მანამდე ის დამოუკიდებელი იყო"-ო!

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების III მუხლის თანახმად, *სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის მდინარე ფსოუზე გადიოდა*, რაც ნიშნავდა, რომ 1904 წლიდან რუსეთის იმპერიის შავი ზღვის გუბერნიაში შემავალი გაგრის რაიონიც საქართველოს უერთდებოდა, მაგრამ სოჭი (სოჩა) რუსეთს რჩებოდა (იხ. ჩანართი 8.2).

1920 წლის 7 მაისი ერთგვარი წყალგამყოფია „მითოლოგიასა" და „რეალობას" შორის: ამ დღეს მსოფლიომ ცნო თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სივრცის საზღვრები. თუ 1920 წელს „მსოფლიოს" მხოლოდ რუსეთი წარმოადგენდა, უკვე 1921 წლის დამდეგს იმავე საზღვრებში საქართველო *de jure* ცნო ევროპისა და აზიის ყველა წამყვანმა სახელმწიფომ.

საბჭოთა საქართველოც, ფაქტობრივად, ამ საზღვრებში არსებობდა (ოლონდ ლორეს, საინგილოსა და ართვინის ოკრუგის გარეშე: ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

1992 წელს კი პრაქტიკულად იგივე ტერიტორია, რომელსაც ორი წლით ადრე საქართველოს სსრ ერქვა, გაერომ და, ამდენად, მსოფლიომ აღიარა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ სივრცედ. სწორედ ეს არის ჩვენი ძირითადი არგუმენტი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. დამოუკიდებელი საქართველო მოითხოვს ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთთან 1920 წელს შეთანხმებული ჩრდილოეთის იმ საზღვრის აღდგენას, რომელიც საბჭოთა კავშირის დროსაც არსებობდა და რომელიც ფაქტობრივად დაარღვია რუსეთის ფედერაციამ.

ჩანართი 8.2
ვის ეკუთვნოდა სოჭი?

გავრცელებული მითი, თითქოს რუსეთ-საქართველოს 1920 წლის შეთანხმებით ქ. სოჭი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, ალბათ, დაფუძნებულია იმაზე, რომ 1918-1919 წლებში ქართულ სამხედრო ნაწილებს გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით ხელთ ეპყრა ეს ქალაქი. ისინი უფრო დასავლეთითაც გავიდნენ, მაგრამ „თეთრი" გენერალი დენიკინის მრავალრიცხოვან „მოხალისეთა არმიასთან" შეხლის საფრთხის გამო დაცალეს ტერიტორია მდინარე ფსოუმდე. 1920 წელს რუსეთ-საქართველოს საზღვარი მდ. ფსოუზე იმიტომაც დადგინდა, რომ იქ რეალურად იდგა ქართული ჯარი.

სოჭი კი რუსეთს დენიკინმა შეუნარჩუნა.

საქართველოს მთავრობა, ალბათ, არ იტყოდა უარს, რომ მისი ძალაუფლება შავიზღვისპირეთში უფრო ჩრდილო-დასავლეთითაც გავცელებულიყო. სინამდვილეში კი, ქ. სოჭისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში შესვლა რუსეთს არასოდეს უცვნია. ასეთი აღიარების გარეშე კი რაიმე „ფოლკლორული პრეტენზია“ ამ ტერიტორიაზე უსაფუძვლოა.

შესაძლოა, 1919-20 წლებში პოლიტიკური გამართლება ჰქონდა მითითებას შუა საუკუნეების „საზღვრებსა და ბუნებრივ ზღუდეებზე“, როგორც „გაღმა შედავების“ ფაქტორს, რათა „გამოღმა შეგვრჩენოდა“. ალბათ ამიტომაც ქართულ სამეცნიერო წრეებში მსჯელობდნენ საზღვრის მდ. ფსოუზე უფრო ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მდინარეების გაყოლებით გატარებაზე, რაც მეტ ტერიტორიას მისცემდა საქართველოს. მაგრამ რეალურად ეს არ მომხდარა.

თანამედროვე პირობებში აპელირება XIII საუკუნის დასაწყისის საზღვრების მიმართ გაუმართლებელია. ხომ შეიძლება ულან-ბატორში გაჩნდეს ასეთივე „სამართლიანი პრეტენზია“ პეკინზე, სამარყანდზე, კიევზე, თბილისზე, ბაღდადზე, რომლებიც XIII საუკუნეში დაიპყრეს მონღოლებმა ჩინგისხანისა და მისი მემკვიდრეების მეთაურობით და ზოგან კარგა ხნით დარჩნენ კიდეც, ყოველ შემთხვევაში, ბევრად მეტ ხანს, ვიდრე მაზნიაშვილი – სოჭში. თითქმის ყველა „ისტორიული არგუმენტის“ წინააღმდეგ შეიძლება გამოინახოს იმავე სიძლიერის „ისტორიული კონტრარგუმენტი“.

შუა საუკუნეებისა და კიდევ უფრო ადრეული ბუნდოვანი საზღვრების არგუმენტაციას თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ ცნობს.

რაც შეეხება სოჭსა და მის მიდამოებს, სადაც 2014 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა გაიმართოს, 150 წლის წინ იქ ადიღური მოდგმის უბიხური ტომი სახლობდა, რომელიც რუსეთის იმპერიამ აიძულა ოსმალეთში სრულად გადასახლებულიყო. უბიხთა ნასახლარები შემდგომ მოსულ რუსებს, სომხებს, ბერძნებსა და სხვებს დარჩათ.

ადიღური მოსახლეობის ადრე ყოფნას სოჭისა და უფრო დასავლეთით მდებარე ზღვისპირა ზოლში ადასტურებს რუკაზე შემორჩენილი ადიღური, თუნდაც რუსიფიცირებული, ტოპონიმები (სოჩი, ფსოუ, მზიმთა, ხოსტა, კუდეფსტა, მაცესტა, ტუაფსე, მაკოფსე, ჯუბღა და ა.შ.

1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება რატიფიკაციას არ საჭიროებდა და დაუყოვნებლივ შედიოდა ძალაში.

რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ დასავლეთის ქვეყნებსაც გაუადვილა ამის გაკეთება.

1921 წლის 25 თებერვლამდე ზემოაღნიშნულ საზღვრებში საქართველო *de jure* ცნეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იაპონიამ, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდმა, შვეიცარიამ, თურქეთმა და ზოგმა სხვა სახელმწიფომ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრეცედენტია.

დიდი სახელმწიფოებიდან საქართველოს დამოუკიდებლობა არ აღიარა მხოლოდ ამერიკამ. ვაშინგტონი საერთოდ განერიდა „ძველი სამყაროს“ საქმეებს და საგარეოპოლიტიკურ იზოლაციონიზმს დაუბრუნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ *უთანასწორობა მოსკოვის ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის აშკარად ჩანდა.*

ეს ვლინდებოდა იმ მუხლებში, რომელთა თანახმადაც საქართველო ვალდებულებას იღებდა განეიარაღებინა და რუსეთისათვის გადაეცა საბჭოთა ხელისუფლებასთან მებრძოლი ყველა პირი და ჯგუფი, სხვანაირად „თეთრი მოძრაობის" წევრები; მისთვისვე გადაეცა „თეთრების" ხელთ მყოფი შეიარაღება და სამხედრო ქონება. განსაკუთრებული საიდუმლო დანართით საქართველო თავის ტერიტორიაზე ახდენდა კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციას.

ქართველმა კომუნისტებმა არ დააყოვნეს იატაკქვეშეთიდან გამოსვლა და არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედების გაჩაღება. მათ კარგად იცოდნენ, რომ მტერთან (მენშევიკები კი მტრები იყვნენ!) დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება ბოლშევიკებისათვის არასავალდებულო ფურცლის ნაგლეჯი იყო.

აღსანიშნავია, რომ იმავე 1920 წელს რუსეთმა ცნო ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის დამოუკიდებლობა და ხელი მოაწერა მათთან შესაბამის ხელშეკრულებებს. *რასაკვირველია, ასეთი „სულგრძელობა" სულაც არ ნიშნავდა, რომ რუსეთი დიდხანს აპირებდა პატარა მეზობლებთან დადებული ხელშეკრულებების დაცვას.*

ეს სულ მალე დამტკიცდა საქართველოს მაგალითზე. 1940 წელს კი სტალინმა ბალტიის ქვეყნებსაც „დაავიწყებინა" ძველი ხელშეკრულებები და ნაცისტურ გერმანიასთან გარიგებით მათი ტერიტორიების ანექსირებაც მოახდინა.

რამდენადაც უკვე გასაბჭოებულ და ფაქტობრივად ბოლშევიკურ რუსეთს დაქვემდებარებულ აზერბაიჯანსაც ჰქონდა პრეტენზია ზაქათალის ოკრუგზე, რუსულ-ქართული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით იქმნებოდა *ზაქათალის ოკრუგისა და აზერბაიჯანთან სხვა სასაზღვრო სადავო ტერიტორიების მომწესრიგებელი შერეული კომისია რსფსრ-ის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.*

1920 წლის 12 ივნისს *საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ de jure ცნო საბჭოთა აზერბაიჯანი,* როდესაც ქალაქ აღსთაფაში დადო მასთან სამშვიდობო ხელშეკრულება. იქაც ეწერა, რომ დავა ზაქათალის ოკრუგის კუთვნილების შესახებ მესამე მხარის (იგულისხმებოდა ბოლშევიკური რუსეთი) არბიტრაციის გზით უნდა გადაწყვეტილიყო. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ამ „მესამე მხარემ" მთლიანად მიიკუთვნა აზერბაიჯანს ზაქათალის ოკრუგი. *ზაქათალაზე პრეტენზიის მოხსნა ფსიქოლოგიურად მომზადებული იყო უკვე მენშევიკების დროს; იურიდიულად ეს ბოლშევიკებმა გააფორმეს.*

1920 წლის 10 აგვისტოს თბილისში *დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის* (რომელიც უფრო დაზავებას ნარ-

მოადგენდა), რომლის ძალითაც შეწყდა საბრძოლო მოქმედება საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან წამოსულ წითელ არმიასა და სომხეთის ჯარს შორის. განსხვავებით რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებისაგან, სადაც საერთო საზღვარი განისაზღვრა, სომხეთ-რუსეთის შეთანხმებაში არ იყო ლაპარაკი საერთო საზღვარზე, რომელიც ამ ორ ქვეყანას არცა აქვთ. რაც შეეხება მთიან ყარაბაღს, ზანგეზურსა და ნახჭევანს, ისინი მოხსენიებული იყო, როგორც სადავო ტერიტორიები სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

„სომხური საკითხის" გეოპოლიტიკა

იმ პერიოდის რეგიონული გეოპოლიტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „სომხურ საკითხს": აქ იგულისხმება, უპირველესად, სომხეთის სახელმწიფოს საზღვრების დადგენა. ამ საქმეში ლამის მთელი მსოფლიოს დიპლომატები ჩაერთნენ.


1919 წელს, ვერსალის ხელშეკრულების დადებისას, პარიზში ძალიან აქტიურობდა სომხური ლობი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საერთაშორისო დონეზე სომხეთის სახელმწიფოს მაქსიმალურად გაფართოებული სახით აღიარება. მაგრამ მან ანტანტის ქვეყნების ხელმძღვანელობაში სათანადო მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

სომხები დღემდე ვერ პატიობენ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ *ჟორჟ კლემანსოს* სიტყვებს, რომელიც მას 1919 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ *დევიდ ლოიდ-ჯორჯისათვის* უთქვამს: *„სომხები სახიფათო ხალხია და არ ღირს მათთან საქმის დაჭერა. ისინი დიდ ფულს ითხოვენ, მაგრამ ძალიან მცირე კომპენსაციას იძლევიან"*. ეს სიტყვები მოყვანილია 1990 წელს ერევანში რუსულ ენაზე გამოცემულ ენციკლოპედიაში „Армянский вопрос" („სომხური საკითხი").

1920 წლის 10 აგვისტოს პარიზის გარეუბან სევრში გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც ერთი მხრიდან ხელს აწერდა სტამბოლში მყოფი სულტნის საიმპერიო მთავრობის წარმომადგენელი, მეორე მხრიდან კი დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, სომხეთი, ბელგია, საბერძნეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, ჰიჯაზი და სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფო (მომავალი იუგოსლავია).

სევრის ხელშეკრულებით ოსმალეთი კარგავდა მთელ არაბულ სამყაროს, ხოლო საკუთრივ თურქეთის აზიური ნაწილი (ანატოლია) ნაწევრდებოდა: მისი ტერიტორიის მესამედამდე ეძლეოდა *საბერძნეთის სამეფოს, სომხეთის რესპუბლიკას, სირიას* (საფრანგეთის მომავალ სამანდატო ტერიტორიას), *ერაყს* (ბრიტანეთის მომავალ სამანდატო ტერიტორიას), *იტალიის სამეფოს* და სავარაუდო *ქურთისტანის სახელმწიფოს*. თურქეთს რჩებოდა ცენტრალ-

ური და ჩრდილოეთ ანატოლია, საკმაოდ ფართო გასასვლელით შავ ზღვაზე და ვინრო გასავლელებით – ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვებზე (იხ. ნახ. 8.3).



ნახ. 8.3. თურქეთის დანაწევრების გეგმა 1920 წლის სევრის ხელშეკრულების თანახმად

სევრში დადებულმა ხელშეკრულებამ მკაფიოდ არ განსაზღვრა საზღვარი თურქეთსა და სომხეთს შორის: ზოგადად იყო მითითებული თურქეთის ოთხი ვილაიეთის სახელი, რომლებიც სომხეთს უნდა გადასცემოდა. ამ საზღვრის დაზუსტება ეთხოვა აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო უილსონს, როგორც „მიუკერძოებელ მომრიგებელს": აშშ არ აწერდა ხელს სევრის ხელშეკრულებას.

სომხურ გამოცემებში დღემდე აქვეყნებენ „*სევრის ხელშეკრულებით სომხეთისათვის მინიჭებული ტერიტორიების*" (სინამდვილეში ე.წ. „*უილსონისეული ომხეთის*") რუკას, რომლითაც სომხეთს აღმოსავლეთ ანატოლიის ოთხი ილაიეთი – ვანი, ერზურუმი, მუში და ტრაპიზონი – უნდა რგებოდა. სომხთი უნდა გასულიყო შავ ზღვაზე ქ. თირებოლუდან (ტრაპიზონის დასავლეით) საქართველოს საზღვრამდე. ტრაპიზონის ვილაიეთის გადაცემას სომთისათვის აპროტესტებდნენ არა მარტო ადგილობრივი თურქები, არამედ აური ლაზები და ბერძნებიც, ვინაიდან მსოფლიო ომამდე სომხები იქ უმცისობას შეადგენდნენ (სულ 8 პროცენტამდე). ომის შემდეგ მათი რაოდენობა დევ უფრო შემცირდა. მაგრამ ვაშინგტონში, ალბათ, უკეთ იცოდნენ, ვის დ უნდა ეცხოვრა!

ამერიკაში მოქმედ სომხურ ლობის 1920 წელს იმედი ჰქონდა, რომ პრეზიდენ-

ტი ვუდრო უილსონი დააჯერებდა ამერიკელ კანონმდებლებს, მხარი დაეჭირათ ამერიკის მიერ სომხეთზე მანდატის მიღებისთვის, გაეგზავნათ იქ სამხედრო ნაწილები და უზრუნველეყოთ მისი ახალი საზღვრების ჩამოყალიბება.

მანდატს ახალწარმოშობილი ქვეყნების მართვისა და დამოუკიდებლობისათვის მოსამზადებლად *ერთა ლიგა* იძლეოდა: მაგალითად, მანდატი ერაყზე, პალესტინასა და ტრანსიორდანიაზე დიდმა ბრიტანეთმა მიიღო, სირიასა და ლიბანზე – საფრანგეთმა.

მაგრამ აშშ-ის სენატი ჯერ კიდევ სევრის ხელშეკრულების დადებამდე არ დასთანხმდა არც ამერიკის წევრობას *ერთა ლიგაში* და არც რაიმე *მანდატის* აღებას. 1920 წლის 13 მაისს სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სომხეთის რესპუბლიკას შეერთებული შტატების მიერ აღიარებას ულოცავდა, უსურვებდა წარმატებას და პრეზიდენტ უილსონს უფლებას აძლევდა, გაეგზავნა ბათუმში სამხედრო ხომალდი, რათა ის მზად ყოფილიყო საჭიროების შემთხვევაში სომხეთში მყოფი ამერიკის მოქალაქეების ევაკუაციისათვის. ეს იყო და ეს. სომხები კი ელოდნენ ამერიკის ოფიციალურ მფარველობას, დიდ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას.

ვუდრო უილსონს, როგორც პრეზიდენტს, კონსტიტუციურად ჰქონდა უფლება, დამოუკიდებლად გაეგზავნა სამხედრო დახმარება სომხეთისათვის, თუმცა კარგად ესმოდა, რომ ამას საერთაშორისო გართულება მოჰყვებოდა. ამიტომ უილსონმა სცადა, პასუხისმგებლობა გაენაწილებინა სენატთან და 24 მაისს შევიდა წინადადებით, რომ ამერიკას აეღო მანდატი სომხეთზე, სხვანაირად, მფარველობაში აეყვანა იგი. სენატმა სულ ერთ კვირის შემდეგ „პატივისცემით უარი თქვა პრეზიდენტის წინადადებაზე": 96 სენატორიდან მხოლოდ 12-მა დაუჭირა მას მხარი.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა ამერიკას არც უცვნია და არც რაიმე დახმარებას დაჰპირებია მათ.

სევრის ხელშეკრულება არ ყოფილა რატიფიცირებული ანკარაში მყოფი თურქეთის პარლამენტის („დიდი სახალხო მეჯლისის") მიერ. ვერ მოესწრო მისი რატიფიკაცია ვერც სომხეთში და, ფორმალურად, იგი ძალაში არ შესულა.

ხელშეკრულების დებულებების ცხოვრებაში გატარება მოითხოვდა ანტანტის სახელმწიფოების მიერ კარგად შეიარაღებული ათობით დივიზიის მცირე აზიაში გაგზავნას. მაგრამ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს ამ მიმართულებით თითიც არ გაუნძრევიათ. როგორც ჩანს, თვითონაც იცოდნენ, რომ ამ დოკუმენტის გამოცემა თვალთმაქცობა იყო. *ზურაბ ავალიშვილი* სევრის ხელშეკრულებას უწოდებდა *„დასავლეთ ევროპის თვითმპყრობელობითი კოლექტიური აზრის ყველაზე უფრო ბოროტებით სავსე ნამოქმედარს"*.

სომხეთსა და საბერძნეთს სთავაზობდნენ დიდი და ძალიან საშიში მოუკლავი დათვის ტყავს!

მოგვიანებით ზოგიერთი სომეხი პოლიტიკური მოღვაწეც სკეპტიკურად აფასებდა ამ ხელშეკრულების შესრულების შესაძლებლობას. მაგალითად, 1997 წელს სომხეთის რესპუბლიკის იმდროინდელმა პრეზიდენტმა *ლევონ ტერ-პეტროსიანმა* დაწერა:

> „როდესაც ჩვენ მოვითხოვეთ სევრის ხელშეკრულებაში მოხსენიებული ტერიტორიები, აღმოსავლეთ სომხეთის ნახევარი დავკარგეთ“.

ტერ-პეტროსიანს ეს და მსგავსი სიტყვები *პატრიოტებმა* არ აპატიეს. მომდევნო წელს ის იძულებული გახდა გადამდგარიყო.

1920 წლის ზაფხულში სომხეთი, რომელიც მაშინ ნომინალურად ყარსის ოლქის დიდ ნაწილს უნევდა კონტროლს, უკვე გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს თურქეთისაგან.

ვაშინგტონის კაბინეტებში ჯერ კიდევ აზუსტებდნენ სომხეთის საზღვრებს და სომეხი ლობისტები სახელმწიფო დეპარტამენტში აგრძელებდნენ წუწუნს: *„ბარფუთისა და ბითლისის ვილაიეთებიც გვინდა“*, *„თურქეთისაგან მისაღები მიწა [100 ათასზე მეტი კვ. კმ: რ.გ.] ორჯერ ნაკლებია იმაზე, რასაც მოვითხოვდით!“* როდესაც კავკასიაში დაიწყო და დამთავრდა კიდეც ომი.

მაშინ, როდესაც ვაშინგტონში განაგრძობდნენ კამათს სომხეთის რესპუბლიკის ახალ საზღვრებზე, წაიშალა მისი ძველი საზღვრები.

ანკარაში მყოფმა ქემალისტების მთავრობამ არ ცნო სევრის ხელშეკრულება და სტამბოლში მყოფი საიმპერიო მთავრობა ეროვნული ინტერესების ღალატში დაადანაშაულა. 1920 წელს ქემალისტებს უკვე აღდგენილი ჰქონდათ ბრძოლისუნარიანი არმია – სახელმწიფოს ხერხემალი.

თურქეთის მიერ სომხეთთან ომის დაწყება დააჩქარა ანტანტის „კეთილმა განზრახვამ“ – ზემოხსენებულმა სევრის ხელშეკრულებამ. 1920 წლის სექტემბერში ქემალისტურმა თურქეთმა სომხეთის რესპუბლიკასთან დაიწყო ომი და ორ თვეში სასტიკად დაამარცხა მისი არმია. ყარსის ოლქი და მასში შემავალი ქალაქები – ყარსი, ოლთისი, სარიყამიში, ყაღიზმანი და ადრე ერევნის გუბერნიაში შემავალი სურმალუს მაზრა თურქებმა დაიკავეს.

1920 წლის 2 დეკემბრის ალექსანდროპოლის ხელშეკრულებით სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ აღიარა დამარცხება, ხელშეკრულების მე-10 მუხლით ბათილად ცნო სევრის ხელშეკრულება და იურიდიულად დათმო თურქეთის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიები.

იმავე დღეს ერევანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და შეიქმნა ახალი მთავრობა.

ეს ორი მოვლენა – ალექსანდროპოლში ხელშეკრულების ხელმოწერა და ერევანში მთავრობის შეცვლა – დროში ისე განლაგდა, რომ სომხურ ისტორიოგრაფიას აქვს სამართლიანი საბაბი ამტკიცოს – ალექსანდროპოლის ხელშეკრულებას უკვე გადაყენებული მთავრობის წარმომადგენლებმა მოაწერეს

ხელი და ამდენად, ის ბათილია. ალექსანდროპოლის ხელშეკრულება რატიფიცირებული არც ყოფილა.

მომავალში პრეტენზიების თავიდან ასაცილებლად ანკარამ დაჟინებით მოითხოვა ალექსანდროპოლის ხელშეკრულებით სომხეთთან დადგენილი მისი ახალი საზღვრის დადასტურება საბჭოთა რუსეთისა და გასაბჭოებული კავკასიური რესპუბლიკების მიერ. ეს გაკეთდა კიდეც *მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით* (გათვალისწინებული იქნა საზღვრის ერთგვარი შესწორება სომხეთის სასარგებლოდ). ახალშექმნილმა სომხეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, ბუნებრივია, მოსკოვის ბოლშევიკური მთავრობის ზეწოლით, *1921 წლის 13 ნოემბერს ყარსში ხელმოწერილი ხელშეკრულებით* კიდევ ერთხელ გააბათილა სევრის ხელშეკრულება და აღიარა თურქეთთან დღემდე არსებული საზღვარი.

ამჟამინდელი სომხეთის რესპუბლიკა აცხადებს, რომ ის საბჭოთა სომხეთის სამართალმემკვიდრეა და, ამდენად, ცნობს ყარსის ხელშეკრულებას, რომლის ფორმალური დენონსაცია არ მოუხდენია.

ყარსის ხელშეკრულებაზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობაც აწერდა ხელს. ისიც „ნებაყოფლობით" ამბობდა უარს სამხრეთით მდებარე მიწებზე (მაგალითად, ართვინზე), რომლებიც ისედაც უკვე თურქეთს ეპყრა, და თანხმდებოდა, რომ საქართველოს შემადგენლობაში აჭარას ადმინისტრაციული ავტონომია ჰქონოდა. 1992 წელს დამოუკიდებელ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებულ ჩარჩო-ხელშეკრულებაში ნახსენებია 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებაც.

ყოველივე ზემოთქმული უკვე ისტორიაა. დღევანდელ ვითარებაში ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიების წამოყენება პოლიტიკური უპასუხისმგებლობა იქნებოდა.

მენშევიკური მემკვიდრეობა ისტორიის სამსჯავროზე

მას შემდეგ, რაც 1920 წლის 28 აპრილს ბაქოში და 2 დეკემბერს – ერევანში პრაქტიკულად უსისხლოდ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ბოლშევიკური რუსეთი ახლა თბილისის აღებას ამზადებდა. მართალია, აზერბაიჯანშიც და სომხეთშიც ძალაუფლების მშვიდობიანად აღების შემდეგ ბოლშევიკებს ადგილობრივი აჯანყებების ბრძოლით ჩახშობა უწევდათ, მაგრამ სომეხთა და აზერბაიჯანელთა დაქსაქსული ძალები XI წითელ არმიას წინ ვერ დაუდგებოდნენ.

1921 წლის თებერვალში თბილისის მისადგომებთან, კოჯორ-ტაბახმელასთან, წითელ არმიას საკმაოდ მედგარი სამხედრო წინააღმდეგობის დაძლევა

მოუხდა, სანამ დედაქალაქს აიღებდა. საქართველოს დამოუკიდებლობას ძირითადად მოხალისე კადეტები და იუნკრები იცავდნენ. ბევრი მათგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

სრული მობილიზაცია სოციალ-დემოკრატთა მთავრობამ არ გამოაცხადა და საყოველთაო წინააღმდეგობისათვის ხალხს არ მოუწოდა. ქუჩის ბრძოლები თბილისში არ გამართულა. გმირობა, რომელიც მტერთან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლაში ვლინდება, და სამშობლოსათვის თავის გაწირვა, არც ერთ მენშევიკ მინისტრს არ უცდია. საერთოდაც, უცხო ქვეყნის აგრესიას მენშევიკური მთავრობა რაღაც მეტისმეტად მშვიდად ხვდებოდა.

24 თებერვლის ღამეს მენშევიკური მთავრობა სრული შემადგენლობით ჩაჯდა მატარებელში და ბათუმში გაემგზავრა, იქიდან კი – ემიგრაციაში. 25 თებერვალს თბილისის თავზე უკვე ბოლშევიკების წითელი დროშა ფრიალებდა.

1918-1921 წლების მოვლენები კარგად აქვს *აღწერილი ზურაბ ავალიშვილს* თავის „საქართველოს დამოუკიდებლობაში“, რომელიც იმ ეპოქის შესახებ უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ზურაბ ავალიშვილი მკაცრად აფასებს ქართველი მენშევიკების მოღვაწეობას, როდესაც ამბობს, რომ მათ

> „სულმოკლეობისა და უმეცრების გამო არ უნდოდათ გულდასმით მოეწყოთ შესაძლებელი თავდასხმისათვის საჭირო შეიარაღებული ძალა... აგრარულმა რეფორმამ ზოგი დასცა და ბოგანოდ გახადა, ზოგი დაასაჩუქრა მნიშვნელოვანი ფინანსური და სამხედრო ბეგარის დაუკისრებლად. ასეთმა პირობებმა მეტად გააძნელა სულ მცირე ჯარის მოწყობა იმ ქვეყანაში, რომელიც მდიდარი იყო მწყობრი ჯარის ოფიცრებით... საქართველოს დემოკრატია 1918-21 წლებში იყო დიქტატურა სოციალ-დემოკრატიისა, ე. ი. მარქსიზმის მემარჯვენე ფრთისა და იგი იყო საქართველოში საბჭოთა დიქტატურის მომამზადებელი ხანა“.

რასაკვირველია, ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორისაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქართულ *ნაციონალურ* ინტერესებს *პარტიულ*ზე მაღლა აყენებდნენ და სერიოზულად ეკიდებოდნენ სახელმწიფო მშენებლობის საქმეს. მაგრამ ისინი უმცირესობაში იყვნენ.

მართლაც, ნაცვლად იმისა, რომ გაეკეთებინა სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი რამ – შეექმნა ეროვნული არმია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა უფრო მეტად ზრუნავდა პარტიის გასამხედროებულ ორგანიზაციაზე – „სახალხო (წითელ) გვარდიაზე“. სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული ეკონომიკურ და ეროვნულ პოლიტიკაში. მთავრობამ ვერ მოიპოვა ავტორიტეტი ხალხში, სიმტკიცეს ზოგჯერ სიჯიუტე და ამპარტავნობა ენაცვლებოდა. მმართველი პარტია და მისი ლიდერები საკმაოდ მალე საყოველთაო ქილიკის საგნად იქცნენ. მუსტაფა ქემალის დონის ავტორიტარული პოლიტიკოსი ჩვენში მაშინ არ გამოჩნდა.

თეორიულად რომც დავუშვათ, რომ საქართველოს ლიდერი იმ დროს იოსებ ჯუღაშვილი ყოფილიყო, მისი ინტელექტუალური დონე და ნებისყოფა სულაც არ იქნებოდა საკმარისი ქვეყნის გადასარჩენად: მას კარგად შეეძლო მართვა მაშინ, როდესაც ქვეყნის ერთადერთი პარტია სრულ მორჩილებაში ჰყავდა. საქართველოში კი, რუსეთისაგან განსხვავებით, ასეთი მორჩილება მიუღწეველი რამ იყო. *ეს იმათ საყურადღებოდ, ვინც ამ პოლიტიკური მოღვაწის ქართულ რეალობებთან დაკავშირებას ცდილობს!*

რამდენადაც პოლიტიკოსები თავიანთი ნამოქმედარის შეფასებას „ისტორიის სამსჯავროს" უტოვებენ ხოლმე, დროის გადასახედიდან შესაძლებელია შეფასება და იმის თქმა, რომ *სოციალ-დემოკრატებმა ვერ გაამართლეს საქართველოს იმედი.* ქართველების უმრავლესობა ახლა, ალბათ, დაასკვნის, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში თავიანთი საქმიანობით მენშევიკებმა დაამტკიცეს, რომ მათი „ძალად გაპატრიოტებული" პარტიისათვის ქვეყნის ჩაბარება საუკეთესო გადაწყვეტილება არ იყო. ამასვე ამბობდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ბათუმში 1921 წლის 16 მარტს, ერთი დღით ადრე, სანამ მთავრობა ემიგრაციაში წავიდოდა.

1921 წელს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია რაოდენობრივად მცირე იყო. თუ არ ჩავთვლით *ექვთიმე თაყაიშვილსა* და რამდენიმე სხვა დასანან პიროვნებას, აგრეთვე რამდენიმე ასეულ კარგ ოფიცერს, წავიდნენ პოლიტიკოსები, რომლებზეც ხალხს, მგონი, დიდად არც უდარდია. განსხვავება 1724 წლის ემიგრაციისაგან თვალსაჩინო იყო: მაშინ ვახტანგ VI-მ რუსეთში თავისი ამალითურთ წასვლით ფაქტობრივად სრულად გამოაცალა ქართველ ერს ინტელექტუალური პოტენციალი. ორასი წლის შემდეგ კი ქართული ინტელიგენცია პრაქტიკულად არ წასულა საზღვარგარეთ. საერთო ჯამში, XX საუკუნის საქართველოსათვის ეროვნული ინტელიგენციის ადგილზე დარჩენამ პოზიტიური შედეგი მოიტანა.

ამასთან, ქართველი სოციალ-დემოკრატების მხოლოდ უარყოფითად დახასიათებაც ცალმხრივი მიდგომა იქნებოდა. მათაც შესძინეს რაღაც პოზიტიური საქართველოს.

უნდა გავითვალისწინოთ იმდროინდელი რეალობა. პოლიტიკური არჩევანი ძალიან შეზღუდული იყო. სოციალ-დემოკრატებზე უკეთ ორგანიზებული პარტია საქართველოში არ არსებობდა. სოციალური დემაგოგია მას კარგად ეხერხებოდა. მეტოქე პარტიებს სოციალ-დემოკრატები ადვილად აწებებდნენ იმ დროს არაპოპულარულ „ნაციონალისტობის" იარლიყს. საეჭვოა, რომ ოპოზიციურ პარტიებს მენშევიკებზე უკეთესად გამოსვლოდათ რამე. კრიტიკა საქმის კეთებაზე ადვილია!

მართალია, სოციალ-დემოკრატები თავიდან არ იყვნენ ორიენტირებული საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ გარემოებამ ამ მიმართულებით

ნაბიჯის გადადგმა აიძულა. 1918 წლის დასაწყისიდანვე სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო მდგომარეობა განუწყვეტლივ უარესდებოდა. ასეთ ვითარებაში, თუნდაც ყოყმანის შემდეგ, სწორედ სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაც უზარმაზარი მნიშვნელობა მიეცემა მომავალში. მათ მოუხდათ უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნის მართვა და ლავირება ოსმალეთსა და გერმანიას შორის, მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ კი ისეთი საგარეო პოლიტიკური ძალის ამაო ძებნა, რომელიც საქართველოს დაეხმარებოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში. ისინი ზრუნავდნენ საქართველოს საერთაშორისო აღიარებისათვის. მათ არ დათმეს ახალქალაქის მაზრა. მათ დადეს პირველი, თუნდაც არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება რუსეთთან, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა: ეს ხელშეკრულება ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

სოციალ-დემოკრატებმა გაატარეს რამდენიმე რეფორმა, მაგალითად, აგრარული (თუნდაც სანახევრო), გააუქმეს არისტოკრატიული ტიტულები. მათ შეძლებისდაგვარად შეუწყეს ხელი ქართული განათლების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებას. მათ დროს გაჩნდა მასობრივი განათლების ქართულად მიღების საშუალება, დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სხვათა შორის, მათ დროს დაარქვეს თბილისის მთავარ ქუჩებსა და მოედანს ახალი სახელები, გოლოვინის პროსპექტს – *რუსთაველის გამზირი*, ხოლო მიხაილის პროსპექტს – *პლეხანოვის გამზირი*, რომლებიც საბჭოთა პერიოდშიც შენარჩუნდა. მათ დროსვე იქცა ერევნის მოედანი *თავისუფლების მოედნად*.

სოციალ-დემოკრატების მმართველობის პერიოდში იქნა შემუშავებული პირველი ქართული კონსტიტუცია, თუმცა ის ძალიან გვიან დაამტკიცეს დამფუძნებელ კრებაზე – 1921 წ. 21 თებერვალს, ანუ სულ სამი დღით ადრე, სანამ მთავრობა თბილისიდან გაიქცეოდა...

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დასასრულისათვის

„საოჯახო არქივში" დაცულ დოკუმენტებში ქიმიური ფანქრით, რუსულად ნაწერი ერთი პატარა გაყვითლებული ფურცელი აღმოვაჩინე. აი მისი სრული ტექსტი:

„Я, кн. Екатерина Георгиевна Джорджадзе даю настоящую подписку гр. Ревазу Гаженовичу Гачечиладзе в том, что начиная с 17-летнего возраста обязуюсь явиться его по первому требованию. 30/I/1921"[17].

[17] „მე, თავადის ასული ეკატერინე გიორგის ასული ჯორჯაძე, ვაძლევ ამ ხელწერილს მოქალაქე რევაზ რაჟდენის ძე გაჩეჩილაძეს მასზედ, რომ მოყოლებული 17 წლის ასაკიდან, ვალდებული ვიყო, ვაკოცო მას პირველივე მოთხოვნისთანავე. 30/I/1921" (რუს.)

ბიძაჩემმა, მაშინ 20 წლის ბიჭმა, რაღაც ნიძლავი მოუგო 16 წლის გოგონას, დაადებინა სახუმარო ხელწერილი („кн.“, ანუ „княжна“, *თავადის ასული* და „гр.“, ანუ „гражданин“, *მოქალაქე*, წვრილი ასოებითაა ჩამატებული, ალბათ მეტი კომიზმისათვის) და მერე მთელი სიცოცხლე ინახავდა ამ ფარატინა ფურცელს. როგორც ჩანს, დედამისიც უფრთხილდებოდა ამ ახალგაზრდული ცელქობის დოკუმენტს, რადგან ის მოხვდა მისი ბარათების დასტაში და თითქმის საუკუნის შემდეგაც შემოინახა.

რეალური გაგრძელება ამ სიყვარულს (თუკი ეს სიყვარული იყო) არ მოჰყოლია. ბიძაჩემი უცოლო და უშვილძირო დაიღუპა.

ისტორიკოსის პოზიციიდან კი მთავარი წყაროში მითითებული თარიღია: 1921 წლის 30 იანვარი. ეს ნიშნავს, რომ კიდევ სამ-ნახევარი კვირა საქართველო დემოკრატიული და დამოუკიდებელია, კიდევ სამ-ნახევარი კვირა შეიძლება გართობა და ფანტის თამაში, თუნდაც ქვეყანაში საშინელი სიდუხჭირე იყოს.

სულ მალე სხვა რეალობები გაჩნდება, როდესაც ხუმრობითაც კი ვეღარ მიაწერ შენს გვარს „княжна“-ს.

სამ-ნახევარ კვირაში საქართველოში შემოვლენ კლასობრივი მტრის მიმართ მკაცრი, პირქუში ამხანაგები – ბოლშევიკები.

თავი 9

„წითლები“ საქართველოში

სამოქალაქო ომის ბოლო აკორდები და საერთაშორისო პოლიტიკა

საქართველოს დამოუკიდებლობა თავისდა უნებურად რამდენიმე თვით გაახანგრძლივეს პოლონეთის რესპუბლიკამ და „თეთრმა“ გენერალმა ბარონმა *ვრანგელმა:* მათთან ომების გამო კრემლმა[18] თბილისისათვის ვერ მოიცალა. 1920 წლის 28 აპრილს ბაქოს აღებისა და აზერბაიჯანის შედარებით უმტკივნეულოდ გასაბჭოების შემდეგ კავკასიაში მოსკოვის ემისრები, ეიფორიაში მყოფი *ორჯონიკიძე* და *კიროვი*, აჩქარებდნენ ლენინსა და სტალინს, გაეცათ თბილისზე იერიშის დაწყების ბრძანება.

მაგრამ *კრემლში* უკეთ იცოდნენ, რომ თბილისის აღების დრო ჯერ არ დამდგარიყო. პირიქით, იმავე წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო და მასთან ხელშეკრულება გააფორმა.

კრემლს პრობლემა იმ დროს დასავლეთით ჰქონდა. პოლონეთმა, რომელსაც საბჭოთა რუსეთი პროლეტარული რევოლუციით ემუქრებოდა, სცადა დახმარებოდა უკრაინას დამოუკიდებლობის აღდგენაში და 1920 წლის 6 მაისს უკრაინულ ეროვნულ ძალებთან ერთად კიევი აიღო.

მალე წითელმა არმიამ კონტრიერიში განახორციელა და იმავე წლის ივლისში *კომანდარმი* (ეს „არმიის მეთაურს“ ნიშნავდა: 1918 წლიდან 1940 წლის მაისამდე წითელ არმიაში გენერლებისა და ოფიცრების წოდებები გაუქმებული იყო) *მიხაილ ტუხაჩევსკი*, მომავალში – საბჭოთა კავშირის მარშალი, ვარშავას მიადგა. მისი საბრძოლო ბრძანება ძალიან დამახასიათებელი იყო:

> „მშრომელ კაცობრიობას ჩვენ ხიშტებით მოვუტანთ ბედნიერებასა და მშვიდობას. წინ! დასავლეთზე! ვარშავაზე! ბერლინზე!“

კრემლში იმედი მიეცათ, რომ ვარშავის აღებით დაიწყებოდა სოციალის-

[18] კრემლი არის შუა საუკუნეების მოსკოვის ციტადელი, სადაც 1918 წლიდან იჯდა რუსეთის მთავრობა. გადატანითი მნიშვნელობით *„კრემლი“* აღნიშნავს რუსეთის/საბჭოთა კავშირის ოფიციალურ ხელისუფლებას.

ტური რევოლუცია მთელ ევროპაში. ვარშავის დაცემა, პოლონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება (კრემლს იქაც ეგულებოდა უკმაყოფილო პროლეტარიატი და მოსკოვში უკვე იჯდა ვარშავაში წასასვლელად მომზადებული „პოლონეთის რევოლუციური კომიტეტი“ *იულიან მარხლევსკის* მეთაურობით) ბერლინზე გალაშქრების იმედსაც იძლეოდა. გერმანიაში კი, რომელიც ვერსალის სისტემამ (იხ. ქვემოთ, თავი 13) დაამცირა და სიღატაკისათვის გაწირა, მართლაც მრავლად იყო პროკომუნისტური ელემენტი, რომელიც ბოლშევიზმს დაუჭერდა მხარს. კომუნისტური რევოლუციის ექსპორტი ევროპაში სავსებით რეალური ჩანდა.

ევროპისათვის საბედნიეროდ, კლასობრივი დაპირისპირების ნაცვლად, პოლონეთში საერთო-სახალხო სოლიდარობამ იმძლავრა. პოლონელმა ხალხმა თავის არმიასთან ერთად ივაჟკაცა და ვარშავასთან წითელი არმია დაამარცხა (პოლონეთში ამას უწოდებენ „სასწაულს ვისლაზე“). ახლა პოლონური არმია გადავიდა კონტრშეტევაზე.

ესტონეთის ქალაქ ტარტუში 1920 წლის 12 ოქტომბერს რუსეთსა და პოლონეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. მომდევნო წლის 18 მარტს დადგინდა მათ შორის საზღვარი, რომელიც საბჭოთა კავშირმა უხეშად დაარღვია 1939 წელს ჰიტლერთან მიღწეული გარიგების შემდეგ.

პოლონეთთან დადებული ზავის შემდეგ წითელ არმიას შესაძლებლობა მიეცა მიბრუნებოდა ყირიმის ნახევარკუნძულს, სადაც გამაგრებული იყო „თეთრი“ გენერალი ვრანგელი თავისი უკანასკნელი დივიზიებით. 1920 წლის 8 ნოემბერს წითელმა არმიამ მთელი ყირიმი დაიკავა. ვრანგელის დამარცხების შემდეგ „თეთრების" უკანასკნელი იმედი ჩაქრა.

კრემლში გათვალეს, რომ სწორედ ახლა დადგა საქართველოს რიგი.

თბილისზე შეტევის წინ *ლენინი* ყურადღებით აკვირდებოდა დასავლეთის, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის, განწყობას და გადაწყვიტა ემოქმედა მაშინ, როდესაც დარწმუნდა, რომ ევროპაში საქართველოს ბედი საერთოდ არ აწუხებთ. ამ თვალსაზრისით ლენინისათვის სერიოზული გზავნილი გამოდგა ის, რომ 1920 წლის 16 დეკემბერს საქართველოს უარი უთხრეს *ერთა ლიგაში* მიღებაზე.

ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას ხმა მისცა მხოლოდ ათმა სახელმწიფომ. ესენი იყვნენ: იტალია, შვეიცარია, ნორვეგია, პორტუგალია, ბოლივია, კოლუმბია, პარაგვაი, ჩილე, სპარსეთი და სამხრეთ აფრიკის კავშირი. მადლობა მათ! სხვათა შორის, ბალტიის სამივე რესპუბლიკის მიღებას ერთა ლიგაში იმ დღეს სულ 5-5-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი (თუმცა მოგვიანებით, 1921 წელს 22 სექტემბერს სამივე მათგანი მიიღეს). უკვე გასაბჭოებული სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთა ლიგაში მიღების საკითხი არც დამდგარა. მაგრამ ეს შედარებითი „უპირატესობა“ ვერაფერი შეღავათია. *ერთა ლიგაში* (რომლის

წევრები იმ დროს არ იყვნენ არც რუსეთი, არც გერმანია და არც აშშ) გასაწევრიანებლად საჭირო იყო სულ ცოტა 16 ქვეყნის მხარდაჭერა. საქართველოს მიღების მიმართ ერთა ლიგის წამყვანი ქვეყნების – დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უარყოფით დამოკიდებულებას სხვა ქვეყნებმაც აუბეს მხარი.

ერთა ლიგაში მიღებაზე საქართველოსათვის უარის თქმის ფორმალური საბაბი იყო ის, რომ თავისი წესდების შესაბამისად, ორგანიზაცია კისრულობდა საგარეო აგრესიისაგან თავისი წევრის დაცვას. საქართველოს შემთხვევაში ამის გაკეთებას ის პრაქტიკულად ვერ შეძლებდა. დაცვა კი საქართველოს ნამდვილად ესაჭიროებოდა. 1920 წლის ბოლოს ის უკვე გარშემორტყმული იყო საბჭოთა რესპუბლიკებითა და ქემალისტური თურქეთით.

საქართველო რომ არ შედიოდა იმ დროს მსოფლიო ჰეგემონის – დიდი ბრიტანეთის – ინტერესების სფეროში, *ლენინმა* ნათლად გაიგო მაშინ, როდესაც 1920 წლის ბოლოდან კრემლის ემისრები ანარმოებდნენ მოლაპარაკებას ანგლო-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად (იმ დროს ლონდონს არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან და ფორმალურად არ ცნობდა ბოლშევიკურ მთავრობას). ხელშეკრულებას საბოლოოდ 1921 წლის 16 მარტს მოეწერა ხელი, მაგრამ საბჭოთა მხარისათვის უკვე ცნობილი იყო, პირობის სანაცვლოდ, რომ რუსეთი არ ჩაერევა ინდოეთისა და ავღანეთის საქმეებში, „ბრიტანეთის მთავრობა აძლევს ანალოგიურ პირობას რუსეთის საბჭოთა მთავრობას იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილებს და ახლა დამოუკიდებლები გახდნენ"[19].

ეს გარიგება საქართველოსაც ეხებოდა, რომელიც დიდ გეოპოლიტიკურ დაფაზე პაიკივით გაიცვალა.

საქართველოს გასაბჭოება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებას ბოლშევიკური რუსეთისათვის ხელი არ შეუშლია, სულ ცხრა-ნახევარი თვის შემდეგ აგრესია წამოეწყო მის მიერვე დამოუკიდებლად აღიარებული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

რასაკვირველია, მსოფლიო საზოგადოებას მოსკოვმა ეს მიასაღა, როგორც *„საქართველოს მშრომელთა აჯანყებისათვის გაწეული პროლეტარული დახმარება"*.

[1] „The British Government gives a similar particular undertaking to the Russian Soviet Government in respect of the countries which formed part of the former Russian Empire and which have now become independent" (Ullmann R.H. The Anglo-Soviet Accord. Princeton University Press, 1972, p. 474)

საბაბი ადვილად გამოინახა, უფრო სწორად, შეიქმნა. 1920 წლის ბოლოს, სომხეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც ლორეს პროვინციაში თურქული არმიის შეჭრის საფრთხე შეიქმნა, ერევნის დაშნაკურ მთავრობასთან 13 ნოემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ შეზღუდული რაოდენობის საჯარისო ფორმირებები დროებით (სამი თვით) შეიყვანა ლორეს ნეიტრალურ ზონაში. როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დადებული მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოიცავდა თბილისის მთელ გუბერნიას, რომელშიც შედიოდა ბორჩალოს მაზრა, ლორესთან ერთად. ამასთან, ლორეს ნეიტრალური ზონის სტატუსი ფორმალურად გაუქმებული არ იყო.

დღევანდელი გადასახედიდან ადვილია იმის თქმა, რომ ნეიტრალურ ზონაში ქართული რაზმის შეყვანა არ იყო პოლიტიკურად გამართლებული ნაბიჯი. მაგრამ კრემლში ამის გარეშეც გამოიგონებდნენ საქართველოში შეჭრის საბაბს.

ხელოვნური კონფლიქტის შექმნა ადვილი აღმოჩნდა. 1921 წლის 11 თებერვალს ქართული რაზმის წინააღმდეგ ბოლშევიკებისაგან მიღებული დავალების თანახმად ლორეში „აჯანყდა“ რამდენიმე ასეული გლეხი სომხური და რუსული სოფლებიდან. ეს „საქართველოს მშრომელთა აჯანყებად“ მოინათლა, რომლის „დასახმარებლად“ სასწრაფოდ მოვიდა საბჭოთა რუსეთის *XI წითელი არმია*, რომელიც მანამდე სომხეთში იდგა. ერთდროულად საქართველოში კიდევ სამი მხრიდან შემოვიდნენ ბოლშევიკური არმიები. XI არმია ლორეს „განთავისუფლებას“ არ დასჯერდა და იმავე წლის 25 თებერვალს თბილისიც „გაათავისუფლა მენშევიკთა ბურჟუაზიული რეჟიმისაგან“.

საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თბილისში *სერგეი მირონოვიჩ კიროვი* ფაქტობრივად სათავეში ედგა აგრესიას იმ ქვეყანაში, სადაც ის აკრედიტებული იყო, როგორც ელჩი. ბოლშევიკების XI არმიის „*რევოლუციონერების*“ (რევოლუციური სამხედრო საბჭოს) თავმჯდომარე და, ამავე დროს რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიუროს თავმჯდომარე იყო *გრიგოლ* (პარტიული ფსევდონიმი – *სერგო*) *ორჯონიკიძე*. 25 თებერვალს ორჯონიკიძემ მიახარა ლენინსა და სტალინს: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს“.

დაბა შულავერში გამოცხადდა *საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა*, რომლის მთავრობად იქცა ქართველი კომუნისტებით დაკომპლექტებული *„რევოლუციური კომიტეტი“*, შემოკლებით – *„რევკომი“*. 25 თებერვლიდან რევკომი უკვე თბილისში იჯდა. მინისტრებს *„სახალხო კომისრები“* დაერქვათ. ყველა მაზრაში, ქალაქში, თემში ასევე შეიქმნა *რევკომები*, რომელთაც ძალაუფლების მაქსიმუმი მიენიჭათ.

ფორმალურად საქართველოს დამოუკიდებლობა არ გაუქმებულა, „მხო-

ლოდ მთავრობა შეიცვალა". 1921 წლის განმავლობაში, უკვე 25 თებერვლის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობა *de jure* კიდევ რამდენიმე ქვეყანამ აღიარა, მათ შორის შორეულმა ჰაიტიმ, ლიბერიამ, მექსიკამ, პანამამ, ტაილანდმა. CNN-ი ჯერ არ არსებობდა და ინფორმაცია ნელა ვრცელდებოდა! გარეშე თვალისათვის საქართველოს გასაბჭოება სახელმწიფო გადატრიალებას უფრო წააგავდა, როდესაც ადგილობრივ მეამბოხეებს უცხო ქვეყნის არმია ეხმარება, ვიდრე – დაპყრობას.

ქართველებისათვის კი ყველაფერი ნათელი იყო: მოხდა მათი სამშობლოს ხელახალი ანექსირება რუსეთის მიერ.

იმდროინდელ გეოპოლიტიკურ თამაშში თბილისსა და მის დიპლომატიაზე ცოტა რამ იყო დამოკიდებული. მართალია, მენშევიკურ მთავრობას დროულად რომ ეზრუნა ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნაზე, ის, ალბათ, იმ ჯერზე შეძლებდა ცუდად შეიარაღებული XI წითელი არმიის დამარცხებას, მაგრამ გაძლიერებული და უფრო გააფთრებული დიდი ბოლშევიკური რუსეთი საბოლოოდ მაინც დაძლევდა პატარა საქართველოს წინააღმდეგობას.

ბაქოს ნავთობსარენების დაუფლება კრემლის უპირველესი მიზანი იყო. ბაქოსთან ერთად მას სჭირდებოდა *ბათუმიც* – ბაქოდან წამოსული მილსადენის ტერმინალი და, საერთოდაც, შავ ზღვაზე ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგური. *თბილისს* განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კრემლისათვის: კავკასიის პოლიტიკური ცენტრი ისევ რუსეთს დაექვემდებარებოდა. რუსეთი ვერ იქნებოდა კავკასიის ბატონ-პატრონი, თუკი საქართველო დამოუკიდებელი დარჩებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების მეხოტბე (თუმცა მართლაც კარგი პოეტი) საქართველოში დაბადებული *ვლადიმირ მაიაკოვსკი* 1927 წელს გულახდილად წერდა:

> Я знаю, в Москве решали судьбу
> И Киевов и Тифлисов [20].

XXI საუკუნის დასაწყისშიც მოსკოვს „კიევებისა და თბილისების ბედის-განმრიგის" იმავე ფუნქციაზე აქვს პრეტენზია. მას იგივე გეოპოლიტიკური ჭია ღრღნის. სხვა საქმეა, რომ მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ამ დროისათვის შეცვლილია.

1920-იანი წლების დამდეგისათვის კი მაიაკოვსკი მართალს ამბობდა: თბილისის ბედი მოსკოვში წყდებოდა.

ერთდროულად, საქართველოს *პოლიტიკურ ბედ-იღბალზე* გავლენას ახდენდა ლონდონისა და პარიზის პასიურობა (ამას „ღალატს" ვერ დავარქმევთ: მათ არც აუღიათ პასუხისმგებლობა საქართველოზე), ხოლო მის *ტერიტორი-*

[20] ვიცი, მოსკოვში წყვეტდნენ ბედ-იღბალს კიევების და ტფილისებისაც (რუს.)

ულ კონფიგურაცია ზე – ანკარის აქტიურობა. სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტორის გამო ჩქარობდა მოსკოვი: მას აშინებდა, რომ გაძლიერებული თურქეთი, რომელმაც უკვე დააჩოქა სომხეთი, ჯერ ბათუმის დაკავებას შეეცდებოდა, ხოლო შემდეგ, ვინ იცის, იქნებ ბაქოზეც გასჩენოდა პრეტენზია?

საქართველოს გასაბჭოებას კრემლში მოუთმენლად ელოდა ამხანაგი *სტალინი*, იგივე *იოსებ ჯუღაშვილი*, რომელიც რუსეთში ერთადერთი ლეგალური პარტიის – სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალურ კომიტეტში, მის პოლიტბიუროსა და საორგანიზაციო ბიუროში შედიოდა და ეროვნებათა სახალხო კომისარიატსაც ხელმძღვანელობდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რუსეთთან მისი ფაქტობრივი შეერთების შემდეგ სტალინი მოსკოვში თავს უცხოელად აღარ იგრძნობდა.

„შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა"

საქართველოში შემოსული XI წითელი არმიის რიგით ჯარისკაცებს შორის ერია ერთი ახალგაზრდა, სახელად *ნიკიტა ხრუშჩოვი*. ორმოციოდე წლის შემდეგ, უკვე საბჭოთა სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაურის რანგში (მისი ტიტული იმ დროს იქნება „*საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე*") ხრუშჩოვმა გაიხსენა ეს თავისი პირველი „ვიზიტი" საქართველოში. მას არცთუ სასიამოვნო მოგონება შემორჩენოდა იმ დროიდან – „ქართველები მგლებივით გვეყურებდნენო".

საინტერესოა, სხვა რა გამოხედვას ელოდა დამპყრობელი?

როგორც ამ მოვლენის მომსწრე კოლაუ ნადირაძე წერდა:

„თოვლს დაეფარა კრწანისის ველი,
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით,
შემოდიოდა სიკვდილი ცელით".

ბევრი ფიქრობდა ასე.

მაგრამ 1921 წელს თბილისში წითელი არმიის შემოსვლა არ ჰგავდა 126 წლით ადრე აღა-მაჰმად-ხანის ბრბოს შემოსევას. წითელ არმიაში დისციპლინას იცავდნენ, ძარცვა და ძალადობა შედარებით იშვიათი იყო.

მენშევიკურმა მთავრობამ არ მოუწოდა ხალხს საყოველთაო წინააღმდეგობისაკენ. ხრუშჩოვის მოგონების საპირისპიროდ, ისეთი მტრული დამოკიდებულება, როგორიც დამპყრობლის მიმართ უნდა გამოეხატათ, ქვეყანაში არ შეიმჩნეოდა.

კოლაუ ნადირაძის ზემოთ ციტირებული ლექსი მრავლისმთქმელი სიტყვებით მთავრდება:

„თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი."

ერი და ბერი დუმდა იმიტომ, რომ გაქცეულმა ხელისუფლებამ თავისი ქმედებით, თუ უფრო უმოქმედობით, დაამუნჯა ისინი. თანაც, ფორმალურად, ახალ ხელისუფლებას ისევ ქართველები და ისევ მარქსისტები ედგნენ სათავეში.

წითელი არმია თბილისიდან წასულ მენშევიკურ მთავრობას დასაპატიმრებლად გულმოდგინედ არ გამოუდგა და 17 მარტს ბათუმიდან ემიგრაციაში წასვლის საშუალება მისცა.

ერთობლივი სოციალ-დემოკრატიული წარსული ასე თუ ისე აახლოვებდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს. ათი წელიც არ იყო გასული, რაც მათი გზები საბოლოოდ გაიყარა. პარტიის ძველი წევრები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ: უფრო პირიქით.

ახლო ნათესავები ხანდახან ეკუთვნოდნენ მეტოქე პარტიებს, ბოლშევიკურს ან მენშევიკურს (შეიძლება, სოციალისტ-ფედერალისტურსაც). მაგალითად, ცნობილი ბოლშევიკის – *ფილიპე მახარაძის* (მისი სახელი საბჭოთა პერიოდში დიდხანს ერქვა ქალაქ *ო*ზურგეთს) ძმა, *გერასიმე მახარაძე*, მენშევიკი იყო: 1919 წელს ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ელჩი გახდა ერევანში, ხოლო 1920 წელს – ელჩი მოსკოვში. 1921 წლის დამდეგს ანკარაში, ქემალისტების მთავრობასთან საბჭოთა რუსეთს წარმოადგენდა კომუნისტი *ბუდუ მდივანი*, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კი მისი ძმა – სოციალისტ-ფედერალისტი *სვიმონ მდივანი*.

მენშევიკების პროლეტარული და ინტერნაციონალისტური რიტორიკა დიდად არ განსხვავდებოდა ბოლშევიკურისაგან. ისინიც „პროლეტარიატისათვის იღვწოდნენ". მათაც ჰყავდათ *სახალხო (წითელი) გვარდია*. 1921 წელს მოსულ ბოლშევიკებს არისტოკრატიული ტიტულების გაუქმება არ დასჭირდათ: ეს მენშევიკებს უკვე გაკეთებული ჰქონდათ. გლეხებისათვის თავადაზნაურობის, კაპიტალისტებისა და სახაზინო მიწების დიდი ნაწილის დარიგებაც მენშევიკებმა 1919 წელს მოასწრეს.

მახსოვს, სტუდენტობისას, სუფრაზე ერთ მარტივ მელოდიას წამოვიწყებდით ხოლმე, რომელიც აშკარად 1920-იანი წლების პირმშო იყო:

„შემოვიდნენ წითლები,
ატყდა დავიდარაბა:
რომელ პარტიას ეკუთვნის
ეძგვერაძე ბარნაბა?"

ჩვენ, 1960-იანი წლების სტუდენტებმა, არაფერი ვიცოდით 1920-იანი წლების შესახებ. ყველას გვეგონა, რომ გამოგონილ პერსონაჟზე ვმღეროდით.

1970-იან წლებში საღამოს გაზეთ „თბილისში" პატარა ნეკროლოგი გამოქვეყნდა: პარტიის ვეტერანების ჯგუფი იტყობინებოდა *ამხანაგ ბარნაბ ეძგვერაძის* გარდაცვალებას, რომელიც თავიდან მენშევიკური პარტიის აქტივისტი ყოფილა, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ „გამოსწორებულა" და ქვემო იმერეთის ერთ-ერთ მაზრაში ბოლშევიკური რევკომის თავმჯდომარე გამხდარა.

სუფრული სიმღერის პერსონაჟი თურმე რეალური პიროვნება ყოფილა და რომელიღაც ფუნაგორისტს ის უკვდავუყვია!

ეძგვერაძე გამონაკლისი არ იქნებოდა...

პირველი წლები გასაბჭოების შემდეგ

1971 წელს, სამიოდე წლით ადრე გარდაცვალებამდე, მამაჩემმა წამიყვანა და დამათვალიერებინა მისთვის ძვირფასი ადგილები საქართველოში.

მცხეთაში დიდხანს ვეძებეთ ის შენობა, სადაც ნახევარი საუკუნით ადრე ბაბუაჩემის, იმ დროს მცხეთის რკინიგზის სადგურის უფროსის, ოჯახი ცხოვრობდა. იმ ადგილზე სხვა სახლი აღმოჩნდა, მაგრამ რკინიგზის ლიანდაგი მაინც მოჩანდა.

მოჩანდა შარაგზაც, რომელიც მაშინ, 1921 წლის თებერვლის ბოლოს, ქვით იყო მოკირწყლული და ზედ წითელი არმიის კავალერიის ნალები წკარუნობდა. მოდიოდნენ ჯარისკაცები მხარზე გადებულ ხიშტიანი შაშხანებით და თავზე ძაბრა ქუდებით, რომლებზეც დიდი წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი იყო დაკერებული. ასეთ ქუდს „ბუდიონოვკას" ეძახდნენ ბოლშევიკების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხედართმთავრის, ულვაშებაპრეხილი კავალერისტის, *სემიონ ბუდიონის* პატივსაცემად.

მამა, რაჟდენი, შინ არ იყო: სადგურში წასულიყო, თუმცა მატარებლები არ მოძრაობდნენ. უფროსი ძმა, ოცი წლის რეზო, რომელიც წინა დღეს შინ ხელში (როგორც ჩანს, მსუბუქად) დაჭრილი მოვიდა, საღამოს სადღაც გაქრა.

დედამ ექვსი წლის გივის გარეთ გასვლა აუკრძალა, მაგრამ ის მაინც გაიპარა აივანზე. ახალი ნაყვავილარი, სამი წლის ძმა თემიკოც გარეთ გაჰყვა გივის და აივნის ჭუჭრუტანაში იყურებოდა. ორივენი ხედავდნენ ცუდად ჩაცმულ, დაღლილ ჯარისკაცებს, რომლებიც დასავლეთ საქართველოსაკენ მიდიოდნენ. მათი საბოლოო მიზანი ბათუმი იყო.

მოულოდნელად ერთი მეთაური რამდენიმე რიგითი წითელარმიელის თანხლებით რკინიგზის უფროსის ეზოში შევიდა. ბიჭების დედამ გაიგონა უცხო

ხმები, ეზოში გამოვარდა, ხელები გაშალა და რუსულად შესძახა, მე მომკალით, ოღონდ ბავშვებს არაფერი დაუშავოთ-ო. „Ну что-ты, мать, дай только воды попить"[21], უთქვამს კომისარს შემრიგებლური ტონით.

ოკუპაციის საწყის ეტაპზე წითელი არმია, როგორც ჩანს, კარგად მოქცევას ცდილობდა, რომ ხალხის გული მოეგო.

თბილისის იქით წითელ არმიას კეთილგანწყობა არ უგრძნია, მაგრამ არც სერიოზული შეიარაღებული წინააღმდეგობა შეხვედრია. ის კი არა, თურქეთის ჯარისაგან ბათუმის გასათავისუფლებლად (ქემალისტები, ნომინალურად მაინც, ბოლშევიკების მოკავშირეები იყვნენ) წითელი არმია და ქართული ჯარის ნაწილები შეთანხმებულადაც კი მოქმედებდნენ. ერთი სიტყვით, *გასაბჭოება თავიდან შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობდა.*

მაგრამ მხოლოდ *თავიდან.*

სულ რამდენიმე თვეში საქართველოში აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია, კომუნისტურის გარდა. არაკომუნისტური პარტიების აქტივისტებს ბრალდების წარდგენის გარეშე იზოლაციის მიზნით ციხეში სვამდნენ, როგორც ახალი ხელისუფლებისათვის „მავნე ელემენტებს". 1921-1922 წლებში სამი ათასამდე ადამიანი დააპატიმრეს. ბევრი მათგანი ჯერ გამოუშვეს, მერე ისევ დაიჭირეს, ზოგი დახვრიტეს. ბოლშევიკური ოკუპაცია უკვე სრულად ხორციელდებოდა. ბუნებრივია, ამას უკმაყოფილება სდევდა.

ემიგრაციაში წასული ქართველი პოლიტიკოსების ნაწილმა საქართველოში აჯანყების მოწყობა გადაწყვიტა, მაგრამ ამისათვის ძალიან ცუდი დრო შეარჩია. 1924 წელს ნეპ-ის ხანა იდგა (იხ. ქვემოთ), საბჭოთა კავშირში ეკონომიკური ვითარება სწრაფად უმჯობესდებოდა, შიდაპოლიტიკური სტაბილობა სულ უფრო ხელშესახები ხდებოდა. საბჭოთა რუსეთის საგარეოპოლიტიკური მდგომარეობაც უკეთესობისაკენ იცვლებოდა: გერმანიამ, იტალიამ, პოლონეთმა, ბალტიის ქვეყნებმა, თურქეთმა და სპარსეთმა ამ დროისათვის უკვე დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა მასთან. იმავე 1924 წელს ბრიტანეთმა და საფრანგეთმა აღიარეს რუსეთის საბჭოთა მთავრობა.

ემიგრაციაში წასული მენშევიკური მთავრობისათვის, რომელიც პარიზში იჯდა, ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ პატარა საქართველოს გულისათვის დიდ რუსეთთან ურთიერთობას ევროპაში არავინ გაიფუჭებდა. აჯანყება განწირული იყო დამარცხებისათვის: უნდა დაღუპულიყო უდანაშაულო ხალხი.

ასეც მოხდა. კრემლმა საკუთარი მიზნისთვის გამოიყენა ცუდად ორგანიზებული აქცია. როდესაც სტალინს მოახსენეს, რომ საქართველოში აჯანყება მზადდებოდა, მაგრამ *გეპეუ*-სათვის ყველაფერი ცნობილი იყო და პრევენციული დაპატიმრებით შეეძლოთ აღეკვეთათ იგი, მას უთქვამს: „*დაე აჯანყდნენ! საქართველოს სისხლი ჯერ არ გამოუშვია!*"

[21] რას ამბობ, დედი, მხოლოდ წყალი დაგვალევინე (რუს.).

მართლაც, 1924 წლის აგვისტოში სხვადასხვა ადგილას გმირული, მაგრამ არაკოორდინირებული გაბრძოლების შემდეგ აჯანყება ადვილად ჩაახშეს. „ქართველი ერისათვის ჭკუის სასწავლებლად“ საბჭოთა ხელისუფლებამ სამაგალითოდ დასაჯა „კლასობრივი მტერი“, ძირითადად ყოფილი თავადაზნაურობა, რომელთაგან აჯანყებაში ერთეულები მონაწილეობდნენ: აჯანყებული ძირითადად ქართველი გლეხობა იყო. ხალხს აპატიმრებდნენ არისტოკრატიული წარმოშობისა ან არაკომუნისტური პარტიული კუთვნილების მიხედვით და მერე ჯგუფ-ჯგუფად ხვრეტდნენ, ბუნებრივია, ყოველგვარი გასამართლების გარეშე. სერგო ორჯონიკიძე კრემლს უპატაკებდა: *„დავხვრიტეთ 900 კონტრრევოლუციონერი!“* სინამდვილეში, ბევრად მეტი, ზოგიერთი შეფასებით რამდენიმე ათასი, ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. სადგურ შორაპანში სატვირთო ვაგონებში გამომწყვდეული დაპატიმრებული ადამიანები გარედან ტყვიამფრქვევებით ჩახოცეს: მათი რაოდენობა უცნობია. 20 ათასამდე ადამიანი გადაასახლეს.

„წითელი ტერორი“, რომელსაც საქართველო გადაურჩა, რადგან 1918-1920 წლების რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ის სხვა სახელმწიფოს წარმოადგენდა, მის მიწაზეც მოვიდა.

„მენშევიკური ავანტურის“, როგორც საბჭოთა პროპაგანდა უწოდებდა 1924 წლის აჯანყებას, სანიმუშოდ ჩახშობაში ერთი ახალგაზრდა, 25 წლის ქართველი ჩეკისტიც მონაწილეობდა, სახელად *ლავრენტი პავლეს ძე ბერია*, რომლის გულმოდგინებამ და მოხერხებულობამ კრემლის ყურადღება მიიპყრო. ის დააწინაურეს და 1926 წელს საქართველოს *გეპეუ*-ს ჩაუყენეს სათავეში (მე-11 თავში ახსნილია, თუ რა იყო „ჩეკა“ და „გეპეუ“).

1931 წელს სტალინმა 32 წლის ბერიას ანდო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობა. 1932 წლიდან ის საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანიც გახდა და სამხრეთ კავკასიაში უპირველეს პირად იქცა.

ბერიამ ყველაფერი გააკეთა, რომ თავიდან მოეშორებინა ძველი ბოლშევიკები, ვინც საქართველო თავის დროზე გაასაბჭოვა და ისინი თავისი ერთგული დამქაშებით შეეცვალა. ეს სტალინსაც სჭირდებოდა. ამ თვალსაზრისით ბერიასათვის ნამდვილი მისწრება აღმოჩნდა მთელ საბჭოთა კავშირში 1930-იანი წლებში დაწყებული ბრძოლა „ტროცკისტებთან“, „იმპერიალიზმის აგენტებთან“ და სხვა „კლასობრივ მტერთან“, 1937-38 წლების მასობრივი რეპრესიები.

როდესაც 1938 წელს *ლავრენტი პავლოვიჩი* მოსკოვში გადაიყვანეს, სადაც მან შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე შეცვალა მილიონობით ადამიანის რეპრესირების ორგანიზატორი *ნიკოლაი ეჟოვი*, მის ნაცვლად სტალინმა საქართველოს კომპარტიას ბერიაზე უფრო ახალგაზრდა ლიდერი, 31 წლის *კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანი*, ჩაუყენა სათავეში.

თავი 10

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური გეოგრაფია გასაბჭოების შემდეგ

რეგიონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გამიჯვნა

მთელი სამხრეთ კავკასიის გასაბჭოებისთანავე კრემლმა 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დადო ხელშეკრულება ქემალისტურ თურქეთთან და დააკანონა ამ უკანასკნელთან საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო საზღვრები, ისე, რომ არაფერი უკითხავს ამ ქვეყნების ახალი, კომუნისტური მთავრობებისთვისაც კი. სხვათა შორის, საქართველოს მენშევიკური მთავრობა 17 მარტამდე ბათუმში იყო და ნომინალურად ქვეყნის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას წარმოადგენდა. განა იმპერიალიზმის გამოვლინება არ იყო ის, რომ ორი „ანტიიმპერიალისტური" სახელმწიფო სხვა, თეორიულად მაინც დამოუკიდებელი, ქვეყნების ტერიტორიას მიჯნავდა?

მაგრამ, მოსკოვში, სადაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საკმაოდ მძიმე მოლაპარაკება თურქეთის დელეგაციასთან, არც მალავდნენ, რომ საქმე ეხებოდა *იმ კავკასიას, რომელსაც რსფსრ თავის საკუთრებად მიიჩნევდა*. ამას თურქეთიც ცნობდა.

მოსკოვის ხელშეკრულებით თურქეთთან გაფორმებული საზღვრები, რომლებიც კრემლმა და ანკარამ იმავე 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით დაადასტურებინეს საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა სომხეთსა და საბჭოთა აზერბაიჯანს, დღემდე ძალაშია.

გარდა ამისა, ფაქტობრივად მოსკოვშივე დადგინდა საზღვრები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის. მაგალითად, მაშინ გადაწყდა, რომ იმ დროს თურქეთის არმიის კონტროლქვეშ მყოფი ნახჭევანი და შარური, აგრეთვე წითელი არმიის კონტროლქვეშ მყოფი მთიანი ყარაბაღი საბჭოთა აზერბაიჯანს ერგებოდა. შემდგომში ეს ყველაფერი რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიუროს (*კავბიუროს*) გადაწყვეტილებებით გაფორმდა.

ერთი მხრივ, ამას მოჰყვა სისხლისღვრის შეწყვეტა დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე პოლიტიკურ სუბიექტებს – *სომხეთსა და აზერბაიჯანს* – შორის, რაც ორივე ქვეყნის სრულ გამოფიტვამდე შეიძლება გაგრძელებულიყო.

მეორე მხრივ, ახალი საზღვრებით კმაყოფილი სამხრეთ კავკასიაში არავინ დარჩა: სამივე საბჭოთა რესპუბლიკაში გაისმოდა, თუნდაც სუსტი, პროტესტი ახალი საზღვრების გამო.

საბჭოთა აზერბაიჯანში მიიჩნიეს, რომ ის დააზარალეს, როდესაც საბჭოთა სომხეთის სასარგებლოდ ჩამოართვეს ყოფილი ელისავეტპოლის გუბერნიაში შემავალი *ზანგე ზურის მაზრის* დიდი ნაწილი, სადაც 1918 წლამდე აზერბაიჯანელები მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ და იმავე გუბერნიის *ყაზახის მაზრის* სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (იქ სომხები ჭარბობდნენ); არ დააკმაყოფილეს ბაქოს პრეტენზია *ბორჩალოს, თბილისისა და სიღნაღის მაზრების* აზერბაიჯანელებით დასახლებულ ნაწილებზე, რომლებიც საქართველოს დარჩა; მის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხებისათვის დაარსდა *მთიანი ყარაბაღის* ავტონომიური ოლქი.

საბჭოთა საქართველოს უკმაყოფილების მიზეზი ის იყო, რომ კრემლმა მას უარი ათქმევინა ბევრ ისეთ ტერიტორიაზე, რომლებზეც საქართველოს პრეტენზია ჰქონდა: ეს იყო *ართვინი, არტაანი, ოლთისი, ზაქათალის ოკრუგი,* ყოფილ ტფილისის გუბერნიაში შემავალი *ლორე-კაბიურომ* საბჭოთა აზერბაიჯანს გადასცა *სიღნაღისა და ტფილისის მაზრების სამხრეთი ნაწილები* (სწორედ ასეთი გამიჯვნის გამო გვაქვს ახლა პრობლემა დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით, რომელიც იმპერიისდროინდელი დაყოფით ტფილისის გუბერნიაში მთლიანად შედიოდა). ჩვენს პრეტენზიებს ყველა ამ ტერიტორიაზე ობიექტურად ასუსტებდა ის, რომ იქ ქართველები უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდნენ, ან სულაც არ ცხოვრობდნენ, როგორც, მაგალითად, ლორეში; *ართვინი, არტაანი და ოლთისი* კი 1921 წლის დასაწყისიდან უკვე თურქეთის არმიას ეკავა. კრემლის მოქმედებით ქართველების უკმაყოფილების უფრო რეალური საფუძველი იყო ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა სამი *ავტონომიური ერთეული,* რაც თბილისის, თუნდაც კომუნისტური, მთავრობის ძალაუფლების შესუსტებას მოასწავებდა.

საბჭოთა სომხეთში უსამართლობად მიაჩნდათ, რომ *მთიანი ყარაბაღი,* სადაც მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი სომხები იყვნენ, საბჭოთა აზერბაიჯანის შემადგენლობაში დატოვეს (თუნდაც ავტონომიის უფლებით); მათ უკმაყოფილებას იწვევდა ასევე სამი მეოთხედით სომხებით დასახლებული *ახალქალაქის მაზრის* საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში დატოვება, ყოფილ ერევნის გუბერნიაში შემავალი *ნახჭევნის მაზრის* – აზერბაიჯანისათვის, ხოლო *ყარსის ოლქის* – თურქეთისათვის გადაცემა (ორ უკანასკნელში იმპერიის ხანაში სომხები უმცირესობა იყვნენ, თანაც ყარსის ოლქი თურქეთს ამ დროისათვის უკვე ოკუპირებული ჰქონდა).

თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებობს (თუმცა არა საყოველთაოდ გავრცელებული) აზრი, რომ „სომხეთის ტერიტორიული შევიწროება" მოხდა *სუბიექტური* მიზეზით – იმის გამო, რომ „ქართველ იოსებ ჯუღაშვილს, რასაკვირველია, არ უყვარდა სომხები".

ზოგი სომეხი და რუსი მეცნიერი კი ზემოხსენებულ პრიმიტიულ ახსნას გაურბის და ვითომ *ობიექტური* მიზეზებით ხსნის ტერიტორიულ გამიჯვნას. ეს მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა თავის უმთავრეს მტრად მიიჩნევდა დიდ ბრიტანეთს, რომელთანაც სომხეთი უფრო აქტიურად თანამშრომლობდა, ვიდრე საქართველო ან აზერბაიჯანი: ამის გამო თითქოს *„კრემლი სჯიდა სომხეთს"*. 1921 წელს, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მოსკოვში თურქებთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა, სომხეთში ანტისაბჭოთა აჯანყება მოხდა, ერევანში მცირე ხნით დაშნაკური მთავრობაც კი დაბრუნდა, ხოლო ზანგეზურში დაშნაკთა პარტიის ერთმა ჯგუფმა „მთიანი სომხეთის რესპუბლიკა" გამოაცხადა. ესეც თითქოს *„განაწყობდა კრემლს სომხეთის წინააღმდეგ"*. სხვათა შორის, ზემოხსენებული აჯანყების ჩახშობისას ბოლშევიკებმა ბევრი დაშნაკი და მათი მომხრე დახვრიტეს: სასტიკ რეპრესიებს ხელმძღვანელობდა ჩეკისტი *გევორქ ათარბეგოვი*, რომლის სახელი დიდხანს ერქვა სასამართლოს ქუჩას თბილისში, მთაწმინდაზე.

ზემოთმოყვანილ ვერც „სუბიექტურ" და ვერც „ობიექტურ" არგუმენტაციას დამაჯერებლად ვერ მივიჩნევთ. არც ე.წ. „სტალინის არმენოფობიას", არც ვითომდა „სომხეთის ბრიტანულ ორიენტაციას", არც დაშნაკთა აჯანყებას სერიოზული გავლენა არ მოუხდენიათ გასაბჭოებული სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო-ტერიტორიულ მოწყობაზე:

- სტალინის „ფობიებს" აშკარად აზვიადებენ. ის ზუსტად იმდენადვე იყო „არმენოფობი", რამდენადაც „ქართველოფობი", „თურქოფობი", „ჩეჩენოფობი", „პოლონოფობი" და ა. შ. გამორჩევით რომელიმე ერი მას არც სძულდა და არც უყვარდა. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას მან ეთნიკური რუსების გენოფონდის მეათედზე მეტი შესწირა და, მიუხედავად ამისა, რუსი ნაციონალისტები მას დღემდე აღმერთებენ. სტალინი, რასაკვირველია, დიქტატორი იყო, მაგრამ არა 1921 წელს, როდესაც კავკასიის საზღვრები იხაზებოდა. მისი აზრი იმ დროს მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არა გადამწყვეტი;
- დიდი ბრიტანეთი 1920 წლის შუაგულში რეგიონიდან გავიდა და სომხების დიდი ხვეწნის შემთხვევაშიც კი უკან არ დაბრუნდებოდა;
- „დაშნაკური სომხეთის პროიმპერიალისტურ და პრობრიტანულ განწყობას" ბოლშევიკებიცა და ქემალისტებიც მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნით ახსენებდნენ.

სინამდვილეში, გადამწყვეტი იყო *გეოპოლიტიკური გათვლა*. რუსეთს ნაკლებად სჭირდებოდა ანგარიშის გაწევა სომხეთისათვის, ვიდრე აზერბაიჯანისათვის, რომელიც მისთვის ნავთობის უმთავრესი მიმწოდებელი იყო. გარდა ამისა, კრემლში მიაჩნდათ, რომ კეთილგანწყობის გამოჩენა მუსლიმური ქვეყნის – აზერბაიჯანისადმი – მიმზიდველი გახდებოდა „მუსლიმური აღმოსავლეთის მშრომელებისათვის". სომხეთი კი პატარა ჩაკეტილი ქვეყანა იყო, ჰქონდა მწირი ბუნებრივი რესურსები და ცუდი ურთიერთობა თითქმის ყველა მეზობელთან.

კრემლი არ უწევდა ანგარიშს არც თბილისის პრეტენზიებს: გასაბჭოებული საქართველოც კი კრემლს „მეტისმეტად თავისუფლებისმოყვარული" ეჩვენებოდა და მის მაქსიმალურ დამორჩილებას ესწრაფოდა.

ამავე დროს, კრემლს სულაც არ უნდოდა, რომ სხვა ქვეყანას სამხრეთ კავკასიისათვის დიდი ნაწილები ჩამოეჭრა. სომეხი ისტორიკოსის *რემ კაზანჯიანის* მიერ მოპოვებული საარქივო მასალები მოწმობს, რომ კრემლი დიპლომატიური გზით ცდილობდა დაებრუნებინა თურქეთისაგან სამხრეთ კავკასიის იმ ტერიტორიის ნაწილი მაინც, რომელიც ქემალისტებმა სომხეთთან ომის შედეგად 1920 წელს დაიკავეს. 1921 წლის დასაწყისში არსებული რუსეთისათვის არახელსაყრელი საერთაშორისო და შიდა პოლიტიკური ვითარების გამო ვერ მოახერხა ბოლშევიკურმა რუსეთმა ტერიტორიულ დათმობაზე ქემალისტების დათანხმება. მათთან ომი კი რუსეთს იმ მომენტში არც ესაჭიროებოდა და არც შეეძლო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა სომხეთმა რუსეთის დახმარებით მიიღო (ან შეინარჩუნა) გარკვეული ტერიტორიები, რომლებზეც მის მეზობლებსაც ეჭირათ თვალი. ასე მაგალითად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მას ერგო ადრე ტფილისის გუბერნიაში შემავალი ლორეს დემილიტარიზებული ზონა, რომელზეც საბჭოთა საქართველოსაც ჰქონდა პრეტენზია, და ადრე ელისავეტპოლის გუბერნიაში შემავალი ყაზახისა და ზანგეზურის მაზრების დიდი ნაწილები, რომლებიც საბჭოთა აზერბაიჯანსაც უნდოდა. მართალია, ყარსის ოლქი, რომელიც 1878 წლამდე ოსმალეთს ეკუთვნოდა, ქემალისტებმა 1920 წელს ხელახლა დაიპყრეს, მაგრამ მისი მცირე ნაწილი – მდ. ახურიანის (არფა-ჩაის) სათავეები მიმდებარე ტერიტორიით (*ამასიის რაიონი*), სომხეთს დარჩა. მოსკოვის ხელშეკრულებით სომხეთს დაუბრუნდა თურქების მიერ 1920 წელს ოკუპირებული ქ. ალექსანდროპოლი (გიუმრი) და სამხრეთით მიმავალი რკინიგზის ხაზი მიმდებარე ტერიტორიითურთ, რომელიც 1920 წლის 2 დეკემბრის ალექსანდროპოლის კაბალური ხელშეკრულებით სომხეთისაგან თურქეთის კონტროლქვეშ უნდა გადასულიყო. საერთო ჯამში, მოსკოვის ხელშეკრულების დადებისას საბჭოთა დიპლომატიის ძალისხმევით ახალგასაბჭოებულ სომხეთს სახელმწიფო ტერიტორია თითქმის გაუორმაგდა:

ალექსანდროპოლის ხელშეკრულებით კი მას სულ ცოტა რამ რჩებოდა.

სულაც არ ვაპირებ იმდროინდელი საბჭოთა პოლიტიკის გამართლებას, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ *საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიულ კონფიგურაციას ხშირად განაპირობებდა* fait accompli [22], *შექმნილი პოლიტიკური რეალობები, რომელთა შეცვლაც ახალ სისხლისღვრას მოითხოვდა.*

ეს რეალობები კი ასეთი იყო:

- აზერბაიჯანელებმა, თურქი ოფიცრების დახმარებით, ჯერ კიდევ 1919 წელს ბრძოლით დაიკავეს *ნახჭევნის მაზრა* და *შარურ-დარალაგიოზის მაზრის* სამხრეთ ნაწილი (შარური) და თითქმის მთლიანად გაწმინდეს ისინი სომხებისგან. 1921 წლის მარტში მოსკოვში მოლაპარაკებისას თურქებმა კატეგორიულად მოითხოვეს და დაითანხმეს საბჭოთა რუსეთი ამ ტერიტორიის აზერბაიჯანისათვის დაქვემდებარებაზე *„მისი მესამე ქვეყნისათვის გადაცემის უფლების გარეშე“* (ნათელია, რომ „მესამე ქვეყანა“ მხოლოდ სომხეთი შეიძლებოდა ყოფილიყო). იქ შეიქმნა ნახჭევნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა – საბჭოთა აზერბაიჯანის პროტექტორატი (შემდგომში – ნახჭევნის ასსრ);
- სომხებმა 1918-1920 წლებში ბრძოლით დაიკავეს *ზანგეზურის მაზრის* დიდი ნაწილი და უმეტესწილად გაწმინდეს ის აზერბაიჯანელებისაგან; სომხეთის სსრ-ის შემადგენლობაში იქ ოთხი ადმინისტრაციული რაიონი შეიქმნა;
- ქემალისტური თურქეთი ომში გამარჯვების გზით დაეუფლა *ყარსის ოლქს, ერევნის გუბერნიის სურმალუს მაზრას*, რაც გააფორმა სომხეთთან 1920 წლის 2 დეკემბრის ალექსანდროპოლის ხელშეკრულებით და დაპყრობილს უომრად არ დათმობდა. ეს ტერიტორიები სომხური მოსახლეობისაგან გაიწმინდა. თურქეთმა ასევე დაიკავა იქამდე საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი *ართვინის ოკრუგი, არტაანი*. 1921 წლის მოსკოვის შეთანხმების თანახმად, თურქეთმა დაუბრუნა სომხეთს მის მიერ დაკავებული ქ. ალექსანდროპოლი მიმდებარე ტერიტორიითურთ და იქიდან ნახჭევნამდე მიმავალი რკინიგზის ხაზი. მაგრამ მეტი არაფერი დათმო, მაგალითად, არ დააბრუნა სურმალუს მაზრა, ცენტრით ქ. იღდირში, და მაზრის ტერიტორიაზე მდებარე არარატის მთა, რომელსაც სომხები დაბეჯითებით ითხოვდნენ;
- ბორჩალოს მაზრის ნაწილი, *ლორე*, 1918-21 წლებში საქართველოსა და სომხეთს შორის ნეიტრალური ზონა იყო. კრემლმა ის საბჭოთა სომხეთს მიაკუთვნა. შესაძლოა, ლორეს გადაცემა სომხეთისათვის ამ უკანასკნელის მიერ ყაზახის მაზრის დაბლობი ნაწილის, ქ. ყაზახითურთ,

[22] აღსრულებული საქმე (ფრ.). დიპლომატიაში – შეუქცევადი ფაქტი

აზერბაიჯანისათვის დაბრუნების კომპენსაცია იყო, თუმცა, სომხური ისტორიოგრაფია ამჯობინებს ამტკიცოს, თითქოს „საქართველოსათვის ლორეს [ჩამორთმევის] კომპენსაცია მისთვის ახალქალაქის მაზრის დატოვება იყო“;

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წელს სამხედრო ნაწილები გაგზავნა *ახალქალაქის მაზრაში*, რომელიც ისედაც შედიოდა ტფილისის გუბერნიაში. ეთნიკური წმენდა ამ მაზრაში არ მომხდარა. ეს პროვინცია ეკუთვნოდა როგორც მენშევიკურ, ისე საბჭოთა საქართველოს. ამჟამად ესაა საქართველოს ახალქალაქისა და ნინოწმინდის ადმინისტრაციული რაიონები;
- *ზაქათალის ოკრუგის* (საინგილოს) კუთვნილების რუსეთის არბიტრაჟის მეშვეობით დადგენას 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დანართით დათანხმდა ჯერ კიდევ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა. ქართველი კომუნისტების ნაწილის სუსტი პროტესტის მიუხედავად, რუსეთის კომუნისტური პარტიის *კავკასიის ბიურომ* ოკრუგი აზერბაიჯანს გადასცა. აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში ყოფილ ოკრუგში სამი ადმინისტრაციული რაიონი შეიქმნა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზაქათალის გადაცემა აზერბაიჯანისათვის ფარული პოლიტიკური გარიგების შედეგი იყო: სანაცვლოდ აზერბაიჯანი აღარ აცხადებდა პრეტენზიას *ბორჩალოს, თბილისისა და სიღნაღის მაზრების* აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე. არც საინგილოში და არც ბორჩალოში ეთნიკური წმენდა არ მომხდარა.

სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრების დადგენისას რუსეთი უპირველესად საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდა. მიუხედავად რიტორიკისა *„პროლეტარული რევოლუციის ექსპორტის“* შესახებ, ნათელი იყო, რომ ფაქტობრივად იმპერიული რუსეთის ახალი სახელით რეინკარნაცია ხდებოდა.

კრემლში სწრაფად გათვალეს, რომ *საბჭოთა რუსეთს მომავალში ისეთივე ინტერესები და საფრთხეები ექნებოდა, როგორიც ყოფილ რუსეთის იმპერიას.* ამიტომაც, ყველა სასაზღვრო ცვლილება ამ ინტერესებისა და საფრთხეების გათვალისწინებით მოხდა. სამხრეთ კავკასიაში შექმნილ სიტუაციას კრემლი უხამებდა, ან, თუ ამისი შესაძლებლობა უჩნდებოდა, უქვემდებარებდა, საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებს.

სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთს სამი ძირითადი გეოპოლიტიკური ინტერესი ამოძრავებდა:

- *კრემლს სჭირდებოდა ბაქო.* ნავთობის სხვა წყაროები იმდროინდელ რუსეთში უმნიშვნელო იყო, ვოლგისპირეთისა და ციმბირის საბადოები – ჯერ აღმოუჩენელი. სომხეთის გამო ის არ აპირებდა ურთიერთობის სერიოზულად გაფუჭებას ნავთობით მდიდარ აზერბაიჯანთან.

ამიტომაც კრემლში ერთგვარ კომპრომისად მიიჩნიეს *მთიანი ყარაბაღის დატოვება საბჭოთა აზერბაიჯანის შემადგენლობაში* და იქ ავტონომიური ოლქის შექმნა (იურიდიულად ეს 1923 წელს გაფორმდა), სადაც ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლებაში უმრავლესობა სომხებმა შეადგინეს.

• *კრემლს სჭირდებოდა ბათუმი.* თურქეთისათვის იმ გარკვეული ტერიტორიების (ართვინის ოკრუგი, არტაანი, ოლთისი) დათმობა, რომლებზეც საქართველო აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ რომლებიც რეალურად თურქეთს უკვე ხელთ ეპყრა, კრემლს საბაბს აძლევდა სანაცვლოდ მოეთხოვა ბათუმი და მიმდებარე რაიონი. იურიდიულად ეს გაფორმდა, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში.

• *კრემლს არ სჭირდებოდა, რომ ენობრივად მონათესავე თურქეთსა და აზერბაიჯანს საერთო საზღვარი ჰქონოდათ.* ამიტომაც სომხების მიერ დაკავებული ზანგეზური (სიუნიქი), რომელიც სოლივითაა ჩარჭობილი აზერბაიჯანსა და მის ექსკლავ ნახჭევანს შორის, სომხეთს დარჩა. 1920-იან წლებში ნახჭევანს თურქეთთან საერთო საზღვარი არ ჰქონდა. *ცხრა კილომეტრი სიგრძის საერთო საზღვარი თურქეთსა და ნახჭევანს მხოლოდ 1932 წელს გაუჩნდათ, როდესაც თურქეთმა სპარსეთს სასაზღვრო მონაკვეთები გაუცვალა.*

მართალია, კრემლს გარკვეულად უხდებოდა სამხრეთ კავკასიაში დაპირისპირებული ტერიტორიული ინტერესების ურთიერთმორიგება, მაგრამ ამ „მორიგებას" ის საკმაოდ მოხერხებულად იყენებდა თავისი გავლენის გასაძლიერებლად.

შუა აზიაში კი საბჭოთა რუსეთმა აგრესიულობით გადააჭარბა კიდეც რუსეთის იმპერიას, რომელიც პროტექტორატების მდგომარეობაში ინარჩუნებდა *ბუხარის საამიროსა* და *ხივის სახანოს* და ისინი გუბერნიებად არ უქცევია. 1920 წელს ბოლშევიკური არმიის მეთაურის *მიხაილ ფრუნზეს* მიერ ბუხარის სამდღიანი დაბომბვისა და მისი იერიშით აღების შემდეგ იქ ქლეტა, ძარცვა და ძალადობა გაჩაღდა. ადგილობრივი მუსლიმი მმართველების განდევნის შემდეგ შეიქმნა *ბუხარისა* და *ხორეზმის* (ხივის) *სახალხო საბჭოთა რესპუბლიკები*, რომლებიც რსფსრ-ს დაექვემდებარა. შემდგომში მათი ტერიტორია კრემლმა თვითნებურად გადაანაწილა – გადასცა ისინი ახალშექმნილ *უზბეკეთისა* და ცოტა მოგვიანებით – *ტაჯიკეთის* საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს ისე, რომ ტაჯიკები უზბეკეთშიც აღმოჩნდნენ, ხოლო უზბეკები – ტაჯიკეთში. საბჭოთა პერიოდში შუა აზიის რესპუბლიკები რუსეთის კოლონიური ექსპლუატაციის ობიექტებად იქცნენ.

სამხრეთ კავკასიის ავტონომიზაცია

საქართველოსათვის პოლიტიკურად განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მისი ნაწილების *ავტონომიზაცია*. საერთო ჯამში, საბჭოთა საქართველოს ტერიტორიის მეხუთედზე მეტი – 21,5 პროცენტი – თბილისისაგან სხვადასხვა დონის ავტონომიური უფლებებით გაიმიჯნა.

1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია ითვალისწინებდა ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური უფლებების მინიჭებას სოხუმის ოკრუგისათვის (აფხაზეთისათვის), ბათუმის ოლქისათვის (აჭარა) და ზაქათალის ოკრუგისათვის. როგორც ზევით ითქვა, ამ უკანასკნელს საბჭოთა აზერბაიჯანი თავის ნაწილად მიიჩნევდა და მალე *კავბიუროსაგან* ამის ოფიციალური დასტურიც მიიღო.

ეჭვგარეშეა, რომ მცირერიცხოვანი ეთნოსები იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ადმინისტრაციულ-კულტურულ ავტონომიას თავისი თვითმყოფადობის, ენისა და კულტურის შესანარჩუნებლად. ეს განსაკუთრებით ეხება აფხაზებს, რომელთა ერთადერთი საცხოვრისი სოხუმის ოკრუგი იყო და საქართველოს გარეთ სამშობლო მათ არ ჰქონდათ.

სამართლიანობა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ქადაგებდა, მოითხოვდა, რომ უფლებათა გადაცემა მცირე ეთნიკური ჯგუფებისათვის არ მომხდარიყო სხვა (ამ შემთხვევაში – ქართველი) ხალხის ძირეული უფლებების შელახვის ხარჯზე. მაგრამ უკვე 1921-1922 წლებშიც ნათელი იყო, რომ მცირე ეთნოსების უფლებათა დაცვით მანიპულირებას ახდენდა კრემლი, რომელსაც არ სჭირდებოდა უნიტარული, თუნდაც გასაბჭოებული, საქართველო და შეგნებულად ასუსტებდა მას პერიფერიების ავტონომიზაციის გზით. *საუკუნის შემდეგ კრემლის პოლიტიკა ამ საკითხში არ შეცვლილა. ის კიდევ უფრო რადიკალურიც კი გახდა.*

ამ მხრივ საინტერესოა, რომ 1990-იანი წლების დამდეგს, როდესაც გრიფი „საიდუმლო" მოეხსნა 70 წლის წინანდელ დოკუმენტებს, გაირკვა, რომ თბილისში საბჭოთა რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშე, ბოლშევიკების მხარეს გადასული მეფის გენერალი *პაველ სიტინი* 1921 წლის აპრილში დაწერილ მემორანდუმში კრემლს ასეთ რჩევას აძლევდა:

> „საჭიროა [უკვე გასაბჭოებულ: რ.გ.] საქართველოში რაც შეიძლება მეტი რუსეთზე დამოკიდებული პატარა ავტონომიური ერთეულის შექმნა, რათა ამ არასაიმედო ხალხს – ქართველებს, არ მივცეთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის განახლების საშუალება".

რკპ (ბ) პოლიტბიურო ხალისით ითვალისწინებდა ამგვარ რჩევებს თავისი კავკასიური პოლიტიკის გატარებისას. კრემლმა მართლაც წაახალისა სეპარატიზმი საქართველოში.

* * *

1921 წლის 4 მარტს სოხუმის ოკრუგის ბაზაზე შეიქმნა *აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა* (საერთო ფართობით 8,6 ათასი კვ. კილომეტრი), ანუ ნომინალურად საქართველოს სსრ-სთან გათანაბრებული პოლიტიკური ერთეული. უფრო მეტიც, საქართველოს ბოლშევიკურმა რევკომმა იმავე წლის 21 მაისს აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ ცნო.

კრემლში, როგორც ჩანს, მალე მიხვდნენ ზემოხსენებული ნაბიჯის არაადეკვატურობას, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოსაგან აფხაზეთის სრული ჩამოშორებით კრემლი კარგავდა საქართველოზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს.

რკპ (ბ)-ის პოლიტბიუროს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე, იმავე 1921 წლის 16 დეკემბერს თბილისსა და სოხუმს შორის დაიდო „სამოკავშირეო ხელშეკრულება“, რომლის ძალითაც აფხაზეთის სსრ შევიდა საქართველოს სსრ-ში, როგორც ე. წ. „*ხელშეკრულებითი რესპუბლიკა*“. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია მას განიხილავდა, როგორც *ფაქტობრივ ავტონომიას* საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

მაგრამ „ცალკე ყოფნის“ რამდენიმეთვიანი პრეცედენტი საკმარისი აღმოჩნდა, რომ აფხაზ ნაციონალისტებს ემტკიცებინათ (დღემდე ამტკიცებენ!), თითქოს „დამოუკიდებლობას“ ფლობდნენ, რომელიც მათ *ქართველმა სტალინმა* „წაართვა“ და მათი ქვეყანა საბჭოთა საქართველოს დაუქვემდებარა.

სტალინი მართლაც იყო ბევრი, შორსმიმავალი შედეგის მქონე, უარყოფითი ქმედების სულისჩამდგმელი, მაგრამ ფაქტია, რომ 1921 წელს კრემლის რეალური ხელმძღვანელი ლენინი იყო, ხოლო რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილების გარეშე მისი ერთ-ერთი წევრი რუსეთის ეროვნულ პოლიტიკას ვერ განახორციელებდა. თანაც ლენინის შემდეგ გავლენით მეორე პირი პოლიტბიუროში იმ დროს იყო ლევ ტროცკი, რომელსაც სტალინი ძალიან არ უყვარდა და მის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას დაბლოკავდა. სტალინის „ქართული ორიენტაციის“ არარსებობის შესახებ ზემოთ ითქვა. ხოლო ის, რომ ქართველი კომუნისტების გავლენიან ნაწილს, მათ შორის სერგო ორჯონიკიძეს, სრულებით არ ახასიათებდათ ქართული პატრიოტიზმი (მით უმეტეს – ნაციონალიზმი), ეს საყოველთაოდ ცნობილია. იმავე აფხაზეთის სსრ-ის შექმნა სწორედ ამ ქართველი კომუნისტების (*ორჯონიკიძე, ელიავა, ქავთარაძე, ტოროშელიძე* და სხვ.) „დამსახურება“ იყო.

თუკი აფხაზეთის სსრ-ის სტატუსის შეცვლა მართლაც სტალინის ინიციატივა იყო, ამ შემთხვევაში ის გამოდიოდა არა თავისი ქართველობიდან, არამედ საბჭოთა რუსეთის ინტერესებიდან. ძალიან მცირე ეთნოსისათვის „ცალკე

საბჭოთა რესპუბლიკის" შექმნა პრეცედენტი გახდებოდა საკუთრივ რსფსრ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები ბევრად უფრო დიდი ეთნოსების (მაგალითად, თათრების, ჩეჩნების, ბაშკირებისა და სხვათა) ანალოგიური მოთხოვნებისათვის.

1931 წელს თებერვლიდან *აფხაზეთის ხელშეკრულებითმა სსრ-მ* მიიღო თავისი რეალური სტატუსის შესაბამისი დასახელება *„აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა"* საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. მაგრამ აფხაზებმა ეს კიდევ ერთ დამცირებად მიიჩნიეს: მათი რესპუბლიკის ფორმალური სტატუსი დადაბლდა იმავე *„ქართველი სტალინის"* გამოისობით!

აფხაზები მცირერიცხოვანი და რეგიონში (მით უმეტეს – მსოფლიოში) არცთუ დიდად გამორჩეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მქონე ეთნოსია, თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ თვითმყოფადი კულტურა, მაგალითად, ფოლკლორი, მათ ისევე აქვთ, როგორც ნებისმიერ სხვა ეთნოსს. მათი ისტორია ნაკლებად იყო ფიქსირებული, ვიდრე, ვთქვათ, ქართველებისა და სომხებისა, იმიტომ, რომ აფხაზური დამწერლობა მხოლოდ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა; აფხაზური წერილობითი ლიტერატურა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა; აფხაზური წყაროების არარსებობის გამო მათი ისტორია XX საუკუნეში დაიწერა, უპირატესად ქართულ, ბერძნულ, სომხურ ირიბ წყაროებზე დაყრდნობით და მითოლოგიზებულ იქნა.

თითქოს ნათელი უნდა იყოს *დემოგრაფიული ლოგიკა*, რომ ეთნოსს, რომელიც იმ დროს 60 ათასზე ნაკლებ ადამიანს ითვლიდა, არ უნდა ჰქონოდა პრეტენზია „მოკავშირე რესპუბლიკის" სტატუსზე საბჭოთა კავშირში. თანაც აფხაზები თავისი განსახლების ტერიტორიაზე ოდნავ აჭარბებდნენ მოსახლეობის საერთო რაოდენობის მეოთხედს (26 პროცენტი – 1926 წლის აღწერით; შემდგომში ეს მაჩვენებელი უფრო შემცირდა და 1959 წელს 16 პროცენტამდე ჩამოვიდა, სხვა ეთნოსების, მათ შორის ქართველების, სომხების, რუსების ჩასახლების შედეგად).

აფხაზებმა კი გადაწყვიტეს, რომ 1931 წელს მათი ეროვნული თავმოყვარეობა შეილახა. მე ვამბობ *„აფხაზები"*, და არა *„ზოგიერთი ნაციონალისტურად განწყობილი პირი"*, როგორც საბჭოთა პერიოდში წერდნენ ხოლმე. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს აფხაზების საყოველთაო აზრად იქცა: მათი თაობები იზრდებოდნენ „ეროვნული დამცირების კომპლექსით", რაც კიდევ უფრო გააღვივა 1930-იანი წლების ბოლოდან და, განსაკუთრებით, 1940-იანი წლების მეორე ნახევარში მათი ქართველებთან კულტურული ასიმილაციის უაზრო და ტლანქმა მცდელობამ. ამით აფხაზების ნაციონალური კონსოლიდაციისათვის მნიშვნელოვანი ელემენტი – „მტრის ხატი" – კიდევ უფრო გამოიკვეთა და, სამწუხაროდ, ქართველებთან გაიგივდა. 1930-40-იანი წლებში აფხაზების

ასიმილაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები იმდროინდელი ქართველი კომუნისტი ლიდერების ბრალია. დღეს კი მათი ცოდვებისათვის ზღვევა გვიხდება.

აფხაზური ნაციონალიზმის თავისებურებების გაგებისას არ უნდა დაგვავიწყდეს ის უმძიმესი დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც ამ ხალხმა 1860-70-იანი წლების *„მუჰაჯირობის"* შედეგად მიიღო, როდესაც რუსეთის იმპერიამ აფხაზების დიდ ნაწილს ოსმალეთში წასასვლელად უბიძგა (ამაში ქართველებს ვერ დაადანაშაულებენ!). ამ ფაქტმა ეროვნული გადარჩენის ზემოტივაცია შეუქმნა მცირერიცხოვან ეთნოსს.

აფხაზები *გეოგრაფიულ მდებარეობას* უნდა უმადლოდნენ იმას, რომ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი პატარა ერი გახდნენ და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს ამჟამად მსოფლიო დონეზე არჩევენ.

განსხვავებით მათივე მონათესავე ადიღური ეთნოსებისაგან (მაგალითად, შაფსუღებისა და უბიხებისაგან), რომლებიც XIX საუკუნის რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ შავი ზღვის სანაპიროს მოაშორა (ამის გამო 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადა ჩატარდება რუსეთში და არა უბიხთა მიწაზე!), ანდა ოსმალეთის იმპერიაში განდევნა, აფხაზები ზღვისპირა ტერიტორიაზე დარჩნენ.

აფხაზეთი, სამხრეთ ყირიმთან ერთად, საბჭოთა კავშირში საუკეთესო საზღვაო კლიმატურ რესურსებს ფლობდა. ეს *გეოგრაფიული ფაქტორი აძლიერებდა (განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან) კრემლის ელიტის მისწრაფებას არ დაეშვა ამ ძვირფას რეგიონში ისეთი არარუსული ელემენტის, კერძოდ, ქართველების დომინაცია, რომლისგანაც მეტ კონკურენციას ელოდა.* გარდა ამისა, ზღვისპირა მდებარეობა მეტ საშუალებას იძლევა გარე კონტაქტებისათვის: ეს აფხაზ სეპარატისტებს განსაკუთრებით გამოადგებათ XX საუკუნის ბოლოდან.

აფხაზებისათვის საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა *გეოდემოგრაფიული ფაქტორიც.* მაშინ, როდესაც აფხაზების მონათესავე ჩრდილოკავკასიელ ადიღურ ეთნოსებს არცთუ უპრობლემო მეზობლობა უხდებათ რუს კაზაკებთან, ოსებთან ან თიურქულენოვან ხალხებთან (ბალყარელები, ყარაჩაელები), აფხაზებს მეზობლად ძირითადად ქართველი ერის მეგრულენოვანი სუბეთნოსი ჰყავთ. ამ უკანასკნელთან შერევა უფრო ხშირად აფხაზური ეთნიკური იდენტობის სასარგებლოდ წყდებოდა, რამდენადაც საბჭოთა პერიოდში ეს კარიერული ზრდისა და, შესაბამისად, მატერიალური კეთილდღეობისათვის ხელსაყრელი იყო. ასეთი დემოგრაფიული პროცესები აფხაზი ერის ფიზიკურ შენარჩუნებასაც უწყობდა ხელს.

ეთნიკური აფხაზი და – არანაკლებ, გააფხაზებული ელემენტი მშვენივრად მოერგო საბჭოთა კავშირში 1920-იანი წლებიდან მიმდინარე ე.წ. *„კორენიზაციის"* პოლიტიკას (ტერმინი მომდინარეობს სიტყვებიდან коренное население,

„მკვიდრი მოსახლეობა“) და „თბილ ადგილებზე“ დამკვიდრდა. *„კორენიზაციის“* პოლიტიკა შედარებით ჩამორჩენილ მოკავშირე/ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში ადგილობრივი ეთნიკური კადრებისაგან საბჭოთა ბიუროკრატიის ჩამოყალიბებას გულისხმობდა. ეთნიკურმა აფხაზებმა „კორენიზაციის“ პოლიტიკით სარგებელი ნახეს. არანაკლებ ისარგებლეს ამით გააფხაზებულმა ქართველებმა: როგორც ცნობილია, ნეოფიტები („ახალმოქცეულები“) ყველაზე თავგამოდებით იცავენ ხოლმე ახალ იდენტობას და ახალმოპოვებულ პრივილეგიებს.

XX საუკუნის ბოლო დეკადაში აფხაზები თავიანთ მოსკოველ მრჩევლებთან ერთად მოხერხებულად გამოიყენებენ საქართველოში შექმნილ ურთულეს შიდაპოლიტიკურ ვითარებას და ჩრდილოკავკასიელი მთიელებისა და რუსული არმიის დახმარებით უდიდეს პრობლემას შეუქმნიან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

* * *

1921 წლის ივნისში შეიქმნა *აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა*, საერთო ფართობით 3 ათასი კვ. კილომეტრი. ეს აქტი ძირითადად საგარეო პოლიტიკური ფაქტორით იყო განპირობებული. 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმებით თურქეთი საბჭოთა საქართველოს სასარგებლოდ უარს ამბობდა თავის პრეტენზიაზე ბათუმისა და მისი ოლქის მიმართ ამ უკანასკნელისათვის ადმინისტრაციული ავტონომიის მინიჭების პირობით. ფაქტობრივად, კრემლი თავის საკუთრებად იტოვებდა ბათუმს.

აჭარა-ქობულეთის მოსახლეობას, წინა ორი-სამი საუკუნის განმავლობაში განცდილი ისლამიზაციის მიუხედავად, არ დაუკარგავს ქართული ენა და მნიშვნელოვანწილად შეინარჩუნა ქართული თვითშეგნება (განსხვავებით გამუსლიმებული მესხებისა და ჯავახების უმრავლესობისაგან). ამიტომაც, ავტონომიური ერთეულის შექმნის მიუხედავად, აჭარის მუსლიმი ქართველები საკმაოდ სწრაფად ხელახლა ეზიარნენ საერთოქართულ იდენტობას. ამის ერთერთი გარეგნული დადასტურებაა, რომ ისლამიზებული საკუთარი სახელების ნაცვლად საერთოქართულმა სახელებმა დაიწყო დამკვიდრება: ზია – ზურაბი გახდა, ალი – ალექსანდრე, ახმედი – ამირანი და ა.შ.

მაგრამ ის, რომ აჭარის ავტონომია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საშიში ფაქტორი იყო, ნათლად დაადასტურა 1991-2004 წლებში ბათუმში მოკალათებულმა ლოკალურმა დიქტატურამ. 2000-იანი წლების საქართველოს მთავრობის „ლიბერალური“ (სინამდვილეში – დაუდევარი) პოლიტიკის წყალობით, ისლამი რენესანსს განიცდის აჭარაში, განსაკუთრებით მის მთიან რაიონებში (ძირითადად ხულო, აგრეთვე შუახევი და სხვა რაიონები). ბევრ იქაურ ახალგაზრდას უფასო რელიგიური (ისლამური)

განათლების მისაღებად ოჯახი თურქეთში აგზავნის. იქიდან კი ქართველი ხოჯა-მოლები გვიბრუნდებიან.

* * *

1922 წელს, ძირითადად შიდა ქართლისა და, ნაწილობრივ, რაჭის ტერიტორიაზე შეიქმნა *სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი*. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ოსური სეპარატიზმი აფხაზურზე არანაკლებ, შეიძლება ითქვას, მეტ სირთულესაც კი უქმნიდა თბილისის მთავრობას.

ოსი გლეხები გვიან შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით, ქართლის სამეფოს არსებობის პერიოდში, მასობრივად გადმოდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან ქედის სამხრეთ ფერდობზე, შიდა ქართლის (ნაწილობრივ, რაჭის) ტერიტორიაზე. ქართველ თავადებს ხელს აძლევდა უმიწაწყლო მუშახელის *ხიზნების* სახით თავის მამულში მიღება.

ბატონსა და გლეხს შორის, ბუნებრივია, წარმოიშობოდა გარკვეული სოციალური ანტაგონიზმი. 1917 წლის რუსული რევოლუციების შემდეგ კლასობრივმა კონფლიქტმა ოსთა განსახლების არეალში ეთნიკური შეფერილობა შეიძინა. „ექსპლუატატორებს", ანუ ქართველ მემამულეებს დაუპირისპირდა „ექსპლუატირებული პროლეტარიატი", ანუ ოსი გლეხობა, რომლისთვისაც ბოლშევიკური იდეების განხორციელება ეკონომიკურადაც ხელსაყრელი გახდა (გავიხსენოთ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები") და ბოლშევიკების მიერვე მხარდაჭერილ *ოსურ ნაციონალურ იდეასაც* დაემთხვა: ეს იყო რსფსრ-ის შემადგენლობაში კავკასიონის ქედის ორივე მხარეს ერთიანი ოსეთის შექმნა.

პირიქითა ოსებს, როგორც ჩრდილო კავკასიის ეთნოსებს შორის ენობრივად და რელიგიურად ყველაზე განსხვავებულ ელემენტს (ინდოევროპული ენა და ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანობა დანარჩენი ეთნოსების კავკასიურ- ან თიურქულენოვნებისა და ისლამის ფონზე), საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ რუსებთან, როგორც „წითლებთან", ისე „თეთრებთან". საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად იმატა რუსი ბოლშევიკების მიერ საქართველოში მცხოვრები ოსების ნაქეზებამ, რათა ამ უკანასკნელთ მოეთხოვათ გაერთიანება ერთ „ოსურ საბჭოთა რესპუბლიკაში", რომელიც, ბუნებრივია, საბჭოთა რუსეთს დაექვემდებარებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ლოგიკურად შეეძლო მიეჩნია ეს მოთხოვნა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობად. მენშევიკურ მთავრობას იარაღის გამოყენებით მოუხდა ჯავის რაიონის ოსთა პრობოლშევიკური აჯანყების ჩაქრობა, რაც ამ მცირე ეთნოსისათვის საკმაოდ მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმა იყო. ბევრი მეამბოხე

გაიქცა კავკასიონს გადაღმა, მაგრამ ოსების ეთნიკური წმენდა არ მომხდარა, რასაც XXI საუკუნის დამდეგს კრემლის მიერ ინსპირირებული პირები საქართველოს აბრალებენ. ეს ბრალდება ლოგიკას მოკლებულია: როგორ იქცნენ ოსები არასრული საუკუნის განმავლობაში აბსოლუტურ უმრავლესობად XX საუკუნის დასაწყისში სრულებით არაოსურ ქალაქ ცხინვალში, თუკი მოხდა მათი დიდი ნაწილის ეთნიკური ნიშნით განდევნა-განადგურება?

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ოსი ბოლშევიკები მოითხოვდნენ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის გაღებული მსხვერპლის" კომპენსირებას შიდა ქართლის საგრძნობი ნაწილის ოსურ ავტონომიად გადაქცევის გზით: გარდა იმ ტერიტორიისა, რომელიც მათ რეალურად გადაეცათ, ისინი ითხოვდნენ დღევანდელი ბორჯომისა და ქარელის რაიონებსაც, სადაც ოსური სოფლები ქართულ სოფლებს შორისაა გაბნეული.

ოსი ბოლშევიკების მაქსიმალისტური მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაგრამ შიდა ქართლისა და რაჭის მიწაზე, 3,4 ათას კვ. კილომეტრზე, რაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის 5,4 პროცენტზე მეტია, სადაც ოსური და ქართული მოსახლეობა შერეულად ცხოვრობდა, კრემლმა მაინც შექმნა *სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი*. ცენტრად მას გადაეცა ქართლის დაბა ცხინვალი, სადაც მაშინ თითქმის მთელ მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველები და ქართულენოვანი ებრაელები და სომხები. ცხინვალი ქალაქად გარდაიქმნა და 1934-1961 წლებში ატარებდა ოსურ სახელს – *„სტალინირ"*. XX საუკუნის განმავლობაში ცხინვალში მასობრივად სახლდებოდნენ ოსები, რომელთაც საუკუნის ბოლომდე იქ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შექმნეს, სხვა ეთნოსებმა კი ქალაქი თანდათან დატოვეს.

საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად *ავტონომიური ოლქი* სტატუსით ნაკლები იყო *ავტონომიურ რესპუბლიკაზე*: ის ფლობდა ადმინისტრაციულ ავტონომიას, მაგრამ პოლიტიკურს – არა. ასე მაგალითად, ოლქის მთავარ ქალაქს ერქვა „ცენტრი" და არა „დედაქალაქი"; მის „პარლამენტს" ერქვა „საოლქო საბჭო" და არა „უმაღლესი საბჭო", როგორც ავტონომიურ რესპუბლიკებში.

საბჭოთა პერიოდში ქართულ საზოგადოებას შეექმნა *ილუზია*, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უპრობლემო ერთეულია, სადაც ქართველები და ოსები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. მართლაც, ბევრი იყო შერეული ქორწინება, ნათელ-მირონი, ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში მცხოვრებ ოსებსა და ქართველებს შორის.

მაგრამ ეს *სახიფათო ილუზია* აღმოჩნდა. უბრალოდ, ჯერ არ იყო გაყვანილი კავკასიონის ქედის ორი მხარის შემაერთებელი *როკის გვირაბი*, რომლის მშენებლობას, საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის სუსტი წინააღმდეგობის მიუხედავად, კრემლი თურმე 1971 წლიდან „სტრატეგიული მიზნით" აწარმოებდა. ამ მშენებლობის ლობირებას მოსკოვში ახდენდნენ

ოსური წარმოშობის საბჭოთა გენერლები.

როკის გვირაბის მშენებლობის აფიშირება არ ხდებოდა. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, გორბაჩოვისეული „პერესტროიკის" დროს, კრემლმა დააჩქარა მშენებლობა და 1988 წლის სექტემბერში საზეიმოდ გახსნა გვირაბი, სწორედ იმ დროისათვის, როდესაც თავი წამოაყოფინა სამხრეთელი ოსების ხელახალ მოთხოვნას ჩრდილოეთ ოსეთთან, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, გაერთიანების შესახებ. უდავოა, ეს იყო კრემლში დაგეგმილი ოპერაცია დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებული საქართველოს წინააღმდეგ. როკის გვირაბის არსებობა უკეთეს პირობებს უქმნიდა კრემლს თავისი პოლიტიკური მანიპულაციისათვის.

ქართველებს არაფერი ჰქონდათ და აქვთ საწინააღმდეგო ოსური კულტურის, ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართ არც ჩრდილოეთ კავკასიაში და არც საქართველოში – კავკასიონის ქედის სამხრეთით. რეალურად, ოსური ენა და კულტურა უკეთესადაც იქნა შენარჩუნებული საქართველოს ტერიტორიაზე, ვიდრე რუსეთში, სადაც ოსური სკოლა საბჭოთა პერიოდში თითო-ოროლა იყო და რუსიფიკაცია სწრაფად მიმდინარეობდა. მაგრამ ფაქტია, რომ იმპერია იყენებდა და დღემდე ცდილობს გამოიყენოს სამხრეთელი ოსები ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საწინააღმდეგოდ.

1987 წელს ორი ოსი მეცნიერი (ერთი მათგანი – *ახსარბეკ გალა ზოვი* – მალე გახდება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიის „ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის" პრეზიდენტი) წერდა, რომ XIX საუკუნეში ოსური ანბანის ქართული გრაფიკიდან რუსულზე გადაყვანა განპირობებული იყო მხოლოდ იმით, რომ

> „ცარიზმს არ უნდოდა სამხრეთელი ოსები მთლიანად გათქვეფილიყვნენ ქართველებში. სამხრეთ ოსეთი უნდა შენარჩუნებულიყო, როგორც საიმედო პლაცდარმი, საიდანაც შეიძლებოდა, საჭიროების შემთხვევაში, ჯიუტ ქართველ მმართველებზე სათანადო ზეწოლის მოხდენა".

იმავე მიზნით XX საუკუნის მესამე დეკადაში კრემლმა (წარმოშობით ქართველი ჯუღაშვილის ხელით) შექმნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ავტონომია, ხოლო იმავე საუკუნის ბოლო დეკადებში როკის გვირაბით რუსეთთან სატრანსპორტო კავშირიც შეუქმნა. კრემლმა მოახერხა ოსური ნაციონალიზმის პოლიტიკურ ფენომენად ქცევა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მისი დარაზმვა.

* * *

ავტონომიზაცია აზერბაიჯანსაც შეეხო. სომხეთის სსრ-სთან დიდი დავის შემდეგ 1923 წლის 7 იელისს აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში დაარსდა ადმინისტრაციული ერთეული – *მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი*, საერთო ფართობით 4388 კვ. კმ, რომელიც 65 წლის შემდეგ სომხეთის სსრ-სთან მიერთების მოთხოვნით ფაქტობრივად საფუძველს ჩაუყრის საბჭოთა კავშირის რღვევას.

ეს ავტონომიური ოლქი საგანგებოდ შემოისაზღვრა ისე, რომ მას არ ჰქონოდა საერთო საზღვარი სომხეთთან. ბუფერული ზონა სომხეთის სსრ-სა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქს შორის 1923-1929 წლებში აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფი *ქურთისტანის ნაციონალური მაზრის („წითელი ქურთისტანის")* სახელს ატარებდა. მის ცენტრად იქცა დაბა (ახლა – ქალაქი) *ლაჩინი*. მოსახლეობის ნაწილი ამ მაზრაში მართლაც ქურთი იყო. 1929 წლის შემდეგ ამ ავტონომიური მაზრის ადგილზე აზერბაიჯანის სსრ-ის ქელბაჯარისა და ლაჩინის ადმინისტრაციული რაიონები შეიქმნა. ქურთების ნაწილი თანდათან შეერწყა აზერბაიჯანელებს, ერთი ნაწილი კი 1940-იან წლებში ყაზახეთში გადაასახლეს.

ნახჭევნის ექსკლავის ტერიტორიაზე, საერთო ფართობით 5363 კვ. კმ, დაარსდა „*აზერბაიჯანის სსრ-ის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ნახჭევნის სსრ*", რომელიც 1931 წლიდან გადაკეთდა ნახჭევნის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ეს იმავე წელს მოხდა, როდესაც „აფხაზეთის შეთანხმებითი სსრ" გადაკეთდა „აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად", ანუ აფხაზეთის „სტატუსის დადაბლება" არ წარმოადგენდა რაღაც გამონაკლისს სახელმწიფო მშენებლობის საბჭოთა პრაქტიკაში[23].

ფედერალიზაცია, „ნაციონალ-უკლონიზმი", საბჭოთა კავშირის შექმნა

1918 წლის გაზაფხულზე სულ ერთი თვის განმავლობაში არსებული *ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის* შექმნის თავდაპირველი მიზანი თეორიულად სავსებით ლოგიკური ჩანდა: ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით სუსტი სამი ერი, ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, რომელთაც ერთი ცენტრიდან, თბილისიდან, მართვის ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდათ, აცხადებდნენ მზადყოფნას ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილი დაეთმოთ და

[23] ასე მაგალითად, კარელია-ფინეთის სსრ, რომელიც 1940-1956 წლებში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო, შემდეგში კრემლმა რუსეთის ფედერაციის კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკად გადააკეთა.

ერთად შეექმნათ საშუალო სიძლიერის მქონე სახელმწიფო. მაგრამ, როდესაც თვალნათელი გახდა მანამდეც ცნობილი პრობლემა, რომ ფედერაციის სამი შემადგენელი ნაწილი ვერასოდეს გამონახავს საერთო ენას და თითოეული მათგანის ეროვნული ინტერესები, უპირველესად ტერიტორიული პრეტენზიები, წინააღმდეგობაში მოვა სხვების ინტერესებთან, ფედერაცია დაიშალა.

სამხრეთ კავკასია ვერ გამოდგა შვეიცარია!

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკებს ისევ რჩებოდათ ერთმანეთთან გადაუჭრელი პრობლემები, 1922 წელს კრემლის ზეწოლით, რომელიც რეგიონში უზენაეს ძალად იქცა, ისევ შეიქმნა ანალოგიური ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნარმონაქმნი, სახელად *ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (ა/კსფსრ)*. ის მოიცავდა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს. ფედერაციის შექმნა ოფიციალურად 1922 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა (წინასწარი „სამოკავშირეო ხელშეკრულება" იმავე წლის 12 მარტს დაიდო).

1923 წლის 23 აპრილს სრულიად საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის XII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში „პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში ნაციონალური მომენტების შესახებ" სტალინი ამიერკავკასიის ფედერალიზაციის მიზეზად სავსებით ღიად აცხადებდა, იგი საჭირო იყო იმისთვის, რომ საქართველოს ვერ გამოეყენებინა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა და ქართველები რეგიონის „პრივილეგირებული ერი" არ გამხდარიყვნენ.

სტალინი თავის მოხსენებაში მძაფრად უტევდა „რუსულ დიდმპყრობელურ შოვინიზმს" და, ალბათ, იმისათვისაც, რომ ყრილობის დელეგატების თვალში დიდ ინტერნაციონალისტად წარმოჩენილიყო, ასევე უტევდა „ქართულ შოვინიზმს", რომელსაც ახლა უკვე ქართველი კომუნისტები განასახიერებდნენ (მენშევიკები ორი წელი იყო, რაც წავიდნენ). სტალინის განცხადებით, „*საქართველოში მოსახლეობის 30 პროცენტი არაქართველია – სომხები, აფხაზები, აჭარლები* [?!], *ოსები, თათრები*" [იგულისხმებოდნენ აზერბაიჯანელები და მესხეთელი მუსლიმები: რ.გ.].

სტალინი ბობოქრობდა:

> „ქართველი კომუნისტების ნაწილს გაუჩნდა აზრი – არ არის საჭირო ანგარიში გავუწიოთ ამ წვრილ ეროვნებებს: ისინი ნაკლებ კულტურული არიანო, ნაკლებ განვითარებული, და ამიტომ, შეიძლება, რომ მათ ყურადღება არ მივაქციოთო. ეს შოვინიზმია – მავნე და სახიფათო შოვინიზმი".

სტალინის თქმით, თბილისში მოსახლეობის უმეტესობა სომხობა იყო (რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა) და საჭირო იყო მათზე ზრუნვა, რათა „რეგულირების დეკრეტის" მეშვეობით ისინი „*ქართველებმა არ გადააადგილონ*", ისე, რომ უმრავლესობა ქალაქში ქართველობა გახდეს-ო. ქართული ნაციონალ-

იზმის კრიტიკის კონტექსტში სტალინი იხსენებდა „საქართველო-სომხეთის ომს", რომელსაც, სრულებით უსამართლოდ, ქართველებს აბრალებდა.

იმავე მოხსენებაში სტალინმა რამდენჯერმე „ბუხარულ და ხორეზმულ" (ორივე შემთხვევაში *უზბეკები* იგულისხმებოდნენ) და აზერბაიჯანულ ნაციონალიზმსაც გაჰკრა კბილი. მოხსენებაში მას სიტყვა არ დასცდენია არც „სომხურ ნაციონალიზმზე" (თუმცა კამათის დროს გაკვრით ისიც ახსენა) და არც ის უხსენებია, რომ მსოფლიო ომის წლებში თბილისში სომხების რაოდენობის უპრეცედენტო ზრდა მოხდა იმის გამო, რომ ისინი ოსმალეთში ჟლეტას გამოექცნენ.


საბჭოთა ამიერკავკასიაში ფედერაციის შექმნა შედიოდა კრემლის ინტერესებში რომაული ლოზუნგის – „გათიშე და იბატონე!" – განხორციელების მიზნით. გარეგნულად ეს პოლიტიკური ნაბიჯი თითქოს ზუსტად საწინააღმდეგო იყო – გათიშვის ნაცვლად სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს აერთიანებდნენ. მაგრამ სინამდვილეში ეთნიკური წინააღმდეგობები, რომლებიც თიშავდა ამ ხალხებს, იმდენად კონცენტრირებული ხდებოდა, რომ ყველა სერიოზული გადაწყვეტილება მოსკოვში, ან მოსკოვიდან გამოგზავნილი ემისრების მიერ უნდა ყოფილიყო მიღებული. ფედერაციის სამუშაო ორგანოების ენა აუცილებლად რუსული იქნებოდა, რადგან არც ქართული, არც სომხური და არც აზერბაიჯანული ენა რეგიონში არ დომინირებდა. ეს ყველაფერი კი ნიშნავდა ზემოხსენებული იმპერიული ლოზუნგის ცხოვრებაში რეალურად გატარებას.

ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში (ა/კსფსრ) 1922 წელს შესული სამი რესპუბლიკა, მათთვის თავს მოხვეული შეთანხმებით, ფედერაციის აღმასრულებელ ორგანოებს გადასცემდა თავის უფლებამოსილებას საგარეო პოლიტიკის, სამხედრო საქმეების, ფინანსების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროებში. რესპუბლიკების აღმასრულებელ ორგანოებს ცოტა რამ რჩებოდათ – შინაგანი საქმეები, ეკონომიკის ნაწილი, განათლება, კულტურა...

ცოტა ხანში გაერთიანების იგივე მოდელი გამოიყენეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისას: ა/კსფსრ გადასცემდა საკავშირო მთავრობას საგარეო პოლიტიკის, სამხედრო საქმის, ფინანსების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის გაძღოლას და ა.შ. ამიერკავკასიის ფედერაციის წევრი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების გამგებლობაში თითქმის აღარაფერი რჩებოდა.

ნახ. 10.1-ზე ნაჩვენებია ა/კსფსრ-ს შემადგენელი სამი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მათში შემავალი ავტონომიური ერთეულების საზღვრები. 1923 წელი იმიტომ ავიღე, რომ ამ წელს პრაქტიკულად დასრულდა ის ტერიტორიული გამიჯვნა რეგიონში, რომელმაც თითქმის შვიდი ათეული წელი,

1990-იანი წლების დამდეგამდე იარსება გარკვეული (მაგრამ არა რესპუბლიკათაშორისი საზღვრების) მოდიფიკაციით: იგულისხმება 1931 წელს *აფხაზეთის სსრ*-ის და *ნახჭევნის სსრ*-ის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად გარდაქმნა და 1936 წელს *ამიერკავკასიის ფედერაციის* დაშლა.



ნახ. 10.1. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შიდა საზღვრები (1923 წლისათვის)

1922 წელს მოსკოვში ერთხანს ტრიალებდა იდეა, რომ ყველა რესპუბლიკა შესულიყო რუსეთის ფედერაციაში ავტონომიის საფუძველზე. რუსი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ყველაზე მეტად ასეთი სახის „ავტონომიზაციას" მხარს უჭერდნენ, მათივე ტერმინით *„რუსაპეტები"* – არარუსი ბოლშევიკები, უპირველესად სტალინი, ორჯონიკიძე, ძერჟინსკი.

ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" სტალინს შეეწინააღმდეგნენ „ავტონომიზაციის" საქმეშიც და მოულოდნელი მხარდაჭერა მიიღეს საბჭოთა რუსეთის რეალური ლიდერის, ლენინის, მხრიდან. ლენინს, ერთი მხრივ, არ სჭირდებოდა უკმაყოფილების კერა კავკასიაში, მეორე მხრივ კი, აშინებდა სტალინის აღზევება.

არ უნდა იყოს სწორი მოსაზრება, თითქოს ეს წინააღმდეგობა სტალინსა და ლენინს შორის წინასწარ დაგეგმილი ფარსი იყო. ლენინი მძიმედ იყო ავად, ფარსის თამაშის თავი მას არ უნდა ჰქონოდა. მას მართლაც აღარ მოსწონდა სტალინი, რაც მისწერა კიდეც კომუნისტური პარტიის მორიგ ყრილობას, რომელსაც პირადად ვეღარ დაესწრო.

საბჭოთა პერიოდის ამიერკავკასიის ფედერალიზაციის იდეის ავტორებს იმდენად რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა არ აინტერესებდათ, რასაც ცრუარგუმენტად იყენებდნენ, რამდენადაც პოლიტიკური მიზნები ჰქონდათ: ფედერალიზაციის გზით კრემლს უნდოდა თავიდან აეცილებინა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი კომუნისტების შესაბამის ეროვნულ ძალად მოსალოდნელი გარდაქმნა. მოსკოვისათვის ეს სავსებით რეალური საფრთხე იყო.

სტალინი არ ენდობოდა უპირველესად თავის ძველ პარტიულ ამხანაგებს – ქართველ კომუნისტებს. ამის კონკრეტული გამოვლინება მისთვის აღმოჩნდა ქართველი კომუნისტების ე.წ. *„ნაციონალ-უკლონიზმი“* (ნაციონალური გადახრა).

სწორედ იმ პირების გავლენიანი ჯგუფი (მათ შორის იყვნენ *ბუდუ მდივანი, ფილიპე მახარაძე, კოტე ცინცაძე, მიხეილ ოკუჯავა* და რამდენიმე სხვა), რომელიც საქართველოს გასაბჭოების მიზნით 1921 წლის დამდეგს წითელ არმიას თბილისში შემოუძღვა და, სავსებით სამართლიანად, ერის მოღალატედ უნდა შერაცხულიყო, საკმაოდ აქტიურად შეეწინააღმდეგა იდეას, რომ სამხრეთ კავკასიის ახალგასაბჭოებული რესპუბლიკები საბჭოთა კავშირში ფედერაციის სახით შესულიყვნენ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას და ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის მინიჭება შეცდომა იქნებოდა.

„ნაციონალ-უკლონისტები“ *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის* შექმნის წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ, იმავე სტალინისა და ორჯონიკიძისაგან განსხვავებით, ერთგვარად მაინც აწუხებდათ ქართული ეროვნული ინტერესები: თუ საქართველოს კვაზი-დამოუკიდებლობის, თუნდაც გასაბჭოებული სახით, შენარჩუნება ვერ ხერხდებოდა, ისინი სსრ კავშირში საქართველოს უშუალო წევრობას ამჯობინებდნენ.

სტალინმა თავისი მაინც გაიტანა: საქართველოს ავტონომიზაცია მოხდა და ამიერკავკასიის ფედერაციაც შეიქმნა. მაგრამ მომავალმა ბელადმა გულში ბოღმა ჩაიტოვა და 1936-37 წლებში „ნაციონალ-უკლონისტების“ უმეტესობა დახვრიტა, როგორც „კონტრრევოლუციონერები და იმპერიალიზმის აგენტები“.

1922 წლის 30 დეკემბერს *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი* (სსრკ) შეიქმნა ოთხმა პოლიტიკურმა სუბიექტმა: რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ (რსფსრ), უკრაინის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ (უკრ. სსრ), ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ (ბსსრ) და ამიერკავკასიის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ (ა/კსფსრ). თითოეულმა მათგანმა ნომინალური საერთაშორისო სტატუსი დაკარგა.

1936 წელს, როდესაც საბჭოთა რეჟიმის მარადიულობა უკვე ეჭვს აღარ

ინვევდა, მოსკოვიდან მიღებული დირექტივის თანახმად ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა. მასში შემავალი სამი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა – *აზერბაიჯანი, საქართველო* და *სომხეთი*, რომლებიც ველარ შეუქმნიდა სეცესიონიზმის (გამოყოფის) საფრთხეს გამყარებულ ტოტალიტარულ რეჟიმს, 1936 წლიდან „მოკავშირე რესპუბლიკებად" იქცა *რსფსრ-ს, უკრაინასა* და *ბელორუსიასთან* ერთად.

რამდენადაც შუა აზიასა და ყაზახეთში იმ დროისათვის ხუთი მოკავშირე რესპუბლიკა ჩამოყალიბდა (*ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი* და *ყირგიზეთი*), სულ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 11 მოკავშირე რესპუბლიკა აღმოჩნდა. 1940 წელს საბჭოთა კავშირს შეემატა ახალდაპყრობილი *მოლდოვა, ლიტვა, ლატვია* და *ესტონეთი*. საბჭოთა კავშირი 15 მოკავშირე რესპუბლიკას აერთიანებდა.

1936 წლის საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას ეძლეოდა კავშირიდან „თავისუფალი გასვლის უფლება". 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუციაშიც ეს მუხლი შენარჩუნდა. სინამდვილეში ეს მხოლოდ თეორიული უფლება იყო: არ არსებობდა კავშირის დატოვების არავითარი იურიდიული მექანიზმი. სტალინის დროს ვერც ვერავინ გაბედავდა მოეთხოვა ასეთი მექანიზმის შემუშავება და, მით უმეტეს, მისი ამუშავება.

კავშირიდან „თავისუფალი გასვლის" მექანიზმი შემუშავდა მხოლოდ 1990 წლის მარტში საბჭოთა კავშირის პირველ (და უკანასკნელ) პრეზიდენტ *მიხაილ სერგეევიჩ გორბაჩოვის* მეთაურობით, მაგრამ ისეთი ფორმულირებებით, რომ საბჭოთა კავშირიდან გასვლა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

საბედნიეროდ, საბჭოთა კავშირის დაშლა ამ მექანიზმის შესაბამისად არ მომხდარა. 1991 წლის ბოლოს მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა კავშირიდან „თავისუფალი გასვლის უფლება" პრაქტიკულად, გორბაჩოვისეული კანონის გვერდის ავლით. პარადოქსია, მაგრამ საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებით პირველად ისარგებლეს რუსეთმა, უკრაინამ და ბელორუსიამ, რომელთაც 1991 წელს უსისხლოდ დაშალეს კიდეც საბჭოეთის იმპერია!

თავი 11

ლენინ-სტალინის ეპოქა

ბოლშევიკური რევოლუცია და მარქსიზმის რევიზია

პირველმა მსოფლიო ომმა აჩვენა, რომ რომანოვების იმპერია ძირგამომპალი იყო. მაგრამ 1917 წლის ნოემბრისათვის, როდესაც ბოლშევიკებმა ხელში აიღეს ძალაუფლება, რომანოვთა დინასტია ქვეყანას აღარ მართავდა. 1918 წლის ზაფხულში კი ახალი ხელისუფლების (განსაკუთრებით აქტიურობდა იაკოვ *სვერდლოვი*) მითითებით, მთელი სამეფო ოჯახი ამოწყვიტეს, გოგონებიც კი არ დაინდეს.

მსოფლიო ომმა გამოიწვია ხელისუფლების უმძაფრესი კრიზისი რუსეთში. 1917 წელს იქ ორი რევოლუცია მოხდა.

თებერვლის რევოლუციაზე ზემოთ უკვე ითქვა. 7 ნოემბრის (ძველი სტილით – 25 ოქტომბრის) რევოლუციას თვით მისი მომხდენი ბოლშევიკები თავიდან „გადატრიალებას“ უწოდებდნენ. მხოლოდ მოგვიანებით დაარქვეს მას *„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“.*

არსებობს ტენდენცია, რომ 7 ნოემბერს პეტროგრადში ხელისუფლების შეცვლის აქტს, რომელიც ძალადობრივად, მაგრამ თითქმის უსისხლოდ მოხდა (დაიღუპა სულ ექვსი ჯარისკაცი; თებერვლის რევოლუციას კი პეტროგრადში 169 ადამიანი შეეწირა), *გადატრიალება* უწოდონ მხოლოდ იმისათვის, რომ მისი მნიშვნელობა დააკნინონ. თითქოს „რევოლუცია“ ყოველთვის რაღაც დიდსა და პოზიტიურს ნიშნავდეს, ხოლო „გადატრიალება“ – უმნიშვნელოსა და ნეგატიურს!

თუმცა ტერმინის ეტიმოლოგია – ლათინურად revolutio ნიშნავს „ბრუნს, გადატრიალებას“ – არ ასხვავებს *გადატრიალებასა* და *რევოლუციას*, სოციოლოგიურ თეორიაში „სახელმწიფო გადატრიალება“ (ინგლისურ ენაში შესულია ფრანგული ტერმინით coup d'état) და „რევოლუცია“ სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს.

1917 წლის 7 ნოემბერმა მართლაც რევოლუციური ცვლილებები მოუტანა რუსეთსა და მსოფლიოს. ეს *რევოლუცია* იყო, რომელსაც მოჰყვება ხოლმე სიღრმისეული ძვრები, რომლებიც ყოველთვის და ყველასათვის პოზიტიური შეიძლება არც იყოს. ბოლშევიკებმა მოახდინეს სისხლიანი სოციალური რევოლუცია ქვეყნის შიგნით, როდესაც თანასწორობის მიღწევის საბაბით მოსპეს კერძო საკუთრების უფლება, ხშირ შემთხვევაში საკუთრების მფლობელებთან ერთად. ძირძველი ელიტა, როგორც საერო, ისე სასულიერო, ფაქტობრივად კანონგარეშე გამოცხადდა.

საერთაშორისო ურთიერთობებში ბოლშევიკური რევოლუციის გამოვლინება იყო ის, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ სასწრაფოდ დაიწყო წინამორბედი მთავრობების, როგორც იმპერიულის, ისე რესპუბლიკურის, მიერ დადებული საიდუმლო ხელშეკრულებების გამოქვეყნება, რათა მსოფლიო საზოგადოების თვალში სახელი გაეტეხა მათთვის და მათი მოკავშირე ანტანტისათვის. ბოლშევიკებმა უარი თქვეს რუსეთის იმპერიისა და რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მიერ აღებულ ყველა პოლიტიკურ ვალდებულებასა და ვალზე.

მალე ბოლშევიკები გონს მოეგნენ და თავად დაიწყეს შეთანხმებებში საიდუმლო დანართების შეტანა, ზუსტად ისე, როგორც ადრე ამას აკეთებდნენ პეტერბურგელი დიპლომატები. მაგრამ რუსეთის იმპერიის და რუსეთის რესპუბლიკის საგარეო ვალების გასტუმრება არ მოინდომეს. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ დასავლეთის ქვეყნები დიდხანს არ ცნობდნენ რუსეთის საბჭოთა მთავრობის ლეგიტიმურობას.

რუსეთში მომხდარი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამართლდა ალექსანდრ პუშკინის მიერ საუკუნით ადრე გამოთქმული შიში: „Не доведи господь, русский бунт, бессмысленный и беспощадный" [24]. 1918-1920 წლების რუსეთის სამოქალაქო ომი მართლაც ულმობელი იყო, ხშირად – უაზროც. ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ერთმანეთს ჟლეტდნენ ძნელად ასახსნელი იდეოლოგიური მოსაზრებით, კლასობრივი პრინციპიდან გამომდინარე.

რასაკვირველია, ეს ძმათაშორისი ურთიერთჟლეტა არც პირველი იყო და, სამწუხაროდ, არც უკანასკნელი. შუა საუკუნეების ევროპის რელიგიურ ომებს, 1860-იან წლებში – ჩრდილოეთ ამერიკის, 1930-იან წლებში – ესპანეთის, 1940-იან წლებში – ჩინეთის სამოქალაქო ომებს შესაბამისი ქვეყნის მოსახლეობის პროპორციულად არანაკლები ადამიანი შეეწირა, ვიდრე რუსეთში. XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის რევოლუციის დროინდელმა საშინელმა გამოგონებამ – გილიოტინამ – გაცილებით ნაკლები ხალხი იმსხვერპლა. ადამიანების ენერგია ხანდახან სრულებით ირაციონალურ გამოხატულებას ჰპოვებს ხოლმე...

[24] ღმერთმა არ ქნას რუსული ბუნტი, უაზრო და ულმობელი (რუს.)

ოქტომბრის რევოლუცია იმით იყო გამორჩეული, რომ მან XX საუკუნის მსოფლიოს ცუდი მაგალითი მისცა. ძალადობრივი გზით ქვეყნის სათავეში მოსულმა იდეურად გაერთიანებულმა მცირე ჯგუფმა – *კომუნისტურმა პარტიამ* – საზოგადოება გახლიჩა. ქონებრივად ნაკლებ უზრუნველყოფილ ადამიანთა მასები, „*პროლეტარიატი*“ (ლათინური proletarius-იდან, რაც ძველ რომში არაფრისმქონე მოქალაქეთა ფენას აღნიშნავდა, რომელსაც მხოლოდ გამრავლების, მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის, ფუნქცია ჰქონდა) ქვეყნის ერთადერთმა პარტიამ ორგანიზებულად მიუსია „*ექსპლუატატორებს*“, ანუ ქონებრივად შედარებით მეტად უზრუნველყოფილ ადამიანებს. რუსეთში ასეთად ჩაითვალა მდიდარი ბურჟუაზიაც და გაღატაკებული ყოფილი არისტოკრატიაც, მშრომელი (და ამდენად, შეძლებული) გლეხობაც, რომელთაც „კულაკებად“ იცნობდნენ, სამღვდელოება და „სათვალიანი“ ინტელიგენციაც. მათ დასათრგუნად კი *პროლეტარიატის დიქტატურა* უნდა დამყარებულიყო.

კლასობრივი ბრძოლის საზოგადოების მამოძრავებელ ძალად წარმოჩენა ორი გერმანელის – *კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის* – დამსახურებაა (პირველი მათგანი მონათლული გერმანელი ებრაელის შვილი იყო და, ამიტომ, მასაც გერმანელად მიიჩნევენ). მათ მიერ 1848 წელს დაწერილ „კომუნისტურ მანიფესტში“ იყო მოწოდება იმ უსამართლო ვითარების რადიკალური გარდაქმნისაკენ, როდესაც კაპიტალისტები იყენებდნენ პროლეტარიატის შრომას საკუთარი გამდიდრებისათვის. ეს გარდაქმნა უნდა დაწყებულიყო მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღების, ანუ „*პროლეტარიატის დიქტატურის*“ დამყარების გზით.

კომუნიზმის თეორიულ დასაბუთებას „მარქსიზმს“ უწოდებენ კარლ მარქსის სახელის მიხედვით, რომელმაც თავის ნაშრომებში „კომუნიზმის გარდაუვალობა“ ყველაზე კარგად ჩამოაყალიბა. აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნიზმის იდეა ევროპაში მარქსზე ბევრად ადრე წარმოიშვა.

კომუნისტურ იდეებზე დაყრდნობით ფრანგ *ეჟენ პოტიეს* მიერ XIX საუკუნეში შექმნილ, ადვილად დასამახსოვრებელ, თავისებურად ამაღელვებელ სიმღერაში, რომელიც „ინტერნაციონალის“ სახელითაა ცნობილი, ძველის დანგრევისა და ნანგრევებზე ახლის მშენებლობისაკენ იყო მოწოდება: ამ ნგრევის შემდეგ „*ის, ვინც „არარაობა“ იყო, „ყველაფრად“ უნდა იქცეს*“. „ინტერნაციონალი“ 1918 წლიდან 1943 წლამდე საბჭოთა რუსეთის/საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი იყო. შემდეგში ის კომუნისტური იუგოსლავიის სახელმწიფო ჰიმნად იქცა.

ძველის დანგრევისა და ახლის მშენებლობის მოწოდების ავტორს თვითონ, ალბათ, ვერც წარმოედგინა ცხოვრებაში ამ იდეების გატარების სავალალო შედეგები.

მარქსიზმის კლასიკოსების თანამედროვეს, გერმანიის კანცლერს *ოტო*

ფონ ბისმარკს უთქვამს: *„თუ სოციალიზმის აშენება გსურთ, მაშინ აირჩიეთ ქვეყანა, რომელიც არ გენანებათ!"*

ასეთ ქვეყნად ბოლშევიკებმა რუსეთი აირჩიეს.

„კომუნიზმის აჩრდილი", რომელიც ახალგაზრდა მარქსისა და ენგელსის მიერ 1848 წელს შეთხზული „კომუნისტური მანიფესტის" პირველივე სტრიქონის მიხედვით, *„ევროპაში დაძრწოდა"*, 1917 წელს რუსეთში უცბად განკაცდა, მითიდან სინამდვილედ გარდაისახა და პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაცია დაიწყო. რუსეთის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში კომუნიზმის იდეას მიმდევრები მთელ მსოფლიოში გამოუჩნდნენ. ამ ეპიდემიამ ჩაცხრობა მოგვიანებით დაიწყო, თუმცა რეციდივები დღემდე რჩება.

1917 წლის ბოლოს სახელმწიფო სადავეების ძალადობრივად ხელში ჩაგდების შემდეგ რუსეთის ბოლშევიკებმა კომუნისტური იდეის ცხოვრებაში დანერგვას მიჰყვეს ხელი. ყოფილი არარაობა მართლაც იქცა *ყველაფრად: ის* ყოვლისშემძლე სახალხო კომისარი ან საგანგებო კომისიის – „ჩეკას" – თანამშრომელი გახდა და სხვა ადამიანთა სიცოცხლესა და ქონებაზე სრული უფლება მიიღო.

მსოფლიო ისტორია მოწმობს, რომ საკმარისია ყოფილმა *„ჩაგრულმა არარაობებმა"* ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება, რომ ისინი თვითონ შექმნიან ახალ მჩაგვრელ ელიტას. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა გამოცდილებამ ეს კარგად გვიჩვენა. ბოლშევიკურმა ელიტამ ძალიან მალე მშვენივრად მოირგო ყოფილი ექსპლუატატორების აპარტამენტები.

ამას კარგად მიესადაგება *ჟან-ჟაკ რუსოს* სიტყვები: *„თუკი ანგელოზს ადამიანების მართვას მიანდობენ, მას მალე ამოუვა ბრჭყალები და ნისკარტი"*.

ძალაუფლება დიდი ცდუნებაა!

მარქსიზმი ქადაგებს სრულ თანასწორობას ადამიანთა შორის, კოლექტიურ საკუთრებას. ის არწმუნებს ადამიანებს, რომ კომუნიზმის საბოლოო მიზანია *„ყველამ იშრომოს უნარის შესაბამისად და ყველამ მოიხმაროს მოთხოვნილების მიხედვით"*. ეს უტოპიური ლოზუნგი სრულებით არ ითვალისწინებს ადამიანის ბუნებას, რომელიც ჩვეულებრივ ეგოიზმს ეყრდნობა და არა ალტრუიზმს. მოთხოვნილების ზომა კი განუსაზღვრელია.

უფრო რეალისტურმა მიდგომამ კომუნიზმის თეორეტიკოსებს უკარნახა, რომ გამოეყოთ *კომუნიზმის პირველი ფაზა – „სოციალიზმი"*, სადაც ძირითადი პრინციპი იქნებოდა: *„ყველასაგან – უნარის მიხედვით, ყველას – შრომის მიხედვით"*.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომ პარტიებს, რომლებიც თავს *სოციალისტურს* უწოდებენ, ერთგვარი ზომიერება ახასიათებთ და სხვათა თვალსაზრისის მიმართ ჩვეულებრივ უფრო შემწყნარებ-

ლები არიან, ვიდრე *კომუნისტური* პარტიები. მარქსი და ენგელსი თავიანთ „კომუნისტურ მანიფესტში“ გარკვეულწილად განასხვავებდნენ კიდეც ერთმანეთისაგან „კომუნიზმსა“ და „სოციალიზმს“. შესაძლოა, ამის გამო დასავლეთში ტერმინი „*სოციალიზმი*“ პოზიტიურ ან ნეიტრალურ მნიშვნელობას ინარჩუნებდა. ამას ადასტურებს ის, რომ როდესაც საბჭოთა კავშირი საკუთარ თავს და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მის ირგვლივ წარმოქმნილი სატელიტი სახელმწიფოების ბლოკს „*სოციალისტურ ქვეყნებს*“ უწოდებდა, დასავლეთში იმავე ქვეყნებს „*კომუნისტურად*“ მოიხსენიებდნენ, რადგან „კომუნიზმს“ უფრო ავისმომასწავებელ სიტყვად აღიქვამდნენ, ვიდრე „სოციალიზმს".

უნდა ითქვას ისიც, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპის ქვეყნების რიგში, უპირველესად სკანდინავიაში, მართლაც ჩამოყალიბდა გარკვეული ტიპის სოციალიზმი.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ „მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ“, საბჭოთა კავშირმა, თავდაპირველად გარკვეული ეგალიტარიზმი შექმნა. ადრე არაპრივილეგირებული კლასებისა და ჩაგრული ეთნოსების (მაგალითად, ებრაელობის) წარმომადგენლებს სოციალურ კიბეზე მაღლა ასვლის საშუალება მიეცათ. არამმართველი ერის ღარიბი გლეხის შვილს შეეძლო მინისტრი, გენერალი, პროფესორი (თუნდაც „წითელი“, ანუ დაჩქარებით მომზადებული და საკმაოდ დაშორებული ნამდვილ მეცნიერებას) გამხდარიყო. კლასობრივ საზოგადოებაში ასეთი რამ გამორიცხული იყო. რა გასაკვირია, რომ სოციალურ კიბეზე სწრაფი აღმასვლის პერსპექტივა იტაცებდა უბრალო ადამიანებს მთელ მსოფლიოში.

კომუნიზმი ინტერნაციონალური მოძღვრებაა: მისთვის პროლეტარის ეთნიკურ და რასობრივ წარმომავლობას მნიშვნელობა არა აქვს. *კომუნიზმს მრავალ ქვეყანასა და ერში გაუჩნდა მომხრეები.*

რადგან კომუნისტური იდეები საყოველთაო სამართლიანობას ქადაგებს, თავიდან ისინი ინტელექტუალურ წრეებშიც ფართოდ ვრცელდებოდა.

„პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში“ – საბჭოთა კავშირში – სახელისუფლებო ვაკანსიები საკმაოდ მალე შეივსო და ახალი კომუნისტური ელიტა თვითონ შეეცადა კარჩაკეტილი კასტის შექმნას. როცა ნათელი შეიქნა, რომ კომუნისტები კარგა ხნით მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, პარტიის რიგებს მაშინვე შეუერთდა უამრავი ადამიანი, რომელთაც არც მარქსი წაეკითხათ და არც „კომუნიზმის აშენების“ იდეა აწუხებდათ. ისინი პირადი კეთილდღეობისათვის ხელისუფლებაში ან მის ახლოს ყოფნას ამჯობინებდნენ. ყველა ავტორიტარული, მით უმეტეს – ტოტალიტარული ქვეყნის ერთადერთი მმართველი პარტია „პოპულარულია“ და მრავალი წევრი ჰყავს. ასე იყო ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიაშიც.

საბჭოთა კავშირის დაშლისას, 1991 წელს, კომუნისტური პარტიის რიგებში 18 მილიონი (!) წევრი ირიცხებოდა. ამ ადამიანებს ვერ გავამტყუნებთ. მმართველი პარტიის „პრინციპული მიუღებლობის" შემთხვევაში პირადად ისინიც და საზოგადოებაც მეტს დაკარგავდნენ. ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი პარტიის „უიდეო" წევრები მის შინაგან ეროზიას უწყობენ ხელს და ამით ტოტალიტარიზმს საფუძველს ურყევენ. მცირე ერების წარმომადგენლებისათვის კი კომუნისტური პარტიის წევრობა საკუთარი ერისათვის სამსახურის გაწევის ხშირად ერთადერთი საშუალება იყო.

ის სოციალური ფსიქოლოგია და პოლიტიკური კულტურა, რომელიც ე.წ. „საბჭოთა ხალხს" ჩამოუყალიბდა, მნიშვნელოვანწილად 1920-30-იან წლებში შეიქმნა. ადამიანებს გადაწყვეტილების მიღების არც უფლება ჰქონდათ და არც პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების შესრულებაზე. ყველაფერს „პარტია და მთავრობა" წყვეტდა და აკეთებდა. საბჭოთა სოციალიზმმა შექმნა ისეთი სოციალური ფსიქოლოგია, როდესაც ადამიანები ყველაფრის მოგვარებას სახელმწიფოსაგან (მთავრობისაგან) ელიან. ამას ისტორიული მემკვიდრეობაც უწყობდა ხელს: ბატონყმობა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამდე სულ სამოციოდე წლით ადრე გადავარდა.

მერაბ მამარდაშვილმა გენიალურად თქვა: *„Коммунизм был не просто ввезен в Россию, коммунизм – это и есть Россия"*[25].

„საბჭოთა ადამიანისათვის" *პიროვნული თავისუფლება* ბევრს არაფერს ნიშნავდა, ის არ იყო მიჩვეული საკუთარ მომავალზე სრული პასუხისმგებლობის აღებას.

ამგვარი სოციალური ფსიქოლოგია მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის არ იყო დამახასიათებელი. *ჰენრი თომას ბოკლი* თავის ნაშრომში „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში" XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთისა და ინგლისის შედარებისას წერდა, რომ ყველაზე არსებითი სხვაობა ამ ქვეყნებს შორის, რაც აისახებოდა კიდეც ინგლისის ბევრად უფრო სწრაფ განვითარებაში, ის იყო, რომ *„საფრანგეთში ხალხი უყურებს ხელისუფლებას, ინგლისში კი – ხელისუფლება ხალხს"*.

ბოკლის „ფრანგული მოდელი" ჩნდება ყველგან, სადაც ხალხს დემოკრატიული თვითმმართველობის ტრადიცია არ ჩამოუყალიბდა. უნდა ითქვას ისიც, რომ სწორედ თანამედროვე საფრანგეთს აღარ მიესადაგება ბოკლის ეს „ფრანგული მოდელი".

მარქსი და *ენგელსი* ასაბუთებდნენ, რომ კომუნიზმის აშენება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებულ, ინდუსტრიულ სახელმწიფოში. მარქსიზმის კლასიკოსები, რომელთაც სძულდათ მეფის რუსეთი და არცთუ სიმპათიით მოიხსენიებდნენ რუს ხალხს, რომელსაც ცარიზმის

[25] კომუნიზმი რუსეთში უბრალოდ კი არ შეუტანიათ, კომუნიზმი – ეს თვით რუსეთია.

დასაყრდენად მიიჩნევდნენ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათი იდეების ცხოვრებაში გატარება ჩამორჩენილ აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყებოდა. „კომუნისტური მანიფესტის" 1882 წლის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში მარქსმა და ენგელსმა რუსეთის ერთადერთ პოზიტიურ მომენტად (ისიც კითხვის ნიშნის ქვეშ) მიიჩნიეს სოფლად არსებული თემი (*ობშჩინა*), რომელსაც თითქოს შეეძლო კომუნისტური საერთო საკუთრების პროტოტიპი გამხდარიყო. გერმანელი სოციოლოგი *მაქს ვებერი* რუსული *ობშჩინის* ინსტიტუტის იდეოლოგიას „არქაულ აგრარულ კომუნიზმს" უწოდებდა. XX საუკუნის დასაწყისში სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამ ეს *ობშჩინაც* დაშალა. ჭეშმარიტი მარქსიზმის პოზიციიდან რუსეთი არ იყო მომწიფებული სოციალიზმისათვის.

ლენინი ნამდვილ ავანტიურაზე წავიდა, როდესაც გლეხურ ქვეყანაში (მუშათა კლასი მცირერიცხოვანი იყო) სოციალისტური რევოლუციის ფორსირება მოახდინა. მისი ქმედება საბოლოოდ გამართლდა არა მარქსისტული, არამედ რუსეთის იმპერიული ინტერესების თვალსაზრისით. იმ მძიმე ვითარებაში რუსეთის სახელმწიფოებრიობის გადარჩენა მხოლოდ უმოწყალო მეთოდებით შეიძლებოდა. ეს კი ბოლშევიკების მეთოდები იყო.

რუსეთის სათავეში მოსულ ბოლშევიკებს 1920 წლამდე სჯეროდათ, რომ რუსეთის შემდეგ კომუნისტური რევოლუცია დაიწყებოდა ევროპის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და უკეთ ორგანიზებული იყო, ვიდრე რუსეთში, ხოლო წარმოების საშუალებები – ბევრად მეტი, ანუ მოხდებოდა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია". *„პერმანენტული რევოლუციის"* მთავარი იდეოლოგი კრემლში იყო *ლევ ტროცკი*. თავიდან თითქოს მართლაც ჩანდა ასეთი რევოლუციის ნიშნები: კომუნისტურმა ჯგუფებმა 1919 წელს ხანმოკლე დროით ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ბავარიაში (სამხრეთ გერმანია), უნგრეთში, ბალტიის ზოგ ქვეყანაში. იქაურმა ხელისუფლებამ სწრაფად ჩაახშო კომუნისტური ამბოხი.

უკვე 1920 წელს ლენინი და მისი მომხრეები მიხვდნენ, რომ *კომუნიზმის მშენებლობა მოუწევდათ ცალკე აღებულ ქვეყანაში.*

ლენინმა არსებითად მოახდინა მარქსიზმის რევიზია (თუმცა ის „რევიზიონისტებს" უწოდებდა თავის იდეურ მოწინააღმდეგეებს, სოციალ-დემოკრატებს), როდესაც დაიწყო კომუნისტური მოძღვრების თავისი ვარიანტის შექმნა დასავლეთ ევროპასთან შედარებით ეკონომიკურად და კულტურულად ნაკლებ განვითარებული რუსეთისათვის. ლენინის გამონათქვამებიდან მოგვიანებით შეკოწიწებულ კონცეფციას „ლენინიზმი" დაერქვა.

რუსი ფილოსოფოსი *ნიკოლაი ბერდიაევი* თავის წიგნში *„რუსული კომუნიზმის სათავეები და არსი"* წერს:

„ლენინი ანტიჰუმანისტია და ანტიდემოკრატი. ამ თვალსაზრისით ის ახალი ეპოქის ადამიანია, არა მარტო კომუნისტური, არამედ ფაშისტური გადატრიალებების ეპოქისა. ლენინიზმი ახალი ტიპის „ბელადიზმია“ (*вождизм*), რომელიც მასების დიქტატორული ძალაუფლებით აღჭურვილ ბელადს წამოსწევს წინ. მას მიბაძავენ მუსოლინი და ჰიტლერი. სტალინი ბელადი-დიქტატორის დასრულებული ტიპი იქნება. ლენინიზმი, რასაკვირველია, არაა ფაშიზმი, მაგრამ ლენინიზმი უკვე ძალიან წააგავს ფაშიზმს“.

ქვევით, *სადაც „კომუნიზმი“* ვახსენებ, ეგულისხმობ *„რუსულ კომუნიზმს“* (ბერდიაევის მიხედვით), ანუ *ლენინიზმსა* და მის პრაგმატულ გაგრძელებას – *სტალინიზმს*.

სახელმწიფოს მართვის ბოლშევიკური მეთოდები

რუსეთი რევოლუციაზე იყო ორსულად ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში, როდესაც იაპონიასთან ომში მძიმე მარცხი განიცადა და ქვეყანაში მართლაც მოხდა პირველი რევოლუცია. ახალი რევოლუციის შობას მაინცდამაინც ბოლშევიკი ბებიაქალი არ სჭირდებოდა.

1917 წლის თებერვალში შობილი რევოლუცია დღენაკლული აღმოჩნდა. ელიტაში შეუთანხმებლობის შედეგად მდგრადი ხელისუფლება ვერ ჩამოყალიბდა. ძირითადად ლიბერალებისა და სოციალისტების მიერ შექმნილმა დროებითმა მთავრობამ რუსეთის გაუნათლებელ მოსახლეობას გასაგებად ვერ აუხსნა პიროვნების თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის მიზნები: ეს ფასეულობები ამ ხალხისათვის უბრალოდ უცხო იყო. მსოფლიო ომში მონაწილეობის გაგრძელების მცდელობა საშიშ პროტესტს იწვევდა ჯარში ნამყოფ და რევოლუციური არეულობისას *იარაღით ხელში* შინ დაბრუნებულ სამხედრო ფარაჯიან გლეხობაში.

ბოლშევიკებმა კი მარტივი და ფართო მასებისათვის მისაღები ლოზუნგები წამოისროლეს: *„ქარხნები – მუშებს“, „მიწა – გლეხობას“, „მშვიდობა – ხალხებს“.*

სინამდვილეში არც მუშებმა მიიღეს ქარხნები (საინტერესოა, თუ როგორ უნდა ეხელმძღვანელათ მენეჯმენტსა და მარკეტინგში სრულებით გაუცნობიერებელ მუშებს საწარმოსათვის?), არც გლეხებმა – მიწა (10-12 წლის შემდეგ, კოლექტივიზაციისას მათ არა მარტო მიწა, არამედ მთელი ქონება ჩამოართვეს). მართალია, მსოფლიო ომს რუსეთი გამოეთიშა, მაგრამ მშვიდობის დამყარების ნაცვლად ბოლშევიზმმა სისხლიანი სამოქალაქო ომის პროვოცირება მოახდინა.

მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ გახდება ცნობილი, როდესაც რაიმეს შეცვლა დაგვიანებული იქნება.

1917 წლის ნოემბერში ჩატარდა ჯერ კიდევ ბოლშევიკურ რევოლუციამდე დანიშნული *რუსეთის დამფუძნებელი კრების* არჩევნები. ამ საკანონმდებლო

ორგანოს უნდა მოემზადებინა რუსეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და გადაეწყვიტა ქვეყნის მომავალი ბედი. იმ დროს პეტროგრადის უკვე ფაქტობრივ გამგებლებს, ბოლშევიკებს იმედი ჰქონდათ, რომ დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას მიიღებდნენ და შეძლებდნენ ძალადობით მოპოვებული ძალაუფლების დაკანონებას. მაგრამ ყოფილი იმპერიის მასშტაბით ამომრჩეველმა ბოლშევიკებს იმედი გაუცრუა: მათ მანდატების მხოლოდ მეოთხედის მოპოვება შეძლეს. უკეთესი შედეგი ჰქონდათ მენშევიკებსა და ესერებს.

ლენინი მიხვდა, რომ მისი პარტია ქვეყნის სათავეში დემოკრატიული გზით ვერ მოვიდოდა. ამიტომაც *დამფუძნებელი კრების* მუშაობის დაწყებიდან მეორე დღესვე, 1918 წლის 6 იანვარს, ბოლშევიკებმა სამხედრო ძალის გამოყენებით გარეკეს ხალხის მიერ არჩეული უზენაესი ორგანო და ქვეყნის ერთპარტიულად მართვა ყოველგვარი ლეგიტიმურობის გარეშე გააგრძელეს. კავკასიაში არჩეულმა დეპუტატებმა ვერც კი მოასწრეს პეტროგრადში ჩასვლა, როდესაც გაიგეს, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება დაშლილი იყო.

პეტროგრადში (შემდეგ – მოსკოვში) იჯდა გაუგებარი წესით „არჩეული" *მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო*, რომელშიც უმრავლესობა ბოლშევიკებს ემხრობოდა. პეტროგრადის საბჭომ ჯერ კიდევ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, 1917 წლის ნოემბერში, აიღო თავის თავზე ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანოს („ბურჟუაზიული" ქვეყნების – პარლამენტის) ფუნქცია და შექმნა *სახალხო კომისართა საბჭო* („ბურჟუაზიული" მინისტრთა კაბინეტის ეკვივალენტი), რომლის *თავმჯდომარე* („ბურჟუაზიულად" – პრემიერ-მინისტრი) გახდა *ლენინი*.

ფორმალურად საკანონმდებლო ხელისუფლებას რუსეთში ახორციელებდა *სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო*, ადგილებზე კი ანალოგიური *საბჭოები* (აქედანაა ტერმინი „*საბჭოთა*"), რომლებიც თვითნებურად იქმნებოდა კლასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე: „ექსპლუატატორთა კლასების" წარმომადგენლებს საბჭოში მოხვედრის შანსი არ ჰქონდათ. საბჭოები საკმაოდ დაბალი განათლების მქონე, ან საერთოდ უწიგნური ხალხით დაკომპლექტდა.

რეალურად სახელმწიფოს მართვა კომუნისტური პარტიის ლიდერების მიერ შედგენილმა პოლიტიკურმა ბიურომ (შემოკლებით *პოლიტბიურო*) *აიღო ხელში და მომდევნო 74 წლის განმავლობაში აღარ გაუშვია ხელიდან.*

რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისა) [შემოკლებით რკპ (ბ)] ძალაუფლების აღებისთანავე ქვეყანაში დაამყარა *პროლეტარიატის დიქტატურა*. სინამდვილეში ეს იყო *კომუნისტური პარტიის ლიდერების დიქტატურა*. რკპ (ბ)-ში ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა ლენინს. პარტია მტკიცედ იყო ორგანიზებული და ახალ რეჟიმს შეეძლო დაყრდნობოდა მის რკინისებურ დისციპლინას.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ პოლიტბიუროში ლენინის (ნამდვილი გვარი *ულიანოვი*) გარდა შედიოდნენ ტროცკი (*ბრონშტეინი*), ზინოვიევი (*რადომისლსკი*), კამენევი (*როზენფელდი*), სოკოლნიკოვი (*ბრილიანტი*), სტალინი (*ჯუღაშვილი*) და ბუბნოვი. პოლიტბიურო ინტერნაციონალური იყო – ოთხი აშკენაზი ებრაელი, ორი რუსი და ერთი ქართველი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი სიკვდილით ამათგან მხოლოდ ორი – ლენინი და სტალინი – გარდაიცვალა. პირველი პოლიტბიუროს სხვა წევრები 1936-38 წლებში დახვრიტეს, როგორც „ხალხის მტრები". მექსიკაში ემიგრაციაში მყოფი ტროცკი კი 1940 წელს წერაყინის თავში ჩარტყმით მოკლა კრემლიდან მიგზავნილმა მკვლელმა, რომელიც 20-წლიანი პატიმრობის სრულად მოხდის შემდეგ, 1960 წელს, მოსკოვში ჩამოვიდა და ხრუშჩოვის ხელიდან მიიღო სტალინის მიერ მინიჭებული *საბჭოთა კავშირის გმირის* ვარსკვლავი და ლენინის ორდენი. ეს საბჭოეთის უმაღლესი ჯილდო იყო.

* * *

1918 წლის 6 ივლისიდან რუსეთში აიკრძალა ყველა პარტია, კომუნისტურის გარდა: იმ დღეს კანონგარეშე გამოცხადდა უკანასკნელი ლეგალური – მემარცხენე ესერების – პარტია.

რკპ (ბ) რუსეთში მოქმედი ერთადერთი პარტია გახდა.

თავისუფლების დაპირებით მოსულმა კომუნისტებმა მოსპეს ადრე არსებული პოლიტიკური და სიტყვის თავისუფლება.

ესერთა პარტიის წევრის მიერ ლენინის მოკვლის მცდელობის შემდეგ (ის მძიმედ დაიჭრა) სახალხო კომისართა საბჭომ 1918 წლის 5 სექტემბერს გამოსცა დადგენილება *„წითელი ტერორის"* შესახებ, რომელშიც გერმანელ ნაცისტებზე ბევრად ადრე იყო ნახსენები *„საკონცენტრაციო ბანაკები"* (ტერმინი ბოლშევიკმა *ბერმანმა* მოიგონა), სადაც „კლასობრივი მტრები" უნდა ყოფილიყვნენ იზოლირებული. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა *ამ კლასობრივ მტერს* – არისტოკრატიას, ბურჟუაზიას, სამღვდელოებას, ინტელიგენციას, მშრომელ გლეხობას („კულაკებს"). ბნელი და უცოდინარი ბრბო სიამოვნებით ძარცვავდა მათ (ამას „ნაციონალიზაცია" და „რეკვიზიცია" ერქვა), ხოლო *კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საგანგებო კომისია* („ჩეკა") მასობრივად ხვრეტდა. დამყარდა ბოლშევიკთა სისხლიანი დიქტატურა.

რუსეთი სწრაფად მიექანებოდა სამოქალაქო ომისაკენ, რომელშიც ერთ მხარეს იდგა ბოლშევიკური ხელისუფლება და მისი *„წითელი არმია"*, მეორე მხარეს კი – დაქსაქსული ძალები, რომელთაც ყველას ერთად *„თეთრგვარდიელებს", „თეთრ მოძრაობას"*, ან უბრალოდ *„თეთრებს"* უწოდებდნენ.

„თეთრები" იყვნენ რუსი ნაციონალ-პატრიოტები, რომლებისთვისაც ბოლშევიკები ანტირუსულ, უცხო ძალას წარმოადგენდნენ. „თეთრებს" არ ჰქონ-

დათ საერთო იდეოლოგია: ზოგი მონარქისტი იყო, ზოგი – რესპუბლიკელი. თითქმის ყველა მათგანისათვის მიუღებელი იყო არარუსული რეგიონების „სეპარატიზმი".

აღსანიშნავია ისიც, რომ მეფის გენერლებისა და ოფიცრების საკმაოდ დიდი ნაწილი ბოლშევიკების „წითელ არმიას" შეუერთდა და „თეთრებს" ებრძოდა. 1937-1938 წლებში ბევრი მათგანი „სტალინურ წმენდაში" მოჰყვა და დაიხვრიტა.

„თეთრებს" შორის კავკასიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია გენერალ *ანტონ ივანოვიჩ დენიკინის* საქმიანობა. 1919 წლის თებერვლამდე მან შექმნა *„სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ადმინისტრაცია"*, რომელიც *„მოხალისეთა არმიასა"* და კაზაკთა რამდენიმე არმიას ხელმძღვანელობდა. დენიკინს მიზნად ჰქონდა ბოლშევიზმის დამხობა და ერთიანი რუსეთის აღდგენა. კავკასიაში წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოები მისი მიზნის მიღწევისათვის დაბრკოლებას ქმნიდნენ. თავის მხარდამჭერ რუს შოვინისტ *შავრა ზმელებთან* (черносотенцы) ერთად დენიკინი განსაკუთრებით ილესავდა კბილებს საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

2005 წელს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მოახდინა ანტონ დენიკინის რეაბილიტაცია (თითქმის „კანონიზაცია"), როდესაც მისი ნეშტი გადმოასვენა საფრანგეთიდან, სადაც ის ემიგრაციაში მყოფი გარდაიცვალა, და დიდი პატივით დაკრძალა მოსკოვში.

მრავლისმეტყველია, რომ ყოფილ „თეთრ გენერლებს" შორის პირველად ასეთი პატივი რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა სწორედ დენიკინს არგუნა, რომელიც „კავკასიურ სეპარატიზმს" ებრძოდა.

1918 წელს დაწყებულ სამოქალაქო ომში ბოლშევიკების მეტოქეები განცალკევებულად და უკბილოდ მოქმედებდნენ, ძირითადად ქვეყნის განაპირა რეგიონებში, ხანდახან ერთმანეთსაც კი ეომებოდნენ.

„საერთაშორისო იმპერიალიზმმა", ანუ *ანტანტამ* და მისმა მოკავშირეებმა, ბოლშევიკების დასამხობად რეალური სამხედრო ძალა არ გამოიყენა. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი რაღაც იარაღისა და ცოტაოდენი ფულის მიწოდებით ცდილობდნენ „თეთრი გენერლების" წახალისებას, მაგრამ ეს წყალში გადაყრილი სახსრები იყო. საბჭოთა სკოლაში გვასწავლიდნენ 1918-1920 წლებში „14 ქვეყნის ინტერვენციის" გმირული მოგერიების შესახებ. როგორც ირკვევა, „ინტერვენტებმა" უმნიშვნელო სამხედრო ძალები გამოგზავნეს, ისიც ქვეყნის პერიფერიებიდან საკუთარი მოქალაქეების საევაკუაციოდ; მათ არც უცდიათ ბოლშევიზმის ცენტრზე – მოსკოვზე იერიშის მიტანა; „ინტერვენტები" ყოველგვარი კოორდინაციის გარეშე მოქმედებდნენ.

საბჭოეთის სამი საყრდენი

სამი საყრდენი – ქვეყანაში ერთადერთი *პარტია, ჩეკა/კაგებე და არმია* – უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირის მდგრადობას. მათგან ერთის გამოცლაც კი ამ სახელმწიფოს დაღუპვას მოასწავებდა. ეს ნათლად დამტკიცდა 1991 წელს, როდესაც კომპარტიის დაშლასთან ერთად საბჭოთა კავშირიც დაიშალა.

ლენინის გარშემო აღმოჩნდა საჭირო ხალხი, უმეტესად არაეთნიკური რუსები, ვინც კომუნისტური რუსეთის საყრდენების მშენებლობას კეთილსინდისიერად ემსახურა.

1917 წლის ბოლოს ლენინის უშუალო დავალებით *ძერჟინსკიმ* შექმნა „*ჩეკა*“ (ВЧК – Всероссийская Чрезвычайная Комиссия по борьбе с контрреволюцией, саботажем и спекуляцией, „კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან და სპეკულაციასთან ბრძოლის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია“), რომლის სისასტიკემ ყველა გააოგნა.

ფელიქს ედმუნდოვიჩ ძერჟინსკი ეთნიკური პოლონელი იყო, თანაც შლიახტიჩი, ანუ აზნაურიშვილი (მართალია, ანტისემიტები უხსენებენ, რომ დედა მას ებრაელი ჰყავდა).

„*ჩეკა*“-ს 1922 წლის 6 თებერვლიდან ჩაენაცვლა „*გეპეუ*“ (Государственное политическое управление, 1924 წლიდან ОГПУ – Обьединенное государственное политическое управление: „*გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო*“), რომელიც შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარიატს ექვემდებარებოდა და მას უშუალოდ ხელმძღვანელობდა სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე. 1934 წელს „ოგპეუ“-ს ფუნქცია პირდაპირ დაეკისრა „*ენკავედე*“-ს (НКВД – Народный комиссариат внутренних дел, „*შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი*“), რომელსაც, თავის მხრივ, გამოეყო „*ენკაგებე*“ НКГБ – Народный комиссариат государственной безопасности, „*სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი*“). ამ უკანასკნელის მემკვიდრე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა „*ემგებე*“ (МГБ – Министерство государственной безопасности, „სახელმწიფო უშიშროების *სამინისტრო*“), ხოლო 1954 წლიდან და საბჭოთა კავშირის აღსასრულამდე – „*კაგებე*“ (КГБ – Комитет государственной безопасности, „*სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი*“). 1980-იანი წლების ბოლოდან დამკვიდრდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი იმავე ორგანიზაციის სახელის ქართული აბრევიატურა „*სუკ*“-ი: ის უფრო დამამცირებლად ჟღერდა!

ყველა ზემოჩამოთვლილი სახელი არსებითად ერთსა და იმავე ორგანიზაციას ერქვა (მის თანამშრომლებს ყოველთვის „ჩეკისტებს“ უწოდებდნენ), რომლის დანიშნულება იყო ქვეყნის შიგნით საიდუმლო პოლიციისა და სადამსჯელო ორგანოს ფუნქციის შესრულება, ყველგან შეღწევა აგენტურის

მეშვეობით და კომუნისტური პარტიის ყველა პოტენციური მტრის, მათ შორის სხვაგვარად მოაზროვნის, თავიდან მოშორება. 1918-1953 წლებში „თავიდან მოშორება" ნიშნავდა ადამიანის დახვრეტას, ან ციმბირის ბანაკებში მინიმუმ 8-10 წლით გაგზავნას (იქიდან ცოტა ვინმე თუ ბრუნდებოდა უკან), ან, უკეთეს შემთხვევაში, შუა აზიასა და ყაზახეთში გადასახლებას.

1954 წლიდან სასჯელის ზომა და მისი გამოყენების სფერო შემცირდა, მაგრამ ჩეკისტების სამუშაოს ხასიათი არ შეცვლილა. ამ მრავალსახელგამოცვლილი ორგანიზაციის მკაცრად გასაიდუმლოებულ ქვედანაყოფს (თავიდან მას „საზღვარგარეთის განყოფილება" ერქვა) ეკისრებოდა საგარეო დაზვერვა, საბჭოთა კავშირის მტრების მიმართ პროვოკაციული და ტერორისტული აქტების მოწყობა.

ახალ, ფედერაციულ რუსეთშიც არ მომკვდარა „ჩეკისტური" ტრადიცია. მისი გამოცდილი კადრები XXI საუკუნეშიც ერთგულად ემსახურებიან რუსულ სახელმწიფოს, მართავენ კიდეც მას და არ ინდობენ ნამდვილ თუ გამოგონილ მტრებს.

საბჭოთა სახელმწიფოს სხვა საყრდენი იყო არმია. ამ შემთხვევაში განსხვავება დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან მინიმალურია: ყველა მათგანი საჭიროებს არმიას.

წითელი არმიის შექმნის სათავეებთან იდგა *ტროცკი*. მის მიერ ორგანიზებულმა საბჭოთა რუსეთის „მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ" (Рабоче-крестьянская Красная Армия, შემოკლებით РККА) სათითაოდ გაანადგურა „თეთრი" არმიები, რომელთაც იმპერიის დროინდელი მხედართმთავრები *იუდენიჩი, კოლჩაკი, დენიკინი, ვრანგელი* და სხვები სარდლობდნენ და აღადგინა რუსეთის საზღვრები სამხრეთითა და აღმოსავლეთით. წითელი (შემდგომში – საბჭოთა) არმიის წარმატების საფუძველს, თავის მხრივ, ქმნიდა მისი გენერალური შტაბის *მთავარი სადა ზვერვო სამმართველო* (ГРУ ГШ – Главное разведывательное управление Генерального штаба).

ლევ დავიდოვიჩ ტროცკი ეთნიკური ებრაელი იყო. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში, ლენინის გარდაცვალებამდე, პოლიტიკური გავლენით ტროცკი მხოლოდ ლენინს ჩამოუვარდებოდა: იმ პერიოდში ტროცკი იყო „ბოლშევიკი № 2" და არა სტალინი – ადამიანი, რომელიც საბოლოოდ ლენინის ფაქტობრივი მემკვიდრე აღმოჩნდა.

ტოტალიტარული სახელმწიფოს უმთავრესი საყრდენი იყო კომუნისტური პარტია. „პარტიამ" საბჭოთა კავშირში „სრული ძალაუფლების" სინონიმის მნიშვნელობა შეიძინა. პარტია აკონტროლებდა ქვეყანაში ნომინალურად არსებული ხელისუფლების სამივე შტოს – საკანონმდებლოს, აღმასრულებელსა და სასამართლოს. პარტია მართავდა ჩეკასა და წითელ არმიას. კომუნისტური პარტია უშუალოდ ლენინის მიერ იყო შექმნილი.

ნიკოლაი ბერდიაევი ობიექტურად ახასიათებს ოქტომბრის რევოლუციის მთავარი სულისჩამდგმელისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი არქიტექტორის *ვლადიმირ ილიჩ ლენინის* მიზნებსა და მუშაობის მეთოდებს და ასკვნის:

> „ლენინი ზნეობრივად აცხადებს ყველაფერს, რაც პროლეტარულ რევოლუციას უწყობს ხელს. კეთილისა და ბოროტის სხვა განსაზღვრა მან არ იცის. აქედან გამომდინარეობს, რომ მიზანი ამართლებს ყველანაირ საშუალებას. ზნეობრივი მომენტი ადამიანის ცხოვრებაში კარგავს ყოველგვარ დამოუკიდებელ მნიშვნელობას. და ეს არის უეჭველი დეჰუმანიზაცია. მიზანი, რომელიც ამართლებს ყველანაირ საშუალებას, არის არა ადამიანი, არა ახალი ადამიანი, არა ადამიანის სრულყოფილება, არამედ მხოლოდ საზოგადოების ახალი ორგანიზაცია. ადამიანია საშუალება ამ საზოგადოების ახალი ორგანიზაციისათვის და არა საზოგადოების ახალი ორგანიზაცია – საშუალება ადამიანისათვის".

ლენინის საქმე გააგრძელა სტალინმა, რომელმაც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მოიშორა ტროცკი და „ლენინური გვარდიის" სხვა წევრები. სტალინი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო 1922 წლიდან 1952 წლამდე, ხოლო 1941-1953 წლებში – საბჭოთა მთავრობის მეთაურიც.

იოსიფ ვისარიონოვიჩ სტალინი ეთნიკური ქართველი იყო.

ლენინიზმი ნარნარად გადაიზარდა სტალინიზმში. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულში (ხანდახან, მომდევნო პერიოდშიც) იყო მცდელობა *ლენინი* დაეპირისპირებინათ *სტალინისათვის*, როგორც *სიკეთე* და *ბოროტება*. მაგრამ ყველა ფაქტი გვიჩვენებს, რომ ლენინი არაფრით იყო სტალინზე უფრო „კეთილი ძია". სტალინი გამუდმებით იმოწმებდა ლენინს და მის ერთგულ მოწაფედ აცხადებდა თავს.

ფაქტები ადასტურებს, რომ ლენინი (სხვათა შორის, ტროცკიც) სტალინზე არანაკლებ სასტიკ მეთოდებს მიმართავდა რეალური და წარმოდგენითი მოწინააღმდეგეების მიმართ. ორივე ლიდერს ერთი მიზანი ჰქონდა – მსოფლიოში კომუნიზმის დამყარება. ორივეს გამართლებულად მიაჩნდა ამ მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალების გამოყენება, ყველაზე სისხლიანისაც კი.

ნეპ-ის უდღეური ხანა

კომუნისტურ პარტიას მოუხდა უხეში ძალის გამოყენება, რათა „დაერწმუნებინა" ხალხის მასები კომუნიზმის/სოციალიზმის უპირატესობაში კაპიტალიზმთან შედარებით. ყველას, ვინც არ ეთანხმებოდა ამ თვალსაზრისს, ჩეკა სახვრეტით პასუხობდა. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ასეთი „დამაჯერებელი პასუხი" *სამხედრო კომუნიზმის* პირობებში, 1918-1920 წლებში, როდესაც რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და საბჭოთა

ხელისუფლება ე.წ. „*სასურსათო გაწერის*“ გზით გლეხობას ძალით ართმევდა მოწეულ ჭირნახულსა და სათესლე მასალასაც კი.

როდესაც 1921 წელს სამოქალაქო ომთან ერთად რუსეთში დამთავრდა „სამხედრო კომუნიზმის“ ფაზა, ქვეყანა ნანგრევებად იყო ქცეული. სოფლად და ქალაქად შიმშილი მეფობდა.

ბოლშევიკური ხელისუფლება თითქოს მიხვდა, რომ გაჩანაგებულ ქვეყანაში წარმოებას ვერ აღადგენდა, თუკი ადამიანების კერძო ინიციატივას გზა მთლიანად დახშობილი ექნებოდა. ლენინის სიცოცხლის ბოლო წლების საქმიანობის ანალიზიდან ისე ჩანს, რომ მან თითქოს საღად დაიწყო აზროვნება და ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას შეეცადა. თუმცა შეგვიძლია შევაფასოთ მხოლოდ ის, რაც რეალურად მოხდა.

1921 წლის მარტში ლენინმა რკპ (ბ) X ყრილობაზე გამოაცხადა ქვეყანაში „*ახალი ეკონომიკური პოლიტიკის*“ (Новая экономическая политика) ანუ „*ნეპ*“-ის დაწყების შესახებ. ეს ნიშნავდა შემობრუნებას სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ. დაშვებული იქნა კერძო ვაჭრობა. გარკვეული შეზღუდვებით ლეგალური ხდებოდა კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე. ახალშექმნილმა საბჭოთა სახელმწიფო ბანკმა 1922 წლიდან დაიწყო აბსოლუტურად გაუფასურებული „საბჭოთა ფულადი ნიშნების“ შეცვლა რეალური დაფარვის მქონე „ჩერვონცებით“, ხოლო 1924 წლის გაზაფხულიდან ფულის სრული რეფორმა ჩაატარა და მყარი ფულადი ერთეული შემოიღო, რომელიც ნაწილობრივ კონვერტირებადი იყო. ინფლაცია მკვეთრად შემცირდა. ფულს რეალური ფასი დაედო, რაც ეკონომიკის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ნეპ-მა ეკონომიკურად გამოაცოცხლა ქვეყანა. როგორც კი მრეწველს, ფერმერს, ვაჭარს ხელი გაეხსნა, რუსეთში დაიწყო წარმოების გარკვეული აღორძინება. მაგრამ მასშტაბურ წარმოებას, რომელიც გიგანტურ ქვეყანას ესაჭიროებოდა, კომპარტია ვერ ანდობდა კერძო მეწარმეებს – ეს კაპიტალიზმის რესტავრაცია იქნებოდა და პარტიას ფუნქცია დაეკარგებოდა.

ეკონომიკის ერთგვარი ლიბერალიზაციის მიუხედავად პოლიტიკური პლურალიზმი არ იქნა დაშვებული: ქვეყანაში არსებობას განაგრძობდა ერთადერთი პარტია. პროლეტარიატის (სინამდვილეში – პარტიული ლიდერების) დიქტატურა ხელშეუხებელი რჩებოდა. დიდი სახელმწიფო-პარტიული ბიუროკრატიული აპარატი მძიმე ტვირთად აწვა ხალხს. *ნეპ-ი სრულფასოვანი რეფორმა არ იყო* და ძალიან მალე ჩაკვდა კიდეც.

სხვათა შორის, საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლა და ნეპ-ის შემოღება თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა. ამიტომაც ახალგასაბჭოებულმა საქართველომ თავიდან შედარებით ნაკლებად იგრძნო ბოლშევიზმის ის სუსხი, რომელიც, 1918-1920 წლების „სამხედრო კომუნიზმის“ დროს მძაფრად იწვნია საკუთრივ რუსეთმა.

1921 წელს ლენინმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ნეპ-ი შემოღებულია *„სერიოზულად და დიდი ხნით!“* (всерьез и надолго). 1922 წლის ბოლოდან ლენინის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა: ერთ წელიწადში ის გარდაიცვალა. კიდევ ოთხი წლის შემდეგ კი ნეპ-ს ბოლო მოეღო. გამოთქმა – *„სერიოზულად და დიდი ხნით!“* – მოგვიანებით, 1980-იანი წლების ბოლოდან, შეუსრულებელი დაპირების ირონიულ სინონიმად იქცა.

„ლენინის ერთგულმა მოწაფემ“, სტალინმა კი, რომელმაც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მოსპო ყველა მეტოქე – ძველი პარტიული თანამებრძოლები, არ შეასრულა მასწავლებლის ანდერძი და უარი თქვა ლენინის მიერ სერიოზულად და დიდი ხნით დაპირებულ ნეპ-ზე.

1928 წელს ნეპ-ი საბოლოოდ გაუქმდა. მოხდა წარმოების ყველა საშუალების, აგრეთვე ქალაქის საბინაო ფონდის დიდი ნაწილის ნაციონალიზაცია. გაჩნდა რესურსების ცენტრალიზებული განაწილება, რაც უცილობლად გულისხმობდა სამეურნეო და მოხმარების სფეროებში მწვავე დეფიციტის წარმოქმნას. საბჭოთა კავშირში ფართო მოხმარების საქონლის წარმოება მეორეხარისხოვან საქმედ ჩაითვალა (მიენიჭა კატეგორია „ბ“, მაშინ როცა უფრო მაღალი კატეგორია „ა“ მძიმე მრეწველობა იყო). 1928 წლიდანვე ქალაქებში შემოღებულ იქნა სურსათისა და პირველადი მოხმარების საქონლის განაწილების საბარათო სისტემა, რომელმაც კარგა ხანს იარსება.

ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია

ლენინი ჩამოშორდა ქვეყნის მართვას 1922 წლის ბოლოს, როდესაც მას მძიმე ავადმყოფობა აღმოაჩნდა. პოლიტბიურო ერთხანს კოლექტიურად მართავდა საბჭოთა კავშირს, მაგრამ 1924 წელს, ლენინის სიკვდილის შემდეგ პირველი პირი პრაქტიკულად სტალინი აღმოჩნდა. მას კიდევ რამდენიმე წელი მოუხდა მეტოქეობა კიდევ ერთ „რევოლუციის ბელად“ ლევ ტროცკისთან (1879-1940), რომელიც 1929 წელს საბოლოოდ გააძევეს ქვეყნიდან და ქვეყნის აბსოლუტური მართველი გახდა.

სტალინის ინიციატივით მძიმე და, განსაკუთრებით, სამხედრო მრეწველობის განვითარების მიზნით 1925 წელს კომპარტიის XIV ყრილობაზე ამოცხადდა ქვეყნის *ინდუსტრიალიზაციაზე* აღებული კურსი. მიზნად იქნა ასახული ქვანახშირის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის მსხვილი ცენტრების გეოგრაფიულად გაფანტვა, მათი შექმნა აღმოსავლეთ რაიონებში – ურალში, დასავლეთ ციმბირში. სტრატეგიულად ეს გამართლებული იყო იმ ემთხვევაში, თუკი ქვეყანა დიდი ომისათვის ემზადებოდა.

1928 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო სახელმწიფო დაგეგმვა, ხუთწლიანი

გეგმების შემუშავება და მათი „ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლა“. სხვათა შორის, 1929 წელს გაუქმდა *ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო* (ის აღადგინეს რამდენიმე წლის შემდეგ) და გაუგებარია, თუ როგორ დაიანგარიშეს მის ნაცვალ, მთლიანად რეორგანიზებულ დაწესებულებაში „*პირველი ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადსა და სამ თვეში შესრულება*“, რაც დიდი ზარზეიმის საგნად იქცა.

დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია, სამრეწველო მშენებლობა ყველა რესპუბლიკაში მიმდინარეობდა. საქართველოშიც მსხვილი სამრეწველო საწარმოების საგრძნობი ნაწილი 1920-40-იან წლებში აშენდა.

ინდუსტრიალიზაცია არსებითად ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების განმტკიცებას და სამეურნეო კავშირების გზით მისი რეგიონების მჭიდრო ურთიერთგადახლართვას, რასაც დიდი მრავალეროვნული სახელმწიფოს მდგრადობა უნდა უზრუნველეყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მომცრო მოკავშირე რესპუბლიკების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ იქ მდებარე „საკავშირო დაქვემდებარების ინდუსტრიულმა გიგანტებმა“ (გარდა ენერგეტიკული ობიექტებისა და იშვიათი სხვა გამონაკლისისა) ძალიან მცირე სამსახური გაუწიეს ამ რესპუბლიკების *ეკონომიკური დამოუკიდებლობის* მიღწევას.

1933 წლის 7 იანვარს თავის მოხსენებაში პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ სტალინი ასკვნიდა:

> „ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა უნიადაგოა და სუსტი, რომ იგი უკვე სულს ღაფავს და მან თავისი ადგილი უნდა დაუთმოს მეურნეობის მეორე, უმაღლეს, საბჭოთა, სოციალისტურ სისტემას“.

კაპიტალიზმის სამყარო იმ დროს მართლაც უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში იყო ჩაფლული, მაგრამ უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის ისტორიამ დაამტკიცა, რომ სტალინი ცდებოდა.

ზუსტად ორი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც სტალინმა კაპიტალიზმს სულის გატევება უწინასწარმეტყველა, 1933 წლის 7 მარტს, ამერიკის შეერთებულ შტატებს სათავეში ჩაუდგა ახალარჩეული პრეზიდენტი *ფრანკლინ დელანო რუზველტი*. მან შეძლო დაემტკიცებინა, რომ შესაძლებელია ეკონომიკის აღმავლობა, სოციალურად დაუცველ ფენებზე სერიოზული ზრუნვა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის, იმავე კაპიტალიზმის, პირობებშიც, თანაც, ყოველგვარი რეპრესიების გარეშე (ამერიკაში იმ დროს გამეფებულ კორუფციასთან და მაფიასთან რუზველტის ბრძოლას რეპრესიებად ვერ მივიჩნევთ).

თავისი „ახალი კურსით“ რუზველტი არსებითად სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთ-ერთ მოდელს ახორციელებდა ცხოვრებაში. მას დიდ წინა-

აღმდეგობას უწევდნენ ამერიკელი ოლიგარქები და მათ ხელში მყოფი პრესა. რუზველტს კი ხალხის ფართო მასები უჭერდა მხარს. ამის დასტურია, რომ ამერიკის ისტორიაში უპრეცედენტოდ, იგი ოთხჯერ ზედიზედ აირჩიეს პრეზიდენტად. რუზველტმა შეუნარჩუნა ამერიკას პრიორიტეტული როლი მსოფლიოში და საშიში რევოლუციისაგანაც იხსნა ის. იქ დემოკრატია უფრო მეტად გაღრმავდა კიდეც.

იმავე პერიოდში რუსეთში ტოტალიტარიზმი ყალიბდებოდა. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სტალინისტურმა მოდელმა მეურნეობის გაძღოლის სახელმწიფო-მბრძანებლობითი სისტემით, მცირეოდენი მოდიფიკაციებით, 1990-იანი წლების დამდეგამდე იარსება. ეს მოდელი ქვეყანაში არსებული ყველა პოლიტიკური ბერკეტის ერთ ხელში თავმოყრას გულისხმობდა.

საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, ისევე, როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები XX საუკუნის ბოლოს ძირითადად დაუბრუნდნენ *მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას*, როგორც ბევრად უფრო ეფექტიანს, ვიდრე *მეურნეობის სოციალისტური სისტემა*, რომელიც კერძო ინიციატივას ზღუდავს, კონკურენციას გამორიცხავს და ყველაფრის დეფიციტს ქმნის.

ხუთწლიანი გეგმების შესაბამისად საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია 1930-იან წლებში გარეგნულად მართლაც შთამბეჭდავი იყო. სულ რამდენიმე წელიწადში აიგო ბევრი გიგანტური საწარმო, ძირითადად სამხედრო პოტენციალის გაძლიერების მიზნით. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საბჭოთა პროპაგანდა არწმუნებდა ხალხს, რომ საბჭოთა კავშირში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნის დაწყება (სტალინი ამას უწოდებდა *„ქვეყნის თავდაცვის უნარის მაქსიმალურ გაძლიერებას“*, რაც I და II ხუთწლიანი გეგმების უმთავრეს ამოცანად იქნა დასახული) გამოიწვია გერმანული ფაშიზმის საფრთხემ. ხალხს გამუდმებით ახსენებდნენ „გენიალური სტალინის შორსმჭვრეტელობას“, რომელმაც იგრძნო, რომ გერმანიის სათავეში მოვიდოდა აგრესორი და დროულად დაიწყო ქვეყნის მომზადება თავდაცვისათვის! ამის დასტურად იყენებდნენ მის სიტყვებს, რომლებიც მას 1931 წელს უთქვამს: „თუ ჩვენ ათ წელიწადში არ გავირბენთ გზას ინდუსტრიული ქვეყნების დონემდე, ჩვენ გაგვსრესენ!"

სინამდვილეში, სამხედრო მრეწველობის განვითარებაზე აქცენტი რუსეთში გაკეთდა სულ ცოტა ხუთი წლით ადრე, სანამ გერმანიას მეთაურად ჰიტლერი მოევლინებოდა.

სტალინური ინდუსტრიალიზაციის ერთადერთი ლოგიკური ახსნაა, რომ *საჯარეო ექსპანსიისათვის მოსამზადებლად იმპერიას უპირველესად ესაჭიროება ჭიმე მრეწველობის განვითარება, რაც სამხედრო ძლიერების საწინდარია.*

ბუნებრივია, სამხედრო მრეწველობის არსებობა იმისათვისაცაა საჭირო, რომ

სხვა იმპერიებმა არ ჩაგყლაპონ. ფუჭია კამათი იმაზე, თუ უპირველესად რას ემსახურებოდა საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარება – თავდასხმას თუ თავდაცვას: *როდესაც იარაღი გროვდება, ის სროლას იწყებს!*

ისტორიული ფაქტები უტყუარად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი ზემილიტარიზაციისა და ახალი შეიარაღების წყალობით ტერიტორიული გაფართოება 1939 წელს, მასზე გერმანიის თავდასხმამდე ორი წლით ადრე დაიწყო. სტალინისტებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ეს გაფართოება „ქვეყნის თავდაცვის მიზნით" ხდებოდა. ზუსტად იმავე, „ქვეყნის თავდაცვის", არგუმენტს *მესამე რაიხის* ტერიტორიული გაფართოების გასამართლებლად იყენებდა ჰიტლერი.

საბჭოთა კავშირის დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციისათვის მმართველი კომპარტია ვერ გამოიყენებდა ადრე გამოცდილ მეთოდებს (მაგალითად, ფართო მოხმარების საგნების წარმოებით და მათი გაყიდვით კაპიტალის თანდათანობით დაგროვებას, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაზრდას და ა.შ.), რადგან ისინი ნორმალურ კაპიტალისტურ განვითარებაზეა მორგებული. ნეპ-ის გაგრძელება და გაღრმავება ნიშნავდა საშუალო და შეძლებული კლასების მომრავლებას, რომლებიც ადრე თუ გვიან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდნენ ერთპარტიული კომუნისტური დიქტატურის არსებობას. სტალინსა და კომპარტიას კი ძალაუფლების დათმობის იდეა სულაც არ ხიბლავდათ.

1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი ყიდულობდა მთელი მსოფლიოს ჩარხმშენებლობის ნაწარმის ნახევარზე მეტს, ძირითადად გერმანიასა და აშშ-ში. სხვათა შორის, ამით იგი არაპირდაპირ ხელს უწყობდა მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მყოფი კაპიტალისტური სისტემის გადარჩენას, რომელიც თავისი პროდუქციის გასაღების ბაზრებს გაფაციცებით ეძებდა!

ჩარხებისა და სხვა დანადგარების შეძენას დიდძალი უცხოური ვალუტა ესაჭიროებოდა. ვინაიდან საბჭოთა რუსეთმა უარი განაცხადა იმპერიული და რესპუბლიკური რუსეთის ვალების გასტუმრებაზე, საზღვარგარეთის ბანკები მას კრედიტს არ აძლევდნენ და იმპორტისათვის რუსეთს ოქროთი უნდა ეხადა. სწორედ ამიტომ ვაჭრობდა ის უპირველესად გერმანიასთან (რომლისაც არაფერი ემართა) და აშშ-სთან, რომლის შედარებით მცირე ვალი საბჭოთა კავშირმა სხვა კრედიტორი ქვეყნებისაგან ფარულად 1933 წლამდე დაფარა.

1929 წელსვე ნათელი შეიქმნა, რომ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია მალე ჩიხში მოექცეოდა, რადგან ქვეყანას არ ჰქონდა საკმარისი ფინანსური რესურსები. ამიტომ სტალინი წავიდა სხვა, უფრო რადიკალურ, ნაბიჯზე: მან *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის* გეგმა დასახა. რეალურად ეს ნიშნავდა გლეხების ხელახალ დაყმევებას და მათგან იმ რესურსების ამოქაჩვას,

რაც უნდა მოხმარებოდა მძიმე მრეწველობის საწარმოების მშენებლობას და მათ აღჭურვას უახლესი უცხოური ჩარხებითა და დანადგარებით.

საბჭოთა კავშირის ექსპორტში მაშინ ძირითადი ადგილი მარცვლეულს ეჭირა. კერძო გლეხურ მეურნეობას პარტია ვერ აკონტროლებდა. პარტიის ზედამხედველობით საექსპორტო მარცვლეულის მოყვანა უნდა უზრუნველეყო კოლექტიურ მეურნეობებში იძულებით გაერთიანებულ უუფლებო გლეხობას (სპეციალური ნებართვის გარეშე მათ ქვეყნის შიდა პასპორტსაც კი არ აძლევდნენ).

საბჭოთა კავშირიდან გაძევებული „ლენინური გვარდიის" ძველი წევრი *ლევ ტროცკი*, რომელიც სტალინს „რევოლუციისათვის ღალატში" ამხელდა, იხსენებდა, 1926 წელს სტალინმა განაცხადა, რომ მიწა დენაციონალიზებული უნდა იქნეს, რათა გლეხებმა იმედიანად იგრძნონ თავიო. ტროცკი „ამხელდა" სტალინს, რომ 1928 წლის დასაწყისშიც კი ის კულაკებს უჭერდა მხარს, მერე კი მის პოლიტიკაში „ზიგზაგებს" განაქიქებდა, როდესაც სტალინმა კოლექტივიზაცია წამოიწყო და მის მიერვე ადრე მოწონებული კულაკები დასაღუპავად გასწირა. თვითონ ტროცკი კი თავიდანვე იყო გლეხობის გაღატაკების ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მომხრე.

სახელმწიფოს ფინანსური რესურსების გაზრდის კიდევ ერთ წყაროდ იქცა „სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა", რასაც მშრომელ მოსახლეობას აიძულებდნენ უკვე 1927 წლიდან. ხალხი ვალდებული გახადეს, ისედაც მწირი ხელფასის საგრძნობი ნაწილით ყოველწლიურად ეყიდა სახელმწიფო ობლიგაციები, რომლების განაღდება 1935 წლიდან ორი ათწლეულით გადაიდო.

საბჭოთა კავშირს 1920-იან წლებში აღმოჩენილი რომ ჰქონოდა ნავთობისა და გაზის ის რესურსები, რომლითაც თავს ირჩენდა 1970-იანი წლებიდან და დღესაც თავს ირჩენს მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, და ამ რესურსებზე XXI საუკუნის დამდეგის მაღალი ფასები ყოფილიყო, შეიძლება დავუშვათ, რომ სტალინს არ დასჭირვებოდა ეს არაბუნებრივი ზომა – *„განკულაკება"* და სოფლის მეურნეობის იძულებითი *კოლექტივიზაცია*.

ასეა თუ ისე, სხვა რესურსი ფორსირებული ინდუსტრიალიზაციისათვის, გარდა გლეხობის ძარცვისა, კრემლის პატრონს იმ დროს არ გააჩნდა.

ეს სულაც არ ამართლებს იმ სისასტიკეს, რაც თან სდევდა კოლექტივიზაციას. შეძლებულ, ანუ მშრომელ გლეხს („კულაკს"), რომელიც დაქირავებულ მუშახელსაც იყენებდა, ართმევდნენ მიწას, ინვენტარს, პირუტყვს – ყველაფერს კოლმეურნეობაში აერთიანებდნენ, ხოლო „განკულაკებულებს" ციმბირში, ჩრდილოეთ რუსეთში ან ყაზახეთში ასახლებდნენ. როცა კულაკების ძარცვის საშუალება ამოიწურა, მისდგნენ „საშუალო გლეხებს", ვინც დღენიადაგ საკუთარი ხელით შრომობდა მიწაზე და ამიტომ შედარებით შეძლებულიც იყო: ისინიც *განკულაკეს* და მათი ქონებაც კოლექტიური გახადეს.

იძულებითი კოლექტივიზაციისას გლეხებმა ლამის მთელი შინაური პირუტყვი გაწყვიტეს. ქვეყანაში შიმშილი დაიწყო.

„კომუნიზმის დიადი მიზნის" მისაღწევად ხალხს უნდა მოეთმინა. როგორც სტალინი ამბობდა, ინდუსტრიალიზაციის პროცესი *„უმკაცრესი მომჭირნეობის რეჟიმს"* მოითხოვდა.

„უმკაცრესი მომჭირნეობის რეჟიმი" ნიშნავდა მუშების ცხოვრებას გაყინულ ბარაკებში, პოლიტიკურ პატიმართა (ძირითადად ყოფილ *„კულაკთა"*) მასების უფასო შრომას.

„უმკაცრესი მომჭირნეობის რეჟიმი" ნიშნავდა სოფლად სასურსათო და სათესლე მარცვლეულის სრულ რეკვიზიციას. საკოლმეურნეო მინდვრიდან ხუთიოდე თავთავის წამოღება უთანაბრდებოდა *„სოციალისტური ქონების ქურდობას"* და 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით ისჯებოდა ათწლიანი გადასახლებით. ეს კანონი დამნაშავის დახვრეტის უფლებასაც იძლეოდა.

უკრაინაში საშინელი შიმშილი (голодомор) გამეფდა. სხვადასხვა შეფასებით, 1932-1933 წლებში იქ ორიდან ოთხ მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. იყო კანიბალიზმის ფაქტები. 2006 წელს უკრაინის *უზენაესმა რადამ* (პარლამენტმა) ამ ფაქტს „უკრაინელი ხალხის გენოციდის" კვალიფიკაცია მისცა.

კოლექტივიზაციის ექსცესების შედეგად მასობრივად იღუპებოდნენ *ეთნიკური რუსებიც* დონზე, ყუბანისპირეთში, ქვემო ვოლგისპირეთში, სამხრეთ ურალში.

იმავე პერიოდში თითქმის სანახევროდ ამოწყდნენ *ეთნიკური ყაზახები*: კოლექტივიზაციის პროცესში ამ მომთაბარე ხალხისათვის პირუტყვის ჩამორთმევამ, ბინადარ ცხოვრებაზე იძულებით გადაყვანამ, მაშინ როცა ხვნა-თესვა მან არ იცოდა, გამოიწვია შიმშილი, ხალხის მასობრივი დაღუპვა (ზოგიერთი შეფასებით – გენოფონდის 40 პროცენტამდე) და ჩინეთის სინძიანის პროვინციის მიმართულებით მილიონნახევრამდე ყაზახის (და ყირგიზის) ემიგრაცია.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ გამომზეურდა და სერიოზულად გაანალიზდა მხოლოდ 1990 წელს სპეციალიზებულ ჟურნალ „Социологические исследования"-ში.

საბჭოთა კავშირში *მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარებულა 1937 წლის იანვარში*. სულ აღირიცხა 156 მილიონი ადამიანი. აღწერის შედეგებმა სტალინი არ დააკმაყოფილა: იქამდე მან უკვე გამოაცხადა, რომ ქვეყანაში 170 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ბუნებრივი ნამატი წლიურად 2,4 პროცენტს შეადგენსო. ბელადის დოქტრინით „სოციალიზმის გაშლილ მშენებლობას" მოსახლეობის განუხრელი ზრდა უნდა გამოეწვია! სინამდვილეში კი გამოჩნდა წინა, 1926 წლის აღწერასთან შედარებით მოსახლეობის სულ უმნიშვნელო მატება. 1929-1933 წლებში რუსეთში მოსახლეობა ორი მილიონით შემცირე-

ბული აღმოჩნდა და მხოლოდ მომდევნო წლებში დაიწყო მატება; მოსახლეობის რაოდენობამ იკლო უკრაინასა და ყაზახეთში. რასაკვირველია, ეს კოლექტივიზაციის შედეგად მოხდა, რასაც მმართველი რეჟიმი არასოდეს აღიარებდა.

1937 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები გაასაიდუმლოეს, ხოლო სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელები, ვისაც აღწერის ჩატარება ევალებოდა, დახვრიტეს, როგორც „მავნებლები".

მოსახლეობის ახალმა აღწერამ, ჩატარებულმა 1939 წლის იანვარში, სტალინს სასურველი რიცხვები ნარუდგინა. სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში 1937 და 1939 წლების აღწერების შედეგების შედარება უფრო ლოგიკურ სხვაობას გვიჩვენებს, ვიდრე რუსეთსა და უკრაინაში, სადაც 1939 წლისათვის აშკარა ნამატება იგრძნობა.

სწორედ 1930-იანი წლების პირველ ნახევარში მიაწყდა სლავური (რუსული, უკრაინული) მოსახლეობა კავკასიისა და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებს. იქ კოლექტივიზაცია კი არ მიმდინარეობდა ცივილური მეთოდებით, არამედ ნიადაგობრივი და რელიეფური პირობები არ იძლეოდა საშუალებას, მასობრივად ეწარმოებინათ საექსპორტო ხორბალი. იქაური გლეხობის მიმართ ასეთი მოთხოვნებიც არ იყო. სამაგიეროდ, იმავე რესპუბლიკებს დაევალათ ახალშექმნილ კოლმეურნეობებში შრომატევადი ტექნიკური კულტურების – ჩაის, ბამბის, თამბაქოს – წარმოება.

ვინაიდან საბჭოთა კავშირს ჩაის შემოტანა უხდებოდა „მტრის ტერიტორიიდან", ბრიტანეთის კოლონიებიდან – ინდოეთიდან და ცეილონიდან – *„ჩაის დამოუკიდებლობის"* მისაღწევად ეს კულტურა ფართოდ დაინერგა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონებში. ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანს მებამბეობის განვითარება დაევალა. ამით *„ბამბის დამოუკიდებლობა"* უნდა ყოფილიყო მიღწეული.

ამას გარდა, კლიმატური პირობების წყალობით, სამხრეთის რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხობა პატარა საკარმიდამო ნაკვეთზე ოჯახის გამოსაკვებ მინიმუმს აწარმოებდა. სამხრეთ რუსეთსა და უკრაინაში კი, სადაც საექსპორტო მარცვლეული უნდა მოეყვანათ, ადგილობრივი კოლმეურნის ოჯახს ასეთი პირობები არ ჰქონდა.

ჰასობრივი რეპრესიები

934 წელს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერის *სერგეი მირონოვიჩ კიროვის,* რომელსაც სტალინი, შესაძლოა, თავის პოტენციურ კონკურენტად მოიაზრებდა, ბოლომდე გაუხსნელმა მკვლელობამ სტალინს საბაბი მისცა დაეწყო *ჰასობრივი რეპრესიები „იმპერიალიზმის აგენტებისა და კონტრრევოლუ-*

ციური ელემენტების წინააღმდეგ“. კიროვის „მკვლელმა“ „აღიარა“ კავშირი ლენინის თანამებრძოლ, სტალინის მიერ კი მეტოქედ მიჩნეულ *ზინოვიევთან*, რომელიც ყოფილ ბოლშევიკ ლიდერ *კამენევთან* ერთად დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. 1936-37 ნლების ე.წ. „საჯარო“ (სინამდვილეში – დადგმულ) პროცესებზე გაასამართლეს და მერე დაუყოვნებლივ დახვრიტეს ლენინის დროინდელი პარტიული ელიტის საგრძნობი ნაწილი, სტალინის ძველი კოლეგები. იმ დროს, როდესაც *სტალინი* ებრძოდა *ტროცკის*, ის მეგობრობდა *ზინოვიევთან, კამენევთან, ბუხარინთან* და სხვებთან. სხვათა შორის, ტერმინი „ტროცკიზმი“ კამენევმა გამოიგონა. ახლა კი იგივე ადამიანები „ხალხის მტრებად და მოღალატეებად“გამოაცხადეს და დახვრიტეს.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი, რომლითაც ასამართლებდნენ ყველა „ხალხის მტერს“, სასიკვდილო განაჩენის გამოტანას მოასწავებდა. თანაც ხშირად ის, ვინც საკუთარ თანაპარტიელებს უმკაცრესად სჯიდა, ცოტა ხნის შემდეგ თვითონ აღმოჩნდებოდა ხოლმე განსასჯელის სკამზე და მასაც ელოდა „ნაგანის“ ტყვია კეფაში (ეს იყო სიკვდილით დასჯის საბჭოური მეთოდი).

ზოგიერთი დახვრეტილი, მაგალითად, ადრე მოხსენიებული ამბიციური მარშალი *მიხაილ ტუხაჩევსკი*, შეიძლება მართლაც საშიში გამომდგარიყო სტალინის ერთპიროვნული ძალაუფლებისათვის, თუმცა ტუხაჩევსკი სულაც არ იყო ჰუმანისტი ან გულჩვილი ლიბერალი. 1921 წელს კრონშტადტის მეზღვაურთა ანტიკომუნისტური აჯანყების სასტიკად ჩახშობის გარდა, მან სახელი გაითქვა სასურსათო გაწერის წინააღმდეგ 1920 წელს აჯანყებული ტამბოვის გუბერნიის გლეხობის ულმობელი ჟლეტით, მათ შორის საბრძოლო გაზის მეშვეობით. მომწამველი გაზი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ *ტუხაჩევსკის* შემდეგ გამოიყენა მხოლოდ ერაყის დიქტატორმა *სადამ ჰუსეინმა* 1988 წელს.

თითქმის ყველა „ჭეშმარიტ ლენინელს“, როგორც მათ უწოდეს სიკვდილისშემდგომი ნაგვიანევი რეაბილიტაციისას, მართლაც ჰქონდა ჩადენილი უმძიმესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე – სამოქალაქო ომის დროს, კოლექტივიზაციისას, მასობრივი რეპრესიების მოწყობისას. მაგრამ 1937-1938 წლებში მათ ბრალად სდებდნენ სულ სხვა რამეს – თითქოს ისინი „მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტები“ და „ანტისაბჭოთა ელემენტები“ იყვნენ; „კიროვიც მათ მოკლეს“!

რეპრესირებული „ყოფილი პარტიული ამხანაგების“ ადგილს სწრაფად იკავებდა ახალგაზრდა თაობა, რომელიც აღზრდილი იყო სტალინის გაღმერთების ატმოსფეროში.

1930-იანი წლებიდან სტალინის გარდაცვალებამდე (1953 წ.) საბჭოთა კავშირში, ძირითადად მის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ უკაცრიელ რეგიონებში, შეიქმნა შრომითი ბანაკების 430 სამმართველო, რომელთაგან თითოეული რამდენიმე ბანაკს მოიცავდა. მათ მართავდა НКВД/МГБ-ს *ბანაკების მთა-*

ვარი სამმართველო (Главное управление лагерей) შემოკლებით „გულაგი". სწორედ ამ სახელზე დაყრდნობით შექმნა ტერმინი „გულაგის არქიპელაგი" (Архипелаг ГУЛАГ) ცნობილმა რუსმა მწერალმა *ალექსანდრ სოლჟენიცინმა*. ამ „არქიპელაგში" გაიარა *რამდენიმე ათეულმა მილიონმა* საბჭოთა ადამიანმა და უცხოელმა. ისინი ამზადებდნენ ხე-ტყეს, შრომობდნენ მაღაროებში, მოიპოვებდნენ ქვანახშირს, ოქროს, ალმასებს, ურანს, ტყვიას, ვერცხლისწყალს, გაჰყავდათ არხები. მაგალითად, საბჭოთა პროპაგანდის მიერ ყბადაღებული „პირველი ხუთწლედის მიღწევა" – 1933 წელს თეთრი ზღვიდან ონეგის ტბამდე მიყვანილი „სტალინის სახელობის თეთრი ზღვა-ბალტიის არხი" (*ბელომორკანალი*) 150 ათასი პოლიტიკური პატიმრის, ძირითადად „განკულაკებულების", ხელითაა გათხრილი, რომელთა დიდი ნაწილის ძვლები არხის ნაპირებზე დარჩა. პატიმრები, რომელთაც რუსული აბრევიატურით – „ზეკ"-ები – იცნობდნენ, უფასო, მონური მუშახელი იყო.

დადგენილია, რომ 1920-იანი წლების დასაწყისიდან 1950-იანი წლების შუამდე საბჭოთა კავშირში გამოტანილი იქნა 52 მილიონი განაჩენი *პოლიტიკური* მოტივით. მათ შორის სულ ცოტა ერთი მილიონი განაჩენი დახვრეტას ითვალისწინებდა, რისი აღსრულებაც დაუყოვნებლივ ხდებოდა. კიდევ 6 (eqvsi) მილიონი ადამიანი, ძირითადად „კულაკები", განაჩენის გამოტანის გარეშე გაასახლეს: მათი უმეტესობა დაიღუპა.

დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას განიცდიდნენ. ძალიან ხშირად მათ ართმევდნენ საცხოვრებელს, აქვეითებდნენ სამსახურში. ხოლო თუ ორივე მშობელი იყო რეპრესირებული, უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს საბავშვო სახლებში აგზავნიდნენ, სადაც მათ შორის უფრო ამტანებს და ცოცხლად გადარჩენილებს კომუნისტური სულისკვეთებით ზრდიდნენ. მთელი საზოგადოება დემორალიზებული და დაშინებული იყო. ასეთი შემთხვევების ძირითადი ნაწილი 1930-იან წლებზე მოდის.

1937-38 წლებში, *მინიმალური შეფასებით*, საბჭოთა კავშირში დააპატიმრეს 1,5 მილიონი ადამიანი, რომელთაგან სულ ცოტა 700 ათასს დახვრეტა მიუსაჯეს. ბევრი ლიკვიდირებული იქნა ფორმალური სასიკვდილო განაჩენის გარეშე. ხშირად ამის ევფემიზმი იყო *„გადასახლება ათი წლის ვადით, მიმოწერის უფლების გარეშე"*: ასეთი განაჩენი გამოუტანეს 1937 წელს ბიძაჩემს – რევაზ გაჩეჩილაძეს. დიდი ხნის შემდეგ დავადგინე, რომ ის იმავე წლის ნოემბერში თბილისის გარეუბანში დაუხვრეტიათ.

საბჭოთა კავშირში მეფობდა კრემლიდან მართული საყოველთაო ტერორი (ეს სიტყვა ძველებრძნულად „შიშს", „ძრწოლას" ნიშნავს). მისი გადაბრალება მხოლოდ ეჟოვსა და 1938 წლის ბოლოდან მის შემცვლელ ბერიაზე არასწორია: ვერც ერთი მათგანი ვერ იმოქმედებდა სტალინის დავალების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიურ ტერორს ბევრი სხვა დიქტატორიც

მიმართავდა, საკმარისია გავიხსენოთ *მაო ძედუნი* – ჩინეთში, *იდი ამინი* – უგანდაში.

„პარტიული ამხანაგების" მცირე მასშტაბით ჟლეტა *ადოლფ ჰიტლერმაც* ჩაატარა, როდესაც 1934 წლის 30 ივლისს დაახოცვინა ძველი თანამებრძოლები – SA-ს (მოიერიშე რაზმების) შტაბის უფროსი *ერნსტ რემი* და მისი რაზმელები. ლაპარაკია ასიოდე ადამიანზე, რომლებიც მართლაც აღარ ემორჩილებოდნენ ფიურერს.

რემისა და მისი რაზმელების დახოცვით ჰიტლერულ გერმანიაში *შიდაპარტიული რეპრესიები* დამთავრდა, თუმცა ზოგადად რეპრესიები გრძელდებოდა. ანტიფაშისტების, მასონების, ებრაელების, ბოშების ჟლეტას ფართო მასშტაბი ჰქონდა „მესამე რაიხის" აღსასრულამდე. 1944 წლის ზაფხულში ჰიტლერზე განხორციელებული წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს ხუთი ათასამდე ეჭვმიტანილი ოფიცერი, სახელმწიფო მოხელე და მათი ოჯახის წევრები.

ნაცისტურ ბოროტებას არავითარი გამართლება არა აქვს. ამასთან, არსებობს ცნობა, რომ 1934 წელს ჰიტლერის მოქმედებამ აღაფრთოვანა სტალინი და, შესაძლოა, იდეა მიაწოდა წმენდისათვის საკუთარ სამფლობელოში.

1937-38 წლების მასობრივი რეპრესიების ახსნა მხოლოდ სტალინის ირაციონალური პარანოიით საკითხის ზედმეტად გამარტივება იქნებოდა. კომუნისტური რეჟიმის განსამტკიცებლად (რომელიც, თეორიულად, ისევ „ხალხისათვის უნდა ყოფილიყო კარგი") და სრული დისციპლინისათვის მომავალ ომში (რასაც მსოფლიოში კომუნიზმის დამყარება უნდა მოჰყოლოდა: თავდაცვით ომზე კრემლში მაშინ არ ფიქრობდნენ) რეჟიმს სჭირდებოდა უსიტყვო მორჩილება. საზოგადოების სრულად დასამორჩილებლად სტალინს საჭიროდ მიაჩნდა ქვეყანაში შიშის სინდრომის დანერგვა. ტერორიზებულ მოსახლეობას უნდა დაეჯერებინა ოფიციალური პროპაგანდისათვის, რომ საბჭოთა კავშირში მოულოდნელად მოგროვდა უამრავი ჯაშუში და მავნებელი.

უპირველესად, „ხალხის მტრები" უნდა მოენახათ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელებს შორის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების, უმაღლესი რანგის ოფიცრების სიკვდილით დასჯა ცოცხლად დარჩენილი პარტიული ბიუროკრატიისა და სამხედრო პირების დასაშინებელი მაგალითი უნდა გამხდარიყო. თანაც ეს უფრო შემზარავ ეფექტს ახდენდა, ვიდრე რიგითი ადამიანების დასჯა. ხელმძღვანელი კადრების დახვრეტას შეეძლო გამოეწვია გარკვეული ბოროტი კმაყოფილებაც კი „რიგით ადამიანებში".

აბსოლუტური რაოდენობით, რასაკვირველია, ბევრად მეტი რიგითი, უპარტიო ადამიანი იქნა რეპრესირებული.

შიშის სინდრომი რომ ყველა ტერიტორიასა და ყველა ეთნიკურ ჯგუფს თანაბრად გადასდებოდა, მოსკოვიდან რაოდენობრივი კვოტების განსაზ-

ღვრა ხდებოდა პროპორციის დაცვით: წინასწარ იგეგმებოდა გამოსავლენი „ანტისაბჭოთა ელემენტის" რაოდენობა თითოეულ მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქსა თუ ადმინისტრაციულ რაიონში.

XX საუკუნის ბოლოს გამომზეურდა *კაგებე*-ს არქივში იქამდე საიდუმლოდ დაცული შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, *ნიკოლაი ეჟოვის* 1937 წლის 30 ივლისის ოპერატიული ბრძანება 00447, რომლითაც ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის შინაგან საქმეთა ორგანოებს ევალებოდათ იმავე წლის 5 აგვისტოდან ოპერაციის დაწყება ყოფილი კულაკებისა და აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესირების მიზნით. ბრძანებაში ახსნილი იყო, თუ ვის ეხებოდა რეპრესია, რა კატეგორია უნდა ყოფილიყო მსჯავრდებული 8-10 წლით შრომით ბანაკებში გასაგზავნად და რა კატეგორია უნდა დაეხვრიტათ დაუყოვნებლივ. ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო *„დაჩქარებული და გამარტივებული წესით"*.

ამ ოპერატიული ბრძანების შესაბამისად, საქართველოში დასახვრეტთა *პირველი* კვოტა (2000) ისეთივე იყო, რაც მასზე ორჯერ დიდ ბელორუსიაში და აღემატებოდა აზერბაიჯანისა (1500) და სომხეთის (500) კვოტებს.

სტალინის სამსახურში მყოფი ერთგული ჯალათი, ჯუჯა ტანის, ლოთი და დაუნდობელი ეჟოვი *დასახვრეტი პირების სულ უფრო მზარდ ახალ კვოტებს* აგზავნიდა ადგილებზე, სადაც მათ უკვე ადგილობრივი ჩეკისტები და პარტიული ლიდერები კონკრეტული გვარებით ავსებდნენ. ის კი არა, ადგილებიდან კვოტების გაზრდის მოთხოვნებიც კი მოდიოდა – ამით მედროვე ლიდერები პარტიის გენერალური ხაზის ერთგულების დამტკიცებას ცდილობდნენ, მაგრამ ბევრი მათგანი თვითონვე მოჰყვა იმავე ხორცსაკეპში.

აბსურდია თანამედროვე, სხვადასხვა ეროვნების ისტორიკოსებისა და პუბლიცისტების სპეკულირება იმით, რომ *დაიხვრიტა უფრო მეტი მათი ეროვნების ადამიანი, რაც მოწმობს სტალინის ანტი...* [ანტისემიტიზმს, ანტისომხობას, ანტიაფხაზობას, ანტიუზბეკობას... ჩაწერეთ ვინც გინდათ!]. აბსოლუტური რაოდენობით ყველაზე მეტი ეთნიკური რუსი იქნა რეპრესირებული, რადგან ისინი საბჭოთა კავშირში ყველაზე მრავალრიცხოვან ერს წარმოადგენდნენ. მცირე ეთნიკურ ჯგუფებში, ვთქვათ, ჩუქჩებს, აფხაზებსა თუ ქართველ ებრაელებს შორის, რეპრესირებულთა რაოდენობა აბსოლუტური მაჩვენებლით მცირე იყო, თუმცა პროპორციულად – საგრძნობი.

სხვათა შორის, თუკი რეპრესირებულებს საბჭოთა კავშირში იმ დროს მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მიხედვით განვიხილავთ, პროპორციულად ყველაზე მეტი ლატვიელი დაიხვრიტა: რევოლუციის დროს ლენინის ერთგული *ლატვიელ მსროლელთა პოლკის* წევრები შემდგომში პარტიული ხელმძღვანელები ან მაღალი რანგის ჩეკისტები გახდნენ და სტალინური რეპრესიებიც უპირველესად მათ ინვნიეს. თვით ლატვია კი 1930-იან წლებში საბ-

ჭოთა კავშირში არ შედიოდა და ქვეყანაში ლატვიელი ცოტა იყო. მასობრივად ულეტდნენ პოლონელებს: ერთ-ერთი ცნობით, 1937 წელს 144 ათასი პოლონელი დააპატიმრეს, მათგან ნახევარზე მეტი დახვრიტეს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტალინს განსაკუთრებით სძულდა პოლონელები. სინამდვილეში მას საერთოდ არავინ არ უყვარდა.

1937 წელი საბჭოთა კავშირში „დიდი წმენდის" კულმინაცია იყო. იმ წელს ყველაზე მეტი ადამიანი დაიჭირეს და დახვრიტეს. იმისათვის, რომ ვინმეს ადგილზე გულმოწყალება არ გამოეჩინა, რეგიონებში ზედამხედველებად და უმკაცრესი გადაწყვეტილების მისაღებად მივლინებულ იქნენ პოლიტბიუროსა და მთავრობის წევრები. *ნიკიტა ხრუშჩოვს,* რომელიც იმ დროს მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ადგილობრივ წმენდას წარმატებით უძღვებოდა, *ვიაჩესლავ მოლოტოვთან* და *ნიკოლაი ეჟოვთან* ერთად ერგო უკრაინა (სწორედ ისინი „წმენდდნენ" პოლონელებს), *ანასტას მიქოიანს* – სომხეთი, *გეორგი მალენკოვს* – ბელორუსია, *ლაზარ კაგანოვიჩს* – სმოლენსკისა და ივანოვოს ოლქები და ა. შ. იქ ყველგან სწორედ ეს „მომცრო ბელადები" აწერდნენ ხელს დასახვრეტი ადამიანების სიებს და თავიანთი გულმოდგინეობის დასტურად დასახვრეტთა ახალ კვოტებს ითხოვდნენ.

ოციოდე წლის შემდეგ სტალინის ავი საქმეების მამხილებელ *ნიკიტა ხრუშჩოვს* კარგად უნდა ხსომებოდა საკუთარი ხელმოწერაც ათასობით უდანაშაულო ადამიანის დასახვრეტ სიებზე მოსკოვსა და უკრაინაში. ყველა იმდროინდელ საბჭოთა ლიდერს ხელები სისხლში ჰქონდა გასვრილი: ხრუშჩოვი თავის მოგონებებში აღიარებს კიდეც ამას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი *ლავრენტი ბერია* პირადად მონაწილეობდა „იმპერიალიზმის აგენტებისა და ხალხის მტრების" დაკითხვებში, წამებაში და გულმოდგინების სათანადო მაგალითს აძლევდა ხელქვეითებს. საქართველოში რეპრესირებულთა რაოდენობამ რამდენიმე ათეულ ათასს მიაღწია, თუმცა ზუსტი რიცხვი უცნობია. მათი უმრავლესობა დახვრიტეს ან გადაასახლეს. გადარჩა დაპატიმრებულთა მცირე ნაწილი.

საქართველოში რეპრესირებულთა შორის ყოველთვის გვახსენდება ცნობილი ფიგურები, მაგალითად დირიჟორი *ევგენი მიქელაძე,* რეჟისორი *სანდრო ახმეტელი,* პოეტი *ტიციან ტაბიძე,* პროზაიკოსი *მიხეილ ჯავახიშვილი,* მეცნიერი *გრიგოლ წერეთელი,* ფოლკლორისტი *ვახტანგ კოტეტიშვილი,* მხატვარი *პეტრე ოცხელი* და ა.შ. მაგრამ სტალინური ტერორისაგან არც უბრალო ხალხი იყო დაცული. ადამიანები ერთმანეთს არ ენდობოდნენ. დაბეზღებამ მასობრივი მასშტაბი მიიღო. პარტია ზრუნავდა, რომ „ქრისტიანული მორალი" და „ბურჟუაზიული ჰუმანიზმი" ხალხში მთლიანად წაშლილიყო.

1937 წელს პოეტმა *პაოლო იაშვილმა,* დაპატიმრების მოლოდინში, მნე-

რალთა კავშირის შენობაში მოიკლა თავი. ნორმალურ ვითარებაში პროტესტის ასეთი ფორმა პოლიტიკური რეჟიმის დისკრედიტაციასა და მასობრივ მღელვარებასაც კი გამოიწვევდა. მაგრამ საბჭოთა კავშირში პრესის თავისუფლება არ არსებობდა, საზოგადოებრივი აზრი დათრგუნული იყო. კომუნისტურ მთავრობას შეეძლო არ ენერვიულა პოეტის თვითმკვლელობის გამო.

ბოროტებისათვის რაიმე ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო. არავინ იცოდა, როდის დააკაკუნებდნენ მის კარზე.

დაჭერები 1938 წელსაც გაგრძელდა. მაგრამ 1938 წლის ბოლოს, სტალინმა ულტა იკმარა: „*ამხანაგებს წარმატებისაგან თავბრუსხვევა დაეწყოთ*", ცინიკურად განაცხადა და *ენკავედეს* სათავეში ეჟოვი ბერიათი შეცვალა, რომელმაც დროზე შეიტყო, რომ ეჟოვი მასაც უპირებდა დაპატიმრებას. ეჟოვი მართლაც უმართავი ხდებოდა. მას „სისხლისმსმელობის სინდრომი" განუვითარდა. როდესაც ავ ძაღლს აუშვებენ, ის ყველას კბენს და პატრონსაც შეიძლება ეცეს.

1938 წლის ბოლოდან, ბერიას შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნისთანავე, რეპრესიების ინტენსივობამ იკლო. ამას ვერ ჩავუთვლით დამსახურებად მხოლოდ ბერიას: ბელადის ბრძანების გარეშე შინსახკომი დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებდა. სტალინმა კი იგრძნო, რომ დადგა დრო დაეოკებინა რეპრესიების ტემპი, რადგან უკვე გაჩნდა სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი კადრების დეფიციტი.

დაპატიმრებულთა ნაწილი გამოუშვეს კიდეც. სამაგიეროდ, დახვრიტეს ეჟოვი, რომელსაც მოსთხოვეს „აღიარება", რომ ის ერთდროულად იყო „ინგლისის, იაპონიისა და პოლონეთის ჯაშუში".

პოლიტიკური და კულტურული განვითარების პარადოქსები

საბჭოთა კავშირი საკმაოდ უცნაურ იმპერიად ჩამოყალიბდა. ყველაზე მრავალრიცხოვანი, ფაქტობრივად იმპერიული, ერი ფორმალურად სხვა ერებზე მეტ უფლებებს არ ფლობდა. რუსი ისტორიკოსები იმასაც კი ამტკიცებენ, თითქოს რუსი ერი საბჭოთა კავშირში ყველაზე „დაჩაგრული" იყო, ამის არგუმენტად ჰოაქვთ ის, რომ რსფსრ-ს სახელმწიფოებრიობის ატრიბუტები არ გააჩნდა: არ ჰქონდა სახელმწიფო მართვის დამოუკიდებელი ინსტიტუტები, სამინისტროების უმეტესობა, არ არსებობდა „რუსეთის კომპარტია". სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს სახელმწიფოებრიობის ეს ფორმალური ატრიბუტები ჰქონდათ.

სინამდვილეში კი *საბჭოთა კავშირი იგივე რუსეთი იყო.*

სტალინმა ქვეყანა ააგო, როგორც ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომელშიც „მოკავშირე რესპუბლიკები" რეალურად სარგებლობდნენ მხოლოდ კულტურულ-ტერიტორიული ავტონომიით. მას რომ რუსეთისთვისაც მიეცა

ისეთივე „სახელმწიფოებრიობის ფორმალური ატრიბუტები", რაც არარუსულ რესპუბლიკებს ჰქონდათ, საბჭოთა კავშირი მართლაც *თანასწორთა კავშირი* გახდებოდა.

რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტების როლს ასრულებდნენ საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტები, საკავშირო სამინისტროები, ხოლო რუსეთის კომპარტიის როლს – ქვეყნის ერთადერთი და მმართველი პარტია, *საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია* [შემოკლებით სკკპ], 1952 წლამდე ცნობილი, როგორც *სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)*. ყველა რესპუბლიკის კომუნისტური პარტია ფაქტობრივად სარგებლობდა მხოლოდ საოლქო ორგანიზაციის უფლებებით.

ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სათავო ორგანიზაცია, მათ შორის უმთავრესი – სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო, მდებარეობდა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში. რუსული ენა რეალურად სახელმწიფო ენა იყო (ფორმალურად მას „*ერთაშორისი ურთიერთობის ენა*" ერქვა). საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები, თუნდაც სხვა ეთნოსის წარმომადგენლები, ატარებდნენ რუსულ ეროვნულ პოლიტიკას.

ეროვნულ-ტერიტორიული დაყოფა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და ოკრუგების „ეროვნული უფლებები" თუ თავიდან რაღაცას ნიშნავდა, თანდათანობით ფიქციად იქცა. ეს ერთეულები თავდაპირველად უფრო პროპაგანდისტული მიზნით შეიქმნა: ლენინს უნდოდა ეჩვენებინა „ნაციონალური საკითხის" მოგვარების საბჭოური მეთოდი და ამით რევოლუციის მიმართ პოზიტიურად განეწყო სხვა ქვეყნებისა და ეროვნების პროლეტარიატი.

როდესაც „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" იმედი გადაიწურა, საბჭოთა კავშირის ეროვნულ-ტერიტორიულმა დაყოფამ ინერციით განაგრძო არსებობა: მათი უფლებები ისედაც მოჩვენებითი იყო, ხოლო *ჩეკა/გეპეუს* ევალებოდა ძირშივე აღეკვეთა ყველანაირი „ნაციონალისტური გამოხდომა". მართალია, როგორც ზევით ითქვა, ადგილობრივი პარტიული ლიდერები, ფარულად მაინც, ეროვნულ საქმეებზეც ზრუნავდნენ.

როგორც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა *ვლადიმირ პუტინმა* 2007 წლის 1 თებერვალს სამართლიანად განაცხადა, **„საბჭოთა კავშირი იყო სუპერცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფო"**.

მეორე მსოფლიო ომის დროს და, განსაკუთრებით, 1945 წლის შემდეგ სტალინმა აშკარად დაიწყო რუსული ნაციონალიზმის წახალისება. საბჭოთა კავშირში რუსი ერის რაღაც „დაჩაგრულობაზე" ლაპარაკი ლოგიკას მოკლებულია.

ამასთან, არასლავური პერიფერიის შემომტკიცება მართლაც მოითხოვდა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რუსეთის მხრიდან ამ რესპუბლიკებისათვის დოტაციის გამოყოფას. ადგილობრივი ეთნიკური ელიტები ამ დოტაციების

(მაშინ ამას „ლიმიტის დაშვებას“ უწოდებდნენ) მეშვეობით პირად ავტორიტეტს ზრდიდნენ („ხალხზე ვზრუნავთ“!) და საკუთარ კეთილდღეობასაც იუმჯობესებდნენ.

ეთნიკური რუსების კულტურული ელიტა ობიექტურად შეზღუდული აღმოჩნდა. თავადაზნაურული წარმოშობის ინტელიგენციის დიდი ნაწილი შეეწირა სამოქალაქო ომს – დაიღუპა ან ემიგრაციაში წავიდა. საქართველოსა და სომხეთს კი რევოლუციამდელი კულტურული ელიტა პროპორციულად უფრო მეტად შემორჩათ, ვიდრე საკუთრივ რუსეთს. რუსეთში ეთნიკური რუსი ინტელიგენციის ვაკანტური ადგილი სწრაფად შეავსო ებრაული წარმოშობის ინტელიგენციამ, რისი საჭიროებაც საქართველოსა და სომხეთში არ გაჩენილა.

პოლიტიკური კარიერის უპირველესი საფუძველი „პროლეტარული წარმოშობა“ იყო. 1920-30-იან წლებში მუშისა თუ გლეხის შვილს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა ინტელიგენტისა და, მით უმეტეს, ყოფილი თავადის, ვაჭრის ან მღვდლის შვილთან შედარებით.

საბჭოთა კავშირში, ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოს „კაპიტალისტური ქვეყნების ჩაგრული კლასებისათვის იმედის შუქურის“ როლს ჩემულობდა, მართლაც შეიქმნა ფართო ფენების მიერ განათლების მიღების საშუალება. დაწყებითი განათლება სავალდებულო გახდა და მალე ძირითადად აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა.

აქვე უნდა დავძინო, რომ საბჭოურ განათლებას გეოგრაფიულად მკვეთრი ხარისხობრივი სხვაობები ჰქონდა. თუ დიდ ქალაქებში იყო საკმაოდ კარგი საშუალო სკოლები, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, იმპერიისდროინდელი გიმნაზიური განათლების ტოლფას ცოდნას იძლეოდნენ, სასოფლო რაიონებში სკოლა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ წერა-კითხვის პრობლემას თუ აგვარებდა.

კარგ სპეციალისტს ომამდელ საბჭოთა კავშირში სულ ორიოდე ათეული უმაღლესი სასწავლებელი ამზადებდა, სადაც რევოლუციამდელი კადრები ან მათი მოწაფეები შემორჩა – მოსკოვში, ლენინგრადში, ყაზანში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, თბილისში, ერევანსა და რამდენიმე სხვა ქალაქში. სხვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საგანმანათლებლო და სამეცნიერო დონის ასამაღლებლად მათ დედაქალაქებში შექმნილი უნივერსიტეტები სინამდვილეში საკმაოდ მდარე დონის სპეციალისტებს უშვებდნენ.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში (გარდა საქართველოსი და სომხეთისა, ხოლო 1940-იანი წლებიდან, ბალტიის რესპუბლიკებისა) და ყველა ავტონომიაში უმაღლესი განათლების მიღება ძირითადად, თუ მთლიანად არა, რუსულ ენაზე ხდებოდა.

თავისი სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად საბჭოთა სახელმწიფოს სჭირდებოდა უამრავი ინჟინერი და ტექნიკოსი, აგრეთვე მათემატიკოსი,

ფიზიკოსი, ქიმიკოსი, გეოლოგი და სხვა დარგის სპეციალისტი, რომელთაც პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეეძლოთ. საბჭოთა მთავრობამ დაიწყო სერიოზული ზრუნვა მეცნიერებაზე და მოახერხა ბევრი ისეთი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო დარგის განვითარება, რომლებიც მას გამოადგა მეორე მსოფლიო ომის დროს. მეცნიერებას ჩვეულებრივ მცირერიცხოვანი პროფესიონალები წევენ წინ, რომელთა ლაბორატორიებს საბჭოთა ხელისუფლება მართლაც უხვად აფინანსებდა. მოკავშირე რესპუბლიკებში მეცნიერებათა აკადემიები შექმნეს და მათ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაუქვემდებარეს.

ამასთან, საბჭოთა მეცნიერებას უხდებოდა მკაცრი იდეოლოგიური დოგმების პირობებში არსებობა. მაგალითად, აიკრძალა ნამდვილი გენეტიკისა და კიბერნეტიკის, როგორც „ცრუმეცნიერებების", განვითარება. „საბჭოთა გენეტიკაში" ვინმე *ლისენკოს* კულტი ბატონობდა, რომელმაც მეცნიერების ეს დარგი საერთოდ დასცა. 1920-40-იან წლებში ენათმეცნიერებაში ბატონობდა მართლაც ცრუმეცნიერული – კლასობრივი – მიდგომა ენის ფენომენის მიმართ.

ტოტალიტარულ სახელმწიფოს უფრო მეტად შეუძლია ზრუნვა **კულტურის განვითარებაზე**, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის მქონე ლიბერალურ დემოკრატიას. მაგრამ ტოტალიტარული სახელმწიფო კულტურის მხოლოდ იმ სეგმენტს აფინანსებს, რომელიც მას ემსახურება. ლოზუნგი იყო „ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხალხს". სინამდვილეში ის ემსახურებოდა არსებულ ხელისუფლებას.

ისევე, როგორც ნაცისტურ გერმანიაში ან ფაშისტურ იტალიაში, საბჭოთა კავშირში ყველგან ნახავდით ბელადის (იქ: ფიურერისა და დუჩეს) ან „რეჟიმის დასაყრდენის" – მუშებისა და გლეხების (იქ: „არიელებისა" და „რომაელების") გამოსახულებებს.

საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც ნაცისტურ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიაში, იღებდნენ გასართობ და პატრიოტულ ფილმებს; ნიჭიერი კომპოზიტორები წერდნენ მარშებს, გუნდურ სიმღერებს და „იდეოლოგიურად გამართლებულ" ოპერებსა და ბალეტებს (საბჭოთა კავშირში იდგმებოდა, მაგალითად, არამ ხაჩატურიანის ბალეტი მესაზღვრეებზე, რომლებიც ჯაშუშებს იჭერენ); ვითარდებოდა „მონუმენტური არქიტექტურა": აგებდნენ უშველებელ სამთავრობო შენობებს, რომელთაც რეჟიმ(ებ)ის სიდიადე უნდა ეჩვენებინათ; საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიაში იდგმებოდა დიდი ზომის, ასევე „იდეოლოგიურად გამართლებული", ქანდაკებები. ნაცისტური გერმანიის ფილარმონიებსა და საოპერო თეატრებში მშვენიერად სრულდებოდა კლასიკური მუსიკა (ოღონდ კომპოზიტორი და შემსრულებელი ებრაელი არ უნდა ყოფილიყო). სტალინსაც უყვარდა ოპერა და ბალეტი და ხელოვნების ეს დარგები ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული: საბჭოთა ბალეტი მართლაც გამოირჩეოდა მსოფლიოში.

საინტერესოა, რომ როგორც სტალინი, ისე ჰიტლერი ვერ იტანდნენ სიურრეალიზმს, აბსტრაქციონიზმს, ყველაფერს „დეკადენტურს, გაუკუღმართებულსა და ხალხის გამრყვნელს": ორივე ტოტალიტარულ სახელმწიფოში ასეთი სახის ხელოვნება აკრძალული იყო.

დაკვირვებული მკვლევარი ბევრ მსგავსებას შეამჩნევს „სოციალისტურ რეალიზმსა" (იხ. ქვემოთ) და „ნაცისტურ ხელოვნებას" შორის.

მოსკოვში პერიოდულად ტარდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების „კულტურის დეკადები" და, ამდენად, ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელობა ცდილობდა თავი გამოეჩინა ბელადის წინაშე. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში მიმდინარეობდა *კულტურული მშენებლობა*. ნორმად იქცა რესპუბლიკების დედაქალაქებში ოპერისა და ბალეტის თეატრისა და შესაბამისი დასების არსებობა, რაც, რასაკვირველია, გულისხმობდა მხატვრული განათლების დაწესებულებების ქსელის შექმნასა და დაფინანსებას. ყველგან იქმნებოდა რესპუბლიკური და რაიონული მხარეთმცოდნეობითი მუზეუმები, ბიბლიოთეკები, სამხატვრო გალერეები.

საბჭოთა ერების კულტურა უნდა ყოფილიყო „*ფორმით ეროვნული, შინაარსით – სოციალისტური*", მას ხელი უნდა შეეწყო „სოციალიზმის მშენებლობისა" და „პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის". „გენერალური ხაზი" ნიშნავდა პარტიის იმდროინდელ პოლიტიკას, მაგალითად, კოლექტივიზაციას, ინდუსტრიალიზაციას, ხალხის მტრებთან ბრძოლას. ამ თემებზე იწერებოდა შესაბამისი რომანები და პოემები.

1920-იანი წლების შუაგულამდე საბჭოეთის ხელოვნებასა და ლიტერატურაში შენარჩუნებული იყო რაღაც ლიბერალიზმის მსგავსი. მაგალითად, არსებობდა სხვადასხვა ლიტერატურული გაერთიანება, შეიძლებოდა ექსპერიმენტული სპექტაკლების დადგმა. 1930-იანი წლებიდან კი კონტროლი ინტელიგენციაზე გამკაცრდა. კულტურის მოღვაწენი (იგივე „საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია") მკაცრი შერჩევის საფუძველზე უნდა გაერთიანებულიყვნენ ქვეყანაში ერთადერთ შესაბამის *შემოქმედებით კავშირში* (მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, თეატრალურ მოღვაწეთა, არქიტექტორთა, ჟურნალისტთა და ა.შ.), რომელსაც სახელმწიფო აფინანსებდა და აკონტროლებდა. რესპუბლიკებში არსებული ანალოგიური *შემოქმედებითი კავშირები* მოსკოვში განლაგებული ცენტრალური ორგანიზაციების ფაქტობრივი ფილიალები იყო. ასეთ შემოქმედებით კავშირში მოხვედრა დიდ პრივილეგიად ითვლებოდა, რადგან ეს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედს იძლეოდა, მით უმეტეს, თუკი ხელოვანს „პარტია ანდობდა" შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელის პოსტს.

სტალინი ბევრს კითხულობდა მხატვრულ და ისტორიულ ლიტერატურას (განსხვავებით თავისი მემკვიდრეებისაგან, ხრუშჩოვისა და ბრეჟნევისაგან,

რომლებიც წერა-კითხვაზე ცოტა მწყრალად იყვნენ) და მწერლებს „*ადამიანის სულის ინჟინრებს*“ უწოდებდა. რასაკვირველია, მას „კომუნისტური სულის ინჟინერია“ ესაჭიროებოდა.

1932 წელს *მწერალთა კავშირის* თავმჯდომარესთან, ცნობილ რუს მწერალ *მაქსიმ გორკისთან* სტუმრობისას სტალინმა პირველად გამოიყენა ტერმინი „*სოციალისტური რეალიზმი*“, რომელიც ხელოვნებასა და ლიტერატურაში უნდა დანერგილიყო, „როგორც სტილი და მეთოდი“. ეს ისეთი „რეალიზმი“ იყო, რომელსაც უნდა აესახა პარტიისათვის სასურველი, თუნდაც არარსებული, „სინამდვილე“. ასეთი ტიპის ნაწარმოებებს შორის საუკეთესოებს გულუხვ სტალინურ პრემიებს ანიჭებდნენ. ეს ხელს უწყობდა კონიუნქტურული ხალტურის შექმნას, ბელადის კულტის განდიდებას, რასაც ძალიან ცოტა ჰქონდა საერთო ნამდვილ ხელოვნებასთან.

ერთდროულად, პრიმიტივიზმის გამო, ეს „ხელოვნება“ უბრალო ადამიანებს უქმნიდა ადვილად დასამახსოვრებელ ხატებს.

ასე მაგალითად, მეხსიერებაში ჩამეჭედა დაწყებით კლასებში ნასწავლი ერთი „პროლეტარული პოეტის“ ლექსი, რომლის „ლიტერატურული მეტამორფოზები“ პოლიტიკური კონიუნქტურის შესანიშნავი მაგალითია. პოეტის სახელს შეგნებულად არ ვახსენებ: იმ დროს ბევრი წერდა ანალოგიურად:

„ალისფერია შენი მიდამო,
ეს შენი დროშაც ალისფერია,
შენი დიდება არის სტალინი,
შენი მარჯვენა არის ბერია“.

პირველი სტრიქონი საერთოდ უაზრობაა: თუ მიდამო ალისფერია, ის იწვის!

როდესაც 1953 წლის ზაფხულში ბერია „ხალხის მტრად“ გამოცხადდა, პროლეტარულმა პოეტმა არხეინად შეცვალა ბოლო სტრიქონი და მის ნაცვლად დაწერა:

„შენ დამარცხება არ გიწერია“.

ხოლო როდესაც 1956 წელს სტალინის პიროვნების კულტი ამხილეს, მესამე სტრიქონიც გადააკეთა და დაწერა:

„შენი დიდება არის უკვდავი“.

ლექსი კიდევ დიდხანს შედიოდა სკოლის სასწავლო პროგრამაში. მოდიფიცირებული სახით ასწავლეს ის ჩემს ძმას, რომელიც ჩემზე ოთხი წლით გვიან შევიდა სკოლაში.

მიუხედავად მსგავსი „პოეზიისა“, 1930-იან წლებში იქმნებოდა კარგი პოეზიაც და კარგი მუსიკაც. ნამდვილი ხელოვნების მოკვლა ძნელია, თუმცა მისი წარმოჩენა ხშირად გმირობას მოითხოვს. ზოგი ნიჭიერი ავტორი იძულებული

იყო ენერა „უჯრისათვის" (თუმცა ეს სახიფათო იყო), უკეთესი მომავლის მოლოდინში. *მიხაილ ბულგაკოვის* გენიალური რომანი „ოსტატი და მარგარიტა", რომელიც 1930-იან წლებში დაიწერა, პირველად მხოლოდ 1966 წელს დაიბეჭდა, თანაც მას ანტისაბჭოთად ვერც მივიჩნევთ, უბრალოდ, „სოციალისტური რეალიზმის" ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა.

ითვლებოდა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად, „სუვერენული სახელმწიფოები" იყვნენ, მიმდინარეობდა „სოციალისტური ერების" ფორმირება. ყველგან უნდა მომხდარიყო საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა. ლექსები უნდა მიეძღვნათ ლენინის, სტალინის, კომპარტიის, ადგილობრივი ბელადებისათვის, მაგალითად საქართველოში ისინი ეძღვნებოდა ლავრენტი ბერიას, აზერბაიჯანში – მირჯაფარ ბაგიროვს, უკრაინაში – ნიკიტა ხრუშჩოვს და ა.შ. ლექსებსა და სიმღერებს უძღვნიდნენ აგრეთვე შესაბამის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს – საბჭოთა სომხეთს, საბჭოთა აზერბაიჯანს, საბჭოთა უზბეკეთს და ა.შ.

შესაძლოა, ამიტომ შეეძლო *ლადო ასათიანს* იმ პერიოდში შეექმნა ასეთი უკვდავი სტრიქონები

> „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
> გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს,
> გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
> საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს".

ცენზურამ (მაშინ მას „მთავლიტი" ერქვა) ალბათ გადაწყვიტა, ლექსი საბჭოთა საქართველოსათვის მიძღვნილად მიეჩნია!

ყველა მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში საერთო სტანდარტით იწერებოდა რესპუბლიკის/ოლქის *„ისტორია უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე"*. მასში უნდა ასახულიყო არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული მითოლოგიზებული შედეგები, „ადრეფეოდალური" და „განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის სახელმწიფოებრიობა" (რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, საერთოდ არ არსებობდა); დიდი ნაწილი ეთმობოდა „რუსეთის მფარველობაში შესვლის პოზიტიურ შედეგებს", „დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასა და სოციალიზმის მშენებლობას". რასაკვირველია, ცალკე თავი ეძღვნებოდა „ეროვნული კულტურის გაფურჩქვნას სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში".

მიუხედავად პრიმიტიული კლიშეებისა, ასეთი ისტორიაც უწყობდა ხელს ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას. პარადოქსია, მაგრამ, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა, რომელიც თეორიულად მიმართული იყო „ერთიანი საბჭოთა ხალხის ფორმირებისაკენ" (ასეთი ფორმალური „ერთიანობის" შექმნა გამოცხადდება 1970-იან წლების შუაგულში, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე

თხუთმეტიოდე წლით ადრე), სინამდვილეში ახალი ერების ფორმირებას უწყობდა ხელს.

ქვეთავის სათაურში ნახსენები მთავარი პარადოქსი ისაა, რომ, საბოლოოდ, კრემლის *სუბიექტური* მიზნის საწინააღმდეგოდ, რესპუბლიკებში საბჭოთა ნაციონალური კულტურის განვითარება *ობიექტურად* აღმოჩნდა ნაციონალური კულტურული ელიტების შექმნის საფუძველი. XX საუკუნის ბოლო დეკადებში კი ამ ელიტების როლი ცალკეული რესპუბლიკებისა და მთელი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ განვითარებაში, რასაც კავშირის დაშლა მოჰყვა, ძალიან დიდი იყო.

ქალაქმშენებლობა

1920-1930-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა ხელისუფლებამ საკმარისად მყარად იგრძნო თავი, რომ *ქალაქმშენებლობაც* წამოეწყო. იქამდე ქვეყანაში მხოლოდ ინდუსტრიული საწარმოები შენდებოდა.

სტალინი პიონერი არ ყოფილა დედაქალაქის გრანდიოზული რეკონსტრუქციის საქმეში, რასაც ძვირფასი ისტორიული ძეგლები ეწირება ხოლმე. მასზე ადრე, 1924 წლიდან ასეთ საქმეს *ბენიტო მუსოლინიმ* მოჰკიდა ხელი, როდესაც რომის ცენტრში ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების დროინდელი ნაგებობები დაანგრია და მათ ნაცვლად განიერი ქუჩა Via dei Fori Imperiali გაიყვანა.

მხოლოდ იმპერატორები ან დიქტატორები ბედავენ ხოლმე არქიტექტურული ისტორიის წაშლას: მათ საზოგადოებრივი აზრი ნაკლებად აწუხებთ.

საბჭოთა კავშირში შიდასაქალაქო ცვლილებები მოსკოვის ცენტრის გადაკეთებით დაიწყო. ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, ტვერსკაიაზე, რომელიც მალე გორკის ქუჩა გახდება, სახლებს ბერკეტები შეუყენეს, გადაწიეს და სავალი ნაწილი გააგანიერეს. დაანგრიეს ბევრი ეკლესია და სხვა ისტორიული შენობა, რომლებიც ქუჩების გაფართოებას უშლიდა ხელს. მოსკოვის ცენტრში 1912 წელს აშენებული ქრისტე-მაცხოვრის ეკლესია 1931 წელს აიფეთქეს და მის ადგილზე გიგანტური ცათამბჯენის – საბჭოების სახლის – აშენება დაგეგმეს. საბოლოოდ ეს განზრახვა ვერ შესრულდა და საძირკვლის ქვაბულში 1960-იანი წლებიდან ღია საცურაო აუზი გაიხსნა. 1990-იან წლებში კი დამოუკიდებელ რუსეთში, სადაც მოჩვენებითი პიეტეტი ეკლესიის მიმართ ისეთივეა, როგორიც სხვა დამოუკიდებელ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, ქრისტე-მაცხოვრის ეკლესია ხელახლა ააშენეს.

1920-იანი წლების ბოლოს სტალინის ინიციატივით დაიწყო მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობა, თანაც ისეთისა, რომელიც „მსოფლიოში საუკეთესო“ იქნებოდა – სულ მიწისქვეშა სასახლეებით! სამართლიანობა მოითხოვს

ითქვას, რომ მეტროს გარეშე ეს ქალაქი ვეღარ განვითარდებოდა. ათიოდე წლის შემდეგ მეტროს არსებობა გამართლდება სამხედრო თვალსაზრისითაც: მას გამოიყენებენ როგორც ბომბსაწინააღმდეგო თავშესაფარს.

მოსკოვის მიბაძვით მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებშიც დაიწყო აღმშენებლობითი სამუშაოები. არქეოლოგიურ ძეგლებზე, ძველ ნაგებობებზე ან სულაც მითებზე დაყრდნობით ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში არქიტექტურის *ეროვნული სტილი* გამოიგონეს. საბოლოოდ ეს პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს.

ცვლილებები თბილისსაც შეეხო. 1933 წელს შედგა მისი განვითარების პირველი გენერალური გეგმა. დაიწყო მტკვრის სანაპიროების, ადმინისტრაციული შენობების, ხიდების, სტადიონების, საავადმყოფოების, კინოთეატრების, ცირკის მშენებლობა, რამაც, ვიყოთ სამართლიანები, თანამედროვე თბილისის შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

როდესაც იოსებ გრიშაშვილი უფრო ადრე, 1925 წელს, წერდა:

„გადაწყდა, უნდა შეეცვალო გზები,
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის"

ის უფრო სოციალურ სფეროს გულისხმობდა – *„ელამ მიკიტანს თავის დუქანთან მიბმული ყოჩით"*, წარსულისაკენ მიმავალ მემწვანილე კინტოებს. ზედაპირზე კი ძველი ნაგებობების ნგრევა უფრო გამოჩნდა.

სოციალისტური რეკონსტრუქციის უპირველესი მსხვერპლი რელიგიური დანიშნულების შენობები იყო. ინგრეოდა ეკლესიები, მიზგითები, სინაგოგები. მაგალითად, კინოთეატრ „რუსთაველის" ასაშენებლად 1930-იან წლებში კალოუბნის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დაანგრიეს. 1938 წელს თბილისში დაანგრიეს სომხური ვანქის ეკლესია და მის ადგილზე სომხური (ამჟამად 104-ე) საშუალო სკოლის შენობა ააგეს.

თბილისის შემთხვევაში ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ტოტალიტარულ რეჟიმს შეეძლო ზოგი ისეთი რელიგიური დანიშნულების შენობა დაენგრია, რომელთა შენარჩუნება სულ სხვა იერსახეს აძლევდა დედაქალაქს.

იქ, სადაც ახლა მტკვრის მარჯვენა სანაპიროა, თითქმის მეტეხის ტაძრის პირდაპირ, XVII საუკუნიდან იდგა შიიტური მიზგითი, რომელსაც „ალის მეჩეთს" უწოდებდნენ (ზოგი მას „შაჰ-აბასის მეჩეთად" მოიხსენიებს). ის ქალაქის ძველ ცენტრს აღმოსავლურ იერს უნარჩუნებდა. ვინ გაბედავდა ახლა, როდესაც ირანთან ვმეგობრობთ და ხანდახან იქიდან გაზის შემოტანა ჯვიხდება, მიზგითის გადაკეთებას თუ გადანევას, მით უმეტეს – დანგრევას. საბჭოთა ხელისუფლებამ კი მიზგითი დაანგრია და ახლა მის ადგილზე გადის ჯა, რომლის გარეშეც ამჟამინდელ თბილისში ტრანსპორტის მოძრაობა ალიან გაძნელდებოდა.

იქ, სადაც ახლა საქართველოს პარლამენტის შენობაა, XX საუკუნის დასაწყისიდან იდგა მრგვალგუმბათებიანი დიდი რუსული სამხედრო ტაძარი, აშენებული წმინდა ალექსანდრ ნეველის სახელზე. ქალაქში მას „სობორო"-ს ეძახდნენ. ის იყო ქალაქის ცენტრის დომინანტი ნაგებობა და თბილისს რუსული ქალაქებისაგან და თუნდაც ბულგარული სოფიისაგან ძნელად თუ განასხვავებდით. ვინ გაბედავდა ახლა ტაძრის დაშლას, ან თუნდაც მის გადაკეთებას? საბჭოთა ხელისუფლება კი წავიდა ამ მკრეხელობაზე. 1930-იანი წლების ბოლოს ტაძარი დაშალეს და მის ადგილზე დიდი ადმინისტრაციული შენობა აიგო.

ანალოგიური არქიტექტურული ძვრები სხვა ქალაქებსაც შეეხო. მაგალითად, ქალაქ ბათუმის სანაპიროდან ორასიოდე მეტრში მდგარი მართლმადიდებლური ტაძრის ადგილზე სასტუმრო „ინტურისტი" აღმართეს. ქალაქ ერევნის ცენტრში მართლმადიდებლური ეკლესია დაანგრიეს და მის ნაცვლად დიდი კინოთეატრი „მოსკვა" ააშენეს.

ამასთან, ზოგიერთი საკულტო ნაგებობა შენარჩუნებულ იქნა იმის გამო, რომ მათი ფუნქცია შეიცვალა – ქალაქებში მათ კლუბებად, სპორტულ დარბაზებად, მხატვრების სახელოსნოებად, თეატრებად, პლანეტარიუმებად, მუზეუმებად იყენებდნენ. სოფლებში საკულტო შენობებს საწყობებად ან ბოსლებად აქცევდნენ.

1950-იან წლებამდე საბჭოთა ქალაქებში საბინაო მშენებლობა ძალიან შეზღუდული მოცულობით ხდებოდა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები არ უმჯობესდებოდა. მაგალითად, 1925-1939 წლებში თბილისის საცხოვრებელი ფონდი ოფიციალური მონაცემებით (რაც გაბერილი ჩანს) 60 პროცენტით გაიზარდა, მოსახლეობის რაოდენობა კი იმავე პერიოდში გაორმაგდა, ანუ საშუალო თბილისელზე გაანგარიშებით საცხოვრებელი ფართი შემცირდა. 1939 წელს თბილისში აშენებული „11-სართულიანი" შენობა მაშინვე ლეგენდად იქცა: მასში „ლიფტი იყო!" ამ შენობაში ბინები უფასოდ დაურიგეს ინტელიგენციის ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეებს, რაც ხელისუფლების პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურებოდა.

იმპერიისდროინდელი შენობები, სადაც „კომუნალური ბინები" შეიქმნა საერთო ტუალეტით დერეფნის ან აივნის ბოლოში, თბილისში საუკუნეზე მეტხანს შემორჩა და მათი მთლიანად ამორტიზებული ნაწილის შეცვლა XXI საუკუნეში უნდა მოხდეს.

საბჭოთა კავშირის ახალ ინდუსტრიულ ცენტრებში კი 1920-იანი წლებიდან მუშებს ბარაკებს უშენებდნენ.

ლოზუნგები, სახელები, ზნეობა

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას *საბჭოთა პერიოდის კომუნისტურ ლოზუნგებსა და ტერმინოლოგიაზე, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებზე, ზნეობის ზოგიერთ ასპექტზე,* რადგან მათ გარეშე ეპოქას ვერ გავიგებთ.

ლენინის განცხადებები, ხშირად ნათქვამი ცხარე პოლემიკისას ან საჯარო გამოსვლისას, როდესაც ორატორი ცდილობს ხოლმე მკვახე და ერთდროულად მიმზიდველი ლოზუნგი ისროლოს და ნაკლებად ფიქრობს მის ლოგიკურობაზე, მისმა მიმდევრებმა დოგმებად აქციეს. ჩემი თაობის ადამიანებს ახსოვთ ყველგან გამოფენილი *ლენინური ლოზუნგები:* „პროფკავშირები – კომუნიზმის სკოლაა“, „გაზეთი – კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორია!“, „ხელოვნებაში ყველაზე მეტად გვესაჭიროება კინო!“ (სინამდვილეში, ლენინს უწერია „კინო და ცირკი“).

მოსკოვში, ევროპაში უდიდესი სასტუმრო „როსია“-ს (ახლა მის ადგილზე სხვა შენობები აიგო) პირდაპირ, მდინარის გაღმა მდებარე დიდი ელექტროსადგურის მთელი სახურავის გასწვრივ კიაფობდა წარწერა: „Коммунизм = советская власть + электрификация всей страны“ (კომუნიზმი = საბჭოთა ხელისუფლება + მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია). ლენინის ზემოხსენებული ლოზუნგი, ჩამოყალიბებული „განტოლების“ სახით, გვიბიძგებდა გამოთვლისაკენ, თუ როგორ უნდა მიგვეღო *ელექტროფიკაცია* წმინდა სახით: ეს გამოდიოდა *კომუნიზმი მინუს საბჭოთა ხელისუფლება*! ლენინს ჰქონდა საერთო ჯამში სწორი იდეა – გაეწათებინა მთელი ქვეყანა (გამოიყენებოდა კლიშე *„ილიჩის ნათურები“*, თუმცა ელექტრონათურა თომას ედისონმა გამოიგონა და არა ვლადიმირ ილიჩმა). ელექტროფიკაცია რომ პროგრესის სანინდარია, ამაზე არავინ დავობს. მაგრამ აბსურდული ლოზუნგიდან აბსურდული დასკვნის გამოტანა შეიძლება.

დოგმები ლოგიკას არ ექვემდებარება: მათი უნდა გწამდეს. ყველა რელიგიის დოგმატების ნაწილი ასევე ურთიერთგამომრიცხავი და ალოგიკურია. მაგრამ მათი ხომ სწამთ?

ტერმინები „კონტრრევოლუციონერი“ (შემოკლებით *„კონტრა“*), *„რევიზიონისტი“, „ოპორტუნისტი“, „ნაციონალ-უკლონისტი“, „ტროცკისტი“, „კოლექტივიზაცია“, „ინდუსტრიალიზაცია“, „განკულაკება“* და მისთანები, რაც მამაჩემისა და ჩემი თაობებისათვის საშინელებით გასაგები იყო, XXI საუკუნეში ანაქრონიზმად იქცა. ერთადერთი გასაგები ტერმინი შეიძლება აღმოჩნდეს *„ინდუსტრიალიზაცია“*, ისიც – სხვა კონტექსტში.

რაც შეეხება სიტყვა *„ამხანაგს“*, რომელსაც დღეისათვის დაუბრუნდა უწყინარი მნიშვნელობა და „მეგობარზე ოდნავ ნაკლებ ახლობელს“ აღნიშნავს, მას თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში საკმაოდ შემზარავი მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა პერიოდში ასე მიმართავდნენ ერთმანეთს

ქვეყანაში ერთადერთი კომუნისტური პარტიის წევრები და უბრალო მოქალაქეებიც. უნდა მიგემართათ „ამხანაგო სტალინ!", „ამხანაგო გენერალო!" (ქართულმა ინტელიგენციამ შეინარჩუნა მიმართვა „ბატონო", მაგრამ ასე მხოლოდ პროფესორებს მიმართავდნენ). „ამხანაგო!" – ასე მიმართვას, ხმის აწევასთან ერთად, მკაცრი ოფიციალურობის მნიშვნელობა ჰქონდა. პატიმარი ვერ მიმართავდა თავის ბადრაგს ან საპყრობილის უფროსს, როგორც „ამხანაგს". პატიმრისათვის „ამხანაგი" არ არსებობდა, მას საქმე „მოქალაქე უფროსთან" ჰქონდა.

ზემოთქმული მხოლოდ საბჭოთა კავშირს არ ეხებოდა. „ამხანაგობით" ოფიციალურად მიმართავდნენ ერთმანეთს არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტები და სოციალისტები, არამედ სულ სხვადასხვა და ხანდახან ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგიის მქონე „პარტიული ამხანაგები", მაგალითად, იტალიელი ფაშისტებიც (*„კამერატა ბაჯო!"*), გერმანელი ნაცისტებიც (*„პარტაიგენოსსე ბორმან!"*), ებრაელი სიონისტებიც (*„ხავერ ბენ-გურიონ!"*), სომეხი დაშნაკებიც (*„ენკერ როსტომ"*!) და ა. შ. ყველა მტკიცე პარტიის წევრი ერთმანეთის ამხანაგია! მაგრამ მთელ ქვეყანაში „ამხანაგობით" მიმართვა მხოლოდ საბჭოთა რუსეთისა და სხვა „სოციალისტური" ქვეყნებისათვის გახდა დამახასიათებელი.

პოსტსაბჭოთა რუსეთის ფედერაციამ თავის არმიაში შეინარჩუნა ეს მიმართვა: იქ ჯერაც ისმის „Товарищ старшина", „Товарищ лейтенант", „Товарищ генерал" ("ამხანაგო ზემდეგო", „ამხანაგო ლეიტენანტო", „ამხანაგო გენერალო").

* * *

კომუნიზმი საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებშიც იჩენდა თავს.

მრავალეთნიკურ საბჭოთა კავშირში *საკუთარი სახელების* უნივერსალიზაციაზე ლაპარაკი ძნელია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგრძნობოდა „ახალი სიო". ყველგან დაიწყეს „რევოლუციური სახელების" გამოყენება. ფართოდ გავრცელდა *ვლადიმირი* (ლენინის პატივსაცემად), *მარატი* (საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე), *ჟორესი* (ინტერნაციონალის მოღვაწე) და სხვ.

ბავშვს ადრე სახელს თუ მღვდელი, იმამი, რაბინი აძლევდნენ, ახლა თვით მშობელს შეეძლო დაერქმია, რაც უნდოდა. მოდაში შემოვიდა მხატვრული ნაწარმოებებისა ან კინოფილმების გმირების ევროპული სახელები. *ედუარდი, ედგარი, რობერტი, დუგლასი, რიჩარდი, ჟიული, ჰამლეტი, ოფელია, რომეო, ჯულიეტა, ვიოლეტა* და სხვა მსგავსი სახელი რუსეთის იმპერიაში მხოლოდ ევროპიდან იმიგრირებულ ადამიანს ან ევროპაში ნაცხოვრები რუსეთის ქვეშევრდომის შვილს თუ ერქმეოდა. 1920-იანი წლებიდან კი ისინი საბჭოთა ხალხებში ფართოდ გავრცელდა.

რაღაც კანონზომიერებაც კი გაჩნდა. მაგალითად, *ჰამლეტს, ოფელიას*

(ოფიკ), ანჟელას, ედუარდს (ედიკ), ალბერტს, რობერტს თავიანთ შვილებს ძირითადად სომხები არქმევდნენ. მართალია, ქართველებშიც აღმოჩნდნენ ცნობილი ედუარდი, რობერტი, ალბერტი, ჰამლეტი, მაგრამ, შედარებით იშვიათად.

იმდროინდელ ქართველებს უფრო „რევოლუციური" აბრევიატურები იტაცებდათ, მაგალითად, *მარლენი* (მარქსი-ლენინი), *სტალბერი* (სტალინი-ბერია), *იბესტი* (იოსებ ბესარიონის ძე სტალინი), *მელსი* (მარქსი-ენგელსი-ლენინი-სტალინი), *ლენორი* (ლენინი-ოქტომბრის რევოლუცია), *მელორი* (მარქსი-ენგელსი-ლენინი-ოქტომბრის რევოლუცია), *დევი* (Дитя эпохи Владимира Ильича), *და ზმირი* (Да здравствует мир!). გავრცელდა რაღაც „ნეოლოგიზმებიც", მაგალითად, *გელოდი, ველოდი, არველოდი*, ან მშობლების სახელებიდან ნაწარმოები ახალი სახელები, მაგალითად, *გრივერი* (გრიშა და ვერა), *მამლიდი* (მამია და ლიდა) და ა. შ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტ ლიდერებს, მათი დიდი ნაწილი იმპერიისდროინდელი არალეგალური საქმიანობის პერიოდის ფსევდონიმებით იყო ცნობილი – *ლენინი* (ნამდვილი გვარი ულიანოვი), *სტალინი* (ჯუღაშვილი), *ტროცკი* (ბრონშტეინი), *კიროვი* (კოსტრიკოვი), *მოლოტოვი* (სკრიაბინი), *ლიტვინოვი* (ვალახი), *კამენევი* (როზენფელდი), *ლარინი* (ლურიე) და ა.შ. ამ გამოგონილ გვარებშიც იდო პროპაგანდისტული ელემენტი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი „ძალასა და ქარიზმასაც" მატებდნენ მათ მფლობელებს. მაგალითად, „молот" – რუსულად „უროს" ნიშნავს, „камень" – „ქვას".

„სტალინი" რუსებისათვის ბევრად უფრო მისაღები იყო, ვიდრე იქნებოდა „ჯუღაშვილი" – აშკარად არარუსული გვარი. „სტალინში" კი ისმოდა ფოლადის ჟღერა („сталь" რუსულად „ფოლადს" ნიშნავს). ომის დროს წითელი არმიის საბრძოლო შეძახილი იყო „За Родину, за Сталина!" (სამშობლოსათვის, სტალინისათვის). ძნელი წარმოსადგენია, ეს შეძახილი ყოფილიყო „За Родину, за Джугашвили!".

ადოლფ ჰიტლერის მამას ალოიზ შიკლგრუბერსაც (რაც ერთ-ერთ გერმანულ დიალექტზე „ნაგვის ჭიას" ნიშნავს) დროულად შეუცვლია გვარი, თორემ ნაცისტური მისალმება „Heil Hitler!"-ის ნაცვლად „Heil Schicklgruber!" ნამდვილად არ ივარგებდა!

* * *

ახალ *გეოგრაფიულ სახელებში* შეიმჩნეოდა ტენდენცია, რომ კომუნისტ ლიდერებს საკუთარი გვარი სიცოცხლეშივე უკვდავეყოთ: პოლიტიკური ტოპონიმიკა ყვაოდა! მართალია, პირველი ცვლილება, *პეტროგრადისათვის* (რომელიც პიოტრ/პეტრე I-მა დააარსა) *ლენინგრადის* ანუ „ლენინის ქალაქის" დარქმევა მოხდა ლენინის გარდაცვალების შემდეგ. ლენინის სახელი ყველგან გავრცელდა – *ლენინაბადი, ლენინაკანი* (ახლა ისევ გიუმრი), *ლენინო, ლენინსკი, ლენინგორი* (ახლა ისევ *ახალგორი, თუმცა ოსებს* მაინც ლენინგორი

ურჩევნიათ!). ასევე საბჭოთა ლიდერის, *იაკოვ სვერდლოვის*, სიკვდილის შემდეგ დაერქვა ურალის ქალაქ ეკატერინბურგს *სვერდლოვსკი*.

მაგრამ მალე ცოცხალმა ლიდერებმაც გადაწყვიტეს „ხალხის გახარება" სამშობლოს რუკაზე თავიანთი გვარების აღნიშვნით.

ვოლგაზე მდებარე ქალაქ ცარიცინს *სტალინგრადი* დაერქვა (ახლა მას *ვოლგოგრადი* ეწოდება), დონბასის მეშახტეთა ქალაქ იუზოვკას – *სტალინო* (ახლა ის *დონეცკია*), ტაჯიკეთის დედაქალაქს, აულ დუშამბეს (ახლა *დუშანბეს*) – *სტალინაბადი* და ა. შ. ყველა რესპუბლიკაში უნდა ყოფილიყო სტალინის სახელის მქონე დასახლებული პუნქტი, მისი სახელობის მოედანი, ქუჩა, ქარხანა, კოლმეურნეობა, სასწავლო დაწესებულება.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (ნომინალურად „პრეზიდენტი"), თხისწვერა *მიხაილ კალინინი* სიცოცხლეშივე იქნა უკვდავყოფილი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რუსეთის მიერ ანექსირებული აღმოსავლეთ პრუსიის ცენტრ *კენიგსბერგის* სახელის შეცვლისას: მას დღემდე *კალინინგრადი* ჰქვია. გარდა ამისა, ყველა რესპუბლიკაში რომელიმე ქალაქისა ან ადმინისტრაციული რაიონისათვის უნდა მიენიჭებინათ კალინინის სახელი.

ვაჭრობის სახალხო კომისრის, *ანასტას მიქოიანის* სახელი დაერქვა ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ცენტრს – *მიქოიან-შახარს* (ახლა – კარაჩაევსკი). ქალაქ სამარას *კუიბიშევი* დაარქვეს, სტავროპოლს – *ვოროშილოვსკი*, პერმს – *მოლოტოვი*. გაჩნდა უამრავი ქალაქი და სოფელი *ორჯონიკიძე*.

გაუმართლა ამხანაგ *სერგეი კიროვს*: მისი სახელი ძალიან ფართოდ გავრცელდა საბჭოთა ტოპონიმიკაში. რუსეთში ქალაქ ვიატკას დაერქვა *კიროვი*, სომხეთში ქალაქ კარაკლისს – *კიროვაკანი* (ახლა *ვანაძორი*), აზერბაიჯანში ქალაქ ელისავეტპოლს – *კიროვაბადი* (ახლა – *განჯა*).

პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრი „მოკრძალებულობას" იჩენდა. მაგალითად, *ლავრენტი ბერიას* სახელი, რამდენადაც ვიცი, ქალაქებისათვის არ დაურქმევიათ (სომხეთში ერთ სოფელს კი ერქვა „ბერიაკანი"!). მაგრამ მისი სახელობისა იყო თბილისის მთავარი მოედანი, რომელსაც, სხვათა შორის, რვაჯერ გამოეცვალა სახელი: XIX საუკუნის პირველ დეკადებში ამ ადგილს *გარეთუბანს* უწოდებდნენ, 1830-იანი წლებიდან ის იყო *გრაფ პასკევიჩ-ერივანსკის* მოედანი, მერე სახელი შემოკლდა და ის დიდხანს *ერევნის* მოედნად იხსენიებოდა. მენშევიკების დროს და ბოლშევიკების ბატონობის პირველ წლებში მას *თავისუფლების* მოედანი ერქვა; 1923 წლიდან 13 წლის განმავლობაში ის *ზაკფედერაციის* (ამიერკავკასიის ფედერაციის) მოედნის სახელით იყო ცნობილი; ამის შემდეგ მას *ბერიას* მოედანი ეწოდა. 1953-1989 წლებში მოედანი *ლენინის* სახელს ატარებდა, 1989 წლიდან კი ისევ *თავისუფლება* დაბრუნდა.

ბერიას სახელი ერქვა თბილისის „დინამოს" სტადიონს, ამიერკავკასიის რკინიგზას, ბევრ ქარხანას და კოლმეურნეობას.

1953 წლის შუაგულიდან, როდესაც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ბერია მისივე კოლეგებმა, პოლიტბიუროს სხვა წევრებმა, მოკლეს, მისი სახელი ყველგან ამოძირკვეს. როგორც იმ დროს იყო მიღებული, ადრე გამოქვეყნებულ წიგნებშიც კი „ხალხის მტრის" გვარს სქელი შავი ხაზი უნდა გადასმოდა.

1961 წლიდან სტალინის სახელიც გაქრა გეოგრაფიული რუკებიდან..

მოგვიანებით, თითქმის ყველა სხვა ქალაქს აღუდგინეს ძველი ან გამოუცვალეს „კომუნისტური" სახელი, მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში მდებარე ვლადიკავკაზს (რომელიც დიდხანს იყო *ორჯონიკიძე*), უკრაინის ლუგანსკს (*ვოროშილოვგრადი*), ნიჟნი ნოვგოროდს (*გორკი*) დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან სენაკს (*ცხაკაია*), ოზურგეთს (*მახარაძე*), ხონს (*წულუკიძე*), ხარაგაულს *(ორჯონიკიძე)* და ა.შ.

აღმოსავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტებს რევოლუციონერების სახელებს ნაკლებად არქმევდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ამ მხარეში ნაკლები კომუნისტი მოღვაწე დაიბადა, თუ არ ჩავთვლით თვით იოსებ ჯუღაშვილს!

ქვემო ქართლში მდებარე ბორჩალოს მაზრის ყოფილი ცენტრი დაბა შულავერი *შაუმიანი* გახდა. რატომღაც ის დღემდე ინარჩუნებს ბაქოელ კომისართა თავკაცის – სტეფან შაჰუმიანის – სახელს.

სტალინის პარტიული ფსევდონიმი ერთხანს ერქვა ცხინვალს (*სტალინირ*). სხვათა შორის, ოსი სეპარატისტები ცხინვალის ცენტრში ერთ-ერთ ქუჩას სტალინის სახელს ახლაც უნარჩუნებენ: ოსები სტალინის მამას ნაოსარად მიიჩნევენ! აქვე ვიტყვი, რომ ზოგიერთი სომეხი ავტორი სტალინს ნასომხარად მიიჩნევს, ხოლო ერთი-ორი რუსი მეცნიერი ამტკიცებს, რომ სტალინის ნამდვილი მამა ცნობილი მოგზაური *პრჟევალსკი* იყო (ულვაშებით ისინი მართლაც ჰგვანან ერთმანეთს!). ერთი სიტყვით, „ხალხთა ბელადზე" დიდი მოთხოვნილებაა! ეს ყველაფერი საგაზეთო გასართობია. გვინდა თუ არ გვინდა, სტალინი წარმოშობით ქართველი იყო, ოღონდ – სხვა ერის სამსახურში ჩამდგარი.

1989 წელს, საქალაქო რეფერენდუმის შემდეგ, *ლენინგრადს* სანკტ-პეტერბურგის სახელი დაუბრუნეს. სამაგიეროდ, ლენინის ნამდვილი გვარი, ულიანოვი, დღემდე შემორჩა იმ ქალაქს, სადაც ის დაიბადა – სიმბირსკს. ქალაქს *ულიანოვსკი* ახლაც ჰქვია და რუსეთის ფედერაციაში ინარჩუნებენ ამ სახელს, ისევე, როგორც ლენინის მავზოლეუმს მისივე მუმიით – მოსკოვის წითელ მოედანზე.

* * *

კომუნისტური ზნეობა გულისხმობდა, რომ კომუნისტი, მით უმეტეს, ხელმძღვანელ პოსტზე მყოფი, მაგალითს უნდა აძლევდეს სხვებს იმით, რომ ჭირად სიმდიდრეზე უარს ამბობდეს. კომუნიზმის დროს ხომ ყველაფერი საერთო იქნება! საბჭოთა რუსეთის პირველი მმართველები ინარჩუნებდნენ

პურიტანიზმის გარკვეულ ელემენტებს, უარს ამბობდნენ ფუფუნებაზე. ლენინსა და სტალინზე ეს ნამდვილად ითქმის. ეს უკანასკნელი სიკვდილამდე ატარებდა უბრალო ნახევრადსამხედრო ფორმას, მაინცდამაინც არ ზრუნავდა შვილებზე და არავითარი სიმდიდრე არ მოუხვეჭია. სამაგიეროდ, სტალინი და სხვა საბჭოთა ლიდერები მთელ იმპერიას ფლობდნენ.

იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო თავისი მოსახლეობა ელემენტარული კეთილდღეობით, *თანასწორობა სიღარიბის დონეზე დამყარდა*. იმ პერიოდის ადამიანებისათვის სანატრელი იყო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, უბრალო ჭურჭელი. ბედნიერებისათვის სულ ცოტა რამ კმაროდა!

მიუხედავად კომუნისტური პარტიის დეკლარირებული მიზნისა – შეექმნა თანასწორობა, ქვეყანაში საკმაოდ მალე გაჩნდა უფლებრივი განშრევება: „ზედა ფენად" უმაღლესი *ნომენკლატურა* იქცა. „ნომენკლატურა" ნიშნავდა იმ მაღალი რანგის თანამდებობებს, სადაც დასანიშნი პირები პარტიულ ორგანოებს უნდა შეერჩიათ.

სხვაობა საბჭოთა „მდიდარსა" და „ღარიბს" შორის ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე კაპიტალიზმის პირობებში, მაგრამ ეს სხვაობაც საკმარისი იყო უკმაყოფილებისათვის (რომელიც საჯაროდ არ მჟღავნდებოდა!).

სტალინის მემკვიდრეების დროს „კომუნისტური ზნეობა" კიდევ უფრო დაეცა: მმართველი პარტიული ელიტის კორუმპირებულობა და მომხვეჭელობა ისე გაიფურჩქნა, რომ უბრალო ხალხს კომუნისტური ხელმძღვანელობის მიმართ რიდი და პატივისცემა საერთოდ დაეკარგა, თუკი ის ოდესმე ჰქონდა.

ის პარტიები, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში თავს „კომუნისტურს" უწოდებენ, სინამდვილეში პარაზიტობენ საზოგადოების მარგინალური ნაწილის ნოსტალგიაზე, რომელიც გაჩნდა ადრეული „უშფოთველი ცხოვრების" მიმართ ახალი ეკონომიკური სიძნელეების ფონზე.

„კომუნისტური ზნეობის" დამკვიდრების მცდელობას წარმოადგენდა *პავლიკ მოროზოვის* ფენომენის გაფეტიშება. საბჭოთა მითის თანახმად, 1930-იანი წლების დამდეგს, პროპაგანდით ტვინგამორეცხილმა 12 წლის პიონერმა გახურებული კოლექტივიზაციის პერიოდში საკუთარი მამა დაასმინა იმის გამო, რომ ის სხვა გლეხებთან („კულაკებთან") ერთად მსჯელობდა რეკვიზიციისაგან ხორბლის გადამალვაზე. მამა დააპატიმრეს. იმავე მითის მიხედვით, სხვა კულაკებმა პატარა „ჩამშვები" მოკლეს. ბიჭი „კომუნიზმისათვის წამებულთა" პანთეონში მოხვდა.

ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი მაგალითის თვალსაზრისით, ეს ქმნიდა სრულ კონტრასტს *პროსპერ მერიმეს* მიერ გამოყვანილ კორსიკელ *მატეო ფალკონესთან,* რომელმაც სხვა ადამიანის, თუნდაც ყაჩაღის, „ჩაშვებისათვის" ერთადერთი ვაჟიშვილი დახვრიტა. კომუნისტური ზნეობის პოზიციიდან გმირი პავლიკ მოროზოვი იყო, მატეო ფალკონე კი ანტიგმირი გამოდიოდა.

საქართველოში (გასაბჭოებულშიც კი) ამ სახის „ზნეობა" არსებითად ვერ დამკვიდრდა: ხალხს მაინც შემორჩა საკუთარი ღირსების გრძნობა და კეთილშობილება. რეპრესირებულთა შვილების დიდი ნაწილი ერის ნამდვილ სიმდიდრედ იქცა, უპირველესად, შენარჩუნებული ზნეობრიობის წყალობით. სტალინიზმმა ქართველებისა და, ვფიქრობ, საბჭოეთის ბევრი სხვა ერის, უმრავლესობა ბოლომდე ვერ გარყვნა.

თავი 12

ომთაშორისი პერიოდის ძირითადი ნიშნები

თანამედროვე მსოფლიოს ფორმირების დასაწყისი

1918 წელს კაცობრიობა მოიცვა ე.წ. „ესპანური გრიპის" (ხალხში მას „ისპანკას" ეძახდნენ) პანდემიამ. ავადმყოფობამ მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა შეფასებით, 20-დან 50 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა. ერთი წლის შემდეგ გრიპის ვირუსი გაქრა, ან ისეთი სახის მუტაცია განიცადა, რომ ადამიანებისათვის ნაკლებად სახიფათო გახდა. „ისპანკის" წარმოშობის მიზეზები გაურკვეველი დარჩა: ზოგი ეპიდემიოლოგი post factum მიიჩნევს, რომ ეს იყო ფრინველის გრიპის სახეცვლილი გენით გამოწვეული დაავადება, თუმცა ეს საბოლოოდ დამტკიცებული არ არის.

ყველაზე მინიმალური შეფასებითაც კი ერთი წლის განმავლობაში „ისპანკით" გარდაცვლილთა რაოდენობამ ორჯერ გადააჭარბა მთელ პლანეტაზე წინა ოთხი წლის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა რიცხვს.

ბუნებრივმა მოვლენამ უფრო მეტად დააზარალა კაცობრიობა, ვიდრე პირადული თუ ჯგუფური ამბიციებითა და ეკონომიკური ინტერესებით გამოწვეულმა მსოფლიო ომმა. მაგრამ განა გვაძლევს ეს უფლებას რაიმე გამართლება მოვუძებნოთ ომს, რომელიც ადამიანთა მოდგმის ფსიქიკასაც კი ცვლის?

ამ წიგნის პირველ თავში მოხსენიებული *მორის დრიუონი* ძალიან ხატოვნად წერს 1920 წლის საფრანგეთისა და მისი დედაქალაქის შესახებ:

> „პარიზს დაემართა ის, რაც ადამიანებს ემართებათ ხოლმე და რაზეც ამბობენ – ერთ კვირაში ათი წლით დაბერდაო. ომის ოთხი წლის მანძილზე საფრანგეთი მთელი საუკუნით დაბერდა და, შესაძლოა, ეს იყო დიდი ცივილიზაციის ბოლო საუკუნე".

რაღა უნდა ითქვას სხვა ქვეყნებზე – ომში დამარცხებულ გერმანიაზე, ავსტრიაზე, თურქეთსა და მათ დედაქალაქებზე? რუსეთში ხომ საერთოდ გაუგონარი ცვლილებები მოხდა.

თუკი *XX საუკუნის დასასრულს* შევადარებთ მისგან ოთხმოციოდე წლით დაშორებულ 1920-იან წლებს, *სხვაობათა რიგს* შევამჩნევთ. მაგრამ *XX საუკუნის დასაწყისსა* და მასთან სულ ახლოს მდგომ 1920-იან წლებს ერთმანეთისგან *სხვაობათა ზღვა* აშორებს.

პირველმა მსოფლიო ომმა მკვეთრად შეცვალა კაცობრიობა. გარდა იმისა, რომ ოთხი იმპერიის ნგრევის შედეგად უფრო *აჭრელდა ევროპისა* და *ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა*, იმ ტერიტორიებზე, სადაც ომის ქარცეცხლმა გადაიარა, და, მოგვიანებით, დანარჩენი მსოფლიოს დიდ ნაწილშიც, *შეიცვალა ფასეულობათა სისტემა*. დაიკარგა მოწიწება ძველი ელიტების მიმართ, რომელთა უპასუხისმგებლობამაც მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის ამ მორევში ჩააგდო. ტრადიციული, პატრიარქალური (ე.წ. „სულიერი") ფასეულობები, რომლებიც იქამდე ნელ-ნელა იცვლიდა სახეს, თითქოს ხელის ერთი მოსმით გაქრა. ამოტივტივდა დინამიკური, მაგრამ უხეში და ბოროტი ძალა.

ზოგან იყო ამაო მცდელობა საზოგადოებრივი მორალის აღსადგენად. მაგალითად, 1920 წელს აშშ-ის კონგრესმა ჯერ კიდევ ომამდე (XIX საუკუნიდანაც კი) გავრცელებული ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრა „მშრალი კანონის" შემოღებით სცადა. გულუბრყვილო ამერიკელმა კანონმდებლებმა და აღმასრულებელმა ხელისუფალმა პრეზიდენტის სახით ვერ გაითვალისწინეს, რომ ადამიანური მანკიერების სამართლებრივი აკრძალვა ინვევს ამ აკრძალვისათვის შემოვლითი გზების ძიებასა და აღმოჩენას. ამერიკაში სწრაფად გავრცელდა *ბუტლეგერობა* (ალკოჰოლური სასმელების კონტრაბანდა და უკანონოდ გასაღება).

ამერიკული „მშრალი კანონი" კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა. სწორედ ბუტლეგერობამ შეუწყო ხელი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მთელი სისტემის შექმნას, რაც ადრე წარმოუდგენელი რამ იყო. ამერიკელების ლექსიკონში შემოვიდა და დამკვიდრდა შუა საუკუნეების სიცილიური ტერმინი *მაფია*, რაც ამ შემთხვევაში აღნიშნავდა ორგანიზებულ დამნაშავეობას სამართალდამცავთა მხრიდან მისი ფარული, ანგარებიანი ხელშეწყობით. ამერიკის მაფიოზური დანაშაულებრივი ჯგუფები ძირითადად იქმნებოდა ეთნიკურ ნიადაგზე – სიცილიიდან და სამხრეთ იტალიის სხვა პროვინციებიდან ჩამოსული იმიგრანტების მიერ.

ბუტლეგერობა აღმოიფხვრა მხოლოდ „მშრალი კანონის" გაუქმების შემდეგ, 1932 წელს. მაგრამ *ამ დროისათვის ამერიკაში უკვე დამკვიდრებული იყო მაფია*, რომელიც ადვილად გადაერთო სხვა სარფიან დანაშაულზე, მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობაზე ან *სათამაშო ბიზნესზე, რომელიც ყველგან დაკავშირებულია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან*. მაფიის ბოსებს მიაწერენ „სამორინეთა დედაქალაქის", *ლას-ვეგასის*, დაარსებას. მაფიოზური კლანები სხვა ქვეყნებშიც გაჩნდნენ.

გლობალურ კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენად იქცა ***რადიომაუწყებლობის*** დაწყება. 1920 წელს პირველი კომერციული რადიოქსელი ამუშავდა აშშ-ში, იმავე წლის ბოლოს – ბრიტანეთსა და ჰოლანდიაში. მერე კი რადიოგადაცემა ყველგან დაიწყო. ამან მკვეთრად გაზარდა ფართო მასების ინფორმირებულობა. ამავე დროს, ***რადიო გახდა მასობრივ ცნობიერებაზე ძლიერი ზემოქმედების საშუალება, განსაკუთრებით ტოტალიტარულ ქვეყნებში,*** სადაც ის, როგორც სახელმწიფოს მონოპოლია, ემსახურებოდა მხოლოდ ოფიციალური, გაფილტრული ინფორმაციის გავრცელებას. საბჭოთა კავშირში ხმამაღლამოლაპარაკეებს ამონტაჟებდნენ სპეციალურ ბოძებზე ქუჩებსა და მოედნებზე, რათა ყველას მოესმინა ინფორმაცია „სოციალიზმის მშენებლობისას მიღწეული წარმატებების", „საბჭოთა ხალხზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა" და „მსოფლიო იმპერიალიზმის საზიზღარი ხრიკების" შესახებ. მოკლეტალღოვანი რადიომიმღებების გამოყენება საბჭოთა კავშირში 1950-იანი წლების მეორე ნახევრამდე აკრძალული იყო: მათი საშუალებით ხომ უცხოეთიდან შემოსული *სხვა* ინფორმაციის მიღება შეიძლებოდა! მერეც, 1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე, „მტრულ რადიოხმებს" საბჭოთა სპეციალური სამსახურები ახშობდნენ.

1930 წლიდან დიდ ბრიტანეთში დაიწყო საცდელი ***ტელეგადაცემები,*** მაგრამ ომთაშორის პერიოდში ტელევიზია ჯერ არ იყო მასობრივი მოვლენა (გერმანიაშიც კი, სადაც უკვე 1936 წელს ტელევიზორები მაღაზიაში იყიდებოდა!) და მაშინ ის რადიოზე ბევრად ნაკლებ პროპაგანდისტულ როლს ასრულებდა.

ტელევიზიის როლი მასობრივ „ტვინის გამორეცხვაში" გაძლიერდება 1950-იანი წლებიდან, და, განსაკუთრებით, წინა საუკუნის ბოლო ათწლეულიდან, როდესაც მისი ქსელები მთელ დედამიწას მოედება. XXI საუკუნეში კი ტელევიზია ნებისმიერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უმძლავრესი ინსტრუმენტი გახდება.

ომისშემდგომი სახელმწიფოების პოლიტიკაში გამოჩნდა სხვადასხვა „***იზმები***": ***კომუნიზმი, ფაშიზმი, ნაციზმი.***

მრავალ ქვეყანაში საარჩევნო უფლების გაფართოებამ (მაგალითად, საარჩევნო ასაკის დაწევამ, ქალების ჩართვამ საარჩევნო პროცესში) მშვენიერი ასპარეზი შეუქმნა ***პოპულიზმს.*** ქარიზმატული, მაგრამ საეჭვო რეპუტაციის ლიდერები ძალაუფლებას ეუფლებოდნენ ამხედრებულნი ბრბოს მხრებზე, რომელსაც „ხალხის მასად" მოიხსენიებდნენ და რომელზეც ერთპიროვნულ ბატონობას იწყებდნენ.

* * *

ომთაშორის ხანაში ხდებოდა *გარეგნული ცვლილებებიც*. დამოკლდა ქალის ქვედატანი. ფრანგმა კუტიურიემ მადმუაზელ *გაბრიელ (კოკო) შანელმა* ყველაზე მეტად შეუწყო ხელი „თანამედროვე ემანსიპირებული ქალის" იმიჯისა და

ტანსაცმლის შექმნას და მანვე 1921 წელს გამოიტანა ბაზარზე თანამედროვე სუნამო, პარფიუმერიაში ყველაზე წარმატებული ბრენდი „Chanel № 5".

მამაკაცის ფრაკებსა და ცილინდრებს სამხედრო ტიპის ფრენჩები, გალიფეები და კეპები ენაცვლებოდა.

ხელოვნებაში, განსაკუთრებით არქიტექტურაში, გაბატონდა უსახური კონსტრუქტივიზმი. ვალსს ჯაბნიდა ტანგო, ვიოლინოს – საქსოფონი. ევროპაში პოპულარობას იხვეჭდა ამერიკიდან შემოსული ჯაზი.

რასაკვირველია, ყველანი, ვინც 1920-იან წლებში „ახალ ეპოქას" ქმნიდნენ, დაიბადნენ „ძველ ეპოქაში" – XIX საუკუნეში ან XX საუკუნის დამდეგს. მაგრამ *ახალი ეპოქა თავად ქმნის ძველი მასალიდან საკუთარ შემოქმედებს*. ეს 1991 წლის შემდეგაც დადასტურდება.

ტოტალიტარული რეჟიმების წარმოშობა

საზოგადოების მცირე, მაგრამ კარგად ორგანიზებული ნაწილის, *კომუნისტური პარტიის* („partis" ლათინურად „ნაწილს" ნიშნავს) მიერ რუსეთში დამყარებული დიქტატურა და ყველა სხვა პარტიის აკრძალვა გადამდები აღმოჩნდა სხვა მომავალი დიქტატორებისათვის.

იტალიური ფაშიზმის იდეები გარკვეულწილად სოციალიზმისაგან იყო ნასესხები. *ბენიტო მუსოლინი*, იტალიის ფაშისტური პარტიის დამფუძნებელი და ქვეყნის დიქტატორი, თავდაპირველად იტალიის სოციალისტური პარტიის წევრი და მისი პარტიული გაზეთის „Avanti"-ს რედაქტორიც კი იყო. შემდგომში მან მოახდინა კვაზი-სოციალისტური (უფრო ზუსტად, „ანტიკაპიტალისტური") იდეებისა და უკიდურესი ნაციონალიზმის შერწყმა და სახელმწიფოში მტკიცე წესრიგის დამყარების საბაბით ამ ნაზავისათვის დაუფარავი ავტორიტარიზმის შემატება (მისგან განსხვავებით, კომუნისტი დიქტატორები თავს „დემოკრატებად" ასაღებდნენ). ამ მოძღვრებას „*ფაშიზმი*" დაერქვა (ლათინური სიტყვიდან fascio – *შეკვრა, კონა*, საიდანაც გამოვიდა იტალიური fascismo – რაც დაახლოებით ნიშნავს *„ერთიან, მტკიცე კონად ყოფნას"*). ფაშიზმის დამახასიათებელი ნიშნებია, სოციალური დემაგოგია, ეროვნული განსაკუთრებულობის ხაზგასმა, საერთაშორისო არენაზე იმპერიული ამბიციების შესაბამისად მოქმედება (*„იტალიელები რომის იმპერიის მემკვიდრეები არიან!"*), ანტიდემოკრატიზმი, შეუცდომელი ლიდერის („Duce") კულტი.

ფაშისტურ იდეებს იტალიის რიგით ადამიანებს შორის საკმარისი მხარდამჭერი აღმოაჩნდა, ყოველ შემთხვევაში – პირველ ეტაპზე. ამ მხარდაჭერის გარეშე ფაშისტები ვერ შეძლებდნენ 1922 წლის ოქტომბერში „რომზე ლაშქრობის" მოწყობას და მეფე ვიტორიო-ემანუელე II-ის დაყოლიებას, დაენიშნა პრემიერ-

მინისტრად ბენიტო მუსოლინი: მეფეს ფაშისტებზე მეტად სოციალისტური რევოლუცია აშინებდა. 1926 წელს მუსოლინიმ იტალიაში აკრძალა ყველა პარტია, ფაშისტურის გარდა. 1929 წლიდან ის ერთპარტიულ „არჩევნებს" ატარებდა, ისევე, როგორც სტალინი – საბჭოთა კავშირში, ჰიტლერი – გერმანიაში და ხმების 95 პროცენტზე მეტს იღებდა!

მუსოლინიმ სცადა და თითქოს მოახერხა კიდეც მაფიის დამარცხება. ტოტალიტარულ რეჟიმს არ სჭირდება მეტოქე ორგანიზაცია! მაგრამ, სინამდვილეში, მაფიის ბოსები იატაკქვეშეთში გადავიდნენ და დაელოდნენ ქვეყანაში დემოკრატიის აღდგენას, რომელიც მათ სამართლებრივი მეთოდებით ებრძვის (კარგი ადვოკატის დახმარებით დამნაშავე სასამართლოში თავს უდანაშაულოდ წარმოაჩენს!) და არა უხეში ძალის მეშვეობით. ის კი არა, მაფიოზებმა „ანტიფაშისტების" გვირგვინიც კი დაიდგეს თავზე!

ფაშისტური იდეები ისევე გადამდები აღმოჩნდა, როგორც კომუნისტური. ფაშისტების ნაირსახეობას წარმოადგენდნენ, მაგალითად, ფალანგისტები – ესპანეთში, უსტაშები – ხორვატიაში და სხვ. ომთაშორის პერიოდში დიქტატორული, თითქმის ფაშისტური რეჟიმები არსებობდა პორტუგალიაში, ლატვიაში, რუმინეთში, პოლონეთში და ა.შ. ესპანეთში ასეთმა რეჟიმმა (ფრანკიზმმა) კიდევ კარგა ხანს გაძლო. ფაშისტური, თუმცა წარუმატებელი პუტჩები მოხდა ფინეთში, ავსტრიაში. ევროპული დემოკრატიის ბასტიონშიც კი – დიდ ბრიტანეთში – შეიქმნა ფაშისტური პარტია.

* * *

გერმანული ფაშიზმი, რომელიც უფრო *„ნაციზმის"* სახელითაა ცნობილი, ასევე ეყრდნობოდა კვაზი-სოციალისტურ იდეებს. *ადოლფ ჰიტლერი* მეშვიდე წევრად ჩაეწერა ზეინკალ *ანტონ დრექსლერის* მიერ შექმნილ *გერმანულ მუშათა პარტიაში* და მალე პირველი პირი გახდა. 1920 წლის აგვისტოში ამ მემარჯვენე-რადიკალურ პარტიას გამოეცვალა სახელი და ოფიციალურად დაერქვა *გერმანული ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია* (National-Sozialistische Deutsche Arbeiterpartei – NSDAP). პირადად ჰიტლერს მიეწერება პარტიის (შემდგომში, სახელმწიფოს) დროშის შექმნა, რომელზეც *წითელი ფონი* ასახიერებდა „მოძრაობის სოციალურ იდეას", *თეთრი წრე შუაგულში* – „ეროვნულ იდეას", ხოლო *შავი სვასტიკა წრეში* – „არიული რასის გამარჯვებისათვის ბრძოლის მიზანს". თუმცა პარტიას „მუშური" ერქვა და პოპულიზმს ეყრდნობოდა, ის უპირველესად გერმანიაში საკმაოდ მრავალრიცხოვან საშუალო კლასებზე იყო ორიენტირებული და არა პროლეტარიატზე.

რასაკვირველია, ჰიტლერი სულ *სხვაგვარ სოციალიზმს* გულისხმობდა, *არა ინტერნაციონალურს*, როგორიც პოლიეთნიკურ რუსეთში ჩამოყალიბდა, *არამედ ნაციონალურს*. მარქსიზმი მისთვის საერთოდ მიუღებელი რამ იყო.

ნაციზმი პირდაპირ ამბობდა, რომ კეთილდღეობის შექმნას, თანასწორობას ის მხოლოდ რჩეული რასისათვის – „არიელებისათვის" – აპირებს, ხოლო ამ მითური „არიელების" პირდაპირი მემკვიდრეები გერმანელები არიან!

რომელიმე ერის მიერ საკუთარი თავის რჩეულად გამოცხადება ხელს უწყობს სხვა ერების ჩაგვრას და მათი განადგურების მცდელობასაც კი იწვევს.

საკუთარი ერის (ან რასის) „რჩეულობის" სინდრომი სულაც არაა ახალი რამ ისტორიაში და ის ჰიტლერს არ გამოუგონებია.

მსოფლიოსათვის მავნეა და სახიფათოა ნებისმიერი ერის/რასის „ღვთის მიერ რჩეულობის" იდეის გავრცელება, თუნდაც ამ იდეის მომხრეებს არგუმენტად მოჰქონდეთ თავისივე *ერის/რასის* ადამიანების მიერ ოდესღაც დაწერილი ე.წ. „წმინდა წიგნები".

1934 წელს გერმანიაში აიკრძალა ყველა პარტია, გარდა ნაცისტურისა: ჰიტლერი სწრაფად ითვისებდა სხვა დიქტატორთა გამოცდილებას! დამყარდა ჰიტლერის დიქტატურა.

* * *

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ქრებოდა მონარქიები და თვითმპყრობელობა, მაგრამ ჩნდებოდა *ავტორიტარიზმი,* ანუ ერთი პირის ხელში თავმოყრილი ძალაუფლების მიერ დამყარებული პოლიტიკური რეჟიმი. ასეთ პირობებში სხვა, განსაკუთრებით წარმომადგენლობითი ინსტიტუტების როლი მკვეთრად დაკნინებულია. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი რეჟიმის პირველი მოდელი რუსეთის კომუნისტებმა შექმნეს.

ზოგ ქვეყანაში ავტორიტარიზმი გადაიზარდა ომთაშორისი ეპოქისათვის დამახასიათებელ ფენომენში, *ტოტალიტარიზმში,* ანუ ისეთ დესპოტურ, რეპრესიულ რეჟიმში, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე *აბსოლუტურ კონტროლს* ახორციელებს მტკიცედ დისციპლინით შეკრული ადამიანთა ჯგუფი (პარტია) *ერთი ლიდერის* ხელმძღვანელობით. ამ მოვლენის საუკეთესო მაგალითებია *სტალინიზმი* და *ჰიტლერიზმი,* რომელთა ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო რუსი და გერმანელი ხალხების დისციპლინამ, უფრო სწორად, უფროსის ბრძანების უსიტყვოდ შესრულების უნარმა. *მუსოლინისეული* ტოტალიტარიზმი ამ დონეს ვერ შესწვდა: იტალიელებს უჭირთ შეგუება მკაცრ (რაც მათთვის „გულქვას" ტოლფასია) დისციპლინასთან!

ტოტალიტარიზმი სხვადასხვა ფორმით იჩენდა თავს.

მაგალითად, *ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიაში შენარჩუნებული იქნა კერძო საკუთრება* და იქ ცხოვრობდნენ ადამიანები (მაგალითად, ფერმერები, მრეწველები), რომლებიც ეკონომიკურად არ იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფოზე. 1935 წლამდე გერმანიიდან კაპიტალის შეუზღუდავად გატანა შეიძლებოდა. ამიტომაც მრავალი მდიდარი ებრაელი, ვინც შეატყო, რომ ჰიტლერისაგან მხოლოდ საფრთხე ელოდა, დროულად წავიდა ემიგრა-

ციაში. 50 ათასზე მეტი გერმანელი ებრაელი თავის ავლადიდებიანად გადასახლდა ბრიტანული მანდატის ქვეშ მყოფ პალესტინაში და იქ *ებრაული პროტოსახელმწიფოს საფუძველი* შექმნა. სხვათა შორის, გერმანიის ებრაელთა ეს მასობრივი იმიგრაცია 1936 წელს პალესტინაში არაბული აჯანყების საბაბად იქცა, რომელიც 1939 წლამდე გაგრძელდა და მას 300-ზე მეტი ებრაელი, 262 ბრიტანელი ჯარისკაცი და 5000-მდე არაბი ემსხვერპლა.

ნაცისტურ გერმანიაში *ეკლესია*, შეზღუდული უფლებებით, მაგრამ მაინც *ლეგალურ არსებობას განაგრძობდა*, იტალიაში კი კათოლიკური ეკლესია მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ურყევ ავტორიტეტს ინარჩუნებდა. 1929 წელს მუსოლინიმ პაპთან შეთანხმება დადო და ქალაქ რომის ტერიტორიაზე მდებარე პაპის რეზიდენცია, *ვატიკანი*, სუვერენულ სახელმწიფოდ ცნო. ამით მან კათოლიკური ეკლესიის გული მოიგო.

საბჭოთა კავშირში კი რელიგიური აღმსარებლობა საერთოდ იკრძალებოდა. მხოლოდ 1943 წელს, მსოფლიო ომის დროს, როდესაც ეკლესიის დახმარება დასჭირდა, სტალინმა მართლმადიდებელ და სომხურ ეკლესიებს საჭეთმპყრობელების (პატრიარქების) არჩევის უფლება მიანიჭა.

მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანიისა და იტალიის მოქალაქეების დიდ ნაწილს ადვილად შეეძლო საზღვარგარეთ მოგზაურობა და ლეგალურად ემიგრაციაც კი. მრავალი უცხოელი ტურისტი და ჟურნალისტი გერმანიასა და იტალიაში თავისუფლად შედიოდა. 1936 წელს ბერლინში ოლიმპიური თამაშებიც კი ჩატარდა. ფაშისტი დიქტატორები, მეორე მსოფლიო ომამდე მაინც, ერთგვარ ანგარიშს უწევდნენ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს. იერუსალიმში, იად-ვაშემის „ჰოლოკოსტის მუზეუმის“ გიდები მნახველებს უყვებიან, რომ 1938 წელს ებრაელებმა ბერლინში მთავრობის მიმართ საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს.

მსგავსი დემონსტრაცია 1930-იანი წლების *საბჭოთა კავშირში* წარმოუდგენელი რამ იყო. მოსკოვში იშვიათად ჩასული უცხოელები ჩეკისტების მუდმივი „მზრუნველობის“ ქვეშ იყვნენ; საბჭოთა ადამიანის უცხოეთში ტურისტად გამგზავრებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო; საზღვრები ჩაიკეტა; რელიგიას აქტიურად ებრძოდნენ; რაც მთავარია, საბჭოთა კავშირში კერძო საკუთრება მოისპო და მთელი ეკონომიკა სახელმწიფომ დაიქვემდებარა; თავისუფალი ადამიანები იქ აღარ დარჩნენ.

ყველაზე სრულყოფილად ტოტალიტარიზმი საბჭოეთში ხორციელდებოდა.

"ვერსალის სინდრომის" როლი ნაციზმის აღზევებაში

1919 წლის 28 ივნისს ხელმოწერილი იქნა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელმაც ფორმალურად დამთავრებულად გამოაცხადა მსოფლიო ომი. ზუსტად ხუთი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც სარაევოში გაისმა ბოსნიელი სერბი ტერორისტის რევოლვერის საბედისწერო ხმა, რამაც მსოფლიო ომის დაწყებას მისცა ბიძგი.

განა შეეძლო სცოდნოდა სულ ახალგაზრდა *გავრილო პრინციპს*, რომელიც 1914 წელს ამ შემზარავ ტერორისტულ აქტს აწყობდა, რომ თავისი თითქოს თავდადებული, მაგრამ სინამდვილეში გაუმართლებელი ქცევით გზას უხსნიდა ევროპაში საშინელ ხოცვა-ჟლეტასა და მსოფლიო მასშტაბის გეოპოლიტიკურ ძვრას?

რასაკვირველია, არც ის და, ალბათ, არც ამ ტერორისტული აქტის პატრიოტი შთამაგონებლები ასეთ შორეულ სვლებს არ ითვლიდნენ. იმ მომენტში მათ მიზნად ჰქონდათ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ხელმძღვანელობის დაშინება, იმპერიაში არეულობის პროვოცირება და საბოლოოდ მისი დაშლა. ასეთ შემთხვევაში სერბეთი ხელს გამოჰკრავდა ვენისა და ბუდაპეშტის კონტროლქვეშ მყოფ ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, ხორვატიას, დალმაციას, სლოვენიას. იქ ხომ ყველგან სლავური მოსახლეობა დომინირებდა, რომელიც სერბულ, მის იდენტურ ხორვატულ, ან მონათესავე სლოვენურ ენაზე ლაპარაკობდა.

ამ მეოცნებე „პატრიოტ-ტერორისტებს" ზღაპრულად გაუმართლა! ომის შემდეგ სერბეთმა მართალია დროებით, მაგრამ მაინც შეიერთა ეს ტერიტორიები.

მაგრამ თუკი „პატრიოტ-ტერორისტებს" ვერ მოვთხოვთ შორსმიმავალ გეოპოლიტიკურ აზროვნებას – ისინი უფრო ემოციით მოქმედებენ, ვიდრე გონებით – ვერსალის ხელშეკრულების დამდები გამარჯვებული სახელმწიფოების მეთაურებს, რომლებიც გერმანიას ამცირებდნენ, უნდა გაეთვალათ, რომ დაჩოქებული გერმანია მათთვის ძალიან საშიში ხდებოდა.

ბრიტანელი დიპლომატები ფრანგ კოლეგებს ზომიერების დაცვისკენ მოუწოდებდნენ. სამწუხაროდ, გამარჯვებით მთვრალებმა ჩვეულებრივ ზომა არ იციან ხოლმე.

სწორედ ვერსალის ხელშეკრულების ტექსტის გაცნობამ მისცა საბაბი ბრიტანელ ოფიცერს (შემდგომში – ფელდმარშალსა და ინდოეთის ვიცე-მეფეს) *არჩიბალდ უეიველს*, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ახლო აღმოსავლეთში იბრძოდა და 1917 წელს გენერალ ალენბის მეთაურობით იერუსალიმს, წარმოეთქვა წინასწარმეტყველური ფრაზა: „'ომების დამამთავრებელი ომის' შემდეგ პარიზში საკმაო წარმატებით დაამყარეს მშვიდობის დამამთავრებელი მშვიდობა'".

მისი სიტყვები გამართლდა. ვერსალის სისტემამ მოსპო ევროპაში მშვიდობის დამყარების შანსი. გამარჯვებულთა სიხარბემ დამარცხებულები კიდევ უფრო გაამწარა.

ამასთან, ყველა დამარცხებული არ აღმოჩნდა „ბოლომდე დამარცხებული".

გერმანიის მიერ დამარცხებულ *რუსეთში* სოციალისტური რევოლუცია მოხდა და ერთხანს ის „პროლეტარული რევოლუციის ექსპორტს" ეწეოდა. ბოლშევიკების გამარჯვებამ სამოქალაქო ომში, რუსეთის ძალაუფლების აღდგენამ უკრაინაზე, ბელორუსიაზე, კავკასიაზე, ცენტრალურ აზიაზე ერთგვარად დააკმაყოფილა ახალი ბოლშევიკური ელიტის მადა. ის თავს არ მიიჩნევდა დამარცხებულად.

ანგლო-ფრანგებთან დამარცხებულ *ოსმალეთის იმპერიას* არაბული ნაწილი ჩამოშორდა, ხოლო მცირე აზიაში (ნაწილობრივ – ევროპაში) შენარჩუნებულ ტერიტორიაზე თურქთა ეროვნული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ბერძნებთან, სომხებთან, ფრანგებთან ლოკალურ ომებში მოპოვებული გამარჯვებებით თურქეთმა დაიკმაყოფილა შელახული თავმოყვარეობა, ის ჩაჯდა ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში და რევანშს არ გეგმავდა.

ავსტრია-უნგრეთის იმპერია, სადაც მოსახლეობის ნახევარი სლავური იყო, ხოლო გერმანულენოვანი ავსტრიელები და უნგრელები (მადიარები) შესაბამისად 27 და 17 პროცენტს შეადგენდნენ, მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ეროვნულ სახელმწიფოებად დაიშალა და მის ნამსხვრევებს მხოლოდ ვინრო ეთნიკური ამბიცია შემორჩა.

უნგრეთმა დაკარგა ტერიტორიის ორი მესამედი – ხორვატია, სლოვაკეთი, ტრანსილვანია, ვოივოდინა. ავსტრიამ დაკარგა სამხრეთ ტიროლი (იტალიურად – ალტო ადიჯე), ჩეხეთი, სამხრეთ პოლონეთი, სლოვენია, ბოსნია და ჰერცეგოვინა.

მაგრამ ევროპული მასშტაბით მომცრო რესპუბლიკების – ავსტრიისა და უნგრეთის – რევანშიზმი საშიში არ იყო. ავსტრიაში ის ნაკლებადაც მჟღავნდებოდა. უნგრეთს ჰქონდა სერიოზული ტერიტორიული პრეტენზიები რუმინეთის, სერბეთისა და ჩეხოსლოვაკიის მიმართ, რომელთაც ომის შემდეგ შეიერთეს ადრე ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი, საკმაოდ დიდი უნგრული მოსახლეობის მქონე ტრანსილვანია, ვოივოდინა, სამხრეთ სლოვაკეთი და რუთენია. მაგრამ უნგრეთი ვერ წამოიწყებდა ომს ძლიერი მოკავშირის გარეშე.

ბულგარეთი 1913 წელს დამარცხდა ბალკანეთის მეორე ომში და ყველაფერი დასაკარგი უკვე დაკარგული ჰქონდა. მსოფლიო ომის შემდეგ ის აიძულეს დაბრუნებულიყო 1913 წლის საზღვრებში.

ომის შედეგებმა ყველაზე მეტად დააზარალა *გერმანია*. გამარჯვებულმა

ანტანტამ ის მაქსიმალურად დაამცირა და ეკონომიკურად ძირს დასცა. განსაკუთრებით მოინდომა ეს საფრანგეთმა. საფრანგეთის იმდროინდელ ხელმძღვანელებს არ აღმოაჩნდათ სულგრძელობა და შორსმჭვრეტელობა. ლონდონი ურჩევდა პარიზს თავშეკავებას, მაგრამ დაჟინება არ გამოუჩენია. რომმა და ტოკიომ თავიანთი ტერიტორიული მადა დაიკმაყოფილეს: პირველმა – ევროპაში ავსტრიის ხარჯზე, მეორემ – წყნარი ოკეანის აუზში გერმანიის კუთვნილი კუნძულების დაუფლებით. საკუთრივ გერმანიის ბედი მათთვის სულერთი იყო. დანარჩენ გამარჯვებულებს (ბელგიას, რუმინეთს, სერბეთს, ბრაზილიას და სხვებს) გერმანიის შესახებ საერთოდ არაფერი ჰკითხეს. საფრანგეთის ხელისუფლებამ კი გერმანიის ახალშექმნილი რესპუბლიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა.

1919 წლის *ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება* საშინელი რამ გამოდგა. *ბერტოლტ ბრეხტის* სიტყვები რომ მოვიშველიოთ: *„ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობისა!"*

ხელშეკრულებამ მეტად მძიმე ხვედრი არგუნა გერმანიას, სადაც იცოდნენ, რომ გადამწყვეტი სამხედრო მარცხი, ისეთი, როგორიც 1815 წელს ნაპოლეონმა იგემა ვატერლოოსთან, მათ სამშობლოს არ განუცდია. ქვეყანამ დამარცხება ცნო მხოლოდ იმიტომ, რომ ეკონომიკურად გამოიფიტა, ხოლო სოციალისტურმა ძალებმა რევოლუცია მოაწყვეს.

გასაგებია, რომ გერმანიის კოლონიები გამარჯვებულმა ქვეყნებმა გადაინაწილეს: ბოლოს და ბოლოს, ომი მსოფლიოს ტერიტორიული გადანაწილებისათვის მიმდინარეობდა. მაგრამ გერმანიას ევროპაშიც აჭამეს ეროვნული სირცხვილი. მას არა მარტო სრულყოფილი არმიის ყოლა აუკრძალეს, ჩამოართვეს მძიმე იარაღი, სამხედრო გემები და წყალქვეშა ნავები და მათი მშენებლობის უფლება, არამედ ტერიტორიაც შეუმცირეს (საფრანგეთის, პოლონეთის, ბელგიის, დანიის, ლიტვის სასარგებლოდ) და უზარმაზარი კონტრიბუციაც დააკისრეს. ამას მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სოციალური პროგრამების განხორციელების შეფერხება.

ასეთ ვითარებაში საზოგადოებაში ყოველთვის ჩნდება ნაწილი, შესაძლოა დიდი ნაწილიც კი, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი ქვეყანა გაყიდეს მოღალატეებმა, ახლა ხელისუფლების სათავეში რომ მოკალათებულან და აიძულებენ ხალხს უხადოს სრულებით უკანონო რეპარაციები უცხოელებს.

გერმანიაში გაჩნდა *„ვერსალის სინდრომი" – გრძნობა, რომ შენი სამშობლო უსამართლოდ დაამცირეს, დაშალეს და გარშემო ყველა სისხლსა სწოვს მას.*

XX საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, „ვერსალის სინდრომის" წარმოშობის საფრთხე რუსეთშიც არსებობდა. ეს საფრთხე ბოლომდე ჩახშნილი არც ახლაა.

ამავე დროს, რადგანაც ომი გერმანიის ტერიტორიას თითქმის არ შეხებია,

ქვეყანამ შეინარჩუნა ინდუსტრიული პოტენციალი. ის კვლავაც რჩებოდა ევროპაში ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულ ქვეყნად.

მაგრამ 1929 წელს დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მკვეთრად გააუარესა მდგომარეობა გერმანიაში, უფრო მეტადაც კი, ვიდრე სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში (აშშ-ის გარდა). უმუშევრობამ უპრეცედენტოდ დიდ მასშტაბს მიაღწია.

ბუნებრივია, მასობრივ უკმაყოფილებას *ვიღაცა* თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, დარაზმავს ხალხს, დაჰპირდება მას ყველაფრის გამოსწორებას. თუ ეს „ვიღაცა" თავის მომხრეთა ჯგუფთან ერთად პოლიტიკურ ძალაუფლებას ერთპიროვნულად დაეუფლება, ის ძალიან სახიფათო შეიძლება გახდეს როგორც საგარეო „მტარვალებისათვის", ისე, საბოლოოდ, საკუთარი მოსახლეობისათვის, რომელმაც ის ქვეყნის სათავეში მოიყვანა.

გერმანიაში დიქტატურის აღმოცენებას მხოლოდ ქარიზმატული ლიდერი სჭირდებოდა. და ის გამოჩნდა კიდეც, თანაც აღსავსე საშიში ზრახვებით.

საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის ხალხის მასების უკმაყოფილების გამოყენებას ცდილობდნენ როგორც მემარცხენე ექსტრემისტები – კომუნისტები, ისე მემარჯვენე ექსტრემისტები – ნაცისტები.

გერმანელმა ნაციონალ-სოციალისტებმა, რომელთა ლიდერი *ადოლფ ჰიტლერი* უკეთესი დემაგოგი აღმოჩნდა, ვიდრე გერმანელი კომუნისტების ლიდერი *ერნსტ ტელმანი*, თავიდან დემოკრატიული მეთოდით მიაღწიეს წარმატებას.

ჰიტლერის ქარიზმა თავიდან მხოლოდ დეკლასირებულ ელემენტსა და ფანატიკურად განწყობილ მცირერიცხოვან შოვინისტებზე ახდენდა შთაბეჭდილებას. გერმანიის მაღალ კლასებსა და ინტელიგენციაში ნაცისტების ანტიდემოკრატიული პოლიტიკური იდეები, ანტისემიტიზმი და გადაჭარბებული ანტიკომუნიზმი სისაძაგლის გრძნობას იწვევდა. 1928 წლის არჩევნებში ნაცისტურ პარტიას ხმების სულ 2,6 პროცენტი შეხვდა. მაგრამ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გერმანიაში მოსახლეობის მესამედი უმუშევრად აქცია. სხვადასხვა დონის გაღატაკება ყველა ფენას შეეხო. ასეთ პირობებში რადიკალურ პარტიებს მეტი შანსი აქვთ ხოლმე.

იმჟამინდელი მრავალპარტიულობის პირობებში „გერმანულმა ნაციონალ-სოციალისტურმა მუშათა პარტიამ" რაიხსტაგის (პარლამენტის) 1932 წლის ნოემბრის არჩევნებში ხმების 33 პროცენტი მიიღო, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატებმა – 20 პროცენტი, კომუნისტებმა კი 17 პროცენტი მოიპოვეს. მემარცხენეები – სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები, ერთმანეთს ლაფს ასხამდნენ და ვერ ახერხებდნენ შეკავშირებას. *კრემლი, რომელსაც გერმანიის კომუნისტურ პარტიაზე სერიოზული ზეგავლენა ჰქონდა*, გერმანელ სოციალ-დემოკრატებს უფრო მეტ საფრთხედ მიიჩნევდა, ვიდრე ნაციონალ-სოციალისტებს.

1933 წლის 30 იანვარს გერმანიის გადაბერებულმა პრეზიდენტმა (ის 84 წლისა იყო) პაულ ფონ ჰინდენბურგმა ფედერალურ კანცლერად ადოლფ ჰიტლერი დანიშნა, რომელმაც დაუყოვნებლივ დანიშნა ახალი არჩევნები.

1933 წლის მარტის არჩევნებში „ადმინისტრაციული რესურსის" დახმარებითა და პირდაპირი ძალადობის გამოყენებით ნაციონალ-სოციალისტებმა რაიხსტაგის მრავალპარტიულ არჩევნებში ხმების თითქმის 44 პროცენტი მიიღეს. ამის შემდეგ გერმანიაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები 1949 წლამდე აღარ ჩატარებულა.

დემოკრატიული არჩევნები მხოლოდ ტრამპლინი აღმოჩნდა საშინელი დიქტატურისათვის. ამ ფაქტის გახსენებამ შეიძლება დემოკრატიაზე გული ააცრუებინოს კაცს.

მსგავსი, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბის, მოვლენების მომსწრეები XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისშიც გავხდით და ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მომავალშიც იქნება.

უკვე 1934 წელს გერმანიაში აიკრძალა ყველა პარტია, გარდა ნაცისტურისა. ხოლო პრეზიდენტ *პაულ ფონ ჰინდენბურგის* გარდაცვალების შემდეგ, იმავე 1934 წელს, ნაცისტური პარტიის ლიდერმა *ადოლფ ჰიტლერმა* თავი ერისა და სახელმწიფოს *ფიურერად* (წინამძღოლად, ბელადად) გამოაცხადა.

ნაციზმმა გერმანიაში სულ 12 წელი იარსება, მათ შორის ექვსი წელი მეორე მსოფლიო ომს დაემთხვა, რომელიც ძირითადად იმავე ნაციზმმა ნამოიწყო. ეს ისტორიისთვის მოკლე დრო საკმარისი აღმოჩნდა, როგორც გერმანიის უდიდესი სამხედრო აღზევებისა, ისე მისი უმძიმესი მარცხისათვის, როდესაც მთელი მსოფლიო გაერთიანდა, რომ დაემარცხებინა „მიხაკისფერი ჭირი" (ასე უწოდებდნენ გერმანულ ნაციზმს მიუნხენში მდებარე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის შტაბბინის ფერისა და ნაცისტური გიმნასტურების თავდაპირველი ფერის – ყავისფერის – გამო).

ადოლფ ჰიტლერმა გერმანია რევანშისაკენ წაიყვანა, მაგრამ ეროვნულ კატასტროფასთან მიიყვანა.

„მშვიდობისათვის ბრძოლის" ორი დეკადა

ომთაშორის პერიოდი, სულ 21 წელი, *თითქოს მშვიდობიანი იყო*. მშვიდობის შენარჩუნებას ცდილობდა *ერთა ლიგა*. 1926 წელს მასში მიიღეს გერმანია, რომელმაც 1933 წელს, ნაცისტურ დიქტატურად ქცევის შემდეგ, დატოვა ის. 1933 წელსვე ერთა ლიგიდან გავიდა იაპონია, 1937 წელს კი – ფაშისტური იტალია. ამ ორგანიზაციაში 1934 წელს მიღებული საბჭოთა კავშირი 1939 წლის 14 დეკემბერს გასარიცხი გახდა ფინეთზე თავდასხმის გამო. მსოფლიო ომის

დასაწყისისათვის *ერთა ლიგა* უკვე სულს ღაფავდა, თუმცა ოფიციალურად მან არსებობა 1946 წლის 18 აპრილს შეწყვიტა.

ომთაშორის პერიოდში ღებულობდნენ რაღაც „მშვიდობის პაქტებს". მაგალითად, 1927 წლის ბოლოს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა *ფრენკ კელოგმა* წამოაყენა *„ომის დაგმობის პაქტის"* იდეა, რომელიც აიტაცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა *არისტიდ ბრიანმა*. 1928 წლის 27 აგვისტოს დაიდო *„კელოგ-ბრიანის პაქტი"*. დასავლეთის წამყვან ქვეყნებთან ერთად მას ხელი მოაწერეს გერმანიის რაიხმაც (ჯერ არანაცისტურმა), იტალიამაც და იაპონიამაც.

ამ „ბურჟუაზიული ინიციატივის" გასანელებლად, 1929 წელს მოსკოვმა *„ომზე უარის თქმის აღმოსავლეთის პაქტი"* (ე.წ. *„ლიტვინოვის პროტოკოლი"*: ლიტვინოვი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი/მინისტრი იყო) შეიმუშავა, რომელსაც მასთან ერთად ხელს აწერდნენ ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი და სპარსეთი. ყველა ამ ქვეყანას სხვაზე უფრო მეტად ეშინოდა დიდი მეზობლის – საბჭოთა კავშირისა, რომელმაც სწორედ იმ წლებში დაიწყო გამალებული სამხედრო მშენებლობა.

ვის ახსოვს ახლა ეს პაქტები? ანდა „მაღალ ხელმომწერ მხარეთაგან" ვინ დაიცვა ისინი?

ევროპის გარეთ სადღაც ყოველთვის გიზგიზებდა ომის ცეცხლი: 1931 წლიდან – ჩინეთში, 1935 წლიდან ეთიოპიაში. 1936 წელს ომი დაიწყო ევროპაშიც, კერძოდ ესპანეთში: 1939 წლამდე იქ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, რომელშიც ფაქტობრივად ჩაებნენ იტალია, გერმანია და საბჭოთა კავშირი.

მსოფლიო მუდმივად იმყოფებოდა დიდი ომის განახლების მოლოდინში.

საბჭოთა კავშირი საფრთხის მუდმივ იმპულსებს უგზავნიდა დასავლეთის დემოკრატიებს, როდესაც მათ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციით ემუქრებოდა. 1919-1943 წლებში არსებობდა *„კომუნისტური ინტერნაციონალი"* (*კომინტერნი*), სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების გაერთიანება, რომელიც მოსკოვიდან იმართებოდა და კაპიტალისტური ქვეყნების ლეგალური მთავრობების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა.

ასეთი ძირგამომთხრელი მუშაობა გაადვილდა იმის გამოც, რომ *კაპიტალიზმის სისტემა 1929 წლიდან წარმოუდგენელ ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდა*, რასაც სათავე დაუდო 1929 წლის 24 ოქტომბერს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე აქციების კურსის უპრეცედენტო ვარდნამ. მომდევნო წლებში ეკონომიკური აქტივობა კაპიტალისტურ ქვეყნებში მკვეთრად დაეცა. უმუშევრობამ, განსაკუთრებით აშშ-სა და გერმანიაში, გიგანტური მასშტაბი მიიღო. კლასობრივი კონფლიქტი გამძაფრდა, თუმცა რევოლუცია არსად მომხდარა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საბჭოთა პროპაგანდა „სოციალიზმის არაჩვეულებრივ მიღწევებზე" ლაპარაკობდა: „შენდება სანარმოები!"

„მოისპო უმუშევრობა!“ „აღმოფხვრილია უწიგნურობა!“ ბუნებრივია, წარუმატებლობაზე სიტყვაც არ ითქმოდა. ეს პროპაგანდა საკმაოდ შედეგიანი იყო და მსოფლიოში ბევრ ადამიანს უქმნიდა ილუზიას *„კომუნისტური სამოთხის – საბჭოთა კავშირის“* შესახებ.

მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ დაიწყეს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა გამოსვლა უმძიმესი კრიზისიდან. ეს ხდებოდა *ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის* გზით, რაც ასევე ომთაშორისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშანია. აშშ-ში პრეზიდენტ *ფრანკლინ დელანო რუზველტის* „ახალი კურსი“ 1933 წლიდან გულისხმობდა ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას, მრეწველობის იძულებით კარტელირებას, სოფლის მეურნეობის რეგულირებას. ფაშისტურ ქვეყნებშიც (იტალია, გერმანია) სამეურნეო პროცესებში სახელმწიფო სერიოზულად ერეოდა, თუმცა კერძო საკუთრება იქ არ მოუსპიათ.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე 1933 წელს გერმანიის სათავეში მოვიდა *ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია* და გაჩნდა კომუნიზმზე არანაკლებ სახიფათო პოლიტიკური სისტემა – ნაციზმი. გერმანული ნაციზმი *რევანშიზმის* ნიადაგზე აღმოცენდა და ის უპირველესად დასავლეთის დემოკრატიების წინააღმდეგ იყო მიმართული: გერმანიას რევანში საფრანგეთთან უნდა აეღო და არა რუსეთთან. ამავე დროს, ნაციზმი თავს კომუნიზმის ალტერნატივად აცხადებდა.

ჰიტლერს შესადარებლად ისევ სტალინი ერჩივნა და არა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ყოვლად უსახური ლიდერები (ასეთთა რიცხვში მხოლოდ *ჩერჩილს* ვერ შევიყვანთ).

ჰიტლერსა და სტალინს მეტი ჰქონდათ საერთო ერთმანეთთან, ვიდრე რომელიმე სხვა ლიდერთან. იგულისხმება *მსგავსება პოლიტიკურ მიზნებსა და ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებულ მეთოდებში*. განსხვავებულ იდეოლოგიებზე დაყრდნობით, *ორივე დიქტატორი ესწრაფვოდა სრულ ბატონობას ჯერ იმ ქვეყანაში, რომლის სათავეშიც აღმოჩნდა* (ავსტრიელი ჰიტლერი – გერმანიაში, ქართველი სტალინი – რუსეთში) და *მერე მსოფლიოში*. მიზნის მისაღწევად მათთვის ყველანაირი ხერხი მისაღები იყო. გეოპოლიტიკურმა ვითარებამ ეს მეტოქეები 1941-1945 წლებში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირა ერთმანეთს.

თავი 13

მეორე მსოფლიო ომი: უვერტიურა და ფინალი

ახალი მსოფლიო ომის პრელუდია

ზემოთ ითქვა, რომ *პირველი მსოფლიო ომის შემთხვევაში ძნელი დასადგენი იყო, თუ ვინაა მსხვერპლი და ვინაა აგრესორი.* ის ომი XVI-XVII საუკუნეების პირატების შიდა გარჩევას უფრო ნააგავდა.

მეორე მსოფლიო ომის ნამდვილი წამომწყებები კი უფრო ადვილი დასადგენია. ევროპაში ეს იყო *ჰიტლერი.* აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში დიდი ომის გამჩაღებელი იყო *იაპონიის გენერალიტეტი. მუსოლინიც* აგრესორი იყო, მაგრამ დამოუკიდებლად მსოფლიო ომის გამოწვევა მას არ შეეძლო.

მეორე მსოფლიო ომის ნამომწყებთა შორის ერთ-ერთი ნამდვილად საბჭოთა კავშირია. 1939 წლის ბოლოს ის *ერთა ლიგიდან* გარიცხეს პატარა ფინეთზე თავდასხმის გამო. რამდენიმე თვით ადრე მან გერმანიასთან ერთად გაიყო პოლონეთი, 1940 წელს ჩამოაჭრა ტერიტორიები ფინეთსა და რუმინეთს, სრულად მოახდინა ბალტიის სამი სახელმწიფოს ანექსირება. ერთი სიტყვით, რუსეთი თავის სტიქიაში იყო: ის ფართოვდებოდა.

მაგრამ, რადგანაც 1941 წელს ნაცისტურმა გერმანიამ დაასწრო თავდასხმა საბჭოთა კავშირს, ტრადიციულად ამ უკანასკნელს არ მიიჩნევენ მსოფლიო ომის პირდაპირ წამომწყებად.

უკვე 1935 წელს იტალია დაესხა თავს აბისინიას, 1936-39 წლებში ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილეობდნენ გერმანელი, იტალიელი და საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეები და ახალ სამხედრო ტექნიკას ბრძოლაში ცდიდნენ. 1937 წლიდან იაპონია თანმიმდევრულად იპყრობდა ჩინეთის ნაწილებს (ამიტომაც ზოგიერთი ისტორიკოსი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისად 1937 წელსაც კი ასახელებს). 1938 წლის მარტში გერმანიამ შეიერთა ავსტრია, იმავე წლის ოქტომბერში ჩამოაჭრა ჩეხოსლოვაკიას სუდეტის ოლქი, მომდევნო წელს კი ჩეხეთი (ბოჰემია და მორავია) თავის პროტექტორატად აქცია.

1939 წლის 10 მარტს თავის მოხსენებაში საკავშირო კომპარტიის XVIII ყრილობაზე სტალინი უკვე ლაპარაკობდა „ახალ იმპერიალისტურ ომზე". საბჭოთა კავშირს ერჩივნა კიდეც, რომ „იმპერიალისტები" ერთმანეთს დატაკებოდნენ, ის კი არბიტრის როლში დარჩენილიყო. მაგრამ პოლიტიკური განვითარების ლოგიკა ასეთ შანსს მას არ უტოვებდა.

დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, რომლებიც თვითონ იყვნენ დიდი კოლონიების მფლობელები, სულაც არ სჭირდებოდათ ახალი ომი ევროპაში. პირველ მსოფლიო ომში ადამიანთა დიდი დანაკარგის გამო საზოგადოებრივი აზრი იქ პაციფისტურად იყო განწყობილი. საფრანგეთმა 1919 წელს გერმანიის ხარჯზე დაიკმაყოფილა თავისი რევანშიზმის ჟინი და ახლა მხოლოდ გერმანიის კონტრრევანშიზმი აშინებდა.

1930-იან წლებში დასავლეთის დემოკრატიები ხედავდნენ, რომ ჰიტლერის სახით საქმე ჰქონდათ აშკარა აგრესორთან. მაგრამ ლონდონისა და პარიზის მთავრობებმა შეიქმნეს სახიფათო ილუზია, რომ ჰიტლერი შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო ცენტრალური ევროპის გერმანულენოვანი ხალხებით დასახლებული ტერიტორიების შეერთებით და დიდი ომი თავიდან ყოფილიყო აცილებული. თანაც, უფრო აღმოსავლეთით, *სხვა აგრესორი* ეგულებოდათ, რომელიც ჰიტლერზე არანაკლებ საშიში ჩანდა.

ლონდონსა და პარიზში ადვილი იყო თვალის დახუჭვა ავსტრიის *ანშლიუსზე* (შეერთებაზე) 1938 წლის გაზაფხულზე: მისი მოსახლეობა ხომ გერმანულენოვანი იყო, ხოლო თვითონ ჰიტლერი – წარმოშობით ავსტრიელი. 1939 წლის მარტში ჰიტლერმა ლიტვას ჩამოაჭრა *მემელის* (კლაიპედას) რაიონი, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე მართლაც იყო გერმანიის იმპერიის ნაწილი.

1938 წლის სექტემბრის ბოლოს *ქ. მიუნხენში* ჩატარებულ კონფერენციაზე, ბრიტანეთისა და საფრანგეთის დემოკრატიულმა მთავრობებმა, იტალიის ფაშისტურ მთავრობასთან ერთად, საერთაშორისო სამართლის წესების სრული უგულებელყოფით, უფლება მისცეს ჰიტლერს მოეწყვიტა ჩეხოსლოვაკიისაგან ძირითადად გერმანელებით დასახლებული ინდუსტრიულად განვითარებული *სუდეტის ოლქი*. ეს თითქოს „ევროპაში მშვიდობის დასამყარებლად" მოხდა. ბრიტანეთის იმდროინდელ პრემიერ-მინისტრს *ნევილ ჩემბერლენს* ეკუთვნის ცინიკური სიტყვები ჩეხოსლოვაკიის შესახებ – *„შორეული ქვეყანა, რომელ ზეც არაფერი ვიცით"*. ახალი ამბავი არაა ის, რომ გეოგრაფიული უვიცობა წამყვანი პოლიტიკოსების სენია. მაგრამ ეს სენი სახიფათოა იმავე პოლიტიკოსთა ქვეყნებისათვის.

„მიუნხენი" სუსტი ქვეყნის ხარჯზე სამარცხვინო პოლიტიკური გარიგების აღმნიშვნელ ტერმინად იქცა.

XX საუკუნის პირველ ნახევარშიც რეალობად რჩებოდა ტრუიზმი, რომ *ყველა ქვეყანა მზადაა ისარგებლოს მეზობლის სისუსტით და მის ხარჯზე თავისი*

ტერიტორია გაიფართოოს. აი, ორიოდე მაგალითი იმავე ეპოქიდან: 1938 წლის 1 ოქტომბერს, იმავე დღეს, როდესაც გერმანიამ ჩეხოსლოვაკიას სუდეტის ოლქი ჩამოართვა, პოლონეთმა, რომელიც მომდევნო წელს თვითონ გახდება ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის აგრესიის მსხვერპლი, ჩეხეთს წაართვა პატარა სადავო ტერიტორია – *ტიშინის (ციეშინის) რაიონი*. 1938 წლის 2 ნოემბერს უნგრეთმა მოახდინა ჯერ *სამხრეთ სლოვაკეთის* ანექსირება იმ საბაბით, რომ იქ უნგრული მოსახლეობაც ცხოვრობდა, სამი თვის შემდეგ კი იმავე საბაბით *რუთენიაც* (ამჟამინდელი იმიერკარპატის უკრაინა) შეიერთა.

ჰიტლერი არ დაკმაყოფილდა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან ზემოხსენებული მსხვერპლშენირვით. მან მალე გამონახა თანამზრახველი, თუნდაც დროებითი, რომელიც რუსეთის იმპერიის ძველი საზღვრების აღდგენის სურვილით იყო ანთებული და მასთან ერთად დაიპყრო და გაინაწილა პოლონეთი. თანაც ორივე მტაცებელმა იცოდა, რომ ეს ერთობლივი დაპყრობა მათ შორის ომის პრელუდია იყო.

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი

1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში ერთდღიანი მოლაპარაკების შემდეგ დაიდო *„საბჭოთა-გერმანული ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ"*. მასზე ხელმომწერ საგარეო უწყებათა ხელმძღვანელთა გვარების მიხედვით ხელშეკრულებას შემოკლებით *„მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს"* უწოდებენ.

ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი, რომელიც საბჭოთა წინადადებათა საფუძველზე დაიწერა, მეორე დღესვე გამოქვეყნდა ღია პრესაში. მხარეები ერთიმეორეს ჰპირდებოდნენ, რომ ერთმანეთის მიმართ ყოველგვარი ძალადობისაგან, ნებისმიერი აგრესიული მოქმედებისა და თავდასხმისაგან თავს შეიკავებდნენ და მესამე სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთი მათგანის სამხედრო მოქმედების ობიექტად ქცევის შემთხვევაში ამ მესამე სახელმწიფოს ხელშეწყობას არ აღმოუჩენდნენ. ხელშეკრულება ათი წლის ვადით იდებოდა, გაგრძელების უფლებით.

მოკლედ, ჰიტლერი და სტალინი ერთმანეთს მეგობრობის ხელს უწვდიდნენ!

„მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტში" მთავარი იყო არა გამოქვეყნებული ტექსტი, არამედ საბჭოთა კავშირის მოთხოვნით დადებული საიდუმლო დამატებითი ოქმი, რომლის არსებობას საბჭოთა მხარე ურცხვად უარყოფდა, რადგან ის სამართლიანი ეჭვის ქვეშ აყენებდა მხოლოდ ნაცისტური გერმანიის ბრალეულობას მეორე მსოფლიო ომის წამოწყებაში. მხოლოს 1990 წელს აღიარა კრემლმა, რომ ასეთი საიდუმლო დამატებითი ოქმი მართლაც არსებობდა.

1948 წელს აშშ-ში, ხოლო 1989 წელს საბჭოთა კავშირში (მაგრამ პირველად

არა მოსკოვში, არამედ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში) გამოქვეყნებული 1939-1941 წლების გერმანული საიდუმლო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „პაქტის“ დამატებითი ოქმის თანახმად, სსრკ და გერმანია იყოფდნენ ცენტრალურ ევროპას, მათ შორის პოლონეთს – თითქმის შუაზე (იხ. ჩანართი 13.1). საბჭოთა გავლენის სფეროდ ცხადდებოდა აღმოსავლეთ ბალტიისპირეთი (ლიტვის გარეშე). გერმანია ცნობდა საბჭოთა კავშირის პრეტენზიას რუმინეთის კუთვნილ ბესარაბიაზე.

ჩანართი 13.1
მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო დამატებითი ოქმი

1. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში (ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) ტერიტორიული და პოლიტიკური ცვლილებების შემთხვევაში ლიტვის ჩრდილოეთი საზღვარი იქნება მიჯნა, რომელიც ყოფს გერმანიისა და სსრკ-ის გავლენის სფეროებს. ამასთან დაკავშირებით ორივე მხარე ცნობს ლიტვის დაინტერესებას ვილნოს რაიონით.

2. პოლონეთის სახელმწიფოსადმი კუთვნილ ოლქებში ტერიტორიული და პოლიტიკური ცვლილებების შემთხვევაში გერმანიისა და სსრკ-ის გავლენის სფეროები გამიჯნული იქნება დაახლოებით მდინარეების ნარევის, ვისლისა და სანის ხაზზე.

საკითხი იმის შესახებ, სასურველია თუ არა ორივე მხარისათვის პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება, და ასეთი სახელმწიფოს საზღვრების შესახებ, საბოლოოდ გადაწყდება მხოლოდ მომავალი პოლიტიკური მოვლენების მსვლელობით.

ნებისმიერ შემთხვევაში ორივე მთავრობა ამ საკითხს მეგობრული შეთანხმების გზით გადაწყვეტს.

3. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებით საბჭოთა მხარემ მიუთითა ბესარაბიით თავისი დაინტერესების შესახებ. გერმანიის მხარემ ნათლად განაცხადა ამ ტერიტორიებით თავისი სრული პოლიტიკური დაუინტერესებლობის შესახებ.

4. აღნიშნული ოქმი ორივე მხარის მიერ განიხილება, როგორც სრულიად საიდუმლო.

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დადებიდან ერთი კვირის თავზე, 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია პოლონეთს დაესხა თავს. 17 სექტემბერს პოლონეთს აღმოსავლეთიდან საბჭოთა კავშირმა შეუტია.

ნაცისტური გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე, რასაც გერმანიის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის გამოსვლა მოჰყვა, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს. ის ფაქტობრივად დამთავრდა შორეულ აღმოსავლეთში 1945 წლის 14 აგვისტოს, როდესაც იაპონიის იმპერატორმა თავის არმიას წინააღმდეგობის შეწყვეტა უბრძანა. ოფიციალური დამთავრების თარიღი კი 1945 წლის 2 სექტემბერია, როდესაც იაპონიის კაპიტულაციას მოეწერა ხელი.

კაცობრიობის ახალ ისტორიაში არასოდეს ისე არ გაუფასურებულა ადამიანის სიცოცხლე, როგორც ექვსწლიანი მეორე მსოფლიო ომის დროს. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე (რომელთაც „ეროვნულ ინტერესებად"ასაღებდნენ) დიქტატორები ადვილად თამაშობდნენ მილიონობით თანამემამულისა და სხვა ქვეყნის მოქალაქეთა სიცოცხლითა და ბედ-იღბლით.

ომის მონაწილეებიდან თავიდან ბოლომდე ებრძოდნენ ერთმანეთს დიდი ბრიტანეთი და გერმანია. დანარჩენი მონაწილენი ან დამარცხდნენ და ადრე გამოეთიშნენ (მაგალითად, პოლონეთი და საფრანგეთი), ან გვიან ჩაებნენ ომში (მაგალითად, საბჭოთა კავშირი და აშშ), ან მოკავშირის შეცვლა მოუხდათ (მაგალითად, იტალია და ტაილანდი). რამდენიმე ქვეყანამ მხოლოდ ომის ბოლო ეტაპზე ფორმალურად გამოაცხადა თავი უკვე თითქმის გამარჯვებული მხარის მოკავშირედ (მაგალითად, თურქეთი).

როდესაც 1939 წლის 3 სექტემბერს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, კრემლის მორჩილმა საბჭოთა პრესამ ხმა აღიმაღლა „მშვიდობისმოყვარე გერმანიის" მიმართ განხორციელებული „ბრიტანულ-ფრანგული აგრესიის" წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ომამდე, იმავე 1939 წლის აგვისტოს პირველ კვირებში, მოსკოვში ჩავიდნენ ბრიტანული და ფრანგული სამხედრო მისიების წარმომადგენლები, რომელთაც ევალებოდათ საბჭოთა კავშირთან სამხედრო ხელშეკრულების დადების შანსის მოსინჯვა. ისინი ხელმოცარული გაუშვეს შინ. სტალინი არ ენდობოდა ყოფილ „ანტანტას": ის შიშობდა, რომ ლონდონი და პარიზი შეეცდებოდნენ, ჰიტლერი პირისპირ შეეტოვებინათ მისთვის. მაგრამ ეს შიში გადაჭარბებული იყო და რეალურ გეოპოლიტიკას არ ითვალისწინებდა: ჰიტლერს უმთავრეს მტრად საფრანგეთი მიაჩნდა, რუსეთსა და გერმანიას შორის კი პოლონეთი იყო, რომელსაც სწორედ ყოფილმა „ანტანტამ" მისცა სამხედრო გარანტიები.

ასეა თუ ისე, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს, თავდაცვის სახალხო კომისარს *კლიმენტ ვოროშილოვს*, სტალინმა მისცა პუნქტებად ჩამოყალიბებული დავალება, თუ როგორ უნდა ჩაეფუშა მოლაპარაკება ლონდონისა და პარიზის ემისრებთან. იქ ისიც კი იყო მითითებული, თუ როდის უნდა გაეშალა მას ხელები განცვიფრების ნიშნად: ეტყობა, სტალინს არცთუ მაღალი წარმოდგენა ჰქონდა ვოროშილოვის ინტელექტსა და დიპლომატიურ ნიჭზე, ამიტომაც მისცა მას ძალიან დეტალური ინსტრუქცია. რუსეთის ისტორიის ქრესტომათიებში შეტანილი ეს დოკუმენტი თარიღდება 1939 წლის 7 აგვისტოთი, ანუ შედგენილია იქამდე, სანამ ჰიტლერი მეგობრობის ხელს გაუწვდიდა სტალინს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის *ნევილ ჩემბერლენის* მძაფრი კრიტიკოსი *უინსტონ ჩერჩილი* ამაოდ მოუწოდებდა თავის მთავრობას დაედო

ხელშეკრულება რუსეთთან. მან არ იცოდა, რომ კრემლს წინდაწინვე დაგეგმილი ჰქონდა ასეთი ხელშეკრულების ტორპედირება.

ჰიტლერის დიპლომატია უფრო მოქნილი აღმოჩნდა, ვიდრე უაიტჰოლის ჯენტლმენებისა. ჰიტლერმა კარგად აუღო ალღო, რომ მთელ მსოფლიოში კომუნიზმის დამყარების გარდა, სტალინის უახლოესი მიზანი იყო რუსეთის იმპერიის საზღვრების აღდგენა და იმ მომენტში ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

მოგვიანებით გამომზეურებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა *ვერმახტის* (ნაცისტური გერმანიის არმიის სახელი 1935-1945 წლებში) უსწრაფესი წარმატება პოლონეთთან ომში და 1939 წლის სექტემბრის პირველ კვირებში გერმანიის ელჩს მოსკოვში გრაფ *შულენბურგს* დღეში რამდენჯერმე უხდებოდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ *ვიაჩესლავ მოლოტოვთან* შესვლა და თხოვნა, რათა წითელ არმიას დაეჩქარებინა პოლონეთში მისი „კუთვნილი ნაწილის" ოკუპაცია. შულენბურგი მოლოტოვთან ერთად საბჭოთა აგრესიის დიპლომატიურ დასაბუთებაზეც კი მსჯელობდა.

იმავე დოკუმენტებიდან ჩანს, რომ *სწორედ სტალინი შეეწინააღმდეგა გერმანელთა იდეას – დაეტოვებინათ პოლონეთის მცირე ნაწილი, როგორც ნომინალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.*

1939 წლის 28 სექტემბერს, პოლონეთის ერთობლივად განადგურების შემდეგ, ჰიტლერმა და სტალინმა დადეს ახალი *„გერმანულ-საბჭოთა ხელშეკრულება მეგობრობასა და საზღვარზე სსრკ-სა და გერმანიას შორის"*. ისიც ღია პრესაში გამოქვეყნდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხალხისათვის უცნობი დარჩა საიდუმლო დამატებითი პროტოკოლი, რომლითაც სტალინი ღებულობდა მთელ ლიტვას და სამაგიეროდ, ჰიტლერს აძლევდა პოლონეთის ლიუბლინის სავოევოდოსა და ვარშავის სავოევოდოს ნაწილს, რომლებიც 23 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა გავლენის სფეროში ხვდებოდა.

ეს გარიგება სტალინისთვის უფრო სასარგებლო ჩანდა: გერმანიას საქმე ექნებოდა თავისუფლებისმოყვარე პოლონელებთან, რომლებიც, ნათელი იყო, არ შეწყვეტდნენ ბრძოლას (ამჯერად, პარტიზანულს), საბჭოთა კავშირს კი პოლონეთის ის ნაწილები ხვდა წილად, სადაც შერეული მოსახლეობა იყო. მართალია, იქაც გაჩნდა პრობლემები: დასავლეთ უკრაინად ქცეულ ნაწილებში წინ გამოვიდა უკრაინული ნაციონალიზმი, რომელიც მალე დაწყებულ გერმანია-რუსეთის ომის დროს და შემდეგაც საბჭოთა ხელისუფლებას უპირისპირდებოდა.

ანტისაბჭოთა გამოსვლები იყო ლიტვაშიც, რომელიც, თეორიულად „მომადლიერებული" იმით, რომ მას პოლონეთიდან გადასცეს ისტორიული დედაქალაქი ვილნიუსი (1922-1939 წლებში ლიტვის დედაქალაქი კაუნასი

იყო), 1939 წლის გერმანულ-რუსული გარიგებით შედიოდა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში. 1940 წელს საბჭოთა კავშირმა კი ლიტვის ანექსირება მოახდინა. ამ აქტით ლიტველების დიდი უკმაყოფილება, რასაკვირველია, კრემლმა მათ „უმადურობად" მონათლა!

პატარა ქვეყნების ბედი, რომელთაც დიდი სახელმწიფოები ისევე ადვილად ცვლიდნენ ერთმანეთში, როგორც 1860-იან წლებამდე რუსი მემამულეები ყმებს – მწევრებში, დღესაც დამაფიქრებელი უნდა იყოს. მართალია, ისეთი აგრესიული დიქტატორები, როგორებიც იყვნენ სტალინი და ჰიტლერი, ახლა არ ჩანან, მაგრამ გეოპოლიტიკის არსი არ შეცვლილა.

იმდროინდელი საიდუმლო მოლაპარაკებებიდან, რომელთა შინაარსიც ბევრად უფრო გვიან გახდა ცნობილი, ირკვევა, რომ პოლონეთის ხელმძღვანელობა 1939 წლის იანვარში არ დასთანხმდა ჰიტლერის წინადადებას – მასთან ერთად გამოსულიყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ვარშავაში მაშინვე მიხვდნენ, თუ რა არასაიმედო „მოკავშირესთან" ექნებოდათ საქმე, რომელიც, ერთდროულად, კატეგორიულად მოითხოვდა *პოლონეთის კორიდორის* – ბალტიის ზღვაზე პოლონეთის კუთვნილი ვიწრო გასასვლელის – და *თავისუფალი ქალაქის, დანციგის* დათმობას. მარტივი გათვლა აჩვენებდა, რომ გერმანიასთან მოკავშირეობა ვარშავას მაშინვე მოუსპობდა ლონდონისა და პარიზის დახმარების იმედს. დახმარება კი მას მალევე შეიძლებოდა დასჭირვებოდა თავისივე „მოკავშირის" – ჰიტლერის – წინააღმდეგ.

ეჭვგარეშეა, კრემლი მიიღებდა შესაბამის სადაზვერვო ინფორმაციას (აუცილებლად ექნებოდა ადგილი ინფორმაციის შეგნებულ „გაჟონვასაც"), რომ პოლონეთმა უარი განაცხადა ჰიტლერთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე. მაგრამ პოლიტიკაში „კეთილშობილური ნაბიჯები" არ ფასდება: სულ რამდენიმე თვეში სტალინი ჰიტლერთან ერთად გაიყოფს პოლონეთს.

პოლონეთის *„მეოთხე გაყოფამ"* (წინა სამი გაყოფა XVIII საუკუნის ბოლოს მოხდა) ისევე ნაშალა პოლიტიკური რუკიდან სახელმწიფო, რომელსაც *მოლოტოვმა* 1939 წლის 31 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოხსენებით გამოსვლისას ქედმაღლურად უწოდა *„ვერსალის ხელშეკრულების მახინჯი ქმნილება"*, რომელიც, მისი სიტყვებით, *„ცხოვრობდა არაპოლონელი ეროვნებების ჩაგვრის ხარჯზე"*.

ამხანაგი მოლოტოვი მხნედ აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირს შეუერთდა 196 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობი და ამით გაბედნიერდა 13 მილიონი ახალი მოქალაქე. დაზუსტებული ცნობით, საბჭოთა კავშირს საბოლოოდ ერგო 202 ათასი კვ. კილომეტრი, ანუ პოლონეთის რეჩპოსპოლიტის ფართობის 52 პროცენტი, შერეული მოსახლეობით (პოლონელები, უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები, ლიტველები). გერმანია დაეპატრონა პოლონეთის ტერიტორიის 48 პროცენტს.

ადვილი წარმოსადგენია სამშობლოს დაღუპვით გამოწვეული ამაყი პოლონელი ერის უმძიმესი განცდები. ვის შეეძლო მაშინ ეფიქრა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ პოლონეთი ნომინალურად აღორძინდებოდა, თუნდაც მკვეთრად შეცვლილ საზღვრებში? გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთის ნაწილში ჰიტლერის ბრძანებით მიზანმიმართულად სპობდნენ პოლონურ ინტელიგენციას. საბჭოთა უშიშროების სამსახური კი საბჭოთა უკრაინასთან და საბჭოთა ბელორუსიასთან მიერთებულ ტერიტორიებზე აპატიმრებდა პოლონურ ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, ოფიცრობას, სამღვდელოებას. 1939 წლის სექტემბრიდან 1941 წლის ივნისამდე, სანამ ამ ტერიტორიებზე გერმანული ვერმახტი შემოვიდოდა, *ენკავედემ* მოასწრო 107 ათასი ადამიანის დაპატიმრება, მათგან 50 ათასის (ძირითადად – პოლონელების) დახვრეტა და 400 ათასი ადამიანის ადმინისტრაციული წესით გასახლება, მათ შორის ციმბირში – 60 ათასისა. ამ აქციას ხელმძღვანელობდა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი *ნიკიტა ხრუშჩოვი*.

„ზამთრის ომი", ბალტიისა და ბესარაბიის ანექსია

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო დანართი საბჭოთა კავშირს ბალტიის ზღვაზე ძალიან ფართო ფრონტით გასვლის უფლებას აძლევდა, განსაკუთრებით თუკი კრემლი ხელში ჩაიგდებდა ფინეთსაც, რომელიც, *დანართის* თანახმად საბჭოთა გავლენის სფეროში შედიოდა.

მაგრამ ფინელებმა, რომელთაც იმავე 1939 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა კავშირი გამოგონილი ბრალდებით დაესხა თავს, მამაცად იბრძოლეს. კარელიის ყელზე ფინური თავდაცვითი ნაგებობების მძლავრი სისტემის, *მანერჰაიმის ხაზის*, დაძლევამ დიდი ზარალი მიაყენა წითელ არმიას. ფინეთთან ომში მისი ცოცხალი ძალის დანაკარგმა *მინიმალური* საბჭოთა შეფასებით 127 ათასი მოკლული, 265 ათასი დაჭრილი და მოყინული შეადგინა. ლაპარაკი არაა ათასობით დამწვარ ტანკზე და სხვა ტექნიკაზე. პატარა ფინეთისათვის ნაკლები დანაკარგიც კი – 48 ათასი მოკლული და უგზო-უკვლოდ დაკარგული და 43 ათასი დაჭრილი – უზარმაზარი მაჩვენებელი აღმოჩნდა: ეს ქვეყნის მოსახლეობის 3 პროცენტზე მეტი იყო.

აღსანიშნავია, რომ *ფინეთის დასახმარებლად მზად იყვნენ გამოსულიყვნენ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი*, რომლებიც იმ დროს გერმანიასთან საომარ მდგომარეობაში იყვნენ. მაგრამ მათი საექსპედიციო კორპუსი არ გაატარეს ნორვეგიამ და შვედეთმა: ისინი საბჭოთა კავშირთან კონფრონტაციას შეუშინდნენ. *ფინეთისათვის სამხედრო ტექნიკით დახმარების გაწევა სცადა იტალიის დიქტატორმა მუსოლინიმ*, მაგრამ მისი დახმარება გერმანიის ტერიტორიაზე არ გაატარა სტალინის მოკავშირემ – ჰიტლერმა. ასე რომ,

პატარა ფინეთს მარტოდმარტო მოუხდა მეზობელ გოლიათთან ბრძოლა და მან ისეთი თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია აგრესორს, რომ საბჭოთა ლიდერებშიც კი დაიმსახურა პატივისცემა და რიდი.

1940 წლის მარტში, როდესაც საბჭოთა კავშირმა და ფინეთმა ზავი დადეს, ამ უკანასკნელმა დათმო ეკონომიკურად კარგად ათვისებული კარელიის ყელი გამაგრებული სამხედრო ზონით, სიდიდით მეორე ქალაქი ვიიპური (რუსები მას შვედური სახელით – ვიბორგ – მოიხსენიებენ). მაგრამ ფინეთმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. საბჭოთა კავშირმა კი, პატარა ქვეყნის დამარცხების მიუხედავად, „ზამთრის ომში“ (ასე უწოდებენ ფინეთის კამპანიას) სირცხვილი ჭამა. მსოფლიომ ჩათვალა, რომ წითელი არმია სუსტია. ჰიტლერსაც შეექმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთი თიხის ფეხებზე მდგარი უთავო გოლიათია და დიდ ქვეყანასთან შეხლისას არცთუ ისე საშიში იქნებოდა.

მეორე მხრივ, ეს ფარდობითი წარუმატებლობა საბჭოთა მთავრობამ და წითელი არმიის ხელმძღვანელობამ გაკვეთილად მიიჩნიეს და სასწრაფოდ მიიღო ზომები არმიის ორგანიზაციული სტრუქტურისა და შეიარაღების გასაუმჯობესებლად. დაჩქარდა ახალი ტიპის ტანკებისა და თვითმფრინავების კონსტრუირება და წარმოება. უმაღლეს სამხედრო პოსტებზე ახალგაზრდა კადრები წამოსწიეს. 1940 წლის 7 მაისს საბჭოთა კავშირში შემოიღეს ახალი სამხედრო წოდებები, უფრო სწორედ, აღადგინეს იმპერიის დროინდელი ოფიცრების და გენერლების წოდებები ვარსკვლავიანი სამხრეებითურთ: იქამდე ოფიცრებთან გათანაბრებული წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეები გიმნასტურის საყელოზე რომბებს ატარებდნენ.

ფინეთზე თავდასხმის გამო *საბჭოთა კავშირი გარიცხეს ერთა ლიგიდან, როგორც აგრესორი*. ერთა ლიგის ასეთი პრინციპული და მკაცრი სასჯელის შემდეგ სტალინი სინდისის ქენჯნას არ შეუწუხებია. აგრესიული პოლიტიკა გაგრძელდა.

1940 წლის ივლისში, როგორც კი გერმანიამ საფრანგეთი დაამარცხა, საბჭოთა კავშირმა ერთდროულად მოახდინა ბალტიის სამი პატარა რესპუბლიკის – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის – ანექსირება. ფინეთისაგან განსხვავებით, მათ ვერ იბრძოლეს: კრემლის მიერ რამდენიმე თვით ადრე თავსმოხვეული შეთანხმებებით იქ უკვე იდგნენ წითელი არმიის დივიზიები.

ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში ფიქტიურად ჩატარებულ არჩევნებში „გაიმარჯვეს“ საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერმა ძალებმა. ვილნიუსის, რიგისა და ტალინის მარიონეტულმა პარლამენტებმა ერთხმად გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება და მოსკოვს მიმართეს „თხოვნით“ მიეღო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მათი რესპუბლიკები. მოსკოვმა გულმოწყალედ შეიწყნარა ეს თხოვნა და საბჭოთა კავშირის „ხალხთა ძმურ ოჯახში“ სამი ახალი მოკავშირე რესპუბლიკა გაჩნდა.

იმავე 1940 წელს სტალინმა მოსთხოვა რუმინეთს ბესარაბიისა და, დამატებით, ჩრდილოეთ ბუკოვინის დაცლა და საბჭოთა კავშირისათვის გადაცემა. რუმინეთი იძულებული გახდა დამორჩილებოდა დიქტატს: არც გერმანიის, არც დასავლეთის დემოკრატიების იმედი მას არ უნდა ჰქონოდა. უკრაინის სსრ-ის შემადგენლობაში ადრე შემავალ მოლდავეთის ასსრ-სთან (ამჟამად ესაა სეპარატისტული „დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა") გააერთიანეს ბესარაბია და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიქმნა *მოლდავეთის სსრ*. საბჭოთა კავშირმა თვითნებურად ჩამოაჭრა რუმინეთს ჩრდილო ბუკოვინა, რომლის შესახებ „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის" საიდუმლო დანართში არაფერი ეწერა. სტალინის ასეთ თავნებობაზე ჰიტლერმა თვალი დახუჭა: იმ დროს მას დიდ ბრიტანეთთან ჰქონდა ომი. ჩრდილო ბუკოვინა (ჩერნივცის ოლქი) უკრაინის სსრ-ს გადაეცა, ალბათ, როგორც კომპენსაცია „მოლდავეთის ასსრ-ის დაკარგვის" გამო.

საბჭოთა კავშირთან ახალშეერთებულ ტერიტორიებზე დაუყოვნებლივ დაიწყო „სოციალისტური გარდაქმნები" – წარმოების ძირითადი საშუალებების, მათ შორის მიწის, ნაციონალიზაცია. *ენკავედე* შეუდგა „მტრული ელემენტის" გამოვლენას, რაც ბალტიისა და ბესარაბიის მცირერიცხოვან ერებს ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდათ. ციმბირში გადაასახლეს ყველა არასაიმედო პირი, უპირველესად კულტურული და პოლიტიკური ელიტა, შეძლებული ფერმერები. ვინც მოასწრო, საზღვარგარეთ გაიქცა. ადგილობრივი მოსახლეობა ყველგან მკვეთრად შემცირდა. ბალტიის ქვეყნებში რუსების ჩასახლება დაიწყო. ეთნოდემოგრაფიული ცვლილების ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბალტიის ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ბევრად უფრო ულმობელი მეთოდებით, დიდი რეპრესიების თანხლებით მოხდა, ვიდრე ოცი წლით ადრე სამხრეთ კავკასიის გასაბჭოება.

ამის მიზეზი განსხვავებული საერთაშორისო ვითარება იყო და არა მითური „ლენინის სათნოება" და „სტალინის სიბოროტე".

1920-1921 წლებში საბჭოთა რუსეთი ჯერ მყარად ვერ გრძნობდა თავს და ცდილობდა მსოფლიო პროლეტარიატისათვის ეჩვენებინა, თუ რაოდენ „ჰუმანურია მის მიერ ექსპორტირებული კომუნიზმი". რეპრესიები კავკასიაში თავიდან შეზღუდულად ხორციელდებოდა.

1940 წლის ზაფხულში კი „მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი" სტალინს საერთოდ არ ადარდებდა. ჰიტლერმა ის-ის იყო პარიზი აიღო და საფრანგეთი დააჩოქა. ბრიტანულმა ჯარებმა ძლივს მოასწრეს ევაკუაცია თავიანთ კუნძულზე. ერთადერთი ანგარიშგასაწევი ძალა – ნაცისტური გერმანია – იმ დროს საბჭოთა კავშირის მოკავშირე იყო. ჰიტლერი არ დაუწყებდა სტალინს ჭკუის სწავლებას ბალტიის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო!

რა გასაკვირია, რომ როდესაც 1941 წლის ზაფხულში, ძალადობრივი გას-

აბჭოებიდან სულ ერთი წლის შემდეგ, ბალტიის ქვეყნებში შევიდა ნაცისტური გერმანიის არმია – *ვერმახტი*, ის საბჭოთა ტირანიისაგან განმათავისუფლებლად იქნა აღქმული. რეალობა კი ის იყო, რომ რუსული ოკუპაცია გერმანულით შეიცვალა და ახალი ტიპის ძალადობა დაიწყო: ახლა კომუნისტებსა და ებრაელებს იჭერდნენ. სამი წლის შემდეგ კი, 1944 წელს, ბალტიაში ისევ რუსები შემოვიდნენ და საკუთარი დაჭერები განაახლეს.

დიქტატორების სტრატეგიული გათვლები და დიპლომატიური ფანდები

რატომ დასთანხმდა ნაცისტურ გერმანიასთან „თავდაუსხმელობის პაქტს" სტალინი? ამით ხომ ის უმეზობლდებოდა პოტენციურ მტერს, რომელთანაც 1939 წლამდე ბუფერად პოლონეთი და ლიტვა ჰქონდა?

საბჭოთა და თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია ცდილობს გაამართლოს *მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი* შექმნილი სიტუაციით: ჰიტლერი ძლიერი იყო, საბჭოთა კავშირი – ჯერჯერობით სუსტი, *მას ომისათვის მოსამზადებლად დრო სჭირდებოდა* და მიიღო კიდეც ამისათვის თითქმის ორი წელი, რამაც საბოლოოდ გადაარჩინა კიდეც. *პაქტის* დადება საბჭოთა მთავრობის (ე.ი. სტალინის) ბრძნული ნაბიჯი იყო.

ეს არგუმენტაცია მცდარია და, ამავე დროს, ამორალური, თუ საერთოდ შეიძლება რაიმე მორალზე ლაპარაკი პოლიტიკასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით – სტალინისა და ჰიტლერის შემთხვევაში.

„თავდაცვისათვის მზადების" არგუმენტად გერმანიასთან დამეზობლების მიჩნევა, რბილად რომ ვთქვათ, ლოგიკას მოკლებულია. თუკი გერმანიასთან არ დაიდებოდა „ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ" (რომელიც, როგორც ვნახეთ, პოლონეთის გაყოფასაც ისახავდა მიზნად), გერმანია მოულოდნელად ვერ დაესხმოდა თავს საბჭოთა კავშირს, რადგან მათ საერთო საზღვარი არ ჰქონდათ: მათ შორის პოლონეთი და ლიტვა მდებარეობდნენ. პოლონეთს ჰიტლერი ვერ დაითანხმებდა (და, როგორც ზევით ითქვა, ვერც დაითანხმა) საბჭოთა კავშირზე ერთობლივად თავდასასხმელად.

„თავდაცვისათვის უკეთ მომზადების" არგუმენტის სისუსტე ისტორიამ დაადასტურა: 1939 წლიდან 1941 წლის ივნისამდე საბჭოთა კავშირმა მართლაც შეძლო მილიტარიზაციის მკვეთრი დაჩქარება და გერმანიასთან შედარებით დიდი *რაოდენობრივი* (ნაკლებად – *ხარისხობრივი*) უპირატესობის მიღწევა ტანკებში (20 ათასი გერმანიის 6 ათასის წინააღმდეგ), არტილერიაში, ავიაციაში და, რასაკვირველია, არმიის პირადი შემადგენლობის რიცხოვნობაში. მაგრამ 1941 წელს, ომის პირველივე თვეებში წითელი არმიის ცოცხალი ძალის დიდი

ნაწილი და მისი შეიარაღება ვერმახტმა გაანადგურა. საბჭოთა კავშირმა რამდენიმე თვეში დაკარგა ის სამრეწველო ცენტრები ევროპულ ნაწილში, რომლებშიც სამხედრო საჭურველი მზადდებოდა. სტალინს ფაქტობრივად ახალი არმიების სასწრაფოდ შექმნა და ურალს გადაღმა მთელი ქარხნების უმძიმეს პირობებში ევაკუაცია ან იქ ახალი ქარხნების მშენებლობა მოუწია. ეს მართლაც გმირობა იყო, მაგრამ გმირობა საჭირო გახდა საბჭოთა ხელმძღვანელობის ადრეული დაუდევრობისა და არასწორი სტრატეგიული გათვლის გამო.

წითელი არმია 1941-1942 წლებში მაშინ აღწევდა წარმატებას, როდესაც მას ამინდი (ძლიერი ყინვა) ეხმარებოდა და როდესაც ამერიკამ „ლენდ-ლიზის" წესით უზარმაზარი სამხედრო დახმარების აღმოჩენა დაუწყო.

ბოლო პერიოდში რუსეთში ხელმისაწვდომი გახდა საარქივო მასალა, რომლითაც უტყუარად მტკიცდება, რომ სტალინი ფიქრობდა, თითქოს გერმანიასთან „თავდაუსხმელობის პაქტის" დადებით მან *დიპლომატიური ფანდი* გაუკეთა ჰიტლერს (ხრუშჩოვი თავის „მემუარებში" იგონებდა, რომ სტალინი ვიწრო წრეში ტრაბახობდა „ჰიტლერი მოვატყუე"-ო).

სტალინის სტრატეგიული გათვლით პოლონეთ ზე თავდასხმის შემდეგ გერმანიისა და ყოფილი ანტანტის, ანუ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის, შეტაკება დასავლეთ ევროპაში გარდაუვალი გახდებოდა. სტალინი ელოდა გერმანიის ჩაფლობას ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ და ურთიერთგამომფიტავ ბრძოლაში დასავლეთის ფრონტ ზე, ისე, როგორც ეს მოხდა 1914-1918 წლებში, და ემზადებოდა გერმანიისათვის აღმოსავლეთიდან მოულოდნელად დაერტყა.

ასეთ შემთხვევაში, სათანადო მომენტისათვის უკეთ მომზადებულ საბჭოთა კავშირს შეეძლო გერმანიის წინააღმდეგ ძლევამოსილი „გამათავისუფლებელი ლაშქრობით" გადაეწყვიტა დიდი ევროპული ომის ბედი, ეხსნა ევროპა ნაციზმისაგან და „*განთავისუფლებულ ქვეყნებში*" (ასეთი აღმოჩნდებოდა, ალბათ, თითქმის მთელი კონტინენტური ევროპა) *კომუნისტური რევოლუცია მოეხდინა*. ამ თვალსაზრისით, „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი" საბჭოთა კავშირს არანაკლებ, თუ მეტად არა, აძლევდა ხელს, ვიდრე ნაცისტურ გერმანიას.

ისტორიული ლოგიკა ცხადყოფს და ზოგიერთი დოკუმენტიც ადასტურებს, რომ სტალინი თვითონ ემზადებოდა შეტევითი ომისათვის, მაგრამ ხელსაყრელ მომენტს ელოდა.

საზღვარგარეთის ქვეყნების კომპარტიებისათვის 1939 წლის შემოდგომაზე გაგზავნილ წერილში საკავშირო კომპარტია (არ დაგვავიწყდეს, რომ მისი გენერალური მდივანი სტალინი იყო) ახალდაწყებულ მსოფლიო ომში თავის პოზიციას ასე განმარტავდა:

> „ანგლო-ფრანგული იმპერიალიზმის გადარჩენა ჩვენი პრინციპების დარღვევა იქნებოდა. ეს პრინციპები სრულებით არ გამორიცხავს დროებით შეთანხმებას ჩვენს [კომპარტიების: რ.გ.] საერთო მტერთან – ფაშიზმთან. სსრკ შეშოიფარგლება იმ პროგრამით, რომელსაც მოგვიანებით გან-

ვახორციელებთ. ჩვენ გადავწყვიტეთ მოვიცადოთ და ჩავერევით საჭირო მომენტში".

ფაქტების ანალიზი გვაძლევს უფლებას დავუშვათ, რომ ასეთი „ჩარევა" *თეორიულად შესაძლებელი* იყო 1940 წლის მეორე ნახევარშიც კი.

საბჭოთა კავშირის მხრიდან 1940 წელს გერმანიაზე დარტყმის ჰიპოთეტური დაშვების უფლებას გვაძლევს, მაგალითად, ფაქტი, რომ „ენკავედე"-მ *სწორედ 1940 წლის აპრილ-მაისში* დახვრიტა 1939 წლის სექტემბერში ტყვედ აყვანილი 22 ათასი პოლონელი ოფიცერი და პოლიციელი. ისინი ინტერნირებული იყვნენ საბჭოთა კავშირის სმოლენსკის ოლქის *კატინის ტყეში*, ხარკოვის ოლქში მდებარე *სტარობელსკში* და კალინინის ოლქის სოფელ *მედნოესთან განლაგებულ* ბანაკებში. მასობრივი დახვრეტა მოხდა საკავშირო კომპარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, რომელსაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ლავრენტი ბერიამ წარუდგინა დოკუმენტი მათი კოლექტიური ბრალეულობის შესახებ. ამ შემზარავ ფაქტს *„კატინის ტრაგედიას"* უწოდებენ და ის საერთაშორისო ურთიერთობებზე დღემდე ზემოქმედებს (იხ. ჩანართი 13.2).

პოლონელი ოფიცრების მასობრივი ჟლეტის (რაც 19 მაისს დამთავრდა) ახსნად შეიძლება ჩაითვალოს სტალინის სავარაუდო გეგმა 1940 წლის ზაფხულში ან შემოდგომაზე გერმანიაზე თავდასხმის შესახებ, რაც ბუნებრივია, პოლონეთის ყოფილი სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით უნდა მომხდარიყო. წითელი არმიის წარმატების შემთხვევაში საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ დასავლეთ პოლონეთში (რომელიც 1940 წელს გერმანელთა ხელში იყო) მოსალოდნელი იქნებოდა მარიონეტული სახელმწიფოს შექმნა პროსაბჭოთა მთავრობით სათავეში. ასეთ შემთხვევაში პატრიოტულად განწყობილი პოლონელი ოფიცრები საბჭოთა კავშირს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ. ამიტომაც კრემლში მათი ლიკვიდაცია გადაწყვიტეს.

ჩანართი 13.2
კატინის ტრაგედიის საერთაშორისო რეზონანსი

1943 წლის აპრილში გერმანიაში, რომლის არმიას იმ დროს სმოლენსკის ოლქი ოკუპირებული ჰქონდა, პირველად გამოქვეყნდა მასალები ამ ტრაგედიის შესახებ, საიდანაც ჩანდა, რომ პოლონელი ოფიცრები საბჭოთა ჯალათებმა დახოცეს. ცხადია, ნაცისტურ პროპაგანდას ეს სჭირდებოდა *ბოლშევიკური ბარბაროსობის* საჩვენებლად.

ლონდონში ემიგრაციაში მყოფმა პოლონეთის მთავრობამ *საერთაშორისო წითელ ჯვარს* სთხოვა ამ ფაქტის გამოძიება. „ასეთი გაუგონარი ცილისწამება" კრემლისათვის საბაბი გახდა გაეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთის კანონიერ მთავრობასთან.

საბჭოთა კავშირმა პოლონელი ოფიცრების დახვრეტა გერმანელებს გადააბრალა და 1946 წელს ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალზე ურცხვად წარუდგინა

ის ბრალდებად ნაცისტურ რეჟიმს, თითქოს ამ უკანასკნელს საკუთარი დანაშაული არ ჰყოფნიდა!

საბჭოთა კავშირის მიერ ამ ბოროტების ჩადენა მიხაილ გორბაჩოვმა მხოლოდ 1990 წელს აღიარა. რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ადრე გასაიდუმლოებული დოკუმენტაცია პოლონეთის ხელისუფლებას გადასცა.

მხოლოდ XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს გამოჩნდა ნიშნები, რომ პოლონეთი და რუსეთი გამონახავენ რაღაც გზას, რომ მომხდარი ფაქტი არ წამლავდეს ამ ქვეყნების ურთიერთობას.

წითელი არმიის სავარაუდო სამხედრო გეგმის – გერმანიის მიმართულებით შეტევის – განხორციელება *პრაქტიკულად შეუძლებელი* გახადა საფრანგეთის არმიის სრულმა ფიასკომ 1940 წლის ივნისში. საბჭოთა კავშირისათვის კი აუცილებელი იყო დასავლეთის ფრონტზე ცხარე ბრძოლები გაჩაღებულიყო. ასეთ შემთხვევაში მოძლიერებული წითელი არმიის თავდასხმა გერმანიაზე სტრატეგიულად გამართლებული იქნებოდა: გერმანია აღმოსავლეთიდან მოწყვლადი ხდებოდა და ორ ფრონტზე ბრძოლაში უნდა დამარცხებულიყო.

ვერმახტის მიერ საფრანგეთის ელვისებურად, სულ თვენახევარში, დამარცხებამ სტალინს გეგმა აურია: ჰიტლერს გამოუთავისუფლდა ძალები აღმოსავლეთის საომარი თეატრისათვის. გერმანიაზე თავდასხმა იმ დროს შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა, სტალინს მაინც იმედი უნდა ჰქონოდა, რომ გერმანია დაკავებული იქნებოდა დიდ ბრიტანეთთან ომით და ორიოდე წელიწადში მოესწრებოდა წითელი არმიის კიდევ უფრო გაძლიერება, მისი თავმოყრა დასავლეთის საზღვარზე და გერმანიაზე დიდი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება.

როგორც ჩანს, ამიტომაც ცდილობდა სტალინი სხვადასხვა ხერხით *„ეყიდა დრო"*, მაგალითად, საბჭოთა კავშირი კეთილსინდისიერად აწვდიდა ნაცისტურ გერმანიას საავჭრო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტრატეგიულ ნედლეულს და არ აძლევდა ფორმალური უკმაყოფილების საბაბს.

რაც შეეხება გერმანიას, „თავდაუსხმელობის შესახებ საბჭოთა-გერმანული ხელშეკრულების" საიდუმლო ოქმში პოლონეთის დასავლეთ ნაწილზე (და, თავიდან, ლიტვაზე) პრეტენზიის გარდა არაფერია ნათქვამი გერმანიის ინტერესებზე. ეს სულაც არ ნიშნავს „ჰიტლერის ზომიერებას". მაგრამ ფაქტია, რომ იმავე საიდუმლო ოქმით საბჭოთა კავშირის ბევრად დიდი ტერიტორიული მადა კმაყოფილდებოდა.

გერმანია, რომელიც პოლონეთზე უკვე დაგეგმილი თავდასხმის შემდეგ ელოდა ომს დასავლეთ ევროპის დემოკრატიებთან, უპირველესად – საფრანგეთთან (ჰიტლერს კარგა ხანს ჰქონდა ილუზია, რომ თავიდან აირიდებდა ბრიტანეთთან შეტაკებას, ანდა მოახერხებდა მასთან სეპარატულ გარიგებას), „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის" მეშვეობით, დროებით მაინც, თავიდან

იცილებდა ორ ფრონტზე ბრძოლის საფრთხეს.

საბჭოთა კავშირთან დადებული „ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ" გერმანიისათვის ტაქტიკური წარმატება იყო, თუმცა სერიოზული რისკიც: წითელი არმია უშუალოდ ადგებოდა რაიხის აღმოსავლეთ საზღვრებს. რამდენიმე თვის შემდეგ ფინეთთან რუსეთის ნაკლებ წარმატებულმა ომმა ცოტა დაამშვიდა ჰიტლერი.

დღეს შეიძლება დავასკვნათ, რომ „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის" დადება გერმანიისთვის საბედისწერო შეცდომა გამოდგა. მაგრამ მაშინ ასე არ ჩანდა. ჰიტლერს ეგონა, რომ სტალინს *დიპლომატიური ფანდი გაუკეთა:* სტალინი ბალტიისპირეთის დაპყრობის საკითხებით იქნებოდა დაკავებული, თვითონ კი დასავლეთ ევროპაში სამხედრო მოქმედებებს თავისუფლად ჩაატარებდა. ამავე დროს, თუკი გერმანიას არ უნდოდა ისეე ორი ფრონტი ჰქონოდა, როგორც პირველ მსოფლიო ომში, დროულად უნდა გაემარჯვა დასავლეთში: მისმა დაზვერვამ კარგად იცოდა, თუ რა ტემპით ზრდიდა სამხედრო პოტენციალს საბჭოთა კავშირი, რომელსაც იმ დროისათვის მსოფლიოში, გერმანიის გარდა, სერიოზული პოტენციური მტერი არ ჰყავდა. ასეთ მტრად შეიძლებოდა მხოლოდ იაპონიის განხილვა. საბჭოთა კავშირმა კი 1941 წლის აპრილში ტოკიოსთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადო და ჰქონდა იმედი (რაც გამართლდა კიდეც), რომ იაპონია ომს დაიწყებდა არა მასთან, არამედ ამერიკასთან.

სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველია ნაციონალური ინტერესები.

კოლონიებით დამძიმებული დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ნაციონალურ ინტერესს 1930-იანი წლების ბოლოს წარმოადგენდა სტატუს-კვო-ს, ანუ არსებული ვითარების, შენარჩუნება: მათ არ სჭირდებოდათ არც ომი ნაცისტურ გერმანიასა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის და არც რომელიმეს მოკავშირედ გამოსვლა. ყოველ შემთხვევაში, პარიზსა და ლონდონში არავინ ხედავდა თავის მოკავშირედ ჰიტლერს.

მაგრამ ორივე დიქტატორი, სტალინი და ჰიტლერი, ერთპიროვნულად ღებულობდა გადაწყვეტილებას (რასაც, შესაბამისად, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის „ნაციონალურ ინტერესებად" აცხადებდა). ორივე მათგანის ინტერესებში შედიოდა მსოფლიოში შექმნილი სტატუს-კვო-ს აფეთქება და არსებული ვითარების შეცვლა, თავის სასარგებლოდ, რასაკვირველია.

მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა 1938-39 წლებში ავსტრია და ჩეხოსლოვაკია დაიპყრო, ნათელი გახდა, რომ ის აქ არ გაჩერდებოდა. თავის „მაინ კამპფში" ჰიტლერი არაორაზროვნად მიუთითებდა საფრანგეთთან რევანშის აღების აუცილებლობაზე.

ორ სახიფათო აგრესორს შორის არჩევანის გაკეთებისას პარიზი და ლონ-

დონი ამჯობინებდნენ თუ რუსეთის მოკავშირეობას არა, მისგან რაღაც გარანტიების მიღებას მაინც. ყოველ შემთხვევაში, რუსეთთან ომს ისინი არ გეგმავდნენ. გერმანია მათთვის უფრო სახიფათო იყო, თუნდაც იმიტომ, რომ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი გეოგრაფიულად უფრო ახლოს მდებარეობდნენ ნაცისტურ გერმანიასთან, ვიდრე საბჭოთა რუსეთთან. რუსეთთან მორიგების ფაქტორად პარიზსა და ლონდონში მიაჩნდათ საფრანგეთ-რუსეთის ტრადიციული სწრაფვა გერმანიის ამბიციების ერთობლივად გასაწონასწორებლად. გარდა ამისა, მათ ეგონათ, რომ რუსეთი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო პოლონეთის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით, რადგან ის რუსეთსა და გერმანიას შორის „ბუფერის" როლს ასრულებდა.

მაგრამ სტალინს სხვა მოსაზრებები ჰქონდა. მან ჰიტლერთან ერთად მოუღო ბოლო პოლონეთის სახელმწიფოებრიობას და მასთანვე „ძმურად" გაიყო მისი ტერიტორია. ლონდონისა და პარიზის დიპლომატიას კი სტალინი არ ენდობოდა.

ბოლო პერიოდში გამომზეურებული საარქივო მასალა მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში შემუშავებული იყო გერმანიის წინააღმდეგ შეტევითი კამპანიის გეგმა. ამაში გასაკვირი და ამორალური არაფერია: ყველა გენერალური შტაბის მოვალეობაა ყველანაირი მოსალოდნელი ოპერაციის – შეტევითისა და თავდაცვითის – გეგმის წინასწარი შედგენა.

ფაქტია, რომ ორივე დიქტატორი ამზადებდა პირველ დარტყმას. ომი მათ შორის გარდაუვალი იყო.

1941 წლის 5 მაისს კრემლში მოეწყო საბჭოთა სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა საზეიმო მიღება. მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე საბჭოთა საგარეო დაზვერვამ სტალინს მიაწოდა გერმანელი ოფიცრების წინაშე ჰიტლერის საიდუმლო გამოსვლის შინაარსი: ფიურერი სახელმწიფო აუცილებლობად მიიჩნევდა ახლო მომავალში საბჭოთა კავშირთან ომს.

სტალინმა კი საბჭოთა ოფიცრებს მიმართა სადღეგრძელოთი:

> „...ჩვენი სამშობლოს გადარჩენა შეუძლია მხოლოდ გერმანიასთან ომს და მასში გამარჯვებას. მოდით შევსვათ ომის, ომში შეტევის (ხაზგასმა ჩემია: რ.გ.), ამ ომში ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო" [26].

ეჭვგარეშეა, როდესაც მთავრობის მეთაური (სტალინმა სწორედ წინა დღეს თავის პარტიულ პოსტთან შეითავსა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, ანუ „პრემიერ-მინისტრის" პოსტი) შეტევაზე ლაპარაკობს, ის გულისხმობს ომს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და არა – საკუთარი დედაქალაქის მისადგომებთან.

შეიძლება დავუშვათ, რომ გამოსვლას (სტალინის სადღეგრძელოს) უფრო

[26] იმ ბანკეტზე დამსწრე მრავალმა ადამიანმა დატოვა სტალინის ამ სადღეგრძელოს სხვადასხვა ინტერპრეტაცია, რომლებიც შეგროვებულია ვლადიმირ ნეველინის წიგნში [Невежин, 2007]. ყველა ინტერპრეტაციაში გამოიკვეთა საერთო აზრი: სტალინი მოუწოდებდა თავის ოფიცრებს ჰომზადებულიყვნენ „შეტევითი ომისათვის".

პროპაგანდისტული დატვირთვა ჰქონდა. უახლოეს პერიოდში სტალინი მაინც არ აპირებდა თავდასხმას გერმანიაზე, მაგრამ საბჭოთა კავშირის სამხედრო დოქტრინა გულისხმობდა საომარ მოქმედებას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და არა – თავდაცვით ომს.

პარტიულ ყრილობაზე 1939 წლის მარტში ეს ღიად განაცხადა წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (*გეპეუ*-ს) უფროსმა *ლევ მეხლისმა*: არმიის ამოცანებში მან ჩამოთვალა *„მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედების გადატანა, თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულება და საბჭოთა რესპუბლიკების რიცხვის გაზრდა"*.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობას ყურებს უჭედავდნენ ტრაბახით, რომ „წითელი არმია უძლიერესია" („Красная Армия всех сильней!"), რადიორეპროდუქტორებიდან განუწყვეტლივ ისმოდა რიხიანი მარშები:

„Гремя огнем, сверкая блеском стали,
Пойдут машины в яростный поход!" [27]

ახლა ეს ყველაფერი შეიძლება მოინათლოს „საშინაო მოხმარებაზე გათვლილ ბლეფად". მაგრამ ფაქტია, რომ სტალინი მართლაც ცდილობდა, მისი არმია „მსოფლიოში უძლიერესი" ყოფილიყო და სულაც არ სურდა თავდაცვითი ომის წარმოება საკუთარ ტერიტორიაზე.

დადასტურებულად ითვლება, რომ 1939 წელს პოლონეთისგან ანექსირებულ ტერიტორიაზე, სადაც განლაგდა საბჭოთა ჯარების დიდი ნაწილი, 149 დივიზია, *1940-41 წლებში არ მიმდინარეობდა რეალური მზადება თავდაცვისათვის*, თითქმის არ შენდებოდა ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები („დოტ"-ები), არ იყო არც დანაღმული ველები საზღვრის გასწვრივ, არც ტანკსაწინააღმდეგო ბოძკინტები, არც მავთულხლართები. ამან 1941 წლის ზაფხულში ძალიან გაუადვილა შეტევა გერმანელებს, მათ ხიდებიც კი დაუნაღმავი დახვდათ. როცა ქვეყანა თავდაცვისათვის ემზადება, როგორც ამას დაჟინებით ამტკიცებდა საბჭოთა პროპაგანდა, ასე არ უნდა იქცეოდეს.

ნათელია, რომ ასეთი „დაუდევრობა" მტრის ხელშესაწყობად არ იქნა დაშვებული. უბრალოდ, გერმანიაზე შეტევის შემთხვევაში წითელ არმიას საკუთარი თავდაცვითი სისტემები ხელს შეუშლიდა. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ახალ საზღვარზე თანდათან ეწყობოდნენ საბჭოთა სატანკო დივიზიები. ტანკები კი შეტევითი იარაღია. აეროდრომები სავსე იყო სამხედრო თვითმფრინავებით. წითელარმიელებით გაჭედილი სარკინიგზო ეშელონები 1941 წლის ივნისის თვეშიც კი, ჯერ კიდევ ჰიტლერის თავდასხმამდე, უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა დასავლეთის საზღვრისაკენ.

[27] ცეცხლის გრიალით, ფოლადის ელვით,
ნაცრენ ტანკები მტერზე სალაშქროდ.

საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსები აღიარებენ, რომ ერთ-ერთი საბჭოთა „ზედამრტყმელი" (сверхударная) არმია იმ დროს სამხრეთ-დასავლეთით იყო კონცენტრირებული, ძირითადად რუმინეთის მიმართულებით, და ამას ხსნიან უკრაინაში განლაგებული სამხედრო მრეწველობისა და ქვეყნის სასურსათო ბელტის *დაცვის* აუცილებლობით. ნუთუ ვინმეს შეუძლია სერიოზულად ამტკიცოს, რომ სტალინს აშინებდა აგრესია რუმინეთის მხრიდან – იმ ქვეყნისაგან, რომელსაც მან ერთი წლით ადრე უბრძოლველად ჩამოართვა ბესარაბია და ჩრდილოეთი ბუკოვინა?

უფრო სწორი ჩანს აზრი, რომ საბჭოთა კავშირის ამ მოიერიშე არმიას ევალებოდა გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე გერმანიისათვის ნავთობის მიმწოდებელი უმთავრესი წყაროს – რუმინეთის *პლოეშტის ნავთობსარეწების* – სასწრაფოდ დაკავება ან მათი განადგურება. ასეთ შემთხვევაში უსაწვავოდ დარჩენილი გერმანული ავიაცია და ტანკები მალე უნდა გაჩერებულიყო.

მაგრამ როდის უნდა მომხდარიყო ეს?

1941 წლის შუაგულისათვის წითელი არმია არ იყო ვერმახტზე ნაკლებ შეიარაღებული: თვითმფრინავები, ტანკები, არტილერია მას ბევრად მეტიც კი ჰქონდა. 1940 წლიდან არმიის შეიარაღებაში მყოფი საშუალო ტანკი T-34 საბრძოლო მახასიათებლებით სჯობდა გერმანულ ტანკებს და იმ დროს მსოფლიოში საუკეთესო იყო, თუმცა 1941 წელს ასეთი ტანკი ბევრი ჯერ არ იყო გამოშვებული. ასევე მსოფლიოში საუკეთესო საბჭოთა დაჯავშნული ავიამოიერიშე Ил-2 სამამულო ომის დროს გერმანულ სამხედრო ტექნიკას მუსრს ავლებდა. დიდი უპირატესობა ჰქონდა წითელ არმიას ცოცხალი ძალის თვალსაზრისითაც. საბჭოთა კავშირის მოსახლეობა (193 მილიონი 1939-1940 წლებში ახალანექსირებული ტერიტორიების მოსახლეობის ჩათვლით) თითქმის ორნახევარჯერ სჭარბობდა გერმანიისას, რომელშიც ანექსირებულ ავსტრიასა და სუდეტებთან ერთად 80-მდე მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. თავის მოკავშირეებთან ერთადაც კი გერმანია ვერ უტოლდებოდა საბჭოთა კავშირის დემოგრაფიულ პოტენციალს. თანაც, ეს იძულებითი მოკავშირეები ძალიან არასაიმედონი იყვნენ.

ამასთან ერთად, წითელ არმიას აკლდა ბევრი რამ, რაც იმდროინდელ ომში უკვე აუცილებელი იყო. შეიარაღებაში ჯერაც ჰქონდათ 1891 წლის მოდელის მოძველებული სამხაზიანი შაშხანები; ძალიან ცუდი იყო, ხშირად კი საერთოდ არ არსებობდა რადიოკავშირი; კარგი კონფიგურაციის მქონე და საიმედოდ შეჯავშნულ ტანკებში არ იდგა რადიო და ამიტომაც მათი მოქმედების კოორდინაცია ძნელდებოდა; ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან ტანკ T-34-ში სიჩქარეთა კოლოფი და ტრანსმისია; არასაიმედო იყო საბჭოთა წარმოების სატრანსპორტო საშუალებები (მაგალითად, ე.წ. „*პალტარატონკები*" – 1,5 ტონის ამწეობის სატვირთო მანქანები და ასევე სუსტი 3-ტონიანი მანქანები)

და ა. შ. ერთი სიტყვით, სამხედრო ტექნიკას ქრონიკული „საბჭოთა სენი" სჭირდა – რაღაცა მაინც დაუმთავრებელი და უხარისხო იყო.

საბჭოთა ჯარისკაცები ცუდად იყვნენ გაწვრთნილები, ხოლო 1937-38 წლების წმენდას გადარჩენილი ან ახალმომზადებული ოფიცრები – გამოუცდელები ან ინიციატივას მოკლებულები (უფრო ზუსტად, *ინიციატივაწართმეულები*). 1940 წელს სტალინის ბრძანებით ბანაკებიდან გამოუშვეს რამდენიმე ათეული ათასი ოფიცერი, რომლებიც წინა წლებში დახვრეტას გადაურჩნენ. არმიაში დაბრუნებით მათ „დანაშაულის გამოსყიდვის შანსი" მისცეს. ბუნებრივია, რომ ეს ხალხი თავდაუზოგავად იბრძოლებდა, მაგრამ სათანადო მომზადება მათაც არ ჰქონდათ.

1941 წლის 13 ივნისს, გერმანიის თავდასხმამდე 9 დღით ადრე, *საკდესმა* – საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ, გაავრცელა ცნობა, რომ

> „ჭორია, თითქოს საბჭოთა კავშირი ახდენს უაღრესად დიდი ძალების კონცენტრაციას დასავლეთის საზღვრებზე... გერმანია ისევე განუხრელად იცავს თავდაუსხმელობის პაქტს, როგორც საბჭოთა კავშირი".

ეს განცხადება მოწინააღმდეგის ყურადღების მოდუნებასა და ომის გადავადებაზე იყო გათვლილი. თუ ჰიტლერი ომს ზაფხულში არ დაიწყებდა, შემოდგომაზე და ზამთარში, მით უმეტეს, ვერ გაბედავდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას.

სააგენტოს ამ ცნობას, რასაკვირველია, ბერლინში არ დაუჯერეს. გერმანული დაზვერვა ჰიტლერს აწვდიდა ინფორმაციას საზღვართან წითელი არმიის თავმოყრის შესახებ.

სტალინს ერჩიენა ომის დაწყება დროში როგორმე გადაეწია (1942 წლისათვის? ძნელი სათქმელია). სავსებით ბუნებრივია, ის ამჯობინებდა ომს მტრის ტერიტორიაზე და არა საკუთარი ქვეყნის აოხრებას.

საბოლოოდ, ჰიტლერი პირველი წავიდა „პრევენციულ ომზე", სინამდვილეში კი ავანტურაზე, როდესაც *დაგვიანებით* და, ამავე დროს, *მოუმზადებელი* ეკვეთა საბჭოთა კავშირს 1941 წლის ივნისში, იმ იმედით, რომ რამდენიმე თვეში დაამარცხებდა მას.

ქვევით შევეცდები ავხსნა, თუ რა იგულისხმება სიტყვებში – *„დაგვიანება"* და *„მოუმზადებლობა"*.

ჰიტლერი თვითონ ემზადებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. გადამწყვეტი იყო, თუ ვინ დაასწრებდა მეორეს *„სტრატეგიული ინიციატივის მოპოვებას"* (რაც მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი თავდასხმის ევფემიზმია).

თუ სტალინი ცდილობდა ომის დაწყების გადავადებას, *ჰიტლერსაც უხდებოდა „ბრძოლა დროსთან"*. ახლა საიდუმლო აღარაა, რომ 1940 წლის 18 დეკემბერს ოპერაცია „ბარბაროსა"-ს ჩატარების შესახებ ხელმოწერილი დირექტივით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყება დაიგეგმა 1941

წლის მაისში, როგორც კი რუსეთში შეშრებოდა გრუნტის გზები და მძიმე სამხედრო ტექნიკა გავლას შეძლებდა. გეგმის თანახმად, ვერმახტს საბჭოთა კავშირი რამდენიმე თვეში, დაზამთრებამდე, უნდა დაემარცხებინა.

სტრატეგიულ გეგმებს გენერალურ შტაბებში ადგენენ, მაგრამ პოლიტიკური ვითარების ცვალებადობა ყოველთვის არ იძლევა ხოლმე მათი დროულად და სრულყოფილად განხორციელების საშუალებას.

გერმანიის პრობლემა იყო, რომ მას დასავლეთით რჩებოდა ჯერაც დაუმარცხებელი ბრიტანეთი, სადაც ის დესანტს ვერ სხამდა, რადგან საკმარისი სიძლიერის ფლოტი არ ჰქონდა. 1940-1941 წლებში ათი თვის განმავლობაში ინგლისის ქალაქების შეუბრალებელი დაბომბვა უშედეგო აღმოჩნდა. ბრიტანეთთან საჰაერო ბრძოლა გერმანიამ ვერ მოიგო. პირიქით, ბრიტანული ავიაცია 1941 წელსაც და მომდევნო წლებშიც წარმატებით ბომბავდა გერმანიის სამხედრო და სამრეწველო ობიექტებს, განსაკუთრებით რურის ინდუსტრიულ რაიონს, ნავსადგურებსა და, პერიოდულად – ბერლინს.

საბჭოთა კავშირმა კი აღმოსავლეთით მდებარე იაპონიასთან ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულება დადო. შესაძლო მტერი, იაპონია, ჩინეთთან ომში იყო ჩაბმული და სულ უფრო მეტად იხრებოდა ამერიკისა და არა რუსეთის წინააღმდეგ ომის გასაფართოებლად.

ჰიტლერი ჩქარობდა თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, რადგან საჭიროდ მიაჩნდა მისი დამარცხება მანამდე, სანამ წითელი არმია ვერმახტზე ბევრად ძლიერი გახდებოდა. ალბათ, ამის შემდეგ გეგმავდა ჰიტლერი გერმანული სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის გაძლიერებას დიდი ბრიტანეთის დასამარცხებლად.

გეგმა ჰიტლერს აურია 1941 წლის 27 მარტს იუგოსლავიაში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ, რომელშიც ბრიტანელი აგენტების ხელი ერია. პროგერმანული მთავრობა პრობრიტანულმა შეცვალა. საბჭოთა კავშირმა დაუყოვნებლივ ცნო ბელგრადის ახალი მთავრობა და დახმარებაც კი აღუთქვა მას (რომელიც არ აღმოუჩენია). მოსკოვის მხრიდან ეს ბერლინის მიმართ დემონსტრაციულად გადადგმული მტრული ნაბიჯი იყო.

ვერმახტს დაეკალა იუგოსლავიის სამაგალითოდ დასჯა. გერმანულმა დივიზიებმა მალე დაამარცხეს იუგოსლავიის არმია, *ლიუფტვაფემ* (გერმანიის საჰაერო ძალებმა) მიწასთან გაასწორა დედაქალაქი *ბელგრადი*, რომელსაც საზენიტო თავდაცვა არ ჰქონდა. იუგოსლავია დაინაწილეს გერმანიის მოკავშირეებმა იტალიამ, ბულგარეთმა, უნგრეთმა, იტალიის მარიონეტულმა „დიდმა ალბანეთმა". მისი ნაწილი – ხორვატია – კვაზი-დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა, შეიერთა ბოსნია-ჰერცეგოვინა და გერმანიის მხარეს იბრძოდა. ხორვატმა ფაშისტებმა – *უსტაშებმა* და ალბანელმა ნაციონალისტებმა სახელი ვაიტეხეს სერბული მოსახლეობის ულეტით.

იმავე 1941 წლის აპრილ-მაისში ჰიტლერმა მთელი საბერძნეთის ოკუპაცია მოახდინა, რაც ბერლინში თავიდან საერთოდ არ იგეგმებოდა. 1940 წლის ოქტომბერში მუსოლინი არსებითად უმიზეზოდ და თანაც ჰიტლერთან შეუთანხმებლად დაესხა თავს ამ ქვეყანას: *დუჩეს* თავმოყვარეობას მოსვენებას არ აძლევდა *ფიურერის* გამარჯვებები! ბერძნებმა კი დუჩე დაამცირეს – იტალიური დივიზიები ზღვაში გადაყარეს ან ალბანეთში განდევნეს. ბუნებრივია, ასეთი თავდასხმის შემდეგ საბერძნეთის მთავრობა კეთილგანწყობით მოეკიდებოდა დიდი ბრიტანეთის დახმარებას. საბერძნეთის *კუნძულ* კრეტაზე ბრიტანული დესანტი გადასხდა. ასეთი პოლიტიკური განვითარება სამხრეთ ევროპაში გერმანულ რაიხს საფრთხეს უქმნიდა: აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლის დაწყების შემთხვევაში ბალკანეთიდან ბრიტანული შეტევა გამორიცხული არ იყო. ამიტომ იუგოსლავიის დამარცხების შემდეგ ვერმახტი საბერძნეთშიც შეიჭრა და სამ კვირაში დაიპყრო ის. *კრეტაზე* მყოფი ბრიტანული კორპუსის განადგურება იქ გადასხმულმა გერმანულმა საჰაერო დესანტმა, დიდი მსხვერპლის ფასად, მხოლოდ მაისის ბოლოს მოახერხა.

ეს ყველაფერი *დროს* მოითხოვდა.

ბალკანეთის ოპერაციების გამო რუსეთში საომარი კამპანია დაგეგმილი 1941 წლის 15 მაისის ნაცვლად ხუთი კვირით გვიან დაიწყო. სწორედ ეს *დაგვიანება* აღმოჩნდა ფატალური გერმანიისათვის. *მოსკოვამდე დიდი სივრცის ბრძოლით გავლა ზამთრის დადგომამდე ვერ მოესწრო და „ბლიცკრიგის" ნაცვლად გერმანია ჩაეფლო ხანგრძლივ ომში რამდენიმე ფრონტ ზე.*

ომის წინ ვერმახტის კონცენტრაცია საზღვარზე ლამის ისევე ღიად ხდებოდა, როგორც წითელი არმიისა. მობილიზაციის გამოცხადება ჰიტლერს არ სჭირდებოდა: არმია ისედაც მობილიზებული იყო. სტალინიც არ აცხადებდა საყოველთაო მობილიზაციას, რათა ჰიტლერისათვის თავდასხმის ფორმალური საბაბი არ მიეცა. მაგრამ წითელი არმიის საშტატო დივიზიების რაოდენობა ისედაც სჭარბობდა ვერმახტისას. ორივე მხარის ძალები საზღვრისპირა რაიონებში იყო თავმოყრილი და შეტევისთვის ემზადებოდა. საბჭოთა ადამიანები შიშით ელოდნენ ომის დაწყებას. მათ ომის დაწყების თარიღი არ იცოდნენ.

სტალინს კი საგარეო და ზვერვამ გერმანიის თავდასხმის ზუსტი თარიღი შეატყობინა. მან უგულებელყო ეს ცნობა, როგორც „მორიგი დეზინფორმაცია", რომელიც უხვად მოდიოდა სხვადასხვა წყაროიდან. რუსეთზე გერმანიის თავდასხმის თემას ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში იმდენად ფართოდ აშუქებდნენ, რომ ინფორმაცია არადამაჯერებელი ხდებოდა.

სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ჰიტლერი ვერ გაბედავდა აღმოსავლეთის ფრონტის გახსნას, როდესაც მას დასავლეთის ფრონტიც ჰქონდა. ცნობილი იყო *კანცლერ ბისმარკის კრედო, რომ გერმანიამ არასოდეს არ უნდა იომოს ორ ფრონტ ზე.* პირველმა მსოფლიო ომმა აჩვენა, რომ ბისმარკის

ამ შეგონების უგულებელყოფა გერმანიას ძალიან ძვირად დაუჯდა. კრემლის ბელადი ალბათ ფიქრობდა, ჰიტლერი არ იყო ისეთი სულელი, რომ ანალოგიური შეცდომა დაეშვა.

გარდა ამისა, სტალინს *სხვა ინფორმაციაც* ჰქონდა.

დასავლეთში გაქცეული ყოფილი საბჭოთა ჯაშუში *ვიქტორ სუვოროვი* (მისი ნამდვილი გვარია *რეზუნი*) თავის წიგნში „ყინულმჭრელი" ღია საბჭოთა წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს დაასაბუთოს, რომ სტალინი 1941 წლის ზაფხულში თავად გეგმავდა გერმანიაზე თავდასხმას. ამ დასაბუთების კარგად გაცნობა გვაძლევს უფლებას *არ მივიჩნიოთ დამაჯერებლად* ნითელი არმიის სავარაუდო თავდასხმის ეს დრო.

ამასთან, სუვოროვს მოტანილი აქვს ბევრი საინტერესო ცნობა, მათ შორის ასეთიც: როდესაც საბჭოთა სამხედრო დაზვერვისათვის ცნობილი გახდა, რომ მოსალოდნელი იყო გერმანიის სამხედრო ოპერაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სტალინმა წითელი არმიის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს („გრუ"-ს) უფროსს გენერალ *გოლიკოვს* კონკრეტული შეკითხვა დაუსვა: *„მზადაა თუ არა გერმანია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ომის საწარმოებლად?"* და რამდენიმე თვეში მიიღო კონკრეტული პასუხი – „არა".

საბჭოთა სამხედრო დაზვერვამ გააანალიზა ევროპაში ცხვრის ხორცის ფასების დინამიკა და აღმოაჩინა, რომ ფასები ბოლო პერიოდში არ შემცირებულა. აქედან დასკვნა – არ მომატებულა ცხვრის დაკვლა, ანუ ვერმახტს არა აქვს ზამთრის ტანსაცმელი რუსეთში ომის საწარმოებლად: ამისათვის მას სულ ცოტა 6 მილიონი ცხვრის ტყაპუჭი და ყურებიანი ქუდი ესაჭიროებოდა. გულმოდგინე ანალიზმა აჩვენა, რომ გერმანიას არ ჰქონდა ზამთრისთვის შესაფერისი ზეთები და საწვავი, ჩვეულებრივი ზეთები კი მის ტანკებსა და მანქანებს რუსეთის ტრამალებში სასიკვდილო გაჩერებას უქადდა, ხოლო ცეცხლსასროლ იარაღს შიგ ჩაყინული ზეთით უსარგებლო ტვირთად აქცევდა.

ამრიგად, *გერმანია არ იყო მომზადებული* საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ომის საწარმოებლად. სტალინს სავსებით ლოგიკურად შეეძლო გაეთვალა, რომ ასეთ პირობებში ჰიტლერი ვერ გაბედავდა თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, თვითონ კი მოასწრებდა მომზადებას (1942 წლისათვის? ამაზე არქივები ჯერჯერობით სდუმან) და ომის დაწყებას მტრის ტერიტორიაზე. ნაციზმზე გამარჯვებას სტალინს არავინ ჩაუთვლიდა აგრესიად!

აი, ეს არის ახსნა ზემოხსენებული სიტყვებისა *„დაგვიანებული"* და *„მოუმზადებელი"!*

გერმანიამ დაასწრო საბჭოთა კავშირს. 1941 წლის 22 ივნისს მან საომარი მოქმედება დაიწყო და ომის პირველ თვეებში დიდ სტრატეგიულ უპირატესობასაც მიაღწია.

დაიწყო *საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი*, როგორც მას კრემლში უწოდეს.

ისტორიის საბჭოთა სასკოლო სახელმძღვანელოებში მხოლოდ *სამამულო ომზე* იყო ლაპარაკი და საბჭოთა ადამიანების თაობებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მეორე მსოფლიო ომი 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო. მანამდე კი ჰიტლერი, ალბათ, ევროპაში ტანკით ტურისტული მიზნით დასეირნობდა! XXI საუკუნის დასაწყისის სოციოლოგიური გამოკვლევები მოწმობს, რომ რუსების სამმა მეოთხედმა არ იცის, თუ რა მოხდა 1939 წლის 1 სექტემბერს. ვშიშობ, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც, თითქმის ასეთსავე შედეგს მივიღებდით.

გენერალ გოლიკოვის პასუხი სტალინის შეკითხვაზე კი სწორი აღმოჩნდა. 1941 წლის ბოლოს რუსეთისთვისაც უჩვეულოდ ძლიერი ყინვა ძალიან ადრე დაიჭირა და დიდხანს გასტანა. შუა ევროპის რბილ კლიმატზე გათვლილ თხელ ფარაჯებში გამოწყობილი გერმანიის არმია არ აღმოჩნდა მზად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ომის საწარმოებლად: უკვე ნოემბერ-დეკემბერში გერმანული არმია მოსკოვის მისადგომებთან ჩაიყინა. ამ დროს კი ციმბირიდან ახალ-ახალი საბჭოთა დივიზიები მოდიოდნენ.

ომისშემდგომ მოგონებებში სატანკო ბრძოლის სტრატეგი, ვერმახტის გენერალი *ჰაინც-ვილჰელმ გუდერიანი* წერდა:

> „მხოლოდ მას, ვისაც უნახავს იმ [1941] წლის რუსეთის თოვლიანი უსასრულო სივრცეები და ჩვენი უმძიმესი მდგომარეობა, ვისაც საკუთარ თავზე უგრძვნია გამყინავი ქარბუქი, რომელიც ყველა გზას ნამქერით ფარავდა; ვისაც საათობით უვლია 'არავისი მინის' სივრცეებზე, რომ ბოლოს და ბოლოს მიეგნო საცოდავი სადგომისათვის, რომელსაც თავს აფარებდნენ ცუდად ჩაცმული, მშიერი [გერმანელი] ჯარისკაცები; ვისაც შეეძლო ისინი შეედარებინა კარგად ნაკვები, თბილად ჩაცმული, მაგარი ციმბირელებისათვის, რომლებიც მთლიანად იყვნენ აღჭურვილები ზამთრის პირობებში ომის საწარმოებლად... მხოლოდ მას შეუძლია იმსჯელოს იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც შემდეგ მოხდა“.

ეს ციტატა იმიტომ არ მოვიყვანე, რომ აგრესორები (ნაცისტები კი ერთმნიშვნელოვნად აგრესორები იყვნენ) ვინმეს შევაცოდო. პირიქით, საბჭოთა ჯარისკაცები ბევრად უარესად იყვნენ ნაკვებები, ჩაცმულები და შეიარაღებულები, ვიდრე გერმანელები. უბრალოდ, გუდერიანი ხატოვნად აღწერს გეოგრაფიული ფაქტორის გავლენას გერმანული არმიის მდგომარეობაზე.

ვერმახტი მართლაც ჩაიყინა მოსკოვის მისადგომებთან. შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის საფრთხის მოხსნის წყალობით გამოთავისუფლებულმა საბჭოთა დივიზიებმა გერმანული ჯარები გაანადგურეს. 1941 წლის 5 დეკემბერს გენერალმა (მომავალმა მარშალმა) ჟუკოვმა კონტრშეტევა დაიწყო და 1942 წლის იანვარში მოსკოვის ბრძოლა მოიგო.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ადრეული, 1941 წლის ნოემბერში დაწყებული ყინვა სტალინს წინდაწინ გაეთვალა. ზამთარში რომ რუსეთში სიცივე იქნებოდა, ამას არც სჭირდებოდა „გენიალური გათვლა“. 1812 წელს რუსეთში

წარუმატებელი კამპანიის შემდეგ ნაპოლეონი თავის მთავარ მოწინააღმდეგედ აცხადებდა „გენერალ თებერვალს" (Le Général Février).

სტალინს ნამდვილად ერჩივნა, წითელ არმიას პოლონეთისა და საკუთრივ გერმანიის ტერიტორიაზე ებრძოლა. მაგრამ ფაქტია, გენერალი გოლიკოვი არ დახვრიტეს „ყალბი ცნობისათვის": პირიქით, ომი მან მარშლის წოდებით დაასრულა.

1942 წლის დამდეგს მოსკოვის მისადგომებთან ჰიტლერულმა გერმანიამ მსოფლიო ომის განმავლობაში პირველი მძიმე მარცხი განიცადა.

სხვათა შორის, 1941 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, როდესაც გუდერიანის ტანკები მოსკოვის მისადგომებთან მიიჭრნენ, დედაქალაქში პანიკა ატყდა. საბჭოთა მთავრობის დიდი ნაწილი ქალაქ კუიბიშევში (დღევანდელ სამარაში) გადაბარგდა. სტალინი კი მოსკოვში დარჩა: მისი სამართავი შტაბი ჯერ მოაწყვეს მოსკოვის მეტროს სადგურ „კიროვსკაიაში" (ამჟამად – „ჩისტიე პრუდი"), მერე კი ბეტონირებული ბუნკერი კრემლში აუშენეს. ეს მისი სიმამაცის ხალხური იმიჯის მუდმივი თანამგზავრია.

შოთა ნიშნიანიძეს ამაზე უწერია:

„არ გამოსულა იგი კრემლიდან
და არც გამოდის ხალხის გულიდან".

ისე, არც ადოლფ ჰიტლერი გამოსულა რაიხსკანცელარიის ბუნკერიდან 1945 წლის აპრილში. იქვე მოიკლა თავი!

საქმე ისაა, რომ არც ერთ დიქტატორს ასეთ კრიტიკულ მომენტში წასასვლელი არსად აქვს ხოლმე. ბელადის/ფიურერის დედაქალაქიდან გაქცევას და მის თვითმკვლელობას ზუსტად ერთი ფასი აქვს. სტალინის მოსკოვიდან წასვლას დედაქალაქის დაცემა და, შესაძლოა, თავის წაგებაც მოჰყოლოდა.

გერმანიის დამარცხების მიზეზები

მოსკოვის ბრძოლამდე გერმანული სამხედრო მანქანა პრაქტიკულად უშეცდომოდ მოქმედებდა. წითელი არმია უკან იხევდა, მისი საბრძოლო ტექნიკა განადგურებული იყო, საბჭოთა ტყვეების რაოდენობა მილიონებს ითვლიდა.

1941 წლის ბოლოსათვის ჰიტლერს თითქმის მთელი ევროპა ფეხქვეშ ჰქონდა გათელილი. ანექსირებული იყო *ავსტრია, ჩეხეთი* და *პოლონეთი*, დაპყრობილი – *ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, იუგოსლავია, საბერძნეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, ბელორუსია, ჩრდილოეთ საფრანგეთი* (მის სამხრეთ ნაწილში, კურორტ *ვიში*-ში განთავსებული მთავრობა საფრანგეთის ყოფილი გმირის, ახლა კი მოღალატედ შერაცხული მარშალ

ანრი პეტენის მეთაურობით, გერმანიასთან თანამშრომლობდა). გერმანიის მოკავშირეები იყვნენ *იტალია, უნგრეთი, რუმინეთი, ფინეთი, ბულგარეთი,* აგრეთვე *სლოვაკეთი* და *ხორვატია*. 1941 წელს „ღერძის" მხარეს გამოვიდა *ერაყი*, მაგრამ ბრიტანულმა საექსპედიციო კორპუსმა ის მალე მოიყვანა გონს!

ევროპაში ნეიტრალური რჩებოდა რამდენიმე ქვეყანა. მათი ნეიტრალიტეტის დარღვევა ჰიტლერს არ სჭირდებოდა: *შვედეთიდან* გერმანია უპრობლემოდ ღებულობდა მაღალხარისხოვან რკინის მადანს; *შვეიცარიის* ბანკებს ფინანსური რესურსების მოძრაობისათვის იყენებდა; *ეირე* (ირლანდია) და *პორტუგალია* შორს იყვნენ, თანაც უკანასკნელის მთავრობა პროგერმანულად იყო განწყობილი და ეს ქვეყანა საიდუმლო მოლაპარაკებისა და ჯაშუშების თავშეყრის ადგილად გამოიყენებოდა; *ესპანეთმა* ვერმახტის დასახმარებლად აღმოსავლეთის ფრონტზე მოხალისეთა დივიზია გაგზავნა. *თურქეთიც* ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, რომ დროულად დაეჭირა მხარი მომავალი გამარჯვებულისათვის.

ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც თავიდან ბოლომდე იბრძოლა ნაციზმის წინააღმდეგ, იყო დიდი ბრიტანეთი, რომელსაც 1940 წლის 10 მაისიდან ომში გამარჯვებამდე სათავეში ედგა პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი. გერმანიამ ის ვერ დაამარცხა.

რუსეთთან სახმელეთო ომის გარდა, გერმანიას უხდებოდა დიდ ბრიტანეთთან საჰაერო და საზღვაო ომის გაგრძელება. 1941 წლიდან ის ჩრდილოეთ აფრიკაშიც შეება ბრიტანულ სამხედრო ნაწილებს, რადგან ამ უკანასკნელთა მიერ უკუგდებულ იქნა იტალიელთა შეტევა ეგვიპტეზე. სხვათა შორის, ერთერთი ყველაზე საგრძნობი დამარცხება გერმანულ-იტალიურმა ჯარებმა სწორედ ჩრდილოეთ აფრიკაში განიცადეს – *ელ-ალამეინთან*, 1942 წელს. 1943 წლიდან გერმანია ჩაება ბრძოლებში კუნძულ სიცილიაზე და შემდეგ კონტინენტურ იტალიაში გადმომსხდარ ამერიკულ და ბრიტანულ ნაწილებთან. იტალია მოკავშირეების მხარეს გადავიდა. 1944 წლის 6 ივნისს ოპერაცია „ოვერლორდის" შედეგად ჩრდილოეთ საფრანგეთის პროვინციაში, *ნორმანდიაში*, დესანტირება მოახდინა ამერიკულ-ბრიტანულ-კანადურმა უზარმაზარმა არმიამ, რომელმაც მიიზიდა გერმანიის ავიაციის, ტანკებისა და ცოცხალი ძალის საგრძნობი ნაწილი. ვერმახტის ოპერაციების ასეთმა გაფანტვამ მკვეთრად გაზარდა საბჭოთა არმიის შეტევითი შესაძლებლობა.

1941 წლის ბოლოსკენ, მოსკოვის მისადგომებიდან უკანდახევისას, გერმანელი გენერლების გონიერი ნაწილი მიხვდა, რომ ომს მათი ქვეყანა ვეღარ მოიგებდა. მაგრამ ავანტიურა უკვე წამოწყებული იყო, ჰიტლერის დარწმუნება კი – შეუძლებელი.

არსებობს ცნობები, რომ გერმანელი ოფიცრები დიდი ხნის განმავლობაში, ჯერ კიდევ 1938 წლიდან, სხვადასხვა, საბოლოოდ არშემდგარი, შეთქმულების

გზით ჰიტლერის თავიდან მოცილებას ცდილობდნენ. 1944 წლის 20 ივლისს შტაბში აფეთქებას ფიურერი შემთხვევით გადაურჩა. საპასუხოდ ჩამოახრჩეს ხუთი ათასამდე ადამიანი, მათ შორის ფელდმარშალი *ფონ ვიცლებენი* და ომამდელი ელჩი მოსკოვში *შულენბურგი*, შეთქმულების ორგანიზატორი გრაფი *შტაუფენბერგი*; თავი მოიკლა ორმა ფელდმარშალმა, *ფონ კლიუგემ* და *რომმელმა*. ჰიტლერს კი ისევ მანიაკალურად მიჰყავდა გერმანია კატასტროფისაკენ.

ბოლო დროს რუსმა გენერალმა კულიკოვმა გამოქვეყნა ინფორმაცია, რომ საბჭოთა დაზვერვას თურმე შეუმუშავებია ჰიტლერის ლიკვიდაციის გეგმა, რომლის განხორციელება აკრძალა სტალინმა. მან სწორად გათვალა, რომ ჰიტლერის ადგილზე გერმანიის სათავეში მოსული ძალები რაციონალურად იმოქმედებდნენ, სასწრაფოდ დადებდნენ სეპარატულ ზავს დასავლეთის ქვეყნებთან (ან თუნდაც შეწყვეტდნენ ბრძოლას დასავლეთის ფრონტზე) და გერმანია მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოლებდა.

ისტორიაში ხდება ხოლმე, რომ ომში ჩაბმული ქვეყნის ლიდერს ურჩევნია მეტოქე ქვეყნის ხელმძღვანელობაში დარჩეს თუნდაც მის მიმართ ზიზღითა და მტრობით აღსავსე, მაგრამ უგუნური ადამიანი. *realpolitic*-ის[28] პოზიციიდან სულელი („ჯიუტი", „პრინციპული" და „მეტისმეტად თავმოყვარე") მტერი უმჯობესია ჭკვიან (იგულისხმება „მოქნილი", „უპრინციპო", „არათავმოყვარე") მტერზე!

საშინელი სისხლისღვრა და ნგრევა აღმოჩნდა საჭირო, მათ შორის გერმანიის ტერიტორიაზეც, რომ ჰიტლერი მიმხვდარიყო დამარცხების გარდაუვალობას და უკანასკნელ მომენტში, 1945 წლის 30 აპრილს, როდესაც საბჭოთა ჯარისკაცები მის ბუნკერს რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ, თავი მოეკლა.

1945 წლის 7 მაისს დასავლეთელი მოკავშირეების წინაშე და განმეორებით, საბჭოთა გენერლების თანდასწრებით – 8 მაისს, ნაცისტურმა გერმანიამ ხელი მოაწერა სრულ და უპირობო კაპიტულაციას.

ნაციზმი დაამარცხეს მსოფლიოს გაერთიანებულმა ერებმა (სახელმწიფოებმა). მათ ამ სამართლიანი საქმისათვის დიდი მსხვერპლი გაიღეს.

საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია დღემდე მიიჩნევს, რომ მისი როლი ნაციზმის დამარცხებაში გადამწყვეტი იყო. განა წითელმა არმიამ არ აიღო ბერლინი? განა საბჭოთა კავშირმა არ გაიღო უდიდესი მსხვერპლი ნაციზმზე გამარჯვებისათვის?

ორივე ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. თუმცა იქვე შეიძლება დაისვას კონტრშეკითხვები: განა არ შეიძლებოდა ომის თავიდან აცილება, ან გამარჯვების მიღწევა ნაკლები მსხვერპლით?

[28] გერმანულად – „რეალური პოლიტიკა". ტერმინი ჩვეულებრივ გამოიყენება პრაგმატული პოლიტიკური სტრატეგიის აღსანიშნავად.

გარდა ამისა, ამ რიტორიკულ კითხვებზე პასუხია ისიც, რომ გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთანავე ბრიტანეთმა და, მალევე, შეერთებულმა შტატებმა დაუვიწყეს სტალინს თითქმის ორწლიანი მჭიდრო თანამშრომლობა ჰიტლერთან და დახმარების ხელი გაუწოდეს მას.

დასავლეთელი მოკავშირეებისათვის მთავარი მტერი ჰიტლერი იყო და, ამდენად, სტალინი მათთვის მოკავშირე გახდა. ომის დროს ისინი თვალს ხუჭავდნენ სტალინიზმის ექსცესებზე, სტალინში კი მხოლოდ იმ ძლიერ თვისებებს ხედავდნენ, რაც მას საშუალებას აძლევდა რკინის ხელით ემართა გიგანტური ქვეყანა და წითელი არმია.

შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: უკიდურესი ბოროტება – ნაციზმი – დასავლეთის დემოკრატიებს უნდა დაემარცხებინათ მეორე უკიდურეს ბოროტებასთან – კომუნისტურ ტოტალიტარულ რეჟიმთან – თანამშრომლობით.

უძლიერესი გერმანული სამხედრო მანქანის დამარცხება შესაძლებელი გახადა მსოფლიოს სამი უდიდესი ქვეყნის – საბჭოთა კავშირის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის (ამ უკანასკნელის უკან მისი უზარმაზარი კოლონიური იმპერია იდგა) – პრაგმატულმა მოკავშირეობამ. ცალ-ცალკე ისინი ჰიტლერს ვერ დაამარცხებდნენ.

ამავე დროს, გერმანია, იტალია და იაპონია შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. 1936 წელს ხელმოწერილ გერმანია-იტალიის სამხედრო კავშირს („ბერლინ-რომის ღერძს") 1940 წლის 27 სექტემბერს ტოკიოც შეუერთდა. თუმცა ხელშეკრულების თანახმად „ღერძის სახელმწიფოები" კისრულობდნენ ურთიერთდახმარებას მათზე მესამე ქვეყნის (იგულისხმებოდა აშშ) თავდასხმის შემთხვევაში, რეალურად ეს იყო აგრესორების საკმაოდ თავისუფალი გაერთიანება, რომელთაგან თითოეულს თავისთვის მსოფლიოს მოზრდილი ნაჭერი ჰქონდა მოზომილი. თავიანთ სამხედრო გეგმებს „ღერძის სახელმწიფოები" ერთმანეთთან არ ათანხმებდნენ, მაგალითად, გერმანიასთან შეუთანხმებლად დაესხა თავს იტალია საბერძნეთს, ხოლო იაპონია – ამერიკას. მით უმეტეს, არ ათანხმებდა დანარჩენ ორ მოკავშირესთან თავის გეგმებს გერმანია, რომელმაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ თავის თანამზრახველებს (მათ „მოკავშირეებს" ვერ დავარქმევთ) 1941 წლის 22 ივნისს ამცნო, ომის დაწყების შემდეგ. ასეთი ქცევა სამივესათვის დამღუპველი აღმოჩნდა.

იაპონიასთან სოლიდარობის სადემონსტრაციოდ ჰიტლერმა გამოუცხადა ომი ამერიკას 1941 წლის 11 დეკემბერს, როგორც კი იაპონია თავს დაესხა ამ ქვეყანას, თუმცა ეს „ღერძის" გაცხადებულ მიზანს ეწინააღმდეგებოდა – იაპონია არ გამხდარა მესამე ქვეყნის თავდასხმის მსხვერპლი. ჰიტლერს უნდოდა ბრიტანეთის მოკავშირე როგორმე დაეზარალებინა. მაგრამ ამ ნაბიჯმა ყველაზე მეტად აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტის სასარგებლოდ იმუშავა:

ამერიკის მოქალაქეებს ნაციზმის წინააღმდეგ სრული ძალით სამოქმედოდ მეტი სტიმული მიეცათ.

1942 წელს იაპონია დიდი ბრიტანეთის კოლონიებშიც შეიჭრა.

აშშ და დიდი ბრიტანეთი ერთდროულად სამივე აგრესორს ებრძოდნენ – გერმანიას, იაპონიასა და იტალიას.

საბჭოთა კავშირს კი, მართალია, უძლიერესი, მაგრამ მხოლოდ ერთი მტერი ჰყავდა – ნაცისტური გერმანია. ამ უკანასკნელის მხარეს რუმინული, უნგრული, იტალიური, ფინური, ესპანური, სლოვაკური დივიზიებიც იბრძოდნენ, მაგრამ მათი როლი ვერმახტთან შედარებით უმნიშვნელო იყო.

უშუალოდ *რუსეთში გერმანიის დამარცხება განაპირობა* სამმა ადგილობრივმა ფაქტორმა: *გეოგრაფიამ* – უზარმაზარმა სივრცემ და ცივმა კლიმატმა, *დემოგრაფიამ* – დიდმა ადამიანურმა რესურსმა და *პოლიტიკურმა სისტემამ* – მმართველი პარტიისა და მისი ფარული პოლიციის მიერ ქვეყანაში დამყარებულმა უმკაცრესმა რეჟიმმა.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური რეჟიმის სისასტიკის გამო უამრავი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის უმეტესობა – ეროვნებით რუსი, ომის პირველ თვეებში გერმანიის მხარეს გადავიდა. ყოფილმა საბჭოთა გენერალმა *ანდრეი ვლასოვმა* საბჭოთა ტყვეებისაგან მილიონიანი „რუსული გამათავისუფლებელი არმია“ (POA) შექმნა.

ომის დროს „ღალატისა და სულმოკლეობის“ ბრალდებით საბჭოთა სპეცსამსახურებმა დახვრიტეს 945 ათასი საბჭოთა ოფიცერი და ჯარისკაცი. ესეც იყო მიზეზი, რომ ვლასოვის არმია ივსებოდა იმ ხალხით, ვისაც შინ დაბრუნებისა ეშინოდა.

საკუთარი მთავრობის შიშით ან სიძულვილით მოღალატედ ქცეული ამდენი ადამიანი არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰყოლია. პირველი მსოფლიო ომის დროს რუსი თუ გერმანელი, ფრანგი თუ ოსმალო ჯარისკაცების მტრის მხარეს მასობრივ გადასვლას ხომ საერთოდ არ ჰქონია ადგილი.

საბჭოთა რეჟიმმა კიდევ უფრო მოუჭირა რეპრესიულ მარწუხებს და უმძიმეს ომს გაუძლო. ომის შემდეგ კი უმკაცრესად დაისაჯა მტრის მხარეს გადასული ყველა სამხედრო მოსამსახურე. *საბჭოთა ჩეკისტებს დიდი სამსახური გაუწია ბრიტანული არმიის ხელმძღვანელობამ,* რომელმაც დასავლეთის დემოკრატიის იმედით ბრიტანელებს ტყვედ ჩაბარებული ასეულ ათასობით POA-ს მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი საბჭოთა სპეცსამსახურებს გადასცა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ამ ადამიანების უმრავლესობას წამება და სიკვდილი არ ასცდებოდა.

საბჭოთა კავშირის წარმატება განაპირობა მოკავშირეთა სერიოზულმა მატერიალურმა და ფინანსურმა დახმარებამაც.

ომისშემდგომი საბჭოთა ისტორიოგრაფია ხელოვნურად აკნინებდა იმ

ფაქტს, რომ 1942-1945 წლებში *საბჭოთა კავშირმა მიიღო უზარმაზარი დახმარება ამერიკის „ლენდ-ლიზის“ პროგრამით* (ანუ, პრაქტიკულად, უფასოდ) – სამხედრო საჭურველი, სატრანსპორტო საშუალებები, სურსათი, ტანსაცმელი, რომლის საერთო ღირებულებაც აღემატებოდა 48 მილიარდ აშშ დოლარს იმდროინდელი კურსით, რომელიც დღევანდელს რამდენჯერმე აჭარბებდა.

უკვე 1941 წლის 28 ოქტომბერს ამერიკის, რომელიც ჯერ არ იყო ომში ჩაბმული, პრეზიდენტმა გამოსცა დირექტივა „ლენდ-ლიზის კანონის“ საბჭოთა კავშირზე გავრცელების შესახებ. აშშ-დან, აგრეთვე დიდი ბრიტანეთიდან და ამ უკანასკნელის დომინიონებიდან და კოლონიებიდან შემოვიდა და წითელ არმიას მოხმარდა ისეთი სტრატეგიული პროდუქცია, როგორიცაა სპეციალური ფოლადი – ტანკებისათვის, ალუმინი – თვითმფრინავებისათვის, სპილენძი – ელექტროძრავებისათვის, კალა, ნიკელი, კაუჩუკი, ტყვია-წამალი, ყუმბარები, სამხედრო ხომალდები, მაგისტრალური ორთქლმავლები და ვაგონები, სარკინიგზო რელსები, რადიომოწყობილობა, რადარები, სატელეფონო კაბელი, ჩარხები, საავიაციო და საავტომობილო საწვავი, დიდი ზომის საბურავები და სხვ.

საბჭოთა კავშირმა მოკავშირეებისაგან მიიღო მთელი თავისი საზენიტო არტილერია, 22 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 13 ათასამდე ტანკი, 31 ათასი ყველგანმავალი „ჯიპი“, 32 ათასი სამხედრო მოტოციკლი და 400 ათასზე მეტი სატვირთო მანქანა, მათ შორის „სტუდებეკერის“ (Studebaker US6) მარკის მძლავრი ავტომანქანები, რომლებსაც არტილერიის გადასაზიდადაც იყენებდნენ.

შედარებისათვის, საბჭოთა მრეწველობამ ომის პერიოდში გამოუშვა 266 ათასი სატვირთო ავტომანქანა და 28 ათასი მოტოციკლი, თანაც საკმაოდ მდარე ხარისხისა. ჯიპებს საბჭოთა მრეწველობა არც აწარმოებდა. *მხოლოდ ამერიკულ მანქანებზე, უპირველესად „სტუდებეკერებზე“ მონტაჟდებოდა ზალპური ცეცხლის მოძრავი დანადგარი* БМ-*13, ხალხში ცნობილი, როგორც „კატიუშა“*. საბჭოთა სატვირთო ავტომანქანები დანადგარის პირველიევე ზალპის შემდეგ ნაწილებად იშლებოდა: ამ ფაქტს თავის მოგონებებში ადასტურებს ომის მონაწილე, აკადემიკოსი *გეორგი არბატოვი*.

„ლენდ-ლიზით" მიწოდებული ზოგი სახის ტექნიკა და ნედლეული საბჭოთა კავშირში ომის დროს წარმოებული ანალოგიური პროდუქციის მოცულობას თითქმის უტოლდებოდა ან სჭარბობდა კიდეც. მაგალითად, მოკავშირეების მიერ მიწოდებული იქნა ომის დროს მოხმარებული საავიაციო საწვავის ორი მესამედი: ეს დახმარება რომ არ მიეღო, საბჭოთა ავიაცია *სამჯერ ნაკლებ* გაფრენას მოახდენდა.

ამერიკულმა და ბრიტანულმა სასურსათო დახმარებამ და მედიკამენტებმა (მათ შორის ანტიბიოტიკმა *პენიცილინმა*) გადაარჩინა შიმშილითა და ავადმყოფობით სიკვდილს მილიონობით სამოქალაქო პირი, რომ არაფერი ვთქვათ ჯარისკაცების კვებასა და დაჭრილთა მკურნალობაზე.

ჩემს ოჯახში, რომელიც ომის დროს თბილისში, ლენინის (ამჟამინდელი კოსტავას) ქუჩის ახლოს ცხოვრობდა, ძალიან კარგად ახსოვდათ 1942 წლიდან 1945 წლამდე ამ ქუჩაზე მიმავალი „სტუდებეკერების", „ფორდების", „დოჯების", „ვილისების" გაუთავებელი გრუხუნი. მანქანები სამხრეთ ირანის ნავსადგურებიდან ტრანსირანული რკინიგზის გამოყენებით, კასპიის ზღვით, ან აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ჩრდილოეთით მიდიოდა. მათზე დატვირთული საჭურველი, ნედლეული, სურსათი სხვადასხვა ფრონტებსა და სამხედრო ქარხნებში ნაწილდებოდა. თანაც ეს „ლენდ-ლიზის" მხოლოდ მცირე ნაწილი იყო: ირანის გზით შემოვიდა მისი მეოთხედი, 8 მილიონი ტონა ტვირთი. თბილისზე მეორეხარისხოვანი სატრანზიტო გზა გადიოდა. „ლენდ-ლიზის" ტვირთის მოწოდების მთავარი პუნქტები შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ რუსეთის ნავსადგურები მურმანსკი, არხანგელსკი, ვლადივოსტოკი იყო.

სხვათა შორის, „ლენდ-ლიზის" წესის თანახმად, გადარჩენილი სამხედრო და სამოქალაქო ტექნიკა თუ სხვა მასალები ომის შემდეგ უკან უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ კრემლმა მოკავშირეებს განუცხადა, რომ ომის დროს ყველაფერი დაილეწა!

საბჭოთა პროპაგანდამ იზრუნა დაერწმუნებინა საბჭოთა მოქალაქეები, რომ მოკავშირეების დახმარება უმნიშვნელო იყო, მათ მიერ მოწოდებული სამხედრო ტექნიკა კი – დაბალხარისხოვანი. 1946 წლიდან ხომ „ცივი ომი" დაიწყო.

ნაცისტური გერმანიის დამარცხებაში ყველაზე დიდი წვლილი საკუთარ რასისტულ, ქსენოფობიურ იდეოლოგიას მიუძღვის. ნაცისტები სლავებს „არასრულფასოვან ადამიანებად" აცხადებდნენ, საშინლად იქცეოდნენ დაპყრობილ ქვეყნებში და ამიტომაც პარტიზანულ მოძრაობასთან უხდებოდათ ბრძოლა. განსაკუთრებით მძლავრი იყო ეს მოძრაობა პოლონეთში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე. ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში ყველა ერის წარმომადგენელი შეიძლებოდა მოხვედრილიყო: იქიდან ცოცხლად გამოსვლის შანსი ძალზე მცირე იყო. ნაცისტურ ზესაიდუმლო სანარმოებში სამხედრო ტყვეებსა და დაპყრობილი ქვეყნებიდან იძულებით წამოყვანილ მუშახელს (1944 წელს მათი რაოდენობა 7 მილიონს აღწევდა) მონებივით ეპყრობოდნენ.

მე შეგნებულად ვწერ – „ნაცისტები", რადგან პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელები ასე არ იქცეოდნენ. არსებობს ინფორმაცია, რომ 1941 წელს, როდესაც ვერმახტი კიევს უახლოვდებოდა, მისი ებრაული მოსახლეობის ნაწილი არ ჩქარობდა ევაკუაციას, რადგან ახსოვდა, რომ 1918 წელს კიევში შემოსულმა კაიზერის გერმანულმა არმიამ წესრიგი დაამყარა ბოლშევიკური და ნაციონალისტური ძალმომრეობის შემდეგ და უაღრესად კორექტულად ექცეოდა ებრაელებს. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის არმიის ქცევა ბევრ დაპყრობილ ტერიტორიაზე არ იწვევდა მძაფრ ანტაგონიზმს.

ებრაელებისათვის სამწუხაროდ, 1941 წელს კიევში შესული გერმანელები, 1918 წელთან შედარებით მკვეთრად შეცვლილები აღმოჩნდნენ: *ესენი ნაცისტები იყვნენ.* მათ ორგანიზებულად გაიყვანეს ქალაქიდან ებრაული მოსახლეობა და ახლომდებარე *ბაბი იარის* ხევში, სხვადასხვა შეფასებით, 70 ათასიდან 200 ათასამდე ადამიანი გაჟლიტეს.

გერმანიისათვის უდიდესი შეცდომა და მისი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ჰიტლერის აკვიატებული აზრი, ანტისემიტიზმი, აღმოჩნდა. საერთოდ, გერმანიაში ანტისემიტიზმი ნაცისტებმა დანერგეს, მაშინ როცა მანამდე, ცენტრალური და აღმოსაველეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, გერმანიისათვის ის ნაკლებად იყო დამახასიათებელი. ***ებრაელებს კი ამერიკასა და რუსეთში დიდი გავლენა ჰქონდათ, განსაკუთრებით ეკონომიკაში, მასმედიაში, მეცნიერებაში.*** ეს ყველაფერი გერმანიის წინააღმდეგ ამუშავდა. გერმანიას რომ თავისი ებრაელების ნიჭი, უნარი და ეკონომიკური შესაძლებლობა გამოეყენებინა, ალბათ შეძლებდა და უომრადაც დაძლევდა „ვერსალის სინდრომს“.

მთელი ეთნოსის, ევროპელი ებრაელების, განადგურების მცდელობა, *ჰოლოკოსტი*, რომელსაც რამდენიმე მილიონი სრულებით უდანაშაულო სამოქალაქო პირი შეეწირა, მათ შორის ქალები და ბავშვები, ეკლიანი მავთულხლართებით შემოზღუდული გეტოები, გაზის კამერებიანი სიკვდილის ქარხნები, რომელთა ფოტოებს ომის შემდეგ ფართოდ ავრცელებდა დასავლეთის პრესა, გერმანიისათვის საშინელი ლაქა აღმოჩნდა.

აქვე უნდა ვახსენოთ *ჰოლოკოსტის* არაპირდაპირი შედეგი დედამიწის სულ სხვა რეგიონში. ევროპელი ებრაელების საშინელმა კატასტროფამ მსოფლიო საზოგადოებრიობას, მათ შორის დასავლეთის დემოკრატიებში, ფაქტობრივად თვალი დაახუჭვინა სხვა უსამართლობის მიმართ, რომელიც ახლო აღმოსავლეთში 1948 წელს მოხდა.

პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს – ისრაელის – შექმნისას განიდევნა და ლტოლვილად იქცა, სხვადასხვა მონაცემით, 550 ათასიდან 750 ათასამდე ადგილობრივი არაბი, რომელთაც ჰოლოკოსტის განხორციელებაში არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ, ხოლო მათი ნასოფლარები და ნასახლარები ებრაულ ქალაქებად და კიბუცებად გადაიქცა.

ამერიკის გამოსვლა იზოლაციონიზმიდან და იაპონიის დამარცხება

იაპონიასთან ომი, რომელში გამარჯვებისთვისაც საბჭოთა კავშირმა დიდების შარავანდედი დაიდგა, რამდენიმე დამატებით სიტყვას იმსახურებს.

საბჭოთა კავშირს აშინებდა ორ ფრონტზე ბრძოლა. ყველაზე საშიში მეორე ფრონტი მას შორეულ აღმოსავლეთში შეიძლებოდა ჰქონოდა. იაპონიამ 1937

წელს წამოიწყო დაპყრობითი ომი ჩინეთის წინააღმდეგ – აიღო პეკინი, შანხაი, ტიანძინი და სხვა ქალაქები. უფრო ადრე მან დაიკავა ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი (ისტორიული სახელი – მანჯურია, ამჟამად – ჰეილუნძიანი) და შექმნა იქ მარიონეტული სახელმწიფო *მანჯოუ-გო* (მოიხსენიება აგრეთვე, როგორც *მანჩჟუ-კუო*).

იაპონური ფაქტორის გათვალისწინებით, საბჭოთა კავშირს შორეულ აღმოსავლეთში დიდი სამხედრო ძალები ჰყავდა დაბანდებული.

იაპონიასაც აშინებდა ომი რამდენიმე ფრონტზე, განსაკუთრებით – თუკი ერთ-ერთი ფრონტი საბჭოთა კავშირთან ექნებოდა. 1938 წელს *ხასანის ტბასთან*, საბჭოთა კავშირისა და მანჯოუ-გოს საზღვარზე, და 1939 წელს მდინარე *ხალხინ-გოლთან*, მონღოლეთისა და მანჯოუ-გოს საზღვარზე, წითელ არმიასთან მომხდარ ფართომასშტაბიან სასაზღვრო შეტაკებებში იაპონურმა სამხედრო ნაწილებმა მძიმე მარცხი განიცადეს.

1941 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ჩავიდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი *იოსუკე მაცუოკა* და თავისი მთავრობის სახელით შესთავაზა საბჭოთა კავშირს თავდაუსხმელობის პაქტის დადება. სტალინმა ცუდად შეფარული კმაყოფილებით მიიღო იაპონიის მოულოდნელი „დიპლომატიური საჩუქარი". 13 აპრილს ხელშეკრულება დაიდო. თავისი კეთილგანწყობის სადემონსტრაციოდ სტალინმა რკინიგზის სადგურშიც კი გააცილა მაცუოკა, რაც მანამდე არასოდეს გაუკეთებია, თუმცა საკუთარი გამოცდილებით მშვენივრად იცოდა, რომ ხელშეკრულების დადება მის შესრულებას სულაც არ ნიშნავს.

სტალინს საოცრად გაუმართლა. საბჭოთა საგარეო დაზვერვამ დროულად აცნობა მას, რომ 1941 წლის შემოდგომაზე იაპონიის მთავრობამ და გენერალურმა შტაბმა საბოლოოდ გადაწყვიტეს წყნარი ოკეანის აუზის დაპყრობა, რაც ნიშნავდა ომს ამერიკასთან და დიდ ბრიტანეთთან და არა – საბჭოთა კავშირთან.

ამან კრემლს საშუალება მისცა წითელი არმიის საზამთროდ ჩაცმული და კარგად შეიარაღებული ათობით დივიზია 1941 წლის გვიან შემოდგომაზე ფარულად გადაესროლა შორეული აღმოსავლეთიდან რუსეთის ევროპულ ნაწილში.

ამრიგად, მოსკოვთან წითელი არმიის გამარჯვებას ირიბად იაპონიამაც შეუწყო ხელი, რომელმაც 1941 წლის 7 დეკემბერს ჰავაის კუნძულის *პერლ-ჰარბორში* მდგომ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტზე მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო ექსპანსია წყნარ ოკეანესა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

არსებობს მოსაზრება, რომ აშშ-ის პრეზიდენტ *ფრანკლინ დელანო რუზველტს* ხელს აძლევდა იაპონელების მხრიდან სერიოზული სამხედრო პროვოკაცია, რათა ამერიკა ომში ჩაბმულიყო, უპირველესად, დიდი ბრიტანეთის დასახმარებლად. მანამდე პრეზიდენტი ვერ აკეთებდა ამას, რადგან ანგარიშს უწევდა ქვეყანაში გაბატონებულ მკვეთრად პაციფისტურად განწყობილ საზოგადოებრივ აზრს.

პერლ-ჰარბორის კატასტროფამ ამერიკელები ააბობოქრა. ამიერიდან საზოგადოებრივი აზრი ქვეყნისათვის სირცხვილის მოწმენდასა და რევანშს მოითხოვდა!

მსოფლიოს უახლესი ისტორიისათვის 1941 წლის 7 დეკემბერი უაღრესად მნიშვნელოვანი თარიღია: ამ დღეს ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდა ტრადიციული იზოლაციონიზმიდან. ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყანა მსოფლიო პოლიტიკაში ჩაერთო. ამან მკვეთრად შეცვალა პოლიტიკური გეომეტრია დედამიწაზე.

I მსოფლიო ომში ამერიკელთა მონაწილეობა, გარკვეულწილად, ისტორიული ეპიზოდი იყო: ომის დამთავრებისთანავე ისინი შინ დაბრუნდნენ. ვაშინგტონმა არ ისურვა მსოფლიო პროცესებში სერიოზული მონაწილეობა. ვუდრო უილსონის მომდევნო პრეზიდენტებმა და კონგრესმა მიიჩნიეს, რომ მათი ქვეყნის ინტერესების სფერო კლავაც არ უნდა გასცილებოდა „ახალ სამყაროს“– ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას. არ არის გამორიცხული, რომ ამერიკის ინდიფერენტიზმმაც შეუწყო ხელი სხვადასხვა ჯურის არადემოკრატიული, ტოტალიტარული და მილიტარისტული რეჟიმების აყვავებასა და გაფურჩქვნას 1920-30-იან წლებში.

პერლ-ჰარბორში ამერიკის ფლოტის საგრძნობი ნაწილის განადგურებამ წყნარი ოკეანის ბატონ-პატრონად იაპონია აქცია, მაგრამ – სულ ნახევარი წლით.

1942 წელს იაპონელების ხელში იყო ფილიპინები, საფრანგეთის კოლონიები ინდოჩინეთში, ბრიტანეთის კოლონიები – მალაია, სინგაპური და ბირმა (მიანმა), ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთი (ინდონეზია) და წყნარი ოკეანის მრავალი კუნძული.

იაპონიის არმიის ბირმისკენ გატარებითა და ტოკიოსათვის მოკავშირეობის შეთავაზებით ტაილანდმა თავიდან აიცილა იაპონური სამხედრო ოკუპაცია. ვაშინგტონში ტაილანდის ელჩმა კი გადაარჩინა თავისი ქვეყანა იმით, რომ სეიფში შეინახა და სახელმწიფო დეპარტამენტს არ გადასცა ნოტა ტაილანდის მიერ აშშ-სათვის ომის გამოცხადების შესახებ. ფორმალურად ტაილანდი ამერიკის წინააღმდეგ ომში არ ჩაბმულა. იაპონიის დამარცხების შემდეგ ეს მას დაუფასდა.

1942 წლის პირველ ნახევარში იაპონიის მხედრიონი დიდ გამარჯვებებს ზეიმობდა. საბოლოო გამარჯვების შემთხვევაში ტოკიოს მიზნად, ალბათ, ავსტრალიის მეჩხრად დასახლებული კონტინენტის დაპყრობა იქცეოდა. ციმბირი მოიცდიდა!

მაგრამ იაპონიის გენერალიტეტმა ზედმეტად ირწმუნა საკუთარი არმიის ძალა, და სათანადოდ ვერ შეაფასა ამერიკის სამხედრო-ეკონომიკური სიძლიერე და განსაცდელის ჟამს ამერიკელების უდიდესი საბრძოლო სულისკვეთება. სულ ექვს თვეში ამერიკამ, რომელმაც, პერლ-ჰარბორის კატასტროფის მიუხედავად,

ავიამზიდები შეინარჩუნა, სრულად აღიდგინა თავისი სამხედრო-საზღვაო პოტენციალი, წყნარ ოკეანეში ისევ გაბატონდა და 1942-1945 წლებში თანდათან განდევნა იაპონია ყველა დაპყრობილი ტერიტორიიდან. 1945 წლიდან იაპონელები მხოლოდ საკუთარი კუნძულების დაცვას ლამობდნენ.

ტოკიო და სხვა დიდი ქალაქები შეუბრალებლად იბომბებოდა. იაპონელების გასაკვირად, ამერიკელები არ ბომბავდნენ რამდენიმე ქალაქს, მათ შორის ჰიროშიმასა და ნაგასაკის... მალე მათ გაიგეს ამ „ჰუმანურობის" ფასი.

1945 წლის 6 აგვისტოს B-29 ტიპის ამერიკულმა ბომბდამშენმა, რომელსაც მისმა მეთაურმა *პოლ ტიბეტსმა* დედამისის სახელი Enola Gay დაარქვა (მაშინდელ ამერიკულ ინგლისურში სიტყვა „გეის" მხოლოდ ტრადიციული მნიშვნელობა ჰქონდა და „მხიარულს" ნიშნავდა), 15 კილოტონის ურანიუმის მუხტის მქონე ბომბი ჩამოაგდო ქალაქ *ჰიროშიმას* თავზე და მოსპო 140 ათასამდე ადამიანი, მათ შორის 70 ათასი იქვე დაიწვა. სამი დღის შემდეგ მეორე ამერიკული ატომური ბომბი, ამჯერად 21 კილოტონის პლუტონიუმის მუხტით, დაეცა იაპონიის ქალაქ *ნაგასაკის* და თითქმის ისეთივე საზარელი შედეგი გამოიწვია, როგორიც ჰიროშიმაში.

იქამდე დაუზიანებელი ორი დიდი ქალაქის თითო ბომბით პირწმინდად მოსპობის შემდეგ იაპონიის ხელმძღვანელობამ დაინახა, რომ წინააღმდეგობის გაგრძელება უაზრობად იქცა. 14 აგვისტოს იმპერატორმა *ჰიროჰიტომ* თავის ძალებს წინააღმდეგობის შეწყვეტა უბრძანა და ამით დამატებითი მსხვერპლისაგან იხსნა თავისი ხალხი. სხვათა შორის, ამ დღეს იაპონელმა ხალხმა რადიოთი პირველად მოისმინა ხმა თავისი იმპერატორისა, რომელიც „ღვთის შვილად" ითვლება. დასავლეთის ქვეყნებში 14 აგვისტოს მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ დღედ მიიჩნევენ.

2 სექტემბერს ამერიკულ ავიამზიდ „*მისური*"-ზე იაპონიამ უპირობო კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი.

სტალინმა 1941 წლის „დიპლომატიური საჩუქრის" სანაცვლოდ ტოკიოს სულ სხვანაირი „მადლობა" გადაუხადა. 1945 წლის 4-11 თებერვალს იალტაში ჩატარებულ კონფერენციაზე, სადაც არსებითად გადაწყდა მსოფლიოს მომავალი გადანაწილება, ის დაჰპირდა მოკავშირეებს, რომ გერმანიის დამარცხებიდან სამი თვის შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა.

სამწუხარო რეალობაა, რომ პოლიტიკაში *ვერაგობა* ხშირად უთანაბრდება *პრაგმატიზმს*, რასაც „ეროვნული ინტერესების დაცვის საჭიროებით" ამართლებენ.

1945 წლის აპრილში საბჭოთა კავშირმა იაპონიას განუცხადა, რომ აღარ დაიცავდა 1941 წელს დადებულ თავდაუსხმელობის პაქტს. რეალურად, 1945 წლის აგვისტოში იაპონიასთან ომში საბჭოთა კავშირის ჩართვა მოკავშირეების დახმარებას არ ისახავდა მიზნად – ატომური დაბომბვის შემდეგ იაპონია ფაქ-

ტობრივად დამარცხებული იყო: რუსეთს საკუთარი ტერიტორიული ინტერესების დაკმაყოფილება სურდა.

საბჭოთა კავშირმა იაპონიას ომი *წინასწარ* არ გამოუცხადა, სხვათა შორის, ისევე, როგორც არ გამოუცხადა ომი ფინეთს 1939 წლის თავდასხმის წინ. ამ გარემოებას ხაზს ვუსვამ იმის გამო, რომ საბჭოთა პროპაგანდა (რომლისაც ზოგს ახლაც სჯერა) ყურებს გვიჭედავდა იმის მტკიცებით, რომ გერმანია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, რომელთანაც სამშვიდობო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. იგულისხმებოდა, რომ „ასეთი ვერაგობა *მარტო* ნაცისტებისათვის იყო დამახასიათებელი“!

სინამდვილეში, თავდასხმამდე რამდენიმე წუთით ადრე, დიპლომატიური არხებით გერმანიამ ფორმალურად ამცნო საბჭოთა კავშირს, რომ მის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებას იწყებდა. XX საუკუნის შუაგულიდან ყველა სახელმწიფო ომის მოგებას მოულოდნელობის ფაქტორს უკავშირებს: მტერს საომრად მოსამზადებელი დრო არ უნდა მიეცეს. *ომის წინასწარ გამოცხადების* შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი წესი, რომელიც ნელა მოძრავ არმიებსა და ერთ გადამწყვეტ ბრძოლაზე იყო გათვლილი, შეიცვალა *უკანასკნელ მომენტში* ინფორმაციის მიწოდებით. ასე მოიქცნენ გერმანია – საბჭოთა კავშირთან მიმართებით და საბჭოთა კავშირი – იაპონიასთან მიმართებით.

1945 წლის 9 აგვისტოს, როდესაც ჰიროშიმა და ნაგასაკი უკვე ფერფლად იყო ქცეული, ხოლო მათი მოსახლეობა გამქრალი, საბჭოთა ჯარებმა მოულოდნელად შეუტიეს მანჯურიაში მყოფ *კვანტუნის არმიას*, რომლის საგრძნობ ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობიდან მობილიზებული ჯარისკაცები შეადგენდნენ. 12 აგვისტოს წითელი არმიის ხელთ იყო ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ სახალინი და კურილის კუნძულები.

წითელმა არმიამ კუნძულ ჰოკაიდოზე მოახდინა დესანტირება, მაგრამ მისი ოკუპაციის მცდელობა აღკვეთა ამერიკელმა გენერალმა *დაგლას მაკართურმა*, თორემ რუსის ჯარის გაყვანა საკუთრივე იაპონიიდან შეუძლებელი გახდებოდა! ამის დასტურად შეგვიძლია გავიხსენოთ სტალინის სიტყვები მიმართული ჰიტლერისადმი 1939 წელს, პოლონეთის გაყოფის დროს, რომ „*სამხედროებს ყველა ზე მეტად არ უყვართ დაკავებული ტერიტორიის უკან დაბრუნება*“: სტალინს აეჭვებდა პოლონურ ქალაქ ლვოვში, „მისი გავლენის სფეროში“, ვერმახტის ნაწილების შესვლა. მაშინ გერმანელებმა დაუცალეს ლვოვი წითელ არმიას.

ისტორიის საბჭოთა და რუსულ სახელმძღვანელოებში „*იაპონიის მილიონიანი კვანტუნის არმიის განადგურება*“ უდიდეს გმირობადაა წარმოდგენილი, რომელმაც თითქოს გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იაპონიის დამარცხებაში. სინამდვილეში კი, ჰიროშიმასა და ნაგასაკის შემდეგ მორალურად დაცემული კვანტუნის არმიის 640 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე ორგანიზებულად, დივიზიებად და პოლკებად, ჩაბარდა ტყვედ წითელ არმიას. ათასობით

იაპონელმა ოფიცერმა კი *სამურაის სიკვდილი – ხარაკირის გაკეთება* – არჩია, რათა ტყვეობის სირცხვილი თავიდან აეცილებინა. იაპონიასთან ხანმოკლე ომში 12 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა და დაიჭრა, რაც მსოფლიო ომის მასშტაბით უმნიშვნელო რიცხვად ითვლება.

საბჭოთა კავშირის „პრაგმატული ვერაგობა" შორეულ აღმოსავლეთში ამით არ დამთავრებულა. ცნობილი საბჭოთა დიპლომატის, დიდი ხნის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრის, *ანდრეი გრომიკოსა* და პარტიული ფუნქციონერის *ბორის პონომარიოვის* რედაქციით 1986 წელს მეხუთედ გამოცემული *„საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორია"* იძლევა ორ ფაქტს, რომლებსაც ავტორები ერთმანეთთან არ აკავშირებდნენ იმის ღრმა რწმენით, რომ საბჭოთა მკითხველს ლოგიკური მსჯელობის უნარი ან არ გააჩნდა, ანდა ვერ გაბედავდა ასეთ მსჯელობას.

ზემოხსენებული წიგნის თანახმად, 1945 წლის 14 აგვისტოს, ანუ იაპონიის დამარცხების დღესვე, *საბჭოთა კავშირმა დადო „ხელშეკრულება მეგობრობისა და მოკავშირეობის შესახებ" ჩინეთის მთავრობასთან*. წიგნში არ უთითებენ, რომ ჩინეთის მთავრობას მაშინ ხელმძღვანელობდა პარტია *გომინდანის* ლიდერი *გენერალისიმუსი ჩან კაიში*.

წიგნის მომდევნო გვერდზე კი წერია, რომ წითელი არმიის მიერ განადგურებული *კვანტუნისა და მანჯოუ-გოს არმიების დიდძალი შეიარაღება და ტყვია-წამალი ჩინეთის სახალხო-გამათავისუფლებელმა არმიებმა გამოიყენეს „რეაქციული გომინდანის ჯარების წინააღმდეგ"*, ანუ იმ მთავრობის წინააღმდეგ, ვისთანაც ერთად *გენერალისიმუსმა სტალინმა* სულ ცოტა ხნით ადრე „მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულება" დადო.

წიგნში არ უთითებენ, რომ „სახალხო-გამათავისუფლებელ არმიას" *კომუნისტური პარტიის* ლიდერი *მაო ძედუნი* მეთაურობდა, რომელიც გომინდანთან სამოქალაქო ომში იყო ჩაბმული.

ნათელია, რომ ჩინელი კომუნისტები „საბჭოთა კავშირის მეგობრად და მოკავშირედ" მიჩნეული ჩან კაიშის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ზემოაღნიშნულ იარაღს იმავე კრემლის ნებართვის გარეშე ვერ მიიღებდნენ.

ეს ორი ფაქტი მშვენივრად აჩვენებს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არსს.

ჰუმანიტარული და დემოგრაფიული კატასტროფა ევროპაში

მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი აღმოჩნდა. სამხედრო მოქმედებები 40 ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ომში მონაწილეობა მიიღო 61-მა სახელმწიფომ, რომელთა არმიებში მობილიზებული იყო 110 მილიონი ადამიანი: სხვადასხვა შეფასებით, ამათგან ერთი

მესამედიდან ორ მეხუთედამდე შინ ვეღარ დაბრუნდა. გარდა ამისა, დაიღუპა უამრავი სამოქალაქო პირი.

პირველი მსოფლიო ომისაგან განსხვავებით, *მეორე მსოფლიო ომი ჭარბად იყო იდეოლოგიზებული და დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა.* ჯარისკაცებს ლამის ბიოლოგიურ სიძულვილს უნერგავდნენ მტრის მიმართ. მეორე მსოფლიო ომის დროს, განსხვავებით პირველისაგან, არ ყოფილა მტრების მასობრივი დაძმობილების ფაქტები. 1916-1918 წლებში კი სანგრებში ჯდომით დაღლილი რუსი და ავსტრიელი, ფრანგი და გერმანელი ჯარისკაცები თავიანთი მეთაურების ბრძანებათა უგულებელყოფით ძმობილდებოდნენ და ხანდახან ერთად ტოვებდნენ ბრძოლის ველს. მეორე მსოფლიო ომის დროს არ მომხდარა სახალხო აჯანყებები და რევოლუციები, რომელთაც, ფაქტობრივად, განსაზღვრეს პირველი მსოფლიო ომის შედეგი.

საბჭოთა დივიზიების ბრძოლისუნარიანობის ერთ-ერთი წინაპირობა იყო საგანგებო „გადამღობი რაზმები" (заградительные отряды), რომლებიც შეტევაზე გადასულ ნაწილებს უკან მისდევდნენ და შეშინებულებს, წაბორძიკებულებსა და ჩამორჩენილებს ადგილზე ხვრეტდნენ. შეტევისას წინსვლა გადარჩენის რაღაც შანსს მაინც უტოვებდა ჯარისკაცს.

გენერალმა *აიზენჰაუერმა* 1948 წელს გამოცემულ თავის მოგონებებში თბილად მოიხსენია საბჭოთა მარშალი *ჟუკოვი*, რომელთანაც ომის დამთავრებისთანავე უსაუბრია სხვადასხვა სამხედრო თემაზე. აიზენჰაუერს ჟუკოვისათვის უთქვამს, რომ ვერმახტის მიერ დანაღმული ველები მოკავშირეთა არმიას ყველაზე დიდ სირთულეს უქმნიდა და აფერხებდა შეტევას, რადგან განაღმვისათვის საჭირო იყო სპეციალური ტექნიკური საშუალებების მოზიდვა. დაუნდობლობით ცნობილმა მარშალმა ჟუკოვმა კი პოპულარულად აუხსნა გამოუცდელ ამერიკელ კოლეგას დანაღმულ ველზე შეტევის განხორციელების საბჭოთა მეთოდი:

> „როდესაც ჩვენ მივადგებით დანაღმულ ველს, ჩვენი ქვეითი ჯარი ზუსტად ისე უტევს, როგორც ნაღმებისაგან თავისუფალ ადგილზე. ნაღმებით მიყენებულ დანაკარგს ჩვენ ვუთანაბრებთ იმ დანაკარგს, რომელიც შეიძლებოდა მიგვეღო, თუკი გერმანელები ტყვიამფრქვევებითა და არტილერიით დაიცავდნენ იმავე ადგილს".

ერთი სიტყვით, საბჭოთა ჯარისკაცებს საკუთარი ფეხით უშვებდნენ ნაღმზე ასაფეთქებლად. როგორც წესი, ამ მიზნით „საჯარიმო ბატალიონებსა და ასეულებს" (штрафные батальоны и роты) იყენებდნენ, სადაც ხანდახან უმცირესი დანაშაულისათვის იხდიდნენ სასჯელს საბჭოთა ოფიცრები და ჯარისკაცები. საჯარიმო ბატალიონებსა და ასეულებში ომის დროს გაიარა 490 ათასმა საბჭოთა სამხედრო მოსამსახურემ. მათი უმეტესობა დაიღუპა. ცოცხალი ძალის დანაკარგი „штрафбат"-ებში ხუთი-ექვსჯერ სჭარბობდა ჯარის სხვა ნაწილების დანაკარგს.

ვერმახტსაც ჰქონდა ასეთივე საჯარიმო ნაწილები, სადაც ომის დროს 34 ათას გერმანელ ოფიცერსა და ჯარისკაცს მოუხდა სასჯელის მოხდა, მაგრამ მათ არ ექცეოდნენ ისე ველურად, როგორც წითელ არმიაში.

აიზენჰაუერი იქვე ასკვნის:

„მე ნათლად წარმოვიდგინე, თუ რა დაემართებოდა რომელიმე ამერიკელ ან ბრიტანელ მეთაურს, თუკი იგი ასეთი ტაქტიკის გამოყენებას შეეცდებოდა! ...ამერიკელები ომის ფასს ადამიანთა დანაკარგით ვითვლით, რუსები – სახელმწიფოს მთლიანი დანაკარგით".

საბჭოთა გენერლები კაცთმოყვარეობით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ. ომის ბოლო პერიოდში ისინი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სამხედრო წარმატების მიღწევაში და მსხვერპლის რაოდენობას ყურადღებას არ აქცევდნენ. 1945 წლის აპრილში მარშლები *გეორგი კონსტანტინოვიჩ ჟუკოვი* და *ივან სტეპანოვიჩ კონევი* ცდილობდნენ დაესწროთ ერთიმეორისათვის ალყაშემორტყმული ბერლინის იერიშით აღება. სტალინი არსებითად ახალისებდა ასეთ კონკურენციას და მხოლოდ ომის ბოლო დღეებში უბოძა მტრის დედაქალაქის აღების პატივი ჟუკოვს. საომარი მოქმედების ბოლო კვირებში ასობით ათასი საბჭოთა ჯარისკაცი მხოლოდ მარშლებისა და მომავალი გენერალისიმუსის განდიდებას შეეწირა. მარშალ ჟუკოვის ცნობით, *ბერლინის აღების ოპერაციისას* საბჭოთა ჯარების აუნაზღაურებელმა დანაკარგმა 300 ათასს მიაღწია, მათ შორის 81 ათასი ქალაქის ქუჩებში დაიღუპა. მისივე ცნობით, გერმანელებს 218 ათასზე მეტი ჯარისკაცი მოუკლეს და ბერლინში დამატებით დაიღუპა 100-150 ათასი სამოქალაქო პირი. ამ ისედაც შემზარავ მონაცემებს ბევრი შემცირებულად მიიჩნევს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ უკეთ დაგეგმილი და დროში ოდნავ გახანგრძლივებული ოპერაციის შემთხვევაში დანაკარგი საგრძნობლად ნაკლები იქნებოდა.

თუმცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, *უინსტონ ჩერჩილს*, ძალიან უნდოდა დაესწრო რუსებისათვის ბერლინის აღება, ევროპაში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა *აიზენჰაუერმა* (1952-1960 წლებში ის აშშ-ის პრეზიდენტი იყო), ჩერჩილის მოწოდების მიუხედავად 1945 წლის 15 აპრილს მდინარე ელბეზე შეაჩერა არმია და არც უცდია ბერლინზე შეტევა. აიზენჰაუერი მოკავშირეთა, ძირითადად ამერიკელი, ჯარისკაცების დანაკარგს მოერიდა. თანაც მას არ უნდოდა იალტის შეთანხმებით შემოხაზულ მომავალ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შეჭრა, რომლის დატოვება ომის შემდეგ მაინც მოუწევდა.

ჰიტლერი ჰუმანიზმით არ გამოირჩეოდა, მაგრამ გერმანელი გენერლები, საბჭოთა გენერლებისაგან განსხვავებით, თავიანთ ჯარისკაცებს ზოგავდნენ. ამას ისინი აღწევდნენ უკეთ დაგეგმილი და ჩატარებული სამხედრო ოპერაციების წყალობით, ხანდახან უბრალოდ იმით, რომ საკუთარი ინიციატივით დროულად იხევდნენ უკან იქ, სადაც აშკარად წამგებიანი პოზიცია ჰქონ-

დათ, თუმცა ჰიტლერი მათგან მხოლოდ შეტევასა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლას მოითხოვდა.

აღმოსავლეთის ფრონტზე ვერმახტის სამხედრო დანაკარგმა მსოფლიო ომის განმავლობაში მთელი მისი დანაკარგის 87 პროცენტი შეადგინა. მაგრამ აბსოლუტური მონაცემებით, ვერმახტს წითელ არმიასთან შედარებით ოთხჯერ ნაკლები დანაკარგი ჰქონდა. ესეც მოწმობს, თუ რაოდენ სისხლისმღვრელი იყო რუსეთის კამპანია და რა დაუზოგავები იყვნენ საბჭოთა გენერლები საკუთარი „საზარბაზნე ხორცის" მიმართ.

საბჭოთა კავშირის მხრიდან ადამიანთა დანაკარგი ომში მართლაც გიგანტური იყო. ჰიტლერმა აღმოსავლეთ ევროპა გერმანელი რასის „სასიცოცხლო სივრცედ" (Lebensraum) გამოაცხადა და საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნამდვილი ტერორი გააჩაღა. სამხედრო დანაშაულისათვის დაუსჯელობის სინდრომმა ზნეობრივად დასცა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კულტურული ერი.

სამხედრო მოქმედების დროს მოკლულთა გარდა, ბევრი საბჭოთა ადამიანი დაიღუპა სხვა მიზეზით: ნაცისტები კომუნისტებსა და ებრაელებს ხვრეტდნენ, კომუნისტები კი – ნაცისტებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილ თანამემამულეებს. საბჭოთა ტყვეებს (ტყვედ 5 მილიონზე მეტი ჩავარდა) ნაცისტები საშინლად ექცეოდნენ, რადგან ***საბჭოთა კავშირმა შეგნებულად არ მოაწერა ხელი ჟენევის საერთაშორისო კონვენციას სამხედრო ტყვეების დაცვის შესახებ.*** საბჭოთა სამხედრო ტყვეთა დიდი ნაწილი შიმშილსა და ეპიდემიებს შეეწირა. მათ კი, ვინც ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებს გადაურჩა და შინ დაბრუნდა, სტალინის რეჟიმმა ციმბირის ბანაკებში უკრა თავი. ტყვედ ჩავარდნილ უკლებლივ ყველა თავის ჯარისკაცს რეჟიმი მოღალატედ მიიჩნევდა.

1941 წელს საბჭოთა ჯარების მიერ უბრძოლველად დატოვებული ქალაქ კიევის ზუსტად 1943 წლის 6 ნოემბერს დასაბრუნებლად (ამ გამარჯვებას წითელი არმია უძღვნიდა *დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის* მორიგ იუბილეს, რომელიც 7 ნოემბერს აღინიშნებოდა) საბჭოთა ავიაციამ ქალაქის ცენტრი მთლიანად დაანგრია. ამ დროს ადგილობრივ მოსახლეობაზე არავინ ფიქრობდა. წყალუხვი და ღრმა მდინარე დნეპრის 70-კილომეტრიან მონაკვეთზე შეუჩერებლად (და ამდენად – მოუმზადებლად) ფორსირებისას რამდენიმე ათეული ათასი საბჭოთა ჯარისკაცი დაიხრჩო: ზუსტი რიცხვი უცნობია.

საბჭოთა მთავრობამ არ მოახდინა მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია ქალაქ ლენინგრადიდან, რომლის იერიშით ასაღებად და ქუჩის მძიმე ბრძოლებისათვის გერმანიას საკუთარი ჯარისკაცები დაენანა, ხოლო იმ პერიოდის მისმა მოკავშირემ, ფინეთმა, ერთი მეტრითაც არ მოინდომა იმ საზღვრის გადალახვა, რომელიც 1940 წლამდე ჰქონდა: ფინელები ლენინგრადიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით დადგნენ. ორ-ნახევარი წლის

განმაელობაში ალყაშემორტყმული დიდი ქალაქი, რომელსაც გერმანელები ხანდახან ბომბავდნენ არტილერიის მეშვეობით, ხოლო საბჭოთა არმიას მის გასათავისუფლებლად არ ეცალა, რადგან სხვა ოპერაციებში იყო ჩართული, ფაქტობრივად, მომარაგების გარეშე დარჩა და იქ მილიონ-ნახევრამდე ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა – შიმშილით. იყო კანიბალიზმის მრავალი ფაქტი.

მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სტალინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა ომში შვიდი მილიონი ადამიანი დაკარგა. შვიდი მილიონი – უზარმაზარი რიცხვია, მაგრამ მაინც შემცირებული. ისე გამოდიოდა, რომ საბჭოთა კავშირის დანაკარგი გერმანიაზე ნაკლები იყო: ამ უკანასკნელის აუნაზღაურებელმა დანაკარგმა ომის დროს შეადგინა ათი მილიონი ადამიანი, მათ შორის სამ მილიონამდე – სამოქალაქო პირი.

წითელ არმიას კი ცოცხალი ძალის დანაკარგის ზუსტი აღრიცხვა არ ჰქონდა, ხოლო მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 1939 წლის შემდეგ მხოლოდ 1959 წელს ჩაატარეს. *ხრუშჩოვის* მმართველობის ხანაში, 1950-იან წლებში, ომის დანაკარგები გადაიანგარიშეს და დიდხანს იმეორებდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა ომის დროს 20 მილიონი ადამიანი დაკარგა.

მოგვიანებით, 1970-იან წლებში, საბჭოთა სტატისტიკამ ხელახლა დააზუსტა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნის აუნაზღაურებელი დანაკარგი 26,6 მილიონ ადამიანს შეადგენდა. ეს გიგანტური რიცხვია და მის უკან კიდევ ათეულობით მილიონი გაუბედურებული ოჯახი დგას.

XX საუკუნის ბოლოს რუსი მეცნიერი *ბორის სოკოლოვი* შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ეს *26,6 მილიონი მხოლოდ ბრძოლაში დაღუპული, უგზო-უკვლოდ დაკარგული და გარდაცვლილი სამხედრო პირი იყო*. მისი გაანგარიშებით, დამატებით *კიდევ 16,9 მილიონი ადამიანი, ძირითადად სამოქალაქო პირი,* დაიღუპა შიმშილის, ეპიდემიების, მტრისა და „მოყვარის" მხრიდან რეპრესიების შედეგად. ამ გამოთვლით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირმა 43,5 მილიონი ადამიანის აუნაზღაურებელი დანაკარგი განიცადა. მოსახლეობის აღწერათა მონაცემების ანალიზი არ გამორიცხავს ამ რიცხვის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ომში გამარჯვებულმა ქვეყანამ დამარცხებულზე ოთხჯერ (!) მეტი ადამიანი დაკარგა. თუნდაც 1970-იანი წლების ოფიციალურ გამოთვლაზე დაყრდნობით, საბჭოთა კავშირმა გერმანიაზე ორ-ნახევარჯერ მეტი ადამიანი დაკარგა.

საბჭოთა კავშირის დიადი გამარჯვების მთავარი ფაქტორი მისი უთვალავი დაღუპული მოქალაქე იყო. სტალინის მიმართ კრიტიკულ რუსულ ლიტერატურაში ამაზე წერდნენ, რომ **немцев нашими трупами завалили** (გერმანელები ჩვენი ცხედრებით ამოვაბრჩეთ).

ომის დროს განსაკუთრებით დაზარალდა ბელორუსია (მისი მოსახლეობა თითქმის მესამედით შემცირდა), უკრაინა, ბალტიისპირეთი, რუსეთის ევრო-

პული ნაწილი. აღმოსავლეთ ევროპაში სოფლად შრომისუნარიანი მამაკაცი თითქმის აღარ დარჩა. გენოფონდის ყველაზე ჯანმრთელი ნაწილი დაიღუპა. რუსეთის დემოგრაფიული კატასტროფა, რომელიც ამჟამად უკვე მძაფრად იგრძნობა, 60-65 ნლის წინ დაიწყო.

საბჭოთა მონაცემებით, მის ტერიტორიაზე დაინგრა 1710 ქალაქი და 70 ათასზე მეტი სოფელი. ადამიანურთან ერთად მისი მატერიალური ზარალიც უზარმაზარი იყო, შეფასებით – 2,5 ტრილიონი მანეთის ოდენობისა.

გერმანიასაც არ ასცდა დემოგრაფიული კატასტროფა: როგორც ზემოთ ითქვა, მას ათი მილიონი ადამიანი დაეღუპა. ომის დროინდელმა დანაკარგმა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია: ქალებმა რაოდენობით ბევრად გადააჭარბეს მამაკაცებს. შრომითი რესურსები მკვეთრად შემცირდა. როდესაც ქვეყნის დასავლეთმა ნაწილმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ინდუსტრიული პოტენციალი აღიდგინა, შემდგომი განვითარებისათვის, 1950-იანი წლების ბოლოდან, მას დასჭირდა სამხრეთ ევროპიდან – ჯერ იტალიიდან, იუგოსლავიიდან, შემდეგ კი ძირითადად თურქეთიდან მოწვეული შრომითი მიგრანტების, *გასტარბაიტერების,* შრომის გამოყენება. ამან შეცვალა გერმანიის, მოგვიანებით კი მთელი დასავლეთ ევროპის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა, შესაძლოა, საბედისწეროდაც კი.

ომის შემდეგ 12 მილიონი გერმანელი აყარეს მათი წინაპრების მრავალი თაობის მიერ ათვისებული და აყვავებული მიწებიდან, რომლებიც გადაეცა პოლონეთს, საბჭოთა კავშირს ან დაუბრუნდა ჩეხოსლოვაკიას. ომისშემდგომი დეპორტაციების დროს სამ მილიონამდე ადამიანი დაიღუპა (ისინი ომისდროინდელი დანაკარგის მაჩვენებელში არ შეუტანიათ!) გერმანელთა ამ ეროვნულ ტრაგედიას იშვიათად იხსენებენ. მათ დიდი სისხლით აზღვევინეს საკუთარი ლიდერების, ჰიტლერისა და მისი ბანდის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული. დამარცხებულ ერს კოლექტიური პასუხისმგებლობა დაეკისრა. Vae victis![29]

იყო გერმანული მოსახლეობის ჟლეტისა და მათი ტანკებით გასრესის ფაქტები. არსებობს დამაჯერებელი ცნობები, რომ გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ჯარისკაცებმა ორ მილიონამდე გერმანელი ქალი გააუპატიურეს.

ლაპარაკი აღარაა მაროდიორობაზე, რაც ცენტრალიზებულადაც ხდებოდა: 1945 წლის 9 ივნისს სტალინის ბრძანებით ნადავლის აღება დაკანონებულ იქნა. რამდენადაც გერმანული მრეწველობა ომის დროსაც არ წყვეტდა სამომხმარებლო, თანაც მაღალი ხარისხის, საქონლის გამოშვებას, გამარჯვებული არმიის ჯარისკაცები დამარცხებული ქვეყნის სიმდიდრეს დააცხრნენ. მოჰქონდათ ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირში არ იყო – ველოსიპედები, მაჯის საათები, გაბარდინის პალტოები, პატეფონის ნემსები, ტუალეტის საპონი... გერმანიის

[29] ვაი დამარცხებულს! (ლათ.)

მრეწველობის ძალიან მაღალ დონეს მოწმობს ის, რომ ბერლინის ოლიმპიური თამაშების დროს, 1936 წელს, უკვე მიმდინარეობდა ტელეგადაცემები მოძრავი სტუდიების გამოყენებით, ხოლო მაღაზიებში სერიული წარმოების ტელევიზორები იყიდებოდა. 1950 წელს გამოშვებული პირველი საბჭოთა ტელევიზორი 1936 წლის ერთ-ერთი გერმანული მოდელის სრული ასლი იყო.

ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში შემოვიდა ნაალაფევი („ტროფეინი“) გერმანული ავტომანქანები, როიალები, საკერავი და საბეჭდი მანქანები (ეს უკანასკნელი კერძო პირებს უშიშროების ორგანოებში უნდა დაერეგისტრირებინათ, რომ არალეგალური რამ არ დაებეჭდათ). ეკრანებზე გამოჩნდა ასევე ნაალაფევი უცხოური ფილმები, მაგალითად, ამერიკული მრავალსერიული ფილმი „ტარზანი“.

ომმა ორჯერ გადაუარა *პოლონეთს*: ის ჯერ ნაცისტებმა გაანადგურეს, მერე კი მისი ტერიტორია ბრძოლის ველად იქცა ვერმახტისა და წითელი არმიისათვის. პოლონეთმა ომის პირველიდან ბოლო დღემდე იბრძოლა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ და ომის დროს ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის პროპორციულად უდიდესი ადამიანური ზარალი ნახა – დაიღუპა მოსახლეობის 1/6 (პოლონელებთან ერთად დაღუპულთა საგრძნობი ნაწილი ებრაელი იყო). ჰიტლერს ნაბრძანები ჰქონდა ეთნიკური პოლონელების, უპირველესად, მათი ინტელიგენციის, განადგურება: ეს ბრძანება განუხრელად სრულდებოდა. მეორე მხრიდან კი საბჭოთა სპეცსამსახურები ისევე გულმოდგინედ ანადგურებდნენ პოლონურ ელიტას, როგორც ნაცისტები.

ნაცისტებთან პოლონელების თანამშრომლობის (*კოლაბორაციონიზმის*) ფაქტები იშვიათი იყო, ბევრად ნაკლები, ვიდრე სხვა, მთლიანად ან ნაწილობრივ ოკუპირებულ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში, ნიდერლანდში, საბჭოთა კავშირში, იუგოსლავიაში (კერძოდ, ხორვატიაში). სხვადასხვა ფრონტებზე ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლი პოლონური ბრიგადები სიდიდით მეოთხე არმიას შეადგენდნენ მოკავშირეებს შორის (საბჭოთა, ამერიკული და ბრიტანული არმიების შემდეგ).

ომის დროს მთელ მსოფლიოში ***განადგურდა დიდძალი კულტურული ფასეულობა.***

1945 წელს თითქმის მთელი ევროპა და იაპონია ნანგრევებად იყო ქცეული. ცნობილი ქალაქები თავიანთი სახელგანთქმული არქიტექტურით მოწინააღმდეგეებმა მიწასთან გაასწორეს.

არც ერთი მხარე არ ზოგავდა მეორეს. საშინლად დაიბომბა *ლონდონი*, რომლის საქმიანი ცენტრი – *სიტი* – მთლიანად აღსადგენი გახდა (საოცარია, რომ გადარჩა სიტიში მდებარე XVII საუკუნის კლასიციზმის შედევრი, *ქრისტოფერ რენის* მიერ აგებული წმინდა პავლეს ტაძარი). გერმანულმა ავიაციამ ინგლისის სხვა ქალაქებიც დაანგრია, ხოლო ინდუსტრიული ქალაქი *კოვენტრი* საერთოდ

აღგავა პირისაგან მიწისა. სამაგიეროს გადასახდელად ანგლო-ამერიკულმა ავიაციამ დაუზოგავად დაბომბა ცნობილი კულტურული ცენტრი *დრეზდენი*, სადაც საერთოდ არ იყო სამხედრო მრეწველობა. ლაპარაკი აღარაა გერმანიის დანგრეულ ინდუსტრიულ ქალაქებზე და ნავსადგურებზე, *ჰამბურგ ზე, ლიუბეკ ზე, როსტოკ ზე, დორტმუნდ ზე*, მთლიანად *რურის აგლომერაცია ზე* და, მით უმეტეს, *ბერლინ ზე*, სადაც 1945 წელს არ დარჩა დაუზიანებელი შენობა.

1944 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ნაცისტები მეთოდურად აფეთქებდნენ შენობებს პოლონეთის აჯანყებულ დედაქალაქ ვარშავაში. ამ ოპერაციას მდინარე ვისლის მარჯვენა ნაპირზე შესასვენებლად შეჩერებული წითელი არმია ინტერესით ადევნებდა თვალს. სტალინს არ უნდოდა ვარშავის გათავისუფლებაში დახმარებოდა აჯანყებულ „*არმია კრაიოვას*“ (ქვეყნის არმიას), რომელიც ლონდონში ემიგრაციაში მყოფ პოლონეთის კანონიერ (საბჭოთა ტერმინოლოგიით – „ბურჟუაზიულ“) მთავრობას ემორჩილებოდა. კრემლი კი ამ მთავრობას არ ცნობდა. თანაც, პოლონეთი უკვე „გაყიდული“ იყო: 1943 წელს, თეირანში მოლაპარაკებისას, სტალინმა დაითანხმა რუზველტი და ჩერჩილი, რომ პოლონეთის ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირმა ჰიტლერთან გარიგების შედეგად მიიღო, მასვე დარჩება.

ნაცისტებმა ვარშავა პირწმინდად დაანგრიეს. 1945 წლის 17 იანვარს ნანგრევების ამ გიგანტურ გროვას დაეუფლა წითელი არმია. მასთან ერთად ვარშავაში შევიდა პოლონეთის პროსაბჭოთა მარიონეტული მთავრობა და ეთნიკური პოლონელებით დაკომპლექტებული საბჭოთა სამხედრო ნაწილები, რომელსაც „*არმია ლუდოვა*“ (სახალხო არმია) დაერქვა.

ევროპის დედაქალაქებიდან შედარებით დაუზიანებლად გადარჩა *პარიზი*: 1940 წელს ფრანგებმა უბრძოლველად ჩააბარეს ქალაქი გერმანელებს, 1944 წელს კი გერმანელმა გენერალმა ხელუხლებლად დატოვა ის (თუმცა ჰიტლერისაგან მიღებული ჰქონდა ბრძანება ქალაქის ცენტრის აფეთქების შესახებ). ბევრი სხვა დედაქალაქი, მაგალითად, *რომი* და *ათენი*, *ვენა* და *ბუდაპეშტი*, *პრაჰა* და *ბელგრადი*, *კიევი* და *რიგა*, *ტოკიო* და *მანილა* ნგრევას ვერ გადაურჩა.

საქართველო მეორე მსოფლიო ომში

განსხვავებით პირველი მსოფლიო ომის შედეგებისაგან, რომელმაც არაპირდაპირი პოლიტიკური დივიდენდები მოუტანა ჩვენს ქვეყანას, საქართველომ მხოლოდ იზარალა მეორე მსოფლიო ომის შედეგად. საქართველოსათვის ჯობდა ომი საერთოდ არ დაწყებულიყო. მაგრამ საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ საქართველოს არჩევანი არ ჰქონდა: ის საბჭოთა რესპუბლიკა იყო და ნეიტრალიტეტს ვერ დაიცავდა.

ადამიანთა აუნაზღაურებელი დანაკარგი ომის დროს საქართველოს მთელ მოსახლეობასთან შეფარდებით დიდი იყო, თუმცა, ბუნებრივია, ნაკლები, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებსაც ომის ბორბალმა გადაუარა.

საქართველოში მობილიზებული თითქმის 700 ათასი ადამიანიდან, დემოგრაფების გამოთვლებით, დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა 200 ათასამდე როგორც ეთნიკური ქართველი, ისე აქ მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ესაა 6 პროცენტი რესპუბლიკის იმდროინდელი მრავალეროვანი მოსახლეობიდან (3,6 მილიონი), რაც მართლაც დიდი მაჩვენებელია პატარა ქვეყნისათვის. დემოგრაფიის თვალსაზრისით ეს ნიშნავს თითქმის ერთ ამდენ ქვრივსა და გაუთხოვარ ქალს, შობადობის მკვეთრად შემცირებას. 100 ათასამდე ხეიბარი დაბრუნდა.

პერიოდულად გვესმის ხოლმე „ომში დაღუპული 300 ათასი ქართველის" შესახებ. ეს გადაჭარბებაა: ასეთ შემთხვევაში იმდროინდელი 2,2 მილიონი ქართველიდან თითქმის 14 პროცენტი (ყველა ახალგაზრდა მამაკაცი) უნდა დაღუპულიყო, რაც ძალიან საეჭვოა. მაგალითად, გერმანიას თითქმის 10 პროცენტი ჰქონდა მოსახლეობის აუნაზღაურებელი დანაკარგი: იქ მობილიზებული იყო ყველა მამაკაცი 16 წელს ზევით, ქვეყნის ლამის ყველა ქალაქი დაინგრა, მშვიდობიანი მოსახლეობაც დაიღუპა. საქართველოს შემთხვევაში ასეთი რამ არ მომხდარა და 6 პროცენტიანი დანაკარგი დასაშვები ვარაუდის მაქსიმუმია. აქვე უნდა ითქვას, რომ 600-700 ათას გაწვეულზე და იქიდან ნახევრის დაღუპვაზე წერენ სომეხი და აზერბაიჯანელი ისტორიკოსებიც!

საქართველოს აუნაზღაურებელი სამხედრო დანაკარგის ლამის მესამედი მოდის საბჭოთა სარდლობის მიერ უნიჭოდ დაგეგმილ და განხორციელებულ ქერჩის ოპერაციაზე. მარცხში მთავარი ბრალი მიუძღვის სახალხო კონტროლის სახალხო კომისარს, I რანგის არმიის კომისარს *ლევ მეხლისს*, 1937-1938 წლების რეპრესიების ღვაწლმოსილ ჯალათს, იმ დროს სტალინის მარჯვენა ხელს. სარდლობის უვიცობის გამო საბჭოთა დივიზიები 1942 წელს გადაისროლეს მომცრო ნახევარკუნძულზე და გერმანული სამხედრო ავიაციის წინაშე ყოველგვარი ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის გარეშე დატოვეს. ფელდმარშალმა *ერიხ ფონ მანშტაინმა* 1942 წლის მაისში ჩატარებული ოპერაციის შედეგად ერთი კვირის განმავლობაში სამი საბჭოთა არმია გაანადგურა. 170 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა.

ქერჩში დაღუპულთა შორის ათობით ათასი ჯარისკაცი საქართველოდან იყო. მათგან ნაწილი ქერჩის სრუტეში დაიხრჩო, ნაწილი კი დაბომბვისას დაიღუპა. „ქერჩი" ქართველებისათვის XX საუკუნის (შესაძლოა, ბოლო სამი-ოთხი საუკუნისაც) უდიდესი ადამიანური დანაკარგის ტრაგიკულ სიმბოლოდ იქცა.

ომის დროს უამრავი ადამიანის დაღუპვა დიდი ტრაგედიაა, მაგრამ, საბედნიეროდ, უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედება არ

მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით კავკასიონის უღელტეხილებზე ჩატარებულ ბრძოლებს. ვერმახტმა საქართველოში, კერძოდ, მთიან აფხაზეთში მხოლოდ ერთ სოფლის – *ფსხუს* – დროებით ოკუპაცია მოახდინა.

წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა უბედურება დატრიალდებოდა ჩვენში, ნაცისტურ გერმანიას საქართველოს ოკუპაცია რომ მოეხდინა და მერე ომი წაეგო. ბალტიის ქვეყნები, სადაც სწორედ ასეთი რამ მოხდა, დღემდე ვერ გამოსულან ვირტუალური სამოქალაქო ომის მდგომარეობიდან. ამ ქვეყნების მოქალაქეების ნაწილი წითელ არმიაში გაიწვიეს, ნაწილი კი გერმანიის ვერმახტში მსახურობდა: სხვადასხვა არმიებში მებრძოლი ესტონელი, ლატვიელი, ლიტველი ჯარისკაცები თანამემამულეებს ესროდნენ. ეჭვგარეშეა, ვერც საქართველოს ასცდებოდა ასეთი რამ, აქ რომ ვერმახტი შემოსულიყო.

გერმანიის მხარეს იბრძოლა რამდენიმე ათასმა ქართველმა: ესენი უპირატესად იყვნენ ტყვედ ჩავარდნილი წითელარმიელები. ამ ადამიანებმა ქართული ეროვნული იდეის გამო (თუმცა ზოგმა, ალბათ, საკონცენტრაციო ბანაკში შიმშილით სიკვდილისაგან თავის დასაღწევად) ამჯობინეს ვერმახტში ემსახურათ. ისინი გულწრფელად ფიქრობდნენ, რომ სამშობლოს განთავისუფლებისთვის იბრძოდნენ.

მაგრამ ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა ნაციზმის წინააღმდეგ იბრძოდა. *ირაკლი აბაშიძე* იმდროინდელი ქართველების დიდი ნაწილის (თუმცა, შესაძლოა, არა საყოველთაო) აზრს გამოხატავდა, როდესაც 1942 წელს ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ბრძოლაში დაცემული კაპიტან ბუხაიძის სახელით წერდა:

„და ეუბარებ ყველა ქართველს:
მისი წმინდა ვალი არი –
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას
დერბენტი და დარიალი".

„დერბენტი და დარიალი" სამხრეთ კავკასიისა და, ამდენად, საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭეებად აღიქმებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის მეთაურობით და მისი სახელისათვის იბრძოდნენ, კავკასიის დაცვისას და საერთოდ მსოფლიო ომში მებრძოლი არც კაპიტან ბუხაიძისა და არც სხვა ახალგაზრდა ქართველების სიცოცხლე უქმად არ დახარჯულა: ობიექტურად მათ საქართველოსათვის გასწირეს თავი.

ვფიქრობ, საბოლოოდ საქართველოსათვის უმჯობესი აღმოჩნდა ნაციზმის დამარცხება. კაიზერის გერმანიისაგან განსხვავებით, ნაცისტური გერმანიის დიდი იმედი საქართველოს არ უნდა ჰქონოდა.

თავი 14

ომისშემდგომი მსოფლიო

სამხედრო დამნაშავენი განსასჯელთა სკამზე

1946 წელს გერმანულ ქალაქ *ნიურნბერგში* მიმდინარეობდა *საერთაშორისო ტრიბუნალის* სხდომები, რომელზეც გამარჯვებული სახელმწიფოების წარმომადგენლები დამარცხებული სახელმწიფოს ლიდერებს ასამართლებდნენ.

ნაციზმი ნამდვილად იყო დანაშაულებრივი რეჟიმი, მაგრამ მაინც საკითხავია, თუ რამდენად ობიექტური შეიძლება იყოს გამარჯვებულთა მიერ დამარცხებულთა გასამართლება? ეჭვგარეშეა, რომ ჰიტლერსა და მის გარემოცვას საშინელი დანაშაული მიუძღოდა კაცობრიობის წინაშე, მაგრამ არც მათი განმსჯელები იყვნენ უმწიკვლოები. მაგალითად, საბჭოთა კავშირს თვითონაც ჰქონდა ჩადენილი საკმაო დანაშაული ჰუმანურობის წინააღმდეგ, მაგრამ მისი წარმომადგენლები საერთაშორისო ტრიბუნალს ბრალმდებლების როლში მოევლინნენ. ტრიბუნალი ნაცისტ ლიდერებს ბრალდებას წარუდგენდა იმ კანონებით, რომლებიც ომის პერიოდში არ არსებობდა – მათ უკუქმედებით ძალას ანიჭებდნენ. ბრალდებულებს არ ჰქონდათ უფლება წარედგინათ კონტრბრალდებები მოკავშირეებისათვის, მაგალითად, კატინის ტყეში *ენკავედე*-ს მიერ მოწყობილი პოლონელი ოფიცრების ჟლეტისათვის, რაც გერმანელებს დაჰბრალდათ.

მთავარი და ნამდვილი დამნაშავე, *ადოლფ ჰიტლერი*, განსასჯელთა სკამს გადაურჩა: მან დროულად მოიკლა თავი. ჩამოახრჩეს ათი პირი, რომელთაც სასამართლომ დაუმტკიცა დანაშაული კაცობრიობის წინაშე – ომის წარმოება ყოველგვარი მორალური შეზღუდვის გარეშე. მეთერთმეტემ, ჰიტლერის მოადგილემ, რაიხსმარშალმა *ჰერმან გიორინგმა*, ყულფისაგან თავი იხსნა იმით, რომ საწამლავი შესვა.

ამ პროცესს რეალური დამნაშავეების დასჯაზე მეტად სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ნაციზმი საყოველთაოდ უნდა დაგმობილიყო. ის მართლაც საშიში იყო მთელი მსოფლიოსათვის, მათ შორის გერმანელი ერისთვისაც. ნიუ-

რნბერგის ტრიბუნალზე ნაცისტებს ასამართლებდნენ მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუმცა მომდევნო პროპაგანდისტული მასალა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ტრიბუნალმა მხოლოდ ჰიტლერელთა ანტისემიტური აქციების მხილება დაისახა მიზნად.

ომის შემდეგ რეალურად დაისაჯნენ ჰიტლერს აყოლილი გერმანელი ერი და მისი ძალაუნებური მოკავშირეები.

„შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა“ 1946-1948 წლებში *ტოკიოში* გაასამართლა იაპონელი სამხედრო დამნაშავეები. მათგან ექვსი გენერალი და ომისდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოახრჩეს. აქაც გამარჯვებულ მხარეს, კერძოდ, ამერიკელ მოსამართლეს, გამოჰქონდა განაჩენი დამარცხებულთათვის.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებები 1940-იან წლებში. საბჭოეთის გაფართოება

პირველი მსოფლიო ომისგან განსხვავებით, პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებები, კერძოდ, სახელმწიფო საზღვრების ცვლილება *უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის შედეგად* შედარებით ნაკლები იყო. მომდევნო წლებში კი, დეკოლონიზაციის პროცესის წყალობით, პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებები მოზღვავდა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკა მკვეთრად შეიცვალა.

ბუნებრივია, გერმანიის, იტალიის, იაპონიის მიერ ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიები 1945 წელსვე დაუბრუნდა კანონიერ მფლობელებს.

გარკვეულწილად შემცირდა *იტალია*: იტალიისაგან ისტრიის ნახევარკუნძულის მიღებით (მაგრამ ქალაქ ტრიესტეს გარეშე) გაფართოვდა *იუგოსლავია*; მცირე აზიასთან მდებარე იტალიის ხელში მყოფი დოდეკანესის კუნძულები *საბერძნეთს* გადაეცა. იტალიის ტერიტორიის მცირე ნაწილი საავოიაში (500-მდე კვ.კმ) შეიერთა საფრანგეთმა;

ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს, 1944 წელს, *დანიის სამეფოს* გამოეყო და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა ჩრდილოეთ ატლანტიკის კუნძულოვანი ქვეყანა *ისლანდია*.

სერიოზული ტერიტორიული შენაძენი ჰქონდა მხოლოდ საბჭოთა კავშირს (იხ. ნახ. *14.1*).

უკვე 1944 წელს საბჭოთა კავშირმა აღადგინა კონტროლი 1940 წელს ოკუპირებულ ბალტიის რესპუბლიკებზე – *ესტონეთზე, ლატვიასა* და *ლიტვაზე* (აშშ-ს ფორმალურად არასოდეს უცვნია მათი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის კანონიერება). იქ ხელახალი რეპრესიები დაიწყო: ამჯერად ამ ერებს სჯიდნენ გერმანელ ოკუპანტებთან ურთიერთობისათვის.



ნახ.14.1. ტერიტორიული ცვლილებები ევროპაში 1939-1947 წლებში

1944 წელს საბჭოთა კავშირმა მოახდინა *ტუვის სახალხო რესპუბლიკის* ანექსირება, რომელიც იქამდე არასოდეს ყოფილა რუსეთის შემადგენლობაში და რსფსრ-ში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მისცა.

საბჭოთა კავშირმა არ დაუბრუნა აღმოსავლეთის პროვინციები *პოლონეთს*, რომელიც ომამდელი საზღვრების აღდგენას ითხოვდა. 1943 წელს – თეირანში, 1945 წლის თებერვალში იალტაში საბჭოთა კავშირმა დაითანხმა თავისი მოკავშირეები, ამერიკა და დიდი ბრიტანეთი და შეინარჩუნა 1939 წელს ჰიტლერთან გარიგებით დაპყრობილი *აღმოსავლეთ პოლონეთი*, სადაც, პოლონურის გარდა, იყო დიდი უკრაინული, ასევე – ბელორუსული მოსახლეობაც და ეს ტერიტორია საბჭოთა უკრაინასა და საბჭოთა ბელორუსიას შეუერთა.

არც 1939 წელს და არც 1945-ში კრემლში არ გაუთვლიათ, რომ საბჭოთა უკრაინასთან *გალიციის, ვოლინის* და დასავლეთ უკრაინის სხვა ნაწილების მიერთებით, სადაც სოფლის მოსახლეობაში უკრაინული ეროვნული სული მძლავრობდა, ამ საბჭოთა რესპუბლიკაში გაძლიერდებოდნენ რუსეთისაგან გამოყოფის მოსურნე ძალები, რომლებიც ნახევარი საუკუნის შემდეგ რეალობად აქცევენ უკრაინის დამოუკიდებლობას.

პოლონეთს ერთგვარი კომპენსაცია მისცეს საბჭოთა კავშირისათვის „დათმობილი" მიწებისათვის: სტალინმა მას აღმოსავლეთ პრუსიის დაჭაობებული სამხრეთი ნაწილი უწილადა და იძულებული გახადა მთელი სახელმწიფო დასავლეთით „გადაჩოჩებულიყო", გერმანიისაგან პომერანიასა და სილეზიაში ჩამოჭრილი ტერიტორიების ხარჯზე, მდინარეების – ოდერისა და ვესტნოისეს გასწვრივ გავლებულ საზღვრამდე. გერმანული ქალაქები *შტეტინი, დანციგი, ბრესლაუ, ოპელნი* პოლონურ ქალაქებად – *შჩეცინად, გდანსკად, ვროცლავად, ოპოლიედ* იქცა. ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოები ამას „ასაბუთებდნენ" იმით, რომ ათასი წლით ადრე გერმანიის ამ ტერიტორიაზე თურმე სლავები ცხოვრობდნენ. ასეთი „არგუმენტი" ისტორიით მანიპულირების სახიფათო პრეცედენტს ქმნიდა.

საბჭოთა კავშირმა დაიტოვა ჰიტლერთან შეთანხმებით *რუმინეთისაგან* 1940 წელს ანექსირებული *ბესარაბია* და ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ანექსირებული *ჩრდილოეთ ბუკოვინა*, რომელიც ადრე არასოდეს შედიოდა რუსულ სახელმწიფოში.

ომის შემდეგ, 1946 წელს, საბჭოთა კავშირმა *ჩეხოსლოვაკიას* ჩამოაჭრა კარპატებს გადაღმა მდებარე სლავური მოდგმისა და მართლმადიდებელი ხალხით, *რუსინებით*, დასახლებული ტერიტორია – *რუთენია* (ამუამინდელი უკრაინის უკიდურესი ოლქი); მოსახლეობის ნაწილი იქ უნგრელები იყვნენ. ეს ტერიტორიაც არასოდეს ყოფილა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუსინებს *„იმიერკარპატის უკრაინელები"* დაარქვეს და ისინი, როგორც ცალკე სლავურენოვანი ეთნოსი, ეთნოგრაფიული რუკიდან გაქრნენ. XXI საუკუნის

დასაწყისიდან რუსინების ეროვნულ აღორძინებას ახალისებს რუსეთის ფედერაცია, რადგან ეს დამოუკიდებელი უკრაინის დამასუსტებელ ფაქტორად მიაჩნია.

1944 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირმა *ფინეთს* ხელახლა დააცლევინა 1940 წელს შისთვის წართმეული *კარელიის ყელი, აღმოსავლეთ კარელიის ნაწილები* და დამატებით მიიღო *პეტსამო* (რუსულად – პეჩენგა) – ფინეთის ერთადერთი ნავსადგური გაუყინავ ბარენცის ზღვაში. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ 1941 წელს ფინეთმა მტკიცე უარი განუცხადა გერმანიას ლენინგრადზე შეტევაში მონაწილეობაზე. მართალია, ომის დროს ფინეთი ცდილობდა ფინურენოვანი კარელებით დასახლებული აღმოსავლეთ კარელიის შემოერთებას, მაგრამ დაცალა ის. გერმანიის მხარეს ომში ჩართვის გამო ფინეთის ლიდერები გაასამართლეს და დასაჯეს (იხ. ჩანართი 14.1).

1944 წელს საბჭოთა კავშირმა ფინეთს თავს მოახვია ხელშეკრულება, რომლითაც ეს უკანასკნელი ნეიტრალიტეტს აცხადებდა. ფინეთის ტერიტორიაზე, *პორკალაში*, განლაგდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელმაც 1956 წლამდე იარსება. საბჭოთა კავშირს უნდოდა, ეკონომიკურადაც მიება ფინეთი: საბჭოთა ენერგორესურსების სანაცვლოდ ფინეთის მრეწველობას საბჭოთა ბაზრისათვის უნდა ემუშავა. ქვეყანა ფაქტობრივად საბჭოთა გავლენის ზონა გახდა, თუმცა „სოციალისტურად" არ ქცეულა. განვითარების ასეთ მოდელს, *როდესაც პატარა ნეიტრალური ქვეყანა ინარჩუნებს სუვერენიტეტს, მაგრამ ძლიერი მეზობლის შიშით საგარეო პოლიტიკაში დიდ სიფრთხილეს იჩენს*, შემდგომში *„ფინლანდიზაცია"* დაერქმევა.

ჩანართი 14.1
ვინ დაინდო მანერჰაიმი?

ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ისტორიული ფაქტი შეიძლება გავიხსენოთ:

1946 წლის ბოლოს გამარჯვებული ქვეყნების ზეწოლით ჰელსინკიში გაასამართლეს ფინეთის მთავრობის ის ყოფილი წევრები, რომელთაც ბრალად ედებოდათ 1940 წლის საბჭოთა კავშირისა და ფინეთის საზაო ხელშეკრულების დარღვევა და 1941 წლის შუაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაბმა. მაგრამ განსასჯელთა სკამზე არ იჯდა მარშალი *კარლ-გუსტავ მანერჰაიმი*, ომის დროს ფინეთის პრეზიდენტი. როგორც კომპეტენტური პირები ამტკიცებენ, მას სტალინის სახელით შეუთვალეს, დროზე გადამდგარიყო და საზღვარგარეთ წასულიყო. ყოველ შემთხვევაში, „რევანშისტულ ომში" ჩაბმისათვის სხვებზე არანაკლებ პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწე სასამართლოზე არავის გახსენებია. სხვა განსასჯელებს კი ორიდან რვა წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს.

შესაძლოა, სტალინი მანერჰაიმის მადლიერი იყო, რომ 1941-1944 წლებში ფინეთის არმია სერიოზულად არ უტევდა ლენინგრადს, ხოლო 1944 წელს იმავე მანერჰაიმმა ფინეთს საერთოდ შეანყვეტინა ომი.

შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ გამარჯვებულმა გენერალისიმუსმა სულგრძელობა გამოიჩინა ძველი მეტოქის მიმართ, დაუფასა სიქველე და სიმტკიცე, რომელიც მან 1939-1940 წლებში გამოიჩინა სწორედ სტალინის წინააღმდეგ ბრძოლისას.

არ ვიცი, სწორია თუ არა ეს დაშვებები, მაგრამ იოსებ ჯუღაშვილი, მიუხედავად რუსული ფსევდონიმისა, მაინც ქართველად რჩებოდა და, როგორც ჩანს, ხანდახან შეეძლო სხვებისათვის გაუგებარი რაინდული ნაბიჯის გადადგმა.

რაც შეეხება მთავარ დამარცხებულს, *გერმანიას*, დასავლეთით მას ტერიტორია არ დაუკარგავს. პოტსდამის კონფერენციაზე მოკავშირეებმა რუსეთს მიაკუთვნეს გერმანიის ნაწილი – *აღმოსავლეთ პრუსია*, 650 წლის წინ დაარსებული გერმანული ქალაქით, *კენიგსბერგითურთ*, რომელსაც *კალინინგრადი* დაერქვა: ეს ტერიტორია უშუალოდ რსფსრ-ის ნაწილად იქცა. გერმანიის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილი პოლონეთს გადაეცა, დანარჩენი კი *საბჭოთა, ამერიკულ, ბრიტანულ და ფრანგულ საოკუპაციო ზონებად დაჰყვეს*. გერმანიის დედაქალაქი ბერლინი, რომელიც საბჭოთა საოკუპაციო ზონით გარშემორტყმული აღმოჩნდა, ასევე ოთხ ზონად დაიყო.

1949 წელს დასავლეთის ქვეყნების საოკუპაციო ზონები გაერთიანდა და შეიქმნა ახალი სახელმწიფო, *გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა* (გფრ), რომლის დროებით დედაქალაქად ბონი გამოცხადდა. საბჭოთა ზონაში კი კრემლმა *გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა* (გდრ) შექმნა, დედაქალაქით აღმოსავლეთ ბერლინში. *დასავლეთ ბერლინი* (დასავლეთის ქვეყნების ყოფილი სამი საოკუპაციო ზონა) 1989 წლამდე გდრ-ის შიგნით მდებარე „კაპიტალიზმის ანკლავად" დარჩა.

1945 წელს *შორეულ აღმოსავლეთში* სტალინმა ამოიყარა ხელმწიფე-იმპერატორ ნიკოლაი II რომანოვის ჯავრი, რომელიც 40 წლით ადრე იაპონელებმა დაამცირეს, პორტ-არტურიდანაც გამოაძევეს და კუნძულ სახალინის სამხრეთ ნახევარიც ჩამოართვეს. *საბჭოთა კავშირმა ეს ყველაფერი დაიბრუნა*, ჩინეთის კუთვნილ ლიაოდუნის ნახევარკუნძულზეც კი აღადგინა პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზა, როგორც ეს იყო 1905 წლამდე (საბჭოთა არმია ბაზას 1953 წლამდე ფლობდა). ასევე 1953 წლამდე საბჭოთა კავშირს კონცესიაში ჰქონდა საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ მანჯურიაში გაყვანილი რკინიგზა.

საბჭოთა კავშირმა დაიკავა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე *კურილის კუნძულების მწკრივი* წყნარ ოკეანეში, რომლის სამხრეთი ჯგუფი რუსეთს მანამდე არასოდეს ეკუთვნოდა. 1875 წელს იაპონიასა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული ხელშეკრულებით რუსეთი უარს აცხადებდა სამხრეთ კურილის კუნძულების მიმართ პრეტენზიაზე.

იაპონიასთან ომის ფორმალურად დამამთავრებელი სამშვიდობო ხელშეკრულება არც საბჭოთა კავშირს დაუდია და არც მის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციას. იაპონია დღემდე არ ცნობს *სამხრეთ კურილის კუნ-*

ძულების –კუნაშირის, ეტოროფუს (იტურუპის), შიკოტანის, ჰაბომაის – ანექსირებას და მათ დაბრუნებას მოითხოვს. რუსეთი კი მათ არ აბრუნებს სტრატეგიული, ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური („რას იტყვის ხალხი!") მოსაზრებებიდან გამომდინარე.

ამერიკელებთან შეთანხმებით საბჭოთა კავშირმა 1945 წელს დროებით დაიკავა ადრე იაპონიის შემადგენლობაში მყოფი კორეის ჩრდილოეთი ნაწილი 38-ე პარალელამდე. კრემლმა ხელი შეუწყო იქ კომუნისტი დიქტატორის *კიმ ირ სენის* გაბატონებას და კორეის ამ ნაწილის მოწყვეტას ქვეყნის სამხრეთისაგან, სადაც ამერიკული არმია შევიდა. კიმ ირ სენმა დინასტია შექმნა: მის შემდეგ პრეზიდენტი მისივე ვაჟი იყო, ახლა კი შვილიშვილია. სამხრეთ კორეაში კი თანდათანობით დემოკრატია დამყარდა და მისი ეკონომიკური განვითარება ძალიან წარმატებული გამოდგა.

საბჭოთა კავშირის დამატებითი ექსპანსიონისტური ზრახვების, მაგალითად, თურქეთისა და ირანის მიმართ, დაკეცა მოუხდა სხვა გამარჯვებულს, კერძოდ ამერიკას (ამაზე მე-15 თავშია საუბარი).

საბჭოთა კავშირის გაფართოების კვალდაკვალ ევროპაში ტერიტორიულად შემცირდა პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანია, ფინეთი, ხოლო აზიაში – იაპონია.

რაც შეეხება გამარჯვებული სახელმწიფოების – დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდის, საფრანგეთის *აზიურ კოლონიებს,* მათ ან იაპონური ოკუპაცია იგემეს (ვიეტნამი, ინდონეზია, ბირმა) და პარტიზანული ბრძოლისას სახელმწიფო სტრუქტურის პროტოტიპები შექმნეს, ან ომში მონაწილეობა ანტიჰიტლერული კოალიციის შემადგენლობაში მიიღეს (ინდოეთი, ცეილონი).

ომის შედეგად დასუსტებული ევროპული მეტროპოლიებისათვის მათი კოლონიების დიდი ნაწილის ხელახალი დაქვემდებარება შეუძლებელი გახდა.

დასავლეთ ევროპის ძველი კოლონიური იმპერიების ელიტების უმეტესობამ საკმაოდ მალე შეიგნო, რომ მსოფლიო ჰეგემონობაზე მათი პრეტენზიები წარსულს ჩაბარდა და ამ იმპერიებზე უარის თქმის დრო დადგა. ბრიტანეთმა დეკოლონიზაცია შედარებით უმტკივნეულოდ მოახდინა. საფრანგეთში კი, რომლის ელიტა ვერ ივიწყებდა თავის „ექსკლუზიურ როლს" მსოფლიოში, დეკოლონიზაციის გარდაუვალობას გვიან მიხვდნენ. ამიტომაც ფრანგმა ხალხმა ინდოჩინეთსა და ალჟირში კოლონიების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში სულ ტყუილად გაიღო დიდძალი სისხლი.

ინდონეზიამ 1945 წელს ნიდერლანდისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმ დროს იაპონურ არმიას ჯერ არც კი ჰქონდა დაცლილი ეს კუნძულები. მან თავისი სამხედრო საჭურველი გადასცა ანტიკოლონიური მოძრაობის ხელმძღვანელსა და ინდონეზიის მომავალ პრეზიდენტს *აჰმად სუკარნოს.* ამ უკანასკნელმა იაპონური იარაღი ყოფილი მეტროპოლიის წინააღმდეგ გამოიყენა.

დიდმა ბრიტანეთმა 1947 წელს ნიუ-დელიში ოფიციალურად ჩამოუშვა თავისი დროშა, „იუნიონ ჯეკი", და ადგილობრივ ხელისუფლებას მიანდო *ინდოსტანის სუბკონტინენტზე* მდებარე *ბრიტანეთის ინდოეთის* ადგილზე წარმოშობილი ახალი სახელმწიფოების (თავიდან – დომინიონების) მართვის საქმე, რასაც ლონდონი ორასიოდე წელი წარმატებით ასრულებდა.

ინდოსტანის სუბკონტინენტის, სადაც 1940-იან წლებში მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი ცხოვრობდა (ახლა – მეხუთედზე მეტი) პოლიტიკური გეოგრაფია მცირეოდენ დამატებით განმარტებას იმსახურებს.

ლონდონმა (შეგნებულად თუ შემთხვევით?) დატოვა „განხეთქილების ვაშლი" სუბკონტინენტზე, როცა ხელი შეუწყო ბრიტანეთის ინდოეთის ადგილზე დღევანდელი *ინდოეთის რესპუბლიკისა* (ოფიციალური სახელი „ბჰარათ"), და *პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის,* წარმოქმნას. ეს გაყოფა მარტივად და უსისხლოდ არ მომხდარა. სერიოზულ პრობლემას ქმნიდა რელიგიური დაპირისპირება, რასაც მილიონზე მეტი ადამიანი შეეწირა. 15 მილიონზე მეტს კი რელიგიური ნიშნით მოუხდა აყრა და გადასახლება ახალწარმოქმნილ სახელმწიფოებში: *ინდუისტები* ინდოეთში მიდიოდნენ, *მუსლიმები* – პაკისტანში, *ფენჯაბელი სიქჰები* კი გაყოფილ ერად იქცნენ.

ამასთან, ბევრმა მუსლიმმა ამჯობინა დარჩენა ინდოეთის რესპუბლიკაში, რომელიც სახელმწიფო მშენებლობაში თავიდანვე ეყრდნობოდა დემოკრატიულ და საერო პრინციპებს, რელიგიურ ტოლერანტობას და ყველაზე უკეთ იყო მომზადებული დამოუკიდებლობისათვის (ომის დროს მისი ეკონომიკა ბრიტანეთისაგან ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა). ამჟამად მუსლიმთა რაოდენობა ინდოეთში არანაკლებია, ვიდრე პაკისტანში და ისინი თავს დაჩაგრულად სულაც არ გრძნობენ. პაკისტანში კი ინდუისტები პრაქტიკულად აღარ დარჩნენ.

პაკისტანის სახელი აბრევიატურაა – *ურდუს* სახელმწიფო ენაზე ის იწერება, როგორც „*ფაქსთან*" და შედგება ყოფილი ბრიტანული ინდოეთის პროვინციების – *ფენჯაბის, ასამის, ქაშმირის, სინდის* – პირველი ასოებისგან; „*სთან*" სპარსულად და ურდუს ენაზეც „ქვეყანას" აღნიშნავს. 1930-იან წლებში ამ აბრევიატურის შემქმნელს მიაჩნდა, რომ პროვინცია *ასამი,* რომელშიც მუსლიმები ძალიან უმნიშვნელო უმცირესობა იყო, მის სამხრეთით მდებარე, მუსლიმებით დასახლებულ *აღმოსავლეთ ბენგალიასთან* ერთად უნდა შესულიყო მომავალ ისლამურ სახელმწიფოში. *ასამი* ინდოეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში დარჩა.

პაკისტანი შეიქმნა ორი დაშორებული ნაწილისაგან. *დასავლეთ პაკისტანმა,* არაბეთის ზღვასთან, მოიცვა სინდი, ფენჯაბის ნაწილი და ჩრდილო-დასავლეთი პროვინცია. იქ განლაგდა სახელმწიფო სტრუქტურები და ქვეყნის მმართველი ელიტაც იქაური იყო. *აღმოსავლეთ პაკისტანი* სუბკონტინენტის მეორე მხარეს მდებარეობდა, ბენგალიის ყურესთან და მოიცავდა მჭიდროდ

დასახლებულ აღმოსავლეთ ბენგალიას. ის სანედლეულო დანამატად, ფაქტობრივ კოლონიად იქცა ქვეყნის დასავლეთი ნაწილისათვის. 1971 წელს აღმოსავლეთ პაკისტანი აჯანყდა, ინდოეთის დახმარებით დამოუკიდებლობა მოიპოვა და სახელად *ბანგლადეში* დაირქვა.

ამრიგად, სუბკონტინენტზე სამი დიდი სახელმწიფო შეიქმნა. მათ შორის *ინდოეთის რესპუბლიკა 2030-2040-იან წლებში მოსახლეობით მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა გახდება.*

სუბკონტინენტზე არსებული 544 სამეფო-სამთავროს ყველა რაჯა („მეფე") და მაჰარაჯა („მეფეთმეფე"), რომლებიც იქამდე დიდი ბრიტანეთის მონარქის ვასალები იყვნენ, 1947 წელს დააყენეს არჩევანის წინაშე: რომელ ქვეყანასთან სურდათ შეერთება – ინდოეთთან თუ პაკისტანთან. 522-მა მათგანმა ინდოეთის შემადგენლობაში ყოფნა ამჯობინა, 21-მა – პაკისტანში. *ქაშმირის მაჰარაჯამ*, რომელსაც ინდოსტანის სამეფო-სამთავროებს შორის ერთ-ერთი უდიდესი ტერიტორია ექვემდებარებოდა, *ნიუ-დელის ვერსიით*, პაკისტანიდან მომდინარე საფრთხის გამო ინდოეთთან შეერთება არჩია. *პაკისტანის ვერსიით* კი მაჰარაჯას ეს ნაბიჯი – ინდოეთში შესვლა – იძულებით გადაადგმევინა ნიუ-დელიმ. ქაშმირის გამო ინდოეთსა და პაკისტანს შორის ოთხი ომი მოხდა. ქაშმირის მთიანი ჩრდილოეთი, მეჩხრად დასახლებული ტერიტორიის მესამედი, პაკისტანმა შეიერთა. ინდოეთს კი დარჩა ტერიტორიის ორი მესამედი – ჯამუ და ქაშმირი, სადაც მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმია.

ქაშმირის პრობლემა დღემდე გადაუწყვეტელია და ამღვრევს სამხრეთ აზიის ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობას. 1998 წელს ორივე მათგანმა დემონსტრაციულად გამოსცადა ბირთვული იარაღი. მეორე მხრივ, იქნებ სწორედ ამ მომაკვდინებელი ძალის ბალანსმა აიძულოს ეს ქვეყნები ნაციდნენ ურთიერთდათმობაზე?

ახლო აღმოსავლეთში შორსმიმავალი პოლიტიკური შედეგების მომტანი აღმოჩნდა *ისრაელის სახელმწიფოს* შექმნა. *ჰოლოკოსტმა* გამოამჟღავნა მთელი ეთნოსის სრული დაუცველობა მტრული ძალის წინაშე. მეორე მხრივ, ამ საშინელმა ფაქტმა საშუალება მისცა ებრაულ ელიტას მოეპოვებინა საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და შეექმნა პატარა, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. ამისათვის ამ ელიტამ ოსტატურად გამოიყენა დიდ სახელმწიფოებს, საბჭოთა კავშირსა და ანგლო-ამერიკელებს შორის, არსებული წინააღმდეგობები და ის „სირცხვილის სინდრომი", რომელიც ევროპაში გაჩნდა მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა ჰოლოკოსტის არსი და მისი გიგანტური მასშტაბი.

1948 წლის მაისში ბრიტანეთისა და აშშ-ის საპირისპიროდ, რომლებიც გაეროსაგან მოითხოვდნენ პალესტინის გაყოფის დროებით შეჩერებას, საკმაოდ *სუბიექტური პოლიტიკური მიზნით* – დაემცირებინა დიდი ბრიტანეთი –

საბჭოთა კავშირმა თავის სატელიტებთან ერთად მხარი დაუჭირა ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. ერთგვარ *ობიექტურ პოლიტიკურ მიზნად* შეიძლება მივიჩნიოთ კრემლის რწმენა, რომ ისრაელის სახით ახლო აღმოსავლეთში იქმნებოდა „კომუნისტური ფორპოსტი". ისრაელი თავიდან მართლაც იყო სოციალისტურ (თუმცა არა ბოლშევიკურ) პრინციპებზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო. ძალიან მალე გაირკვა, რომ კრემლის „ობიექტური მიზანი" უსაფუძვლო იყო: სიონისტებს სულაც არ უნდოდათ საბჭოთა კავშირის სატელიტად ქცევა. მაგრამ სანამ სტალინი თავის შეცდომას მიხვდებოდა, მისი ნებართვით ჩეხოსლოვაკიამ ისრაელს მიჰყიდა იარაღი, მათ შორის ტანკები და „მესერშმიტის" ტიპის სამხედრო თვითმფრინავები. უკეთ შეიარაღებულმა და უფრო მოტივირებულმა ისრაელის არმიამ 1948–1949 წლების ომი მოუგო არაბულ ქვეყნებს – ეგვიპტესა და სირიას (ორიოდე ბატალიონი მათ ერაყმაც მიაშველა), რომელთა სამხედრო კონტინგენტები არაკოორდინირებულად იბრძოდნენ.

ისრაელის წინააღმდეგ კარგად იბრძოლა მხოლოდ ტრანსიორდანიის „არაბულმა ლეგიონმა", რომელიც ინგლისელების მიერ იყო გაწვრთნილი და შეიარაღებული. ტრანსიორდანიამ (რაც „იმიერიორდანეს" ნიშნავს) დაიკავა და მერე შეიერთა კიდეც პალესტინის ნაწილი, მდინარე იორდანეს მარჯვენა ნაპირი და აღმოსავლეთ იერუსალიმი ძველი ქალაქითურთ, სადაც ქრისტიანთა, მუსლიმთა და იუდეველთა წმინდა ადგილები მდებარეობს. რადგან ეს სამეფო მდინარე იორდანეს ორივე ნაპირზე განლაგდა, სახელიც გამოიცვალა და *იორდანია* გახდა.

1952 წლიდან დასავლეთ გერმანიამ დაიწყო რეპარაციების გადახდა ისრაელის სახელმწიფოსათვის, რომელიც *ჰოლოკოსტის* შედეგად დაღუპული ყველა ებრაელის სახელით ღებულობდა მათ. ჯამში გადახდილი იქნა 40 მილიარდზე მეტი გერმანული მარკა. ამ რეპარაციებმაც შეუწყო ხელი ისრაელის სწრაფ ეკონომიკურ და, განსაკუთრებით, სამხედრო განვითარებას და მის გადაქცევას ახლო აღმოსავლეთში უძლიერეს არმიის მქონე ქვეყნად.

ისრაელმა ძალიან მოკლე დროში ჩამოაყალიბა დისციპლინირებული, ბრძოლისუნარიანი და საუკეთესოდ აღჭურვილი არმია – *სახელმწიფოს უმთავრესი დასაყრდენი*. იმისათვის, რომ ნაკლებად ყოფილიყო დამოკიდებული დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა კეთილგანწყობაზე იარაღის იმპორტთან დაკავშირებით, ისრაელმა შექმნა მძლავრი სამხედრო მრეწველობა, რომელიც ამჟამად აწარმოებს ყველაფერს – პისტოლეტიდან ტანკებამდე, ტყვიებიდან ბირთვულ იარაღამდე. ეს ძალიან შთამბეჭდავი შედეგია ექვსი ათეული წლის ისტორიის მქონე პატარა სახელმწიფოსათვის!

არაბული სამყაროს მძაფრ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მის მიერ საკუთრად მიჩნეულ პოლიტიკურ სივრცეში შეიქმნა არამუსლიმური (იუდაისტური) სახელმწიფო, ისრაელმა სწორედ თავისი არმიის მეშვეობით გასცა პასუხი. XX

საუკუნეში ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ხუთი ომი მოხდა (1948-49, 1956, 1967, 1973, 1982 წლებში) და ისრაელს არც ერთი მათგანი არ წაუგია. ისრაელმა ტერიტორიაც კი გაიფართოვა, როდესაც 1967 წელს სირიას ჩამოართვა გოლანის მაღლობი, იორდანიას კი – აღმოსავლეთ იერუსალიმი (შემდგომში ორივე ეს ტერიტორია ანექსირებულად გამოაცხადა, რასაც გაერო უკანონოდ ცნობს), ხოლო მდინარე იორდანეს მარჯვენა ნაპირის სამხედრო ოკუპაცია მოახდინა.

შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნეში არც ერთი ერის ცხოვრებაში არ მომხდარა ასეთი ძირეული გარდატეხა: საუკუნის შუაგულში *ებრაელი ერი* ლამის სრული გაქრობის პირას იყო, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კი სამხედრო დიდების მწვერვალზე ავიდა.

გეოპოლიტიკური ძვრები

მეორე მსოფლიო ომის გეოპოლიტიკური შედეგები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე წმინდა პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებები, რომლებიც პოლიტიკურ რუკაზე აისახება ხოლმე.

1945 წელს სან-ფრანცისკოში შეიკრიბა *„გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“* (გაერო), რომლის შტაბ-ბინამ მალე ნიუ-იორკში გადაინაცვლა. *გაეროს* უშიშროების საბჭოში *შევიდა ხუთი მუდმივი წევრი ვეტოს უფლებით* – მთავარი გამარჯვებულები „ღერძის“ ქვეყნების წინააღმდეგ ომში – *აშშ, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი* და *ჩინეთი*.

მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეთა გამარჯვებაში საფრანგეთის რეალური წვლილი რუსეთთან, ბრიტანეთთან, ამერიკასთან, ჩინეთთან შედარებით მოკრძალებული იყო. პოლონელების სამხედრო დანაკარგიც კი ფრანგებისას საგრძნობლად აღემატებოდა. მაგრამ საფრანგეთი მაინც რჩებოდა ზესახელმწიფოდ, მას ჯერაც ჰქონდა უამრავი კოლონია აფრიკაში, აზიაში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკებში, პოლინეზიაში.

საბჭოთა კავშირმა ძალიან დაუჭირა მხარი გაეროს უშიშროების საბჭოში საფრანგეთის მუდმივ წევრობას ვეტოს უფლებით: მისი აზრით, ეს აწონასწორებდა ანგლო-საქსური ქვეყნების გავლენას.

XX საუკუნის ორივე მსოფლიო ომის დროს ძალიან კრიტიკულ სიტუაციაში ჩავარდნილმა საფრანგეთმა ორჯერვე გადამწყვეტი დახმარება მიიღო დიდი ბრიტანეთისა და ამერიკისაგან. მიუხედავად ამისა, ომისშემდგომი პოლიტიკის გატარებისას ის არ უწევდა ანგარიშს ლონდონსა და ვაშინგტონს.

ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც რაღაც საყვედური საფრანგეთის მიმართ: ყველა ქვეყანა ზუსტად ასე იქცევა, როდესაც საქმე მის ნაციონალურ ინტერესებს ეხება.

სტალინის ინიციატივა იყო ისიც, რომ გაეროში ცალ-ცალკე შესულიყო *საბჭოთა კავშირის ყველა შემადგენელი რესპუბლიკა*, ანუ 16 მათგანი, რომელთაგან „სუვერენული სახელმწიფოები" (იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა მე-16 რესპუბლიკაც – კარელია-ფინეთის სსრ, რომელიც 1956 წლიდან რსფსრ-ის ავტონომიურ რესპუბლიკად ჩამოაქვეითეს). ბუნებრივია, გაეროში კენჭისყრისას ეს საგრძნობ უპირატესობას მისცემდა კრემლს – 16 ხმას! ძნელი წარმოსადგენია, რომ, ვთქვათ, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს ან კარელია-ფინეთს რსფსრ-საგან განსხვავებულად მიეცათ ხმა.

იმის დასასაბუთებლად, რომ ყველა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა „სუვერენული სახელმწიფოა", უკვე 1944 წელს დაარსდა მათი საგარეო საქმეთა სამინისტროები და სასწრაფოდ დაიწყო დიპლომატიური კადრების მოძიება-მომზადება.

ვაშინგტონსა და ლონდონში მაშინვე მიუხვდნენ ეშმაკობას კრემლს და შეეწინააღმდეგნენ სტალინის ამ ინიციატივას. მაქსიმუმი, რაზეც სტალინმა თანხმობა მიიღო, იყო გაეროში საბჭოთა კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის გაწევრიანება, ანუ კრემლი სამ ხმას ღებულობდა. განაწყენებული სტალინი თავის მხრივ ბლოკავდა გაეროში ისეთი ქვეყნების მიღებას, რომელთაც „იმპერიალიზმის დამქაშებად" მიიჩნევდა. მაგალითად, ამ მიზეზით 1955 წლამდე გაეროში ვერ მიიღეს უკვე 1946 წლიდან დამოუკიდებელი იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო, რომელსაც კრემლში პრობრიტანულად მიიჩნევდნენ.

გაერო თითქმის თავიდანვე არ აღმოჩნდა ეფექტიანი ორგანიზაცია. შედარებისათვის: 1920-იანი წლების პირველ ნახევარში *ერთა ლიგა* მსოფლიო საქმეებს ასე თუ ისე აწესრიგებდა, რადგან მაშინ სულ *„ორი უფროსი"* ჰყავდა – დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი: აშშ ერთა ლიგაში *არც შესულა*, რუსეთი და გერმანია თავიდან *არ მიიღეს (გერმანია 1926-1933 წლებში, ხოლო საბჭოთა კავშირი 1934-1939 წლებში იყვნენ ერთა ლიგის წევრები)*. ლონდონი და პარიზი ერთმანეთში თანხმდებოდნენ, დანარჩენი ქვეყნები კი მათ ნიშანს ელოდებოდნენ.

რაც შეეხება *გაეროს*, ვეტოს უფლების მქონე *„ხუთი უფროსი"* ერთმანეთში თავიდანვე ძნელად მოსარიგებელი იყო. მაგალითად, 1982 წლიდან XX საუკუნის ბოლომდე ამერიკამ ვეტო დაადო გაეროს უშიშროების საბჭოში წარდგენილ ისრაელის მიმართ კრიტიკულ 30-მდე რეზოლუციას, რაც მკვეთრად სჭარბობს უშიშროების საბჭოს დანარჩენი მუდმივი წევრების მიერ იმავე პერიოდში დადებული ვეტოების ჯამს.

ომის დამთავრებისთანავე, ანტიჰიტლერული კოალიციის ყოფილი მოკავშირეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: ერთ მხარეს საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა, მეორე მხარეს კი – აშშ და ბრიტანეთი. ომის დროს მათი *მოკავშირეობა* განპირობებული იყო მხოლოდ საერთო, თითოეულ მათგანზე უფრო

ძლიერი, მტრის არსებობით. ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ ომის დროს არ ენდობოდნენ. ომის დამთავრებისთანავე ეს უნდობლობა ზედაპირზე ამოტივტივდა.

უკვე 1946 წლიდან დაიწყო „ცივი ომი“, გამალებული შეიარაღებითურთ, რაც „ცხელი ომისათვის“ მზადებას ნიშნავდა. საბედნიეროდ, „ცივი ომი“ არ გადაზრდილა მსოფლიო მასშტაბის სამხედრო მოქმედებაში, რადგან არსებობდა „შიშის ბალანსი“, რომელსაც 1949 წლიდან ორივე მხარის ხელში მყოფი ბირთვული იარაღი განაპირობებდა. „ცივი ომის“ გლობალურმა გეოპოლიტიკურმა სისტემამ 40 წელზე მეტ ხანს იარსება.

მოხდა ***გეოპოლიტიკური ძვრა:*** 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან მსოფლიო ჰეგემონობის პრეტენდენტი გახდა ორი ზესახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, რომელთაც თავიანთი მოკავშირე ქვეყნებისაგან საკმაოდ მყარი სამხედრო ბლოკები შექმნეს.

1949 წელს ამერიკის მეთაურობით შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ***ნატო*** (North Atlantic Treaty Organization). მისი მიზანი იყო კომუნიზმისაგან დაეცვა „თავისუფალი სამყარო“, როგორც უწოდებდნენ საკუთარ თავს მრავალპარტიული ლიბერალური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მქონე ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

მოგვიანებით, 1955 წელს, ნატოს გამაწონასწორებლად საბჭოთა კავშირმა ***„ვარშავის პაქტი“*** ჩამოაყალიბა, რომელშიც თავისი სატელიტი ევროპული ქვეყნები შეიყვანა.

მსოფლიო ბიპოლარული გახდა: კრემლი ან თეთრი სახლი – არჩევანი სულ ეს იყო!

სტალინის (და მისი მემკვიდრეების) ფაქტობრივი დოქტრინა იყო „კომუნიზმის ექსპორტი“ ევროპასა და აზიაში, აშშ-ის პრეზიდენტ ტრუმენის (და მისი მემკვიდრეების) გამოცხადებული დოქტრინა კი – „კომუნიზმის შეჩერება“. რეალურად „კომუნიზმის ექსპორტი“ ნიშნავდა არა იმდენად კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებას, რამდენადაც საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონიის გავრცელებას.

ამერიკა მრავალ ქვეყანაში წინაღუდგებოდა „კომუნიზმის გავრცელების საფრთხეს“ და ამ დროს არ თაკილობდა თანამშრომლობას დიქტატორულ რეჟიმებთანაც კი: მთავარი იყო ეს რეჟიმი ანტისაბჭოთა ყოფილიყო.

ზუსტად ასევე იქცეოდა საბჭოთა კავშირიც, რომელიც მზად იყო ეთანამშრომლა ისეთ რეჟიმთან, რომელიც ადგილობრივ კომუნისტებს სდევნიდა, მაგრამ ანტიამერიკული იყო. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა XX საუკუნის მეორე ნახევარში.

პოლიტიკაში განუწყვეტლივ მოქმედებს ორმაგი სტანდარტები. საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების დაცვისას ლიდერები მორალზე ნაკლებად ფიქრობენ.

ამერიკის პრეზიდენტების უმრავლესობას ესმოდა, რომ ყველა ქვეყნის მიმართ დასავლური დემოკრატიის პრინციპების მიხედვით მიდგომა კონტრპროდუქტიული შეიძლება გამომდგარიყო. ამიტომაც ხანდახან ისინი მხარს უჭერდნენ სავსებით ანტიდემოკრატიულ რეჟიმებს.

უშუალოდ ომის შემდეგ უკიდურეს ბოროტებაზე, ნაციზმზე, გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის მიერ გაღებული დიდი მსხვერპლი, წითელი არმიის გმირობა, რაც მსოფლიო პრესაში ფართოდ შუქდებოდა, დიდების შარავანდედს ჰფენდა საბჭოთა კავშირს და მის *„გენიალურ ბელადს – გენერალისიმუს სტალინს“*. ეს ზოგადად კომუნიზმის იდეის სასარგებლოდ მუშაობდა.

ევროპის, აზიის, მოგვიანებით ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში გაჩნდნენ გეგმური ეკონომიკის გულწრფელი მომხრეები. ძალიან ბევრ ქვეყანაში იქმნებოდა ან იატაკქვეშეთიდან გამოდიოდნენ კომუნისტური პარტიები.

სხვათა შორის, დასავლეთის ქვეყნების პროკომუნისტურ ინტელექტუალებს ჯერ კიდევ *ლენინი* ცინიკურად უწოდებდა „სასარგებლო იდიოტებს“. ეჭვგარეშეა, რომ არანაკლები ცინიკოსი – *სტალინი* – იმავე აზრს იზიარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირს ნაციზმზე გამარჯვებისთვის დაფნის გვირგვინი ედგა თავზე, კომუნისტური რეჟიმების დამყარება ყველგან ძალადობრივი მეთოდებით ხდებოდა. აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპას – *პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, რუმინეთს, ბულგარეთს* ძალიან მალე, 1940-იანი წლების მეორე ნახევარში, პროსაბჭოთა რეჟიმები მოახვიეს თავს, საბჭოთა კავშირში გაწვრთნილი შესაბამისი უშიშროების სამსახურებითურთ, რომლებიც ულმობელი მეთოდებით უზრუნველყოფდნენ ამ რეჟიმების მდგრადობას. 1949 წლიდან ამ ქვეყნების ჯგუფს შეუერთდა *გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც*. ევროპაში იშვიათი ქვეყნები, სადაც კომუნისტური რეჟიმი საბჭოთა ჯარების „დახმარების“ გარეშე დამყარდა, აღმოჩნდნენ *იუგოსლავია* და *ალბანეთი*, თუმცა ბელგრადის ნაცისტებისაგან განთავისუფლებაში საბჭოთა არმიამაც მიიღო მონაწილეობა.

ყველა ზემოხსენებულ ქვეყანაში ერთპარტიული რეჟიმები ჩამოყალიბდა. ზოგან ფორმალურად შეინარჩუნეს მეორეხარისხოვანი პარტიები: ისინი ექვემდებარებოდნენ მმართველ კომუნისტურ პარტიას. კომპარტიას განსხვავებული სახელიც შეიძლებოდა ჰქონოდა, ასე მაგალითად, გდრ-ში კომუნისტებმა „გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია“ დაირქვეს სახელად, პოლონეთში – „მუშათა გაერთიანებული პარტია“. ყველგან მოხდა მრეწველობის ნაციონალიზაცია, ბევრგან – მიწისაც. კერძო საკუთრება გაუქმდა ან ძალიან შეიზღუდა. „ექსპლუატატორი კლასები“ ფაქტობრივად მოსპეს, გააქციეს ან გააღატაკეს. გეგმური ეკონომიკის მართვა ცენტრალიზებულად, პარტიის ხელმძღვანელობით ხდებოდა.

აზიაში ასეთივე კომუნისტური რეჟიმები ჩამოყალიბდა *მონღოლეთში* (ჯერ კიდევ ომამდე), *ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში*, ცოტა მოგვიანებით – *ჩრდილოეთ ვიეტნამში*.

საბჭოთა კავშირში ამ ფაქტობრივ სატელიტებს „*სახალხო დემოკრატიის ქვეყნები*" უწოდეს. კაპიტალისტურ დასავლეთში კი მათ „*კომუნისტური ქვეყნები*" დაარქვეს, რასაც დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის რიგითი მოქალაქისათვის ძალიან ავბედითი ჟღერადობა უნდა ჰქონოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა აგენტურა *საბერძნეთშიც* გეგმავდა კომუნისტური რეჟიმის დამყარებას. 1946-1949 წლებში იქ სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკამ არ დაუშვეს ხმელთაშუა ზღვის აუზში დასავლეთის მიმართ მტრული ძალის გამოჩენა.

ძალიან მალე „სახალხო დემოკრატიის ქვეყნების" ჯერ ჩამოუყალიბებელ ბლოკში ბზარი გაჩნდა. 1948 წელს *იუგოსლავიის* ხელმძღვანელმა *იოსიპ ბროზ ტიტომ* უარი განაცხადა სტალინის ვასალობაზე. მრავალეროვნულ იუგოსლავიაში, სადაც მოსახლეობის ნახევარი სერბი იყო, მამით ხორვატი და დედით სლოვენი ტიტოს უდიდესი ავტორიტეტი ეყრდნობოდა მის გმირობას მისივე ხელმძღვანელობით გერმანული ნაციზმის წინააღმდეგ წარმოებული პარტიზანული ომის დროს.

სტალინი სიამოვნებით დასჯიდა ტიტოს, მაგრამ, ამ უკანასკნელისათვის საბედნიეროდ, საერთო საზღვარი საბჭოთა კავშირთან იუგოსლავიას არ ჰქონდა. დასავლეთის ქვეყნები ფარულად მხარს უჭერდნენ იუგოსლავიურ კომუნიზმს საბჭოთა კომუნიზმის წინააღმდეგ. სტალინი შემოიფარგლა ტიტოს გათათხვით, მისთვის „რევიზიონისტის" სახელის მიკერებით და 1949 წლის სექტემბერში იუგოსლავიასთან ურთიერთობის გაწყვეტით. შესაძლოა, საბჭოთა სპეცსამსახურები ტიტოს წინააღმდეგ ტერორისტულ აქტს ამზადებდნენ კიდეც, მაგრამ ან ხელი მოეცარათ, ან საიმედო შემცვლელის კანდიდატურა ვერ მონახეს.

1955 წელს სტალინის მემკვიდრეებმა იუგოსლავიასთან ურთიერთობა აღადგინეს და პირადად ესტუმრნენ ტიტოს ბელგრადში; მაგრამ ეს უკანასკნელი „*ვარშავის პაქტს*" მაინც არ შეუერთდა.

1949 წელს *ჩინეთის რესპუბლიკის* ხელისუფლება – პარტია *გომინდანის* მთავრობა *ჩან კაიშის* მეთაურობით, რომელიც ათიოდე წელი ებრძოდა იაპონელ აგრესორებს, მეტოქე დაჯგუფებამ – *მაო ძედუნის* კომუნისტურმა პარტიამ. დაამარცხა და კონტინენტური ჩინეთიდან განდევნა. *ჩან კაიში* ჩინეთის სამხრეთით მდებარე კუნძულ ტაივანზე გადაბარგდა. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნები, უპირველესად აშშ, სწორედ ტაივანს ცნობდნენ „ჩინეთის რესპუბლიკად" და ტაივანი ფლობდა გაეროს უშიშროების საბჭოში ჩინეთის მანდატსა და ვეტოს უფლებას.

საბჭოთა კავშირმა, რომელმაც *მაო ძედუნს* მნიშვნელოვანი სამხედრო დახ-

მარება გაუნია, და მისმა სატელიტებმა, თავის მხრივ, ცნეს 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადებული *ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა*, დედაქალაქით პეკინში.

1949 წლის დეკემბერში, როდესაც მსოფლიო დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავს ზეიმობდა, მაო ძედუნი მოსკოვში პირადად ეახლა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს და ფაქტობრივად თავისი ვასალიტეტი ცნო. 1950 წლის 14 თებერვალს საბჭოთა კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ „მეგობრობის ხელშეკრულება" დადეს.

ეს იყო სტალინის დიდების ზენიტი. ევრაზიის ნახევარი მის ფერხთით იდო.

თუმცა, გიგანტური ჩინეთის მორჩილება ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. სულ ათიოდე წლის შემდეგ *მაო ძედუნი* მთლიანად გამოვიდა კრემლის ჩრდილიდან და მძაფრად დაუპირისპირდა სტალინის მემკვიდრეს, *ნიკიტა ხრუშჩოვს*.

ამიერიდან თავად *თავმჯდომარე მაო* გახდა „დიდი ბელადი" და „მანათობელი შუქურა" ე.წ. განვითარებადი ქვეყნების, ყოფილი კოლონიებისა და ზოგიერთი ქვეყნის კომუნისტური პარტიისათვის. „მაოიზმი" ანგარიშგასაწევ იდეოლოგიურ ძალად იქცა.

დანგრეული ეკონომიკის აღდგენის გზები

ომის შემდეგ ევროპისა და იაპონიის აღდგენას დრო დასჭირდა, მაგრამ არც ისე დიდი – სულ 10-15 წელი. ამერიკამ, რომლის ძირითად ტერიტორიას ომი არ შეხებია, და რომელიც ომისშემდგომი მსოფლიოს მთელი სამრეწველო პროდუქციის 60 პროცენტს აწარმოებდა, *„მარშალის გეგმით"* სერიოზული დახმარება გაუწია დასავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და იაპონიას.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის, *ჯორჯ მარშალის*, სახელით ცნობილი გეგმა, რომლის „ინტელექტუალური არქიტექტორი" იყო „ცივი ომის" პერიოდში ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი შემმუშავებელი *ჯორჯ კენანი*, ითვალისწინებდა რეალურ ეკონომიკურ დახმარებას მსოფლიო ომით დაზარალებული ევროპისათვის, მათ შორის გერმანიისათვისაც. განსხვავებით პირველი მსოფლიო ომისშემდეგი პერიოდისაგან, როდესაც გამარჯვებულმა ანტანტამ პირდაპირ გაატყავა დამარცხებული გერმანია და ამით რევანშიზმის საფუძველი შექმნა, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ამერიკამ, პირიქით, დახმარების ხელი გაუწოდა დანგრეულ [დასავლეთ] გერმანიას. რეპარაციები, რომელთაც დასავლეთის ქვეყნები ცენტრალიზებულად იღებდნენ, შედარებით ზომიერი აღმოჩნდა. ამან მადლიერების გრძნობა წარმოქმნა გერმანელ ხალხში და რევანშიზმის ფესვები გადაჭრა.

„მარშალის გეგმა" გამიზნული იყო მსოფლიო ეკონომიკის აღდგენაზე, რაც იმავე ამერიკისათვის იყო ხელსაყრელი.

რადგან საბჭოთა კავშირმა ამაყად განაცხადა უარი ამერიკულ დახმარებაზე (რაც მისი ეკონომიკური სისტემის გამჭვირვალობასაც გულისხმობდა: სტალინი ამაზე არასოდეს დათანხმდებოდა!), „მარშალის გეგმა“ დასაელეთ და სამხრეთ ევროპის ყველა არაკომუნისტური ქვეყნის (ესპანეთისა და ფინეთის გარდა), აგრეთვე თურქეთის ეკონომიკურ აღორძინებას ემსახურა.

შესაძლოა, ყველაზე მოულოდნელი იყო [დასავლეთ] გერმანიისა და იაპონიის გარდასახვა მსოფლიოს ყველაზე მშვიდობიან ქვეყნებად: მათ თავიანთ ახალ კონსტიტუციებში შეიტანეს მუხლები, რომლებითაც საკუთარ მცირერიცხოვან თავდაცვით ძალებს უკრძალავდნენ საზღვარგარეთ რაიმე სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას. ის, რომ ეს ქვეყნები მინიმალურ თანხას ხარჯავდნენ სამხედრო მიზნებისათვის, მათი სწრაფი ეკონომიკური აღორძინების საწინდარიც გახდა.

საბჭოთა კავშირმა გერმანიისაგან რეპარაციების ცენტრალიზებული წესით მიღება არ ისურვა: სტალინს სულაც არ აძლევდა ხელს საერთაშორისო კონტროლი ამ საქმეში.

საბჭოთა კავშირმა იმდენი სამრეწველო საწარმოს დემონტაჟი, სარკინიგზო რელსების აყრა, ცოცხალი პირუტყვის გამოყვანა და სურსათის გამოტანა შეძლო (თანაც ყოველგვარი საერთაშორისო კონტროლის გარეშე!) აღმოსავლეთ გერმანიის თავისი საოკუპაციო ზონიდან, ნაწილობრივ – ცენტრალური ევროპის „განთავისუფლებული“ ქვეყნებიდან (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი, ავსტრიის ნაწილი), აგრეთვე მანჯურიიდან, რომ ხუთ წელიწადში თავისი ინდუსტრიული პოტენციალის ძირითადად აღდგენა მოახერხა.

საბჭოთა მონაცემებით, რომლებსაც ნახევარი საუკუნის შემდეგ მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“, გერმანიიდან საბჭოთა კავშირმა წამოიღო 2885 ქარხანა, 96 ელექტროსადგური, 340 ათასი ჩარხი, 200 ათასი ელექტრომოტორი, 400 ათასამდე სარკინიგზო ვაგონი, მათგან 72 ათასი დატვირთული სამშენებლო მასალებით, და ა.შ.

1980-იან წლებამდე მოსკოვის ცენტრს, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ემსახურებოდა ბერლინში ჰიტლერის რაიხსკანცელარიის სატელეფონო კვანძის მოწყობილობა, რომელიც მოსკოვში 1945 წელს გადმოიტანეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, 1949 წელს, რეპარაციების მიღება შემცირდა, ხოლო 1954 წლის 1 იანვრიდან შეწყდა. მაგრამ იქამდე, გერმანული რეპარაციების წყალობით, საბჭოთა კავშირში შეიქმნა მისთვის სრულებით ახალი ოპტიკური, ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობა. მსუბუქ მანქანა „მოსკვიჩს“ ომის შემდეგ უშვებდნენ გერმანული ჩარხებითა და გერმანულივე ტექნიკური დოკუმენტაციით, ოღონდ ამჯერად – საბჭოთა კავშირში. ქუთაისის ავტოქარხანა ასევე

გერმანული ჩარხებითა და ტექნოლოგიით მუშაობდა, უბრალოდ, მუშები იყვნენ მოუმზადებლები – ყოფილი გლეხები. ამიტომაც მათი პროდუქცია მაინცდამაინც შორს ვერ მიდიოდა!

ომში დაღუპული თავისი ახალგაზრდა მამაკაცების შრომის კომპენსაციას საბჭოთა კავშირი ომისშემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში ახდენდა მილიონობით სამხედრო ტყვის მეშვეობით, რომლებსაც უსასყიდლოდ ამუშავებდა დანგრეული საბჭოთა ქალაქებისა და ეკონომიკის აღდგენაზე.

საბჭოთა კავშირმა ევროპის ქვეყნებიდან ტყვედ წამოიყვანა 3,5 მილიონი ადამიანი – მათი უმრავლესობა გერმანელი. იყო აგრეთვე 60-მდე სხვა ეროვნების ახალგაზრდა მამაკაცი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ნაცისტურმა გერმანიამ აიძულა ეთანამშრომლა მასთან. 639 ათასი ტყვე საბჭოთა კავშირმა იაპონიის დამარცხების შემდეგ აიყვანა.

სამხედრო ტყვეების შრომით აიგო, მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი. ტყვეები მუშაობდნენ მეტალურგიულ ქარხნებში, მაღაროებში, სადაც ქვანახშირს, რკინას, ოქროს, ურანიუმს, ტყვიას, კალას, ვერცხლისწყალს მოიპოვებდნენ. ტყვეები მოკავშირე რესპუბლიკებსაც დაუნაწილეს. უშუალოდ ომის შემდეგ თბილისის მრავალი კარგად ნაგები შენობა, მაგალითად, საქართველოს პარლამენტი თბილისში, „იმელს"-ის შენობა („მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტი") დისციპლინიანი გერმანელი ტყვეების ხელითაა აგებული: ისინი ცემენტს არ იპარავდნენ!

1950 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა დასრულებულად გამოაცხადა ტყვეთა რეპატრიაცია, სულ ორ მილიონამდე ადამიანი დაბრუნდა სამშობლოში. მაგრამ ტყვეების ნაწილი კიდევ სამიოდე წელი არ დაუბრუნებიათ. ისევე, როგორც საბჭოთა ტყვეები ნაცისტურ გერმანიაში, ბევრი გერმანელი და იაპონელი ტყვე მძიმე შრომას და, უბრალოდ, შიმშილს გადაჰყვა. ისინი მონების მდგომარეობაში ჰყავდათ – უუფლებო, მშიერ-მწყურვალი. მათ შორის სიკვდილიანობა ძალიან მაღალი იყო. საბურთალოზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ახლოს, გერმანელ ტყვეთა სასაფლაოა.

ბირთვული იარაღი, მსოფლიო პოლიტიკა და ქართველები

ომის ერთ-ერთი სერიოზული შედეგი იყო *უდიდესი ტექნოლოგიური წინსვლა* სამხედრო შეიარაღების სფეროში, რასაც დიდი გეოპოლიტიკური შედეგები მოჰყვა.

ომის დროს გერმანელმა კონსტრუქტორმა *ვერნერ ფონ ბრაუნმა* პირველად შექმნა და ლონდონის დასაბომბად გამოიყენა *ბალისტიკური რაკეტა V-2* („ფაუ-2"). როგორც ჩანს, სწორედ ამ „საოცარი იარაღის" იმედი ჰქონდა

ჰიტლერს სიცოცხლის ბოლო დღემდე. ომის შემდეგ ფონ ბრაუნი ამერიკელებს ჩაბარდა და ამერიკას ემსახურა. მისი „ფაუ-2"-ის მოდიფიკაციებია შემდგომში შექმნილი თითქმის ყველა რაკეტა, რომელთაც კოსმოსში გაჰყავდა საბჭოთა თანამგზავრები, მთვარეზე მიჰყავდა ამერიკელი ასტრონავტები და „სპარსეთის ყურის" პირველი ომის დროს (1991წ.) ერაყის დიქტატორს, სადამ ჰუსეინს, ისრაელის დაბომბვის საშუალებას აძლევდა. რაკეტულმა ტექნიკამ მკვეთრად შეცვალა თანამედროვე სამხედრო სტრატეგია.

ომის ბოლო თვეებში გერმანიამ გააოცა მოწინააღმდეგეები, როდესაც პირველად გამოიყენა *რეაქტიულძრავიანი თვითმფრინავი „მესერშმიტ-262"*, თუმცა ომში გარდატეხის შეტანა უკვე შეუძლებელი იყო.

დიდ ბრიტანეთში გამოგონებული *რადარი* მის მიერ გერმანიასთან საჰაერო ომის მოგების ერთ-ერთი წინაპირობა გახდა. ბრიტანულმა *რადიოლოკატორებმა* კი გერმანული წყალქვეშა ნავების ეფექტი თითქმის ნულამდე დაიყვანეს: მათი აღმოჩენა და ჩაძირვა გაადვილდა.

მსოფლიო ომის შედეგი იყო ატომური იარაღის გამოგონება, რაც ომის გარეშე შეიძლებოდა ათწლეულებით გადადებულიყო.

გერმანელი მეცნიერები 1939 წლიდან გამალებით მუშაობდნენ *ატომური ბომბის* შექმნაზე, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ მოასწრეს: პროექტის ხელმძღვანელმა *ვერნერ ფონ ჰაიზენბერგმა* არასწორი გათვლები გააკეთა (დავობენ – შეგნებულად, მორალური პოზიციიდან გამომდინარე, თუ უნებურად). სამაგიეროდ, მისმა მოწაფეებმა, *პაიერლსმა* და *ფრიშმა*, რომლებიც იძულებული გახდნენ ებრაელ მეცნიერთა დიდ ჯგუფთან ერთად გერმანია დაეტოვებინათ, უკვე 1940 წელს დიდ ბრიტანეთში ემიგრაციაში ყოფნისას თეორიულად დაასაბუთეს ატომური ბომბის შექმნის შესაძლებლობა სულ ერთი კილოგრამი ურან-235-ის მეშვეობით. სხვა გერმანელი მეცნიერებიც, სხვადასხვა, ხშირად პირადი მიზეზით, ფაქტობრივად საბოტაჟს უწყობდნენ ნაცისტური გერმანიის ბირთვულ პროექტს. ომის ბოლოს ამერიკელებმა (ბრიტანელებთან ერთად) დაამზადეს ასეთი ბომბი და იაპონიის წინააღმდეგ გამოიყენეს ის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ანგლო-ამერიკელებისა და საბჭოთა დაზვერვები დამარცხებული გერმანიის ტერიტორიაზე გაფაციცებით დაეძებდნენ მეცნიერებს, რომელთა ტვინის გამოყენება მათ ერთიმეორეზე უპირატესობას შესძენდა. გერმანელი მეცნიერები, თუ მათ არჩევანი ჰქონდათ, ამჯობინებდნენ დასავლეთის მხარეს ჩაბარებოდნენ ტყვედ, თუმცა მათი ნაწილი რუსებმაც იგდეს ხელთ, მათ შორის ბირთვული ფიზიკოსები და რაკეტული ტექნიკის სპეციალისტები.

საბჭოთა არმიას ხელში ჩაუვარდა გერმანელი სპეციალისტების მიერ გადამუშავებული 300 ტონა ურანის შენაერთები, რამაც დააჩქარა საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა.

1949 წლიდან საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა ატომური ბომბი. **ბირთვული იარაღი აღმოჩნდა ის ფაქტორი, რომელმაც საბჭოთა კავშირს შეუნარჩუნა მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსი,** მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთთან შედარებით ეკონომიკური ჩამორჩენილობა სულ უფრო მატულობდა. იგივე ბირთვული იარაღი და მისი მიტანის საშუალებები საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს, რუსეთის ფედერაციას, უნარჩუნებს მდგრადობას და პრეტენზიას, რომ ისიც საბჭოთა კავშირის მსგავსად, მსოფლიო ზესახელმწიფოა. რუსეთის დაშლის პერსპექტივაც კი საყოველთაო შიშს აჩენს მსოფლიოში: ასეთ შემთხვევაში ვის ხელში მოხვდება კაცობრიობისათვის მომაკვდინებელი იარაღი?

საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ამერიკას გაუჩნდა ატომურზე ბევრად უფრო ძლიერი წყალბადის ბომბი. წყნარი ოკეანის ატოლ ბიკინიზე 1954 წელს გამოცდილი წყალბადის ბომბი დამანგრეველი ძალით 500-ჯერ აღმატებული აღმოჩნდა იმ ბომბზე, რომელმაც ჰიროშიმა მოსპო.

მალე საბჭოთა კავშირმაც გამოსცადა ანალოგიური იარაღი.

სწორედ ეს, მთელი კაცობრიობის გამანადგურებელი, ბირთვული იარაღი ინარჩუნებდა „შიშის ბალანსს" და არიდებდა მსოფლიოს ახალ „ცხელ ომს".

საბჭოთა ბირთვული და სარაკეტო იარაღის შესაქმნელად ლამის მთელი მსოფლიოს მეცნიერთა შესაძლებლობები იქნა გამოყენებული. მისი შემოქმედნი იყვნენ როგორც საბჭოთა, ისე გერმანიიდან წამოყვანილი მეცნიერები და ტექნიკოსები. ატომური ფიზიკის 39 გერმანელ სპეციალისტს გასაიდუმლოებულ *სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში* ამუშავებდნენ. მათ შორის ერთს, *პროფესორ ნიკოლაუს რილს*, განსაკუთრებული დამსახურებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც კი მიანიჭეს, ხოლო კვლევების ორგანიზატორი *ბარონი მანფრედ ფონ არდენე* სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი გახდა!

ბირთვული იარაღის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა სამხედრო დაზვერვამ („გრუ"-მ), რომელმაც მოიპოვა დასავლეთში დამუშავებული ბირთვული ტექნოლოგია და მოიტაცა ზოგიერთი სპეციალისტიც კი. ასე მაგალითად, 1951 წელს გახმაურებული პროცესის შემდეგ ამერიკაში სიკვდილით დასაჯეს ცოლ-ქმარი *ჯულიუს* და *ეთელ როზენბერგები*: მათ საბჭოთა დაზვერვას წყალბადის იარაღის შესახებ მკაცრად გასაიდუმლოებული დეტალები გადასცეს. იმავე პერიოდში დიდ ბრიტანეთში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ცოლ-ქმარ *მორის* და *ლონა ქოჰენებს*, რომელთაც ბირთვული საიდუმლოებების გარდა, ატომური წყალქვეშა ნავის კონსტრუქციაც მიაწოდეს საბჭოთა დაზვერვას (მოგვიანებით ისინი ბრიტანელ ჯაშუშებში გაცვალეს).

საბჭოთა ბირთვული იარაღის შექმნის ინიციატორი იყო *სტალინი*, ხოლო პროგრამის უშუალო, და ამავე პროგრამაში მონაწილე მეცნიერთა აღიარებით, უაღრესად ეფექტიანი ადმინისტრატორი – *ბერია*.

ორი ეთნიკური ქართველის ხელმძღვანელობით რუსეთმა მოიპოვა სამხედრო *„უკვდავების წამალი“*. იმის მტკიცება, რომ ამ ორი ადამიანის გარეშეც რუსი ხალხი შეძლებდა ასეთი იარაღის შექმნას მხოლოდ ისეთ შუბლმაგარ პატრიოტს შეუძლია, რომელსაც სჯერა, რომ ორთქლის მანქანა რუსმა პოლზუნოვმა გამოიგონა, ელექტრონათურა – რუსმა იაბლოჩკინმა, ხოლო რადიო – რუსმა პოპოვმა. ასე გვასწავლიდნენ საბჭოთა სკოლაში! სინამდვილეში კი ეს საგნები შოტლანდიელმა ჯეიმზ უოტმა, ამერიკელმა თომას ედისონმა და სერბმა ნიკოლა ტესლამ გამოიგონეს (ტესლას პირველობას იტალიელი მარკონი ეცილებოდა!).

რუსული ბირთვული იარაღის შექმნის ინიციატორისა და ადმინისტრატორის ქართველობა ჩვენთვის საამაყო სულაც არაა. მათ ნამოქმედარს არავითარი სიკეთე არ მოუტანია საქართველოსათვის. ხოლო ვაჟა-ფშაველას მიერ ჯერ კიდევ 1914 წელს დასმულ რიტორიკულ შეკითხვას

„ნეტავ თუ დაგვიფასდება
ქართველთა შვილებს ამაგი?“

ერთადერთი რეალისტური პასუხი აქვს: *„რასაკვირველია, არა!“*

საერთოდაც, იმპერიის მეთაურები ემსახურებიან არა რომელიმე ეთნოსის, არამედ მთელი იმპერიის ინტერესებს. სტალინი მხოლოდ წარმოშობით იყო ქართველი, რაც იმპერიისათვის არაფერს ნიშნავდა. ასევე არაფერს ნიშნავდა ის, რომ იმპერატრიცა ეკატერინა II წარმოშობით გერმანელი იყო. როგორც ეკატერინას, ისე სტალინის მიზანი რუსეთის განდიდება იყო.

რუსეთის უკანასკნელ იმპერატორს ნიკოლაი რომანოვს თითქმის არ ჰქონდა რუსული სისხლი: წინა ორი საუკუნის განმავლობაში მისი უკლებლივ ყველა წინაპარი გერმანელი ან სკანდინავიელი იყო. მაგრამ, განა ვინმე იტყვის, რომ ნიკოლაი II რუსეთის პატრიოტი არ იყო და რუსეთს არ შეეწირა მთელ თავის ოჯახთან ერთად.

თავი 15

სამხრეთ კავკასია კრემლის გეოპოლიტიკურ გათვლაში

ხალხთა დეპორტაცია

1943-44 წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირმა საომარი მოქმედება კავკასიიდან შორს გადაიტანა, სტალინმა საჭიროდ მიიჩნია შუა საუკუნეების მეთოდით დაესაჯა ეთნოსები, რომელთაც ბრალად დასდეს ოკუპაციის პერიოდში ნაცისტებთან თანამშრომლობა (*ყარაჩაელები, ბალყარელები, ყალმუხები, ყირიმელი თათრები*) ან უბრალოდ ასეთი თანამშრომლობის განზრახვა (*ჩეჩნებისა და ინგუშების* ტერიტორიის ოკუპაცია ვერმახტმა ვერ მოასწრო, მაგრამ ეს ხალხებიც იმავე ბრალდებით გადაასახლეს).

ნაცვლად იმისა, რომ ნაციზმთან თანამშრომლობით რეალურად სახელგატეხილი პირები გამოევლინათ და დაესაჯათ, მთელ ხალხებს დააკისრეს კოლექტიური პასუხისმგებლობა, იარაღის მუქარით აყარეს თავიანთი საცხოვრებლებიდან და ცენტრალურ აზიასა ან ყაზახეთში გადაასახლეს. იქ მათ მკაცრი ადმინისტრაციული ზედამხედველობა დაუწესეს, რათა ვინმეს უკან დაბრუნებაზე არ ეფიქრა.

უფრო ადრე, 1941 წელს ევროპული რუსეთიდან, უპირატესად ვოლგისპირეთიდან, სამხრეთ კავკასიიდან, მათ შორის საქართველოდანაც, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და ციმბირში პრევენციულად გაასახლეს *გერმანელები*. 1944 წლის ბოლოს სამხრეთ კავკასიიდან ასევე პრევენციულად გაასახლეს *მესხეთის მუსლიმი* მოსახლეობა.

ყველა მასობრივი გასახლებისას დიდი იყო მსხვერპლი. ახალ ადგილზე, ხანდახან ტრიალ მინდორში, დამკვიდრება უმძიმესი გამოცდა იყო, რასაც ბევრი დეპორტირებულის სიცოცხლე შეეწირა.

ჩრდილოეთ კავკასიიდან გასახლებულთა ადგილზე, სადაც გაუქმდა მათი ნაციონალური ავტონომიები, ეთნიკური რუსების დასახლება დაიწყეს. რსფსრ-

ის ყირიმის ოლქი, საიდანაც *ყირიმელი თათრები* აყარეს, თითქმის მთლიანად რუსული გახდა: იქ მიზანმიმართულად ჩაასახლეს საბჭოთა არმიის გადამდგარი რუსი ოფიცრები ოჯახებთან ერთად. ყირიმში დასახლდა კარგად ორგანიზებული და აგრესიული რუსული თემი, რომელიც XXI საუკუნეში სერიოზულ პრობლემებს უქმნის თანამედროვე უკრაინას. საქმე ისაა, რომ 1954 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა ეს ოლქი რსფსრ-დან უკრაინის სსრ-ს გადასცა. 1991 წლის ბოლოდან დამოუკიდებელ უკრაინის სახელმწიფოს ეს ტერიტორია მემკვიდრეობით ერგო და იძულებული გახდა, მისთვის ავტონომია მიენიჭებინა.

1943-1944 წლებში, საკმაოდ მოულოდნელად, ჩრდილოეთ კავკასიის ხარჯზე ათიოდე პროცენტით გაფართოვდა საქართველოს სსრ-ის ტერიტორია.

ყარაჩაელების გასახლების შემდეგ, 1943 წელს, მათი მიწის ნაწილზე შეიქმნა საქართველოს სსრ-ის *ქლუხორის* რაიონი. ქალაქ *მიქოიან-შახარს* გადაერქვა სახელი და მას *ქლუხორი* ეწოდა. მესტიის რაიონს შეუერთეს ბალყარეთის ნაწილი.

1944 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის გაუკაცრიელებულ მთიანეთში, *ითუმკალეს* რაიონისა და, ნაწილობრივ, *შატოის* რაიონის ხარჯზე, შეიქმნა საქართველოს სსრ-ის *ახალხევის* რაიონი. ყაზბეგის რაიონი უმნიშვნელოდ გაფართოვდა დარიალის ხეობაში – ადრე ჩრდილოეთ ოსეთს დაქვემდებარებული მცირე ტერიტორიის ხარჯზე. ჩრდილოეთ ოსეთს კი საგრძნობი ტერიტორიული კომპენსაცია მისცეს ინგუშეთისა და ყაბარდოს ხარჯზე.

ყაზბეგის რაიონის გაფართოებამ შუა საუკუნეების დროინდელი საქართველოს საზღვარი აღადგინა. ასე ჰქონდა ის აღწერილი ბატონიშვილ ვახუშტის: მის დროს ზემო და ქვემო ლარსი, დარიალი, ჩმი და რამდენიმე სხვა პატარა სოფელი ქართულ პროვინციას – *ხევს* – განეკუთვნებოდა.

ჩეჩენ-ინგუშებისა და ყარაჩა-ბალყარების მიწები ნამდვილად არ იყო ქართული. ჩვენ არ გვესაჭიროებოდა ეს *დანაელთა საჩუქარი*, თუნდაც მასში ევროპის უმაღლესი მწვერვალი – იალბუზი – ყოფილიყო.

ამ ტერიტორიების სრულად ათვისება ქართველების რეალურ დემოგრაფიულ პოტენციალს აღემატებოდა. ახალ რაიონებში იძულებით ჩაასახლეს ისედაც მცირერიცხოვან ქართველ მთიელთა სუბეთნოსები – სვანები, ფშავ-ხევსურები, მოხევეები, თუშები. თბილისს ეს ტერიტორიები ფაქტობრივად რესპუბლიკური ბიუჯეტით უნდა შეენახა: ამ მთიანი მხარეებიდან შემოსავალს გასავალი აჭარბებდა.

როდესაც 1955-1957 წლებში კრემლის (ფაქტობრივად – *ნიკიტა ხრუშჩოვის*) გადაწყვეტილებით ჩრდილოკავკასიელ ხალხებს მოუხსნეს ბრალდება სახელმწიფო ღალატში და მათ უკან დაბრუნება დაიწყეს, ქართველმა მოახალშენეებმა ჩააბარეს სახლები ძველ მფლობელებს და სამშობლოში დაბრუნდნენ. ჩვენი და ჩრდილოკავკასიელების ეთნიკური კონფლიქტი, საბედნიეროდ,

არ შედგა. საქართველოს სსრ-ის ტერიტორია აღდგა ომამდელ საზღვრებში, რაც თითქმის 70 ათას კვ. კმ-ს შეადგენდა. ისევ შემცირდა ყაზბეგის რაიონი.

1940-50-იანი წლების „ტერიტორიული გადანაწილების“ გამოძახილი იყო XX საუკუნის ბოლოს მომხდარი სისხლიანი დაპირისპირება ინგუშებსა და ოსებს შორის. 1944 წელს სტალინმა გააფართოვა ჩრდილოეთ ოსეთი ქალაქ ვლადიკავკაზის აღმოსავლეთით, *პრიგოროდნი* რაიონის ხარჯზე (დაახლოებით 1000 კვ. კმ), სადაც ომამდე ინგუშები ცხოვრობდნენ. ხრუშჩოვმა ეს რაიონი ინგუშებს აღარ დაუბრუნა და ის ოსებს დაუტოვა.

კავკასიელი მთიელების, განსაკუთრებით ვაინახების – ჩეჩნებისა და ინგუშების – კავკასიიდან განდევნა შედიოდა რუსეთის იმპერიულ ინტერესებში. საუკუნეების მანძილზე სწორედ ვაინახები უქმნიდნენ რუსეთს უდიდეს პრობლემას კავკასიის დამორჩილებისას. სტალინმა ჩვეული სისასტიკით გადაუწყვიტა რუსეთს ეს პრობლემა, როგორც ის ფიქრობდა – „სამუდამოდ“.

ხრუშჩოვმა კი, რომელიც ყველაფერს სტალინის საპირისპიროდ აკეთებდა, უკან დააბრუნა გადასახლებულები. ჩეჩნები ერთხანს ფიქრობდნენ ხრუშჩოვის ძეგლი დაედგათ გროზნოში. ეს სავსებით გასაგები მადლიერება იქნებოდა. აქვე ვინმეს შეიძლება დაებადოს რიტორიკული კითხვა: ხომ არ შეუწყო ხელი ხრუშჩოვის ქმედებამ რუსულ-ჩეჩნური ომების განახლებას XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნეში?

1950-იან წლებში კრემლმა უკან დაბრუნების უფლება არ მისცა მხოლოდ სამ დეპორტირებულ ხალხს. ესენი იყვნენ *ყირიმელი თათრები, ვოლგისპირელი გერმანელები* და *მესხეთის მუსლიმები.*

საბოლოოდ, XX საუკუნის ბოლოს, *თათრებს* ყირიმში დაბრუნების უფლება დამოუკიდებელმა უკრაინამ დართო და იქ მაშინვე გაჩნდა სერიოზული ეთნოტერიტორიული კონფლიქტი დაბრუნებულ და 1944 წლის შემდეგ იქ ჩასახლებულ რუსულ მოსახლეობას შორის.

გერმანელები 1990 წლის შემდეგ გაერთიანებულ გერმანიაში ბრუნდებიან, საიდანაც მათი წინაპრები XVIII-XIX საუკუნეებში ნებაყოფლობით მიიწვია რუსეთის იმპერიამ. სხვათა შორის, რუსეთის გერმანელებს, რომლებიც ფაქტობრივად რუსებთან ასიმილირებული იყვნენ, ძალიან გაუჭირდათ გერმანიაში ადაპტაცია.

რაც შეეხება *მესხეთის მუსლიმებს*, ისინი 1944 წლის ბოლოს გაასახლეს სამხრეთ საქართველოდან თურქეთის საზღვრისპირა ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის რაიონებიდან და აჭარის ასსრ-იდან, ოფიციალურად – 19818 ოჯახი (სულადობრივად ამას ანგარიშობენ 70 ათასიდან 89 ათასამდე). თურქებისა და ქურთების ნაწილი სომხეთის სსრ-ის ჩრდილოეთ რაიონებიდანაც გაასახლეს.

ომამდე მესხეთის მუსლიმ მოსახლეობას სხვადასხვა კრებით სახელს უწოდებდნენ, ხან „თათრებს", ხან – „აზერბაიჯანელებს", მოგვიანებით – მესხეთელ თიურქებს" (месхетинские тюрки), ან „თურქ-მესხებს" (турки-месхетинцы). თურქეთში მათ მოიხსენიებენ „ახალციხელ თიურქებად" (Ahıska Türkler).

ყველა ეს სახელი არაზუსტია. სინამდვილეში ეს იყო ეთნიკური ჯგუფების კონგლომერატი: გასახლებულები განეკუთვნებოდნენ გამუსლიმებულ მესხებს, სხვადასხვა თიურქულ ტომს, ქურთებს, ჰემშინებს (ამ უკანასკნელებს მოიხსენიებენ აგრეთვე „ხემშილებად" ან „ამშენებად": ისინი რამდენიმე საუკუნის წინ გამუსლიმებული სომხები არიან). მათ რეალურად აერთიანებდა მხოლოდ რელიგია – სუნიტური მიმართულების ისლამი. ოფიციალური მონაცემებით, მესხეთ-ჯავახეთიდან გასახლებულთა 70-მა პროცენტმა თავი „თურქად" მიიჩნია, 16-მა პროცენტმა – „აზერბაიჯანელად", 5-მა პროცენტმა – „ქურთად", დანარჩენმა „თათრებად" ან „იეზიდებად" (ეს უკანასკნელები მუსლიმები არ არიან); აჭარიდან გასახლებულთა შორის 45 პროცენტი „ქურთად" აღირიცხა, 38 პროცენტი – „თურქად", 17 პროცენტი – „ხემშილად" (ჰემშინად).

მესხეთიდან გასახლებულთა შორის ერთი ნაწილი იყო ბილინგვური, თურქულ-ქართულად მოლაპარაკე, ქართველთა მესხური სუბეთნოსის გამუსლიმებული ელემენტი, რომლის ეროვნული იდენტობის აღდგენაზე საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ დროულად არ იზრუნა.

უფრო სწორი იქნებოდა მთელი ამ ეთნიკური კონგლომერატისათვის „მესხეთის მუსლიმები" გვეწოდებინა.

მესხეთის მუსლიმები გაასახლეს ძირითადად შუა აზიაში, სადაც მათ დახვდათ თითქოს მსგავსი სოციალ-კულტურული გარემო: იქაური მოსახლეობაც სუნიტური ისლამის მიმდევარია და მონათესავე თიურქულ ენებზე მოლაპარაკე. მაგრამ მსგავსება ზედაპირული აღმოჩნდა. გადასახლებულთა შერწყმა ადგილობრივ მოსახლეობასთან არ მომხდარა.

გასახლება საგარეო პოლიტიკური მიზეზით მოხდა. სტალინი ემზადებოდა თურქეთთან ომისათვის და თადარიგი დაიჭირა. სამამულო ომის დროს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს – საბჭოთა კავშირის *თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის* 1944 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით სასაზღვრო ზონიდან ასახლებდნენ კრემლისათვის არასაიმედო ელემენტს, რომელიც მოიერიშე არმიის ზურგში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.

მესხეთის მუსლიმები საბჭოთა გეოპოლიტიკის მსხვერპლად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, 1918-1919 წლებში მათ ანტიქართული და ანტისომხური გამოსვლები ჰქონდათ, რასაც ოსმალეთის აგენტურა აქეზებდა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ეს საკმაოდ კანონმორჩილი ხალხი იყო. ამავე დროს, კრემლს ალბათ ჰქონდა ეჭვი, რომ ისინი პროთურქულად იყვნენ განწყობილი და მეორე მსოფლიო ომის დროს მზად იყვნენ ანტისაბჭოთა გამოსვლისათვის.

მესხეთის დაცარიელებულ სოფლებში ჩაასახლეს ქართველი გლეხები, ძირითადად დასავლეთ საქართველოდან. ეს ისეთივე იძულებით მოხდა, როგორც „თათრების" დეპორტაცია: უცნობ გარემოში ნებაყოფლობით გადასახლება არავის უნდოდა.

სამხრეთ საქართველოს სასაზღვრო ზონა დაიხურა. უშიშროების სამსახურის სპეციალური ნებართვის გარეშე იქ არც გარეშე ხალხს შეეძლო შესვლა და არც ახალჩასახლებულებს – გამოსვლა. ასე გრძელდებოდა ორმოცზე მეტი წელი.

სამხრეთ საქართველოდან მოსახლეობის ჯგუფის ეთნორელიგიური ნიშნით აყრა და გასახლება მოხდა იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.

თანამედროვე საქართველო, რომელიც ოფიციალურად არ ითვლება საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ, პასუხს არ უნდა აგებდეს სხვა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. სსრკ-ის სამართალმემკვიდრის უპირატესობა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებანი თავის თავზე რუსეთის ფედერაციამ აიღო: მან გადაიხადა საბჭოთა კავშირის საგარეო ვალი, მანვე დაიტოვა საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის კუთვნილი დიდძალი ქონება და საბჭოთა ბირთვული იარაღიც.

მაგრამ 1999 წელს საქართველოს *ევროპის საბჭოში* მიღებისას ჩვენს ქვეყანას დაეკისრა პასუხისმგებლობა – 2011 წლამდე უზრუნველეყო 1944 წელს დეპორტირებულთა და მათი შთამომავლების უკან დაბრუნება. სხვათა შორის, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, სადაც ეთნიკურ წმენდებსაც კი ახორციელებდნენ, ასეთი სახის პირობა ევროპის საბჭოს არ წამოუყენებია. საქართველოსათვის ამ მძიმე ტვირთის აკიდების მთავარი ლობისტები იყვნენ თურქეთი და რუსეთის ფედერაცია.

საბჭოთა-თურქული და საბჭოთა-ირანული ურთიერთობები

მესხეთის მუსლიმების დეპორტაციის პოლიტიკური მოტივაცია *საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობას* ეხებოდა.

თურქეთის რესპუბლიკის დიპლომატიამ მეორე მსოფლიო ომის მთელი ექვსი წლის განმავლობაში მოახერხა ლავირება მეომარ გიგანტებს შორის და ფაქტობრივი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება დიდ ბრიტანეთთან „მოკავშირეობისა" და გერმანიასთან „მეგობრობის" პირობებში (ორივე ქვეყანასთან 1939 და 1941 წლებში მან სწორედ ასეთი ხელშეკრულებები დადო). ომისდროინდელი თურქეთის *realpolitic*-ი პრაგმატულობის ნათელი ნიმუშია.

ანკარაში ესმოდათ, რომ რომელიმე მხარეს ომში ჩართვა მათთვის საბედის-

წერო შეიძლებოდა გამომდგარიყო: იქ კარგად ახსოვდათ პირველი მსოფლიო ომის საეალალო შედეგები. თანაც, განსხვავებით გერმანიისაგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ვერსალის სინდრომისა" და რევანშიზმისათვის თურქეთში საკმარისი საფუძველი არ არსებობდა.

მეორე მსოფლიო ომის განმაელობაში თურქეთის არმია მობილიზებული იყო და მისი საგრძნობი ნაწილი კავკასიის სიახლოვეს იდგა. 1941-42 წლებში კრემლს, რომელიც იმ დროს გერმანიასთან ომს აგებდა, ჰქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ თურქეთი გერმანიის მხარეს აპირებდა გამოსელას: მისი სუბიექტურად პროგერმანული განწყობა ცნობილი იყო.

მაგრამ ოფიციალური ანკარა მკაცრად იცავდა ნეიტრალიტეტს. 1944 წლიდან კი, როდესაც ნათელი გახდა, რომ გერმანიის მარცხი გარდაუვალი იყო, თურქეთის საგარეო პოლიტიკა იმდენად გადაიხარა მოკავშირეების მხარეს, რომ ბერლინმა ანკარასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

თურქეთს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ ნაციზმის წინააღმდეგ ომში ფორმალური ჩაბმის წყალობით, რაც 1945 წლის 23 თებერვალს გამოცხადდა, თურქეთი, ნაციზმზე გამარჯვებული ქვეყნის სტატუსით, გაეროს ერთ-ერთი დამაარსებელი სახელმწიფო გახდა.

ომის შემდეგ თურქეთმა ამერიკისაგან მიიღო *„მარშალის გეგმით"* გათვალისწინებული დიდი ეკონომიკური დახმარება და, რაც მთავარია, ამერიკის პოლიტიკური მხარდაჭერა, რითაც თავი გადაირჩინა საბჭოთა კავშირთან თითქმის გარდაუვალი სამხედრო შეტაკებისგან.

შეიძლება დავუშვათ, რომ მსოფლიო ომის დროს ანკარა მზად იქნებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსულიყო, თუკი სტალინი ჰიტლერთან ომში დამარცხდებოდა, მაგრამ ეს არ მომხდარა. არაა გამორიცხული, რომ თურქული აგენტურა მუშაობდა მესხეთის მუსლიმებს შორის, თუმცა ამის დამადასტურებელი დამაჯერებელი მასალა ჯერ არ შემხვედრია.

მეორე მხრივ, დადასტურებული ფაქტია, რომ 1940 წელს, როდესაც ნაცისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ მეგობრობდნენ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი *ვიაჩესლავ მოლოტოვი* თავისი გერმანელი კოლეგისგან, *იოახიმ ფონ რიბენტროპისაგან,* მოითხოვდა ფორმალურ მხარდაჭერას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში საბჭოთა სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნისათვის, რაც თურქეთში საბჭოთა დომინაციის საფუძველი გახდებოდა. გერმანელებმა ამ მოთხოვნას ნაუყრუეს, მაგრამ შეშფოთდნენ.

არსებობს ცნობა, რომ რუსეთის წინააღმდეგ „ბარბაროსას" გეგმის შემუშავების დაჩქარება ჰიტლერმა თავის გენერალურ შტაბს დაავალა, როგორც კი დაინახა კრემლის მადა ბალკანეთისა და შავი ზღვის სრუტეების მიმართ. არსებითად, ეს რუსეთის იმპერიის ტრადიციული პოლიტიკის

გაგრძელება იყო. რასაკვირველია, ჰიტლერს სულაც არ ანაღვლებდა ბალკანეთის ხალხების ან თურქეთის ბედი: მას მეტოქის გაძლიერება არ უნდოდა.

მსოფლიო ომის ბოლო წელს საბჭოთა პოლიტიკა თურქეთის მიმართ მკვეთრად აგრესიული გახდა. უკვე 1944 წელს საბჭოთა კავშირმა მიიყვანა რკინიგზის ხაზი ახალციხის რაიონის სოფელ ვალემდე, ზედ თურქეთის საზღვარზე. რკინიგზას ეკონომიკური გამართლება ნაკლებად ჰქონდა, მაგრამ ომის შემთხვევაში ის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

1945 წლის 19 მარტს კრემლმა აღარ გააგრძელა 1925 წლის 17 დეკემბრის „თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ საბჭოთა-თურქული ხელშეკრულება“ და ამით ფაქტობრივად მისი დენონსაცია მოახდინა. 1945 წლის 7 ივნისს, როდესაც ევროპაში ომი სულ ერთი თვის დამთავრებული იყო, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა (*მინისტრები* საბჭოთა კავშირს მხოლოდ 1946 წლიდან ეყოლება) *მოლოტოვმა* მძაფრად დააყენა 1921 წლის მოსკოვის შეთანხმებით თურქეთისათვის დათმობილი (თურქების პოზიციიდან – „დაბრუნებული“) ტერიტორიების – ყარსის, ართვინის, არტაანის ოლქების – საბჭოთა კავშირისათვის გადაცემის, ანუ რუსეთის იმპერიის 1914 წლის საზღვრის აღდგენისა და, დამატებით, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნის საკითხი. სამხედრო ბაზების არსებობა კი ყოველთვის არის დომინაციის ფაქტორი.

დასავლეთელი მოკავშირეებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა თურქეთის მიმართ საბჭოთა კავშირის პრეტენზიები, რომლებიც არ განხილულა იალტის კონფერენციაზე, 1945 წლის თებერვალში. თანაც მსოფლიო ომი გრძელდებოდა, იაპონია ჯერ დამარცხებული არ იყო.

სტალინს იმედი ჰქონდა, რომ ამერიკის ახალი პრეზიდენტი მხარს დაუჭერდა თავისი შორეული წინამორბედის, *ვუდრო უილსონის* იდეას *დიდი სომხეთის* შექმნის შესახებ. მაგრამ სტალინის მიმართ კეთილგანწყობილი პრეზიდენტ*ის, ფრანკლინ დელანო რუზველტ*ის ნაცვლად, რომელიც იმავე 1945 წლის აპრილში გარდაიცვალა, ამერიკას პრაგმატულად მოაზროვნე და ხისტი პრეზიდენტი *ჰარი ტრუმენი* ხელმძღვანელობდა. არავინ იცის, შეძლებდა თუ არა სტალინი თუნდაც რუზველტის მხარდაჭერის მოპოვებას, ის ცოცხალი რომ ყოფილიყო.

1945 წლის პოტსდამის კონფერენციაზე სტალინმა ვერ მიიღო თავისი დასავლეთელი მოკავშირეების თანხმობა თურქეთში შეჭრაზე. კონფერენციის მსვლელობისას კი ამერიკელებმა უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს საბჭოთა კავშირს, როდესაც 16 ივლისს *ალამოგორდოში*, ნიუ-მექსიკოს შტატში, გამოსცადეს ზეიარაღი – ატომური ბომბი. სამი კვირის შემდეგ კი ამერიკის ავიაციამ ბირთვული იარაღით იაპონიის ორი ქალაქი მოსპო. ვაშინგტონმა მსოფლიოს, უპირველესად კი „მოკავშირე-მეტოქეს“, ანუ კრემლს, დაანახა თავისი სამხედრო სიძლიერე და „ატომური დიპლომატიის“ შესაძლებლობა.

სტალინმა იცოდა, რომ ამერიკელები ბრიტანელებთან ერთად ამზადებდნენ ბირთვულ იარაღს და აჩქარებდა თავის მეცნიერებსა და ტექნიკოსებს, რომ მათაც შეექმნათ საბჭოთა ატომური ბომბი. მაგრამ *1949 წლის 29 აგვისტომდე ასეთი იარაღი სტალინს არ ჰქონდა.* ამიტომაც კრემლი თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო აქციას თვითნებურად ვერ წამოიწყებდა.

თურქეთმა დახმარებისათვის მიმართა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მცირე ყოყმანის შემდეგ თეთრმა სახლმა გადაწყვიტა მხარი დაეჭირა ანკარისათვის და 1946 წელს არაორაზროვნად აგრძნობინა მოსკოვს, რომ არ დაუშვებდა მის ექსპანსიას სამხრეთისაკენ. 1947 წლის 12 მარტს კი აშშ-ის პრეზიდენტმა *ჰარი ტრუმენმა* გამოაქვეყნა თავისი *დოქტრინა*, რომლითაც თურქეთსა და საბერძნეთს ამერიკის სრულ პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას დაჰპირდა. საბერძნეთში იმ დროს სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და მისი გადასვლა პროსაბჭოთა კომუნისტების ხელში საკმაოდ რეალურ პერსპექტივას წარმოადგენდა.

ტრუმენის დოქტრინის შესაბამისად, კრემლის მუქარის საპირისპიროდ, ამერიკამ დაიწყო მნიშვნელოვანი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარების გაწევა თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებისათვის. ტრუმენის *დოქტრინა* ეყრდნობოდა ამ ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის ურყევობის პრინციპს. ამერიკული დახმარება ირანზეც გავრცელდა, რომელსაც ასევე ჰქონდა თავისი ჩრდილოელი მეზობლის – საბჭოთა კავშირის – შიშის საფუძველი.

საბჭოთა კავშირი მაინც აგრძელებდა დიპლომატიურ და პროპაგანდისტულ მუშაობას თურქეთის დასაშინებლად. ტერიტორიული მოთხოვნების საკითხი ულტიმატუმის ფორმით იქნა დაყენებული მოსკოვის 1946 წლის 7 აგვისტოს ნოტაში, რაც დიპლომატიური თვალსაზრისით სრულებით უდროო ნაბიჯი იყო: „ცივი ომი" დაიწყო და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თუ საბჭოთა კავშირი თურქეთში შეიჭრებოდა, აუცილებლად აიმხედრებდა ამერიკას.

ამერიკელების უკომპრომისობის გამოცდილება კი საბჭოთა კავშირმა სწორედ 1946 წელს შეიძინა, როდესაც ვაშინგტონმა აიძულა ის გასულიყო ჩრდილოეთ *ირანიდან*, სადაც ორი საბჭოთა არმია 1941 წლის სექტემბრიდან იდგა. დასავლეთელ მოკავშირეებთან შეთანხმებით ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჯარი სამ თვეში უნდა გასულიყო იქიდან. მაგრამ კრემლი არ ჩქარობდა ირანის დაცლას, სანამ ვაშინგტონმა კატეგორიულად არ მოსთხოვა ეს.

გენერალისიმუსს, როგორც ჩანს, გერმანიაზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ რეალობის გრძნობა ღალატობდა და ყოვლისშემძლედ გრძობდა თავს. შესაძლოა, სტალინი ცოტა გამოაფხიზლა ვაშინგტონის ნაბიჯებმა ირანის, თურქეთის, საბერძნეთის არსებული მთავრობების დასაცავად.

ძნელია იმის მტკიცება, რომ ეს მთავრობები იდეალური იყო თავიანთი

ხალხებისათვის, მაგრამ მათ დასამხობად გარედან ჩარევა რომ უარეს შედეგს მოუტანდა იმავე ხალხებს, ესეც ნათელია.

კრემლის მოქმედებას თურქეთთან დაკავშირებით შედეგად მოჰყვა ამ უკანასკნელის გეოპოლიტიკური ვექტორის მკვეთრი შებრუნება ახალი ოკეანისგაღმელი მოკავშირისაკენ.

1952 წელს თურქეთი *ნატოს* წევრი გახდა და ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის სამხრეთი ფლანგი უშუალოდ საბჭოთა კავშირის, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების, საზღვარს მიებჯინა. თურქეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ამერიკული სამხედრო ბაზები, სადაც 1952-1963 წლებში ბირთვული იარაღი ინახებოდა და საბჭოთა, მათ შორის კავკასიაში მდებარე, სამხედრო ობიექტებზე და ქალაქებზე დამიზნებული რაკეტები მუდმივ მზადყოფნაში იყო.

კრემლის გეოპოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის ხალხების ჩათრევის მცდელობა

კრემლის ზემოხსენებული ულტიმატუმების გასამყარებლად შიდა პროპაგანდისტული მომზადება იყო საჭირო, უპირველესად, სამხრეთ კავკასიაში. 1945 წლის მეორე ნახევრიდან და მომდევნო ორი-სამი წელი საბჭოთა პროპაგანდა სომხებსა და ქართველებს კვებავდა ისტორიული მიწების დაბრუნების ფუჭი ოცნებებით.

ის, რომ ეს ოცნებები ფუჭი იქნებოდა, კრემლში უკვე 1945 წლის აგვისტოში უნდა ყოფილიყო ნათელი, როდესაც ამერიკამ თავისი ბირთვული იარაღის სასტიკი დემონსტრაცია მოაწყო იაპონიაში.

მიუხედავად ამისა, იმავე წელს საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების დავალებით ამ რესპუბლიკებში დაიწყო ტერიტორიული მოთხოვნებისათვის „მხურვალე სახალხო მხარდაჭერის" დემონსტრირება. აზერბაიჯანის სსრ-ში იგივე კეთდებოდა 1945-1946 წლებში, მაგრამ იქ ეს კამპანია უეცრად შეწყდა 1946 წლის გაზაფხულზე, როგორც კი საბჭოთა ჯარები იძულებული გახდნენ ირანიდან გამოსულიყვნენ.

ადვილი ასახსნელია ცნობილი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერებისა თუ პოეტების მგზნებარე გამოსვლები *ისტორიული ტერიტორიების* მოთხოვნით, თუმცა აშკარაა, რომ ისინი კრემლის მიერ იყვნენ ანგაჟირებულნი.

სამხრეთ კავკასიის ხალხების პატრიოტული აღტკინების სტიმული ის იყო, რომ ნაციზმზე გამარჯვების ეიფორია საბჭოეთის ყველა ხალხს მოედო. პატარა ერების შვილები მიიჩნევდნენ, რომ ნაციზმის დამარცხებაში რუს ხალხთან

ერთად მათაც მიუძღვოდათ წვლილი, ხოლო საბჭოთა კავშირის უმაღლესი მხედართმთავარი სულაც ქართულ ქალაქ გორში დაიბადა. რატომ არ შეიძლებოდა, პატარა ერებს უფრო მეტ გამარჯვებაზე ეოცნებათ?

ვინ იტყვის, რომ იმდროინდელ ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს არ უნდა სდომებოდათ თავიანთი სამშობლოს გაფართოება?

ამავე დროს, თურქეთშიც იყვნენ (შესაძლოა, ახლაც არიან) ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან მათი სახელმწიფოს წინამორბედი – ოსმალეთის იმპერია – შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდში ფლობდა თბილისს, სოხუმს, ერევანს, ბაქოს, თაბრიზს, ყაზვინს და ა.შ., ეს ქალაქები, მიმდებარე მიწებითურთ, მათ *ისტორიულად* ეკუთვნით, ანუ ეს თურქეთის *ისტორიული ტერიტორიებია*. ირანში კი ზოგიერთი ნაციონალისტი იმას იხსენებდა (შესაძლოა, ახლაც იხსენებს), რომ ერევნის, ბაქოს, ყარაბაღის, შემახისა და სხვა სახანოები, ქართლისა და კახეთის სამეფოები საუკუნეების განმავლობაში ხარკს უხდიდნენ და ექვემდებარებოდნენ სპარსეთის შაჰებს.

ერთია პოეტური ოცნება და მეორე – გეოპოლიტიკური რეალობა.

უბრალო ადამიანებს, რომლებიც 1940-იანი წლების საბჭოთა პროპაგანდამ დემაგოგიურ-პატრიოტული ლოზუნგებით გაიტაცა, არ ესმოდათ (ვშიშობ, ზოგს ახლაც არ ესმის) თუ რა სახიფათო გეოპოლიტიკურ თამაშში ითრევდა მათ კრემლი.

ასე მაგალითად, კრემლი თამაშობდა ბაქოს აზერბაიჯანული ელიტის ეროვნულ გრძნობებზე და ახალისებდა ირედენტიზმს[30], როდესაც ჰპირდებოდა მას ირანის [სამხრეთ] აზერბაიჯანის შემოერთებას. საბჭოთა სპეცსამსახურებმა ირანში *აზერბაიჯანული ავტონომია* დააარსეს და ქალაქ თაბრიზში მარიონეტული პროსაბჭოთა მთავრობა დასვეს, ხოლო ქალაქ მეჰაბადში – *„ქურთისტანის რესპუბლიკის"* მთავრობა შექმნეს. ორივე ნაბიჯი ირანის დანაწევრებისაკენ იყო მიმართული.

როდესაც საბჭოთა არმიას მაინც მოუხდა ჩრდილოეთ ირანის დაცლა 1946 წლის აპრილში, კრემლის პროვოკაციას აყოლილი ხალხი გაუბედურდა. ბევრი უდანაშაულო ეთნიკური აზერბაიჯანელი და ქურთი (არა მხოლოდ პროსაბჭოთა კომუნისტი) ემსხვერპლა თეირანის უმკაცრეს სადამსჯელო აქციას.

განსაკუთრებული და გულწრფელი ენთუზიაზმით მოლოტოვის მრისხანე ნოტებს შეხვდნენ საბჭოთა სომხეთში, სადაც თავიანთი რესპუბლიკის ტერიტორიის სულ ცოტა გაორკეცების (იქნებ გაოთხკეცებისაც) იმედი გაუჩნდათ.

მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში სტალინის განზრახვის სერიოზულობას, წარედგინა ტერიტორიული მოთხოვნები თურქეთისათვის, მოწმობს მისი

[30] „ირედენტიზმი", ანუ სწრაფვა, შემოიერთონ სხვა ქვეყნის გამგებლობაში არსებული „ისტორიული ტერიტორია". irredenta (terra) იტალიურად ნიშნავს „გაუთავისუფლებელ (მიწას)". საერთაშორისო საზოგადოებრიობა და საერთაშორისო სამართალი ირედენტიზმს უარყოფითად აფასებს.

პოლიტიკის შეცვლა *სომხური ეკლესიისადმი*. საერთოდ, 1943 წლიდან სტალინი უფრო შემწყნარებელი გახდა მართლმადიდებელი და სომხური ეკლესიების მიმართ, რადგან ომის დროს მათ დიდად დაუჭირეს მხარი საბჭოთა ხელისუფლებას. სომხურმა ეკლესიამ დასავლეთის ქვეყნებში საკმაოდ გავლენიანი სომხური დიასპორაც კი დარაზმა საბჭოთა კავშირის მხარდასაჭერად.

ევროპაში ომის დამთავრებისთანავე, 1945 წელს, სტალინმა მისცა უფლება სომხურ სამღვდელოებას ჩაეტარებინა საეკლესიო კრება, მოეწვია დელეგატები საზღვარგარეთიდან და აერჩია კათოლიკოსი. ეს პოსტი 1938 წლიდან ეჭირა „ადგილმონაცვლეს“: მის კათოლიკოსად ასარჩევად კრემლიდან დასტურს ელოდნენ, უფრო ზუსტად – საჭირო იყო კრემლის ნებართვა საზღვარგარეთელი სომხების მოსანვევად, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ.

სტალინს უნდოდა, სომხებს ტერიტორიული მოთხოვნები თურქეთის მიმართ წამოეყენებინათ მანამდე, სანამ *1945 წლის ივლისის თვეში* პოტსდამში შეიკრიბებოდა გამარჯვებული ქვეყნების კონფერენცია, რომელზეც მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობა უნდა განსაზღვრულიყო. სტალინი სწორედ პოტსდამის კონფერენციაზე აპირებდა თურქეთის საკითხის მთელი სიმწვავით დაყენებას, რათა ამ საქმეში მოკავშირეების ნეიტრალიტეტი მოეპოვებინა. სამხედრო მხარდაჭერა მას არ ესაჭიროებოდა.

ეჩმიაწინის საეკლესიო კრების პერიოდში, რომელიც *1945 წლის ივნისში* ჩატარდა, ერევანში მოწვეულ პრესკონფერენციაზე გამოვიდა კრემლისაგან დიდად ნაფერები კენტერბერის (ინგლისი) სააბატოს დეკანოზი *ჰიულეთ ჯონსონი*, რომელსაც ევალებოდა „საერთაშორისო საზოგადოებრიობის აზრის გამოხატვა“. ჯონსონმა თქვა სომხებისა და სტალინისათვის სასურველი სიტყვები:

> „მე მთლიანად და მთელი გულით ვეთანხმები, რომ ოლქები, მიტაცებული თურქეთის მიერ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაუბრუნდეს სომხეთს... გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თქვეს, რომ სამართლიანობა მოითხოვს ამ მიწების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებას. ის, რაც დაიწერა მაშინ, უნდა აღსრულდეს ახლა“.

ჰიულეთ ჯონსონი გულისხმობდა 1920 წლის სევრის ხელშეკრულებას, რომლისთვისაც სომხეთის რესპუბლიკის საზღვრები ამერიკის პრეზიდენტ *ვუდრო უილსონის* ადმინისტრაციის მიერ იყო მოხაზული.

მაგრამ, როგორც ზევით ითქვა, სტალინმა ვერ მოიპოვა ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მხარდაჭერა ამ გეგმის განსახორციელებლად და *პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება არ მომხდარა*.

* * *

ახლა შეგვიძლია ვიმსჯელოთ სამოცზე მეტი წლის წინანდელ პოლიტიკურ აქციაზე და ვცადოთ რეტროსპექტულად გავაანალიზოთ, თუ *რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მოვლენათა სხვაგვარ განვითარებას საქართველოსათვის.*

საბჭოთა საქართველოს ჰიპოთეტური გაფართოება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ *1920 წელს დეკლარირებულ* საზღვრებამდე (რომლებიც მეზობლებთან დელიმიტირებული და, ამდენად, არც დემარკირებული არ იყო), როგორც ჩანს, ნიშნავდა იმპერიის დროინდელი ბათუმის ოლქში შემავალი ართვინის ოკრუგის ოთხი ათასზე ოდნავ მეტი კვადრატული კილომეტრის მქონე ტერიტორიის მიღებას.

იქნებ სტალინს გუნებაში ჰქონდა საქართველოსათვის აგრეთვე ცხრა ათასამდე კვადრატული კილომეტრი ფართობის არტაანისა და ოლთისის რაიონების შემოერთებაც? ან იქნებ სტალინი გეგმავდა საბჭოთა საქართველოს გაფართოებას ლაზეთის ხარჯზე? ერთი კარგი ქართველი პოეტი იმ დროს ხომ წერდა ლექსს „*ფიქრები ტრაპიზონის ოლქკომზე*“?!

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია. ვინ იტყვის ახლა, თუ რა გეგმები უტრიალებდა კრემლის ბელადს თავში XX საუკუნის შუა წლებში? მემუარები სტალინს არ დაუტოვებია!

ტერიტორიაზე, რომელიც ქართველებისათვის *ტაო-კლარჯეთი* იყო, თურქებისათვის – *ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლია*, სომხებისათვის – *აღმოსავლეთ სომხეთის* ნაწილი, ადგილობრივი მოსახლეობა, თუნდაც ის ქართული წარმოშობისა ყოფილიყო, უმეტესწილად თურქულენოვანი და მთლიანად მუსლიმი იყო. მისი დაბრუნება ქართულ კულტურულ გარემოში გაძნელდებოდა. ამის მაგალითად გამოდგებიან ზემოხსენებული ბილინგვური, თურქულ-ქართულენოვანი, მესხეთის მუსლიმები, რომლებიც საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ 23 წლის განმავლობაში ვერ (თუ არ?) დააბრუნა ქართველობაში.

თეორიულად რომც დავუშვათ, კრემლი საბჭოთა საქართველოს გადასცემდა მიწებს საქართველოს სამეფოს XIII საუკუნის დასაწყისის საზღვრამდე, მათი ათვისება მხოლოდ ქართველი ხალხის დემოგრაფიული ძალებით პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდებოდა. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს საბჭოთა კავშირის ტერიტორია იქნებოდა. იქ გაჩნდებოდა დიდი ეთნიკური სიჭრელე, მომავალი ეთნოკონფლიქტების საწინდარი.

საქართველოსათვის ყველაზე ოპტიმისტური ჰიპოთეტური სცენარით ტერიტორიულად გაფართოებული საბჭოთა საქართველო დაუმეზობლდებოდა მძაფრად რევანშისტულად განწყობილ სახელმწიფოს, თურქეთს, და სამუდამოდ მიბმული გახდებოდა თავის მწყალობელ რუსეთზე.

სომხეთისათვის ყველაზე ოპტიმისტური ჰიპოთეტური სცენარით მისი

ტერიტორია სამ-ოთხჯერ გაიზრდებოდა და საქართველოსა და თურქეთს შორის გაჩნდებოდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც შავ ზღვაზე ექნებოდა გასასვლელი.

ეჭვგარეშეა, რომ *ჰიპოთეტური ახალი საზღვრების ფორმირებისას სომხებსა და ქართველებს ერთმანეთთან სერიოზული დავა ელოდათ.* ვირტუალური დავა უფრო ადრე დაიწყო. ისტორიის ქართულ სახელმძღვანელოებში მითითებული *ტაო-კლარჯეთი* სომხურ სახელმძღვანელოებში *სომხეთის ნაწილად* მოიხსენიება. ეს ტერიტორია ძირითადად ემთხვევა 1878-1918 წლებში რუსეთის შემადგენლობაში მყოფ და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმებით თურქეთისათვის გადაცემულ ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებს. 1918-1920 წლებში იმდროინდელი სომხეთის რესპუბლიკა არტაანსა (*არდაჰან*) და ოლთისს (*ოლთი*) მიმდებარე რაიონებითურთ და, ხანდახან, ქ. ართვინსაც თავისად მიიჩნევდა.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გავხადო სომხური მხარის არგუმენტაცია, მაგალითად მოვიყვან ორიოდე ციტატას მოსკოველი სომეხი ავტორის *ლევონ ეირამჯიანცის* ერევნის გაზეთ „Голос Армении"-ში 2006 წლის 23 მაისს გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელშიც ის 1945 წლის მოვლენებზე ლაპარაკობს:

> „სომხეთისა და საქართველოს ულტიმატუმი ანეკდოტურად დამთავრდა. იმდროინდელი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, შემდგომში – მთავრობის მეთაურმა სარაჯოღლუმ სიტყვასიტყვით შემდეგი თქვა: 'ჩვენ ვიცით, რომ ეს სომხეთის ტერიტორიაა და მზად ვართ დავინყოთ დემარკაციის პროცესი... მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია საქართველოს პრეტენზიები... კარგი იქნებოდა, რომ თქვენ, საბჭოთა კავშირში ერთმანეთში გარკვეულიყავით და მერე გაგეყოთ მოუკლავი დათვის ტყავი' სომეხი მეცნიერების აზრით, არდაჰანზე [არტაანზე: რ.გ.] პრეტენზიების მქონე საქართველო თავის მოთხოვნებს ასაბუთებდა იმით, რომ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს ქალაქი არდაჰანი საქართველომ სომხეთს ნაართვა და მას ეკუთვნოდა სულ რაღაც ასიოდე წელი... ბელადის საყვარელი თამაში – ეკეთებინა მეფური საჩუქრები – და მოხერხებულ მომენტში ეჩუქებინა ქალაქი არდაჰანი საქართველოსთვის, იაპონიის ატომური დაბომბვის შემდეგ დამთავრდა იმით, რომ სტალინი ძალიან დამთმობი გახდა. დრო დაიკარგა. სომხური ტერიტორიების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა".

ზემოთ მოტანილი ციტატა საკმაოდ ზუსტად ასახავს სომხურ საზოგადოებრივ აზრს, თუნდაც მათში იყოს ანაქრონიზმები, შეცდომები ან სულაც გამოგონილი ამბები, რომლებზეც აქ კამათი არ ღირს.

სომხეთში ახლაც ვერ პატიობენ სტალინს გაუბედაობას. მას ხომ „*1945 წელს ერთი დარტყმით შეეძლო სომხეთისათვის დაებრუნებინა ისტორიული ტერიტორია!*"

სინამდვილეში, როგორც ზემოთ ითქვა, სტალინის ამ „გაუბედაობას" რეალ-

ური სამხედრო-პოლიტიკური გათვლა დაედო საფუძვლად, რომლის გაკეთება უკვე 1945 წელს სავსებით შესაძლებელი იყო.

კავკასიის ხალხებისათვის, ჯობდა კრემლს ასეთი გათვლა გაეკეთებინა მანამდე, სანამ პოლიტიკურ ავანტურას წამოიწყებდა.

ომის წაგების ან პოტენციურად წასაგები ომის სერიოზული მუქარის გარეშე არც ერთი სახელმწიფო არ დათმობს თავისი ტერიტორიის ერთ გოჯსაც კი. 1940-იანი წლების მეორე ნახევარში კი წითელი არმიის გენერალური შტაბისათვის სავსებით ნათელი იყო, რომ ხანმოკლე წარმატებული ომი თურქეთთან არარეალურია: საბჭოთა კავშირის შეტევა ნიშნავდა თურქეთის მხარეს ამერიკის გამოსვლას, რომელსაც ჰიროშიმასა და ნაგასაკის შემდეგ სავსებით შეეძლო ატომური ბომბიც გამოეყენებინა. სამიზნე, სავარაუდოდ, სამხრეთ კავკასიის დიდი ქალაქებიც იქნებოდა. რეგიონის უდიდესი ქალაქი კი თბილისი იყო.

1953 წლის მაისში, სტალინის გარდაცვალებიდან სულ ორიოდე თვეში, საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა უარი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში სამხედრო ბაზების შექმნისა და სრუტეების რეჟიმის გადასინჯვის მოთხოვნებზე და მოხსნა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ.

ნათელი გახდა, რომ საბჭოთა ულტიმატუმი ბლეფი იყო, მაგრამ საშიში უკუეფექტის მქონე. მან დარაზმა თურქეთის საზოგადოება ანტისაბჭოთა, ანტირუსულ, ანტისომხურ და ანტიქართულ ნაციონალისტურ საფუძველზე. მომდევნო ათწლეულებში ანკარამ ყველაფერი იღონა, რომ ქართულენოვანი მოსახლეობის ნაწილი მაინც საზღვრის მიმდებარე რაიონებიდან დასავლეთით, „უკეთეს საცხოვრებელ პირობებში“ გადაესახლებინა. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ვილაიეთები დიდი ხნით დაიხურა უცხოელებისათვის, შეწყდა ეკონომიკური განვითარება. სანაცვლოდ, იქ დიდი სამხედრო ნაწილების თავმოყრა მოხდა.

კრემლის მიერ აღტკინებული სამხრეთ კავკასიის ხალხების ემოციებზე თამაში არ აღმოჩნდა საკმარისი წარმატებული საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად, მაგრამ საკმარისზე მეტი – საერთაშორისო ვითარების მკვეთრად დასაძაბავად.

კრემლის სწორედ ასეთ აგრესიულ ნაბიჯებს (მათ შორის ცენტრალურ ევროპაშიც, სადაც მან „სოციალისტური რევოლუციების“ სერია ჩაატარა) მოჰყვა *ცივი ომი*.

ხალხებისათვის სჯობს, რომ მათმა პოლიტიკურმა და სულიერმა ელიტებმა – პოლიტიკოსებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, სამღვდელოებამ – საშიში ოცნებები არ წაახალისონ. მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების დაცვა.

იმდროინდელი სამხრეთ კავკასიის ინტელექტუალურ ელიტას კი ზედმეტს ნუ მოვთხოვთ: ზოგიერთისათვის კრემლის კამპანიისათვის მხარდაჭერა იყო „კონფორმისტული ცოდვა“, რომელიც ტოტალიტარულმა რეჟიმმა ჩაადენინა მათ – ხელისუფლების ბრძანება უნდა აღსრულებულიყო. უფრო მეტი მათგანი კი, პატრიოტული მოსაზრებით, ალბათ გულწრფელად მიიჩნევდა, რომ სიჩუმე დაუშვებელია: „ერთიც ვნახოთ და სტალინმა მართლაც დაიწყოს და მოიგოს ომი და ჩვენი ისტორიული მიწები დაგვიბრუნდეს!“

კარგ ქართველ მეცნიერებსა და დიდ პოეტებს იმ დროს, ბუნებრივია, არ შეეძლოთ დაენახათ მომდევნო პოლიტიკური განვითარება. მით უმეტეს, 1945-1947 წლებში, ბერლინის ამღები საბჭოთა კავშირის ძლიერების პიკის ხანაში, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ნახევარ საუკუნეზე ნაკლებ დროში საქართველო რუსეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდებოდა, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით ერჩივნა კეთილგანწყობილი და არა რევანშისტულად განწყობილი მეზობელი.

ნაწილი II

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი

თავი 16

დესტალინიზაცია

ბრძოლა ძალაუფლებისათვის: ბერიას დაცემა

1953 წლის მარტში სტალინის გარდაცვალებამ შეცვალა საბჭოთა კავშირში უკვე ჩვეულად ქცეული ცხოვრების წესი და რიტმი. ამ ფაქტმა მსოფლიოზეც მოახდინა დიდი გავლენა.

1953 წლის რამდენიმე თვის ისტორიის შესახებ მკითხველი აქ უფრო მეტ ინფორმაციას იხილავს, ვიდრე ზოგიერთი ათწლეულის შესახებ. ამ რამდენიმე თვემ მომდევნო ათწლეულების ისტორია განსაზღვრა.

სტალინის სიკვდილით *სტალინიზმი*, ანუ იგივე *საბჭოთა ტოტალიტარიზმი*, არ დამთავრებულა. მაგრამ ქვეყნის სათავეში აღმოჩენილმა ადამიანებმა მართვა ცოტა განსხვავებული მეთოდებით დაიწყეს და უნებურად, სწორედ მათ შეუწყვეს ხელი ტოტალიტარიზმის საფუძვლების მორყევას.

1952 წლის ოქტომბერში კომპარტიის XIX ყრილობაზე სტალინმა აღარ ინება ცენტრალური კომიტეტის მდივნად დარჩენა. *1941 წლიდან სიკვდილამდე ის რჩებოდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ*, ანუ ეჭირა იგივე პოსტი, რაც ბოლშევიკური სახელმწიფოს დამაარსებელს – ლენინს. სტალინმა გადაკვრით კი თქვა, *დაებერდი და დროა ახალი თაობა წამოვწიოთ წინო*, მაგრამ ოფიციალური მემკვიდრე არ დაუსახელებია.

სკკპ XIX ყრილობამ შეცვალა პარტიის მმართველი ორგანო: *ცეკას პოლიტბიუროს* ნაცვლად, რომელშიც 12 წევრი და ერთი წევრობის კანდიდატი იყო, შეიქმნა *ცეკას პრეზიდიუმი* 25 წევრისა და 11 წევრობის კანდიდატის შემადგენლობით.

სტალინმა „მინი-პოლიტბიურო“ მაინც შექმნა – 8-წევრიანი *პრეზიდიუმის ბიურო*, რომელშიც თვითონაც შევიდა, მაგრამ არ შეიყვანა ყრილობაზე თავის მიერვე, გარეშე თვალისათვის ყოვლად უმიზეზოდ, მძაფრად გაკრიტიკებული *მოლოტოვი* და *მიქოიანი*. იქნებ ბელადი გეგმავდა ხელმძღვანელთა ახალი თაობის წინ წამოწევას, მაგრამ არ დასცალდა (ან, იქნებ, არ დააცადეს)?!

სკკპ ცეკას პრეზიდიუმის ბიუროში სტალინის სიკვდილისთანავე დაიწყო გარეშე პირთათვის უხილავი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ძალაუფლებისათვის.

1953 წლის 5 მარტის საღამოს ჩატარდა სკკპ ცეკას, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა, რომელსაც 300-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. იქ გამოცხადდა, რომ *ამხანაგი სტალინი ძალიან მძიმედაა ავად* და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა ახალი ხელმძღვანელობის სასწრაფოდ არჩევა. იქნებ ამ დროისათვის სტალინი უკვე გარდაცვლილიც იყო, მაგრამ უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა ამას მალავდა, რადგან სტალინის პოლიტიკური მემკვიდრეობა ჰქონდა გასაყოფი?

ცეკას პრეზიდიუმის წევრმა *ლავრენტი ბერიამ* ზემოხსენებულ გაერთიანებულ სხდომაზე პირველმა ითხოვა სიტყვა და *საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ*, ანუ სტალინის ფორმალურ მემკვიდრედ დაასახელა თავისი, როგორც ის თვლიდა, „უერთგულესი მეგობარი" – ჩასუქებული, მღვრიეთვალება *გეორგი მაქსიმილიანოვიჩ მალენკოვი*.

თავად ბერიას გაპირველკაცების შანსი არ ჰქონდა. ეს მასაც ესმოდა. პრეზიდიუმი, ალბათ, უსიტყვოდ შეთანხმდა, რომ რუსული საზოგადოებისათვის ძნელი მოსათმენი იქნებოდა კიდევ ერთი არასლავური წარმოშობის ლიდერი „ქართველი სტალინის" შემდეგ.

ბრჭყალები იმიტომ გამოვიყენე, რომ სტალინის ეთნიკურ ქართველობას რუსული საზოგადოებისათვის რეალურად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: ის რუსეთის *ცარი* იყო, და რუსეთისათვის იღვწოდა ისევე, როგორც წარმოშობით თათარი *ცარი ბორის გოდუნოვი*, ან გერმანელად დაბადებული *იმპერატრიცა ეკატერინა II*.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მალენკოვის არჩევას პრეზიდიუმის დანარჩენმა წევრებმა მხარი დაუჭირეს – მათაც ეშინოდათ ერთიმეორისა, მალენკოვი კი ნაკლებ საშიშად მიიჩნიეს.

თავის მხრივ, მალენკოვმა საკუთარ *ერთ-ერთ პირველ მოადგილედ* – რიგით პირველად – დაასახელა *ბერია*. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კიდევ სამ *პირველ მოადგილედ* აირჩიეს *მოლოტოვი, ბულგანინი და კაგანოვიჩი*. ოთხი კაცის ერთდროულად დანიშვნა პირველ მოადგილედ ლოგიკას მოკლებულია: ეს მხოლოდ იმისთვის გაკეთდა, რომ პოლიტბიუროს ყველა წევრის ამბიცია დაკმაყოფილებულიყო!

მინისტრთა საბჭო თავისი პოლიტიკური წონით სჭარბობდა *ცეკას სამდივნოს*. ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც ამ სამდივნოს ხელმძღვანელობდა, უკანა პლანზე მოექცა, როგორც აღმოჩნდა – დროებით.

სხვათა შორის, იმავე სხდომაზე დაადგინეს, რომ ხუთიოდე თვის წინ შექმნი-

ლი პარტიის ცენტრალური კომიტეტის *პრეზიდიუმის ბიურო* აღარ იარსებებს და მის ნაცვლად იქნება მხოლოდ *პრეზიდიუმი*, რომელშიც შევა *თერთმეტი კაცი*. ანუ, აღდგა პარტიის XIX ყრილობამდე არსებული *პოლიტბიურო* და მასში სტალინის მიერ შერისხული *მოლოტოვი* და *მიქოიანიც* შევიდნენ. ეს თერთმეტი კაცი ერთგვარი „კოლექტიური მმართველი" გახდა მანამდე, სანამ ხრუშჩოვი ერთპიროვნულ ლიდერობას აიღებდა ხელში.

ბერიამ გააერთიანა *შინაგან საქმეთა* და *სახელმწიფო უშიშროების სამინისტროები* და ერთიანი *შინაგან საქმეთა სამინისტროს* ხელმძღვანელი (მინისტრი) გახდა. ამავე დროს, ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეც იყო. ბერია სახელმწიფოში, პრაქტიკულად, მეორე კაცი გახდა.

ყველა ავტორიტარული, მით უმეტეს – ტოტალიტარული სახელმწიფოს არსებობაში უმთავრეს როლს ასრულებენ *უშიშროების სამსახური* და *პოლიცია* (საბჭოთა კავშირში ამ უკანასკნელს *მილიცია* ერქვა). უნდა აღინიშნოს, რომ 1945 წლის შემდეგ ბერია არც ერთ ამ უწყებას არ ხელმძღვანელობდა, ახლა კი ორივეს ჩაუდგა სათავეში. მან დაიჯერა, რომ უსაფრთხო პოზიცია დაიკავა.

ბერიამ დაუყოვნებლივ წამოიწყო აქტიურობა ქვეყანაში არსებული ვითარების შესაცვლელად. სულ სამთვე-ნახევრის განმავლობაში ჩატარებული მისი მუშაობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ სწორედ ამ ჰიპერაქტიურობამ დააჩქარა მისი დაცემა: მისი კოლეგები ცეკას პრეზიდიუმში შიშითა და შურით აივსნენ.

ბერიას ინიციატივით 1953 წლის მარტის შუაში შეწყდა *„ექიმი-მკვლელების საქმე"*, რომელსაც მძაფრად განიცდიდა საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანი ებრაელობა, და რომელმაც ისრაელისა და ამერიკის პრესა სტალინის „ანტისემიტიზმზე" აალაპარაკა. სტალინს 1953 წლის იანვარში მაგიდაზე დაუდეს აშკარად შეთითხნილი საქმე 37 თვალსაჩინო ექიმის – აკადემიკოსებისა და პროფესორების – მავნებლობის შესახებ, რომელთა შორის საკმაო ნაწილი ეთნიკური ებრაელი იყო.

თუმცა სტალინი არ იყო ანტისემიტი, მისი თანხმობის გარეშე ვერ დაიწყებოდა აღვირახსნილი კამპანია *„უჯიშო კოსმოპოლიტების"* წინააღმდეგ. შესაძლოა, ეს იმის გამოც მოხდა, რომ ის ისრაელის მიმართ უარყოფითად განეწყო: სიონისტებმა არ გაამართლეს მისი იმედი, რომ მათი „სოციალისტური" ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის ფორპოსტი იქნებოდა. თანაც, ისრაელის პირველმა ელჩმა მოსკოვში – ქალბატონმა *გოლდა მეირმა* – ისეთი ზეაქტიურობა გამოამჟღავნა საბჭოთა ებრაელების ისრაელში მიწვევის მიზნით (სტალინმა არავინ არ გაუშვა – მან ეს სხვა ერებისათვის სახიფათო მაგალითად მიიჩნია; ასევე მოიქცევა ხრუშჩოვი), რომ საბჭოთა უშიშროებამ პოლიტბიურო ელჩის შესახებ „ცუდი" ინფორმაციით აავსო.

სტალინის გაღიზიანება, ქვეცნობიერად მაინც, ისრაელსა და ებრაელებზეც

გავრცელდებოდა, გარემოცვა კი უარყოფით განწყობას გაუზვიადებდა: ქვეყანაში თურმე იყვნენ „ექიმი-მკვლელები"; 1948 წელს თურმე მათ „მოწამლეს" *ანდრეი ჟდანოვი* (სტალინის თანამებრძოლი, სხვათა შორის, საშინელი სისხლისმსმელი, და ერთხანს მისივე მძახალი: *იური ანდრეევიჩ ჟდანოვი* ორიოდე წელი სტალინის ქალიშვილის, *სვეტლანას ქმარი იყო*); ასევე წამლავდნენ პოლიტბიუროს სხვა წევრებსაც. რასაკვირველია, ბრალდებები თითიდან იყო გამოწოვილი. მაგრამ სტალინმა გადაწყვიტა ექიმების მაენებლობა დაეჯერებინა და ისინი დააპატიმრეს.

ბერიამ ციხიდან გამოაშვებინა ყველა ექიმი, უსამართლო საქმის წამომწყებნი კი დააპატიმრა.

1953 წლის ადრე ზაფხულს მისივე ინიციატივით ჩატარდა დიდი ამნისტია, რომლის შედეგადაც *„გულაგის"* ბანაკებიდან მილიონზე მეტი პატიმარი გამოუშვეს.

მანვე დააბრუნებინა უკან 1951 წელს საქართველოდან ყაზახეთში გადასახლებული 11200 „საეჭვო ელემენტი", სინამდვილეში – უდანაშაულო ხალხი, უმრავლესობა – ქართველი.

მისივე მითითებით გაათავისუფლეს 1952 წელს საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროში შეთითხნილი *„მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფის საქმის"* ხაზით დაპატიმრებული 37 პირი, რომელთა წამებას მიზნად ჰქონდა ჯგუფური დანაშაულის აღიარება, შეთქმულების ხელმძღვანელად კი ბერიას დასახელება. საქმე, სტალინთან კონსულტაციის შემდეგ, „იკერებოდა" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით, რომლის პირველი მდივანი 1952 წლის აპრილიდან 1953 წლის აპრილამდე იყო *აკაკი მგელაძე* (მანამდე, 14 წლის განმავლობაში, რესპუბლიკას *კანდიდ ჩარკვიანი* ხელმძღვანელობდა).

ბერიამ დაუყოვნებლივ მოახსნევინა თანამდებობიდან მგელაძე და მის ნაცვლად პირდაპირ ციხიდან გამოშვებული *ალექსანდრე მირცხულავა* დაანიშვნინა. ამ უკანასკნელმა სულ რამდენიმე თვე დაყო ცეკას პირველი მდივნის პოსტზე: იმავე წლის სექტემბერში ის მოხსნეს, როგორც „ბერიას კაცი".

ბერიას რეკომენდაციით, სკკპ ცეკას პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილებები დასავლეთ უკრაინის, ლიტვისა და ბელორუსიის შესახებ: იქ ყველგან ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები ირღვეოდა – არ იყო სწავლება და საქმისწარმოება უკრაინულ და ლიტვურ ენებზე, საბჭოთა ლიტვისა და საბჭოთა ბელორუსიის ხელმძღვანელობაში ცოტა იყო ეთნიკური ლიტველი და ეთნიკური ბელორუსი. *ბერიას დაპატიმრების შემდეგ უკრაინისა და ლიტვის საკითხზე მიღებული დადგენილებები გაუქმდა, როგორც „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების წამახალისებელი".*

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებით (*გდრ* საბ-

ჭოთა კავშირს რეპარაციებს უხდიდა და იქ საოკუპაციო რეჟიმი იყო) *ბერიას ინიციატივით* სსრკ მინისტრთა საბჭომ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც არასწორად მიიჩნიეს სოციალიზმზე დაჩქარებული გადასვლის აუცილებლობის პროპაგანდა, მოითხოვეს მკაცრი რეჟიმის შერბილება, ეკლესიის შევიწროებისა და გლეხების იძულებითი კოლექტივიზაციის შეწყვეტა.

ბერიას მოხსენებითი ბარათის საფუძველზე რეაბილიტირებულ იქნა ცეკას პრეზიდიუმის წევრის, *ლაზარ კაგანოვიჩის* ძმა *მიხაილ მოისეევიჩ კაგანოვიჩი*: მან თავი მოიკლა *ენკავედე*-ს ჯურღმულებში, სადაც ის დაამწყვდიეს *მემარჯვენე-ტროცკისტობის* ცრუ ბრალდებით. სხვათა შორის, ბერიას ასეთ „კეთილშობილურ ჟესტს“ ხელი არ შეუშლია ლაზარ კაგანოვიჩისათვის, შეერთებოდა ბერიას მამხილებელთა გუნდს, ბუნებრივია, მისი დაპატიმრების შემდეგ.

ცინიზმის აშკარა გამოხატულება იყო, რომ ბერიამ, რომელიც საქართველოში მოღვაწეობისას, 1938 წლამდე, წამების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას ახალისებდა, გამოსცა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება დაპატიმრებულთა მიმართ რაიმე სახის ფიზიკური ზემოქმედების გამოყენების (ე. ი. წამების) ასაკრძალავად.

ნუთუ ბერია გამოსწორების გზაზე იდგა? რას აპირებდა იგი შემდგომში?

ლოგიკური გათვლა გვკარნახობს, რომ ის, ალბათ, ფიქრობდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, თვითონ დაეკავებინა *მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი*, რასაც, ალბათ, მოჰყვებოდა უმაღლესი მმართველი ელიტის შეცვლა.

ასეთი ვარაუდის დაშვება ცეკას პრეზიდიუმის სხვა წევრებს არ გაუჭირდებოდათ. ყველას ეშინოდა ბერიასი: *მან ძალიან ბევრი იცოდა თითოეულის შესახებ*! ის განწირული იყო. მეტოქე-კოლეგები მხოლოდ მოხერხებულ დროს უცდიდნენ, რომ მათ შორის ყველაზე თავზეხელაღებულს ეთავა შეთქმულების ორგანიზება.

საოცრად ნიჭიერმა ინტრიგანმა ბერიამ ვერ გათვალა, რომ *ნიკიტა ხრუშჩოვი*, რომელსაც ის სერიოზულ მეტოქედ არ აღიქვამდა, მასზე უფრო დიდი ინტრიგანი შეიძლებოდა გამომდგარიყო.

ბერიას წინააღმდეგ შეთქმულების მონყობისას ხრუშჩოვმა ითამაშა რუსული გენერალიტეტის ნაციონალურ გრძნობებზე: ალბათ უთხრა – „*კიდევ ერთი არარუსი ქვეყნის სათავეში აღარ გვინდა*!“ თანაც სამხედროებს ყოველთვის ჰქონდათ ზიზღნარევი შიში სახელმწიფო უშიშროების მუშაკების მიმართ.

ხრუშჩოვმა გადმოიბირა მალენკოვიც, რომელმაც არაფერი გააკეთა თავისი „მეგობრის“ გადასარჩენად. ოფიციალური ვერსიით, 1953 წლის 26 ივნისს ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე მისულ ბერიას სწორედ მალენკოვმა წარუდგინა ბრალდება, რომ ის ანტისაბჭოთა ელემენტია, ინტრიგანია, შინაგან საქმეთა

სამინისტრო ცეკაზე მაღლა დააყენა და დასაპატიმრებელია. პრეზიდიუმის დანარჩენი წევრები ამას დაეთანხმნენ. მეზობელ ოთახში წინასწარ ჩასაფრებული ჯანიანი გენერლები და ოფიცრები მარშალ *გეორგი ჟუკოვის* ხელმძღვანელობით მყისვე შემოცვივდნენ და, სანამ მოსაცდელში მყოფი ბერიას პირადი დაცვა რაიმეს გაიგებდა, ის სხვა ოთახში გაათრიეს. გვიან ღამით ბერია გამოიყვანეს კრემლიდან და არმიის საქალაქო ჰაუპტვახტის სარდაფში ჩაკეტეს, სადაც მოგვიანებით „გაასამართლეს“ [31].

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ან მილიციის გამოყენება ბერიას დასაპატიმრებლად შეუძლებელი იყო: ისინი მასვე ექვემდებარებოდნენ. უშიშროების მაღალჩინოსნები შეფის გასათავისუფლებლად აქტიურად იმოქმედებდნენ თუნდაც საკუთარი ტყავის გადასარჩენად – კრემლის ახალი ხელმძღვანელობა მათთვისაც სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა. მომავალმა ეს დაადასტურა: 1953-1956 წლებში დახერიტეს ყველა, ვინც ბერიას ერთგულ პირად მიიჩნიეს. სტალინური მართვის მეთოდები ისევ ძალაში რჩებოდა.

1953 წლის 2 ივლისს სასწრაფოდ მოწვეულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ყოფილმა კოლეგებმა დაუსწრებლად წარუდგინეს ბერიას ბრალდებები „მომაკვდინებელი ცოდვების“ ჩადენისათვის. გამომსვლელებმა, როგორც ჩანს, იცოდნენ, რომ მათი გაკილვის ობიექტი ცოცხალი აღარ იყო და საშიში აღარასოდეს იქნებოდა!

1999 წელს გამოქვეყნდა ამ პლენუმის სრული სტენოგრამა, გამომსვლელთა მიერ ნასწორები ტექსტებითურთ. ამ ისტორიული წყაროს კითხვა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს: ეს არის დოგმატიზმის, ორპირობის, პირფერობის, პანიკური შიშის, ცილისწამების, აშკარა სიცრუის, ბოლმის, ურთიერთდაბეზღების, ბაქიობის აბსურდული სინთეზი. პლენუმი მოქმედებდა მშიერი მგლების ხროვის ტაქტიკით – ხროვის წაქცეული (და, ალბათ, უკვე მკვდარი) წევრი უნდა შეიჭამოს!

ბერიას დააბრალეს ყველაფერი, მათ შორის ისიც, რომ ქვეყანაში გაწყდა კარტოფილი; მაღაზიაში არ იყო ხორცი; გაზეთებში შეწყდა დიდი სტალინის მოხსენიება; რომ თურმე ის კარნახობდა სტალინს ეკონომიკურად მართლაც გაუმართლებელ და პოპულისტურ „ფასების შემცირების“ პოლიტიკას; [წყალბადის იარაღის შემქმნელ] სპეცკომიტეტის თანამშრომლებს უზომოდ აჯილდოებდა; არ მიაწოდებინა ინდოეთისათვის 300 ათასი ტონა ხორბალი; *გოსპლანის* (სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის) ხელმძღვანელებს ვირებს უნოდებდა და სხვ.

ცეკას პრეზიდიუმის წევრები თავიანთ გამოსვლებში აღიარებდნენ „*ბერია-*

[31] არსებობს ვერსია, რომ სასამართლოს სხდომა დადგმული სპექტაკლი იყო და ბერიას ნაცვლად განსასჯელის სკამზე მისი ორეული იჯდა, ხოლო ბერია დაპატიმრებისთანავე მოკლეს. სხვა ვერსიით, 26 ივნისს არმიის ქვედანაყოფმა ბერია საკუთარ სახლში მოკლა. სამწუხაროდ, სიმართლის დადგენა ძნელია და აქ ოფიციალურ ვერსიას ეყრდნობი.

სთან ხელიხელჩაკიდებულნი დავდიოდით", „ვერ შევძელით დროზე გაგვეშიფრა მისი მტრული არსი", „მასთან მეგობრობისას ვთვალთმაქცობდით", „არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის საკითხებს არ წყვეტდა, მაგრამ ამას ყოველთვის ნერვოზულ სიტუაციაში აკეთებდა" და ა. შ. გამოსვლების ნაწილი მოუმზადებელი ჩანს: პლენუმის ოქმისათვის ყველა გამომსვლელმა სტენოგრამიდან ამოიღო უამრავი თავისივე ნათქვამი, ხოლო მოლოტოვმა თავისი ნახევარსაათიანი სიტყვიდან სულ 3-4 წუთის ნალაპარაკევი ტექსტი დატოვა.

სხვებთან ერთად პლენუმზე ბერიას მამხილებელი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ალექსანდრე *მირცხულავა*, სწორედ ის, ვინც ორიოდე თვით ადრე ბერიამ დანიშნა ამ თანამდებობაზე, და 33 წლის განმავლობაში ბერიას უახლოესი მეგობარი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი *მირჯაფარ ბაგიროვი:* ეს უკანასკნელი იფიცებოდა (რა თქმა უნდა, ცრუობდა და ეს მიაძახეს კიდეც!), წლების განმავლობაში ბერია არ მინახავსო. ცოტა ხანში მაინც ორივე მოხსნეს, ბაგიროვი დააპატიმრეს და დახვრიტეს კიდეც.

პლენუმზე ყველამ დაინახა, თუ ვინაა ქვეყნის *ახალი ლიდერი. ნიკიტა ხრუშჩოვის* (ცეკას *პირველი მდივანი* ის იმავე წლის სექტემბერში გახდება) არეულ და ალოგიკურ მოხსენებაში გამოსჭვიოდა ტრაბახი, დაახლოებით ასეთი: „მე, სწორედ მე შევძელი *თვით ბერიას* ნეიტრალიზება!"

მალენკოვს, რომელმაც „მეგობარი ლავრენტი" გაწირა, არ გააფრთხილა ის (თუკი საერთოდ იცოდა ხრუშჩოვის მიერ უმაღლეს გენერალიტეტთან, უპირველესად გეორგი ჟუკოვთან, ერთად დაგეგმილი შეთქმულების შესახებ) ახლა საკუთარი „პოლიტიკური სიკვდილისათვის" უნდა დაეცადა. 1955 წელს ხრუშჩოვმა ის მართლაც გაათავისუფლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან, თუმცა ცეკას პრეზიდიუმის წევრად დატოვა. 1957 წელს კი მალენკოვი არა მარტო პრეზიდიუმიდან, კომპარტიიდანაც კი გარიცხეს.

ბერიას მიმართ პლენუმზე წაყენებულ ბრალდებებში ასეთებიც აღმოჩნდა:

„ის უდიერად იხსენიებდა ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს – სტალინს, მისი სიკვდილის მეორე დღესვე ალაპარაკდა მისი პიროვნების კულტზე";

„მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ ქვეყნის მართვაში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნაცვლად მეტი როლი ჰქონოდა მინისტრთა საბჭოს;"

„აბუჩად იგდებდა პროფკავშირების ხელმძღვანელობას და მათ უსაქმურთა ბრბოს უწოდებდა";

„ცეკასთან შეუთანხმებლად აწერდა ხელს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, რომლებიც წყალბადის ბომბის შექმნას ეხებოდა";

„ის მომხრე იყო, რომ [იუგოსლავიის ლიდერ] რევიზიონისტ ტიტოსთან შერიგება მომხდარიყო, ეძმაკაცებოდა მას მიწერ-მოწერაში";

„ის მხარს უჭერდა გერმანიის ორი ნაწილის გაერთიანებას და უნდოდა შეექმნა ერთიანი დემოკრატიული გერმანია“;

„კაპიტალისტურ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას ესწრაფვოდა, რადგან მათი აგენტი იყო“;

„მისი ბრძანებით ჩატარებული [1953 წლის ივნისის] ამნისტიის შედეგად ბანაკებიდან გამოუშვეს მილიონ-ნახევარი პატიმარი, უმეტესობა – ქურდი-რეციდივისტი“;

„‘ექიმი-მკვლელების’ საქმის დასრულებით ეს საზიზღარი ინტრიგანი ცდილობდა ხალხში იაფი პოპულარობის მოპოვებას“;

„სპეკულირებდა ნაციონალური საკითხით; ეროვნულ რესპუბლიკებს ეპირფერებოდა და რუს ხალხთან მათ წაკიდებას საფუძველს უქმნიდა; ახალისებდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტს; უნდოდა ყველა რესპუბლიკაში შემოეღო ადგილობრივი ორდენები კულტურის მუშაკებისათვის, მაგალითად, აზერბაიჯანში – ნიზამის ორდენი, საქართველოში – რუსთაველის, უკრაინაში – შევჩენკოსი“ და ა.შ.

ბრალდებებს, რასაკვირველია, აზვიადებდნენ. მაგრამ თუ ისინი ნაწილობრივ მაინც შეეფერებოდა სიმართლეს, ბერიას „მომაკვდინებელ ცოდვებს" სერიოზული რეფორმების განზრახვის სუნი ასდიოდა.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, 1953 წლის 23 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალურ დახურულ სხდომაზე *მხარეების მონაწილეობის გარეშე* (მოქმედებდა 1934 წლის 1 დეკემბრის კანონი) ბერიას ბრალი დასდეს სამშობლოს ღალატში, შეთქმულთა ჯგუფის შექმნაში საბჭოთა სახელმწიფოს დასამხობად, კაპიტალიზმის რესტავრაციისა და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენის მცდელობაში, საიდუმლო კავშირებში უცხოეთის დაზვერვების აგენტებთან (აგრეთვე, „კონტრრევოლუციონერ ქართველ მენშევიკ-ემიგრანტებთან“!) და ა. შ. საბრალდებო დასკვნის ტექსტი ცეკას პრეზიდიუმში წინასწარ გულდასმით განიხილეს.

სასამართლომ წაიკითხა განაჩენი. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ბერია დაუყოვნებლივ დახვრიტეს და ეს გენერალ-პოლკოვნიკმა *ბატიცკიმ* განახორციელა.

დახვრიტეს „ანტისაბჭოთა შეთქმულების მონაწილენიც“ – ვსევოლოდ მერკულოვი, ვლადიმერ დეკანოზოვი, ბოგდან (ბახჩო) ქობულოვი, სერგო გოგლიძე, პაველ მეშიკი, ლევ ვლოძიმირსკი. „ხალხის მტრების" ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა; მათი ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს აეკრძალათ მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, კავკასიასა და ამიერკავკასიაში ცხოვრება: ისინი ციმბირში, ურალსა და ყაზახეთში გადაასახლეს.

ეს იყო *საბჭოთა სტალინური სამართალი*, რომელსაც თავად ბერიაც და მისი დახვრეტილი თანამშრომლებიც ადრე ხალისით ახორციელებდნენ სხვების მიმართ. „საბჭოთა კანონიერება" მათვე მოუბრუნდა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, თუკი ბერია ხელში ჩაიგდებდა ძალაუფლებას, ის უფრო ეფექტური მენეჯერი იქნებოდა, ვიდრე მისი კოლეგები. ცნობილია საბჭოთა ბირთვული პროექტის მონაწილეთა საერთო აზრი, რომ 1945 წლის 20 აგვისტოდან *„სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეცკომიტეტის“* პირველი და ერთადერთი ხელმძღვანელი – ლავრენტი ბერია – უაღრესად წარმატებულად მართავდა საბჭოთა ატომური და წყალბადის ბომბების შექმნის პროექტს. მისი ხელმძღვანელობით შეუქმნეს მოსკოვს საიმედო ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა.

სხვათა შორის, გაელენიან პირთა შორის ერთადერთი, ვინც ბერიას საჯარო კრიტიკით არ გამოსულა, იყო აკადემიკოსი *იგორ კურჩატოვი*, „საბჭოთა ბირთვული ბომბის მამა“: ის დიდად აფასებდა იმ შრომას, რაც ბერიამ გასწია საბჭოთა „ბირთვული ფარის“ შესაქმნელად.

იმას, რომ დღემდე შეუძლია აჟღარუნოს ბირთვული იარაღი და ხიფათის მოლოდინი შეუქმნას მთელ მსოფლიოს, რუსეთი დიდად უნდა უმადლოდეს ბერიასაც.

ჰიპოთეტური „გაბელადების“ შემთხვევაში ბერია საბჭოთა ხელისუფლებას, ერთპარტიულობასა და საპოლიციო მეთოდებს ვერ შეელეოდა: რეჟიმი იყო ასეთი! ლიბერალურ რეფორმებს ბერია ვერ განახორციელებდა, რადგან ნებისმიერი ლიბერალიზაცია ტოტალიტარულ რეჟიმს დაღუპავდა: ეს დაამტკიცა გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ 1985 წლიდან.

ეს ვარაუდებია: რეალურად ასეთი არაფერი მომხდარა.

ნებისმიერ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირს, საბოლოოდ, მაინც დაშლა ეწერა, ისე, როგორც ყველა მრავალეროვან იმპერიას, რომელიც ხალხების კონსენსუსით არ შექმნილა.

შესადარებელ მაგალითად გამოდგება სოციალისტური იუგოსლავია, რომელსაც პრაგმატულად მოაზროვნე და ნებისყოფიანი *მარშალი ტიტო* ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანაში ერთადერთი კომუნისტური პარტიის მეშვეობით. მის დროს იუგოსლავიაში „ერთაშორისი მშვიდობის“ მსგავსი რამ სუფევდა; დაინერგა საბაზრო ეკონომიკის ელემენტები; სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით მეტი მატერიალური კეთილდღეობა შეიქმნა. ტიტოს სიკვდილის შემდეგ კი მაინც ლოგიკური შედეგი მივიღეთ: ერთმანეთის მიმართ არცთუ ძმურად განწყობილი მრავალი ეთნოსით დასახლებული იუგოსლავია დაიშალა.

სტალინის მემკვიდრეები: ხრუშჩოვის აღზევება

ბერიას განადგურების შემდეგ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრებმა ერთმანეთში რაღაც უსიტყვო პაქტი დადეს, რომ ერთმანეთის სიცოცხლეს აღარ ხელყოფდნენ. ამით მათ ერთმანეთის ფსიქიკური ჯანმრთელობაც დაზოგეს: სტალინის დროს ხომ ყველა მათგანი დაპატიმრების შიშით კანკალებდა.

ამ „უსიტყვო პაქტის" გამოვლინება იყო 1957 წლის 18 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების, სტალინის თანამებრძოლების – *მოლოტოვის, მალენკოვისა და კაგანოვიჩის* – „ამბოხების" ჩახშობის მეთოდი. ამ ამხანაგებმა მოითხოვეს კოლექტიური მმართველობის სისტემის შემოღება, რადგან ცეკას პირველი მდივანი, გაუწონასწორებელი და ექსცენტრიკული *ნიკიტა ხრუშჩოვი*, რომელსაც თავში აუვარდა პირველობა, „მეამბოხეთა" აზრით, საბჭოთისათვის საშიშ გადაწყვეტილებებს ღებულობდა.

ხრუშჩოვმა აჯობა ამბოხებულ კოლეგებს, *კაგებე*-ს მეშვეობით დაუყოვნებლივ შეკრიბა ცეკას პლენუმი, რომელიც მისი, როგორც მომავალი გამარჯვებულის, მხარეს დადგა.

ხრუშჩოვმა თავიდან მოიშორა, როგორც ოფიციალური პროპაგანდა უწოდებდა, „ანტიპარტიული ჯგუფი". მაგრამ მოლოტოვი, მალენკოვი და კაგანოვიჩი არ დაუხვრეტიათ, რაც სავსებით მოსალოდნელი იქნებოდა სტალინის ეპოქაში. სასჯელის უმაღლესი ზომის ნაცვლად მათ აკმარეს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმიდან გამოყვანა და პარტიიდან გარიცხვა. ისინი არც *შრომით ბანაკებში* გაუგზავნიათ.

ხრუშჩოვმა თავისი ოპონენტები მოსკოვს მოაშორა და „საპატიო გადასახლებაში" გაგზავნა: *მოლოტოვი* დაინიშნა ელჩად ღვთისაგან მივიწყებულ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, *მალენკოვი* – ისედაც შორეული ციმბირის მივარდნილი უსტ-კამენოგორსკის ჰესის დირექტორის თანამდებობაზე ალმოჩნდა, *კაგანოვიჩი* კი სვერდლოვსკის ოლქში ერთ პატარა სამრეწველო კომბინატს ჩაუყენეს თავში.

ეს „ჰუმანურ გადაწყვეტილებად" მიიჩნეოდა და, რასაკვირველია, სჯობდა ტყვიას კეფაში, რომელიც 1930-40-იან წლებში მიიღეს სტალინის რეალურმა თუ გამოგონილმა ოპონენტებმა – პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის წევრებმა.

რამდენიმე წლის შემდეგ „ანტიპარტიული ჯგუფის" ყველა წევრი პენსიაზე გაუშვეს. ერთ ინფორმაციას წავაწყდი, რომელშიც ეწერა, რომ მალენკოვი მართლმადიდებლობას დაუბრუნდა და საეკლესიო გუნდში გალობდაო. იქნებ, ასეც იყო?

ასეთივე „ჰუმანური ბედი" გაიზიარა *თავდაცვის მინისტრმა*, ბერლინის აღების წყალობით ლეგენდად ქცეულმა მარშალმა *გეორგი ჟუკოვმა*, რომ-

ლის დაუფარავი ბონაპარტიზმი, სავსებით შესაძლებელია, ხრუშჩოვისათვის საფრთხეს ქმნიდა. ომის დროს ჟუკოვის მიერ გამოჩენილი სისასტიკე და დაუნდობლობა საარაკო იყო.

სხვათა შორის, სწორედ ჟუკოვმა გადაარჩინა ხრუშჩოვი „ანტიპარტიული ჯგუფის" ამბოხებისას. მაშინ ჟუკოვი მკაცრად დაემუქრა პრეზიდიუმის იმ წევრებს, რომლებსაც ხრუშჩოვის გადაყენება ჰქონდათ გამიზნული: *„თუკი კინკლაობას არ შეწყვეტთ, კრემლში ტანკების შემოყვანის ბრძანებას გავცემ"*-ო! კინკლაობა შეწყდა. ხრუშჩოვი გადარჩა. ჟუკოვის ავტორიტეტი მკვეთრად გაიზარდა. სწორედ ამიტომ ის ცეკას პირველი მდივნისათვის სახიფათო გახდა.

ხრუშჩოვმა მალევე დაუვიწყა ერთგულება სახელგანთქმულ მეომარს. იმავე 1957 წელს, მოხერხებულ მომენტში, როდესაც ჟუკოვი ბალკანეთის ქვეყნებში ოფიციალურ ვიზიტად გაიგზავნა, მინისტრის თანამდებობიდან მისი მოხსნის ბრძანება გამოაცემინა და პენსიაზე გაუშვა – მემუარების საწერად! ყველა სახელმწიფოში, რომელიც ერთპიროვნულ ძალაუფლებას ეყრდნობა, ხელმძღვანელები ასე იქცევიან ხოლმე.

სტალინიზმი სტალინის შემდეგაც გრძელდებოდა, თუნდაც ნაკლებ სისხლიანი ფორმით.

1958 წელს ხრუშჩოვმა თავიდან მოიშორა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარშალი *ნიკოლაი ბულგანინი*, მისი პოსტი კი თვითონ შეითავსა. ამიერიდან ხრუშჩოვი სტალინისოდენა ძალაუფლებას ფლობდა და არავისთან აღარ იყოფდა მას.

ბულგანინიც ცოცხალი დარჩა. ის სახელმწიფო ბანკის მმართველად დანიშნეს, თუმცა, დროებით – მალე იქიდანაც გაათავისუფლეს: პენიაზე გაუშვეს.

ერთი სიტყვით, „რეჟიმი ჰუმანური ხდებოდა"!

ასევე ჰუმანურად მოექცევიან ხრუშჩოვს მისივე კოლეგები ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმიდან, როდესაც 1964 წელს ახალ, ამჯერად ნარმატებულ, შეთქმულებას მოუწყობენ და პენსიაზე გაუშვებენ.

ხრუშჩოვის მოხსენების ექო მსოფლიოსა და საქართველოში

1953 წლის 20 იანვარს *დავიდ ბენ-გურიონი*, ახალშექმნილი ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის მეთაური, თვითონაც სოციალისტურ იდეებზე აღზრდილი ადამიანი, ისრაელის მთავრობის წევრებს, რომლებიც ძირითადად წარმოადგენდნენ ქვეყნის მმართველ მემარცხენე, თითქმის სოციალისტურ პარტიას, წერდა შემდეგს:

> „მე გადაჭრით მიუღებლად მიმაჩნია ბოლშევიკური რეჟიმი. ეს არაა არავითარი სოციალისტური სახელმწიფო. ეს არის ფარეხი მონებისათვის. ეს

არის წყობა, დაფუძნებული მკვლელობაზე, სიცრუესა და ადამიანის სულის დათრგუნვაზე, მუშებისა და გლეხების თავისუფლების უარყოფაზე. ეს ცარისტული იმპერიალიზმის კიდევ უფრო სასტიკი და ექსტრემისტული გაგრძელებაა. მაგრამ ის ადამიანები, რომელთაც სჯერათ, რომ რუსეთში სოციალიზმია, ხოლო სსრკ – მთელი კაცობრიობის გამათავისუფლებელია, დამნაშავენი კი არ არიან, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შემცდარნი".

შეფასების გარდა, საინტერესოა მისი დრო – 1953 წლის დამდეგი (ჩვენთვის ეს ტექსტი ნახევარი საუკუნის შემდეგ გახდა ცნობილი). იმ დროს კი სტალინი ცოცხალი იყო, ხრუშჩოვს ჯერ არ გაეკეთებინა სტალინიზმის მამხილებელი მოხსენება (ეს სამი წლის შემდეგ მოხდება) და დასავლეთის ლიბერალური საზოგადოების თვალში საბჭოთა კავშირი და მისი ლიდერი კელავაც დიდების შარავანდედით იყვნენ შემკული. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საბჭოთა კავშირი იდეალიზებული იყო.

ისრაელის ეფექტიანი საგარეო დაზვერვისა („*მოსად*"-ის) და ებრაელი რეპატრიანტების მიერ კარგად ინფორმირებული ბენ-გურიონი საბჭოთა რეალიებს იმიტომ განუმარტავდა თავის კოლეგებს, რომ მათ შორისაც საკმაოდ ერია ისეთი, ვისაც საბჭოთა კავშირი და მისი ბელადი იდეალად მიაჩნდა. და ასეთი იდეალიზაცია მარტო ისრაელში არ ხდებოდა...

სტალინის სიკვდილმა საბჭოთა ადამიანებისა და საზღვარგარეთელი ერთგული კომუნისტების უმრავლესობას თავზარი დასცა: მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ისინი ცხოვრობდნენ „დიდი ბელადის", „ხალხთა მამის" ფრთის ქვეშ. საბჭოთა პროპაგანდა გულმოდგინედ ამკვიდრებდა მითს სტალინის შეუმცდარობისა და შორსმჭვრეტელობის, კაცთმოყვარეობისა და გულისხმიერების შესახებ.

ინგლისელი მწერალი *ჯორჯ ორუელი* (1903-1950), რომელიც სწორად აფასებდა საბჭოთა ტოტალიტარიზმს და 1940-იან წლებში შექმნა უმძაფრესი სატირა მის შესახებ *„ცხოველების ფერმა"* და ანტიუტოპია *„1984"*, წერდა, რომ დასავლეთის იმდროინდელი ახალგაზრდა ინტელექტუალებისათვის *„მამა, მეფე, ლიდერი, გმირი, მხსნელი – ამას ყველაფერს ერთი სახელი ჰქონდა – სტალინი. ღმერთი სტალინია!"*

საბჭოთა კავშირის უმაღლეს ეშელონებში (ნაკლებად – საზღვარგარეთ) იცოდნენ, რომ ეს პროპაგანდა სულაც არ ასახავდა სიმართლეს, მაგრამ ქვეყნის შიგნით ვერაინ გაბედავდა ამის ხმამაღლა თქმას.

სტალინური მითები ბელადის გარდაცვალების შემდეგაც რამდენიმე წლის განმავლობაში საბჭოთა პროპაგანდის სასარგებლოდ განაგრძობდა მუშაობას.

ამიტომაც ჰგავდა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას 1956 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის *დაბურული მოხსენება სტალინის პიროვნების კულტის დაგმობის შესახებ*. მოხსენების ტექსტი ხრუშჩო-

ვის დავალებით ფარულად შეადგინა ცენტრალური კომიტეტის ანალიტიკოსთა ჯგუფმა *პიოტრ პოსპელოვის* ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად ნეგატიურად შეფასდა 1930-იანი წლების რეპრესიები და მიზნად იქნა დასახული უდანაშაულო ადამიანებისა რეაბილიტაცია.

მართლაც, სულ მალე, წინა ოცწლეულში დახვრეტილთა და გადასახლებულთა მრავალი სახელი დაუბრუნდა საზოგადოებას. შესაძლებელი გახდა ამ ხნის განმავლობაში აკრძალული ავტორების წიგნების ხელახალი გამოცემა. რეაბილიტირებული აღმოჩნდა მილიონობით ადამიანი. უამრავ ადამიანს მოეხსნა „ხალხის მტრის ნათესავის" სტატუსი.

„დახურული მოხსენება" ნიშნავდა „საიდუმლო ტექსტს", რომლის გაცნობა მხოლოდ პარტიულ ელიტას – ყრილობის დელეგატებსა და მაღალი რანგის ფუნქციონერებს – შეეძლო.

მაგრამ როგორ გინდა შეინახო საიდუმლო რამდენიმე ათას ადამიანს შორის, მით უმეტეს, როდესაც მის ტექსტს საზღვარგარეთ უგზავნი „მოძმე კომპარტიებს"?

სულ რამდენიმე დღეში მოხსენების შინაარსი ცნობილი გახდა ლამის ყველასათვის საბჭოთა კავშირში („ჭორების მასმედია" მშვენივრად მუშაობდა!), ხოლო საზღვარგარეთ მისი სრული ტექსტიც კი გამოქვეყნდა.

როგორც ირკვევა, ერთმა პოლონელმა ებრაელმა, ერთგულმა კომუნისტმა, ვარშავაში *პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის* (ეს პოლონეთის კომპარტიის სახელი იყო) ცენტრალურ კომიტეტში ნაცნობ მდივან ქალთან შენიშნა ხრუშჩოვის „დახურული მოხსენების" ტექსტი, „ცოტა ხნით" გამოართვა მას და მაშინვე მიაცუნცულა ვარშავაშივე მდებარე ისრაელის საელჩოში. „ცოტა ხანში" მსოფლიომ გაიგო ხრუშჩოვის ვერსია სტალინის რეჟიმის არსის შესახებ.

მოხსენებამ შეაზანზარა ადრე პროსაბჭოთად განწყობილი დასავლეთის ინტელექტუალური წრეები (*„სასარგებლო იდიოტები"* – ლენინის ტერმინოლოგიით). სულ მალე დასავლეთის ქვეყნებში მოქმედი კომუნისტური პარტიები თავიანთი რიგების კატასტროფულ შემცირებას შენიშნავენ. მაგალითად, 1956 წელს საფრანგეთის კომპარტიას თავისი ქვეყნის *ეროვნულ კრებაში* (პარლამენტის ქვედა პალატა) 150 წევრი ჰყავდა, 1958 წელს კი მათი რაოდენობა 10-მდე (!) შემცირდა. ფრანგ კომუნისტთა ბეჭდვითი ორგანოს **L'Humanité**-ს ტირაჟი ერთი მილიონიდან 80 ათასამდე დაეცა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომელსაც 1949 წლიდან დღემდე კომუნისტური პარტია მართავს, ხრუშჩოვის მოხსენებამ აღშფოთება გამოიწვია: ჩინეთში ხომ სტალინისტური მეთოდები ძალაში რჩებოდა. სტალინის ერთ-ერთ თანამებრძოლს, *ანასტას მიქოიანს* ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი

ხელმძღვანელის, მარშალ *პენ დეხუაის* მისამართით 1956 წელს გაგზავნილ წერილში ხრუშჩოვის მოხსენების დროულობის დასამტკიცებლად ასეთი არგუმენტი გამოუყენებია: „*რომელიმე ჩვენგანს დროზე ადრე რამე რომ გვეთქვა, ყველას იმქვეყნად გაგვაგ ზავნიდნენ*". ამაზე ჩინელ მარშალს თურმე ამრეზით უპასუხია, „*რა კომუნისტები ყოფილხართ, თუკი სიკვდილისა ასე გეშინიათ*"?

რასაკვირველია, *მაო ძედუნი* და მისი გუნდი ამჯობინებდა ისევე ემართა მათ ხელში მყოფი მოსახლეობით მსოფლიოში უდიდესი ქვეყანა, როგორც *სტალინი* და მისი გუნდი მართავდა ტერიტორიით მსოფლიოს უდიდეს ქვეყანას – საბჭოთა კავშირს. პეკინში დაიწყეს „კრემლის რევიზიონისტების" განქიქება. ამას უკურეაქცია მოჰყვა. რამდენიმე წლის შემდეგ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობა შეწყდა და დაპირისპირება იდეოლოგიურიდან შეიარაღებულ სასაზღვრო კონფლიქტამდე მივიდა.

ვფიქრობ, ხრუშჩოვს უნდოდა კიდეც თავისი მოხსენებით საერთაშორისო ეფექტის მოხდენა. მისგან განსხვავებით, ცეკას პრეზიდიუმის წევრების უმრავლესობა სტალინის პიროვნების კულტზე ლაპარაკის წინააღმდეგი იყო, რაც სავსებით მარტივად აიხსნება – იმ მასობრივ რეპრესიებში, რაზეც საუბარი იყო „დახურულ მოხსენებაში", მათი სისხლიანი ხელიც ერია.

სხვათა შორის, თვით ამხანაგ ხრუშჩოვსაც, 1934 წლიდან მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს და 1938 წლიდან უკრაინის კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს, იმ დროს თითიც არ გაუნძრევია რომელიმე უდანაშაულო პირის გადასარჩენად. პირიქით, ის თვითონ აწერდა ხელს დასახვრეტი „ტროცკისტებისა" და „იმპერიალიზმის აგენტების" სიებს და არჩევდა კიდეც ადამიანებს ამ სიებში შესატანად.

როდესაც ხრუშჩოვი პირველი იწყებდა ლაპარაკს სტალინის ბოროტ საქმეებზე, მას უნდოდა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა იმაზე, რომ დასახვრეტთა სიებს ისიც აწერდა ხელს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ *ხრუშჩოვის ბრძანებით საფუძვლიანად გაწმინდეს არქივები*, რათა რეპრესიების ორგანიზატორთა შორის მისი გვარი ამოეშალათ.

იმ დროისათვის სულ 10 წელი იყო გასული ნიურნბერგის პროცესიდან, რომელმაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის უმაღლეს ნაცისტ ლიდერებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, თუმცა განსასჯელებმა საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენეს, რომ *მხოლოდ და მხოლოდ ასრულებდნენ ჰიტლერის ბრძანებებს*.

ნიურნბერგის მოსამართლეთა ლოგიკას თუ გამოვიყენებთ, კრემლის მთელი პოლიტბიურო იყო დასასჯელი! მისმა ყველა წევრმა იცოდა, რომ დანაშაულს ჩადიოდა, თუნდაც *მხოლოდ და მხოლოდ სტალინის ბრძანებების შესასრულებლად*.

ეჭვგარეშეა, ხრუშჩოვს ამოძრავებდა *სუბიექტური ანტიპათია* სტალინის

მიმართ. მაგრამ *ობიექტურად ხრუშჩოვმა ძალიან დიდი და პოზიტიური როლი ითამაშა სტალინიზმის შერყევაში*, საზოგადოებრივი სულის განთავისუფლებაში, შიშის სინდრომის გაქრობაში, იდეოლოგიური მარწუხების შესუსტებაში, სისტემის ერთგვარ ლიბერალიზაციაში. ამ ყველაფერს დაერქვა „ყინულის ლღობა“ (оттепель), რაც მკაცრ ზამთარს მოსდევს ხოლმე.

მართალია, ერთდროულად ყველაფერი ეს არყევდა ლენინისა და სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ საბჭოთა კომუნისტურ სისტემას, მაგრამ ერთადერთი ალტერნატივა იქნებოდა მისი ურყევად დატოვება რეპრესიების გაგრძელების ფასად, ადამიანის უნივერსალური უფლებების დათრგუნვის გზით. ნუთუ ეს გვერჩივნა?

* * *

ხრუშჩოვის მოხსენებას საქართველოში თავისებური შედეგები მოჰყვა.

პარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენების შესახებ არაოფიციალურმა ინფორმაციამ ძალიან სწრაფად ჩამოაღწია თბილისში. მითქმა-მოთქმამ მისი შინაარსი ისე გაგვაცნო, რომ იმდროინდელი ქართველების უმეტესობამ (ვაღიარებ, ჩემი თავიც შემყავს მათ რიცხვში, თუმცა მაშინ ჯერ 13 წლისაც არ ვიყავი) აღვიქვით ის, როგორც ჩვენი ეროვნული დამცირების მცდელობა. სხვათა შორის, არცთუ მთლად უსაფუძვლოდ: როგორც მოგვიანებით გაირკვა, ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში თურმე ხაზს უსვამდა სტალინის ქართველობას, როგორც ნეგატიურ ფაქტორს.

სამწუხაროა, რომ ქართული ეროვნული სული და სოლიდარობა 1956 წლის მარტში აღორძინდა ისეთი პოლიტიკური ფიგურის მორალური დაცვის საბაბით, როგორიც იოსებ ჯუღაშვილი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მასობრივ ანტისაბჭოთა განწყობასა და ახალ ქართულ ნაციონალიზმს ბიძგი სწორედ მაშინ მიეცა. ადრე ეს ტენდენციები ზედაპირზე ნაკლებად ჩანდა. რასაკვირველია, იქამდეც იყვნენ ქართველი პატრიოტები, მაგრამ მათი სიტყვა არ ისმოდა ირგვლივ არსებული ტოტალური მიყურადებისა და თვალთვალის ფონზე. 1956 წელს კი ხალხმა ხმა ამოიღო, თუნდაც სრულებით შეუფერებელი „ეროვნული სიმბოლოს“ დასაცავად.

იმავე წლის 9 მარტს დემონსტრაციის დახვრეტა თბილისში, კავშირგაბმულობის სახლთან, და გასაიდუმლოებული ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ (ბევრად მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მოკლეს 27 ადამიანი, რაც თავისთავად დიდი ტრაგედიაა) გახდა ჭორების საბაბი, თითქოს ასობით ადამიანი იყო მოკლული, რაც ამძაფრებდა სიძულვილს არა მარტო ხრუშჩოვის, არამედ ზოგადად რეჟიმის მიმართ.

1956 წელს პირველად დააკავეს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა – მაშინ ორივე 17 წლისა იყო. სუკ-ის ვერსიით, თურმე ბიჭებს წინა წლებში

ჩამოუყალიბებიათ „ანტისაბჭოთა ორგანიზაცია", რომელიც, რასაკვირველია, სტალინისტური არ იქნებოდა. იმჯერად დაკავება გაფრთხილებით დამთავრდა. მაგრამ ხელისუფლებამ ფარული ზედამხედველობა დაუწესა ახალგაზრდებს და მათი დევნით თვითონვე შექმნა „ანტისაბჭოთა ელემენტი". მოგვიანებით ორივე მათგანი დიდ როლს შეასრულებს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, ხოლო ზვიად გამსახურდია გამოაცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წელს და ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდება.

1956 წლის 9 მარტის მოვლენების კიდევ ერთი შედეგი იყო 28 წლის კომკავშირელი ფუნქციონერის ედუარდ შევარდნაძის ქუთაისიდან თბილისში გადმოყვანა და მისი დანიშვნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. დაიწყო შევარდნაძის პოლიტიკური აღმასვლა. მომდევნო თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოს უახლეს ისტორიაში ის წამყვან როლს ითამაშებს და დამოუკიდებელი საქართველოს მეორე პრეზიდენტი გახდება.

საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შეფასების ცდა

საჭიროდ მიმაჩნია გარკვეული შეფასების მიცემა 1920-30-იან წლებში ჩამოყალიბებული საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის, რომელიც *„სტალინიზმის"* სახელითაა ცნობილი. დასავლეთში მის სინონიმად „რუსულ კომუნიზმსაც" იყენებენ.

სტალინიზმის ეპოქა რამდენიმე ათწლეული გაგრძელდა. 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან ის არსებობდა მოდიფიცირებული და ერთგვარად შერბილებული სახით.

შეფასება ეხება *სისტემას*, რომელსაც ერთი კაცი ვერ შექმნიდა, რომ არ ჰქონოდა შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო ქვეყანაში და, რაც არცთუ უმნიშვნელოა, მსოფლიოში. სტალინიზმი ლენინიზმის პირდაპირი გაგრძელება იყო და იქნებ ჯობდა კიდეც მისთვის ლენინიზმ-სტალინიზმი გვეწოდებინა, მაგრამ სწორედ სტალინმა მიიყვანა სრულყოფილებამდე რუსული კომუნისტური ტოტალიტარული სისტემა და მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს მართავდა მას.

შეფასება მკითხველს ცალმხრივი რომ არ ეჩვენოს – მხოლოდ ძაგება ისევე აუტანელია, როგორც მხოლოდ ქება – თავიდანვე ვიტყვი, რომ 1920-30-იან წლებში ბევრი გაკეთდა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული, სამხედრო, კულტურული მშენებლობისათვის, რამაც, საერთო ჯამში, განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოებრიობა და საშუალება მისცა ქვეყანას თავი დაეცვა საგარეო აგრესორისაგან.

სტალინიზმის დროს ფორმალურად არსებობდა დემოკრატიული ინსტიტუტები – პარლამენტი (*საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო* და ყველა რესპუბლიკის *უმაღლესი საბჭო*), ადგილობრივი თვითმმართველობა (საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო საბჭოები); მოქმედებდა სასამართლო სისტემა. მაგრამ:

- „არჩევნები" ყველა დონის საბჭოში ტარდებოდა მხოლოდ ერთი, პარტიის მიერ შერჩეული, კანდიდატით „სიაში" და მოქალაქეს ამოსარჩევი არაფერი რჩებოდა. ყველა საბჭოს უფლება მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა;
- საბჭოთა კავშირში სახალხო სასამართლოებს (სხვათა შორის, ჰიტლერულ გერმანიაშიც სასამართლოს „სახალხო" ერქვა) პოლიტიკურ ან პოლიტიზებულ საქმეებთან დაკავშირებით განაჩენი გამოჰქონდათ „პარტიის ნების" შესაბამისად. 1935 წლიდან საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე მყოფი *ანდრეი ვიშინსკი* სახელმწიფო ბრალდების წარდგენისას პრაქტიკულად საბოლოო ვერდიქტს აცხადებდა, რასაც, ჩვეულებრივ, დახვრეტა, უკეთეს შემთხვევაში – ციმბირის ბანაკებში გაგზავნა მოსდევდა. თითქმის ანალოგიური უფლებით სარგებლობდნენ ყველა სხვა დონის პროკურორები.
- ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი საბჭოთა კავშირში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი მოდელით შექმნილ „სახალხო დემოკრატიის" (შემდგომში „სოციალისტურად" წოდებულ) ქვეყნებში ექვემდებარებოდა არადემოკრატიულ და დესპოტურ ძალას – კომუნისტურ პარტიას.

ქვეყანაში ლეგალურად არსებული ერთადერთი პარტიის სრული შეზრდა სახელმწიფოსთან ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ასეთივე ნიშნებია:

- ✓ *ოფიციალური იდეოლოგია*, რომელსაც აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია აქვს, და ამ იდეოლოგის მითოლოგიზაცია (საბჭოეთში ყველა სხვა, არაკომუნისტური, იდეოლოგია მიუღებელი, მტრული და ძირშივე აღმოსაფხვრელი იყო);
- ✓ *დაყრდნობა „გენიალური" ბელადის სრულ ავტორიტეტ ზე* (საბჭოეთში ბატონობდა „გენიალური სტალინის" პიროვნების კულტი);
- ✓ *სახელმწიფოს მონოპოლია მასმედია ზე* (საბჭოეთში არსებობდა მხოლოდ „პარტიული პრესა" და ნებისმიერი სხვა ინფორმაციის გავრცელება კანონით ისჯებოდა);
- ✓ *სახელმწიფოს მონოპოლია შეიარაღებული ძალადობის საშუალებებზე და პოლიტიკური პოლიციის არსებობა* (საბჭოეთში – „ჩეკა/კაგებე");
- ✓ *ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მხოლოდ ქაღალდ ზე*

არსებობა. უფლებები არ სცდებოდა მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას (საბჭოეთი ასე თუ ისე უზრუნველყოფდა საცხოვრებელ მინიმუმს, ჯანდაცვას, განათლებას), მაგრამ არ არსებობდა სიტყვის, შეკრების, მანიფესტაციის თავისუფლება;

✓ *ხელისუფლების ტოტალური კონტროლი მოქალაქეთა პირად და სულიერ ცხოვრებაზე;*

✓ *ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული სისტემა* და ა.შ.

კომუნისტური პარტიის საფუძვლად ითვლებოდა ლენინის მიერ დამკვიდრებული შეუთავსებელ სიტყვათა შეთანაწყობა – „*დემოკრატიული ცენტრალიზმი*", სადაც *დემოკრატიას* მხოლოდ დეკორატიული როლი ენიჭებოდა, რეალურად კი *ცენტრალიზმი* ბატონობდა. პარტიაში მოქმედებდა ძალაუფლების ურყევი ვერტიკალი, რომლის სათავეშიც იდგა *პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი*, ქვეყნის ნამდვილი მმართველი. 1922-1952 წლებში ეს სტალინი იყო (1934-1952 წლებში ის ამჯობინებდა ეტარებინა „ცეკას მდივნის" ტიტული). სინამდვილეში ის სიკვდილამდე იყო ერთადერთი და შეუცვლელი „ბელადი". 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, პარტიულ-სახელისუფლებო ვერტიკალის სათავეში მყოფი პირები თავს „ბელადს" აღარ უწოდებდნენ, სხვა დანარჩენი კი უცვლელი რჩებოდა.

ბელადის პიროვნების კულტის ფართოდ დამკვიდრებას ხელს უწყობდა რუსეთში დემოკრატიული ტრადიციების უქონლობა, ის, რომ რუს ხალხს სჭირდებოდა ერთპიროვნული მმართველი: ტიტული მას სხვადასხვა შეიძლებოდა ჰქონოდა – „ცარი", „ხელმწიფე-იმპერატორი", „გენსეკი" (პარტიის გენერალური მდივანი), „პრეზიდენტი" – არსი კი იგივე რჩებოდა. სტალინმა მშვენივრად მოირგო რუსეთის „ცარის" როლი: „ბელადი" აბსოლუტური მონარქის სინონიმი იყო. რუსეთის ზოგიერთი უმაღლესი რანგის ოფიციალური პირის XXI საუკუნის დასაწყისში გაკეთებული განცხადებით, რუს ხალხს „*ცარი*" ახლაც სჭირდება. ეს იმ დროს ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა თქვა: „ცარად" პრეზიდენტ პუტინს გულისხმობდა. საბჭოთა კავშირის არარუსი ხალხების უმრავლესობაც ლიბერალური დემოკრატიის ტრადიციაზე კი არა, ფეოდალურ (თანაც აღმოსავლური ტიპის) ტრადიციებზე იყო აღზრდილი: მათ აბსოლუტურ მონარქს ადრე *ხანი, ემირი* ან *შაჰი* ერქვა, ახლა კი – „ცეკას პირველი მდივანი".

საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბების მიზეზი ისიც იყო, რომ ქვეყანაში არ არსებობდა დემოკრატიის ხერხემალი – სახელმწიფოსაგან ეკონომიკურად დამოუკიდებელი საშუალო კლასი, რომელიც კომუნისტური ხელისუფლების პირობებში ვერც შეიქმნებოდა. აქ შედარებამ შეიძლება დაგვაბნიოს: ეკონომიკურად წარმატებულ და საკმაოდ დემოკრატიულ გერმანიაში საშუალო კლასი არსებობდა, მაგრამ ნაცისტური ტოტალიტარიზმი იქაც

წარმოიშვა. გერმანიაში ჰიტლერული დიქტატურის დამყარების ძირითადი მიზეზი „ვერსალის სინდრომი“ გახდა.

ტოტალიტარულმა რეჟიმებმა დაამტკიცეს, რომ სავსებით შეუძლიათ ჩურჩულის დონემდე დაიყვანონ „ხმის ამომღები“ საშუალო კლასი (ეს მუსოლინიმ, ჰიტლერმა და მათმა მიმდევრებმა გვიჩვენეს) ან სულაც გაწყვიტონ ის (ეს ლენინმა, სტალინმა და მათმა მიმდევრებმა გვიჩვენეს).

საბჭოთა კავშირს გარეთ სტალინის საგრძნობი ავტორიტეტის მიზეზი 1930-იანი და1940-იანი წლების საერთაშორისო ვითარება იყო: ფაშიზმი და მისი გერმანული ნაირსახეობა – ნაციზმი, მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი დასავლეთის იმ დემოკრატიულ ქვეყნებში, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს აყალიბებდნენ, კომუნიზმზე არანაკლებ შიშს იწვევდა. ფაშიზმისა და მისი ოდიოზური ლიდერების – ჰიტლერისა და მუსოლინის – ფონზე საბჭოთა პროპაგანდა ახერხებდა დასავლეთის გარკვეული, საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი, წრეების თვალში „მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო“ – სსრკ – გამოეყვანა „მშვიდობისა და სამართლიანობის ბასტიონად“, ხოლო სახელმწიფოს ლიდერი – ამის გარანტად. ომის დროს საბჭოთა კავშირი სამართლიან მხარეზე მოევლინა მსოფლიოს, როდესაც გერმანულ ნაციზმთან ომში ჩათრეული აღმოჩნდა.

უკვე 1930-იან წლებში მოსკოვში საგანგებოდ მიწვეული ზოგი დასავლეთელი პუბლიცისტი და მწერალი მაშინვე მიხვდა, რას წარმოადგენს საბჭოთა ტოტალიტარიზმი. მაგალითად, ფრანგი მწერლის, *ანდრე ჟიდის*, სინამდვილის ამსახველმა პუბლიკაციამ (1936 წ.) სტალინის რისხვა დაიმსახურა. სხვები კი შეგნებულად ხუჭავდნენ თვალს. ასე მოიქცა, მაგალითად, ცნობილი გერმანელი ებრაელი მწერალი *ლიონ ფოიხტვანგერი*, რომელიც 1937 წელს სტუმრობდა საბჭოთა კავშირს და პანეგირიკი უძღვნა იმ პერიოდის რუსეთს.

რა მიზნით და რის ხარჯზე არსებობდა სტალინიზმი?

პასუხები საკმაოდ მარტივია: *გამოცხადებული მიზანი იყო ქიმერა, სახელად – „კომუნიზმის/სოციალიზმის აშენება“, ხოლო მისი „მიღწევის“ მეთოდები: მასობრივი ტერორი, „გულაგი“, საზოგადოების მატერიალური და სულიერი გალატაკება.*

ისტორიამ დაამტკიცა, რომ სოციალიზმის საბჭოთა მოდელი (არსებობს სოციალიზმის ბევრად უფრო ჰუმანური „სკანდინავიური მოდელიც“) ეკონომიკურად რაღაც დონით ეფექტიანია (მაგალითად, ხელს უწყობს მძიმე მრეწველობის პროდუქციის სწრაფ ზრდას) მხოლოდ ტოტალიტარიზმის პირობებში – დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე აბსოლუტური უარის თქმის შემთხვევაში, თუკი რეჟიმი ერთპარტიულია და ყველას და ყველაფერს აკონტროლებს ფარული პოლიცია – უშიშროების ორგანოები.

ნუთუ სტალინიზმის საეჭვო „ეკონომიკური ეფექტიანობა“ ღირდა ადამიანის

ძირეულ ფასეულობებზე უარის თქმად და უამრავი ადამიანის სიცოცხლედ?

უბედურება ის იყო, რომ მსოფლიოში ბევრმა დაიჯერა სტალინიზმის გამოცხადებული მიზნის მიღწევის შესაძლებლობა და იყვნენ (დღემდე შემორჩნენ!) ისეთებიც კი, ვინც ამ მიზნის მიღწევის სტალინურ მეთოდებს ამართლებდა.

კომუნიზმის მიზნებისაკენ სწრაფვამ სინამდვილეში ულმობელი დიქტატურა შვა და ადამიანებს შორის სრული უნდობლობა გამოიწვია.

> „შობილი მოუთმენელი იდეალიზმის მიერ, რომელიც უარყოფდა არსებულ ვითარებას, კომუნიზმი მიისწრაფოდა უკეთესი და უფრო ჰუმანური საზოგადოებისაკენ, მაგრამ მიგვიყვანა მასობრივ ჩაგვრამდე. ის გამოხატავდა ოპტიმისტურ რწმენას გონების ძალაში, რომელსაც ძალუძს შექმნას სრულყოფილი საზოგადოება. მორალურად მოტივირებული სოციალური ინჟინერიის მიზნით [კომუნიზმმა] მოახდინა ყველაზე ძლიერი გრძნობების – ადამიანთა მოდგმისადმი სიყვარულისა და ჩაგვრისადმი სიძულვილის – მობილიზაცია. ამის მეშვეობით მან გაიტაცა უჭკვიანესი გონებისა და ყველაზე იდეალისტური სულის მქონე ადამიანები, მაგრამ მიგვიყვანა ჩვენი, და არა მარტო ჩვენი საუკუნის უსაშინლეს დანაშაულამდე".

ამ სიტყვებს *ზბიგნიევ ბჟეზინსკი* 1989 წელს წერდა, როდესაც საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა.

ნათელია, რომ სტალინიზმის შესახებ ყოველთვის იარსებებს სხვადასხვა აზრი, თუმცა ჩემი ღრმა რწმენით, ის უარყოფითად უნდა შეფასდეს.

სტალინი რუსეთში, საქართველოსა და გორში

რაც შეეხება იმ ადამიანს, ვისი სახელიც დაერქვა პოლიტიკურ სისტემას, მოკლედ რომ ვთქვათ – ის მართლაც იყო არაორდინარული პიროვნება.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინი 60 წლის წინ გარდაიცვალა, ის კვლავაც იწვევს ინტერესს, სიძულვილს, აღტაცებასა და ბევრ სხვა გრძნობას, გარდა ინდიფერენტიზმისა. მის ბიოგრაფიას რამდენიმე *ათეული ათასი* (ამერიკელი მეცნიერის, პროფესორ *სიუნის* გამოთვლით – 80 ათასი!) შრომა მიეძღვნა.

„სრული სიმეტრიის" დასაცავად დავძენ, რომ ასევე პოპულარულია წიგნები ჰიტლერის შესახებ! თუმცა ამ პოლიტიკური სუბიექტის მიმართ სიმპათიის გამომჟღავნება, სულ ცოტა, „ცუდ ტონად" მიიჩნევა.

სტალინი ნამდვილად იყო ნიჭიერი, ნაკითხი, ნებისყოფიანი ლიდერი, აგრამ ამავე დროს ეჭვიანი, ცბიერი და დაუნდობელი დიქტატორი, რომელიც ეგობრების ცხედრებზე გავლით მიდიოდა წარმატებისკენ. თავისი მიზნის ისაღწევად ათასებისა და მილიონების დაღუპვა სტალინისათვის მხოლოდ „სტატისტიკა" იყო.

ნუთუ ასეთი ლიდერები სჭირდებოდა ეპოქას? თუ პირიქით, ეპოქას [illegible] ასეთები ქმნიდნენ? ნებისმიერ შემთხვევაში, სტალინიზმის პირობებში [illegible] მიანის უფლებების დაცვაზე, ჰუმანიზმზე საუბარი ფუჭია.

გარკვეულ კონტექსტში ჩერჩილს უხსენებია პირადად სტალინის *უდიდესი ღვაწლი „კავის რუსეთის ატომური ბომბის მქონე რუსეთად გადაქცევაში“*. სტალინისტები წამდაუწუმ იმოწმებენ ჩერჩილის ამ სიტყვებს.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გავიხსენოთ *სხვა ბელადების უდიდესი ღვაწლი* საკუთარი სახელმწიფოების სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში.

ასე მაგალითად, *თემურ-ლენგი* ტყვედ წამოყვანილი ხელოსნების მეშვეობით შუა აზიაში აშენებდა დიდებულ სამარყანდსა და ბუხარას, დაპყრობილი სპარსეთის ქალაქ ისფაჰანში კი 70 ათასი ადამიანის მოკვეთილი თავისაგან პირამიდებს აგებდა.

ადოლფ ჰიტლერი საუკეთესო ჩქაროსნულ ავტობანებს აშენებდა, რომლებსაც, სხვათა შორის, გერმანიაში ჯერაც იყენებენ; მისი ხელდასხმით დაიწყო იაფი „სახალხო ავტომობილის“ („ფოლკსვაგენის“) გამოშვება. ოსვენციმში კი ჰიტლერი სიკვდილის ქარხანას ამუშავებდა.

ბენიტო მუსოლინის იტაცებდა ქალაქმშენებლობა; ის წარმატებით ებრძოდა მაფიას. ეთიოპიაში კი მისი თვითმფრინავები საწყალი გლეხების ქოხებს მასობრივად წვავდნენ.

რამდენიმე საუკუნის შემდეგ თემურ-ლენგი უზბეკების მთავარ ეროვნულ გმირად და სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ იქცა. 1990-იანი წლებიდან მისმა ძეგლმა ტაშკენტის ცენტრში საბჭოთა პერიოდში დადგმული კარლ მარქსის ქანდაკების ადგილი დაიკავა. სტალინს ნაკლები დრო დასჭირდა რუსი ხალხის გონებრივ კვარცხლბეკზე დასაბრუნებლად, რომელიც, მგონი, არც არასოდეს დაუტოვებია.

იქნებ ოდესმე ჰიტლერიც მხოლოდ ავტობანებისა და „ფოლკსვაგენის“ შექმნის, ხოლო სტალინი – მხოლოდ ბელომორკანალისა და მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის ინიციატორებად გაიხსენონ?

საქმე ასე „პარალელურად“ არ იქნება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჰიტლერს არასოდეს დაუვიწყებენ ჰოლოკოსტს, და მეორე მიზეზის გამოც: სტალინი და თემურ-ლენგი გამარჯვებულები წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ჰიტლერი და მუსოლინი კი – დამარცხებულები. ხალხს უყვარს გამარჯვებული ლიდერი, თუნდაც ის მისივე [ხალხის] ძვლებით მოკირწყლული გზით მიდიოდეს გამარჯვებამდე. ერთადერთი დამარცხებული, მაგრამ გმირად დარჩენილი, ვინც მახსენდება, ნაპოლეონია: მან მართლაც შეაზანზარა ისტორია. გარდა ამისა, ის ისეთმა „ჯუჯებმა“ ჩაანაცვლეს, რომ მათ ფონზე ფრანგი ხალხის თვალში ბუმბერაზად დარჩა.

* * *

რუსეთის სახელმწიფოს ძლიერების ზენიტში ამყვანი *ეს ადამიანი უდიდესი ფიგურაა რუსეთისათვის.*

სტალინი იმპერიის წარმატებული მშენებელი აღმოჩნდა. ერთპიროვნული ძალაუფლება მას საშუალებას აძლევდა, სწრაფად გადაეწყვიტა უმნიშვნელოვანესი საკითხები, თუმცა იმავე ძალაუფლებას ის ბოროტი საქმისათვისაც იყენებდა. რუსი მწერლის *კონსტანტინ სიმიონოვის* ერთი გმირი სტალინზე ამბობს *„დიდი და საშინელი იყო-ო"* (великий и страшный). მისი როლი მეორე მსოფლიო ომში რუსეთის გამარჯვებაში უდავოა. მან აღადგინა რუსეთის იმპერიის პირველ მსოფლიო ომამდე არსებული საზღვრები და მოკლე დროით დაუმორჩილა მოსკოვს ევრაზიის უდიდესი ნაწილი. რუსული მასობრივი ცნობიერება, თუმცა უარყოფითად აფასებს სტალინის მიერ მოწყობილ რეპრესიებს, მის ხატს უპირველესად უკავშირებს გამარჯვებას დიდ სამამულო ომში, რომელიც რუსებისათვის უალტერნატივოდ არის *უდიდესი ისტორიული მოვლენა.*

სტალინი რუსეთის განდიდებას ემსახურებოდა. უნდა ითქვას, რომ ასევე იქცეოდნენ სხვა მცირე ერის წარმომადგენლები, თუკი მათ ხელში ჩაუვარდებოდათ დიდი ქვეყანა. ასე, მაგალითად:

- *ჯეიმზ I სტიუარტი* ლონდონში გამეფების შემდეგ წარმოადგენდა არა მშობლიურ ღატაკ შოტლანდიას (სადაც ის ჯეიმზ VI იყო), არამედ დიდ ბრიტანეთს;
- *სოფი ფრედერიკე აუგუსტე ფონ ანჰალტ-ცერბსტ-დორნბურგი,* უფრო ცნობილი, როგორც *იმპერატრიცა ეკატერინა II,* ზრუნავდა არა მშობლიურ ქალაქ შტეტინზე, გერმანულ პომერანიაში, არამედ დიდ რუსეთზე, მას შემდეგ რაც პეტერბურგის ტახტი ჩაუვარდა ხელში;
- *ნაპოლეონე ბუონაპარტე* მას შემდეგ, რაც საფრანგეთს ჩაუდგა სათავეში და თავი ფრანგთა იმპერატორ ნაპოლეონად გამოაცხადა, ფიქრობდა არა ფრანგების მიერ დაპყრობილ მშობლიურ კუნძულ კორსიკაზე, სადაც ის დაიბადა, არამედ ფრანგული იმპერიის გაფართოებაზე.

რუსი ერი სტალინს, სულ ცოტა, პატივს უნდა მიაგებდეს. რეალურად, ასეც ხდება. რუსების საგრძნობი ნაწილისათვის სტალინი მათი ისტორიის ორგანული შემადგენელი და საამაყო პიროვნებაა. სტალინის იმიჯს მკაფიო ფუნქცია აქვს: ესაა რუსეთის, თუნდაც საბჭოთა დროის, ისტორიის მოდელის წარმოდგენა. რუსეთის თანამედროვე მმართველი ელიტა კი პარაზიტობს ხალხში დარჩენილ მასობრივ შიშზე, სტერეოტიპებზე, კომუნისტური რწმენის ნამსხვრევებზე, რომლებიც მათ მემკვიდრეობით გადმოჰყვათ წინა პერიოდიდან.

იოსებ სტალინი დამაჯერებლად ლიდერობდა 2009 წელს რუსეთის ერთ-ერთი ცენტრალური ტელეარხის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში *„ვინ არის რუსეთის სახელი?"* რუსეთის მოქალაქეებს უნდა დაესახელებინათ ის პიროვნება,

რომელმაც, მათი აზრით, ყველაზე მეტი გააკეთა მათი სამშობლოსათვის. მაგრამ იმისათვის, რომ არ მომხდარიყო „რუსეთის დისკრედიტაცია“ მსოფლიოს თვალში, სადაც სტალინს ძირითადად ნეგატიური შეფასება აქვს, კრემლის ხელისუფლებამ (როგორც ამბობენ, მოსკოვის საპატრიარქოს რჩევით) ტელეარხს მოსთხოვა, „*რუსეთის სახელად*“ გამოეცხადებინა XIII საუკუნის ერთი მოღვაწე – წმინდანად შერაცხული მოსკოვის მთავარი *ალექსანდრ ნეველი*. ეს მანიპულაცია მხოლოდ პოლიტიკით თუ აიხსნება – ვის ახსოვს ახლა საშუალო რანგის ფეოდალი, რომელიც 700-ზე მეტი წლის წინ მოკვდა და რომელზეც თანამედროვე ადამიანებს აქვთ ცალმხრივი, მითოლოგიზებული ინფორმაცია, მიღებული სუბიექტურად შედგენილი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების მეშვეობით? თანაც, სერიოზულმა რუსმა ისტორიკოსებმა დაადგინეს, რომ ზემოხსენებულმა მთავარმა თავისი მოღვაწეობის დიდი პერიოდი *ოქროს ურდოს დედაქალაქ სარაიში* გაატარა და ერთგულად ემსახურებოდა მონღოლთა ყაენს!

რუსეთის პრეზიდენტს *ვლადიმირ პუტინს* უხდება მანევრირება სტალინის შესახებ საერთაშორისო, ძირითადად უარყოფით, და შიდა, ძირითადად დადებით, საზოგადოებრივ აზრს შორის და ამ მოღვაწისათვის „ეფექტიანი მენეჯერის“ (და არა „დიდი ბელადის“) სახელის მინიჭება. ამით ის ცდილობს, თავიდან აიცილოს ანტისტალინისტების უკმაყოფილებაც და სტალინისტებიც (იგივე რუსი ნეოიმპერიალისტები) დააკმაყოფილოს. მაგრამ, როგორც ჩანს, პუტინისთვისაც *სტალინი რუსეთის გმირია*.

ეს რაც შეეხება რუსეთს.

* * *

საქართველოსათვის სტალინი ორაზროვანი ფიგურაა.

ის, რომ სტალინი წარმოშობით ქართველი იყო, გვაიძულებს მეტი ყურადღება დავუთმოთ მის პიროვნებას, ვიდრე ბევრ სხვა პოლიტიკურ ფიგურას.

ანტისტალინისტ ქართველსაც სადღაც გაახსენდება, რომ ეს კაცი გორში, ღარიბი მეწაღის ოჯახში დაიბადა, თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, მერე კი, საუკუნის მეოთხედზე მეტი ხნის განმავლობაში, მსოფლიოს ერთი მეექვსედის მპყრობელი იყო და „გორელი ბიჭის“ სახელი (სინამდვილეში – მისი რუსული ფსევდონიმი!) აზანზარებდა ლონდონსა და პარიზს, ბერლინსა და ტოკიოს, პეკინსა და ვაშინგტონს.

რაც შეეხება ქართველ სტალინისტებს, მათი უმეტესობის აზრები ფაშიზმისადმი მიდრეკილებას ამლავნებს: ისინი სტალინში კომუნისტს კი არ ხედავენ, არამედ მტკიცე დიქტატორს, „მასონებთან მებრძოლსა“ და „ქართველ ნაციონალისტს“. აქვე ვიტყვი, რომ ეს პოზიცია აგებულია არაინფორმირებულობაზე.

ობიექტურობის დასაცავად ვიტყვი, რა მიმაჩნია სტალინის მიერ საქართ-

ველოსათვის სასარგებლოდ გაკეთებულად: *მისი წყალობით არ შეიცვალა ქართული ანბანის (და, აგრეთვე, სომხური ანბანის) გრაფიკა.* ლენინის შემდეგ „ბოლშევიკი ნომერი ორი" – *ლევ ტროცკი* – რომ მოსულიყო საბჭოეთის სათავეში, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მოლოდინში ის აუცილებლად მოახდენდა ყველა საბჭოთა ხალხის ანბანის ლათინური გრაფიკის საფუძველზე უნიფიცირებას. რეალურად კი ჩვენ და სომხები ამ გასაჭირს გადავურჩით, მაშინ როცა, მაგალითად, თიურქულენოვანმა ხალხებმა და ტაჯიკებმა ანბანის 3-3 გრაფიკა შეიცვალეს (არაბული, ლათინური, რუსული; აზერბაიჯანელებმა XX საუკუნის ბოლოს ისევ ლათინური გრაფიკა დაამკვიდრეს); აფხაზებმა 1928-1954 წლებში ანბანის ოთხი გრაფიკა გამოიცვალეს – რუსული, ლათინური, ქართული, ისევ რუსული. სხვათა შორის, ცნობილი აფხაზი ისტორიკოსისგან, *ზურაბ ანჩაბაძისგან* მსმენია, რომ აფხაზურ ფონეტიკას ქართული გრაფიკა უკეთ ასახავდა. მაგრამ ასეთი „ქართველიზაცია" ბევრ აფხაზში უარყოფით ემოციას იწვევდა. მწიგნობრობის ასეთი მეტამორფოზები კი მრავალი ერის უამრავ ადამიანს პრაქტიკულად უწიგნურად აქცევდა.

თუ 1934 წლამდე ზოგიერთი ქართველი ბოლშევიკი უპირისპირებდა „ჩვენს ეგნატეს [ნინოშვილს] იმათ ილიას [ჭავჭავაძეს]", უგულვებელყოფილი იყო შოთა რუსთაველიც კი, 1934 წელს სტალინის მიერ გამოთქმული შენიშვნის შემდეგ დამოკიდებულება ქართული კლასიკური მწერლობის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ქართული კლასიკა დაუბრუნდა ქართველ ხალხს. უფრო მეტიც, ის ცნობილი გახდა საბჭოთა ხალხებისათვის: მსოფლიოს ბევრ ენაზე თარგმნეს „ვეფხისტყაოსანი"; 1937 წელს იზეიმეს მისი დაწერის 750 წელი; ითარგმნებოდა ქართული პოეზია; 1938 წელს დიდი ზარზეიმით ჩატარდა „ქართული კულტურის დეკადა" მოსკოვში.

მაგრამ სტალინი ამას აკეთებდა არა ქართველი ხალხისათვის, არამედ საკუთარი კულტის განსამტკიცებლად: უნდოდა ეჩვენებინა, რომ საბჭოეთის ბელადი ძველი და კულტურული ერის შვილია. ალბათ, იმავე მიზეზით მოხდა საქართველოს საკმაოდ ორაზროვანი ისტორიული მოღვაწის – გიორგი საააკაძის – ჰეროიზაცია: სწორედ იმ პერიოდში ანა ანტონოვსკაიამ მასზე რომანი დაწერა, მიხეილ ჭიაურელმა კი ფილმი გადაიღო. აქაც საბჭოთა ადამიანებს უნდა დაენახათ „შუა საუკუნეების დიდი გმირის" ანალოგია დიდ ბელადთან.

სინამდვილეში რუსეთის იმპერიის მშენებელ სტალინს არ ჰქონდა სერიოზული ინტერესი თავისი ისტორიული სამშობლოს მიმართ. მისი დამოკიდებულება თითქმის თანაბარი იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მიმართ, რომელთა საფუძველზე წარმოშობილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ძველი თაობის სტალინისტების რაოდენობა ახლაც არცთუ უმნიშვნელოა.

სტალინის ქალიშვილი *სვეტლანა* (ცნობილი დედის, *ალილუევას*, გვარით) თავის მოგონებებში მამამისის შესახებ წერდა: „ბავშვობაში ჩემმა ძმამ მითხრა,

თურმე მამა ადრე ქართველი ყოფილა". სვეტლანას სჯეროდა, რომ მამამისი რუსეთის პატრიოტი იყო და არსებითად გარუსდა (თუმცა მკვეთრი ქართული აქცენტი სიკვდილამდე შერჩა):

> „ჩვენს ოჯახში საქართველო ცოცხლობდა როგორც სამშობლო... მაგრამ არა იმიტომ, რომ ის მამას სამშობლო იყო. სწორედ მას, შესაძლოა, ყველაზე ნაკლებად იტაცებდა იგი; მამას უყვარდა რუსეთი, შეიყვარა ციმბირი, თავისი მკაცრი სილამაზითა და უთქმელი, უხეში ადამიანებით. ის ვერ იტანდა 'ფეოდალურ პატივს', რომელსაც ქართველები მიაგებდნენ. მან საქართველო მხოლოდ სიბერეში გაიხსენა".

ეს „გახსენება" საქართველოს ძვირად დაუჯდა: 1951 წლიდან საქართველოდან გადაასახლეს 11 ათასზე მეტი ქართველი, რომელთაც უცხო ქვეყნებთან კავშირი დასწამეს, წამოიწყეს სამარცხვინო „მეგრელთა საქმე", ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს სისასტიკემდე მისული სიმკაცრით განთქმული აკაკი მგელაძე...

ჯერ კიდევ შემორჩენილი სტალინისტები გულუბრყვილოდ მიიჩნევენ სტალინს „საქართველოს პატრიოტად". ის კი ერთგულად ემსახურებოდა სულ სხვა ქვეყანას, ხშირად – საქართველოს საზიანოდ.

აზრი არა აქვს სტალინისტების პოზიციის კრიტიკას: მათი რწმენა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა რწმენა, ლოგიკურ არგუმენტებს არ სცნობს. მათ აზრს ვერ შეაცვლევინებ, რამდენიც გინდა უმტკიცო, რომ სტალინი რუსეთისათვის იღვწოდა და არა საქართველოსათვის.

მაგრამ მომდევნო თაობებმა უნდა იცოდნენ სიმართლე.

1930-იანი წლების რეპრესიები ქართველებს ბევრ სხვა ერზე უფრო მძაფრად შეეხო. სტალინი პირადად იცნობდა ბევრ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლებიც იმ დროს დახვრიტეს, მაგრამ არც უცდია მათი გადარჩენა. პირიქით!

საქართველოს ეკონომიკა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებზე მეტად არ განვითარებულა.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიული გაფართოება 1943-1944 წლებში დროებითი და ყოვლად უაზრო მოვლენა იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის ფედერაციისაგან გადმოგვცეს ჩრდილო კავკასიიდან გასახლებული ყარაჩა-ბალყარებისა და ჩეჩენ-ინგუშების ნასახლარი მიწები. ნაჩუქარ ცხენს კბილებს ვერ გაუსინჯავდი, თუნდაც მას დანაელთა ძღვენის სუნი ჰქონოდა! 1955-1956 წლებში ხრუშჩოვმა ეს მიწები თბილისს უკან დააბრუნებინა.

კრემლის ბატონს *არ გაუკეთებია* საქართველოსათვის ყველაზე საჭირო რამ – *არ დაეშვა მის ტერიტორიაზე ავტონომიების შექმნა*, რომლებიც [მეორე] დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, და იქამდეც, თბილისისათვის გამუდმებული თავის ტკივილი იყო, ხოლო მეზობელი ზესახელმწიფოსათვის ჩვენზე ზემოქმედების იარაღს წარმოადგენდა და წარმოადგენს.

თუ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიების შექმნაში, სტალინის გარდა,

სხვა ძალებიც მოქმედებდნენ, *სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა საქართველოს მიწაზე, ქართულენოვანი დაბა ცხინვალისა და ახალგორის რაიონის მისთვის მიერთება, მამისონის უღელტეხილის შეტანა მის ფარგლებში ძირითადად სტალინის „დამსახურებაა“. ტყუილად როდი დაარქვეს ოსებმა ცხინვალს 1934 წელს სტალინირ, რომელიც 30 წელი ერქვა ამ ძირძველ ქართულ დასახლებას.*

ჩემი აზრით, ისტორია არ გვაძლევს საბაბს, მივიჩნიოთ სტალინი ქართველების ეროვნულ გმირად.

* * *

გორის მოსახლეობას კი სავსებით შეუძლია გამოიყენოს ის, რომ მსოფლიოში ცნობილი პიროვნება მათ ქალაქში დაიბადა. ბევრი უცხოელი ტურისტისათვის საქართველოს მთავარი ეგზოტიკური ღირსშესანიშნაობა ისაა, რომ აქ სტალინი დაიბადა. გორელების ქმედება, როდესაც ისინი უფრთხილდებოდნენ სტალინის ძეგლსა და მის სახლ-მუზეუმს, გამართლებულია პრაქტიკული თვალსაზრისით: ამ მონუმენტების გარეშე გორი ყოველგვარ ტურისტულ მიმზიდველობას დაკარგავს. მათ გარეშე გორი საშუალოზე საშუალო ქალაქად გადაიქცევა: იქ არც ლამაზი ლანდშაფტია, არც ღირებული არქიტექტურა, არც სახელის მომტანი საფეხბურთო კლუბი: „დილას“ საერთაშორისო წარმატებას კიდევ დიდხანს უნდა ველოდეთ!

საერთოდაც, სტალინიზმის მონუმენტები და ე.წ. „საბჭოთა სიმბოლიკა" ან ადგილზე უნდა დარჩენილიყო (შესაძლოა, ყველაზე ოდიოზური პირების ძეგლების გარეშე), როგორც ჩვენი ისტორიის, თუნდაც ჩრდილოვანი მხარის, ამსახველი ნივთიერი დოკუმენტები, ან მათთვის ცალკე ადგილზე მუზეუმი მოგვეწყო. სხვათა შორის, ძალაუფლების მოპოვებისთანავე ბოლშევიკებმა ცარისტულ სიმბოლიკასთან დაიწყეს ბრძოლა და რეალური ისტორიის საინტერესო ფურცელი უხეშად წაშალეს. განა აუცილებელი იყო ბოლშევიკებისათვის მიბაძვა?

2010 წლის 25 ივნისის გვიან ღამით სააკაშვილის ხელისუფლების ბრძანებით გორის მთავარ მოედანზე აღმართული სტალინის ძეგლი პოსტამენტიდან ჩამოხსნეს. ამ აქციის მოტივაცია და დროის შერჩევა გაუგებარია: როგორც ჩანს, გადაწყვეტილება ამის შესახებ, ისევე, როგორც მრავალი სხვა, მიღებული იქნა სპონტანურად, ერთპიროვნულად.

იმდროინდელი ხელისუფლება გორის მოსახლეობას დაჰპირდა ძეგლის გადატანას ქალაქის სხვა ადგილზე, რაც არ გააკეთა. ახლა კი ძეგლის გადატანა ბევრ ძველ იარას გახსნის, ბევრ მიძინებულ სტალინისტს გამოაღვიძებს, საერთაშორისო საზოგადოების არაჯანსაღ ინტერესს გამოიწვევს. უმჯობესია, ახალმა ხელისუფლებამ ძეგლის სადმე სხვაგან აღმართვაზე უარი თქვას. ჯერჯერობით მაინც.

თავი 17

საბჭოეთის სიმწიფის ხანა

პოლიტიკური მართვის სისტემა

საბჭოთა ხელისუფლებამ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე იარსება 74 წლის განმავლობაში, 1917 წლის 7 ნოემბრიდან 1991 წლის 8 დეკემბრამდე, როდესაც ფაქტობრივად დაიშალა ამ იმპერიის სახეცვლილება – საბჭოთა კავშირი. 1991 წლის 21 დეკემბერს მის შემადგენლობაში ადრე მყოფი 11 რესპუბლიკა შეთანხმდა, დაეარსებინათ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ; საქართველო მას მხოლოდ 1993 წლის ბოლოს შეუერთდა უკანასკნელ, მე-12 წევრად, ხოლო 2008 წელს პირველი იყო, ვინც დატოვა ეს ორგანიზაცია). საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, მიხაილ გორბაჩოვი 25 დეკემბერს გადადგა, მომდევნო დღეს კი ოფიციალურად გამოცხადდა კავშირის დაშლა.

ზოგან საბჭოთა/რუსული დომინაცია უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგალითად, ბალტიის სახელმწიფოებში ის 1940 წლის ივლისიდან 1991 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა (1941-1944 წლებში იქ ნაცისტური გერმანია ბატონობდა). ამ „ისტორიული სიმოკლის" გამო საბჭოთა რეჟიმი იქ ნაკლებ სასტიკი არ ყოფილა, უფრო პირიქით.

რაც უფრო ვშორდებით კომუნისტურ ეპოქას, მკითხველისათვის სულ უფრო გაუგებარი ხდება, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი სამშობლო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიე, მოკლედ ავხსნა ახლო წარსულის ამ დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა, განსაკუთრებით მისი არსებობის სიმწიფისა და დეკადანსის ხანაში. მომდევნო თავში კი უშუალოდ საბჭოთა საქართველოზე მექნება საუბარი.

მესმის, რომ ზოგიერთი ამ ქვეთავს მიიჩნევს მოსაწყენ და უსარგებლო ქექვად წარსულში. მაგრამ ისტორიკოსს ხანდახან უარესი რამის ქექვაც უხდე-

ბა! თანაც, რაც უფრო ვშორდებით განვლილ ეპოქას, მით უფრო გვავიწყდება რეალური წარსული, რომელშიც მკითხველს (ან მკითხველის ახლო წინაპრებს) მოუხდა ცხოვრება.

* * *

ნომინალურად, საბჭოთა კავშირს მართავდნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები. სახალხო დეპუტატებს ირჩევდნენ სასოფლო, სადაბო, საქალაქო, რაიონულ, საოლქო საბჭოებში, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა („პარლამენტში") და საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში („ფედერალურ პარლამენტში"). *არჩევნები მაჟორიტარული წესით ტარდებოდა:* პროპორციული წესი ვერ იქნებოდა გამოყენებული უბრალოდ იმის გამო, რომ ქვეყანაში მხოლოდ ერთი პარტია იყო.

ყველა დონის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს არჩევდნენ შესაბამისი დონის პარტიული კომიტეტები მათი ზემდგომი პარტიული კომიტეტიდან „დაშვებული" სქემის შესაბამისად: მაგალითად, რაიონულ კომიტეტს სქემას უსაზღვრავდა საოლქო კომიტეტი, ამ უკანასკნელს – რესპუბლიკური კომპარტიის ცეკა. წინასწარ ისაზღვრებოდა საბჭოს სტრუქტურა – რამდენი უნდა ყოფილიყო მასში ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოწიფული, კომუნისტი და უპარტიო, მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენციის წარმომადგენელი; ითვალისწინებდნენ ტერიტორიული ერთეულის (სოფელი, დაბა, ქალაქი, რაიონი, რესპუბლიკა) მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურას. ერთი სიტყვით, „წარმომადგენლობითობა" დაცული იყო უკვე დეპუტატთა კანდიდატურების შერჩევის სტადიაზე.

საბჭოს დეპუტატებს შორის იყვნენ შესაბამისი რანგის პარტიული ლიდერებიც: რესპუბლიკური კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს ირჩევდნენ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში (აუცილებელი იყო მისი არჩევა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოშიც), რაიკომის პირველ მდივანს – რაიონულ საბჭოში და ა.შ.

„არჩევა" მარტივად ხდებოდა, რადგან ყველა საარჩევნო ბიულეტენში ერთადერთი კანდიდატის გვარი იყო მითითებული.

ამომრჩევლებს ევალებოდათ „მოეხადათ თავიანთი სამოქალაქო ვალი" – მისულიყვნენ საარჩევნო უბანში და ხმა მიეცათ პარტიულ კომიტეტებში წინდაწინ შერჩეული „ხალხის რჩეულისათვის". არჩევნებში მონაწილეობისათვის თავის არიდება საშიში იყო: ეს სამუშაო ადგილზე სერიოზული გარჩევის საგანი გახდებოდა. ამიტომაც არჩევნებში მონაწილეობდა ელექტორატის 99,99 პროცენტი: გაუგებარია, ვინ იყო ის მამაცი 0,01 პროცენტი, რომელიც რატომღაც არ მოდიოდა საარჩევნო ურნასთან! როგორც ჩანს, ამ ციფრს იგონებდნენ – 100 პროცენტი მაინც რაღაც უხერხულობას ქმნიდა.

მხოლოდ ესტონეთის სსრ-ში იყო ხოლმე არჩევნებზე გამოუცხადებელთა მაჩვენებელი მაღალი: ის 0,02 პროცენტს აღწევდა!

ამომრჩეველთა 99,99 პროცენტი ხმას აძლევდა საარჩევნო ბიულეტენში ჩაწერილ ერთადერთ კანდიდატს. მამაცი 0,01 პროცენტი, როგორც ჩანს, ბიულეტენს აფუჭებდა: პროტესტის სხვა ფორმა არ არსებობდა.

ყველამ იცოდა, რომ არჩევნები ფიქცია იყო. მაგრამ ვერავინ ბედავდა ამის თქმას.

საბჭოთა კავშირში შემავალი 15-ვე მოკავშირე რესპუბლიკა, სსრკ კონსტიტუციის თანახმად, „სუვერენული სახელმწიფო" იყო, რომელსაც სახალხო დეპუტატთა უმაღლესი საბჭო მართავდა, მაგრამ ესეც ფიქცია იყო. სინამდვილეში საბჭოთა კავშირი სულაც არ შეესაბამებოდა საბჭოთა პროპაგანდისტულ კლიშეს – „ნებაყოფლობით კავშირს".

ქვეყანაში მოქმედებდა ძალაუფლების მკაცრი ვერტიკალი და პოლიტიკური იერარქია. ამ ვერტიკალის ღერძს წარმოადგენდა ქვეყანაში ერთადერთი პარტია – კომუნისტური.

ფაქტობრივი უზენაესი ხელისუფლება მოსკოვში მყოფი სკკპ ცკ პოლიტბიურო იყო, რომელიც ნიშნავდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ფაქტობრივ ხელმძღვანელს – რესპუბლიკური კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს (იხ. ჩანართი 18.1).

ჩანართი 17.1
კომუნისტური ხელმძღვანელების ტიტულების შესახებ

რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება ისეთი ადამიანების რაოდენობა, ვისთვისაც გაუგებარია საბჭოთა კავშირის დროინდელი პოლიტიკური სისტემა და იმდროინდელი ხელმძღვანელების ტიტულები. არადა, იმ ეპოქაში საქართველომ საუკუნის თითქმის სამი მეოთხედი იცხოვრა და ისტორიით დაინტერესებულ პირს ყოველთვის ექნება შეხება *„ცეკას მდივნებთან"*, *„პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებთან"* და სხვა, ახლა ანაქრონიზმად ქცეულ ტიტულებთან.

1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ რუსეთს "საბჭოთა კავშირს *თეორიულად* მართავდა *უმაღლესი საბჭო*, პარლამენტის ეკვივალენტი (თავიდან მას ერქვა „მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების", შემდეგ – „მშრომელთა დეპუტატების" საბჭო) და მის მიერ დანიშნული მთავრობა, ხოლო *რეალურად* – *საბჭოთა კავშირის* (1952 წლამდე – *საკავშირო*) *კომუნისტური პარტიის* (შემოკლებით *სკკპ*) *ცენტრალური კომიტეტის* (შემოკლებით *ცკ*: რუსულის გავლენით გამოიტქმოდა *ცეკა*) *პოლიტბიურო*. ცეკაში ასზე მეტი წევრი იყო, ხოლო მის *პოლიტბიუროში* სულ ათი-თორმეტი ადამიანი – *ცეკას მდივნები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე* (ნომინალურად მისი პოსტი „პრეზიდენტისას" უთანაბრდებოდა) და ორიოდე სხვა ხელმძღვანელი.

პოლიტბიუროს წევრი შედიოდა ქვეყნის უზენაეს მმართველთა მცირე ჯგუფში. *წევრობის კანდიდატი* პარტიულ იერარქიაში უფრო დაბალ საფეხურზე იდგა: პოლიტბიუროში მას მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა.

პოლიტბიურო იჯდა *მოსკოვის კრემლში* – შუა საუკუნეების დროინდელ ციტადელში: სტალინის დროს მისი წევრები იქვე ცხოვრობდნენ. ამიტომაც საბჭოთა კავშირის/რუსეთის მმართველი ელიტის სინონიმად ხშირად ვიყენებთ სიტყვას *„კრემლი“*.

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განთავსებული იყო მოსკოვის *სტარაია პლოშჩად*ზე მდებარე შენობაში.

პოლიტბიუროში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა *სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს*. 1922-1934 წლებში *გენერალური მდივანი* იყო *სტალინი*. სწორედ მან აქცია ეს თანამდებობა საბჭოთა კავშირის რეალური მმართველის სახელად. 1934-1952 წლებში სტალინი ხელს აწერდა, როგორც *ცეკას მდივანი*, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ის ფაქტობრივად *გენერალური მდივანი* იყო, ხოლო მისი არაოფიციალური ტიტული 1929 წლიდან იყო *ბელადი* (რუსულად – Вождь).

1953-1964 წლებში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი– *ნიკიტა ხრუშჩოვი* – ატარებდა *სკკპ ცკ პირველი მდივნის* ტიტულს. იმავე ტიტულს 1964-1966 წლებში ფლობდა *ლეონიდ ბრეჟნევი*, რომელმაც 1966 წელს აღადგინა *გენერალური მდივნის* პოსტი და სიკვდილამდე (1982 წ.) ეკავა იგი, ისევე, როგორც ყველა მის პარტიულ სამართალმემკვიდრეს 1991 წლამდე. ბრეჟნევის დროსვე აღდგა *პოლიტბიურო* (1952-1966 წლებში მას *პრეზიდიუმი* ერქვა).

ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში არსებობდა რესპუბლიკის (მაგალითად, საქართველოს, უკრაინის, ლატვიის და ა.შ) *კომუნისტური პარტია*, რომელიც, სინამდვილეში, სკკპ-ის რეგიონულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და კრემლს ექვემდებარებოდა. რესპუბლიკის კომპარტიას მართავდა თავისი *ცეკა*, რომელსაც კრემლის *პოლიტბიუროსაგან* განსხვავებით, უბრალოდ, *„ბიურო“* ჰქონდა. რესპუბლიკური *ცეკას ბიუროს* შემადგენლობაში შედიოდნენ *ცეკას მდივნები* და მაღალი თანამდებობის რამდენიმე სხვა პირი – რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (კაგებე-ს) თავმჯდომარე, ცენტრალური გაზეთის რედაქტორი და სხვ. ისინი რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელი პირები იყვნენ.

რესპუბლიკური კომპარტიის *ცეკას პირველი მდივნის კანდიდატურას* კრემლში საგანგებოდ არჩევდნენ და „რეკომენდაციას აძლევდნენ“ რესპუბლიკური ცეკას პლენუმზე ასარჩევად. „ *ზემოდან რეკომენდებულ ამბანაგს* “ პლენუმი ყოველთვის ერთხმად აძლევდა ხმას!

ცეკას პირველი მდივანი პრაქტიკულად რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელი იყო. ის ცეკას აპარატის დახმარებით არჩევდა პარტიის *საოლქო კომიტეტების* (საქართველოში ეს იყო სამი ავტონომიური ერთეულის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო), *ქალაქის კომიტეტების* (ქალაქკომი), *რაიონული კომიტეტების* (რაიკომი) პირველი და რიგითი მდივნების კანდიდატურებს. ფორმალურად, მათაც შესაბამისი დონის პლენუმებზე „ირჩევდნენ“.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ პერიფერიულ, არასლავურ რესპუბლიკებში პირველი მდივანი რესპუბლიკის ძირითადი ეთნოსის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. საბჭოთა კავშირის არსებობის ადრეულ ეტაპზე ასეთი რამ აუცილებელი არ იყო.

ადგილობრივ კადრებზე დაყრდნობის ტრადიცია იმპერიებისათვის უცხო არაა, იმპერიალისტებმა ოდითგანვე იცოდნენ, რომ „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერს“.

სპარსეთის, არაბების, ბიზანტიის გავლენის სფეროში ყოფნისას ან პირდაპირი ანექსიის დროს ქართული ტერიტორიის მმართველის ტიტული შეიძლებოდა ყოფილიყო პიტიახში, კუროპალატი, ჯანიშინი – მაგრამ ჩვენ მათ საკუთარ მეფეებად ვრაცხდით.

XVI–XVII საუკუნეებში სპარსეთის სეფიანთა იმპერიის ცენტრში, ქალაქ ისფაჰანში მჯდომი, სეფიანთა დინასტიის შაჰინშაჰი თავისი სავასალო ქართლისა და კახეთის მმართველებად ადგილობრივ, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებს, ამჯობინებდა. ისფაჰანისათვის ეს მმართველი იყო „ვალი", ანუ გენერალ-გუბერნატორი, ქართველები კი მას „მეფეს" ეუწოდებდით. ქართლის ან კახეთის ვალის/მეფეს უნდა დაემტკიცებინა ერთგულება სპარსეთის ოფიციალური იდეოლოგიისათვის – შიიტური მიმართულების ისლამში გადასვლით (თუ ის იქამდეც არ იყო შიიტი). ეს პრაქტიკა შეწყდა მხოლოდ 1745 წელს (იხ. შესავალი).

XX საუკუნეში მოსკოვში მჯდომი უზენაესი კომუნისტი ლიდერიც (გენერალური მდივანი) პერიფერიულ რესპუბლიკებში ადგილობრივი წარმოშობის მმართველს (ცეკას პირველ მდივანს) აგზავნიდა. მის სინონიმად ქართველები ან სომხები აღარ ვიყენებდით ტერმინს „მეფე", უკრაინელები – ტერმინს „ჰეტმანი", უზბეკები, ყაზახები, აზერბაიჯანელები და ისლამურ კულტურულ ტრადიციაზე დაფუძნებული სხვა ეთნოსები – ტერმინებს „ხანი" ან „სულტანი", მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკაში ცეკას პირველი მდივანი ადგილობრივი მეფეც იყო და სულტანიც.

ამასთან ერთად, ცენტრი ამ პერიფერიულ „მდივან/მეფე/სულტნებს" ბოლომდე მაინც არ ენდობოდა და აკონტროლებდა „ცეკას მეორე მდივნის" – ეთნიკური რუსის მეშვეობით, რომელსაც უშუალოდ მოსკოვიდან აგზავნიდნენ.

* * *

სტალინის შემდეგ, 1964 წლის 16 ოქტომბრამდე, საბჭოთა კავშირის ფაქტობრივი ლიდერი იყო *ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვი*. იმ დღეს ის „შიდაპარტიული შეთქმულების" შედეგად გადააყენეს. ეს მოხდა კომპარტიის წესდების სრული დაცვით – ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა პირველი მდივნის შეცვლა. „შეთქმულება" ამ აქციას იმიტომ ვუწოდე, რომ მანამდე ვერავინ ბედავდა წესდების ისე დაცვას, რომ პარტიაში პირველ პირს რაიმე პრობლემა შექმნოდა.

მაგრამ ხრუშჩოვი, თავისი ქცევითა და, განსაკუთრებით, თავისი დაუსაბუთებელი ექსპერიმენტებით სოფლის მეურნეობასა და ქვეყნის მართვის სისტემაში საფრთხეს უქმნიდა თვით კომპარტიას.

1962-63 წლებში, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირში გაჩნდა პურის ნაკლებობა და მასობრივი შიმშილის საფრთხე თითქმის რეალობად იქცა: პურის დილით შესაძენად ხალხი ცოცხალ რიგში უკვე შუაღა-

მისას დგებოდა. ამის მიზეზი იყო ხრუშჩოვის მიერ წამოწყებული დაუსაბუთებელი ორგანიზაციული ცვლილებები, რომელთაც *რეფორმებს ვერ ვუწოდებთ*: ეს იყო, მაგალითად, *ემტეეს*-ების (მანქანა-ტრაქტორთა სადგურების) გაუქმება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კოლმეურნეობებისათვის იძულებით მიყიდვა (ამ უკანასკნელთ კი არ ჰქონდათ საკმარისი ფული და არ ჰყავდათ სათანადო ტექნიკოსები და მძღოლი-ოპერატორები: ამიტომაც ტექნიკა მოიშალა); ძნელად სამართავი „სახალხო მეურნეობის საბჭოების", ანუ „სოვნარხოზების" შექმნა; პარტიის ტერიტორიული ორგანიზაციის ნაცვლად მისი გარდაქმნა სამეურნეო პროფილით (ამიტომაც გაჩნდა „სამრეწველო" და „სასოფლო-სამეურნეო" რაიკომები); რესპუბლიკების შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის უაზროდ შეცვლა – რაიონების გამსხვილება და ა.შ.

ყველაფერს ზემოხსენებულს *„ქვა ზირეფორმების"* („ვითომ რეფორმების") სახელი უფრო მიესადაგება.

მათ გამო პარტიამ კინაღამ დაკარგა ეკონომიკის მართვის სადავეები. თვითგადარჩენის ინსტინქტმა უმაღლესი პარტიული ელიტა დარაზმა და ცეკას პლენუმზე ხრუშჩოვს *„ვოლუნტარიზმი"* (სხვანაირად – თვითნებობა) წაუყენეს ბრალად. მისი მომხრე პრაქტიკულად არავინ აღმოჩნდა.

მრავალეროვანი კავშირის გამოწვევები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) შეიქმნა 1922 წლის 30 დეკემბერს.

თითქოს პარადოქსია, რომ პოლიტიკურად ცენტრალიზებული სახელმწიფოს *ტერიტორიული სტრუქტურა ეთნიკურ პრინციპს ეყრდნობოდა*. მაგრამ მრავალეროვანი იმპერიის ბაზაზე შექმნილ სახელმწიფოს, რომელსაც ინტერნაციონალიზმზე ჰქონდა პრეტენზია, რაღაც სახით მაინც უნდა გაეთვალისწინებინა ეთნიკური პრინციპი.

სხვათა შორის, პრაგმატულად მოაზროვნე სტალინს ესმოდა სსრკ-ის შექმნით წარმოშობილი შინაგანი წინააღმდეგობა და 1922 წელს გამოთქვა აზრი, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე არსებული ყველა ეთნოპოლიტიკური წარმონაქმნი ავტონომიის უფლებით შესულიყო რუსეთის ფედერაციაში. ამის წინააღმდეგ, უპირველესად, მისი თანამემამულეები – ქართველი ბოლშევიკები (ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტები") – წავიდნენ: მათ საქართველოს სსრ-ის შენარჩუნება უნდოდათ. ქართველ ბოლშევიკებს მხარი დაუჭირა ლენინმა, შესაძლოა, ტაქტიკური მიზნით: ის მალევე გარდაიცვალა და მისი ნამდვილი მიზანი უცნობი დარჩა.

ეთნიკურობაზე დაფუძნებული ტერიტორიული სტრუქტურის პრინციპი

ბოლშევიკური რევოლუციის გარიჟრაჟზე ჩაისახა, ძირითადად, 1918 წლიდან. სახელმწიფოს ასეთი სტრუქტურის შექმნა ბოლშევიკების თავდაპირველი მიზანი არ ყოფილა: ლენინი და მისი თანამოაზრეები მსოფლიო მასშტაბის ერთიანი კომუნისტური საზოგადოების შექმნაზე ოცნებობდნენ. მათ სჯეროდათ, რომ დედამიწაზე შესაძლებელია უკლასო, უსახელმწიფო, უეროვნებო საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც იქნებოდა საკუთრების ერთადერთი ფორმა – კოლექტიური.

მაგრამ 1918 წელს შექმნილმა პოლიტიკურ-გეოგრაფიულმა რეალობამ – რუსეთსა და გერმანიას შორის ბრესტის ზავის (3 მარტი) დადების დროს უკვე არსებობდა დამოუკიდებელი უკრაინა და ბელორუსია და მალევე გაჩნდა დამოუკიდებელი საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი – ბოლშევიკ ლიდერებს სხვა გზა არ დაუტოვა: მათ ფედერაციული სახელმწიფო უნდა შეექმნათ.

1920-იანი წლების დასაწყისამდე ჯერ კიდევ არსებობდა ილუზია, რომ „მალე მთელ მსოფლიოში მოხდება პროლეტარული რევოლუცია, არსებული სახელმწიფოები კომუნისტურები გახდებიან და ეროვნულობა დაკარგავს თავის მნიშვნელობას“. ამიტომაც, თუ ვთქვათ, უკრაინელებით დასახლებულ გუბერნიებს დაერქმევა „უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ (კრემლში, ალბათ, მიაჩნდათ, რომ დროებით), ეს კარგი მაგალითი იქნება მომავალი პოლონეთის, გერმანიის, უნგრეთისა და სხვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შესაქმნელად, რომლებიც ერთიან კავშირში შეელენო.

მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გულუბრყვილო იმედი სამ-ოთხ წელიწადში ჩაქრა. საბჭოეთის ტერიტორიული სტრუქტურის შეცვლა კი შეუძლებელი აღმოჩნდა.

სსრკ-ში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ), ფაქტობრივად – ჰეგემონი, ფორმალურად მხოლოდ ერთ-ერთი წევრის სტატუსით შევიდა.

მის გარდა, კავშირში 1991 წლის დამდეგს არსებობდა კიდევ 14 მოკავშირე რესპუბლიკა – ფორმალურად, სუვერენული სახელმწიფო, კავშირიდან გასვლის კონსტიტუციური უფლებით. მოკავშირე რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკაც „სახელმწიფო“ იყო, მაგრამ მისი შემადგენლობიდან „დაუკითხავად“ გასვლის უფლების გარეშე. ასევე არ ჰქონდათ ეს უფლება საბჭოთა „მატრიოშკას“ ტიპის იერარქიაში კიდევ უფრო დაბლა მდგომ ავტონომიურ ოლქსა და ნაციონალურ ოკრუგს: ისინი „სახელმწიფოდ“ არც ითვლებოდნენ.

მოკავშირე რესპუბლიკა ეროვნული სახელმწიფოს ვარიანტს წარმოადგენდა. რუსი ეთნოლოგი, აკადემიკოსი ვალერი ტიშკოვი 1989 წელს წერდა:

> „საბჭოთა კავშირს, მკაცრი კრიტერიუმებით რომ მივუდგეთ, ადმინისტრაციული დაყოფა არა აქვს. საბჭოთა ფედერაციის სუბიექტებად გამოდის 15 'ეროვნული სახელმწიფო', რომელთაც აქვთ ადმინისტრაციული დაყოფა“.

ყველა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ნაციონალური ოკრუგის სახელი „სატიტულო ერს“ ასახავდა, ანუ იმ ერს, რომლის სახელსაც ატარებდა რესპუბლიკა, ოლქი თუ ოკრუგი. მაგალითად, საქართველოს სსრ-ის შემთხვევაში ძირითად ერად ქართველები ითვლებოდნენ, აფხაზეთის ასსრ-ში – აფხაზები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – [სამხრეთელი] ოსები და ა.შ.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური ერთეულების სახელები ეთნიკურ საფუძველს ემყარებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა გეოგრაფიული სახელის მქონე მხოლოდ რამდენიმე ავტონომია – აჭარა, ნახჭევანი, დაღესტანი, მთიანი ყარაბაღი, მთიანი ბადახშანი. არ არსებობს აჭარელი, ნახჭევნელი, დაღესტნელი, ბადახშანელი, ყარაბაღელი ერები: აჭარლები ქართველების სუბეთნოსია; ნახჭევანში ძირითადად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ; მთიან ყარაბაღში – სომხები; დაღესტანსა და მთიან ბადახშანში (ის ტაჯიკეთში შედის) შედარებით მცირერიცხოვანი 10-15 განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობენ.

ყველა რესპუბლიკაში, როგორც მოკავშირე, ისე ავტონომიურში, რომლებიც სხვადასხვა პროპორციით მრავალეროვნულები იყვნენ, ყალიბდებოდა რაღაც „ერი-სახელმწიფოს გრძნობის“ მსგავსი. ზოგიერთ ავტონომიაში სხვა ეთნოსები რაოდენობრივად სატიტულოზე არანაკლები ან მეტიც კი იყო: მაგალითად, აფხაზეთში ეთნიკური აფხაზები 1989 წელს 18 პროცენტზე ნაკლებს შეადგენდნენ; მათ დიდად სჭარბობდნენ ქართველები (43 პროცენტი), ხოლო რუსები და სომხები რიცხოვნობით თითქმის უტოლდებოდნენ აფხაზებს. მიუხედავად ამისა, ოფიციალური საბჭოთა მიდგომა იყო, რომ ავტონომია აფხაზებისათვისაა შექმნილი. იგივე ითქმის სხვა ავტონომიებზეც.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიული სტრუქტურა თავის თავში შეიცავდა ფედერალური სახელმწიფოს დაშლის საფრთხეს. გადაჭარბებული „ერი-სახელმწიფოს გრძნობა“ კი რესპუბლიკის შიდა ეთნოტერიტორიული დაპირისპირების წინაპირობა ხდებოდა ხოლმე.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი, როგორც რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალი, გარკვეული თვალსაზრისით, „ნაციონალ-პატრიოტად“ იქცა. ის ზრუნავდა თავის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიასა და მისთვის სახელის მიმცემ („სატიტულო“) ეთნოსზე.

1950-1960-იანი წლების რესპუბლიკურ ლიდერებს შორის მაგალითებად გამოდგებიან უზბეკები მუხიტდინოვი, კამალოვი, რაშიდოვი, რომლებიც უზბეკეთზე ზრუნავდნენ, ყაზახი კუნაევი – ყაზახეთზე, უკრაინელები პოდგორნი და შელესტი – უკრაინაზე, სომხები არუთინოვი, ზარობიანი, კოჩინიანი – სომხეთზე, ქართველი მჟავანაძე – საქართველოზე და ა.შ. ის კი არა, წარმოშობით რუსი ლეონიდ ბრეჟნევი, რომელიც მოლდავეთის კომპარტიას

ჩაუყენეს სათავეში, მოლდავეთისათვის ზრუნავდა. მაგალითად, მის დროს აშენდა სტადიონი ქალაქ კიშინიოვის საფეხბურთო კლუბ „ბურევესტნიკისათვის“, რაც მაშინ „მოლდაველი ხალხისათვის მიძღვნილ დიდ საჩუქრად“ იქნა მიჩნეული!

იგივე ხდებოდა 1970-1980-იან წლებში – მხოლოდ პირველი მდივნების გვარები შეიცვალა.

მართალია, ასეთი „ზრუნვა“ მკაცრ ჩარჩოებში იყო მოქცეული და ძირითადად გამოიხატებოდა „ცენტრისაგან“ (ეს იყო მოსკოვი თავისი სკკპ ცენტრალური კომიტეტით, საკავშირო საგეგმო კომიტეტით, ანუ „გოსპლანით“ და სამინისტროებით) კაპიტალური მშენებლობის დამატებითი ლიმიტების მოპოვებაში, ვთქვათ, სპორტის სასახლის, უნივერსიტეტის ახალი კორპუსის, მეტროს, ან დიდი სტადიონის ასაშენებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების ლიდერები ზრუნავდნენ ეროვნული კადრების მომზადებასა და ხელმძღვანელ პოსტებზე მათ დანიშვნაზე. ეს ავტომატურად იწვევდა გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ხელმძღვანელების კვლავწარმოებას.

ზემოთქმული მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებს არ ეხებოდა. ეს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებზეც გავრცელდა, რომლებიც საბჭოთა ადმინისტრაციული იერარქიის უფრო დაბალ საფეხურებზე იდგნენ. ფაქტობრივად, თითქმის ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარეობდა *წინასახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესები* და მათ ხელს უწყობდნენ შესაბამისი კომპარტიები (ან, ავტონომიებში, მათი რეგიონული ორგანიზაციები), შესაძლოა, შეგნებულადაც კი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ სომხეთში პრაქტიკულად ყველა კომუნისტი ლიდერის ძეგლი შეინარჩუნეს. იქ კარგად ესმით, რომ ეს ხელმძღვანელები, ისევე, როგორც კომპარტიის რიგითი წევრები, სომხეთისათვის იღვწოდნენ. მაგალითად, სომხეთის კომპარტიის პირველ მდივანს, *ჰაკობ ზარობიანს,* დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა მიეღო კრემლის ნებართვა 1965 წელს ოფიციალურად აღენიშნათ „1915 წლის სომხების გენოციდის“ 50 წლისთავი. 1967 წელს გაიხსნა დიდი მემორიალი ერევნის გარეუბან *წიწერნაკაბერდში* – თანამედროვე სომხეთის მთავარი ეროვნული სიმბოლო. კომუნისტ ზარობიანს ძეგლი სომხებმა დაუდგეს XXI საუკუნეში, დამოუკიდებლობის პერიოდში.

1920-იანი წლების დასაწყისში კავკასიის ბოლშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა *ალექსანდრ მიასნიკიანმა* ყველაფერი გააკეთა *საბჭოთა სომხეთის* საზღვრების გასაფართოებლად. მიასნიკიანს მაშინ ყველა ამხანაგ *ალექსანდრ ფიოდოროვიჩ მიასნიკოვად* იცნობდა და ბევრს რუსადაც კი მიაჩნდა. ის კი ყველაფერს აკეთებდა საბჭოთა სომხეთის საზღვრების გასაფართოებლად. მიასნიკიანის დამსახურებაა, ყოფილი რუსეთის იმპერიის ტფილისის გუბერნიაში შემავალი

ლორე (1918-1921 წლებში – ნეიტრალური ზონა) საბჭოთა სომხეთს ერგო. ის ცდილობდა, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ელისავეტპოლის გუბერნიაში შემავალი ზანგეზური და მთიანი ყარაბაღიც საბჭოთა სომხეთს რგებოდა. ზანგეზურის შემთხვევაში მიასნიკიანმა და სხვა სომეხმა კომუნისტებმა წარმატებას მიაღწიეს. რასაკვირველია, მათ დაიმსახურეს ძეგლები ერევანში!

1925 წელს მიასნიკიანი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ჩემს თაობას ახსოვს მისი და მასთან ერთად დაღუპული რამდენიმე სხვა პარტიული მუშაკის საძმო საფლავი თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ეროვნული გალერეის (ბოლშევიკურ რევოლუციამდე ეს იყო „რუსული სამხედრო დიდების ტაძარი", რომელსაც უნდა უკვდავეყო რუსეთის არმიის გმირობა კავკასიის დაპყრობისას) წინ მდებარე პატარა სკვერში. იმავე საფლავში ინვნენ ამიერკავკასიის გპუ-ს უფროსი *სოლომონ* (პარტიული ფსევდონიმი *სერგეი*) *მოგილევსკი*, ვინც სისხლში ახრჩობდა 1924 წლის ანტიკომუნისტურ აჯანყებას საქართველოში, *გეორქ (ივან) ათარბეკოვი*, ვინც ასევე სისხლში ახრჩობდა 1921 წლის ანტიკომუნისტურ აჯანყებას სომხეთში და მფრინავები შპილი და *საღარაძე*. მაშინ გავრცელდა ხმები, საღარაძემ შეგნებულად დაანარცხა მიწას თვითმფრინავიო... ვინ იცის?

მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში აზერბაიჯანელმა კომუნისტებმა თითქოს იმარჯვეს და ის აზერბაიჯანის შემადგენლობაში დატოვეს, მაგრამ მათ კომპრომისი მოუხდათ: რეგიონს 1923 წელს ავტონომიური ოლქის სტატუსი მიენიჭა, რამაც 65 წლის შემდეგ სომხურ ირედენტიზმს (იხ. სქოლიო 30) გარკვეული იურიდიული საფუძველი შეუქმნა. ამ აზერბაიჯანელ კომუნისტებს ბაქოში ძეგლები არ ეკუთვნით!

იმავე მიზეზით უთხრა უარი ქართველმა ერმა საბჭოთა პერიოდში დადგმული ძეგლების შენარჩუნებაზე იმ ქართველ კომუნისტებს, უპირველესად – სერგო ორჯონიკიძეს, ვინც სამხრეთ ოსეთის ავტონომიის შექმნის საწინააღმდეგოდ არაფერი იღონა (ამან 66 წლის შემდეგ მისცა ბიძგი ოსურ ირედენტიზმს) და ვინც 1921 წლის მაისში აფხაზეთის სსრ-ის „დამოუკიდებლობას" ცნობდა.

* * *

საბჭოთა კავშირში, ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში, მიმდინარეობდა სპეციფიკური *ეთნონაციონალური პროცესები*.

რუსეთის იმპერია ამ პროცესებს თავისებურად მართავდა. ის ყველა ეთნიკური ჯგუფის არისტოკრატიულ ელიტას ტახტთან აახლოებდა, ყიდულობდა მათ ერთგულებას ტიტულებით, ორდენებით, ჯამაგირით და მათი მეშვეობით აკონტროლებდა ეთნიკურ უმცირესობებს, რომელთა შიდა სოციალურ ორგანიზაციაში ნაკლებად ერეოდა: ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმპერიის მუსლიმ ქვეშევრდომებს. კავკასიელი მთიელები, სამხედრო გზით „ჩაწყნარების" შემ-

დეგ, აგრეთვე თიურქულენოვანი მომთაბარეები ცხოვრობდნენ ისე, როგორც შუა საუკუნეებში. თუკი არ იყო ბუნტი, „ტუზემცების" შიდა საზოგადოებრივი ცხოვრება იმპერიას ნაკლებად აინტერესებდა. იმპერია ძირითადად ინარჩუნებდა ერთაშორის მშვიდობას, თუმცა XIX საუკუნის ბოლოდან იქ იყო ებრაელთა პოგრომები, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან – სისხლიანი დაპირისპირება სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის კავკასიაში.

აშკენაზ (ევროპელ) ებრაელებს რუსეთის იმპერიაში „ბინადრობის ზღვარი" (რუსულად черта оседлости) ჰქონდათ დადებული. მათ შეეძლოთ ცხოვრება ძირითადად XVIII საუკუნის პოლონეთის რეჩპოსპოლიტას ფარგლებში – პოლონეთში, ლიტვაში, აგრეთვე ბელორუსიაში, მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, დღევანდელი უკრაინის სანაპირო ზოლში. ამიტომაც მომრავლდნენ ისინი შავიზღვისპირა ქალაქ ოდესაში. საკუთრივ რუსეთში (ველიკოროსიაში) ებრაელი შედარებით ცოტა იყო, თუმცა წარმატებულ ებრაელ ვაჭარს იქაც შეეძლო ეცხოვრა (მოსკოვში ცნობილი იყო, მაგალითად, ებრაელი *პოლიაკოვების* მდიდარი და გავლენიანი საგვარეულო). რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის პირველი საყოველთაო აღწერის მიხედვით „ბინადრობის ზღვარში" ცხოვრობდა 5 მილიონამდე ებრაელი, მის გადაღმა კი, აღმოსავლეთით, სულ 350 ათასი. მათ შორის მეტი წილი ქართველი, ბუხარელი (შუა აზიის), მთიელი (დაღესტნისა და აზერბაიჯანის) ებრაელები იყვნენ, რომელთაც რუსეთის იმპერია „ტუზემცებს" მიათვლიდა. ისინი ადგილობრივ ქრისტიან და მუსლიმ „ტუზემცებთან" სავსებით მშვიდობიანად თანაარსებობდნენ."

სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სახელით მოხდა, სინამდვილეში ნაციონალიზმის ამოხეთქვას შეუწყო ხელი.

ის, რომ *ნაციონალიზმი* საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად არ გაქრებოდა, თავიდანვე ცხადი იყო; მაგრამ სტალინი, რომელიც 1921 წლის ივნისში თბილისში ჩამოვიდა, სადაც წინა 15 წელი არ ყოფილა, და ახლად გასაბჭოებულ კავკასიურ რესპუბლიკებს ეცნობოდა, განცვიფრებასა და აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ

> „ამიერკავკასიის სხვადასხვა ერების მუშებს შორის აღარ არის ძველი სოლიდარობა. მუშათა და გლეხთა შორის განვითარდა ნაციონალიზმი, გაძლიერდა უნდობლობის გრძნობა სხვა ეროვნების ამხანაგების მიმართ... ძმური ნდობის ძველი კავშირები დარღვეულია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. როგორც ჩანს, სამი წლის განმავლობაში ნაციონალისტური სახელმწიფოების არსებობას საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში უქმად არ ჩაუვლია".

კავკასიის ერების ნაციონალიზმმა უკვე რუსეთის იმპერიის პერიოდში აიდგა ფეხი. თანაც, ის არ უნდა გავიგოთ აუცილებლად იმ ნეგატიური აზრით,

რომელსაც მას სტალინი აძლევდა. რაც შეეხება თბილისელ მუშებს, რომლებიც სტალინს „ინტერნაციონალისტებად" ახსოვდა, ისინი იმპერიაში ცხოვრობდნენ და არა – ეროვნულ სახელმწიფოებში და, ბუნებრივია, საერთო მტერი ჰყავდათ იმპერიული ბიუროკრატიისა და „კაპიტალისტი ექსპლუატატორების" სახით. როგორც კი იმპერია დაიშალა, საერთო მტრის ხატიც გაქრა და ყველამ საკუთარი სახლის მოწყობა მოინდომა. ეს ბუნებრივი პროცესია.

უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის რესპუბლიკების – ნაციონალური (და არა „ნაციონალისტური", როგორც მათ სტალინი უწოდებდა) სახელმწიფოების – თუნდაც ხანმოკლე არსებობამ წარუშლელი კვალი დატოვა ერების ფსიქოლოგიაში. თავისუფლების ჯინი ბოთლიდან გამოუშვეს! ამ თვალსაზრისით, სტალინმა თავის განცვიფრებას მართლაც სწორი ახსნა მოუძებნა.

სტალინისთვის მთავარი იყო რაღაც „წამალი" ეპოვა არარუსი ერების ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ერთგვარი, თუმცა, როგორც შემდეგში გაირკვა, არასრულფასოვანი „წამალი" იყო სლავური მოსახლეობის, ძირითადად რუსი მუშების პერიფერიებზე გადასახლებისათვის ხელის შეწყობა. იმ პერიოდში რუსეთს ჯერ კიდევ გააჩნდა ამის დემოგრაფიული პოტენციალი. ტაშკენტი, დუშანბე, ფრუნზე (ამჟამინდელი ბიშკეკი), ვერნი (ამჟამინდელი ალმათი) მეფის რუსეთის დროს დაარსდა, როგორც რუსული ქალაქები და 1920-30-იან წლებში რუსული მოსახლეობა იქ მატულობდა კიდეც.

იგივე ტენდენცია იჩენდა თავს სამხრეთ კავკასიაშიც. მაგალითად, მოსახლეობის 1926 და 1939 წლების სრულიად საკავშირო აღწერებს შორის პერიოდში საქართველოში რუსების რაოდენობა 320 (!) პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როცა ქართველებისა – სულ 22 პროცენტით. მთელი სლავური მოსახლეობა (იგულისხმებიან რუსები უკრაინელებთან და ბელორუსებთან ერთად: ბოლო ორი ეთნოსი თავიანთი რესპუბლიკების გარეთ საკმაოდ სწრაფ რუსიფიკაციას განიცდიდა და რუსულ ენაზე გადადიოდა) საქართველოში 1926 წლის აღწერით 120 ათასზე ნაკლებს შეადგენდა, 1939 წელს კი – 400 ათასს. იმავე პერიოდში საქართველოში სომხურმა მოსახლეობამაც ქართველებზე ბევრად სწრაფად მოიმატა (35 პროცენტით). ამიტომაც ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში 67,6 პროცენტიდან 61,4 პროცენტამდე შემცირდა: ცნობილი წყაროების მიხედვით ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ჩვენს დემოგრაფიულ ისტორიაში. იმავე პერიოდში შემცირდა აფხაზების ხვედრითი წილიც საქართველოს მთელ მოსახლეობაში – 2,1 პროცენტიდან 1,6 პროცენტამდე – და აფხაზეთის ასსრ-შიც.

„სატიტულო ერის" (ანუ რომლის სახელსაც ატარებდა რესპუბლიკა) ხვედრითი წილის კლების ტენდენცია საქართველოს გარდა მეზობელ რესპუბლიკებშიც აღინიშნა.

იმავე აღწერების თანახმად შეფარდებითი კლება ჰქონდათ აზერბაიჯანელებს აზერბაიჯანის სსრ-ში – 62,1 პროცენტიდან 58,4 პროცენტამდე: იქაც სლავებისა და სომხების რაოდენობამ უფრო სწრაფად იმატა.

1926-1939 წლებში შემცირდა „სატიტულო ერის" ხვედრითი წილი სომხეთის სსრ-შიც კი, სადაც 1914-1920 წლების ომების შედეგად მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა მკვეთრად შეიცვალა: პირველი მსოფლიო ომის დროს და უშუალოდ მის შემდეგ იქ თურქეთიდან შევიდა უამრავი სომეხი ლტოლვილი. თბილისიდან ერევანში გადასახლდა სომხური ინტელიგენციის საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი. სამაგიეროდ, სომხეთი დატოვა იქამდე მრავალრიცხოვანმა მუსლიმმა მოსახლეობამ – აზერბაიჯანელებმა, თურქებმა, ქურთებმა. ამიტომაც უკვე 1926 წლის აღწერით სომხეთში ეთნიკური სომხები 84,4 პროცენტს შეადგენდნენ, რაც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მონოეთნიკურობის უმაღლესი მაჩვენებელი იყო. სლავური მოსახლეობის შემოდინების გამო 1939 წლისათვის სომხების ხვედრითმა წონამ სომხეთის სსრ-ში 82,8 პროცენტამდე იკლო, თუმცა ასეთი მაჩვენებელიც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მონოეთნიკურობის უმაღლეს დონედ რჩებოდა.

შედარებისათვის: მოსახლეობის 2001 წლის აღწერის თანახმად, სომხები თავიანთ სახელმწიფოში 98 პროცენტს შეადგენდნენ

1930-იან წლებში კავკასიის რესპუბლიკებში „სატიტულო ერის" ხვედრითი წილის კლების ტენდენციას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა:

(1) კოლექტივიზაციის სტრესი და სტიქიური გაქცევა სლავური რესპუბლიკებიდან სამხრეთისაკენ;

(2) პერიფერიების დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია და იქ რუსი მუშების ორგანიზებული ჩასახლება.

პირველ მიზეზზე მე-11 თავში მქონდა საუბარი. ეთნოდემოგრაფიული ცვლილებების მეორე მიზეზი დამატებით ახსნას მოითხოვს.

რუსი მუშების ორგანიზებული გადასახლება პერიფერიულ საბჭოთა რესპუბლიკებში ხდებოდა იქ ინდუსტრიალიზაციის ხელშესაწყობად და ადგილებზე „მუშათა კლასის როლის ასამაღლებლად", რაც „კომუნიზმის მშენებლობის" ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური მიზანი იყო.

არც ერთი შუააზიელი და ბევრი კავკასიელი ხალხი არ იყო მომზადებული ქარხნის დაზგებთან და ჩარხებთან სამუშაოდ. შუა აზიასა და აზერბაიჯანში მრეწველობაში ძირითადად რუსები დასაქმდნენ. მიგრაციის ხარჯზე სამხრეთის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობაში სლავური ელემენტის ხვედრითმა წონამ მკვეთრად იმატა. ამის *მთავარი პოლიტიკური მიზანი არასლავური რესპუბლიკების რუსეთთან შემომტკიცება იყო*. ამ თვალსაზრისით საგრძნობი როლი ენიჭებოდათ რუს ქალებს, რომლებიც შერეულ ქორწინებაში შედიოდნენ ადგილობრივი ეთნოსების წარმომადგენლებთან

და შვილებს რუსულად ზრდიდნენ, რაც „პროგრესულად" ითვლებოდა.

მეორე მსოფლიო ომმა სერიოზული კორექტივი შეიტანა ამ ეთნოდემოგრაფიულ ტენდენციაში და კრემლის იმედს ეთნიკური პერიფერიების რუსიფიკაციის შესახებ ხაზი გადაუსვა. მართალია, რუსეთის ევროპული ნაწილიდან, უკრაინიდან და ბელორუსიიდან ევაკუირებულმა მოსახლეობამ ომის პერიოდში კიდევ უფრო გაზარდა სლავების პროცენტი სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში, მაგრამ ომის შედეგად სამივე სლავურ რესპუბლიკას უაღრესად მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია შეექმნა: ძალიან დიდი იყო ომში დაღუპულთა რაოდენობა. პერიფერიების კოლონიზაციისათვის საკმარისი მოსახლეობა აღარ არსებობდა. დემოგრაფიულად დიდად დაზარალებულმა საბჭოთა კავშირის ევროპულმა ნაწილმა უკანვე მოითხოვა იგივე მიგრანტები.

1950-იანი წლების შუაგულიდან შებრუნებული დემოგრაფიული ტენდენცია გამოიკვეთა: სამხრეთის თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში რუსულმა/სლავურმა მოსახლეობამ დაიწყო აბსოლუტური, და არა მარტო შეფარდებითი, კლება.

* * *

1920-30-იან წლებში კრემლმა ეროვნულ-ტერიტორიულად გამიჯნა ცენტრალური აზია: მოკავშირე რესპუბლიკის შექმნის უფლება მიენიჭა ხუთ ეთნოსს (ყარაქალფაქებს ავტონომიური რესპუბლიკა შეუქმნეს). ამის გამო უამრავი იქაური ტომიდან საბჭოთა კავშირში მხოლოდ ექვსი ერი წარმოიქმნა – უზბეკები, ყაზახები, თურქმენები, ტაჯიკები, ყირგიზები, ყარაქალფაქები (ეს უკანასკნელი ნელ-ნელა ქრება: უზბეკებს ერწყმის, თუმცა ენობრივად ყაზახებთან უფრო ახლოსაა). ამჟამად პირველი ხუთი ერი საერთაშორისო სამართლის სუბიექტს – ეროვნულ სახელმწიფოს, წარმოადგენს. ტაჯიკების გარდა, რომლებიც ენობრივად სპარსელებთან ახლოს არიან (ანუ ერთ-ერთ ინდოევროპულ ენაზე ლაპარაკობენ), დანარჩენი ოთხი ერი თიურქულენოვანია.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას თიურქულენოვან რესპუბლიკებში (ცენტრალური აზიის ოთხ მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად, მათ მიეკუთვნებოდა აზერბაიჯანიც) ადგილობრივ ნაციონალიზმზე მეტად *პანთიურქიზმი (ანუ თურქეთის რესპუბლიკასთან ერთად მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების თეორიული იდეა)* აშინებდა.

კრემლის ეს აკვიატებული შიში განსაკუთრებით ეხებოდა აზერბაიჯანს, რომელიც თურქეთთან ყველაზე ახლოს მდებარეობს. ამიტომაც, კრემლის გადაწყვეტილებით, სამხრეთ კავკასიის ყველა, ტრადიციული რელიგიით მუსლიმ, ხოლო ენობრივად თიურქულ ეთნოსს, რომლებიც 1926 წლის სრულიად საკავშირო მოსახლეობის აღწერისას „*თიურქებად*" (тюрки) აღრიცხეს,

იმისათვის, რომ *„თურქებში“* (турки) არ არეოდათ, 1936 წლიდან ოფიციალურად დაუმკვიდრეს სახელად *„აზერბაიჯანელი“*. მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერით, მაგალითად, მესხეთში მცხოვრები ყველა თიურქულენოვანი (ზოგი – ქართულენოვანიც კი) მუსლიმი აღირიცხა, როგორც აზერბაიჯანელი (ადრე მათ „თათრებს“ უწოდებდნენ).

ამ ტერმინოლოგიურ ცვლილებას საერთაშორისო გართულება მოჰყვა: საბჭოთა კავკასიაში მცხოვრები აზერბაიჯანელების სახელი დაემთხვა ირანის პროვინცია აზერბაიჯანში მცხოვრები, ასევე თიურქულენოვანი ხალხის ეთნონიმს. ნათელია, რომ ორივე ხალხი მონათესავეა. ამიტომაც ახალი ტერმინოლოგია აზერბაიჯანული ირედენტიზმის დამატებით ხელშემწყობი ფაქტორი გახდა.

რადგანაც თურქეთის რესპუბლიკაში დამწერლობა 1928 წლიდან ლათინურ საფუძველზე გადავიდა, თურქებისა და აზერბაიჯანელების კულტურულად უფრო დასაშორებლად, ამ უკანასკნელთათვის 1929 წელს ლათინურ საფუძველზე შექმნილი ანბანი სტალინის ბრძანებით 1938 წელს *კირილიცის* (სლავური ანბანის) საფუძველზე გადაიყვანეს.

იმავე პოლიტიკური მიზნით კირილიცაზე გადაიყვანეს შუა აზიის, ვოლგისპირეთის ყველა მუსლიმი ხალხის ანბანები, რომლებიც ჯერ არაბულ, ხოლო რევოლუციის შემდეგ – ლათინურ გრაფიკაზე იყო აგებული.

* * *

საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარეობდა *ეთნიკური ასიმილაციის პროცესებიც*. 1930-იანი წლებიდან კრემლი ამ პროცესს ფაქტობრივად ახალისებდა, განსაკუთრებით, თუკი ის ეხებოდა „არასატიტულო ეროვნებებს“, ანუ ისეთებს, რომელთაც არ ჰქონდათ მათი ეთნიკური სახელის მატარებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. მაგალითად, აზერბაიჯანში მცხოვრები ისლამის მიმდევარი მცირე (მაგრამ რიცხობრივად აფხაზებზე დიდი) ეთნოსი – ირანულ ენაზე მოლაპარაკე *თალიშები, ასევე ირანულენოვანი ქურთები, თათები*, ქართულენოვანი *მუსლიმი ინგილოები*, დაღესტნური წარმოშობის ხალხები – *ლე ზგები და ავარლები*, თანდათანობით აზერბაიჯანელებში ითქვიფებოდნენ. საქართველოში ცოტანი დარჩნენ ვაინახურ (*ბაცბურ*) ენაზე მოლაპარაკე *წოვა-თუშები, ერთ-ერთ ალბანურ ენაზე მოლაპარაკე უდები*. დაღესტნის მრავალი მცირე ეთნოსი ერად ვერ ჩამოყალიბდა: ისინი უფრო მსხვილ ეთნოსებს – *ავარელებს, დარგელებს, ლე ზგებს, ლაკებს* – ერწყმიან. რუსეთის ჩრდილოეთში მცხოვრები ფინურენოვანი *კარელები, კომი, იჟორა*, ისევე, როგორც ვოლგისპირეთის ფინურენოვანი ეთნოსები, *მორდველები, მარიელები, უდმურტები*, რაოდენობრივად მცირდებოდნენ – ისინი რუს ერს ერწყმოდნენ.

მაგრამ ხალხმრავალი არასლავი ერების რუსების მიერ ასიმილაცია საბ-

ჭოთა კავშირში ვერ მოხერხდა. მათი რუსიფიკაციის მცდელობა საბოლოოდ წარუმატებელი აღმოჩნდა. მართალია, ცენტრალური აზიისა და აზერბაიჯანის ადგილობრივი ელიტების – პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურის – შვილები რუსულ ენაზე სწავლობდნენ და პრაქტიკულად კარგავდნენ კონტაქტის საშუალებას მხოლოდ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე რიგით ადამიანებთან, მაგრამ ამ რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგივე ელიტები მშვენივრად მოერგნენ ახალ ვითარებას – უცხო ენის ცოდნა გამოადგათ კიდეც!

რაც შეგვეხება ქართველებს, ადგილზე, ანუ *საქართველოს სსრ-ში, ჩვენი რუსიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.* ეს XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის წიაღშიც კი სრულად ვერ მოხერხდა, თუმცა იმდროინდელი ქართული არისტოკრატიის ნაწილი გვარებს რუსულად იკეთებდა – ისინი ბარატოვები, ერისტოვები, ჩოლოკაევები, ანდრონიკოვები, ციციანოვები, სუმბატოვები, მესხიევები და ა.შ. ხდებოდნენ და ზოგი მათგანი მხოლოდ რუსულ ენაზე მეტყველებდა. მაგრამ გადაგვარებული არისტოკრატია რიცხობრივად დიდი არ იყო. აბსოლუტური უმრავლესობა ქართველად რჩებოდა. სხვა საქმეა რუსეთში გადასახლებული და იქ დაოჯახებული ქართველები, რომელთა მეორე-მესამე თაობას ქართული მხოლოდ გვარიღა თუ შერჩებოდათ ხოლმე (ისიც, ყოველთვის არა).

საქართველოს სსრ-ში ქართველების 95-96 პროცენტი ქართულ სკოლაში სწავლობდა. ეს ქართულ ეროვნულ იდენტობას განუმტკიცებდა მათ, თუნდაც სწავლაში დიდად არ ებეჯითათ და არც სწავლების ხარისხი ყოფილიყო მაღალი. საქართველოს რუსულ სკოლებში, სადაც დისციპლინა და მომთხოვნელობა ზოგადად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ქართულ სკოლებში, მოსწავლეს სულ სხვა სულისკვეთება უყალიბდებოდა – უფრო პროსაბჭოთა: იმ დროს მას „ინტერნაციონალურს" უწოდებდნენ.

არაქართულ სკოლაში (იგულისხმება რუსულიცა და ბოლო პერიოდში მომრავლებული ინგლისური, ფრანგული, თურქული და სხვა სკოლები) მოსწავლე ეთნიკური ქართველების საგრძნობი ნაწილი ვერ ითავისებდა და ვერც გაითავისებს ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას, რომელთა თუნდაც ზედაპირული ცოდნა ეროვნული იდენტობის ძირითადი ელემენტია.

1986 წლის მონაცემებით რუსულ სკოლებში ქართველების შედარებით დიდი ნაწილი სწავლობდა აფხაზეთის ასსრ რაიონებში (სასკოლო ასაკის ქართველი ბავშვების 20-30 პროცენტი), სენაკის, წალენჯიხის, ხონის რაიონებში, ქ. ზუგდიდში (10-20 პროცენტი). ამას კრემლის ხრიკებს ვერ დავაბრალებთ: როგორც ჩანს, ამ ბავშვების მშობლები თავიანთ შვილებს თავიდანვე ამზადებდნენ „საკავშირო სარბიელისათვის" და მათ შეყვანას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში უფრო იაფად გეგმავდნენ. თბილისი ეძვირებოდათ!

* * *

ეთნიკური კონფლიქტები ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით საბჭოთა კავშირში ზედაპირზე არ ჩანდა. *მაგრამ ლატენტურად (ფარულად) მიმდინარეობდა.*

საბჭოთა ნოსტალგიით დღემდე შეპყრობილ, უკვე ხანში შესულ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ეთნიკური დაპირისპირება საბჭოთა კავშირში საერთოდ არ არსებობდა. მომისმენია ერევანში, ბაქოში, თბილისში, მოსკოვში, სოხუმშიც კი (1993 წლამდე!): *„რა კარგი იყო, როდესაც ერთ მერხზე ვისხედით რუსი, ქართველი, სომეხი, აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, უზბეკი, უკრაინელი, ყველანი ერთაშორისი ურთიერთობის ენაზე* [ე.ი. რუსულად] *ვსაუბრობდით და საერთო სუფრასთან ჭიქა არყით (ღვინით, კონიაკით) ხალხთა მეგობრობას განვამტკიცებდით*". მათი აზრით გამოდის, თითქოს მხოლოდ საბჭოთა კავშირს, ამ მრავალეროვან სახელმწიფოს, შეეძლო სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა დაახლოებისათვის ხელის შეწყობა.

მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის იმპერია უკვე XVIII საუკუნის ბოლოდან ბევრად უფრო ტოლერანტული იყო ეთნიკური უმცირესობების მიმართ, ვიდრე რუსეთის იმპერია ან საბჭოთა კავშირი.

„ერთ მერხთან ან ერთ სუფრასთან ჯდომა" კი ყველგან არის შესაძლებელი. როდესაც 1973-74 წლებში ლონდონში სამეცნიერო სტაჟირებას გავდიოდი, ერთ მერხთან ვისხედით ბერძენი, ჩილელი, გერმანელი, ზამბიელი, იამაიკელი, იტალიელი და ქართველი, ვსაუბრობდით „ერთაშორისი ურთიერთობის ენაზე", ანუ ინგლისურად, და ახლომდებარე პაბში ირლანდიური გინესით „ხალხთა მეგობრობასაც განვამტკიცებდით". საბჭოთა კავშირი, რუსული ენა და ვოდკა მეგობრობისათვის სულაც არ იყო საჭირო!

სინამდვილეში, *საბჭოთა კავშირში არსებობდა საკმაოდ სერიოზული კონფლიქტები ეთნიკური ჯგუფების* (არა იმდენად ინდივიდების) *დონეზე*. ზოგან ეს მეცნიერთა, განსაკუთრებით ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენელთა დისკუსიებში ვლინდებოდა. უპირველესად ეს ითქმის კავკასიის ხალხებზე.

აქაურ ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს აწუხებდათ, რა მოცულობის მასალა დაიბეჭდა მოსკოვში გამოცემულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ან ენციკლოპედიურ ლექსიკონში *რუსთაველის, ნიზამისა ან ხაჩატურ აბოვიანის* შესახებ, როგორ აისახა ისტორიული გეოგრაფია მეზობელი რესპუბლიკის ატლასში:

- *„ენციკლოპედიაში* [სომეხ] *აბოვიანს სულ 8 ათასი ასო-ნიშანი დაეთმო, მაშინ როცა* [აზერბაიჯანელ] *ნიზამის – 10 ათასი,* [ქართველ] *რუსთაველს კი სულაც 12 ათასი! რატომ?"* ეს სომხის შეკითხვა იყო;
- *„სომხეთის ისტორიულ ატლასში ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის რუკაზე სომხეთი მდ. მტკვარზე და კასპიის ზღვაზე, ანუ აზერბაიჯანში, გადის! რატომ?"* ეს აზერბაიჯანელის შეკითხვა იყო;

- *„სომხურ ისტორიულ რომანში ჩვენი ისტორია გაყალბებულია! რატომ?“* ეს ქართველის შეკითხვა იყო;
- *„აფხაზურ-ადიღური ფოლკლორის ნაწილს – ‘ნართების ეპოსს’, ოსები თავისად აცხადებენ. რატომ?“* ეს აფხაზის ან ყაბარდოელის შეკითხვა იყო და ა.შ.

მეცნიერებისა და, ზოგადად, ნაციონალური ინტელიგენცი(ებ)ის როლი *ეროვნული ინტერესების დაცვაში* მართლაც სერიოზული გახდა.

ინტელიგენციის წარმომადგენლებმა არაფორმალური ეროვნული ლიდერის როლი იკისრეს პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების არარსებობის პირობებში. მოკავშირე რესპუბლიკებში პოლიტიკოსები არც არსებობდნენ: სახელმწიფო მოხელეები ბიუროკრატები არიან და არა პოლიტიკოსები. პოლიტიკოსად მხოლოდ რესპუბლიკური კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი შეიძლება მიგვეჩნია, მაგრამ მასაც, მაგალითად, საგარეო პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონდა.

ამ ფონზე ნაციონალური ინტელიგენცია საზოგადოებრივი აზრის მაფორმირებელი ძალის როლში გვევლინებოდა.

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი პარტიული ლიდერები ფარულ მხარდაჭერას უწევდნენ ნაციონალურ ინტელიგენციას, თუმცა, არცთუ იშვიათად, მისი დაშოშმინება უხდებოდათ.

საჩივრები მეზობელი ერის ისტორიკოსებისა და მწერლების „უმსგავსო მოქმედების“ შესახებ უზენაეს არბიტრთან, ანუ კრემლის პოლიტბიუროში იგზავნებოდა. სტალინის დროს ასეთი კამათი იოლად გვარდებოდა: ბელადი მალე მოუღებდა ბოლოს კამათს მის წამომწყებთან ერთად. მაგრამ ხრუშჩოვის, და, განსაკუთრებით, ბრეჟნევის ეპოქაში საჩივრები გამრავლდა. აფხაზი მეცნიერები ქართველ მეცნიერებს უჩიოდნენ, ქართველები – სომხებს, სომხები – აზერბაიჯანელებს, ან პირიქით. ეს ყველაფერი ჭორის სახით სწრაფად ჟონავდა ფართო საზოგადოებაში, რომელიც „მეზობლების უტიფრობას“ ტელევიზიით კი არ ეცნობოდა, არამედ მითქმა-მოთქმის გზით, რაც, სხვათა შორის, უფრო ღრმა და ხანგრძლივ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე სატელევიზიო სიუჟეტი.

ეთნიკური დაპირისპირების გამოხატულება იყო „ტოპონიმური ომები“. 1940-50-იან წლებში სომხეთში 600-მდე დასახლებულ პუნქტს *თიურქული* (აზერბაიჯანული და თურქული) დასახელება სომხურით შეუცვალეს. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით რუსული, სომხური, თიურქული სახელები (აფხაზურს არ შეხებიან!) ჩაანაცვლეს ძირითადად ქართული, ნაწილობრივ – აფხაზური სახელებით. 1955 წლის 16 აპრილს იმავე საბჭოს დადგენილებით ახალი ქართული სახელები გააუქმეს, ბევრ სოფელს დაუბრუნეს ძველი სახელი ან გამოუგონეს ახალი, ძი-

რითადად აფხაზური ტოპონიმი. ჯამში ცვლილებები 100-ზე მეტ დასახლებულ პუნქტს შეეხო. აფხაზეთის „ტოპონიმურ ომში" უპირატესობის მოპოვება მთლიანად დამოკიდებული იყო კრემლის უმაღლესი კომუნისტური ხელისუფლების განწყობის გადახრაზე ერთ ან მეორე მხარეს. ეს „ტოპონიმური ომი" საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში ეთნიკური დაპირისპირების ერთ-ერთი წინასწარი ეტაპი აღმოჩნდა. მოგვიანებით კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდება და საუკუნის ბოლო დეკადაში საომარ ფაზაში გადაიზრდება.

იყო სხვა სახის დაპირისპირებაც, რომელიც *„ეთნოტერიტორიული კონფლიქტების"* წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ. თავიდან ის უფრო მეტად ვლინდებოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. იქ ან განსახლების საკითხი იდგა (მაგალითად, გადასახლებიდან 1956 წელს დაბრუნებული ინგუშები ოსებს უჩიოდნენ, ხოლო ჩეჩნები – ავარელებს, რომლებიც მათ ნასახლარებზე დასახლდნენ და უკან აღარ აბრუნებდნენ მიწას), ან საქმე ეხებოდა დავას სახნავ-სათესი მიწისა და სარწყავი წყლის შესახებ, რაც უდაბნოებითა და მაღალი მთებით გარშემორტყმულ შუა აზიაში ხალხთა შერეული განსახლების არეალებში დიდი დეფიციტი იყო: *„ყირგიზები წყალს არ გვაძლევენ უზბეკებს?" „უზბეკები სახლდებიან ჩვენს, ტაჯიკურ, მიწაზე"?* და ა.შ.

კრემლი ცდილობდა, რაღაცნაირად მოეგვარებინა ასეთი დაპირისპირება, მაგრამ ეს მცდელობა უკმაყოფილებას იწვევდა იმ ერის მეცნიერებსა და იმ ხალხში, რომელიც პოლიტბიუროს დადგენილების შემდეგ თავს უსამართლოდ დაჩაგრულად გრძნობდა.

ძირეული დაპირისპირება იყო ბალტიის ხალხებსა და რუსებს შორის. ლიტველებს, ლატვიელებს, ესტონელებს არ ავიწყდებოდათ, როგორ მოექცა მათ წითელი არმია და საბჭოთა რეპრესიული აპარატი 1940 წელს და, ხელმეორედ, 1944 წლიდან: ამას მოჰყვა გადასახლება, ქონების ნაციონალიზაცია. მათ აშფოთებდათ რუსული კოლონიზაცია: რუსები მასობრივად სახლდებოდნენ რიგასა თუ ტალინში, კლაიპედასა თუ იურმალაში. ბალტიელებისათვის „რუსები" მოიცავდნენ ეთნიკურ რუსებსაც და სხვა რუსულენოვან ადამიანებსაც – აღმოსავლეთ სლავებს (რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს), რუს ებრაელებს, ანუ თითქმის ყველას, ვინც ბალტიელი არ იყო. საბჭოთა ხელისუფლების დასასრულისათვის *რიგაში* ლატვიელები უმცირესობად იქცნენ. *ესტონელების* ხვედრითი წილი რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში 1940 წლის 90 პროცენტიდან 1989 წელს 60 პროცენტამდე შემცირდა.

ყველაფერი ზემოთქმული კარგი წინაპირობა აღმოჩნდა იმ რეალური ეთნიკური კონფლიქტებისათვის, რომლებიც იფეთქებს ჯერ კიდევ არსებულ საბჭოთა კავშირში 1980-იანი წლების მეორე ნახევარში და მძიმე ტვირთად გადმოჰყვება მის ადგილზე წარმოშობილ ეროვნულ სახელმწიფოებს.

ნომენკლატურა, უძრაობა, კორუფცია

კომპარტიის და, ამდენად, მისი პოლიტბიუროს უმთავრესი ძალა ის იყო, რომ ის *ატარებდა საკადრო პოლიტიკას*, ანუ ნიშნავდა და ათავისუფლებდა ყველა პარტიულ, სამეურნეო, სამხედრო ხელმძღვანელს და აკონტროლებდა მათ მუშაობას. სკკპ ცეკას *ნომენკლატურაში* შედიოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ცეკას მდივნის, ყველა საკავშირო მინისტრისა და სხვა მაღალი პოლიტიკური თანამდებობა. კანდიდატის დანიშვნის წინ მის ფარულ დოსიეს *კაგებე*-ში – უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში – გულდასმით ამოწმებდნენ.

რესპუბლიკური კომპარტიის ცეკას ჰქონდა თავისი *ნომენკლატურის სია*, ანუ ის თანამდებობები, რომლებზეც მის მიერ მოწონებული კანდიდატი უნდა დანიშნულიყო. ასე მაგალითად, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თამჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრები და მათთან გათანაბრებული სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასწავლო ან სამეცნიერო ინსტიტუტების რექტორები და დირექტორები, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები *რესპუბლიკური ცეკას ნომენკლატურა* იყო. ამასთან, აუცილებელი იყო მაღალი თანამდებობის კანდიდატების კრემლთან შეთანხმებაც. ამით ცენტრი აკონტროლებდა და ზღუდავდა რესპუბლიკების თვითმმართველობას.

ქალაქის ან რაიონის პარტიულ კომიტეტებს საკუთარი, უფრო დაბალი რანგის, ნომენკლატურის სიები ჰქონდათ (ვთქვათ, მილიციის განყოფილების უფროსი, ქალაქის ან რაიონის პროკურორი, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის სამმართველოს უფროსი და სხვ.).

ნომენკლატურულ თანამდებობაზე მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანი ფიქრობდა, როგორ ასულიყო მომდევნო საფეხურზე და გაეგრძელებინა კარიერული ზრდა. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულებში ეს აღმასვლა უმეტესწილად ხდებოდა პროტექციით, ზოგჯერ – ქრთამით, უფრო იშვიათად – პირადი დამსახურებით.

ნომენკლატურული პრივილეგიები პოსტსტალინურ ეპოქაში ლამის სამუდამო იყო. ბრეჟნევის დროს, რომელიც 18 წელი მართავდა ქვეყანას, ცეკას მდივნები, მინისტრები, მათი მოადგილეები, სამმართველოს უფროსები ათეულობით წელი რჩებოდნენ მაღალ თანამდებობებზე.

ბიუროკრატი (ეს ფრანგულ-ბერძნული კომპოზიტი სიტყვასიტყვით ნიშნავს „საწერი მაგიდის მმართველს"; რუსეთის იმპერიაში იყენებდნენ ტერმინს „столоначальник") ყველა სახელმწიფოს მართვისათვის აუცილებელი ელემენტია, მაგრამ ის კანონს უნდა ემორჩილებოდეს და პატიოსნად ემსახურებოდეს სახელმწიფოს. ტოტალიტარულ/დიქტატორულ/ავტორიტარულ სახელმწიფოში კი

ბიუროკრატს სწრაფად უჩნდება „საკუთარი უდიდესი მნიშვნელობის სინდრომი". ის ექვემდებარება მხოლოდ „სატელეფონო სამართალს": მისთვის კანონია ზემდგომი ხელმძღვანელის სიტყვა (სატელეფონო ზარი) და არა – დაწერილი ინსტრუქცია! მაღალი რანგის ნომენკლატურულ საბჭოთა ბიუროკრატთან რიგითი მოკვდავის დაკავშირება ისევე ძნელი იყო, როგორც შუა საუკუნეების ჩინელ მანდარინთან ან ოსმალო ფაშასთან. სამაგიეროდ, მისი კეთილგანწყობა ნებისმიერი ადამიანისათვის, თუნდაც შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონისათვის, წინსვლისა და წარმატების საწინდარი ხდებოდა!

საბჭოთა ნომენკლატურული სისტემა მარადიული და უძლეველი ჩანდა! ამასთან, ეს სისტემა უაღრესად ხარჯიანი იყო: ძვირი ჯდებოდა როგორც უმაღლესი ნომენკლატურის მიერ ფინანსური და ბუნებრივი რესურსების უდარდელად განკარგვა, ისე თვით ბიუროკრატიის შენახვა: 1990 წელს საბჭოთა კავშირის მართვის სფეროში 1,5 მილიონი სახელმწიფო მოხელე იყო ჩართული. მათი რაოდენობა შემდგომშიც არ შემცირებულა. შედარებისათვის, რუსეთის ფედერაციაში, რომელიც საბჭოთა კავშირზე მოსახლეობით ორჯერ მცირეა, 2009 წელს 1,4 მილიონი ბიუროკრატი იყო, ხოლო მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში – 2 მილიონზე ბევრად მეტი!

ვინაიდან ქვეყანაში ყველა სამუშაო ადგილს სახელმწიფო, ფაქტობრივად – კომპარტია, აკონტროლებდა (კერძო სექტორის, რომელშიც იგულისხმებიან წვრილი ხელოსნები, როლი სულ უმნიშვნელო იყო), ნომენკლატურის სიიდან ამოვარდნა მოასწავებდა კარიერისა და, შესაბამისად, მატერიალური დონის ამაღლების შანსის დასასრულს. პარტიიდან გარიცხვა ხომ პირადი ტრაგედიის ტოლფასი იყო.

კადრების კონტროლის გზით კომპარტია სრულად მართავდა სახელმწიფოს. კადრები კი ცდილობდნენ სათავისოდ გამოეყენებინათ თანამდებობა!

სამწუხაროდ, საბჭოთა ბიუროკრატიის ყველა მავნე თვისება გადმოჰყვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოსაც. ყველგან ფაქტობრივად შენარჩუნდა ბიუროკრატიის შერჩევის საბჭოთა წესი და მათი არაოფიციალური პრივილეგიებიც. სახელმწიფო მოხელის გამდიდრება პოსტზე ყოფნის დროს ახლაც ხდება.

ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მმართველი პარტიის მიერ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი სიით შეყვანილი, პარტიული დისციპლინისადმი მორჩილი, ღარიბ-ღატაკი და გაუნათლებელი ადამიანები – პარლამენტის წევრები – მალე სიმდიდრით ივსებიან. თუმცა, ყველა პარლამენტის წევრი ამას ან ვერ ახერხებს, ან არ უნდა, რომ სახელი გაიფუჭოს. მაგრამ ასეთი შედარებით ცოტაა.

ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება ერთპარტიულ სახელმწიფოსა და მრავალპარტიულ (რეალურ) დემოკრატიას შორის. ამ უკა-

ნასკნელში მოხელესა და კანონმდებელს აკონტროლებს ოპოზიცია, მასმედია, სახელმწიფო ინსტიტუტები. იქ კონგრესმენი ან მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ჩვეულებრივ (გადახრები იქაც არაერთხელ აღნიშნულა!), პოსტიდან გადადგომის შემდეგ იწყებს გამდიდრებას, თუ პოსტის დაკავებამდეც არ იყო მდიდარი. მოქალაქეს, რომელიც სახელმწიფო სამსახურს დატოვებს, შეიძლება ერჩიოს კერძო ბიზნესში წასვლა და ადრე დამყარებული კონტაქტების გამოყენება: ამას „ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენება" ჰქვია. ასეთი პრაქტიკა მაღალზნეობრივი რამ არაა, პირიქით, ზოგან კანონით ისჯება კიდეც!

* * *

1964 წლიდან საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობა ერთხანს ინარჩუნებდა კოლექტიური მართვის პრინციპებს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, რომლის ხელმძღვანელმა *ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევმა* მალევე მიიღო *გენერალური მდივნის* ტიტული, მეტი მნიშვნელობა მიენიჭა ქვეყნის მინისტრთა საბჭოსა (თავმჯდომარე *ალექსეი ნიკოლაევიჩ კოსიგინი*) და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს (თავმჯდომარე *ნიკოლაი ვიკტოროვიჩ პოდგორნი*). ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა: ხელისუფლების რეალური დანაწილება და ურთიერთკონტროლი ერთპარტიულ ქვეყანაში შეუძლებელია.

„ტრიუმვირატი", როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე არადემოკრატიულ საზოგადოებაში, მალე დაიშალა. პარტიის ცეკამ უკან დაიბრუნა ექსკლუზიური უფლებები. *ბრეჟნევი* უკვე 1966 წელს გახდა უპირველესი პირი. 1977 წელს მან გადააყენა *პოდგორნი* და შეითავსა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი. ამიტომაც საზღვარგარეთ მას უკვე President Brezhnev-ს უწოდებდნენ, რაც მის პატივმოყვარეობას მალამოდ ედებოდა! უმაღლესი ორდენებისა და სხვა ჯილდოების მიღება ბრეჟნევის ჰობი გახდა: ლამის ყოველ წელს ის საბჭოთა კავშირის გმირის ახალი ვარსკვლავით ან სხვა ორდენით იმშვენებდა განიერ მკერდს!

ცეკამ უკანა პლანზე მალევე გადასწია მინისტრთა საბჭო და მისი თავმჯდომარე *ალექსეი კოსიგინი*. ამ უკანასკნელს და მის მრჩეველთა მცირე ჯგუფს, როგორც ჩანს, ესმოდათ გეგმური მეურნეობის უნაყოფობა და ერთხანს რაღაც „სანახევროდ-საბაზრო" რეფორმებით (ისევ „კვაზირეფორმები"!) ცდილობდნენ ქვეყანაში შეექმნათ *მატერიალური დაინტერესების ფაქტორები, ოღონდ არა პიროვნების, არამედ საწარმოს დონე ზე*. ეს კი არავითარ ეფექტს არ იძლეოდა. რეალური რეფორმირება მოითხოვდა *პირადი დაინტერესების გაზრდას*, რაც, რასაკვირველია, გულისხმობდა ფიზიკური პირების ლეგალური გამდიდრების უფლებასაც.

XVIII საუკუნეში პოლიტეკონომიის მამამთავარი *ადამ სმითი* წერდა:

> „ადამიანს, რომელსაც არა აქვს საშუალება შეიძინოს საკუთრება, არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესი, გარდა იმისა, რაც შეიძლება მეტი ჭამოს და რაც შეიძლება ნაკლები იმუშაოს".

მარქსიზმი, რომლის ერთ-ერთ წყაროსაც წარმოადგენდა კლასიკური ინგლისური პოლიტეკონომია, ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას უგულებელყოფდა.

იდეოლოგიის შეცვლის გარეშე შეუძლებელი იყო საბჭოთა კავშირის მეურნეობრიობის სისტემის შეცვლა. იდეოლოგიის შეცვლა კი ნიშნავდა სახელმწიფოს მართვაზე კომუნისტური პარტიის მონოპოლიის დასასრულს. არსებულ იდეოლოგიაზე შესანიშნავად მორგებულ *პარტიულ ბიუროკრატიას* მართვის სადავეების ხელიდან გაშვება, ანუ ძალაუფლების დაკარგვა, არ უნდოდა. ამიტომაც კოსიგინის „რეფორმებს" განვითარების საშუალება არ მისცეს და ის ჩანასახშივე ჩაკლეს.

მე მგონი, ბრეჟნევის გარემოცვა ინტუიციით გრძნობდა იმას, რაც საუკუნით ადრე (1856 წელს) გამოთქვა ფრანგმა პოლიტოლოგმა *ალექსის დე ტოკვილმა*:

> „ცუდი მთავრობისათვის ყველაზე სახიფათო დრო დგება, როდესაც ის საკუთარი თავის რეფორმირებას იწყებს".

საბჭოთა კავშირს კი ზუსტად ასეთი – ცუდი – მთავრობა ჰყავდა.

გორბაჩოვმა, რომელმაც 1980-იანი წლების შუაგულში წამოიწყო იმავე ცუდი მთავრობის მქონე ქვეყნის რეფორმირება, *დე ტოკვილის* ზემოხსენებული შეგონება ან არ იცოდა, ან არ გაითვალისწინა!

1970-იან წლებში კი საბჭოთა კავშირში რეფორმების ყველანაირი იდეა ჩაკვდა. ქვეყანა ჩაეფლო *უძრაობაში* (*სტაგნაციაში*, რუსულად „застой").

ბრეჟნევის ხანაში მთელი ქვეყანა, გადატანითი აზრით, იჯდა გაჩერებულ ვაგონში, რომელსაც აქანავებდნენ მოძრაობის იმიტაციის შესაქმნელად. პროპაგანდა ყურებს გვიჭედავდა ინფორმაციით არაჩვეულებრივი ეკონომიკური მიღწევების შესახებ, რომლებიც რეალურად არ არსებობდა ან იმდენად მცირე იყო, რომ ვერ ახდენდა შესამჩნევ გავლენას დიდი ქვეყნის განვითარებაზე.

* * *

უძრაობის ხანაში გაიფურჩქნა *კორუფცია*. მისი კვირტები უკვე ხრუშჩოვის დროს დაიბერა.და ზოგან, მაგალითად, საქართველოს სსრ-სა და სამხრეთის სხვა რესპუბლიკებში, დასკდა კიდეც!

კორუფცია სტალინის დროსაც არსებობდა, მაგრამ ღრმა იატაკქვეშეთში ჩამალული და სპორადული: მისი აღმოჩენისას სასჯელი მკაცრი იყო. პირადად სტალინი, მიუხედავად კრიტიკის ღირსი ბევრი თვისებისა, კორუმპირებული ნამდვილად არ იყო და ასეთ ხალხს ახლომახლო არ აჭაჭანებდა. ამის გამო, რესპუბლიკების იმდროინდელი ლიდერებიც ვერ ბედავდნენ ქრთამის ღიად აღებას (მათ გარშემო მექრთამეები კი იყვნენ!).

კორუფცია ყოველთვის ზევიდან მოდის და, ბოლოს და ბოლოს, მთელ საზოგადოებას გაუჯდება ხოლმე სხეულში. ხრუშჩოვის და, განსაკუთრებით, ბრეჟნევის ეპოქის საბჭოეთის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის (არცთუ იშვიათად – მათი ოჯახის წევრების) სულ უფრო მზარდ მადას უცხოურ საქონელზე, ბრილიანტებზე, საზღვარგარეთ სეირნობაზე, ავტომობილებზე (*ბრეჟნევს*, მაგალითად, 50-ზე მეტი სუპერჩქაროსნული მანქანა ჰყავდა: 1973 წელს ერთი ძვირფასი ავტომობილი მას ამერიკის პრეზიდენტმა *რიჩარდ ნიქსონმა* აჩუქა) ბუნებრივად თან ერთვოდა კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთან, როგორიც იყო, მაგალითად, საზღვარგარეთ ოქროს გატანა, უცხოური ვალუტის იმ დროს უკანონო შემოტანა, ნარკოტიკებით ვაჭრობა. ასეთ საქმეს ქურდული სამყარო ხალისით უერთდებოდა.

„კანონიერი ქურდები" ლამის საბჭოთა ისტებლიშმენტის ნაწილად იქცნენ. საზოგადოებაში, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში „ქურდული მენტალიტეტი" ყალიბდებოდა. ბევრს გვემახსოვრება სკოლებში გაბატონებული ქურდული ჟარგონი. მაშინდელი ახალგაზრდები ახლა მოწიფული ხალხია, მათი მენტალიტეტი კი ნაკლებად შეიცვალა. ასეთი ვითარება იყო საქართველოშიც. იგივე ხდებოდა სხვა რესპუბლიკებშიც.

თანამდებობაზე დანიშვნა პროტექციასთან და ძმაბიჭობა/ნათლიმამობასთან (ახლა ამას უცხოური ტერმინით *„ნეპოტიზმი"* მოიხსენიებენ!) ან ქრთამთან იყო დაკავშირებული. მილიციაში, განსაკუთრებით ავტოინსპექციაში, სამუშაოდ მოხვედრა დიდი ფული ღირდა. ბუნებრივია, ასეთი ავტოინსპექტორი მძღოლებს ღლეტდა, მისი უფროსები კი, ვინც ფული აიღეს, ამას არ ამჩნევდნენ.

ის კი არა, კომპარტიის წევრად მისაღებადაც კი, განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან, ზოგი ფულს იხდიდა: პარტიის წევრს კარგ („ფულიან") თანამდებობაზე დანიშვნის მეტი შანსი ჰქონდა. ერთ იმდროინდელ ანტიკორუფციულ სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ რუსეთის ფედერაციის *კრასნოდარის მხარეში პარტიაში მისაღებად სამ-სამ ათას მანეთს იხდიდნენ* (იმის ასახსნელად, ბევრია ეს თუ ცოტა, ასეთ შედარებას მოვიყვან: ახალი ავტომობილი „ჟიგული 2001" ღირდა 5500 მანეთი). შუა აზიასა და კავკასიაში პარტიაში მისაღებად უფრო მეტსაც იხდიდნენ.

ქრთამი გახდა საჭირო ბევრ უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად, განსაკუთრებით სამედიცინო და იურიდიულ სპეციალობებზე. ექიმი, რომელსაც სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდა, უფრო მაღალ ჰონორარს იმსახურებდა, მაგრამ იძულებული იყო, ის კანონის გვერდის ავლით მიეღო. ქრთამით დიპლომმიღებულ ახალგაზრდა იურისტს კი პროკურატურაში, სასამართლოში ან მილიციაში სამუშაოს დაწყება იზიდავდა, სადაც უკვე მას თვითონ უნდა აეღო ქრთამი!

აქვე მინდა დავძინო, რომ არსებობდნენ ისეთი ექიმებიცა და იურისტებიც, რომლებსაც განათლება პატიოსნად, ქრთამის გადახდის გარეშე ჰქონდათ მიღებული, *მაგრამ სა ზოგადოება თანდათან სულ უფრო შემწყნარებელი ხდებოდა კორუფციის მიმართ. ეს კი შემაშფოთებელი ტენდენციაა.*

კორუფციას გამოკვეთილი გეოგრაფიული განზომილება ჰქონდა. ის ძალაუფლების ცენტრებთან იყო დაკავშირებული და, უპირველესად, კონცენტრირებული იყო მოსკოვში, სადაც ღებულობდნენ ყველანაირ გადაწყვეტილებას, მათ შორის მატერიალური და ფინანსური რესურსების განაწილების შესახებ. სასურველი გადაწყვეტილების „ლობირება" ჩვეულებრივ მოსკოვის რესტორნებში ხდებოდა და შუა აზიისა ან კავკასიის რესპუბლიკებიდან, სადაც კორუფცია განსაკუთრებით ყვაოდა, შესაბამისი თანხები მოსკოველი ბიუროკრატების ჯიბეში გადადიოდა. ისე, არც ადგილობრივი ცეკას, ოლქკომების, რაიკომის მდივნები, პროკურორები, მილიციის უფროსები იკლებდნენ რამეს! შუა აზიური კორუფცია საქართველოსაზე ორი თავით მაღლა იდგა.

შედარებით ნაკლები იყო კორუფცია ბელორუსიაში, ბალტიის ქვეყნებში, პროვინციულ რუსეთში.

ეს ყველაფერი იყო თვალით უხილავი, მაგრამ სოციალური ცხოვრების ძირითადი ტენდენცია, რომლის პარალელურად არსებობდა კარიერული წინსვლის არაკორუფციული გზებიც (უფრო – ბილიკები).

პარტიული ხელმძღვანელობა გარეგნულად თავს დებდა კანონიერებისა და წესრიგის დაცვაზე და თითქოს მკაცრად აკონტროლებდა ბიუროკრატიას.

ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ, 1982 წლის ნოემბერში სახელმწიფოს სათავეში მოსულმა იური ანდროპოვმა სცადა სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ კორუფცია უკვე მყარად იყო გამჯდარი საზოგადოების ფსიქიკაში. ვერაფერი იღონეს ვერც მისმა მემკვიდრეებმა. ამასობაში საბჭოთა კავშირი დაიშალა, კორუმპირებული სული კი გადმოჰყვა ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს.

როდესაც „უძრაობის პერიოდის" კორუფციაზე ვლაპარაკობ, უნდა დავძინო, რომ ეს არ იყო მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი მოვლენა. ის არსებობს აზიისა და აფრიკის ბევრ განვითარებად ქვეყანაშიც, სადაც „დემოკრატია" მხოლოდ გარეშე თვალის სატყუარაა. კორუფცია გავრცელებულია ჩინეთსა და ინდოეთში.

ეკონომიკურად განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებშიც არის ელიტური კორუფციის გამოვლინებები. საკმაოდ ხშირად ვგებულობთ ამერიკელი, ბრიტანელი, სამხრეთკორეელი, იაპონელი, ისრაელელი, იტალიელი და ა.შ. მაღალჩინოსნების – პარლამენტის (კონგრესის, ქნესეთის) წევრების, მინისტრებისა და თვით მთავრობის ან სახელმწიფოს მეთაურების – მონაწილეობის შესახებ კორუფციულ გარიგებებში, სახელმწიფო თანხების კანონდარღვევით გამოყენების შესახებ.

ბოლო პერიოდის გიგანტური სკანდალებიდან გვახსენდება ხელოვნურად გაკოტრებული ამერიკული კომპანია „ენრონი", ფინანსური პირამიდის შემქმნელი მაქინატორი ამერიკელი *მედოფი*, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის *სილვიო ბერლუსკონის*, ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის *ეჰუდ ოლმერტის* ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით აღძრული საქმეები.

დემოკრატიული ქვეყნების ხალხის რჩეულებიდანაც ყველა ვერ უძლებს ცდუნებას, როდესაც ძალაუფლება ჩაუვარდება ხელში ანდა სახელმწიფო ხაზინასთან ახლოს მიუშვებენ!

მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს დამოუკიდებელი პრესა და ტელევიზია, არაპოლიტიზებული პოლიცია, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სასამართლო. როდესაც დანაშაული იურიდიულად დამტკიცდება, დამნაშავე მკაცრად ისჯება ხოლმე. როცა კანონი კანონობს, პოტენციურ მაქინატორებს ორჯერ დაფიქრებისაკენ მაინც უბიძგებს ხოლმე.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ნიუანსები

საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით სტალინის დროიდან მოყოლებული, კრემლს ჰქონდა პარანოიდული შიში, რომ საბჭოთა კავშირი გარშემორტყმულია კაპიტალისტური გარემოცვით, რომელიც ცდილობს კომუნისტური წყობილების დამხობას. ამიტომაც, საბჭოთა კავშირი უნდა ებრძოლოს ამ გარემოცვის „აგენტურას" ქვეყნის შიგნით (აქედან მომდინარეობდა მასობრივი რეპრესიები, განუწყვეტელი შპიონომანია); საბჭოთა კავშირმა უნდა გაარღვიოს ეს გარემოცვა და მეზობელ ქვეყნებში „მეგობრული მთავრობების" ხელისუფლებაში მოსვლას შეუწყოს ხელი. ეს, სინამდვილეში, ნიშნავდა ნებისმიერი, უფრო ხშირად სისხლიანი, მეთოდებით პროსაბჭოთა რეჟიმების ჩამოყალიბებას.

დაპატარავებულ საბჭოთა კავშირს – თანამედროვე რუსეთის ფედერაციას – ანალოგიური პარანოია ახასიათებს: „გარშემო მტრებია – ესტონეთი, საქართველო, პოლონეთი...!" „ნატო ჩვენს საზღვრებს უახლოვდება!" „არ უნდა დაუშვათ უკრაინაში პროდასავლური რეჟიმის ხელისუფლებაში მოსვლა!" და ა.შ.

სტალინის დროს კრემლი მოქმედებდა მეთოდით, რომელსაც მიესადაგება ფეხბურთში დამკვიდრებული გამოთქმა – „თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა!" 1940-იანი წლების ბოლოდან კრემლი ცდილობდა შეეღწია არა მარტო მეზობელ ქვეყნებში (ბევრგან მოახერხა კიდეც ეს და თავისი მარიონეტული რეჟიმები დაამკვიდრა იქ), არამედ ყველგან, საიდანაც ევროპის კოლონიური ქვეყნები გადიოდნენ.

მართალია, 1948 წელს ახალწარმოქმნილი ისრაელის შემთხვევაში სტალინს ეს არ გამოუვიდა, მაგრამ მისი მემკვიდრეები 1950-იანი წლებიდან მეტი

„წარმატებით" ახერხებდნენ უზრუნველეყოთ ყოფილი ბრიტანული, ფრანგული, პორტუგალიური, ჰოლანდიური კოლონიების, ან კი დამოუკიდებელი ქვეყნების, სათავეში „მეგობრული მთავრობების" არსებობა, თუნდაც ისინი კომუნისტური არ ყოფილიყვნენ.

სიტყვები „წარმატებით" და „მეგობრული მთავრობები" ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ წარმატება ეფემერული აღმოჩნდა: მეგობრული მთავრობები მანამდე იყვნენ „მეგობრულები", სანამ საბჭოთა კავშირი მათ ამერიკაზე მეტს უხდიდა. როგორც კი იმავე განვითარებადი ქვეყნის მთავრობას მეტს გადაუხდიდა ამერიკა, მისი გეოპოლიტიკური ვექტორიც იცვლებოდა.

ამის საუკეთესო მაგალითია ეგვიპტე, რომელიც 1956 წლიდან „პროსაბჭოთა" იყო: მოსკოვი კაიროს რეჟიმს აწვდიდა ტანკებს, თვითმფრინავებს, აუშენა მას ასუანის მაღლივი კაშხალი მდინარე ნილოსზე და მეტალურგიული კომბინატი ქალაქ ხელუანში. კრედიტების სანაცვლოდ საბჭოთა კავშირმა ბამბა და ფორთოხალი მიიღო. 1970-იანი წლების შუაგულიდან კი ეგვიპტის ორიენტაცია მკვეთრად შეიცვალა და პროამერიკული გახდა. ამერიკა დღემდე წლიურად მილიარდ-ნახევარი დოლარით ეხმარება ეგვიპტეს.

ასე იყო სხვაგანაც. საქმე მარტივად, ეკონომიკური მოსაზრებით, აიხსნებოდა. თანაც ნებისმიერი მხრიდან – კაპიტალისტური დასავლეთიდან თუ სოციალისტური ბლოკიდან – შემოსული ფინანსური დახმარების ლომის წილი მიმღები ქვეყნის მმართველების ჯიბეში ილექებოდა.

საბჭოთა კავშირი დიდ სახსრებს ხარჯავდა აფრიკისა და აზიის ე.წ. „განვითარებად ქვეყნებში" (ავღანეთი, ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, ეთიოპია, ეგვიპტე, იემენი, ერაყი, სირია, ალჟირი, ლიბია, ანგოლა და სხვ.) ე.წ. „სოციალისტური ორიენტაციის მქონე" ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

უმეტესწილად ეს იყო „დახმარება ნატურით" – სამხედრო შეიარაღების მიწოდება, დიდი პროექტების განხორციელება (ქარხნების, ელექტროსადგურების მშენებლობა), კადრების მომზადება და ა.შ. – რისთვისაც მიმღებ ქვეყნებს გრძელვადიან შეღავათიან კრედიტებს აძლევდნენ. კრედიტის მიმღებ ქვეყნებს კი ტრადიციული ექსპორტით (ბამბით, მატყლით, ტროპიკული ხილით, შაქრით, ჩაით, ყავითა და ა. შ.) უნდა გაესტუმრებინათ ვალი.

ნიკიტა ხრუშჩოვის დროს კრემლის საგარეო პოლიტიკის დიდ მიღწევად იქნა მიჩნეული ამერიკის სამხრეთით, სულ 90 მილზე მდებარე კუნძულ კუბაზე ანტიამერიკული რეჟიმის დამყარება (1959 წ.), რომელმაც მალე კომუნისტურად გამოაცხადა თავი. ჰავანის ახალმა ლიდერმა ფიდელ კასტრომ საარაკო მდგრადობა გამოავლინა და მომდევნო ნახევარი საუკუნე მართა თავისი კუნძული, რომლის მოსახლეობაც გაღატაკდა მას შემდეგ, რაც ამერიკამ ეკონომიკური ურთიერთობა გაწყვიტა მასთან. კომუნისტური კუბა საბჭოთა კავშირის ერთგული მოკავშირე აღმოჩნდა: მისი არმიის ხელით ტარდებოდა პროსაბჭოთა

პოლიტიკა, მაგალითად, ანგოლაში. სანაცვლოდ, საბჭოთა კავშირი კასტროს რეჟიმს „პერესტროიკის" დრომდე ეკონომიკურად ეხმარებოდა.

კუბის კომუნისტური რეჟიმის შენახვა კრემლისათვის იყო არა იმდენად იდეოლოგიური, რამდენადაც გეოპოლიტიკური ამოცანის გადაჭრა: ეს რეჟიმი ახლომდებარე ამერიკას გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა, განსაკუთრებით 1960-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირმა ფარულად შეიტანა კუბაზე ბირთვული რაკეტები 146 ატომური ქობინითურთ და შეიყვანა 43 ათასი ჯარისკაცი.

ეს საიდუმლო ადვილად გამჟღავნდა და 1962 წლის „კარიბის კრიზისის" მიზეზი გახდა. აშშ-ს პრეზიდენტი ჯონ კენედი დაემუქრა საბჭოთა კავშირს ბირთვული ომით (შესაძლოა, თავიდან ეს ბლეფი იყო, მაგრამ რეალობამდეც ცოტა აკლდა). საბოლოოდ, გონივრული კომპრომისი იქნა მიღწეული: ხრუშჩოვმა დათმო და კუბიდან საბჭოთა რაკეტები და ბირთვული ქობინები უკან წამოიღო; ამავე დროს, ამერიკამაც გამოიტანა ბირთვული იარაღი თურქეთის ტერიტორიიდან, საიდანაც ის საბჭოთა კავშირს ემუქრებოდა. ცივი ომის ცხელში გადაზრდის საფრთხე თავიდან იქნა აცილებული. მაგრამ ცივი ომი არ შეწყვეტილა.

* * *

ხშირი *მიმოსვლა სახელმწიფოთა მეთაურებს შორის* შედარებით ახალი ამბავია: ავიაცია უფრო საიმედო გახდა! მართალია, პირველი მსოფლიო ომის წინ ევროპის იმპერატორები და მეფეები, აგრეთვე ევროპაში იშვიათი რესპუბლიკის – საფრანგეთის – პრეზიდენტი, ხანდახან სტუმრად დადიოდნენ ერთმანეთთან, მაგრამ ასეთი მოგზაურობა დიდი მოვლენა იყო, რომელსაც მერე წლების განმავლობაში იგონებდნენ.

სტალინი საერთოდ არ ყოფილა რაიმე ოფიციალური ვიზიტით საზღვარგარეთ. ვიზიტებად ვერ მივიჩნევთ მის გამგზავრებას ირანში – თეირანისა (1943 წ.) და გერმანიაში – პოტსდამის (1945 წ.) კონფერენციებზე, სადაც ის ადგილობრივ ლიდერებს კი არ ხვდებოდა, არამედ დასავლეთელ მოკავშირეებთან ერთად ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობაზე, საზღვრებსა და გავლენის სფეროების გაყოფაზე მსჯელობდა.

სტალინის ეპოქაში საბჭოთა კავშირი თითქმის არ აგზავნიდა საზღვარგარეთ ვიზიტით არც სხვა მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს (დიპლომატებს, და მათი ნიღბით – ჯაშუშებს, რასაკვირველია, უხდებოდათ უცხოეთში გამგზავრება!), თუმცა თავისთან ზოგიერთ ასეთ პირს ღებულობდა, განსაკუთრებით *სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ლიდერებს*, რომლებიც მორჩილების გამოსახატავად ეახლებოდნენ ხოლმე კრემლის დიდ ბელადს.

ამიტომაც საბჭოთა ხალხისათვის დიდი სიახლე იყო, როდესაც სტა-

ლინისშემდგომი ლიდერები – სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი *ნიკიტა ხრუშჩოვი* და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *ნიკოლაი ბულგანინი* (მაშინ ჯერ კიდევ იყო კოლექტიური მმართველობის ილუზია) 1955 წელს ესტუმრნენ ინდოეთს. იქ წამოსროლილი ლოზუნგი *„ჰინდი, რუსი – ბჰაი, ბჰაი!"* („ინდოელი, რუსი – ძმები არიან") იმდენად ხშირად მეორდებოდა პრესასა და კინოჟურნალებში (ტელევიზია ჯერ ფართოდ არ იყო გავრცელებული), რომ ჩემს თაობას თავში ჩაეჭედა. თანაც ქართველისათვის ლოზუნგის რუსული გამოთქმა – *„ფხაი, ფხაი"*სასაცილოდაც ჟღერდა!

როდესაც ხრუშჩოვმა მოიშორა მეტოქეები, რომლებსაც მისი ხელისუფლების შეზღუდვა შეეძლოთ, საზღვარგარეთ ვიზიტებს მოუხშირა. ის უკვე მარტო მეთაურობდა დელეგაციებს ხან იუგოსლავიაში, ხან ეგვიპტეში, ხან ალჟირში, ხან ამერიკაში. საკმაოდ გაცხოველებული იყო საგარეო ვიზიტები ბრეჟნევისა და, განსაკუთრებით, გორბაჩოვის ეპოქებში.

გამომდინარე თავისი დაბალი განათლებისა და „მუშურ-გლეხური" კულტურული დონიდან, *ნიკიტა ხრუშჩოვი* ყველგან ექსცენტრიკულად იქცეოდა. ხოლო ის, რომ იგი ფაქტობრივად მეთაურობდა ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების მქონე ზესახელმწიფოს, მას თავხედური ქცევის საბაბსაც აძლევდა. 1960 წლის მისი გამოხდომა *გაეროში* ლეგენდად იქცა: ფილიპინელი დელეგატის, ხრუშჩოვის აზრით, „ანტისაბჭოთა" გამოსვლის წინააღმდეგ, მან ფეხსაცმელი გაიძრო და მაგიდაზე ბრახუნი ატეხა. ზესახელმწიფოს მთავრობის მეთაურის ასეთმა ქცევამ დარბაზი გააოგნა, ხოლო ჟურნალისტებს შესანიშნავი საკბილო მისცა!

საბჭოეთის ეკონომიკური სისტემის შესახებ

ამ თემაზე საუბარს დავიწყებ *მშენებლობით*. სტალინის სიცოცხლეში საბჭოთა კავშირში *საბინაო მშენებლობა* არსებითად ელიტური იყო – საცხოვრებელს უშენებდნენ ძირითადად უმაღლეს პარტიულ ნომენკლატურას, „ორდენოსან ინტელიგენციასა" და მაღალი კლასის სპეციალისტებს. 1940-იანი წლების მეორე ნახევარში და 1950-იანი წლების შუამდე აგებული სახლები მონუმენტურობით, შეიძლება ითქვას, პომპეზურობით გამოირჩევა. მოსკოვის „ცათამბჯენებს" (სინამდვილეში ესაა 30-35 სართულიანი, რაღაც „საფეხუროვანი პირამიდის" მსგავსი გიგანტური სახლები), რომელთაც მეტსახელად „სტალინური გოთიკა" შეარქვეს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქში „სტალინური სტილით" აგებულ სახლებს ვერც ერთ სხვაში ვერ აურევთ. ისინი ინდივიდუალური პროექტებითაა შესრულებული, მდიდარი გარეგანი დეკორი აქვთ. სახლები მკვიდრადაა ნაგები, მაღალჭერიანია. ბევრი მათგანის მშე-

ნებლობაში (მათ შორის მოსკოვის ცათამბჯენებისაც) გერმანელი ტყვეების შრომა გამოიყენეს.

იმ პერიოდის ინდუსტრიულ ცენტრებში მუშათა ოჯახებისათვის მხოლოდ საერთო საცხოვრებლის ტიპის ბარაკებს აშენებდნენ. საბჭოთა ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა ძალიან მძიმე პირობებში ცხოვრობდა.

ხრუშჩოვის დროს ვითარება შეიცვალა. მან აკრძალა „არქიტექტურული ზედმეტობანი", ანუ გარეგანი დეკორის გამოყენება და გადაწყვიტა სწრაფად გადაეჭრა საბინაო პრობლემა ტიპური პროექტის სახლების მშენებლობის გზით. ერთნაირ სახლებს აგებდნენ ჩრდილოეთის *ეორკუტადან* სამხრეთის *დუშანბემდე* – სულ სხვადასხვა კლიმატურ ზონებში.

დიდი ქალაქების მიმდებარე უშენ ნაკვეთებზე გაჩაღდა მასობრივი მშენებლობა. თბილისის ირგვლივ ფაქტობრივად ახალი ქალაქები – გლდანი, მუხიანი, დიდი დიღომი და ა.შ. იმიტომ გაჩნდა, რომ ***საბჭოთა კავშირში მიწა სახელმწიფო საკუთრება იყო: ის „არაფერი ღირდა"***. ნორმალურ საზოგადოებაში კი მიწა სიმდიდრის ერთ-ერთი წყაროა. საბჭოთა ქალაქები ადვილად ფართოვდებოდნენ მეზობლად მდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარჯზე: ეს უფრო იაფი იყო, ვიდრე არსებული განაშენიანების რეკონსტრუქცია.

თბილისში ახალი განაშენიანებისათვის უპირველესად საბურთალო აირჩიეს, რომელიც თბილისელების უმრავლესობას „შორეულ პერიფერიად" მიაჩნდა და იქ საცხოვრებლად გადასელას ლამის სასჯელად მიიჩნევდა. მით უმეტეს პერიფერია იყო უფრო გვიან განაშენიანებული ვარკეთილი, ვაზისუბანი, დიღომი, გლდანი, მუხიანი, დიდი დიღომი და ა.შ.

სხვა ქვეყნებში ყველა ასეთი დასახლება ცალკე ქალაქად იქცეოდა ხოლმე, საკუთარი მუნიციპალიტეტით, ბიუჯეტით, განვითარების გენერალური გეგმით: ასეთი დასახლება ჯანმრთელ კონკურენციას უწევს ცენტრალურ ქალაქს მოსახლეობის მისაზიდად და ეს კონკურენცია საქალაქო ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასაც ინვევს.

მაგრამ საბჭოთა კავშირში დიდ ქალაქს, მით უმეტეს, „მილიონიანს" (ანუ სადაც მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა), დაფინანსებისა და მომარაგების უპირატესი ნორმატივები ეკუთვნოდა. თუ მის ახლოს სხვა ქალაქს ააშენებდნენ, მას ძირითადად ინდუსტრიული ფუნქცია დაეკისრებოდა და ის ცენტრალურ ქალაქს მართვა-მომსახურების სფეროში კონკურენციას ვერ გაუწევდა. თბილისთან ასეთი ახალი ქალაქი იყო 1944 წელს გაჩენილი რუსთავი, ბაქოსთან – სუმგაითი, ერევანთან – ჩარენცავანი, მოსკოვთან – საშუალო ზომის ქალაქების მთელი რიგი.

ყოფილ საბჭოთა ქალაქებში უზარმაზარი მასივები დღესაც უჭირავთ ე.წ. „ხრუშჩოვკებს" – ერთი პროექტით აშენებულ ხუთსართულიან, ულიფტო, ვიწრო კიბისუჯრედიან სახლებს, პატარა, დაბალჭერიანი, მაგრამ ინდივიდუ-

ალური ბინებით. მაგრამ მანამდე ბარაკებისა და კომუნალური ბინების თითო ოთახში შეყუჟული ოჯახებისათვის „ხრუშჩოვკაც“ შვება იყო. ამ სახლებს, რომელთაც დაბალი სეისმომედეგობა აქვთ, 50 წლის ვადით აგებდნენ. მერე ისინი უნდა შეეცვალათ. 50 წელი გავიდა, სახლები კი ისევ დგას. ცნობილია გამოთქმა: „ყველაზე მდგრადი დროებითი კონსტრუქციებია“!

1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან მასობრივი საბინაო მშენებლობა ცოტა გაუმჯობესებული პროექტებით გაგრძელდა, თანაც პროექტების არჩევანიც გაჩნდა. მაგრამ საბინაო მშენებლობის ხარისხმა, რომელიც ისედაც დაბალი იყო, კიდევ უფრო იკლო (საზოგადოებრივი შენობების, ხიდების, გვირაბების მშენებლობაზე კონტროლი უფრო მკაცრი იყო). არარეალისტური განფასება, როდესაც მშენებელ მუშებს კაპიკები უნდა მიეღოთ, ინვევდა პარტიული ხელმძღვანელობის მხრიდან თვალის დახუჭვას უამრავ „მიწერაზე“, როდესაც შესრულებულად ცხადდებოდა ფაქტობრივად შეუსრულებელი სამუშაო.

ამის შედეგი იყო, ერთი მხრივ, „მიწერების“ პრაქტიკის ფართოდ გაფურჩქვნა (რაც კორუფციის ნაირსახეობაა), მეორე მხრივ კი, სეისმურად აქტიურ რაიონებში აგებული ახალი სახლების არასაიმედოობა. 1966 წელს მიწისძვრამ დაანგრია ტაშკენტი (დაღუპულთა რაოდენობა გაასაიდუმლოეს). 1988 წლის ბოლოს სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილში – სპიტაკსა და ლენინაკანში (ახლა – გიუმრი) მიწისძვრამ დაანგრია წინა ოციოდე წლის განმავლობაში ცუდად ნაგები შენობები და 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

დიდი ქალაქების ირგვლივ წარმოშობილი ახალი მასივები ოფიციალურად იმავე დიდ ქალაქს მიეკუთვნებოდა – მათი მშენებლობისათვის დაფინანსების განკარგვა დიდი ქალაქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის პრეროგატივას წარმოადგენდა. ეს კი მმართველი ბიუროკრატიისათვის მისწრება იყო – მოგება გადატანითი და პირდაპირი აზრით.

თბილისი (ისევე, როგორც ერევანი, ბაქო და ა.შ) ესწრაფვოდა, რაც შეიძლება დიდი გამხდარიყო. ქალაქმშენებლობის საკავშირო ნორმატივებით, მილიონიან ქალაქს მიწისქვეშა რკინიგზა – მეტროპოლიტენი – ეკუთვნოდა. თბილისს მართლაც ესაჭიროებოდა მეტრო, რომლის მშენებლობა დაიწყეს ჯერ კიდევ 1950-იან წლებში, ვასილ მჟავანაძის ეპოქაში (მეტროს მშენებლობის ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო ცეკას მდივანი გიორგი გეგეშიძე), როდესაც ქალაქში მილიონი ადამიანი ჯერ არ ცხოვრობდა. მაგრამ ქალაქის მოსახლეობის რიცხვი ქაღალდზე „გაბერეს“ და ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში მიანოდეს საკავშირო გოსპლანს, საიდანაც დაფინანსება უნდა წამოსულიყო. ალბათ, ამ ცნობას რამდენიმე ათეული ყუთი რჩეული ქართული კონიაკიც მიჰყვა, ხოლო ყველაზე საჭირო ხალხს რიწის ტბაზე ან ბორჯომში ზღაპრული დახვედრა მოუწყვეს!

1966 წლის დამდეგს თბილისში გაიხსნა მეტრო. საბჭოთა ქალაქებიდან

იქამდე მეტრო მხოლოდ მოსკოვს, ლენინგრადსა და კიევს ჰქონდათ. თბილისი ამ ექსკლუზიური ქალაქების კოპორტას შეუერთდა!

რამდენიმე წლის შემდეგ მეტროს ასაშენებლად იგივე მოიმოქმედეს ერევანში: იქაც ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად „გაბერეს". აბა, ერევანი თბილისს ხომ არ ჩამორჩებოდა და უმეტროოდ ხომ არ დარჩებოდა! სომხური კონიაკი კი „მსოფლიოში საუკეთესოა"-ო, ასე ამბობდნენ მოსკოვში!

საბჭოთა კავშირში არსებობდა ჩაწერის სისტემა. ადამიანი უნდა ჩაწერილიყო იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც მას სახელმწიფომ ბინა გამოუყო. ადამიანის ამონერა და სხვა ქალაქში გადასვლა არ ნიშნავდა, რომ მას იქაც მისცემდნენ ბინას (თუ ის საგანგებოდ არ იყო მიელინებული). ამიტომაც ქალაქელების აბსოლუტური უმეტესობა მიბმული იყო ჩაწერის ადგილთან.

ქალაქის საცხოვრებელი ფონდის დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრება იყო და ის გასხვისებას არ ექვემდებარებოდა. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ მაშინდელი ქალაქის მცხოვრებნი ყოველთვიურად ვიხდიდით ბინის ქირას, რომლის ტარიფი, საკმაოდ დაბალი, არ შეცვლილა 1930-იანი წლებიდან და მთელ საბჭოეთში ერთნაირი იყო. კერძო მფლობელობაში მყოფი საბინაო ფონდი ქალაქად ცოტა დარჩა.

დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში ჩაწერა 1960-იანი წლებიდან ძალიან შეიზღუდა. ეს იმის გამო გახდა საჭირო, რომ ქალაქს სოფლის მოსახლეობის დიდი მასა მიაწყდა: ისინი სამრეწველო საწარმოებში იწყებდნენ მუშაობას, რომელთაც მუშახელი სჭირდებოდათ. 1959 წლამდე კი სოფლის მოსახლეობას ანუ, ძირითადად, კოლმეურნეებს ქვეყნის შიდა სამოქალაქო პასპორტი არ ეძლეოდათ და მათი სადმე გადაადგილება (საცხოვრებლის შეცვლა) საგანგებო ნებართვას საჭიროებდა. ეს იყო „ყმების მიწასთან მიბმის" ნაირსახეობა, რაც სტალინმა კოლექტივიზაციის დაწყებისთანავე დააწესა.

ხრუშჩოვმა ასეთი „ბატონყმობა" გააუქმა, რაც ძალიან კარგი იყო ადამიანის თავისუფლებისათვის. მაგრამ, ამავე დროს, კომპარტიამ ბრძოლა დაუწყო „სტიქიურ ურბანიზაციას" – გაამკაცრა ჩაწერის ინსტიტუტი, ქალაქის სამრეწველო საწარმოებისათვის საჭირო მუშახელის მხოლოდ „ლიმიტით" შემოშვება დაიწყო (აქედან მოდის ტერმინი „ლიმიტჩიკი"). დიდ ქალაქებში მიგრაციის შეზღუდვის გარშემოვლა ხდებოდა კორუფციული გარიგებით ან ფიქტიური ქორწინების გზით.

თუ ქალაქში „კანონიერად მცხოვრებს" (ე.ი. ჩაწერილს) ნორმატივზე ნაკლები საცხოვრებელი ფართი ჰქონდა (მაგალითად, 1980-იანი წლების დასაწყისში თბილისში მინიმალური „სანიტარული" ნორმა სულზე 8 კვ. მეტრი ფართობი იყო; მერე ის 5 კვ. მეტრამდე შეამცირეს), მას შეეძლო მოეთხოვა საბინაო პირობების გაუმჯობესება. ოჯახის ერთ წევრზე საშუალო საცხოვრე-

ბელი ფართობის ზომით საქართველოს სსრ პირველ ადგილზე იყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. მაგრამ აქაც ბევრი ცხოვრობდა ძალიან შეჭირვებულ პირობებში (ახლა ასეთი ხალხი ბევრად მეტია!). 1988 წელს იმავე თბილისში 60 ათასი ოჯახი (240 ათასი ადამიანი, ანუ მოსახლეობის თითქმის მეოთხედი) იდგა საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე. მათ დაკმაყოფილებას მშენებლობის იმდროინდელი ტემპით 20 წელიც არ ეყოფოდა. ამასობაში კი რიგიც გაიზრდებოდა. საცხოვრებლის დეფიციტი კორუფციის გზით მიღებული უკანონო შემოსავლის უშრეტი წყარო იყო იმ ბიუროკრატებისათვის, ვისაც ბინების განაწილება ევალებოდათ.

როგორც ზემოთ გაკვრით ითქვა, საბჭოთა ქალაქის სიდიდე მის კატეგორიას განსაზღვრავდა. დიდ ქალაქს ცენტრალიზებული წესით მეტი და უფრო მრავალფეროვანი საქონლით მომარაგება ეკუთვნოდა. უმაღლესი კატეგორია ჰქონდათ მოსკოვს, ლენინგრადს (ახლა ისევ პეტერბურგის სახელი რომ დაუბრუნდა), კიევს. მომდევნო კატეგორიაში იყვნენ თბილისი, ბაქო, ერევანი, ტაშკენტი და სხვა დედაქალაქები.

კატეგორიის სხვაობა მომარაგებაშიც დიდ განსხვავებას ნიშნავდა: არ დაგვავიწყდეს, რომ მაღაზიები მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრება იყო. სამომხმარებლო საქონლის შესაძენად ლამის მთელი საბჭოთა კავშირი ყველაზე კარგად მომარაგებულ მოსკოვს ეტანებოდა, იქაურ მაღაზიებს: „გუმ"-ს (სახელმწიფო უნივერმაღი), „ცუმ"-ს (ცენტრალური უნივერმაღი) და „დეტსკი მირ"-ს (ბავშვთა სამყარო) ყველა საბჭოთა მოქალაქე იცნობდა. ასეთი ანომალია – მხოლოდ სამი „სახელგანთქმული" მაღაზია ქვეყანაში – მხოლოდ გეგმური მეურნეობის პირობებში თუ გაჩნდებოდა!

თბილისიდან მოსკოვში ყოველდღიურად ცხრა საჰაერო რეისი დაფრინავდა: ბილეთი იაფი იყო. გარდა ამისა, არსებობდა საკმაოდ სწრაფი სარკინიგზო კავშირიც (თბილისი-მოსკოვი: 40 საათი 1700 კილომეტრიანი გზის დასაფარავად). ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, შუაზიელებს, ციმბირელებს, ვოლგისპირელებს მოსკოვიდან მიჰქონდათ იმპორტული ავეჯი, ტანსაცმელი, ზოგი საკვები პროდუქტი, მაგალითად, შებოლილი ძეხვი, „პეჩენიე" და ტროპიკული იშვიათობა – ბანანი! მოსკოვის მაღაზიებში უზარმაზარი რიგები ჩნდებოდა. დედაქალაქის მცირერიცხოვან სასტუმროებში ადგილის შოვნა მოითხოვდა დიდ სიყოჩაღეს, რაც გულისხმობდა ოსტატობას სასტუმროს ადმინისტრატორის მოქრთამვაში! მოსკოველებს უცხოქალაქელთა ეს შემოსევა ძალიან არ მოსწონდათ. ამაში დამნაშავე კი იქვე მჯდომი ქვეყნის ხელმძღვანელობა იყო, რომელიც ყველაფერს მოსკოვს აყრიდა.

„ყველაფერი" კი ცოტა იყო.

* * *

საბჭოთა კავშირი ქრონიკული დეფიციტის პირობებში ცხოვრობდა. მოთხოვნილება იზრდებოდა, წარმოება კი, რომელიც გეგმური იყო და არა საბაზრო, იჭედებოდა ბიუროკრატიულ ლაბირინთებში. დარგობრივ ინსტიტუტებს უნდა დაედგინათ, თუ რა სჭირდებათ საბჭოთა ადამიანებს, შეეთანხმებინათ პარტიულ ორგანოებში, გოსპლანში [სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში] – ამაზე წლები მიდიოდა. ნელა მომუშავე საკავშირო გოსპლანს უნდა გადაეწყვიტა, როგორ, სად და რამდენი უნდა ეწარმოებინათ, ვთქვათ, კბილის პასტა, ტუალეტის ქაღალდი ან ქალის კოლგოტები (სამივე მუდმივ დეფიციტს წარმოადგენდა!), რა ტიპის დანადგარი უნდა შემოეტანათ და რომელი ქვეყნიდან, სად დაედგათ ის, რა რაოდენობის პროდუქცია უნდა გამოეშვათ. საჭირო იყო „გეგმის დაშვება" უკრაინაში, ციმბირში, სამხრეთ კავკასიაში მდებარე ერთ ან ორ საწარმოში, რომელთა პროდუქციასაც გიგანტური სახელმწიფო უნდა უზრუნველეყო.

უმაღლეს მითითებას გეგმის შესახებ პოლიტბიურო იძლეოდა, კონკრეტულ გეგმებს კი ადგენდნენ საკავშირო და რესპუბლიკურ გოსპლანებში.

საბჭოთა გეგმურ ეკონომიკას ერთი იმდროინდელი ანეკდოტი ასე გვაცნობდა:

> „მოსკოვის წითელ მოედანზე ბრეჟნევისა და პოლიტბიუროს წინაშე სამხედრო პარადია. გრუხუნებენ ტანკები, მოაქვთ ქვემეხები და ბალისტიკური რაკეტები. ბოლოს ფეხარეულად მოდის ჩინოვნიკების ჯგუფი გაცრეცილი პორტფელებით ხელში. ბრეჟნევი ეკითხება თავდაცვის მინისტრს – 'ეს რა სამხედრო ნაწილია?' 'ესენი გოსპლანის თანამშრომლები არიან – მათ ისეთი დამანგრეველი ძალა აქვთ...".

არაკონკურენტულ გარემოში საწარმოებს შეეძლოთ გამოეშვათ დაბალხარისხიანი პროდუქცია, რომელიც მაინც არ იყო საკმარისი. ჩნდებოდა სამომხმარებლო საქონლის დეფიციტი, რომელიც შესანიშნავ გარემოს ქმნიდა „სპეკულაციისათვის".

ერთი შეხედვით, „სპეკულანტი" (სხვა ტერმინით „გადამყიდველი") ჩვეულებრივი ვაჭარია. ახლა ხომ არ გვაღიზიანებს, რომ ბაზრობები და წვრილი მაღაზიები (ახლა „მარკეტი" რომ დაირქვეს!) სავსეა „გადამყიდველებით", რომლებიც სადღაც იაფად ყიდულობენ საქონელს და ოდნავ უფრო ძვირად გაყიდვას ცდილობენ? გვერდით კი მისი კონკურენტი იმავე საქონელს კიდევ უფრო იაფად მოგყიდით. მყიდველს არჩევანი აქვს. ეს ბაზრის კანონია. ვაჭარი რისკავს. მან უნდა მიიღოს მოგება, რაც მისი შრომისა და რისკის ანაზღაურებაა.

მაგრამ საბჭოთა *სპეკულანტი პარაზიტობდა გეგმური ეკონომიკის პირობებში არსებულ დეფიციტზე.* სახელმწიფო მაღაზიაში ან ქრთამის ფასად – პირდაპირ სახელმწიფო საწყობის მუშაკისაგან (სხვათა შორის, ქრთამის აღება

ისჯება საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც) ის ყიდულობდა საქონელს, ვთქვათ, მოდურ ტანსაცმელს, უცხოურ სუნამოს, იშვიათ და ძალიან საჭირო წამლებს. ამ საქონელს სპეკულანტი გაცილებით ძვირად ყიდდა სრულებით უკონკურენტო გარემოში.

რუსეთში ბოლშევიზმის დამყარებისთანავე ყველაფრის დეფიციტი გაჩნდა და, შესაბამისად, სპეკულაციაც აყვავდა, რომელსაც არაეკონომიკური მეთოდებით ებრძოდნენ.

სიმართლე რომ ითქვას, მოსახლეობის დიდ ნაწილს სპეკულანტის მიმართ ზიზღი ჰქონდა. მაგრამ სწორედ ეს ელემენტი აღმოჩნდა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი (კომკავშირულ მუშაკებთან ერთად: ეს კასტა განსაკუთრებულ მსჯელობას იმსახურებს) გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ. ის, რაც ხელს უშლიდა უმრავლესობას – სინდისი თუ გამოუცდელობა, ხელს არ უშლიდა ყოფილ სპეკულანტს, ახლა „ბიზნესმენს". გამოცდილება მან, ასე თუ ისე, შეიძინა, სინდისს არასოდეს შეუწუხებია.

´როდესაც „სინდისზე" ვლაპარაკობ, ვგულისხმობ არა ტრივიალური „იყიდე-გაყიდეს" მორალურ სახეს – აქ სინდისი არაფერ შუაშია! – არამედ უფრო იმას, რომ სწორედ ამ ტიპის ადამიანებს არ ჰქონდათ მორალური შეზღუდვა, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოში ქმნიდნენ ფულის გამომძალველ „ფინანსურ პირამიდებს", ხსნიდნენ ისეთ ამორალურ და მავნე დაწესებულებებს, როგორებიცაა კაზინო, სლოტ-კლუბი, ტოტალიზატორი, საროსკიპო...

* * *

საბჭოთა კავშირში *სოფლის მეურნეობა* ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო და ამას მთლიანად კომუნისტურ იდეოლოგიას უნდა „ვუმადლოდეთ". მიწა ნაციონალიზებული იყო. *კოლმეურნეობა*, ანუ გლეხების კოლექტიური მეურნეობა, რომელიც ნომინალურად სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი იყო (მხოლოდ თეორიულად!), ფლობდა მიწას მისი გასხვისების უფლების გარეშე. *კოლმეურნე გლეხს ამ მიწაზე მუშაობის რეალური სტიმული არ ჰქონდა.* სამაგიეროდ, მისთვის გამოყოფილ მცირე საკარმიდამო ნაკვეთს გლეხი საგულდაგულოდ ამუშავებდა: ეს ნაკვეთები ქვეყნის მთელი სახნავ-სათესი ფართობის 5 პროცენტზე ნაკლები იყო, მაგრამ იქ მოწეული ჭირნახული ქვეყნის საერთო სასურსათო ბალანსში მოცულობის ნახევარს აღწევდა! თუ 1959 წლამდე გლეხი სოფლიდან ვერ მიდიოდა (როგორც ზევით ითქვა, მას ქვეყნის შიდა პასპორტს არ აძლევდნენ) და ასე თუ ისე ერჩივნა ემუშავა, რომ შრომადღეები გამოემუშავებინა, მას შემდეგ, რაც პასპორტები დაურიგეს, ბევრმა მიაშურა ქალაქს.

კოლმეურნეობასა და *საბჭოთა მეურნეობას* (ეს უკანასკნელი სახელმწიფო საწარმო იყო, სადაც მომუშავეებს „მუშებს" უწოდებდნენ და თვიურ ხელფასს უხდიდნენ, თორემ სინამდვილეში ისინიც გლეხები იყვნენ) უნდა მოეყვანათ ის

პროდუქცია, რომელსაც სახელმწიფო დაუგეგმავდა მათ, ხანდახან ადგილობრივი კლიმატური პირობების უგულვებელყოფითაც. სხვათა შორის, *თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობა წამგებიანი იყო* და სახელმწიფო მათ დოტაციით ინახავდა.

ხრუშჩოვი აენთო საბჭოთა კავშირში *სიმინდის მოყვანის* იდეით. სათესლე მასალას ამერიკის *აიოვას შტატში* იძენდნენ. კრემლიდან წამოსული დირექტივის თანახმად, კოლმეურნეობები სიმინდს თესავდნენ ისეთ რეგიონებშიც კი, სადაც ის ვერ გაიზრდებოდა, რადგან სითბო საკმარისი არ იყო. მაგრამ მლიქვნელი თანაშემწეები ხრუშჩოვს მოახსენებდნენ, რომ *„შედეგი განსაცვიფრებელია!“* როდესაც 1964 წელს ის გადააყენეს, ჩრდილოეთ რუსეთში სიმინდის თესვა შეწყვიტეს.

1955 წლიდან, ხრუშჩოვის წინადადებით, ჩრდილო ყაზახეთის უკიდეგანო სტეპებში ყამირი მიწების მოხვნა დაიწყეს ისე, რომ ქარსაცავი ზოლების გაშენებაზე არც უფიქრიათ. ამას შედეგად მოჰყვა მტვრიანი ქარიშხლები, საშინელი ქარისმიერი ეროზია და ნიადაგის სრული გამოფიტვა. ზარალი არ აღრიცხულა.

საბჭოთა პერიოდიდან დამამახსოვრდა ლექსი, რომელიც ტრაბახისა და ეკოლოგიური უვიცობის სინთეზს წარმოადგენს:

Течет вода Кубань-реки
Куда велят большевики. [32]

მაშინ არავინ ფიქრობდა, თუ რა შედეგს მოიტანდა „ბუნების გარდაქმნის გეგმა“ (თავიდან მას „დიადი სტალინური გეგმა“ ერქვა, მერე უბრალოდ „საბჭოთა“). მაგალითად, როდესაც მდინარე *ამუ-დარიის* წყლები სარწყავად უზბეკეთისა და თურქმენეთის ბამბის მწარმოებელ ოაზისებში გაუშვეს, ნახევრად დაშრა *არალის ზღვა* – მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი შიდა წყალსატევი.

ყოველწლიურად სტუდენტებსა და მოსწავლეებს, აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციებს ევალებოდათ „შეფობა სასოფლო რაიონებზე“ – კარტოფილის მოღება და დახარისხება (რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში), ბამბის, ყურძნის კრეფა (ცენტრალურ აზიაში, ამიერკავკასიაში). ეს არაკვალიფიციური და ფუჭი შრომა იყო. ამოღებული კარტოფილი ძირითადად დაჩეჩქვილი იყო, ბამბა – დანაგვიანებული, ყურძენი ღვინის ქარხნამდე ვერ მიტანას ვერ უძლებდა.

1920-იანი წლებიდან ჩაის კულტურის ფართო გავრცელება დასავლეთ საქართველოში, რასაკვირველია, კოლონიური ექსპლუატაციის მაგალითია. ჩაის კულტურა ინგლისელებმა ჩინეთიდან ინდოეთსა და კუნძულ ცეილონზე VIII-XIX საუკუნეებში იმიტომ შეიტანეს, რომ მაღალი ხარისხის ჩაის საწარ-

[32] იქითკენ წავლენ ყუბანის წყლები,
საით ბრძანებენ ბოლშევიკები (რუს.)

მოებლად იქ შესაფერისი კლიმატური პირობები იყო და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იქ ძალიან იაფი მუშახელი არსებობდა.

საბჭოთა კავშირი 1930-იანი წლებიდან „ჩაის დამოუკიდებლობას" ესწრაფვოდა: ანტიბრიტანულად განწყობილ სტალინს არ უნდოდა, რომ მისი ქვეშევრდომები ინგლისური კოლონიებიდან შემოტანილ ჩაიზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. ობიექტურად, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ის სწორიც იყო: საბჭოთა ბაზარი თითქმის დაიხურა უცხოური ჩაისათვის და ის ცოტაოდენი, რაც შემოჰქონდათ, დაფასოებისას ქართულ ჩაიში გასარევად გამოიყენებოდა.

დასავლეთ საქართველოში მოჰყავდათ საბჭოთა ჩაის 97 პროცენტი. საქართველოს სსრ ყოველწლიურად ზრდიდა მის წარმოებას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, თუკი „ჩაიდ" არ გაასაღებდნენ უხეშ ფოთლებს, ტოტებსა და ბალახს, რომელსაც მახარაძისა (ახლა ისევ ოზურგეთის) თუ ცხაკაიას (ახლა ისევ სენაკის), გალისა თუ ქობულეთის რაიონების მოხერხებული კოლმეურნეები ნამგლით თიბავდნენ. ეს განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან ხდებოდა, როდესაც ხარისხზე კონტროლი შესუსტდა. ერთი-ორგან საგანგებოდ მოწყობილ პლანტაციაში მოსკოვიდან ჩამოსული „ხელმძღვანელი ამხანაგებისათვის" საჩვენებლად ჩაის საკრეფ მანქანასაც ამუშავებდნენ, რომელიც თითქმის ვერ ასხვავებდა ჩაის ფოთოლს გვიმრისაგან. ნამდვილ ჩაის იძლევა მხოლოდ დუყი – ორი პატარა ფოთოლი კვირტთან ერთად. მაგრამ ასე რომ ეკრიფათ, მოსავალი სამჯერ ნაკლები იქნებოდა და მაშინ – მშვიდობით სოციალისტური შრომის გმირობავ, ორდენებო და პრემიებო!

იმდროინდელ კინოქრონიკაში ვხედავდით ფართოფარფლებიან, ჭილისქუდიან სანდომიან ქალბატონებს, მაღალ მკერდზე მოციმციმე *სოციალისტური შრომის გმირის* ოქროს ვარსკვლავით, რომლებიც მოღიმარი სახით გამალებით კრეფდნენ ჩაის და სწრაფად ავსებდნენ ლამის უძირო კალათს. სინამდვილეში, ჩაის კრეფა ძალიან მძიმე შრომაა. გურიის, აჭარისა და სამეგრელოს სოფლის ქალებისათვის ჩაის კრეფა მძიმე ტვირთს წარმოადგენდა, მათ შორის ხშირი იყო უშვილობა, სხვა დაავადებები.

მაგრამ შემოსავალი კარგი იყო! საბჭოთა მთავრობა ჩაის ფოთლისათვის შედარებით უკეთ იხდიდა, ვიდრე ინგლისელები – ცეილონსა ან ინდოეთში. *სოციალისტური შრომის გმირობის ვარსკვლავცენა* მეჩაიეობის რაიონებში იყო გავრცელებული. ერთ წელს რომელიმე მარინე ფერაძეს [სახელი გამოგონილია: ეს იმ დროს პოპულარული კინოკომედია „ჭრიჭინას" გმირია!] მეგობრები დაეხმარებოდნენ გეგმის „200 პროცენტით გადაჭარბებაში", რაც ფიზიკურად შეუძლებელია, თუ გეგმა ნორმალურადაა გათვლილი. მომდევნო წელს კი იგივე მარინე მოუკრეფდა რომელიმე ნაზიბროლა ქობალიას [სახელი გამოგონილია] ჩაის ფოთოლს და ისიც 200-პროცენტიანი გადაჭარბებისათვის მკერდს ოქროს ვარსკვლავით დაიმშვენებდა.

* * *

საბჭოთა კავშირი *გეგმურ მეურნეობაზე* 1928 წლიდან გადავიდა. გეგმებს ადგენდნენ ყოველი წლისათვის და ყოველი ხუთი წლისთვის. „ხუთწლედის" ვადაზე ადრე შესრულება პოლიტბიუროს მოთხოვნად და ადგილობრივი ხელმძღვანელების თავის ტკივილად იქცა. ნებისმიერი გზით სანარმოო *„გეგმის შესრულება"* რესპუბლიკების, ოლქების, რაიონების, ქალაქების პარტიული ხელმძღვანელობისათვის ძირითადი მოტივაცია იყო. გეგმის შესრულება და მისი გადაჭარბება იძლეოდა „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალ წითელ დროშას", პრემიას, ორდენებს, კარიერული ზრდის საშუალებას. საბჭოთა პროპაგანდა ყურებს გვიჭედავდა განუწყვეტელი მოწოდებით „გეგმის შესრულებისა" და მისი „გადაჭარბების" შესახებ.

გეგმის შეუსრულებლობა ხელმძღვანელის მოხსნის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი იყო. ამიტომაც გეგმის შესრულება *„მიწერების"* გზითაც ხდებოდა, ისე, როგორც ზემოხსენებულ მშენებლობაში, რაც კანონით უნდა დასჯილიყო, მაგრამ იშვიათად ვინმე თუ დასჯილა. საქართველოში მიწერა ძირითადად ჩაისა და ყურძნის დამზადებაში ხდებოდა, სხვა რესპუბლიკებში სხვანაირი მიწერები ისწავლეს, მაგალითად, ბამბის კრეფაში, ლურსმნის წარმოებაში, ტყის ჩეხაში და ა.შ.

ყველამ იცოდა, რომ გეგმა ქაღალდზე მაინც უნდა შესრულებულიყო. გეგმის „შესრულებისა" და მისი „გადაჭარბების" მანკიერი პრაქტიკა ყველა მაკონტროლებელი ორგანოსათვის იყო ცნობილი. რაიკომის მდივანმა ეს ეშმაკობა იცოდა, იცოდა ცეკას მდივანმაც რესპუბლიკის დედაქალაქში და იცოდნენ კრემლის პოლიტბიუროშიც. მაგრამ ყველა თვალს ხუჭავდა ამაზე, მანამ, სანამ რომელიმე ხელმძღვანელი რაიმე მიზეზით (მაგალითად, მეტისმეტად გახმაურებული კორუმპირებულობისათვის) მოსახსნელი არ გახდებოდა. მაშინ კი ყველაფერს ამოქექავდნენ ხოლმე, მაგრამ მალე ახალი ხელმძღვანელი თავისი წინამორბედის გზას ადგებოდა.

იყო „სოციალისტური შრომის გმირობის" გაცემის გეგმაც, რაშიც რესპუბლიკებს შორის ბალანსი უნდა ყოფილიყო დაცული: თუ აჯილდოებ უზბეკს ან აზერბაიჯანელს, პარალელურად უნდა დააჯილდოო ტაჯიკი და სომეხი! ბრეჟნევის დროს კრემლს არ უნდოდა რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის განაწყენება.

„გეგმური მეურნეობა" სინამდვილეში არაეფექტიან მეურნეობას ნიშნავდა. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ რაიმეს შეცვლა არავის უნდოდა, ან, უფრო სწორად, რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იყო იდეოლოგიის შეუცვლელად. იდეოლოგიის შეცვლა კი კომპარტიისათვის თვითმკვლელობა იქნებოდა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაშიც იყო ხალხი, ვისაც ესმოდა, რომ კონკურენციის გარეშე ეფექტიანი წარმოება შეუძლებელია. მაგრამ რადი-

კალური ცვლილება ეკონომიკაში – კერძო დაინტერესების (ე.ი. მოგებისაკენ სწრაფვის) დაშვება – იდეოლოგიის რღვევას გამოიწვევდა.

მრავალეროვნულ სახელმწიფოში, სადაც არსებობდა საოცარი, კულტურულად ძნელად თავსებადი ეთნიკური მოზაიკა, სახელმწიფოს ხერხემალი იყო ერთადერთი პარტია. უნივერსალური კომუნისტური იდეოლოგიის ოდნავი შესუსტებაც კი ეთნიკურ კონფლიქტებს ზედაპირზე გამოიტანდა. ამიტომაც პარტიული ელიტა არ დაუშვებდა რაიმე რადიკალურ იდეოლოგიურ ცვლილებას, თუნდაც ამას დაუყოვნებელი ეკონომიკური ეფექტი მოეტანა.

ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაგალითი, სადაც შესაძლებელი გახდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (ეს 1979 წელს დაიწყო), კონკურენტული გარემოს შექმნა, კაპიტალისტების კლასის მომრავლება და დიდი ეკონომიკური წინსვლა ისე, რომ ერთპარტიული მმართველობაც დარჩა და პარტიული ელიტაც კმაყოფილია.

სინამდვილეში ჩინეთშიც ეს გადასვლა უმტკივნეულო არ ყოფილა. მაგრამ იქ აღმოჩნდა გამჭრიახი ლიდერი დენ სიაოპინის სახით, რომელმაც ეკონომიკური გადასვლა იდეოლოგიის გარეგნულად შეუცვლელად შეძლო. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ჩინეთის მოსახლეობის 93 პროცენტი ერთ ერს (თვითსახელად ხან-ი) განეკუთვნება, პარტიული ელიტა იქ საკმაოდ შეკავშირებულია და საერთო დისციპლინას ემორჩილება. ჩინეთის არმია კი ადვილად დათრგუნავს ყველანაირ ეთნიკურ სეპარატიზმს: ეს დამტკიცდა, მაგალითად, 2009 წელს სინძიანის მოვლენების დროს, როდესაც ადგილობრივი თიურქულენოვანი მუსლიმი უილურები აჯანყდნენ რეგიონში საკუთრივ ჩინელების, ანუ ხანების, მასობრივი შემოსახლების გამო. ჩინეთის არმიამ სწრაფად ჩაახშო ამბოხი რამდენიმე ასეული ადამიანის მოსპობის ფასად.

* * *

მეცნიერების სერიოზული განვითარება მხოლოდ დიდ სახელმწიფოში შეიძლებოდა მომხდარიყო. საბჭოთა კავშირი ეჯიბრებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და მთელ კაპიტალისტურ სამყაროს არა მარტო სამხედრო, არამედ მეცნიერების განვითარებითაც და ამ მიზნით საკმაო თანხას ხარჯავდა. არსებობდა *აკადემიური* და *საუნივერსიტეტო* მეცნიერება – ძირითადად ფუნდამენტური დარგების გასავითარებლად და საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (ე.წ. „*დარგობრივი მეცნიერება*“), სადაც შესაბამისი სამინისტროების კონკრეტულ დავალებებზე მუშაობდნენ. ფინანსურად და ტექნიკურად ყველაზე კარგად იყო უზრუნველყოფილი სამხედრო დანიშნულების დახურული (გასაიდუმლოებული) ინსტიტუტები.

რადგან საბჭოთა კავშირი მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში ცხოვრობდა,

ლოგიკური იყო როგორც სამხედრო დანიშნულების წარმოების, ისევე *მეცნიერების გეოგრაფიული დეკონცენტრაცია*. გარდა ამისა, „სამართლიანი განაწილების პრინციპის" მიხედვით, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა შექმნილიყო ერთი უნივერსიტეტი მაინც (დიდ რესპუბლიკებში – რსფსრ-სა და უკრაინაში – ათობით უნივერსიტეტი იყო) და საკუთარი მეცნიერებათა აკადემია, რომელიც აკადემიური სამეცნიერო ინსტიტუტების რაღაც რაოდენობასაც გულისხმობდა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქში უნდა ყოფილიყო ფილოსოფიის (ბუნებრივია, მარქსისტული) ინსტიტუტი, ადგილობრივი ენის, ისტორიის, კულტურის შემსწავლელი ერთი ან რამდენიმე ინსტიტუტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რამდენიმე ინსტიტუტი და ა. შ.; ადგილობრივი აკადემიკოსების (რაც ოფიციალურ რანგად იქცა) ორგანიზაციულ ნიჭზე და ადგილობრივი პარტიული ლიდერის მარიფათზე იყო დამოკიდებული ახალ-ახალი ინსტიტუტების გახსნა, რაც ბუნებრივია, მათ დაკომპლექტებასაც ნიშნავდა, ჩვეულებრივ, ადგილობრივი კადრებით.

საბჭოთა საქართველოში 15 ათასზე მეტ ადამიანს შეეძლო, თავი მიეთვალა მეცნიერთა წრისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი მაღალხარისხოვან კვლევას აწარმოებდა. მათი საგრძნობი ნაწილი უბრალოდ „სამეცნიერო ბალასტი" იყო: ერთი იმდროინდელი ხუმრობით – „მეცნიერები ვულკანებივით არიან, მათ შორისაც უმეტესობა ჩამქრალია!"

ახლა, როდესაც პატარ-პატარა სახელმწიფოებში ვცხოვრობთ, სოციალურ პრობლემად, ზოგისათვის კი ტრაგედიად გადაიქცა მეცნიერების ერთ დროს საკმაოდ უხვი დაფინანსების ნაკადის პაწაწინა ნაკადულად ქცევა.

მცირე ქვეყნებად დაშლილ სივრცეში უამრავი მეცნიერი დარჩა სამუშაოს გარეშე. მწირი დაფინანსების ჩარჩოებში ამ ქვეყნებს უხდებათ შეზღუდული რაოდენობის სამეცნიერო მიმართულებისა თუ დარგის არჩევა, რაც ავტომატურად მოასწავებს მეცნიერებაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას. ეს ადამიანური ტრაგედიაა. ხოლო რამდენიმე თაობის მიერ დაგროვილი ცოდნის უაზრო დაკარგვა ტრაგედიაა ზოგადად მეცნიერებისათვის.

ასე მოხდა ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში და ოდნავ ნაკლები მასშტაბით – პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ანუ ყველგან, სადაც ცენტრალიზებული დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკამ შეცვალა (რომელსაც ასევე ესაჭიროება დაგეგმვა, ოღონდ არა – თვითმიზნური).

ერთი-ორი თაობის შემდეგ ადამიანური ტრაგედიის მომენტები დავიწყებას მიეცემა, ყველა ქვეყანა მეტ-ნაკლებად საკუთარი სახსრების მიხედვით იცხოვრებს და შესაბამის მეცნიერებასაც განავითარებს, მაგრამ მანამდე კიდევ სამიოდე ათწლეულია გასავლელი, ამასობაში კი დაგროვილი მეცნიერული ცოდნა შეიძლება სულ განიავდეს.

პროპაგანდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და შემდეგ

ტოტალიტარიზმის პირობებში ქვეყნის სათავეში ყოველთვის არის ხოლმე ერთადერთი ლიდერი (მისი ტიტული სხვადასხვანაირად ჟღერს – ბელადი/ფიურერი/დუჩე/გენერალური მდივანი/პრეზიდენტი) და ერთადერთი პოლიტიკური პარტია. ასე იყო ნაცისტურ გერმანიაში, ფაშისტურ იტალიაში, კომუნისტურ რუსეთში და სხვაგანაც.

ლიდერი და მისი პარტია – „თავია". „ხელები" – ქვეყნის შიგნით უშიშროების ორგანოებია, ქვეყნის გარეთ კი არმია და საგარეო დაზვერვა.

არის კიდევ ერთი სფერო, რომელსაც ტოტალიტარიზმი ყოველთვის ეყრდნობა: ეს *პროპაგანდაა*.

ინფორმაციის გავრცელების სრული კონტროლი ტოტალიტარიზმის ჩამოყალიბების მთავარი ნიშანია: ხალხმა უნდა მიიღოს სტანდარტული, ერთგვაროვანი ცნობა ყველა მოვლენის შესახებ. *„გაზეთმა დაწერა", „რადიომ თქვა"* – ტოტალიტარიზმის დროს ეს აბსოლუტური ჭეშმარიტების სინონიმებია.

1950 წელს სკოლაში შემიყვანეს. როგორც კი წერა-კითხვა ვისწავლე, ხალისით ვკითხულობდი ყველაფერს – დაწყებული მაღაზიის აბრებით, დამთავრებული გაზეთის ნაგლეჯებით. ინტერნეტი და პერსონალური კომპიუტერი ჯერ გამოგონილი არ იყო. ამიტომ წერა-კითხვა და გამრავლების ტაბულაც კი ვისწავლე! საბჭოთა ჟურნალისტიკა იმდროინდელი ეპოქიდან მახსოვს.

დაწყებით სკოლაში სავალდებულო იყო საბავშვო გაზეთ „ნორჩი ლენინელის" გამოწერა და კითხვა. ამას დიდი ინტერესით ვაკეთებდი. კომკავშირლებისათვის, დაახლოებით 13-14 წლის ასაკიდან, სავალდებულო იყო გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი", ყველა დანარჩენისათვის – ან ქართულენოვანი „კომუნისტი" ან რუსულენოვანი – „Заря Востока" („აღმოსავლეთის განთიადი"). დაახლოებით ასეთივე იყო გაზეთების ასორტიმენტი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ბუნებრივია, ოდნავ განსხვავებული სახელებით, მაგრამ იმათშიც „ლენინი", „სტალინი" და „კომუნიზმი" უნდა ყოფილიყო ნახსენები.

ყველა რესპუბლიკაში გამოდიოდა სპეციალიზებული გაზეთები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის მუშაკებისათვის, მწერლებისათვის, ბავშვებისათვის, ახალგაზრდობისათვის. ერთი გაზეთი სპორტს ეძღვნებოდა: საქართველოში მას „ლელო" ერქვა (ბავშვობისას და ახალგაზრდობისას ჩემს გარემოცვაში ის ყველაზე პოპულარული გაზეთი იყო).

საშუალო ზომის მოკავშირე რესპუბლიკაში 5-10 რესპუბლიკური დონის გაზეთს და ამდენივე ჟურნალს უშვებდნენ (რაიონებში – თითო გაზეთს), ავტონომიურ რესპუბლიკაში – სამ-ოთხს, ავტონომიურ ოლქში – ერთ-ორ გაზეთსა და ორიოდე ჟურნალს.

იყო *ცენტრალური პრესაც* – მოსკოვში გამომავალი გაზეთები, რომლებიც ყველაზე „უტყუარ" და ავტორიტეტულ ინფორმაციას იძლეოდნენ. მთავარ საბჭოთა გაზეთს ერქვა „Правда", რაც ქართულად „სიმართლეს" ნიშნავს. ეს სახელი ყველაზე ნაკლებად მის პუბლიკაციებს შეესაბამებოდა.

ცენტრალური პრესიდან პირადად მე ბავშვობაში ყველაზე მეტად ყოველკვირეული *სატირულ-იუმორისტული* ჟურნალი „Крокодил" („ნიანგი") მიტაცებდა. ჟურნალის სახელი, როგორც ჩანს, შესანიშნავი პოეტის *კორნეი ჩუკოვსკის* საბავშვო ლექსებმა განსაზღვრა: იქ ეს ცივსისხლიანი გიგანტური რეპტილია რატომღაც იუმორის განსაკუთრებული გრძნობით დაჯილდოებული აღმოჩნდა!

„*კროკოდილის*" და ზოგადად *საბჭოთა სატირა* „იმპერიალისტური ქვეყნების" პოლიტიკოსების წინააღმდეგ იყო მიმართული. საბჭოთა მედია კრემლის ბელადებსა და ადგილობრივ ლიდერებს გადაკრულ ხუმრობასაც ვერ გაუბედავდა, მაშინ როცა *ნამდვილი სატირა საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული.* „საბჭოთა სატირის" მახვილი კი მხოლოდ ხელმრუდე მებუფეტეების, სპეკულანტებისა და სხვა „ბურჟუაზიულად გადაგვარებულების" მიმართ იყო ალესილი.

ლოკალურ-პროფესიულ კოლორიტს თუ არ ჩავთვლით, *ყველა საბჭოთა გაზეთის შინაარსი მეტ-ნაკლებად მსგავსი იყო, პოლიტიკური ინფორმაცია – აბსოლუტურად იდენტური.* მას ავრცელებდა სახელმწიფოს ძირითადი პრესის სააგენტო *საკდესი* (საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო, რუსულად – ТАСС).

საუკუნის შუაგულში და კიდევ დიდხანს, 1980-იანი წლების ბოლომდე, საბჭოთა კავშირში არცთუ მრავალი დასახელების გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა, მაგრამ ყველა – მასობრივი ტირაჟით. ყოველდღიური გაზეთები ჩვეულებრივ ერთ ფურცელზე იბეჭდებოდა, იაფფასიან ქაღალდზე. იქ არ იყო არავითარი „ბურჟუაზიული გადმონაშთი" – რეკლამა. ან რა საქონლის რეკლამირება უნდა მოეხდინათ ქვეყანაში, სადაც მისი დასაბამიდან აღსასრულამდე თითქმის ყველანაირი საყოფაცხოვრებო ნივთისა და სურსათის დეფიციტი იყო: ყველაფერი უნდა გეშოვა! „შოვნა" ტიპური საბჭოთა ტერმინი იყო, რომელიც „ყიდვას" ენაცვლებოდა. რეკლამად ვერ მივიჩნევთ ვერც ნეონის ნათურებით განათებულ პარტიულ ლოზუნგებს, ვერც სახანძრო სამსახურის მოწოდებას, რომელსაც თბილისის ერთი სახლის ფასადი მთლიანად ეკავა – „*იყო სოფელში, თუნდაც ქალაქში, სახიფათოა ცეცხლთან თამაში*".

მახსენდება, აგრეთვე, *ლუდის რეკლამა* თბილისის ცენტრალური სარკინიგზო სადგურის წინ, რომელიც რუსეთიდან ჩამოსულ მადააღძრულ ტურისტებში აღტაცებას იწვევდა. რეკლამას დანიშნულება არ ჰქონდა: კარგი ლუდი მაინც უნდა გეშოვათ.

საბჭოეთის გაზეთები იძლეოდნენ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ერთი პარტიის აზრს გამოხატავდა. *პრესა პარტიული იყო.*

არაპარტიული იყო მხოლოდ გაზეთში დაბეჭდილი სამგლოვიარო განცხადებები და, 1950-იანი წლების ბოლომდე, განცხადებები ოჯახის გაყრის სასამართლო პროცესების (!) შესახებ. ამ საქმეების გამოქვეყნება 1930-იან წლებში დაკანონდა იმისათვის, რომ „ოჯახის სიმტკიცე" შეენარჩუნებინათ, მაგრამ განცხადებებმა მოლოდინი ვერ გაამართლა.

რადიომაუწყებლობა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში თითო არხით ხდებოდა. დღეში რამდენჯერმე რადიო მოსკოვიდან წამოსულ ინფორმაციას იძლეოდა (*„მოისმინეთ ტრანსლაცია მოსკოვიდან"* – გვამცნობდა). მეგაფონები ქუჩებში ეკიდა და ინფორმაციის მოსმენა ყველგან შეიძლებოდა. ღამის თორმეტი საათიდან დილის ექვს საათამდე რადიო დუმდა: ხალხს უნდა გამოეძინა!

ოჯახს შეეძლო სახლშიც მიეყვანა „საკაბელო რადიო" – ანუ საქალაქო ქსელს შეერთებოდა და შინ მოესმინა ერთადერთი არხისათვის: ასეთი ფუფუნების სააბონენტო გადასახადი თვეში 50 კაპიკი იყო.

1950-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში გამოჩნდა ტელევიზიაც, თავიდან – მოსკოვში. თბილისში ის პირველად 1956 წელს ვნახეთ. იმ დროს ძალიან იშვიათ ტელევიზორებს წინ წყლით სავსე დიდი ლინზა ეყენა – გამოსახულების გასადიდებლად! პატარა შავ-თეთრ ეკრანზე კვირაში რამდენიმე საათის განმავლობაში პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ უკანასკნელ ცნობებს და ძველ ფილმებს უჩვენებდნენ.

თანდათან ტელეეკრანები გაიზარდა, ფერადიც გახდა, გადაცემებიც დღეში 16-18 საათს გრძელდებოდა. მაგრამ არხების არჩევანი არ იყო. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებშიც კი მოსკოვის ცენტრალური ტელევიზია ორი-სამი არხით მაუწყებლობდა და მთელ საბჭოთა კავშირს ფარავდა. მოკავშირე რესპუბლიკებში ერთი-ორი არხი იყო.

ინფორმაცია იფილტრებოდა და მოსახლეობას აცნობდნენ მხოლოდ იმას, რაც „მას (ე.ი. მოსახლეობას) სჭირდებოდა". საჭიროებას კი ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება განსაზღვრავდა.

ასე ცხოვრება ადვილიც იყო და საამურიც!

იმდროინდელ გაზეთებს თუ წაიკითხავთ, საბჭოთა კავშირში, ყოველ შემთხვევაში 1980-იან წლების შუაგულამდე, ძალიან იშვიათი იყო დანაშაული ან ავტოავარიები, საერთოდ არ ხდებოდა სტიქიური უბედურებები. მაგალითად, ის, რომ 1948 წელს მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია ქალაქი აშხაბადი, მხოლოდ მიწისძვრას გადარჩენილმა თურქმენებმა იცოდნენ, მაგრამ ამას არავის უყვებოდნენ, რადგან ციმბირში გადასახლებას ისევ მიწისძვრა ერჩივნათ. ყველანაირი ტორნადო, ტაიფუნი, ვულკანის ამოფრქვევა, წყალდიდობა, ტყის ხანძარი, კატასტროფა რკინიგზაზე ან მაღაროში მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიძლება მომხდარიყო. საბჭოთა კავშირში არ ხდებოდა არც

ტექნოგენური კატასტროფები. მას შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ მიღწევები ეკონომიკაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაში, სპორტში!

მამაჩემის არქივის თვალიერებისას აღმოვაჩინე *საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანოს, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების"* 1952 წლის 6 ნოემბრის ნომერი: იქ გამოქვეყნებულია რეცენზია გივი გაჩეჩილაძის მიერ ინგლისურიდან ქართულად თარგმნილ შექსპირის სონეტებზე, რომლებიც იმხანად დაიბეჭდა.

რეცენზიაზე არანაკლებ საინტერესო მეჩვენა გაზეთის დანარჩენი ტექსტი. მისი პირველი გვერდი მთლიანად უჭირავს სტალინის ნახატ პორტრეტს. იქვეა ორი სტატია, მიძღვნილი რამდენიმე დღით ადრე ქალაქ გორში მისი მონუმენტის გახსნისადმი (ეს ის ძეგლია, რომელიც 2010 წლის 25 ივნისის ღამით ჩამოხსნეს) და ამ დიდ მოვლენასთან დაკავშირებული ლექსი, ბუნებრივია – პანეგირიკი. გაზეთის მესამე გვერდზე კი აღმოჩნდა *სტატია უცნობ ჰოლანდიელთა ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში სტუმრობის შესახებ.*

ავტორი, რომლის გვარს ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს, აღწერს ამ სტუმრობას იმდროინდელი დაუვიწყარი სტილით.

ახალგაზრდა თაობა იქნებ დააინტერესოს, რას კითხულობდნენ მათი მამა-პაპანი სულ 60-იოდე წლის წინ. ძველ თაობას კი, განსაკუთრებით სტალინისტებს, ალბათ ისევ გაეუღვიძებ ნოსტალგიას *მათი მშვენიერი ეპოქის* შესახებ:

> „სტუმრები ჩამოსული იყვნენ იმ ქვეყნიდან, რომელიც მწარედ გმინავს ამერიკის იმპერიალიზმის კლანჭებში. ჰოლანდიის მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ რა საშინელი უბედურება მოუტანა დასავლეთ ევროპის ხალხებს მარშალის გეგმამ და ჩრდილო-ატლანტიკის პაქტმა... ახალი ჰაულაიტერები, რომლებიც ვაშინგტონიდან მოევლინენ ჰოლანდიას და რომლებმაც მონობის მძიმე უღელი დაადგეს ხალხს, ხარბად და მხეცურად ძარცვავენ ქვეყანას. ამსტერდამის, ეიმეიდენის, როტერდამის საწარმოები გააფთრებული ტემპით ამზადებენ ვაზნებს, გრანატებს, სამხედრო საჭურველს. საავიაციო ქარხანა „ფოკერი" აკეთებს სამას რეაქტიულ თვითმფრინავს ჰოლანდიისა და ბელგიის არმიებისათვის... როტერდამში და ფლისინგენში დაჩქარებით შენდება სამხედრო გემები.
>
> ყოველივე ეს ნთქავს ჰოლანდიის ბიუჯეტს და ბუნებრივია, რომ იქაური ხალხი შიმშილობს... ჰოლანდია, როგორც ყველა მარშალიზებული ქვეყანა, გადაქცეულია სამხედრო ბანაკად; ქუჩებზე, გზებზე დაუსრულებლად მიმოდიან ამერიკული სამხედრო „ვილისები" და მათი სირენების პირქუში ხმა კიდევ ერთხელ მოაგონებს უბრალო მოქალაქეს იმ განსაცდელსა და უბედურებას, რომელიც ამერიკელებმა ევროპის ხალხებს განუმზადეს.
>
> აი ამ ჩამორჩენილი, გაღატაკებული, დაჩაგრული ქვეყნიდან მოსული ადამიანები გააოცა მზიური მხარის გაცნობამ".

ეს არის ტიპური საბჭოთა პროპაგანდისტული კლიშეს მაგალითი, რომელიც სტალინიზმის ეპოქამ შექმნა და საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებამდე, უფრო ზუსტად – „პერესტროიკის“ შუაგულამდე, განაგრძობდა არსებობას.

ამ ციტატაში ელემენტარული ეკონომიკური ლოგიკის ძებნა უსარგებლოა:

- თუკი ქარხნები, თუნდაც სამხედრო, „გააფთრებული ტემპით“ მუშაობენ, განა ეს არ მოწმობს სწრაფ ეკონომიკურ წინსვლას?
- როგორ შეიძლება „ბიუჯეტი შთანთქას“ მრეწველობამ, თუნდაც სამხედრომ, მაშინ როცა სწორედ სამრეწველო ნაწარმის გასაღების შემდეგ მიღებული გადასახადით ივსება სახელმწიფო ბიუჯეტი?
- როგორ დაადგამდა *მარშალის გეგმა* (მასზე მე-14 თავშია საუბარი) „მონობის მძიმე უღელს“ ომის შედეგად დანგრეულ ევროპის ქვეყნებს, რომელთაც ამერიკა თვითონ უწევდა უდიდეს ეკონომიკურ დახმარებას: ხომ ცნობილია, რომ 1948-1954 წლებში შეერთებულმა შტატებმა დასავლეთ ევროპის 16 ქვეყანას მისცა *17 მილიარდი დოლარი გრანტების სახით.*

მაგრამ საბჭოთა პროპაგანდა სულაც არ დაგიდევდათ ლოგიკას, მით უმეტეს – ეკონომიკურს. მოსახლეობის დიდ ნაწილს პროპაგანდისა სჯეროდა: „გაზეთში დაიწერა“ – ეს ჭეშმარიტების დასტური იყო და, ზოგიერთისათვის, დღესაც არის. ვისაც არ სჯეროდა – უჯობდა, ჩუმად ყოფილიყო.

განსხვავებული ინფორმაციის ფარულად მიღება მოკლეტალღოვანი რადიოს მეშვეობით იყო შესაძლებელი. მაგრამ „მტრული ხმებისათვის“ მოსმენა ისჯებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა უშიშროების ორგანოებმა გერმანიიდან უკან მომავალ ჯარისკაცებს ჩამოართვეს ნაალაფევი რადიომიმღებები. არ მახსოვს, ვინმეს გერმანული რადიო ჰქონოდეს: თუ მაინც შემორჩათ, კარგად მალავდნენ.

ჩვენ კი სახლში გვქონდა საოჯახო სიამაყე – რადიომიმღები, რომელიც მამაჩემს მისმა ყოფილმა თანაკლასელმა რადიოფიზიკოსმა დაუმზადა. ის რადიო 1950-იანი წლების დამდეგიდან მახსოვს (არ ვიცი, იქნებ, ადრეც გვქონდა). ფირფიცრის ყუთში ანათებდა სხვადასხვა სიდიდის ნათურები და თბილისის გარდა გრძელ ტალღებზე შეგვეძლო მოგვესმინა სიმფონიური კონცერტებისათვის – მოსკოვიდან ან თარზე დაკრული ბაიათებისათვის – ბაქოდან.

პირადად მე, მაშინ სკოლის მოწაფეს, მხოლოდ *ეროსი მანჯგალაძის* მიერ გადაცემული ფეხბურთის რადიორეპორტაჟები მაინტერესებდა, რომელთა დაწყებას რიხიანი და სპორტულად აღმგზნები საფეხბურთო მარში გვამცნობდა ხოლმე. როგორც მოგვიანებით დავადგინე, მთავარი ამ რადიოყუთში ყოფილა ფარული ღილაკი, რომლის გადართვითაც შესაძლებელი იყო მოკლე რადიოტალღებზე გადასვლა. ღამით, როდესაც ბავშვები დავიძინებდით, მამაჩემი

თურმე დაბალ ხმაზე *ბი-ბი-სი*-ს ინგლისურენოვან გადაცემებს უსმენდა. განსხვავებით „მტრული ხმების" რუსულენოვანი გადაცემისაგან, ინგლისურ გადაცემებს არ ახშობდნენ. ამიტომაც მამაჩემი, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული მსოფლიო და საბჭოთა კავშირის მოვლენებზე, თუმცა, არა მგონია, ეს ინფორმაცია ვინმესთვის გაეზიარებინა. სტალინის დროს, და შემდეგაც, ეს სახიფათო საქმე იყო. 1937 წლის ავბედითი აჩრდილი ქვეყანას კიდევ ნახევარ საუკუნეს ანვა თავზე და მოსახლეობას *შიშის სინდრომს* უნარჩუნებდა.

1987 წლიდან, როდესაც დაიწყო *გლასნოსტის* პოლიტიკის განხორციელება, შიშის სინდრომი საბჭოთა კავშირში სწრაფად გაქრა. მასთან ერთად გაქრა საბჭოთა კავშირიც.

1960-იანი წლებიდან მოკლეტალღოვანი რადიომიმღებები ნებადართული გახდა და ფართოდ გაერცელდა. ამასთან, „დასავლეთის მტრულ ხმებს" ყველა დიდ ქალაქში საგანგებოდ დადგმული ხმის ჩამხშობი ახშობდა (თბილისში, მახათას მთაზე, ბოლო დრომდე იდგა მისი გიგანტური მახინჯი კონსტრუქცია). მაგრამ ქალაქიდან დაშორებით შეიძლებოდა *ბი-ბი-სი-ს, ამერიკის ხმის, რადიო „თავისუფლების"* მოსმენა რუსულად ან ეროვნულ ენებზე. „მტრული ხმების" ჩახშობა საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ შეწყვიტა1988 წლის 29 ნოემბრის შუაღამეს.

რადიო არ არის იმდენად საშიში ტოტალიტარული თუ ავტორიტარული რეჟიმისათვის. არხი უნდა დაიჭირო, ყურისგდებას გონების დაძაბვაც სჭირდება. უმრავლესობას კი ეს უკანასკნელი ძალიან უჭირს.

* * *

არ შეიძლება გვერდი ავუაროო პროპაგანდას პოსტსაბჭოთა ეპოქაში, რომელიც წინა ეპოქის ცოტა სახეშეცვლილ გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო სიტყვა „პროპაგანდას" ენაცვლება „პიარი" (რაც სწორი არაა).

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (ზოგან – მის დაშლამდეც) ინფორმაციის წყაროებმა მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ბეჭდურმა მედიამ ბევრგან დღემდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ის მმართველი რეჟიმებისათვის ნაკლებ სახიფათოა: პრესა გაძვირდა, მას ყველა ვერ კითხულობს. ბეჭდური სიტყვის, უპირველესად *წიგნის, კითხვა – აქტიური შრომაა* და, ბუნებრივია, მოსახლეობის უმრავლესობას ის არ უყვარს. როგორც რუსთაველი გვმოძღვრავს, *„გონიერთა მწვრთნელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს"*. წიგნი მწვრთნელია! ინტერნეტით ინფორმაციის ძიებაც წვრთნის დონეს უახლოვდება, სხვადასხვა ბმული განსხვავებულ ინტერპრეტაციასაც აწვდის. *მაგრამ წიგნის დონეს ინტერნეტი ვერ შესწვდება.*

სულ სხვაა ტელევიზია – *ეკრანის ცქერა პასიური შრომაა*, ტვინის ჭყლეტა აქ საჭირო არაა, ჟურნალისტები ყველაფერს კარგად პრეპარირებულს, ადაღეჭილს ჩაგიდებენ თავში, თანაც ისე, რომ მათ დაუჯერებ კიდეც.

ყველაზე გაუნათლებელ ადამიანსაც კი ტელევიზია „სწორ გეზს" მიუთითებს.

უმრავლესობას ურჩევნია, უყუროს ტელევიზიას, რომელიც თავისი სერიალებით, შოუებით და ტენდენციურად მიწოდებული ახალი ამბებით *ტვინის მასობრივად გამორეცხვის* საუკეთესო საშუალებად იქცა.

ის, ვინც ფლობს ტელევიზიას, აკონტროლებს ადამიანთა გონებასაც და მათ პოლიტიკურ ქცევასაც მართავს.

დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში ტელევიზია, ისევე, როგორც სხვა მედია, ძირითადად კერძო პირების ხელშია. მართალია, ეს კერძო პირები – მედიამაგნატები და მათ მიერ დანიშნული მენეჯერები ზრუნავენ, რომ ძალიან არ დაუპირისპირდნენ საგარეო პოლიტიკაში თავიანთი ქვეყნის ოფიციალურ პოზიციას; მფლობელები და მმართველები ხშირად ერევიან შიდა პოლიტიკის გაშუქებაშიც; მაგრამ არხები ბევრია, ხოლო აზრთა მრავალფეროვნება და არსებული ხელისუფლების კრიტიკა – ამ ქვეყნების მასმედიის ნორმაა. დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული საზოგადოებრივი ტელეარხები სულაც არ თამაშობენ მთავრობის რუპორის როლს.

1980-იანი წლების ბოლოს დასავლეთის სატელევიზიო არხებმა თანამგზავრული მაუწყებლობა დაიწყეს. მათი ინფორმაცია, რასაკვირველია, არ ემთხვეოდა ოფიციალურ საბჭოთა პროპაგანდას და განსხვავებული აზრის შექმნას უწყობდა ხელს. ეს *უმძიმეს გამოცდას* უმზადებდა კომუნისტური პარტიის მონოპოლიას პროპაგანდაზე. მაგრამ საბჭოთა რეჟიმი დაეცა და *გამოცდაც ჩაუბარებელი დარჩა.*

ტელევიზიის პროპაგანდისტულ როლს სწრაფად აუღეს ალღო პოსტსაბჭოთა სივრცის *ოლიგარქებმა:* რუსეთში ასე უწოდეს არცთუ კანონიერი გზით უზომოდ გამდიდრებულ ადამიანებს. ადრე ასეთ ხალხს იცნობდნენ ფრანგული ტერმინით *„ნუვორიშ"*-ი (ახალგამდიდრებული), *ოლიგარქია კი* სხვა რამეს, *მცირერიცხოვანთა მმართველობას* ნიშნავს. ოლიგარქები სწრაფად დაეპატრონენ არსებულ ტელეარხებს, ან სულაც ახალი არხები შექმნეს, მაგალითად, „იმედი" და „მზე" – თბილისში. ახალ ტელეარხებს შეეძლოთ აზრთა გარკვეული მრავალფეროვნებისათვის შეეწყოთ ხელი, თუმცა ფაქტია, რომ ოლიგარქებიც ხშირად ბოროტად იყენებდნენ მათ ხელში მყოფ პროპაგანდისტულ გავლენას.

ოლიგარქების ბოგინი ტელეეთერში დიდხანს არ გაგრძელებულა: ასეთი ექსკლუზიური ძალაუფლების ფლობაში მათ მალევე შეეცილა *სახელმწიფო* და, ბუნებრივია, აჯობა კიდეც.

პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ერთპიროვნული ლიდერი ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე ცდილობს *სახელმწიფოს* (ე.ი. *საკუთარ თავს!*) დაუქვემდებაროს *ტვინის გამორეცხვის* ეს უძლიერესი საშუალება – *ტელევიზია.*

ასე მოიქცნენ რუსეთში: 2000-2003 წლებში იქ ყველა დამოუკიდებელი ტელეარხი ან სახელმწიფო სტრუქტურებს დაექვემდებარა ან დაიხურა. 2010 წელს ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა *ლეონიდ პარფიონოვმა* თავისი ქვეყნის [სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი] ტელევიზია მძაფრად გააკრიტიკა: *„უმაღლესი ხელისუფლება იქ წარმოდგენილია, როგორც ძვირფასი მიცვალებული – მასზე ან მხოლოდ კარგს ამბობენ ან სულ არაფერს“*. ეშიშობ, ეს მხოლოდ რუსეთის ტელევიზიაზე არ ითქმის.

რუსეთის ხელისუფლების ქმედება, „პროპაგანდის ცენტრალიზაციის“ მიზნით, გადამდები აღმოჩნდა სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის. აზებაიჯანში საერთოდ არ არის დამოუკიდებელი (და ოპოზიციური) ტელეარხი; სომხეთში ბოლო დამოუკიდებელი ნაციონალური მასშტაბის ტელეარხი 2002 წელს გაქრა და დღემდე არ აღდგენილა; საქართველოში 2007 წლის ბოლოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ სპეცრაზმით დაიკავა ტელეარხი „იმედი“, ჩამოართვა მის დამაარსებელს, ბადრი პატარკაციშვილს და თავის დამქაშებზე „გადააფორმა“. ასეთი „იმედი“ კეთილსინდისიერად ემსახურა „ნაცმოძრაობას“ 2012 წლის ოქტომბრამდე. ახალმა მთავრობამ ტელევიზია კანონიერი მფობელის მემკვიდრეს დაუბრუნა.

„ნაცმოძრაობის საქართველოში“ მაინც დარჩა დამოუკიდებელი, მცირე აუდიტორიის მქონე, ღარიბი ტელეარხები.

მაგრამ ამ ღარიბმა ტელეარხებმა, რომელთაც რეკლამის მონოპოლიზაციის პირობებში მძიმე [ურეკლამო] არსებობა უხდებოდათ, დიდი როლი ითამაშეს 2012 წელს მოსახლეობის ინფორმირების საქმეში.

თავი 18

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

ნოსტალგია და სინამდვილე

საჭიროა შეიცვალოს ორიოდე თაობა, რომ საბჭოთა ეპოქის შეფასება უფრო ობიექტური გახდეს. მაგრამ დიდი დროის გასვლის შემდეგ ბევრი რამ დავიწყებას მიეცემა. ამიტომაც, საქმის გადადება არ ღირს!

დროის სხვადასხვა გადასახედიდან ერთი და იმავე მოვლენის ფასი შეიძლება სხვადასხვა აღმოჩნდეს. ალბათ სჯობს, რომ ისტორიული შეფასებები არ იყოს უკიდურესი. ჩვენ კი ხშირად უკიდურესობებში ვვარდებით.

მაგალითად, საბჭოთა პერიოდში არსებობდა ერთადერთი *შეფასება საქართველოს გასაბჭოებისათვის – მხოლოდ დადებითი.* მანამდე არსებული *მენშევიკური ხელისუფლება კი ბოროტება იყო.* ასე გვასწავლიდნენ 70 წლის განმავლობაში. მერე შეფასებები რადიკალურად შებრუნდა. ახლა *ბოლშევიკური ხელისუფლება იქცა ცალსახა ბოროტების სიმბოლოდ,* საბჭოთა პერიოდი – მონობის ხანას გავუთანაბრეთ, ხოლო 1918-1921 წლების მენშევიკი ლიდერები ლამის უმწიკვლო მამულიშვილებად შევრაცხეთ.

ყველა ეს შეფასება ცალმხრივია.

სასურველია ობიექტურად შეფასდეს 70-წლიანი განვლილი და შეუქცევადი პერიოდი საქართველოს ისტორიაში, რომელმაც დაგვიტოვა თავისი კვალი, ისევე, როგორც, მაგალითად იმპერიული რუსეთის დომინაციამ, როგორც სპარსეთის სეფიანი შაჰების ბატონობამ, როგორც მონღოლებმა, ბიზანტიამ, არაბებმა.

სხვათა შორის, ისევ მეზობელი სომხეთის მაგალითს მოვიყვან. იქაც შეფასებების რადიკალიზაცია ისეთივე ნორმაა, როგორიც ჩვენში, მაგრამ თავისი ქვეყნის საბჭოთა პერიოდს მაინც საკმაოდ ობიექტურად აფასებენ და ყველაფერში არ აძაგებენ: იხსენებენ, რომ იმ პერიოდში სომეხმა ერმა მოისვენა და რაოდენობრივად გაიზარდა; ადრე მრავალეროვანი სომხეთის

ტერიტორია პრაქტიკულად მონოეთნიკური გახდა; აშენდა ქალაქები, ქარხნები, ინსტიტუტები, რომლებიც ახლაც ემსახურება სომეხ ხალხს. ამიტომაც, თუმცა დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ერევანში შეუცვალეს სახელები მეტისმეტად ოდიოზური ბოლშევიკების, მაგალითად *კამოს* და ერთი-ორი სხვა სომეხი კომუნისტის სახელობის ქუჩებს (მათ მიაყოლეს, ბუნებრივია, ქართველი კომუნისტების – ორჯონიკიძის, ჯაფარიძის, წულუკიძის ქუჩებიც), სომხებმა დედაქალაქში მაინც დატოვეს საბჭოთა პერიოდის კომუნისტი ლიდერების – *მიასნიკიანის* (ის ზემოთ უკვე ვახსენეთ), *ხანჯიანის, შაჰუმიანის* ქუჩები და ძეგლები. ერთდროულად, მათი იდეური ოპონენტების, *დაშნაკების – ლეოს, არამის, ვრაციანის, ნუბარის* და სხვათა სახელებიც დაარქვეს ქუჩებსა და მოედნებს.

ეს მაგალითი ჩვენთვის სულაც არ ნიშნავს ისტორიულ შეფასებებში მიბაძვის აუცილებლობას, რადგან ამ ქვეყნებში პოლიტიკური ვითარება გასაბჭოებისწინა პერიოდში ერთნაირი არ იყო. 1920 წლის ნოემბრის ბოლოს სომხეთი მართლაც უმძიმეს დღეში ჩავარდა: თურქები *ალექსანდროპოლში* (გიუმრიში) იდგნენ და სომხებს, ნაცვლად საკუთარი პრეტენზიებისა ვანზე, ერზურუმზე, ტრაპიზონზე, არარატის მთაზე, უნდა ეზრუნათ ერევნის შენარჩუნებაზე. ასეთ პირობებში ბოლშევიკების შემოსვლა სომხეთში მართლაც ქვეყნის ხსნის ტოლფასი იყო.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების წინ ჩვენთან სხვა ვითარება იყო – სომხეთთან შედარებით უკეთესი. ნითელმა არმიამ საქართველო დაიპყრო და არავითარი ხსნა მისთვის არ მოუტანია. მაგრამ იმდროინდელი ვითარება ჩვენში მხოლოდ მეზობელთან შედარებით იყო ოდნავ უკეთესი.

საქართველოს ისტორიის რეალობაა კომუნისტური პარტიის მმართველობა 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის ოქტომბრამდე. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, საქართველომ საბჭოთა სისტემაში დაჰყო 1991 წლის დეკემბრამდე, თუნდაც ბოლო წელი კომპარტიის დომინაციის გარეშე.

საბჭოთა ხელისუფლებას, მისი არსებობის პერიოდში, ქართველების დიდი (თუ აბსოლუტური არა) უმრავლესობა ბოროტებად მიიჩნევდა. ბევრი, განსაკუთრებით 1989 წლიდან, ამ ხელისუფლების დამხობას ნატრობდა. როდესაც ეს მართლაც მოხდა და გაჭირვების წლები დადგა, ზოგს გაუჩნდა ნოსტალგია იმ დროზე, როდესაც გარანტირებული იყო სულ ცოტა 120-მანეთიანი ხელფასი, სულ ცოტა 70-მანეთიანი პენსია და ათწლეულების განმავლობაში უცვლელი ფასები მაღაზიაში.

„ძველი კარგი დროის" მონატრების მსგავსი ფენომენი მსოფლიო ისტორიაში არაერთხელ აღნიშნულა.

მაგრამ საბჭოეთის ნოსტალგიის მქონე ადამიანებისთვისაც კი ნათელი უნდა იყოს, რომ ცვლილება შეუქცევადია: საბჭოთა კავშირის აღდგენა იმ

სახით, როგორითაც ის სტალინმა შექმნა, შეუძლებელია. ნებისმიერი სხვა, „არასტალინისტური აღდგენა" არ იქნება „ჭეშმარიტი საბჭოთა ხელისუფლება".

ასეთ ადამიანებსაც უნდა ებადებოდეთ კითხვები (თუმცა, ვშიშობ, რომ ასეთ „დეტალებს" ეს უბრალო ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ):

ვინ შეძლებს აღადგინოს ისეთი ეკონომიკური სივრცე, რომელიც ბუნებრივი რესურსების ფლანგვასა და ჩაკეტილ საზღვრებზე იქნება დამოკიდებული?

ვინ მოახმარს მუქთად ციმბირის გაზს, ნავთობსა და ხე-ტყეს რესურსებით ღარიბ რესპუბლიკებს?

შესაძლებელია კი ინფორმაციული საზღვრის ჩაკეტვა ინტერნეტის ეპოქაში?

დასთანხმდებიან კი თავისუფლებამიღწეული ხალხები დამოუკიდებლობის შეზღუდვას? და ა.შ.

რუსეთთან ენობრივად და კულტურულად ყველაზე ახლოს მყოფი ბელარუსის რესპუბლიკაც კი არაა თანახმა, რომ აღდგეს მისი, როგორც ფაქტობრივად მოსკოვს დაქვემდებარებული პროვინციის, სტატუსი.

რასაკვირველია, ბოლშევიკურმა ძალადობამ მხოლოდ საქართველოსა და ქართველ ხალხს არ გადაუარა ზედ. აბსურდია იმის მტკიცება, რომ საქართველო ყველაზე დაჩაგრული რესპუბლიკა იყო. რეჟიმი ყველასათვის, მათ შორის რუსი ხალხისათვის, მძიმე აღმოჩნდა. მაგრამ წიგნის ამ თავში მოკლედ ვაანალიზებ საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოსათვის მოტანილ შედეგებს. ბუნებრივია, ამის გაკეთება ზოგადსაბჭოთა კონტექსტის გარეშე შეუძლებელია.

ყურადღება მინდა გავამახვილო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ საკითხებზე.

იქამდე კი წარმოვადგენ მოკლე ჩანართს წინდართული კომენტარითურთ.

„პოლიტოლოგიური ანალიზის" ერთი იმდროინდელი მაგალითი

სიტყვები „პოლიტოლოგიური ანალიზი" ბრჭყალებში ჩავსვი, რადგან ვაპირებ წარმოვადგინო ტექსტი, რომელსაც ნამდვილ პოლიტოლოგიურ ანალიზთან საერთო არაფერი აქვს. მაგრამ ის გარკვეულ ეპოქას ასახავს და ვიფიქრე, რომ მკითხველსაც დააინტერესებდა.

1963 წელს ოცი წლისა გავხდი და დავიწყე „წლიური შეჯამებების" წერა, რადგან მივიჩნიე, რომ შემიძლია დამოუკიდებელი აზრი მქონდეს სამყაროს შესახებ. ვფიქრობ, რომ ეს საკმაოდ დროული მოსაზრება იყო: თუ 20 წლისა ვერ აყალიბებ შენს მსოფლშეგრძნებას, მერეც ვერ ჩამოაყალიბებ მას.

დღიურის წერისათვის ორგანიზებულობა მაკლდა: ეს გოგონებს უფრო ემარჯვებათ, რომლებიც ქაღალდს თავიანთ ყოველდღიურ გრძნობებს ანდობენ ხოლმე. მე კი საქართველოსა და მსოფლიოს განვითარების პოლიტიკური შეჯამების წერა დავისახე მიზნად. ამას წელიწადში ერთხელ ვაკეთებდი. ბოლო „შეჯამება" 1979 წელს დავწერე. ასე რომ, ერთმა თანამედროვემ, ასე თუ ისე, ასახა საუკუნის თითქმის ორი ათეული წელი.

სხვა საქმეა, თუ რა დონისაა ეს ასახვა.

ახლანდელი გადასახედიდან ჩემი „შეჯამებების" მეცნიერული დონე სულაც არ მაკმაყოფილებს! ამიტომაც მკითხველს დავზოგავ და დავკმაყოფილდები მხოლოდ ორიოდე მაგალითით.

მოკლე კომენტარს კი აქვე დავურთავ.

სტალინის ეპოქაში ფრონდიორობისა და, მით უმეტეს, რეჟიმის რეალური ოპონირების სურვილი სწრაფად ქრებოდა, ჩვეულებრივ, რეჟიმის ოპონენტთან ერთად. ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქებში უკუგდებულ იქნა სხვაგვარად მოაზროვნეთათვის (მათ „დისიდენტებად" ვიცნობდით) სტალინისდროინდელი ხისტი განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით – „ათი წელი მიმოწერის გარეშე", რაც დახვრეტის ევფემიზმი იყო. ამის ნაცვლად დისიდენტებს ფსიქიკურ დაავადებას „აღმოუჩენდნენ" ხოლმე. მაგრამ არც საგიჟეთში ტყუილად მოხვედრა იყო სასიამოვნო რამ.

1960-80-იან წლებში სახელმწიფო სხვადასხვა სახით, მაგრამ არა „უმაღლესი ზომით", სჯიდა სხვაგვარად მოაზროვნეებს, ხმამაღალ ფრონდიორებს, სიმართლის მაძიებლებსა და საზღვარგარეთ წასვლის მსურველებს: ეს უკანასკნელნი, უპირველესად, ებრაელები იყვნენ, რომელთაც ომებში ჩაბმულ ისრაელზე უფრო მეტად მდიდარ აშშ-ში წასვლა ენატრებოდათ.

ჩემი „ფრონდა" კი გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩემთვისვე ვწერდი რაღაც პოლიტიკური ესეების მსგავსს და უჯრაში ვინახავდი მათ.

როდესაც ეს მივიწყებული ტექსტები გადავიკითხე, აღმოვაჩინე, რომ თურმე მტკიცედ ვიდექი „სიონისტური წარმონაქმნის" – ისრაელის – მხარეს (განსაკუთრებით, 1967 წლიდან, როდესაც საბჭოთა კავშირმა ის თავის მტრად გამოაცხადა), ძალიან კმაყოფილი ვიყავი ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრების გამარჯვებებით საბჭოთა გუნდზე (განსაკუთრებით 1968 წლის 21 აგვისტოს შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც საბჭოთა ბლოკის ტანკები პრაჰაში და ბრატისლავაში შევიდნენ და ჩეხებსა და სლოვაკებს თავიანთ ნებაზე ცხოვრება აუკრძალეს), იმით, რომ ამერიკელებმა დაასწრეს რუსებს ფეხის დადგმა მთვარეზე და ა. შ.

გარდა ამისა, იმავე „შეჯამებებში" თურმე ვცდილობდი გამეანალიზებინა მსოფლიოს პოლიტიკური გართულებების, საბჭოთა კავშირის მზარდი ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და საქართველოს სოციალური პრობლემები. ზოგი იმდროინდელი დასკვნა 30-40 წლის გადასახედიდან ზედაპირულია: ინფორმა-

ცია აშკარად მაკლდა. დროის დიდი მანძილიდან ნაკლოვანისა და ღირებულის დანახვა უფრო ადვილია. მაგრამ ზოგი რამ მაშინაც სწორად დამინახავს.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ვცხოვრობდით მეოცე საუკუნის მესამე მეოთხედში, მკითხველს შეუძლია იხილოს ჩანართი 18.1, სადაც ერთ-ერთი წლის ჩემი „შეჯამების" მომცრო ნაწყვეტი ჩავსვი, რომელშიც წინა წლებიცაა მოხსენიებული.

ჩანართი 18.1
1969 წლის შეჯამება (ნაწყვეტი)

...1969 წელი საბჭოთა კავშირში მიდიოდა ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ნიშნით (იუბილე გაისად იქნება).

საერთოდ, თანამედროვე ადამიანი შეამჩნევს, რომ თუკი ხრუშჩოვის დროს, 1964 წლამდე, პარტიული ყრილობები და კოსმოსური გაფრენები იყო ის მოვლენები, რომლებიც ყიუინასა და სალუტს მოითხოვდა, ახალი ხელმძღვანელობა, ანუ ბრეჟნევი და კომპანია, გეზს იუბილეებზე იღებს:

– 1965 წელს აღვნიშნეთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წელი;

– 1966 წელს პარტიის XXI ყრილობა მოიწვიეს, მაგრამ აუარებელი ლოკალური იუბილეებიც მოეწყო, მაგალითად, საქართველოში აღვნიშნეთ რუსთაველის დაბადების 800-იოდე წელი (დანამდვილებით ხომ არავინ იცის, როდის დაიბადა „ვეფხისტყაოსნის" ავტორი?);

– 1967-მა წელმა განსაკუთრებული ზარზეიმით ჩაიარა – აღვნიშნეთ ოქტომბრის რევოლუციის 50 წელი (თუმცა კი ისრაელმა ჩაგვიშხამა ეს ზეიმი ჩვენი მოკავშირეების, არაბული ქვეყნების, სასტიკი დამარცხებით; სვეტლანა ალილუევამ, სტალინის ქალიშვილმა, კი, რუსული გამოთქმის კალკირება რომ მოვახდინო, „კუპრის კოვზი ჩაგვიყო ზეიმების თაფლის კასრში", როდესაც „პროლეტარული სამშობლო" დატოვა და „თავისუფალ სამყაროს" მიაშურა);

– 1968 წელს საბჭოთა არმიის, ჩეკას, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, კომკავშირის შექმნის 50-50 წელი აღინიშნა, სულ სალუტები აგრიალეს და „განიხარეს ფრიად". ამას დაერთო ლოკალური ზეიმები, მაგალითად, უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ნახევარსაუკუნოვანი იუბილეები.

დავუმატოთ ამას სლოვაკეთის ანტიფაშისტური აჯანყების 25 წელი და, რასაკვირველია, „ერევნის დაარსების 2750 წელი". ამით სომეხმა მეცნიერებმა „დაამტკიცეს", რომ მათი დედაქალაქი თვით რომზე 29 წლით ადრეა დაარსებული!

ამ უკანასკნელ იუბილეზე ოდნავ მეტი უნდა ითქვას: ის, ბუნებრივია, არის „საკადრისი პასუხი" ათი წლით ადრე, 1958 წელს, აღნიშნულ თბილისის დაარსების 1500 წლის იუბილეზე, რომლის კატალიზატორი, თავის მხრივ, გახდა 1947 წელს აღნიშნული მოსკოვის დაარსების 800 წლის იუბილე.

„ქართული პასუხი სომხურ ამპარტავნობაზე", ალბათ გახდება „ქუთაისის დაარსების 3000 წელი", რასაც სომხები ალბათ უპასუხებენ „არარატის მთაზე ნოეს გადმოჯდომის 5000 წლით". მაგრამ კრემლი, ალბათ, დროულად აგვიკრძალავს სახელმწიფო ფულის ხარჯვას ამ არქეოლოგიურ შეჯიბრებაზე, მით უმეტეს, რომ არარატის მთა თურქეთის ტერიტორიაზეა და საერთაშორისო გართულება სულაც არ გვჭირდება. ქუთაისის „იუბილე" კი ურა-პატრიოტული საგაზეთო სტატიების ბეჭდვის აკრძალ-

ვასთან ერთად იმერულ სადღეგრძელოებში ბუნებრივად გაიწრიტება!

მომავალ, 1970 წელს მოგეელის, როგორც ვთქვი, ლენინის დაბადების 100 წლისთავი, სომხეთისა და აზერბაიჯანის განითლების, ანუ გასაბჭოების, 50-50 წელი და ა.შ. მოკლედ, ზეიმები, ბათქაბუთქი, ბანკეტები და საყოველთაო სიხარული არ შემოგვაკლდება.

ხელისუფლებამ 8 მარტი უქმე დღედ გამოაცხადა, თანაც გრძელდება ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროიდან ნამოწყებული ტრადიცია პროფესიული დღესასწაულების აღნიშვნისა –კალენდრის კვირადღეების ნახევარი სავსეა „დღეებით“: ესაა „მეთევზის დღე“, „მესანგრის დღე“, „ტანკისტის დღე“, „მეშახტის", „მშენებლის“, „მასწავლებლის“, „მძღოლის“, „მილიციელის“ და კიდევ ვინ მოსთვლის ვისი „დღეები“. „თავის დღეს“ შესაბამისი პროფესიის ხალხს ორდენებსა და მედლებს ურიგებენ, რაც ღრეობის საუკეთესო საბაბია.

ერთი სიტყვით, ცნობილი ლოზუნგი – „ხალხს სჭირდება პური და სანახაობა“ – ძალაში რჩება. უბრალოდ, სანახაობა, ძირითადად „იუბილეები“ და „დღეებია“ (თუ არ ჩავთვლით რუსი და ჩეხი გლადიატორების შეხლას ჰოკეის ყინულის არენაზე), პური კი ცოტაოდენი ისედაც გვეძლევა!

ასეთ დროს ხალხის გონება, ბუნებრივია, ჩლუნგდება. რაღაც სოციალურ პრობლემაზე ფიქრის ნაცვლად ის ემზადება თავისი როლისათვის მორიგი მასკარადის ჩატარებისას. პარტია-მთავრობისათვის, რომელიც მშვენივრად მართავს ამ იდეოლოგიურ პროცესს, ეს კარგია...

საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის: მჟავანაძის, შევარდნაძის, პატიაშვილის ეპოქები

წინა საუკუნის მეორე ნახევრის საბჭოთა საქართველოს ისტორია რამდენიმე ეპოქად შეიძლება დაიყოს და მათ იმდროინდელი ადგილობრივი მმართველების – ცეკას პირველი მდივნების – სახელები დაერქვას.

„ეპოქები“ პერსონიფიცირებულია, რადგან ლიდერის პიროვნული თვისებები მაშინაც კი, როდესაც არსებობდა იდეოლოგიური არტახები, ბევრს ნიშნავდა.

ადგილობრივი ლიდერი არ ინიშნებოდა რაღაც განსაზღვრული პერიოდით: ცეკას პლენუმი მას „აირჩევდა“ იმდენჯერ, რამდენჯერაც კრემლის პოლიტბიურო ამას საჭიროდ მიიჩნევდა. ამდენად, რესპუბლიკური კომპარტიის ცეკას პირველი მდივნისათვის თვითგადარჩენის ძირითადი საშუალება იყო ერთგულების დამტკიცება პოლიტბიუროსათვის, და „პირადად ძვირფასი ნიკიტა სერგეევიჩისათვის/ლეონიდ ილიჩისათვის“.

წინა საუკუნის მეორე ნახევრის საბჭოთა საქართველოს ისტორიაში აშკარად გამოიყოფა“მჟავანაძის ეპოქა“ (1953-1972 წწ.), 1972-1985 წლების „ადრეული შევარდნაძის ეპოქა“ (საუკუნის ბოლო დეკადაში გვექნება „გვიანი შევარდნაძის ეპოქა“), „პატიაშვილის ეპოქა“ (1985-1989 წწ.). 1989 წლის შემდეგ საბჭოთა ხანა სწრაფ ჭკნობას დაიწყებს.

* * *

„მჟავანაძის ეპოქა". 1953 წლის მეორე ნახევარში, სტალინისა და ბერიას ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ახალი ხელმძღვანელი *ნიკიტა ხრუშჩოვი* რესპუბლიკებში წინამორბედი ლიდერების მიერ დანიშნული პარტიული კადრების თავისი ხალხით შეცვლას შეუდგა.

ქუთაისში დაბადებული *ვასილ მჟავანაძე* ახალგაზრდობისას წავიდა საქართველოდან, მას შემდეგ სამხედრო-პოლიტიკურ სამსახურში იყო და გენერალ-ლეიტენანტის ჩინს მიაღწია. არმიიდან ის პირდაპირ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის თანამდებობაზე მოხვდა. ქართული მან დიალექტის დონეზე იცოდა.

მჟავანაძემ 19 წელზე მეტხანს გაძლო საქართველოს მმართველის პოსტზე. 1957 წელს ის *სკკპ ცკ პრე ზიდიუმის* (იმავე *პოლიტბიუროს*) წევრობის კანდიდატად აირჩიეს, რაც დიდ პატივად მიიჩნეოდა. არავითარ სახიფათო ექსპერიმენტებს ის არ ატარებდა. მისი ძირითადი დევიზი იყო: *„არ ამირიოთ ანყობილი ქვეყანა!"* ქვეყნის მართვაში ენდობოდა თავის მოადგილეებს – ცეკას დარგობრივ მდივნებს (რაც საქართველოსათვის ცუდი სულაც არ აღმოჩნდა!) და საკუთარ მეუღლეს (ეს ცუდი იყო: ამ უკანასკნელს განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკა ეხერხებოდა, სადაც გადამწყვეტი კრიტერიუმი იყო ბრილიანტის ზომა და „ნორკის ქურქის" ხარისხი). ხშირად გვსმენია: *„საქმეს გადაგიწყვეტენ ჟორა გეგეშიძე, შოთა ჭანუყვაძე და, რასაკვირველია, ვიქტორია ფეოდოროვნა"* !

მჟავანაძის პერსონალურმა თვისებებმა, გარკვეულმა ლიბერალიზმმა, განაპირობა ის, რომ მის დროს, 1954 წელს, ჯერ კიდევ ხრუშჩოვის მიერ სტალინის მამხილებელი მოხსენების გაკეთებამდე, საქართველოში მოხდა 1937 წელს დაღუპული ქართველი მწერლების – მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის – რეაბილიტაცია. ხრუშჩოვმა ამის ნება დართო, რადგან ქართველი მწერლების განადგურება უკვე შერისხული ლავრენტი ბერიას კისერზე იყო. მჟავანაძეს კი ეს იდეა მწერალთა კავშირის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა ირაკლი აბაშიძემ მიაწოდა.

მჟავანაძის დროს დაიწყო ენგურჰესის მშენებლობა; განვითარდა თბილისის ინფრასტრუქტურა: გაიყვანეს მეტრო; ამოავსეს ვარაზისხევი და ის გზად აქციეს; ააშენეს სპორტის სასახლე; დაიწყო ქალაქის პერიფერიის ათვისება და იქ ახალი საცხოვრებელი მიკრორაიონების მშენებლობა.

„მჟავანაძის ეპოქა" დაემთხვა მთელ საბჭოეთში „ზასტოის" (სტაგნაციის) ხანის დაწყებას. ინდუსტრიული განვითარება საქართველოში შენელდა. ახალი საწარმოები შედარებით ნაკლები შენდებოდა და არსებულიც თითქმის არ ფართოვდებოდა. ამას ირიბ შედეგად მოჰყვა დემოგრაფიული ტენდენცია – არაქართული ეთნიკური ელემენტის ემიგრაცია. 1950-იანი წლების შუაგულიდან

მოყოლებული განუწყვეტლივ ეცემოდა რუსებისა და, ზოგადად სლავების, რომლებიც ძირითადად ინდუსტრიულ შრომაში იყვნენ ჩაბმული, ხვედრითი წონა რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში და მათი აბსოლუტური რაოდენობაც კი.

საქართველოს სოფელმა კი სწორედ იმ პერიოდში დაიწყო უკეთესად ცხოვრება, რადგან საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული ხილისა და ბოსტნეულის რუსეთის ბაზარზე შედარებით უმტკივნეულოდ გატანის საშუალება გაჩნდა. ეს დიდ შემოსავალს აძლევდა გლეხსაც და ბიუროკრატსაც.

მჟავანაძის ლიბერალიზმის (უფრო – გულარხეინობის) შედეგად ფართოდ გაიშალა *ჩრდილოვანი ეკონომიკა*. ამ თვალსაზრისით, საქართველო მთელ კავშირში ერთ-ერთი ლიდერი გახდა. აყვავდნენ „დელეცები" და „ცეხავიკები"(ორივე ტერმინი რუსულია: პირველი „საქმოსანს" ნიშნავს; მეორე მოდის „ცეხ"-იდან, რაც „საამქროს", „პატარა საწარმოს" უდრის).

ყველამ იცოდა, რომ ფულითაა დაძეძგილი ის, ვინც „წვენებში" ან „მატყლშია" (ე.ი. ხილ-კენკრის წვენების, ჩვეულებრივ – ფალსიფიცირებულის, წარმოებაში ან სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებაში იყო ჩაბმული: იქ ადვილი იყო „ხალტურის" გაკეთება). ბენზინგასამართი სადგურის, სახინკლის, უნივერმაღის, ავტოპროფილაქტორიუმის დირექტორობა, საწყობის გამგეობა ყველაზე სანუკვარ თანამდებობებად იქცა – ისინი მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფდნენ.

დაახლოებით ასევე იწყებოდა კაპიტალიზმის განვითარება ევროპული ფეოდალიზმის წიაღში: იქაც მდიდრდებოდნენ ისინი, ვინც არსებულ სიტუაციას უკეთ შეეგუებოდა და ეს ხალხი სულაც არ იყო ზნეობრიობის ეტალონი!

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ „დელეცები" და „ცეხავიკები" ბიზნესმენები იყვნენ, რომელთაც ქვეყნის აყვავება შეეძლოთ. მაგრამ კაპიტალის დაგროვება და მისი შემდგომი განვითარება, ისე, როგორც ეს კლასიკურ პოლიტეკონომიაშია აღწერილი, საბჭოეთის პირობებში ვერ მოხდებოდა. კომუნისტური იდეოლოგია არ დაუშვებდა საბჭოეთში საბაზრო ეკონომიკის წარმოქმნას, მით უმეტეს, ცალკე აღებულ საბჭოთა საქართველოში!

ამავე დროს, „მჟავანაძის ეპოქაში" რესპუბლიკაში სრული სიმშვიდე სუფევდა (გამონაკლისი მხოლოდ 1956 წლის მარტის მოვლენები იყო).

თუმცა მჟავანაძე „ხრუშჩოვის კადრი" იყო, მან მოახერხა კარგი ურთიერთობის დამყარება ხრუშჩოვის მემკვიდრეებთანაც და ექვსი წელი იმუშავა ლეონიდ ბრეჟნევის „ბრძნული ხელმძღვანელობის" ქვეშ.

მაგრამ უკვე კრემლისთვისაც აუტანელი გახდა საქართველოში გაფურჩქნილი კორუფცია (ხალხში გავრცელებული იყო აზრი, რომ, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მოსახვედრად, თუ მაღალი რანგის პროტექტორი არ გყავდა, საჭირო იყო „დადგენილი გადასახადის" გადახდა, თუმცა ოფიციალურად სწავლა უფასო იყო).

1972 წელს 70 წლის მჟავანაძეს ლენინის ორდენი მისცეს და პენსიაზე გაუშვეს „ჯანმრთელობის გაუარესების გამო". მან კიდევ 16 წელი იცოცხლა.

* * *

„ადრეული შევარდნაძის ეპოქა". შედარებით ახალგაზრდა (დანიშვნისას ის 44 წლისა იყო), ენერგიული, ნიჭიერი *ედუარდ შევარდნაძე* საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის პოსტზე მოვიდა ანტიკორუფციული ბრძოლის ტალღაზე1972 წლის სექტემბერში. მოსკოვი, სადაც კორუფცია ყვაოდა, „იდეოლოგიურ სიწმინდეს" მოითხოვდა მოკავშირე რესპუბლიკებში. 1969 წელს ბრეჟნევმა აზერბაიჯანში ანალოგიურ პოსტზე დანიშნა იქაური *კაგებე*-ს ხელმძღვანელი *ჰეიდარ ალიევი* და უფლება მისცა რკინის ხელით დაემყარებინა წესრიგი. ეს იგივე ალიევია, ვინც დამოუკიდებელ აზერბაიჯანს ჩაუდგება სათავეში.

შევარდნაძემ დანიშვნისთანავე სცადა კორუფციით საესე *„აეგეას თავლის" – სახელმწიფო-პარტიული აპარატის* – გაწმენდა. იქამდე შვიდი წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას მან კარგად შეისწავლა პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ურთიერთგადახლართვა, „ცეხავიკები" და მათი საქმეები. ციხეების საკნები მალე გაივსო სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის, უკანონო მეწარმეობაში მონაწილეობისათვის, თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ქრთამის მიღებისა ან მიცემის და სხვა მსგავსი დანაშაულისათვის მსჯავრდადებული ადამიანებით.

უნდა ითქვას, რომ უბრალო ხალხის საგრძნობი ნაწილი ასეთ „წმენდას" მიესალმებოდა, რისი ძირითადი მოტივაციაც იყო არა რაღაც „კომუნისტური იდეალები", არამედ ეგოისტური განცდა, რომ *„ესენი ჩვენს შესაჭმელს ჭამდნენ"*.

შევარდნაძეს შეეძლო ზეპირად, დაწერილი ტექსტის გარეშე, დამაჯერებლად ლაპარაკი, განსხვავებით მისი წინამორბედისაგან, რომელიც მოსაწყენად კითხულობდა ხოლმე სხვების მიერ მომზადებულ მოხსენებას. დანიშვნიდან პირველ თვეებში შევარდნაძემ თავისი გამოსვლებით პირდაპირ მოაჯადოვა ქართული ინტელიგენცია.

1972 წლის ჩემს „შეჯამებაში", რომელშიც მაშინ თურმე ჩამირთავს შუა საუკუნეების ტექსტის იმიტაციით შედგენილი პასაჟი, თითქოს უკვე ვხვდებოდი, რა მოჰყვებოდა „ავგეას თავლის" წმენდას *(იხ. ჩანართი 18.2)*.

თვითკრიტიკის სახით შევნიშნავ, რომ ამ „შეჯამებაში" უადგილოდ მაქვს გამოყენებული იმ დროს მოდური სიტყვა *„კონვერგენცია"*: არავითარი იდეოლოგიური შერწყმა არც მაშინ და არც შემდგომ ოციოდე წელს არ მომხდარა!

ჩანართი 18.2
1972 წლის შეჯამება (ნაწყვეტი)

...ძველი მემატიანე ალბათ მოკლედ გადმოგვცემდა მოვლენებს, რომლებიც მოხდა ამ წლის ბოლო თვეებში. მინდა წარმოვიდგინო, თუ როგორი იქნებოდა ეს ფრაგმენტი „ქართლის ცხოვრებაში“:

„ქრისტეშობიდან წელსა ჩშობ დაუტევა სამთავრო თვისი ერისმთავარმან ბასილი, წარვიდა რუსეთად და დარჩა მუნ. ხოლო ჰმართავდა ბასილი ესე სამთაუროსა თვისსა ათცხრამეტსა წელსა და იყო იგი კაცი სათნო, კეთილი და უდრტვინველი. ნადირობდის და ჰლაღობდის. ხოლო სამთავროისა საქმენი განისჯებოდის დედოფლისა მისისა მიერ. დედოფალი ესე, სახელად ვიქტორია, იყო ტომითა რუსი, გარნა თუ წარჩინებულთაგანი, არამედ მდაბიო. დაიახლოვა ვიქტორიამან კაცნი ეგრეთვე მდაბიონი და უკეთურნი, უბოძა მამულნი და სახელონი და განადიდა ფრიად. და განუკითხაობის ჟამსა იხვეჭდა ოქროსა მრავალსა. არა შეუიდის ხაზინასა სამთავროისასა, არამედ გამოვიდის. და არა ისურვა ერისმთავარმან ბასილი ჭვრეტაი საქმის ვითარებისა და ჰლაღობდის კუალად. კეისარსა ლეონიდეს შეასმინეს ამბავნი ესევითარნი, გარნა არა იცოდის ხსნა.

და მოუვლინა ღმერთმან სამთავროსა ბასილისასა ერისთავი ერთი, სახელად ედუარდ, ძეი შევარდენისა. ერისთავმან ესე ნახა საქმენი უკეთურნი ფრიადი და ამცნა კეისარსა. კეისარმან, ვერა რაი იღონა, მოუხმო ერისმთავარსა ბასილი კარსა თვისსა, მესამესა ჰრომსა შინა.

ხოლო ნაცვლად ბასილისი მოვიდა ედუარდ და დაჯდა ერისმთავრად. და იყო ედუარდ ესე კაცი ფიცხელი და კეთილისა მზრახველი შჯულისათვის. იწყო ედუარდ განწმენდა შჯულისა და ტყუენა და დილეგს ჩაყრა კაცთა მრავალთა უკეთურთა, განდიდებულთა და გაამპარტავნებულთა ბასილისა მის ჟამსა.

და იწყო დრტვინვა ერთაგან მრავალმა და ჰკითხვიდის ურთერთსა – „რასა იქმს კაცი ესე? ერისმთავრობასა ბასილისა უგუნურისა ერს არა აქუნდა შჯული, არამედ აქუნდა თეთრი, ხოლო აწ არღარა აქუს ერთიცა“.

დამახინჯებული ძველი ქართულით შეთხზული ეს პასაჟი მომდევნო მოსაწყენი ტექსტის გასაცოცხლებლად მოვიტანე. ძველი მემატიანეები ხომ ტრადიციულად ძალიან ლაკონურად აღწერდნენ მოვლენებს.

მართლაც, ვასილ მჟავანაძის 19-წლიანი მმართველობა იყო დარღვევების ჯაჭვი, რომელიც აღაშფოთებდა ბევრს ამ ქვეყანაში. მაგრამ მჟავანაძე ეპოქის შვილი იყო, ერთგვარი ლიბერალიზაციისა და, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს „შჯულისათვის“(კომუნისტური იდეოლოგიისათვის), მისი ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან (თუ ის საერთოდ არსებობს?) ერთგვარი კონვერგენციის ეპოქისა. მთელ საბჭოთა კავშირში ახლა მოდუნებულია დისციპლინა და „შერყეულია შჯული“. ეს ნორმალურია, რადგან ყველა თოკი, რომლითაც აბამენ ხალხს, ადრე თუ გვიან ლპება და წყდება. ის, რომ *ვასილი პავლოვიჩის* მეუღლე მომხვეჭელი აღმოჩნდა, ესეც ეპოქის კანონზომიერებაში ჯდება.

ფული იქცა ყველაზე ძლევამოსილ ძალად, უფრო სწორად, მან აღიდგინა ის ძალა, რომელიც მას ამ 40-50 წლის წინ ხელოვნურად დააკარგვინეს. აღზევდნენ „ფულის მშოვნელი ბიჭები“. ადრე თუ ქურდი და მექრთამე უჩუმრად მოიხმარდა თავის მონაგებს, ახლა ჩვენში სახელად იქცა ფულის ფანტვა და სირცხვილად – უფულობა.

ეს ეპოქა ვერ შეიცვლება ერთი ადამიანის მიერ. რამდენიმე წლის მერე ედუარდ შევარდნაძეს არ ასცდება იგივე გზა, რასაც ვასილ მჟავანაძე ადგა“...

სულ 2-3 წლის შემდეგ შევარდნაძისათვის, რომელიც ყოველთვის კარგად გრძნობდა, თუ საიდან უბერავდა ქარი, ნათელი გახდა, რომ ქანჩების შემდგომი მოჭერა კრემლში აღარ მოსწონთ. „ანტიკორუფციული რეპრესიები" მკვეთრად შენელდა: ალბათ, თავი დააჯერეს, რომ ყველა მექრთამე დაჭერილია! სინამდვილეში კი კორუფცია ზედაპირიდან სიღრმეში ჩავიდა და ქრთამი გაძვირდა. ნომენკლატურისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ფარული ალიანსი სწრაფად აღორძინდა.

იგივე მოხდა ყველა სხვა რესპუბლიკაში, სადაც კრემლი პერიოდულად ცვლიდა ხოლმე განსაკუთრებით კორუმპირებულ ხელმძღვანელს „ჭეშმარიტი კომუნისტით".

ადრეული შევარდნაძის ეპოქაში საქართველოს სსრ-მ დაიწყო ზღაპრული რაოდენობის ჩაისა და ღვინის წარმოება. ვერავითარი აგროტექნიკა და ეკონომიკა ვერ დაასაბუთებდა დასავლეთ საქართველოში 600 ათასი ტონა ჩაის მოკრეფის შესაძლებლობას. მაგრამ პრესა ამ მაჩვენებელს ურცხვად გვანვდიდა. *ქართულ ჩაიში* ბალახსა და ტოტებს ურევდნენ და მას *ცოცხის* დაუვიწყარი სურნელი ჰქონდა, ქართულ ღვინოში – შაქარს, წყალს და კიდევ რაღაცას ამატებდნენ, რის გამოც ერთხელ თვითმფრინავით მგზავრობისას ხელჩანთაში „ქინძმარაული" – ასე ეწერა თბილისში ჩამოსხმული ღვინის ბოთლის ეტიკეტს – ამიფეთქდა (მაშინ ბორტზე სითხის შეტანა ჯერ აკრძალული არ იყო).

მეზობელმა აზერბაიჯანის სსრ-მ *ჭეშმარიტი კომუნისტის* ჰეიდარ ალიევის ეპოქაში თურმე გაასამმაგა ბამბისა და სუფრის ყურძნის წარმოება!

გეგმის გადაჭარბებით შესრულება ზემოხსენებული „მინერებისა" და ფალსიფიკაციის შედეგი იყო, რასაც ცეკას პირველი მდივნებისა და მათი ერთგული რაიკომის მდივნებისათვის მოჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება ლენინის ორდენის გადაცემით: მაშინ ეს უმაღლესი ჯილდო იყო. ბუნებრივია, *ფალსიფიკაციისა და მინერების დიდოსტატების* მიმართ კომპარტიის ცეკას ლმობიერება უნდა გამოეჩინა. არ ვიცი, ვუწოდო თუ არა ამას კორუფცია?

„ადრეული შევარდნაძის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ოჯახის წევრები არ ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში (რაც მოსახლეობას ყველაზე მეტად აღიზიანებს ხოლმე) და პირადად მას ვერავინ დასწამებდა კორუმპირებულობას.

მაგრამ რა ხდებოდა მის გარშემო!? ხელმძღვანელი კადრების (ზემოხსენებული *დიდოსტატების?*) შერჩევისას შევარდნაძეს ახირება სჩვეოდა: ხანდახან ისეთ ოდიოზურ პირს აღაზევებდა, რომ საზოგადოება გაოცებას ვერ მალავდა.

ადრეული შევარდნაძის ეპოქიდან ყველაზე დასამახსოვრებელი 1978 წელი გამოდგა.

იმ წლის გაზაფხულზე საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის განხილვა დაიწყო. ერთი წლით ადრე საბჭოთა კავშირმა მიიღო ახალი „ბრეჟნევისეული კონსტიტუცია", რომელიც 1936 წლის „სტალინური კონსტიტუციისაგან"

მხოლოდ მრავალსიტყვაობით განირჩეოდა. მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებსაც თავიანთი კონსტიტუციები საერთო-საკავშიროსთვის უნდა შეესაბამებინა.

განხილვა დუნედ მიმდინარეობდა იქამდე, სანამ ხალხის ინერტულობა არ დაარღვია მოულოდნელად აღმოჩენილმა ფაქტმა – საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში *ამოღებული იყო ძველი კონსტიტუციის მუხლი,* რომელიც ქართულ ენას რესპუბლიკის სახელმწიფო ენად აცხადებდა. მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ არცერთი სხვა რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ შეუტანიათ. არც საკავშირო კონსტიტუცია აწესებდა სახელმწიფო ენას, თუმცა იგულისხმებოდა, რომ „ერთაშორისი ურთიერთობის ენა" რუსულია.

ქართულმა საზოგადოებამ ამ ცვლილებაში სამართლიანად დაინახა საფრთხე ეროვნულობისათვის, მით უმეტეს, რომ წინა წელს უკვე იყო მცდელობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში რუსულენოვანი (თუნდაც ჯერჯერობით ნაწილობრივი) სწავლება შემოეღოთ. მაშინ ქართულმა პროფესურამ ეს მცდელობა ჩაშალა.

კონსტიტუციის პროექტის განსახილველად მოწვეულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე თვით *ედუარდ შევარდნაძემ* გაამახვილა ყურადღება ზემოხსენებული მუხლის არარსებობაზე, ისეთ კონტექსტში, რომ ეს *„დიდი პრობლემა არ უნდა იყოს-ო"* (ასე მახსოვს, შეხვედრას ვესწრებოდი). მაგრამ უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტობა საპროტესტოდ აღენთო.

ნიშანდობლივია, რომ ახალი კონსტიტუციის განსახილველად შევარდნაძე *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში* მოვიდა. დაარსებიდანვე (1918 წ.) და 1921-1991 წლებში – საბჭოთა საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე, და შემდეგაც, სწორედ *თბილისის უნივერსიტეტი იყო ქართული იდენტობის ცენტრი, საზოგადოებრივი აზრის მაფორმირებელი უდიდესი ძალა.* კარგი დამოკიდებულება თბილისის უნივერსიტეტთან, აგრეთვე *მწერალთა კავშირთან,* რომელიც ასევე აყალიბებდა საზოგადოებრივ აზრს, ცეკას მდივნებისთვისაც იქცა sine qua non[33]-ად. იმ შემთხვევაში კი, თუ არსებულ ხელისუფლებას უნდოდა, თვითონ ყოფილიყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთადერთი ცენტრი, მაქსიმალურად უნდა დაეკნინებინა და დაემცირებინა თბილისის უნივერსიტეტი. ასე მოხდა 1930-იანი წლების დასაწყისშიც – კომუნისტების ეპოქაში, და XXI საუკუნის დასაწყისშიც – „ნაცმოძრაობის" ეპოქაში. მაგრამ უნივერსიტეტმა ეს დამცირება გადაიტანა და, მჯერა, კვლავაც გადაიტანს.

1978 წლის 14 აპრილს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ კონსტიტუციის საბოლოო დამტკიცების დროს, დღევანდელი პარლამენტის შენობას ზღვა ხალხი მიადგა.

[33] რის გარეშეც არ ეგების (ლათ.)

შესაძლოა, შევარდნაძე თამაშობდა: თუკი კონსტიტუციის ზემოხსენებული მუხლის არარსებობას ხალხი ჩაყლაპავდა, მოსკოვს უპატაკებდა – ყველაფერი მოვაგვარეო. თუ პროტესტი გაგრძელდებოდა – მაშინ ხალხისათვის დათმობით კარგი პატრიოტის სახელს მოიხვეჭდა. ვფიქრობ, ის მეორე ვარიანტზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული.

მაგრამ ეს იყო ძალიან რისკიანი თამაში: შეიძლებოდა ვიღაც პროვოკატორს მილიციასთან ჩხუბი აეტეხა; შეიძლებოდა კრემლს არ დაეთმო. თბილისში კი უკვე შემოიყვანეს რუსული სამხედრო ნაწილები – უმაღლესი საბჭოს მიმდებარე ქუჩებზე ჯავშნიანი მანქანები და ქვეითი ჯარი იდგა.

საბედნიეროდ, თბილისელებმა სიმშვიდე გამოიჩინეს; მილიციამ შეასრულა ბრძანება არ შეეჩერებინა *მშვიდობიანი პოლიტიკური მანიფესტაცია, რაც საბჭოთა კავშირში იქამდე წარმოუდგენელი რამ იყო;* ბოლო მომენტში შევარდნაძემ კრემლისაგან მიიღო თანხმობა სახელმწიფო ენის შესახებ მუხლის აღდგენაზე: ხალხის დიდ მასასთან კონფლიქტი კრემლში არ სჭირდებოდათ.

საბოლოოდ ყველაფერი ყველას საამებლად დამთავრდა:

- ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა; ორიოდე წლის შემდეგ 14 აპრილი *დედა ენის დღედ* გამოცხადდა და გოგებაშვილის „დედა ენას" ძეგლიც კი დაუდგეს მშრალ ხიდთან, ყოფილ *მადათოვის კუნძულზე*, რომელსაც უფრო ადრე თურმე *ორბელიანის კუნძული* რქმევია;
- შევარდნაძემ ეროვნული გმირის შარავანდედი დაიდგა; იმ წლის ბოლოს ის სკკპ ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩიეს;
- კრემლმა გონივრული კომპრომისის დემონსტრაცია მოახდინა, მაგრამ თბილისს „გაუგონრობა" არ დაუვიწყა.

სხვათა შორის, „ქართული პრეცედენტით" ისარგებლეს ბაქოსა და ერევანში, სადაც სასწრაფოდ მოინვიეს უმაღლესი საბჭოების რიგგარეშე სესიები და ცვლილება შეიტანეს ორიოდე კვირის წინ სულ უმტკივნეულოდ მიღებულ კონსტიტუციებში – აზერბაიჯანული და სომხური გამოაცხადეს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენად.

დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებს კი „ქართული პრეცედენტის" გაზიარების უფლება კრემლმა არ მისცა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა: რესპუბლიკურ კონსტიტუციებში ჩაწერილი მუხლები მხოლოდ სიმბოლიკა იყო, მათ შესრულებას კომპარტია არც აპირებდა. კონსტიტუციებში ისიც ეწერა, *გარანტირებულია სიტყვის თავისუფლებაო*. ვინ იცავდა ამ მუხლს?

დიდი ეროვნული გამარჯვების ეიფორია საქართველოში მალე გაბათილდა, როდესაც აფხაზეთშიც მოინადინეს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში ცვლილებების შეტანა. ეთნიკურმა აფხაზურმა ინტელიგენციამ, რომელიც უკვე კარგა ხანია ეროვნული მტრის ხატად სახავდა ქართველებს, და მას აყოლილმა აფხაზმა ხალხმა (1978 წლის მაისში სოფელ

ლიხნიში 12 ათასზე მეტი, ზოგი ცნობით კი 30 ათასი, ადამიანი შეიკრიბა; მთლიანად აფხაზები სულ 85 ათასამდე იყვნენ) მოითხოვეს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენებად შეთავაზებული აფხაზური, ქართული და რუსული ენებიდან ქართული ენის ამოღება. ამავდროულად, დააყენეს საკითხი აფხაზეთის ავტონომიის საქართველოდან გამოყოფისა და რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარესთან მისი შეერთების შესახებ. ეს კრემლში გაგზავნილ დიდ პეტიციად გაფორმდა.

ეჭვგარეშეა, პეტიციას აფხაზები წერდნენ „მოსკოველ კეთილისმსურველებთან" კონსულტაციის შემდეგ. ეს არ ნიშნავდა, რომ კრემლი დააკმაყოფილებდა აფხაზების მოთხოვნებს. უბრალოდ, თბილისს ნათლად დაანახეს, რომ თუ გაგრძელდება „ნაციონალისტური გამოხდომები", მის წინააღმდეგ არსებობს ქმედითი ბერკეტი!

პოლიტბიუროს არ აძლევდა ხელს მოკავშირე რესპუბლიკის საზღვრის შეცვლით სახიფათო პრეცედენტის შექმნა. აფხაზეთის რუსეთის ფედერაციასთან მიერთების ფაქტი მაშინვე გამოიწვევდა ჯაჭვურ რეაქციას: დადგებოდა მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანიდან სომხეთისათვის გადაცემის, სამარყანდისა და ბუხარის – უზბეკეთიდან ტაჯიკეთისათვის გადაცემის, ოშის ოლქის – ყირგიზეთიდან უზბეკეთისათვის გადაცემის საკითხები და ა.შ. ზედაპირზე გამოვიდოდა ჩრდილო კავკასიის ხალხების ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიებიც. ბრეჟნევმა და პოლიტბიურომ აუტკივარი თავი არ აიტკივეს.

იმ ჯერზე კრემლმა „ხალიჩის ქვეშ შეხვეტა" აფხაზური პრობლემები ისე, რომ მათ ათი წლის შემდეგ ისევ იჩინეს თავი, თანაც უფრო ტრაგიკული შედეგებით.

აფხაზები დააბრალეს იმით, რომ *კრემლის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით* სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტად გარდაქმნეს, რომელსაც „სოხუმის" კი არა, არამედ *„აფხაზური სახელმწიფო უნივერსიტეტი"* უწოდეს, თუმცა სწავლება იქ ძირითადად რუსულად და ქართულად მიმდინარეობდა. სოხუმში გაიხსნა აფხაზურენოვანი ტელევიზია.

ზემოხსენებული არ იყო რაღაც *„ნებაყოფლობითი საჩუქრები ქართველების მხრიდან"*, რასაც ამტკიცებენ ხოლმე ჩვენი ურაპატრიოტები იმისათვის, რომ *„აფხაზების უმადურობას"* გაუსვან ხაზი, და რასაც ზვიადისტები წარუდგენდნენ შევარდნაძეს მისი *„ანტიქართული ქცევის"* ბრალდებად. რეალურად, შევარდნაძეს იმ პირობებში სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო.

კრემლისავე ნებართვით არაოფიციალურად გაიზარდა ეთნიკური აფხაზების კვოტა ვტონომიური რესპუბლიკის ნომენკლატურაში. თუმცა აფხაზები საკუთრივ აფხაზეთის მოსახლეობის 18 პროცენტზე ნაკლებს შეადგენდნენ, მათ ავტონომიური რესპუბლიკის ნომენკლატურული თანამდებობების 50 პროცენტამდე დაკავების უფლება მისცეს. ბიუროკრატიულ სახელმწიფო-

ში ასეთი ზომის კვოტა დიდ პოლიტიკურ ძალას აძლევს ხოლმე ნებისმიერი რეგიონის მცირე ეთნიკურ ჯგუფს.

აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციაში *სამი სახელმწიფო ენა* ჩაიწერა, რომელთაგან არც ქართულს და არც აფხაზურს რეალურად არც იყენებდნენ: დოკუმენტაცია რუსულად დგებოდა, ოფიციალურ მოხსენებებს რუსულად კითხულობდნენ.

თუმცა შევარდნაძე მართლაც ზრუნავდა ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაზე, იმდროინდელ საქართველოში ხალხს ის არ უყვარდა, ისე, როგორც ნებისმიერი მოქმედი ხელმძღვანელი არ უყვარს ხოლმე.

განსაკუთრებით გაუტეხა შევარდნაძეს სახელი 1982 წელს ქართველი ახალგაზრდების, ცნობილი ადამიანების შვილების მიერ თბილისის აეროპორტიდან თვითმფრინავის გატაცების მცდელობისათვის რამდენიმე ადამიანის სიკვდილით დასჯამ (გატაცების ინციდენტი მართლაც მეტისმეტად სისხლიანი გამოდგა; საბჭოთა კავშირს იმ დროს ხელმძღვანელობდა ანდროპოვი და კრემლს უნდოდა მკაცრი სასჯელი სხვებისთვის მაგალითი გამხდარიყო).

შევარდნაძეს, რომელიც 1985 წლისათვის უკვე 13 წელი მართავდა საქართველოს, ხალხი აღიქვამდა როგორც „გარდაუვალ, მაგრამ ასატან ბოროტებას", როგორც სტაბილობის გარანტს არსებულ სისტემაში. ის, რომ საბჭოთა კავშირი რამდენიმე წლის შემდეგ დაიშლებოდა, 1985 წელს არავინ იცოდა.

იმ ზაფხულს ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს კრემლის პოლიტბიუროს წევრად და მიხაილ გორბაჩოვმა ის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა.

საქართველოში უფრო მეტად დააფასეს და შეიყვარეს ყოფილი ხელმძღვანელი, როდესაც ის თბილისიდან წავიდა. ესეც ბუნებრივია!

* * *

ჯუმბერ პატიაშვილი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად უშუალოდ გორბაჩოვის რეკომენდაციით აირჩიეს და არა შევარდნაძისა. იმ პერიოდში ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

„პატიაშვილის ეპოქა" დატვირთული აღმოჩნდა რთული მოვლენებით, რომელთათვისაც თავის გართმევა ძალიან ძნელი იყო, თუმცა თვით ამ ლიდერის მამულიშვილობაში ეჭვის შეტანა ძნელია.

პატიაშვილი ცდილობდა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას: ქვემო ქართლის ქართულენოვან მოსახლეობას დაუბრუნეს ქართული გვარები, არაქართული მოსახლეობის მქონე რეგიონებში ასახლებდნენ ეკოლოგიურ მიგრანტებს მთიანი აჭარიდან და სვანეთიდან. ეს პოლიტიკა შემდგომში გონივრულად რომ გაგრძელებულიყო, შესაძლოა, მას საკმაოდ პოზიტიური შედეგები მოჰყოლოდა.

მაშინ, როდესაც კრემლის პოლიტბიურომ მთელ საბჭოთა კავშირში წამოიწყო „ანტიალკოჰოლური კამპანია", რასაც ბევრგან, მაგალითად, ყირიმში, მოლდავეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, სამხრეთ რუსეთში მოჰყვა ვენახების გაჩეხა, სწორედ პატიაშვილმა შეინარჩუნა ქართული ვენახი.

მართალია, საკმაოდ მალე დაწყებული ეკონომიკური კატასტროფის დროს ვაზი თვითონ გლეხებმა ამოძირკვეს და მის ნაცვლად ხორბლისა და საზამთროს მოყვანა დაიწყეს!

ცეკას პირველი მდივნის პოსტზე პატიაშვილი ოთხ წელზე ნაკლებ ხანს დარჩა. დანიშვნისთანავე მან სცადა წინამორბედის კორუფციული კვალის მონახვა და მისი კადრების თავიდან მოშორება, მაგრამ ამით მხოლოდ დაეძაბა ურთიერთობა მოსკოვში მყოფ დიდად გავლენიან ედუარდ შევარდნაძესთან. საკმაოდ ხისტმა და ჯიუტმა პატიაშვილმა ვერ ააწყო (ვერ მოასწრო აწყობა?) ურთიერთობა ადგილობრივ ოპოზიციასთან, რომელიც იმ დროს უკვე წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას. თანაც ოპოზიციის აღიარებული ლიდერი ერთობ რთული პიროვნება იყო).

„პატიაშვილის ეპოქას" დაემთხვა გორბაჩოვისეული „გლასნოსტი", რომელსაც საქართველოს კომპარტია კარგა ხანს უძალიანდებოდა. საქართველოს კომპარტიამ ვერ გამოამჟღავნა საკმაო მოქნილობა მაშინ, როცა ბალტიის ქვეყნებში იქაური კომპარტიები ეროვნულ მოძრაობას ფარულად თვითონვე ედგნენ სათავეში.

ჯუმბერ პატიაშვილს ჰქონდა იმდროინდელი ლიდერისათვის საჭირო თვისებები – ენერგია, მართვის გამოცდილება. ერთგვარი რეტროსპექტული ვარაუდით შემიძლია ვთქვა, რომ არა 1989 წლის 9 აპრილის საბედისწერო ღამე, საქართველოს კომპარტია, მის სათავეში *პატიაშვილი* რომ დარჩენილიყო, 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში ადვილად არ დამარცხდებოდა ოპოზიციურ ბლოკთან; ეგებ მოეგო კიდეც არჩევნები? ეს მხოლოდ ვარაუდია. იქნებ არც არაფერი გამოსულიყო.

ის კი, რომ ყოფილ კომუნისტებსაც შეეძლოთ ეროვნული ძალის როლის შესრულება, დამტკიცდა პოსტ-სოციალისტურ სივრცეში, მათ შორის ბალტიის ქვეყნებში, პოლონეთში, უნგრეთში... საერთოდაც, *ეროვნული რესპუბლიკების იმდროინდელი კომუნისტების დიდი უმრავლესობა საკუთარი სამშობლოს არანაკლები პატრიოტი იყო, ვიდრე არაკომუნისტური ოპოზიცია.* ეს საქართველოსაც ეხება.

1989 წლის 9 აპრილის თბილისის მოვლენების შემდეგ (რომლებიც განხილულია ერთ-ერთ მომდევნო თავში), ჯუმბერ პატიაშვილი იძულებული გახდა პოსტიდან გადამდგარიყო.

1990-იან წლებში ის უშედეგოდ ცდილობდა დაბრუნებას დიდ პოლიტიკაში – ორჯერ იყარა კენჭი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე.

კომუნიზმი ქართულად

კომუნიზმის მთავარი ლოზუნგი, რომლითაც ამ იდეას მასები უნდა მოეზიდა, ასე ჟღერდა: *„ყველასგან – შესაძლებლობის მიხედვით, ყველას – მოთხოვნილების მიხედვით“*. იგულისხმებოდა, რომ „ყველას“ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ეშრომა, და ისეთი დოვლათი შექმნილიყო, რომ *„ყველას“* იმდენი მიეღო, რამდენიც მოესურვებოდა.

ლოზუნგი რომ უტოპიურია, ნათელია.

ასე მგონია, ამას ხვდებოდნენ კომუნიზმის იდეის უმთავრესი პროპაგანდისტები XIX საუკუნეში – *მარქსი* და *ენგელსი,* განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, რომელიც, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გეჩვენოთ, ფაბრიკანტი, ანუ კაპიტალისტი, იყო, ერთხანს პირადად მართავდა მამამისისგან მემკვიდრეობით მიღებულ ფაბრიკას და, როგორც ჩანს, ეკონომიკა უნდა სცოდნოდა. მისგან განსხვავებით, მარქსს, მცირე საგაზეთო ჰონორარების გარდა, შემოსავალი არ გააჩნდა, ძირითადად კოლეგა-კლასიკოსის, ფრიდრიხ ენგელსის, ხარჯზე ცხოვრობდა, იდეებს კი ანტიკაპიტალისტურს ავითარებდა.

1961 წელს ნიკიტა ხრუშჩოვი საჯაროდ დაჰპირდა საბჭოთა ხალხს, რომ *„ოცი წლის შემდეგ კომუნიზმში იცხოვრებდნენ“*. იგულისხმებოდა მარქსის მიერ ნაწინასწარმეტყველევი კომუნიზმი, რომელიც 1981 წელს, რასაკვირველია, არ დამდგარა. იმ დროისათვის ხრუშჩოვი გარდაცვლილი იყო და დაპირების შეუსრულებლობაზე პასუხს ვერავინ მოსთხოვდა.

საერთოდაც, თუკი პოლიტიკური ხელმძღვანელი თავის რადიკალურ მეტოქეებს დროულად არ ჩაუვარდა ხელში, ის არ აგებს პასუხს თავისი, როგორც წესი, ტყუილი დაპირებებისათვის.

მაგრამ, როდესაც დაშლილი საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე, 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, ყველა ყოფილ საბჭოთა ხალხს უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პირობები შეექმნა, ზოგმა გაიხსენა ხრუშჩოვის დაპირება და 1980-იანი წლების დასაწყისის უდარდელი ცხოვრება: „თურმე მართლა კომუნიზმში გვიცხოვრია-ო“.

მიუხედავად აშკარა უტოპიურობისა, მოხდენილი ლოზუნგი – „ყველასგან – შესაძლებლობის მიხედვით, ყველას – მოთხოვნილების მიხედვით“, უბრალო ხალხს აღაფრთოვანებდა. ამ უბრალო ხალხის უმრავლესობას, რასაკვირველია, ლოზუნგის მეორე ნაწილი მოსწონდა: „ყველას იმდენი ექნება, რამდენიც უნდა!“ „ყველაში“, რასაკვირველია, უპირველესად საკუთარ თავს გულისხმობდნენ.

ერთი კახური ანეკდოტის თანახმად, „კომუნიზმი ჩემთვის მაშინ დადგება, როდესაც ალაზნის ველი ხაშლამით აივსება და მარილს ვერტალიოტიდან მოაყ-

რიანო". ვინ გაუსუქებს ძროხას და ვინ მოუხარშავს ხაშლამას ამ მუქთახორასა და ღორმუცელას – ასეთ საკითხებს ანეკდოტებში არ ეხებიან.

ზემოხსენებული კრიტერიუმით, კომუნიზმი ახლაც დგება პერიოდულად ქორწილში, ქელეხში ან წლისთავზე, როდესაც ხორაგი სუფრაზე რამდენიმე სართულად ლაგდება.

ასეთ ქართულ სუფრაზე პირველად მოხვედრილი უცხოელი სუფრიდან აშლისას გაკვირვებით შენიშნავს (თუ იქამდე მაგრად არ დაათრეს!), რომ სანოვაგის ნახევარზე მეტი ხელუხლებელი დარჩა: თუ რესტორნის მფლობელი სანიტარულ ნორმებს დაიცავს, ეს საჭმელი უნდა გადაყაროს.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო დეკადებში კომუნისტური პარტია მართლაც ახორციელებდა *სოციალურ პოლიტიკას*. ყოველ შემთხვევაში, არავინ შიმშილობდა.

ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში, არსებობდა *უფასო სამედიცინო მომსახურება* (მის გეოგრაფიულად განსხვავებულ ხელმისაწვდომობასა და არათანაბარ ხარისხზე აქ არაფერს ვიტყვი), *უფასო უმაღლესი განათლება* (მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ კორუფციაზე ვეღარაფერს დავუმატებ), *ქალაქში უფასო საცხოვრებლის მიღების შესაძლებლობა* (მშენებლობის დაბალ ხარისხზე და საცხოვრებელი ფართის განაწილებაში არსებულ კორუფციაზე უკვე ითქვა), *საპენსიო უზრუნველყოფა* (მის მცირე მოცულობაზე და პენსიების გაცემასთან დაკავშირებულ დარღვევებზე ლაპარაკიც ზედმეტია), *სამუშაოთი უზრუნველყოფის საშუალება* (არსებობდა რეალური უმუშევრობაც, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მქონეთა შორის), *სტაბილური სამომხმარებლო ფასები და ტარიფები* (მათ სტაბილობას ინარჩუნებდნენ დოტაციით, რაც ბუნებრივი რესურსების განიავების ფასად მიღებული მოგებით იფარებოდა; სამომხმარებლო საქონლის მუდმივ დეფიციტზე კი ზემოთ ვისაუბრე). 1950-იანი წლების შუაგულიდან არსებობდა *სოციალური დაცვის ინსტიტუტები*. მაგალითად, სამსახურიდან ადამიანის უმიზეზოდ დათხოვნა ძნელი იყო. ახალი მინისტრის დანიშვნა სულაც არ ნიშნავდა მისი მოადგილეებისა და მთელი აპარატის შეცვლას.

იმ არცთუ ისე შორეულ, მაგრამ ძირითადად მივიწყებულ და, ამიტომ, ახლა ვარდისფრად გამომზირალ წარსულში, ერთი იმდროინდელი გამონათქვამი რომ გავიხსენოთ, *„ხალხი თვალთმაქცობს – თითქოს მუშაობს, მთავრობა კი თვალთმაქცობს – თითქოს ხელფასს უხდის*!"

მართლაც, იმდროინდელი მუშაობაცა და ხელფასიც თვალთმაქცობის რაღაც ვარიანტები იყო.

მთელ საბჭოეთში არსებული სამომხმარებლო საქონლის მუდმივი დეფიციტი მოხერხებულ ადამიანებს უბიძგებდა *ფარული საამქროების („ცეხების")* გახსნისაკენ, სადაც ფართო მოხმარების საქონელს აწარმოებდნენ.

ხანდახან ასეთი „ცეხი“ სახელმწიფო საწარმოს ფაქტობრივი ნაწილი იყო და სხვადასხვა კომბინაციით გეგმის ზევით აწარმოებდა დეფიციტურ პროდუქციას. საქართველოში ასეთი *ცეხი* ბევრი გაჩნდა. *საქმეს* (ეს „ბიზნესის“ ქართული შესატყვისია!) სათავეში უფრო ხშირად ქართველი ებრაელები ედგნენ, ანდა ისინი ფორმალური ქართველი მფლობელის ზურგსუკან იდგნენ. 1970-იანი წლების დასაწყისში ისრაელში ქართველი ებრაელების მასობრივი ემიგრაციის შემდეგ ეთნიკური ქართველი „დელეცებიც“ მომრაელდნენ. ამ სოციალურ ჯგუფს „ცეხავიკებს“, ან „კომბინატორებსაც“ უწოდებდნენ.

საბჭოეთის მასშტაბით, ეს ელემენტი ქართველი ხალხის „იმიჯს აფუჭებდა“. ისინი, ვინც სვერდლოვსკსა თუ ხარკოვში, სარატოვსა თუ ირკუტსკში მათგან ყიდულობდნენ დეფიციტურ ვიტამინებს სამხრეთის ხილის სახით, ან თბილისსა თუ ქუთაისში დამზადებულ ასევე დეფიციტურ კაპრონის ჩანთებს, ქართველ გამყიდველს „სპეკულანტს“ უწოდებდნენ.

იმ ხალხს კი, ვინც სახლში რჩებოდა და ასეთ ვაჭრობაში არ მონაწილეობდა, ერჩივნა, „კეთილშობილი რაინდის“ იმიჯი შეენარჩუნებინა, რომელიც ქართველ თავადაზნაურობას XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაში ჰქონდა. მაგრამ *პიპინია ერისთავების* დრო გასული იყო.

„დელეცები“ იმიტომ ამოტივტივდნენ, რომ მათი საჭიროება გაჩნდა. მაგრამ თავიანთ მონაგებს ისინი ვერ ხარჯავდნენ ლეგალური ეკონომიკის გასავითარებლად, მაგალითად, კომპანიის შესაქმნელად, ახალი ქარხნის ასაშენებლად, არსებულ „ცეხში“ ახალი მანქანა-დანადგარების ჩამოსატანად. ამას არ დაუშვებდა იდეოლოგიური მარწუხები. ამიტომაც მოგება იხარჯებოდა რესტორნებში, მომსახურებაზე, ძვირფასეულობაზე, ბინის ან კერძო აგარაკის კეთილმოწყობაზე. დიდ სახლს „დელეცი“ ვერც აიშენებდა: არსებობდა სამშენებლო შეზღუდვები; აგარაკი სხვა პირის სახელზე უნდა გაეფორმებინა: სახელმწიფოს ექნებოდა კითხვა: „საიდან გაქვს ფული?“.

კომუნისტური გეგმური მეურნეობის შიგნით, ქრონიკული დეფიციტის წყალობით შეიქმნა „კვაზიბურჟუაზიული კლასი“.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლება გადავარდა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დავიწყეთ, კონკურენციის პირობებში ამ „კლასის“ უნარ-ჩვევები სრულებით შეუფერებელი აღმოჩნდა: მისმა წარმომადგენლებმა (ვგულისხმობ აბსოლუტურ უმრავლესობას) ჩიხიდან ვერ გამოიყვანეს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა.

კულტურულ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მემკვიდრეობა: შუქ-ჩრდილები

1921 წელს კომუნისტური რეჟიმის დამყარება საქართველოში ძალადობრივად განხორციელდა: ქართველ ხალხს სულაც არ გამოუთქვამს სურვილი, რომ ბოლშევიკები თავიანთი არმიითურთ მოსულიყვნენ და ქვეყნიდან გაეგდოთ, თუნდაც არაპოპულარული, მენშევიკები.

საქართველომ გადაუხვია თანამედროვე საზოგადოების განვითარების ნორმალურ გზას, რომელიც განვლეს ამჟამად ეკონომიკურად განვითარებულმა და სოციალურად მოწესრიგებულმა ქვეყნებმა.

დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც ასე თუ ისე იგრძნობოდა გვიანი რუსეთის იმპერიისა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, ჩაკვდა; პოლიტიკური პლურალიზმი მოისპო; სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება შეწყდა. კულტურის განვითარებამ მნიშვნელოვანწილად პოლიტიზებული ხასიათი შეიძინა. 1920-იანი წლებიდან 1951 წლამდე განხორციელებულმა მასობრივმა რეპრესიებმა დიდი ფიზიკური და მორალური ტრავმა მიაყენა ქართულ საზოგადოებას.

კომუნისტური მმართველობის შედეგები საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში თითქმის იდენტურია. აშკარად მიუღწეველი ქიმერის – კომუნიზმის – ასაშენებლად ყველა საშუალების გამოყენებით ხდებოდა „ახალი ადამიანის" ფორმირება. რეალობაში ეს გადაიზარდა მასობრივ რეპრესიებში, დასმენებში, რაც ადამიანის „ახლებურად ფორმირების" ნაცვლად მისი ფსიქიკის დეგრადაციას იწვევდა.

მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ათეულ მილიონობით ადამიანის ბანაკებში გამოკეტვას და მათ იძულებით შრომას მილიონობით ზედამხედველი სჭირდებოდა. პოლიტიკური ბრალდებით მილიონზე მეტი ადამიანის სიკვდილით დასჯას ათასობით ჯალათი ახორციელებდა. ზედამხედველებსა და ჯალათებს გაორებული ფსიქიკა უყალიბდებოდათ. შინ – მზრუნველი მამა, სამსახურში – სასტიკი მანამებელი და კაცისმკვლელი.

მართალია, საუკუნის მეორე ნახევარში ზემოხსენებული პრაქტიკა შეწყდა, მაგრამ მან ხანგრძლივი კვალი დატოვა ყველა „საბჭოთა ხალხის" ისტორიულ მეხსიერებაში.

იმდროინდელი მსხვერპლის შთამომავლები სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ჯალათის ცოდვა მომავალ თაობებსაც უნდა გადასწვდეს. მაგრამ ტკივილი მოშუშდა. ჯალათებს შვილიშვილები გაუჩნდათ, რომელთაც პაპების ცოდვებზე არაფერი იციან და მათ მორალური პასუხისმგებლობა არც ეკისრებათ.

ამის გამო ლუსტრაცია უსარგებლო და მავნე რამ იქნებოდა: ის ვირტუ-

ალურ სამოქალაქო ომს გააჩაღებდა. ეს, სხვათა შორის, ესმოდა საქართველოს ყველა ხელმძღვანელს, 1990 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული.

ის, რომ ადამიანებს ***არ ჩამოუყალიბდათ პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებრივი საქმის მიმართ***, კომუნისტურ პირობებში ცხოვრების შედეგია. „ეს მე არ მეხება", „ეს მთავრობამ უნდა გაგვიკეთოს" – ასეთი რამ დღემდე გვესმის.

ტელევიზიით ახლაც გვიჩვენებენ სახლების წინ უსაქმოდ ჩამომსხდარ სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც აღშფოთებით მიუთითებენ გზაზე არსებულ წუმპეებზე და მოითხოვენ – მოგვხედოს მთავრობამ! ამ დროს ორიოდე ურიკა ხრეშით ამ წუმპეების ამოვსება თავადაც შეუძლიათ, მაგრამ ამჯობინებენ, დრო ღვინის სმას დაუთმონ.

მრავალსართულიან სახლებში მოსახლეებს აწუხებთ მხოლოდ საკუთარი ბინის კეთილმოწყობა – დაბინძურებულ საერთო სადარბაზოს ქალაქის საბჭომ/მუნიციპალიტეტმა/მერიამ მიხედოს!

ეს საბჭოთა ეპოქის გადმონაშთია. საზოგადოების თვითორგანიზაციას კომუნისტური ხელისუფლება რეალურად არ ახალისებდა: აქედან ერთი ნაბიჯი იყო პოლიტიკურ ორგანიზაციამდე!

საბჭოთა პერიოდში *სოციალური დაცვის ელემენტი* იყო მოთხოვნა, რომ ყველას ემუშავა: უმუშევრობა დასაშვები იყო მხოლოდ დროებით. ადგილობრივ საბჭოებს ევალებოდათ, ადამიანისათვის რაიმე სამუშაო გამოენახათ. ნაკლები განათლების ცენზის მქონესათვის ეს უფრო ადვილი იყო – ქარხნებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ყოველთვის სჭირდებოდა მუშახელი. უფრო ძნელი იყო სამუშაოთი მზარდი რაოდენობის უმაღლესდამთავრებულების დაკმაყოფილება, მით უმეტეს, რომ მათ სამუშაო ადგილი საკუთარ ქალაქში უნდოდათ და არა ცხრა მთას იქით.

უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე გავრცელებული (თუმცა არაეფექტური) მეთოდი იყო ის, *რომ სამი-ოთხი კაცი ასრულებდა სამუშაოს, რომელსაც სავსებით ეყოფოდა ერთი კარგი მუშაკი.* მაგრამ მაშინ ამ უკანასკნელისთვის ბევრად მეტიც უნდა გადაეხადათ, ხოლო უარესად მომუშავე ორი-სამი ადამიანი უმუშევრად უნდა ქცეულიყო.

იდეოლოგია ამას ვერ დაუშვებდა. ყველას, ვინც კარგად ან ცუდად მუშაობდა, თანაბარ ხელფასს უხდიდნენ: ამას „გათანაბრება" ერქვა (რუსულად **уравниловка**), თითქოს უარყოფითი მნიშვნელობით, მაგრამ ის პრაქტიკულად რჩებოდა. ხელფასი დიდი არ იყო, მაგრამ საარსებო მინიმუმს აკმაყოფილებდა. უკეთესად მუშაობისათვის სერიოზული მატერიალური სტიმული არ არსებობდა.

ყველა დაქირავებული სახელმწიფო საწარმოში ან დაწესებულებაში მუშაობდა. კერძო დამქირავებელი არ არსებობდა. აზრი, რომ „სამუშაო მხოლოდ

ისაა, რისთვისაც *სახელმწიფო გიხდის ხელფასს*", დიდი ხნით გადმოჰყვა პოსტ-საბჭოთა კავშირის სივრცეს. დამოუკიდებლობის პერიოდის სოციოლოგიურ გამოკითხვებში რესპონდენტები მიუთითებდნენ, *უმუშევრები ვართ*, რადგან ჩვენი [სახელმწიფო] საწარმო/ინსტიტუტი დაიხურაო. იმას, რომ მონახეს ახალი სამუშაო კერძო სექტორში, წამოიწყეს მცირე ან საშუალო ბიზნესი, რესპონდენტების დიდი ნაწილი *დასაქმებად* არ მიიჩნევს.

* * *

ზემოთ საბჭოთა ეპოქის „ჩრდილებზე" იმდენად ხანგრძლივი საუბარი მქონდა, რომ ეს მიკერძოებად შეიძლება ჩამითვალონ. ამიტომაც, ობიექტურობის დასაცავად, რაღაცა უნდა ითქვას „შუქზეც".

ბევრ უარყოფით შედეგთან ერთად *კომუნისტურმა მმართველობამ საგრძნობი მატერიალური სიკეთე და კულტურული შენაძენი მოუტანა ქართველ ხალხს.*

იმ პერიოდში აშენდა ქარხნები და ფაბრიკები (მათი მცირე ნაწილი ახლაც მოქმედებს), ელექტროსადგურები, გაყვანილი იქნა გზები (თუნდაც საშუალო ან დაბალი ხარისხის საფარით). ქალაქის მოსახლეობის 90 პროცენტი იმ სახლებში ცხოვრობს, რომლებიც მას უფასოდ მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ბიუჯეტის შესავსებად, საპრივატიზაციოდ, XXI საუკუნის დასაწყისში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავრობას ის ქონება გამოჰქონდა, რომელიც კომუნისტების დროს, წინა საუკუნეში შეიქმნა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლო და რამდენიმე მომდევნო წელს საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკური თვალსაზრისით – მოსალოდნელი ახალი ომებისათვის (რომლებიც, საბედნიეროდ, არ მოხდა) აუცილებელი სივრცობრივი დივერსიფიკაციის მიზნით – აფინანსებდა სტრატეგიული დანიშნულების მძლავრი ქარხნების მშენებლობას ბევრ რესპუბლიკაში. მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში მეტალურგიული ქარხნები აიგო *რუსთავსა* და აზერბაიჯანის ქალაქ *სუმგაითში* (ამ უკანასკნელში – არასრული ციკლისა).

1944 წლიდან თბილისის სამხრეთით შენდებოდა ახალი ქალაქი *რუსთავი*, რომლის *ქალაქწარმომქმნელი ფაქტორი* სრული ციკლის (კოქსი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი) მეტალურგიული კომბინატი უნდა გამხდარიყო. მაშინაც ნათელი იყო, რომ *ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს ადგილი მეტალურგიული საწარმოსათვის არახელსაყრელია*: ნედლეული შორიდან უნდა მოეზიდათ, რაც პროდუქციას მკვეთრად გააძვირებდა. ეს იცოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა1938-1952 წლებში, ცეკას პირველმა მდივანმა *კანდიდ ჩარკვიანმა* (ამის შესახებ მისმა ცოლისძმამ, გამორჩეულმა ეკონომ-გეოგრაფმა, აკადემიკოსმა *ვახტანგ ჯაოშვილმა* კერძო საუბარში მიამბო). მაგრამ კომბინატის აშენება ამ ადგილას რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ იმიტომ

დაიჟინა, რომ ქალაქ რუსთავს გაუხმაურებლად ანიჭებდა *სოციალურ-გეოგრაფიულ დატვირთვას: მას უნდა შეესრულებინა ბუფერის როლი დედაქალაქსა და ეთნოკულტურულად ქართველებისაგან მკვეთრად განსხვავებულ, ძალიან მრავალრიცხოვან სოფლის მოსახლეობას შორის.* მეტალურგიული კომბინატის ბაზაზე სხვა საწარმოებიც გაჩნდა. რუსთავი დიდ *ქართულ ქალაქად* იქცა.

კანდიდ ჩარკვიანს იმ დროს შეეძლო არც ეფიქრა მეტალურგიული კომბინატის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, იმაზე, რომ 50-60 წლის შემდეგ „ინვესტორები" ინდოეთიდან, ისრაელიდან თუ ევროპის ქვეყნებიდან ან ადგილობრივი, სწრაფ მოგებაზე დაგეშილი ბიზნესმენები დაიწუნებენ მის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას.

ქარხნისათვის და, შესაბამისად, ახალი ქალაქისათვის ადგილის შერჩევისას იმდროინდელი ლიდერები ხელმძღვანელობდნენ ქართველი ხალხის ინტერესებით ისე, როგორც მათ ესმოდათ.

მგონი, სწორადაც ესმოდათ.

საბჭოთა პერიოდში ქართველი ერი გამრავლდა, მოხდა მისი კონსოლიდაცია. კუთხურობა ძირითადად დაძლეული იქნა. „სამუსლიმანო საქართველოს", იმავე აჭარის, მოსახლეობა სრულად დაბრუნდა ქართველი ერის შემადგენლობაში. ზემოხსენებული „ჩარკვიანის ეპოქაში" ქართველი მოსახლეობა, ძირითადად იმერეთიდან, ჩაასახლეს ლაგოდეხის რაიონში, ქვემო ქართლში, სამცხეში, აფხაზეთში. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ძალადობრივი მეთოდით ხორციელდებოდა, რაც დასაგმობია. მაგრამ ასეთი დემოგრაფიული პოლიტიკის გარეშე ბევრ რეგიონში ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი დღევანდელზე ბევრად ნაკლები იქნებოდა, თუ იქ საერთოდ იქნებოდა ქართველობა.

1960-იანი წლებიდან, სხვა რესპუბლიკებიდან (ძირითადად რუსეთიდან, მერე – თურქმენეთიდან, აზერბაიჯანიდან) და მოგვიანებით – ირანიდან იმ დროს იაფი ბუნებრივი გაზის შემოყვანის შემდეგ და ციმბირიდან ხე-ტყის მასალის შემოტანის წყალობით *შეწყდა საქართველოს ტყის განადგურება.*

ის ტყე, რომლის ჭრითა და საზღვარგარეთ გატანით 1992 წლიდან დღემდე ხელს ითბობენ მაღალი მფარველობის მქონე გარეწრები, რომელთაც არ ანაღვლებთ საქართველოს მომავალი, *ჩვენს მთებში მეოცე საუკუნის განმავლობაში გაიზარდა.* საბჭოთა პერიოდი საქართველოს ბუნების დაცვისათვის ცუდი არ ყოფილა. მართალია, ბრაკონიერობა იყო, მაგრამ ზოგიერთ ნაკრძალს რეალურად იცავდნენ.

შეიცვალა სოციალური ყოფა სოფლად.

ალბათ, ბევრი ვერ წარმოიდგენს, მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისშიც კი ქართლელი გლეხების საკმაო ნაწილი *მიწურებში* ცხოვრობდა, ისე, როგორც წინა რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში. წავიკითხოთ იაკობ გოგებაშვილის 1912 წელს გამოცემული „ბუნების კარი":

„ბევრი ქართული სოფელი სწორედ სასაცილო სანახავია. შიგ რომ შეხვალ, მხოლოდ იმითი შეამჩნევ სოფლობას, რომ მაღალს საბძლებსა და საყდარს დაინახავ. ჰფიქრობ, სადა ცხოვრობენ გლეხებიო. როცა დაკვირვებით აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავ, მხოლოდ მაშინ შეამჩნევ, რომ ქართლელებს თხუნელასავით სახლები მიწაში ჰქონიათ გაკეთებული. მიწა ღრმად არის გათხრილი, სახლს მიწის კედლები აქვს შიგ მიწაში და ჭერი თითქმის მიწის პირად ჰხურავს. ცეცხლის ადგილი ან შუაზედ არის, ან კიდევ კუთხეში ბუხარია გაკეთებული... ბევრჯელ ერთს ამ გვარს სახლში შეკუნწულნი არიან ადამიანი, შინაური საქონელი და ქათმები. რასაკვირველია, ამისთანა ოთახში საშინელი უწმინდურებაა..."

ასეთ საცხოვრებელში ცხოვრობდა ქართლი დავით აღმაშენებლისა და დიდი თამარის დროსაც, გიორგი ბრწყინვალისა და მეფე ერეკლეს დროსაც.

სავსებით შეგვიძლია დავუშვათ, რომ დამოუკიდებელი განვითარების პირობებში ქართლის მოსახლეობა მიწის პირზე უფრო ადრეც ამოვიდოდა. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ *თითქმის ყველა კარგი სახლი საქართველოს სოფლებში, რომელთა აშენებასაც ცემენტი დასჭირდა, აშენებულია საბჭოთა პერიოდში.*

მსოფლიოში უმაღლესი თაღოვანი კაშხლის მქონე (272 მეტრის სიმაღლე) *ენგურჰესის* მშენებლობა 1961-1978 წლებში ხშირად ფერხდებოდა ცემენტის დანაკლისის გამო. სამაგიეროდ, მთელი სამეგრელო რკინა-ბეტონით აგებული სახლებით მოიფინა.

მას შემდეგ, რაც რუსეთისა და დანარჩენი საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ბაზარი ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის სატრანსპორტო თვალსაზრისითა და უცხოური კონკურენციისაგან დაცულობით ხელმისაწვდომი გახდა, ქართველმა გლეხმა (ახლა მას „კოლმეურნე გლეხი" ერქვა) ამოისუნთქა.

საქართველოს სოფელს არასოდეს უცხოვრია ისე კარგად, როგორც 1950-იანი წლების შუაგულიდან 1980-იანი წლების ბოლომდე.

დიდი შემოსავალი მოჰქონდა ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანას, მევენახეობას, მეხილეობას, მეცხვარეობას. უკიდეგანო საბჭოეთის ნებისმიერ ადგილზე შეხვდებოდით ქართული მანდარინით, ლიმონით, დაფნით, ვაშლით, ბოსტნეულით, ფალსიფიცირებული წითელი ღვინით მოვაჭრე ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრთ (ისინი იქ „სპეკულანტ გრუზინებად" აღიქმებოდნენ, თუნდაც გვარი იანც-ით, ოვ-ით ან ევ-ით ჰქონოდათ დამთავრებული).

რესპუბლიკაში თითქმის საყოველთაო კეთილდღეობა სუფევდა, ყოველ შემთხვევაში ქუჩაში მათხოვრობდნენ მხოლოდ ჩრდილოეთიდან შემოსული მცირერიცხოვანი ლოთები ან ბოშები.

XXI საუკუნის დასაწყისში მეზობელი რუსეთის დიდი ბაზრის ჩაკეტვა ქართული პროდუქციისათვის, ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის კატასტროფუ-

ლი შედეგების მომტანი აღმოჩნდა. ახლა იძულებული ვართ, ვეძებოთ შორს მდებარე ბაზრები მძიმე კონკურენციის პირობებში.

1960-იანი წლების დასაწყისიდან 1980-იანი წლების თითქმის ბოლომდე საქართველოს ისტორიაში, ალბათ, ყველაზე „უდარდელი ხანა" იდგა. იმ პერიოდის საბჭოთა საქართველოში სუფევდა რაღაც არასაბჭოთა ატმოსფერო, როდესაც პრაქტიკულად ღიად (ოღონდ პრესაში არა!) შეიძლებოდა მოქმედი ხელისუფლების კრიტიკა და მასზე ანეკდოტების მოყოლა.

ცოტა ცინიკურად ჟღერს, მაგრამ კორუმპირებულ სოციალურ გარემოს საზოგადოების საგრძნობი ნაწილი შეეგუა. უცხოური კონკურენციისათვის დახურულ საბჭოთა ბაზარზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია კარგად იყიდებოდა; გლეხებს შეეძლოთ თავიანთი შემოსავლით ერჩინათ ქალაქში მყოფი შვილები, მაგალითად, მოეწყოთ ისინი ჯერ უმაღლეს სასწავლებლებში და შემდეგ – „თბილ ადგილებზე"; ჩრდილოვანი ეკონომიკა ბევრ ადამიანს ამდიდრებდა; „ფულიანი ადგილი" საკმაო იყო; რესპუბლიკის ბიუჯეტი ცენტრალიზებულად ივსებოდა; საწვავი, ხე-ტყე, სურსათ-სანოვაგე სხვა რესპუბლიკებიდან იაფად შემოდიოდა. რასაც კაცი თბილისში ვერ იშოვიდა, მოსკოვიდან ჩამოიტანდა.

განვითარებადი (სხვანაირად – ჩამორჩენილი) ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ლიდერებს, რომლებიც კრემლს უნდოდა მოეთაფლა „სოციალისტური სამოთხით", აგზავნიდნენ „საბჭოთა ხელისუფლების ვიტრინაში" – საქართველოში. კუბელ, გვინეელ, ეთიოპიელ, ნიკარაგუელ და სხვა მომავალ კომუნისტებს ძალიან მოსწონდათ „ქართული კომუნიზმი", რომელსაც დიდი ყანწებისა და ცეკვა-თამაშის თანხლებით ეცნობოდნენ.

რასაკვირველია, საბჭოთა პერიოდში *ხელოვნება* და *ლიტერატურა* მძიმე იდეოლოგიურ არტახებში იყო მოქცეული. XX საუკუნის საბჭოთა საქართველოსაც მიესადაგებოდა სიტყვები XVI-XVII საუკუნის ინგლისელი შექსპირის 66-ე სონეტიდან *„და ხელოვნებას ბრძანებებით დაბმია ენა"* (თარგმანი გ. გაჩეჩილაძისა). წინამდებარე წიგნს იმ ეპოქაში ვერ დაიწერდი და, მით უმეტეს, ვერ გამოვაქვეყნებდი: ცენზურა (მაშინ მას „მთავლიტი" ერქვა) ყველაფერ გამოსაქვეყნებელს წინდაწინ კითხულობდა და იძლეოდა საბოლოო ვერდიქტს დაბეჭდვა-არდაბეჭდვის შესახებ.

მაგრამ შეზღუდვების გარსშემოვლა საბჭოთა საქართველოში ხანდახან მაინც ხერხდებოდა. მაგალითად, თენგიზ აბულაძემ ფილმ „მონანიებას" გადაღება 1984 წელს დაამთავრა; 1980 წლის მარტში თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირში პირველი და უკანასკნელი როკფესტივალი სახელად „გაზაფხულის რიტმები", რომლის ინიციატორებიც იყვნენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და საქართველოს *კომკავშირი* (*ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი*: მისი პირველი მდივანი იმ დროს ჟიული შარტავა იყო). ასეთი ფესტივალი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მაშინ წარმოუდგენელი რამ იყო.

ისიც უნდა დავძინო, რომ პარტიის ცეკას პირველი მდივნის ნებართვის გარეშე (ეს კი ედუარდ შევარდნაძე იყო) ვერც თენგიზ აბულაძე და ვერც ჟიული შარტავა ფილმის გადაღებას ან ფესტივალის ჩატარებას ვერ შეძლებდნენ.

მიუხედავად სერიოზული შეზღუდვებისა, ქართული ლიტერატურა და ხელოვნება მაინც აღმავლობის გზაზე იდგა. საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფილმებს თბილისში იღებდნენ; საუკეთესო სპექტაკლები თბილისის თეატრებში იდგმებოდა; პოეტები და მწერლები შესანიშნავ ნაწარმოებებს ქმნიდნენ; თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბი კარგად თამაშობდა.

მინდა გამოვთქვა, შესაძლოა, წინააღმდეგობრივი აზრი: *თავისუფალი აზრი უფრო მეტად ფასობს მძიმე შეზღუდვების პირობებში.* ასეთ დროს მწერალსა და ხელოვანს რაღაც სტიმული უჩნდება, წარმოაჩინოს საპროტესტო თუ არა, არაკონფორმისტული შეხედულება მაინც, რომელსაც გამგები გაიგებს. ფილმი „მონანიება" 1980-იან წლებში ბევრად უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე, ვიდრე ახლა. *ჭაბუა ამირეჯიბის* „დათა თუთაშხია"-ში აღწერილი *სეთური*, სტალინს რომ გვაგონებს, სწორედ მაშინ იყო ფასეული.

იმ დროის დიდი რეჟისორებისა და დიდი პოეტების ჩამოთვლას არ დავიწყებ – ვიღაცა გამომრჩება და ეს უფრო სახიფათოდ მეჩვენება, ვიდრე ცოცხალი პოლიტიკოსების მიწასთან გასწორება!

მაგრამ ერთი მაინც უნდა ვახსენო. 1970-იან წლებში თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში *რობერტ სტურუამ* დადგა *ბერტოლტ ბრეხტის* მიერ 1944 წელს დაწერილი „კავკასიური ცარცის წრე". პიესისა და მისი დადგმის გენიალურობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ხელოვანთ მომავლის განჭვრეტის რაღაც უნარი აქვთ. დადგმიდან ოციოდე წლის შემდეგ ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ დაშლის პირზე მისული ქვეყანა, თავნება ჯარისკაცები, ცინიკოსი თავადი ყაზბეგი, რომელიც „ყველაფერს, რასაც აკეთებს, ლაზათიანად აკეთებს". ის კი არა, ბრეხტის პიესაში ფიგურირებდა *მიხეილიც* კი, იმ დროს სულ პატარა ბიჭი...

კულტურის ის აფეთქება, რაც საბჭოთა საქართველოში მოხდა, უნიკალური მოვლენა არ ყოფილა. მსგავსი რამ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც მეტ-ნაკლებად გამოვლინდა. ასე მომხდარა სხვა დროსაც, სხვა ხალხებშიც, რომლებიც დამოუკიდებლობას მოკლებული იყვნენ. შემიძლია მოვიყვანო მაგალითები ქუტიების ბატონობის ქვეშ მყოფი შუმერის, მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფი რუსეთის სამთავროების, ჰაბსბურგთა ბატონობის ქვეშ მყოფი ჩეხეთის ისტორიიდან. *თორის* ტექსტის საბოლოო, შესანიშნავი გაფორმება ებრაელმა რაბინებმა *ბაბილონის ტყვეობისას* მოახდინეს.

როგორც ჩანს, ადამიანური ნიჭი და კოლექტიური ეროვნული ენერგია პოლიტიკური შეზღუდვის პირობებში ორიენტირებული ხდება სულიერი ღირებულებების შექმნაზე.

მკითხველს ვთხოვ, ჩემს სიტყვებს ისეთი ინტერპრეტაცია არ მისცეს, რომ კულტურის გასავითარებლად თავისუფლებას თითქოს მონობა სჯობია! რასაკვირველია, ეროვნული კულტურის განვითარებას თავისუფლება უფრო უწყობს ხელს, ვიდრე თავისუფლების არარსებობა.

ამავე დროს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენცია მწვავდება, საჭირო ხდება ყველა დონის, არცთუ იშვიათად – მდარე, გემოვნების დაკმაყოფილება და ამის გამო ვლებულობთ შედარებით დაბალხარისხოვან *მასკულტურას*. ზემოთქმული განზოგადებაა: ის მხოლოდ თანამედროვე საქართველოს არ ეხება. ასეთ შემთხვევაში, ყველაზე მეტად მახსენდება ამერიკული კულტურა და მისი ეპიგონები...

* * *

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ზემოხსენებული „უდარდელი ცხოვრება", რაც, რასაკვირველია, *არანორმალური განვითარების თანაპროდუქტი* იყო, ნგრევას იწყებდა. ეკონომიკის ჩავარდნის პირობებში ხარჯიანი სოციალური პოლიტიკის დიდხანს გატარება შეუძლებელი იქნებოდა. პრობლემები ნათლად გამოჩნდა უკვე 1980-იანი წლების ბოლოს.

1992 წლიდან კი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში დაიწყო გადასვლა არაეფექტური გეგმური ეკონომიკიდან ეფექტურ საბაზრო ეკონომიკაზე.

ბევრი ელოდა, რომ *ადამ სმითის* მიერ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღმოჩენილი „*ბაზრის უხილავი ხელი*" მალევე და ლამის ავტომატურად დაარეგულირებდა ყველაფერს, შეიქმნებოდა სიუხვე და ყველა კარგად იცხოვრებდა.

მაგრამ ბევრმა არ იცოდა, რომ თეორია გვეუბნებოდა და პრაქტიკამ ეს დაამტკიცა, რომ ასეთი გადასვლა ვერ განხორციელდებოდა „ველური კაპიტალიზმის", კაპიტალის დაგროვების სტადიების გარეშე, რომლებიც ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებმა XIX საუკუნეში (ინგლისმა და ჰოლანდიამ – უფრო ადრე) უკვე გაიარეს. ეს სტადიები გავლილი ჰქონდა რუსეთის იმპერიასაც, ძირითადად, 1860-იანი წლებიდან 1917 წლამდე. მაგრამ ბოლშევიკურმა რევოლუციამ კაპიტალიზმის განვითარების ჯაჭვი გაწყვიტა.

ახლა ბოლშევიკების შექმნილი იმპერია ემხობოდა, რასაც არანაკლები ეკონომიკური კატასტროფა უნდა მოჰყოლოდა.

იმდროინდელ ქართველ მეცნიერთა მცირე წრის მიერ ზემოხსენებული ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა და *ტრანზიციის თეორიის* ცოდნა მოსახლეობის ფართო მასებისათვის დიდი ვერაფერი შეღავათი გამოდგა.

თავი 19

ცივი ომის არსისათვის

ტრუმენი, კენანი, ჩერჩილი vs სტალინი

XX საუკუნის დამდეგისაგან განსხვავებით, როდესაც მსოფლიო ჰეგემონობისათვის მეტოქეები დიდი ბრიტანეთი და გერმანია იყვნენ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმავე როლებში კაცობრიობას მოევლინნენ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოები – ***ამერიკა და საბჭოთა კავშირი.*** მომდევნო თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეს სახელმწიფოები იყვნენ მეტოქე დაჯგუფებების (*ბანაკების*) ლიდერებიც. ***ომით დასუსტებული დასავლეთევროპული ყოფილი ზესახელმწიფოები სამუდამოდ გამოეთიშნენ მსოფლიო ჰეგემონთა რიცხვს.***

1946 წლიდან სწორედ ამ *ბანაკებს* შორის დაიწყო *ცივი ომი,* რომელიც მუდმივად ცხელი ომის ზღვარზე იყო (იხ. ჩანართი 19.1).

ჩანართი 19.1
როდის დაიწყო „ცივი ომი"

„ცივი ომის" დაწყების ზუსტი თარიღის დადგენა ძნელია. ზოგს მიაჩნია, რომ ეს იყო 1946 წლის 5 იანვარი, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა *ჰარი ტრუმენმა* სახელმწიფო მდივანს, *ჯეიმზ ბირნსს,* წერილი მისწერა, რომელშიც მოუწოდებდა მეტი სიმკაცრე გამოეჩინა კომუნისტურ რეჟიმთან დამოკიდებულებაში.

უფრო ხშირად, „ცივი ომის" დასაწყისად მიიჩნევენ იმავე წლის 5 მარტს, როდესაც ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი *უინსტონ ჩერჩილი* სიტყვით გამოვიდა მისურის შტატის პატარა ქალაქ *ფულტონში.* იქ ჩერჩილმა პირველად გამოიყენა ტერმინი *„რკინის ფარდა"* – ჩამოშვებული კომუნისტების მიერ აღმოსაველეთ და დასავლეთ ევროპას შორის. შეიძლება ითქვას, რომ „რკინის ფარდა" ჯერ კიდევ ბოლშევიკური რევოლუციიდან მოყოლებული არსებობდა, უბრალოდ, ომის შემდეგ მან უფრო დასავლეთით, შუა გერმანიაში, გადაინაცვლა.

ამ ორ თარიღს შორის კი იყო იმ დროს საიდუმლო ჯორჯ კენანის „გრძელი ტელეგრამა" (იხ. ქვემოთ), სადაც „ცივი ომის" კონტურები უკვე მოჩანდა.

ომი თერმობირთვულიც შეიძლებოდა ყოფილიყო: ატომური იარაღი, რომელმაც მსოფლიოს განვითარება შეცვალა, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა. თუ 1945 წლიდან „ატომური პოლიტიკის" გატარება მხოლოდ ამერიკას შეეძლო, უკვე 1949 წლიდან საბჭოთა კავშირიც ფლობდა ასეთ იარაღს. ძალები გათანაბრდა. მაგრამ ორმხრივი მძაფრი რიტორიკა ადამიანებს განუწყვეტლივ უქმნიდა ახალი მსოფლიო ომის დაწყების შიშს.

„ციხე ომის" დროს ერთ მხარეს აღმოჩნდნენ „კაპიტალისტური ქვეყნები" *ამერიკის შეერთებული შტატების* (შემოკლებით – *ამერიკა*) მეთაურობით, მეორე მხარეს კი – *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი* (შემოკლებით – *რუსეთი*), რომელმაც თავის ირგვლივ მალე შექმნა სატელიტი ქვეყნების ჯგუფი მარიონეტული რეჟიმებით სათავეში – ე.წ. „სოციალისტური ბლოკი".

რაც შეეხება *დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოს* (შემოკლებით – დიდი *ბრიტანეთი*), რომელიც ნაციზმს ებრძოდა ომის პირველიდან ბოლო დღემდე, ის ძალიან გამოიფიტა. ბრიტანული იმპერია, რომელიც ომამდე მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედს უწევდა კონტროლს, ომის შემდეგ ნაწილებად იშლებოდა. მისი მოკავშირე – ამერიკა, მტკიცედ და შეუბრალებლად იკავებდა დიდი ბრიტანეთის ადგილს მსოფლიოს სათავეში. უნდა ითქვას, რომ ბრიტანელებისათვის ამერიკელთა გაბატონების პროცესი უსიამოვნო იყო, მაგრამ მაინც უფრო მისაღები, ვიდრე გერმანიის ან რუსეთის ჰეგემონობა.

მეორე მსოფლიო ომის დროს „*ანგლო-საქსების*" (ანუ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის) საკმაოდ მოულოდნელი მოკავშირეობა კომუნისტურ რუსეთთან განაპირობა ნაცისტური გერმანიის ძალიან სახიფათო სამხედრო-ეკონომიკურმა ძლიერებამ. ძლიერი მტრების ცალ-ცალკე დამარცხებას *გერმანული ვერმახტი*, ალბათ, შეძლებდა, მაგრამ ერთობლივ დაწოლას ვერ გაუძლო.

ომის შემდეგ მსოფლიო ჰეგემონობაზე პრეტენზიას გამოთქვამდა საბჭოთა კავშირი. თავიდან მას ძირითადად ცენტრალურ ევროპაზე, ბალკანეთზე, ახლო აღმოსავლეთზე ეჭირა თვალი, მაგრამ ნათელი იყო, რომ ისეთი რეჟიმი მართავდა, რომელიც ეკონომიკური გაჭირვების პირობებშიც კი უსაშველოდ დიდხანს შეძლებდა ომს. წარმატების შემთხვევაში კრემლი დანარჩენ მსოფლიოზეც არ იტყოდა უარს. თანაც საბჭოთა კავშირი ისეთი იდეოლოგიის დროშით მიიწევდა წინ, რომელიც ღარიბი და დაბეჩავებული ადამიანისათვის (ასეთი კი იმდროინდელ მსოფლიოშიც ბევრი იყო და სამწუხაროდ, ახლაც ასეა), ერთი შეხედვით, ძალიან მიმზიდველი ჩანდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მრავალ ქვეყანაში წამოყვეს თავი კომუნისტურმა პარტიებმა, რომელთაც საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ ეხმარებოდა ბურჟუაზიული მთავრობების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში. ამ პარტიების საკმაოდ მრავალრიცხოვანმა წევრებმა, ბუნებრივია, თავიდან არ იცოდნენ, თუ რა „დიდი სიკეთე" შეუძლია მოუტანოს მათ *ენკა-*

ვედემ, ციმბირში განლაგებულმა ბანაკებმა, იძულებითმა კოლექტივიზაციამ, გლეხების განკულაკებამ, ერთპარტიულმა პრესამ და სხვა „სასიამოვნო“ ამბებმა, რაც უკვე ნაცნობი იყო საბჭოეთის ხალხებისათვის და სულ მალე თავსმოხვეულ ცხოვრების წესად იქცევა ცენტრალური ევროპისათვის.

ამერიკელებს კი ომი მობეზრდათ. იქაც მრავლად იყო ადამიანი, ვინც საბჭოთა კავშირს მიიჩნევდა გულწრფელ მოკავშირედ და მეგობრად. ასეთები მთავრობაშიც იყვნენ.

ჯორჯ კენანი, ამერიკის დროებითი რწმუნებული საბჭოთა კავშირში, დიპლომატიური მიმოწერისათვის უჩვეულოდ გრძელ ანალიზურ ცნობაში (ის შევიდა დიპლომატიის ისტორიაში, როგორც Long Telegram – *„გრძელი დეპეშა“*) 1946 წლის 22 თებერვალს განუმარტავდა სახელმწიფო დეპარტამენტს, თუ რა იყო საბჭოთა კავშირის არსი და მისი საგარეო პოლიტიკური მიზნები. კერძოდ, კენანი, წერდა:

> „საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკა მიზნად ისახავს ინტენსიურ სამხედრო ინდუსტრიალიზაციას; შეიარაღებული ძალების მაქსიმალურ გაძლიერებას; გარეშეებზე დიდი გარეგანი შთაბეჭდილების მოხდენას; შიდა მოვლენების გასაიდუმლოებას, რათა დაიფაროს სისუსტეები და ოპონენტებმა ვერაფერი გაიგონ მათ შესახებ...“ [საგარეო პოლიტიკაში კი] „როგორც კი კრემლი დროულად და შესაძლებლად მიიჩნევს, მისი ძალისხმევა მიმართული იქნება იმისაკენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების საზღვრები გაფართოვდეს. ამჟამად ეს ძალისხმევა მიმართულია სტრატეგიული მნიშვნელობის მეზობელ პუნქტებზე, როგორიცაა ჩრდილო ირანი, თურქეთი... მაგრამ დროთა განმავლობაში დღის წესრიგში დადგება სხვა პუნქტების საკითხიც. მაგალითად, 'სპარსეთის მეგობრულ მთავრობას' შეიძლება სთხოვონ, მისცეს რუსეთს ნავსადგური სპარსეთის ყურეში. თუკი ესპანეთი კომუნისტებს ჩაუვარდებათ ხელში, შეიძლება დაისვას საკითხი საბჭოთა ბაზის შესახებ გიბრალტარის სრუტეში“.

რასაკვირველია, თუკი მოსკოვის იმდროინდელი კომუნისტური ხელმძღვანელობის (ე.ი. სტალინის) პოზიციაზე დავდგებით, ის სავსებით ლოგიკურად მოქმედებდა: *იმპერიული მიდრეკილების მქონე ყველა დიდი ქვეყნის პოლიტიკა თავისი გავლენის სფეროს გაფართოებას ესწრაფვის*. ამას ის უფრო ადვილად გააკეთებს ხელსაყრელ იდეოლოგიაზე დაყრდნობით. საბჭოთა კავშირის შემთხვევაში ეს კარგად ჩამოყალიბებული კომუნისტური იდეოლოგია იყო. ისტორია გვაძლევს უამრავ მაგალითს, როდესაც იმავე მიზანს ემსახურება სხვა იდეოლოგია, უპირატესად რელიგიური: ადრეული იმპერიები ტერიტორიული გაფართოების მდგრადობას მახვილის ძალასთან ერთად სულიერი ძალითაც ამყარებდნენ – საკუთარი რელიგიის გავრცელების გზით.

პროსაბჭოთა პოზიციაზე დარჩენილებმა შეიძლება გვითხრან, რომ საბჭოთა კავშირის მოქმედებას *ცივი ომის* პერიოდში განაპირობებდა ამერიკული იმპერიალიზმის აგრესიულობა: ამერიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ამზადებდა ომს, რათა ხალხები *კაპიტალისტურ მონობაში* დაებრუნებინა და მათთვის თავს მოეხვია „ბურჟუაზიული იდეოლოგია“.

თუ ცივი ომის დროინდელ დაპირისპირებას შევხედავთ ვაშინგტონის პოზიციიდან, *კომუნიზმის ექსპორტი* ამერიკისა და მთლიანად დასავლეთის დემოკრატიულ მმართველობასა და ცხოვრების წესს უქმნიდა სასიკვდილო საფრთხეს.

ყველა ასეთ შემთხვევაში *თავისი სუბიექტური პოლიტიკური მიზნების პოზიციიდან* ორივე მხარეს შეუძლია თავისი სიმართლე ამტკიცოს.

მაგრამ თუკი საკითხს მივუდგებით ადამიანის, როგორც პიროვნების, ინტერესების, მისი უფლებების, თავისუფლებისა და კეთილდღეობის უფრო *ობიექტური პოზიციიდან, დასავლური თვალსაზრისი უფრო გამართლებული ჩანს*. დემოკრატიული ცხოვრების წესის შეცვლა კომუნისტური ტოტალიტარიზმით მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის უბედურების მომტანი აღმოჩნდებოდა.

კენანის დეპეშა იმ დროს, ბუნებრივია, საიდუმლო დარჩა (Wikileaks-ი ჯერ არ არსებობდა!) და, ამდენად, ხალხი მას ვერ გაეცნო: ახლა ის ყველას შეუძლია წაიკითხოს. ამერიკის მთავრობამ ყურად იღო დიპლომატის წერილი, კარგად გააანალიზა ვითარება და მიიღო გადაწყვეტილება, აქტიურად ემოქმედა „კომუნიზმის გავრცელების“ (რაც „საბჭოთა კავშირის ექსპანსიის“ ევფემიზმი იყო) წინააღმდეგ. ასეთი მოქმედების ერთ-ერთი მეთოდი იყო „ტრუმენის დოქტრინის“ განხორციელება, რაზეც მე-16 თავში ითქვა.

ამერიკას რომ არ ჰქონოდა ატომური იარაღი, რომლითაც მან დაანგრია იაპონიის ორი ქალაქი, სტალინს სავსებით შეეძლო ვერმახტთან ბრძოლაში გამობრძმედილი თავისი არმიები ატლანტის ოკეანემდე მიეყვანა და ომით განაწამებ და მისუსტებულ დასავლეთ ევროპაში პროსაბჭოთა მთავრობები დაესვა.

ეს მან პრაქტიკულად გააკეთა კიდეც *ცენტრალურ ევროპაში*, სადაც მას მოქმედებისათვის ხელი გაუხსნა იალტისა და პოტსდამის კონფერენციების დროს მოკავშირეების მიერ დაუდევრად გაცემულმა ნებართვამ. საბჭოთა კავშირის *აქტიური დახმარებით* პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში მალე დაიწყო „სოციალისტური გარდაქმნები“ – ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, სამრეწველო საწარმოებისა და მიწის ნაციონალიზაცია, კოლმეურნეობების შექმნა, საკუთრების მქონეთა განდევნა ან ფიზიკური განადგურება, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის შევიწროება და ა.შ.; 1940-იანი წლების მეორე ნახევარში იგივე გააკეთეს იუგოსლავიასა და ალბანეთში, საბჭოთა მოდელის გამოყენებით, ოღონდ საბჭოთა არმიისა და სპეცსამსახურების დაუხმარებლად.

აზიაში საბჭოთა კავშირს ზურგი გამაგრებული ჰქონდა: იაპონია განადგურებული იყო, ჩინეთში 1949 წლამდე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

1945 წელს სავსებით რეალური ჩანდა საბჭოთა კავშირის გაფართოება *ახლო აღმოსავლეთის* ხარჯზე, იმ დროს სუსტი თურქეთისა და ირანის ტერიტორიების ოკუპაციის გზით. ასეთ განვითარებას ხელი შეუშალა ამერიკის აქტიურმა დიპლომატიურმა მოქმედებამ, მათ შორის „ატომური დიპლომატიის" მოშველიებით.

მეორე მხრივ, ამერიკის პრეზიდენტი ტრუმენი, რომელსაც მშვენივრად ესმოდა ევროპის მოწყვლადობა და ის, რომ „კომუნიზმის" (ანუ საბჭოთა კავშირის) გამარჯვება ევროპაში მისი ქვეყნისთვისაც დამღუპველი იქნებოდა, ვერ მიდიოდა პირდაპირ კონფრონტაციაზე სტალინთან რამდენიმე მიზეზის გამო, რომელთა შორის ერთ-ერთი, ალბათ, იყო ზემოხსენებული საბჭოთა არმიების რიდი. არანაკლებ ანგარიშგასაწევი შეზღუდვა ტრუმენისათვის იყო ამერიკის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ზოგადად პაციფისტური გახდა და დიდხანს ვერ ხედავდა ნამდვილ მტერს ამერიკის ყოფილ მოკავშირეში – საბჭოთა კავშირში. სერიოზული საბაბის გარეშე ატომურ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე ტრუმენი თავისი ხალხის თვალში ვერ გაამართლებდა, ეს არ იქნებოდა „სამართლიანი ომი".

იყო ერთი სუბიექტური ფაქტორიც, რომელიც დასავლეთის ლიდერების გაუბედავობას განგვიმარტავს. ბრიტანეთის სათავეში 1945 წლის ივლისიდან აღარ იყო მებრძოლი ანტიკომუნისტი *უინსტონ ჩერჩილი*: მისმა პარტიამ წააგო საპარლამენტო არჩევნები და ქვეყანას სოციალისტური (მაგრამ არა კომუნისტური!) იდეების მიმდევარი *ლეიბორისტული პარტია* ჩაუდგა სათავეში. როგორც ჩერჩილმა ფილოსოფიურად შენიშნა მას შემდეგ, რაც მას აცნობეს თავისი პარტიის პოლიტიკური მარცხის შესახებ, *„ბოლოს და ბოლოს, ეს სწორედ ის დემოკრატიაა, რომლისთვისაც ვიბრძოდით"*.

უნდა ითქვას, რომ წააგო არა მარტო ჩერჩილის პარტიამ, არამედ დასავლეთის დემოკრატიამაც. ომის ბოლო წლებში ჩერჩილმა ვერ შეძლო ამერიკის პრეზიდენტის *ფრანკლინ დელანო რუზველტის* დაჯერება, რომ შეებორკათ სტალინის სწრაფვა, დაემორჩილებინა ცენტრალური ევროპა და ბალკანეთი.

როდესაც 1945 წლის აპრილში გარდაცვლილი რუზველტის ადგილი დაიკავა უფრო ხისტმა ვიცე-პრეზიდენტმა *ჰარი ტრუმენმა*, რომლის ხელშიც აღმოჩნდა ატომური ბომბი, სამიოდე თვეში მისი მოკავშირე უკვე აღარ იყო ჩერჩილი.

საბჭოთა კავშირს კი 1949 წელს საკუთარი ატომური ბომბი გაუჩნდა. ძალები გათანაბრდა.

ცხელი ომი, მოწინააღმდეგის სრული განადგურებით, ისე, რომ საკუთარი ქვეყანა ხელუხლებელი დარჩენილიყო, ამერიკისთვისაც და რუსეთისთვისაც შეუძლებელი გახდა.

სხვა *გეოპოლიტიკური პოლუსი* იმ დროს აღარ არსებობდა. გერმანია და იაპონია ნანგრევებად იყო ქცეული; დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი სწრაფად კარგავდნენ კოლონიურ იმპერიებს და მხოლოდ ევროპის ფონზე თუ მოჩანდნენ „პატარა გოლიათებად".

გეოპოლიტიკური დაპირისპირება „ცივ ომში" გადაიზარდა. ეს იყო პროპაგანდისტული ომი, გამალებული შეიარაღება, კონფრონტაცია ყველა სფეროში – კოსმოსის ათვისებაში, ეკონომიკაში, სპორტშიც კი. გაყოფილი გერმანია და გაყოფილი ბერლინი ამერიკელებისა და რუსების მძაფრი დაპირისპირების რეალურ ეპიცენტრად იქცა.

მაგრამ ნამდვილ გოლიათებს შორის „ცხელი ომი" არ დაწყებულა. ასეთი ვითარება 44 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

ის მხოლოდ 1990 წელს დამთავრდა.

სამხედრო ბლოკები

„ცივი ომის" დროს ორივე მეტოქე თავის მოკავშირეებთან ერთად ქმნიდა სამხედრო ბლოკებს.

1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა *ჩრდილო ატლანტიკის შეთანხმების ორგანიზაცია – ნატო,* რომელშიც შევიდნენ ჩრდილო ამერიკის სახელმწიფოები – აშშ, კანადა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, დანია, ნორვეგია, ისლანდია, პორტუგალია, ბელგია, ნიდერლანდი და ლუქსემბურგი. 1952 წელს ნატოში მიიღეს თურქეთი და საბერძნეთი, 1955 წელს – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მოგვიანებით ნატო უფრო გაფართოვდა და თითქმის მთელი დასავლეთი და ცენტრალური ევროპა მოიცვა: 2013 წლის დასაწყისში მას 28 ნევრი ქვეყანა ჰყავდა.

ეს იყო (და დღემდე არის) სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანი იყო ევროპისა და, ზოგადად, დასავლური დემოკრატიის *დაცვა საბჭოთა კავშირის მხრიდან თავდასხმისაგან,* რაც კარგა ხანს სავსებით რეალური ჩანდა.

თავის მხრივ კი მოსკოვში ნატოს აგრესიულ ბლოკად აცხადებდნენ, რომელიც *საბჭოთა კავშირზე გეგმავდა თავდასხმას.*

თავისი პოზიციიდან ორივე მხარე სწორი იყო: *თავდაცვა თავდასხმასაც გულისხმობს.* თუმცა, უნდა ითქვას, რომ ომში დანგრეულ ევროპულ ქვეყნებს სულაც არ აძლევდათ ხელს ახალი ომის დაწყება აღმოსავლეთის გიგანტთან. „ამერიკელი აგრესორები" კი სინამდვილეში ევროპას იცავდნენ.

ნატოს გასაწონასწორებლად კრემლმა ჩამოაყალიბა სამხედრო ბლოკი, ცნობილი არაოფიციალური სახელით – *„ვარშავის პაქტი"* (იმ ქალაქის მიხედ-

ვით, სადაც ხელმოწერა შედგა). 1955 წლის 1 მაისს საბჭოთა კავშირმა *პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ალბანეთთან* ერთად ხელი მოაწერა *„ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“*. თუმცა სახელმა შეიძლება შექმნას ილუზია, რომ ხელშეკრულება თანაბარ სუბიექტებს შორის დაიდო, რომლებიც თანასწორუფლებიან მეგობრობასა და ძმობას ესწრაფოდნენ, მაგრამ ეს ასე არ იყო.

სინამდვილეში, *„ვარშავის პაქტი“* საბჭოთა დომინაციის იარაღი გახდა. შეიქმნა ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობა, რომლის შტაბ-ბინაც მოსკოვში იყო. ხელშეკრულების მონაწილე ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საბჭოთა ჯარებს მიზნად დაესახათ, არა მხოლოდ გარეშე ძალისაგან მთელი ბლოკის დაცვა, არამედ ადგილობრივი ხალხების თავისუფლებისაკენ სწრაფვის ჩახშობაც.

როდესაც 1956 წელს უნგრეთმა სცადა *ვარშავის პაქტიდან* გასვლა, რაც მისი სუვერენული უფლება იყო, ბუდაპეშტში საბჭოთა ტანკები შევიდნენ და დიდი სისხლისღვრის ფასად უნგრეთში „კომუნისტური წესრიგი“ აღადგინეს.

როდესაც 1968 წელს ჩეხოსლოვაკიამ სცადა დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება, იმავე წლის 21 აგვისტოს იქ *ვარშავის პაქტის* სამხედრო ნაწილები შევიდნენ და პრაჰაში ისევ პროსაბჭოთა მთავრობა დასვეს. თუმცა ამჯერად საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ტანკების გამოჩენა მთელ მსოფლიოში დაგმეს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედი ბევრი კომუნისტური პარტიაც კი გაემიჯნა საბჭოთა კავშირის კომპარტიას. გაჩნდა ტერმინი „ევროკომუნიზმი“, რომელიც „საბჭოთა კომუნიზმისაგან“ ლიბერალიზმით გამოირჩეოდა.

1968 წელს „ვარშავის პაქტიდან“ გავიდა *ალბანეთი*, 1990 წელს – *გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა*, რომელიც გაერთიანებული გერმანიის შემადგენლობაში შევიდა და ავტომატურად გადაბარგდა ნატოში. მაშინვე გამოვიდნენ „პაქტიდან“ ცენტრალური ევროპის ქვეყნები. ორგანიზაციის საბოლოო დაშლა ოფიციალურად გამოცხადდა 1991 წელს.

„ვარშავის პაქტი“ მოკვდა. ნატო ცოცხლობს.

თავი 20

ცხელი ომები ცივი ომის დროს

მეოცე საუკუნის ომების თავისებურებათა შესახებ

ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში წარმოებული ომებისას მთავარი მიზანი იყო მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის სრული განადგურება ან მძიმედ დამარცხება მაინც და მტრის სატახტო ქალაქის დაუფლება. ამის შემდეგ დამარცხებული და ულაშქროდ დარჩენილი უმაღლესი მხედარმთავარი – ხელმწიფე (იმპერატორი, მეფე, სულტანი, შაჰი, ხანი) ან, თუ ის დაიღუპებოდა, მისი მემკვიდრე თანხმდებოდა „საუკუნო ზავის" დადებას, რომლის თანახმადაც ის თმობდა სამფლობელოს ნაწილს, იღებდა ვალდებულებას, ეხადა ხარკი, ცოლად ატანდა გამარჯვებულ ხელმწიფეს თავის ქალიშვილს ან დას, მძევლად აძლევდა მას თავის ვაჟიშვილს და ა.შ.

გარკვეული დროის შემდეგ კი, როდესაც დამარცხებული ხელმწიფე ან მისი მემკვიდრე ძალებს მოიკრებდა, ომი განახლდებოდა. ომების ციკლი გრძელდებოდა ერთი მხარის სრულ დემოგრაფიულ ან ეკონომიკურ გამოფიტვამდე ან დამარცხებული დინასტიის ამოწყვეტამდე და მისი სამფლობელოს ანექსიამდე.

პირველი მსოფლიო ომი თავიდან თითქოს წააგავდა ადრე წარმოებულ ომებს, მაგრამ *მისი საბოლოო შედეგი განაპირობა დამარცხებულთა ეკონომიკურმა და მორალურ-პოლიტიკურმა გამოფიტვამ.* ბრძოლის ველზე ერთი გადამწყვეტი მარცხი ომში დამარცხებულ არც ერთ ძირითად სახელმწიფოს – არც გერმანიას, არც ავსტრია-უნგრეთს, არც ოსმალეთს, არც ბულგარეთს, არც რუსეთს – არ უგემია: თავისი *ვატერლოო* არც ერთ მათგანს არ წაუგია! ომის დროს *არც ერთი მთავარი მებრძოლი მხარის დედაქალაქი მოწინააღმდეგეს არ აუღია:* მართალია, ავსტრო-უნგრელებმა დროებით დაიკავეს სერბიის დედაქალაქი *ბელგრადი,* გერმანელებმა კი – ბელგიის დედაქალაქი *ბრიუსელი,* მაგრამ ომის საბოლოო შედეგზე არც ერთ ამ ფაქტს არ უმოქმედია.

იდეოლოგიზებული მოწინააღმდეგეების მიერ წარმოებული *მეორე*

მსოფლიო ომი დაუნდობლობით მკვეთრად განსხვავდებოდა XIX-XX საუკუნეების ყველა ადრინდელი ომისაგან: მიზანი მოწინააღმდეგის განადგურება იყო, ისე, როგორც შუა საუკუნეებში. ოღონდ ამ დროისათვის ასეთი მიზნის განსახორციელებელი უკეთესი ტექნიკური საშუალებები გაჩნდა – ავიაცია, ტანკები; მკვეთრად გაუმჯობესდა არტილერია, ომის ბოლოს გაჩნდა ატომური ბომბი. ომის ტოტალურ ხასიათს აჩვენებს ლამის მთლიანად დანგრეული დედაქალაქები – ვარშავა, ბერლინი, ბელგრადი, ტოკიო, ლონდონი, რომ აღარაფერი ვთქვათ მიწასთან გასწორებულ უამრავ სხვა ქალაქზე.

მაგრამ სწორედ დაჩქარებულმა სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პროგრესმა, კერძოდ, *ბირთვული იარაღისა და მისი მიტანის საშუალებების* სრულყოფამ და ამის წყალობით შექმნილმა „შიშის ბალანსმა" პრაქტიკულად გამორიცხა მეორე მსოფლიო ომის მსგავსი კონფლიქტი მომდევნო ათწლეულებში. შესაძლოა, ხილვად მომავალში ასეთი ომი არც მოხდეს, თუმცა ბირთვული იარაღის გავრცელება და მისი მოხვედრა არა გლობალური, არამედ რეგიონული გეოპოლიტიკური ინტერესების მქონე მეტოქე ქვეყნების (ინდოეთი-პაკისტანი, ისრაელი-ირანი) ხელში, დიდი ომის საფრთხეს ზრდის.

„შიშის ბალანსი", სამწუხაროდ, არ ნიშნავს, რომ ომი საერთოდ შეუძლებელი გახდა და სამხედრო კონფლიქტი, როგორც სიკვდილიანობის ერთ-ერთი მიზეზი, სამუდამოდ ამოღებულია დემოგრაფიული სტატისტიკიდან. პირიქით, 1945 წლის შემდეგ განვლილ პერიოდში ლოკალურ და სამოქალაქო ომებში დედამიწის ზურგზე იმდენივე, თუ მეტი არა, ადამიანი დაიღუპა, რამდენი მეორე მსოფლიო ომის დროს. გარდაცვლილისთვის კი სულერთია, მისთვის საბედისწერო ტყვია უცხოელმა ჯარისკაცმა ისროლა, თუ სამოქალაქო ომში სხვა მხარეს მდგომმა თანამემამულემ.

ცივი ომის ეპოქაშიც იყო ლოკალური *„ცხელი ომები"*, როდესაც გლობალური გეოპოლიტიკური მეტოქეები, რუსები და ამერიკელები, არაპირდაპირ – მოკავშირეების ხელით – ებრძოდნენ ერთიმეორეს. ხანდახან ისინი პირდაპირაც იბრძოდნენ – საკუთარ მოკავშირეებად გადაცმულები!

XX საუკუნის მეორე ნახევრის ომების ნაწილს შეიძლება ვუწოდოთ *„ასიმეტრიული ომი"*, ანუ ისეთი, როდესაც ერთი მხარის *უპირატეს სამხედრო ძალას* უპირისპირდება და ხშირად ფაქტობრივად ამარცხებს კიდეც მეორე მხარის *ამტანობა და ნებისყოფა*.

როდესაც ძლიერი სახელმწიფო თავისი სამხედრო ძალით სრესს უფრო სუსტ სახელმწიფოს (როგორიც იყო ჰიტლერისა და სტალინის დაპყრობები ევროპაში), იქ არავითარ „ასიმეტრიულ ომზე" არ შეიძლება ლაპარაკი. კორეის სისხლისმღვრელი ომი (1950-1953) არსებითად *სამოქალაქო ომს* წარმოადგენდა, რომელშიც გარეშე ძალებიც ჩაერთვნენ.

„ასიმეტრიული ომების" ტიპური მაგალითებია ხანგრძლივი სამხედრო კონ-

ფლიქტები – *ვიეტნამის ომი* (1965-1975), რომლის ჭაობმაც ჩაითრია ამერიკა და *ავღანეთის ომი* (1979-1989), რომლის ჭაობმაც საბჭოთა კავშირი არამც თუ ჩაითრია, არამედ იმსხვერპლა კიდეც. ორივე ზესახელმწიფო ისე გამოვიდა ამ ომებიდან, რომ მათ მეტოქეს თავი გამარჯვებულად შეეძლო გამოეცხადებინა. „*ასიმეტრიული ომი*“ XXI საუკუნის დასაწყისშიც იყო, როდესაც 2006 წელს *ისრაელის* შესანიშნავად შეიარაღებული და გაწვრთნილი არმია ლიბანის ტერიტორიაზე წარუმატებლად ებრძოდა შიიტური ორგანიზაციის, „*ჰეზბოლას*“ გასამხედროებულ შენაერთებს.

„*ასიმეტრიულ ომში*“ *ძლიერი სახელმწიფო წარმატებას ვერ აღწევს ძირითადად საკუთარი შიდა პრობლემების გამწვავების გამო.*

რასაკვირველია, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მარცხი არ ნიშნავდა მათი ტერიტორიის ხელყოფას, მათი დედაქალაქების დაცემას. *ეს იყო უფრო გამარჯვების მოპოვების უუნარობა*, ვიდრე ტრადიციულად გაგებული დამარცხება. უამრავი ვიეტნამელისა და ავღანელის განადგურების შემდეგ ორივე ფაქტობრივ აგრესორს შინ წასვლა მოუწია.

ორივე მათგანი აგრესიას მაღალფარდოვანი ლოზუნგებით ფარავდა: ერთი „თავისუფლებასა და დემოკრატიას“ იცავდა კორუმპირებულ *საიგონში*, მეორეს „სოციალიზმი და დემოკრატია“ მიჰქონდა შუა საუკუნეებში ჩარჩენილი *ავღანელებისათვის*.

ზესახელმწიფოთა დამარცხების სიმბოლოები ტელევიზიით ვიხილეთ:

- ამერიკის შემთხვევაში ეს იყო 1975 წელს მსოფლიოს ყველა ტელეარხით გადაცემული *საიგონში მდებარე ამერიკის საელჩოს* სახურავიდან ამერიკის მოქალაქეთა შეუღლმფრენებით ევაკუაციის კადრები და ათი ათასობით გაგიჟებული ლტოლვილი ნავსადგურში;
- საბჭოთა კავშირის შემთხვევაში ეს იყო 1989 წელს მსოფლიოს ყველა ტელეარხით გადაცემული *ქაბულიდან გამოსული საბჭოთა არმიის რეს-პექტაბელური მარში შინისაკენ*, მდინარე ფიანჯზე გადებული ხიდით.

კრემლის მიერ ქაბულში მიტოვებული თავისი კრეატურის, ექსპრეზიდენტ *ნაჯიბულას* ავღანელი თალიბების მიერ წამება და ჩამოხრჩობა, რაც 1996 წელს მოხდა, ტელევიზიით არ უჩვენებიათ.

ომი კორეის ნახევარკუნძულზე

საუკუნის მეორე ნახევარი იწყებოდა ომით, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობას, გარდა იმ ხალხისა, რომელსაც ამ ომმა ზედ გადაუარა, ალბათ, აღარც ახსოვს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ *იაპონიის ყოფილი კოლონია – კორეა* –

ამერიკული და საბჭოთა პასუხისმგებლობის ზონებად გაიყო. იგულისხმებოდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ქვეყანა გაერთიანდებოდა. მაგრამ ვისი ეგიდით? ეს გაურკვეველი რჩებოდა.

ჩრდილო ნაწილში კრემლმა წაახალისა *კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის* შექმნა კომუნისტური პარტიის ლიდერის *კიმ ირ სენის* ხელმძღვანელობით.

ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში შეიქმნა *კორეის რესპუბლიკა*, რომელსაც ამერიკა მფარველობდა.

კორეის ორივე ნაწილი ღარიბი და განუვითარებელი იყო. განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყო აგრარული სამხრეთი. ჩრდილო კორეა კი ფლობდა წიაღისეულის საკმაოდ დიდ საბადოებს (ქვანახშირს, რკინის მადანს) და იაპონური კოლონიური რეჟიმის მიერ შექმნილ ინდუსტრიულ ბაზას. 1950 წელს *კიმ ირ სენმა* გადაწყვიტა ქვეყნის ძალისმიერად გაერთიანება და დიდი არმიით მოულოდნელად შეიჭრა „კაპიტალისტურ" სამხრეთ კორეაში.

გაეროს შტაბ-ბინაში უშიშროების საბჭოს სხდომებს საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი არ ესწრებოდა (ბუნებრივია, კრემლის დავალებით) და კორეის საკითხზე ვეტოს უფლება გამოუყენებელი დარჩა. მის არყოფნაში კი გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, დახმარებოდნენ აგრესიის მსხვერპლს – კორეის რესპუბლიკას. ამას ჩინეთიც დაეთანხმა: 1971 წლამდე გაეროს უშიშროების საბჭოში *ჩინეთს* წარმოადგენდა 1949 წლიდან კ. ტაივანზე გახიზნული ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობა *გენერალისიმუს ჩან კაიშის* ხელმძღვანელობით. ჩან კაიში დამარცხდა კომუნისტ *მაო ძედუნთან* სამოქალაქო ომში, ამერიკის იმედზე დარჩა და უშიშროების საბჭოში ამერიკული წინადადების წინააღმდეგ არ წავიდოდა.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად, ამერიკული არმია შევიდა სამხრეთ კორეაში. მის მხარდამხარ გაეროს დროშით ყველაზე მედგრად იბრძოლეს თურქულმა ნაწილებმა: ანკარა ვაშინგტონის მადლიერი იყო იმისათვის, რომ 1945-1946 წლებში კრემლიდან მომდინარე საფრთხისაგან გადაარჩინა.

კიმ ირ სენის მხარეს კი გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც კარგად შეიარაღებული მილიონი „მოხალისე" შეგზავნა ნახევარკუნძულზე.

საბჭოთა კავშირიც აგზავნიდა გამოცდილი პილოტებით დაკომპლექტებულ საბრძოლო თვითმფრინავებს, რომლებიც ჩრდილოკორეული ნიშნებით შეღებვის შემდეგ კორეის ცაზე ამერიკულ თვითმფრინავებს ერკინებოდნენ, სხვათა შორის, საკმაო წარმატებითაც. ორ ზესახელმწიფოს საშუალება მიეცა, რეალურ ბრძოლაში გამოეცადა თავისი ახალი (ოღონდ, არაბირთვული) საბრ-

ძოლო ტექნიკა. ამასთან, კრემლში, როგორც ჩანს, გათვალეს, რომ მეტის-მეტი აქტიურობა გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან შედეგით შეიძლებოდა „მოკავშირე" ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ესარგებლა.

სისხლისმღვრელმა ომმა ოთხ მილიონზე მეტი კორეელი, ძირითადად სამოქალაქო პირი, ნახევარ მილიონზე მეტი ჩინელი, 50 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იმსხვერპლა. ზღვა სისხლი კი უქმად დაღვრილი აღმოჩნდა. 1953 წელს აღადგინეს სადემარკაციო ხაზი 38-ე პარალელის გასწვრივ, რომელიც 1945 წელს დაწესდა.

კორეა დღემდე გაყოფილია.

ერთ ენაზე მოლაპარაკე და პრაქტიკულად მონოეთნიკური კორეის გაყოფამ კაპიტალიზმისა და საბჭოთა მოდელის კომუნიზმის შედარების შესანიშნავი ემპირიული მაგალითი მოგვცა. ის კომუნიზმისათვის სასარგებლო ვერ გამოდგა.

ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, რომელსაც ამერიკა და იაპონია დაეხმარნენ, ეკონომიკურად სწრაფად განვითარდა, განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან მოყოლებული. ამჟამად კორეის რესპუბლიკა შედის მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანათა პირველ ოცეულში.

კომუნისტური ჩრდილო კორეა კი, რომელსაც *კიმების* დინასტია მართავს, ბალისტიკური რაკეტებით იარაღდება და ბირთვული იარაღით ემუქრება მიმდებარე რეგიონს, ხალხი სამხრეთიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით მიწოდებული ბრინჯის იმედზეა. 1990-იან წლებში, სხვადასხვა შეფასებით, 600 ათასიდან ორ მილიონამდე ჩრდილო კორეელი შიმშილით დაიღუპა.

ცხელი ომი ვიეტნამში

ვიეტნამიც გაიყო, როგორც კორეა. 1954 წელს საფრანგეთი გავიდა თავისი ყოფილი კოლონიიდან, რომელსაც ფრანგული *ინდოჩინეთის* სახელით იცნობდნენ (ის მოიცავდა *ვიეტნამს, კამბოჯასა* და *ლაოსს*). ვიეტნამის ჩრდილო ნაწილში კომუნისტური პარტია გაბატონდა, სამხრეთ ვიეტნამს კი მფარველობა ამერიკამ გაუწია. მათ შორის დროებითი საზღვარი მე-17 პარალელზე გაავლეს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მიერ შეიარაღებულმა *ჩრდილო ვიეტნამმა სცადა ქვეყნის ძალით გაერთიანება.* ამერიკის პრეზიდენტმა *დუაით აიზენჰაუერმა* სწორედ მაშინ გამოიყენა ტერმინი *„დომინოს პრინციპი"*, რაც ასე უნდა გავიგოთ: *„თუ კომუნისტებს ახლა დაეუთმობთ სამხრეთ ვიეტნამს, მას მე ზოგელი ქვეყნების დაკარგვაც მოჰყვება"*.

„დომინოს პრინციპის" თავიდან ასაცილებლად 1960 წლიდან ამერიკამ

დაიწყო მხარდაჭერის გაზრდა *საიგონის* (ეს სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქი იყო) რეჟიმისათვის, სადაც ბუდისტები ჭარბობდნენ. რეჟიმი სულაც არ იყო დემოკრატიული და თუ რამით განსაკუთრებით გამოირჩეოდა – ეს იყო ყოველისმომცველი კორუფცია.

ჰანოის (ეს ჩრდილო ვიეტნამის დედაქალაქი იყო) მიერ წაქეზებული და აღჭურვილი პარტიზანები, რომელთაც *სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფრონტი* ეწოდათ (შემოკლებით *ვიეტკონგი*), დიდ ზარალს აყენებდნენ საიგონისა და ამერიკის სამხედრო ნაწილებს. ჰანოის რეჟიმს საბჭოთა კავშირიდან და ჩინეთიდან მიწოდებული ტექნიკა და ბევრი საბჭოთა სპეციალისტი უმაგრებდა ზურგს. 1964 წლიდან ამერიკული ავიაცია შეუბრალებლად ბომბავდა *ჰანოისა* და მის ნავსადგურ *ჰაიფონს*. ომში კამბოჯა და ლაოსიც აღმოჩნდნენ ჩათრეული, რადგან *ვიეტკონგის* მომარაგების უმოკლესი გზა სამხრეთ ვიეტნამამდე მათ ტერიტორიაზე გადიოდა: ეს ქვეყნებიც ამერიკული ბომბდამშენების სამიზნედ იქცა. იზრდებოდა საბჭოთა რაკეტებით ჩამოგდებულ ამერიკელ მფრინავთა და ჯუნგლებში დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცთა რიცხვი. დასავლეთის თავისუფალი პრესა ფართოდ აშუქებდა ამერიკის არმიის მიერ ჩადენილ სამხედრო დანაშაულებს.

ანტისაომარმა განწყობამ თვით ამერიკასა და მთელ მსოფლიოში გაზრდილმა ანტიამერიკანიზმმა 1970-იანი წლების დასაწყისში აიძულა აშშ-ის პრეზიდენტი *რიჩარდ ნიქსონი* წასულიყო ხანგრძლივ მოლაპარაკებაზე ჩრდილო ვიეტნამთან. მის ემისარს, სახელმწიფო მდივან *ჰენრი კისინჯერს* ამ მოლაპარაკების წარმატებით წარმართვისათვის ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა ვიეტნამელ დიპლომატ *ლე დიკ თჰოსთან* ერთად (ამ უკანასკნელმა უარი თქვა პრემიის მიღებაზე).

1973 წელს ყველა ამერიკელი ჯარისკაცი გამოვიდა ინდოჩინეთიდან. დაიწყო „ვიეტნამიზაცია“, ანუ საიგონის ძირგამომპალი რეჟიმისათვის სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო მოქმედებისათვის სრული პასუხისმგებლობის გადაცემა.

„ვიეტნამიზაცია“ სავალალოდ დასრულდა. ჩრდილო ვიეტნამის არმიამ ადვილად დაამარცხა საიგონის მხარეს მებრძოლი ნაწილები. 1975 წლის 30 აპრილს საიგონი დაეცა. ქალაქს სახელიც კი გამოუცვალეს: მას *ჰოშიმინი* დაერქვა, ვიეტნამის იმ დროს უკვე გარდაცვლილი კომუნისტი ლიდერის პატივსაცემად.

ომმა 5 მილიონამდე ვიეტნამელი და მილიონზე მეტი კამბოჯელი და ლაოსელი, აგრეთვე 58 ათასზე მეტი ამერიკელი იმსხვერპლა.

ამერიკამ ომი წააგო; მაგრამ ის ვერ მოიგეს ვერც მისმა გეოპოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა – პეკინმა და მოსკოვმა, რომელთა შორისაც ურთიერთობა 1970-იან წლებში ძალიან დაიძაბა. საბჭოთა კავშირმა გამოხატა ღვარძლიანი

კმაყოფილება ვაშინგტონის მარცხის გამო, მაგრამ გაუგებარი იყო, თუ რა მოიგო მან თვითონ.

ვიეტნამის ურთიერთობა ჩინეთთან კი მკვეთრად გაფუჭდა. 1979 წლის გაზაფხულზე ჩინეთის არმია გამოგონილი საბაბით ვიეტნამში შეიჭრა, რასაც ვიეტნამის მოკავშირე საბჭოთა კავშირმა ჩინეთის საზღვარზე თავისი სატანკო არმიების თავმოყრით უპასუხა. პეკინს ეყო ჭკუა, გამოეყვანა თავისი არმია ვიეტნამიდან, რადგან იმ დროს ის რუსეთზე სუსტი იყო: XXI საუკუნეში ვითარება შებრუნდება.

20 წლის გასვლა გახდა საჭირო, რომ ჭრილობები – ფიზიკური და მორალური – მოშუშებულიყო და 1995 წელს ერთიან ვიეტნამსა და შეერთებულ შტატებს დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინათ ერთმანეთთან.

იმავე 1995 წელს გამოცემულ თავის მემუარებში ვიეტნამში ამერიკის ომის ერთ-ერთმა მთავარმა არქიტექტორმა, თავდაცვის მინისტრმა *რობერტ მაკნამარამ*, აღიარა ვიეტნამში ამერიკული პოლიტიკის შეცდომა და დაწერა:

> „...ჩვენ შევცდით, ძალიან შევცდით. ჩვენ ვალდებული ვართ მომავალ თაობებს ავუხსნათ, თუ რატომ".

კიდევ 15 წლის შემდეგ, 2010 წელს, აშშ და ვიეტნამი, უკვე როგორც სტრატეგიული მოკავშირეები, ერთობლივ სამხედრო მანევრებს ახორციელებდნენ. *ახლა მათ საერთო ინტერესი აქვთ – ჩინეთის შეჩერება.*

1973 წელი: ჩილეს ხუნტა, იომ-ქიფურის ომი, ნავთობის „ფასების რევოლუცია" და სხვა

1973-მა წელმა მოიტანა რამდენიმე შორსმიმავალი შედეგი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნავთობის ფასების რევოლუციური ცვლილება.

მაგრამ დავიწყებ *„და სხვა"*-დან!

იმ წელს საბჭოთა კავშირის ლიდერი, სკკპ ცეკას გენერალური მდივანი *ლეონიდ ბრეჟნევი* პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ამერიკაში. ერთი წლით ადრე დაიწყო ორი ქვეყნის მუდმივად დაძაბული ურთიერთობის *განმუხტვა* – დასავლეთში ცნობილი, როგორც détente – თუ მეგობრობა არა, მტრობაზე ნაწილობრივ მაინც ხელის აღება.

კრემლი მიდიოდა თეთრი სახლის მიერ შეთავაზებულ *განმუხტვაზე*, რადგან დაინახა, რომ ამერიკამ დაიწყო ურთიერთობის ნორმალიზაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რომელთანაც საბჭოთა კავშირს ძალიან დაძაბული ურთიერთობა შეექმნა. პეკინმა ამ დროისათვის შექმნა თავისი ბირთვული იარაღი და, როგორც მოსკოვში მიაჩნდათ, რუსეთის შორეულ აღმოსავლეთზე ეჭირა თვალი.

1968 წელს აშშ-ის პრეზიდენტად არჩეული პრაგმატულად მოაზროვნე *რიჩარდ ნიქსონი* მიდიოდა განმუხტვაზე იდეოლოგიურ მტრებთან – კომუნისტურ ჩინეთთან და კომუნისტურ რუსეთთან, რადგან ვიეტნამში უსაშველოდ გაგრძელებული ომი ამერიკელებს შორის ძალიან არაპოპულარული იყო, ხოლო *ვიეტკონგს* ჩინეთი და საბჭოთა კავშირი დაუფარავად აიარაღებდნენ. *ნიქსონს* ეგონა, რომ თუ მოსკოვთან და პეკინთან მოილაპარაკებდა, ვიეტკონგის აქტივობაც შემცირდებოდა. საბოლოოდ ამერიკას იმედი გაუცრუდა: ვიეტკონგმა, როგორც ზემოთ ითქვა, სამხრეთ ვიეტნამი დაამარცხა.

1973 წელს ამერიკაში კარგმა დახვედრამ ბრეჟნევს ათქმევინა, რომ *„ცივი ომი დამთავრდა“*. ეს 17 წლით ნაადრევი განცხადება გამოდგა, მაგრამ იმ მომენტში ბევრმა დაიჯერა, რომ *მშვიდობიანი თანაარსებობა* შესაძლებელი იყო და მსოფლიო არ დაინვებოდა ბირთვული ომის ხანძარში.

გარკვეული თვალსაზრისით, განმუხტვასვე ემსახურებოდა მოსკოვის ტელევიზიით 1973 წელს ნაჩვენები პირველი საბჭოთა ტელესერიალი *„გაზაფხულის 17 გაელვება“*. ეს იყო მხატვრულად კარგი, თუმცა ისტორიულად დაუჯერებელი კინონაწარმოები ნაცისტური გერმანიის არსებობის ბოლო თვეებში, 1945 წლის მარტ-აპრილში, ბერლინში საბჭოთა ჯაშუშის მუშაობის შესახებ. სიმპათიური მსახიობები თამაშობდნენ გესტაპოს უფროსის, ნაცისტური გერმანიის საგარეო დაზვერვის შეფის, გერმანელი ოფიცრის (რომელიც თურმე ეთნიკური რუსი ჯაშუში ყოფილა!) როლებს.

ამ ფილმის შემდეგ გარკვეულად შეიცვალა რუსი ხალხის დამოკიდებულება ადრე მძაფრად უარყოფითად აღქმული გერმანიისა და გერმანელების მიმართ.

* * *

1973 წლის 11 სექტემბერს ჩილეში *მოხდა სამხედრო გადატრიალება*. ლათინურამერიკული სამხედრო გადატრიალება მსოფლიოში ვერავის გააკვირვებდა. სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების 160-წლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე, 1973 წლამდე იქ 40-ზე მეტი სამხედრო გადატრიალება მოხდა. მათი მოდელი თითქმის ერთგვაროვანი იყო: ძველ პრეზიდენტს (გენერალს!) ცვლიდა სხვა პრეზიდენტი (ახალი გენერალი!), რომელსაც თვითონ მოუნდა სახელმწიფოს ხაზინაში ხელის ფათური. ეს სანიმუშოდ აქვს აღწერილი *ო'ჰენრის* თავის სატირულ რომანში *„მეფეები და კომბოსტო“*. ძველ პრეზიდენტს ბოლომდე არ წირავდნენ: მას აძლევდნენ მეზობელ ქვეყანაში გაქცევის ააშუალებას, სადაც იმავე ესპანურ ენაზე ლაპარაკობდნენ. მორიგი გადატრიალების შემდეგ მას შინ დაბრუნება და კარგი პენსიის მიღებაც კი შეეძლო. ჯადატრიალების შემდეგ იქმნებოდა *სამხედრო საბჭო* (ესპანურად junta militar, ჯამოითქმის *„ხუნტა მილიტარ“*), რომელიც ხალხს დაჰპირდებოდა უკეთეს ჯხოვრებას და, რასაკვირველია, *დაპირებას არ შეასრულებდა*. გარკვეული

დროის გასვლის შემდეგ ახალი გენერალი ძველი რიტორიკის გამოყენებით მოახდენდა მორიგ გადატრიალებას. მსოფლიო ამას შეეჩვია.

თითქმის ყველა ლათინურამერიკული ხუნტის წევრები, ბრჭყვიალა ჯინჯილებიან მუნდირებში გამოწყობილი მხარბეჭიანი, მოკლეკისრიანი, თვალებდაკვესებული გენერლები ძალიან წააგავდნენ *გორილებს* და მათ ამ სახელით ამკობდნენ კიდეც!

ჩილე ლათინურ ამერიკაში გამონაკლისი იყო: იქ არსებობდა დემოკრატია, სამხედრო გადატრიალებები არ ხდებოდა.

1970 წელს კანონიერად არჩეულმა ჩილეს პრეზიდენტმა – სოციალისტმა *სალვადორ ალიენდემ* – ადგილობრივ კომუნისტურ პარტიასთან კოალიციაში საბჭოთა კავშირთან და კომუნისტურ კუბასთან დაახლოებისა და საკმაოდ სახიფათო სოციალისტური გარდაქმნების გზა აირჩია. ჩილეში დაიწყო სამრეწველო, სატრანსპორტო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ნაციონალიზაცია, უცხოური, უპირველესად – ჩრდილოამერიკული კომპანიების შეზღუდვა. ბუნებრივია, გაჩნდა ყველაფრის დეფიციტი. ადრე ნარმატებულ ქვეყანაში უკმაყოფილებამ დაისადგურა.

1973 წელს ჩილეში სამხედრო გადატრიალება არ გამოუწვევია მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების წყურვილს, რაც ნორმა იყო ადგილობრივი გენერლების მორიგი შეთქმულებისას, ვთქვათ, არგენტინაში, ბოლივიაში, პერუსა თუ ცენტრალური ამერიკის „ბანანის რესპუბლიკებში“.

ჩილეში მოხდა ანტიკომუნისტური გადატრიალება, რომლის უკანაც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) ხელი იგრძნობოდა. ეს „ცივი ომის“ ლოგიკაში ჯდებოდა. ზემოხსენებულ „განმუხტვას“ პირველსავე წელს გაუჩნდა ბზარი.

კანონიერი მთავრობა დაამხეს სამხედროებმა გენერალ *პინოჩეტის* მეთაურობით. პრეზიდენტმა *სალვადორ ალიენდემ*, სამოქალაქო პირმა, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პუტჩისტებს. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მან თავი მოიკლა, რაც დღემდე ეჭვს იწვევს.

ჩილელი გენერლები მოსახლეობის საკმაო ნაწილის, მაგრამ არა ყველას, ინტერესებს გამოხატავდნენ. მოწინააღმდეგე მათ ბევრი გამოუჩნდა. სასტიკი რეპრესიების შედეგად 30 ათასამდე სამოქალაქო პირი „გაუჩინარდა“.

თუმცა *პინოჩეტის* სამხედრო რეჟიმმა ჩილეში რეალური საბაზრო რეფორმების გატარებას შეუწყო ხელი, ქვეყანა სწრაფად განვითარდა, „პირსისხლიანი გენერლების ხროვამ“ 1990 წელს ნებაყოფლობით თქვა უარი ხელისუფლებაზე, მაგრამ ამ რეჟიმის გამართლება შეუძლებელია.

* * *

ჩილეს გადატრიალება შემეძლო არც განმეხილა, მას რომ საქართველოსთან არაპირდაპირი, ასე ვქვათ, „ტერმინოლოგიურ-პოეტური" შეხება არ ჰქონოდა.

როგორც ითქვა, *„ხუნტა" ესპანურად „საბჭოს" ნიშნავს. როგორ შეეძლოთ საბჭოთა კავშირში,* სადაც ამ სიტყვას ლამის საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა, ის რუსულად ეთარგმნათ, როგორც „совет" (საბჭო)?

რადგანაც ლათინურ ამერიკაში გადატრიალებები ხშირად ხდებოდა, მოსკოვის პრესა იყენებდა ტერმინს „ხუნტა". 1973 წლიდან კი საბჭოთა პოლიტიკურ ლექსიკაში მას მყარად დაუმკვიდრდა ძალიან უარყოფითი მნიშვნელობა – „პირსისხლიანი გენერლების ხროვის" ეკვივალენტი.

1992 წელს გამსახურდიას განდევნის შემდეგ საქართველოს სათავეში მოსული სამხედრო საბჭო (იქ შინგა ზრდილი გორილები შევიდნენ) ზვიადისტებისაგან დაიმსახურებს ამ სახელს – „ხუნტა", თუმცა, არა მგონია, უბრალო ხალხს, ვინც სალანძღავად ქცეულ ამ სიტყვას იყენებდა, მისი ეტიმოლოგია სცოდნოდა.

მეორე, რაც ჩილეს გადატრიალებას მახსენებს, *ნოდარ დუმბაძის* ეპიგრამაა, რომელშიც მან მოვლენას უსხარტესი ახსნა უპოვა:

„შე საწყალო ალიენდე,
კომუნისტებს როგორ ენდე?
ენდე?
ენდე!"

* * *

1973 წელსვე, ჩილეს მოვლენებიდან სულ ერთ-ორ თვეში, მსოფლიოს სხვა რეგიონში მოხდა რამდენიმე მოვლენა, რომელთაც რევოლუციური გავლენა ჰქონდნენ მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიაზე.

ეს დაიწყო *იომ-ქიფურის ომით.*

6 ოქტომბერს, როდესაც ებრაელები აღნიშნავდნენ მათთვის ყველაზე წმინდა „განკითხვის დღეს" – *იომ-ქიფურს* – და მთელ ისრაელში საყოველთაო დუმილი იყო (ამ დღეს ჯარისკაცების მეტ წილს სახლებში უშვებენ ხოლმე), ეგვიპტის არმიამ მოულოდნელად გადალახა სუეცის არხი და დაიწყო ექვსი ნლით ადრე ისრაელის მიერ დაპყრობილი სინას ნახევარკუნძულის განთავისუფლება. ამავე დროს სირიამ სატანკო ოპერაცია წამოიწყო ისრაელის მიერ იმავე 1967 წელს ოკუპირებული გოლანის მაღლობის გასათავისუფლებლად.

ძალების მაქსიმალური დაძაბვითა და საგრძნობი მსხვერპლის ფასად ისრაელმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. მისმა არმიამ ხელახლა დაიპყრო გოლანის მაღლობი და სუეცის არხის ფორსირების შედეგად აფრიკის მხრიდან

მოახდინა სინას ნახევარკუნძულზე შეჭრილი ეგვიპტური დივიზიების ბლოკირება. დროებითი დაზავებით პრაქტიკულად აღდგა status quo ante bellum (ომამდელი მდგომარეობა).

ისრაელმა მოიგო ომი, უფრო ზუსტად, მოიგერია მოწინააღმდეგე. მაგრამ ეგვიპტეც ამ ომს მოგებულად მიიჩნევდა. ზოგადად არაბებისათვის ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ პირველად დაინახეს გაქცეული ისრაელელი ჯარისკაცები. მათ შეექმნათ ილუზია, რომ ისრაელის არმიის უძლეველობა მითია. ეგვიპტეში ამ ომს საგანგებო მუზეუმიც კი მიუძღვნეს.

იმის გამო, რომ დამარცხებული თითქოს არავინ იყო, მეომარ მხარეებს – ისრაელსა და ეგვიპტეს – გაუადვილდათ 1979 წელს მშვიდობის დამყარება. ეგვიპტემ სინას ნახევარკუნძული დაიბრუნა და პირველი არაბული ქვეყანა გახდა, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ისრაელთან. მართალია, ამან გამოიწვია დანარჩენ არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის [დროებით] გაფუჭება, მაგრამ კომპენსაციად ეგვიპტემ ამერიკის მრავალმილიარდიანი დახმარება მიიღო. სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობი კი ისრაელს დღემდე ოკუპირებული აქვს.

* * *

მსოფლიოსათვის ზემოხსენებული *იომ-ქიფურის ომის მთავარი შედეგი სულ სხვა აღმოჩნდა.*

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის მიერ ისრაელისათვის გაწეული, ძირითადად მორალური, დახმარებით განაწყენებულმა არაბულმა ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა 1973 წლის ოქტომბერში ემბარგო დაუწესეს ნავთობის ექსპორტს და შეამცირეს მისი მოპოვება. ამას მოჰყვა პანიკა მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე და, შესაბამისად, ამ ნედლეულის ფასის უკონტროლო ზრდა, რასაც *ნავთობის ფასების რევოლუცია* დაერქვა.

ნავთობზე მსოფლიო ფასმა სულ ორიოდე თვეში ერთი *ბარელისათვის* (რაც ინგლისურად *კასრს* ნიშნავს: ეს არის ნავთობის მოცულობის ტრადიციული ამერიკული საზომი და ის საშუალოდ 159 ლიტრს შეადგენს) 2,9 ამერიკული დოლარიდან 11 დოლარამდე აიწია.

უკვე საუკუნე-ნახევარია, დამკვიდრებულია წესი, რომ ნავთობს ბარელებით ზომავენ, ხოლო ანგარიშსწორება მხოლოდ ამერიკულ დოლარებში ხდება. ნედლი ნავთობის ფასი 1861 (!) წლიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე არასოდეს გადასცილებია 1-2 დოლარს ბარელისათვის. ფასზე არ ზემოქმედებდა არც მსოფლიო, არც ლოკალური ომები, არც ეკონომიკური კრიზისები. ფაქტობრივად, ნავთობი იაფდებოდა კიდეც, რადგან ბარელი ნავთობისათვის, მაგალითად,1861, 1871, 1901, 1931 და 1951 წლებში გადახდილი ერთი დოლარი სულ სხვადასხვა ძალისა იყო: სურსათისა და სხვა ნედლეულის

ფასი 1861 წლიდან 1951 წლამდე რამდენჯერმე გაიზარდა, ერთი ბარელი ნედლი ნავთობის ფასი კი ისევ ერთი დოლარი რჩებოდა.

1953 წლის შემდეგ ფასმა ოდნავ აიწია, მაგრამ 1960-იანი წლების ბოლომდე ბარელი ნედლი ნავთობი სტაბილურად ღირდა 1,8 დოლარი. ეს ხელს აძლევდა მსოფლიო ბაზარზე გაბატონებულ ამერიკული, ბრიტანული და ჰოლანდიურ-ბრიტანული *ნავთობმომპოვებელი კომპანიების კარტელს*. 1973 წელს დაწყებულმა ნავთობის „ფასების რევოლუციამ" *კარტელი* არ დააზარალა: მომატებულ ფასს უშუალო მომხმარებელი იხდის.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია დამატებითი ახსნა, თუ რატომ მოხდა „ნავთობის ფასების რევოლუცია" სწორედ 1970-იან წლებში.

1971 წელს გაუქმდა 1944 წელს ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს *გაერთიანებული* სახელმწიფოების კონსენსუსით შემოღებული *„ბრეტონ ვუდსის სისტემა"*, რომელმაც „მსოფლიო ვალუტად" აღიარა აშშ დოლარი, მიბმული ოქროს ფასთან – ერთი უნცია (31,1 გრამი) ოქრო სტაბილურად ღირდა 35 დოლარი. მაგრამ ოციოდე წლის განმავლობაში ვითარება შეიცვალა: ამერიკა, რომელიც 1944 წელს ომით დაზარალებულ მსოფლიოში დომინირებდა და სამრეწველო პროდუქციის 60 პროცენტს აწარმოებდა, უკვე 1960-იანი წლების ბოლოს მსოფლიო პროდუქციის 16 პროცენტს იძლეოდა. აღორძინდა და განვითარდა სხვა ქვეყნების, მაგალითად, დასავლეთ გერმანიის, იაპონიის, იტალიის, საფრანგეთის ეკონომიკა. 1944 წელს დაწესებული დოლარისა და ოქროს პარიტეტი 1971 წელს გასაუქმებელი შეიქმნა. თუმცა დოლარი მსოფლიო ვალუტის როლს დღემდე ასრულებს, მან სწრაფად დაიწყო გაუფასურება: 1971 წელს ერთი უნცია ოქრო უკვე 44 დოლარი ღირდა, 1972 წელს – 70 დოლარი და ა.შ. 2012 წლის დეკემბერში უნცია ოქროს ფასი 1750 (!) დოლარს აჭარბებდა.

ბუნებრივია, ნავთობიც გაძვირდა.

ნედლი ნავთობის ფასის მკვეთრ ზრდას მოჰყვა *სიმდიდრის მსოფლიო ისტორიაში ჯერ არნახული გეოგრაფიული გადანაწილება*. უდაბნოში მდებარე უღარიბესი, ეკონომიკურად განუვითარებელი საშეიხოები და საამიროები, აგრეთვე სხვა ნავთობმომპოვებელი ქვეყნები მოულოდნელად თავსდატეხილმა შემოსავალმა მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებად აქცია.

მაგალითად, ნავთობის ექსპორტმა საუდის არაბეთს 1962 წელს მოუტანა 410 მილიონი აშშ დოლარი, 1974 წელს – 20 მილიარდი, 2011 წელს კი 311 მილიარდი. იმავე 2011 წელს გას-მა მიიღო 101, ირანმა – 95, ქუვეითმა – 85 მილიარდი აშშ დოლარი. ასევე გამდიდრდნენ სპარსეთის ყურის აუზის სხვა ქვეყნები – ერაყი, კატარი, ბაჰრეინი, ომანი, აგრეთვე რუსეთი, ინდონეზია, მალაიზია, ბრუნეი, ნიგერია, ანგოლა, ვენესუელა, ნორვეგია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი და სხვა ქვეყნები, რომელთა წიაღშიც ნავთობის დიდი საბადოები

აღმოჩნდა. სხვა საქმეა, რომ ბევრ არადემოკრატიულ ქვეყანაში სანავთობო შემოსავლიდან ღარიბი ხალხი ვერაფერს ღებულობს.

ნავთობის მსოფლიო ფასის ზრდამ 1970-იან წლებში მოულოდნელად გაამდიდრა საბჭოთა კავშირი, რომელიც იქამდე „მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს" ბარტერის (სასაქონლო გაცვლის) წესით აწვდიდა ნედლ ნავთობს, სანაცვლოდ კი სამომხმარებლო საქონელს ღებულობდა. მოსკოვს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გასვლის სტიმული მიეცა. მიღებული მზარდი შემოსავლით მას შეეძლო საზღვარგარეთ ეყიდა ყველაფერი – სურსათი, ტანსაცმელი, სამრეწველო ტექნოლოგიები და მაინცდამაინც არ ეზრუნა თავისი სულ უფრო უკან მიმავალი ეკონომიკის რესტრუქტურიზაციაზე.

„ნავთობის ნემსზე დაჯდომა" საბჭოთა ეკონომიკისათვის დამღუპველი აღმოჩნდა.

დასავლეთში დაიწყეს ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების შექმნა, მაგალითად, ამერიკელები თავიანთი 300-ცხენისძალიანი 7-მეტრიანი „ბიუიკებიდან" გადასხდნენ 90-ცხენისძალიან 4,5-მეტრიან იაპონურ „ტოიოტებზე". ნავთობის ფასმა თანდათან ქვევით დაიწია. მართალია, 1-2 დოლარს ვეღარ მიუახლოვდა, მაგრამ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ერთი ბარელი ნავთობი საშუალოდ 12-14 დოლარი ან უფრო ნაკლებიც კი ღირდა. საბჭოთა კავშირის სანავთობო შემოსავალმა მკვეთრად დაიკლო.

ამის შედეგი იყო ნავთობის ექსპორტზე ორიენტირებული საბჭოთა ეკონომიკის კრახი, გორბაჩოვისეული „პერესტროიკის" ჩავარდნა და, საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის დაშლა.

1979 წელი: ისლამური რევოლუცია თეირანში, რუსული ტანკები ქაბულში და სხვა

შემთხვევითობამ 1979 წელი დატვირთა ისეთი მოვლენებით, რომელთაც უდიდესი გაელენა მოახდინეს მსოფლიოს მომავალ განვითარებაზე. ზოგიერთი მოვლენის შედეგები დღემდე იგრძნობა. ბუნებრივია, ვერავინ გათვლიდა, რომ *მსოფლიო მოვლენების ერთ-ერთ ქრონოლოგიურ ეპიცენტრში* ცხოვრობდა. ეს, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, უფრო გვიან გაირკვა.

იმ წელს მოხდა *ირანის ისლამური რევოლუცია,* რომელმაც ისლამიზმის აღმავლობას მისცა ბიძგი. იმ წლის ბოლოს *საბჭოთა არმია შეიჭრა ავღანეთში,* რამაც დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაღუპვა.

* * *

იმ წელსაც მოხდა *სხვა* ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთა ეფექტიც მოგვიანებით გამოჩნდა.

ჩინეთში დაიწყო *დენ სიაოპინის მიერ ინიცირებული საბაზრო რეფორმა,* რომლის შედეგადაც ახლა ჩინეთი ეკონომიკის სიძლიერით მსოფლიოს მეორე სახელმწიფოა და პირველობაზეც აქვს პრეტენზია.

იმ წლის ივნისში სოციალისტური ბანაკის წევრ ერთ ქვეყანაში *ოფიციალური ვიზიტით პირველად ჩავიდა რომის პაპი* – რვა თვით ადრე არჩეული *იოანე პავლე II* (ლათინურად Ioanus Paulus) – წარმოშობით პოლონელი. ის თავის სამშობლოში ჩაეიდა. მორწმუნე კათოლიკე პოლონელებისათვის მათი თანამემამულის არჩევა რომის პაპად ეროვნული აღმავლობის უდიდეს სტიმულად იქცა.

მომდევნო, 1980 წელს პოლონეთში შეიქმნება მასობრივი არალეგალური მოძრაობა *„სოლიდარნოსტი"*, რომელიც ჯერ ადამიანის უფლებათა დასაცავად აღდგება, საბოლოოდ კი კომუნისტური რუსეთის უღლისაგან პოლონეთის გათავისუფლებას შეუწყობს ხელს.

იმავე 1979 წელს *დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში პირველად 15 წლის მანძილზე გაიმარჯვა კონსერვატიულმა პარტიამ მარგარეტ თეთჩერის ხელმძღვანელობით.*

დიდი ბრიტანეთის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი, აგრესიული და ენამკვახე თეთჩერი ყველაზე მეტად სძულდათ იქაურ ინტელექტუალურ-ლიბერალურ წრეებს: ოქსფორდის უნივერსიტეტმა უარი განაცხადა მისთვის მიენიჭებინა საპატიო დოქტორის წოდება, რომელსაც ყველა პრემიერ-მინისტრს ანიჭებს ხოლმე.

მაგრამ თეთჩერის რეფორმების შედეგები შთამბეჭდავი აღმოჩნდა. შეწყდა 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლამის ნორმად ქცეული სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში (ე. წ. „სოციალისტური ექსპერიმენტები"), დაიწყო დენაციონალიზაცია და წმინდა საბაზრო ეკონომიკაზე დაბრუნება. თეთჩერის ერთ-ერთ მიღწევად, მაგალითად, მიიჩნევენ მეშახტეთა პროფკავშირის იქამდე დაუძლეველი გავლენის (რასაც ბრიტანეთის ეკონომიკა ლამის კოლაფსამდე მიჰყავდა ხოლმე, როდესაც მეშახტეები ზამთარში იფიცებოდნენ ხოლმე) ეკონომიკური მეთოდებით გაუვნებელყოფას. ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარება დაჩქარდა. იგივე მოხდა დასავლეთის სხვა ქვეყნებში.

ამის ფონზე სოციალისტური გეგმური ეკონომიკის ჩამორჩენა ძალიან აშკარა გახდა. როდესაც *მიხაილ გორბაჩოვი* 1984 წელს (მაშინ ის მხოლოდ სკკპ ცეკას ერთ-ერთი მდივანი იყო და ჯერ არ იყო საბჭოთა კავშირის მეთაური) ეწვია ინგლისს და შეხვდა თეთჩერს, მან შურით აღიარა კაპიტალიზმის უპირატესობა და შემდგომში საბჭოთა კავშირის ერთგვარ (საბოლოოდ, წარუმატებელ) რეფორმირებას შეეცადა.

სულ რამდენიმე წლის შემდეგ საბაზრო ეკონომიკისაკენ შემობრუნების ტენდენცია თავს იჩენს სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც.

* * *

1979 წლის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი *ირანის ისლამურ რევოლუციას* ეკუთვნის.

თებერვალში *ირანში გაიმარჯვა სახალხო რევოლუციამ*, რომელსაც შიიტი აიათოლები ჩაუდგნენ სათავეში და რევოლუციას რელიგიური ხასიათი მისცეს. *შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის* „პროდასავლური" რეჟიმი დაემხო.

სიტყვა „პროდასავლური" ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ „დასავლურობა" უფრო გარეგან ფორმებში ჩანდა: შაჰის დროს ირანელ ქალებს, თეირანში მაინც, ემანსიპირებულად შეეძლოთ ეგრძნოთ თავი, მინი-კაბითაც კი ეცეროთ; მკაცრად არ იყო აკრძალული „დასავლური ქცევის" ზოგი სხვა ელემენტიც, მაგალითად, ალკოჰოლის მოხმარება. ასეთი *ვესტერნიზაცია* ისლამურ ტრადიციებზე აღზრდილ ირანის *ტრადიციონალისტური* (ამ სიტყვას ნეგატიური მნიშვნელობა აქვს – ის „ანტიპროგრესს" გულისხმობს!) უმრავლესობის ბოროტ მზერასა და ჩუმ წყევლა-კრულვას იმსახურებდა.

თანაც ირანში, ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად, რისი ფინანსური საფუძველიც ნავთობის ექსპორტით მიღებული დიდი შემოსავალი გახდა, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მძიმდებოდა. მოხელეების კორუმპირებულობა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. შაჰის ფარული პოლიციის რეპრესიები სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ აუტანელი გახდა.

საბოლოოდ, ირანში მოხდა ნამდვილი რევოლუცია, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სრული შეცვლით და არა სამხედრო ან სასახლის გადატრიალება, რაც დამახასიათებელი იყო რეგიონის ბევრი სხვა ქვეყნისათვის. მართალია, რევოლუციის შემდეგ ხალხის მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა, მაგრამ ყოფილი „ხალხის მტარვალებისა" – რბილად რომ ვთქვათ, ძალიან გაუარესდა: შაჰისდროინდელი ბევრი ბიუროკრატი და გენერალი სიკვდილით დასაჯეს, უფრო მეტი საზღვარგარეთ გაიქცა. ირანელ ქალებს მოსთხოვეს თხემიდან ტერფამდე სხეულის *ჰეჯაბით* შებურვა (თუმცა, განსხვავებით ზოგი არაბული ქვეყნისაგან, ჩადრით სახის დაფარვას ირანელ ქალებს მკაცრად არ სთხოვენ). ალკოჰოლის მოხმარება სასტიკად აიკრძალა.

1979 წელსვე შეიქმნა *ირანის ისლამური რესპუბლიკა*, სადაც სახელმწიფოს რეალური მეთაურია არა დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი, არამედ კონსტიტუციურად მასზე უფრო მაღლა მდგომი ხალხის მიერ აურჩეველი ქვეყნის *სულიერი ლიდერი* (რაჰბარი). *პირველი რაჰბარი გახდა აიათოლა რუჰოლა მუსავი ხომეინი* (აიათოლა – შიიტი სასულიერო პირის უმაღლესი წოდებაა).

შიიტმა რელიგიურმა ლიდერებმა ხელში აიღეს რესპუბლიკური ირანის

სადავეები და მაშინვე შეცვალეს ქვეყნის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები.

გაცხოველდა ანტიიმპერიალისტური და ანტისიონისტური პროპაგანდა: აშშ და ისრაელი მოიხსენიებოდნენ, როგორც „დიდი" და „პატარა სატანა". ამერიკის საელჩო თეირანში, როგორც „ჯაშუშთა ბუდე", იმავე 1979 წელს იერიშით იქნა აღებული ახალგაზრდა ფანატიკოსთა მიერ. 52 დიპლომატი მძევლად ჰყავდათ 444 დღის განმავლობაში. ამერიკის პრეზიდენტ *ჯიმი კარტერის* ადმინისტრაციის მოუხეშავი მცდელობა, ძალით გაეთავისუფლებინათ მძევლები, კრახით დასრულდა: ამერიკული სამხედრო-დივერსიული ექსპედიციის შეეულმფრენები უდაბნოში გაფუჭდა. თეთრმა სახლმა სირცხვილი ჭამა. ამ ფიასკოს ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ 1980 წელს კარტერი აღარ აირჩიეს პრეზიდენტად და მის ნაცვლად აშშ-ს სათავეში ჩაუდგა *რონალდ რეიგანი* – პრეზიდენტი, რომლის პოლიტიკამ ირანის ისლამურ რეჟიმს ბევრი ვერაფერი ავნო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლას დიდად შეუწყო ხელი.

ისლამური ირანი ამერიკისა და ზოგადად დასავლეთის იდეოლოგიურ მტრად იქცა. ირანსა და ამერიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდა. აგერ უკვე სამ ათეულზე მეტი წელია, ირანი ანტიდასავლურ და ანტიისრაელურ რიტორიკას აგრძელებს, ხოლო ამერიკა და ისრაელი პერიოდულად ემუქრებიან ირანს სარაკეტო დარტყმით. მოვლენათა ასეთი განვითარება კიდევ უფრო მოსალოდნელი გახადა XX საუკუნის ბოლო დეკადაში გაცხოველებულმა ირანის ბირთვულმა პროგრამამ, რომელიც, ეჭვგარეშეა, არ დაკმაყოფილდება „მშვიდობიანი ატომით", ანუ ატომური ენერგეტიკის განვითარებით, და სამხედრო გაგრძელებასაც ჰპოვებს ატომური ბომბის შექმნის მცდელობის გზით.

ირანის ახალ ხელისუფლებას თავიდან უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა საბჭოთა კავშირის მიმართაც: ისიც ერთ-ერთი *„სატანა"* იყო, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, ირანის დაუძინებელ მტერს, ერაყის დიქტატორ *სადამ ჰუსეინს* ეხმარებოდა! შემდეგ ირანი უფრო კეთილად განეწყო, განსაკუთრებით – საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის, რუსეთის ფედერაციის მიმართ. რუსეთმა დაამყარა საქმიანი ურთიერთობა ირანის ისლამურ რეჟიმთან. მოსკოვი აწვდიდა თეირანს უახლეს სამხედრო ტექნიკას, აუშენა ატომური ელექტროსადგური ქ. *ბუშეჰრში* (ის 2010 წლის 21 აგვისტოს გაიხსნა). დასავლეთისა და ისრაელის საგარეო დაზვერვების მონაცემებით, რუსი მეცნიერები ირანელებს უზიარებდნენ დიდად ღირებულ სამხედრო-სამრეწველო გამოცდილებას.

რადიკალიზმმა და ისლამური რევოლუციის ექსპორტის დაუფარავმა ზრახვამ ირანი პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია. თუმცა, მოგვიანებით ეს ზრახვა შესუსტდა. თვით ისლამურ სამყაროშიც კი, რომელიც ძირითადად *სუნიტური*ა, რესპუბლიკურმა ირანმა სიმპათია ვერ მოიპოვა: შიიტობა და სუნიტობა

ისლამის მეტოქე მიმართულებებია. თუმცა აქვე, წინსწრებით უნდა ვთქვა, რომ თურქეთის რესპუბლიკის სათავეში მყოფი ისლამისტური (სუნიტური) პარტია ირანთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილს ამჟღავნებს, განსაკუთრებით 2009 წლიდან: პრაგმატული, ანუ პოლიტიკურ-ეკონომიკური, ინტერესები რელიგიურ-დოგმატურ შეზღუდვებზე მაღლა დგას!

ისლამური რევოლუციიდან 15-იოდე წლის შემდეგ გამოვლინდა ირანის მოვლენების არაპირდაპირი შედეგი დამოუკიდებელი საქართველოსათვის.

როდესაც 1990-იანი წლების პირველ ნახევარში განიხილებოდა აზერბაიჯანიდან დასავლეთისაკენ ნავთობის ტრანსპორტირების გზები, ყველაზე მოკლე და ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი მარშრუტი – სამხრეთ ირანის ტერმინალებისაკენ, უარყოფილ იქნა წმინდა პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე: თეთრი სახლი მისი წინააღმდეგი იყო. ამიტომაც სხვადასხვა ვარიანტს შორის უპირატესობა მიენიჭა ე.წ. „*დასავლეთის მარშრუტს*“ (*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი*), რომელიც საქართველოზე გადის.

გამოდის, რომ მეოთხედი საუკუნით ადრე *აიათოლა ხომეინი* თურმე თავისდა უნებურად ხელს უწყობდა ჩვენთვის სასარგებლო საქმეს!

ნავთობსადენს, რომელიც 2006 წელს ჩადგა მწყობრში და რომელსაც მალევე დაემატა იმავე მარშრუტით, ანუ ისევ საქართველოზე, გამავალი გაზსადენი *ბაქოდან* თურქეთის ქალაქ *ერზურუმამდე*, ეკონომიკური მოგების გარდა, სერიოზული პოლიტიკური დივიდენდებიც უნდა მოეტანა ჩვენი ქვეყნისათვის: დასავლეთი თითქოს მეტი ყურადღებით უნდა მოგვექცეს – მილსადენებში ხომ ტრანსნაციონალური კომპანიების ფულია დაბანდებული!

* * *

1978 წლის მარტში საბჭოთა სპეცსამსახურის ფარული წაქეზებით ავღანეთის დედაქალაქ *ქაბულში მოხდა კომუნისტური რევოლუცია*. გამოცხადდა *ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა*.

ფეოდალიზმის ეპოქაში ჩარჩენილ, მრავალეთნიკურ ავღანეთში მარქსისტული იდეის განხორციელების მცდელობა კიდევ უფრო დიდი უაზრობა იყო, ვიდრე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში.

ავღანეთში არეულობამ დაისადგურა. წლის განმავლობაში შეიცვალა ორი პრეზიდენტი. ადგილობრივი კომუნისტები ფრაქციებად ადრეც იყვნენ დაყოფილნი, ახლა კი ძალაუფლებისათვის დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს, გადატრიალებებითა და მეტოქეების ხოცვით.

1979 წელს საბჭოთა *კაგებე*-მ, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა მეტად გავლენიანი ფიგურა *იური ანდროპოვი*, კრემლის პოლიტბიუროს მოახსენა, პრეზიდენტი *ჰაფიზულა ამინი* აპირებს, ავღანეთში ამერიკელები შემოუშვასო. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ეს სიმართლე. ფაქტია, რომ

პოლიტბიურომ დაადგინა საბჭოთა არმიის „შეზღუდული კონტინგენტის“ დროებით გაგზავნა ავღანეთში. 27 დეკემბერს პრეზიდენტი *ამინი* რუსულმა *სპეცნაზმა* (საგანგებო დანიშნულების რაზმმა) საკუთარ რეზიდენციაში მოკლა და ქაბულში კრემლისათვის მისაღები მთავრობა დასვა.

თავიდან კრემლი ხანმოკლე ოპერაციას გეგმავდა: საბჭოთა ნაწილები მალე უნდა დაბრუნებულიყვნენ შინ. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. საბჭოთა არმია ათი წლით ჩარჩა ავღანეთში, სადაც ჯამში 600 ათასამდე ოფიცერმა და ჯარისკაცმა იმსახურა. მოგვიანებით მათ ყველას „ავღანელებს“ შეარქმევენ. ოფიციალური მონაცემებით, ავღანეთში 15 ათასი საბჭოთა სამხედრო პირი დაიღუპა (არაოფიციალურად – ორჯერ მეტი). უამრავი დაჭრილი ან დასახიჩრებული დაბრუნდა შინ. დაღუპულებს ჩუმად ასაფლავებდნენ და ჯარისკაცის ოჯახის წევრებსაც კი არ აძლევდნენ უფლებას, გაეჭრათ თუთიის კუბო (მას ერქვა კოდური სახელი *„ტვირთი 200“*) და უკანასკნელად ენახათ თავიანთი ბიჭები. საბჭოთა დედებს აიძულებდნენ, დატირების გარეშე მიეღოთ სასტიკი დარტყმა, რათა „არ დაეთესათ პანიკა საზოგადოებაში“.

ხმები დაღუპულთა დიდი რაოდენობის შესახებ ქვეყანაში მაინც დადიოდა და საზოგადოებას მორალურად ძაბავდა. როგორც კი 1987 წელს *გლასნოსტი* დაინყო, ბევრ საიდუმლოს ფარდა აეხადა და საჭირო გახდა ავღანეთის ომის დამთავრება.

რაც შეეხება ავღანეთის მოსახლეობის დანაკარგს, ვარაუდობენ, რომ დაიღუპა მილიონამდე ადამიანი, უმეტესობა – უბრალო ხალხი, ვისაც იარაღი ხელში არც აუღია.

საბჭოთა ავიაცია ავღანეთში იყენებდა ჯერ კიდევ ჰიტლერული *გერმანიის ლიუფტვაფეს* მიერ ქალაქების *გერნიკასა* და *როტერდამის*, შემდეგ კი *ანგლო-ამერიკული ავიაციის* მიერ *ჰამბურგისა* და *დრეზდენის* განადგურებისას აპრობირებულ „ხალიჩოვანი დაბომბვის“ მეთოდს.

სახელი რომანტიკულად ჟღერს! რეალურად კი ეს ნიშნავს ბომბდამშენების ესკადრილიის მიერ მინის ფართო ზოლის მიყოლებით დაბომბვას, რის შემდეგაც ამ ცეცხლოვან სიერცეში არც ერთი ცოცხალი არსება და არც ერთი მთელი ნაგებობა არ რჩება.

საბჭოთა მფრინავების მეთაურთა შორის იყვნენ შემდგომში რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი *პოლკოვნიკი რუცკოი* და შემდგომში იმავე რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი *გენერალი დუდაევი*: მათ და სხვა საბჭოთა მფრინავებს ძალიან მოსწონდათ ავღანეთში „ხალიჩოვანი დაბომბვა“! ეს ძალიან ადვილი იყო მანამ, სანამ ამერიკელები ავღანელ მებრძოლებს, *მოჯაჰედებს* (*ჯიჰადის*, ანუ საღვთო ომის მონაწილეებს) ხელით სასროლი ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტებით – *სტინგერებით* – შეაიარაღებდნენ..

საბჭოთა არმიისათვის მთავარი იყო პირნმინდად გაენადგურებინა *დუშმანი* და მისი შესაძლო თავშესაფარი. *დუშმანი* ნიშნავს „მტერს“ სპარსულად, იმ ენაზე, რომელიც აღლანეთშიც არის გავრცელებული. ავღანელისათვის *დუშმანი* რუსის ჯარი იყო. მაგრამ საბჭოთა პრესა ამ, მათი აზრით, დამამცირებელი სახელით, ავღანელ პარტიზანებს მოიხსენიებდა. რუსმა ჯარისკაცებმა ეს სახელიც შეამოკლეს და *დუხი* გახადეს.

გადამწვარ ზოლში დაღუპულ ბავშვებსა და ქალებს სათვალავში არ იღებდნენ. ასეთი სისასტიკე საპირისპირო შედეგს იძლეოდა. მოჯაჰედები არ ინდობდნენ არც *შურავის* (სპარსულად – „საბჭოელი“) და არც იმ ავღანელებს, ვინც მათთან თანამშრომლობდა.

ავღანეთში შესვლა საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საგარეო პოლიტიკური შეცდომა აღმოჩნდა. ამ ავანტიურამ, გარკვეულწილად, დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლა.

1979 წელს და მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში ავღანეთის მრავალეროვანი მოსახლეობის, როგორც უმრავლესობის – *ფუშთუნების*, ისე იქაური *უზბეკების, ტაჯიკებისა* და სხვების წინააღმდეგობა საბჭოთა ჯარების მიმართ უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე კრემლში ელოდნენ. ქაბულის პროსაბჭოთა რეჟიმის დასაცავად სულ უფრო მზარდი „შეზღუდული კონტინგენტი“ გახდა საჭირო, რაც ასევე მზარდ ხარჯებს მოითხოვდა.

ამერიკამ პაკისტანის გზით მოჯაჰედების მხარდასაჭერად ავღანეთში დიდძალი იარაღისა და თანხების შეგზავნა დაიწყო. გარკვეული თვალსაზრისით, ავღანეთში ხდებოდა ამერიკული და საბჭოთა კონვენციური (არაბირთვული) იარაღის ბრძოლაში გამოცდა. ***სხვათა შორის, სწორედ ავღანეთში გაიწაფნენ მაშინ საბჭოთა კავშირთან, შემდგომში კი დასავლეთის წინააღმდეგ მებრძოლი ისლამური ტერორისტული დაჯგუფებების წევრები*** (სხვათა შორის, *თალიბები* მათ რიცხვში არ შედიან), მათ შორის აშშ-ში „ნომერ პირველ ტერორიტად“ შერაცხული „ალ-კაიდას“ დამაარსებელი უსამა ბინ-ლადენი (ამერიკელებმა მისი მოკვლა მხოლოდ 2012 წელს მოახერხეს).

მოჯაჰედებისათვის იარაღის მიწოდების მთავარი მხარდამჭერი აღმოჩნდა ამერიკის კონგრესის ერთ-ერთი წევრი – *ჩარლი უილსონი*, კონგრესმენი ტეხასიდან. მან მოახერხა მილიარდობით დოლარის მოზიდვა აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, რომელმაც, თავის მხრივ, უყიდა იარაღი ავღანელ მებრძოლებს. „სტინგერებმა“ ფაქტობრივად საბჭოთა ავიაციის პარალიზება მოახდინეს, რაც საბჭოთა არმიის ავღანეთიდან გაყვანის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. სიკვდილამდე (2010 წელს) ცოტა ხნით ადრე მიცემულ ინტერვიუში *უილსონს* უთქვამს: *„მე უბრალოდ ვიგრძენი, რომ საშუალება მაქვს, ყელში ვწვდე ამ ძაღლიშვილებს“*: ის კრემლის ლიდერებს გულისხმობდა!

უილსონის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხანდახან ერთი ადამიანის, არა

აუცილებლად სახელმწიფოს მეთაურის, ძალისხმევასაც შეუძლია შეცვალოს ისტორიის მსვლელობა.

ამერიკელების ძალისხმევით მსოფლიომ საბჭოთა კავშირი აგრესორად შერაცხა.

საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, მარშალმა *სერგეი ახრომეევმა* 1986 წლის 13 ნოემბერს კრემლის პოლიტბიუროს მოახსენა:

> „ჩვენ გავიმარჯვეთ ავღანეთში ბრძოლებისა და სამხედრო შეტაკების 99 პროცენტში. პრობლემა ისაა, რომ მომდევნო დღეს სიტუაცია ისეთია, თითქოს ბრძოლა არც ყოფილიყოს. ტერორისტები ისევ იმ სოფელში არიან, რომელშიც ისინი ერთი-ორი დღის წინ გავანადგურეთ, ან გვეგონა, რომ გავანადგურეთ."

კრემლმა არ გაითვალისწინა ინგლისელების მწარე გამოცდილება, რომელთაც XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს მთაგორიანი და ღარიბი ავღანეთის დამორჩილება. მათ არ გაითვალისწინეს, რომ *შეუძლებელია დაამარცხო ხალხი, რომელსაც არაფერი აქვს დასაკარგავი, გარდა პირადი ღირსებისა*. ინგლისელთათვის ავღანელების მედგარმა წინააღმდეგობამ უამრავი ჯენტლმენი ოფიცერი, „ტომმი" (ინგლისელი ჯარისკაცის მეტსახელი) და ინდოელი სიფაჰი (მეომარი) შეიწირა.

2001 წელს ტერორისტულ ქსელ ალ-*ქაიდას* მეთაურის, *უსამა ბინ-ლადენის* დევნამ ისევ ავღანეთში გადაინაცვლა, სადაც ხელისუფლებას იმ დროისათვის ფლობდნენ *თალიბები* (მრავლობითში *თალიბანი*; სიტყვა-სიტყვით, რელიგიური სკოლის, *მედრესეს*, სტუდენტები; *თალიბი* გაიგივდა ფუნდამენტალისტ ისლამისტთან; ამასთან, რამდენადაც ცნობილია, ისინი *არ მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ მოწყობილ ტერორისტულ აქტებში*). 2001 წელს ავღანეთში მოვიდნენ ამერიკელები ნატოს სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ერთად. 2009 წლიდან მათ მხარდამხარ ქართული ბატალიონიც იბრძვის.

მართალია, XXI საუკუნის დამდეგს ნატოს სამხედრო ნაწილების ავღანეთში გაგზავნა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო გამართლებული იყო, ვიდრე საბჭოთა არმიის შესვლა 20-30 წლის წინ, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამერიკისა და ნატოს ხელმძღვანელობამ კარგად არ გააანალიზეს ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ ადრე განცდილი მარცხის მიზეზები.

2001 წლიდან კრემლიდან სიამოვნებით შეეძლოთ თვალის დევნება, თუ როგორ ითრევდა მათ მეტოქეებს „ავღანეთის ჭაობი". ეს აღარ იყო რუსების ომი! თუმცა ამერიკელთა წარუმატებლობით აღტაცება კრემლისათვის დიდი განბილებით შეიცვლება, როდესაც ნატო სრულად დატოვებს ავღანეთს. ასეთი რამ რუსეთისათვის მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდება: გამარჯვებულმა თალიბებმა შუა აზიაში შეიძლება შეაბიჯონ, იქიდან კი რუსეთიც ახლოსაა.

1979 წლიდან კი ავღანეთში საკმაოდ გაცხელდა „ცივი ომი".

ცივი ომის დასასრულისაკენ: რონალდ რეიგანი – ამერიკის პრეზიდენტი

1980 წლის ნოემბერში ამერიკის პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკელი *რონალდ რეიგანი.*

მან თავის საგარეო პოლიტიკურ მისიად დაისახა, დაღუპვის პირზე მიეყვანა *„ბოროტების იმპერია“* (the Empire of Evil), როგორც ის სავსებით სამართლიანად უწოდებდა საბჭოთა კავშირს.

ყოფილ კინომსახიობ *რონალდ რეიგანს* რაიმე პოლიტიკური განათლება არ მიუღია. მას არც საგარეოპოლიტიკური გამოცდილება ჰქონდა. მაგრამ მან კარგი მრჩევლები აიყვანა, რომელთაც ყურს უგდებდა.

1982 წლიდან ამერიკამ დაიწყო *სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის* (*სთი*) განხორციელება. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს თავისი და, შემდგომში, ევროპელი მოკავშირეების ტერიტორია დაიცვას საბჭოთა კავშირის შესაძლო რაკეტულ-ბირთვული თავდასხმისაგან. ამ მიზნით კოსმოსში შესაბამისი რაკეტების განლაგების პროექტებზე დაიწყო მუშაობა. გარდა ამისა, დასავლეთ ევროპაში დაიწყო მოკლე და საშუალო მანძილის მიღწევადობის რაკეტების განთავსება. *სთი*-ს თითქოს შეეძლო მკვეთრად შეეცვალა სამ ათეულ წელზე მეტხანს არსებული „შიშის ბალანსი“: მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ამერიკას თავი უსაფრთხოდ უნდა ეგრძნო და თვითონ შეექმნა საფრთხე საბჭოთა კავშირისათვის.

ახლა ცნობილი გახდა, და მონდომების შემთხვევაში მაშინაც შეეძლოთ გაეთვალათ, რომ სრულიად შეუღწევადი კოსმოსური თავდაცვის განხორციელებას ამერიკა (და ვერც ერთი სხვა სახელმწიფო) ვერ გასწვდება ფინანსური თვალსაზრისით. ეს ტექნიკური თვალსაზრისითაც შეუძლებელია.

სთი აღმოჩნდა ბლეფი, გათვლილი იმაზე, რომ მას საბჭოთა კავშირიც აჰყვებოდა. მართლაც, იდეოლოგიურად თვალდაბინდული (*„არიქა, იმპერიალისტებმა შეიძლება გვაჯობონ!“*) კრემლი რეიგანის ბლეფს აჰყვა. საბჭოთა კავშირმა დაიწყო საკუთარი კოსმოსური პროგრამისა და ამერიკელების ჯერ არარსებული „კოსმოსური ფარის“ დაძლევის პროექტების დაჩქარებით განხორციელება. მაგრამ ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგომი ამერიკის ტოლფასი ხარჯების გაწევის მცდელობა ეკონომიკური სტაგნაციის მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა კავშირისათვის მეტისმეტად მძიმე ტვირთი აღმოჩნდა.

შეჯიბრებას, რომელსაც „გამალებულ შეიარაღებას“ უწოდებდნენ (ხომ არ სჯობს, მას „შეიარაღებათა შეჯიბრება“ ვუწოდოთ, რაც arms race-თან უფრო ახლოსაა?), საბჭოთა კავშირმა ვერ გაუძლო და დისტანციიდან ჩამოვიდა. ეს მისი დაღუპვის მომასწავებელი აღმოჩნდა.

ცივი ომი დამთავრდა.

თავი 21

ცივი ომის დროინდელი შეჯიბრებები

შეჯიბრება კოსმოსში

ცივი ომის გამოვლინება იყო *შეიარაღებათა* და *კოსმოსური შეჯიბრება*. არსებითად, ეს ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენებია: სამხედრო დანიშნულების რაკეტული ტექნიკა კოსმოსში გასვლის საშუალებასაც იძლევა; ლამის კოსმოსამდე ასული სტრატეგიული დანიშნულების რაკეტები მონინააღმდეგის ტერიტორიას მიაღწევენ.

საბჭოთა კავშირმა დაასწრო ამერიკას და 1957 წელს დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაგზავნა. ამან არნახული სტიმული მისცა საბჭოთა პროპაგანდას. *ნიკიტა ხრუშჩოვი* კოსმოსური პროგრამის დიდი ენთუზიასტი იყო და მაქსიმალურად უწყობდა ხელს მის დაფინანსებას.

1961 წლის 12 აპრილს საგანგებოდ შერჩეულმა – პროლეტარული წარმოშობის, ეთნიკურად რუსმა და გარეგნობით სიმპათიურმა – ლეიტენანტმა *იური გაგარინმა* პირველად შემოუფრინა დედამიწას ხელოვნური თანამგზავრით და მშვიდობიანად დაბრუნდა. ხრუშჩოვის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ის პირადად მონაწილეობდა გაგარინის ტრიუმფში, რომელიც მოსკოვში მოეწყო, წოდებებითა და ჯილდოებით აავსო იგი.

ამის შემდეგაც საბჭოთა კავშირი სისტემატურად აგზავნიდა *კოსმონავტებს*, რომელთაც მიწაზე დაბრუნებისას უმაღლეს სამხედრო ჯილდოს – საბჭოთა კავშირის გმირის წოდებას ანიჭებდნენ.

ეს მსოფლიოს თვალში ძალიან მომგებიან პოზიციას აძლევდა საბჭოთა კავშირს, რომელიც ამერიკაზე თავისი ტექნიკური უპირატესობის თვალნათელ დემონსტრაციას ახდენდა! ამით ხომ კაპიტალიზმზე სოციალიზმის უპირატესობაც მტკიცდებოდა!

ამერიკის პრეზიდენტმა *ჯონ კენედიმ* გამოწვევა მიიღო. გაგარინის კოსმოსში გაფრენის შემდეგ სულ თვე-ნახევარში კენედიმ გამოაცხადა თავისი

გეგმა, რომ ათწლეულის ბოლომდე ამერიკელი *ასტრონავტები* უნდა დამსხდარიყვნენ მთვარეზე! ამ მიზნით კონგრესმა 40 მილიარდი დოლარი გამოყო. რაკეტების უბადლო კონსტრუქტორს, გერმანიიდან 1945 წელს წამოყვანილ *ვერნერ ფონ ბრაუნს*, მიენიჭა სრული ძალაუფლება „მთვარის პროგრამის" განსახორციელებლად.

1969 წელს ჯონ კენედის (რომელიც ტერორისტმა 1963 წელს მოკლა) დავალება შესრულდა. იმ წლის 20 ივლისს თავისი არსებობის რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაში პირველად *ადამიანმა ფეხი დადგა დედამიწის გარეთ არსებულ ციურ სხეულზე*. ეს იყო მთვარე.

ამერიკელმა ასტრონავტებმა გადადგეს ნაბიჯები მთვარის მტვრიან ზედაპირზე.

ნილ არმსტრონგმა, პირველმა დედამიწელმა დედამიწის გარეთ, წარმოთქვა (ალბათ, წინასწარ მომზადებული!) სიტყვები:

> „ესაა ერთი პატარა ნაბიჯი ადამიანისათვის და დიდი ნახტომი – კაცობრიობისათვის".

მართლაც, ეს დედამიწელთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევა იყო.

მაგრამ დედამიწაზე ამ მოვლენას უფრო პოლიტიკური დატვირთვა მიეცა: ამერიკისა და რუსეთის კოსმოსური პროგრამების შეჯიბრებაში ამერიკა წინ გავიდა! სხვათა შორის, საბჭოთა მასმედიაში მთვარეზე ამერიკელთა მისვლის შესახებ ყრუდ ითქვა, ფართო გაშუქების გარეშე, რათა საკუთარ მოსახლეობაზე დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინათ. დღემდე მოისმენთ იმ დროს გავრცელებულ ჭორს, *„ამერიკელებმა მთვარეზე დაჯდომა ტელესტუდიაში დადგეს"*. ზოგს ამ ჭორის დღემდე სჯერა.

მთვარეზე ამერიკელ ასტრონავტთა მოგზაურობა კიდევ ხუთჯერ განმეორდა. სხვა ქვეყნის მოქალაქეს ამ „ღამის მნათობზე" ჯერ ფეხი არ დაუდგამს.

კრემლში მიხვდნენ, რომ წარსულს ბარდება უპირატესობა, მოპოვებული 1950-60-იან წლებში, როდესაც პირველი ხელოვნური თანამგზავრი და კოსმოსში ასული პირველი ადამიანი საბჭოთა კავშირიდან იყო. კოსმოსური პროგრამის გასაფართოებლად ხარჯების მკვეთრი ზრდა იყო საჭირო. ამის სახსრები ქვეყანას არ ჰქონდა.

ხრუშჩოვის შეცვლისა (1964 წ.) და, განსაკუთრებით, საბჭოთა რაკეტმშენებლობის უდიდესი მესვეურის, *სერგეი კოროლიოვის* გარდაცვალების შემდეგ (1966 წ.), საბჭოთა კავშირმა კოსმოსის ათვისებაში თავისი პრიორიტეტი დათმო და საგრძნობლად ჩამორჩა ამერიკას.

თუმცა, კოსმოსის სამხედრო მიზნით გამოყენება, უპირველესად დედამიწის ორბიტაზე „ჯაშუში თანამგზავრების" განთავსება, საბჭოთა კავშირმა გააგრძელა.

კოსმოსი დედამიწის ირგვლივ ახლა სავსეა უამრავი საფრენი აპარატით, რომელთაც მარტო ამერიკა და რუსეთი კი არა, სხვა ქვეყნებიც გზავნიან. ამ აპარატების დიდი ნაწილი მწყობრიდან გამოსული სახიფათო ჯართია, რომელიც იქ უკონტროლოდ დაფრინავს.

შეჯიბრება სპორტულ სარბიელზე

ძველთაგანვეა ცნობილია, რომ *სპორტი* გართობისა და სხეულის გაჯანსაღების გარდა საშინაო და საგარეო *პოლიტიკის იარაღიცაა.*

ძველბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები – *პოლის*-ები (აქედან მოდის სიტყვები *პოლიტიკა* და *პოლიცია*!) ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ წყვეტდნენ ომებს ერთმანეთთან, როდესაც *ოლიმპიაში* სპორტული თამაშების ჩასატარებლად იკრიბებოდნენ.

რომის იმპერატორები პლებსის გულის მოსაგებად პურის უფასოდ დარიგების გარდა, სპორტულ (იმ დროს ძალიან სისხლიან) შეჯიბრებას – გლადიატორთა ბრძოლებს – აწყობდნენ. *„პური და სანახაობა“* პლებსის მოსყიდვის საუკეთესო საშუალება იყო. საშინაო პოლიტიკის ამ უკვდავ ლოზუნგს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

თანამედროვეობის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც ფრანგი არისტოკრატის *პიერ დე კუბერტენის* ძალისხმევით XIX საუკუნის ბოლოს აღდგა და 1896 წელს ათენში გაიმართა, ნებადართული იყო მხოლოდ მოყვარული სპორტსმენების გამოსვლა. სპორტის პროფესიონალებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. პრინციპი *„მთავარია არა გამარჯვება, არამედ – მონაწილეობა“* ელიტურ სპორტსმენებზე იყო გათვლილი, რომლებიც საკუთარი ხარჯით ჩადიოდნენ ოლიმპიურ თამაშებზე.

1936 წელს კი, როდესაც XI ოლიმპიური თამაშები დიდი ზარ-ზეიმით ჩატარდა გერმანიის დედაქალაქ *ბერლინში*, სპორტი პოლიტიკის ცენტრში აღმოჩნდა: ჰიტლერმა გერმანელი სპორტსმენების ყველა გამარჯვება ნაციზმის, კერძოდ, „არიული რასის უპირატესობის“, პროპაგანდისათვის გამოიყენა.

სპორტის გადაქცევა პოლიტიკის მძლავრ იარაღად მეოცე საუკუნის ფენომენია.

სპორტულ მიღწევებს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა მას შემდეგ მიენიჭა, რაც 1952 წლიდან ოლიმპიურ თამაშებში ჩაერთნენ საბჭოთა კავშირი და ევროპის ახალგაკომუნისტებული ქვეყნები. მათი სპორტსმენები მედლების დიდ ნაწილს ეუფლებოდნენ. საბჭოთა კავშირში, გდრ-ში, რუმინეთში, სხვა კომუნისტურ ქვეყნებში საგანგებოდ ფინანსდებოდა „მაღალი მიღწევების სპორტი“. ამ ქვეყნებში არსებობდნენ ფაქტობრივად პროფე-

სიონალი სპორტსმენები, რომლებიც „მოყვარულებად" ითვლებოდნენ: ისინი რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციაში ან საწარმოში მომუშავედ იყვნენ გაფორმებულები და მათი ანაზღაურება, რომელსაც სახელმწიფო უხდიდა, დღევანდელი პოზიციიდან ძალიან მცირე იყო, მაგრამ მაშინ – საკმაოდ სოლიდური. ასეთ „მოყვარულებს" ინგლისური ტერმინიც კი მოუგონეს – shamteur, სადაც შეერთდა სიტყვები sham (ყალბი) და amateur (მოყვარული).

იმის გამო, რომ კომუნისტური ქვეყნების „მოყვარული სპორტსმენები" საგანგებო წვრთნას გადიოდნენ და არცთუ იშვიათად ღებულობდნენ ამჟამად მკაცრად აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებებს (მაგალითად, სტეროიდებს, რომლებიც 1950-60-იან წლებში თითქმის არ კონტროლდებოდა), ისინი ადვილად ჯობნიდნენ დასავლეთის მართლაც მოყვარულ სპორტსმენებს.

თუ არ იყო პური, სამაგიეროდ იყო სანახაობა, ან თუნდაც ცნობა, რომ *„ჩვენებმა მოიგეს!"* ეს საბჭოთა ხალხის დიდი სიამაყის საგანი გახდა. პირიქით, მარცხი, განსაკუთრებით *იდეოლოგიურ მოწინააღმდეგესთან*, ეროვნულ დამცირებას უთანაბრდებოდა.

როდესაც 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების დროს საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები დამარცხდა იუგოსლავიის ნაკრებთან, ეს აღქმული იქნა, როგორც *„რევიზიონისტი ტიტოს"* მიერ საბჭოეთისათვის განწყული სილა. უკან დაბრუნებული ფეხბურთელები დასაჯეს, ხოლო ის გუნდი, რომლის ბაზაზეც შეიქმნა ნაკრები, იქამდე საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი მოსკოვის *ცდკა* („წითელი არმიის ცენტრალური სახლი"), საერთოდ დაშალეს!

ბოლოს და ბოლოს, დასავლეთშიც მიხვდნენ, რომ „კომუნისტებისათვის სპორტულ-პროპაგანდისტული უპირატესობის მინიჭება" ჭარბი ფუფუნებაა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შემოიღეს წესი, რომლითაც პროფესიონალებსაც მიეცათ საშუალება, მიეღოთ მოყვარულის სტატუსი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის. ამით სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვების შანსი „კომუნისტებისა" და „კაპიტალისტებისათვის" გათანაბრდა. სტეროიდების გამოყენება კი დასავლეთშიც იცოდნენ!

ის, რომ სპორტი პოლიტიკის სფეროში შეიჭრა, დასტურდება იმით, რომ როდესაც 1979 წელს საბჭოთა კავშირმა ავღანეთში ინტერვენცია დაიწყო, ამერიკამ და დასავლეთის ქვეყნების დიდმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. სამაგიეროს გადასახდელად, საბჭოთა კავშირმა და კომუნისტურმა ქვეყნებმა 1984 წლის ლოს-ანჯელესის (აშშ) ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი მოაწყეს.

მას შემდეგ, რაც1968 წელს „ვარშავის პაქტის" ქვეყნების ჯარები კრემლმა ჩეხოსლოვაკიაში შეიყვანა, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ჰოკეისტების ნაკრებთა შერკინება საბრძოლო ველზე დივიზიების მოქმედებად აღიქმებოდა. ჩეხოსლოვაკიელი ჰოკეისტების რამდენიმე გამარჯვება რუსებზე ზეიმით

აღინიშნებოდა პრაჰასა, ბრნოსა თუ ბრატისლავაში, მაგრამ შრომის ნაყოფიერების მკვეთრ დაცემას იწვევდა მოსკოვში, ლენინგრადსა თუ სვერდლოვსკში.

1948 წლიდან 1972 წლამდე მსოფლიოს ყველა ჩემპიონი ჭადრაკში საბჭოთა კავშირიდან იყო (ძირითადად, ეთნიკური ებრაელები, თითო-ოროლა – სომეხიცა და რუსიც), რაც უდიდეს აღმაფრენას იწვევდა ხალხში. და პირიქით, როდესაც 1972 წელს ამერიკელმა *ბობი ფიშერმა* საბჭოთა მოჭადრაკე *ბორის სპასკის* მოუგო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ეს საბჭოთა კავშირში უდიდეს მარცხად აღიქვეს და სკკპ ცეკას პოლიტბიუროს დონეზე მკაცრი მსჯელობის საგნად აქციეს.

XX საუკუნეს განეკუთვნება ისეთი ფაქტი, როგორიცაა 1969 წლის *„საფეხბურთო ომი“ ელ სალვადორსა და ჰონდურასს შორის*, როდესაც სტადიონზე გამართულ მუშტიკრივს ჰონდურასის ტერიტორიაზე სალვადორული სატანკო ბრიგადების შეჭრა მოჰყვა. თუმცა, ამას წინ უძღოდა უკვე დაძაბული ურთიერთობა ქვეყნებს შორის.

1982 წელს დიდი ბრიტანეთის მიერ ფოლკლენდის კუნძულებისათვის ომში არგენტინის დამარცხებას ორი წლის შემდეგ „პასუხად“ მოჰყვა მსოფლიო ჩემპიონატის დროს ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელის *დიეგო მარადონას* მიერ ინგლისის ნაკრების კარში *ხელით გატანილი ბურთი*. მსაჯმა ვერ შენიშნა ეს დარღვევა, გოლი ჩათვალა და არგენტინამ მატჩი მოიგო. მარადონამ კი, აშკარა უსინდისობის მონანიების ნაცვლად, ამას „უფლის ხელი“ უწოდა! ის გულისხმობდა, რომ *„უფლის ხელი“ მის ქვეყანას დაეხმარა ინგლისელებთან პოლიტიკურ რევანშში.*

საბჭოთა რესპუბლიკებშიც სპორტი ადგილობრივი ეროვნული სულის განმტკიცებას ემსახურებოდა. მაგალითად, მთელი რესპუბლიკა ქომაგობდა *თბილისის „დინამოს“* ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდა.

„დინამოს“ მიერ *1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მოგება* საქართველოში ეროვნული ზეიმით აღინიშნა. სხვათა შორის, მომდევნო წელს გუნდის ჩავარდნა ქართული აღტაცების თავისებურებით თუ აიხსნება: ფეხბურთელებს ყველგან ისეთ დახვედრას უწყობდნენ, რომ თამაში სულ „პახმელიაზე“ უწევდათ! ეს ეთნიკური გამონაკლისი არ ყოფილა: 1974 წელს იგივე დაემართა საბჭოთა ფეხბურთის 1973 წლის ტრიუმფატორს – ერევნის „არარატს“!

კიდევ უფრო მეტი ზეიმი მოჰყვა თბილისის „დინამოს“ მიერ ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვებას 1981 წელს. სამწუხაროდ, ეს ქართული ფეხბურთის დიდების ბოლო გაელვება აღმოჩნდა!

როდესაც 19 წლის ქართველმა გოგონამ *ნონა გაფრინდაშვილმა* 1962 წელს ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ამან ქალთა ჭადრაკის

საოცარი ბუმი გამოიწვია საქართველოში. მომდევნო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჭადრაკში ყველა მსოფლიო ჩემპიონი ქალი ქართველი იყო.

როდესაც მოსკოვში მცხოვრებმა თბილისელმა სომეხმა *ტიგრან პეტროსიანმა* (ერევანში მან სულ ერთი-ორი წელი გაატარა) ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა, სომხებისათვის ეს უდიდესი ეროვნული გამარჯვების ტოლფასი გახდა. სომხეთის ქალაქ *აპარანში* (სადაც პეტროსიანს, მგონი, გზადაც არ გაუვლია) მას ძეგლიც კი დაუდგეს!

პოლიტიკის სფეროს არ განეკუთვნება, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული ნაკრების მარცხი საკუთარ ქვეყანაში *მასობრივი ინფარქტის* ფაქტორია.

XX საუკუნის მეორე ნახევარში სპორტი ეკონომიკის სერიოზულ სფეროდ იქცა.

პროფესიულ სპორტში ახლა ტრიალებს მილიარდობით აშშ დოლარი, ევრო, ინგლისური გირვანქა სტერლინგი, იაპონური იენა.

1955-56 წლების სეზონში დაიწყო ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშება. მილიონობით მოყვარული დიდძალ ფულს ხარჯავს საკლუბო გუნდების საერთაშორისო სათასო შეხვედრებზე (ევროპის ჩემპიონთა ლიგა, ევროპის ლიგა, ლიბერტადორეს თასი და სხვ.), ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო და კონტინენტურ ჩემპიონატებზე დასასწრებად, ტოტალიზატორში. ტელეარხები ასობით მილიონ და მილიარდობით დოლარს/ევროს/გირვანქას ხარჯავენ სხვადასხვა სპორტული შეჯიბრების გადაცემაზე, რადგან ეს რეკლამის მოზიდვის საუკეთესო საშუალებაა.

სპორტი, უპირველესად ფეხბურთი, აგრეთვე კრივი, ჩოგბურთი, კალათბურთი, გოლფი, ავტორბოლა და ა.შ. დიდ ბიზნესად გადაიქცა. მეოცე საუკუნის მიწურულიდან, როდესაც წარმატებული ფეხბურთელების (მისი როგორც ინგლისური, ისე ამერიკული ნაირსახეობის), მოკრივეების, ჩოგბურთელების, ჰოკეისტებისა და სხვათა ჰონორარებმა ასტრონომიულ მაჩვენებლებს მიაღწია, უხერხულიც კია მათ „თანამედროვე გლადიატორები“ უწოდო, მაგრამ ხანდახან ეს კონტექსტში კარგად ჯდება.

„დიდი ფეხბურთი“ აღარაა ეროვნული სპორტი: თუ გუნდის მფლობელს, ჩვეულებრივ, ნავთობით გამდიდრებულ მილიარდერს, უნდა აჯობოს სხვა მილიარდერს, ის უცხოური ვარსკვლავებით აავსებს გუნდს. მაგალითად, დაღესტნის დედაქალაქ მახაჩყალას სულ ცოტა ხნის წინ მაჩანჩალა კლუბ „ანჟის“, რომელსაც მილიარდერი ქერიმოვი აფინანსებს, ახლა შეუძლია საუკეთესო ბრაზილიელი და აფრიკელი ფეხბურთელები იყიდოს და ინგლისის „ლივერპული“ დაამარცხოს, ხოლო ლონდონის „ჩელსის“ მფლობელს, რუს ოლიგარქ აბრამოვიჩს, შეეძლო წელიწადში ორჯერ შეეცვალა გუნდის მწვრთნელები – მსოფლიოს უცნობილესი ვარსკვლავები და მათ ათეულ

მილიონიანი კომპენსაცია გაუხადოს კონტრაქტის დარღვევისათვის.

„თანამედროვე გლადიატორებს" აღარ კრეფენ მონათა რიცხვიდან. თავისუფალი ადამიანები საკუთარი სურვილით მიდიან მოედანზე ან რინგზე, იციან, რომ თუ სათანადო ნიჭი გამოაჩნდათ და მონდომებაც ექნათ, დიდ ფულს მიიღებენ.

სასიამოვნო სანახავია, როდესაც მილანიდან, მადრიდიდან, მანჩესტერიდან ან მიუნხენიდან ჩამოსული 22 მულტიმილიონერი ღარიბი ხალხის გულის გასახარად მწვანე მინდორზე დასდევს ბურთს და მზადაა დასისხლიანებამდე იბრძოლოს!

შეჯიბრება კულტურის სფეროში – მიკროფონთან და პოდიუმზე

სპორტისაგან განსხვავებით, ლიტერატურა, ხელოვნება, აგრეთვე მოდა, *ჯერ ეკონომიკური ინტერესების სფეროში მოექცა და მხოლოდ მოგვიანებით – პოლიტიკისა.*

ის, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას შემოსავლის მოტანა შეუძლია, ოდითგანვე იყო ცნობილი. ძველი ბერძენი მსახიობები, ბარდები, მენესტრელები, მესტვირე თავისი გუდასტვირით – ამფითეატრებში და მოედნებზე, შექსპირი და მისი გუნდი – თეატრ „გლობუსში", უფასოდ როდი ასრულებდნენ თავიანთ როლებს! დაქირავებული მუსიკოსები ატკბობდნენ იმპერატორების, ხალიფების, სულტნების, მეფეების სმენას.

„მიბრძანეს, მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა" – ეს რუსთაველია.

ლექსთა მთხზველი და პანეგირიკის მიმძღვნელი, ოპერის დამწერი კომპოზიტორი (მაგალითად, *ჯუზეპე ვერდიმ* 1869 წელს სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით *დაკვეთით* დანერა გენიალური ოპერა „აიდა") სამეფო კარისაგან კარგ გასამრჯელოს ელოდა. თუმცა, ხელმწიფეები, არცთუ იშვიათად, ძუნწობდნენ კიდეც! ხელოვანნი კი ერთმანეთის ხელისკვრით ცდილობდნენ ხელმწიფის თუნდაც შემსუბუქებული ქისის ხელში მოგდებას.

ეკონომიკური დაინტერესება, ბუნებრივია, პოლიტიკასთან იჯაჭვებოდა.

ამბობენ, რომ უდიდესი რუსი პოეტი *ალექსანდრ პუშკინი* პირველი იყო იმპერიაში, რომელმაც ჰონორარით შეძლო ცხოვრება: ის პროფესიონალი პოეტი გახდა, მაშინ, როცა იქამდე პოეტები მოყვარულები იყვნენ.

თავისუფლების მომღერალ ამ პოეტსაც ხანდახან უჩნდებოდა სამეფო კარისათვის საამო სულისკვეთება, რომელიც ზოგს *პატრიოტიზმად* ეჩვენება. რუსის ჯარის მიერ 1831 წელს პოლონეთის აჯანყების სისხლში ჩახშობით აღშფოთებულ ევროპას პუშკინმა უპასუხა *მგზნებარე იმპერიალისტურ-*

მილიტარისტული ლექსით *„რუსეთის ცილისმწამებლებს“*. აი ნაწყვეტები მისი ქართული თარგმანიდან[34]:

მოენეებო, რისთვის იჩენთ ენამჭევრობას?
რად ემუქრება შეჩვენებით რუსეთს ევროპა? ...
... შემოიერთებს რუსეთის ზღვა სლავურ ნაკადებს;
თუ მთლად დაშრება? ეს არის კითხვა...
... ან ეგებ სიტყვა რუსთა მეფის ვეღარსად გავა?
ან ახალია ევროპასთან ეს ჩვენი დავა?
ან იქნებ რუსი გამარჯვებას გადაეჩვია?
ან ცოტანი ვართ? თუ პერმიდან თვით ტავრიდამდე,
ფინეთის კლდიდან ალმოდებულ ცხელ კოლხიდამდე,
შეძრულ კრემლიდან არ დაჰკრავს რისხვა
უძრავ ჩინეთის კედლამდე მაგრად
და მოელვარე ფოლადის ჯაგრად
არ წამოდგება რუსეთის მინა? ...

1956,1968,1979 წლებში ბუდაპეშტში, პრაჰაში, ქაბულში საბჭოთა არმიის ანალოგიური მოქმედების გამამართლებელ ლექსებს უფრო დაბალი დონის პოეტები წერდნენ და ისინი არ მახსენდება. ჰონორარი კი მათაც მიიღეს.

* * *

XX საუკუნის ფენომენია *შოუბიზნესი*. კარგ, ან უფრო ზუსტად, მოდურად ქცეულ, მომღერალს შეუძლია ათეულ და ასეულ ათასობით დოლარის/ევროს ჰონორარი მოითხოვოს. მისი პროდიუსერი კიდევ უფრო დიდ ფულს გააკეთებს. ხელოვნება ფართო მოხმარების საქონლად იქცა.

მეოცე საუკუნეში რამდენჯერმე შეიცვალა მუსიკის მოდა.

წინა საუკუნის დასაწყისში ურუგვაელმა *ენრიკე საბორიდომ* შექმნა პირველი ტანგო „La Morocha“. ასევე ურუგვაელმა *ხერარდო როდრიგესმა* დაწერა მუსიკა ტანგოსათვის „La Cumparcita“. მაგრამ ტანგო ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში *ბუენოს-აირესიდან* და მას არგენტინულ ცეკვად იცნობენ, რაც, სხვათა შორის, *მონტევიდეოში* დიდ აღშფოთებას იწვევს! აქაც პოლიტიკაა!

1950-იანი წლების ბოლოს, როკ-კულტურის დამკვიდრებასთან ერთად, 1910-იან წლებში დაწყებული ტანგოს ეიფორია დასრულდა. ტანგო, როგორც მეტისმეტად თანამედროვე და გაბედული ცეკვა, 1913 წელს გერმანიის *კაიზერმა ვილჰელმ II-მ* თავის ოფიცრებს აუკრძალა. 1950-იანი წლების ბოლოს კი

[34] თარგმანი გიეი გაჩეჩილაძისაა. *„ენამჭევრი მოენეები“* გამოყენებულია **народные витии**-ს შესატყვისად, რაც პუშკინთან *„დემაგოგებს“* ნიშნავდა.

იგივე ტანგო „ტრადიციულად, ჩამორჩენილად“ და „არასაკმარისად გაბედულად“ აღიქმებოდა ჰიპების თაობის მიერ.

დაიწყო სხვა მუსიკის ეპოქა.

1957 წელს ინგლისის ქალაქ ლივერპულში მუსიკით გატაცებული ორი უბრალო ნარმოშობის თინეიჯერის – *ჯონ ლენონისა* და *პოლ მაკარტნის* – შეხვედრა გარკვეულად საკვანძო აღმოჩნდა XX საუკუნის მომდევნო კულტურული პოლიტიკისათვის. მათი და კიდევ ორი (თავიდან – სამი) სხვა მათი თანატოლის მიერ შექმნილმა *ანსამბლმა „ბითლ ზმა“* (ინგლისური სიტყვებიდან, „ხოჭოებისა“ და „დასარტყამი ინსტრუმენტიდან“, შექმნილი ნეოლოგიზმი; ქართულად ხანდახან წერენ *ბითლ ზები*, რაც „გაორმაგებული მრავლობითი“ გამოდის) მედიის, მათ შორის ტელევიზიის, სულ უფრო მზარდი ქსელის გამო მალე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს ახალგაზრდობაში. 1963 წლის 22 მარტს ბაზარზე გამოვიდა მათი პირველი ხანგრძლივდასაკრავი ფირფიტა. „ბითლზ“-ის მელოდიებმა დაიწყეს ტრიუმფული სვლა დედამიწის ზურგზე.

„ბითლზი“ ხელოვნების კომერციალიზაციის ძირითად ნაკადში მოხვდა. მეტიც, მათ თვითონ შეუწყვეს ხელი ამ ნაკადის გაფართოებას.

1960-იან წლებში თბილისელ, მოსკოველ, რიგელ, ერევნელ და ა.შ. ფარულ გადამწერებს „ბითლზის“ სიმღერები გადაჰქონდათ გაურკვეველი ადამიანების ნეკნებისა და წვივების ნეგატიურ-გამოსახულებიანი რენტგენის სურათების ნახმარ ფურცლებზე. ასეთ „ფირფიტებს“ ჩვენ, იმდროინდელი თინეიჯერები, ერთმანეთისაგან ვშოულობდით.

ზაფხულის ცხელ დღეებში, როდესაც თბილისში გაღებული იყო ყველა ფანჯარა (კონდიციონერი ჯერ არავის ჰქონდა), საღამოჟამს ყველგან შეიძლებოდა გაგეგონათ ქ. რიგაში გამოშვებულ ელექტროგრამოფონებზე დაკრული „დასავლური მუსიკის“ ცუდი ხარისხის ჩანაწერები. ფირფიტის (სინამდვილეში – რენტგენის სურათების) უხარისხობით გამოწვეული ეს ხრინწიანი ხმაც კი, კომუნისტური პარტიის პოზიციიდან, იდეოლოგიური დივერსია იყო. პარტიისათვის დაუშვებელი იყო ფასეულობათა სისტემის შეცვლა, 1917 წლიდან საზოგადოებისთვის თავს მოხვეული მონოაზროვნების თუნდაც მინიპლურალიზმით განელება.

კულტურული გეოგრაფია განგვიმარტავს, რომ ასეთი *კულტურული დიფუზია* – დასავლური მუსიკისა და მოდის გავრცელება – ჯერ ცენტრალური ევროპის „სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში“ იწყებოდა, შემდეგ აღწევდა საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილს, პირველად, ბალტიის რესპუბლიკებს, რომლებიც ჩვენთვის „ევროპა“ იყო, მოსკოვსა და ლენინგრადს, იქიდან – კავკასიას, და ბოლოს – ცენტრალურ აზიასა და ციმბირს.

ბიზნესთან დაკავშირებასთან ერთად, მუსიკა და, ზოგადად, *ხელოვნება პოლიტიკის იარაღადაც იქცა.*

კაგებე, საბჭოთა უშიშროების სამსახური, უკვე 1960-იანი წლების შუაგულში ტეხდა განგაშს, რომ „ბითლზი" და საერთოდ დასავლური მსუბუქი მუსიკა თითქოს საგანგებოდაა შექმნილი დასავლეთის პროპაგანდისტული მანქანის მიერ *„კომუნისტური იდეალებისაგან საბჭოთა ახალგაზრდობის ჩამოსაშორებლად"*.

დასავლეთს, განსხვავებით კომუნისტური სამყაროსაგან, საერთოდ არ გააჩნდა მყარი და ერთგვაროვანი იდეოლოგია. მით უმეტეს, არ არსებობდა მუსიკასთან დაკავშირებული „პროპაგანდისტული მანქანა".

მაგრამ ფაქტია, რომ სპონტანურად შექმნილმა ლივერპულელი ახალგაზრდების მუსიკალურმა ჯგუფმა და მარტივ ენაზე სიყვარულისა და მშვიდობის შესახებ შექმნილმა მელოდიურმა, სრულებით არაპოლიტიკურმა სიმღერებმა დაიპყრო მსოფლიოს, მათ შორის საბჭოთა ახალგაზრდობის, გული.

კაგებე-ს ეჭვები *„კომუნისტური იდეალებისაგან ახალგაზრდობის ჩამოშორების"* შესახებ მთლად სისულელე არ იყო. საბჭოთა კომუნიზმისათვის ასეთი რამ მართლაც საშიში ჩანდა, იმიტომ, რომ თიხის ფეხებზე მდგარი გოლიათის იდეოლოგიისათვის საყრდენის ოდნავი შერყევაც კი სასიკვდილო შეიძლებოდა გამხდარიყო. იქამდე „ყველაფერი საუკეთესო", მათ შორის მუსიკაც, საბჭოთა იყო! ახლა კი ირკვეოდა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობას უკეთესად მიაჩნდა უცხოური აპოლიტიკური სიმღერები.

იმავე *კაგებე*-ს რჩევით, კრემლმა 1980-იანი წლებიდან გადაწყვიტა წაეხალისებინა საკუთარ ქვეყანაში შექმნილი პოპმუსიკა, სადაც ყველა სიტყვა „კომუნისტურად დავარცხნილი" ვერ იქნებოდა. დაიწყო ზოგი დღემდე ცნობილი მუსიკალური ჯგუფის შექმნა. მაგრამ მანამდე, ყველაზე პოპულარულ საბჭოთა მომღერალს *ვლადიმირ ვისოცკის* გასაქანი არ მისცეს და ის 1980 წელს „ნახევრად დისიდენტად" გარდაიცვალა.

მუსიკის პოლიტიზების „საზღვარგარეთული მაგალითია" ის, რომ *ისრაელში არ უნდათ გერმანელი კომპოზიტორის ვაგნერის მუსიკის მოსმენა* იმ მოტივით, რომ ადოლფ *ჰიტლერსა* და ნაცისტებს თურმე განსაკუთრებით უყვარდათ *რიხარდ ვაგნერი*. ცნობისათვის: კომპოზიტორი 1883 წელს გარდაიცვალა და 1879 წელს დაბადებული ჰიტლერი მასზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამბობენ, ვაგნერს ანტისემიტური გამოხდომები ჰქონდაო. მაგრამ XIX საუკუნეში ეს ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო: *კარლ მარქსსაც*, წარმოშობით ებრაელს, მრავლად აქვს ანტისემიტური გამონათქვამები. პოლიტკორექტულობა ბოლო ათწლეულების პირმშოა.

როდესაც მამაცმა დირიჟორმა *დანიელ ბარენბოიმმა* ორკესტრს იერუსალიმში 2001 წელს დააკვრევინა ვაგნერის Tristan und Isolde-ის პრელუდია, აღშფოთებული მაყურებლების ნაწილი კარის ჯახუნით გარეთ გავიდა. ეს კარგად მახსოვს, კონცერტს ვესწრებოდი.

* * *

თურმე მოდასაც შეეძლო მოეხდინა „დივერსია სოციალიზმის წინააღმდეგ".

ახლა ძნელად ვინმე თუ დაიჯერებს, რომ 1950-70-იან წლებში ჯინსის ტარება საბჭოთა რეჟიმისათვის გამოწვევა იყო. ჯინსს ქვეყანაში არ აწარმოებდნენ. ის ჩამოჰქონდათ უცხოეთში ნამყოფ ადამიანებს და აქ ცეცხლის ფასად ყიდდნენ. ჯინსის ყიდვა კანონდარღვევით შეიძლებოდა უცხოელებისაგან, რასაც „ფარცოვშჩიკები" ახერხებდნენ. უშიშროების მუშაკები ამ ადამიანებს დასდევდნენ და მათ „ანტისაბჭოთა ელემენტის" კვალიფიკაციას აძლევდნენ.

XXI საუკუნის ადამიანისათვის გაუგებარი იქნება *ნოდარ დუმბაძის* მიერ 1950-ანი წლების მეორე ნახევარში დაწერილი ირონიული რობაი:

„მეუბნებიან, რა გაცვია ტანზე, რა არის?
მე კი სამოსი, სტილნის გარდა, არ მწამს სხვაგვარი.
როცა მოვკვდები, შემიკერეთ ბუტილკა კუბო,
ზედ კაუჩუკი შემოაკარით!"

შევეცდები ჩემს გვიანდელ თანამედროვეებს ავუხსნა ეს პოეზია.

იმ პერიოდში, როდესაც ეს რობაი დაიწერა, დასავლეთიდან შემოვიდა წვივებთან დავიწროებული შარვლების მოდა (ე.წ. „ბუტილკა", სიმართლე რომ ითქვას, საკმაოდ მოუხერხებელი და ულაზათო). გამოჩნდა უკვე ურთიერთობააღდგენილი იუგოსლავიიდან შემოტანილი კაუჩუკისძირიანი ფეხსაცმელები, რომელთა „შოვნა" (მაღაზიაში მათი თავისუფლად ყიდვა შეუძლებელი იყო) და ტარება სნობიზმის დაკმაყოფილების საშუალება იყო. ასეთ სამოსს „სტილნის" უწოდებდნენ, ვინც ასე იცვამდა – „სტილიაგა" იყო (ეს რუსული ტერმინებია).

სტილიაგები საბჭოთა სატირის მშვენიერ საკბილოდ იქცნენ!

XX საუკუნის მეორე ნახევრის მოდის სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ *ბიკინი*. მართალია, ქალებისათვის ასეთი საცურაო კოსტიუმი ჯერ კიდევ საუკუნის პირველ ნახევარში, 1946 წელს, შეიქმნა (სახელს უკავშირებენ წყნარი ოკეანის ერთ ატოლს, სადაც ამერიკელები ბირთვულ იარაღს ცდიდნენ), მაგრამ რეალური გავრცელება მან 1956-57 წლების შემდეგ ჰპოვა.

უფრო ეგზოტიკური ფაქტია მოდის დაკავშირება გეოფიზიკურ მოვლენებთან, რასაც *ჩანართი 21.1-ის* სახით ვანვდი მკითხველს.

ჩანართი 21.1
მოდა, მორალი და გეოფიზიკა

ერთმა თეირანელმა *ჰოჯათოლესლამმა* (მაღალგანათლებულმა სასულიერო პირმა) მოხდენილად დაუკავშირა ერთმანეთს მოდა, მორალი და ერთი სამეცნიერო დარგი – გეოფიზიკა, რომელიც სწავლობს დედამიწის სიღრმეში მიმდინარე პრო-

ცესებს და აფასებს სეისმურ უშიშროებას. თავისი ქადაგებისას ჰოჯათოლესლამმა გაკიცხა ირანელი სუსტი სქესის წარმომადგენლების ნაწილი იმისათვის, რომ ისინი სრულად არ იბურავენ სხეულს და ყოველისმომცველი თეორია ააგო ამ გაკიცხვაზე. კერძოდ, მან თქვა: „[ირანელი] *ქალების ერთი ნაწილი გამომწვევად იცვამს. ეს ახალგაზრდა მამაკაცების შეცდენას იწვევს, რაც ადიულტერის მიზეზია და შედეგად ამას მიწისძვრაები მოჰყვება*“.

მიწისძვრები ირანში მართლაც დამანგრეველი იცის ხოლმე. მათგან არც ერთი სარწმუნოების ხალხი არაა დაცული. კარგია, თუ სეისმური უშიშროების შეფასება და ამ საშიშროებისაგან თავის დაცვა ასე მარტივად შეიძლება – ქალების ჩაცმულობაზე, ანუ მოდაზე ზემოქმედებით. იქნებ ისლანდიელმა ქალებმაც აიღონ მაგალითი თავიანთი ირანელი დებისაგან, მოდა შეიცვალონ, ისლანდიელი ახალგაზრდა მამაკაცების შეცდენა შეწყვიტონ და ამით წერტილი დაუსვან თავიანთ კუნძულზე ვულკანების ამოფრქვევას, რაც ასე აწუხებს არა მარტო მათ, არამედ მსოფლიოსაც?

ზემოხსენებული ქადაგება ბნელ შუა საუკუნეებში კი არ შედგა, არამედ 2010 წელს.

მოდასთან დაკავშირებული ასეთი ძლიერი ლოგიკა *არ არის* დამახასიათებელი მხოლოდ მუსლიმი რელიგიური მოღვაწეებისათვის.

ორთოდოქსი იუდეველები ასევე მოითხოვენ თავიანთი ქალების მიერ ტანის შებურვას, ოღონდ ჩადრის ნაცვლად მათ ქალებს თავზე XIX საუკუნის მოდის შაპოკლიაკი ახურავთ. ისინი *მაშიახის* (მესიის) მოსვლას ელოდებიან, რაც, ალბათ, ასევე გეოფიზიკური მოვლენა იქნება.

სხვადასხვა დენომინაციის ქრისტიანი მოძღვრებიც თითქმის ანალოგიურ წესს მისდევენ. ზოგიერთ ეკლესიაში მღვდელი არ შეუშვებს ჯინსში ან შორტებში გამოწყობილ გოგონას. იქაც, ალბათ, მორალისა და გეოფიზიკის სახიფათო ნაზაეისა თუ ეშინიათ?I

თავი 22

რუსული მოდელის „კომუნისტური ექსპერიმენტის“ დასასრულისაკენ

„კომუნისტური ექსპერიმენტის“ შესახებ

იმ პოლიტიკურ პროცესს, რომელიც რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე 1917 წლიდან 1980-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობდა, თამამად შეიძლება ვუწოდოთ *„კომუნისტური ექსპერიმენტი“*.

საბჭოთა კავშირში წარმოქმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას სოციალიზმს უწოდებდნენ: მარქსიზმის თანახმად, ეს კომუნიზმის პირველი ფაზა იყო. დასავლეთში კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტ ან მსგავსი სისტემის მქონე ყველა ქვეყანას „კომუნისტურს“ უწოდებდნენ.

როდესაც საბჭოთა კავშირში (იმავე „რუსეთში“, როგორც მას მსოფლიო იცნობდა) მოქმედი ერთადერთი, კომუნისტური, პარტია (უფრო ზუსტად, მისი ლიდერები) ცდილობდნენ მთელი საზოგადოების გარდაქმნას სოციალური ინჟენერიის მეშვეობით, ისინი სწორედ ამ საზოგადოებაზე ატარებდნენ ძალადობრივ ექსპერიმენტს.

რუსეთში შექმნილმა სისტემამ, რომელსაც „რეალურ სოციალიზმს“ უწოდებდნენ, *ეკონომიკურად არ გაამართლა*. ამ ნაკლოვანებამ მთლიანად დაჩრდილა იმავე ექსპერიმენტის ცალკეული *სოციალური მიღწევა, მაგალითად, უფასო განათლება და სამედიცინო დახმარება, საპენსიო სისტემა*. ეს მიღწევებიც სანახევრო იყო და, თავის მხრივ, სერიოზულ სრულყოფას მოითხოვდა.

მარქსი და ენგელსი კომუნისტური იდეის რუსეთში განხორციელებას არ ელოდნენ: ისინი წინასწარმეტყველებდნენ „პროლეტარული რევოლუციის“ გზით დასავლეთ ევროპის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების კომუნისტურად გარდაქმნას. ისტორიამ დაამტკიცა, რომ ეს არასწორი წინასწარმ-

ეტყველება იყო. კომუნისტურმა იდეამ სულ სხვაგან ჰპოვა რეალიზაცია, თანაც საკმაოდ დამახინჯებული სახით. მარქსისტული თეორიის პრაქტიკაში განხორციელების ცდა („კომუნისტური ექსპერიმენტი") მხოლოდ რუსეთის სოციალურ-კულტურულ და ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში აღმოჩნდა შესაძლებელი. მისი დაწყება კი კონკრეტულმა ისტორიულმა გარემოებამ განაპირობა – პირველ მსოფლიო ომში რუსეთის სამხედრო წარუმატებლობამ.

როგორც მე-11 თავში აღინიშნა, ლენინმა და მისმა მიმდევრებმა (მათ შორის უპირველესი სტალინი აღმოჩნდა) მარქსიზმის სერიოზული რევიზია მოახდინეს და, როდესაც იგი რუსეთს მიუსადაგეს, მისგან მხოლოდ რეალობას მოწყვეტილი დოგმები დატოვეს.

საერთოდაც, როგორც *ნიკოლაი ბერდიაევი* მიუთითებდა თავის წიგნში **„Русская идея"** (რუსული იდეა):

> „რუსები არ არიან სკეპტიკოსები, ისინი დოგმატიკოსები არიან. მათ ცუდად ესმით პირობითობა".

ბოლშევიკმა ლიდერებმა, ძირითადად, ეთნიკურად არარუსებმა, ადვილად მოახვიეს თავს რუსულ მოსახლეობას მარქსისტული დოგმები.

რუსეთის თავისებურებები – უზარმაზარი ტერიტორია ულევი ბუნებრივი რესურსებით, „კომუნისტური ექსპერიმენტის" დასაწყისში კულტურულად ჩამორჩენილი გლეხური მოსახლეობის სიმრავლე და ქვეყნის დიდი დემოგრაფიული პოტენციალი – ერთხანს იძლეოდა საშუალებას „ექსპერიმენტის" ჩატარებისას დაშვებული მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო შეცდომების კომპენსირება ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით მოეხდინათ. მაგრამ ამ რესურსებმა გარკვეულ ეტაპზე ამოწურვა დაიწყო და „კომუნისტური ექსპერიმენტის" შეწყვეტა აუცილებელი გახდა.

რუსეთში წამოწყებულმა „კომუნისტურმა ექსპერიმენტმა" ზოგ სხვა ქვეყანაშიც ჰპოვა მიმდევრები. იქაც აღმოჩნდნენ სოციალური სამართლიანობისათვის გულანთებული ადამიანები, რომელთაც თავიანთ საზოგადოებაზე სცადეს „ექსპერიმენტის" კორექტულობის შემოწმება. მაგრამ რუსულმა მოდელმა არსად არ გაამართლა.

ზოგან, მაგალითად, კუბასა და ჩრდილოეთ კორეაში, კომუნიზმის იდეით მოსპეკულანტო ლოკალურმა ბელადებმა ექსპერიმენტი საკუთარი კეთილდღეობისა ან განდიდებისათვის წარმართეს. თეორიულ სოციალურ სამართლიანობას იქ პრაქტიკული ეკონომიკური კოლაფსი მოჰყვა.

სხვაგან, მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამში, შექმნილ პოლიტიკურ სისტემას სახელად „კომუნიზმი" კი დაუტოვეს, მაგრამ მალევე გადაუხვიეს მისი რუსული მოდელიდან და ბოლოს და ბოლოს, შექმნეს სხვა, ეკონომიკურად უფრო ეფექტიანი, სისტემები.

ევროპის იმ ქვეყნებში კი, სადაც რუსული მოდელის კომუნიზმი კრემლმა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იძულებით შეიტანა, საზოგადოებაზე „კომუნისტური ექსპერიმენტის" ჩატარება 1990-იანი წლების დამდეგიდან შეწყდა.

მაგრამ ყველგან (მათ შორის საქართველოშიც), სადაც ეს რუსული/საბჭოთა მოდელი მოქმედებდა, „კომუნისტური ექსპერიმენტის" სოციალურ-ფსიქოლოგიურ გავლენას დღემდე.განვიცდით.

გერონტოკრატია

1980-იანმა წლებმა საბჭოთა კავშირს მძიმე გამოცდა მოუმზადა. 1982 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა სკკპ ცეკას გენერალური მდივანი და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე *ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი*. როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი 18-წლიანი მმართველობის დროს ქვეყანაში მშვიდი სტაგნაცია სუფევდა. 1973 წლის ბოლოდან ნავთობის მსოფლიო ფასების მკვეთრი ზრდა საშუალებას აძლევდა საბჭოთა კავშირს მიეღო დიდი საექსპორტო შემოსავალი და ამის ხარჯზე მოეხდინა საჭირო საქონლის იმპორტი.

ბრეჟნევის ორივე პოსტი დაიკავა პოლიტბიუროს ყველაზე გავლენიანმა წევრმა *იური ვლადიმიროვიჩ ანდროპოვმა*, იქამდე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის („კაგებე"-ს) თავმჯდომარემ.

თავისი ხანმოკლე, სულ 15-თვიანი, მმართველობის განმავლობაში ანდროპოვმა სცადა კომუნისტური სახელმწიფოს მორყეული ქანჩების ხელახლა მოჭერა, მაგრამ ისინი კარგა ხნის მომპალი იყო. სტალინური რეჟიმის აღდგენის ცდა წარუმატებლობისათვის იყო განწირული. შეუძლებელი იყო საზოგადოების ყველა ფენაში დისციპლინის განმტკიცება მხოლოდ შიშის სინდრომის დანერგვის ხელახალი მცდელობით, მატერიალური სტიმულების გარეშე. ეს ნათელი შეიქნა *„ანდროპოვისეული გამკაცრების"* დაწყებისთანავე.

შეიძლება დავუშვათ, რომ თუკი ანდროპოვს მეტი დრო ექნებოდა (ის მძიმედ ავადმყოფობდა), იგი შეძლებდა ქვეყნის დროებით დაბრუნებას სტალინური ტოტალიტარიზმის დაჟანგულ რელსებზე. მაგრამ რეჟიმს გადარჩენა აღარ ეწერა, ის გარდაუვალად მიექანებოდა ლოგიკური დასასრულისაკენ. სტალინიზმმა, რომელიც 1950-80-იან წლებში „შერბილებული ვარიანტის" სახით ინერციით განაგრძობდა არსებობას, ამოწურა თავისი რესურსი. ანდროპოვის მცდელობა, შეეჩერებინა ისტორიის ბორბლის ბრუნვა, წარუმატებელი აღმოჩნდა.

ასევე კონტრპროდუქტიული გამოდგა ანდროპოვის ნაბიჯები დასავლეთთან ურთიერთობის გასამკაცრებლად. ამის აბსურდული და, ერთდრო-

ულად, ტრაგიკული გამოვლინება იყო 1983 წელს *სამხრეთკორეული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდება*, რომელმაც შემთხვევით დაარღვია ფრენის მარშრუტი და საბჭოთა საჰაერო სივრცეში შეცდა. საბჭოთა ავიაგამანადგურებლიდან ნასროლი რაკეტით დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი სამასამდე სამოქალაქო პირი. რაკეტის გასროლის შესახებ ბრძანება უშუალოდ ანდროპოვს არ გაუცია, მაგრამ კრემლმა პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და საბჭოთა პროპაგანდა ურცხვად ამტკიცებდა, *სამხრეთკორეული სამგზავრო თვითმფრინავი ამერიკელებმა* (!) *ჯაშუშური მიზნით შემოგზავნეს საბჭოეთის საჰაერო სივრცეში*. რამდენიმე წლის შემდეგ გორბაჩოვმა აღიარა, რომ ეს ტყუილი იყო.

დასავლეთის ძალიან მკაცრი რეაქციის გამო ამ ინციდენტთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირი *თითქოს* მზად იყო, სარაკეტო-ბირთვული დარტყმაც კი მიეყენებინა ამერიკისათვის, რაც გარდაუვალ მსოფლიო ომს ნიშნავდა.

მსოფლიოსათვის საბედნიეროდ, ანდროპოვის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ის 1984 წლის მარტში გარდაიცვალა.

პოლიტბიუროს წევრებმა, რომლებსაც ერთიმეორის შური ჰკლავდათ, პარტიის ახალ გენერალურ მდივნად და სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს თავიანთ შორის ყველაზე უსახური *კონსტანტინ უსტინოვიჩ ჩერნენკო*, რომელიც უკვე მძიმე ავადმყოფი იყო და ვერ გახდებოდა ნამდვილი ლიდერი. 1985 წლის აპრილში ჩერნენკოც გარდაიცვალა.

ახლა კი პოლიტბიუროს წევრები მიხვდნენ, რომ *გერონტოკრატიის* (ბერძნულად „*მხცოვანთა მმართველობა*") გაგრძელება და ყოველწლიურად ახალი გენერალური მდივნის არჩევა სიბერით გარდაცვლილის ნაცვლად არ იძლეოდა ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საშუალებას, ურომლისობაც როგორც სახელმწიფოსათვის, ისე მათთვის – პოლიტბიუროს წევრებისათვის – იქნებოდა დამღუპველი.

ამიტომაც მხცოვანმა წევრებმა (მათი უმეტესობა 70 წელს გადასცილდა, ზოგი კი 80-საც) პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს პოლიტბიუროს ყველაზე ახალგაზრდა წევრი – *54 წლის მიხაილ სერგეევიჩ გორბაჩოვი*. ამბობენ, რომ გენერალური მდივნის პოსტზე თვალი ეჭირა ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანს *რომანოვს*, ისიც სხვებთან შედარებით ახალგაზრდა იყო. „გამეფების" წარუმატებელი მცდელობა რომანოვს პოლიტბიუროდან გამოყვანად დაუჯდა. პოლიტიკური ჰორიზონტიდან ის სამუდამოდ გაქრა.

გორბაჩოვის არჩევის ინიციატორი იყო პოლიტბიუროს ყველაზე გავლენიანი წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, თვითონაც 80 წელს მიტანებული *ანდრეი გრომიკო*, რომელსაც ესმოდა, რომ გერონტოკრატიის კიდევ რამდენიმე წლით გაგრძელება ქვეყანას კრახამდე მიიყვანდა.

საბოლოოდ კი კრახი მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა, და სწორედ „ახალგაზრდა" გორბაჩოვს ხვდა ნილად საბჭოთა იმპერიის დაშლაზე ხელის მოწერა.

საბჭოთა კავშირის დაშლა ისტორიულ ლოგიკას ექვემდებარებოდა, მისი დაბრალება მხოლოდ გორბაჩოვისთვის, რასაც საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილი მეცნიერები, პუბლიცისტები და უბრალო ადამიანები ლამობენ, სწორი არაა. ამაზე მომდევნო თავში ვისაუბრებ.

ძირგამომპალი სახელმწიფო შენობის შეკეთების მცდელობა მძიმე შედეგით დამთავრდა.

როგორც კი დაზიანებული საძირკვლის შესაკეთებლად წერაქვი დაჰკრეს, მთელი შენობა ჩამოიქცა.

პროგნოზები და რეალობა

1969 წელს ახალგაზრდა მოსკოველმა ისტორიკოსმა *ანდრეი ამალრიკმა* ფარულად გაავრცელა ერთი თავისი ნაშრომი დისიდენტურ წრეებში. ეს ნიშნავდა *კაგებე*-ს ინფორმირებასაც, რომელსაც მრავლად ჰყავდა ინფორმატორები დისიდენტებს შორის. ნაშრომში ამალრიკი წინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირის დაშლას 1984 წლისათვის. 1984 წელი, როგორც ჩანს, იყო *ჯორჯ ორუელის* ცნობილი ანტიუტოპიის „*1984*"-ის რემინისცენცია, თუმცა 1948 წელს დაწერილ რომანში *ორუელი* ზუსტად საწინააღმდეგოზე წერდა – თითქოს 1984 წელს კომუნისტური ტოტალიტარიზმი სრულად გაიფურჩქნებოდა, თანაც დიდ ბრიტანეთში!

იმდროინდელი დასავლეთელი *სოვეტოლოგები* (იგივე *კრემლინოლოგები*) აკეთებდნენ ფრთხილ გათვლებს, თუ რამდენ ხანს გასტანს საბჭოეთის არსებობა. მაგრამ რაიმე კონკრეტული დროის განსაზღვრა ყველას უჭირდა. 1960-70-იან წლებში, 1980-იანი წლების პირველ ნახევარშიც კი, მიუხედავად გენერალური მდივნების ხშირი ცვლისა, საბჭოთა კავშირი, გარეგნულად მაინც, მონოლითივით იდგა. ქვეყნის შიგნით – მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, საზღვარგარეთ კი – პრაქტიკულად ყველას (გარდა ზოგი გამჭრიახი სოვეტოლოგისა, რომელთაც არ უჯერებდნენ), ეს სახელმწიფო მარადიულად მიაჩნდა.

საბჭოთა კავშირის, შესაძლოა უთქმელი და არადისიდენტი, მაგრამ ფარულად უკმაყოფილო მოქალაქენიც კი, განსაკუთრებით ბალტიის რესპუბლიკებში, დასავლეთ უკრაინაში, საქართველოში, რომელთაც ენატრებოდათ საბჭოთა კავშირის დაქცევა, ამას თავიანთ სიცოცხლეში არ ელოდნენ. მათ ფონზე ამალრიკი, თუნდაც სუსტი დასაბუთებით, თავისი *1984 წლით* ძალიან მიუახლოვდა საბჭოთა კავშირის რეალური დაშლის თარიღს – 1991 წელს.

ამალრიკი თავის ვარაუდს უკავშირებდა, როგორც გაირკვა, მცდარ დაშვე-

ბას – საბჭოთა კავშირ-ჩინეთის, მისი აზრით, გარდაუვალ ომს, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. 1969 წელს კი ორ კომუნისტურ გიგანტს შორის ომი სავსებით რეალური ჩანდა: უკვე მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება სასაზღვრო მდინარე *უსურიში* მდებარე კუნძულ *დამანსკის* (ჩინურად – *ჭენბაო*) დაუფლებისთვის[35]. ორივე მხარის სამხედრო რიტორიკა მეტად სახიფათო ელფერს იძენდა.

ჩემთვის კარგად ნაცნობ მოსკოვის სამეცნიერო წრეებში, რომელთა შორის მრავალი ადამიანი არაკონფორმისტულად აზროვნებდა, საბჭოთა კავშირისათვის საკმაოდ სერიოზულ საფრთხედ განიხილავდნენ ჩინეთის უზარმაზარ დემოგრაფიულ და მზარდ ბირთვულ პოტენციალს. ამიტომაც *ამალრიკი* ორიგინალური არ ყოფილა. მას ჰქონდა საფუძველი კრემლისათვის ძალიან უსიამოვნო გულახდილობისათვის, რის გამოც ციმბირის ბანაკებში რამდენიმე წლის გატარება მოუწია.

არსებობს გავრცელებული აზრი, რომ საბჭოთა კავშირი დაშალა ამერიკის პრეზიდენტ *რონალდ რეიგანის* პოლიტიკამ, როდესაც მან შეიარაღებათა შეჯიბრბაში ჩაითრია „ბოროტების იმპერია" (რეიგანის მიერვე საბჭოთა კავშირისათვის მიცემული სხარტი მეტსახელი) და ეკონომიკურად გამოფიტა იგი.

ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი.

სინამდვილეში, საბჭოთა კავშირის დაშლა განაპირობა ფაქტორების რამდენიმე ჯგუფის – *სოციალურ-ეკონომიკურის, საგარეო პოლიტიკურის, შიდაპოლიტიკურისა და სუბიექტურის* – ურთიერთქმედებამ და დროში დამთხვევამ. მათ შესახებ მომდევნო თავში მაქვს მსჯელობა.

ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორის აკუმულაცია დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა და *კრიტიკული მასის* მდგომარეობამდე მათი მიღწევა 1980-იანი წლების შუაში მოხდა. რამდენიმე პრობლემა უშუალოდ 1980-იან წლებში გაჩნდა.

მრავალი გამონვევისთვის, თუკი ისინი ცალ-ცალკე იმოქმედებდნენ, საბჭოთა კავშირს, შესაძლოა, გაეძლო. მაგრამ როდესაც რამდენიმე მძიმე ფაქტორი ერთმანეთს დაემთხვა, აღმოჩნდა, რომ სამხედრო გიგანტი თიხის ფეხებზე იდგა.

როდესაც უარყოფითი ფაქტორები ერთად დაგროვდა და საშიშ ურთიერთრეაქციაში შევიდა, *„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღვთისა"* და საბჭოეთი დაემხო.

---

[35] 2004 წელს რუსეთმა გააფორმა ხელშეკრულება ჩინეთთან, რომლის ძალითაც კუნძული *დამანსკი*, რომლისთვისაც ორმოციოდე წლით ადრე ბევრი სისხლი დაიღვარა, სხვა რამდენიმე კუნძულთან ერთად ჩინეთს დაუთმო. კუნძულები მართლაც მდინარე უსურის ჩინურ მხარესაა მოქცეული.

თავი 23

საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზები

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები

საბჭოთა (ბერდიაევის მიხედვით – „რუსული") კომუნიზმის დაცემა მნიშვნელოვანწილად *სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა* განაპირობა. ეს პრობლემები დიდხანს თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა მოსახლეობისათვის. საბჭოთა ხალხი ალბათ დიდხანს აიტანდა ამ პრობლემებს (გაჩნდა რაღაც ერთიანი „საბჭოთა სოციალური ფსიქოლოგია" – ყველაფერთან შემგუებლობის სახით), რომ არ მისცემოდა სხვა ქვეყნებთან შედარების საშუალება.

ჩანართი 23.1
მოთხოვნილების ისტორიული მაგალითი

საქართველოს „ოქროს ხანაში", როგორადაც ჩვენ მივიჩნევთ ეპოქას დავით აღმაშენებლიდან ლაშა-გიორგიმდე, ანუ XII-XIII საუკუნეებს, *ხვარაზმელი ჯალალედ-დინის* და მის შემდეგ *მონღოლების* შემოსევამდე, არა მგონია, რომ მოსახლეობას რაიმე პრეტენზია ჰქონოდა საქართველოს მეფეთა-მეფის მიმართ იმის გამო, რომ არ იშოვებოდა ტუალეტის ქაღალდი, საპარსი კრემი, ბინაში ვერ დააყენებდი ტელეფონს. ამ პროდუქტების არსებობის შესაძლებლობაც კი იმ დროს უცნობი იყო, თუნდაც გარშემო *ოქროს ხანა* მდგარიყო! ამდენად, არ იყო არც მოთხოვნილება. აი, მონღოლებს რომ ჰქონოდათ მობილური ტელეფონები...

იმ დროის ადამიანები ამ „ოქროს ხანას" თავისებურად გრძნობდნენ: ფეოდალი სავსებით ბედნიერი იქნებოდა, თუკი მეზობელი მხარის (საერისთავოს/სახანოს/სასულტნოს) რბევის საშუალება მიეცემოდა; გლეხი სავსებით ბედნიერი იქნებოდა, თუკი მის მიწურს გაზაფხულის წვიმა არ დატბორავდა, ხოლო ერთადერთი ძროხის მიერ მოგებულ ხბოს ბატონი არ წაჰგვრიდა.

მუხრან-ბატონის ყმობითა
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
დეკეული ვერ გავზარდე,
კალო ვერ ვლენე მოზვრითა.

ეს ლექსი, რომელიც გენიალურ „ჩაკრულო"-ში იმღერება, როგორც ჩანს, XIX საუკუნის პირველ ნახევარშია შექმნილი. მაგრამ, არა მგონია, წინა საუკუნეებში ყმას ნაკლები პრობლემები ჰქონოდა: დეკეულს ან რომელიღაც მუხრან-ბატონი შეუჭამდა, ან რომელიღაც თემურ-ლენგი. XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მთავრებსა და ბრწყინვალე თავადებს ყმისათვის შეილიც შეეძლოთ წაერთმიათ და გაეყიდათ.

გლეხი მადლობას შესწირავდა უფალს, თუკი ასეთი განსაცდელი გვერდს აუვლიდა მას: მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილდებოდა!

თუკი საზოგადოებას არა აქვს უკეთესი მაგალითი, რომელსაც შეუძლია შეადაროს საკუთარი მდგომარეობა, მისი წევრების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად კმაყოფილია ხოლმე ცხოვრებით.

მოთხოვნილება არსებობს ისეთ რამეზე, რაც ცნობილია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში ბევრი რამის – იმავე საპარსი კრემის, ქალის კოლგოტების, ტუალეტის ქაღალდის და ა.შ. – დეფიციტი იმის გამო გაჩნდა, რომ *ხალხმა გაიგო, ეს ყველაფერი თურმე უხვად არსებობს „ლპობადი კაპიტალიზმის ქვეყნებში"*: საბაზრო ეკონომიკისა და მრავალპარტიული დემოკრატიის მქონე დასაელეთის ქვეყნებს საბჭოთა პროპაგანდა სტალინიდან გორბაჩოვამდე ამ ეპითეტით ამკობდა.

ასეთ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საგნებზე ლაპარაკი გვიხდება იმის გამო, რომ ყველაზე მეტად სწორედ საყოფაცხოვრებო საკითხები ზემოქმედებს მასობრივ ცნობიერებაზე.

უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ძლევამოსილი წითელი არმიის ჯარისკაცები შეესივნენ დაცემულ გერმანიას, მათ პირველად ნახეს უამრავი საყოფაცხოვრებო ნივთი, რომელთა შესახებ ადრე არც არაფერი სმენოდათ. ზოგი ასეთი ნივთი მათ შინ ჩამოიტანეს კიდეც.

ფარულად დადიოდა ასეთი ანეკდოტი: *„სტალინის ძირითადი შეცდომა იყო, რომ მან ევროპას აჩვენა ივანი და ივანს აჩვენა ევროპა"*. „ივანმა" (ეს იყო ეთნიკური რუსების სარკასტული კრებითი სახელი) გაიგო, რომ არსებობს „კარგი ცხოვრება", როდესაც ბინაში შეიძლება გქონდეს აბაზანა და შხაპი ცხელი წყლით, რადიომიმღები, ფოტოაპარატი, ელექტროსაკერავი მანქანა, ხელზე გეკეთოს მაჯის საათი. ასეთი, დღევანდელი გაგებით, სულ უბრალო რამეები „გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის", როგორადაც სტალინმა უკვე 1936 წელს გამოაცხადა თავისი სამფლობელო, ადამიანების უდიდეს უმრავლესობას 1950-იანი წლების ბოლომდე არ ჰქონია. საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკა ხომ უპირველესად ქვეყნის სამხედრო ძლიერებაზე ზრუნავდა? ასე მაგალითად, 1930-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში სულ ორი საოჯახო მაცივარი იყო, ისიც ჩამოტანილი ამერიკიდან (სადაც ის, მართალია, მაშინ ძვირი კი იყო, მაგრამ მაღაზიებში თავისუფლად იყიდებოდა):

ერთი მაცივარი ვაჭრობის სახალხო კომისარს ანასტას მიქოიანს ედგა სახლში, მეორე – სტალინს, თავის აგარაკზე.

დამარცხებულ და დაქცეულ გერმანიაში შესულმა საბჭოთა ჯარისკაცებმა კი ნახეს მოსახლეობის ცხოვრების ბევრად უფრო მაღალი დონე და ჩუმჩუმად უყვებოდნენ ამის შესახებ პირდაღებულ ოჯახის წევრებსა და ახლო მეგობრებს. მართალია, ეს დიდი რისკი იყო: ასეთი საუბრების გამჟღავნების შემთხვევაში „ყბედს" ციმბირი არ ასცდებოდა.

სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში, და, განსაკუთრებით, ხრუშჩოვის ხანაში, ამ სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის აღმოფხვრას უკვე ცდილობდნენ. სამხედრო საწარმოებს დაევალათ შეექმნათ სამოქალაქო ტექნიკის მწარმოებელი საამქროები და, მაგალითად, ტანკებთან ერთად სარეცხი მანქანებიც გამოეშვათ. მაგრამ ასეთი პროდუქციის მოცულობა მცირე იყო, ხარისხი კი – უცხოურთან შედარებით ბევრად დაბალი.

ეს კიდევ უფრო ნათელი გახდა, როდესაც 1959 წელს მოსკოვში გაიმართა ამერიკული საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოფენა, რომელსაც სრულიად საკავშირო რეზონანსი მოჰყვა: გამოფენის ბუკლეტები გაცვეთამდე გადადიოდა ხელიდან ხელში კალინინგრადიდან ვლადივოსტოკამდე და მურმანსკიდან აშხაბადამდე. ხალხმა აღმოაჩინა, რა შეუძლია აწარმოოს „ლპობის პროცესში მყოფმა კაპიტალიზმმა"!

იმავე წელს საბჭოთა კავშირი და აშშ შეთანხმდნენ, რომ ერთიმეორის ტერიტორიაზე გაავრცელებენ ჟურნალებს „Soviet Union" და „Америка". არა მგონია, საბჭოთა ჟურნალს, რომელიც ამერიკის საგაზეთო დახლებზე საჯაროდ იყო გამოფენილი, ოკეანეს გაღმა ვინმე მოეხიბლა, თუმცა ის ძალიან პრიალა ქაღალდზე იბეჭდებოდა და მასში ეწერა მამაც საბჭოთა კოსმონავტებზე და საბჭოთა ბალეტის არაჩვეულებრივ წარმატებაზე. იქვე იყო ლამაზი ბალერინების დიდი სურათები.

ჟურნალი „Америка" კი ხელმოწერით ურიგდებოდა ყველაზე საიმედო საბჭოთა მოქალაქეებს, იმ პირობით, რომ ისინი სხვებს არ აჩვენებდნენ მას. მაგრამ ჟურნალი მაინც საყოველთაოდ ხდებოდა ცნობილი. მასში ნაჩვენები იყო საბჭოთა ხალხისათვის მიუღწეველი ამერიკელთა მატერიალური კეთილდღეობა, დახვეწილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ჟურნალში ყოველ წელს იბეჭდებოდა ახალ-ახალი მოდელის „ფორდების", „კადილაკების", „ჯიპების", „ბიუიკების", „შევროლეების" ფოტოები.

მაშინდელი განიერი, გრძელი, 300-ცხენისძალიანი (ბენზინი 1970-იან წლებამდე მსოფლიოში საოცრად იაფი იყო) მოდელები XXI საუკუნის დასაწყისში პრეისტორიულ მონსტრებს გვაგონებს, მაგრამ თავის დროზე ისინი შურისაღმძვრელ აღტაცებას ინვევდნენ. საბჭოთა კავშირში ხომ სულ ორი მოდელის მსუბუქ ავტომანქანას – „პობედას" (შემდეგ „ვოლგას") და „მოსკვიჩს" –

უშვებდნენ, რომლების დიზაინიც ათწლეულების მანძილზე არ იცვლებოდა და მათაც თავისუფლად ვერ იყიდდი! 1970 წლის შემდეგ საბჭოთა მსუბუქი ავტომობილების მცირე კოპორტას შეემატა მხოლოდ იტალიური პროტოტიპის მქონე „ჟიგული" და გაურკვეველი პროტოტიპის მქონე პრიმიტიული „ზაპოროჟეცი".

1950-იანი წლების შუაგულამდე ჯერ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი სოციალისტურ ბლოკსა და დასავლეთის დემოკრატიებს შორის არსებულ რაღაც თანასწორობაზე მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით (ამერიკის გარდა ყველგან დაბალი დონე იყო), მსგავსებაზე საზოგადოების ტექნიკურ აღჭურვილობაში. ბოლოს და ბოლოს, ომმა საბჭოთა კავშირზე არანაკლებ დააზარალა მთელი ევროპა; დაბომბილი გერმანია და იაპონია საერთოდ დაიქცნენ. იქ ყველგან ერთ ხანს შიმშილი და სიღატაკე ზედაპირზე ჩანდა.

ამერიკა „მარშალის გეგმით" დაეხმარა დასავლეთ ევროპასა და იაპონიას. კერძო მენარმეობამ, სხვანაირად – კაპიტალიზმმა, თავისი ფხა გამოაჩინა. 1960-იანი წლებიდან განსხვავებათა უფსკრული ორ სოციალურ სისტემას შორის სულ უფრო ღრმავდებოდა: მატერიალური კეთილდღეობის შექმნაში კომუნისტური სისტემა ვეღარ ეწეოდა კაპიტალისტურ სისტემას, რომელმაც სწრაფად დაძლია ნგრევა და განვითარდა.

საბჭოთა კავშირის ჩამორჩენა შეერთებულ შტატებთან შეჯიბრებაში იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ კრემლმა თავის სატელიტებად აქცია ინდუსტრიულად განვითარებული ჩეხოსლოვაკია და აღმოსავლეთ გერმანია, რომლებიც შედარებით მაღალი ხარისხის სამრეწველო საქონელს აწვდიდნენ მეტროპოლიას – საბჭოთა კავშირს. შედარებით კარგი ხარისხის კვების პროდუქტებითა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმით საბჭოთა კავშირს ასევე ამარაგებდნენ ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი.

მაგრამ თვით გიგანტური იმპერია ვერ ახერხებდა სამომხმარებლო საქონლის მუდმივი დეფიციტის აღმოფხვრას. სწრაფად განახლებადი დასავლური პროდუქციის ფონზე მისი მანქანათმშენებლობის პროდუქცია მორალურად განუწყვეტლივ ძველდებოდა. ეს შეფასება არ ეხება მხოლოდ საბჭოთა სამხედრო მრეწველობის ნაწარმს, რომლის ხარისხზე განსაკუთრებული ზრუნვა იყო. საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, რომელსაც ძალიან კარგად აფინანსებდნენ, სტიმულად ჰქონდა ამერიკასთან „შეიარაღებათა შეჯიბრება".

ხრუშჩოვი ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ. ამერიკაში ვიზიტმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას შეექმნა ილუზია, რომ საბჭოეთსაც შეეძლო მიეღწია განვითარების ანალოგიური დონისათვის.

რეალურად კი, გეგმური ეკონომიკა ამის საშუალებას არ იძლეოდა. მაშინაც კი იწვევდა სიცილს (თუმცა საჯაროდ ძალიან თავშეკავებულს) ამჟამად ოდი-

ოზურად გამომზირალი ლოზუნგი, 1957 წელს წამოსროლილი ხრუშჩოვის მიერ *„დაველიოთ და გავასწროთ ამერიკას ერთ სულ მოსახლე ზე ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოებით“*. ასეთი გიგანტური პლაკატებით – ამას „თვალსაჩინო აგიტაცია“ ერქვა – იყო აჭრელებული მთელი ქვეყანა; ეს ლოზუნგი საქალაქო ავტობუსებსაც კი მიაკრეს (ახლა ავტობუსებზე კაზინოების რეკლამაა: თუ ხრუშჩოვისდროინდელი რეკლამა სასაცილო იყო, ახლანდელი რეკლამები საზოგადოებისათვის უბედურების მომტანია). სინამდვილეში კი საბჭოთა სოფლის მეურნეობამ ვერასოდეს ვერ მიაღწია 1913 წლის დონეს, როდესაც რუსეთის იმპერიაში მეცხოველეობის პროდუქტების დეფიციტი კი არ იყო, არამედ – საექსპორტო ნაჭარბი.

მოუქნელი ცენტრალიზებული დაგეგმვა, გიგანტური სამხედრო ხარჯები, რომლებიც ბიუჯეტის მესამედზე მეტს ნთქავდა, არ აძლევდა საბჭოთა კავშირს საშუალებას, გათანაბრებოდა დასავლეთის ქვეყნებს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონით. არადა, 1960-იანი წლებიდან ეს გაცხადებული იყო, როგორც კომპარტიის მთავარი მიზანი. 1961 წელს, კომპარტიის XXI ყრილობაზე ხრუშჩოვმა თავდაჯერებულად გამოაცხადა, რომ *„20 წლის შემდეგ საბჭოთა ხალხი კომუნიზმის პირობებში იცხოვრებდა“*. საბჭოთა ხალხი ამ განცხადებას ირონიულად აღიქვამდა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მატერიალური კეთილდღეობისათვის რაღაც კეთდებოდა. მაგალითად, 1970 წელს გაიხსნა იტალიური ავტოკონცერნის „Fiat“-ის ლიცენზიითა და იტალიელი სპეციალისტების ტექნიკური დახმარებით აშენებული დიდი ავტოქარხანა ვოლგის ნაპირზე მდებარე ქალაქ *ტოლიატიში*. მაგრამ მსუბუქ ავტომანქანებზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა.

საბჭოთა კავშირში ეკონომიკურად აბსურდული ვითარება შეიქმნა: ნახმარი მანქანა ახალზე ძვირი ღირდა! ახალი ავტომანქანა თავისუფლად არ იყიდებოდა: მას ანაწილებდნენ შრომით კოლექტივებში. ნახმარ მანქანას კი კაცი საბაზრო ფასად თუ იყიდიდა, რომელიც ახალი მანქანის ნომინალურ ფასზე მეტი იყო (ყიდვა-გაყიდვა დაბალ ფასად ფორმდებოდა, სახელმწიფო ბაჟის შესამცირებლად!). „ჟიგულის“ მარკის ავტომობილებს, რომლის პროტოტიპი იყო 1966 წლის მოდელის „Fiat-124“, და მის მოდიფიკაციებს საბჭოთა კავშირში/რუსეთის ფედერაციაში კიდევ სამი ათეული წელი პრაქტიკულად უცვლელად უშვებდნენ და ის მორალურად განუწყვეტლივ ძველდებოდა.

უკვე 1970-იანი წლებიდან, როცა იტალიელ სპეციალისტებს მივლინების ვადა ამოეწურათ, საბჭოთა წარმოების „ჟიგულის“ ხარისხი მკვეთრად დაეცა. არ იყო კონკურენცია და, შესაბამისად, არც სტიმული ხარისხის გასაზრდელად.

ყველამ იცოდა, რომ „იმპორტული სჯობს ადგილობრივს“.

1973 წლიდან, ნავთობის მსოფლიო ფასის მოულოდნელი ზრდის წყალობით,

საბჭოთა კავშირს შეექმნა საშუალება, გაეზარდა სამომხმარებლო საქონლის იმპორტი. საექსპორტოდ კი, დასავლეთის ქვეყნებისა და იაპონიის ბაზრებზე, საბჭოთა კავშირს მხოლოდ *ნედლეული, უპირველესად ნავთობი და ხე-ტყე* გაჰქონდა. განვითარებად ქვეყნებში ის იაფად ყიდდა თავისი სამოქალაქო მანქანათმშენებლობის დაბალხარისხოვან პროდუქციას, ან „მეგობარ ქვეყნებს" აწვდიდა თავისი სამხედრო მრეწველობის შედარებით მაღალხარისხოვან ნაწარმს – ტანკებს, თვითმფრინავებს, რაკეტებს, კალაშნიკოვის ავტომატებს.

გაზი (ბუნებრივი აირი) დიდხანს, XX საუკუნის თითქმის დასასრულამდე, იაფი იყო. ჩრდილოეთის ზღვის ჰოლანდიურ, ბრიტანულ და ნორვეგიულ სექტორებში 1960-იან წლებში გაზის დიდი საბადოები აღმოჩნდა. დასავლეთ ევროპა იმ დროს გაზის ნაკლებობას არ განიცდიდა. მხოლოდ XX საუკუნის ბოლოდან იქცევა გაზის ექსპორტი რუსეთის საგარეო პოლიტიკის ქმედით იარაღად.

როგორც ზევით ითქვა, 1970-იან წლებში *ნედლი ნავთობის* მსოფლიო ფასი იზრდებოდა. მაგრამ 1980-იან წლების შუაგულიდან ფასის დინამიკა შეიცვალა: მან სწრაფი კლება იწყო. დასავლეთში ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები შეიმუშავეს. გარდა ამისა, *აშშ-ის ზეწოლით 1985 წლიდან საუდის არაბეთმა მკვეთრად გაზარდა ნავთობის მიწოდება მსოფლიო ბაზარზე, რამაც კიდევ უფრო გააიაფა იგი.* ამერიკელები უარყოფენ ბრალდებას *„საბჭოთა კავშირის და ზარალების ამ მზაკვრულ გეგმაში"* მონაწილეობის შესახებ. თუმცა ვინ იცის?

ფაქტია, რომ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ბარელი ნავთობის მსოფლიო ფასის 8-12 დოლარამდე დაცემამ ყველაზე მძიმედ სწორედ საბჭოთა კავშირზე იმოქმედა, რომელსაც ნავთობის მსოფლიო ბაზრის მესამედზე მეტი ეჭირა. იქამდე ის „ნავთობდოლარებში ცურავდა", ახლა კი თავისი საექსპორტო შემოსავლის შესანარჩუნებლად სულ უფრო მეტი ნედლი ნავთობი უნდა გაეყიდა საზღვარგარეთ, რაც ტექნიკურად შეუძლებელი იყო.

საბჭოთა კავშირში ცენტრალიზებულად დგინდებოდა ფასები 25 მილიონ (!) პროდუქტსა და მომსახურებაზე, რაც გარდაუვალად იწვევდა უამრავ „სუბიექტურ გადახრასა" და გაუგებრობას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი ფასებს არეგულირებს მოთხოვნა და მიწოდება.

პროდუქციის წარმოებაზე ფაქტობრივი დანახარჯი სჭარბობდა იმავე პროდუქციის წინასწარ დადგენილ დაბალ ფასს. ამ განსხვავების დაფარვას, მაგალითად, 1988 წელს მოხმარდა სახელმწიფო ბიუჯეტის 20 (!) პროცენტი. ამაში თითქოს ჩანდა საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა ადამიანზე. მაგრამ სინამდვილეში ეს მოწმობდა წარმოების სოციალისტური სისტემის უნაყოფობას. რითი უნდა შევსებულიყო ბიუჯეტი, რომლიდანაც დოტაციას იხდიდნენ დიდი თვითღირებულების მქონე პროდუქციის იაფად გასაყიდად? მხოლოდ

ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. ნავთობი კი მსოფლიოში იაფდებოდა.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში ფაქტობრივად გაკოტრებული საბჭოთა კავშირი, რომელსაც უხდებოდა მძიმე სამხედრო ხარჯების განევა აღლანეთში და ამერიკასთან „შეიარაღებათა შეჯიბრებაში" მონაწილეობა, იძულებული გახდა, გაეზარდა *სამომხმარებლო ფასები* ხელფასისა და პენსიის გაზრდის გარეშე.

1990-იანი წლების ეკონომიკური კატასტროფის ფონზე საბჭოეთის დროინდელი ფასების მატება ბევრს გადაავიწყდა. მაგრამ მაშინ, კარგად მახსოვს, მოსახლეობა საკმაოდ ღიად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას მატერიალური მდგომარეობის ფარდობითი გაუარესების გამო.

კრემლში მიიჩნიეს, რომ საჭიროა გარკვეულ დათმობაზე წასვლა და რაღაც „საბაზრო ეკონომიკის" მსგავსის შექმნა. ამიტომაც 1988 წლიდან ნება დართეს, დაწყებულიყო კერძო კოოპერატივების შექმნა. ბიუროკრატიული წინაღობების მიუხედავად, ფაქტობრივად წარმოქმნა დაიწყო ჯერჯერობით მცირე მასშტაბის *კერძო წარმოებამ*. სხვათა შორის, ის ოლიგარქები, განსაკუთრებით რუსეთსა და უკრაინაში, რომლებმაც 1990-იანი წლების დამდეგს პრივატიზაციის პროცესში წარმატებით დაიტაცეს სახელმწიფო ქონება, ძირითადად *კოოპერატიული მოძრაობის* საფუძველზე აღმოცენდნენ და მეტ-ნაკლებად ლეგალურად დააგროვეს პირველადი კაპიტალის ნაწილი.

პატარა კოოპერატივები ვერ გადაწყვეტდნენ დიდი ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს. საჭირო იყო ოფიციალური ნებართვა მათ შერწყმაზე, კონგლომერატების შექმნაზე, საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში კერძო ფირმების უშუალო მონაწილეობაზე. ეს კაპიტალიზმში დაბრუნებას ნიშნავდა. კომპარტია ამაზე ვერ მიდიოდა.

ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა 1986 წელს მომხდარმა *ჩერნობილის ტრაგედიამ* – უკრაინაში მდებარე ატომური ელექტროსადგურის ერთი ბლოკის აფეთქებამ. რადიაციულად დაბინძურდა და გამოუსადეგარი გახდა დიდი ფართობი ევროპულ საბჭოთა კავშირში; რადიოაქტიური ამოფრქვევის გასაჩერებლად ძვირადღირებული სარკოფაგის აშენება გახდა საჭირო.

გარდა ამისა, ხელისუფლების გაუთვლელმა ნაბიჯმა – *ანტიალკოჰოლურმა კამპანიამ*, ფაქტობრივად „მშრალი კანონის" შემოღებამ – დიდად დააზარალა საბჭოთა ხაზინა: სახელმწიფოს მიერ მონოპოლიურად წარმოებული ალკოჰოლის გაყიდვა მკვეთრად შეიზღუდა. არყის მომხმარებელმა სლავურმა მოსახლეობამ, რომელსაც საყვარელი სასმელის სახელმწიფო მაღაზიაში შეძენა აღარ შეეძლო, მასობრივად დაიწყო *„სამოგონის"* – ფალსიფიცირებული არყის – შინ წარმოება. ამის გამო ქვეყანაში დიდ დეფიციტად იქცა შაქარი!

სოციალურ ფაქტორებს შორის არ შეიძლება არ ვახსენოთ *დემოგრაფიული*

სიტუაციის გაუარესებაც. რუსეთის იმპერიაში *რუსები* (მაშინ ეს ცნება ყველა *აღმოსავლეთის სლავს* მოიცავდა) რაოდენობრივად აბსოლუტურად დომინანტი ეთნოსი იყო – 70 პროცენტზე მეტი – და სწრაფად მრავლდებოდა. სამოქალაქო და მსოფლიო ომებმა, 1930-იანი წლების რეპრესიებმა მკვეთრად შეამცირა ეთნიკური რუსების ხვედრითი წილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში, თანაც უკრაინელები და ბელორუსები თავად მოსკოვმა აღიარა ცალკე ერებად. მოსახლეობის *1989 წლის აღწერის თანახმად, ეთნიკური რუსები ქვეყანაში 50 პროცენტს ოდნავ აჭარბებდნენ* და მათი წილი განუწყვეტლივ კლებულობდა. რუსებს შორის დაეცა შობადობა; მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა განუხრელად მცირდებოდა, ძირითადად ალკოჰოლიზმის გავლენით.

რუსების რაოდენობრივი კლება განსაკუთრებით აშფოთებდა სამხედრო ხელმძღვანელობას. 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა არმიაში გაწვეულთა შორის უმრავლესობას უკვე შეადგენდნენ ე.წ. „მუსლიმები" – ცენტრალური აზიის, ვოლგისპირეთის, ჩრდილო კავკასიის ხალხების წარმომადგენლები, აზერბაიჯანელები. ბევრ მათგანს რუსული ენა არ ესმოდა და რთული სამხედრო ტექნიკის ათვისებაც არ შეეძლო.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და არარუსული რესპუბლიკების თავიდან მოშორებამ რუსეთს გარკვეული, თუმცა დროებითი, *„დემოგრაფიული შვება"* მოუტანა. *ცალკე აღებულ რუსეთის ფედერაციაში* ეთნიკურმა რუსებმა 2010 წელს 77,7 პროცენტი შეადგინეს. მაგრამ საბჭოთა კავშირის დროინდელი დემოგრაფიული ტენდენცია გრძელდება: დაბალი შობადობისა და ალკოჰოლიზმის გამო რუსული ეთნოსი რაოდენობრივად და პროპორციულად მცირდება. დამოუკიდებელ რუსეთის ფედერაციაში ყოველწლიურად დაბადებულთა რაოდენობა გარდაცვლილებზე თითქმის მილიონი ადამიანით ნაკლებია. გარკვეულ ბალანსს მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა სახელმწიფოებიდან იმიგრაციის წყალობით ინარჩუნებენ. ეს კი რუსეთში იმავე „მუსლიმების" რაოდენობრივ ზრდას ნიშნავს.

მაგრამ მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გაუარესება საბჭოთა კავშირს ვერ დააქცევდა.

საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები

1960-იანი წლებიდან ევროპულმა კოლონიურმა სახელმწიფოებმა ძირითადად მშვიდობიანად მოიშორეს კოლონიები. გამონაკლისი იყო საფრანგეთი, რომელმაც ინდოჩინეთისა და, შემდეგ, ალჟირის შენარჩუნება სამხედრო ძალის მეშვეობით ამაოდ სცადა. ყველაზე გვიან, 1970-იან წლებში, კოლონიები მოიშორა პორტუგალიამ.

კოლონიები მძიმე ტვირთად იქცნენ: ადრინდელი მოგების ნაცვლად მათ მხოლოდ ხარჯი მოჰქონდათ.

საბჭოთა კავშირმა კი დაუფიქრებლად სცადა ახალშექმნილი „პოლიტიკური ვაკუუმის" შევსება და დამკვიდრება იქ, საიდანაც ევროპული კოლონიური იმპერიები ძირითადად ნებაყოფლობით გავიდნენ.

კრემლმა ფორმალურად იდეოლოგიური, რეალურად კი – გეოპოლიტიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე, თავის თავზე აიღო ახალგამოჩეკილი „სოციალისტური ორიენტაციის" დიქტატორების რჩენა. „მესამე სამყაროს სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებად" კრემლი სხვადასხვა პერიოდში მიიჩნევდა ეგვიპტეს, სირიას, ერაყს, ალჟირს, სამხრეთ იემენს, ლიბიას, ვიეტნამს, ბირმას, კამბოჯას, ლაოსს, კუბას, ანგოლას, ეთიოპიას და სხვ. „საბჭოთა/რუსული მოდელის კომუნისტურ ქვეყნებად" მათ შორის მხოლოდ კუბასა და ვიეტნამს თუ მივიჩნევთ.

ყველა „სოციალისტური ორიენტაციის ქვეყანა" საბჭოთა კავშირს უპირველესად აინტერესებდა, როგორც „ანტიიმპერიალისტური" (ე.ი. ანტიამერიკული) ფორპოსტი, სადაც შეიძლებოდა სამხედრო ბაზების შექმნა ან ისეთი ნედლეულის მონოპოლიურად მიღება, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო „მტრის ბანაკისთვისაც". მაგრამ გარეგნულად ეს პოლიტიკური მიზნები ინიღბებოდა, როგორც ხელშეწყობა „სახალხო დემოკრატიის განვითარებისათვის სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებში". კრემლი თვალს ხუჭავდა იმაზეც კი, რომ იქაური დიქტატორები ადგილობრივ კომუნისტებს სასტიკად სდევნიდნენ (ეს ხდებოდა, მაგალითად, ეგვიპტეში, სირიაში, ერაყში).

საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნებს უშენებდა დიდ ინფრასტრუქტურულ და სამრეწველო ობიექტებს, აწვდიდა სამხედრო საჭურველს, სურსათს, გარკვეულ ფინანსურ დახმარებას, რაც ფორმდებოდა, როგორც ხანგრძლივვადიანი დაბალპროცენტიანი სესხი. ეს ყველაფერი ბარტერული გაცვლის საფუძველზე ხდებოდა: სამხედრო და ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო იმ დროს ჩამორჩენილი ქვეყნების ტრადიციული ექსპორტის საგნები, მაგალითად, მატყლი, ტყავი, ბამბა, თამბაქო, ტროპიკული ხილი, ზოგი ტიპის მადანი და ა.შ.

რეალურად, საბჭოთა კავშირისათვის, რომელსაც თავისი გასაჭირიც ჰყოფნიდა, ეს „დახმარება" უფრო ხარჯი იყო, ვიდრე შემოსავალი: ამ ქვეყნებიდან ზოგიერთს დღემდე არ გადაუხდია მრავალი მილიარდი დოლარის ვალი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციისათვის და ის ვერც დაიბრუნებს ამ ვალს.

რუსეთში, სადაც მწვავედ განიცდიან „იმპერიის დაკარგვას", საბჭოთა კავშირის დაშლის მთავარ მიზეზად ამერიკის პოლიტიკას მიიჩნევენ.

დაშლის მთავარი მიზეზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გიგანტური სახელ-

მწიფოს დასუსტების ერთ-ერთი ფაქტორი ცივი ომის დროს არსებული კონფრონტაციაც იყო. ამაზე ზემოთ ითქვა (თავი 20); იქვე ვახსენე პრეზიდენტ რონალდ რეიგანის როლი „ბოროტების იმპერიის" დაქცევაში.

ამერიკას მართლაც ჰქონდა განზრახვა დაესუსტებინა საბჭოთა კავშირი. მაგრამ პოლიტიკოსებსა და სოვეტოლოგებს წინდანინვე შეეძლოთ გაეთვალათ ისიც, რომ საბჭოეთის დაშლა უამრავ ახალ თავსატეხს გაუჩენდა იმავე ამერიკას. ასეც მოხდა.

2009 წელს, როდესაც დიდ ბრიტანეთში მიღებული წესის თანახმად, „საიდუმლო გრიფი" მოეხსნა 30 წლის წინანდელ ინფორმაციას, გაირკვა, რომ იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ თეთჩერი წინააღმდეგი იყო ბერლინის კედლის დანგრევისა და გერმანიის გაერთიანებისა. მისი გაერთიანება დასავლეთ ევროპის სხვა ლიდერებსაც აშინებდათ (თუმცა ხმამაღლა ამას არ ამბობდნენ): ასეთ შემთხვევაში გერმანია ისევ ხდებოდა ევროპის უდიდესი ქვეყანა. ბერლინის კედლის დანგრევის მომხრეები მეტნი აღმოჩნდნენ კრემლის პოლიტბიუროში, ერთ-ერთი ასეთი იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. დასავლეთს არც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლა აძლევდა ხელს: ასეთ შემთხვევაში ირღვეოდა სამხედრო ბალანსი და ნატოს არსებობა საერთოდ ზედმეტი ხდებოდა.

მაგრამ ისტორია ხშირად მიდის თავისი გზით და პოლიტიკური ლიდერებიც კი ვერ ახერხებენ მის შეჩერებას.

პერესტროიკამ და, განსაკუთრებით, გლასნოსტმა საბჭოთა კავშირის გარე იმპერიაზე რადიკალურად იმოქმედა. „მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში" ძალიან სწრაფად აღორძინდა ნაციონალური იდეა.

პოლონეთში, მაგალითად, ამას ძალიან შეუწყო ხელი რომის პაპის, იოანე პავლე II-ის პოლონურმა წარმოშობამ: ის იყო დიდად განათლებული, უზარმაზარი ქარიზმის მქონე ადამიანი. პოლონელებისათვის, რომლებზეც ეკლესიას დიდი გავლენა აქვს, „მათი პაპი" თავისუფლების მიღწევაში უმთავრეს შემწედ იქცა.

სოციალისტური ბლოკის წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც ფორმალურად სუვერენულები იყვნენ, გაეროს წევრებიც კი, თავიანთი ფაქტობრივი სუვერენული უფლებებიც მოითხოვეს. გარდა ამისა, იქ მალე აღორძინდა საბაზრო ეკონომიკაზე დაბრუნების ტენდენციაც.

1989 წლის 27 ივნისს დაიწყო „სოციალისტური ბანაკის" *საზღვრების მოშლა*. ეს რეჟიმის დაცემის პრელუდია გახდა.

იმ დღეს კომუნისტურ უნგრეთსა და კაპიტალისტურ ავსტრიას შორის უნგრეთის მოსახლეობამ მოშალა საზღვარი. უნგრეთის სასაზღვრო დაცვას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ისინი უპირველესად უნგრელები იყვნენ და მხოლოდ შემდეგ – კომუნისტები!

ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ იქამდე ურყევი და საზღვარშეუვალი „ვარშავის პაქტის" ქვეყანა თავის მოსახლეობას აღარ უშლიდა „რკინის ფარდის" გაღმა გასვლას.

იმავე 1989 წელს ამას მოჰყვა *„ბერლინის კედლის" დანგრევა*, 1990 წელს – *გერმანიის გაერთიანება*, უსისხლო რევოლუციები *ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, უნგრეთში*, სისხლიანი რევოლუცია – *რუმინეთში*, *„ვარშავის პაქტის" დაშლა*, მრავალპარტიული არჩევნები ყველა ამ ქვეყანაში და არაკომუნისტური პარტიების (ან ეროვნულ ძალად სასწრაფოდ გარდაქმნილი კომუნისტების) ძალაუფლებაში მოსვლა.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სახელწიფოებმა – საბჭოთა კავშირმა, ამერიკამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა გერმანიას გაერთიანების უფლება მისცეს. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მოსკოვში 1990 წლის 12 სექტემბერს. 3 ოქტომბერს გერმანიის ერთიანობა და სრული სუვერენიტეტი აღდგა. *გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შევიდა აღმოსავლეთი გერმანია* (ყოფილი *გდრ*), რომლის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ერთიანი სამშობლოს აღდგენას აღტაცებით შეხვდა. სხვა საქმეა, რომ გაერთიანებას დიდხანს გაჰყვა სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეკონომიკური გართულებები.

გერმანიის გაერთიანებაზე გორბაჩოვის თანხმობამ მსოფლიოს ააცილა მძიმე და, შესაძლოა, სისხლისმღვრელი კონფრონტაცია. სხვათა შორის, *გაერთიანებული გერმანია რუსეთის ფედერაციისათვის ყველაზე საიმედო ეკონომიკური და, გარკვეულად, პოლიტიკური პარტნიორი გახდა*. ამრიგად, ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, გორბაჩოვმა თავის სამშობლოს კარგი საქმე გაუკეთა.

კომუნისტური რეჟიმები ძირითადად მშვიდობიანად დაემხო.

აჯანყებული ხალხისათვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა მხოლოდ რუმინეთის კომუნისტმა დიქტატორმა *ნიკოლაე ჩაუშესკუმ*. საბოლოოდ მას საკუთარი გარემოცვა განუდგა და ჩაუშესკუ ერთადერთი კომუნისტური ლიდერი აღმოჩნდა, რომელიც დახვრიტეს (საკუთარ ცოლთან ერთად). ყოფილი ვარშავის პაქტის სოციალისტური ქვეყნების ყველა სხვა ლიდერი გამარჯვებულებმა დაინდეს: ისინი ან პენსიაზე გაუშვეს ან ემიგრაციაში წასვლის საშუალება მისცეს (ასე მოიქცა, მაგალითად, გდრ-ის ყოფილი მეთაური *ერიხ ჰონეკერი*). თუმცა ჩაუშესკუს დიდი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი რუმინელი ხალხის წინაშე, სამართლის თვალსაზრისით, რასაკვირველია, საჭირო იყო მისი კანონიერი გასამართლება და, ვთქვათ, პატიმრობის მისჯა, რაც ცოტა ხანში ამნისტიით დამთავრდებოდა. მაგრამ არც ერთი რევოლუციის დროს ჰუმანიტარულ ნორმებს არ იცავენ. მით უმეტეს, რომ არც ჩაუშესკუ იცავდა საკუთარი ქვეყნის კანონებს...

ეს ყველაფერი *საბჭოთა კავშირის გარე იმპერიის* ნგრევა იყო!

საგარეო პოლიტიკური ფაქტორებიდან საბჭოთა კავშირის დასასუსტებლად ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ძვირადღირებული *შეიარაღებათა შეჯიბრი* და, არანაკლებ ძვირადღირებული და სახელის გამტეხი *ათწლიანი ომი ავღანეთში*. 1989 წელს გორბაჩოვმა ავღანეთიდან ჯარი კი გამოიყვანა, მაგრამ საბჭოთა კავშირისათვის მიყენებული საგარეო-პოლიტიკური ზარალი აუნაზღაურებელი დარჩა.

დასავლეთის ლიდერები უღიმოდნენ და მადლობას უხდიდნენ პრეზიდენტ გორბაჩოვსა და საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძეს „კომუნისტური რეჟიმისათვის ადამიანური სახის მიცემისათვის", მაგრამ გულში, ალბათ, უხაროდათ უძლიერესი მტრის დასუსტება და ასპარეზიდან მისი ჩამოშორება.

საბჭოთა კავშირს შემოეცალნენ ძალით შეკავშირებული „მოკავშირეები".

1990 წელს გორბაჩოვს ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა იმისათვის, რომ მან აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება მისცა.

მაგრამ თავის ქვეყანაში გორბაჩოვს სულ უფრო მეტი კრიტიკოსი უჩნდებოდა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იქამდე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში კარგად დაბუდებული საბჭოთა ჯარების გამოყვანა დიდი ტვირთი აღმოჩნდა მოსკოვისათვის: უამრავი ოფიცერი რუსეთში უბინაოდ დარჩა, უამრავმა გენერალმა დაკარგა კარგი შემოსავალი.

სხვათა შორის, რუსულმა გენერალიტეტმა თავისი რისხვა (თავიდან – ფარული) შევარდნაძეს დაატეხა თავს, რაც საქართველოს ძვირად დაუჯდა აფხაზეთში სამოქალაქო ომის დროს.

მაგრამ მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური ფაქტორების გაუარესება ვერ დააქცევდა საბჭოთა კავშირს.

შიდაპოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორები

გორბაჩოვის ლოზუნგების ტრიადა ასეთი იყო – „გარდაქმნა, დაჩქარება, საჯაროობა" (Перестройка, ускорение, гласность). თავის თანამოაზრეებთან ერთად ის მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას (რომლის ნათელი გეგმა მას არ ჰქონდა), თან უნდა დართვოდა ეკონომიკური განვითარების დაჩქარება (ამის გეგმაც არ არსებობდა) და гласность-ი, ანუ ადრე ტაბუდადებულ საკითხებზე ღიად ლაპარაკის უფლება. ამ უკანასკნელს ქართულად ვთარგმნით, როგორც „საჯაროობა", რაც, ჩემი აზრით, ვერ ასახავს გორბაჩოვის ჩანაფიქრის სპეციფიკას. ასევე სუსტია „გარდაქმნა" – *პერესტროიკისათვის*, ამიტომაც ისევ რუსული ტერმინების გამოყენებას ვარჩევ. ასევე იქცევიან დასავლეთელი პოლიტოლოგებიც.

„დაჩქარებაზე" ლაპარაკი არ მექნება, რადგან ის ფაქტობრივად არც მომხდარა, თუმცა ეკონომისტები, რომლებმაც მაშინ სახელი გაითქვეს, ამ თემაზე ბევრს და ფუჭად (მგონი, თვითონაც არ სჯეროდათ!) გვიყვებოდნენ ტელეეკრანებიდან და გვინერდნენ გაზეთებსა თუ წიგნებში.

1987 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა გამოიტანა საკითხი *გლასნოსტის* შესახებ.

გლასნოსტი საბჭოთა ინტელიგენციის მრავალი წლის ოცნება იყო. ამიერიდან შესაძლებელი ხდებოდა ლეგალურ პრესაში დაბეჭდილი სახით წაგვეკითხა ის, რასაც ათწლეულების განმავლობაში ფარული ხელნაწერების სახით ვკითხულობდით; ეკრანზე გვენახა, მაგალითად, *თენგიზ აბულაძის* შესანიშნავი ფილმი „მონანიება", რომელიც ოთხიოდე წელი საბჭოთა ცენზურას თაროზე ჰქონდა შემოდებული (თუმცა ის გადაიღეს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის *ედუარდ შევარდნაძის პირადი მხარდაჭერით*). მანამდე მიიჩნეოდა, რომ ფილმი არყევს საბჭოეთის იდეოლოგიურ საფუძველს, რომელიც მართლაც ეყრდნობოდა წარსულის მიჩუმათებასა და გაყალბებას.

ტყუილად როდი დადიოდა ხალხში ასეთი აფორიზმი: *„საბჭოთა კავშირი არის ყველაზე არაწინასწარმეტყველებადი წარსულის მქონე ქვეყანა"*.

გლასნოსტის ოფიციალური პოლიტიკა მხოლოდ აბულაძის *„მონანიებას"* როდი უშვებდა ეკრანებზე. ამიერიდან ეხსნებოდა ტაბუ ისტორიული პირების შესახებ სიმართლის თქმასაც.

ტაბუ რჩებოდა მხოლოდ უმთავრესი კომუნისტის – ლენინის სახელზე, რომელიც, გორბაჩოვის თავდაპირველი ჩანაფიქრით, კვლავაც ხელშეუხებელ ავტორიტეტად და უშეცდომო ლიდერის ეტალონად უნდა დარჩენილიყო.

გლასნოსტმა შესაძლებელი გახადა დახურული არქივების ერთი ნაწილის გახსნა. ტროცკის, კამენევის, ბუხარინის, ტუხაჩევსკისა და 1930-იანი წლების სტალინიზმის სხვა მსხვერპლის პოზიტიურ ასპექტში მოხსენიება საბჭოთა კავშირში მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აკრძალული იყო: მათ საბჭოთა ხელისუფლების მტრებად, იმპერიალიზმის აგენტებად წარუდგენდნენ საზოგადოებას. 1987 წლიდან, საკმაოდ მოულოდნელად, ისინი „კომუნიზმის გმირებად" წარმოგვიჩინეს.

სიმართლე რომ ითქვას, იმავე პუბლიკაციებში სავსებით მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ამ სუბიექტებს ლენინზე და სტალინზე არანაკლები დანაშაული მიუძღოდათ კაცობრიობისა და უშუალოდ რუსი ხალხის წინაშე.

ბოლშევიზმის სამართლიანი „ნიურნბერგის პროცესი" რომ გამართულიყო, ეს ისტორიული პერსონაჟები ლენინის, სტალინის, ძერჟინსკის, ფრუნზეს, კიროვის, ორჯონიკიძისა და ძმათა მათთა გვერდით უნდა მსხდარიყვნენ განსასჯელთა გალიაში და მათთვისაც სახრჩობელა ზედგამოწერილი იყო.

ეს ისე, სხვათა შორის!

სამაგიეროდ სტალინი, რომელსაც „დესტალინიზაციის" ხრუშჩოვისეული ეპოქის შემდეგ, კრემლის მომდევნო ბინადარნი – ბრეჟნევი და სხვები, საკმაო კეთილგანწყობით უყურებდნენ, *„გლასნოსტის"* წყალობით ობიექტივისტური შეფასების საგანი გახდა. სწორედ ის საბჭოთა ისტორიკოსები, რომლებიც ადრე სტალინის როლს, თუნდაც მეორე მსოფლიო ომის დროს, გადამწყვეტად მიიჩნევდნენ, თავის ახალ, გათამამებულ, პუბლიკაციებში მასვე ასახელებდნენ საბჭოთა კავშირის სამამულო ომის პირველ ეტაპზე დიდი წარუმატებლობისა და ხალხის გიგანტური მსხვერპლის ძირითად მიზეზად. კაცმა რომ თქვას, ისინი მართლები იყვნენ. მაგრამ ადრე ამას მხოლოდ დისიდენტები ამბობდნენ და არა ეს ისტორიკოსები. სოკოებივით ჩნდებოდა სტატიები და წიგნები საბჭოთა ხელისუფლების (რასაკვირველია, ადრეული!) არაჰუმანური პოლიტიკის შესახებ.

ლენინის აუგად ხსენება კი ჯერ არსად იყო. ბუნებრივია, ასეთი რამ დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

1987 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ლენინი ჯერ არაპირდაპირი და მალე – პირდაპირი კრიტიკის ობიექტად იქცა. ლენინიზმში ეჭვის შეტანა კი საბჭოთა იდეოლოგიისა და მასზე დამყარებული კომპარტიის შერყევას ნიშნავდა. საბჭოთა კავშირს ამაგრებდა მხოლოდ ერთპარტიული სისტემა, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა ფარული პოლიციის, ანუ „კაგებე"-ს (რომლის თანამშრომლები თავს ძველებურად „ჩეკისტებს" უწოდებდნენ), ყოვლისშემძლეობასა და ყველგანშეღწევადობას.

„ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არაა" – გორბაჩოვის ამ ფორმულას (სინამდვილეში ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა) *იდეოლოგიური დოგმების მოშლა* მოჰყვა. ეს კი რეჟიმისათვის უმძიმესი ლახვარი *აღმოჩნდა. მაგრამ ცალკე აღებული გლასნოსტი ვერ დააქცევდა საბჭოთა კავშირს.*

სუბიექტური ფაქტორები და შემთხვევითობა

1980-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და სკკპ ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს *ედუარდ შევარდნაძეს* თავისი კოლეგისათვის, სკკპ ცეკას პოლიტბიუროს წევრ *მიხაილ გორბაჩოვისათვის* პირისპირ საუბარში უთქვამს; *„ყველაფერი გამოლპა"* („Все прогнило", ასე მითხრა ედუარდმაო, მოგვიანებით დაწერს გორბაჩოვი). ასეთ რამეს იმდროინდელი პარტიული ლიდერები მხოლოდ მეგობარსა და თანამოაზრეს თუ ეტყოდნენ.

ფაქტია, რომ გორბაჩოვი შევარდნაძეს ენდობოდა და, როგორც კი ცეკას გენერალური მდივანი გახდა, მოსკოვში მიიწვია ის, პოლიტბიუროში სრულ

წევრად შეიყვანა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის წარმართვა დაავალა.

ახლაც ხშირად ისმის, განსაკუთრებით საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილთაგან, რომ *„გორბაჩოვმა შეგნებულად დაანგრია საბჭოთა კავშირი“*.

ასეთი რამ ლოგიკას ეწინააღმდეგება. როგორც საბჭოთა კავშირის უპირველესი პირი *მიხაილ გორბაჩოვი ფლობდა პრაქტიკულად უსაზღვრო ძალაუფლებას*. მას შეეძლო თავისი წინამორბედი ბრეჟნევის მსგავსად მშვიდად ეხარჯა ქვეყნის ულევი ბუნებრივი რესურსები და განცხრომაში გაეტარებინა ორიოდე ათეული წელი, თუნდაც ეკონომიკური სტაგნაცია უსასრულოდ გაგრძელებულიყო. რისთვის სჭირდებოდა მას ქვეყნის დანგრევა? ვის ან რით უნდა მოესყიდა მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის ბატონ-პატრონი? რა მიიღო მან პრეზიდენტობის ნაცვლად?

მაგრამ ფაქტია, რომ *საბჭოთა კავშირის დაშლა მოხდა* არა უფრო ადრე ან უფრო გვიან, არამედ *სწორედ XX საუკუნის ბოლოს*. ეს *სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობა ზეც* აღმოჩნდა დამოკიდებული. გორბაჩოვის მერყევი ხასიათი ასეთ სუბიექტურ ფაქტორებს შორის უმნიშვნელო არ იყო.

პოლიტოლოგებმა შეამჩნიეს, რომ საბჭოთა ლიდერების *ინტელექტუალური დონე* თანდათანობით ეცემოდა. ეს, რასაკვირველია, არ ზემოქმედებდა მათ მორალურ სახეზე: არსებობენ გაუნათლებელი და განათლებული კაციჭამიებიც!

ლენინი აშკარად გამოირჩეოდა თავისი ერუდიციითა და ნიჭით. სხვა საქმეა, რაში გამოიყენა მან თავისი ნიჭი!

სტალინი ნაკითხი და მოაზროვნე ხელმძღვანელი იყო. სხვა საქმეა, რა მიმართულებით ფიქრობდა იგი. ის ერკვეოდა ლიტერატურაში და პირადად განსაზღვრავდა საბჭოთა კინემატოგრაფის განვითარების გზასაც კი. სხვა საქმეა, საით მიჰყავდა ამ გზას!

ამ ორთან შედარებით *ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ჩერნენკოს* IQ ანუ „ინტელექტუალობის მაჩვენებელი“ საშუალოზე ბევრად, ბევრად დაბალი იყო.

ამბობენ, რომ ამ რუხ ფონზე შედარებით გამოირჩეოდა *ანდროპოვი* (ის თურმე ლექსებსაც წერდა!), მაგრამ მისი ქმედება დისციპლინის ძალისმიერი მეთოდით განმტკიცების მცდელობას არ გასცდენია.

გორბაჩოვს ფორმალურად კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ სახელმწიფოს მართვის დროს მისი მოქმედება ხანდახან ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ის რეალობას იყო მოწყვეტილი.

შემთხვევითობამაც აჩვენა საბჭოთა კავშირის სისუსტე.

1987 წლის 27 მაისს 19 წლის ერთმა გერმანელმა ბიჭმა, *მათიას რუსტმა*, გადაწყვიტა ჰაერში გაესეირნა. „Cessna“-ს მარკის პატარა თვითმფრინავით ფინეთის მხრიდან მან შეაღწია საბჭოთა საჰაერო სივრცეში, დაუბრკოლებ-

ლად გადალახა რუსეთის მთელი ევროპული ნაწილი, მიფრინდა მოსკოვის ცენტრში და შეეცადა კრემლის ეზოში დამჯდარიყო. იქ საკმარისი ადგილი ვერ მონახა და ჯერ ახლომდებარე განიერ ხიდზე დაეშვა, იქიდან კრემლის წინ მდებარე წითელ მოედანზე თვითმფრინავითვე აგორდა და გაოცებულ ხალხს სიხარულით მიეგება.

საბჭოთა კავშირის სამხედრო პრესტიჟის ამაზე მეტად ტალახში ამოსვრა შეუძლებელი იყო: მისი ნაქები ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა და სამხედრო-საჰაერო ძალები საქვეყნოდ მასხრად ასაგდები შეიქმნა. თინეიჯერი მოსკოვის ციხეში ჩასვეს, მაგრამ მალე ის იქიდან გმირად გამოვიდა!

ამ *შემთხვევამ* გორბაჩოვს შესანიშნავი საბაბი მისცა დაემდაბლებინა მის მიმართ მტრულად განწყობილი გენერალიტეტი. გაგორდა სამი მარშლის თავი: თანამდებობიდან მოხსნეს და პენსიაზე გაუშვეს თავდაცვის მინისტრი, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლები. აურზაურში თავიდან მოიშორეს თავდაცვის მინისტრის ყველა მოადგილე, გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში საბჭოთა სამხედრო დაჯგუფებათა სარდლები, ცხრა გენერალი, მაღალი რანგის სამასამდე ოფიცერი.

მათ ნაცვლად გორბაჩოვმა, როგორც ის მიიჩნევდა, თავისი ერთგული ხალხი დანიშნა.

ზემოთ უკვე ითქვა ქვეყნის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობაზე. გეგმური მეურნეობა შედეგს არ იძლეოდა. დასავლეთი სულ უფრო უსწრებდა საბჭოთა კავშირს ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ავღანეთში ომი უამრავ სახსარს მოითხოვდა. *სერიოზული რეფორმების გარეშე საქმის გამოსწორება მართლაც შეუძლებელი ჩანდა.*

გორბაჩოვი შეუდგა ერთდროულად ყველა სფეროს გარდაქმნას (*პერესტროიკას*), მაგრამ *მკაფიო პროგრამის უქონლად და შესაძლო შედეგების შესახებ სერიოზული მსჯელობის გარეშე:*

- ლოთობაში ჩაძირული ძირითადად სლავური წარმოშობის მუშახელის გამოსაფხიზლებლად გორბაჩოვმა ქვეყანაში ანტიალკოჰოლური კამპანია წამოიწყო;
- კორუფციის აღმოსაფხვრელად მოკავშირე რესპუბლიკებში ხელმძღვანელები შეცვალა;
- დასავლეთთან საგარეო ურთიერთობების გამოსასწორებლად შევარდნაძე გაგზავნა;
- 1987 წელს ქვეყანაში *გლასნოსტის* დამკვიდრება დაიწყო;
- 1988 წელს გაახმოვანა იდეა არჩევნების დროს რამდენიმე კანდიდატის წამოყენების შესახებ;
- სახელმწიფო აპარატისა და პარტიის დაშორიშორება სცადა.

ყველაფერი ეს *თეორიულად* სწორი იყო, მაგრამ *პრაქტიკულად* საბჭოთა კავშირისათვის უკუშედეგის მომტანი აღმოჩნდა.

პრობლემების დახვავებამ გორბაჩოვს, როგორც ჩანს, თავგზა აუბნია. თანაც ის მტკიცე ხასიათით არ გამოირჩეოდა, ხოლო პერსპექტივას მხოლოდ ისეთს ხედავდა, როგორიც თვითონ მოეწონებოდა: ასეთი wishful thinking (სათავისო აზროვნება) პოლიტიკოსისათვის ძალიან სახიფათო შედეგის მომტანია.

XIX საუკუნის ფრანგის, *ალექსის დე ტოკვილის* შეგონება – *„ცუდი მთავრობისათვის ყველაზე სახიფათო დრო დგება, როდესაც ის საკუთარი თავის რეფორმირებას იწყებს"* – მთლიანად გამართლდა.

1988 წლის დეკემბერში *საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ* (იმდროინდელმა „ ფედერალურმა პარლამენტმა") დაადგინა, რომ მომდევნო წლიდან ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანო მისივე [უმაღლესი საბჭოს] ნაცვლად იქნებოდა *სახალხო დეპუტატთა ყრილობა*, რომლის 2250 წევრიდან ერთი ნაწილი ალტერნატიული არჩევნების გზით უნდა აერჩიათ. სადეპუტატო ადგილების მესამედი კომპარტიისა და მის კონტროლქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის იქნა რეზერვირებული.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგები მმართველი პარტიისათვის სავალალო აღმოჩნდა: თითქმის ყველგან, სადაც არჩევანი სახელისუფლებო და დამოუკიდებელ კანდიდატს შორის უნდა გაკეთებულიყო, ელექტორატმა წაშალა სახელისუფლებო კანდიდატი. მართალია, ოპოზიციური, დემოკრატიზაციისათვის მებრძოლი, ელემენტი სახალხო დეპუტატთა ყრილობის მონაწილეთა მეათედზე ოდნავ მეტი აღმოჩნდა – 300-მდე ადამიანი, მაგრამ ეს იყო მოლაპარაკე უმცირესობა – აქტიური, განათლებული ხალხი. ჩუმი უმრავლესობა კი (მათ შორის უმეტესობა – შუა აზიასა და რუსეთის პროვინციაში უალტერნატივოდ არჩეული დეპუტატები) დისკუსიაში არ ებმებოდა და დაკავებული იყო მხოლოდ სახელისუფლებო ინიციატივებისათვის ხმის მიცემით.

პერესტროიკა ყველას როდი მოსწონდა. საკუთრივ რუსეთისა და მოსკოვის *კონსერვატორები* (სახელს პირობითად ვიყენებ: ასე თავს არავინ უწოდებდა) შიშობდნენ, რომ ის მოარყევდა საბჭოეთის საფუძვლებს: ასეთი ბევრი იყო პარტიულ ნომენკლატურაში, უშიშროების ორგანოებში, არმიაში. მათ საკუთარი პრივილეგიების დაკარგვაც აშინებდათ, თუმცა სწორედ მათი წრიდან გამოსულმა პირებმა შემდგომში ხელი გამოჰკრეს დაქცეული სახელმწიფოს სიმდიდრეს.

უფრო მცირერიცხოვანი *ლიბერალები* (ეს სახელიც პირობითია) რეფორმების დაჩქარებასა და რეალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ. რეფორმების იდეოლოგად მიიჩნევდნენ „პერესტროიკის არქიტექტორს" პოლიტბიუროს წევრს, *ალექსანდრ იაკოვლევს*, მაგრამ საჯაროდ ის ნაკლებად ჩანდა.

ლიბერალებს პირადად ნაკლები რამ ჰქონდათ დასაკარგი, ზოგი კი, ალბათ,

მართლაც თავისუფლებისათვის იღვწოდა. რუსული დემოკრატიული ოპოზიციის გამოჩენა ზემოხსენებული „გლასნოსტის" დამკვიდრების თანაპროდუქტი იყო.

მთელი თავისი ზეობის მანძილზე გორბაჩოვი კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის არჩევანის გაკეთების ამოცანის წინაშე იდგა. მიჯნა „კონსერვატორსა" და „ლიბერალს" შორის ძალიან ფერმკრთალად ჩანდა, მაგრამ გორბაჩოვი ლიბერალიზაციის მომხრე უფრო იყო.

პარტიის კონსერვატიული ძალების დასასუსტებლად 1990 წლის თებერვალში გორბაჩოვის ზენოლით პარტიის ცეკას პლენუმმა განაცხადა თანხმობა, გაუქმებულიყო საბჭოთა კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომელიც ასე ჟღერდა: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია". ამ მუხლის გაუქმება პრაქტიკულად მოასწავებდა მრავალპარტიულობის დაშვებას.

პარადოქსია, რომ გორბაჩოვი ასუსტებდა კომპარტიის ძალაუფლებას და ერთდროულად, იმედი ჰქონდა, რომ მკაცრი პარტიული დისციპლინა დაეხმარებოდა რეფორმების გატარებაში.

რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ ნაციონალური რესპუბლიკები იმპერიის პერიფერიაზე, უპირველესად ბალტიის ქვეყნები, საქართველო, მოლდავეთი. მათი ძირითადი მიზანი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. ლიბერალური ფასეულობების, დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლების დამკვიდრების მოთხოვნამ შორეულ უკანა პლანზე გადაინია.

პოლიტბიუროს ძველმა თაობებმა უკეთ იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი არავითარი „ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება" არ იყო. მაგრამ გორბაჩოვმა და მისმა მრჩევლებმა, როგორც ჩანს, თვითონ ირწმუნეს კრემლშივე შეთხზული მითი „საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური ძმობის" შესახებ.

როდესაც 1988 წელს ესტონეთის სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ (სხვათა შორის, კომუნისტებით დაკომპლექტებულმა) გამოაცხადა რესპუბლიკური კანონების უზენაესობა საკავშირო კანონებზე, როდესაც იმავე 1988 წელს მთიანმა ყარაბაღმა „სიუზერენის გამოცვლა" მოინდომა და აზერბაიჯანის ნაცვლად სომხეთისათვის დაქვემდებარება მოითხოვა, ეს კრემლისათვის გარკვეული მოულოდნელობა აღმოჩნდა. იქ კარგა ხანს ისიც ვერ გაიგეს, თუ „რა ენაზე ლაპარაკობენ ეს ყარაბაღელები"! ისინი კი სომხურად ლაპარაკობდნენ, ოღონდ აზერბაიჯანში ცხოვრობდნენ.

„ნაციონალისტურ გამოხდომებს" პერიფერიულ რესპუბლიკებში კრემლი ჯერ უხეში ძალით პასუხობდა (ამის მაგალითები იყო არმიის გამოყენება თბილისში 1989 წლის 9 აპრილს, ბაქოსა და ვილნიუსში –1990 წელს), მერე კი პრობლემების იგნორირება სცადა. 1990 წელს საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების უმტკივნეულოდ ჩატარებას გორბაჩოვის „აპათიურ პოლიტიკას"

უნდა ეუმადლოდეთ. კრემლს ძალიან რომ მოენდომებინა, არჩევნებს ჩაგვიშლიდნენ, ან არ გაამარჯვებინებდნენ ოპოზიციურ ნაციონალისტურ ბლოკს.

სერიოზულ სუბიექტურ ფაქტორად იქცა მიხაილ გორბაჩოვისა და ბორის ელცინის დაპირისპირება.

1987 წელს ცეკას პლენუმზე სიტყვით გამოსულმა კომპარტიის მოსკოვის ქალაქკომის პირველმა მდივანმა, პოლიტბიუროს წევრმა *ბორის ელცინმა* საკმაოდ უკმეხად უპასუხა თავისი კოლეგების კრიტიკას. ამ საბაბით გორბაჩოვმა ელცინი პოლიტბიუროდან გამოიყვანა, სტალინისდროინდელი ტერმინოლოგიის გამოყენებით გაკიცხა და დააძვეითა სსრკ მშენებლობის მინისტრის მოადგილის პოსტზე, რაც კარიერულ კიბეზე დიდი დაღმასვლა იყო. ბუნებრივია, ამბიციური ელცინისათვის გორბაჩოვი პირად მტრად გადაიქცა.

შერისხული ელცინის ფიგურა რუსეთის ლიბერალურად და დემოკრატიულად განწყობილმა ელემენტმა თავის დროზად აქცია. 1990 წელს ის რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1990 წლის 12 ივნისს რსფსრ-ის სახალხო დეპუტატების ყრილობამ ბორის ელცინის ინიციატივით მიიღო დეკლარაცია „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ". ეჭვგარეშეა, რომ არაფერ ამის მსგავსზე ელცინს ადრე არც უფიქრია, მაგრამ პოლიტიკურმა სიტუაციამ ის რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული ელიტური ფრთის ლიდერი გახადა. ელცინი იქცეოდა ისე, როგორც მისგან მოელოდნენ იმდროინდელი მისი მხარდამჭერები.

საინტერესოა, ვისგან დამოუკიდებელი ხდებოდა რუსეთი („სუვერენიტეტი" „სრული დამოუკიდებლობის" სინონიმია), რომელიც თვითონ იყო საბჭოთა კავშირის შემქმნელი? სიურრეალისტურად ჟღერდა „რუსეთის გამოყოფა საბჭოთა კავშირისაგან!"

ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას საფუძველი ჩაუყარა სწორედ რუსეთის მიერ სუვერენიტეტის გამოცხადებამ და მისივე რესპუბლიკური კანონების საერთო-საკავშირო კანონებზე მაღლა დაყენებამ.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სუვერენიტეტის გამოცხადებიდან ერთი წლის თავზე, 1991 წლის 12 ივნისს, *საყოველთაო არჩევნების შედეგად*, რომელშიც *ასამდე მილიონი* ადამიანი მონაწილეობდა, ელცინი რუსეთის პრეზიდენტად აირჩიეს (ეს პოსტი პირველად მაშინ შემოიღეს). ამით რუსეთის ხალხის თვალში მას ბევრად მეტი ლეგიტიმურობა გაუჩნდა გორბაჩოვთან შედარებით, რომლის არჩევა *საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად* სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე სულ ორი ათასამდე ადამიანის მხარდაჭერით მოხდა.

რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე 1999 წლის ბოლომდე მყოფმა ელცინმა მრავალჯერ გაუცრუა იმედი იმავე რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ წრეებს. მაგრამ 1991 წლის ბოლომდე გორბაჩოვ-ელცინის მძაფრმა დაპირისპირებამ გვარიანად მოარყია საბჭოეთის საფუძვლები.

1990 წელს შეიქმნა *რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია* და ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია – საბჭოთა სახელმწიფოს ხერხემალი – პრაქტიკულად უფუნქციოდ დარჩა.

მკვეთრი დაპირისპირება მმართველ ელიტაში სახელმწიფოს დასუსტების სერიოზული ფაქტორი გახდა.

1991 წლის 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელმა პირებმა – ვიცე-პრეზიდენტმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ და რამდენიმე სხვამ გამოაცხადეს, რომ ისინი ქმნიან *საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტს. რუსულად მას „გეკაჩეპე"* ეწოდა (ГКЧП – Государственный комитет по чрезвычайному положению). ამ კომიტეტის წევრების მოქმედების მოტივაცია „საბჭოთა კავშირის გადარჩენა" იყო: რამდენიმე დღეში გორბაჩოვი აპირებდა დაედო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება ცენტრალური აზიის რესპუბლიკებთან და ბელორუსიასთან, *დანარჩენი რესპუბლიკების (ანუ უკრაინის, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის) გარეშე.* პრაქტიკულად ეს კავშირის დაშლას მოასწავებდა.

„გეკაჩეპე" შეიქმნა გორბაჩოვის დაუკითხავად: ის იმ დროს ყირიმში ისვენებდა. გორბაჩოვს გარეკავშირი გამოუთიშეს და ის პრაქტიკულად შინაპატიმრობაში აიყვანეს.

ახალშექმნილი კომიტეტი იურიდიულად უკანონო იყო. რეალურად *„გეკაჩეპე"* იყო სახელმწიფო გადატრიალების, ანუ „პუტჩის" ორგანო. მაგრამ მის მონაწილეთ რომ გაემარჯვათ, ვერავინ უწოდებდა მათ „პუტჩისტებს".

მე-17 საუკუნის ბოლოს სერ ჯონ ჰარინგტონი თავის ერთ ეპიგრამაში კარგად გვიხსნიდა ანალოგიურ სიტუაციას ინგლისში (მაშინ იქ მეფე ჯეიმზ II-ს ვინმე მონმუთი აუჯანყდა, რომელიც დაიჭირეს და თავი მოჰკვეთეს):

Treason doth never prosper: what's the reason?
Well, if it prosper none dare call it treason! [36]

სუბიექტური ფაქტორი აღმოჩნდა ის, რომ *„გეკაჩეპე"* შექმნეს *უნიათო და მშიშარა* ადამიანებმა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ *გლასნოსტმა* სიტუაცია შეცვალა. მოსკოვში საკმაოდ იყვნენ დემოკრატიული ცვლილებების აქტიური მომხრეები, რომლებიც ქუჩაში საპროტესტოდ მასობრივად გამოვიდნენ.

სხვათა შორის, *მოკავშირე რესპუბლიკების დიდ ნაწილში „გეკაჩეპეს" წინააღმდეგ პროტესტის ხმა არ გაისმა.* გამსახურდიამ, რომელიც მაშინ საქართველოს პრეზიდენტი იყო, ორაზროვანი პოზიცია დაიკავა: დასავლეთს გაუგზავნა წერილი თხოვნით, ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო

[36] ღალატს არ ელის გამარჯვება: გვიმტკიცებ ძალად?
თუ გაიმარჯვებს, ვინ დაარქმევს ამ ამბავს ღალატს!

საბჭოთა გენერლებს დაჰპირდა ქართული გვარდიის ფუნქციის შეცვლას, რაც მის დაშლას ნიშნავდა. 19 აგვისტოს პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ასეთი რამ გამართლებული ჩანდა. მაგრამ სამ დღეში აღმოჩნდა, რომ გამსახურდიამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რაც მალე ძვირად დაუჯდა. კრემლისადმი მორჩილებაში ის დაადანაშაულა ეროვნული გვარდიის მეთაურმა თენგიზ კიტოვანმა, რომელიც გამსახურდიას განუდგა. საბოლოოდ გამსახურდია სწორედ გამდგარმა მოკავშირეებმა გააძევეს საქართველოდან.

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ენერგიული მოქმედების შედეგად *„გეკაჩეპეს პუტჩი“* დაწყებიდან მესამე დღეს ჩაიფუშა. ელცინმა დროზე აუღო ალღო ვითარებას, დემოკრატიულ ოპოზიციას სათავეში ჩაუდგა და რისკიანი თამაში თავის სასარგებლოდ წარმართა. ელცინის მხარეს საბჭოთა არმიის რამდენიმე სამხედრო ნაწილი გადავიდა, რაც სამოქალაქო ომის საფრთხეს შეიცავდა.

ელცინსა და *რუს დემოკრატებს* საჯაროდ დაუჭირა მხარი იმ დროს მოსკოვში მყოფმა *შევარდნაძემ*, რომელიც 1990 წლის დეკემბერში ხმაურიანად გადადგა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან, იმ საბაბით, რომ გორბაჩოვი თავის გარშემო აგროვებდა სწორედ იმ ხალხს (მომავალ „გეკაჩეპისტებს“), ვინც მას ახლა გადატრიალების მოწყობა დაუპირა.

„პუტჩი“ ჩაიშალა. შინაგან საქმეთა მინისტრმა *პუგომ* და გორბაჩოვის მთავარმა სამხედრო მრჩეველმა მარშალმა *ახრომეევმა* თავი მოიკლეს. რვა „პუტჩისტი“ დააპატიმრეს. რამდენიმე წლის შემდეგ ელცინმა ისინი შეიწყალა და ციხიდან გამოუშვა.

1991 წლის 21 აგვისტოდან *ბორის ელცინი* გახდა რუსეთისა და მთელი საბჭოთა კავშირის *რეალური ლიდერი*. მისმა ახლო მრჩეველებმა (მათ შორის მთავარ როლს თამაშობდა ეკონომისტი *ეგორ გაიდარი*, შემდგომში პრემიერ-მინისტრი) მალე დააჯერეს ის, რომ *ახალი რუსეთის მშენებლობა უმჯობესია „მუქთამჭამელი“ მოკავშირე რესპუბლიკების გარეშე*.

გორბაჩოვი დარჩა პრეზიდენტად სახელმწიფოს გარეშე. იმავე წლის 25 დეკემბერს ის გადადგა და კრემლის გასაღები, ბირთვული იარაღის ჩამრთველ ღილაკიან „ჩემოდანჩიკთან“ ერთად, ელცინს ჩააბარა. *26 დეკემბერს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად გამოცხადდა დაშლილად*.

ერთდროულად დამთავრდა „კომუნისტური ექსპერიმენტი“ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე. მისი უნაყოფობა აღიარა გორბაჩოვმაც, რომელმაც 1991 წლის 6 სექტემბერს რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ

> „მოდელი, რომელიც ჩვენ ქვეყანაში ინერგებოდა, უვარგისი გამოდგა. მე მჯერა, ეს არის გაკვეთილი არა მხოლოდ ჩვენი ხალხისათვის, არამედ სხვა ხალხებისთვისაც“.

სუბიექტური ფაქტორის უგულებელყოფა სწორი არ იქნებოდა. „გეკაჩეპე“ უფრო ყოჩაღ ხალხს რომ შეექმნა ან კრემლში რომ მჯდარიყო გორბაჩოვზე

უფრო მტკიცე ლიდერი და *სახელმწიფო შენობის* მორყეული კედლების შესამაგრებლად მოეხმო არმიისა და *კაგებე*-სათვის, ერთმანეთისათვის დაპირისპირებინა საერთო კომუნალურ სახლში მცხოვრები ეთნოსები, ეს შენობა მაინც დაინგრეოდა, ოღონდ შიგ მოყოლილი ათეული მილიონი ცხედრითურთ.

კიდევ კარგი, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევისას მსხვერპლი დიდი არ ყოფილა. სუბიექტურმა ფაქტორმა, ამ შემთხვევაში, დადებითი როლი შეასრულა!

როგორც საბჭოთა კავშირის „გარდაცვალებასთან" დაკავშირებით შედგენილ „სამედიცინო დასკვნაში" წერდა გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსი *ჰიუ ტრევორ-როპერი* (Hugh Redwald Trevor-Roper, Baron Dacre of Glanton):

> „ის მოკვდა საკმაოდ უეცრად, ხანმოკლე სპაზმის შემდეგ, საკუთარ სანოლში, აშკარად ბუნებრივი მიზეზით ან, ყოველ შემთხვევაში, შინაგანი დაავადებით. მან მიაღწია მხცოვან ასაკს – გადააჭარბა სამოცდაათ წელს – შენდობა ითხოვა და მიიცვალა".

თავი 24

საბჭოთა კავშირის დაშლის პოლიტიკური გეოგრაფია

ბალტიური ერთსულოვნება, შუააზიური კონფორმიზმი, კავკასიური განხეთქილება

1991 წელს დადგა *შიდა იმპერიის* – საკუთრივ საბჭოთა კავშირის – ნგრევის დრო. უპირველესად, ეს დაიწყო „საბჭოთა ბალტიისპირეთში" – *ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში.* მათთვის ძალიან დიდი პოზიტიური მომენტი იყო ის, რომ სამივე რესპუბლიკა საერთო მიზნისათვის ერთობლივად და შეთანხმებულად იბრძოდა.

ბალტიური ერთსულოვნება კრემლს ძალიან ურთულებდა საქმეს.

1990 წლის აპრილში პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვი სთავაზობდა *ლატვიას* დარჩენას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში განსაკუთრებული, *კონფედერაციული სტატუსით.* ლატვიის ხელმძღვანელებმა (სხვათა შორის, კომუნისტებმა) ეს წინადადება უარყვეს: მათ სრული დამოუკიდებლობის აღდგენა უნდოდათ. ლატვიელებმა დაიცადეს ერთი წელი და უსისხლოდ მიიღეს სასურველი შედეგი, თუმცა 1990 წლის აპრილში ძნელი იყო იმის გათვლა, რომ პოლიტიკური მოვლენები მათ სასარგებლოდ ასე კარგად განვითარდებოდა.

ლატვიასთან კრემლის მოლაპარაკების წარმატება, ეჭვგარეშეა, *მოდელად იქცეოდა ბალტიის დანარჩენი რესპუბლიკებისათვის.* მათ მიმართ მეტი დათმობის ნებას კრემლი იმის გამო ავლენდა, რომ ისინი საბჭოთა კავშირმა 1940 წელს დაიპყრო სტალინსა და ჰიტლერს შორის 1939 წლის აგვისტო-სექტემბერში მიღწეული გარიგების საფუძველზე. გორბაჩოვმა ეს მშვენივრად იცოდა. მან ისიც იცოდა, რომ აშშ ამ რესპუბლიკებს დანარჩენი რესპუბლიკებისგან განსხვავებით საბჭოთა კავშირის ნაწილად არ ცნობდა, ამიტომაც გორბაჩოვი თანახმა იყო პოლიტიკურ დათმობებზე ბალტიის რესპუბლიკების მიმართ, ოღონდ როგორმე შეენარჩუნებინა ისინი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

გორბაჩოვის მცდელობა ამაო გამოდგა.

1991 წლის სექტემბერში კრემლი იძულებული გახდა ეცნო ბალტიის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. მას შემდეგ განვლილი ორი დეკადა მათთვის ქმნის საბჭოთა წარსულისა და დამოუკიდებელი თანამედროვეობის გამმიჯნავ ისტორიულ უფსკრულს. 2004 წლის აპრილში ბალტიის სამივე ქვეყანა – ლატვია, ლიტვა და ესტონეთი – *ნატოში* შევიდა, ხოლო იმავე წლის 1 მაისს *ევროპული კავშირის* წევრიც გახდა.

1991 წლის სექტემბრიდან საბჭოთა კავშირი ფორმალურად სულ 12 რესპუბლიკას მოიცავდა. არაბალტიურ რესპუბლიკებს ლატვიის ანალოგიურ წინადადებას გორბაჩოვი არ მისცემდა. საქართველოში გაისმოდა სუსტი ხმები – „ჩვენ თანახმა ვართ კონფედერაციულ სტატუსზე". მაგრამ კრემლში ასეთ ხმას ყურს არ უგდებდნენ.

უკრაინაში ეროვნული სულისკვეთება მხოლოდ დასავლეთ ნაწილში ბობოქრობდა, კიევს ის ჯერ ვერ აღწევდა (მაგრამ მალე მიაღწია!).

მოლდავეთში გარკვეული ძალები რუმინეთთან შეერთებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ შიდა წინააღმდეგობა ამის მიმართ საკმაოდ დიდი აღმოჩნდა და ის კრემლმა მაქსიმალურად გააღვივა.

ბელორუსიაში, როგორც ყოველთვის, სიმშვიდე სუფევდა.

* * *

„მუსლიმურ რესპუბლიკებში" – ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, აზერბაიჯანში – საზოგადოებრივი აზრი კონფორმისტული იყო: ხალხის მასა მოწიწებას გამოხატავდა არსებული ხელისუფლების, ანუ ადგილობრივი პარტიული ლიდერების მიმართ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ მთლიანობას იქ თითქოს არაფერი ემუქრებოდა.

ერთი შეხედვით, თითქოს სწორედ ამ უკანასკნელი თეზისის – ამ რეგიონში კონფორმიზმის არსებობის – უარყოფაა, რომ პირველი „ფრონდა" კრემლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1986 წელს მოხდა ყაზახეთის მაშინდელ დედაქალაქ *ალმა-ათაში*. სინამდვილეში კი, თუკი იმდროინდელ რეალობებს გავითვალისწინებთ, აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის.

1985-1986 წლებში „პერესტროიკის" საწყის ეტაპზე, გორბაჩოვი თავიდან იშორებდა მეტისმეტად კორუმპირებულ ადგილობრივ ლიდერებს. მან შეცვალა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელობის ლამის სრული შემადგენლობა. ტრადიციულად მათ ადგილს იმავე ეროვნების ახალ პირები იკავებდნენ. მაგალითად, თურქმენეთში *მუხამედ ნაზარ გაფუროვის* ნაცვლად *საფარმურად ნიაზოვი* დაინიშნა, უზბეკეთში *ინამჟონ უსმან ხოჯაევის* ნაცვლად ჯერ *რაფიკ ნიშანოვი* და შემდეგ, მალევე, *ისლამ კარიმოვი* და ა.შ.

ეს ცვლილებები სულაც არ ნიშნავდა, რომ ხელმძღვანელობაში მოდიოდ-

ნენ „კრისტალურად წმინდა კომუნისტები"! ამასთან, დანიშვნები არ ცვლიდა ადგილობრივი ელიტების ეთნიკურობას.

ყაზახეთში კი გორბაჩოვმა გამონაკლისი დაუშვა, რამაც მისივე პრესტიჟი ძალიან შელახა. ყაზახეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის მოვალეობისაგან კრემლმა გაათავისუფლა *ლეონიდ ბრეჟნევის* ძველი მეგობარი, ეთნიკური ყაზახი *დინმუჰამედ კუნაევი*. ოც წელზე მეტხანს ამ მაღალ პოსტზე კუნაევის ყოფნისას მისმა კლანმა ღრმად გაიდგა ფესვები მთელ ყაზახეთში.

კუნაევის ნაცვლად პირველ მდივნად დაინიშნა ეთნიკური რუსი გენადი კოლბინი (სხვათა შორის, ადრე ის თბილისში მუშაობდა ცეკას მეორე მდივნად და აქ კარგი მეურნის სახელი დატოვა). ეს დანიშვნა მოასწავებდა საკადრო ცვლილებების ჯაჭვს ყაზახეთის იმდროინდელ დედაქალაქ *ალმა-ათაში*, რის შედეგადაც კარგად მოკალათებული ეთნოკრატიული ელიტა დაკარგავდა დანაწილებულ თბილ ადგილებს. ამიტომაც ამ ელიტამ გადაწყვიტა ნაციონალურ გრძნობებზე თამაშით მოეხდინა ეთნიკური ყაზახი ახალგაზრდობის მობილიზაცია. ამის გაკეთება ადვილად მოხერხდა და პატრიოტული ლოზუნგით – *„არ გვინდა რუსი ხელმძღვანელი!"* – ქუჩაში გამოვიდა რამდენიმე ათასი ყაზახი სტუდენტი. დიდი სისხლისღვრა ამას არ მოჰყოლია, დემონსტრანტები მილიციამ გაფანტა. *კაგებემ* ადვილად დაადგინა *ფრონდის* ინსპირატორები. მაღალი თანამდებობის ზოგიერთი პირი მოხსნეს, ზოგი – დროებით დააპატიმრეს.

გორბაჩოვმა ჯერ სცადა თავისი კრეატურა, კოლბინი, დაეტოვებინა საკვანძო პოსტზე. მაგრამ 1989 წელს დათმობა მაინც მოუხდა. ყაზახეთის კომპარტიის ცეკას ახალ პირველ მდივნად მან დანიშნა ეთნიკური ყაზახი, იმ დროს ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *ნურსულთან ნაზარბაევი*. მომდევნო წელს ამ უკანასკნელმა თავი ყაზახეთის პრეზიდენტად აარჩევინა.

საერთოდ, *„გორბაჩოვის კადრებმა"*, რომლებიც 1985-1990 წლებში დაინიშნენ ბრეჟნევის დროინდელი, კორუფციაში მხილებული ხელმძღვანელების ნაცვლად, *„გაუძლეს დროით გამოცდას"*. ისინი სამუდამო მმართველებად იქცნენ. კორუმპირებულობით კი თავიანთ წინამორბედებს რამდენიმეჯერ გადააჭარბეს: კონტროლი „ცენტრიდან" მათ აღარ აშინებთ!

ნაზარბაევი პრაგმატულად მოაზროვნე მმართველი აღმოჩნდა. თავისი საჯარო გამოსვლებით ის ყველაზე პრორუსულად განწყობილი პოსტსაბჭოთა ლიდერის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ სინამდვილეში ყაზახეთის სუვერენიტეტის განმტკიცებას ფიქრობდა: დედაქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე *ალმა-ათიდან* გადაიტანა ჩრდილოეთით, ძველ *აქმოლაში*, რომელსაც ხრუშჩოვის დროს *ცელინოგრადი* უწოდეს (1950-იანი წლებიდან ამ რეგიონში ითვისებდნენ *ყამირ მიწებს*, რუსულად „ცელინას"), ახლა კი *ასტანა* დაერქვა. ამით ნაზარბაევმა მკვეთრად გაზარდა ეთნიკური ყაზახების ხვედრითი წილი ქვეყნის იმ რაიონში, სადაც იქამდე ეთნიკური რუსები აბსოლუტურად

დომინირებდნენ და ირედენტიზმის საფრთხეს უქმნიდნენ ახალგაზრდა სახელმწიფოს. ნაზარბაევი ორ ათეულ წელზე მეტია სათავეში უდგას სასარგებლო წიაღისეულით უაღრესად მდიდარ სახელმწიფოს, როგორც პრეზიდენტი და „ნაციონალური ლიდერი".

ასეთივე პრაგმატიკოსი, ცეკას ყოფილი პირველი მდივანი *ისლამ ქარიმოევი* 2013 წელსაც უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და ავტოკრატიული ლიდერი იყო.

თურქმენეთის კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა საფარმურად ნიაზოვმა თავი ჯერ პრეზიდენტად აარჩევინა, შემდეგ *„თურქმენბაში"* („ყოველთა თურქმენთა მეთაური") დაირქვა. არის დაუდასტურებელი ცნობა, თითქოს ნიაზოვს უნდოდა *შაჰად* კურთხეულიყო, მაგრამ გადათქვა განზრახვა, რადგან დიდ უკმაყოფილებას ელოდა მეზობლებისგან, უზბეკეთის პრეზიდენტისა და, განსაკუთრებით, ირანის ისლამური რესპუბლიკისაგან, სადაც საკუთარი შაჰი დაამხეს! ისე, ნიაზოვისგან ასეთი განზრახვა მოულოდნელი არ იქნებოდა! მან მზესთან ერთად მბრუნავი, ოქროსაგან დამზადებული საკუთარი ქანდაკება დედაქალაქ *აშგაბათის* ცენტრში დადგა (ძეგლის დემონტაჟი 2010 წელს მისმა მემკვიდრემ მოახდინა). 2006 წლის ბოლომდე, გარდაცვალებამდე, ნიაზოვი დიქტატორული მეთოდებით მართავდა ამ, გაზით საოცრად მდიდარ, მაგრამ უდაბურ ქვეყანას.

* * *

სამხრეთ კავკასიაში კრემლს შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ იქაური სამი რესპუბლიკა საერთო ენას ვერ გამონახავდა, ისე, როგორც ვერ გამონახა 1918-1920/21 წლებში.

იმედი კრემლს გაუმართლდა.

უკვე 1988 წელს დაიწყო სერიოზული კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით. მართალია, ეს კონფლიქტი თვით საბჭოთა კავშირისათვის აღმოჩნდა უდიდესი გადაუჭრელი პრობლემა (ამაზე მომდევნო ქვეთავში ვიმსჯელებ), მაგრამ, ამავე დროს, არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი პირდაპირ არ უპირისპირდებოდნენ მოსკოვს და ორივე დიდხანს ელოდა მისგან დახმარებას – მხოლოდ თავის სასარგებლოდ, რასაკვირველია! ტერიტორიულ კონფლიქტში ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებდა მთლიანად მოემხრო კრემლი თავის მხარეს.

სომხურ-აზერბაიჯანულ დავაში საქართველო ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ მას საკუთარი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები შეექმნა, რომლებიც მნიშვნელოვანწილად კრემლის მიერვე იყო ინსპირირებული.

არავითარი *კავკასიური ერთსულოვნება* კრემლს არ ემუქრებოდა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად სერი-

ოზული სამხედრო ძალის გამოყენება კრემლს მორალურად უძნელდებოდა. საბჭოთა კავშირში შექმნილი საზოგადოებრივი აზრი ძალიან უარყოფითად უყურებდა ასეთ აქციას 1989 წლის 9 აპრილს თბილისში (იხ. ჩანართი 24.1) და 1990 წლის იანვარში – ბაქოში საბჭოთა არმიის ნაწილების შეყვანის შემდეგ, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ჩანართი 24.1
თბილისი, 1989 წლის 9 აპრილი

1989 წლის აპრილის დამდეგს თბილისში ჩამოაღწია ინფორმაციამ აფხაზების ინიციატივის შესახებ „გადაექვემდებარებინათ მათი ავტონომია“ საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში: მთიანი ყარაბაღის მაგალითს უქმად არ ჩაუვლია! ამის პასუხად თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის (შემდეგში – პარლამენტის შენობის) წინ 4 აპრილიდან დაიწყო პერმანენტული მიტინგი, რომელსაც იმ დროის ყველა ოპოზიციური პარტია და მოძრაობა შეუერთდა. „აფხაზური ინიციატივის“ დაგმობის თემამ მალე გადაინაცვლა უკანა პლანზე და მიტინგზე გამოსულები უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ალაპარაკდნენ, რასაც აპრილამდე საჯაროდ არ ამცხადებდნენ.

კრემლმა თბილისში გადმოისროლა დამატებითი სამხედრო შენაერთები. 9 აპრილის ღამეს ათასობით მომიტინგე მოედნიდან ძალით განდევნეს. მართალია, ჯარისკაცებს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი იყენებდნენ მესანგრეების ალესილ ნიჩბებს და ცრემლსადენ გაზს. პანიკის გამო ატეხილ ჭყლეტაში და უშუალოდ ჯარისკაცების ნიჩბებისგან დაიღუპა 19 ადამიანი, ძირითადად ქალები.

ამ მოვლენამ, რომელიც პირველად გააშუქა თბილისში გამომავალმა გაზეთმა „Молодежь Грузии“-მ (რედაქტორი ვახტანგ აბაშიძე; ფოტოგრაფიები მოსკოველ იური როსტს ეკუთვნოდა) და, მალევე, საკავშირო პრესამ, საზოგადოებრივი აზრი ააბობოქრა. მან გახლიჩა საბჭოთა კავშირის მმართველი წრეები და რუსეთის ინტელექტუალური ელიტა, წაართვა კრემლის ლიდერებს აგრესიული ქცევის სტიმული და, ზოგადად, ინიციატივა.

თუმცა ჩადენილ სამხედრო დანაშაულზე პირდაპირი პასუხისმგებლობა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს არ ეკისრებოდა, 14 აპრილს ის მორალური პასუხისმგებლობის გამო გადადგა. ეს იყო საბჭოთა კავშირში თანამდებობის პირის გადადგომის პირველი შემთხვევა.

უკვე თავისუფლებაშეგრძნობილმა და ენაზე ბორკილახსნილმა ჟურნალისტებმა მოსკოვში, თბილისში, ბაქოში, ვილნიუსში და სხვაგან კარგად გამოიყენეს ეს ფაქტები ფედერალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

9 აპრილს გამოკვეთილმა მტრის ხატმა, რომლის წინააღმდეგაც საჭირო იყო გაერთიანება, ქართულ საზოგადოებაში ერთსულოვნება შექმნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთსულოვნება სწრაფწარმავალი აღმოჩნდა.

* * *

არსებითად, 1990 წელს კრემლისადმი ოპოზიციური საზოგადოებრივი აზრი არსებობდა საბჭოთა კავშირის მცირე ნაწილში, გეოგრაფიულად – ლაქების, ხშირად კი წერტილების სახით. ის მძაფრად იგრძნობოდა *ბალტიის სამ რესპუბლიკაში, საქართველოში, დასავლეთ უკრაინაში*, გარკვეულად – *მოსკოვისა* და *ლენინგრადის* ინტელექტუალურ წრეებში და, ძალიან თავისებურად – *სომხეთსა* და *აზერბაიჯანში*.

საქართველოს „მწვანეებმა", ბუნებრივია, პატრიოტული მოტივით, მიაღწიეს იმას, რომ მდ. ენგურზე საბჭოთა კავშირის დაფინანსებით *არ აშენებულიყო ხუდონის ჰესი* (რომელიც ახლა ძალიან გამოგვადგებოდა), ხოლო სომხეთის „მწვანეებმა" მიაღწიეს იმას, რომ *დაიხურა მეწამორის ატომური ელექტროსადგური* (აეს-ი) და მათი რესპუბლიკა წყვდიადში ჩაეფლო. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სომხეთის აეს-ი იმავე ტიპისა იყო, როგორისაც 1986 წელს აფეთქებული ჩერნობილის აეს-ი უკრაინაში და სერიოზული რეკონსტრუქციის გარეშე ის დიდ საფრთხეს უქმნიდა მთელ რეგიონს.

1990 წელს ქართულმა საფეხბურთო კლუბებმა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია დატოვეს და საქართველოს ჩემპიონატების ჩატარება დაიწყეს. ეროვნული ჩემპიონატის პირველ საზეიმო მატჩში თბილისის „დინამო", რომელიც იქამდე საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა და ევროპულ ტურნირებზეც გამოდიოდა, დამარცხდა კლასით ბევრად დაბალ ფოთის „კოლხეთთან"! 1992 წლამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ მიიღეს არც უეფაში და არც ფიფაში.

საქართველოში 1990 წლის პირველი ათი თვე, 28 ოქტომბრის არჩევნებამდე, *დემოკრატიის ნავარდის* ყველაზე ხანგრძლივი ხანა იყო: ყველას შეეძლო, რაც სურდა ის ეთქვა რადიოში და ტელევიზიით და ეწერა წვიმის შემდეგ სოკოებივით მომრავლებულ გაზეთებში. იქმნებოდა და იშლებოდა პარტიები და ბლოკები, რომლებიც უფრო ერთმანეთთან საქმის გარჩევით იყვნენ დაკავებული, ვიდრე დემოკრატიისათვის ბრძოლით. „ეროვნული ფრონტი", რომელიც ბალტიის სამივე რესპუბლიკაში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი უმრავლესობის გამაერთიანებელი ოპოზიციური ძალა გახდა, საქართველოში (სადაც მას „სახალხო ფრონტი" დაერქვა) ძალიან მალე იქცა ერთ-ერთ რიგით პარტიად.

საქართველოს არაკომუნისტური პარტიები ერთმანეთში ვერ მორიგებულიყვნენ თუნდაც იმაში, მიეღოთ თუ არა მონაწილეობა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს (მალე მას „უზენაესი საბჭო" დაერქმევა) არჩევნებში, რომელიც ჯერ გაზაფხულისათვის დაიგეგმა, მერე კი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ ოქტომბრისათვის გადაადებინა. თუ გადადების მოტივაცია ის იყო, რომ ნახევარი წლის განმავლობაში კომპარტია მომაგრდებოდა, ეს ამაო იმედი გამოდგა. ასე მგონია, კომპარტია დამარცხებისათვის ემზადებოდა.

საქართველოს კომპარტია, რომელმაც 1990 წლის ბოლოს თავი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან გამოყოფილად გამოაცხადა, თვითონ თითქოს ცდილობდა „ეროვნულ ძალად" ქცევას. ჯერ კიდევ 1990 წლის ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებამდე, კომპარტიის თანხმობით მოხდა ლენინის ძეგლის დემონტაჟი თბილისის მთავარ მოედანზე და მოედნისთვის თავისუფლების სახელის დაბრუნება (ასე ერქვა მას 1918-1921 წლებში), თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში კომუნისტი ლიდერების მონუმენტების მოხსნა, ლენინისა და სხვა ბოლშევიკთა სახელობის ქუჩის სახელების შეცვლა, ქალაქების წინაკომუნისტური სახელების აღდგენა (მაგალითად, აღდგა სახელები ოზურგეთი, სენაკი, ახალგორი, მარტვილი, ხარაგაული და ა.შ). მაგრამ ეს ყველაფერი ვერ უწყობდა ხელს კომპარტიის პოპულარობის ზრდას. მისი დრო უიმედოდ იყო წასული.

ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის *სუბიექტურად* პატრიოტული *მოქმედება ობიექტურად* სეპარატიზმის გაღვივებას უწყობდა ხელს. მაგალითად, 1989 წლის 15 აგვისტოს *„ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის"* მიღებას იმავე წლის 4 სექტემბერს მოჰყვა *„ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის"* მიღება ცხინვალში და 10 ოქტომბერს *„აფხაზური ენის განვითარების პროგრამის"* მიღება სოხუმში.

ცხინვალსა და სოხუმში მიღებული პროგრამები შესაბამისი ავტონომიების ტერიტორიებზე აბათილებდა თბილისში მიღებულ პროგრამას, რადგან ქართულზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოსურ და აფხაზურ ენებს. ეთნიკური დაპირისპირება ავტონომიურ წარმონაქმნებში, რომელსაც ყველანაირად აქეზებდა კრემლი, ზედაპირზე ამოდიოდა.

საქართველოს კომპარტიის ცეკას აშკარად ერჩივნა თვითონ ეზრუნა სამივე – ქართული, აფხაზური და ოსური – ენის განვითარებაზე, მაგრამ ვერ იზამდა ამას, რადგან აფხაზურ და ოსურ ენებზე ზრუნვას ეროვნული მოძრაობა მას „არასაკმარის პატრიოტიზმად" და „სუკის აგენტობად" ჩაუთვლიდა!

სხვა მაგალითია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს (რომელიც კომპარტიის ცეკას გარეშე ვერ იმოქმედებდა) 1989 წლის 14 მაისის დადგენილება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფისა და თბილისის უნივერსიტეტის ფილიალად მისი გარდაქმნის შესახებ. როგორც იმავე აფხაზეთის უნივერსიტეტის თანამშრომლები მომიყვნენ, რექტორატისა და პროფესურის ნაწილმა მისაღებ გამოცდებზე ქრთამის სახით მიღებული (თუ მისაღები?) შემოსავალი ვერ გაიყო. ვერ მორიგდნენ იმაზე, თუ რა ეროვნებისა და რამდენი უნდა ყოფილიყო პრორექტორი. ერთი სიტყვით, მერკანტილური დავა ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. როცა ვითარება ძალიან დაიძაბა და სოხუმში სისხლიც დაიღვარა, იმავე წლის 2 ნოემბერს იმავე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოსცა დადგე-

ნილება აფხაზეთის უნივერსიტეტის ხელახალი გაერთიანების შესახებ. ეს დადგენილება არ შესრულებულა.

საქართველოს კომპარტიის სათავეში რომ აღმოჩენილიყო (ან დარჩენილიყო) ძლიერი და მოქნილი ლიდერი, შესაძლოა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს „მყვირალა ოპოზიციაზე" მაღლა დაეყენებინა „შეჩვეული ჭირი" – სახეშეცვლილი და, ალბათ, სახელშეცვლილი კომპარტია.

რეალური ისტორია კი ისაა, რომ რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ და მოძრაობამ შეკრა *იმ დროს მტკიცე ბლოკი* „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", რომლის ლიდერი გახდა ზვიად გამსახურდია.

კავკასიური განხეთქილების მაგალითი: კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო

სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური კონსენსუსის არარსებობის მკაფიო მაგალითია *მთიანი ყარაბაღის პრობლემა. ის რეგიონში საერთო სოლიდარობის ჩამოყალიბებას დღემდე წინ ეღობება.*

1920-1921 წლებში რეგიონის გასაბჭოების შემდეგ კრემლმა ბოლო მოუღო სომეხ-აზერბაიჯანელთა ომს სამხრეთ კავკასიაში. ყოფილი ელისავეტპოლის გუბერნიის სომხებით დასახლებული ტერიტორია აზერბაიჯანის სსრ-ში დარჩა და მას ეწოდა *„მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი"*.

ოლქის სახელში ეთნიკური ნიშანი შეგნებულად არ ჩაიდო. ეს გაკეთდა აზერბაიჯანის კომუნისტური ხელმძღვანელობის დასამშვიდებლად, რომელიც, მიუხედავად „კომუნისტური ინტერნაციონალიზმისა", ისევე ნაციონალისტურად აზროვნებდა, როგორც სომხეთის კომუნისტური ხელმძღვანელობა. ოლქის ხელმძღვანელობა კი საბჭოთა პერიოდში თითქმის მთლიანად ეთნიკური სომხებით კომპლექტდებოდა.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში 1926 წლის მოსახლეობის აღწერით სომხები (სულ 112 ათასი) 89 პროცენტს შეადგენდნენ, 1979 წელს კი 76 – პროცენტს (სულ123 ათასი)[37]. დანარჩენი მოსახლეობა აზერბაიჯანული იყო, რომელიც თითქმის მთლიანად *ქ. შუშასა* და მის მიმდებარე სოფლებში იყო თავმოყრილი. აბსოლუტური მაჩვენებლებით იმავე 53 წლის განმავლობაში ოლქში მცხოვრები აზერბაიჯანელების რაოდენობა 14 ათასიდან 37 ათასამდე გაიზარდა, რაც, აზერბაიჯანელთა მრავალშვილიანობის ტრადიციის გათვალ-

[37] 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგებს ამ შემთხვევაში შეგნებულად არ ვიყენებ, რადგან ის ჩატარდა უკვე დაწყებული სომხურ-აზერბაიჯანული ეთნიკური კონფლიქტისა და იძულებითი მიგრაციების პირობებში და მისი მონაცემები მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში არასაიმედოა.

ისწინებით, სტატისტიკურად სავსებით დასაშვები შედეგია. მათი რაოდენობის ზრდაზე „ხელოვნურ შემოსახლებას“, რასაც სომხები ბაქოს ხელისუფლებას აბრალებდნენ, შეიძლება მოეხდინა მცირე, მაგრამ არა გადამწყვეტი გავლენა.

ოლქის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ცვლილება უფრო კულტურულ მოთხოვნილებებთან იყო დაკავშირებული. მთიანი ყარაბაღის სომხობა რუსულ სკოლაში სწავლას ეწაფებოდა იმ მიზნით, რომ შემდეგ უმაღლესი განათლება მიეღო რუსეთის უნივერსიტეტებში. რუსეთში (ნაწილობრივ – ერევანში) სასწავლებლად წასული სომეხი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უკან აღარ ბრუნდებოდა: ნიჭიერი ხალხი დიდ ქვეყანაში აკეთებს ხოლმე კარიერას. ახალგაზრდობის ემიგრაცია შობადობას ამცირებს. სწორედ ამიტომ, სომხების რაოდენობა ოლქში შედარებით ნელა იზრდებოდა. ოლქის აზერბაიჯანული მოსახლეობა კი ადგილზე რჩებოდა და მრავლდებოდა.

მომისმენია ყარაბაღელი სომხებისაგან, რომ „ბაქოს ბიუროკრატია მათ მძიმედ ჩაგრავდა“. ძნელი სათქმელია, რამდენად მძიმე იყო „ბაქოს უღელი“. ის, რომ პროვინციელი, მით უმეტეს, არააზერბაიჯანელი, ვერ შესწვდებოდა ბაქოში დიდ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ სიმაღლეებს, რეალობა იყო. სხვათა შორის, სერიოზული კარიერის გაკეთების ნაკლები შანსი ჰქონდა ერევანში – არასომეხს (1980-იანი წლების ბოლოს სომხეთში 160 ათასზე მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა), თბილისში – არაქართველს, ტაშკენტში – არაუზბეკს და ა.შ. ასე იყო მოწყობილი საბჭოთა კავშირი – პოლიტიკურად ცენტრალიზებული სახელმწიფო და, ერთდროულად, ეროვნული რესპუბლიკების კონგლომერატი.

დაუწერელი საბჭოთა კანონებით ყველა რესპუბლიკას უნდა ჰქონოდა ნომენკლატურის გარკვეული კვოტა ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობებისათვის (კრემლი პერიოდულად აკონტროლებდა „სამართლიანობის დაცვას“). ეს გულისხმობდა, მაგალითად, თითო სომეხი და რუსი მინისტრის, აფხაზური და ოსური წარმოშობის რამდენიმე მინისტრის მოადგილის დანიშვნას საქართველოს სსრ მთავრობაში, ორიოდე სომეხ მინისტრს – აზერბაიჯანის სსრ მთავრობაში, თითო ტაჯიკ და რუს მინისტრს – უზბეკეთში, რამდენიმე რაიკომის მდივანს სხვა უმცირესობათაგან და ა. შ. მაგრამ ეს ადამიანები მხოლოდ სტატისტიკური ანგარიშისათვის ინიშნებოდნენ: თავიანთი ეთნოსის ინტერესების ლობირებას ისინი ვერ შეძლებდნენ და არც ცდილობდნენ, ვინაიდან არსებობდნენ „ზემდგომი ამხანაგები“ – პარტიული ხელმძღვანელები.

მთიანი ყარაბაღის სომხობა არ იჩაგრებოდა იმაზე მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ეთნოსი საბჭოთა კავშირში. მაგრამ ძველ მტრობას „კავკასიელ თათრებსა“ (აზერბაიჯანელებსა) და სომხებს შორის არ ივიწყებდნენ მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები, რეჟისორები, ანუ ისინი, ვისაც საბჭოთა კავშირში „ჰუმანიტარულ ინტელიგენციას“ უწოდებდნენ. ეს უპირველესად ითქმის

სომხურ ინტელიგენციაზე, რომელიც არ ივიწყებდა თავისი ხალხის არც თურქეთში 1915 წელს მომხდარ *დიდ ულეტას* (სომხურად *მეწ ეღერნ*), არც 1905 და 1918-1920 წლების სისხლიან შეტაკებებს „კავკასიელ თათრებთან“ .

სომხური ინტელიგენცია აკეთებდა იმას, რაც მისი უშუალო ვალია და რასაც აკეთებს, ან უნდა აკეთებდეს, ყველა სხვა ერის ინტელიგენცია – *არ დაუშვას ხალხის ისტორიული მეხსიერების ჩაკვდომა*. სომხური ინტელიგენცია წინაც იხედებოდა – ვარაუდობდა, რომ მოხდებოდა მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორის ჩამოსახლება კავკასიაში, რომელსაც სომხეთის სსრ-ის მცირე ტერიტორია არ ეყოფოდა. ამიტომაც მას საჭიროდ მიაჩნდა დროულად ეზრუნა სომხეთის ტერიტორიის გაფართოებაზე. ამასვე ესწრაფვოდა სომხური ეკლესია *(იხ. ჩანართი 24.2)*.

ამასთან, პატრიოტი პოეტები, ისტორიკოსები და სულიერი მოძღვრები ხშირად არ ითვალისწინებენ თავისი ძალისხმევის შესაძლო პოლიტიკურ შედეგებს, არ ფიქრობენ იმაზე, რომ როდესაც მოითხოვენ „თავისი მიწის“ გაფართოებას „სხვა ხალხით“ დასახლებული ან სხვისი კონტროლის ქვეშ მყოფი მიწის ხარჯზე, ამას კატეგორიულად არ დაეთანხმება „სხვა მხარე“.

ჩანართი 24.2
ყოველთა სომეხთა კათოლიკოს ვაზგენ I-ის 1956 წლის წერილი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლაი ბულგანინის სახელზე (ნაწყვეტი)

(წყარო: გაზეთი „Голос Армении“, 24 ივნისი, 2008)

„...საზღვარგარეთ [სომხურ დიასპორაში: რ.გ.] ბევრი გვეკითხებოდა – ხომ არ დადგა დრო სამართლიანად გადაწყდეს საკითხი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის, ნახჭევანის ასსრ-სა და ახალქალაქის რაიონის შესახებ, რომლებიც ძირითადად დასახლებულია სომხებით, მაგრამ ისინი განაგრძობენ ყოფნას საბჭოთა სომხეთის საზღვრებს გარეთ. ამრიგად, საზღვარგარეთელი სომხები იმედს გამოთქვამენ, რომ კეთილგანწყობილი საბჭოთა მთავრობა შექმნის სათანადო პირობებს ტერიტორიული, ეკონომიკური და საბინაო თვალსაზრისით სამშობლოში მათ დასაბრუნებლად, რათა ისინი შეუერთდნენ თავიანთ ღვიძლ ძმებს მშობლიურ მიწაზე.“

თანამედროვე ბაქოელი პოლიტოლოგები და პუბლიცისტები ხანდახან მიუთითებენ „მოსკოვის ხელზე“, რომელმაც შეგნებულად შექმნა კონფლიქტი ყარაბაღში იმ მიზნით, რათა ერთდროულად ჰქონოდა გავლენა სომხეთზეც და აზერბაიჯანზეც.

თუ დღევანდელ ვითარებას გავითვალისწინებთ, ეს მართლაც ასე ჩანს: *ყარაბაღის ირგვლივ მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნება მოსკოვს საშუალებას აძლევს კონტროლქვეშ იყოლიოს ერევანი და ფუჭი იმედებით კვებოს ბაქო.*

მაგრამ გორბაჩოვისა და მისი მრჩეველებისათვის ასეთი გეგმის მიწერა

მათი შორსმჭვრეტელობისა და ინტელექტის მეტისმეტად მაღალი შეფასება იქნებოდა!

კონფლიქტის დაწყების მიზეზი უფრო მარტივი მგონია: ყარაბაღელი სომხების პეტიციას და სომეხი ინტელიგენციის (მათ შორის იყვნენ აკადემიკოსი *აბელ აგანბეგიანი*, ცნობილი პუბლიცისტი *ზორი ბალაიანი*, სახელგანთქმული პოეტი *სილვა კაპუტიკიანი* და სხვები) მიერ კრემლის წინაშე აღძრულ თხოვნას – შეეერთებინათ მთიანი ყარაბაღი სომხეთის სსრ-სათვის – *არ მოჰყვა ცალსახა და მტკიცე უარი*. ეს მიხაილ გორბაჩოვის მერყეე ხასიათს უფრო უნდა მივაწეროთ, ვიდრე მის მიერვე წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას.

ეჭვგარეშეა, კრემლი აკეთებდა პოლიტიკურ გათვლას, თუ როგორ შეენარჩუნებინა კონტროლი მოკავშირე რესპუბლიკებზე. მაგრამ, თუკი „მთიანი ყარაბაღის კარტის გათამაშება“ ზემოხსენებული მიზნით დაიგეგმა, მაშინ კრემლმა თავისთვის გაიჩინა თავსატეხი.

1988 წლიდან მთიან ყარაბაღში აგიზგიზებული ხანძარი საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ ჩააქრო. საბოლოოდ, ხანძარმა იმპერიაც გვარიანად გაჭვარტლა და, ირიბად, მის დაღუპვასაც შეუწყო ხელი. ძნელი წარმოსადგენია, რომ კრემლში ასეთ შედეგს გეგმავდნენ.

1988 წლის დასაწყისში კრემლის გარინდება კი სომხეთსა და მთიან ყარაბაღში მათი თხოვნისათვის თანხმობად აღიქვეს.

საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, ავტონომიური ოლქი მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში იმყოფებოდა (მუხლი 86). ის არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა საკუთარი სტატუსისა ან საზღვრის შეცვლის შესახებ. ორი მოკავშირე რესპუბლიკის საზღვრის შესაცვლელად საჭირო იყო ორივე მხარის თანხმობა (მუხლი 78): ერთი რესპუბლიკის დასტური არ კმაროდა.

1988 წლის დასაწყისში ქ. *სტეფანაკერტში* (მისი ისტორიული სახელია *ხანკენდი*) შეკრებილმა *მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის* ძირითადად ეთნიკური სომხებით დაკომპლექტებულმა *სახალხო დეპუტატთა საბჭომ* მიიღო გადაწყვეტილება, ეთხოვა სომხეთის სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს უმაღლესი საბჭოებისათვის, დაემტკიცებინათ მისი წინადადება მთიანი ყარაბაღის სომხეთის სსრ-სათვის გადაცემის შესახებ.

სომხეთის სსრ უმაღლესმა საბჭომ ეს თხოვნა შეიწყნარა, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესმა საბჭომ კი ამაზე უარი განაცხადა. ამრიგად, საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად (რომელიც კიდევ სამი წელი მოქმედებდა), მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში რჩებოდა და საბჭოთა კავშირს უნდა უზრუნველეყო ამ სტატუსის შენარჩუნება. რეალურად კი საქმე სხვაგვარად წავიდა.

1988 წლის დასაწყისშივე მთიანი ყარაბაღის ქალაქ ასკერანში ორი აზერბაიჯანელის მოკვლას ისეთი მძაფრი რეზონანსი მოჰყვა, რომ ბრბომ აზერ-

ბაიჯანის ქალაქ სუმგაითში 30-მდე სომეხი მხეცურად დახოცა. ამას მოჰყვა გაუგონარი ძალადობა ორივე მხრიდან. იმავე 1988 წლის ბოლოს სომხეთიდან განდევნეს ყველა აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანიდან კი 1990 წლისათვის – ყველა სომეხი, მათ შორის ბაქოდანაც, სადაც ისინი მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ. ყველა ეს ადამიანი, აზერბაიჯანელიცა და სომეხიც, ლტოლვილად იქცა, დაკარგა საცხოვრებელი, თაობების განმავლობაში ნაგროვები ქონება...

რაც შეეხება საკუთრივ მთიან ყარაბაღს, იქ საომარი მოქმედება დაიწყო ჯერ სანადირო თოფებით, მერე – ავტომატებით, შემდეგ – ტანკებით, ჰაუბიცებითა და ბოლოს, მოიერიშე თვითმფრინავებით.

თავიდან მოსკოვი თითქოს ცდილობდა ცეცხლის ჩაქრობას და თითქოს უფრო აზერბაიჯანის მხარეს იჭერდა. ამასობაში საბჭოთა კავშირი დაიშალა და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ საბოლოო გათვლა სომხეთზე გააკეთა. 1993 წლის ბოლოს ერევნისათვის მოსკოვის მხარდაჭერა დაუფარავი გახდა და ომის იქამდე გაურკვეველი შედეგი გაირკვა: სომხეთმა გაიმარჯვა.

ამასთან, მხოლოდ მთიანი ყარაბაღი კი არ „განთავისუფლდა აზერბაიჯანული უღლისაგან", არამედ მის ირგვლივ დაპყრობილ იქნა შვიდი სხვა რაიონი (საერთაშორისო თანამეგობრობა მათ „ოკუპირებულ რაიონებად" მოიხსენიებს), რომელიც მთლიანად გაიწმინდა აზერბაიჯანელებისაგან: იქიდან და მთიანი ყარაბაღიდან 600 ათასამდე ადამიანი განიდევნა, რასაც უნდა დაემატოს 160 ათასი ლტოლვილი საკუთრივ სომხეთიდან. როდესაც ბაქო აცხადებს „მილიონი აზერბაიჯანელი ლტოლვილის" შესახებ, ეს არცთუ შორსაა რეალური რიცხვიდან. იმავე პერიოდში ლტოლვილად იქცა 350 ათასზე მეტი სომეხი აზერბაიჯანიდან, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა ან ავსტრალიაში, ნაწილი კი სომხეთში წავიდა.

„მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ" დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მართალია, მას არავინ ცნობს, ერევანიც კი, მაგრამ ამ უკანასკნელის მხრიდან ეს უფრო ტაქტიკური ნაბიჯია – ერევანი ელოდება მოვლენათა განვითარებას.

მთიან ყარაბაღში, სადაც ახლა, შეფასებით, 100 ათასზე ცოტა მეტი მცხოვრებია (ყველა – სომეხი), მოქმედებს სომხური ვალუტა; ადგილობრივ ბიუროკრატიას სომხეთის რესპუბლიკის ბიუჯეტი ინახავს; სომხეთის რესპუბლიკის მეორე და მესამე პრეზიდენტები წარმოშობით ყარაბაღიდან არიან; სომხეთის რესპუბლიკის გენერალიტეტშიც ყარაბაღელები დომინირებენ.

მთიანი ყარაბაღის იმდროინდელი მოვლენების შედეგი კრემლის კომუნისტური ხელმძღვანელობის პრესტიჟის სრული დაცემა იყო.

საქართველოსათვის კი ამ მოვლენებმა დააჩქარა სეპარატისტული გამოსვლები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, სადაც მთიანი ყარაბაღის მაგალითი კარგად დაისწავლეს.

თბილისის ყველა ხელისუფლებას ეყო სიბრძნე *ყარაბაღის* კონფლიქტში რომელიმე მხარეს არ ჩარეულიყო და თანაბარი დისტანცია ჰქონოდა ბაქოსა და ერევნის მიმართ, რასაც ორივე მხარე აფასებს.

სომხეთსა და აზერბაიჯანს დღემდე არა აქვთ არავითარი ურთიერთობა ერთმანეთთან. ეს ძალიან აძნელებს *საერთაშორისო არენაზე სამხრეთ კავკასიის ერთიან რეგიონად გამოსვლას*, რეგიონში ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას. ცალ-ცალკე სამი ქვეყანა მსოფლიო მასშტაბით მცირე ბაზრებია. ამის გამო დიდი ინვესტიციების (ძალიან მომგებიან ენერგეტიკულ პროექტებშიც კი) მოზიდვა რთული პროცესია. მაგალითად, დროში ძალიან გაიწელა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის დამტკიცება; გაჭიანურდა „ნაბუკოს“ პროექტის განხორციელებაც, რომელმაც კასპიის რეგიონის ბუნებრივი აირი ევროპას რუსეთის ავლით უნდა მიაწოდოს. რასაკვირველია, ზემოხსენებულზე მხოლოდ მთიანი ყარაბაღის პრობლემა არ მოქმედებს, მაგრამ ისიც სერიოზული ნეგატიური ფაქტორია.

გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა – მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა და ირანის ისლამური რესპუბლიკისა და „დასავლეთის“ დაპირისპირებამ – განაპირობა საქართველოს არჩევა კასპიის ზღვის აუზის ჰიდროკარბონული რესურსების (ნავთობისა და გაზის) ექსპორტის სატრანზიტო გზად.

მაგრამ მილსადენების მშენებლობაზე ბევრად უფრო ხელსაყრელი სამხრეთ კავკასიის რეგიონული თანამშრომლობა დღემდე უტოპიად გამოიყურება.

ნაწილი III

დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულები და მსოფლიო ჩვენ ირგვლივ

თავი 25

საქართველოს „მესამე რესპუბლიკა“

რესპუბლიკების ნუმერაციის პრობლემა

ამ თავის სათაურში გამოტანილი სიტყვები, ეჭვგარეშეა, წარმოშობს კითხვებს: საიდან ეს ნუმერაცია? რა „მესამე რესპუბლიკა“? ეს რა, საფრანგეთია?

იდეა, მართლაც, საფრანგეთის ისტორიის ანალოგიით გამიჩნდა. იქ „პირველი რესპუბლიკა“ შეიქმნა XVIII საუკუნის ბოლოს, რევოლუციის ხანაში. ამის შემდეგ საფრანგეთში იყო „პირველი იმპერია“, „მეორე იმპერია“. იმპერიებს შორის იყო ბურბონების რესტავრაცია, „მეორე რესპუბლიკა“ და ა.შ. ახლა იქ „მეხუთე რესპუბლიკაა“, რომელიც 1958 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ წარმოიქმნა, *შარლ დე გოლის* დროს.

ეპოქებისათვის სახელების (ხანდახან, ნუმერაციითურთ, მაგალითად, „მეიძის რესტავრაციის ხანის იაპონია“, „ეგვიპტის მე-20 დინასტია“) მინიჭება ისტორიკოსების ახირება კი არაა, აუცილებლობა.

საქართველომ, საფრანგეთზე მოკლე დროში, არასრულ საუკუნეში, ასევე განიცადა მრავალი ცვლილება, რის შედეგადაც „რესპუბლიკების მრავალფეროვნება“ მივიღეთ.

1918-1921 წლებში ნამდვილად არსებობდა *საქართველოს პირველი რესპუბლიკა*. ამაზე არავინ იდავებს.

მომდევნო პერიოდის ნუმერაცია კი თავსატეხს გვიჩენს.

შეიძლება თუ არა „მეორე რესპუბლიკად“ მივიჩნიოთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა?

საკმაოდ ბევრი, ალბათ, თავიდანვე გადაჭრით უარყოფს ამ აზრს, რადგან *1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველოს სსრ მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს, ისიც მხოლოდ 1922 წლის ბოლომდე*, როდესაც აიძულეს ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში (ა/კსფსრ) შესულიყო, მერე კი ა/კსფსრ შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში: გადაწყვეტილებას თბილისის ნაცვლად მოსკოვში ღებულობდნენ. მართალია,

საბჭოთა კავშირის 1936 და 1977 წლების კონსტიტუციებში საქართველოს სსრ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად, „სუვერენულ სახელმწიფოდ" მოიხსენიებოდა, მაგრამ ეს ფიქცია იყო.

მეორე მხრივ, რა ვუყოთ საქართველოს, როგორც ცალკე, თუნდაც შიდა ავტონომიის მქონე ერთეულის – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, არსებობის 70 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში? არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ პირველი მრავალპარტიული არჩევნები 1990 წელს ჩატარდა საბჭოთა საქართველოს წიაღში: 1978 წლის კონსტიტუცია კი არ გაუქმდა, არამედ შეივსო და მისი მუხლები შეიცვალა. 1990 წლის ოქტომბერში საქართველოს რესპუბლიკად სახელშეცვლილი, ჯერ ისევ საბჭოთა კავშირის წიაღში მყოფი ქვეყანა, ფაქტობრივად, „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" სამართალმემკვიდრე გამოდის.

თუ მაინც მოვახდენთ საქართველოს 70-წლიანი „საბჭოთა რესპუბლიკური ისტორიის" იგნორირებას, ასეთ შემთხვევაში, როდის იწყება *მეორე ქართული რესპუბლიკა*? იქნებ 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც კომუნისტური პარტიის მმართველობა, პირველად თითქმის 70 წლის შემდეგ, შეიცვალა ეროვნული პარტიების ბლოკის მმართველობით? ან იქნებ 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც ფორმალურად გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა? როდის დასრულდა მეორე რესპუბლიკა?

არ დაგვავიწყდეს, რომ 1990 წლიდან შემდეგ სამი კონსტიტუცია გამოვიცვალეთ –1978 წლისა (1990-1991 წლების შესწორებებით), 1921 წლისა (ფორმალურად აღდგენილი 1992 წელს, მაგრამ უმოქმედო) და 1995 წელს მიღებული (მას შემდგომ შეტანილი უამრავი შესწორებით).

ქრონოლოგიზაცია და ახალი ტერმინების შექმნა გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს.

ამ კონკრეტული შემთხვევისთვის – რესპუბლიკისათვის სახელის (ნომრის) მისანიჭებლად – კრიტერიუმებად მივიჩნიე *კონსტიტუციისა და სახელმწიფოს მართვის სისტემის ფუნდამენტური ცვლილება* და/ან *სახელმწიფოსათვის სახელწოდების შეცვლა*.

თუ ამ კრიტერიუმებს დავეყრდნობით, პირველი რესპუბლიკა იყო 1918-1921 წლებში არსებული *საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკა*, რომელიც იმდროინდელმა საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის ბოლშევიკურმა რუსეთმაც, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო.

1921-1990 წლებში არსებული *საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა*, ფაქტობრივად არასუვერენული *(იხ. ჩანართი 16)*, მაგრამ საკუთარი კონსტიტუციით, იყო „მეორე რესპუბლიკა"[38].

[38] ტერმინებს – *„მეორე რესპუბლიკა"* და *„მესამე რესპუბლიკა"* – ბრჭყალებში ვათავსებ, მანამდე, სანამ ვინმე უკეთეს სახელებს მოიგონებს. ეს ტერმინები ოციოდე წლის წინ უკვე გამო-

1990 წლის 30 ოქტომბრიდან (როდესაც ახალარჩეული უმაღლესი საბჭო პირველ სესიაზე შეიკრიბა და „უზენაესი საბჭო" დაირქვა სახელად) არსებობდა „მესამე რესპუბლიკა". მართალია, საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუცია ფორმალურად არ გაუქმებულა, მაგრამ 1990-1991 წლებში მასში ძირეული ცვლილებები შეიტანეს: ქვეყანა საპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა და მას სახელი შეეცვალა, ის *საქართველოს რესპუბლიკა* გახდა.

ჩანართი 25.1
„მეორე" და „მესამე" რესპუბლიკების საერთაშორისო სტატუსის შესახებ

საქართველოს სსრ (*„მეორე რესპუბლიკა"* 1921-1990) მხოლოდ ნომინალურად, საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, იყო „სუვერენული სახელწიფო", რომელიც თითქოსდა „ნებაყოფლობით გაერთიანდა სსრ კავშირში".

1944 წლის 1 თებერვლიდან მას, ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, მიეცა ფორმალური უფლება, დაედო საერთაშორისო ხელშეკრულებები, გაეგზავნა და მიეღო დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები; ეს უფლება 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუციაშიც დაფიქსირდა. მაგრამ ამ უფლებით საქართველოს სსრ-ს არ უსარგებლია და ვერც ისარგებლებდა: საგარეო პოლიტიკას ის ვერ გაატარებდა, თუნდაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ჰქონოდა (მისი შტატი ექვსი კაცი იყო, დამლაგებლის ჩათვლით). ყველა მოკავშირე რესპუბლიკის *საერთაშორისო სამართლებრივი უფლებაუნარიანობა ფიქცია იყო*, მათ შორის *უკრაინის სსრ*-სა და *ბელორუსიის სსრ*-სიც, რომელთაც გაეროში მუდმივი წარმომადგენლობები ჰქონდათ: კენჭისყრისას უკრაინელი და ბელორუსი დიპლომატები ზუსტად ისე იქცეოდნენ, როგორც მოსკოვი მოითხოვდა, სადაც მონოპოლიზებული იყო საგარეო პოლიტიკა. სხვა ქვეყნებში საელჩოები არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკას არ ჰქონდა.

საქართველოს *„მესამე რესპუბლიკამაც"* (1990-1992) პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის ნიალში იარსება.

თუ საერთაშორისო სამართლის *კონსტიტუციურ თეორიას* დავეყრდნობით, ახლად წარმოშობილი სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, როდესაც მას სცნობენ სხვა სახელმწიფოები. *საქართველოს რესპუბლიკა* 1990 წლის ოქტომბრიდან 1991 წლის დეკემბრამდე, ანუ საბჭოთა კავშირის ფორმალურ დაშლამდე, საერთაშორისო არენაზე არ უცნიათ, თუ არ ჩავთვლით იმ დროს ჯერაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის (ისინი თვითონაც არ იყვნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები) და, აგრეთვე, რუმინეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის აღიარებას (რუმინეთმა ეს გააკეთა, რადგან პარალელურად მოლდავეთის დამოუკიდებლობასაც სცნობდა). 1990-91 წლებში საქართველო არ მიუღიათ არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

საერთაშორისო სამართალში არსებობს ე.წ. *„დეკლარაციული თეორიაც"*, რომლის

ვიყენე ჩემს ერთ წიგნში (The New Georgia: Space, Society, Politics. London: UCL Press, 1995) და ამ ტერმინების გამო კრიტიკა ჯერ არ მსმენია!

თანახმადაც ახლად შექმნილი (თვითგამოცხადებული) სახელმწიფო ავტომატურად იქცევა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, მას აქვს უფლება, გამოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე და დაიცვას თავისი უფლებები.

პრაქტიკაში ორივე თეორია გამოიყენება (ვისაც როგორ აძლევს ხელს!), რაც მხოლოდ დიპლომატიურ გართულებას იწვევს: მაგალითად, თვითგამოცხადებული *ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა* მსოფლიოში მხოლოდ თურქეთმა ცნო, *ევროკავშირი კი მას არ ცნობს* და თავის წევრად *კვიპროსის რესპუბლიკა* მიიღო, რომელიც მხოლოდ კუნძულის სამხრეთ ნაწილზე ახორციელებს თავის იურისდიქციას.

მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრებში ახალი სახელმწიფოების საერთაშორისო დონეზე ცნობის მიზეზი გახდა საბჭოთა კავშირის ოფიციალური დაშლა 1991 წლის დეკემბერში. რეალურად გამოყენებულ იქნა *კონსტიტუციური თეორია*. თუკი გაერო *დეკლარაციულ თეორიას* დაეყრდნობოდა, მაშინ ძალიან მალე უამრავ ახალ სახელმწიფოსთან ექნებოდა საქმე, მათ შორის ჩეჩნეთთან, თათარსტანთან, აფხაზეთთან, დნესტრისპირეთთან, მთიან ყარაბაღთან და ა.შ., რომლებიც ასევე აცხადებდნენ „სუვერენიტეტს".

საქართველოს „მესამე რესპუბლიკის" მთავრობა 1992 წლის დამდეგს დაამხეს მმართველი ბლოკიდანვე გამოსულმა მეამბოხეებმა.

1992 წლის თებერვალში პოპულისტური პარტიების ლიდერებს აყოლილმა უპასუხისმგებლო „სამხედრო საბჭომ" გააუქმა 1978 წლის კონსტიტუცია და აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია, იმ დროისათვის აშკარა ანაქრონიზმი, რომელიც საფუძვლიანი გადამუშავების გარეშე თანამედროვე პირობებში ვერ იმუშავებდა.

1992 წელს შეიქმნა საკმაოდ ქაოტური მმართველობის სისტემის მქონე *მეოთხე რესპუბლიკა*. მას ჯერ „სამხედრო საბჭო" მართავდა, შემდეგ – „სახელმწიფო საბჭო". 1992 წლის ოქტომბერში არჩეულ მრავალპარტიულ პარლამენტს ფაქტობრივად *დამფუძნებელი კრების* ფუნქცია დაეკისრა: მას უნდა შეემუშავებინა ახალი კონსტიტუცია. 1992-1995 წლებში ქვეყანას სათავეში ედგა „პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური". საქართველოს *მეოთხე* რესპუბლიკა იმართებოდა პარლამენტის მიერ, ანუ ნომინალურად *საპარლამენტო რესპუბლიკას* წარმოადგენდა.

მეოთხე რესპუბლიკამ იარსება 1992 წლის დასაწყისიდან 1995 წლის აგვისტომდე და სწორედ ის, ყოფილი საქართველოს სსრ-ის საზღვრებში, აღიარა საერთაშორისო საზოგადოებამ, *როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო*. მეოთხე რესპუბლიკის დროს *საქართველო ხელმეორედ იქცა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად (პირველად ეს 1918-21 წლებში იყო)*.

1995 წლის აგვისტოში პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია და სახელმწიფოსაც ოფიციალური სახელი გამოეცვალა: *„საქართველოს რესპუბლიკის"* ნაცვლად *„საქართველო"*. ის *საპრეზიდენტო რესპუბლიკა* გახდა. ზემოხსენებული კრიტერიუმების გამოყენებით ეს მეხუთე რესპუბლიკა გამოდის.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის" მომდევნო პერიოდში 1995 წლის კონს-

ტიტუციაში მრავალი შესწორება შეიტანეს. გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება, მაგრამ მმართველობის სისტემა არ შეცვლილა – საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკად რჩებოდა; არ შეცვლილა სახელმწიფოს სახელი. ამრიგად, *მეხუთე რესპუბლიკა* არსებობას განაგრძობდა.

2010 წლის ოქტომბერში კი საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებები ქვეყნის მმართველობის სისტემას სამომავლოდ არსებითად შეცვლის – 2014 წლის დამდეგიდან საქართველო *საპარლამენტო რესპუბლიკა* უნდა გახდეს (რატომ? ამაზე 28-ე თავშია საუბარი). ამ შესწორებების ამოქმედების შემდეგ (შესაძლოა, ეს 2014 წელზე ადრეც მოხდეს) ჩვენ მეექვსე **რესპუბლიკაში** ვიცხოვრებთ.

რესპუბლიკების რაოდენობა მეც მებევრება, მაგრამ რა ვუყოთ რეალობას?

პირველი არაკომუნისტური ხელისუფლება საქართველოში

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ში ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა გამარჯვება მოუტანა არაკომუნისტურ ოპოზიციურ ბლოკს „*მრგვალ მაგიდა – თავისუფალ საქართველოს*". პროპორციული სისტემით მან ხმების 54 პროცენტი მიიღო (მისმა მაჟორიტარმა კანდიდატებმა მიიღეს ყველა ხმის 37 პროცენტი: ასეთი დაჯამება, რასაკვირველია, პირობითია). 250-დეპუტატიან უზენაეს საბჭოში „*მრგვალ მაგიდა – თავისუფალ საქართველოს*" 155 მანდატი ერგო, მათ შორის 81 – პროპორციული და 74 – მაჟორიტარული სისტემით.

ასეთ დიდ წარმატებას *ბლოკი*, როგორც ჩანს, არ ელოდა: არჩევნების შედეგების გამოცხადების პირველ წუთებში ეს კარგად აისახებოდა გამარჯვებულთა სახეებზე!

მაგრამ წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა: ბლოკი ეფექტიან წინასაარჩევნო კამპანიას ეწეოდა; მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა კარგად იყო დაბალანსებული; მთავარ მიზნად წამოყენებული იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა (სხვათა შორის, არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებისა და ბლოკების უმრავლესობაც მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას ისახავდა); ბლოკს სათავეში ედგა იმ დროს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი.

„მრგვალმაგიდელთა" ბლოკის წარმატების არაპირდაპირი მიზეზი ისიც აღმოჩნდა, რომ ნებაყოფლობით დათმო პოზიცია „*სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ*", რომელიც ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, *რუსთაველის საზოგადოებას* ხმების 14 პროცენტამდე

შეეძლო მიეღო. მაგრამ მისმა ლიდერმა, იმ დროს ძალიან პოპულარულმა *აკაკი ბაქრაძემ,* საარჩევნო სიაში 49-ე (!) ადგილი აირჩია. ამომრჩეველი კი ყოველთვის ეძებს *პარტიულ სიაში პირველ ნომერს.* შედეგად, „რუსთაველის საზოგადოებამ" საარჩევნო ბარიერიც კი (4 პროცენტი) ვერ გადალახა. მისი პოტენციური ხმები ძირითადად „მრგვალმაგიდელთა" ბლოკთან წავიდა.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ პროპორციული სიით ამომრჩეველთა ხმების 29,6 პროცენტი მიიღო. უზენაეს საბჭოში მან გაიყვანა გამარჯვებულ ბლოკზე ორ-ნახევარჯერ ნაკლები დეპუტატი, სულ 64 (მათგან 44 პროპორციული და 20 – მაჟორიტარული სისტემით). ხმების საგრძნობი ნაწილი კომპარტიამ დააგროვა არაქართული მოსახლეობის მქონე რაიონებში – ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, აგრეთვე თბილისის ეთნიკურ უმცირესობებში. ეს ხმები კომპარტიამ უფრო იმის გამო მიიღო, რომ არაქართველ ამომრჩეველთა საკმაო ნაწილს აშინებდა ნაციონალისტური პარტიების მათთვის გაუგებარი პოლიტიკა.

„მრგვალ მაგიდასა" და კომპარტიას მხოლოდ 28 მანდატი არ ერგო: ისინი სხვა პარტიებმა მიიღეს, მათგან 12 – „სახალხო ფრონტმა", ყველა – ერთმანდატიან ოლქში.

აფხაზეთის ავტონომიაში მდებარე ქალაქ ტყვარჩელში და გუდაუთის რაიონში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონში ადგილობრივმა ანტიქართულმა ძალებმა არჩევნები არ ჩაატარებინეს.

საქართველოს კომპარტიის პროგრამაც საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას ისახავდა მიზნად. მის საარჩევნო სიაში პირველ ადგილებზე დიდად პატივცემული მეცნიერები და ხელოვანები იყვნენ. მაგრამ პარტიამ ვერ (თუ არ?) გამოიყენა ე.წ. „ადმინისტრაციული რესურსი" (რომელსაც ხალისით იყენებს საქართველოს ყველა მომდევნო ხელისუფლება) და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ლამის ნებაყოფლობით დათმო პირველობა.

შეთქმულების თეორიის მოყვარულები ალბათ ივარაუდებენ, რომ საქართველოს კომპარტიის ქცევა *კრემლის მანევრი* იყო: მისი დავალებით პარტია „წაგებობანას" თამაშობდა, რადგან „გამსახურდია კაგებე-ს აგენტი იყო".

ეს ბოლო აზრი პერიოდულად ისმის ხოლმე, მაგრამ მასთან დათანხმება მიჭირს. გამსახურდიას ადრე რომც ჰქონოდა კონტაქტი საბჭოთა უშიშროებასთან, არ ჩანდა, რომ 1990 წელს ის ვინმეს დავალებას ასრულებდა: ამის დამალვა ძნელი იქნებოდა. სხვა საქმეა, რომ გამობრძმედილ სპეცსამსახურებს ისე შეეძლოთ მისი სისუსტეების გამოყენება (მათ შორის მის ირგვლივ ჩანერგილი „გავლენის აგენტების" მეშვეობით), რომ ის ვერც მიხვედრილიყო, ვის ნისქვილზე ასხამდა წყალს თავისი მოქმედებით.

ზვიად გამსახურდია საქართველოს პატრიოტი იყო. მისი საარჩევნო ბლოკიც პატრიოტებით იყო დაკომპლექტებული. კომპარტიისა და არჩევ-

ნებში მონაწილე სხვა პარტიებისა და ბლოკების საარჩევნო სიებშიც თითქმის არ მეგულება ადამიანი, პატრიოტი რომ არ ყოფილიყო.

მაგრამ ***პატრიოტობა პროფესია არ არის და ის არც კომპეტენტურობას უდრის. ამიტომაც საქართველომ მიიღო არაპროფესიონალი და არაკომპეტენტური პატრიოტებით დაკომპლექტებული ხელისუფლება.***

ფაქტია, რომ კრემლმა არ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას თბილისშივე შემუშავებული საარჩევნო კანონის შესაბამისად.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა იყო კრემლის ასეთი ლმობიერების მიზეზი საქართველოს მიმართ, რომლის დაკარგვა, რასაკვირველია, ხელს არ აძლევდა?

შემიძლია დავუშვა კრემლის ანალიტიკოსების ასეთი გათვლა (არავითარ დოკუმენტს არ ვიცნობ და ეს მხოლოდ ჩემი ჰიპოთეზაა):

იმ დროს არსებულ ძალიან დაძაბულ ვითარებაში, როდესაც იშლებოდა „გარე იმპერია" – „სოციალისტური ბანაკი" და ერთიანდებოდა გერმანია, უკვე დაწყებული იყო ომი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, კრემლს ერჩივნა, საერთოდ არ ჩარეულიყო საქართველოს საარჩევნო პროცესში შემდეგი მოსაზრებით:

- თუ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებდნენ არა-*კომუნისტური ძალები*, მათ მოქმედების ორი ალტერნატივა ექნებოდათ (ერთნაირი საბოლოო შედეგით), – *ან* დაყრდნობა ძველ კადრებზე და პრაგმატული კავშირი მოსკოვთან, *ან* უპასუხისმგებლო მოქმედებით რესპუბლიკის ისეთ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ ბოლოს მაინც მოსკოვთან მისულიყვნენ დახმარების თხოვნით;
- *საქართველოს კომპარტიის* ძალიან სათუო გამარჯვების შემთხვევაში კრემლისათვის მასთან გარიგება არ იქნებოდა მარტივი, რადგან კომპარტია *ეროვნული ძალის* იმიჯის განმტკიცებაზე ფიქრობდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან გამოყოფას გეგმავდა (რაც გააკეთა კიდეც); მასზე დიდი იმედის დამყარება და მისთვის თავის გამოდება – ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, შედეგების გაყალბება – კრემლს არ უღირდა;
- უარეს შემთხვევაში არსებობდა საქართველოზე მისი ეთნიკური ავტონომიების მეშვეობით ზემოქმედების საშუალება, ხოლო სულ უკიდურეს შემთხვევაში – საბჭოთა არმია!

ამიტომაც, კრემლში ამჯობინეს პროცესები მიეშვათ ნებაზე – *„თვით შეეყარონ სნებასა"*!

თუ ასეთი გეგმა კრემლში მართლაც შემუშავდა, იქ ორი წინაპირობა უნდა დაეშვათ:

- *საბჭოთა კავშირი სტაბილურად იარსებებს;*

• *უცხოეთის ქვეყნები არ ჩაერევიან* საქართველოს საქმეებში.

მეორე წინაპირობამ გაამართლა – ევროპასა და ამერიკას არ გამოუჩენიათ რაიმე ინტერესი საქართველოს მიმართ. პირველი წინაპირობა კი არ გამართლდა – პოლიტიკური პროცესები თვით მოსკოვში ისე განვითარდა, რომ საბჭოთა კავშირი იქვე დაიშალა. მაგრამ მან დატოვა სამართალმემკვიდრე, რომელმაც მისი პოლიტიკა გააგრძელა.

„მესამე რესპუბლიკა": ცოტა პლუსი, ბევრი მინუსი

საქართველოს „მესამე რესპუბლიკამ" ვერ მოასწრო დაეტოვებინა რაიმე სერიოზული ეკონომიკური ან სოციალური ნაკვალევი, მაგრამ ხალხის მეხსიერებაში დარჩა მისი პოლიტიკური ნაკვალევი, რომლის შეფასებაც მერყეობს ორ უკიდურესობას – ძალიან კარგსა და ძალიან ცუდს – შორის. ვცდილობდი ჩამომეყალიბებინა ჩემი თვალსაზრისი, რომელიც ამ ორ უკიდურესობას შორის იქნებოდა, მაგრამ რეალობამ ის „უფრო ცუდისაკენ" გადახარა.

პოზიტიური მოვლენებიდან, რომლებიც იმ დროს მოხდა, უპირველესი აღნიშვნის ღირსია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება (1991 წლის 9 აპრილს); ასევე დადებითი მოვლენა იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მცდელობა (თუმცა გამსახურდიას მთავრობამ თვითონ ჩაშალა ეს მცდელობა, როდესაც რუსეთში შემავალ თათარსტანთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარება დაიწყო); კონსტიტუციასთან დაკავშირებით გამსახურდიას ხელისუფლება, თავიდან მაინც, იურიდიულად მოქნილად იქცეოდა: 1978 წლის კონსტიტუცია კი არ გააუქმა, არამედ მისი შევსება-შესწორება დაიწყო. ამით „მესამე რესპუბლიკა" გამოდიოდა „მეორე რესპუბლიკის", ე.ი. საბჭოთა საქართველოს ფაქტობრივი სამართალმემკვიდრე და მისი სიუზერენიტეტი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიებზე სამართლებრივად გამაგრებული იყო.

მაგრამ „მესამე რესპუბლიკასთან" დაკავშირებით უფრო მეტად გვახსენდება ნეგატიური მოვლენები, რომლებიც, ბუნებრივია, ყველა ახალწარმოშობილ სახელმწიფოს ახასიათებს. სამწუხარო ის იყო, რომ პრობლემების საგრძნობი ნაწილი ჩვენ თვითონ შევიქმენით, ან არასწორი ნაბიჯებით დავამძიმეთ გარედან თავსმოხვეული პრობლემები.

* * *

მმართველობა. საქართველოს რესპუბლიკა თავიდან უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) მიერ იმართებოდა. 1991 წლის 9 აპრილს კი უზენაესმა საბჭომ კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანა – შემოიღო პრეზიდენტის პოსტი და 14

აპრილს თავისი თავმჯდომარე, ზვიად გამსახურდია, უალტერნატივოდ აირჩია პრეზიდენტად. ლოგიკური იქნებოდა, რომ ის აერჩიათ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად, რადგან იმავე სხდომაზე დაინიშნა საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნებიც. მაგრამ „ეროვნულ ლიდერს" ასეთი ლოგიკა ხელს არ აძლევდა. გამსახურდია არ ჩაება სხვა კანდიდატებთან წინასაარჩევნო დისკუსიაში იმ მოტივით, რომ ის „უკვე პრეზიდენტია, სხვები კი – პრეზიდენტობის მაძიებლები".

26 მაისს ჩატარებულ არჩევნებზე გამსახურდიამ ხმების 86 პროცენტი მიიღო. პარადოქსია, მაგრამ ასეთმა დიდმა მხარდაჭერამ ცუდი სამსახური გაუწია მას და მის გარშემო შემოკრებილ ჯგუფს (უპირველესად – ოჯახს), რომელთაც შეექმნათ ილუზია, რომ შესაძლებელია ქვეყნის ერთპიროვნულად მართვა.

ავტორიტარიზმს უბრალო ხალხში მართლაც ჰქონდა მხარდაჭერა: იქამდე ხომ საქართველო, ისევე, როგორც ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკა, ერთპარტიული მართვის მქონე ქვეყნის ნაწილი იყო? ხალხი მიეჩვია, რომ ქვეყანაზე ზრუნვა მხოლოდ ხელმძღვანელის ფუნქციაა. თუ ხალხს რაიმე არ მოსწონდა, მისი დრტვინვა გამოიხატებოდა სიტყვებით „ქვეყანას პატრონი არა ჰყავს!" ეს მონური ფსიქოლოგია დღემდე აღმოფხვრილი არაა.

„ქვეყნის პატრონი" ერთი კაცი უნდა ყოფილიყო: საქართველოს კომპარტიის ცეკას ყველა პირველი მდივანი ხომ „ერის მამა" იყო? ტოტალიტარულმა აზროვნებამ შექმნა კვარცხლბეკი ასეთი „ერის მამისათვის". ხელისუფლებისაგან ცეკას პირველი მდივნის ჩამოცილებამ ეს კვარცხლბეკი ცარიელი დატოვა. პრეზიდენტმა მემკვიდრეობით მიიღო „ერის მამის" ტიტული და ხალხის ცნობიერებაში ავიდა იმ კვარცხლბეკზე, რომელიც მას სათუთად დაუცალეს კომუნისტებმა.

ჯერ კიდევ პრეზიდენტის არჩევამდე რეგიონული მართვის მიზნით ქვეყანაში შემოიღეს პრეფექტების ინსტიტუტი, რომლის დიდი უფლებების წინააღმდეგ გამოვიდა უზენაესი საბჭოს რამდენიმე ანგარიშგასაწევი წევრი (მაგალითად, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე). *მათ არ გაუგონეს* და 1991 წლის 29 იანვარს პარლამენტმა ღია კენჭისყრით მიიღო შესაბამისი კანონი. გამსახურდიამ ერთ კვირაში დანიშნა პრეფექტები თითქმის ყველა რაიონში, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ის გალის რაიონშიც, რასაც აფხაზეთში მწვავე რეაქცია მოჰყვა. კადრები ნაჩქარევად იყო შერჩეული. ზოგიერთმა ვერ გაუძლო ცდუნებას და წინამორბედი რაიკომის მდივნებივით დაუყოვნებლივ ჩაეფლო კორუფციაში.

გამსახურდიას ხშირ-ხშირად უხდებოდა პრეფექტების გამოცვლა, რითაც პირად მტრებს იმრავლებდა. საკადრო პოლიტიკის გატარება მისთვის მარტივი არ იყო. არცთუ სანდო (რომ არა ვთქვათ – შემთხვევითი) ფიგურების მინისტრებად ან სხვა ხელმძღვანელებად წამოტივტივება საზოგადოების საგრძნობი ნაწილის გაღიზიანებას იწვევდა: მაგალითად, ბოლო საგარეო საქმეთა

მინისტრს, ვინმე ომანიძეს, ძალიან ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. სახელმწიფო პოლიტიკას ტელევიზიის მეშვეობით (მაშინ არსებობდა მხოლოდ სახელმწიფო ტელევიზია) სახელს უტეხდნენ მოსახლეობის მიერ ირონიულად აღსაქმელი ადამიანები, რომელთაც ხელისუფლების „იდეოლოგიური უზრუნველყოფა" იკისრეს. თავისი ოდიოზური სატელევიზიო გამოსვლებით თანამედროვეებს, ალბათ, ყველაზე მეტად დაამახსოვრა თავი მწერალმა-მეზღაპრემ *გურამ პეტრიაშვილმა.*

საზოგადოების შედარებით უკეთ გათვითცნობიერებულ ნაწილში მმართველმა გუნდმა ძალიან სწრაფად დაკარგა პატივისცემა.

ახლა, როდესაც ოც წელზე მეტი გავიდა „მესამე რესპუბლიკის" შემდეგ, ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ არსებობდა ერზე მზრუნველი, კეთილშობილი, ალალი, მაგრამ გულუბრყვილო, რომანტიკოსი პრეზიდენტი, რომელსაც ებრძოდა გავეშებული, ეგოისტური შიდა ოპოზიცია და გარედან – მთელი მსოფლიო.

სინამდვილეში საქმე მთლად ასე არ იყო.

ძალაუფლების მტკიცე ვერტიკალისა და ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას, რასაც ახალი რეჟიმი შეეცადა, საკმაო დრო სჭირდებოდა. დემოკრატიის, თუნდაც დემაგოგიასთან შერწყმული, ჯინი ბოთლიდან უკვე გამოსული იყო: მისი უკან შებრუნება მოითხოვდა დროს, სახსრებსა და სისხლისღვრას. ამის საშუალება ახალ რეჟიმს არ მიეცა. ამიტომ გაჩნდა რაღაც ავტორიტარიზმის იმიტაცია. თუ გამსახურდია *ვერ ღებულობდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას*, ეს იმის გამო ხდებოდა, რომ ოჯახის წევრები მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენდნენ მასზე. დიდი მსჯელობის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება მას შეეძლო მყისვე შეეცვალა კაბინეტში შესული მომდევნო პირის ზეგავლენით.

* * *

ეკონომიკის სფეროში ახალ რეჟიმს არსებითად არაფერი გაუკეთებია და იმ მოკლე დროში, როდესაც ქვეყნის სათავეში იდგა, ბევრს ვერც ვერაფერს გააკეთებდა. საქართველოს რესპუბლიკა 1991 წლის განმავლობაში რჩებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რომელიც ფორმალურად მხოლოდ დეკემბრის მინურულს დაიშალა. საბჭოთა მანეთი სწრაფად უფასურდებოდა; რკინიგზის შემადგენლობებს უკვე ძარცვავდნენ. შინაზარდი პატრიოტები ეკონომიკურ პრობლემებს ამძაფრებდნენ: მაგალითად, სამტრედიის პრეფექტმა, როგორც ჩანს, „მრგვალმაგიდელთა" ხელისუფლებასთან შეთანხმებით, რკინიგზა გადაკეტა: „რუსეთს მოუწყო ეკონომიკური ბლოკადა"! სინამდვილეში კი დიდად დააზარალა საქართველო და სომხეთი.

უზენაესი საბჭოს ერთ სხდომაზე ზვიად გამსახურდიამ ასეთი რამ თქვა

(წამოსცდა?): *„სოციალიზმში ყველაფერი ცუდი არ იყო", „არსებობს კონვერგენციის თეორია და შეიძლება კაპიტალიზმი და სოციალიზმი ერთმანეთს შეე ზარდოს"*. პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა თავისი დანიშვნის დღეს არაორაზროვნად განაცხადა, რომ ის *სახელმწიფო კაპიტალიზმის* მომხრეა: ეს გამორიცხავდა პრივატიზაციას, პირველ ეტაპზე მაინც.

შესაძლოა, ორივე მათგანი ლოგიკურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმის სწრაფად აშენება ძალიან ძნელი იქნებოდა: რომ არ დაგეშვა მისი „ველური სტადია", საჭირო იყო სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე (საბაზრო ეკონომიკაზე) გადასვლის *გარდამავალი პერიოდი*. „მრგვალი მაგიდის" წინასაარჩევნო პლატფორმაში ეს ნახსენები იყო კიდეც. 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში კი *გარდამავალი* პერიოდი აღარ უხსენებიათ.

რასაკვირველია, გამსახურდიას ვერავინ დასწამებდა სოციალიზმისა და მარქსიზმის ერთგულებას, მაგრამ საორჭოფო სიტყვებით მან თავის ოპონენტებს კრიტიკის ხელმოსაჭიდი საბაბი მისცა.

თეორიული მომენტები არ იყო მთავარი. ხალხს არც საარჩევნო პლატფორმა ჰქონდა წაკითხული, ან, თუ ვინმემ წაიკითხა, გადაავიწყდა, რა ეწერა იქ. მთავარი ის იყო, რომ მართვის საბჭოთა სოციალისტური სისტემა მეურნეობის ერთპიროვნულად მართვის საშუალებას იძლეოდა. ეკონომიკის მართვის სადავეები მთავრობის ხელში რჩებოდა, მიწა – სახელმწიფო საკუთრებაში. ეს „მრგვალ მაგიდას" სავსებით აძლევდა ხელს. აგრარული რეფორმის დაწყება და გლეხობისათვის მიწის დარიგება გამსახურდიასთვის მიუღებელი იყო ასეთი არგუმენტებით: *„არაქართველებს არ მინდა მივცე მიწა", „მიწას საბჭოთა მანეთებზე ხომ არ მივყიდი?"*

ძნელი სათქმელია, რას გააკეთებდა „მრგვალმაგიდელთა" მთავრობა 1992 და მომდევნო წლებში ქვეყნის სათავეში რომ დარჩენილიყო, მაგრამ ეკონომიკურ კოლაფსს ის ვერ ასცდებოდა, როგორც ვერ ასცდა მას მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე.

* * *

პოლიტიკა ნაციონალური უმცირესობების მიმართ არასწორი მიმართულებით წარიმართა.

1980-იანი წლების ბოლოს ნათელი გახდა, რომ კრემლი ყველგან გამოიყენებდა ეთნიკურ სიჭრელეს, როგორც იარაღს მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის წინააღმდეგ.

მრავალეთნიკურ სახელმწიფოში, როგორადაც საქართველო ჩამოყალიბდა (ეს ობიექტური რეალობაა, თუნდაც ის „ჟამთა სიავეს" მივაწეროთ), საჭირო იყო ძალიან მოზომილი, ფრთხილი პოლიტიკის გატარება ეთნიკურ უმცირესო-

ბებთან მიმართებით, რომ შეგვესუსტებინა მტრის უნარი, ჩვენ წინააღმდეგ გამოეყენებინა ტრადიციული მეთოდი „გათიშე და იბატონე". ვითარების *თუნდაც ზედაპირული გააზრება გვკარნახობდა ძალიან გაწონასწორებული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას ეთნიკურ უმცირესობებთან და ავტონომიებთან დაკავშირებით.*

სამწუხაროდ, ასე არ მოვიქეცით.

ამას ადგილობრივი ვითარებაც უწყობდა ხელს. კავკასიელი ეთნოსების თითქმის უნივერსალური ხმალამოღებულ-კონფრონტაციული ხასიათი, შეკმაზული ფეოდალური (ზოგან – გვაროვნულ-ტომობრივი) ფსიქოლოგიით, მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა ბალტიის ხალხების უფრო დინჯ, შედარებით ნაკლებ კონფრონტაციულ და დემოკრატიული მეთოდებით მუშაობის ტრადიციასთან.

ერთ ინტერვიუში უცხოელი, მგონი, რუსი, ჟურნალისტისათვის გამსახურდიას განუცხადებია: „*ოსები – ეს ველური ხალხია*".

იმ დროს ჯერ კიდევ მოქმედმა საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ იზრუნა ამ დაუფიქრებელი გამონათქვამის საერთაშორისო დონეზე ტირაჟირებისათვის და მსოფლიო საზოგადოებისათვის მისი მისაღება ქართველ ხალხში (!) გავრცელებული *ქსენოფობიის* (აქ: სხვა ეთნოსების მიმართ სიძულვილის) გამოხატულებად.

მრავალეთნიკურ სახელმწიფოში მკვეთრი ანტაგონიზმის შექმნას ემსახურებოდა უპასუხისმგებლოდ ნამოსროლილი სიტყვები – „*საქართველო ქართველებისათვის*" (რაც, ვიყოთ სამართლიანნი, პირველად გამსახურდიამ კი არა, ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებმა გამოიყენეს). *აზრი, რომ „ეროვნული უმცირესობები საქართველოში სტუმრები არიან"*, კი ნამდვილად ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა. პოლიტიკოსს, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ სახელმწიფო შეეყვანა საერთაშორისო თანამეგობრობის შემადგენლობაში, ასეთი რამ არ უნდა ეთქვა.

გამსახურდიას ლოზუნგი „*გაუმარჯოს ქრისტიანულ საქართველოს*" შუა საუკუნეებს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე XX (სეკულარული!) საუკუნის ბოლო ათწლეულს.

გამონათქვამების გარდა, რომლებიც მიტინგებზე გამოსვლისას კაცს შეიძლება წამოსცდეს კიდეც, მრავლად იყო არასწორი პოლიტიკური ნაბიჯებიც, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს გადაიდგა.

განსაკუთრებით წამგებიანი პოლიტიკა გატარდა ოსებთან მიმართებით. მართალია, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომუნისტური ხელმძღვანელობა და ადგილობრივი ნაციონალისტური ჯგუფები ახდენდნენ თბილისის ჯერ კომუნისტური და შემდეგ ნაციონალისტური ხელისუფლების პროვოცირებას, ცხადია, საკავშირო კაგებე-ს წაქეზებით, მაგრამ ჩვენი რეაქცია ყოველთვის ადეკვატური არ იყო.

პოლიტიკისა და, უბრალოდ, ელემენტარული ლოგიკის პოზიციიდან აუხსნელი დარჩა 1989 წლის 23 ნოემბრის აქციის მიზანი, როდესაც გამსახურდიამ (არაა გამორიცხული, „ურაპატრიოტების" ჩაგონებით) ცხინვალში წაიყვანა 20 ათასი ადამიანი, რომლებიც ოსებმა, საბჭოთა მილიციის დახმარებით, ქალაქში არ შეუშვეს და ეს თავიანთ დიდ ეროვნულ გამარჯვებად გამოაცხადეს. ამ „ლაშქრობის" წინააღმდეგი იყო იმ დროს მოქმედი კომუნისტური ხელმძღვანელობა, მაგრამ ძირშივე არ აღკვეთა ეს უგუნური ავანტიურა: ან „ეროვნული ძალებისა" ეშინოდა, ან მოსკოვიდან ნაბრძანები ჰქონდა უფრო დაეძაბა ვითარება რესპუბლიკაში. „ლაშქრობას" ეწინააღმდეგებოდა ეროვნული მოძრაობის უფრო რაციონალურად მოაზროვნე ფრთაც, მაგალითად, გია ჭანტურიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. გაუგებარია, რა უნდა ეკეთებინა ხალხის ამ მასას, ცხინვალში რომც შესულიყო? ვთქვათ, იქ ერთ მიტინგზე მოუსმენდნენ გამსახურდიას მგზნებარე სიტყვას. ოსებს შეაშინებდნენ? მერე? ხომ მაინც სახლში დაბრუნდებოდნენ?

1990 წლის 12 დეკემბერს უზენაესმა საბჭომ ერთხმად (წინააღმდეგი ერთი დეპუტატი იყო, ისიც სხვა მოტივით) მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. უკვე მაშინ ჩანდა და ახლა, დროის გადასახედიდან უკეთ მოჩანს, რომ ოსი სეპარატისტების მიერ პროვოკაციულად გამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის" უზენაესი საბჭოს არჩევნების დანიშვნაზე ასეთი რეაქცია ნაჩქარევი იყო. უმჯობესი იყო მოლაპარაკების დაწყება ოსთა ლიდერებთან, აპელაცია ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მიმართ.

ეჭვგარეშეა, ეთნიკური სეპარატიზმი გამსახურდიას გარეშეც წამოყოფდა თავს. 1988 წლის 15 სექტემბერს როკის გვირაბის გახსნა *ოსური ირედენტიზმის* გააქტიურების სიმბოლური დასაწყისი იყო (იხ. თავი10: ქვეთავი „სამხრეთ კავკასიის ავტონომიზაცია"). კრემლმა აქტიურად გამოიყენა „ოსური კარტი" საქართველოს წინააღმდეგ. ჭკვიანი მოთამაშე არ აპყვებოდა პროვოკაციას, დიპლომატიური მანევრირებით, ტკბილი სიტყვით შეძლებდა მის გაქარწყლებას ან საგრძნობ დასუსტებას. მაგრამ ეს არ შედიოდა არც გამსახურდიას გეგმაში და არც მისი ხასიათი დაუშვებდა ასეთ რაციონალურ ქცევას. არ დაგვავიწყდეს მის გარშემო შემოკრებილი მოუთმენელი „ურაპატრიოტებიც"!

საზოგადოების ყურადღება მოადუნა იმ „გულგრილობამ", რომელსაც თითქმის ერთი თვე (1991 წლის 7 იანვრამდე) იჩენდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების მიმართ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი *მიხაილ გორბაჩოვი*. ქართულ საზოგადოებას შეექმნა ილუზია, რომ აქტი შეთანხმებულია თბილისსა და მოსკოვს შორის. მოსკოვში კი, ალბათ, უცდიდნენ თბილისის მიერ მეტი შეცდომის დაშვებას.

თუ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას გარკვეული ახსნა მაინც ჰქონდა, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომა (სინამდვილეში – დანაშაული) იყო საქართველოს ტერიტორიაზე გაფანტულ სოფლებსა და თბილისში მცხოვრები ოსური მოსახლეობის მძაფრი შევიწროება, რამაც მათი მასობრივი ემიგრაცია და მთელი სოფლების დაცლა გამოიწვია. არადა, მათგან სეპარატიზმის საფრთხე არ არსებობდა, მათი საკმაო ნაწილი ქართველებთან იყო დანათესავებული და ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია გარდაუვალი იყო.

მართალია, სეპარატიზმთან ბრძოლა ქართულ საზოგადოებაში პოზიტიურ გამოხმაურებას ჰპოვებდა (რეჟიმი ამით საკუთარ თავს ამაგრებდა), მაგრამ მისი თანამდევი ექსცესები ძალიან ნეგატიურ სურათს ქმნიდა ახალი ხელისუფლებისა და ზოგადად საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ. ქვეყანას კი ყველაზე მეტად საერთაშორისო მხარდაჭერა ესაჭიროებოდა.

* * *

მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა მოკლე დროში ვერ შეიცვლებოდა. „მრგვალმაგიდელთა" მმართველ გუნდს მართებდა გაეთვალისწინებინა არსებული ვითარება და მეტნაკლებად შეგუებოდა მას. მაგრამ გამსახურდიამ კონფრონტაცია ამჯობინა.

ახალფეხადგმული ბურჟუაზია (სინამდვილეში – ჩრდილოვანი ეკონომიკის მესვეურები – ძველი „ცეხავიკები", „დელეცები", აგრეთვე ახალი კოოპერატორები, კომერციული მაღაზიების მფლობელები), სოფლად – შეძლებული გლეხობა, რომლებსაც რუსეთის ბაზარზე ჰქონდათ ორიენტაცია, უკმაყოფილო იყვნენ გამსახურდიას კონფრონტაციული პოლიტიკით, რადგან მათი კეთილდღეობის საფუძველი იყო რუსეთის, უკრაინისა და შუა აზიის ნედლეული, საქონელი და გასაღების ბაზარი.

ინტელიგენციის პოლიტიკურ ძალას ხშირად აზვიადებენ. მაგრამ იმ ეტაპზე ის საზოგადოებრივი აზრის ლიდერი იყო და დღესაც, თუნდაც საკმაოდ შესუსტებული, რჩება ასეთ ლიდერად. მართალია, რეალური *ინტელიგენცია* (ანუ ის ადამიანები, ვინც ინტელექტუალური შრომით ირჩენს თავს) „მესამე რესპუბლიკის" დროს (და ახლაც) რაოდენობით ძალიან მცირეა და ერთსულოვანი სულაც არაა, მაგრამ მისი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები, რომელთაც ენაც უჭრიდათ, კალამიც და რომლებიც უცხოეთშიც ცნობილი იყვნენ, „უკომპრომისო და პრინციპულმა" გამსახურდიამ თავის მონინააღმდეგეთა ბანაკში მოისროლა. სხვათა შორის, იმავეს გაიმეორებს „ვარდების რევოლუციის" შემოქმედიც.

პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა მიტინგების მონაწილეებზე (ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იძულებული ვარ მათ ვუწოდო საკმაოდ უსიამოვნო სახელი – „ეგზალტირებული ბრბო") გათვლილი რიტორიკიდან დაგვამახსოვრდა ლამის რეფრენად ქცეული: „*მეგობრებო, ჩვენ უნდა ვამხილოთ ხალხის მტრები, სუკ-*

ის აგენტები, კორუმპირებული საბჭოთა ინტელიგენცია"...

გამსახურდიას შეეძლო გულთბილი დამოკიდებულებით ინტელიგენციის მიმართ, თუნდაც მათთვის სინეკურების დარიგებით (რასაც აკეთებდა ცეკას ყველა პირველი მდივანი, მათ შორის ედუარდ შევარდნაძე) თავისკენ გადმოებირებინა ბევრი მათგანი, მაგრამ ასეთი მოქმედება ავტომატურად გულისხმობდა, რომ რეჟიმი უფრო ლმობიერი უნდა ყოფილიყო. მეფეების კარის პოეტებსაც უყვარდათ თავიანთი „მკრეხელური აზრების" ხმამაღლა გარითმვა, მაგრამ ამის გამო მოელოდნენ მეგობრულ შენიშვნას კერძო საუბრისას და არა – „მამხილებელ გამოსვლას" მიტინგზე.

პოლიტოლოგები და ისტორიკოსები ტყუილად როდი ამახვილებენ ხოლმე ყურადღებას *პოლიტიკოსების პერსონალურ თვისებებზე:* ისინი ბევრი პოლიტიკური ნაბიჯის ახსნის საშუალებას იძლევა.

ზემოხსენებული კონფლიქტი „ინტელექტუალურ ელიტასთან" თავიდანვე იყო დაპროგრამებული პრეზიდენტ გამსახურდიას ამბიციურ, ქედმაღლურ ხასიათში, რომელსაც ის ვერ შეცვლიდა.

„მესამე რესპუბლიკის" დროს იყო *უშეცდომო ლიდერის კულტის* დამკვიდრების მცდელობა, თუმცა, „მდედრიონისაგან" (ეს ზვიადის ფანატიკურად მხარდამჭერ ქალთა მეტსახელია) განსხვავებით, არავინ სცნობდა მას „მესიად".

ამავე დროს, ხალხის უმრავლესობა არ აქცევდა ყურადღებას იმას, რომ პატრიოტი, სამშობლოსათვის თავდადებული, განათლებული, წარმოსადეგი ლიდერი სახელმწიფო მართვაში უმარტივესი გამოცდილების არმქონე და მმართველობისათვის მოუმზადებელი ადამიანი იყო. გამსახურდიას არ ჰქონდა არც საკმარისი სიმტკიცე და არც საკმარისი მოქნილობა.

გამსახურდიას პოლიტიკურ გამოუცდელობას (რაც დაიძლეოდა – გამოცდილებას იგი თუნდაც საკუთარი ორიოდე შეცდომის შემდეგ შეიძენდა) თან ერთვოდა ვიწრო პოლიტიკური თვალთახედვა, აკვიატება, რომ გარშემო მხოლოდ მტრები ჰყავს (ამას, მგონი, *პარანოიას* უწოდებენ), ჭარბი ემოციურობა, არასაკმარისი ნებისყოფა. ეს გამოიხატებოდა აჩქარებაში პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას ან მათი შეცვლისას ჭარბად ამბიციური ახლობლების სუბიექტური აზრის გავლენით. ოჯახის წევრები დაუშვებელ გაელენას ახდენდნენ ადამიანზე, რომელსაც ერმა თავისი ბედი ანდო.

1992 წელს, უკვე დევნილობაში, გროზნოში მყოფი გამსახურდია რუსეთში სიმართლის მაძიებელთა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელთან, *ვალერია ნოვოდვორსკაიასთან* საუბარში, გულწრფელად აღიარებდა თავის მოუმზადებლობას პრეზიდენტობისათვის. მაგრამ ქვეყნის სათავეში ყოფნისას თავის ამ ნაკლს ყურადღებას არ აქცევდა: რჩევას პროფესიონალებს კი არ ეკითხებოდა, არამედ თითქოს ერთგულ, მაგრამ შემთხვევით

ხალხს. გამსახურდიას გარშემო შემოკრებილთა უმრავლესობამ კი, რომელთაც მოულოდნელად სახელმწიფოს საჭე ხელში ჩაუვარდათ, სახელმწიფოს მართვა საერთოდ არ იცოდა.

საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი უნიკალური ფიგურა აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ***მან მოახერხა საკუთარი მტრების ბანაკის შექმნა სულ სხვადასხვა მრწამსის, ინტერესის, მორალის (თუ ასეთი საერთოდ ჰქონდათ!) ადამიანებისაგან.***

თავისი ქცევით იგი „დიქტატორის" დონეს ვერ შესწვდა, მაგრამ ძველი ბერძნების „*ტირანის*" დონეზე დადგა (იხ. ჩანართი 25.2).

ჩანართი 25.2
რა არის ტირანია? ვინ არის ტირანი?

ამ საკითხში გასარკვევად მინდა დავიმოწმო ისეთი ავტორიტეტი, როგორიცაა *არისტოტელე*. მართალია, ის წერდა 24 საუკუნის წინ, მაგრამ წერდა მარადისობისათვის!

არისტოტელე თავის „*პოლიტიკაში*" საკმაოდ ვრცლად განიხილავდა კონკრეტულ მაგალითებს თავისი ეპოქიდან, რომლებიც ახლა ბევრს არაფერს გვეუბნება და ისინი მრავალწერტილითაა შეცვლილი.

„ტირანების უმრავლესობა დემაგოგების რიცხვიდან გამოვიდა, რომელთაც ხალხის ნდობა იმით მოიპოვეს, რომ თავლაფს ასხამდნენ წარჩინებულებს... ერთ-ერთი საშუალება ტირანიის შენარჩუნებისათვის არის ყველა იმათი თავიდან მოშორება, ვინც რაიმეს წარმოადგენს; ყველას, ვინც თავისუფალი აზროვნებით გამოირჩევა, გზიდან ჩამოშორება... საჭიროა თანამოქალაქეებს შორის ურთიერთმტრობის ჩამოგდება, მეგობრების ურთიერთდაპირისპირება, უბრალო ხალხისა და წარჩინებულთა დაპირისპირება... ტირანებს მიდრეკილება აქვთ აწარმოონ ომები, რათა ქვეშევრდომებს არ ჰქონდეთ თავისუფალი დრო და ყოველთვის ესაჭიროებოდეთ წინამძღოლი... ტირანები არ ენდობიან მეგობრებს, რადგან სწორედ მათ შეუძლიათ განახორციელონ ის, რაც ყველას სურს მონები და ქალები ტირანების წინააღმდეგი არ არიან, რადგან, სარგებლობენ რა სხვადასხვა სიკეთეებით, ერთნიცა და მეორენიც კეთილგანწყობილნი არიან ტირანიის მიმართ... ტირანებს მოსწონთ, როდესაც მათ ეპირფერებიან, რასაც არ იზამს არც ერთი თავისუფალი ადამიანი, რომელსაც გონება აქვს... ტირანია შეიძლება დაეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ზოგიერთი მოქალაქე ერთმანეთს ენდობა, ამიტომაც ტირანები წესიერი ხალხის მტრები არიან... მრავალი ტირანი დაიღუპა მის გარშემო მყოფი ქალების თავხედობის გამო".

ერთი სიტყვით, „ტირანი" გამოდის რაღაც საშუალო „დიქტატორსა" და „დემაგოგს" შორის!

დემაგოგია, „კორუმპირებული საბჭოთა ინტელიგენციისათვის" თავლაფის დასხმა, მოაზროვნე ადამიანების მიმართ მტრობა (გავიხსენოთ თუნდაც დამოკიდებულება *მერაბ მამარდაშვილის* მიმართ), საზოგადოების ნაწილების ურთიერთწაკიდება ქალაქელობისა და სოფლელობის ან კუთხური წარმოშობის მიხედ-

ვით, კეთილგანწყობა პირფერობისადმი, ომი ოსებთან, უნდობლობა მეგობრების მიმართ, რომლებიც საბოლოოდ აუჯანყდნენ კიდეც, მის მიმართ კეთილგანწყობილი კაპასი „მდედრიონი", მის *გარშემო მყოფი* ქალების თავხედობა – აი *გამსახურდიას ტირანიის არისტოტელესეული შეფასების* არასრული სია.

* * *

პოლიტიკური ვითარება საქართველოში და მის გარშემო 1991 წელს კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა.

საბჭოთა კავშირი ტორტმანებდა. დასავლეთი შიშით შეჰყურებდა ზესახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს: მისი დაშლა დიდი საფრთხის მომტანი ჩანდა, რადგან საბჭოთა ბირთვული იარაღი სხვადასხვა რესპუბლიკაში იყო განლაგებული და გაურკვეველი იყო, ვის ხელში აღმოჩნდებოდა ის. 1991 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი) პირადად ჩავიდა უკრაინაში (სადაც ევროპაში სიდიდით მეორე ბირთვული არსენალი იყო განლაგებული, რომელიც უშუალოდ კიევიდან იმართებოდა) და ცდილობდა დაერწმუნებინა იქაური კომუნისტური ხელმძღვანელობა და ხალხიც, რომ უმჯობესია ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება. ამაოდ! 1991 წლის 1 დეკემბრის რეფერენდუმზე უკრაინამ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი.

საქართველოს არაკომუნისტური ხელმძღვანელობის ქცევასა და მის ეროვნულ პოლიტიკას დასავლური მედია უარყოფითად აფასებდა. მართალია, ცუდი იმიჯი გამსახურდიას ძირითადად მოსკოვის პრესამ შეუქმნა, მაგრამ თვითონაც არ დააკლო ხელი: მისი ინტერვიუები უცხოური მასმედიის წარმომადგენლებისთვის, სულ ცოტა, გაოცებას იწვევდა. ერთ საუბარში მან პრეზიდენტ ბუშს „კრემლის აგენტი" (!) უწოდა. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ დაირაზმნენ „მასონები" და „დასავლეთის რაღაც ბნელი ძალები". ასეთ პირობებში დასავლეთის მხარდაჭერის იმედი გამსახურდიას არ უნდა ჰქონოდა.

ქვეყნის შიგნით დაპირისპირება პრეზიდენტის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის სახიფათო მასშტაბს ღებულობდა.

გარდატეხის მომენტად გამსახურდიას რეჟიმისათვის იქცა 1991 წლის 19-21 აგვისტოს „გეკაჩეპეს" პუტჩი (იხ. თავი 24), რომლის პირველსავე დღეს საბჭოთა გენერლების მოთხოვნის პასუხად გამსახურდიამ მისივე ინიციატივით შექმნილი საქართველოს ეროვნული გვარდია შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ნაწილად გამოაცხადა, ფაქტობრივად, გააუქმა ის. გვარდია ბრძანებას არ დაემორჩილა და თეძმის ხეობაში დაბანაკდა.

როდესაც 21 აგვისტოს მოსკოვში პუტჩი ჩაიშალა და რუსეთის პრეზიდენტ ელცინის ბრძანებით პუტჩისტები დააპატიმრეს, საქართველოს ოპოზიციურმა პარტიებმა არ დააყოვნეს პუტჩისტების მიმართ მორჩილებაში დაედანაშაულებინათ გამსახურდია.

გამძაფრდა კონფლიქტი პრეზიდენტსა და ადრე მის ახლო თანამებრძოლს – ეროვნული გვარდიის მეთაურ *თენგიზ კიტოვანს* – შორის. ამ უკანასკნელსა და გამსახურდიას მიმართ ოპოზიციურად განწყობილ პარტიებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის რაღაც არაფორმალური დროებითი ალიანსის მსგავსი შეიქმნა.

კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში – „თბილისის სამოქალაქო ომში" – გადაიზარდა.

1991 წლის 21 დეკემბერს, როგორც ამტკიცებენ, გამსახურდიას ახლობლების სამხედრო პროვოკაციის საპასუხოდ, კიტოვანის გვარდიამ არტილერიის ცეცხლი გაუხსნა პარლამენტის შენობას. ომმა ორ კვირას გასტანა. მას მოჰყვა ასამდე ადამიანის დაღუპვა, ხანძარი დედაქალაქის ცენტრში, შენობების ნგრევა და, აგრეთვე, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის ძირს დაცემა. როდესაც იმავე წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ოფიციალური დაშლის შემდეგ აშშ-მ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ სიაში მხოლოდ საქართველო იყო გამოტოვებული.

1992 წლის 5 იანვარს „თბილისის სამოქალაქო ომი" დამთავრდა პრეზიდენტ გამსახურდიასა და მის მომხრეთა ნაწილის საქართველოდან წასვლით.

* * *

ის, რაც საქართველოში 1991 წლის ბოლოსა და 1992 წლის დასაწყისში მოხდა, იურიდიული თვალსაზრისით უკანონობა იყო: ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ქვეყნიდან გააძევეს.

ამავე დროს, არსებობდა შიში, რომ გამსახურდიას მართვის სტილი, მისი გარემოცვის შემადგენლობა და ქცევა კარგს არაფერს მოუტანდა დამოუკიდებელ საქართველოს. რომც არ მომხდარიყო გადატრიალება, სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალი ჩანდა; ავტორიტარიზმი განმტკიცდებოდა, იქნებ დიქტატურაშიც გადაზრდილიყო და პოლიტიკური ოპოზიციის სრული დათრგუნვა ეცადა; ეთნიკური კონფლიქტები გაღრმავდებოდა; მოსალოდნელი იყო საგარეო იზოლაცია. ეკონომიკური სირთულეები ქვეყანას ყველა შემთხვევაში ელოდა, მთავრობისაგან დამოუკიდებლადაც, მაგრამ ისინი მმართველ რეჟიმს დაბრალდებოდა.

ინგლისელმა მოსამართლემ ჯონ ბრედშოუმ 1649 წელს მეფე ჩარლზ I-ის გასამართლებისას თქვა: Rebellion to tyrants is obedience of God (ტირანების წინააღმდეგ ამბოხება ღვთის მორჩილებაა). XVIII საუკუნის ბოლოს ამ სიტყვებს გაიმეორებენ ინგლისის მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ამერიკელები. არა მგონია, კიტოვანს სცოდნოდა ეს სიტყვები, რომ ისინი თავიანთი ქმედების გამართლებად მოეყვანა. მაგრამ მის მოქმედებას, საბოლოოდ, ქართული ელიტის დიდი ნაწილი, თავიდან მაინც, მორალურად ამართლებდა. ხალხის

უმრავლესობა კი ინდიფერენტულად უყურებდა ამბოხებას: ყოველ შემთხვევაში, გამსახურდიას დასაცავად თავი ბევრს არ გამოუდია.

ისიც გავიხსენოთ, რომ რუსთაველმა თავის დადებით გმირს, ტარიელს, ათქმევინა „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად". ტარიელი კი, იურიდიული თვალსაზრისით, კანონს არღვევდა, როდესაც ხვარაზმშას ძეს ძილში კლავდა!

ქართული ნაციონალიზმი და ზვიადიზმი

საჭიროდ მივიჩნიე გამომეთქვა ორიოდე მოსაზრება *ქართული ნაციონალიზმისა და ზვიადიზმის ურთიერთმიმართების შესახებ.*

ნაციონალიზმი არის დოქტრინა და პოლიტიკური პრაქტიკა დაფუძნებული იმის წარმოდგენაზე, რომ სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკის, კულტურის საფუძველს წარმოადგენს ნაცია (ერი), მისი ფასეულობები და იდეალები.

არსებობს *ზომიერი* (რაციონალური, ლიბერალური, სამოქალაქო-ტერიტორიული, რეფორმისტული... ტერმინები მრავალგვარია) ნაციონალიზმი, რომელსაც უარყოფითი შეფასება ყოველთვის არ ეკუთვნის.

სამოქალაქო-ტერიტორიული ნაციონალიზმი XVIII საუკუნის ბოლოდან ფართოდ გავრცელდა. ის გულისხმობს ერთ ერად (ნაციად) აღიარებულ ადამიანთა ჯგუფის მობილიზაციას მარტივი ლოზუნგის ირგელივ: ეს *ჩვენი* ტერიტორიაა! ეს ტერიტორია ჩვენს სუვერენულ სახელმწიფოს ეკუთვნის. ჩვენ ერი (ნაცია) ვართ! სხვები ყველანი არიან *„ისინი"*, რომელთაც ამ ტერიტორიის ფლობის უფლება არა აქვთ (თუ ზოგი მათგანი აქ ცხოვრებას მოისურვებს, „ჩვენი" უნდა გახდეს: ეს ვლინდება მოქალაქეობისა და ნაციონალობის გაიგივებაში, მაგალითად, ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში *nationality* იგივეა, რაც „მოქალაქეობა").

ეთნოსების უმეტესობა ისეთ ისტორიულ ეტაპზე, როდესაც ეროვნული სახელმწიფო ჩამოყალიბების პროცესშია, ტერიტორიული ნაციონალიზმის იდეას აიტაცებს ხოლმე.

ჩანართი 25.3
„ჩვენ" და „ისინი"

ადამიანთა ჯგუფის ერთ ერად (ნაციად) გამაერთიანებელი არის უხილავი „ეროვნული სული", რომელიც ყალიბდება ზოგადად კულტურის გავლენით, კულტურით, რომელიც, თავის მხრივ, არის არაგენეტიკურად გადაცემული მემკვიდრეობა. ამ „ეროვნული სულის" გამაერთიანებელი არის ეზოში, მეგობართა წრეში, სკოლაში, რელიგიური მოძღვრისგან გასაგებ საკომუნიკაციო ენაზე გაგონილი მითები (რომლებიც, გარკვეულად, ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენს) და მათი თანამდევი დაყოფა – „ჩვენ" და „ისინი". „ჩვენ" ვართ სხვადასხვა დონის ერთობები:

დაწყებული ოჯახის წევრებით, ნათესავებით, გაგრძელებული კლასელებით, უბნელებით, თანასოფლელებით ან თანაქალაქელებით, ერთი მხარის მკვიდრებით, ერთი რელიგიის მიმდევრებით და დამთავრებული ერთი *ერით*; სხვები კი არიან „ისინი“, რომლებიც „ჩვენთვის“ ქმნიან სხვადასხვა დონის „მტრის ხატს“.

რეალობაა, რომ *მტრის ხატი* იყო (და დღემდე არის) ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი. კლასიკურ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომის (1337-1453) დროს ინგლისელებისათვის *მტრის ხატის* მინიჭება, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა ღვთისმოსავმა გოგონამ, შემდგომში წმინდანად შერაცხულმა, *ჟანა დ'არკმა*. ამან ხელი შეუწყო *ფრანგების სუბეთნოსების ერთ ერად კონსოლიდაციას*: *„ისინი“, ანუ ინგლისელები*, ანადგურებენ *„ჩვენი“ – ფრანგების* (და არა პიკარდიელების, ნორმანდიელების, ანჟუელების და სხვა პროვინციების მცხოვრებთა) *მიწას*.

1980-იანი წლების დასასრულის საქართველოშიც იყო ნაციონალური იდეის ირგვლივ ხალხის მობილიზაცია, რასაც „მტრის ხატის“ (მას განასახიერებდნენ კრემლი და, აგრეთვე, ტერიტორიულად კონცენტრირებული ეთნიკური უმცირესობები) კრისტალიზაციაც უწყობდა ხელს.

ქართული სამოქალაქო-ტერიტორიული ნაციონალიზმი საერთო ჯამში ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა. ჩვენ ვერ ვიტყვით უარს იმ მიწის ერთ გოჯზეც კი, რომელიც საერთაშორისო სამართლის საფუძველზე დაგვიკანონდა 1991 წლის ბოლოს და ისტორიულადაც გვეკუთვნოდა. ნაციონალიზმი (არა მხოლოდ სასმისით ხელში!) ერის გაძლიერების სანინდარია.

ამასთან ერთად, ულტრანაციონალი ზმი (მასაც აქვს სხვა სახელები, მაგალითად, *ინტეგრალური ნაციონალი ზმი*) გამოირჩევა არატოლერანტობით, ქსენოფობიით, საკუთარი ერის „სულიერი მისიის“ ნინწამოწევით.

ულტრანაციონალისტურ რიტორიკას ზოგიერთი პირი დღესაც არ ერიდება. ალბათ, მას კეთილგანწყობილი მომხრეებიც ჰყავს. მაგალითად, ცნობილ ქართველ პოეტს ერთ პოპულარულ ყოველკვირეულ გაზეთში შეუძლია საკუთარ თავს *ქსენოფობი* უწოდოს, ხოლო იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც პირადად მას და გაზეთის ჟურნალისტებს არ მოსწონთ, „სომხობა“ დასწამოს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება და, ასე რომც იყოს, დანაშაული არაა.

ქართული ულტრანაციონალიზმის *შემქმნელი გამსახურდია არ ყოფილა*, თუმცა ძალაუფლებაში მოსასვლელად მან სრულად ისარგებლა იმ ულტრანაციონალისტური განწყობით, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობდა.

ეროვნული მოძრაობის ზეერთგულ მიმდევრებს, სხვანაირად, ქართველ [ულტრა?]ნაციონალისტებს, „ზვიადისტები“ დაარქვეს (ისინი, მგონი, დღესაც არ თაკილობენ ამ სახელს!), ხოლო მოძრაობას, გარკვეული პირობითობით – „ზვიადიზმი“. „ზვიადისტები“ ჯერაც არიან, მათი აზრით, „კანონიერი უზენ-

აესი საბჭოს" აღდგენის მომხრენი, მათ მიაჩნიათ, რომ ეროვნული პროექტი მხოლოდ გამსახურდიას ჰქონდა.

„ულტრას" შემდეგ კითხვის ნიშანს ვსვამ, რადგან არ შემიძლია ზვიადიზმსა და ყველა მის ანალოგს ცალსახად „ულტრანაციონალიზმი" ვუწოდო: ისინი ხან „ნორმალური" ნაციონალიზმის პოზიციაზე იდგნენ, ხანაც „ულტრანაციონალისტურზე".

ზვიადიზმი ქართული მოვლენაა, მაგრამ დაახლოებით მისი მსგავსი მოვლენები იმავე პერიოდში სხვაგანაც ხდებოდა.

მაგალითად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში *ებულფაზ ელჩიბეი* ქვეყნის პრეზიდენტად ანალოგიურმა ეროვნულმა მოძრაობამ და აზერბაიჯანულმა [ულტრა?]ნაციონალიზმმა მოიყვანა. *მტრის ხატს* მისთვის *სომხები* ქმნიდნენ.

ჩვენს მეზობელ სომხეთში პარტია *დაშნაკცუთიუნი*ას წელზე მეტია სომხური [ულტრა?]ნაციონალიზმის იდეას ავითარებს.1990 წელს სომხეთის ხელისუფლებაში მოსული *სომხური საერთოეროვნული მოძრაობა* ემიჯნებოდა *დაშნაკებს*, რადგან ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მათ პარტიას მეტოქედ მიიჩნევდა, მაგრამ არსებითად ეყრდნობოდა იმავე [ულტრა?]ნაციონალისტურ იდეებს. *მტრის ხატს* ყველა სომხური პარტიისათვის *თიურქები* (თურქები და აზერბაიჯანელები) ქმნიდნენ და დღემდე ქმნიან.

იმავე იდეამ დარაზმა აფხაზური [ულტრა?]ნაციონალიზმი, რომელმაც *მტრის ხატად* ქართველები აირჩია (ჩვენ აფხაზების ქცევას *სეპარატიზმად მივიჩნევთ).*

აქვე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა „ნაციონალური ლიდერის" ფენომენის შესახებ, რაც მარტო გამსახურდიას და მარტო ქართველებს არ გვეხება, მაგრამ „ჩვენ ჩვენი ვიტიროთ". მის შემდეგაც გვქონდა და გვაქვს ტენდენცია გმირი დავინახოთ ერის სათავეში, რაც არც ადრე იყო უცხო:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?"

ზვიად გამსახურდიას ირგვლივ გაერთიანებული პარტიების ბლოკი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა უპირველესად იმის გამო, რომ *მისი ლიდერი აშკარად ქარიზმატული პიროვნება იყო.* საბჭოთა პერიოდში მისი პატრიოტული, დისიდენტური (თუნდაც, ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ საორჭოფო) საქმიანობა გმირობის შარავანდედს სძენდა მას. ქართველი ხალხი ზვიადს იცნობდა როგორც მრავლისათვის საყვარელი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟიშვილს.

ასევე ქარიზმატული (და არასაორჭოფო) დისიდენტის, *მერაბ კოსტავას* ტრაგიკული დაღუპვის (1989 წ.) შემდეგ ზვიად გამსახურდიას პრაქტიკულად ვერავინ შეეცილებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდეროაში. ყველა სოციოლოგიური გამოკვლევა აჩვენებდა, რომ *ქართული საზო-*

გადოებრივი აზრი ამ მოძრაობის სათავეში ხედავდა ზვიად გამსახურდიას. ის განსაკუთრებულ იმედს უსახავდა ქართველ ხალხს, რადგან გამოკვეთილი ლიდერი მასის დარაზმვის საუკეთესო საშუალებაა.

და, აი, გმირიც გამოჩნდა?

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ორიოდე სტრიქონი ბერტოლტ ბრეხტის 1939 წელს დაწერილი პიესიდან „გალილეო". იქ გალილეო გალილეის მოწაფე ანდრეა გამოთქვამს წუხილს: „უბედურია ქვეყანა, რომელსაც გმირები არა ჰყავს", რაზეც გალილეო მიუგებს: „არა! უბედურია ქვეყანა, რომელსაც გმირები სჭირდება".

ნეტავ როდის გავიზრდებით იქამდე, რომ გალილეოს ამ სიტყვების ღირსი აღარ ვიყოთ?

ახლა უფრო ნათლად ვხედავ, რომ იმ დროს დაშვებული ყველა შეცდომის პირადად ზვიად გამსახურდიასათვის დაბრალება არასწორია. ის ხშირად აკეთებდა იმას, რასაც მისგან ელოდა ქართველი ხალხის არცთუ მცირე ნაწილი. საყოველთაო აზრი კი ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ის სწორია: იგივე *გალილეო* თითქმის მარტო იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ დედამიწა ბრუნავს. ხალხი სხვა აზრისა იყო: მათ ბიბლიის სჯეროდათ!

საერთო ჯამში, ზვიადის შეცდომები – ერის შეცდომებია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისთვის და მისი ბლოკისათვის ხმა არ მიგვიცია.

ამიტომ იქნებ უადგილო არ იყოს გავიხსენოთ *კარლ მარქსის* სიტყვები, ნათქვამი ფრანგების შესახებ *ლუი ნაპოლეონის* გაიმპერატორების შემდეგ, XIX საუკუნის შუა წლებში:

> „ერს, ისევე, როგორც ქალს, არ ეპატიება დაუდევრობის წუთი, როდესაც პირველმა შემხვედრმა ავანტურისტმა მასზე ძალადობა შეიძლება იხმაროს".

მარქსი, რომელიც XIX საუკუნის მოღვაწე იყო და იმდროინდელ დონეზე აზროვნებდა, დღევანდელი გაგებით მეტისმეტად „არაპოლიტკორექტული" იყო *ქალებისა და ფრანგების* მიმართ. მაგრამ ამ სიტყვებში რაღაც ანალოგია შეიძლება დავინახოთ...

ახალგაზრდა *გალაკტიონმა* ერთი უჩვეულო ლექსი დაწერა. ის *პალინდრომია* – ყველა სტრიქონი მარჯვნიდან და მარცხნიდან ერთნაირად იკითხება

„აი, რა მზის სიზმარია
აირევი ივერია...
აი დროშა, აშორდია,
აერების სიბერეა".

მეორე და მესამე სტრიქონები წინასწარმეტყველებას ჰგავს: *კოლექტიურმა აშორდიამ* დროშა დაიჭირა და *ივერიაც აირია.*

მზის სიზმრამდე ჯერ შორია!

თავი 26

დამოუკიდებლობის არცთუ კარგი დასაწყისი

„ხუნტის“ პოლიტიკა

1992 წლის 6 იანვარს თვითგამოცხადებულმა *სამხედრო საბჭომ* („*ხუნტამ*“ – ზვიადისტების ტერმინოლოგიით) საშუალება მისცა გამსახურდიას თავის ოჯახთან და უახლოეს გარემოცვასთან ერთად გამოსულიყო უზენაესი საბჭოს შენობის ბუნკერიდან და ავტომობილებით გამგზავრებულიყო სომხეთში. იქ, ქალაქ ივჯევანთან მდებარე სამთავრობო სახლში, მათ რამდენიმე დღე დაჰყვეს, რის შემდეგაც თვითმფრინავით გადაიყვანეს ქ. გროზნოში, თვითგამოცხადებული *იჩქერიის* (ჩეჩნეთის) რესპუბლიკის დედაქალაქში, სადაც მათ იქაური პრეზიდენტის, *ჯოჰარ დუდაევის* ფრთას შეაფარეს თავი. უზენაესი საბჭოს წევრების ნაწილიც გროზნოში წავიდა.

ყველა ზემოხსენებული გადაადგილება რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან (მისი საგარეო დაზვერვის სამსახურს მაშინ სათავეში *ევგენი პრიმაკოვი* ედგა) ირიბი (ან იქნებ პირდაპირი?) შეთანხმებით კეთდებოდა. ნათელი იყო, რომ კრემლის ინტერესებში არ შედიოდა გამსახურდიას ლიკვიდაცია: პირიქით, ის სჭირდებოდა საქართველოში „მართვადი ქაოსის“ შესანარჩუნებლად. სანამ ქვეყანაში „ზვიადისტებსა“ და „ანტიზვიადისტებს“ შორის მიმდინარეობდა არცთუ ფიცხელი, მაგრამ ნამდვილი სამოქალაქო ომი, გროზნოში მყოფი გამსახურდია „დამოკლეს მახვილის“ როლს ასრულებდა საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის. სანამ ჩეჩნები აქტიურად იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთში და გროზნო უპირისპირდებოდა თბილისის ახალ რეჟიმს, კრემლი არ ღებულობდა მკვეთრ ზომებს ჩეჩნური სეპარატიზმის აღმოსაფხვრელად და „მოსათმენად“ მიაჩნდა მათ მიერ გამოცხადებული *იჩქერიის რესპუბლიკა*. მას შემდეგ, რაც გამსახურდია საქართველოში წავიდა და 1993 წლის მიწურულს იქვე დაიღუპა, *იჩქერია* საჭირო აღარ იყო. 1994 წლიდან რუსეთის ფედერალური ძალები გროზნოს

წინააღმდეგ იერიშზე გადავიდნენ: დაიწყო რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომი. ამ ფაქტებში, შესაძლოა, არ ჩანდეს პირდაპირი მიზეზ-შედეგობრიობა, მაგრამ ქრონოლოგიური თანამიმდევრობა უეჭველია. იქნებ post hoc, ergo propter hoc?[39]

1992 წლის იანვარში თბილისში შექმნილ *სამხედრო საბჭოში* ორი წევრი იყო: *თენგიზ კიტოვანი* და *ჯაბა იოსელიანი*. მთავრობის სათავეში მათ დააბრუნეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი *თენგიზ სიგუა*, რომელიც 1991 წლის აგვისტოში გადადგა და გამსახურდიას ოპოზიციაში გადავიდა. ქვეყანას ეს სამი კაცი მართავდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას პირველი ორი ღებულობდა.

სამხედრო საბჭოს მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი საზოგადოებამ მოიწონა, მაგალითად, ის, რომ დაიწყო გლეხებისათვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა. რეალურად, ეს უფრო სოციალურად გამართლებული ნაბიჯი იყო, ვიდრე ეკონომიკურად: ჩნდებოდა წვრილგლეხური, სრულებით არაეფექტიანი მეურნეობა, რის შედეგებსაც დღემდე ვიმკით. „აგრარული რეფორმის“ პროცესი სამართლებრივად გაუმართავი იყო და გლეხობის ნაწილი უკმაყოფილო დარჩა. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა სოფლად კოოპერაციული ფორმების შემოღება, თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენმა გლეხობამ (იშვიათი გამონაკლისის გარდა) თანამედროვე სოფლის მეურნეობის გაძღოლა არ იცის. მაგრამ ამას დრო სჭირდებოდა, ახალი რეჟიმი კი ჩქარობდა გადაედგა პოპულისტური ნაბიჯები. თანაც საკუთრებაში გადაცემულმა პატარ-პატარა (1,25 ჰექტარი) ნაკვეთებმა სოციალური თვალსაზრისით გაამართლა: სოფელი შიმშილს გადაურჩა. ის კი არა, 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ქალაქის მოსახლეობის ნაწილი სოფლად გადაბარგდა, იქვე მოწეული პროდუქციით ირჩენდა თავს და არჩენდა ქალაქად დარჩენილ ოჯახის წევრებს.

სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ბინები უფასოდ გადაეცა იქ მცხოვრებთ. საცხოვრებლის პრივატიზაციამ ქვეყანაში უძრავი ქონების მეტ-ნაკლებად ნორმალური ბაზარი შექმნა. საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოს კუთვნილი ბინის გაყიდვა აკრძალული იყო, მაგრამ ეს მაინც ხდებოდა კანონის გარშემოვლით და დიდძალ ქრთამს ტოვებდა ჩინოვნიკების ჯიბეში.

იმავე პერიოდის მოვლენებიდან შეცდომა იყო 1921 წლის კონსტიტუციის ნაჩქარევი აღდგენა. ეს იყო ვითომ პატრიოტი ლიდერების ემოციური, პოლიტიკურად გაუმართლებელი მოთხოვნა, რომელსაც „სამხედრო საბჭო“ აჰყვა. კონსტიტუციას 1921 წელს არც ერთი დღე არ უმოქმედია, ხოლო 70 წლის შემდეგ მისი მუხლების საკმაო ნაწილი ანაქრონიზმად იყო ქცეული. 1992 წლის თებერვალში ამ კონსტიტუციის აღდგენით საქართველოს *მეოთხე რესპუბლიკა* თავს აცხადებდა *პირველი რესპუბლიკის* სამართალმემკვიდრედ და ჭრიდა ყველა ძაფს, რომლითაც საბჭოთა მემკვიდრეობასთან იყო დაკავშირებული.

[39] მის შემდეგ, მაშასადამე მისი მიზეზით (ლათ.)

1921 წლის კონსტიტუციამ აფხაზურ სეპარატიზმს გარკვეული იურიდიული ხელმოსაჭიდი მისცა, რადგან ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საბჭოთა კონსტიტუციაში მკაფიოდ იყო დაფიქსირებული, ხოლო 1921 წლის დოკუმენტში მისი ავტონომიის სტატუსი ბუნდოვნად იყო ფორმულირებული (იქ ლაპარაკი იყო გარკვეული ავტონომიური უფლებების მინიჭებაზე სოხუმის ოკრუგისათვის). ეს სამართლებრივი ლაფსუსი აფხაზთა ლიდერებმა იმავე 1992 წელს გამოიყენეს საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის „ლეგიტიმაციისათვის", იმ დროს – მხოლოდ ქაღალდზე.

1992 წლის დასაწყისში შექმნილი *საქართველოს მეოთხე რესპუბლიკის* ცნობას დიდი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები არ ჩქარობდნენ: ხელისუფლებაში აშკარად უკანონო გზით მოსული „სამხედრო საბჭო" *ოდიოზურმა ფიგურებმა* დააკომპლექტეს. ეს იყო მიზეზი, რომ მაშინ, როცა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა გაეროს წევრი 1992 წლის დასაწყისშივე გახდა, საქართველო ამ უმთავრესი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად მხოლოდ იმავე წლის ივლისში მიიღეს.

1992 წლის დასაწყისიდანვე საქართველოში ნელი და „უწესრიგო" სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ზვიადისტების რამდენიმე გამოსვლას ახალი ხელისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა სროლით უპასუხეს. ზვიადიზმის ძირითადი დასაყრდენი დასავლეთ საქართველო იყო – ძირითადად სამეგრელო, ნაწილობრივ სამურზაყანო და გურია. სამეგრელოში „მხედრიონმა" მკაცრი სადამსჯელო ოპერაცია მოაწყო, რომელიც დღემდე ახსოვთ.

ახალმა ხელისუფლებამ, უპირველესად *ჯაბა იოსელიანმა*, როგორც ჩანს, ინტუიციით იგრძნო, რომ „სამხედრო საბჭო" დიდხანს ვერ გაძლებდა, თუ მაღალ ავტორიტეტს არ ამოეფარებოდა. თუკი სამოქალაქო ომი გაცხოველდებოდა, საქართველო, შეიძლება, საერთოდ დაშლილიყო.

თუმცა კიტოვანი, სამხედრო გადატრიალების წამომწყები, ძალიან ითრევდა ფეხს, იოსელიანმა დააჯერა იგი მოსკოვიდან *ედუარდ შევარდნაძის* ჩამოსვლის საჭიროებაში: ის რესპექტაბელობას შემატებდა არალეგიტიმურ ხელისუფლებას, ხოლო მისი საერთაშორისო კავშირები საქართველოს დიპლომატიურ აღიარებას შეუწყობდა ხელს.

როგორ იწყებოდა „გვიანი შევარდნაძის ეპოქა"

1992 წლის 6 მარტს ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდა. ზვიადისტები მას უკიჟინებდნენ, რომ სამხედრო გადატრიალება სწორედ მან დაგეგმა და ახლა მიიღო ის, რაც სურდა – ძალაუფლება.

ეს აზრი სადავოა. რასაკვირველია, შევარდნაძე გამსახურდიას მომხრე არ

ყოფილა და მისგანაც ბევრი გესლიანი სიტყვა ახსოვდა, მაგრამ ვისი ხელით უნდა მოეწყო გადატრიალება? ჯაბა იოსელიანი, რომელიც შევარდნაძის ჩამოსვლის ინიციატორი გახდა, გადატრიალების იმ მომენტში გამოჩნდა ასპარეზზე (1991 წლის 26 დეკემბერს გამოვიდა კაგებე-ს ცეცხლმოდებული იზოლატორიდან, რომელშიც ის გამსახურდიამ ჩასვა), როდესაც კიტოვანის გვარდიის გამარჯვება საერთოდ საეჭვო იყო; გადატრიალების დასაწყებად იოსელიანი უბრალოდ *ვერ იქნებოდა* „შევარდნაძის მიერ მართული". ის, რომ კიტოვანი შევარდნაძეს არ ემორჩილებოდა, შემდგომშიც ბევრჯერ დამტკიცდა. თუმცა, ვიმეორებ, წინა აბზაცში მოყვანილ აზრს კატეგორიულად ვერ უარვყოფ.

შევარდნაძის წამოსვლა სამოქალაქო ომში გახვეულ და გაუბედურებულ საქართველოში მისთვის სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული. სასწორზე იდო მისი რეპუტაცია, რომელიც მან, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მოიხვეჭა დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობისას.

ის, ალბათ, წინდაწინ ზომავდა – სად მიდის და რეალურად რა შეუძლია გააკეთოს? მემუარებში პოლიტიკოსები თავისი მოქმედების გამამართლებელ ყველაზე ხელსაყრელ ვარიანტს ირჩევენ ხოლმე. ამიტომაც მათ ნაკლებად ვენდობი და შევარდნაძის მოტივაციის ასეთ დაშვებებს ვიძლევი:

- საქართველოში შევარდნაძე წმინდა პატრიოტული მოსაზრებით მოდიოდა – მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი სამშობლოს გადასარჩენად.
- ამბიციური პოლიტიკოსისთვის – ზესახელმწიფოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, თუნდაც პატარა სახელმწიფოს სათავეში ჩადგომა გარკვეული კომპენსაცია იქნებოდა პოლიტიკური წონის დაკარგვისათვის. ძალაუფლება ძალიან მიმზიდველი სატყუარაა ნებისმიერი პოლიტიკური ზვიგენისათვის!
- საქართველოში წამოსვლისას შევარდნაძეს რუსეთის ხელმძღვანელობის გარკვეული, თუნდაც მინიმალური, მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა. „პერესტროიკის" პერიოდში, გორბაჩოვისაგან განსხვავებით, *ელცინს ის პირდაპირ არ დასტაკებია*, 1991 წლის „პუტჩის" წინააღმდეგ ბრძოლისას მორალური მხარდაჭერაც კი აღმოუჩინა. ნომინალურად, მან „მიიღო კურთხევა" რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინისაგან საქართველოში წამოსასვლელად. ეს არ ნიშნავდა, რომ ამის გამო „ელცინის რუსეთი" თავს გამოიდებდა „შევარდნაძის საქართველოსათვის". მაგრამ, იქნებ, ძალიან არ ემტრო? დახმარება რუსეთისაგან შევარდნაძეს არ მიუღია. ის კი არა, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაც კი კრემლმა იმავე წლის 1 ივლისამდე დააყოვნა: დასავლეთის ქვეყნებმა მას დაასწრეს.

ერთადერთი, რასაც მთლიანად გამოვრიცხავ, ისაა, რომ შევარდნაძე მერკანტილური ინტერესიდან გამომდინარე – სიმდიდრის მოსახვეჭად – მოდიოდა საქართველოში.

ჩანართი 26.1
სამხრეთ კავკასიის ახალი სახელმწიფოების ლიდერები

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ *თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მეთაური გახდა იმ დროს მოქმედი კომუნისტი ხელმძღვანელი.* ასე იყო რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში, შუა აზიის ყველა რესპუბლიკაში და „გაევროპელებულ" ესტონეთსა და ლიტვაშიც კი.

სამხრეთ კავკასია ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა: სამივე რესპუბლიკაში პირველ ხელმძღვანელებად (პრეზიდენტებად) აქტიური ნაციონალისტები – ყოფილი დისიდენტები აირჩიეს. ყველა მათგანი ფილოლოგი იყო, რაც სულაც არაა ნაკლი. მაგრამ რეალობაა, რომ სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას ენათმეცნიერებისა ან ძველი ტექსტების შესწავლის გზით ვერ დაეუფლები. იმ ადამიანებს, ვინც სახელმწიფოს უდგებოდნენ სათავეში, მხოლოდ თეორიული ცოდნით (ეთქვათ, XVI საუკუნეში შექმნილი *მაკიაველის* თხზულებით) კი არ უნდა ეხელმძღვანელათ, არამედ მართვის რაღაც გამოცდილებაც ჰქონოდათ, თუნდაც კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორის დონეზე.

გამოუცდელი ხელმძღვანელები საკმაოდ მალე შეცვალეს უფრო გამობრძმედილმა ძველმა პარტიულმა ლიდერებმა, რაც, სხვათა შორის, თითქმის საყოველთაო მხარდაჭერის პირობებში ხდებოდა.

საქართველოში ფილოლოგი პრეზიდენტი *ზვიად გამსახურდია* პოლიტბიუროს ყოფილმა წევრმა და ადრე საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა *ედუარდ შევარდნაძემ* ჩაანაცვლა (სიზუსტისათვის: გამსახურდიას შემდეგ ორი თვის განმავლობაში ქვეყანას *სამხედრო საბჭო* მართავდა). ჩანაცვლება 1992 წელს დაიწყო და მხოლოდ 1995 წელს დასრულდა: 1995 წლამდე შევარდნაძეს ძალაუფლების სხვებთან ერთგვარი გაყოფა მაინც უხდებოდა. შევარდნაძემ სცადა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ გამოუვიდა ეს.

აზერბაიჯანში ფილოლოგი პრეზიდენტი *ებულფაზ ელჩიბეი* 1993 წელს პოლიტბიუროს ყოფილმა წევრმა და ადრე აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა *ჰეიდარ ალიევმა* შეცვალა. მან უპირველესად რუსეთთან აღადგინა ნორმალური ურთიერთობა, თუმცა ყარაბაღის ომი მაინც წააგო.

სომხეთში ფილოლოგმა პრეზიდენტმა *ლევონ ტერ-პეტროსიანმა* ცოტა მეტხანს გაძლო, 1997 წლამდე. ის საკმაოდ პრაგმატული იყო რუსეთთან ურთიერთობაში და მისგან საკმარისი დახმარება მიიღო. 1998 წლის დამდეგიდან პრეზიდენტი გახდა ადრე შედარებით დაბალი დონის პარტიული მუშაკი, მთიანი ყარაბაღის ერთი ქარხნის პარტკომის ყოფილი მდივანი *რობერტ ქოჩარიანი.*

სომხეთის კომპარტიის ცეკას ყოფილ პირველ მდივანს, *კარენ დემირჭიანს* დიდი შანსი ჰქონდა, სათავეში ჩადგომოდა ახალ სახელმწიფოს, ისე, როგორც ეს მეზობელ სახელმწიფოებში მოხდა: 1998 წელს ის სომხეთის *ეროვნული კრების* (პარლამენტის) *თავმჯდომარედ*, ანუ ფორმალურად ქვეყნის მეორე პირად აირჩიეს. მაგრამ 1999 წელს, ძალიან უცნაურ ვითარებაში, პარლამენტის სხდომის დროს დემირჭიანი ადგილობრივმა ტერორისტებმა მოკლეს.

საერთო ჯამში, შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტმა საქართველოსათვის პოზიტიურად იმუშავა: დაჩქარდა ქვეყნის აღიარება დიდი სახელმწიფოების მიერ და მისი მიღება საერთაშორისო ორგანიზაციებში; გაადვილდა კონტაქტები უმაღლეს დონეზე; ურთულეს ეკონომიკურ ვითარებაში ქვეყანამ

მიიღო გარკვეული ჰუმანიტარული დახმარება საზღვარგარეთიდან. საქართველო გადაურჩა მასობრივ შიმშილს.

პირველი, ვინც დიპლომატიური მისია გახსნა თბილისში, გერმანია იყო. მას მოჰყვა ამერიკა, თურქეთი, ისრაელი. რუსეთი ამ რიგში მხოლოდ მე-7 აღმოჩნდა.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ *ედუარდ შევარდნაძე* აირჩიეს *სახელმწიფო საბჭოს* თავმჯდომარედ. მისი მოადგილე ჯაბა იოსელიანი გახდა, თენგიზ კიკოვანი – თავდაცვის მინისტრი. „სახელმწიფო საბჭომ", რომელშიც შევიდნენ იმ დროს გავლენიანი პოლიტიკოსები, შეცვალა „სამხედრო საბჭო". მაგრამ ხალხის მიერ აურჩეველ „სახელმწიფო საბჭოს" ლეგიტიმურ მმართველ ორგანოდ ვერ მივიჩნევდით.

ხელისუფლების ლეგიტიმაციას ემსახურებოდა 1992 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები. პირველად (და უკანასკნელად) გამოყენებულ იქნა არჩევნების თავისებური მოდელი: ყველა ამომრჩეველს სამი „სხვადასხვა წონის" ხმა ჰქონდა – საარჩევნო ბიულეტენში ის სამ პარტიას/ბლოკს აყენებდა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე. ამის გამო პარლამენტში 26 პარტია და ბლოკი მოხვდა. წარმომადგენლობა ფართო იყო! ლამის ყველა პარტიამ პარლამენტში მოიყარა თავი. ე.წ. „ქუჩის ოპოზიცია" აღარ დარჩა, თუ არ ჩავთვლით გამსახურდიას მომხრე პარტიებს („ზვიადისტებს"), რომელთაც არჩევნებში მონაწილეობა არ ისურვეს.

საპარლამენტო არჩევნების დროსვე საყოველთაოდ ეყარა კენჭი პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურას. *ამ პოსტ ზე უალტერნატივოდ აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე*. ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა მას სავსებით გულწრფელად აძლევდა ხმას: ის იყო უკანასკნელი იმედი სასოწარკვეთილთათვის... ან, იქნებ, ხავსი – წყალწაღებულთათვის?

1992 წელსვე პარლამენტმა ედუარდ შევარდნაძე „სახელმწიფოს მეთაურადაც" აირჩია. პარლამენტი სხდომებს ატარებდა რუსთაველის გამზირზე მდებარე ყოფილი *იმელ*-ის – მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის – შენობაში[40], რადგან მთავრობის სახლი, სადაც 1995 წლიდან განთავსდება საქართველოს პარლამენტი, სამოქალაქო ომის დროს ძალიან დაზიანდა და სანახევროდ დაინგრა.

1992 წლის მარტში დაიწყო *„გვიანი შევარდნაძის ეპოქა"*. დაიწყო პოლიტიკური ბრძოლის გროსმაისტერის თამაში მრავალ დაფაზე – ძალაუფლებისათვის მებრძოლ ოსტატებთან და პირველთანრიგოსნებთან. პარალელურად, მას უხდებოდა ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს სიტუაციასთან გამკლავება.

[40] „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მთავრობამ მოუხსნა ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის სტატუსი იმელის შენობას და მიჰყიდა „კემპინსკის" სასტუმროების ქსელს, რომელმაც შენობა „გამოშიგნა", მაგრამ სასტუმრო არ გახსნა. 6 წელზე მეტია ფანჯრებჩაცვენილი სახლი ამახინჯებს რუსთაველის გამზირს. შენობის მეპატრონის მოთხოვნით („სასტუმროს ხედს უფუჭებს"!) თაბუაშვილის ქუჩაზე თბილისის მერიამ უკანონოდ დაანგრია ახალაშენებული საცხოვრებელი სახლი, რამაც საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ომი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში

1991-1992 წლების მიჯნის თბილისის სამხედრო გადატრიალებას მოჰყვა ქაოსი სახელმწიფო მშენებლობაში. ძალიან დიდხანს ვერ მოხერხდა ერთი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი დისციპლინირებული არმიის შექმნა.

1992 წელს დამოუკიდებლობამიღებულ საქართველოს (სინამდვილეში – თბილისის მთავრობას) ფაქტობრივად ორი არმია ჰყავდა, რომელთაც ხალხი მათი მეთაურების სახელით ახსენებდა – „ეროვნული [*კიტოვანის*] *გვარდია*" და „[*იოსელიანის*] *მხედრიონი*". მათ საპირისპიროდ, დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა გამსახურდიას მხარდამჭერი „[ლოთი *ქობალიას*] *გვარდია*". იყო რამდენიმე სხვა სამხედრო დაჯგუფებაც warlord-ების („საველე მეთაურების", „ატამანების") ირგვლივ, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდნენ თბილისში მყოფ ხელისუფლებას, ფაქტობრივად კი მოქმედებდნენ, როგორც ბანდები.

„მხედრიონი", რომელშიც თავიდან ბევრი პატრიოტულად განწყობილი პატიოსანი ადამიანიც გაერთიანდა, 1992 წელს შეივსო უდისციპლინო და მობანდიტო ელემენტებით. ბევრი მათგანი პირდაპირ ციხიდან მოვიდა, საიდანაც ისინი „სამხედრო საბჭოს" საყოველთაო ამნისტიამ გაათავისუფლა. მათ, შეიძლება ითქვას, აიკლეს საქართველო.

კიტოვანი და იოსელიანი ერთმანეთს არ ენდობოდნენ. კიტოვანისათვის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუაც, ადრე მისი მეგობარი, არ იყო ანგარიშგასაწევი ფიგურა.

ასეთ ვითარებაში 1992 წლის აგვისტოში დაიწყო ომი აფხაზეთში.

იმ წლის ივლისში აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ სხდომაზე, რომელსაც არ ესწრებოდა ქართული ფრაქცია მისი უპასუხისმგებლო ლიდერების ბუტიაობის გამო, აღადგინა „საქართველოს სსრ-სთან ხელშეკრულებით დაკავშირებული აფხაზეთის სსრ-ის" 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც კიდევ უფრო მეტი ანაქრონიზმი იყო, ვიდრე ჩვენი 1921 წლის კონსტიტუცია. თუმცა აფხაზეთს იმ დროს დამოუკიდებლობა არ გამოუცხადებია, ეჭვი არ მეპარება, რომ პროვოკაციის კვალი რუსეთის სპეცსამსახურებთან მიდიოდა.

ამ სპეცსამსახურებს თბილისშიც ჰყავდათ დასაყრდენი. 1992 წლის აგვისტოს პირველ დეკადაში რუსეთის არმიის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილემ, გენერალმა *სუფიან ბეპაევმა* (წარმოშობით *ბალყარელმა* ჩრდილო კავკასიიდან, რაც ვითომდა მისი „პროქართულობის" გარანტია იყო) *საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრ კიტოვანს* გადასცა ახალციხის დივიზიის ჩამოსაწერად მომზადებული ტანკები და რაღაც სხვა სამხედრო ტექნიკა.

დაუჯერებელია, რომ რუსეთის არმიის ერთ-ერთი სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილეს ასეთ საქმეში თავისი უშუალო ხელმძღვანელის, სამხედრო ოლქის სარდლისა და რუსეთის არმიის გენერალური შტაბის ნებართვის გარეშე ემოქმედა.

თენგიზ კიტოვანი ადვილი გამოსაყენებელი გამოდგა რუსული სპეცსამსახურ(ებ)ისათვის. სამხედრო ტექნიკა რუსებმა შეგნებულად გადასცეს ადამიანს, ვინც თავის დაქვემდებარებაში მყოფ გვარდიას დაუყოვნებლივ წაიყვანდა აფხაზეთში.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში სამხედრო ნაწილების შეყვანა, თუნდაც რკინიგზის დაცვის საბაბით, საბედისწერო შეცდომა გამოდგა. ოპერაცია არ იყო სათანადოდ დაგეგმილი; იმდროინდელი ხელისუფლების ვიწრო წრეშიც კი არ ყოფილა სერიოზული მსჯელობა შესაძლო შედეგებზე. თუკი კონფლიქტი გარდაუვალი იყო, *პრეევენციულ დარტყმას* გვიჯობდა, პირველი გასროლა სეპარატისტების მხრიდან წამოსულიყო, იქამდე, სანამ თბილისიდან წასული სამხედრო ძალა ენგურს გადალახავდა. ამას ინგლისურად ჰქვია „*to win the blame game*“ (დაბრალების თამაშის მოგება): ასეთ შემთხვევაში შეგვეძლებოდა ამბოხებაზე ლაპარაკი და სამხედრო პასუხი მორალურად გამართლებული იქნებოდა. ეს „თამაში“ კი აფხაზებმა მოგვიგეს: მათმა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ ომამდე დაიქადნა: „*ჩვენ გაიძულებთ, პირველებმა გვესროლოთ*“. სამწუხაროდ, ასეც მოხდა!

შეიძლებოდა თუ არა ამ შეცდომის თავიდან აცილება?

პასუხი ძნელი გასაცემია. კითხვის ნიშნები ლამის ყველა სიტყვის შემდეგ უნდა დაისვას. მაშინდელი სიტუაცია ძალიან იყო დამუხტული საქართველოს საწინააღმდეგოდ.

აფხაზეთის ქართველთა ლიდერებს შორის არ არსებობდა სოლიდარობა. ისინი უალრესად ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ თავიანთი ამბიციურობით, უპასუხისმგებლო რიტორიკითა და ქცევით, მაგალითად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სხდომების უდროო და უადგილო ბოიკოტირებით.

ეთნიკური აფხაზური ხელმძღვანელობა უფრო მეტად იყო კონსოლიდირებული, მაგრამ მასაც უნდა ჰქონოდა ომის შიში. საბოლოო გარანტიები მოსკოვიდან მიღებული მას არ ჰქონდა, თუმცა გუდაუთის სამხედრო-საავიაციო ბაზის ხელმძღვანელობის დახმარების იმედი მათთვის სავსებით რეალური ჩანდა.

1992 წელს *თბილისის ხელისუფლება* სუსტი იყო: მას არ ჰქონდა შინაგანი ერთიანობა; მისი ლიდერები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ; საზოგადოება გახლეჩილი იყო. ზვიადისტები ისევ მძლავრობდნენ.

იქნებ თბილისში ილუზია შეიქმნა, რომ სამხედრო კონფლიქტი საზოგადოებას გააერთიანებდა? ვიშიშობ, ასეთი დაშვებით მაშინდელი მმართველების ინტელექტუალურ დონეს გადაჭარბებულად მაღალ შეფასებას მივცემთ.

უფრო დამაჯერებელი ჩანს მოქმედების ახსნა ერთი იმდროინდელი ლიდერის – კიტოვანის – სულსწრაფობით. შევარდნაძის ავტორიტეტის ამაღლებასთან ერთად ის სწრაფად კარგავდა გავლენას; სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გახდა არა ის, არამედ იოსელიანი. კიტოვანმა გადაწყვიტა ეჩვენებინა ქვეყნისათვის თავისი „დიდი მნიშვნელობა", როგორც ჩანს, გარეშე ძალისაგან „საჭირო მიმართულებით" მიღებული ბიძგის შემდეგ.

რასაკვირველია, ჩნდება კითხვა: რისთვის სჭირდებოდა ამ „გარეშე ძალას" (რაც აქ „რუსეთის" ევფემიზმია), საქართველოს ჩათრევა სამოქალაქო ომში, თანაც ფეთქებადსაშიში ჩრდილოეთ კავკასიის საზღვრის სიახლოვეს?

რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც თვითონაც არ იყო მონოლითური, მართლაც ვერ ჩამოყალიბდა, თუ კონკრეტულად რა უნდოდა საქართველოსაგან. ძნელია იმის მტკიცება, რომ მოსკოვის ხელისუფლების ყველა ფრაქცია, რომელთაც ცალკეული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი, სამინისტროები (თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, უშიშროების) წარმოადგენდნენ, ერთსულოვანნი იყვნენ საქართველოს მიმართ გასატარებელ პოლიტიკაში. პრეზიდენტი ელცინი მრჩეველებს მეტ-ნაკლებად უსმენდა. პროვოკაცია აფხაზეთში, შესაძლოა, სპეცსამსახურებმა მის გარეშე დაგეგმეს და დაიწყეს. საბოლოოდ, კრემლმა, როგორც ჩანს, თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნია თბილისის მთავრობის მარცხი შინაომში: ასეთ შემთხვევაში საქართველო, ერთადერთი რესპუბლიკა (ბალტიის გარდა), რომელმაც არ ისურვა დსთ-ში შესვლა და პროდასავლურ განწყობას ამჟღავნებდა, უფრო ადვილი სამართავი გახდებოდა. მართალია, აფხაზეთში მოსალოდნელი ომი გაურკვეველი შედეგების მომტანი ჩანდა, მაგრამ რუსეთის არმიას ყოველთვის ეყოფოდა ძალა, გაეჩერებინა ქართველები, თუკი ისინი მართლა დაიწყებდნენ წარმატებისკენ სვლას.

რუსული არმიის *გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო* (ГРУ), რომელიც რუსეთის ფედერაციამ მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა კავშირისაგან, ერთადერთი სამხედრო სტრუქტურა იყო, რომელიც ეფექტიან მუშაობას განაგრძობდა. ГРУ მოქმედებდა აპრობირებული გზით: *მოწინააღმდეგე უნდა წამოიკიდო ავანტურაზე.*

პროვოკაცია იმისთვის კეთდება, რომ მოწინააღმდეგემ არასწორი ნაბიჯი გადადგას და დამარცხდეს. ამის შემდეგ პროვოკატორს ყოველთვის შეუძლია დაიკავოს ბრალმდებლის პოზა და თითი გაიშვიროს „დამნაშავისკენ". პოლიტიკოსის სიბრძნე იმაში გამოიხატება, რომ პროვოკაციას არ აჰყვეს. *სამწუხაროდ, არც 1992 და არც 2008 წელს საქართველოს ხელმძღვანელობაში მყოფ პირებს ეს სიბრძნე არ აღმოაჩნდათ.*

შემთხვევითობისათვის თავის ასარიდებლად (ხომ შეიძლებოდა, საქართველოს სათავეში ქმედითუნარიანი მთავრობა მოსულიყო?) რუსეთის სპეც-

სამსახურებმა წინსწრებით, ჯერ კიდევ 1989 წელს, შექმნეს *„კავკასიის* [მთიელ] *ხალხთა კონფედერაცია“*, რომლის დედაქალაქადაც სოხუმი გამოცხადდა. *კონფედერაცია* არ იყო რეგისტრირებული და, წესით, მოსკოვს ასეთი არალეგალური, თანაც „ანტირუსული“ ორგანიზაცია უნდა დაეშალა. ის არ დაუშლიათ და უკვე 1992 წელს *კონფედერაცია* მოსკოვს გამოადგა.

კბილებამდე შეიარაღებული (იარაღს მხოლოდ რუსეთის არმიიდან თუ მიიღებდნენ) *„კონფედერატები“ – ჩეჩენი, ჩერქეზი, ადიღეელი, ყაბარდოელი, ოსი მოხალისეები, აგრეთვე რუსი კაზაკები*, 1992 წლის აგვისტოდან მოყოლებული თავისუფლად გადმოდიოდნენ აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს უკვე საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვრის დარღვევით და სეპარატისტების მხარეს „აფხაზეთის თავისუფლებისათვის“ იბრძოდნენ. სხვათა შორის, *ქართველების წინააღმდეგ ომში არ ჩაებნენ ინგუშები, ბალყარელები, ყარაჩაელები, დაღესტნელი ხალხების უმრავლესობა*, რომლებიც მტრად ქართველებს კი არ მიიჩნევდნენ, არამედ იმათ, ვინც საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა.

ჩეჩენი მოხალისეებიც ჩაებნენ ომში საქართველოს წინააღმდეგ, რაც ეთნიკური დაპირისპირებით ვერ აიხსნება. ჩეჩნეთის (*იჩქერიის*) პრეზიდენტი ჯოჰარ *დუდაევი* ამის მომხრე, როგორც ამბობენ, არ ყოფილა, მაგრამ არც კატეგორიულად წინააღმდეგი წასულა, მით უმეტეს, რომ *გროზნოში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ* აფხაზურ ენაზე მიმართა „აფხაზ ძმებს“ მოწოდებით – დაემარცხებინათ თბილისის *ხუნტა*.

აფხაზეთში ომის მოგების შემდეგ კავკასიელი „კონფედერატების“ დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა. უმრავლესობამ იარაღი ჩააბარა ან გადამალა და გაყუჩდა. მხოლოდ რუსის ჯარის მიერ კარგად გაწვრთნილი ჩეჩენი მეომრები (მათ შორის ყველაზე ცნობილი და უსასტიკესი *შამილ ბასაევი* იყო) დაბრუნდნენ შინ ისე, რომ იარაღი რუსული არმიისათვის არ ჩაუბარებიათ (იქნებ სამხედრო გამოცდილების შესაძენად ებრძოდნენ ქართველებს?). მალე ისინი *ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის* ომში ჩაებნენ. რუსეთს უკან მოუბრუნდა მათივე შეიარაღება და წვრთნა.

ის, რომ *„კავკასიის ხალხთა კონფედერაციას“* მხოლოდ ანტიქართული მისიის შესრულება ევალებოდა, დამტკიცდა მაშინ, როდესაც 1994 წლის ბოლოს რუსეთმა ჩეჩნეთში წამოიწყო ოპერაცია იქაური სეპარატიზმის ჩასახშობად. ამ შემთხვევაში „კონფედერაციას“ ხმაც არ ამოუღია მოძმე ჩეჩნების დასაცავად. „კონფედერაციის“ იმდროინდელი პრეზიდენტი, ჩეჩენი *იუსუფ სოსლამბეკოვი*, ალბათ მაშინლა მიხვდა, რომ იქამდე მას რუსეთი უბრალოდ საკუთარი მიზნებისათვის იყენებდა. 2000 წელს *სოსლამბეკოვი* მოსკოვში მოკლეს.

აფხაზეთში ომის დროს მრავლად იყო მაროდიორობის ფაქტები. ქართულ სამხედრო შენაერთებს მიტმასნილი კრიმინალური ელემენტი ძარცვავდა

სოხუმელთა ოჯახებს, როგორც არაქართველებს, ისე ქართველებს: ჩემი კოლეგის, პროფესორ *შოთა ლაშხიას* ოჯახი ქართველმა მაროდიორებმა გაძარცვეს. ის იძულებული გახდა, კანადაში ეთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. სოხუმის დაცემის შემდეგ მაროდიორობდნენ უკვე აფხაზების მოკავშირე ჩრდილოკავკასიელები და კაზაკები.

ომის დროს ერთ-ერთი, საკმაოდ სანდო შეფასებით, დაიღუპა 7 ათასამდე ქართველი და 3 ათასამდე აფხაზი (ორივე მხარეს მებრძოლი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების ჩათვლით). ყველა მათგანი ჩვენი სახელმწიფოს მძიმე დანაკარგია, ყველა მათგანი ჩვენი დარდია. მართალია, ეთნიკურ ქართველებს დიდი აუნაზღაურებელი დანაკარგი გვქონდა, მაგრამ ეთნიკურმა აფხაზებმა ფარდობითად ბევრად მეტი მსხვერპლი გაიღეს. აფხაზური ეთნოსი იმ დროს 100 ათას ადამიანზე ნაკლებს ითვლიდა: დაღუპული ათასი აფხაზიც კი მთელი ეთნოსის ერთ პროცენტზე მეტს შეადგენდა, ორი და მეტი ათასის დაღუპვა კი თითქმის დემოგრაფიულ კატასტროფას უტოლდებოდა, რაც არცერთ გონიერ ქართველს არ გაახარებდა.

საკუთრივ აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ პროცენტულად ეთნიკურ აფხაზებზე ნაკლები ადამიანი არ დაკარგა, თანაც გადარჩენილთა უმეტესობა სამშობლოდანაც განდევნეს.

აფხაზეთის ომი 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა. თუმცა აფხაზები ომს „სამამულოს" უწოდებენ, რომელშიც ისინი „გარედან შემოჭრილ აგრესორს" ებრძოდნენ, ეს უფრო მეტად იყო ომი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ *ეთნიკური შეფერილობის მქონე მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის*, ანუ *სამოქალაქო ომი*. ერთმანეთს ებრძოდნენ თანასოფლელები, მეზობლები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები და დეიდაშვილები, რომელთაგან ერთს აფხაზი მამა ჰყავდა, მეორეს კი – ქართველი. „აფხაზეთის გმირად" არძინბამ გამოაცხადა ქართველების ჟლეტით გამორჩეული ათზე მეტი ისეთი კაცი, ვისაც სუფთა ქართული გვარი ჰქონდა.

საბოლოო ჯამში კი სამხედრო შეხლა იყო დიპლომატიური რიტორიკით შეფარული კონფლიქტი *საქართველოსა და მის ყოფილ მეტროპოლია – რუსეთს შორის. პირველს* უნდოდა სრული სუვერენიტეტის გავრცელება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ თავის ტერიტორიაზე, *მეორეს* კი უნდოდა ყოფილი კოლონიის, ახლა კი დამოუკიდებლად აღიარებული მეზობელი სახელმწიფოს *თავისი გავლენის სფეროში დატოვება: **ამ მიზნით ის იყენებდა ახალი სახელმწიფოს სისუსტეს – ეთნიკურად შერეულ პროვინციებს, სადაც არსებობდა სხვადასხვა ეთნოსების ინტერესის შეჯახება***.

ის, რომ პატარა აფხაზეთს მოულოდნელად „გაუჩნდა" სამხედრო ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, მძიმე ტექნიკით შეიარაღებული არმია, აშკარას ხდიდა, თუ ვისთან საომრად წაიყვანა კიტოვანმა საქართველოს გაუწერთნელი ჯარი.

პირველი გასროლა

აფხაზეთში რკინიგზის დაცვის საბაბით 14 აგვისტოს შესულ კიტოვანის გვარდიას თავიდან სუსტი წინააღმდეგობა შეხვდა და 18 აგვისტოს ის სოხუმში შევიდა. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით გვარდიას წინსვლა არ გაუგრძელებია: სოფელ *ეშერაში* მდებარეობდა რუსული გასაიდუმლოებული ლაბორატორია სამხედრო დაცვითურთ, ქალაქ *გუდაუთაში* – რუსული სამხედრო ბაზა. მათთან საბრძოლო შეხლა რუსეთს ომში ოფიციალურად ჩაბმის საბაბს მისცემდა. ეთნიკურად აფხაზმა ხელისუფლებამ *ვლადისლავ არძინბას* მეთაურობით სწორედ გუდაუთას შეაფარა თავი.

ლოგიკური გათვლით შევარდნაძეს არ სჭირდებოდა ახალი სამოქალაქო ომი საქართველოში. ის ნამდვილად წინააღმდეგი იყო, რომ გვარდია შესულიყო სოხუმში, რასაც უამრავი დანაშაული მოჰყვა. მაგრამ როდესაც თბილისის ხელისუფლება ომში ჩათრეული მაინც აღმოჩნდა, შევარდნაძე ვალდებული იყო გამარჯვებისათვის ემუშავა. სამწუხაროდ, მისი შესაძლებლობა შეზღუდული იყო. ამასთან, მან არაერთი შეცდომა დაუშვა.

კრემლის პოლიტბიუროს ყოფილი წევრი მშვენივრად იცნობდა რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, მისი გაქნილი დიპლომატიის ნიუანსებს და იცნობდა ГРУ/КГБ-ს ხრიკებსაც. მან ისიც იცოდა, რომ კრემლი არასოდეს არ მოაგებინებდა საქართველოს ომს აფხაზეთში.

რაღაც *სასწაულის* იმედით (მესმის, რომ პოლიტიკასა და მეცნიერებაში ამ სიტყვის ადგილი არაა, მაგრამ სიტყვამ მოიტანა!) შევარდნაძე დებდა ხელშეკრულებებს აფხაზთა ლიდერ არძინბასთან რუსეთის პრეზიდენტ ელცინის გარანტიებით. შევარდნაძემ ოთხ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელთაგან ოთხივე დაარღვია აფხაზურმა მხარემ.

შევარდნაძე ოთხჯერ მოატყუეს. როგორ შეიძლება ერთსა და იმავე საკითხზე ოთხჯერ მოატყუონ მოზრდილი ადამიანი, თანაც – გამობრძმედილი პოლიტიკოსი? როგორც ჩანს, ყველა ხელშეკრულების დადება იძულებითი, ფორსმაჟორით განპირობებული ნაბიჯი იყო.

ვითარება კი არასახარბიელო გახლდათ.

ქართული არმია მხოლოდ მოხალისეებით კომპლექტდებოდა და ისინი თვითონ ირჩევდნენ რომელ შენაერთში (გვარდია, მხედრიონი, ცალკეული ბატალიონები) უნდოდათ სამსახური. ომის დროს სახელმწიფოს მეთაურს არ გამოუცხადებია სრული მობილიზაცია, არ შემოუღია სამხედრო მდგომარეობა. იქნებ, კაცთმოყვარეობის გამო? ალბათ, უფრო იმიტომ, რომ იცოდა, მობილიზაციის განხორციელება და სამხედრო მდგომარეობის დაცვა იმ ძალებით, რომლებიც მის ხელთ იყო, შეუძლებელი იქნებოდა.

საქართველოს სახელმწიფო ტელევიზია რეგულარულად გადასცემდა ღია

ეთერში ქართული ჯარის სამხედრო გეგმებს. ნუთუ სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელობა ამას მთავრობის დაუკითხავად აკეთებდა? ტელევიზია აცნობდა აფხაზეთში მეომარ ჯარისკაცებს თავიანთი ოჯახების მოწოდებას, რაღაც საოჯახო საქმეებისათვის (მეზობლის გასვენება, ნათესავის ქორწილი, ბინის ყიდვა და ა.შ.) შინ ჩამოსულიყვნენ და „დროებით" დაენებებინათ თავი ომისათვის. სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ტელევიზიის ხელმძღვანელობა ასეთი განცხადებების კეთებისათვის არ დაუსჯიათ. მოხალისე მეომრები კი ნებისმიერ დროს ტოვებდნენ ფრონტს. ბრძოლის ველზე მათ აჩერებდა არა სამხედრო დისციპლინა, არამედ *მორალური პასუხისმგებლობა* გეერდით მყოფი მეგობრების მიმართ და *პატრიოტიზმის გრძნობა*. მართალია, ორივე ძლიერი იმპულსია, მაგრამ ომი სამოყვარულო დონეზე არ უნდა წარმოებდეს.

სამხედრო ხელმძღვანელობამ ვერ ივარგა. განსხვავებით რუსეთის იმპერიის არმიისაგან, სადაც სამსახური ქართული თავადაზნაურობისათვის „ბუნებრივი საქმე" იყო, ქართველი ოფიცრობა საბჭოთა არმიაში მცირერიცხოვანი იყო და მათ ვერ გაუწიეს სათანადო დახმარება ახალმშენებარე არმიას. *პირველი ქართული რესპუბლიკის* არსებობის დროსაც, თუ არ ჩავთვლით გენერალ *მაზნიაშვილს* და რამდენიმე სხვას, ქართველი ოფიცრების უმეტესობას არაფრით გამოუჩენია თავი, თუმცა ეს მენშევიკური მთავრობის ბრალი უფროა, რომელიც თავადიშვილ გენერლებსა და ოფიცრებს არ ენდობოდა (ზოგი მათგანი მართლაც გამოირჩეოდა უდისციპლინობით, ლოთობით) და არმიის ნაცვლად აფინანსებდა მენშევიკების „სახალხო (წითელ) გვარდიას".

საბჭოთა პერიოდში ქართველები (თავადაზნაურობა აღარ დარჩა, ლაპარაკია გლეხებზე) სამხედრო საქმეს ერიდებოდნენ.

ფაქტია, რომ *ქემალ-ფაშას, პილსუდსკის, მანერჰაიმის,* ან თუნდაც *ჯოპარ დუდაევის* დონის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელი ჩვენში ვერ გამოჩნდა ვერც XX საუკუნის პირველ მეოთხედში და ვერც XXI საუკუნის დასაწყისში.

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო!" ეს კარგი ანდაზა თითქოს ქართველების წინდაუხედაობაზეა ზედგამოჭრილი. ის ხშირ-ხშირად გვჭირდება ხოლმე, რადგან სწორ გზას ყოველთვის რეტროსპექტივაში ვხედავთ და არა პერსპექტივაში.

მაგრამ სხვა ხალხებსაც აქვთ მსგავსი ანდაზები. რუსები, მაგალითად, ამბობენ „Русский мужик задним умом крепок! [რუსი გლეხკაცი მაგარია, როდესაც წარსულ საქმეზე ლაპარაკობს].

ასეთი „გლეხიკაცები" სხვა ერებსაც მრავლად ჰყავთ.

არ არსებობს ერი, რომლის მთავრობასაც შეცდომა არ დაუშვია. უბრალოდ, ზოგს უმართლებს ხოლმე, რადგან კიდევ უფრო ბრიყვ მეტოქესთან აქვს საქმე.

ასეა თუ ისე, საქმე ცუდად წაგვივიდა.

ახლა ადვილია იმის თქმა, რომ შეგვეძლო ჩვენთვის სასარგებლოდ გამო-

გვეყენებინა 1992 წლის ბოლომდე არსებული საგარეო პოლიტიკური სიტუაცია: ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა; დასავლეთ ბალკანეთში, მთიან ყარაბაღსა და დნესტრისპირეთში ცხარე ომები მიმდინარეობდა; რუსეთში ხელისუფლება კონსოლიდირებული არ იყო. ასეთ აურზაურში თითქოს გვეძლეოდა შანსი გაგვემარჯვა, რაც ალბათ ნიშნავდა გუდაუთის აღებას, აფხაზების ლიდერის, *ვლადისლავ არძინბას* დაპატიმრებას და რომელიმე სხვა აფხაზ ლიდერთან მტკიცე ზავის დადებას.

მაგრამ გუდაუთაში მყოფი აფხაზური ხელმძღვანელობა ეყრდნობოდა იქვე არსებულ რუსულ სამხედრო ბაზას, რომელზეც შეტევა რუსეთის მხრიდან ომში პირდაპირი ჩარევის საშიშროებას ქმნიდა. ნებისმიერი სხვა აფხაზი ლიდერი ისევე დაარღვევდა საზავო შეთანხმებას, როგორც არძინბა, თუკი მოსკოვიდან შესაბამის დავალებას მიიღებდა.

თეორიულად ადვილია იმის თქმა, მონდომებული პოლიტიკური და გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელობა რომ გვყოლოდა, ის *რუსული პრობლემისათვის* გვერდის ავლას შეძლებდა. ზოგი მაშინაც ფიქრობდა, რომ საჭირო იყო დიდი ფულის დახარჯვა რუს გენერლებზე, მით უმეტეს – მათი კორუმპირებულობა საქვეყნოდ იყო ცნობილი!

ანალოგიურ სიტუაციაში სომხებმა მთიანი ყარაბაღის ომის დროს ბევრად მეტ წარმატებას მიაღწიეს. მათ მოიმხრეს რუსი გენერლები, რომლებიც მათგან *დიდად პატივნაცემი* წავიდნენ შინ! სამაგიეროდ, სომხებმა მთიანი ყარაბაღისთვის ომი მოიგეს.

მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელობისათვის სომხების მსგავსად მოქცევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო: რუსი გენერლები შევარდნაძის მიმართ ძალიან მტრულად იყვნენ განწყობილი, რადგან *მას აბრალებდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან საბჭოთა ჯარების დაჩქარებულ გამოყვანას* (რაც მხოლოდ ნაწილობრივ იყო სწორი – საბოლოო გადაწყვეტილებას გორბაჩოვი ღებულობდა, თუნდაც შევარდნაძესთან კონსულტაციის შემდეგ); ამან კი მრავალ საბჭოთა გენერალსა და ოფიცერს მორალურზე ბევრად მეტი ეკონომიკური ზარალი მიაყენა. ის, რომ გაერთიანებული გერმანიის მთავრობა გარკვეულ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა შევარდნაძის მიმართ, თითქოს ამართლებდა რუსი გენერლების ეჭვებს. ისინი მზად იყვნენ ემოქმედათ „შევარდნაძის საქართველოს“ წინააღმდეგ რუსეთის პრეზიდენტის ფორმალური მითითების გარეშეც.

ნათელია, რომ *რუსეთის ნაციონალურ ინტერესებში შედიოდა* (და დღემდე შედის) *საქართველოს შენარჩუნება საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაში*. ასეთ შემთხვევაში აფხაზეთი კარგი სატყუარა უნდა ყოფილიყო თბილისისათვის: „თუ ჩემი იქნები, აფხაზეთს დაგიბრუნებ!“

ნათელი იყო ისიც, რომ აფხაზეთის „სატყუარათი“ მოქმედებას კრემლი

უსასრულოდ აპირებდა და ნებით არასოდეს დაუბრუნებდა საქართველოს აფხაზეთს, რადგან კარგად ესმოდა – ამის შემდეგ საქართველოს შეეძლებოდა სრულიად დამოუკიდებლად ემოქმედა რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდაც კი.

თანაც „სატყუარა" თვითონ აღმოჩნდა – პატარა, მაგრამ ცოცხალი თევზი!

შევარდნაძის ობიექტური ბრალეულობა აფხაზეთის დაკარგვაში ეჭვს არ იწვევს, თუმცა დამარცხებაში მხოლოდ მისი დადანაშაულება უსამართლობა იქნებოდა.

შევარდნაძეს ნამდვილად არ სჭირდებოდა აფხაზეთში ომის დაწყება. მაგრამ როდესაც ის მაინც დაიწყო, უკან დახევა აღარ შეეძლო. მან ისიც იცოდა, რომ საგარეო, თუნდაც დიპლომატიური, დახმარების გარეშე ომს აფხაზეთში საქართველო თავის სასარგებლოდ ვერ დაამთავრებდა.

დასავლეთისაგან დახმარება საქართველომ ვერ მიიღო. შევარდნაძის ყოფილი კოლეგა („მეგობარი"), აშშ სახელმწიფო მდივანი *ჯეიმზ ბეიკერი ჯორჯ ბუშის* (*უფროსის*) მიერ 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წაგების შემდეგ დიდ პოლიტიკას ჩამოშორდა.

სხვა „მეგობარი", გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი *ჰანს-დიტრიხ გენშერი*, ახალგაერთიანებულ გერმანიას, მით უმეტეს – ევროპულ კავშირსა და ნატოს ვერ ჩართავდა პატარა სახელმწიფოს შინაომში, პრაქტიკულად – რუსეთის წინააღმდეგ.

შევარდნაძემ მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის გაერთიანებაში. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ გერმანია საქართველოს დასახმარებლად სამხედრო კორპუსს დაძრავდა, როგორც ზოგიერთ, პოლიტიკაში ჩაუხედავ ადამიანს გულუბრყვილოდ ეგონა!

პოლიტიკოსების „მეგობრობის" გადაჭარბებით შეფასება არ შეიძლება. ისინი „მეგობრები" არიან ერთგვაროვან თანამდებობაზე ყოფნისას: შენ – მე, მე – შენ! თანამდებობიდან წასვლის შემდეგ რჩება მხოლოდ თბილი სიტყვებით აღსავსე საშობაო მისალოცი ბარათები!

იმავე პერიოდში გამწვავდა ვითარება ბალკანეთში, სადაც ცეცხლსა და სისხლში იშლებოდა იუგოსლავია. დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ამ რეგიონის ბედი უფრო აწუხებდათ, ვიდრე ევროპის პერიფერიაზე მყოფი კავკასიისა.

ამერიკის ახალი პრეზიდენტი, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი *ბილ კლინტონი* 1993 წლის პირველ ნახევარში თავის ადმინისტრაციას აყალიბებდა და კარგა ხანს არ ჰქონდა რუსეთისა და, მით უმეტეს, საქართველოს, მიმართ ჩამოყალიბებული პოლიტიკა. ამერიკელ პოლიტიკოსებს შორის იმაზეც კი არ იყო თანხმობა, უნდა დაეტოვებინათ თუ არა პოსტსაბჭოთა სივრცე, მათ შორის სამხრეთ კავკასია, რუსეთის გავლენის

სფეროში, თუ ის ამერიკისათვის *სასიცოცხლო ინტერესების მქონე რეგიონად* გამოეცხადებინათ. დასავლეთში ჯერ ისიც კი არ იყო საბოლოოდ გარკვეული, სამხრეთ კავკასია ევროპაა თუ აზია.

შევარდნაძემ მშვენივრად იცოდა, რომ რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის „გარანტიებს" არავითარი ფასი არ ჰქონდა.

და მაინც, იქნებ შეიძლებოდა საქართველოსათვის რაღაც პოზიტიური შედეგის მიღწევა?

ქართველი მეომრების საკმაო ნაწილი თავგამოდებით იბრძოდა. 1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზების მიერ წამოწყებული საბოლოო იერიშიც კი მიზანს ვერ მიაღწევდა, თუკი *სამეგრელო და სამურზაყანო ქართული ჯარის გვერდით დადგებოდა*. ასეთი ერთიანობის შემთხვევაში, თუნდაც დემოგრაფიული ლოგიკიდან გამომდინარე, მცირერიცხოვანი აფხაზები ომს დამოუკიდებლად ვერ მოიგებდნენ. მათ ამისათვის რუსეთის არმიის სრულფასოვანი დახმარება დასჭირდებოდათ, რასაც მოსკოვი, შესაძლოა, მორიდებოდა იმდროინდელი საერთაშორისო და საშინაო ვითარების გათვალისწინებით.

მოსკოვში სწორედ 1993 წლის ზაფხულში გამძაფრდა დაპირისპირება *პრეზიდენტ ელცინსა* და *ვიცე-პრეზიდენტ, პოლკოვნიკ რუცკოის* შორის, რომლის მხარეზეც დუმა (პარლამენტი) დადგა. სხვათა შორის, *რუცკოი* ჩვენთვის *ელცინზე* უკეთესი არ იქნებოდა: ბატონი პოლკოვნიკი საჯაროდ გვპირდებოდა თბილისზე ბომბდამშენების გამოშვებას!

ბოლო გასროლა

ქართული არტილერია და ტანკები 1993 წლის 16 აგვისტოს მორიგი „სამშვიდობო ხელშეკრულების" შესაბამისად გატანილი იქნა აფხაზეთიდან, *ბუნებრივია*, „რუსეთის გარანტიებით". აფხაზურმა ხელმძღვანელობამ, როგორც კი ეს ტექნიკა გარეთ გაიგულა, *ბუნებრივია*, შეთანხმება დაარღვია. მოსკოვმა, ისევ როგორც „შეთანხმების გარანტის" როლის ადრე სამჯერ შეუსრულებლობისას, *ბუნებრივია*, მორცხვად დახარა თვალები!

„აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტას" აჩქარებდა რუსეთის არმიის გენერალური შტაბი. მოსკოვის უმაღლეს ხელისუფლებაში მწიფდებოდა გაურკვეველი ვედეგების მომტანი მძაფრი დაპირისპირება. როგორც ჩანს, საჭიროდ იქნა ჩნეული აფხაზეთის გაჭიანურებული ომის „დროულად დამთავრება".

ქვემოთ ხსენებული ორი მოვლენის ერთმანეთთან კავშირის დასაბუთება ჭელია, მაგრამ ქრონოლოგიური თანამიმდევრობა მაინც საგულისხმოა: 1993 ლის 30 სექტემბერს ქართული ნაწილები აფხაზეთიდან განდევნეს. პრეზიენტმა ელცინმა 3 ოქტომბერს უბრძანა თავის ერთგულ სამხედრო ნაწილებს

სატანკო ცეცხლის გახსნა რუსეთის დუმის (პარლამენტის ქვედა პალატა) შენობისათვის, სადაც მისი მოწინააღმდეგეები გამაგრდნენ.

ასე რომ, პარლამენტისათვის ყუმბარების სროლა მხოლოდ თბილისში არ სცოდნიათ! მოსკოვშიც იგივე მოხდა, ოღონდ უფრო ეფექტიანად: იქ ერთადერთი ჰაუბიცა და სეტყვისსაწინააღმდეგო რამდენიმე სარაკეტო დანადგარი კი არ ჰქონდათ, როგორც თბილისში! სროლაც მოსკოვში ერთ დღეში დამთავრდა, კიტოვანივით ორი კვირა კი არ დასჭირვებიათ!

დავუბრუნდეთ აფხაზეთს. რუსეთის არმიის გენერალური შტაბის მიერ დაგეგმილ ვადებში სოხუმი არ დაეცა: გენშტაბის უფროსის მოადგილემ 16 სექტემბერს ტელევიზიით გვამცნო, რომ ეს ორ დღეში, ანუ 18 სექტემბერს, მოხდებოდა. მცირერიცხოვანი ქართული რაზმები კი წინააღმდეგობას განაგრძობდნენ, თუმცა მძიმე შეიარაღება მათ აღარ ჰქონდათ.

რადგან სოხუმში გამაგრებული ქართველები არ ნებდებოდნენ, რუსეთის სამხედრო მანქანამ აამოქმედა თავისი „დამატებითი კოზირი" საქართველოს წინააღმდეგ.

1993 წლის 24 სექტემბერს *ზვიად* გამსახურდია ჩეჩნეთის დედაქალაქ *გროზნოდან* შეუღმფრენით *მოულოდნელად ჩამოფრინდა სამეგრელოში* და დაუყოვნებლივ დაიწყო სამეგრელოსა და სამურზაყანოს მოსახლეობაში საქართველოს სამთავრობო ძალების საწინააღმდეგო განწყობის გაძლიერება. ის შეხვდა გალისა და ოჩამჩირის ქართულ მოსახლეობას, არწმუნებდა მათ, რომ აფხაზური და ჩრდილოკავკასიური სამხედრო ნაწილები მათ ხელს არ ახლებენ და მოუწოდებდა არ ალმოეჩინათ არავითარი მხარდაჭერა *ხუნტის* სამხედრო ძალებისათვის.

გამსახურდიას *სუბიექტურად* სულაც არ უნდა სდომებოდა *„რუსეთის კოზირის"* როლის შესრულება. შესაძლოა, მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ქართულ საქმეს გააკეთებდა, თუკი *უზურპატორთა რეჟიმის* („ხუნტის") ნებისმიერი გზით დამარცხებას შეუწყობდა ხელს. ის ვერ აცნობიერებდა, რომ მის მოქმედებას *ობიექტურად* მოჰყვებოდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა.

ამ დროს კი ქართველთა უკანასკნელი ძალები *ედუარდ შევარდნაძის* ხელმძღვანელობით იცავდნენ ცეცხლში გახვეულ სოხუმს. შევარდნაძეს სიმხდალეს მართლაც ვერავინ დასწამებდა: ერთ-ერთი დაბომბვისას ყველა მისი მხლებელი მიწაზე გაწვა, მხოლოდ ის დარჩა ფეხზე. თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე შევარდნაძე პანიკურად არ გარბოდა და მიწაზე არ ფორთხავდა!

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *ჟიული შარტავა* ტელეფონით ამაოდ მოუწოდებდა ზვიადისტური გვარდიის მეთაურს *ლოთი ქობალიას*, შეესრულებინა ადრე მიცემული პირობა და დაეძრა თავისი სამხედრო ნაწილები სოხუმისაკენ.

დახმარება არ მოვიდა. 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. შარტავა და მისი

დაცვა სეპარატისტებმა უმონყალოდ ჩახოცეს. სხვათა შორის, *საქართველოს გმირი ჟიული შარტავა ადრე მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერი იყო: ეს იმათ საყურადღებოდ, ვინც ყველა ყოფილ კომუნისტ ხელმძღვანელს საქართველოს მოღალატედ მიიჩნევს.*

უკანასკნელი სამოქალაქო თვითმფრინავით სოხუმიდან თბილისში გამოფრინდა შევარდნაძე.

გამსახურდია არწმუნებდა ოჩამჩირისა და გალის ქართულ მოსახლეობას, რომელიც სამოქალაქო ომში ნეიტრალიტეტს იცავდა, *აფხაზები ხელს არ გახლებენ, ხოლო გალის რაიონში საერთოდ არ შემოვლენო.*

შევიდნენ.

ხელიც ახლეს.

გამსახურდიასთან ან ყოფილ პრემიერ-მინისტრ გუგუშვილთან სიტყვიერად დადებული არავითარი პირობა არ დაიცვეს.

წინ ჩეჩენი „გალავარეზები" მიუძღოდნენ და თავიანთი სისასტიკით მოსახლეობაში პანიკას თესავდნენ.

სამურზაყანოში, რომელიც აფხაზეთის სამოქალაქო ომში პრაქტიკულად არ მონაწილეობდა, შიშმა დაისადგურა. მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი აიყარა და ენგურის სამხრეთით გადავიდა.

აფხაზეთის ქართველობის (ომამდე ისინი თითქმის 250 ათასს შეადგენდნენ) ***თითქმის სრულად განდევნა*** (ანუ *ეთნიკური წმენდა*) ***საქართველოსათვის ომის ყველაზე მძიმე შედეგია, ხოლო სეპარატისტთა ხელმძღვანელობისათვის – ყველაზე სასურველი შედეგი.***

ქართველობა აფხაზეთში რომ დარჩენილიყო, იქ სულ სხვა ვითარება იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, ომის დამწყებნი დამნაშავეები არიან ქართველი ერის წინაშე.

აფხაზეთიდან ლტოლვილთა (ოფიციალურად მათ *„ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები"* ეწოდებათ) დიდი ნაწილი დანარჩენ საქართველოში გადმოვიდა, ნაწილი – საზღვარგარეთ გაიფანტა. მხოლოდ 50 ათასამდე ადამიანი დაუბრუნდა გაპარტახებულ გალის რაიონს.

სოხუმიდან და მიმდებარე რაიონებიდან პანიკასა და გაურკვეველობაში გაქცეულ ხალხს უმძიმესი უღელტეხილით, თოვლსა და ყინვაში მოუხდათ სვანეთში გადასვლა. ადამიანები იყინებოდნენ. დიდი იყო მსხვერპლი – დაიღუპა 400-ზე მეტი ადამიანი. გაუბედურებული ლტოლვილი ხალხი გზაში ძარცვეს ადგილობრივმა ქართველმა ბანდიტებმა და არა გადამთიელებმა: ყაჩაღური ბუნების მქონენი ყოველთვის გამოჩნდებიან იქ, სადაც დაუცველ ადამიანებს მოიხელთებენ.

ლტოლვილების მოზღვავებამ მძიმე შედეგი იქონია საქართველოს ისედაც დანგრევის პირას მისულ ეკონომიკაზე. დაუმთავრებელი შენობები, სტუდენ-

ტთა საერთო საცხოვრებლები, საავადმყოფოები, საკურორტო ქალაქებში განლაგებული სანატორიუმები, თბილისის ცენტრში მდებარე სასტუმროებიც კი მალე „ლტოლვილთა ბანაკებად" იქცა. ლტოლვილები უმძიმეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, თანაც – დიდი ხნით.

ზვიად გამსახურდია სოხუმის დაცემის შემდეგ სათავეში ჩაუდგა თავის მომხრეებს და ქუთაისზე, იქიდან კი თბილისზე გალაშქრებას ამზადებდა. **დაკარგული აფხაზეთი თითქოს მას მოუცდიდა, სანამ *კანონიერი პრეზიდენტი* თავისი ძალაუფლების კონსოლიდაციას მოახდენდა.**

მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთში გადაწყვიტეს, რომ დასუსტებული შევარდნაძე ურჩევნიათ ძლევამოსილ (თუკი იგი თბილისს აიღებდა) გამსახურდიას, რომელსაც, ვინ იცის, იქნებ აფხაზეთში ომის განახლებაც მოენდომებინა. ამიტომ სევასტოპოლში მდგარი რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ადმირალმა ედუარდ ბალტინმა (ის ამავდროულად უკრაინის პრეზიდენტსაც ემორჩილებოდა) 1993 წლის ოქტომბრის ბოლოს ფოთში პატარა სამხედრო დემონსტრაცია მოაწყო, როგორც ის მოგვიანებით იგონებდა – „საკუთარი ინიციატივით და უკრაინის პრეზიდენტის თანხმობით", თუმცა ვინ იცის, ვისგან მიიღო დავალება. მცირე დესანტმა, რომელმაც, მგონი, თოფი ერთიორჯერ გაისროლა, ზვიადისტების სამხედრო შემართება მთლიანად დასცა. ისინი დაიფანტნენ. ლაშქრობა თბილისზე ჩაიშალა.

გამსახურდია მცირე ამალის ამარა დარჩა.

მისი აღსასრული ტრაგიკული აღმოჩნდა. ის მართლაც ძალიან დაიტანჯა თავისი ცხოვრების ბოლო წლებსა და დღეებში. კიდევ უფრო დატანჯეს მისი სხეული გარდაცვალების შემდეგ: რამდენიმე გადასვენება, ექსჰუმაცია, დარჩენილი ჩონჩხის ექსპერტიზები. ცოცხლად დარჩენილები არ ეშვებიან მისი სახელით სპეკულაციას და არც მის სულსა და ძვლებს ასვენებენ!

სამოქალაქო ომში დამარცხების შემდეგ გამსახურდია იძულებული იყო, თავი მთიანი სამეგრელოსათვის შეეფარებინა, ტყე-ტყე ევლო და ყველა ღამე სულ სხვადასხვა ადგილას ეთია. როგორც იმ დღეებში მასთან ახლოს მყოფი ადამიანები (მაგალითად, გუჩუა) აღწერენ, ის *„ღრმა დეპრესიაში იყო და ფიზიკურადაც მის მდგომარეობას არანაირად არ შეიძლება, ნორმალური რქმეოდა"*: ადამიანს აწუხებდა პროსტატის ანთება, დიაბეტი, წამალი კი არ ჰქონდა. ფსიქოლოგიურად, მისთვის ძნელი იქნებოდა შეგუება იმ აზრთან, რომ დამარცხებულს უწევდა თავის გარემოცვასთან, განსაკუთრებით კი საკუთარ ცოლთან შეხვედრა.

1993 წლის 30 დეკემბრის გვიან ღამით ერთი გლეხის სახლში მყოფმა გამსახურდიამ, ყველაზე ლოგიკური დაშვებით, თავი მოიკლა. ბოლომდე მის გვერდით მყოფი, მის მიერვე პრემიერ-მინისტრად დანიშნული, *ბესარიონ გუგუშვილი* დაჟინებით მოითხოვდა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას:

მისთვის ნათელი იყო, რომ ფიზიკური და სულიერი ტკივილით გაწამებულმა ადამიანმა საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე. საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლებაც აცხადებდა მზადყოფნას, მოეწვია უცხოელი ექსპერტები. *ოჯახის წევრების კატეგორიული მოთხოვნით* სამედიცინო *ექსპერტიზა არ ჩატარებულა*. ამან ეჭვებისა და ჭორებისათვის ნოყიერი ნიადაგი შეამზადა.

ნათელია, ზვიადისტებს სურთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მათი გმირი წმინდა მონამედ შერაცხოს, რაც შეუძლებელი იქნება, თუკი მისი თვითმკვლელობა დამტკიცდება. ამიტომაც იქმნებოდა და იქმნება ამდენი ბურუსი ადამიანის ტრაგიკული აღსასრულის ირგვლივ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყურით მოთრეული ვერსიები მისი „მკვლელობის“ შესახებ მხოლოდ პიარკამპანიას ემსახურება.

რადგან უამრავი სუბიექტური, დაუსაბუთებელი აზრი ტრიალებს, მეც შემიძლია ჩემი აზრი გამოვთქვა: არასოდეს დავიჯერებ, რომ ბესო გუგუშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას ნათლულს, ერთადერთს, ვინც ზვიად გამსახურდიასთან უკანასკნელ წუთებში იმყოფებოდა, შეეძლო მოეკლა ის, ვისაც იქამდე ასე უერთგულა. ასევე არ მოკლავდა მას ორი ერთგული შემორჩენილი მცველი. სხვა შეიარაღებული პირი კი ახლომახლო არ ყოფილა...

თავი 27

საქართველო 1990-იან წლებში

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება

იმ ეპოქიდან შემთხვევით შემომრჩა რამდენიმე ძველი გაზეთი, რომელთა გადაკითხვამ ახლაც კი მძიმე სულიერი ტკივილი მომაყენა.

იმდროინდელი ფაქტობრივი ოფიციოზის, „*საქართველოს რესპუბლიკის*“ (1989 წლამდე გაზეთს „*კომუნისტი*“ ერქვა“) სათაურები ტრადიციულად გამოირჩეოდა აბსტრაქტულობით და სრულად ვერ ასახავდა ვითარების ტრაგიზმს. ამიტომაც ფრჩხილებში ვუთითებ მასალის მოკლე შინაარსს. აი, მაგალითისათვის, სათაურები გაზეთის 1992 წლის 23 დეკემბრის ნომრის პირველი გვერდიდან: „*ცნობები აფხაზეთიდან*“ (სატანკო და საარტილერიო ურთიერთსროლა მდ. გუმისთის მიდამოებში), „*მხოლოდ ოსურ ენაზე*“ (ქ. ცხინვალში გაიხსნა ადგილობრივი ტელევიზია, რომლის მუშაობისას რეტლანსლატორიდან თიშავენ საქართველოს ტელევიზიის პროგრამებს), „*წესრიგისათვის ბრძოლა უკომპრომისო იქნება*“ (პოლიციის ბრძოლა მაფიასთან, რომელთანაც მჭიდროდ არიან დაკავშირებული დესტაბილიზაციაზე მომუშავე დესტრუქციული ძალები), „*იძულებული ვარ ვთქვა*“ (რკინიგზაზე ყაჩაღური თავდასხმების გამო ქვეყანამ 18 მილიარდი მანეთი იზარალა), „*საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება იმ შეიარაღებულ ფორმირებათა შესახებ, რომლებიც არ შევიდნენ საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში*“ (ამ სათაურს კომენტარი არ სჭირდება) და ა. შ.

გაზეთის იმავე ნომერში აღმოვაჩინე *რევაზ ბარამიძის* ვრცელი სტატია „*თანამედროვე დავით გურამიშვილი*“. პარალელები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართლ-კახეთისა და მისი თანამედროვე ეპოქის ვითარებას შორის შთამბეჭდავია.

მგონი, გაზეთის ეს ნომერი სწორედ ამ სტატიის გამო დავიტოვე.

დავით გურამიშვილი აღწერდა იმ ვითარებას, რომლის თვითმხილველიც თვითონ იყო და თითქოს ორ-ნახევარი საუკუნის შემდეგაც იხედებოდა:

„შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკლეა, ტაცება – ქვრივთა, ობოლთა, მწირისა."

როგორც ნინა თავში ითქვა, 1992-1993 წლებში მიმდინარეობდა *ომი აფხაზეთში*. იქ მართლაც *„შეიქმნა დიდი მტერობა"*. გრძელდებოდა 1991 წლის ბოლოს დაწყებული საქართველოს სამოქალაქო ომიც „ზვიადისტებსა" და „ანტიზვიადისტებს" შორის, თუმცა, აფხაზეთის ომზე უფრო დუნედ და შედარებით ნაკლები მსხვერპლით.

მთელ ქვეყანაში გავრცელდა „ავაზაკობა, ქურდობა, მოკლეა, ტაცება", რასაც თანამედროვე ტერმინოლოგიით *კრიმინოგენული სიტუაციის მკვეთრ გაუარესებას* უწოდებენ.

1992-93 წლებში რეგისტრირებული მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობათა რაოდენობამ ორჯერ გადააჭარბა წინა წლების საშუალო მაჩვენებელს; უცნობია – რამდენი ასეთი დანაშაული დარჩა არარეგისტრირებული. გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანების გატაცების შესახებ მეზობლები ყოველდღე ლაპარაკობდნენ. თბილისის ქუჩებში ყოველ ღამე ისმოდა ავტომატების კაკანი, რომელსაც „ხმაურის ბუნებრივ ფონად" აღვიქვამდით.

მოგვიანებით (1996 წელს) გაასამართლეს ხაშურის მე-20 ბატალიონის მეთაური და წევრები, რომლებიც აფხაზეთის ომამდე სამეგრელოში ავაზაკობდნენ, ომის დროს – აფხაზეთში და ომის შემდეგ – ქართლში. ავაზაკთა რამდენი ასეთი ბანდა დარჩა დაუსჯელი?

მასობრივი ხასიათი მიიღო ბინების გატეხამ, მანქანების, მათი საბურავების, აკუმულატორების, ბენზოავზში ჩასხმული ბენზინის ქურდობამ.

იპარავდნენ ფერადი ლითონებისაგან დამზადებულ ტროლეიბუსის ხაზებს, ელექტროგადამცემ მავთულებს, ტრანსფორმატორებს; ხსნიდნენ ბრინჯაოს მემორიალურ დაფებსა და ძეგლებს.

ფერადი ლითონის ჯართის ჩაბარებას, მისი თურქეთში გაყიდვის მიზნით, „პროფესიონალი ქურდების" გარდა, რიგითი ადამიანებიც მისდევდნენ: მათთვის ეს შემოსავლის წყაროდ თუ არა, პურის ფულის შოვნის საშუალებად მაინც იქცა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ასეთი რამ მარტო „ჩვენი საქმე" არ ყოფილა. პატარა *ესტონეთი* ევროპის ქვეყნებს შორის მოკლე დროით სპილენძის უდიდესი ექსპორტიორი გახდა, თუმცა ასეთი საბადოები მას არა აქვს. იქაური მოსახლეობაც იპარავდა. უფრო მეტ მოცულობას კი რუსეთიდან და

სხვა რესპუბლიკებიდან ესტონეთში შეტანილი სპილენძის ჯართის რეექსპორტი იძლეოდა, რომელიც, ეჭვგარეშეა, ნაპარავი იყო.

სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ წინა საუკუნის ბოლო ათწლეულში ისეთი სახე მიიღო, როგორსაც საშინელ სიზმარშიც ვერ ნახავდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე ადრე მეოცნებე ადამიანი. 1990-1991 წლებში მოსმენილი პატრიოტული შეძახილები, რომ *„დამოუკიდებელ საქართველოს ბორჯომი აცხოვრებს!"* უსაფუძვლო ბაქიბუქი აღმოჩნდა. დღესაც კი *ბორჯომის წყალი* სულ ათიოდე კაპიტალისტსა და ათასამდე დაქირავებულ მუშას, მძღოლს, დისტრიბუტორს თუ „აცხოვრებს". თანაც ამ მინერალური წყლის წყარო პრივატიზებულია, რამდენიმე მფლობელი გამოიცვალა და ახლა მას, თავის ბრენდთან ერთად, რუსული კაპიტალი უწევს კონტროლს.

საქართველოს ეკონომიკა, რომელსაც უკვე 1991 წელს ჰქონდა დიდი პრობლემები, 1992 წლის დამდეგიდან კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. შემცირდა საწვავის, სურსათის, ნედლეულის შემოტანა. 1992 წელს ჩემს მანქანაში ვერ ჩავჯექი: ბენზინი არ იშოვებოდა და თუ სადმე გამოჩნდებოდა, პროფესორის ხელფასით მას ვერც ვიყიდიდი.

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა: საშუალო ოჯახის ბიუჯეტის ორ მესამედზე მეტი გაძვირებულ კვების პროდუქტებს ხმარდებოდა. თუ 1989 წელს მოსახლეობამ ერთ სულზე საშუალოდ მოიხმარა 41 კგ ხორცი და ხორცის პროდუქტები, 1992 წელს – სულ 3 კგ; რძის პროდუქტებზე ანალოგიური მაჩვენებლები იყო – 332 და 40 კგ, პურპროდუქტებზე – 188 და 41 კგ. ეს საშუალო მონაცემებია: ბევრს ამ მცირეოდენის ყიდვაც არ შეეძლო.

ბანკში აღარ იყო საბჭოთა ფულის ნიშნები და რაც მოსახლეობას ხელზე შერჩა, ისიც გაუფასურდა.

თუ 1990 წლის საქართველოს მშპ-ს (მთლიან შიდა პროდუქტს)100 პროცენტად მივიჩნევთ, 1994 წლისათვის ის 28 პროცენტამდე ჩამოვიდა, ანუ თითქმის ოთხჯერ შემცირდა. მერე ნელი გამოსწორება დაიწყო, მაგრამ ზემოაღნიშნულმა მაჩვენებელმა 2000 წელსაც კი 1990 წლის დონის 38 პროცენტს ძლივს მიაღწია.

2002 წელს გამოცემულ ენციკლოპედია *„თბილისს"* დართული აქვს მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონოლოგია, რომლითაც შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს 1991-2000 წლების ეკონომიკური ვითარება, ვთქვათ, 1931-1940, ან 1961-1970 წლების ვითარებას. ირკვევა, რომ 1930-იან და 1960-იან წლებში სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ძირითადი მოვლენები დედაქალაქში იყო ფაბრიკების, ქარხნების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, თეატრების, ხიდების, სტადიონების, რკინიგზის სადგურის გახსნა. ეს ნაკლებად აიხსნება იმდროინდელი ადგილობრივი ხელმძღვანელების რაღაც გასაოცარი ორგა-

ნიზაციული უნარით: დიდ საბჭოთა კავშირს ჰქონდა დიდი რესურსები და შეეძლო ყველა რესპუბლიკის განვითარების უზრუნველყოფა. მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის გასავითარებლად საბჭოთა პერიოდში ცოტა არ კეთდებოდა: ამის რეალურ მოტივაციაზე წინა თავებში ითქვა.

იმავე ენციკლოპედიაში 1990-იანი წლების ძირითად მოვლენებად აღნუსხულია ფორუმების, სემინარების, კონფერენციების ჩატარება, ხოლო ეკონომიკური მოვლენებიდან აღნიშვნის ღირსი აღმოჩნდა მხოლოდ კომპანიების GWS-სა და Coca-Cola-ს გახსნა (ისიც არსებული ქარხნების ბაზაზე), პირველი ფიჭური რადიოსატელეფონო სადგურის გაშვება (ეს „ჯეოსელი" იყო) და „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" დაარსება. იქვე აღნიშნულია, რომ „საქართველოში დამზადებული კოსმოსური რეფლექტორი რუსული კოსმოსური ხომალდის მეშვეობით კოსმოსში იქნა გატანილი". საამაყო საქმეა! მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად წაადგა ამ რეფლექტორის კოსმოსში გატანა ჩვენს ეკონომიკას.

მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდა ქვეყნის ბაზრის გახსნა იმპორტისათვის. თურქეთისა თუ ჩინეთის იაფმა ნაწარმმა ჩაკლა საქართველოს კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები. პრაქტიკულად შეწყვიტეს მუშაობა მანქანათმშენებელმა საწარმოებმა, რომლებიც საბჭოთა ბაზარს უკონკურენტო პირობებში აწვდიდნენ, რბილად რომ ვთქვათ, *არცთუ მსოფლიო დონის პროდუქციას* – მაგალითად ჩარხებს, ელმავლებს, ქუთაისის ავტოქარხნის მანქანებს: ენაკვიმატი ქუთაისელები მათ მოფერებით „შინმოუსვლელებს" ეძახდნენ. სამხედრო დანიშნულების ქარხნები, რომლებიც სხვა რესპუბლიკებში მდებარე ქარხნებთან კოოპერაციით მუშაობდნენ, ახლა დამკვეთებისა და მომწოდებლების გარეშე დარჩნენ.

„წითელ დირექტორებს" – უკანასკნელ ხელმძღვანელებს, რომლებიც კომპარტიის ცეკამ თავისი ნომენკლატურის წრიდან 1980-იანი წლების ბოლოს დანიშნა, საშუალება მიეცათ მოეხდინათ უზარმაზარი ქონების პრივატიზაცია, რომელიც მალე მკვდარ კაპიტალად იქცა. ზემოხსენებულ ეკონომიკურ პირობებში მათ ხელში მოხვედრილმა საწარმოებმა შეწყვიტეს ან მკვეთრად შეამცირეს მუშაობა. წარმოების პროფილის შეცვლას, დიდ კაპიტალდაბანდებასთან ერთად, მენეჯმენტისა და მარკეტინგის კარგი ცოდნა სჭირდება, რაც „წითელი დირექტორების" უმრავლესობას არ გააჩნდა. უფრო ყოჩაღმა დირექტორებმა ჯართად გაყიდეს დიდძალი მანქანა-დანადგარები (საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა დღემდე ჯართია!) ან მიაქირავეს ფართი *შპსებს*, წვრილ *ინდმეწარმეებს* ან *იმპორტული საქონლით მოვაჭრეებს*.

1990 წელს მრეწველობაში დასაქმებული იყო ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი. ათი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი ათჯერ შემცირდა, ანუ მოხდა საქართველოს დეინდუსტრიალიზაცია.

სახელმწიფო საწარმოებში ადრე მომუშავე *უამრავი მუშა და მოსამსახურე უმუშევარი დარჩა*. მათ შეავსეს წვრილი ვაჭრებისა და ტაქსისტების რიგები.

უმუშევრობას მოსახლეობის *ემიგრაცია* სდევდა თან: ძირითადი მიმართულება რუსეთი გახდა. მათ, ვინც „შორეულ საზღვარგარეთ" (ყოფილი საბჭოთა კავშირის გარეთ) სცადა ბედი, იქ მშენებლობისა თუ მაღაზიის მუშის, ან ბავშვის ძიძისა თუ მოხუცის მომვლელის სამუშაო თუ იშოვა. თურქეთსა და საბერძნეთში პოსტსაბჭოთა სივრციდან მოზღვავებულ მეძავებს შორის ქართველი ქალებიც საკმაოდ აღმოჩნდნენ, რასაც ჩვენი მორალი, არა მგონია, დასაშვებად მიიჩნევდეს.

პოპულისტური პარტიების მოთხოვნა მთავრობის მიმართ *„აამუშავეთ მრეწველობა!"*, *„დაასაქმეთ ხალხი!"* ლიტონ სიტყვებად რჩებოდა. სახელმწიფომ ხელი აიღო ფაბრიკა-ქარხნებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, კოლმეურნეობებზე – *„საბაზრო ეკონომიკა ზე გადავედივართ"*!

ენერგეტიკა, სადაც დიდი რაოდენობით ჩაიბუდა კორუმპირებულმა ელემენტმა, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქალაქები და სოფლები გაუნათებელი რჩებოდა. იქ, სადაც დენი აღწევდა, მოსახლეობა არ ან ვერ იხდიდა ელექტროენერგიის საფასურს. თბილისის *გრეს*-ის (გარდაბანში მდებარე საქართველოს რეგიონული ელექტროსადგური) მე-9 და მე-10 ბლოკები სისტემატურად გამოდიოდა მწყობრიდან, ხოლო მათი რემონტი თვეების განმავლობაში იწელებოდა, რაც, როგორც ჩანს, რაღაც ჯგუფების ფინანსურ ინტერესებში შედიოდა.

ტექნიკის, ინვენტარის, ქიმიკატების, საწვავის გარეშე დარჩენილი (ღარიბ გლეხს უბრალოდ არ შეეძლო ეს ყველაფერი ეყიდა), *დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობები* ვერ უწევდნენ კონკურენციას თურქეთიდან და ირანიდან იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში შემცირდა. სოფლის მეურნეობა საქართველოს ყველაზე ჩავარდნილ დარგად იქცა. *ვითარება სოფლად* დღემდე არ შეცვლილა, XXI საუკუნის პირველი 10-12 წლის განმავლობაში გაუარესდა კიდეც.

ქვეყანაში გაჩნდა შემოსავლის სხვა წყაროები. 1995 წლის მარტში გამოცემულ *თბილისის ინფორმაციულ ცნობარში* მოხსენიებულია 53 კერძო უმაღლესი სასწავლებელი (მთელ საქართველოში ასეთი ორასამდე იყო) და 136 (!) კომერციული ბანკი: ისინი მოსახლეობის რაღაც რაოდენობას ასაქმებდნენ, თუნდაც თითქმის უსარგებლო შრომით.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში აყვავდა სხვადასხვა *„ფინანსური პირამიდა"*. ისინი პარაზიტობდნენ გულუბრყვილო ადამიანების ფსიქოლოგიაზე, რომელთაც წლიურ 100 ან მეტპროცენტიან მოგებას ჰპირდებოდნენ. ასეთი აფერისტები ყველგან გაჩნდნენ, მაგალითად, რუსეთში ყველაზე ცნობილი ვინმე *სერგეი მავროდი* იყო, რომელმაც შექმნა გიგანტური პირამიდა

„MMM" მრავალმილიარდიანი ბრუნვით: ის წლიურ 1000 (!) პროცენტს ჰპირდებოდა თავის მეანაბრეებს. მავროდი თავის „ფულის ნიშნებსაც" კი უშვებდა! 1994 წელს პირამიდა, ბუნებრივია, დაინგრა, მისმა შემქმნელმა კი კარგა ხანი გაატარა ციხეში.

ცხადია, ეკონომიკური ლოგიკით, *არაფრისგან 100 და მეტპროცენტიანი მოგების მიღება შეუძლებელია.* მაგრამ ცხოვრების გაიოლების ბევრი მსურველი (სინამდვილეში – ავანტიურისტი!) წამოეგო ანკესს, ბინაც კი გაყიდა და მალე გაუბედურდა. მახსოვს, ერთმა მეგობარმა სიხარულით გამანდო, რომ რომელიღაც „კომპანია" („აჩი", „მაჩი", „კოლორი" თუ რაღაც ამის მსგავსი) ჰპირდება ყოველთვიურად სტაბილურ 200 დოლარს ოცი წლის განმავლობაში: *„გამოვთვალე, ჩემს ოჯახს ეს საკმარისი ეყოფა!"* ვერავითარი არგუმენტით ვერ დავაჯერე, რომ ეს სიცრუე დააკარგვინებდა დაგირავებულ ბინასაც და ნასესხებ ფულსაც.

* * *

ხანდახან გვესმის ხოლმე უკმაყოფილი ხმები: *„რას ვერჩოდით საბჭოთა კავშირს? განა ასეთი დამოუკიდებლობა გვინდოდა?"*

პასუხად შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი „პოლიტიკური ლიმიტი" ამოწურა (ბოლოს და ბოლოს, ის ჩვენ კი არა, რუსეთმა, უკრაინამ და ბელორუსიამ დაშალეს), მისი ეკონომიკური სისტემა სრულებით გამოუსადეგარი გახდა. 1980-იანი წლების ბოლოს დიდი ქვეყანა მთლიანად გაკოტრდა.

ნორმალური განვითარების ერთადერთი საშუალება გახდა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და მათი გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე. მაგრამ ობიექტური პირობები ასეთ გადასვლას („ტრანზიციას") აფერხებდა.

რუსეთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ დამოუკიდებლად გაეკვალა გზა საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, „რუბლის ზონიდან" განედევნა ყველა ყოფილი „მუქთამჭამელი" მოკავშირე რესპუბლიკა და საბაზრო ფასებით ენარმოებინა მათთან ანგარიშსწორება.

მაგრამ ***საბჭოთა პერიოდმა იმდენად გადახლართა კოოპერაციული კავშირები, რომ საბჭოეთის ეკონომიკური მთელის დაქუცმაცება არც ერთ სიცოცხლისუნარიან ნაჭერს არ იძლეოდა.*** რუსეთის ფედერაციის ბევრი საწარმოც კი უკრაინაში, ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში განლაგებულ ქარხნებზე ან იქაურ ნედლეულზე იყო დამოკიდებული. რუსეთის ფედერაციაშიც მძიმე სოციალური ვითარება შეიქმნა. მაგალითად, 1992 წელს ლენინგრადში (ახლა – ისევ სანკტ-პეტერბურგში) სურსათს ბარათებით ანაწილებდნენ.

საქართველოს ეკონომიკური პრობლემები უნიკალური არ ყოფილა. ის, რაზეც აქ მაქვს საუბარი, თითქმის სრული ანალოგიით მიესადაგება ლიტვის,

სომხეთის, უზბეკეთისა და ყველა სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებას, რასაკვირველია, შესაბამისი კულტურულ-გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით.

საქართველო უნიკალური იყო მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ გარდა *გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ურთულესი პრობლემებისა*, რაც ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მეტ-ნაკლებად ერთნაირად ვლინდებოდა, *საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისა და, აგრეთვე, საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობისათვის უმძიმეს ტვირთად იქცა წარუმატებელი ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.*

ამ თვალსაზრისით, თითქმის ჩვენი მსგავსი ვითარება *შეექმნათ მოლდავეთსა და აზერბაიჯანს. ტაჯიკეთში ხანგრძლივი სამოქალაქო ომი იყო ძალიან დიდი მსხვერპლით.*

სომხეთის არმია სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე იბრძოდა (ასე ვთქვათ, „ტერიტორიის შემოსაერთებლად" და არა მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად) და მასაც ეკონომიკა ლამის დაექცა.

აზერბაიჯანი ეკონომიკური კოლაფსიდან გამოიყვანა იქ არსებულმა ნავთობისა და გაზის დიდმა მარაგმა, რომლითაც დასავლეთი დაინტერესდა, *სომხეთი* – საკუთარმა დიასპორამ და რუსეთის გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა.

მოლდაველებს, რომელიც დიდხანს ჩვენსავით რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, გვერდით მაინც ჰყავს მონათესავე *რუმინეთი* (მოლდავური ენა ფაქტობრივად რუმინულის დიალექტია).

საქართველოს კი მეზობლად აღმოაჩნდა მტრად ქცეული ძველი მეტროპოლია.

თუმცა, ასეთ პირობებშიც კი შეღავათს მოგვიტანდა *სწორი ეკონომიკური პოლიტიკა*. ის კი ვერ შემუშავდა, ან თუ რაღაც შემუშავდა, ეფექტიანად ვერ განხორციელდა. ეკონომიკის „შოკური თერაპიის" ნაცვლად მხოლოდ *„შოკი"* მივიღეთ. დიდ ხელშემშლელ ფაქტორად იქცა საზოგადოებაში გაბატონებული საბჭოთა პერიოდის მენტალიტეტი და მასთან მჭიდროდ შერწყმული კორუფცია.

ეკონომიკური კატასტროფის მხოლოდ შევარდნაძის მმართველობისათვის დაბრალება უსამართლობა იქნებოდა. ის გამოიწვია მთელ პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტურ სივრცეში მიმდინარე პროცესებმა.

მოსალოდნელი იყო, რომ გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ძალიან მტკივნეული პროცესი იქნებოდა და ყველგან ასეთიც გამოდგა. გამსახურდიას გუნდი საქართველოს სათავეში რომ დარჩენილიყო 1992 წელს და მომდევნო წლებში, ისიც ზუსტად იმავე პრობლემებს გადააწყდებოდა: უბრალოდ, ის ყველაფერს *კრემლის ხელს* გადააბრალებდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა,1991 წელს პრემიერ-მინისტრ *ბესარიონ გუგუშვილს* ჰქონდა იდეა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო კაპიტალიზმი განევითარებინა: ამ მოდელის ეფექტიანობა 1920-30-იანი წლების თურქეთის რესპუბლიკაში თავის საკანდიდატო დისერტაციაში კარგად ჰქონდა შესწავლილი (ბესო და მე ერთ კათედრაზე ვმუშაობდით და მის შრომებს ვიცნობდი). მაგრამ XX საუკუნის ბოლოს ამ მოდელისათვის შესაფერისი პირობები არ არსებობდა. ვერც ერთი ქვეყანა, მით უმეტეს, მცირე ზომისა, ვეღარ შექმნიდა კარჩაკეტილ ეკონომიკას, ბაჟებით დაცულს გარეშე კონკურენციისაგან. საგარეო ბაზარზე ჩვენი საქონელი არაკონკურენტუნარიანი იყო. მეურნეობის სტრუქტურულ ცვლილებას გიგანტური კაპიტალდაბანდება სჭირდებოდა, რისთვისაც ქვეყნის შიდა რესურსები არ იკმარებდა.

დიდ წარმოებაში ინვესტიციის განხორციელება პატარა, გაღატაკებულ სახელმწიფოს არ შეეძლო. *საგარეო ინვესტორი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვიდოდა, თუკი სწრაფი მოგების სუნს იგრძნობდა.* ამიტომაც ადრეული უცხოელი „ინვესტორების" მეტი წილი გაიძვერები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც მიეღოთ „ექსკლუზიური უფლებები" გამოუცდელი (უკეთეს შემთხვევაში!) პრემიერ-მინისტრებისა და ვიცე-პრემიერებისაგან.

ჯერ კიდევ ცოცხალ, მაგრამ თითქმის მომაკვდავ ეკონომიკურ სხეულთან უმალ გამოჩნდნენ ადგილობრივი და საზღვარგარეთელი ყვავ-ყორნები და სვავები. გარედან გვეახლნენ (*ყველა სახელი გამოგონილია და მხოლოდ განზოგადებას ემსახურება*) სხვადასხვა ზეევები და ფერესები, ჩაკალოღლუები და კაფლანები, ფუქსები, ადლერები და სინგჰები[41]. ამ ტურა-მგელმა და მტაცებელმა ფრინველებმა საქართველოს ეკონომიკის ნარჩენები ან ადგილზევე შეჭამეს, ან იაფად შეიძინეს უძრავი ქონება (რათა მერე უკანვე ძვირად მოგვყიდონ!), ან მრავალწლიანი „ექსკლუზიური უფლებები" დაგვცინცლეს და ისეთი ვალი დაგვადეს, რომ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში გაცემული გარანტიებისა და იმ დროს აღებული „იაფი კრედიტებისათვის" საურავებისა და ჯარიმების გადახდა ჩვენი შვილიშვილების ჯერ არდაბადებულ შვილებს მოუწევთ.

ამის თვალნათელი მაგალითია ერთი გვიანდელი ფაქტი, რომელსაც საფუძველი 1990-იანების დასაწყისში ჩაეყარა. 2010 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ხელში ჩაიგდო, გაასამართლა და ციხეში ჩასვა სწორედ ზემოხსენებული ტიპის „ბიზნესმენები", რომელთაც საქართველოს დააკისრეს 95 მილიონი დოლარის ჯარიმა 1992 (!) წელს ხელისუფლების მიერ მათთვის უდარდელად მიცემული „ექსკლუზიური უფლების" დარღვევისათვის. საქართველოში მათ ერთი ცენტიც არ დაუბანდებიათ და, როგორც ჩანს, თავიდანვე გეგმავდნენ საქართველოდან გამდიდრებულად წასვლას.

[41] zeev ებრაულად „მგელია", peres – „სვავი"; çakal თურქულად „ტურაა", kaplan – „ვეფხვი"; Fuchs გერმანულად „მელაა", Adler – „არწივი"; Singh ჰინდიზე და ფენჯაბურად „ლომია".

„ბიზნესმენების“ დაპატიმრებას, რაც სამარცხინო მეთოდით – შემოტყუებით – მოხდა და იურიდიული დარღვევებით მათ გასამართლებას, საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა, რადგან ორივე მათგანი ისრაელის მოქალაქე იყო (მათი თანამზრახველი, ერთი ბერძენი „ბიზნესმენი“ უფრო ფრთხილად მოიქცა და დაპატიმრებას გადაურჩა). ერთ-ერთი პატივცემული პატიმარი ისრაელის პრეზიდენტის ახლო მეგობარი აღმოჩნდა. საბოლოოდ, 2012 წელს, ფინანსური გარიგების შედეგად საქართველომ რამდენიმე მილიონით ნაკლების გადახდაზე დაითანხმა „ბიზნესმენები“ და პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისინი შეინყალა. ჯარიმა, თუნდაც ოდნავ შემცირებული, საქართველომ ამ საეჭვო რეპუტაციის სუბიექტებს მაინც გადაუხადა.

დამამახსოვრდა ერთი იტალიელი „ბიზნესმენიც“, რომელიც 1993 წელს ტელეეკრანიდან „გვიონებდა“ ახალშემოღებულ ქაღალდის კუპონებს და საქართველოში „მერსედესის“ ამწყობი ქარხნის აშენებას გვპირდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მან „თავისი მილიონი“ წაგგელიჯა და მიიმალა.

რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ქსენოფობიას ვახალისებ იმით, რომ ვამბობ, უცხოელმა აფერისტებმა გაგვძარცვესო, დავძენ, რომ მათ ხელთ არსებულ იურიდიულად მტკიცე დოკუმენტებს ამშვენებდა ქართველების – ქონების იმდროინდელი მფლობელებისა და მექრთამე-ჩინოვნიკების – ხელმოწერები. სწორედ ამ დოკუმენტების წყალობით მოგვიგეს საქმე ლონდონის სასამართლოში ზემოხსენებულმა ისრაელელმა „ბიზნესმენებმა“.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე სახელმწიფოების დაშლისას, ვიღაცა განსაკუთრებით მდიდრდება, უმრავლესობა კი ღარიბდება. გამდიდრდნენ ზემოხსენებული აფერისტები, თუკი მოასწრეს ნადავლი ფულის საზღვარგარეთ დროულად გატანა, ადგილობრივი ბიუროკრატიის ნაწილი, პოლიციის მაღალჩინოსნები.

პირადად შევარდნაძის მომხვეჭელობის შესახებ არაფერი გვსმენია. მაგრამ მის გარშემო საბჭოთა პერიოდშიც და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც ყოველთვის გროვდებოდნენ საეჭვო რეპუტაციის პირები, რომლებიც ლიდერის ქოლგის ქვეშ მყოფნი საკუთარ თამაშს იწყებდნენ. ასეთ ხალხს ყოველთვის აინტერესებს corner-ი, თუმცა ალბათ არც გაუგიათ საბირჟო სპეკულანტების ამ საყვარელი თამაშის სახელი: ესაა ფინანსური საშუალებებისა და გასაყიდი საქონლის ერთ ხელში თავმოყრა, მონოპოლიზაცია, ექსკლუზიური ეკონომიკური უფლებების მიღება.

კონკურენტების ჩაძირვა ადვილია, როდესაც საიმედო „სახურავი“ გაქვს. ეს ადვილად კეთდება აბსოლუტიზმის პირობებში. ასე მაგალითად, XVI საუკუნის ბოლო ათწლეულებში ინგლისის *თვითმპყრობელ* დედოფალ *ელიზაბეთის* დაახლოებული პირები ახერხებდნენ მისგან *მონოპოლიური უფლების მიღებას*, ვთქვათ, ლუდის ან საპნის წარმოებაზე, საგარეო ვაჭრობაზე ბალტიის

ზღვისპირა ქალაქებთან და ა.შ. ბუნებრივია, ამას სხვების (იმჟამად – არამონოპოლისტების) დიდი უკმაყოფილება სდევდა თან.

XX საუკუნის ბოლოს საქართველოში ანალოგიური პოლიტიკის დადასტურებაა ნავთობპროდუქტების მონოპოლიური იმპორტერის გაჩენა, მობილური ქსელის ოპერატორისათვის ლიცენზიის ლამის უფასოდ მიცემა, დედაქალაქის ყველაზე მსუყე ქონების პრივატიზაცია ადგილობრივი მერებისა და მათი კამარილიის მიერ. ეს ტენდენცია XXI საუკუნეშიც გაგრძელდა: ელიტურ კორუფციას ფარდა ნელ-ნელა ეხდება.

ბიუროკრატიის გამდიდრება აფხაზეთის ომის დროსაც ხდებოდა. მაგალითად, თავდაცვის მინისტრის ერთი მოადგილე თურმე თბილისში სასახლეს იშენებდა. საზოგადოებას ეს ამცნეს მას შემდეგ, რაც ის ამ სასახლეში ააფეთქეს (კონკურენტებმა? პოლიტიკურმა მტრებმა? ახლა ამის დადგენა, ალბათ, შეუძლებელია).

აფხაზეთის ომზე ხელი მოითბეს უცხოელმა „მეგობრებმა". ისრაელში ელჩად ყოფნისას ერთ მიღებაზე ჩაკურატებული ბიზნესმენი გამაცნეს, როგორც „საქართველოს ძველი მეგობარი". ბიზნესმენმა გულაჩუყებით მითხრა (14 წლის წინანდელ საუბარს მეხსიერებით აღვადგენ და მას იურიდიული ძალა არა აქვს!), თუ როგორ უყვარს ქართველები:

> „აფხაზეთის ომის დროსაც დაგეხმარეთ, ათეულ ათასობით რუმინული ავტომატი მოგაწოდეთ. მაგრამ რა უმადურობას წავაწყდი, რომ იცოდეთ – საქართველოს ფული არ ჰქონდა, რომ ჩემი ასეთი დიდი დახმარებისათვის გასამრჯელო მოეცა და შევარდნაძეს სანაცვლოდ ერთი ტანკერი ბენზინი გამოვთხოვე, რომელიც საქართველოს ჰუმანიტარული დახმარების სახით გამოუგზავნეს. ნარმოგიდგენიათ, თქვენს ბიუროკრატებს ჩემთვის ტანკერის წართმევა უნდოდათ! მაგრამ ბათუმში ჩავედი, ვიმარჯვე და, როცა საბერძნეთში დატვირთული ეს ტანკერი ის-ის იყო შემოვიდა, უკან გავაბრუნე. მიუხედავად ამისა, ახლაც მზად ვარ ისევ დაგეხმაროთ. მაგრამ რატომღაც შევარდნაძე აღარ მეძახის".

ადრე გაგონილი მქონდა, იმ ავტომატებს იმდენად სერიოზული ხარვეზი აღმოაჩნდა, რომ მათი გამოყენება ვერ მოხერხდა. არ ვიცოდი – ვინ შემოგვაჩეჩა ისინი. „მეგობარს" დიპლომატიურად, მაგრამ ცივად დავშორდი.

სახელმწიფო დონის კორუფცია მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი არ იყო. იგივე ხდებოდა ყველა პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, თურქმენეთში, უზბეკეთში, სადაც ბუნებრივი სიმდიდრეები და/ან მძლავრი ინდუსტრია იყო: იქ კორუფციული გარიგების ობიექტები რეალურად მილიარდობით დოლარი ღირდა. თითქმის ყველაფერი მიისაკუთრეს ახალმა მმართველებმა (ბევრგან – ყოფილმა კომუნისტმა ლიდერებმა, რომელთაც *პრეზიდენტები* დაირქვეს სახელად, და მათთან დაახლოე-

ბულმა პირებმა). ყველგან იყო კორუფციული სკანდალები. 1990-იან წლებში ეკონომიკური კონფლიქტის გადაჭრის ერთ-ერთ მეთოდად იქცა შეკვეთილი მკვლელობა.

საქართველოში კორუფციისა და სახელწიფო ქონების დატაცების მასშტაბები ნაკლები იყო, ვიდრე დიდ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, უბრალოდ იმის გამო, რომ, მაგალითად, რუსეთის, უკრაინის ან ყაზახეთის ტოლი ქონება საქართველოში არ არსებობდა. მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია.

* * *

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის შუაგულში ეკონომიკურმა ვითარებამ ერთგვარი გამოსწორება დაიწყო. 1995 წლის შემოდგომაზე საქართველომ შემოიღო *მყარი ვალუტა – ლარი* (სახელი ნეოლოგიზმია: ფულის ასეთი ერთეული საქართველოში არასოდეს ყოფილა; რამდენადაც ვიცი, *ლარი* პირველად ახსენა აკადემიკოსმა *ვასილ ჩანტლაძემ*).

ფულის რეფორმამ გაამართლა: ჰიპერინფლაცია მოისპო და ქვეყანაში თითქოს გაჩნდა საფუძველი ეკონომიკური აღმავლობისათვის. განმტკიცება დაიწყო *საბანკო სექტორმა*, რაც სტაბილურობისათვის აუცილებელი რამაა.

მაგრამ სრულფასოვანი *ინდუსტრიული* განვითარება არ დაწყებულა და იმ პირობებში ვერც დაიწყებოდა, რადგან ამას სჭირდებოდა დიდი ინვესტიციები და, უფრო მეტად, „კაპიტალიზმის სულის" მქონე ადგილობრივი ელემენტი, რომელიც 70-წლიანი სოციალისტური განვითარების პირობებში ვერც ჩამოყალიბდებოდა. ამას თან ერთვოდა არასრულფასოვანი კანონმდებლობა და თუნდაც ასეთი კანონების უგულებელყოფა ხელისუფლების მხრიდან. ეს პრობლემები დღემდე დაუძლეველი რჩება და აფერხებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.

რუსეთთან ვაჭრობის გაცხოველების საფუძველს ქმნიდნენ იმავე რუსეთში სამუშაოდ (ან „საშოვარზე") წასული ადამიანები. მათი გამოგზავნილი ასობით მილიონი დოლარი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე პოზიტიურად აისახებოდა. სხვათა შორის, რუსეთის ეკონომიკასთან ასეთმა მიბმულობამ მძლავრად დაგვარტყა 1998 წელს, როდესაც *რუსეთის მთავრობამ დეფოლტი* გამოაცხადა (ანუ ფინანსური ვალების გასტუმრებაზე უარი თქვა) და იქ ეკონომიკური კრიზისი განვითარდა.

ამავე დროს, საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთის ტრანსნაციონალური კორპორაციების დაინტერესებას კასპიის ზღვის აუზის ნავთობით, რომლის ტრანსპორტირების საუკეთესო ვარიანტად მიჩნეულ იქნა ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით.

იმდროინდელმა ხელისუფლებამ დიდად შეუწყო ხელი ამ დაინტერესების რეალურ საქმედ ქცევას. უკვე 1999 წელს გაიხსნა *ბაქო-სუფსის* მცირე დიამე-

ტრის ნავთობსადენი, რასაც მოჰყვა დიდი დიამეტრის მქონე 1700 კილომეტრის სიგრძის მილსადენის მშენებლობა *ბაქოდან* საქართველოს გავლით ხმელთაშუა ზღვის ნავთობტერმინალ *ჯეიჰანის* მიმართულებით: ის 2006 წელს ჩადგა მწყობრში. პარალელურად აშენდა *ბაქო-თბილისი-ერზურუმის* გაზსადენი.

საქართველო მსოფლიო ეკონომიკის მცირე, მაგრამ ინტეგრალური ნაწილი ხდებოდა, რაც გარკვეულ იმედს გვისახავდა.

იმ ეპოქაში გამოკვეთილი ერთი სოციალური მოვლენა, ასე მგონია, პოზიტიურად უნდა შეფასდეს. საქართველოში შეიქმნა „გენდერული თანასწორობა" (თუმცა, საერთაშორისო სტანდარტებით ის ჯერაც არასაკმარისია) იმ თვალსაზრისით, რომ პრაქტიკულად ყველა სფეროში გამოჩნდნენ და საკმაოდ წარმატებულნიც აღმოჩნდნენ ქალები. გარდა იმისა, რომ ქალებმა დაიწყეს ოჯახის რჩენა წვრილი ვაჭრობის, მომსახურების მრავალ სფეროში მონაწილეობით, ისინი პოლიტიკაში, იურისპრუდენციაშიც დამკვიდრნენ და ზოგ შემთხვევაში კაცებს აჯობეს კიდეც. ეს ტენდენცია შეუქცევადი გახდა.

მეორე მხრივ, იმავე „გენდერულმა თანასწორობამ" იმოქმედა შობადობის ტემპის დაცემაზე: დასაქმებულ, და მით უმეტეს, საქმიან ქალს ოჯახზე ფიქრი გვიან (თუ ოდესმე) უხდება. ქართველი ქალებიდან თუ ვინმე აჩენს ორზე მეტ ბავშვს, ძირითადად მორწმუნეა („ეკლესიური"), რაც მისი შვილების იმავე რელიგიური ტენდენციით აღზრდის საწინდარი ხდება.

შიდაპოლიტიკური ვითარება

ტერორისტების მიერ მისი მოკვლის რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, 1995 წლის ბოლოსათვის ედუარდ შევარდნაძემ მოახერხა პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია. 1995 წლის 29 აგვისტოს ან 1998 წლის 9 თებერვლის ტერორისტული აქტების შედეგად სახელმწიფოს მეთაური რომ მოეკლათ, ეს ქაოსს გამოიწვევდა საქართველოში. ძნელი წარმოსადგენი არაა, რომელ დედაქალაქს მისცემდა ხელს ასეთი ქაოსი.

1994 წელს – თენგიზ კიტოვანი, ხოლო მომდევნო წელს – ჯაბა იოსელიანი ციხეში აღმოჩნდნენ. არც ერთის დაპატიმრებას არამც თუ მასობრივი პროტესტი, წაქეზებაც არ მოჰყოლია: თუ რამე ისმოდა – შეებით ამოსუნთქვის ხმა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კიტოვანი, ბუნებრივია, მოსკოვში გადასახლდა და იქაურ სამთავრობო ტელეარხებს, საჭიროების შემთხვევაში, ორი წლის განმავლობაში დაიმონმონ „საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ავტორიტეტული აზრი". იოსელიანი მეტი პასუხისმგებლობით მოიქცა: ციხეში მან რომანი დაწერა, ხოლო იქიდან გამოსვლის შემდეგ ანტისამთავრობო კომენტარებს არ აკეთებდა. ასპარეზიდან ჩამოვიდა „მხედრიონი",

რომლის სახელითაც (და თვით ამ ორგანიზაციის გამოისობით) ქვეყანაში შიში იყო გაბატონებული.

1995 წლიდან შარაგზის ყაჩაღობა მკვეთრად შემცირდა. მართალია, ყაჩაღი-პოლიციელები დარჩნენ: გზებზე გამომძალველობით ისინი „წარმატებით" აფერხებდნენ საქართველოს მიერ თავისი სატრანზიტო ფუნქციის განხორციელებას. ვითარება მხოლოდ 2004 წლიდან შეიცვალა.

1995 წელს მიღებული ახალი კონსტიტუცია ქმნიდა საპრეზიდენტო რესპუბლიკას. კონსტიტუცია თავისთავად პროგრესული და საკმაოდ დაბალანსებული იყო.

უნდა ითქვას, რომ 1995 წლის შემოდგომაზე ხალხმა საკმაო ენთუზიაზმით აირჩია პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძე. შედეგების გაყალბების (ის გარკვეული დოზით იყო) გარეშეც შევარდნაძე ამ არჩევნებს ადვილად იგებდა. აირჩიეს ახალი პარლამენტიც, სადაც პროსაპრეზიდენტო *„საქართველოს მოქალაქეთა კავშირი"* დომინირებდა.

მომდევნო, 2000 წლის, საპრეზიდენტო არჩევნებზე შევარდნაძის არჩევას ბევრად ნაკლები ენთუზიაზმი ახლდა თან (სამაგიეროდ, გაყალბება იყო მეტი).

თავის ყველაზე დიდ მონაპოვრად შევარდნაძე, არცთუ უსაფუძვლოდ, მიიჩნევდა საქართველოში თავისუფალი ტელევიზიის ჩამოყალიბებას, სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, რაც მართლაც პრაქტიკულად შეუზღუდავი გახდა. ეს არ ნიშნავდა *სამოქალაქო საზოგადოების* ჩამოყალიბებას, მაგრამ სერიოზული ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით.

შევარდნაძისათვის ბედის ირონიად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ XXI საუკუნის დამდეგს მისი მმართველობის მკვეთრ შესუსტებაზე და, საბოლოოდ, ხელისუფლებიდან მის წასვლაზე, სწორედ თავისუფალმა ტელევიზიამ იმოქმედა.

* * *

ქვეყნის იმ პერიოდის *პოლიტიკურ ცხოვრებაში* ყველაზე შესამჩნევი მოვლენა იყო *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის* „ავტონომიზაცია".

1991 წელს ზვიად გამსახურდიამ კანონის სრული დარღვევით აარჩევინა *ასლან აბაშიძე* ავტონომიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ: ის *არ ყოფილა* საბჭოს წევრი; მის ასარჩევად გამსახურდიამ საბჭოს მოახვია თავს *ღია კენჭისყრა*, რადგან ფარული კენჭისყრით მას არ აირჩევდნენ. 1990-იან წლებში ასლან აბაშიძე პატარა ტერიტორიის მკაცრ ავტოკრატად იქცა. ის კონტროლს უწევდა თურქეთის საზღვართან მდებარე ერთადერთ *სარფის საბაჟოს* და თბილისს შემოსავლის მხოლოდ ნაწილს უწილადებდა, დანარჩენს კი თვითონ და მისი კლანი ინაწილებდნენ. ავტონომიაში თითქმის საბჭოთა ტიპის საპოლიციო რეჟიმი დამყარდა.

კრემლი მფარველობას უწევდა ასლან აბაშიძეს, რომელსაც რუსული არ-

მიის პოლკოვნიკის, შემდეგ კი გენერლის წოდება მიანიჭა. ბათუმში მდებარე რუსული სამხედრო ბაზა აბაშიძის საიმედო ქოლგად იქცა.

შევარდნაძე იძულებული იყო, ანგარიში გაეწია *ჭირვეული ფეოდალი-სათვის*, რომელსაც მფარველად მოსკოვში მჯდომი „კეისარი" ჰყავდა, ხანდახან კი ის პოლიტიკურ მოკავშირედაც გაეხადა თავისი თბილისელი ოპონენტების წინააღმდეგ. შევარდნაძით უკმაყოფილო პოლიტიკოსებს შეეძლოთ თავი შეეფარებინათ „აჭარის მპყრობელის" კალთისათვის, რომელმაც შექმნა ლეგენდა, თითქოს ის პროვინციის მემკვიდრეობითი მმართველია.

რაც შეეხება *საქართველოს სხვა ავტონომიებს*, რომლებსაც რუსეთი, ისევე როგორც მსოფლიო, ნომინალურად საქართველოს ნაწილებად მიიჩნევდა, იქ სხვადასხვა ვითარება იყო.

ძალაში რჩებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წელს *სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის* გაუქმება. XIX საუკუნეში გამოგონილი ტოპონიმის „*სამხრეთ ოსეთის*" ხმარებას სამართლიანად დავადეთ ტაბუ და მის ნაცვლად „*სამაჩაბლოს*" ან XX საუკუნეში გამოგონილი ტოპონიმის – „*ცხინვალის რეგიონი*" – გამოყენება დავიწყეთ. „სამაჩაბლო", რომელიც ამ პროვინციის მხოლოდ მცირე ნაწილს აღნიშნავს, ფართოდ ვერ დამკვიდრდა. „ცხინვალის რეგიონის" მხოლოდ ქართულ ალტერნატივად იქცა: 1922 წლამდე ქართულენოვანი ქალაქი *ცხინვალი* არასოდეს მოიაზრებოდა რაიმე „სამხრეთ ოსეთის" ნაწილად. მთელი ეს ტერიტორია ისტორიული ქართლის ნაწილია, თუნდაც ნაწილობრივ ოსებით დასახლებული. ის მართლაც არ არის ოსეთი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაშია. მაგრამ იმ ოლქის გეოგრაფიულ საზღვრებში, რომელიც 1922 წელს შექმნეს ბოლშევიკებმა, 1990 წლის ბოლომდე ყველა მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის" სახელით იცნობდა. დღემდე გვიხდება ბრჭყალებში მოქცეული ამ ტერმინის გამოყენება.

1992 წლის 24 ივნისს შევარდნაძემ რუსეთის პრეზიდენტ ელცინთან ერთად *დაგომისში* (ქ. სოჭთან) ხელი მოაწერა შეთანხმებას „სამხრეთ ოსეთში" ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც გულისხმობდა შერეული (რუსულ-ქართულ-ოსური) სამშვიდობო კონტინგენტის ჩაყენებას ქ. ცხინვალის ირგვლივ მდებარე ზონაში.

დღევანდელი საზომით, *დაგომისის შეთანხმება* სერიოზულ შეცდომად შეგვიძლია შევაფასოთ: *ის მეზობელ ქვეყანას მეტისმეტ უფლებას აძლევდა ჩვენს სუვერენულ ტერიტორიაზე; არ იყო დადგენილი ზემოხსენებული სამშვიდობო კონტინგენტის მოქმედების ვადა*. 2008 წელს სწორედ ამ შეთანხმების „დარღვევა" გახდა რუსეთის არმიის საქართველოში შემოჭრის ერთ-ერთი იურიდიული საბაბი: რუსული სამშვიდობო კონტინგენტის რამდენიმე ნევრი ქართული არმიის ცეცხლს შეეწირა (ახლა ირკვევა, რომ ეს პროვოკაციის შედეგი იყო, მაგრამ ადამიანები მართლაც დაიხოცნენ).

1992 წლის უმძიმეს ვითარებაში შევარდნაძე ეძებდა ყველა საშუალებას, რათა როგორმე ჩაექრო საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგან მოგიზგიზე ცეცხლი, რომელიც სახელმწიფოს არსებობას ემუქრებოდა:

- ცხინვალის გარშემო ომი იყო; ამაზე ქართველი და ოსი ბანდიტები ხელს ითბობდნენ, მშვიდობიან მოსახლეობას ძარცვავდნენ და ხოცავდნენ (ერთი ბანდიტის მეტსახელი, „ვირო", ძალიან ნიშანდობლივია);
- არ წყდებოდა სამოქალაქო ომი სამეგრელოში;
- სამურზაყანოში ძარცვავდნენ რუსეთიდან საქართველოსა და სომხეთში მომავალ მატარებლებს;
- 24 ივნისს, როდესაც შევარდნაძე ხელს აწერდა ზემოხსენებულ შეთანხმებას, დილით თბილისში ზვიადისტების ამბოხება მოხდა: მათ ტელერადიოკომიტეტის შენობა ჩაიგდეს ხელში და მათ წინააღმდეგ ქალაქის ცენტრში შეუღმფრენიდან ცეცხლის გახსნა გახდა საჭირო. შევარდნაძის სოჭში გაფრენა მხოლოდ ამ ამბოხების ჩახშობის შემდეგ მოხერხდა.

ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა ფსიქოლოგიური განწყობა ექნებოდა შევარდნაძეს ელცინთან მოლაპარაკებისას, რამდენ ხანს და რა დონემდე შეეძლო ედავა შეთანხმების პირობებზე ქვეყნის ფაქტობრივ ხელმძღვანელს, რომელიც ამ პოსტზე კანონიერად არჩეული არც იყო.

ზემოხსენებულმა *დაგომისის შეთანხმებამ* ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე ტერიტორიას მოუტანა მშვიდობა ათ წელზე მეტი ხნით. ორიენ მხარე ნელ-ნელა ივიწყებდა მეორე მხარის მიერ ჩადენილ ბოროტებას; ოსები ჩამოდიოდნენ თბილისში, ქართველები – ცხინვალში. ადმინისტრაციულ საზღვარზე განლაგებული *ერგნეთის* უზარმაზარი ბაზრობა, მართალია, კონტრაბანდისტების ბუდე იყო, მაგრამ მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას განამტკიცებდა. მონდომების შემთხვევაში (რაც *პოლიტიკურ ნებას* გულისხმობს) ამ ბაზრობის მართვაც შეიძლებოდა.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ *დაგომისის შეთანხმებამ* გარკვეული ლეგიტიმურობა შესძინა „სამხრეთ ოსეთს" და მომდევნო სერიოზული გართულებების მიზეზად იქცა.

1993 წლის ბოლოს მოსახლეობის დიდი ნაწილისაგან დაცლილი ***აფხაზეთი*** მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა (აფხაზეთიდან ლტოლვილთა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაზე ზემოთ უკვე ითქვა). *დსთ*-ის („ესენგეს") წევრი საქართველოს მოთხოვნით (ის იძულებული გახდა ამ ორგანიზაციაში შესულიყო 1993 წლის ოქტომბერში) რუსეთმა და დსთ-ის სხვა ქვეყნებმა *de facto* დამოუკიდებელ აფხაზეთს ეკონომიკური კავშირები შეუზღუდეს. ამ სანახევრო „ეკონომიკური ბლოკადით" მხოლოდ რიგითი ხალხი ზარალდებოდა. ის

ვერ ზემოქმედებდა სეპარატისტების *de facto* ხელმძღვანელობაზე, რომელსაც მოსკოვი ფარულად ეხმარებოდა ფულის ნიშნების მიწოდებით, საზღვრის პერიოდული „ჰუმანიტარული“ გახსნით. კრემლის გეგმაში სულაც არ შედიოდა ამ ტერიტორიის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება და „ეკონომიკური სანქციები“ ელემენტარული დიპლომატიური თვალისახვევა იყო. 2000 წლის შემდეგ რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა პუტინმა ასეთ დიპლომატიურ თამაშზე უარი თქვა და აფხაზეთთან პირდაპირი ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა.

უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში საომარი კონფლიქტის განახლება საქართველოს ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომ გარკვეული დროებითი „ბუფერული ძალა“ აუცილებელი იყო, იქამდე, სანამ ჩაცხრებოდა შურისძიების ჟინი და შესაძლებელი გახდებოდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება. ყველაფერს აჯობებდა დანარჩენ საქართველოსთან აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ნეიტრალური ძალის დადგომა. მაგრამ *გაეროს უშიშროების საბჭოს* არ შეეძლო (და არც უნდოდა) გამოეგზავნა თავისი „ცისფერჩაფხუტიანები“. რუსეთმა კი *„გამოიჩინა კეთილი ნება, ეტვირთა ეს მძიმე მისია“*.

გაეროს უშიშროების საბჭომ თავიდან აიცილა ხარჯი და თავის ტკივილი! მისი დადგენილებითა და საქართველოს მთავრობის თანხმობით ადმინისტრაციულ საზღვარს და ბუფერულ ზონას 1994 წლიდან აკონტროლებდა იქ ჩამდგარი *„დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა“* კონტინგენტი, რომელიც, სინამდვილეში რუსის ჯარი იყო. კონფლიქტის ერთ-ერთმა მხარემ „მედიატორის“ ფუნქცია აიღო თავის თავზე.

მგელს ფარეხი ჩააბარეს!

საქართველოს ყველა მთავრობა (მათ შორის „ნაციონალური მოძრაობისაც“) 2008 წლამდე იძულებული იყო, ყოველწლიურად დათანხმებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს პერიოდულ რეზოლუციებს მშვიდობისმყოფელთა (ფაქტობრივად – რუსის ჯარის) მანდატის გაგრძელებაზე, რადგან სხვა ალტერნატივას იგივე *გაერო* არ სთავაზობდა.

იმ მიზნით, რომ თბილისზე თავისი გავლენა შეენარჩუნებინა, მოსკოვი ამჯობინებდა აფხაზეთი *de jure* „საქართველოს ნაწილად“ ეღიარებინა, მაგრამ შეენარჩუნებინა *de facto დამოუკიდებლობის* სტატუსი ამ პროვინციაში.

თბილისი არ მალავდა სურვილს, გაეტანა რუსეთის ყველა სამხედრო ბაზა საქართველოს ტერიტორიიდან, მათ შორის აფხაზეთში მდებარე *გუდაუთიდან*. 1999 წელს, ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომ რუსეთი გაიყვანდა თავის ყველა სამხედრო ბაზას საქართველოდან, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე გუდაუთიდან რუსული ბაზის „გატანა“ მოხდა საერთაშორისო და ქართველი დამკვირვებლების გარეშე და რუსის ჯარი ფაქტობრივად იქ დარჩა.

2002 წელს შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველო მალე „*დაუკაკუნებს ნატოს კარს*". თუმცა ხმაურიანი კაკუნი იმ დროს არ გაისმა, რუსეთისათვის ეს სიტყვები იგივე იყო, რაც ესპანური ხარის წინ წითელი მულეტის აფრიალება! საქართველოს პროდასავლური ვექტორი კი ცხადი გახდა.

* * *

საერთო ჯამში, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური ვითარებისა, მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტებისა, საქართველოს მოსახლეობა ოპტიმიზმს არ კარგავდა.

განსხვავებით მეზობელი რესპუბლიკებისაგან, საქართველოში ცოტა ვინმე თუ მისტიროდა საბჭოთა კავშირს. ქვეყნის დამოუკიდებლობა, რაზეც ყოველთვის ოცნებობდნენ ქართველები, უმრავლესობისათვის ბუნებრივ მდგომარეობად იქცა.

XX საუკუნის მიწურულის ყველა სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ საქართველო „*უფრო არასწორი, ვიდრე სწორი მიმართულებით მიდის*", იგივე ხალხი რწმენას გამოთქვამდა, რომ „*მომავალ წელს ვითარება გამოსწორდება*".

რეტროსპექტული ანალიზი ასეთ მოლოდინს, ალბათ, გაზვიადებულად მიიჩნევს. მაგრამ ოპტიმიზმი მაინც მუშაობდა ერის გადარჩენაზე.

თბილისი ახალი გარდატეხის საწყის ეტაპზე

მეოცე საუკუნეში თბილისი ძირითადად მშვიდობიან პირობებში ვითარდებოდა. 1991-1992 წლების მიჯნაზე მიმდინარე სამოქალაქო ომით გამოწვეულმა სამხედრო მოქმედებამ და ნგრევამ ქალაქის ცენტრის შედარებით მცირე ნაწილი მოიცვა: რასაკვირველია, ის არ ჰგავდა II მსოფლიო ომში მთლიანად დანგრეულ ბერლინს, ტოკიოს, ვარშავას, თუმცა დიდი მორალური ტრავმა დაგვიტოვა.

რუსეთის რევოლუციებისა და სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების შექმნამ და საბჭოთა პერიოდში მათი თუნდაც ფსევდოდამოუკიდებლობის შენარჩუნებამ სამხრეთ კავკასიის დედაქალაქებს – თბილისს, ერევანს, ბაქოს – ეროვნულ ცენტრებად გარდაქმნის საშუალება მისცა.

საბჭოთა პერიოდში სომხური კულტურული ელიტის უდიდესი ნაწილი თბილისიდან ერევანში გადავიდა, რითაც მკვეთრად შემცირდა თბილისში დარჩენილი სომხების ინტელექტუალური პოტენციალი.

1910-20-იანი წლების მიჯნაზე თბილისიდან ემიგრაციაში წავიდა რუსული იმპერიის დროინდელი ბიუროკრატია, ოფიცრობა: ისინი ძირითადად

ევროპისკენ ილტვოდნენ, რადგან რუსეთი მათ დაუძინებელ მტრებს – ბოლშევიკებს – ეპყრათ ხელში.

ქართული ინტელიგენცია კი თბილისში მოგროვდა.

XX საუკუნის განმავლობაში თბილისის მოსახლეობა დაახლოებით გაექვსმაგდა, რაც მეზობელი ქვეყნების დედაქალაქების ფონზე დიდი ზრდა არაა: თეირანში, ანკარაში, ერევანში წინა ასწლეულში მოსახლეობამ 30-50-ჯერ იმატა. ასეთივე გიგანტური ზრდა ჰქონდა დამასკოს, ბაღდადს, კაიროს, ამანს და ა.შ.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა თბილისი არ არის ის ქალაქი, რომელსაც 1926 წელს ემშვიდობებოდა *იოსებ გრიშაშვილი: „ძველო თბილისო, გტოვებ, ნახვამდის!"*

იქნებ უფრო სწორი იქნებოდა ეთქვა – „მშვიდობით?"

გრიშაშვილის ნოსტალგიის ობიექტის *ნახვა* ხომ მხოლოდ ერმაკოვის ან როინიშვილის ფოტოებზე თუ შეიძლება, ქალაქისა, რომელიც აღარ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, სოციალური კომპონენტის თვალსაზრისით.

ნებისმიერი ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია. როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ისიც იბადება, იზრდება, ვითარდება და ისე გარდაისახება, რომ ძველი ქალაქიდან მხოლოდ სახელი და არქიტექტურის ნაწილი თუ შერჩება. ძველ თაობას ეს გარდასახვა ქალაქის სიკვდილს აგონებს ხოლმე.

მაგრამ ქალაქის „კვდომა" ყოველთვის არ არის ისეთი, როგორიც განგებამ მოუმზადა, ვთქვათ, *პომპეისა* და *ჰერკულანუმს*. ქალაქების უმეტესობათა „კვდომა" სხვა სახით ვლინდება: ისინი მკვეთრად იცვლიან გარეგან სახეს, იცვლება მათი მოსახლეობა, და არა მარტო თაობათა ბუნებრივი ცვლის გამო, არამედ მათი მოსახლეობის ეთნიკურ, რასობრივ, სოციალურ სტრუქტურაში მკვეთრი ძვრების გამო. რჩება მხოლოდ შენობები და ინფრასტრუქტურა: ისინიც ხშირად შესაცვლელია ხოლმე.

XX საუკუნის ბოლო დეკადაში დაიწყო მკვეთრი ძვრები („გარდატეხა") თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. სოციალისტურმა ქალაქმა კაპიტალისტურად გარდაქმნა დაიწყო. ეს გამოჩნდა მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურაში და ქალაქის გარეგან იერშიც კი. ბუნებრივია, დამოუკიდებლობის პირველი დეკადის „ველური კაპიტალიზმის" ეპოქაში ცვლილებები მტკივნეული იყო.

უფროსი თაობის თბილისელები განიცდიან იმ ცვლილებებს, რაც დაიწყო ქალაქის სოციალურ-კულტურულ და არქიტექტურულ გარემოში 1990-იანი წლებიდან, მაგალითად, იმას, რომ ქალაქის ისტორიულ ცენტრში ორ-სამსართულიანი აგურის სახლებისა და „იტალიური ეზოების" (უფრო სწორი იქნებოდა მათთვის „თბილისური ეზოები" გვეწოდებინა) ადგილზე ზოგან მრავალსართულიანი, შემინული ბეტონის კოლოფები იდგმება.

თბილისის ზრდა სოფლიდან და პატარა ქალაქებიდან მოსული ადამია-

ნების ხარჯზე ხდებოდა და ჯერაც ხდება. გლეხური (ამ სიტყვის ნეგატიური გაგებით) ელემენტის სწრაფი მატება უკვე 1930-იანი წლებიდან მოქმედებდა თბილისის კულტურულ გარემოზე, მაგრამ ქალაქი ახერხებდა ამ ელემენტის გადახარშვას და მის „გაქალაქელებას“.

ქართული ინტელექტუალური ელიტა (საბჭოთა პერიოდში მიღებული ტერმინოლოგიით – „*სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია*“) თითქმის მთლიანად კონცენტრირებული იყო თბილისში. მიუხედავად საბჭოთა რეჟიმის არცთუ მეგობრული დამოკიდებულებისა, ეს კულტურული ელემენტი მაინც ახდენდა გავლენას საზოგადოებრივ აზრზე და „ქალაქელობის“ მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა. მოსახლეობის საერთო კულტურული ხარისხი დაახლოებით თანაბარი რჩებოდა. ასე გრძელდებოდა 1990-იანი წლების დამდეგამდე.

საბჭოთა კავშირის დაშლამ, ულტრა-ნაციონალისტურმა ტალღამ, რომელმაც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას ცუნამივით გადაუარა (და, საბედნიეროდ, უმეტეს შემთხვევებში ჩაცხრა) მათ დედაქალაქებში მკვეთრი ეთნოსოციალური და კულტურული ცვლილებებიც გამოიწვია.

ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დედაქალაქში მოხდა ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის მასის შემოსვლა. კავკასიისა და ცენტრალური აზიის დედაქალაქებში მკვეთრად შეიცვალა ეთნიკური სტრუქტურა. ყაზახეთში სულაც ახალი დედაქალაქი – *ასტანა* – ააშენეს, სადაც თითქმის მილიონი ყაზახი ცხოვრობს, მაშინ როცა ძველი დედაქალაქი *ალმა-ათა* (დღევანდელი გამოთქმით, *ალმათი*) „საბჭოთა ტიპის მრავალეროვნული“ ქალაქი იყო.

ცვლილებები ბუნებრივი და გარდაუვალია.

ვფიქრობ, საკმაოდ მშვიდად უნდა აღვიქვათ ის რადიკალური ძვრები, რომლებიც 1990-იანი წლებიდან დაიწყო და გაძლიერდა XXI საუკუნის პირველივე დეკადებში ჩვენს დედაქალაქში, იმ ქალაქში, რომლის ძველი კაპიტალისტური წარსული მოჩანს რუსთაველის პროსპექტზე, სოციალისტური წარსული – გლდანსა და ვაზისუბანში და ახალი კაპიტალისტური ანმყო – მანქანებით გადაჭედილ და მჭიდროდ განაშენიანებულ, ეკოლოგიურად დაბინძურებულ და, მიუხედავად ამისა, დღემდე „ელიტურად“ მიჩნეულ ფალიაშვილის, ბარნოვისა თუ აბაშიძის ქუჩებზე.

ერთი სიტყვით, ძველი ქალაქი მიდის. იბადება იმავე სახელის მქონე ახალი ქალაქი. ასეთი გარდასახვა ბუნებრივი განვითარების შედეგია.

რჩება ჩონჩხი: ქუჩების დიდი ნაწილი და ისტორიული შენობები ან, ხანდახან, უბნებიც კი (გეოგრაფები ამას „ქალაქის მორფოლოგიის შენარჩუნებას“ უწოდებენ).

1990-იანი წლების დამდეგიდანვე თბილისში მომსწრე ვიყავით მოსახლეობის გაღარიბებისა, მისი საგრძნობი ნაწილის ემიგრაციისა, კულტურული

დონის დაცემისა. ამას დაერთო მრავალი ლტოლვილი აფხაზეთიდან , რომლებიც საკუთარი სალაპარაკო ენით საკმაოდ დიდხანს დარჩნენ დანარჩენი თბილისელებისაგან განსხვავებულ ელემენტად.

მაგრამ თბილისი, როგორც დღემდე მოქმედი ქართველი ერის „სადნობი ქვაბი", მწამს, გაუძლებს ყველანაირ პრობლემას და დარჩება ერის ერთიანობის სიმბოლოდ.

თავი 28

საქართველო XXI საუკუნის დასაწყისში

„გვიანი შევარდნაძის“ ეპოქის დასასრული

2000 წლის 5 დეკემბრიდან რუსეთმა დაანესა სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისათვის. ფორმალურ საბაბად დასახელდა ძირითადად ქისტებით დასახლებულ *პანკისის ხეობაში* ჩეჩენი „ბოევიკების“ შესვლა და იქ მათი ბაზების შექმნა. ეს ხალხი ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა მასას შემოჰყვა, რომლებიც რუსულ ტყვიებს გამოექცნენ. საქართველოს ისინი არ დაუპატიჟებია. მთიანი საზღვრის გადაკვეთისას ვიზის არქონა „ბოევიკებს“ არც აფერხებდა!

2002 წელს მოხერხდა ჩეჩენ მებრძოლთა მეთაურის რუსლან გელაევის სამასკაციანი დაჯგუფების საქართველოდან გაყვანა (2004 წლის მარტში გელაევი ჩრდილო კავკასიაში რუსმა „ფედერალებმა“ მოკლეს). მაგრამ ჩეჩენი ლტოლვილების ნაწილი დარჩა და პანკისში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა.

აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მცხოვრებთ რუსეთის სავიზო რეჟიმი არ შეეხო. უფრო მეტიც, რუსეთმა დაიწყო ამ ავტონომიებში თავისი პასპორტების დარიგება და საკმაოდ მალე რუსეთის მოქალაქის უფლება მიანიჭა საქართველოში მცხოვრებ საკმაოდ დიდ ეთნიკურ თემებს; ამ „შეღავათით“ ზოგმა იქაურმა ქართველმაც ისარგებლა. ასეთი პასპორტიზაცია ჩვენს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას წარმოადგენდა და უკანონო იყო. საქართველოს მთავრობის პროტესტსა და საერთაშორისო დონეზე ჩივილს შედეგი არ მოჰყოლია.

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XXI საუკუნის დამდეგის საქართველოში თითქოს დალაგდა, მაგრამ მხოლოდ ელემენტარულ დონეზე. პენსია 14 ლარი იყო და გვიანდებოდა კიდეც. სილატაკე აშკარად ჩანდა. ენერგოსისტემა მოშლილი იყო: ამერიკულმა კომპანია *AES-Telasi*-მ თბილისის ენერგომომსახურების გაუმჯობესება მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო, მას ადგილობრივი „ენერგომაფია“ ყველგან უდებდა კვანტს (შემდგომში *AES-Telasi* რუსულმა

კომპანიამ იყიდა და დღემდე ის განაგებს თბილისის ელექტრომომარაგებას). საუკუნეთა მიჯნაზე დედაქალაქიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ პროვინციაზე, საცოდავი სანახავი იყო: გაუნათებელი, ასფალტაყრილი და დაუგველი ქუჩები, მრავალი ლტოლვილი აფხაზეთიდან და მიგრანტები სოფლებიდან, ტროტუარებზე გაშლილი მწირი საქონელი ან იქვე განლაგებული მახინჯი ჯიხურები...

ბიუჯეტი ვერ იესებოდა. ავტოინსპექცია, რომელსაც თვეობით არ უხდიდნენ ხელფასს, პოეტურად რომ ვთქვათ, „ნავროტზე იყო გაშვებული და ასფალტზე ძოვდა", უფრო პროზაულად – მძღოლებს ყვლეფდა. დანარჩენი „სამართალდამცავები" და დაბალი ანაზღაურების მქონე სახელმწიფო მოხელეებიც სასიცოცხლო წყაროდ კორუფციას იყენებდნენ. პროკურორი, მოსამართლე, მებაჟე, საგადასახადო სამსახურის მუშაკი, ავტოინსპექციის უფროსი ყველაზე მდიდარ ადამიანებად იქცნენ. ხელისუფლებაში მყოფი ან მასთან დაახლოებული ცალკეული პირები მდიდრდებოდნენ უმრავლესობის გაღატაკების ხარჯზე, უცხოური საქონლის (ბენზინის, სიგარეტის, ალკოჰოლური სასმელების, ფქვილის, შაქრისა და სხვა სურსათის) მონოპოლიური იმპორტის ან პირდაპირი მექრთამეობის გზით. ეს, რასაკვირველია, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ამ თვალსაზრისით საქართველო დიდად არ განსხვავდებოდა სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისაგან, მაგრამ ეს დიდად მანუგეშებელი არ იყო.

სამაგიეროდ, სხვა რესპუბლიკებისაგან საქართველოს პოზიტიურად განასხვავებდა *სიტყვისა და პრესის თავისუფლება*. ლამის ყველა გაზეთი ოპოზიციური გახდა. ახალგახსნილი ტელევიზიები, განსაკუთრებით *„რუსთავი-2"*, მძაფრად აკრიტიკებდნენ მთავრობას. შევარდნაძე სატირული მულტსერიალის *„დარდუბალას"* მთავარ გმირად იყო გამოყვანილი. მას უნდა აეტანა ეს „აღვირახსნილი უმსგავსობა", რომ დასავლეთის თვალში „დემოკრატიისადმი ერთგულება" არ შეებღალა: *ეპოქა იყო ისეთი!*

სხვათა შორის, როდესაც „დარდუბალას" ავტორმა რამდენიმე წლის შემდეგ ანალოგიური მულტსერიალის შექმნა იმ დროისათვის უკვე პრეზიდენტად არჩეული *მიხეილ სააკაშვილის* შესახებ მოინდომა, პირველივე სერიის შემდეგ ფარულკამერიანი პროვოკატორი მიუგზავნეს და ფულის გამოძალვის ბრალდებით ოთხი წლით ციხეში გაუშვეს: *ეპოქა შეიცვალა!* მულტსერიალიც გაქრა.

გარდაქმნებისათვის საჭირო იყო პოლიტიკური ნება. ედუარდ შევარდნაძე კი აშკარად დაიღალა. ძალა აღარ ჰყოფნიდა, რომ ახალი „რეფორმები" გამოეგონებინა. ამაზე მის გარშემო შემოკრებილი *„ახალგაზრდა რეფორმატორთა"* ჯგუფი მუშაობდა. ეს სახელი *„ახალგაზრდა თურქებს"* გვაგონებს! მათაც კარგად დაიწყეს, მაგრამ ცუდად დაამთავრეს.

„გვიანი შევარდნაძის" შედარებითმა ლიბერალიზმმა მის გარშემო გააჩინა „პოტენციური მემკვიდრეების" მთელი ხროვა, რომლებიც „ბაბუს" (შევარდ-

ნაძის მეტსახელი) ირგვლივ ტრიალებდნენ და ეფარებოდნენ მის ავტორიტეტს პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად ან, უფრო მეტად, საკუთარი ჯიბის გასასქელებლად.

კონკრეტული მემკვიდრე შევარდნაძეს არ დაუსახელებია. ჯერ ერთი, ის თვითონ არ ჩქარობდა პენსიაზე გასვლას; მეორე – ეს „არადემოკრატიული" იქნებოდა; მესამეც, მემკვიდრის დასახელება საპირისპირო შედეგს მოიტანდა: ასეთი პირის წინააღმდეგ დაირაზმებოდა მეტოქეების მთელი არმია. მართლაც, საკმარისი იყო შევარდნაძეს ეთქვა, რომ აპირებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის[42] შემოღებას და ამ პოსტისათვის შესაფერისად მიიჩნია *ზურაბ ჟვანია*, რომ ლამის ყველა პარტიის ლიდერი და „მემკვიდრეობის მაძიებელი" – ასეთი კი ბევრი იყო – ჟვანიას დაუპირისპირდა. ჟვანია მისი სიკვდილის შემდეგ დავსახეთ იმდროინდელ ალტერნატივად, მაგრამ ვისაც ის დრო ახსოვს, ისიც ემახსოვრება, რომ მას ბევრი მეტოქე ჰყავდა, მათ შორის ერთ-ერთი ის, ვინც 1995 წელს სწორედ ჟვანიამ შეიყვანა ქართულ პოლიტიკაში – *მიხეილ სააკაშვილი*.

იმდროინდელი პოლიტიკოსებიდან, ვისაც თითქოს შეეძლო კონკურენციის გაწევა შევარდნაძისათვის, გამოირჩეოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე *ასლან აბაშიძე*. მაგრამ ის რეგიონული დონის წვრილი დიქტატორი იყო, რომელიც ეყრდნობოდა ბათუმში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზას და რუსეთის „რეაქციული წრეების" (ნუთუ იქ სხვაგვარი წრეებიც არსებობენ?) საყვარელი მარიონეტი იყო. აბაშიძეს ეშინოდა ბათუმის დატოვება და რუსულ პრესას აწვდიდა ცრუ ინფორმაციას, თითქოს მის წინააღმდეგ თბილისში მზადდება შეთქმულება და ის ლამის 15-ჯერ „სასწაულებრივად გადაურჩა ხელყოფას". თბილისელებს ასლანი მართლაც არ უყვარდათ, რაც მართალია, მართალია.

2000 წლის *საპრეზიდენტო არჩევნებში* 72 წლის შევარდნაძეს მეორედ (და უკანასკნელად) მონაწილეობის უფლება ჰქონდა. მან პირველსავე ტურში მოიგო. შედეგების გაყალბებაც მოხდა, თუმცა ის ამის გარეშეც გაიმარჯვებდა: რეალური ალტერნატივა ხალხმა იმ დროს ვერ დაინახა.

დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ შევარდნაძისთვის უკეთესი იქნებოდა, საერთოდ არ მიეღო მონაწილეობა 2000 წლის არჩევნებში. ასეთ შემთხვევაში, ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ხალხს ახალი ჰიპოთეტური ხელისუფალი ყელში ამოუვიდოდა (უკმაყოფილება გარდაუვალი იყო: სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილებები იზრდებოდა, მათი დაკმაყოფილება კი ძნელი იყო) შევარდნაძეს მოიგონებდნენ, როგორც *თავისი ნებით წასულ გმირს*.

პრობლემა ისაა, რომ *ლიდერები ვერ ხედებიან, თუ როდის დგება მათი*

[42] მანამდე პრეზიდენტის შემდეგ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მეორე პირი იყო „*სახელმწიფო მინისტრი*", რაც პრემიერ-მინისტრს არ უდრიდა.

წასვლის დრო. ეს არ ეხება მხოლოდ შევარდნაძეს: წასვლის დროის გრძნობა უჩლუნგდება ყველა „შეუცვლელ ლიდერს".

საქართველოს მაშინდელი რეალობის გათვალისწინებით ასეთი ნაბიჯის გადადგმა – არჩევნებში მონაწილეობის არ მიღება – შევარდნაძემ ვერ იკისრა. ამას მისი *კამარილიაც*[43] არ დაუშვებდა: ამ შემთხვევაში ისინი უპატრონოდ რჩებოდნენ!

ჩანართი 28.1
ეპიზოდი ცხოველთა ცხოვრებიდან

ნუ ეძებთ რაღაც ალეგორიას: აქ სუფთა ზოოლოგიაა!

ერთი დოკუმენტური ფილმის ოპერატორი დიდხანს იღებდა ბებერ ლომს, რომელსაც ნანადირევის გაყოფისას ატეხილ ჩხუბში თათი მძიმედ დაუზიანეს. ლომი კოჭლობით დადიოდა სავანაში. ის ველარ ნადირობდა. ძუ ლომების არც ერთმა ხროვამ ის არ მიიღო: *პრაიდებს* საკუთარი ბატონები ჰყავდათ – ბებერი ლომის უკვე წამოზრდილი ბოკვრები. აფთრები, დამახასიათებელი ხარხარით, შორიახლოს მიპყვებოდნენ ლომს: იცოდნენ, რომ მასზე ნაადრევი თავდასხმის წამომწყებს კარგი არაფერი ელოდა, მაგრამ ლომის წაქცევა გარდაუვალი იყო

ხელისუფლების სათავეში 1993 წლიდან მყოფ პარტია *„მოქალაქეთა კავშირს"* საუკუნეთა მიჯნაზე ბზარი გაუჩნდა. 2001 წელს ტელევიზია „რუსთავი-2"-ის ფინანსური რევიზიის მცდელობა მმართველ გუნდს ძვირად დაუჯდა. ტელევიზიას ღიად დაუჭირა მხარი *პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ*. ეს შევარდნაძესთან დაპირისპირებას ნიშნავდა. შინაგან საქმეთა მინისტრის *კახა თარგამაძის* (რომლის ცინიკური რიტორიკა, მაგალითად, დაახლოებით ასეთი: *„რას ერჩით პოლიციელებს, ექვსი თვეა ხელფასი არ აუღიათ"*, მოსახლეობის უმრავლესობას აღაშფოთებდა), თანამდებობიდან განთავისუფლების სანაცვლოდ ჟვანიამ შევარდნაძეს შესთავაზა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგებოდა. გარიგება შედგა: 2001 წლის ოქტომბერში ჟვანია გადადგა (მალე მან შექმნა პარტია *„გაერთიანებული დემოკრატები"*). ერთდროულად განთავისუფლდა თანამდებობიდან იქამდე ყოვლისშემძლე მინისტრი თარგამაძე, რომელზეც ამბობდნენ, სიგარეტის იმპორტს „კრიშავს" და კორუფციულ სქემებშია ჩართულიო: დანამდვილებით ამის თქმა ძნელია, სასამართლო ჯერ არ გამართულა.

საქართველოს პარლამენტმა თავმჯდომარის ვაკანტურ ადგილზე აირჩია *ნინო ბურჯანაძე*, ჟვანიასა და ოპოზიციის დიდი ნაწილის ფავორიტი. შევარდნაძე კი სხვა კანდიდატს უჭერდა მხარს.

[43] ესპანურად *camarilla* – კარისკაცები; გადატანით, გავლენიან კარისკაცთა ჯგუფი, რომელიც პირადი გამორჩენის მიზნით თავისი ინტრიგებით გავლენას ახდენს მონარქზე და სახელმწიფო საქმეებზე.

განხეთქილება *„მოქალაქეთა კავშირში“* აშკარა გახდა.

2002 წლის თვითმმართველობის არჩევნებში *„მოქალაქეთა კავშირმა“* საგრძნობი მარცხი განიცადა. თბილისის საკრებულოში დეპუტატების ყველაზე დიდი რაოდენობა გაიყვანეს *„ლეიბორისტულმა პარტიამ“* და *„ერთიანმა ნაციონალურმა*[44] *მოძრაობამ“* (შემოკლებით *„ნაცმოძრაობა“*). ამ უკანასკნელს სათავეში ედგა ახალგაზრდა პოლიტიკოსი *მიხეილ სააკაშვილი*, რომელმაც იმ დროისათვის უკვე მოასწრო შევარდნაძის მთავრობაში იუსტიციის მინისტრად ყოფნა. სააკაშვილმა 2001 წლის სექტემბერში ხმაურით დატოვა ეს პოსტი, მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ არ დაუჭირა მას მხარი თავისი იმ მინისტრების წინააღმდეგ, რომელთა კორუმპირებულობას იუსტიციის მინისტრი საჯაროდ ამხელდა.

ლეიბორისტების პოპულისტი ლიდერის *შალვა ნათელაშვილის* მხარდაჭერით, სააკაშვილმა *თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის* პოსტი დაიკავა და ახლა იქიდან შეუტია კორუმპირებულ მთავრობას. კორუფციასთან სატელევიზიო ბრძოლამ მას საგრძნობი პოპულარობა მოუტანა.

2003 წლის ოქტომბერში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. თავიდანვე ნათელი იყო, რომ არჩევნებში ერთპიროვნულ გამარჯვებას (მანდატების ნახევარზე მეტის მიღებას) ვერც ერთი პარტია ვერ ახერხებდა.

„მოქალაქეთა კავშირმა“ (რომლის თავმჯდომარე შევარდნაძე ფორმალურად აღარ იყო, თუმცა ის მაინც „მის პარტიად“ მოიაზრებოდა) შექმნა საარჩევნო ბლოკი *„ახალი საქართველოსათვის“* სუსტ პარტნიორებთან ერთად, რომლებიც მას „აეკიდნენ“: *„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“* (რეალური პოლიტიკური ძალა ის იყო მხოლოდ *გია ჭანტურიას* დროს, რომელიც ტერორისტებმა 1994 წელს მოკლეს) და ახალშექმნილი *„სოციალისტური პარტია“* (მას არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისას პროცენტის მეათედი თუ დაუჭერდა მხარს; „სოციალისტებს“ სათავეში მსხვილი კაპიტალისტი ედგა).

ამ ბლოკს ძირითადად „ადმინისტრაციული რესურსის“ (სხვა სიტყვებით – გაყალბების) იმედზე ყოფნა შეეძლო, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში – აპელირება შევარდნაძის ავტორიტეტზე და „სტაბილურობის შენარჩუნებაზე“. პოლიტიკური ცვლილება ეთნიკურ უმცირესობებს ყოველთვის აშინებდა: ისინი „შეჩვეულ ჭირს“ ამჯობინებდნენ და ხმას აძლევდნენ მმართველ პარტიას, რასაც ადგილობრივი ხელმძღვანელებიც ავალდებულებდნენ.

ზურაბ ჟვანიას პარტია ბლოკში გაერთიანდა *„საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირთან“*; ბლოკის მთავარი ძალა კი გახდა პარლამენტის

[44] პარტიას *„ნაციონალური მოძრაობა“* იმის გამო ეწოდა, რომ ქართულ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში *„ეროვნული მოძრაობის“* ნიშა 1980-იანი წლის ბოლოდან უკვე დაკავებული იყო. ევროპულ ენებზე თარგმნისას *„ეროვნული“* და *„ნაციონალური“* ერთი და იმავე სიტყვით აისახება National/Nazional/Национальное და ა.შ.

თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*. ბლოკს *„ბურჯანაძე-დემოკრატები“* ეწოდა: ამ სახელის არჩევისას ჟვანიამ პრაგმატული მიდგომა პირად ამბიციაზე მაღლა დააყენა, რადგან იცოდა, რომ ნინო ბურჯანაძეს, რომელსაც ხალხი რაციონალურად მოაზროვნე და სიმპათიურ ლიდერად აღიქვამდა, მეტი მხარდამჭერის მოზიდვა შეეძლო.

არჩევნებში მონაწილეობდა ასლან აბაშიძის *„დემოკრატიული აღორძინების კავშირი“*, რომელსაც აჭარაში შეეძლო ბევრი ხმის მიღება (კანონიერი თუ უკანონო გზით). მას დანარჩენ საქართველოშიც ჰქონდა განყოფილებები და ზოგან მომხრეებიც კი ჰყავდა.

არჩევნებში ჩაებნენ აგრეთვე *„ნაციმოძრაობა“*, *„ლეიბორისტული პარტია“*, *„ახალი მემარჯვენეები“* და სხვა პოლიტიკური სუბიექტები, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ გადალახავდნენ *პროპორციული სისტემით* პარლამენტში მოსახვედრად იმ დროს არსებულ ზღვარს – ხმების 7 პროცენტზე მეტს მიიღებდნენ.

მაჟორიტარული წესით[45] ასარჩევი იყო 73 დეპუტატი. მაჟორიტარულ ოლქში კენჭს იყრიდნენ ძირითადად ადგილობრივი ან თბილისელი მსხვილი ბიზნესმენები, რომლებიც, თითქმის ყოველთვის იგებდნენ დეპუტატის ადგილს: ისინი სხვებზე მეტს ჰპირდებოდნენ გაღატაკებულ ამომრჩეველს და წინასაარჩევნო პერიოდში თითო ტომარა ფქვილსაც კი არიგებდნენ! ასე მოხდა 1995, 1999, 2003 და 2008 წლების არჩევნებისას. დეპუტატის მანდატი უზრუნველყოფდა მათ კონსტიტუციურ ხელშეუხებლობას და მათი ბიზნესის მიმართ ხელისუფლების კეთილგანწყობას.

ჩანართი 28.2
მოსაზრება მაჟორიტარული წესით არჩევნების შესახებ

პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების „ზნე“ ერთნაირი იყო (მგონი, ჯერაც არის): მცირე გამონაკლისით, მათი უმეტესობა დგებოდა ხოლმე მმართველი პარტიის/ბლოკის მხარეს, აფინანსებდა მას და ამით საკუთარი ბიზნესის გაგრძელებისა და პარლამენტში ხელახლა არჩევის გარანტიას ღებულობდა. „ხალხის რჩეულები“ საპარლამენტო დებატებსა და საკანონმდებლო საქმიანობაში ნაკლებად მონაწილეობდნენ. ასეთივე მახინჯი საარჩევნო სისტემა არსებობდა და არსებობს თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში იმ დროისათვის ახალშექმნილმა (და, საბოლოოდ, გამარჯვებულმა: იხ. ქვემოთ) კოალიცია *„ქართულმა ოცნება“* მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებად რამდენიმე ბიზნესმენთან ერთად უმეტესწილად წარადგინა სპორტსმენები, მსახიობები, პოეტები, იურისტები.

[45] მაჟორიტარული ოლქი სულ 85 იყო, მაგრამ ვინაიდან აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთის“ დიდ ანილში ფაქტობრივად არ ხორციელდებოდა საქართველოს იურისდიქცია, 1992 წელს ამ რეიონებიდან არჩეული 12 დეპუტატი ავტომატურად ღებულობდა მანდატს. 2008 წლიდან ეს წესი აუქმდა.

არჩევნებში გამარჯვებულები ჯერჯერობით თავიანთი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას ცდილობენ. მაგრამ, ეს უფრო გამონაკლისია. ზემოხსენებული „მაჟორიტარული ზნე" ამოძირკული არაა. მაგალითად, იმავე 2012 წელს *„ნაცმოძრაობის"* ხაზით არჩეული მაჟორიტარი დეპუტატების ნაწილმა სასწრაფოდ დატოვა თავისი პარტიის რიგები და „დამოუკიდებელ დეპუტატებად" გამოაცხადა თავი: აქ ზნეობაზე ლაპარაკი არაა, მათ მხოლოდ თავიანთი ბიზნესის მომავალი ადარდებთ!

თუ ადგილობრივ საკრებულოებში მაჟორიტარი კანდიდატების არჩევა გამართლებულია – ისინი იქვე ცხოვრობენ და ადგილობრივ პრობლემებს იცნობენ, პარლამენტში, მანამ, სანამ ის ერთპალატიანია, ჩემი აზრით, არჩევნები მაჟორიტარული სისტემით საერთოდ არ უნდა ტარდებოდეს.

დემაგოგიაა, თითქოს *„მაჟორიტარი დეპუტატები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს იცავენ"*. უმეტესობა ამას საერთოდ არ აკეთებდა და თუ რაღაცას აკეთებს, მხოლოდ სატელევიზიო *პიარისათვის*. მაჟორიტარების „ყურადღება" თავიანთი საარჩევნო ოლქის მიმართ ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ცდილობენ საკუთარი მხარდამჭერები დასვან საკვანძო ადგილებზე: მომავალი არჩევნების დროს გამოადგებათ!

2003 წლის არჩევნების პარალელურად ტარდებოდა რეფერენდუმი პარლამენტის წევრთა რიცხვის შემცირებაზე 235-დან150-მდე (მათგან 100 პროპორციული სისტემით უნდა არჩეულიყო, 50 – მაჟორიტარულით). საქართველოს მოსახლეობის 83,5-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა ამ ცვლილებას. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, მას პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს. მაგრამ რეფერენდუმის კანონის დარღვევით *„ნაცმოძრაობის"* კონტროლქვეშ მყოფმა პარლამენტმა 2007 წელს ეს პროპორცია შეცვალა: 77 დეპუტატი პროპორციული და 73 მაჟორიტარული წესით უნდა არჩეულიყო, ანუ ისევ თავისი „მეწველი ძროხების" გაზრდაზე იზრუნა.

2003 წლის არჩევნების დროს ჩატარდა ორი ეგზიტ-პოლი, ხოლო ორგანიზაცია „სამართლიანმა არჩევნებმა" ხმების პარალელური დათვლა განახორციელა.

ძნელია იმის თქმა, რამდენად კორექტულად ტარდებოდა ეგზიტ-პოლები და პარალელური დათვლა, მაგრამ გაყალბება თვალნათელი იყო: არჩევნები „ძალიან გამჭვირვალედ" ტარდებოდა, ანუ მის შედეგებს ყველა უბნის მიხედვით ინტერნეტში დაუყოვნებლივ ნახავდით. ამიტომ კარგად გამოჩნდა საქართველოს ფარგლებს გარეთ გახსნილ უბნებში „ჩატარებული" არჩევნების შედეგები: რუსეთის რამდენიმე უბანში შედეგების გამყალბებლებს ფანტაზია არ ეყოთ და, მაგალითად, *სოჭსა და ნოვოსიბირსკში* ვითომ ჩატარებული არჩევნების ზუსტად ერთნაირი შედეგები წარმოადგინეს. „შევარდნაძისა" და „აბაშიძის" პარტიებს ხმები მასობრივად დაუმატეს ქვემო ქართლში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა ჭარბობს, და აჭარაში.

პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების ოფიციალური შედე-

გები და პარალელური დათვლა კონტრასტულ სურათს იძლეოდა. შევარდნაძის ბლოკმა *„ახალი საქართველოსათვის“* ოფიციალურად მიიღო 21,32 პროცენტი, პარალელური დათვლა კი 18,92 პროცენტს აჩვენებდა (განსხვავება ორ-ნახევარი პროცენტული პუნქტია); ასლან აბაშიძის *„დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“* მიიღო შესაბამისად – 18,84 და 8,13 (განსხვავება თითქმის 11 (!) პროცენტული პუნქტია). ნათელი იყო, რომ ამ ორ საარჩევნო სუბიექტს ხმები წაუმატეს. სამაგიეროდ დააკლეს ხმები *„ნაცმოძრაობას“* (ოფიციალური დათვლით მან მიიღო 18,08 პროცენტი, ხოლო პარალელური დათვლით – 26,6 პროცენტი), *„ლეიბორისტულ პარტიას“* (შესაბამისად 12,04 და 17,36), *„ბურჯანაძე-დემოკრატებს“* (8,79 და 10,15).

არჩევნების შედეგებმა მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც *„დემოკრატიული აღორძინების კავშირს“* აშკარად გაორმაგებული მონაცემები აღმოაჩნდა.

პარლამენტის შენობის წინ 4-22 ნოემბერს მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები იმართებოდა. პროტესტით კარგად ისარგებლა *„ნაცმოძრაობამ“*, თუმცა, პარალელური დათვლითაც კი მას ელექტორატის მეოთხედზე ოდნავ მეტი უჭერდა მხარს.

22 ნოემბერს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა ჩაშალეს დარბაზში შეჭრილმა დემონსტრანტებმა *მიხეილ სააკაშვილის* ხელმძღვანელობით, რომელსაც ტელეკამერების წინ ხელში *ვარდი* ეჭირა, ტონი კი ძალიან აგრესიული ჰქონდა. მისი ერთი დამქაში პარლამენტის პრეზიდიუმის მაგიდაზე ახტა და ზედ დარბოდა. ტრიბუნასთან მყოფი შევარდნაძე დაცვამ დარბაზიდან ძალით გაიყვანა, ხოლო მისთვის მოტანილი ჩაი სააკაშვილმა დემონსტრატიულად დალია.

ყველაფერ ამას ტელევიზიით პირდაპირ ეთერში ვუყურებდით, იწყებოდა ახალი ხელისუფლების „ტელეეპოქა“.

მომდევნო დღეს მოსკოვიდან „მომრიგებლად“ ჩამოსულ საგარეო საქმეთა მინისტრს, *ივორ ივანოვს* (ეს დედით ქართველი იყო და ცოტა ქართულიც იცოდა) პარლამენტის წინ შეკრებილი ხალხი ოვაციით შეხვდა.

2003 წლის 23 ნოემბერს შევარდნაძემ პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომა გადაწყვიტა.

ჩანართი 28.3
ედუარდ შევარდნაძე საქართველოს უახლეს ისტორიაში

1985-1992 წლებში ედუარდ შევარდნაძე საქართველოს გარეთ მოღვაწეობდა. ამ შვიდი წლის განმავლობაში ზესახელმწიფოს პატარა, პერიფერიული ნაწილის (მოკავშირე რესპუბლიკის) ყოფილი ხელმძღვანელი მსოფლიო რანგის პოლიტიკოსად გარდაიქმნა. ედუარდ შევარდნაძემ, თავისი თვითნაბადი ნიჭით, მოახერხა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის იქამდე უსახური თანამდებობა

(მის წინამორბედ *ანდრეი გრომიკოს* იცნობდნენ, როგორც „Mister *Niet*" – „ბატონი არა"!) მსოფლიოში, განსაკუთრებით დასავლეთში, პოპულარული გაეხადა. მან სამინისტროსაც დაატყო ხელი: რუსეთის ბევრი ელჩი, რომელთაგან ზოგიერთს პირადად ვიცნობდი, შევარდნაძის მიერ იყო შერჩეული და დაწინაურებული.

დამოუკიდებელ რუსეთის ფედერაციაში შევარდნაძე მოსკოვში მცხოვრები უცხოელი უმუშევარი გახდა. ის დათანხმდა თბილისის მმართველი *სამხედრო საბჭოს* წინადადებას, ეხელმძღვანელა საქართველოსათვის.

1992 წლის 6 მარტს თბილისში დაბრუნებულ შევარდნაძეს სამოქალაქო ომში ჩართული, გაუბედურებული სამშობლო დახვედა. მას დიდი მოქნილობა და მრავალ უსიამოვნო კომპრომისზე წასვლა დასჭირდა, რომ დაშლას გადაერჩინა საქართველო (თუმცა ის ჩაითრიეს აფხაზეთის საბედისწერო ომში). მან თავიდან ააცილა ქვეყანას მასობრივი შიმშილი; ძირითადად უსისხლოდ დაშალა კერძო არმიები, მათ შორის „მხედრიონი"; ის ახერხებდა ლავირებას რუსეთსა და დასავლეთს შორის, ერთმანეთთან მეომარ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის; მის დროს საქართველოში გაჩნდა პოლიტიკური პლურალიზმი, თავისუფალი პრესა და ტელევიზია; დაიწერა ახალი კონსტიტუცია; შემოღებული იქნა სტაბილური ვალუტა – ლარი.

მაგრამ შიდა ვითარება საქართველოში უკეთესობისაკენ თუ იცვლებოდა, ეს თითქმის შეუმჩნეველი იყო. კორუფცია ყველაფერს ღრღნიდა. შევარდნაძემ თვითონ წაახალისა „ახალგაზრდა რეფორმატორები", სწორედ ისინი, ვინც 2003 წელს თავიდან მოიშორეს „ბაბუ"!

უკეთ ჩანს შევარდნაძის წარმატება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. მან მოახერხა ტრანსნაციონალური კომპანიებისა და წამყვანი ქვეყნების ლიდერების დარწმუნება, რომ საქართველოს შეუძლია შეასრულოს ენერგეტიკული დერეფნის როლი; მის დროს აშენდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და დაიწყო მაგისტრალური მილსადენების მშენებლობა კასპიის ზღვიდან ანატოლიამდე და ხმელთაშუა ზღვამდე. 1999 წელს მისმა დიპლომატებმა დაითანხმეს რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზების გატანაზე. იმავე წელს საქართველო მიიღეს ევროპის საბჭოში, სხვათა შორის, ორი წლით ადრე სომხეთსა და აზერბაიჯანზე. საქართველო შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. პროდასავლური საგარეოპოლიტიკური ვექტორი შევარდნაძემ ნათლად დააფიქსირა. მან გაახმოვანა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილი.

ეს შევარდნაძის მიერ ახალი საქართველოს ისტორიაში შესრულებულ პოზიტიურ როლზე მეტყველებს. მათი შეხსენება გვჭირდება ობიექტურობის დასაცავად. შის მიერ დაშვებულ არცთუ მცირეოდენ შეცდომაზე კი ზემოთ, ძირითად ტექსტში, საკმაოდ ითქვა.

XXI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მოსახლეობას მოთხოვნები გაეზარდა და აღარ მალავდა უკმაყოფილებას ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. თითქმის 76 წელს მიღწეული ლიდერი ვეღარ ერეოდა მოზღვავებულ პრობლემებს. ის სწრაფად კარგავდა პოპულარობას.

შევარდნაძის უკანასკნელი პოლიტიკური აკორდი იყო ის, რომ 2003 წლის ნოემბერში მან არ ისურვა ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა სისხლისღვრა. პრეზიდენტის პოსტიდან ის მშვიდობიანად გადადგა.

საზღვარგარეთ გაქცევა მას არ დასჭირვებია.

დროებითი პრეზიდენტი 40 დღის ვადით გახდა წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*.

თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, ეს მოვლენა კონსტიტუციის ჩარჩოებში ჯდებოდა – ფორმალურად პრეზიდენტი გადადგა, ის არ ჩამოუგდიათ, „რევოლუციას“ უკანონობის ელემენტებიც ახლდა. მაგრამ ავტორიტარული რუსეთიდანაც და დემოკრატიული დასავლეთიდანაც (უპირველესად, იგულისხმება ამერიკა) ამ მოვლენას, რომელსაც *„ვარდების რევოლუცია“* ეწოდა, სერიოზული კრიტიკა არ მოჰყოლია. შევარდნაძით ორივე მხარე უკმაყოფილო იყო.

რუსეთში, პრეზიდენტ პუტინის მთავრობას, უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლების სათავეში შევარდნაძის შესანარჩუნებლად თავის გამოდება არ უღირდა. ამერიკაში კი პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია ახალგაზრდა ლიდერებზე ამყარებდა იმედს.

ამერიკაში ბაზირებული დემოკრატიის „საექსპორტო“ ცენტრები იმ პერიოდში ახალისებდნენ დემოკრატიულ ძვრებს და კორუმპირებული რეჟიმების შეცვლას პოსტსოციალისტურ სივრცეში და ახლო აღმოსავლეთში. ამ მოვლენებს აეწება ჟურნალისტური კლიშე – *„ფერადი რევოლუცია“*: საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ (2003) შემდეგ უკრაინაში იყო *„ნარინჯისფერი რევოლუცია“* (2004), ყირგიზეთში – *„ტიტების რევოლუცია“* (2005), ლიბანში – *„კედრის რევოლუცია“* (2005). ჟურნალისტური ინერციით, 2011 წლის დასაწყისში თუნისსა და ეგვიპტეში ავტორიტარული რეჟიმების დამხობისათვის სცადეს ეწოდებინათ, შესაბამისად, *„ჟასმინის რევოლუცია“* და *„ლოტოსის რევოლუცია“*. ამ ტერმინებს შედარებით იშვიათად იყენებდნენ.

სხვა საქმეა, რომ „ფერადმა რევოლუციონერებმა“, საბოლოოდ, ხალხის იმედი არ გაამართლეს და, უმეტეს შემთხვევაში, მათ ნაცვლად ქვეყნების სათავეში სხვა პოლიტიკოსები მოვიდნენ. ყველაზე გვიან ასეთი ცვლილება საქართველოში მოხდა.

ვარდები და ეკლები: 2003-2012 წლები

XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში განვითარდა მოვლენები, რომელთა ცალსახად შეფასება რთულია. რაც უფრო მეტი დრო გავა, ამ ეპოქის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა მით უფრო გაიზრდება, ბევრი რამ დაგვავიწყდება. ამიტომაც მგონია, რომ ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რა ხდებოდა საქართველოში *„ვარდების რევოლუციის“* შემდგომ პერიოდში.

* * *

2004 წლის 4 იანვარს 36 წლის *მიხეილ სააკაშვილი* საქართველოს ახალ პრეზიდენტად აბსოლუტური უმრავლესობით (ხმების 96 პროცენტი) აირჩიეს. ხალხს მისი დიდი იმედი ჰქონდა: ის საქართველოს შემადგენლობაში დააბრუნებდა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაკარგულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს", შეიყვანდა საქართველოს ნატოში, დააფუძნებდა ჭეშმარიტ დემოკრატიას, გაზრდიდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობას.

2003 წლის 23 ნოემბრის მომდევნო დღეებში უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო პროპორციული სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, როგორც გაყალბებული. მაგრამ მაჟორიტარულ ოლქებში მიღებული შედეგები არ გაუქმდა, თითქოს იქ სულ სხვა ამომრჩეველი „აძლევდა ხმას" და გაყალბება არ ყოფილა (!?).

მანამ, სანამ 2004 წლის 28 მარტს ხელახალი საპარლამენტო არჩევნები – მხოლოდ პროპორციული სისტემით – ჩატარდებოდა, ხელისუფლებაში რევოლუციური გზით მოსულმა ახალგაზრდა ლიდერებმა პარლამენტში დააბრუნეს დეპუტატთა წინა, *ვადაგასული შემადგენლობა*. მისი წევრები, რომელთა საგრძნობი ნაწილი კორუფციაში იყო გასვრილი, მორჩილად ასრულებდნენ „ვარდების რევოლუციონერთა" სურვილებს, რადგან მიიღეს მათგან ხელშეუხებლობის გარანტია, ან იმედი ჰქონდათ, რომ მათ ხელახლა აირჩევდნენ. ***პარლამენტის სწორედ ამ შემადგენლობამ მისცა ხმა ცვლილებებს კონსტიტუციაში, რომლებითაც მკვეთრად იზრდებოდა პრეზიდენტის უფლებამოსილება ხელისუფლების სხვა შტოების დასუსტების ხარჯზე.***

1995 წელს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია იწერებოდა, *ედუარდ შევარდნაძე* შეეწინააღმდეგა მასში ისეთი მუხლის შეტანას, რომელიც პრეზიდენტს უფლებას მისცემდა ერთპიროვნულად, პარლამენტის დაუკითხავად, დაენიშნა მთავრობა. 2004 წლის თებერვალში კი *მიხეილ სააკაშვილმა* კონსტიტუციაში შეატანინა სწორედ ასეთი მუხლი: პრეზიდენტს შეეძლო დაენიშნა მთავრობა, ხოლო თუ პარლამენტი ამაზე არ დათანხმდებოდა, დაეშალა პარლამენტი. იმ დროის პოლიტიკოსთა შორის მხოლოდ ერთეულებმა გაბედეს პრეზიდენტის უსაზღვროდ გაფართოებული უფლებების წინააღმდეგ სიტყვის თქმა, თუმცა უშედეგოდ. ხალხის უმრავლესობა დუმდა.

მომდევნო თითქმის 9 წლის განმავლობაში კონსტიტუციაში 25-ჯერ (!) შეიტანეს ცვლილებები.

2004 წლის მარტის ბოლოს ჩატარებული ხელახალი არჩევნების შემდეგ პარლამენტში უმრავლესობა *„ნაცმოძრაობამ"* შეადგინა. 2003 წლის ოქტომბერში არჩეული მაჟორიტარების უმეტესი ნაწილი შეუერთდა გამარჯვებულს: ეგონათ, რომ მათი ბიზნესი საიმედოდ იქნებოდა დაცული. „ნაცმოძრაობას" (რომელსაც მომდევნო წელს შეერწყა ზურაბ ჟვანიას პარტია; ნინო

ბურჯანაძე მასში არ შესულა) ხელი გაეხსნა, რათა სერიოზული ოპოზიციის გარეშე განეხორციელებინა რადიკალური რეფორმები. *„მოქალაქეთა კავშირმა"* არსებობა შეწყვიტა, ხოლო მისი აქტივისტები ან გამარჯვებულის მხარეს გადავიდნენ, ან დაიფანტნენ. ამიტომ *„ნაცმოძრაობამ"* ადვილად შეძლო ხელისუფლების ყველა შტოზე კონტროლის დამყარება. ხალხმა თავიდან ეს კანონზომიერად მიიჩნია: ის მოუთმენლად ელოდა სასიკეთო ცვლილებებს და ენდობოდა ახალგაზრდა ლიდერებს.

სწრაფი რევოლუციური ცვლილებები („რეფორმები"), მართალია, ისეთი მეთოდებით დაიწყო, რომ ხალხს მათ კანონიერებაში ეჭვის შეტანა შეეძლო, მაგრამ „გვიანი შევარდნაძის ეპოქის" ბოლო წლები იმდენად დამთრგუნველი იყო, რომ სასიკეთო ცვლილებების მომლოდინე ხალხმა თვალი დახუჭა კანონთან, მორალთან ან, უბრალოდ, საღ გონებასთან მრავალ შეუსაბამობაზე.

მმართველმა „ტრიუმვირატმა", სადაც პრეზიდენტ *მიხეილ სააკაშვილის* გარდა შედიოდნენ *ნინო ბურჯანაძე* და *ზურაბ ჟვანია*, ფუნქციები გადაინაწილა: პარლამენტის თავმჯდომარე, კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფოში მეორე პირი, გახდა ბურჯანაძე, ხოლო მესამე, პრემიერ-მინისტრი – ჟვანია. ყველა მათგანს და ბევრ მათ თანამებრძოლსაც ჰქონდა სახელმწიფოს მართვისა და პოლიტიკური მოღვაწეობის საკმაო გამოცდილება, შეძენილი შევარდნაძის გვერდით ყოფნისას.

2005 წლის 4 თებერვალს უცნაურ გარემოებაში (გამოძიება ჯერ არ დასრულებულა) დაიღუპა *პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია*, რომელიც მანამდე ერთგვარად ანონასწორებდა პრეზიდენტის იმ დროისათვის უკვე თვალშისაცემ (თუმცა, ხალხისათვის ჯერჯერობით ასატან) ექსცენტრიულ ქცევას და პოლიტიკურ ახირებებს. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჟვანია გაზის გაჟონვას შეეწირა, თუმცა მაშინ ზოგი ფიქრობდა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. როგორც ჩანს, უმაღლეს ეშელონებშიც არ შექმნილა საერთო აზრი: კარგად მახსოვს, ტრაგედიის მომდევნო დღეს თბილისის *„ქორთიარდ-მერიოტში"* ერთი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს სააკაშვილმა სიტყვით მიმართა და მოულოდნელად ახსენა *„ჟვანიას მკვლელობა"*. მართალია, ***lapsus lingua*** (წამოცდენა) მაშინვე შეასწორა – *„ტრაგიკული დაღუპვა-ო"*, მაგრამ ბევრმა უხმოდ გადახედა ერთიმეორეს.

„ტრიუმვირატი" დაიშალა, „დუუმვირატი" კი ვერ შედგა. სააკაშვილი არ უნანილებდა ძალაუფლებას ბურჯანაძეს, რომელსაც პარლამენტში საკუთარი ფრაქციაც არ ჰქონდა. 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბურჯანაძემ, შეიძლება ითქვას, საკუთარი რეპუტაციის შელახვის ხარჯზე, დიდი ღვაწლი დასდო სააკაშვილის ძალიან რთულ (რბილად რომ ვთქვათ) არჩევას ხსენებულ პოსტზე, რისთვისაც ამ უკანასკნელმა საჯაროდ გადაუხადა დიდი მადლობა. აქედან სულ ოთხი თვის შემდეგ კი სააკაშვილმა არ მისცა

უფლება ბურჯანაძეს თავისი კანდიდატების გვარები შეეტანა მმართველი პარტიის სიაში მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის. ამის გამო 2008 წლის აპრილში ნინო ბურჯანაძე გადადგა პარლამენტის თავმჯდომარეობიდან, იმ წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და მოგვიანებით ოპოზიციური პარტია დააარსა.

* * *

„ვარდები", ანუ უფრო პოზიტიური ძვრები, რევოლუციის შემდეგ არცთუ ცოტა იყო.

ბევრმა მოიწონა, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, თითქმის დაუყოვნებლივ, დაიჭირეს ყველაზე ოდიოზური მექრთამეები და გაიძვერები (ვინც გაასწრო, უმეტესობამ, ბუნებრივია, მოსკოვს შეაფარა თავი). დიდი გამოსასყიდის გადახდის შემდეგ ისინი *საპყრობილიდან გამოუშვეს. ხალხმა მაშინ გაიგო, რომ ამ დასავლურ ნოუ-ჰაუს „საპროცესო გარიგება" ჰქვია.*

გადახალისდა სამინისტროებისა და საჯარო სამსახურების ხელმძღვანელობა. თანამდებობებზე დაინიშნენ ახალგაზრდა, ძირითადად დასავლეთის უნივერსიტეტებში განათლებამიღებული, ადამიანები. ზოგი მათგანი მართლაც ნიჭიერი და მცოდნე იყო, მაგრამ ზოგმა მხოლოდ ინგლისურად სხაპასხუპით ლაპარაკი იცოდა.

ამავე დროს, შუახნის და, მით უმეტეს, უფროსი თაობის საკმაოდ კომპეტენტურ ადამიანებს განზე გაწევა მოუწიათ და ბევრი მათგანი უმუშევარი დარჩა. საეჭვოა, ამ ხალხს ასეთი რამ მოსწონებოდა, თუნდაც მისთვის ემტკიცებინათ, რომ თაობების ცვლის გარეშე რეფორმები ვერ განხორციელდებოდა.

ზოგადად, პოზიტიურად უნდა შეფასდეს *ინგლისურის თანდათანობით გადაქცევა პირველ უცხო ენად* საქართველოში. *შედარებისთვის:* ინდოეთის, ისრაელის, ტაილანდის ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთი მიზეზია, რომ განათლებულმა მოსახლეობამ იქ ინგლისური ენა იცის და შეუძლია კონკურენტუნარიანი იყოს მსოფლიო „ინტელექტუალურ ბაზარზე". სხვა საქმეა, რომ ათასობით პედაგოგიური გამოცდილების არმქონე ინგლისურის მოხალისე-მასწავლებლის საქართველოში დიდი ზარ-ზეიმით ჩამოყვანამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ძალიან უმნიშვნელო ეფექტი მოიტანა.

მალე *გაუქმდა საბჭოთა გადმონაშთი – ავტოინსპექცია* და მასობრივად დაითხოვეს ყველა ავტოინსპექტორი, რომელთაც „მექრთამის დამღა" ედოთ, თუმცა, მათ შორისაც ალბათ იყვნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებიც *სისტემამ* გარყვნა. მკვეთრად შეთხელდა ძველი პოლიციის რიგებიც. სანაცვლოდ შექმნილი ამერიკული ტიპის, უკეთ ანაზღაურებული საპატრულო პოლიცია დაკომპლექტდა კონკურსის და არა „ჩაწყობის" შედეგად შერჩეული ახალი კადრებით.

სახელმწიფო მმართველობა მოწესრიგდა. სახელმწიფო ინსტიტუტები სათანადოდ ამუშავდა. დაიწყო თანამედროვე *არმიის* მშენებლობა. მებაჟეების რამდენიმე ჯგუფის მასობრივად გამოცვლის შემდეგ მოხერხდა არაკორუმპირებული *საბაჟო სამსახურის* შექმნა. სასაზღვრო გადასასვლელებთან შეიქმნა თანამედროვე ინფრასტრუქტურა (ეს ამერიკის ადმინისტრაციამ დაგვიფინანსა).

ცნობის ან პასპორტის ასაღებად ნაცნობის მონახვისა ან ჯიბეში ფულის ჩაკუჭვის ნაცვლად საკმარისი გახდა მოკლე რიგში ჩადგომა და დადგენილი თანხის ბანკში შეტანა. ეს თანხა ადრინდელ ქრთამზე არანაკლები შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა ყველამ იცოდა, რომ მოქმედებდა კანონი და ფული ბიუჯეტში მიდიოდა, რომელიც ისევე ქვეყანას უნდა მოხმარებოდა.

სახელმწიფო მოხელეებს მოესპოთ კორუფციის საბაბი ხელფასის საგრძნობი გაზრდის წყალობით. მაშინ გვეგონა, რომ რეფორმების პირველ თვეებში ფულს ამისათვის გვაძლევდა ამერიკელი ფილანტროპი *ჯორჯ სოროსი*, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ უფრო მნიშვნელოვანი სპონსორი თურმე იმ დროს საზოგადოებისათვის უცნობი მილიარდერი *ბიძინა ივანიშვილი* ყოფილა. კიდევ უფრო გვიან გაირკვა, რომ მინისტრებმა თანდათან გაიზარდეს საკუთარი ხელფასები და 2012 წლის პირველ ნახევარში ზოგი მათგანის საშუალო თვიური შემოსავალი (ხელფასისა და უზომო პრემიების ჩათვლით) 16 ათას ლარს აღწევდა, რაც 100-ჯერ და მეტად აღემატებოდა რიგითი მოქალაქის საარსებო მინიმუმს.

შრომითი დისციპლინა განმტკიცდა, კონტროლი გამკაცრდა და საჯარო მოხელე, ზოგიერთი თავზეხელაღებულის გარდა, არ რისკავდა რაღაც ისეთ ქმედებას, რასაც კარგად ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვა შეიძლება მოჰყოლოდა.

დამნაშავეობამ მკვეთრად იკლო. „კანონიერ ქურდებს" ცუდი დრო დაუდგათ: ახალმიღებული კანონით საკმარისი იყო მათ ელიარებინათ თავისი სტატუსი ქურდულ სამყაროში და ამისათვის მრავალწლიანი პატიმრობა ელოდათ. ვინც მოასწრო, რუსეთში, უკრაინაში და უფრო შორს გადაიხვეწა. ქურდულ მენტალიტეტს სკოლასა და ქუჩაში ბრძოლა გამოეცხადა და თანდათან „ქურდად დაჯდომა" ან დასაძრახი გახდა, ან ასეთი განწყობები იატაკქვეშეთში გადავიდა. ნარკომანიასთან და ნარკოგამსაღებლებთან სერიოზული ბრძოლა დაიწყო.

შეიცვსო სახელმწიფო ბიუჯეტი. თუ შევარდნაძის ეპოქაში ხაზინაში შესვლის ნაცვლად ფული სხვადასხვა დონის მოხელეების ჯიბეებში რჩებოდა, ახლა აღმოჩნდა, რომ საქართველოს რვაჯერ თუ ათჯერ მეტი შემოსავალი ჰქონია.

მოწესრიგდა *ენერგომომარაგება.* ყველამ დაიწყო დენისა და კომუნალური გადასახადების გადახდა.

დაიწყო ყოველად უვარგისი გზების შეკეთება, ფაქტობრივად – ახალმშენებლობა. მაგალითად, 2005 წლამდე ქ. მარნეულიდან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრამდე სულ 30 კილომეტრიანი დანგრეული, ორმოებიანი გზის გავლას ლამის ორი საათი სჭირდებოდა: როგორც კი საზღვარს გადახვიდოდით, სომხეთში კარგი გზა იწყებოდა. 2005 წლის იანვარში გზა გააკეთეს: ზურაბ ჟვანიამ ტელეკამერების თანხლებით პირადად მართა მანქანა ამ მონაკვეთზე, რომლის გავლის დრო 25-30 წუთამდე შემცირდა. გზის საფარი უკეთესიც კი გახდა, ვიდრე მეზობელ ქვეყანაში. აშენდა ავტოსტრადა თბილისიდან გორამდე და განზრახული იყო მისი დასავლეთ საქართველოსკენ გაგრძელება.

თბილისში მოწესრიგდა ქუჩების საგრძნობი ნაწილი. მანქანის მძღოლებმა წითელ შუქზე გაჩერება დაიწყეს. ჯარიმებსაც ბანკში უდრტვინველად იხდიდნენ!

2004 წლის მაისში *აჭარის ავტონომია თბილისმა დაიქვემდებარა*. „თვითმპყრობელი“ რეგიონული დიქტატორი *ასლან აბაშიძე* გაიქცა. ის, ბუნებრივია, რუსეთმა შეიკედლა, პირადად მოსკოვის მერმა *იური ლუჟკოვმა*.

ახალი ქართული პოლიცია და მოხელეები, რომლებიც ქრთამს არ იღებენ, იუსტიციის სახლები, სადაც დოკუმენტის რამდენიმე წუთში აღება შეიძლება ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს რიგებში მდგომი და კორუმპირებული მოხელის კეთილგანწყობის მომლოდინე მოქალაქეების შურის ობიექტად იქცა.

2006 წელს, გულახდილი კერძო საუბრის დროს ჩემმა კოლეგამ, სომხეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ელჩმა გულისწუხილით მითხრა, რომ მის ქვეყანაში კორუფციას სათანადოდ ვერ ებრძვიან: *„რატომ? თქვენ ცარი გყავთ, ჩვენ კი, ეჰ!“* მისი ქვეყნის პარლამენტში ხშირი იყო კინკლაობა და ჩხუბიც კი, კანონებს ვერ ღებულობდნენ. მიღებული კანონების აღსრულებაც ცუდად ხდებოდა.

„ცარი“ გონებაში ჩამრჩა. ელჩის სიტყვები აშკარად ჩვენეული ავტორიტარიზმისადმი გამოთქმული დითირამბი გამოდიოდა. მაშინ ამას ყურადღება არ მივაქციე: მთავარი იყო რეფორმების შედეგი!

ასეთივე ხედვა ჰქონდათ ჩვენს დასავლეთელ მეგობრებს, რომლებიც „საქართველოს ფენომენს“ პოსტსაბჭოთა სივრცის ენდემური კორუფციის ფონზე გაკვირვებითა და აღტაცებით შეჰყურებდნენ.

„ვარდების რევოლუციონერებს“ თავიდანვე ერგოთ მხარდაჭერა ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან. საქართველოს გაძლიერებული ურთიერთობა დასავლეთთან, რასაც ჩვენი საზოგადოება ნამდვილად ინონებდა, კრემლის დიდ გაღიზიანებას იწვევდა: რუსული პროსამთავრობო მედია და ექსპერტები საქართველოში მიმდინარე პროცესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში „ამერიკული დივერსიით“ ხსნიდნენ!

2005 წელს თბილისს პირველად ეწვია ამერიკის პრეზიდენტი. ჯორჯ ბუშმა

(უმც.) მოიწონა ყველაფერი, რაც საქართველოში ხდებოდა და მას *„თავისუფლების შუქურა“* უწოდა. საქართველოს მადლიერი პრეზიდენტის ინიციატივით თბილისის ერთ ქუჩას ჯორჯ ბუშის სახელი დაერქვა!

„ვარდების რევოლუციის“ მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველო მართლაც იქცა დემოკრატიისა და ვესტერნიზაციის მიმართ მისწრაფებულ ნორმალურ სახელმწიფოდ. მას ველარავინ უწოდებდა „არშემდგარ სახელმწიფოს“.

მართალია, ვამჩნევდით საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური ფიგურების ქცევის ექსცესებს, კანონის უზენაესობის უგულებელყოფას და მის ნაცვლად „შერჩევითი სამართლის“ განხორციელებას, სამართალდამცავების მიერ უფლებათა გადამეტებას, მაგრამ წარმატებათა კასკადის ფონზე ეს ყველაფერი ფერმკრთალდებოდა.

„ვარდების რევოლუციის“ საწყის ეტაპზე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა *ძირითადად* იწონებდა იმას, რაც ქვეყანაში ხდებოდა.

* * *

ის, რაც „ნაცმოძრაობამ" კარგად გააკეთა, მოსაწონია. მაგრამ ხალხისათვის ამის დაყვედრება უსამართლობაა.

ხალხი სწორედ იმისათვის აძლევს მართვის მანდატს გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფს ან ინდივიდს (ირჩევს პარტიასა და პრეზიდენტს), რომ მათ გააკეთონ ის, რაც ამომრჩეველს სჭირდება. ხალხი ანდობს მათ სახელმწიფო საკუთრების რაციონალურად მართვისა და განკარგვის უფლებას, მოელის მათგან სამართლის აღსრულებას, ადამიანის უფლებების დაცვას, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვას. ამ სამსახურის გაწევისათვის ხალხი უხდის შესაბამის ხელფასს ***ხელისუფლების ყველა დაქირავებულ წარმომადგენელს,*** უბნის ინსპექტორიდან – პრეზიდენტამდე. მოქალაქეთა ფულით სახელმწიფო მოხელეებს საუკეთესო სამუშაო პირობები ექმნებათ.

მაგრამ ხალხის მიერ მინიჭებული მანდატით დავალებული „კარგი საქმის კეთება“ არ არის გამართლება იმისათვის, რომ არჩეულმა ჯგუფმა (პარტიამ, პრეზიდენტმა) ბოროტად გამოიყენოს მისთვის დროებით მინიჭებული უფლებები, მაგალითად, თავის პირად საკუთრებად მიიჩნიოს სახელმწიფო ხაზინა, ვიღაც უცხოელებს, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ერთ ფლურად მიჰყიდოს (ფაქტობრივად, აჩუქოს) სახელმწიფოს (ე.ი. ხალხის) საკუთრება, მოიწყოს სუპერკომფორტი, თავისი მიხედულებისამებრ ციხეში ჩასვას ათასობით უდანაშაულო ან მცირე დანაშაულის ჩამდენი ადამიანი, დათესოს შიში საზოგადოებაში, უპასუხისმგებლო ქცევითა და სიტყვებით გადაამტეროს საკუთარ ქვეყანას ძლიერი მეზობელი და ამით მძიმედ დააზარალოს

თავისი ქვეყანა, უღირსი ხერხების გამოყენებით შეეცადოს უსასრულოდ შეინარჩუნოს პრივილეგიები და სხვ. ასეთ შემთხვევაში ხალხს უფლება აქვს უარი უთხრას მართვის მანდატზე ცხოვრებაგამტკბარ პოლიტიკურ ძალას და კონკრეტულ პერსონებს. ხოლო *თუ დამტკიცდა, რომ ისინი ხალხისათვის სასარგებლო ზოგიერთი საქმის პარალელურად დანაშაულსაც ჩადიოდნენ, მაგალითად, ხაზინას ქურდაედნენ, უნდა დასაჯოს ისინი და აზღვევინოს მიყენებული ზარალი.*

* * *

სამწუხაროა, რომ ზემოხსენებული ელემენტარული ჭეშმარიტებები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს ყველა ხელისუფლებამ, თუკი „დემოკრატობაზე" აქვს პრეტენზია, ძალიან მალე მიეცა დავიწყებას. *„ვარდებს" საკმაო ზე მეტი „ეკალი" აღმოაჩნდათ.*

ბევრი ფარული „ეკალი" მხოლოდ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ გაშიშვლდა და მკაფიოდ დავინახეთ, რომ თბილისის მოციმციმე ტელეანძისა და შენობების განათებული ფასადების უკან ბნელეთი ყოფილა. საერთოდაც, „ნაცმოძრაობის" ხელმძღვანელობის საფირმო ნიშანი გახდა მხოლოდ „ფასადზე" ზრუნვა, მხოლოდ დასავლეთის მოსაწონად გაკეთებული ლიტონი, მაგრამ ლამაზად შეფუთული განცხადებები.

თავიდან ხალხი ამის გამო პროტესტს არ გამოხატავდა. დასავლეთშიც ან *ვერ* ამჩნევდნენ ან არ ხედავდნენ შეუსაბამობას განცხადებებსა და რეალობას შორის.

მაგრამ საქართველოში იყვნენ საზოგადოების ისეთი წევრებიც, ვისაც უკეთ ესმოდა, რა ხდებოდა ქვეყანაში; რომ ეფექტიან მმართველობას ეწირებოდა სამართლიანობა, რომ მმართველობის დაბალ და საშუალო დონის მექრთამეობის აღმოფხვრის ფონზე გაიფურჩქნა გარეშე თვალისათვის უხილავი უზარმაზარი *ელიტური კორუფცია.*

ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებამ (2004 წ.) კარგი პირობები შეუქმნა მონოპოლისტებს, განსაკუთრებით იმპორტის სფეროში: მათი არსებობა ხელისუფლებასაც აძლევდა ხელს, რადგან მთავრობისგან დავალებული მონოპოლისტისაგან (ან მათი კარტელისაგან) უფრო მარტივი იყო ერთჯერადი და მრავალჯერადი „დახმარების" მოთხოვნა მორიგი არჩევნების, ექსტრავაგანტური მშენებლობის, რეჟიმის მადიდებელი ჰოლივუდური ფილმის დასაფინანსებლად.

ტენდერების საგრძნობი ნაწილი ფიქტიურად ტარდებოდა – იმარჯვებდა ხელისუფლების მიერ წინასწარ მხარდაჭერილი კომპანია. მაგალითად, თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ასაშენებლად ერთი თურქული კომპანია ხელისუფლებამ ერთპიროვნულად შეარჩია, თანაც ბათუმის აეროპორტი

თურქეთის „შიდა აეროპორტად“ იქცა, რაც საქართველოს სუვერენიტეტის დათმობის ტოლფასი იყო. ის, რომ პირველივე ძლიერი ქარის შემდეგ თბილისის აეროპორტის შენობა უსახურავოდ დარჩა, არ გამხდარა (და ვერც გახდებოდა, როდესაც გარიგება არსებობდა) კომპანიის საქართველოდან დათხოვნის მიზეზი. როგორც ჟურნალმა *„ლიბერალმა“* გამოიკვლია, საქართველოში სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის ერთადერთი საბადო *მადნეულში*, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ იმ კომპანიას მიჰყიდა, რომელიც ტენდერის თანახმად ნაკლებს იხდიდა, მინისტრი კი გადადგომის შემდეგ გამარჯვებული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა.

მკვეთრად გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში უხვად იყო *„სხვა ხარჯები“*. უმეტესწილად უცნობია, სად წავიდა ისინი. პრეზიდენტი არავის წინაშე არ იყო ანგარიშვალდებული თავისი „სარეზერვო ფონდის“ გამოყენებისათვის, რომელიც თავიდან 10 მილიონი ლარი იყო და ბოლოს თითქმის 100 მილიონამდე გაიზარდა, მაგრამ მაინც არ კმაროდა სხვადასხვა, ხშირად გაუგებარი (მაგალითად, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე გულშემატკივრების გაგზავნის) ან ჯერაც გაუშიფრავი ხარჯების დასაფარავად.

2004 წელს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელევიზიით გვაჩვენა პატარა ბინა, სადაც ის მეუღლესა და შვილთან ერთად ცხოვრობდა, ტელევიზიის თანხლებით მან იმგზავრა მეტროთი, ხოლო მოსკოვში პირველ ოფიციალურ ვიზიტზე სარეისო თვითმფრინავით გაემგზავრა.

„დემოკრატობანას თამაში“ ამით დამთავრდა. 2012 წელს პრეზიდენტს ჰქონდა რვა მოქმედი რეზიდენცია, ემსახურებოდა 3500-კაციანი დაცვა, ორი თვითმფრინავი, ორი შვეულმფრენი; 80 მილიონ დოლარად შეკვეთილი იყო კიდევ სამი შვეულმფრენი. საქართველოსნაირი ღარიბი ქვეყნისათვის ეს მეტისმეტი ფუფუნებაა. 2013 წლის აპრილში „საიდუმლო“ გრიფი მოეხსნა პრეზიდენტის დაცვის სამსახურის მიერ გაწეულ ხარჯებს და გამომზეურდა მათი არამართლზომიერად (რბილად რომ ვთქვათ! დანაშაულად ამის კვალიფიკაცია სასამართლოს საქმეა) გადახდის შემაშფოთებელი სერია: მაგალითად, პრეზიდენტის ესპანელი მზარეული საქართველოს ბიუჯეტს არასრულ ორ წელიწადში ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა, პრეზიდენტისა და თბილისის მერის გასახდომი პროცედურების ჩატარება ავსტრიაში – 115 ათასი ლარი, „ნაცმოძრაობის“ ელიტის 2013 წლის შეხვედრა დუბაიში – 240 ათასი ლარი და ა.შ.

საზოგადოების გაღიზიანებას იწვევდა, რომ ბიუჯეტის ხარჯზე ხელისუფლების მაღალჩინოსნები საზღვარგარეთ გაურკვეველი მიზნით მგზავრობდნენ. მაგალითად, მედიის ცნობით, თბილისის მერი და მისი რამდენიმე თანამშრომელი (თუ მეგობარი?) ამერიკის სათამაშო ბიზნესის ცენტრ *ლას-ვეგასში* „ქალაქის მართვის გამოცდილების გასაცნობად“ სულ ცოტა ორჯერ

ყოფილან: ნუთუ თბილისისათვის ვერ მოინახა საქალაქო ნაგვის უტილიზაციის ლას-ვეგასზე უკეთესი მაგალითი? პრესაში გახმაურდა პრეზიდენტისათვის მასაჟისტის ჩამოსაყვანად სამთავრობო თვითმფრინავის გაგზავნა, პრეზიდენტისა და მისი ამალის მგზავრობა სხვადასხვა საკურორტო ქალაქებში და იქ სახელმწიფოს ხარჯზე გართობა, სამთავრობო თვითმფრინავის მოულოდნელი დასმა მილანში საყვარელ მაღაზიაში „საშოპინგოდ", საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ფავორიტი მომღერალი ქალის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ორი თუ სამი მილიონი ლარით და ა.შ.

თუ ეს ყველაფერი პრესის მხრიდან ცილისწამება იყო, მაშინ მორალურად დაზარალებულს სასამართლოსათვის უნდა მიემართა, ხოლო საზოგადოებისათვის ზუსტი ინფორმაცია მიეწოდებინა. სინამდვილეში კი, ყველა ასეთი პუბლიკაციის იგნორირება ხდებოდა და შემთხვევა იფარცხებოდა.

ჩვენთვის სამაგალითო დასავლეთ ევროპაში ნებისმიერი სახის საეჭვო გარიგებაში მონაწილე ან სახელმწიფო ხარჯების არამიზნობრივად ხარჯვაში ეჭვმიტანილ უმაღლესი თანამდებობის პირს სასამართლოში აქვს ხოლმე საქმე. პრესა ამას ფართოდ აშუქებს და თუ ის ციხეს ასცდა, პოლიტიკური მომავალი მაინც აღარა აქვს.

რადგან საქართველოს მსოფლიო კონტექსტში ვიხილავთ, ხოლო ხელისუფლება, ყოფილიც და ამჟამინდელიც, ევროპულ კავშირში ხედავს ჩვენს ქვეყანას – ოქროს ვარსკვლავებიან ლურჯ დროშას ყველგან ვაფრიალებთ – ამიტომ, იქნებ იქაურ შეცდომებზეც ვისწავლოთ?

ბოლოდროინდელი ფაქტებიდან ცნობილია, მაგალითად, 2012 წელს გერმანიის პრესაში აგორებული სკანდალი კორუფციულ გარიგებაში ქვეყნის პრეზიდენტის *კრისტიან ვულფის* შესაძლო მონაწილეობის გამო. ვულფი იძულებული გახდა გადამდგარიყო, რომ პრეზიდენტობის ინსტიტუტის სახელი არ შეებღალა. გერმანიის პროკურატურამ თითქმის ერთი წლის ძიების შემდეგ მას ბრალდება წარუდგინა: რამდენიმე წლით ადრე, მანამ, სანამ მას პრეზიდენტად აირჩევდნენ, ერთმა კინოპროდიუსერმა, არცთუ უანგაროდ, თურმე მისი სასტუმროს ხარჯი გადაიხადა. ეს სამარცხვინო ლაქა ვულფს სამუდამოდ გაჰყვება!

2011 წელს საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს *ჟაკ შირაკს* წარუდგინეს ბრალდება, რომ 1977-1995 წლებში, პარიზის მერის თანამდებობაზე ყოფნისას, ის არამიზნობრივად იყენებდა სახელმწიფო სახსრებს და ასაქმებდა თავის თანაპარტიელებს სამუშაოზე, რომელიც რეალურად არ არსებობდა.

ანალოგიური ბრალდება 2013 წლის დამდეგს წარუდგინეს თბილისის მერს *გიგი უგულავას*, ოღონდ სულ ცოტა ხნის წინ – 2009 წელს ჩადენილი ქმედებისათვის (სანამ სასამართლო განაჩენს არ გამოიტანს, ამას დანაშაულს ვერ ვუწოდებთ), როდესაც მან 764 პირი დაასაქმა შპს „თბილსერვისჯგუფში",

საგანგებოდ შექმნილ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში: არის ეჭვი, რომ მათი დიდი ნაწილი ბიუჯეტიდან დაფინანსებული „კოორდინატორები" იყვნენ, რომლებიც ეწეოდნენ პარტიულ მუშაობას, „ნაცმოძრაობის" სასარგებლოდ, რასაკვირველია!

ყოველგვარი წინასწარი განხილვის გარეშე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა უცნაური ძეგლების, მაგალითად, გიგანტური ველოსიპედის, „შლოპანცებისა" და კვერცხების დადგმა ან არსებული ძეგლების ავტორებთან შეუთანხმებლად გადატანა. ხორციელდებოდა ეოლუნტარისტული სამშენებლო პროექტები. თბილისში, ავლაბარში ახალაგებული საპრეზიდენტო სასახლის (ჯერ არ გამოქვეყნებულა ზუსტად რამდენი ათეული თუ ასეული მილიონი ლარი დაიხარჯა მის აშენებაზე) მტკვრის ორივე ნაპირის უბნები ქვეყნის პირველი პირის გემოვნების შესაბამისი – ძირითადად მინა და ალუმინი – მშენებლობის პოლიგონად იქცა. მტკვარზე გადეს ფეხით სავალი, შემინული ხიდი, რომელიც სხვაგან შეიძლება კოხტაც გამოჩენილიყო, აქ კი მთლიანად უცვალა სახე ძველ ქალაქს; თბილისის საუკეთესო ჩოგბურთის კორტების ადგილზე შემინული იუსტიციის სახლი ნამოიმართა. ოფიციალურად დართეს ნება, რომ პატრიარქის რეზიდენციის გვერდით აშენებულიყო შემინული და ღამით გაბრდღვიალებული კაზინო. „რიყეზე" ერთხანს იდგა უცხოეთიდან ჩამოტანილი მაღალი ატრაქციონი, რომელიც ერთი წლის შემდეგ აიღეს და, ალბათ, ნახევარი მილიონის ღირებულება ჯართში ჩააბარეს! ვისი ხუშტური იყო ამ უსარგებლო საგანში სახელმწიფო ბიუჯეტის ფულის ხარჯვა? რატომ და რა ფასად უკვეთაედნენ პროექტებს უცხოელ არქიტექტორებსა თუ დიზაინერებს, მაშინ როცა ნიჭიერი ქართველი არქიტექტორები გვყავს?

როგორც პრესა წერდა, ე.წ. „რიყის" მთელი ფართობი 2006 წელს თბილისის მერიას 7 მილიონ ლარად გაუსხვისებია, ხოლო ორი წლის შემდეგ იგივე (აუთვისებელი) ფართობი17 მილიონ ლარად უკან გამოუსყიდია. ის, რაც მერიას ზედმეტად გადაუხდია „რიყის" მფლობელისათვის, ანუ 10 მილიონი ლარი, ფარული გარიგებით წარუმართია ტელევიზია *„იმედის"* საყიდლად, რომელიც უცნობ კომპანიაზე გაფორმდა. „ტელეიმედის" გამოსყიდვა მოხდა მისი საკონტროლო პაკეტის იმდროინდელი მფლობელის *ჯოზეფ კეისგან* (იგივე იოსებ კაკიაშვილი), რომელიც 2013 წელს საქართველოს პროკურატურას ასეთ ჩვენებას აძლევდა: *„მთავრობამ მაიძულა დამეთმო ტელევიზია, 11 მილიონს ვითხოვდი, 10 მილიონს დამპირდა, 8,8 მილიონი მომცა და ჩემი კიდევ მართებს". „იმედი"* 2012 წლის ბოლოს დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს – *ბადრი პატარკაციშვილის* მემკვიდრეებს. ამრიგად, ქართველი გადასახადის გადამხდელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი 8,8 მილიონი ლარი სულ ტყუილად განიავდა. თაღლითურ ოპერაციას, როდესაც ტელეკომპანია მიისაკუთრეს საბიუჯეტო თანხის მითვისებისა და შემდგომი

გათეთრების გზით, აშკარად უდიოდა სისხლის სამართლის დანაშაულის სუნი. ძიებას დასადგენი აქვს კონკრეტულად ვინ იყო ამ თაღლითური სქემის შემქმნელი. როგორც ჩანს, ის იმდროინდელ ხელისუფლებაში უნდა იპოვონ.

ქ. ბათუმში ათზე მეტ კილომეტრამდე დაგრძელდა ბულვარი, მგონი, ერთადერთი მიზნით, რომ პრეზიდენტს ეთქვა, *ის მსოფლიოში ყველაზე გრძელიაო*. ჩვენს პატარა ქვეყანას რაღაც მეგალომანია დაემართა! პრეზიდენტი ბათუმს აჯიბრებდა დუბაისა და ბარსელონას.

თურქ ინვესტორებს იმავე ბათუმში ააშენებინეს უზარმაზარი სასტუმროები და სხვა ობიექტები, რაზეც, ბუნებრივია, თურქი მუშახელი დასაქმდა.

„ნაციონალებმა" უცხოელებს ბიზნესისთვის უკეთესი პირობები შეუქმნეს (რასაკვირველია, თუ ისინი „ჭკვიანად" მოიქცეოდნენ), ვიდრე საქართველოს მოქალაქეებს, რომელთა ბიზნესი განუწყვეტელი რისკის ქვეშ იდგა, თუკი ხელისუფლების კალთას არ შეაფარებდნენ თავს სათანადო წილის დათმობით. ნორმად იქცა უცხოელთა გამოყენება ადგილობრივი „მოუმზადებელი მუშახელის" ნაცვლად.

ის, რომ ეროვნული ინტერესების დაცვა მოითხოვს ჯერ ადგილობრივი მუშახელის მომზადებას და მშენებლობის ან სხვა ახალი პროექტის ამის მერე წამოწყებას, მთავრობას არ გახსენებია.

მაგალითად, თბილისის იუსტიციის სახლის უსწრაფესი ტემპით მშენებლობისას პრეზიდენტმა ტელევიზიით გვამცნო, რომ სამშენებლო კომპანიამ შემდუღებლების 95 პროცენტი ჩინეთიდან და თურქეთიდან ჩამოიყვანა, რადგან *„ადგილობრივი კადრები მოუმზადებელია და იძულებული ვართ უცხოელებს თვეში ათი ათასი დოლარი ვუხადოთო"*. ხელფასის ოდენობას ის, როგორც სჩვეოდა, აზვიადებდა, ალბათ რეალურზე 8-10-ჯერ მეტს ამბობდა, მაგრამ უცხოელი მუშახელი მართლაც თვალნათლივ ჩანდა. ამასთან, როგორც გაირკვა, არ არსებობს განკარგულება იუსტიციის სახლის გახსნის შესახებ და არც მიღება-ჩაბარების აქტი; მისი საზეიმო გახსნიდან ნახევარი წელიც არ იყო გასული, რომ დადგინდა უამრავი საპროექტო და სამშენებლო დეფექტი; მისი ავტოსადგომი უკვე ავარიულ მდგომარეობაშია.

მთავრობა მუდამ ჩქარობდა – ყველაფერი ნებისმიერი გზით, სასწრაფოდ უნდა აშენებულიყო, ისე და იმ დროს, როგორც და როდესაც პრეზიდენტი ბრძანებდა. მშენებლობის ხარისხსა და ობიექტის პრაქტიკულ დანიშნულებას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მაგალითად, ბათუმის ცენტრში, *„სამხრეთ კავკასიაში ყველაზე მაღალი შენობის"* 14 თვეში ასაშენებლად ასევე ძირითადად უცხოელი მუშახელი გამოიყენეს, შენობის ფუნქცია კი მხოლოდ მისი დამთავრების შემდეგ განისაზღვრა: თურმე ამ წონლოკინა შენობაში, რომლის 35-ე სართულზე პრეზიდენტის ნებით „ეშმაკის ბორბალი" უნდა დაემონტაჟებინათ, ტექნოლოგიური

უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო! ამ ეოლუნტარისტულ გადაწყვეტილებას არავითარი სერიოზული მსჯელობა არ უძღოდა წინ: ბათუმში არ არის სათანადო სამეცნიერო კადრები (ალბათ, მათ იმპორტს ვაპირებდით, უცხოელ სტუდენტებთან ერთად!), შენობაში არ არსებობს სამეცნიერო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების გახსნის პირობები, უნივერსიტეტს არ ექნებოდა კამპუსი და ა. შ. იქნებ გვერჩიენა თბილისში უკვე არსებულ ტექნიკურ უნივერსიტეტზე გვეზრუნა?

საქართველოს განვითარებისათვის სააკაშვილმა იდეალად გამოაცხადა *„სინგაპურის მოდელი“*: რას ნიშნავდა ეს – არ გაშიფრულა. *„სინგაპური ზაცია“* საყოველთაო ქილიკის საგნად იქცა. საქართველოსა და ამ კუნძულოვან ქალაქ-სახელმწიფოს საერთო არაფერი აქვთ – არც პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, არც ისტორია, არც დემოგრაფია. „სინგაპურის მოდელი" სააკაშვილს, როგორც ჩანს, მხოლოდ იმიტომ მოსწონდა, რომ იქ ერთი და იგივე ლიდერი ავტორიტარული (თუმცა, არა ძალადობრივი) მეთოდით თითქმის 30 წელი მართავდა ქვეყანას.

* * *

„ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის დროს ზემოთქმულზე და მსგავს დარღვევებსა ან გადაცდომებზე სახელისუფლებო ტელევიზიები არაფერს ამბობდნენ.

თავისუფალი პრესა, ვგულისხმობ ბეჭდურ მედიას, განსხვავებით *პარტიული პრესისაგან* (საბჭოთა პერიოდიდან ის კარგად გვახსოვს!) აკეთებს თავის საქმეს, ანუ არსებული ხელისუფლების შესახებ კრიტიკულ მასალებს აქვეყნებს. პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ *არ კითხულობს ქართულ გა ზეთებსა და ჟურნალებს*. მართლაც, რისთვის უნდა აეშალა ნერვები? ეს განცხადება აღქმული იქნა, როგორც მოწოდება, რომ მთავრობას ქართული ბეჭდური მედიის სრული უგულებელყოფა მოეხდინა. ვერ გავიხსენებთ შემთხვევას, რომ რომელიმე მამხილებელი წერილის გამო გამოძიება ჩატარებულიყო.

გაღატაკებულ მოსახლეობას ეძვირებოდა ბეჭდური მედია. ტელევიზია კი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო. ტელევიზიით გავრცელებულ ინფორმაციას მოსახლეობაზე დიდი გავლენა ჰქონდა და აქვს. კლასიკური მაგალითია „ნაციონალების“ ხელში მყოფ „ტელეიმედზე“ 2010 წლის 13 მარტს გასული „იმიტირებული ქრონიკა“, რომელშიც მოსახლეობისათვის თავზარის დასაცემად რუსული არმიის მიერ თბილისის ოკუპაციის ტელესპექტაკლი დადგეს. ზოგს მართლაც ძალიან შეეშინდა.

პრეზიდენტმა შესანიშნავად დაიწყო ტელევიზიის გამოყენება თავისი პოლიტიკის „გასაპიარებლად“. თუ თავიდან *სახელისუფლებო ტელეარხები „რუსთავი-2“* და *„საზოგადოებრივი მაუწყებელი“* იყვნენ, 2008 წლიდან

მათ იქამდე ოპოზიციური ტელევიზია *„იმედიც“* დაემატა, რომელიც *ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს* ნაართვეს. სამივე არხი მთელ საქართველოზე მაუწყებლობდა. მათ დაემატა აბსოლუტურად მარგინალური *„Real-TV“* და ჩრდილოეთ კავკასიაზე გათვლილი რუსულენოვანი *„ПИК-и“*. ადგილობრივ ტელეარხებს, თუკი მათ არსებობა შეინარჩუნეს, სასიცოცხლო არტერია გადაუჭრეს: შემოსავალი *სატელევიზიო რეკლამიდან* მხოლოდ „ლოიალურ“ არხებს უნდა მიეღოთ, რასაც ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა.

2012 წლის 12 ოქტომბერს „ნაცმოძრაობის“ მთავრობის პრემიერ-მინისტრმა *ვანო მერაბიშვილმა* თავისი ერთ-ერთი ბოლო ბრძანებით გაათავისუფლა 20 (ოცი!) მილიონი ლარი გადაუხდელი გადასახადისაგან *„რუსთავი-2“*, *„იმედი“* და *„ПИК-и“*. ისინი 2010 წელსაც „შეუწყალებიათ“. ამ არხებს თურმე წლების განმავლობაში არ სთხოვდნენ საფინანსო დისციპლინის დაცვას, მაშინ, როცა ნებისმიერ, მთავრობისაგან დამოუკიდებელ კომპანიას (არა მარტო მედიის სფეროში) გადასახადის გადახდის დაგვიანება სისხლის სამართლის საქმედ უჯდებოდა. მაგალითად, „არალოიალურ“ და ღარიბ ტელევიზია *„კავკასიას“* (რომელსაც, რასაკვირველია, რეკლამა არ უნდა რგებოდა) სულ ორნახევარი (!) ლარის გადახდის დაგვიანებისათვის ისედაც მცირე ქონების ნაწილი დაუყადაღეს.

ლოიალური ტელეარხები გვაჩვენებდნენ პრეზიდენტ სააკაშვილის (ხანდახან აგრეთვე თბილისის მერისა და ორიოდე სხვა პოლიტიკოსის) „ხალხში გასვლას“. პრეზიდენტი საკუთარი მუშაობის მაქებარ და წინამორბედი პრეზიდენტის – შევარდნაძის – განმაქიქებელ მონოლოგს წარმოთქვამდა წინასწარ ინსტრუქტაჟგავლილი, დამუნჯებული აუდიტორიის წინაშე.

ტელევიზია ხშირად გვიჩვენებდა ახალი კერძო საწარმოს ან საავადმყოფოს *წითელი ლენტის გაჭრის პრეზიდენტისეული პრივილეგიის* აღსრულებას: ეს ცოტა გვაგონებდა ფეოდალური საფრანგეთის „პირველი ღამის უფლებას“. ხშირად ეს წინა ფასადის გახსნა იყო, რადგან პრეზიდენტს დღის წესრიგში ჰქონდა ლენტის გაჭრა, თუნდაც საწარმო დაუმთავრებელი ყოფილიყო. ტელეკამერების წინ პრეზიდენტი რიხით აცხადებდა რამდენი ადამიანი „დაასაქმა ახალ საწარმოში“. როდესაც ბიზნესმენის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეცოტავებოდა, წაუმატებდა, მაგალითად, „0“-ს, და 25 კაცის ნაცვლად 250-ს „დაასაქმებდა“. ვინ შეამოწმებდა?

უკვე 2013 წელს პრეზიდენტმა სინანულით აღნიშნა, რომ ახალმა მთავრობამ უარი თქვა რუსთაველის გამზირზე 40-სართულიანი სასტუმროს პროექტზე, რომელიც *„ოცი ათას ადამიანს დაასაქმებდაო“* – ორჯერ გაიმეორა. ერთ სასტუმროში ამდენი ადამიანის მუდმივი დასაქმება (პრეზიდენტს არ უთქვამს, მშენებლობაზე დასაქმდებიანო) მფლობელს ნამდვილად გააკოტრებდა! სხვა საკითხია, რამდენად მოუხდებოდა რუსთაველის გამზირს 120 მეტრის სიმაღლის ცათამბჯენი.

სატელევიზიო პიარი ხშირად გროტესკულ ხასიათს იღებდა. პრეზიდენტს მთავრობის სხდომა ჩაუტარებია სტალაქტიტებიან მღვიმეშიც და მშენებარე სასტუმროს სახურავზეც. სახელმწიფო დაცვის გადაცმული თანამშრომლები უკანა ფონზე გულმოდგინე მუშაობის იმიტაციას ქმნიდნენ, ხოლო თავზე სამშენებლო ჩაჩქანჩამოცმული მინისტრები წესიერი მოსწავლეებივით ყურადღებით უსმენდნენ დამრიგებელს. მინისტრები, ალბათ, იტანჯებოდნენ იდიოტური როლის შესრულებისას. მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრს შეეძლო გაქანებულიყო, ვთქვათ, ნორვეგიაში სასნრაფო დიპლომატიური საქმის გამო! ყველაფერ ამას კი სახელისუფლებო ტელეარხები ეთერში გადასცემდნენ.

ერთხელ ასეთი დადგმა გვაჩვენეს: ახალაშენებულ სანარმოს პრეზიდენტი ესტუმრა და მფლობელს ეშმაკური ღიმილით ჰკითხა, რამდენ კაცს დაასაქმებო? პასუხის მიღების შემდეგ კი კედელს უკან ჩასაფრებული ავტობუსი შემოგრიალდა, საიდანაც კარგად გაწვრთნილი „უმუშევრები" გადმოგოგმანდნენ და იქვე „ყველა დასაქმდა!"

ვის მოტყუებაზე იყო გათვლილი ეს უნიჭო სპექტაკლები?

პრეზიდენტის თანამდევი სატელევიზიო პიარკამპანია ხანდახან მის წინააღმდეგ მუშაობდა. მაგალითად, 2008 წლის 11 აგვისტოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გორში ჩასული ჯავშანჟილეტიანი პრეზიდენტის პანიკური გაქცევის ვიდეოკადრებმა მსოფლიო მოიარა; 2011 წელს მახათას მთაზე შეზარხოშებული პრეზიდენტის ბანცალი და კათოლიკოს-პატრიარქის სავარძელში მისი ჩაჯდომის კადრები დროულად ვერ წაშალეს.

ქართველ ჟურნალისტებს პრეზიდენტი არ სწყალობდა, პრესკონფერენციებს არ აწყობდა, უხერხული კითხვა რომ არ მოესმინა. ეს მან 2013 წლის თებერვალში ასე ახსნა:

> „ნაკლებს ვპასუხობდი კითხვებს და, ვფიქრობ, რომ ეს იყო გარკვეული შეცდომა. ეს იყო გარკვეული დისტანცირება. იმის განცდა, რომ ხალხი ისედაც ყველაფერს მიხვდებოდა და საჭირო არ არის ზედმეტი ახსნები, არ არის საჭირო ყველაფერზე რეაგირება და პასუხის გაცემა, მე ვფიქრობ, იყო შეცდომა. თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ამ შეცდომის გამოსწორება".

აღიარება ნაგვიანევი აღმოჩნდა, შეცდომის გამოსასწორებელი დრო აღარ დარჩა.

* * *

ცალკე უნდა ითქვას *ეკონომიკური განვითარების* შესახებ, რომელიც ნებისმიერი მთავრობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია და მმართველი პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობის ძირითად საზომადაც იყენებენ.

2004 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს *ეკონომიკური წინსვლა* აშკარა იყო. 2005 წელს შემოიღეს ახალი საგადასახადო კოდექსი, პროცედუ-

რული საკითხები დარეგულირდა, შემცირდა გადასახადების რაოდენობა და გადასახადის ზომაც, შემოსავლებმა კი იმატა, რადგან ეკონომიკამ „ჩრდილიდან“ გამოსვლა დაიწყო. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 2007 წელს 12,3 პროცენტი შეადგინა. გაჩნდა ეიფორია, რომ „ეკონომიკური ბუმი“ დაიწყო!

„ბუმს“ ასეთი ახსნა აქვს: 2008 წლის მეორე ნახევრამდე *საქართველოს მშპ-ის* ზრდა განპირობებული იყო დაჩქარებული პრივატიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებით და, შესაბამისად, გაზრდილი სახელმწიფო ხარჯებით. ეს ხდებოდა მსოფლიოს საერთო ეკონომიკური აღმავლობის ფონზე. საზღვარგარეთ უხვად გაჩნდა თავისუფალი ფინანსური რესურსები და საქართველოში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2007 წელს 2 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. ნავთობსა და ბუნებრივ აირზე ავარდნილმა ფასებმა საგრძნობლად გამოაცოცხლა რუსეთის ეკონომიკა, რამაც საშუალება მისცა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან იქ ჩასულ შრომით მიგრანტებს მეტი თანხა გადაერიცხათ სამშობლოში, მათ შორის, საქართველოშიც. ამას დაემატა *სპეკულაციური კაპიტალის* ინტერესი, რომელსაც გაუჩნდა მოლოდინი, რომ საბაზრო ეკონომიკაში ცენტრალური ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების წარმატებული სტარტის შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც ასევე წინ წავიდოდნენ. საქართველო თავისი „რეფორმატორი მთავრობით“ მიმზიდველი ჩანდა სწრაფ გამდიდრებას მოწადინებული ინვესტორისათვის.

დაიწყო ინტენსიური *საბინაო მშენებლობა*. სამშენებლო კომპანიების უდიდესი ნაწილი „ფინანსური პირამიდის“ პრინციპით მუშაობდა, ანუ დამკვეთს სახლს უშენებდნენ მომდევნო კლიენტისაგან მიღებული თანხით. ქვეყანაში ძალიან მოკლე დროში გაჩნდა დიდი ფული, ყველაფერმა დაიწყო გაძვირება. საგრძნობლად აიწია *სამომხმარებლო ფასებმაც*, რის შედეგადაც მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდა შეფერხდა. ის, რასაც პენსიონერი 2010 წელს 80 ლარიანი პენსიით შეიძენდა, 2003 წელს მას 40 ლარი დაუჯდებოდა, თუმცა მაშინ მას ამდენი არც ჰქონდა.

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად *„ეკონომიკური ბუმის“ ეიფორია ჩაქრა*. სამშენებლო კომპანიებს უზარმაზარი ვალი დაუგროვდათ. „ბუმი“ კარგა ხნით შეჩერდა.

მართალია, მსოფლიო კრიზისი საქართველომ შედარებით ადვილად გადაიტანა, რადგან 2008 წლის ბოლოს დასავლეთის ქვეყნები და იაპონია დონორთა კონფერენციაზე შეთანხმდნენ, რომ რუსეთთან ომში დაზარალებულ საქართველოს 4,5 მილიარდ დოლარს გამოუყოფდნენ, ნახევარზე მეტს გრანტების სახით, დანარჩენს – სესხად. ამის წყალობით შესაძლებელი გახდა სწრაფად აშენებულიყო საცხოვრებლები „სამხრეთ ოსეთიდან“ ეთნიკური წმენდის შედეგად დევნილი მოსახლეობისათვის, გაგრძელებულიყო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც „ეკონომიკური ბუმის“ გაგრძელების ილუზიას ქმნიდა.

2004-2012 წლებში მშპ-ს *ზრდის ტემპმა* საშუალოდ წელიწადში 5 პროცენტი შეადგინა, რაც განვითარებული ქვეყნისათვის ძალიან კარგი მაჩვენებელი იქნებოდა, მაგრამ მკვეთრად ჩამორჩენილი ქართული ეკონომიკისათვის – სრულებით არასაკმარისი. სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშპ-ის ჯამურ მაჩვენებელში ჩვენი წილი 2003 წლის 28 პროცენტიდან 2011 წელს 16,5 პროცენტამდე ჩამოვიდა. ეს არ განაპირობა მხოლოდ ნავთობ- და გაზმომპოვებელი აზერბაიჯანის მშპ-ის ზრდის გიგანტურმა ტემპმა: ჩვენზე მაღალი მაჩვენებელი „უნავთობო" სომხეთსაც ჰქონდა.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ იმავე წლის ბოლოს *პენსია* 100 ამერიკულ დოლარს გაუტოლდებოდა. პირობის შესრულება მან იმ წელს კი არა, საერთოდ ვერ შეძლო.

უმუშევრობა ოფიციალური მონაცემებით გაიზარდა 2003 წლის 11,5 პროცენტიდან 2011 წლის 15,1 პროცენტამდე: ამ ფორმალური მაჩვენებლით ყველა მეზობელ ქვეყანას ვუსწრებთ, თუმცა რეალური უმუშევრობა, ალბათ ბევრად უფრო მაღალია! სიღარიბის მიჯნაზე დაბლა მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობდა (და ჯერაც ცხოვრობს). ის, რომ საქართველო „მეზობელ ქვეყნებზე უფრო იაფია", გასახარებელი სულაც არაა: ეს არაპირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ჩვენს სახელმწიფოში ბევრია ღარიბი და უღარიბესი ადამიანი. შრომისუნარიანი მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი აღირიცხა „თვითდასაქმებულად", ანუ, მაგალითად, ვისაც სოფელში პატარა ბოსტანი და ორი ქათამი გააჩნდა, ის „უმუშევარი არ იყო", რადგან ნატურალურ მეურნეობას მისდევდა; ის, იქნებ, არ შიმშილობდა, მაგრამ საპნის საყიდელი ფული შეიძლება არ ჰქონოდა.

„ნაცმოძრაობის" მთავრობამ რამდენჯერმე, ძირითადად არჩევნების წინ, წამოიწყო „დასაქმების სახელმწიფო პროგრამა", რომელიც არაფრით დასრულდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კი საერთოდ კომიკური ნაბიჯი გადაიდგა: შეიქმნა *დასაქმების სამინისტრო*!

„ვარდების რევოლუციით" მოსულ *მთავრობას არ გააჩნდა ეკონომიკის განვითარების რეალური გეგმა და სტრატეგია*. „რევოლუციისშემდგომ" პირველ წლებში, სავარაუდოდ, ყველაფერი ეფუძნებოდა რუსეთში გამდიდრებული კარგი ბიზნესმენისა და იქიდანვე მოვლინებული ეკონომიკის მინისტრის, *კახა ბენდუქიძის* პირად შეხედულებებს. მან თავი დაგვამახსოვრა ფრაზით: *„იყიდება ყველაფერი ნამუსის გარდა"*. იგი გეგმავდა საქართველოს ეკონომიკის უკანასკნელი მინისტრი ყოფილიყო, ვინაიდან პრივატიზაციის დამთავრების, ანუ სახელმწიფო ქონების სრული გასხვისების შემდეგ, მისი აზრით, სახელმწიფო საერთოდ აღარ უნდა ჩარეულიყო ეკონომიკის საქმეებში და იგი თვითდინებაზე უნდა მიეშვა. ამიტომ აღარც ეკონომიკის სამინისტრო დაგეჭირდებოდა!

კვაზი-ლიბერტარიანული მიდგომა ახარებდა „კომპრადორულ ბურჟუაზიას", ანუ მსხვილ იმპორტიორებსა და მთავრობის მიერ მხარდაჭერილ მონოპოლისტებს და ზოგიერთ უცხოელ ინვესტორს, ხოლო „ეროვნულ ბურჟუაზიას", ანუ წვრილ და საშუალო ბიზნესს, ადგილობრივ მრეწველებს, რომელთაც მართლაც ესაჭიროებოდათ დახმარება, მძიმე მდგომარეობაში აგდებდა.

ზედმეტად იქნა მიჩნეული და პრაქტიკულად გაუქმდა ან უაღრესად დაკნინდა სახელმწიფო რეგულაცია, მაგალითად, საკვების უვნებლობაზე, ნამლების ხარისხზე, ავტომობილების გამონაბოლქვზე, ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე. ზოგიერთი ასეთი ინსპექციისა და სამსახურის რეფორმირება (და არა სრული გაუქმება) მართლაც აუცილებელი იყო: მაგალითად, ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება, ისე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ავტოინსპექტორების უკანონო შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. 2003 წლის შემდეგ კი ავტომანქანების ტექდათვალიერება საქართველოში აღარ ჩატარებულა და საშინლად მბოლავი, დანჯღრეული ტაქსები თავისუფლად დადიან.

„შრომის კოდექსი" ისეთი მიიღეს, რომ დამქირავებელს აბსოლუტური უფლებები მიენიჭა, ხოლო დაქირავებული აბსოლუტურად უუფლებოდ იქცა. ამას „ნაციონალი" მინისტრები იმით ხსნიდნენ, რომ *„უცხოელ ინვესტორს მეტი სტიმული ექნება საქართველოში ფული დააბანდოსო"*. ნუთუ მხოლოდ მუშახელის სიიაფით უნდა მოგვეზიდა უცხოელი კაპიტალისტი? ისე, მთლიანად დამქირავებელზე მორგებული „შრომის კოდექსი" ადგილობრივ კაპიტალისტებსაც ძალიან მოსწონდათ! კოდექსის გამოსწორება ადვილი საქმე არ იქნება.

XVIII საუკუნეში გაჩენილი ლოზუნგი *laisser faire, laissez passer* [46] ჩვენთან გაიგეს ისე, რომ „პრეზიდენტისათვის (და მისი მეგობრებისათვის) ყველაფერი დასაშვებია".

პრეზიდენტმა ერთ ლარად გაასაჩუქრა სახელმწიფოს (ანუ, თქვენიც, მკითხველო!) კუთვნილი ათასობით შენობა და მიწის ნაკვეთი: 2013 წელს მთავარმა პროკურორმა *არჩილ კბილაშვილმა* ახსენა 27 ათასი ასე გასხვისებული ობიექტი. საბოლოოდ, სამჯერ ან ოთხჯერ ნაკლები ასეთი გასხვისებაც რომ დადასტურდეს, ესეც აღმაშფოთებელი იქნება. ალბათ პრეზიდენტმა *წარმოიდგინა, რომ მთელი საქართველო მისი საკუთრებაა*, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო, მაგრამ ეს ქონებრივ დეკლარაციაში არ დააფიქსირა.

ბიზნესის დაწყების სიადვილით საქართველო ლამის „მსოფლიო ჩემპიონი" გახდა. სამაგიეროდ, *ძალიან გაძნელდა ბიზნესის გაგრძელება.*

ეკონომიკაში სამართლიანი თამაშის წესების დასამკვიდრებლად 2004 წელს შეიქმნა სპეციალური *საგადასახადო არბიტრაჟი*. სულ ერთ წელიწადში პრეზიდენტმა იგი გააუქმა, რადგან *„არსებული საარბიტრაჟო სისტემა მხოლოდ*

[46] *laisser faire, laissez passer* (ფრ.), სიტყვასიტყვით, „დე იყოს ასე; სულერთია". გადატანით აღნიშნავს ლიბერალურ, გახსნილ ეკონომიკას.

ბიზნესს უწყობს ხელს და არა მთავრობას-ო". არბიტრაჟის ფუნქცია დაეკისრა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებულ სასამართლოს, რომელიც მთავრობისა და მასთან დაახლოებული ბიზნესჯგუფების ინტერესების დამცველი იყო. ასეთ პირობებში დამოუკიდებელი ბიზნესი, მით უმეტეს წვრილი და საშუალო, დაუცველი აღმოჩნდა: თუ პროკურატურას მოუნდებოდა, ბიზნესმენსა და მის ადვოკატს ერთად დაიჭერდნენ.

ბიზნესზე ძალადობა დიდ პრობლემას უქმნიდა ეკონომიკურ განვითარებას. ხდებოდა უცნაური „საპროცესო გარიგებები": მაგალითად, თუკი მდიდარი ადამიანის შვილი ან ახლობელი დანაშაულს ჩაიდენდა (ან დანაშაულს მიაწერდნენ), მას აიძულებდნენ გიგანტურ თანხად შეეძინა დანგრეული ბოსელი ან ჩამოქცეული სოფლის კლუბი, ხოლო თანხა სხვადასხვა ანგარიშებზე შეეტანა. საოცრად გახშირდა შემთხვევები, როდესაც ბიზნესმენებს მოულოდნელად ემართებოდათ ალტრუიზმის შეტევა და უჩნდებოდათ დაუოკებელი სურვილი, *სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ ეჩუქებინათ თავისი, ხშირად ერთადერთი, ქონება.* „ნაჩუქრობის სიგელს" ბიზნესმენი ხელს აწერდა პროკურორის გამჭოლი მზერის ქვეშ, ან სულაც ციხის საკანში! ფაქტობრივად ეს სახელმწიფო ექსპროპრიაცია იყო: რამდენიმე ასეული მილიონი ლარის ქონება „ნაციონალიზებული" იქნა. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაარსდა ასე გაძარცვულ ბიზნესმენთა მოძრაობა *„დააბრუნე"*, რომელმაც რამდენიმე ათასი სარჩელი უკვე შეიტანა სასამართლოში.

ბევრი ბიზნესის მფლობელი სახელმწიფოს ისეთი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, რომ რეალურად *მენეჯერად* იქცა: მას „ზემოდან" უბრძანებდნენ, რა შეეძინა და რა ფასად, სად აეშენებინა მაღაზია, საავადმყოფო, სანარმო და როდის გაეხსნა ის – „წითელი ლენტი" იყო გასაჭრელი!

რაც შეეხება *საქართველოს ეკონომიკის დარგებს*, უპირობო ლიდერი 2010 წლიდან გახდა *ვაჭრობა. მრეწველობაზე* მხოლოდ 14 პროცენტი მოდიოდა და ამ მაჩვენებლით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ბოლო ადგილზე ვიყავით. მაგალითად, მეზობელი სომხეთის ეკონომიკაში მრეწველობის წილი ჩვენსაზე თითქმის ორჯერ მეტია.

განსაკუთრებით დაკნინდა *სოფლის მეურნეობა*, რომელშიც დღემდე დასაქმებულია საქართველოს თვითმოქმედი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ამ დარგის წილი ქვეყნის მშპ-ში 2003 წელს შეადგენდა 20,6 პროცენტს, 2011 წელს კი 9,3 პროცენტს. ხორბლის ნათესი ფართობი სამჯერ შემცირდა. გარკვეული როლი სოფლის მეურნეობის კრიზისში შეასრულა 2006 წელს საქართველოს პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის სრულმა ჩაკეტვამ, რაც ასევე იყო მთავრობის არასწორი პოლიტიკის შედეგი (ამის შესახებ მომდევნო ქვეთავშია საუბარი).

სოფლის მეურნეობა რომ მნიშვნელოვანი დარგია, ჩანს ჩვენთვის სანიმუშო

ევროკავშირის მაგალითზეც, რომლის ბიუჯეტის ყველაზე მოზრდილი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობას ხმარდება. „ნაციონალებმა" კი სოფლის მეურნეობა *„ჩამორჩენილობის"* ნიშნად მიიჩნიეს. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია პრეზიდენტისათვის ორდენით დაეჯილდოვებინა სოფლის მეურნეობის იმდროინდელი მინისტრი, რომელმაც სახელი გაითქვა „მამალ ძროხაზე" სერიოზული მსჯელობით.

ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად და *„პროგრესულობის"* ნიშნად გამოცხადდა *ტურიზმი*. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა „ნაცმოძრაობას" პოლიტიკურ დივიდენდს აძლევდა, რადგან ამომრჩეველზეც პროპაგანდისტულ ეფექტს ახდენდა და უცხოელ სტუმარსაც ხიბლავდა.

გრძელვადიანი პროექტის შედეგებს დიდხანს უნდა ელოდო, მოკლევადიანი პროექტიდან კი ეფექტს მაშინვე ხედავ! ქალაქის ცალკეული უბნების ან ქუჩების, სახლების ფასადების რემონტი თვალშისაცემია და ამით თავის მოწონება ადვილია. რა მდგომარეობა შეექმნათ *გალამაზებული ფასადების უკან* ქ. სიღნაღისა თუ თბილისის დავით აღმაშენებლის გამზირის მცხოვრებთ, ეს ხელისუფლებას არ აინტერესებდა. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე სარესტავრაციო ან ახალწამოწყებულ სახლებს მხოლოდ სამი კედელი აუშენეს ან გაურემონტეს, უკანა მხარეს კი საერთოდ არაფერი არ გაკეთდა. XVIII საუკუნეში *გრაფი პოტიომკინი* ასეთ ფასადურ სოფლებს „აშენებდა" *იმპერატრიცა ეკატერინა II*-ის მოგზაურობის წინ!

მხოლოდ ტურიზმი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას, რადგან ეს დარგი მსოფლიო კონიუნქტურაზეა დამოკიდებული. *სადღაც შორს* განვითარებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა, ავიადისპეჩერების გაფიცვამ, ვულკანის ამოფრქვევამ, უამინდობამ შეიძლება შეზღუდოს ტურისტების ჩამოსვლა. მაგალითად, 2011 წლის ზამთარი მეტად თბილი გამოდგა და ბაკურიანსა და გუდაურში სათხილამურო სეზონი ჩავარდა. აჭარის ზღვისპირეთში ტურისტული სეზონი რეალურად წელიწადში 2-3 თვეს არ აჭარბებს, ისიც არასტაბილურია, რადგან ზაფხულში ხშირად წვიმს. ტენიანობა, სხვათა შორის, პროცენტობით იზომება და არა გრადუსებით, როგორც ამას ტელემაყურებელს უმტკიცებდა პლაჟზე კომპიუტერმომარჯვებული საქართველოს პრეზიდენტი და თანაც ამბობდა, რომ ბათუმი ნაკლებ ტენიანია, ვიდრე ბარსელონა და ანტალიაო: პროფესიონალ გეოგრაფებს სხვა ინფორმაცია აქვთ! ხმელთაშუაზღვისპირეთის მშრალ სანაპიროსთან ჩვენი სანაპიროს კონკურენცია ძნელია.

ეკონომიკური დასაბუთების გარეშე „ნაციონალური" ხელისუფლების მიერ წახალისებულმა სასტუმროების მშენებლობამ ქობულეთის მუნიციპალიტეტში არ გაამართლა – ტურისტები საკმარისი რაოდენობით არ მოვიდნენ და უამრავი ადამიანი, ვინც ბანკიდან კრედიტი აიღო, გაკოტრდა.

სამთო ტურიზმის გასავითარებლად აუცილებელია საქართველოს ტყეების ბარბაროსული ჩეხვის შეწყვეტა. ახლა ირკვევა, რომ ხე-ტყის უკანონო დამზადებაში „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების ბობოლა წევრებს ან მათ ნათესავებს დიდი ეკონომიკური ინტერესი ჰქონიათ.

ხშირი იყო *სამთავრობო პროექტების* პრეზენტაცია, მაგალითად „100 აგრარული საწარმო“, „100 საავადმყოფო“, „ქობულეთის ტურისტული ზონა“, „თავისუფალი ეკონომიკური ზონები ფოთსა და ქუთაისში“ და სხვა. სამწუხაროდ, არც ერთმა პროექტმა არ გაამართლა. ხალხიც ივიწყებდა, რა პროექტს დაჰპირდა მას მთავრობა: დაპირებები ისე უხვი იყო, რომ ყველას ვერც დაიმახსოვრებდი!

სერიოზულ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას საჭიროებდა შავი ზღვის ნაპირზე, დაჭაობებულ ადგილზე ახალი ქალაქის – *ლაზიკას* – მშენებლობის დაწყება: პრეზიდენტის ნებით კი ჭაობში ბევრი ფული ჩაიყარა. საბოლოოდ უკაცრიელ ტერიტორიაზე მხოლოდ იუსტიციის სახლი აშენდა.

საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წლიდან წლამდე იზრდებოდა და 2012 წელს 4 მილიარდ დოლარს (მშპ-ის 29 პროცენტს) მიაღწია. საქართველოს ექსპორტში ჯერაც ჯართთან ერთად ჭარბობს ავტომანქანები, რომელთაც აქ არ ვამზადებთ: ეს რეექსპორტია. სავაჭრო დეფიციტი იფარებოდა საზღვარგარეთიდან კერძო პირების გადმორიცხვებით, სახელმწიფო და კერძო კომპანიების მიერ უცხოეთში აღებული კრედიტებით, სახელმწიფო გრანტებითა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით.

შესაბამისად იზრდებოდა *სახელმწიფო ვალი*, რომელმაც 2011 წლის ბოლოს 5,3 მილიარდ დოლარს, ანუ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 1250 დოლარს მიაღწია. ეს მონაცემი დაახლოებით სამჯერ აღემატებოდა 2003 წლისას.

რაც შეეხება საზღვარგარეთიდან ქართული დიასპორის მიერ *გადმორიცხულ თანხას*, 2003 წელს მან 196 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 2011 წელს კი – 1,268 მილიარდი. ერთი მხრივ, მზარდი თანხა მოხმარდა საქართველოს მოსახლეობას, რაც კარგია; მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იმაზეც მიგვითითებს, რომ შრომისუნარიანი და აქტიური მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა ვერ ნახა სამუშაო საქართველოში და უცხოეთში წავიდა.

* * *

პრეზიდენტმა სააკაშვილმა განამტკიცა სახელისუფლებო ვერტიკალი, რომლის მწვერვალზეც თვითონ იდგა, გააძლიერა სახელისუფლებო პარტია და ის სოფლის დონეზეც კი მმართველ ძალად აქცია. პრეზიდენტი ატარებდა საკადრო პოლიტიკას, ცვლიდა პრემიერ-მინისტრებს (თითქმის ცხრა წლის განმავლობაში ექვსი გვყავდა), დრო და დრო ახდენდა მინისტრების როტაციას (ეკონომიკის ან მდგრადი ეკონომიკური განვითარების რვა მინის-

ტრი მახსენდება, თავდაცვის – შვიდი, ფინანსთა – ექვსი მინისტრი; 2008 წელს საგარეო საქმეთა ოთხი მინისტრი გამოვიცვალეთ), ნიშნავდა პრეზიდენტის რწმუნებულებს რეგიონებში („გუბერნატორებს"), იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, ეროვნული ბანკის მმართველს და ა.შ. ზოგ დანიშვნაზე მას კონსტიტუციური უფლებამოსილება ჰქონდა, ზოგიც ფორმდებოდა, როგორც შესაბამისი ორგანოს მიერ ჩატარებული არჩევნები: ასეთი პრაქტიკა საბჭოთა პერიოდიდან გვახსოვდა.

„ნაცმოძრაობის" უმრავლესობის მეშვეობით პრეზიდენტი მთლიანად აკონტროლებდა პარლამენტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს (მას უშიშროების სამსახურიც შეერწყა და, ამდენად, არავითარი საპირწონე არ ჰქონდა) 2004 წლიდან უცვლელი ხელმძღვანელი, „სახელმწიფოს ხერხემალი" *ვანო მერაბიშვილი* მართლაც კარგად იცავდა წესრიგს ქვეყანაში, მაგრამ შიშის ზარს გვცემდა თავისი „ტექნოლოგიური მიღწევებით": იშვიათი იყო ადამიანი, რომელიც ფიქრობდა, რომ მის ტელეფონს არ უსმენენ და პირადად მას არ უთვალთვალებენ.

ორგანიზებული დამნაშავეობისა და „კანონიერი ქურდების" ინსტიტუტის დამარცხება ხელისუფლებამ საკუთარ აქტივში ჩაიწერა. ხალხმა ეს მოიწონა.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ყველაზე კარგად გამოსდით ავტორიტარულ ან ტოტალიტარულ რეჟიმებს, რომელთაც არ ესაჭიროებათ კონკურენტი ფორმალური ან არაფორმალური ძალაუფლების განხორციელებაში: ამიტომაც კონკურენტს – მაფიას, კანონიერ ქურდებს – ან სპობენ, ან თავიანთ სამსახურში აყენებენ. მაგალითად, 1920-30-იან წლებში *მუსოლინის* ფაშისტური რეჟიმი ებრძოდა სიცილიურ მაფიასა და მის ანალოგებს აპენინის ნახევარკუნძულზე. მაფიის ბოსები, სხვადასხვა *კაპო*-ები გაანადგურეს, ან იატაკქვეშეთში გადასვლა აიძულეს. *სტალინის* დროს კი „კანონიერ ქურდებს" შეგნებულად ინარჩუნებდნენ ციხეებსა და ბანაკებში წესრიგის დასამყარებლად.

იდუმალებით მოცული იუსტიციის მინისტრი (თავიდან – გენერალური პროკურორი) *ზურაბ ადეიშვილი*, რომელიც არსად ჩანდა, პროკურატურის მეშვეობით მთლიანად აკონტროლებდა სასამართლო ხელისუფლებას და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მსხვილ ბიზნესსაც.

ის, რომ „ნაცმოძრაობის" დროინდელ საქართველოში უხეშად ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ყველასათვის ნათელი იყო.

პროკურატურა „ვარდების რევოლუციისთანავე" ჩადგა ახალი ხელისუფლების სამსახურში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: პროკურორი სახელმწიფოს ინტერესებს უნდა იცავდეს. მაგრამ *აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ დაიმორჩილა სასამართლო ხელისუფლებაც*, რომლის დამოუკიდებლობას საჯაროდ გვპირდებოდნენ ახალგაზრდა ლიდერები. გატარდა

სასამართლო რეფორმა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საწყის ეტაპზე თავად პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა. მექრთამე მოსამართლეები დაითხოვეს. ახალდანიშნულ მოსამართლეს კერძო პირი ვერ მოისყიდიდა. სამაგიეროდ მოსამართლე ვერ გაბედავდა პროკურორის მიერ წარდგენილი ბრალდების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას. ასე გრძელდებოდა 9 წელი. პროკურატურის დიქტატიც კორუფციის ფორმაა! აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებში სისტემატურად მეორდებოდა ინფორმაცია, რომ ქართული სასამართლო პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს ღებულობს, მაგრამ „ნაცმოძრაობის" მთავრობას ასეთი კრიტიკის მიმართ „იმუნიტეტი" გამოუმუშავდა.

საქმეების 99 პროცენტზე მეტ შემთხვევაში სასამართლოს სახელმწიფო ბრალდების შესაბამისი განაჩენი გამოუჰქონდა, რასაც „ნაცმოძრაობის" ხელისუფლება იმით ხსნიდა, რომ *„პროკურატურა სანიმუშოდ მუშაობს, ყველაფერი ზედმიწევნით გამოკვლეული და დასაბუთებულია-ო"*. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ კი საქმეების 20-25 პროცენტის შემთხვევაში იმავე პროკურატურას იგივე სასამართლო არ ეთანხმება!

„ნაცმოძრაობის" დროს შემოიღეს სასჯელის უპირობო შეკრებითობის პრინციპი და ბრალდებულს, ზოგჯერ ღირსეულად, მაგრამ ხანდახან მაინც – სუბიექტური მოსაზრებით, 40-50 და მეტი წლის პატიმრობა შეიძლება შეფარდებოდა. საპროცესო გარიგებები კი, რომლებიც პროკურატურის მეშვეობით იდებოდა, სახელმწიფოსათვის სარფიანი საქმე გამოდგა: ამ ხაზით მხოლოდ 2010 წელს ხაზინაში 112 მილიონი ლარი შევიდა!

სააკაშვილის მიერ ნებისმიერი დანაშაულისათვის *„ნულოვანი ტოლერანტობის"* მოთხოვნამ და მისმავე ლოზუნგმა – *„ყველანი ციხეში!"* – მიგვიყვანა იქამდე, რომ ყოველ 100 000 ადამიანზე პატიმრების რაოდენობით საქართველო ევროპაში ლიდერი აღმოჩნდა და მსოფლიოშიც ცოტა კონკურენტი ჰყავდა. 2012 წლის სექტემბერში ციხეებში 24 ათასამდე პატიმარი იყო გამომწყვდეული, საპატიმროების ტევადობაზე ბევრად მეტი, რასაც ათასი უბედურება სდევდა თან. თითქმის ცხრა წლის განმავლობაში 200 ათასზე მეტი ადამიანი იყო პრობაციონერი, ანუ მათ პირობითი სასჯელი გამოუტანეს.

წესრიგის დამყარების მოტივით პატრულს, რომელიც ჯამში პატიოსნად მუშაობდა, როგორც ჩანს, ბრმად გადმოღებული ამერიკელი *cop*-ების (პოლიციელების) მეთოდით ებრძანა, „ჯერ ესროლა და მერე გაერკვია, ვინაა დამნაშავე". ბევრი ახალგაზრდა შეეწირა ამ მეთოდს, მათ შორის, *რობაქიძის, ვაზაგაშვილის* მკვლელობის და რამდენიმე სხვა გახმაურებული საქმე წლების განმავლობაში იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას. *სანდრო გირგვლიანის* მკვლელობა კი, რომელშიც ბრალი პოლიციის მაღალჩინოსნებს მიუძღოდათ (და, როგორც პრესა წერდა, ერთი იმდროინდელი მინისტრის ცოლიც იყო გარეული), ევრო-

პის სასამართლომდე მივიდა. საქმე *„გირგვლიანი და ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ“* საქართველომ წააგო. ევროპელი მოსამართლეები ვერ მალავდნენ გაოცებას იმ შეხმატკბილებული მუშაობის გამო, რომელმაც საშუალება მისცა ჩვენი სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მრავალ ორგანოს, *არ გამოევლინათ* დანაშაულის წამქეზებლები და მისი დაფარვის ორგანიზატორები. თანაც საქმე ეხებოდა დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობის მქონე ფაქტს. რის მოლოდინი უნდა გვქონოდა ორდინარული საქმეების წარმოებისაგან?

იყო „შეკერილი საქმეების“ საკმაოდ ბევრი შემთხვევა. 2012 წელს არჩეულმა პარლამენტმა *პოლიტიკური პატიმრის* სტატუსი მიანიჭა და გაათავისუფლა საპყრობილიდან 175 ადამიანი, რომლებიც ჯაშუშობის ბრალდებით იყვნენ მსჯავრდებულნი. 2012 წლის ბოლოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო ახალი პარლამენტის მიერ მიღებულ ამნისტიის კანონს, ხოლო პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევის შემდეგ მაინც არ მოაწერა ხელი კანონს, რადგან არ უნდოდა იმის აღიარება, რომ მის დროს საქართველოში პოლიტპატიმრები არსებობდნენ. ისინი კი მართლაც იყვნენ. როგორც ჩანს, „სამშობლოს მოღალატეების“ გამოვლენა შესაბამის სამსახურებს აქტივში ეწერებოდათ, თანაც ეს სიგნალი იყო სხვებისათვის, ვინც ჯერჯერობით ციხის გარეთ რჩებოდა. მაგალითად, აშკარა პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და ჟურნალისტების დაშინების სახე ჰქონდა „ფოტოგრაფების საქმეს“, რომელიც 2011 წლის ზაფხულში მხოლოდ იმის გამო წამოიწყეს, რომ მათ გადაიღეს და გაავრცელეს იმ წლის 26 მაისის ღამეს რუსთაველის გამზირზე მიტინგის უმოწყალო დარბევა, რის შედეგადაც სულ ცოტა ოთხი კაცი დაიღუპა. პროკურატურამ ძალდატანებით აღიარებინა ფოტოგრაფებს „უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობა“, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

ხალხის მიერ პროტესტის გამოხატვის კონსტიტუციური უფლების უხეში დარღვევის ფაქტები ადრეც ყოფილა. 2007 წლის 7 ნოემბერს დიდი ანტისამთავრობო მიტინგის სასტიკმა დარბევამ, რასაც ყველა ტელეარხი პირდაპირ ეთერში აჩვენებდა, იქამდე „ნაცმოძრაობის“ მიმართ ლოიალური მოქალაქეებიც კი შეაშფოთა, უმრავლესობა კი აღაშფოთა. იმავე დღეს *ბადრი პატარკაციშვილის* დაარსებულ და მისივე კუთვნილ ტელევიზია „იმედში“ სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა და მისი მუშაობა ძალადობრივად შეწყვიტა. ჟურნალისტებს სცემეს, აპარატურა დააზიანეს. მოკლე დროის შემდეგ კი ტელევიზია სხვა პირების საკუთრებად გადააფორმეს.

ხალხის რისხვის გასანეიტრალებლად პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავზე ნაცარი დაიყარა და გადადგა „შეძრწუნებული იმით, რაც 7 ნოემბერს მოხდა“. მან განაცხადა, რომ ნებაყოფლობით *იმოქლებს უფლებამოსილების ვადას მთელი წლით*, მაგრამ, სინამდვილეში, პრეზიდენტობის მეორე ვადა თავისთვის თითქმის ექვსწლიანი გახადა.

მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის ოქტომბერში უნდა ჩატარებულიყო და ქვეყნის პირველი პირი ხუთწლიანი ვადით უნდა აერჩიათ. ვადამდელი არჩევნები კი 2008 წლის იანვრის დამდეგს გაიმართა. ამიტომ პრეზიდენტის მომდევნო *ხუთწლიანი ვადის ათვლა* მის მიერ ფიცის დადების დღიდან, ანუ 2008 წლის 20 იანვრიდან იწყებოდა და 2013 წლის 20 იანვარს უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ კონსტიტუციის თანახმად საპრეზიდენტო არჩევნები ხომ ოქტომბერში უნდა გამართულიყო? კანონთა *კოლიზია* (შეჯახება, ურთიერთგამორიცხვა) თვალნათელი იყო. ასეთ შემთხვევაში თავისი სიტყვა შეეძლო ეთქვა *საკონსტიტუციო სასამართლოს*, რომლის თავმჯდომარე ისევ „ნაციონალების" წარმომადგენელი იყო! მას შემდეგ, რაც 2008 წელს სააკაშვილი არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდა, მან თავისი საპრეზიდენტო ვადა უმტკივნეულოდ გაიგრძელა 2013 წლის ოქტომბრამდე.

რა საინტერესოდ ჟღერს: ხუთი წლის ვადით არჩეული პრეზიდენტი თანამდებობაზე ყოფნის მეექვსე წელს ასრულებს!

ამერიკელი პოლიტოლოგი *მაიკლ სისაირი* (*Michael Cecire*) თავის სტატიაში „საქართველოს გაკვეთილები დემოკრატიული განვითარებისათვის" წერს:

> „არა იმდენად „ტრანზიციული", საქართველოს მოდელი, როგორც ჩანს, უკეთ აღიწერება სტივენ ლევიცკისა და ლიუკენ უეის შემოთავაზებული ტერმინით – „კონკურენტული ავტორიტარიზმი" (competitive authoritarianism). ეს ნიშნავს, რომ ლიბერალური დემოკრატიის თანმხლები ნიშნები – ოპოზიციური პარტიები, არჩევნები, ცხელი დებატებიც კი – დამყნობილი იყო ყოვლისმომცველ პოლიტიკურ და უშიშროების აპარატზე, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ერთპარტიული მმართველობა".

საქართველოში შექმნილი სახელისუფლებო პარტია – *„ნაცმოძრაობა"* – ლამის სამუდამოდ გეგმავდა სახელმწიფოს სათავეში დარჩენას და ამის განსახორციელებლად იყენებდა ყველა მეთოდს, მათ შორის, ანტიდემოკრატიულსაც. მმართველ კლასს მყარად გაუჯდა დაუსჯელობის სინდრომი, ხოლო აბსოლუტურ უმრავლესობას – შიშის სინდრომი. ეშინოდა ბიზნესმენს, ეშინოდა რიგით ადამიანს, ეშინოდა ოჯახის უფროსს, როდესაც მისი ცოლი ტელეფონით ეჭორავებოდა მეგობარს: *„ჩუმად, გვისმენენ!"* ერთ იუმორისტულ ტელეგადაცემაში ფიგურირებდა ფრაზა: „ვანო გისმენთ!" ვანო ყოვლადძლიერი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

რეჟიმს არ ესაჭიროებოდა გადასვლა მასობრივ რეპრესიებზე: ამას არ მოიწონებდნენ დასავლეთში, სადაც მას უამრავი მომხრე ჰყავდა, თანაც წერტილოვანი რეპრესიებიც ხალხს კარგად აშინებდა.

ყველაფერი ზემოთქმული ზოგიერთ ადამიანს შეიძლება მაინც არ მოსჩვენებოდა რეჟიმის მიმართ სერიოზულ ბრალდებებად: ბოლოს და ბოლოს ხომ იყო წარმატებებიც?

იმ ეპოქაში მცხოვრები ქართველების ერთი ნაწილი ასეთ მორალურ კომპ-

რომისს მართლაც ეთანხმებოდა. მაგრამ, როგორც 2012 წელს გაირკვა, ეს ნაწილი სულაც არ შეადგენდა უმრავლესობას.

* * *

2008 წლის დასაწყისში მიხეილ სააკაშვილმა იყარა კენჭი *რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე* და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ ხმების 53 პროცენტით პირველივე ტურში გამარჯვებულად გამოცხადდა. სხვათა შორის, იმდროინდელი ცესკოს „მიუკერძოებელი" თავმჯდომარე *ლევან თარხნიშვილი* 2012 წლის პარლამენტში „ნაცმოძრაობის" სიით არჩეული აღმოჩნდა!

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს სააკაშვილის ფარდობითი უპირატესობის მიზეზი ისიც იყო, რომ მისმა მეტოქეებმა, ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა, სრული ნდობა ვერ დაიმსახურეს. ისინი ერთმანეთთანაც მეტოქეობდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისში სააკაშვილმა წააგო: ხმების რაოდენობით მას *ლევან გაჩეჩილაძემ* გაასწრო.

თბილისის წაგება სააკაშვილისათვის სერიოზული სიგნალი აღმოჩნდა: დედაქალაქს ის არ უყვარდა! ალბათ ამიტომაც მომწიფდა მის გონებაში თბილისის პოლიტიკური როლის დაკნინების იდეა. მან გადაწყვიტა პარლამენტის გადატანა ქუთაისში, რასაც ასაბუთებდა *„ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დეცენტრალიზაციის აუცილებლობით"*. სინამდვილეში კი ამით ის მოაშორებდა საკანონმდებლო ორგანოს მოუსვენარ, აბეზარ და პრეტენზიულ თბილისელებს, რომლებსაც პარლამენტის წინ შეკრება და რუსთაველის პროსპექტის გადაკეტვა უყვარდათ (2009 წელს სამი თვით გადაკეტეს). მერე იქნებ დედაქალაქიც ჩამოერთვა ამ უმადურებისთვის, რომლებმაც მისი დემოკრატობა ვერ დააფასეს.

ჩანართი 28.4
საქართველოს პარლამენტი ქუთაისში

ქუთაისში პარლამენტის გადატანის იდეის პრაქტიკული რეალიზაცია 2009 წლის დეკემბერში ტრაგიკული შემთხვევით დაიწყო. სამშენებლო მოედნად ქუთაისის განაპირას მდებარე მოვაკებული ადგილი შეარჩიეს, სადაც იდგა *მერაბ ბერძენიშვილის* მიერ შესრულებული „საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი". მას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და მისი დანგრევის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. მისი მოსპობის წინააღმდეგი იყო საზოგადოების საკმაო ნაწილი და ძეგლის დასაცავად ისინი შეკრებას გეგმავდნენ. ამიტომაც ხელისუფლებამ მემორიალის სასწრაფოდ აფეთქება გადაწყვიტა. უსაფრთხოების სათანადო ზომების მიღება ვერ მოასწრეს. აფეთქებას მოშორებით მყოფი დედა-შვილი შეეწირა.

დასაჯეს, რასაკვირველია, შემსრულებელი და არა ის, ვინც ისტერიულად მოითხოვდა სწორედ *იმ დროს* სამშენებლო აფეთქების განხორციელებას.

მთლიანად შუშით დაფარული პარლამენტის ახალი შენობის ექსტრავაგანტური პროექტი იტალიელ არქიტექტორს დაუკვეთეს. შენობა დამკვრელური ტემპით აიგო და მასზე დაიხარჯა დაახლოებით 350 მილიონი ლარი – გიგანტური თანხა ღარიბი ქვეყნისათვის, რომლის საგარეო ვალი ხუთ მილიარდ დოლარზე მეტია. ტენდერით „შერჩეული" მშენებელი კომპანია, პრესის ცნობით, ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული. უკონტროლობის პირობებში, ბუნებრივია, არსებობდეს ეჭვი, რომ დახარჯული ფულის ნაწილი კერძო პირების ფარულ ანგარიშებზე დაილექა.

2012 წლის 1 ოქტომბრის მონვევის პარლამენტს ქუთაისში თითქმის დაუმთავრებელ შენობაში მოუხდა მუშაობის დაწყება. უსარკმლო „შუშის შენობის" გათბობა-გაგრილება, პარლამენტის წევრთა, მინისტრების ხშირი მგზავრობა თბილისიდან (სადაც სამინისტროები დარჩა), დეპუტატებისა და აპარატის მუშაკებისათვის ქუთაისში ბინის დაქირაევება და სხვა დამატებითი ხარჯი ხაზინას მილიონობით ლარი უჯდება. სანაცვლოდ კი „დეცენტრალიზაციის ეფექტს" ვერ ვიღებთ. მხოლოდ პარლამენტი ვერ იქნება ქალაქის ადმინისტრაციული ფუნქციის წამახალისებელი: ამ მიზნით დედაქალაქი მთლიანად უნდა გადავიტანოთ ქუთაისში.

თუ „ნაცმოძრაობას" ქუთაისის განვითარება უნდოდა, იქნებ ერთი შენობის ასაგებად გამოყოფილი 350 მილიონი ლარი ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე დაეხარჯა?

თბილისში პარლამენტის შენობის ინტერიერი „ნაცმოძრაობის" მთავრობამ 2012 წლის ზაფხულში მიზანმიმართულად გაანადგურა და თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა კერძო პირისათვის ისტორიული შენობის მიყიდვა, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ მოასწრო.

2008 წლის 21 მაისს ოსტატურად მომზადებულმა და ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა „ნაციონალებს" საკონსტიტუციო უმრავლესობა (ორ მესამედზე მეტი) მოუტანა: 73 მაჟორიტარული ოლქიდან მმართველმა პარტიამ 71-ში მოიგო, პროპორციული წესით კი ხმების 59 პროცენტი მიიღო. არჩევნების პროცესში დაშვებული უამრავი დარღვევით განრისხებულმა „გაერთიანებულმა ოპოზიციამ", რომელმაც ჯამში 15 მანდატი მოიპოვა, არ ისურვა პარლამენტში შესვლა, სადაც შეეძლო საქმისათვის რაღაც სარგებლობის მოტანა. ათმა მათგანმა დემონსტრაციულად დახია პარლამენტის წევრის მანდატი, ხუთმა კი ეს არ გააკეთა და პარლამენტში შევიდა, მათგან ორი „ფსევდო-ოპოზიციონერი" აღმოჩნდა: მათ მმართველი ძალის სატელიტი პარტიები დააარსეს.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტის ერთ სხდომაზეც კი არმისული *„ლეიბორისტული პარტიის"* სიით არჩეულ ხუთ წევრს არავითარი ზნეობრივი პრობლემა არ გასჩენია, როდესაც ყოველთვიურად იღებდა დეპუტატის ხელფასს და კვარტალურ პრემიას. ხელისუფლება კი კეთილი თვალით უყურებდა ამ ახირებას.

პარლამენტში მოხვდა იმავე 2008 წელს დაარსებული *„ქრისტიანულ-დემო-*

კრატიული მოძრაობის" ექვსი დეპუტატი და იქ „კონსტრუქციული ოპოზიცია" შექმნა. მმართველ პარტიასთან თანამშრომლობდნენ არასახელისუფლებო პარტიების სხვა დეპუტატებიც – თორთლაძე, ჩახვაძე, დავითაია: ისინიც „კონსტრუქციულად აკრიტიკებდნენ" მმართველ პარტიას, რომელიც მათ ანდობდა ყველაზე რადიკალურ-ოდიოზური კანონპროექტების „ავტორობას". პარლამენტის 150 დეპუტატიდან სულ რამდენიმე თუ წარმოადგენდა რეალურ ოპოზიციას (მახსენდება ცაგარეიშვილი, ლორთქიფანიძე, ბაღათურია, მამრაძე; ალბათ, რამდენიმე სხვაც იყო).

2008 წელი წყალგამყოფია იმ პერიოდს, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და მისი ლიდერი მეტ-ნაკლები პოპულარობით სარგებლობდნენ, და იმ დროს შორის, როდესაც „პოპულარობამ" მხოლოდ ტელესპექტაკლებში გადაინაცვლა.

2010 წელს საქართველოში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები და ყველა დონის საკრებულოში „ნაცმოძრაობის" დეპუტატებმა უმრავლესობა შეადგინეს. თბილისში, ერთადერთ ქალაქში, სადაც მერს მოსახლეობა პირდაპირ ირჩევდა, „ნაციონალმა" *გიგი უგულავამ* გაიმარჯვა. ის მანამდე ხუთი წელი მუშაობდა მერად, ოღონდ მაშინ პრეზიდენტის მიერ იყო დანიშნული.

2013 წელს სააკაშვილს უთავდებოდა პრეზიდენტობის ორი ვადა. მესამე ვადით არჩევის უფლებას კონსტიტუცია არ იძლეოდა. 46 წლის ასაკში კი პენსიაზე გასვლა აქტიურ და ინიციატივიან (სხვა საქმეა, რაში ვლინდებოდა ეს ინიციატივა) ადამიანს სულაც არ იზიდავდა. „პუტინ-მედვედევის" ტიპის პოლიტიკური როკის გაკეთება (იხ. თავი 31, ქვეთავი „ჩვენი მეზობელი რუსეთი") მისთვის გარკვეულ რისკს შეიცავდა: ქართველი „ადგილმონაცვლე" შეიძლება სულაც არ აღმოჩენილიყო მედვედევივით თვინიერი და ბუნჩულა.

ამიტომაც ავლაბრის სასახლეში უკვე 2009 წლიდან დაიწყო მუშაობა უფრო დახვეწილ გეგმაზე: *ქვეყანა ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად უნდა ქცეულიყო* – ეხ დემოკრატიულ დასავლეთსაც მოეწონებოდა, თან ამით სინგაპურსაც დავემსგავსებოდით! პრეზიდენტის უფლებამოსილება იზღუდებოდა. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი ხდებოდა პრემიერ-მინისტრი, რომლის ხელშიც გადადიოდა პრეზიდენტის თითქმის მთელი უფლებამოსილება. მთავრობას აყალიბებდა პარლამენტი, პრეზიდენტს კი ოფიციალურად უნდა დაენიშნა პრემიერ-მინისტრი. თუ პრეზიდენტი ორი დღის ვადაში არ გამოსცემდა სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის შესახებ, ის მაინც დანიშნულად ითვლებოდა.

2010 წლის 15 ოქტომბერს კანონპროექტი კანონად იქცა, რომელიც ძალაში უნდა შესულიყო 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

კონსტიტუციური ცვლილებები წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა დემოკ-

რატიზაციის გზაზე, რომ არა *სუბიექტური მიზნები*, რომლებიც იმალებოდა მათი შემუშავების უკან.

საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება კონსტიტუციის შემოღების *რეალური მიზნის* შესახებ: თუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რაც 2010-2011 წლებში გარდაუვალი ჩანდა, მაშინ მისი ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი, პრაქტიკულად შეუზღუდავი ვადით გახდებოდა ყოვლისშემძლე პრემიერ-მინისტრი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარე.

* * *

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას *პრეზიდენტ სააკაშვილის პირად წვლილზე* ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს წარმატებებსა და წარუმატებლობებში. თუკი მის სახელს უკავშირდება მიღწევები, მისივეა შეცდომებიც, ზოგჯერ – ფატალური.

როდესაც ადამიანი უმაღლესი თანამდებობის პირი ხდება და ხალხი მას სახელმწიფოს ბედს ანდობს, მისი შეფასება მხოლოდ ეროვნული ინტერესების პოზიციიდან შეიძლება გაკეთდეს. მომავალ ისტორიკოსს შეეძლება ალბათ უფრო სიღრმისეული მეცნიერული ანალიზის გაკეთება საქართველოს ისტორიის ამ ეტაპის თაობაზე. მე კი ცხელ კვალზე მიწევს მსჯელობა ჯერ ისევ პრეზიდენტის პოსტზე მყოფი ადამიანის შესახებ. თანაც „ვარდების რევოლუციონერების" საქმიანობა თავიდან ძირითადად მომწონდა და იმედგაცრუება ჩემთვის (ისევე, როგორც ბევრი სხვისთვისაც) მძიმე აღმოჩნდა.

ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ნიჭიერ, ენერგიულ ლიდერთან, რომელსაც, მინდა მჯეროდეს – გულწრფელად სურდა თავისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი საქართველო მსოფლიოში გამორჩეულ სახელმწიფოდ ექცია. ნაწილობრივ მან ეს შეძლო კიდეც. ზოგ რეიტინგში, რომლებსაც ჩვენში კარგი სატელეეიზიო გაშუქება მოჰყვა, საკმაოდ მაღალ ადგილებზე გამოვჩნდით, თუმცა ბევრში (მათ მხოლოდ სპეციალისტები იცნობენ!) – საკმაოდ დაბალზე. შთამბეჭდავი აღმოჩნდა ზევით უკვე მოხსენებული სააკაშვილის მიერ ინიცირებული პოლიციის რეფორმა, დაბალი დონის კორუფციის აღმოფხვრა, ქმედითი სახელმწიფო აპარატის შექმნა, საგზაო მშენებლობა, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ცენტრალური ნაწილების, სიღნაღის, ახალციხის გარეგანი იერსახის შეცვლა (თუმცა ამ შემთხვევებში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა არსებობს) და ა.შ.

ამ, და წიგნში უფრო ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი სხვა, მიღწევის არდანახვა და მათი არგაგრძელება შეცდომა იქნებოდა.

აქვე უნდა გავიმეორო, რომ სასარგებლო საქმის კეთება იყო პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის პირდაპირი *ვალდებულება*, რაც მათ საჯაროდ აიღეს

არჩევნების წინ, და *არა რაღაც საჩუქარი* ქართველი ხალხისათვის.

უცხოელ ლიდერებს სააკაშვილი მათთვის გასაგებ ენაზე ესაუბრებოდა. ამერიკასა და ევროპაში საერთაშორისო ფორუმებზე თავისი გამოსვლებით ის აჯადოებდა უცხოელ მსმენელს შესანიშნავ ინგლისურ, ფრანგულ ან რუსულ ენაზე ზეპირად წარმოთქმული სიტყვით, როდესაც ამბობდა ზუსტად იმას, რისი გაგონება ახარებდათ ადგილობრივ პოლიტიკოსებს: სულ დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, რეფორმებზე ლაპარაკობდა. 2008 წლის აგვისტომდე ასეთ გამოსვლებს დიდი წარმატება ჰქონდა! შემდგომში მისი ანტირუსეთული ტირადები მხოლოდ გარკვეულ, თუმცა არცთუ მცირერიცხოვან, აუდიტორიაზე ახდენდა შთაბეჭდილებას.

ასეთი ნიჭისა და გაქანების კაცი დიდ დემოკრატიულ ქვეყანაში რომ დაბადებულიყო, ის შეზღუდული იქნებოდა პოლიტიკური თამაშის უკვე ჩამოყალიბებული წესებით და ბევრ შეცდომას მყარი სისტემა არ დააშვებინებდა. მართალია, თვალწინ გვაქვს ყოფილი პრემიერ-მინისტრის *სილვიო ბერლუსკონის* მაგალითი, რომელიც დემოკრატიულ იტალიაში ახერხებდა კანონის ლამის ყველანაირ დარღვევას, მაგრამ მას სასამართლოში მრავალ საქმეზე მოუწევს პასუხის გაცემა. სააკაშვილი კი პოლიტიკური თამაშის წესებს თვითონ აყალიბებდა; სათავისოდ, რასაკვირველია.

მეორე მხრივ, საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელსაც არ შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს თავისი ნამოქმედარი და სჯერა, რომ ის ყოველთვის მართალია. დასავლეთის (ძირითადად პრეზიდენტ ბუშისა და ამერიკელი რესპუბლიკელი კონგრესმენების) მხრიდან თითქმის უპირობო მხარდაჭერამ დათვური სამსახური გაუწია ახალგაზრდა ლიდერს: მან თავისი უშეცდომობა იწამა.

მისთვის ძალიან წამგებიანი იყო მაღალი რანგის პოლიტიკოსისათვის შეუფერებელი ქცევა, მაგალითად, ღამღამობით თბილისის რესტორნების ხშირი სტუმრობა და ამის გამო მიმდებარე ქუჩების გადაკეტვა. ყვითელ პრესაში გავრცელებული ჭორები მისი ფავორიტი ქალებისა და „მარკიზა პომპადურის" შესახებ იქნებ მთლად უსაფუძვლოდ არ გაჩენილა? ყოველ შემთხვევაში, ასეთი ჭორების გაჩენის საბაბი პრეზიდენტს არ უნდა მიეცა.

კრიტიკულ წერილებს თავის შესახებ პრეზიდენტი არ კითხულობდა ან ყურადღებას არ აქცევდა მათ. საჯარო კრიტიკის მიმართ კი ის სრულებით არატოლერანტული იყო. როდესაც 2011 წელს პარლამენტის სხდომისას დეპუტატმა *ჯონდი ბაღათურიამ* მას წაუკითხა ფაქტების მთელი ნუსხა, სადაც ელიტური კორუფცია აშკარად ჩანდა, განრისხებულმა პრეზიდენტმა სხდომა დატოვა, მაგრამ მალევე შემობრუნდა და დეპუტატს „ტალახში კარგად დაზელვას" დაჰპირდა.

სააკაშვილის ინიციატივით ხდებოდა ისეთი ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში, რომლებიც უზომოდ ზრდიდნენ პრეზიდენტის უფლებამოსილებას.

მის გარეშე ვერ მოხდებოდა პროკურატურისათვის სასამართლოს ფაქტობრივი დაქვემდებარება, სახელისუფლებო ტელეარხებისათვის ფაქტობრივი პრივილეგიების მინიჭება, პარლამენტში ასარჩევი ასაკის ჩამოწევა 21 წლამდე მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ორიოდე კოხტა გოგონა აერჩიათ და ა.შ.

სამწუხაროდ, ზემოხსენებული „ვარდების რევოლუციის ეკლები" ძირითადად პრეზიდენტის სახელს უკავშირდება. სააკაშვილის მიერ შექმნილი *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"* პრაქტიკულად მასთან იყო გაიგივებული. პარტიისა და ლიდერის გაიგივება კი, ჩვეულებრივ, არადემოკრატიულ რეჟიმებს ახასიათებს ხოლმე. გავიხსენოთ საბჭოთა წყობის მეხოტბე პოეტის *ვლადიმირ მაიაკოვსკის* ლექსი:

Мы говорим Ленин,
подразумеваем – партия,
Мы говорим партия,
подразумеваем – Ленин! [47]

ერთ ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია სახიფათო აღმოჩნდა ქვეყნისათვის და ამ ძალაუფლების ხელში ამღებისთვისაც.

1887 წელს ბრიტანელმა *ლორდმა ექტონმა* (Lord Acton) მოგვცა უკვდავი მაქსიმა: *„ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად"*. ექტონი თავის პოლიტიკურ მეტოქეებს უკიჟინებდა „ძალაუფლებით გარყვნას", რაც „კორუფციის" სწორი ქართული შესატყვისია.

თუკი იმ დროისათვის უკვე საკმაოდ დემოკრატიული ინგლისის პოლიტიკურ სისტემაზე *ლორდ ექტონს* შეეძლო ასეთი რამის თქმა, მით უმეტეს, სწორია იმავეს თქმა სუსტი დემოკრატიული ტრადიციის მქონე საქართველოზე, სადაც *აბსოლუტური ძალაუფლებით გარყვნაზე* მხოლოდ ზარმაცი თუ არ ლაპარაკობდა.

პოლიტიკაში იდეოლოგიური დამარცხება უმძიმესია. ადამიანთა ცნობიერებაში ძველი იმიჯის აღდგენა თითქმის შეუძლებელია. როდესაც ლიდერი შეიქმნის „ფანტაზიორის" მყარ რეპუტაციას, მის მიერ აბსოლუტური ჭეშმარიტების მტკიცებაც კი ეჭვის ქვეშ დგება. თუ ხალხს აღარ ექნება ნდობა და პატივისცემა ლიდერის მიმართ, ის ადრე თუ გვიან განწირულია. ამას ჯერ კიდევ ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ამბობდა ჩინელი ფილოსოფოსი *კონ-ძი (კონფუციუსი)*.

[7] ვამბობთ ლენინი, ვგულისხმობთ პარტიას,
ვამბობთ – პარტია, ვგულისხმობთ ლენინს! (რუს.)

ჩანართი 28.5
კონფუციუსის მოსაზრება სახელმწიფოს მართვის შესახებ („ძველჩინური ფილოსოფიიდან")

მონაფემ ჰკითხა სახელმწიფოს მართვის შესახებ. მასწავლებელმა უპასუხა: „უნდა იყოს საკმარისი სურსათი, საკმარისი იარაღი და ხალხი უნდა ენდობოდეს მმართველს". მონაფემ ჰკითხა: „ამ სამიდან რა შეიძლება დაითმოს უკიდურეს პირობებში?" მასწავლებელმა უპასუხა: „შეიძლება იარაღზე უარის თქმა".

მონაფემ ჰკითხა: „რა შეიძლება დაითმოს დარჩენილი ორიდან უკიდურეს პირობებში?" მასწავლებელმა უპასუხა: „შეიძლება სურსათზე უარის თქმა. უძველესი დროიდან ვერავინ გაპქცევია სიკვდილს, მაგრამ ნდობის გარეშე სახელმწიფო ვერ გაძლებს".

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას *მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობა ზე ქართულ „ინტელექტუალურ ელიტასთან"*, რომელსაც თავისი წარმოშობით ის თვითონაც ეკუთვნის.

„ინტელექტუალური ელიტა" თითქმის ვირტუალური ცნებაა (ამიტომაც ვათავსებ მას ბრჭყალებში), არავითარი ინსტიტუციური სტრუქტურა მას არ გააჩნია, მაგრამ ის ქმნის საზოგადოებრივ აზრს. მასთან დაპირისპირება, მაგალითად, ცნობილი ქართველი ინტელექტუალის ოჯახში დაბადებულ და აღზრდილ *ზვიად გამსახურდიასათვის* ცუდად დამთავრდა.

ინსინუაციები სააკაშვილის გვარის წარმოშობის შესახებ, რომლებიც ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლისაგან მოვისმინეთ, აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია. ასე მგონია, რომ ამ პატივსაცემ ადამიანებს უფრო ღირსეულად შეეძლოთ გამოეთქვათ კრიტიკული აზრი.

მეორე მხრივ, სააკაშვილის სიტყვებშიც იგრძნობოდა აგდებული დამოკიდებულება ინტელიგენციის მიმართ (გავიხსენოთ უფროსი თაობის მისამართით გამოყენებული სიტყვა *„ჩარეცხილები"*). ცალკეული პოეტისა და ხელოვანის „ბრწყინვალების ორდენით" საჯაროდ დაჯილდოების ფაქტები არაგულწრფელობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხელისუფლების ფავორიტი მომღერლები, შესაძლოა, ცუდად არ მღეროდნენ, მაგრამ საზოგადოების თვალში ავტორიტეტს კარგავდნენ.

ნიშანდობლივია სააკაშვილის დამოკიდებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მიმართ, რომელიც 70 წლის განმავლობაში იყო საქართველოს ერთადერთი უნივერსიტეტი. ახლა ბევრი სხვა უნივერსიტეტიც გაჩნდა, მაგრამ მათგან განსხვავებით, სამეცნიერო-პედაგოგიური ფუნქციის შესრულების გარდა, თსუ დღემდე ითავსებს ერთ-ერთი ძირითადი ეროვნული სიმბოლოს როლსაც.

საქართველოს არც ერთ კომუნისტ ხელმძღვანელს (ცეკას პირველ მდივანს) 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, არც *ბერიას, ჩარკვიანს, მგელაძეს,*

მჟავანაძეს, შევარდნაძეს, პატიაშვილს არ დაუმთავრებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი[48]. მიუხედავად ამისა, ყველა კომუნისტი ლიდერი ერიდებოდა მასთან დაპირისპირებას; პირიქით, ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. სააკაშვილსაც არ უსწავლია თსუ-ში (უმაღლესი განათლება მან კიევის უნივერსიტეტსა და დასავლეთში მიიღო). მაგრამ იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ყოფილი ლიდერებივით მოქცეულიყო, თსუ მან მეტოქედ აღიქვა და მის მაქსიმალურ დასუსტებას შეეცადა (დახურვაზე ან მეორეხარისხოვან ინსტიტუტთან მიერთებაზე ვერ წავიდა); უმაღლესი განათლების საკმაოდ ხისტი რეფორმა თსუ-ზე „მოაზომინა"; ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყვიტა (ეს თითქმის ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს შეეხო); 2010 წელს „განათლების კანონიდან" პარლამენტს ის მუხლი ამოაღებინა, რომლითაც სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი უნდა ყოფილიყო და ნებისმიერ (!) მოქალაქეს შეეძლო ამ პოსტის დაკავება; შეეცადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდული ფრთა – „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა" – გამოეყენებინა პოლიტიკური მიზნებისათვის და ა.შ.

მაგრამ ეს მორალური ძალადობა ამაო გამოდგა. 2012 წლის სექტემბერში სწორედ თსუ-ს სტუდენტობა ჩაუდგა სათავეში პროტესტს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა „ნაცმოძრაობის" სრულ დისკრედიტაციასა და საპარლამენტო არჩევნებზე დამარცხებაში.

პრეზიდენტის იმიჯისათვის საზიანო იყო რუსთაველის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძისა და სხვათა პოეზიის არასწორი ციტირების მცდელობა, რაც პოეზიის მცოდნეთა მხრიდან ქილიკის საგნად იქცეოდა. მისი ისტორიული ექსკურსები, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევდა: *„წყალტუბო იციან ყველა არაბულ ქვეყანაში. დამპყრობლები აქ აზიიდან ჩამოდიოდნენ, მაგალითად, თემურ-ლენგს ფეხი ჰქონდა სამკურნალო და იმის გამო, რომ უცებ ვერ მოარჩინეს, თბილისი გადაწვა"* (სინამდვილეში თემურს ქუთაისამდეც არ მიუღწევია); *„არ არსებობს ქართველი, რომლის ძარღვებშიც თუნდაც მცირე რაოდენობით ყივჩაღური სისხლი არ ჩქეფდეს", „თამარ მეფე ოსი იყო"* და ა.შ.

ასეთმა და მსგავსმა „ინფორმაციამ", რომლის გახმოვანება პოლიტიკურ ფიგურას საჭიროდ მიაჩნდა თავისი ერუდიციის დემონსტრირებისათვის, ისტორიკოს *ჯაბა სამუშიას* ათქმევინა: *„სააკაშვილი დედამისს* [ცნობილ მეცნიერ-ისტორიკოსს] *კარგად არ უსმენს, თორემ ამდენ შეცდომას არ დაუშვებდა"*.

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა *ჯო ბაიდენმა* სააკაშვილს საჯაროდ უთხრა,

[48] *გივი გუმბარიძე*, საბჭოთა პერიოდში საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი ბოლო ხელმძღვანელი (1989-1991), რომელმაც თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, *არ ყოფილა საქართველოს ფაქტობრივი ლიდერი:* მას მაშინ მოუხდა კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის პოსტზე ყოფნა, როდესაც სახელმწიფოს მართვის ერთპიროვნული პარტიული სადავეები უკვე დაკარგული იყო.

დედაჩემს რჩევას ვეკითხები და ვუჯერებო. ეს ირიბი მინიშნება იყო – შენც დაეკითხე ასაკით უფროსებსო.

ბაიდენი არ გულისხმობდა მხოლოდ ისტორიასა თუ პოეზიაში უადგილო ნიაღსვლებს.

სააკაშვილს, როგორც ჩანს, არ ადარდებდა დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოყენება თავის გამოსვლებში, რაც ხანდახან უარყოფით საერთაშორისო რეზონანსს იწვევდა. მაგალითად, დაგვამახსოვრდა *„აზერბაიჯანთან კონფედერაციის შექმნის"* მისეული იდეა, რომელმაც ბაქოში დიდი გაკვირვება გამოიწვია.

მისი ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილება მცდარი იყო. განსაკუთრებით სახიფათო შედეგის მომტანი ისინი საგარეო პოლიტიკაში აღმოჩნდა (ამაზე მომდევნო ქვეთავშია საუბარი).

მომთხოვნელობა სახელმწიფოს მეთაურის მიმართ განუზომლად დიდია. ასეა ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. სამწუხაროდ, ხელისუფლების მწვერვალზე მოხვედრილ ადამიანებს ყოველთვის არ ძალუძთ გაუძლონ „ვარსკლავებთან თამაშის" გამოცდას, რაც მათთვის ცუდად მთავრდება ხოლმე.

იქნებ სხვა ქვეყნების გამოცდილება გავითვალისწინოთ ხოლმე? ჩანართში (28.6) მომყავს ეკონომიკურად ძალიან წარმატებული (მშპ-ის მიხედვით მსოფლიოს მე-12 ეკონომიკა), თანაც დასავლური ტიპის დემოკრატიისაკენ მისწრაფებული და ამერიკის მეგობარი სახელმწიფოს, *კორეის რესპუბლიკის* პრეზიდენტების მაგალითი.

ჩანართი 28.6
სამხრეთ კორეის პრეზიდენტების ბედი

ის, რომ ადამიანებს არა აქვთ შებრალება ადრე მათ მიერვე არჩეული და შემდეგში იმედგამაცრუებული ლიდერების მიმართ, არახალია და დედამიწაზე ყველგან ხდება. ასე რომ, „უმადურები" მარტო ქართველები არა ვართ.

კორეის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, *ლი სინ მანი*, საბჭოთა გაზეთების კარიკატურებიდან მახსოვს: მას გამოსახავდნენ, როგორც ამერიკელი *ბიძია სემის* ერთგულ, კბილებდაკრეჭილ, ვიწროთვალება ძაღლს. სინამდვილეში ის ცდილობდა, ამერიკელების დახმარებით გამოეყვანა თავისი ქვეყანა კომუნისტური ჩრდილო კორეის აგრესიის (რეალურად – 1950-1953 წლების საშინელი სამოქალაქო ომის) ნანგრევებიდან. ყველაფერი კარგად არ გამოდიოდა. ქვეყანაში დიდი უკმაყოფილება გაჩნდა. *ლი სინ მანი* გადადგა და ემიგრაციაში მოკვდა.

მეორე პრეზიდენტი, გენერალი *პაკ ჩონ ჰი* 1961 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩაუდგა ქვეყანას სათავეში და 18 წელი რკინის ხელით მართავდა მას. მისი დიქტატურის დროს ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელებოდა. სამაგიეროდ, მან ძალისმიერი მეთოდებითა და ოლიგარქიულ კლანებზე დაყრდნობით საფუძველი ჩაუყარა „კორეის ეკონომიკურ სასწაულს". 1979 წელს კორეის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს უფროსმა ერთი თათბირის დროს თავნება პრეზიდენტი პისტოლეტის გასროლით მოკლა.

მესამე და მეოთხე პრეზიდენტების მმართველობის დროს ეკონომიკური განვითარება გრძელდებოდა, მაგრამ პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ ერთ მათგანს ბრალი დასდეს სტუდენტური მოძრაობის უხეშ ჩახშობაში და ორივეს – ელიტურ კორუფციაში. ერთს დახვრეტა მიესაჯა, მეორეს – 22 წლით პატიმრობა. ორივე მათგანი მომდევნო პრეზიდენტებმა შეინყალეს.

მეხუთე და მეექვსე პრეზიდენტები ვადაზე ადრე გადადგნენ არაეფექტიანი მმართველობისა და ელიტური კორუფციის ბრალდების წაყენების გამო. მეშვიდემ თავი მოიკლა. მერვე პრეზიდენტი დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გეგმავდა, მათ შორის დედაქალაქ სეულამდე საზღვაო არხის მიყვანას, მაგრამ დაპირება ვერ შეასრულა.

2012 წლის 19 დეკემბერს კორეელებმა მეცხრე პრეზიდენტად პირველად აირჩიეს ქალი, 1979 წელს მოკლული *პაკ ჩონ ჰის* 60 წლის ქალიშვილი *პაკ კინ ჰე*. ახლა ის იძლევა დიდ იმედს!

კორეელები ყოველთვის ენთუზიაზმითა და საგრძნობი უპირატესობით ირჩევდნენ პრეზიდენტებს და მერე იმედგაცრუებულები თავიდან იშორებდნენ მათ.

პოლიტიკის კანონზომიერებაა, რომ მოწინააღმდეგეები ლიდერს საკუთარ გარემოცვაში უჩნდება. დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი რამ „ეგზისტენციურ საფრთხეს" არ ქმნის: პოლიტიკურმა მეტოქეებმა, შესაძლოა, რაღაც მომენტში საერთო ენა გამონახონ კიდეც. ასეთი რამ, შედარებით იშვიათად, მაგრამ ჩვენთანაც ხდება ხოლმე.

თითქმის ყველა ის პირი, ვინც სააკაშვილის ოპოზიციაში აღმოჩნდა, ერთ ხანს მისი თანამებრძოლი და მოკავშირე იყო. *ნინო ბურჯანაძე* ზე ზემოთ ითქვა; 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას სააკაშვილის მეტოქე *ლევან გაჩეჩილაძე* 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას სააკაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა; სააკაშვილის ოპოზიციაში გადასული ზოგი პირი ადრე მის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრი, მინისტრი და ელჩი იყო. სხვათა შორის, *ზვიად გამსახურდიას* ოპოზიციაც, რომელმაც ის საბოლოოდ დაამხო, მისი ყოფილი გარემოცვიდან გაჩნდა – ეროვნული გვარდიის მეთაური *კიტოვანი*, პრემიერ-მინისტრი *სიგუა* და სხვები.

ნუთუ ყველა უმადური, უსინდისო, მომხვეჭელი, თავნება გამოდგა? იქნებ პრეზიდენტებსაც მიუძღვით ბრალი საკუთარი ოპოზიციის შექმნაში?

პრეზიდენტები ხომ ადამიანები არიან და ისინიც იშვიათად უსვამენ საკუთარ თავს კითხვას: *„რით გამოვიწვიე მე სხვა ადამიანის ასეთი ქცევა?"* ბევრად უფრო ადვილია იკითხონ – *„რატომ მომექცა ეს ადამიანი ასე?"*

2013 წლის იანვარში ტელევიზია „მე-9 არხს" ინტერვიუ მისცა *ირაკლი ოქრუაშვილმა*. ეს ახალგაზრდა კაცი „ვარდების რევოლუციონერთა" შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო. 2004 წლის დამდეგს პრეზიდენტად არჩეული *მიხეილ სააკაშვილი მას ყველაზე მეტად ენდობოდა* და ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილებზე აგზავნიდა – შიდა ქართლის გუბერნატორად, გენერალურ პროკურორად, შინაგან საქმეთა მინისტრად, თავდაცვის მინისტ-

რად. ის შედიოდა *„ტროიკაში“* („ვიწრო კაბინეტში“), ვისაც ეთათბირებოდა პრეზიდენტი. ოქრუაშვილს ვხედავდით ტელეეკრანებზე შევარდნაძის დროინდელი კორუფციონერების მოულოდნელი დაწიოკებისას, ღამღამობით ჯარისკაცების წვრთნისას. 2005 წელს ის გვპირდებოდა დამდეგი ახალი წლის შეხვედრას ცხინვალში, რაც, ბუნებრივია, ვერ შეასრულა. მან დაგვამახსოვრა თავი რუსებისათვის არცთუ სასიამოვნო და, საერთოდაც, არაეთიკური გამონათქვამებით 2006 წელს, როდესაც ჩვენს ღვინოზე რუსული ემბარგოს დაწესების შემდეგ სააკაშვილმა თავდაცვის მინისტრობასთან შეთავსებით მას დაავალა ქართული ღვინისათვის საერთაშორისო ბაზრების მოძიება.

მაგრამ იმავე 2006 წელს პრეზიდენტსა და მის ერთგულ, თუმცა ჭარბად თავდაჯერებულ მინისტრს შორის შავმა კატამ გაირბინა. პრეზიდენტმა ეკონომიკური განვითარების მინისტრად გადაიყვანა თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი. ამ თანამდებობაზე წარდგენას ის უკმაყოფილო სახით ესწრებოდა, ერთ კვირაში მინისტრობიდან გადადგა, საერთოდ წავიდა მმართველი გუნდიდან, 2007 წელს კი სააკაშვილის ოპოზიციის სათავეში აღმოჩნდა.

მას გაუსწორდნენ იმდროინდელი რეჟიმის აპრობირებული მეთოდებით, აიძულეს საკუთარი „ბრალის“ ტელევიზიის მეშვეობით საჯაროდ აღიარება, ქვეყნიდან გააძევეს და მერე დაუსნრებლად მიუსაჯეს 11-წლიანი პატიმრობა. საქართველოში ის 2012 წლის ნოემბერში დაბრუნდა. ბრალდებები საბოლოოდ მოეხსნა.

ოქრუაშვილი ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდება. რა ვიცი, იქნებ ნანობს კიდეც თავის ჰიპერაქტიურობას 2004-2006 წლებში? ყოველ შემთხვევაში, 2013 წლის იანვარში მე-9 არხისათვის მიცემულ ინტერვიუში მას გამოაქვს სამართლიანი დასკვნა იმ რეჟიმის შესახებ, რომლის შექმნაშიც თვითონ მონაწილეობდა. ციტატაში ხაზგასმა ჩემია:

> „იყო საკმაოდ დიდი წარმატება, როგორც პოლიციაში, ასევე ჯარში, ასევე გადასახადების ადმინისტრირების სფეროში, კორუფციის დამარცხების საქმეში. ამ პერიოდის განმავლობაში ასეთმა თავბრუდამხვევმა წარმატებამ, პლუს, ამას დავუმატოთ აჭარის მოვლენები, პლუს, გარკვეული წინსვლები საერთაშორისო ურთიერთობაში, დაგვარწმუნა საკუთარ უალტერნატივობაში. იმის გამო, რომ ქვეყანაში კონკურენტი ამ სფეროში და ამ მოედანზე აღარ გვყავდა, ვვარაუდობდით, რომ ეს მუდმივად შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. შეიძლება არა მუდმივად, მაგრამ ათწლეულები. ამან შექმნა ერთგვარი დაუსჯელობის სინდრომი. ამას მოჰყვა ბევრი ისეთი რაღაც, რაც მერე საზოგადოებაში დიდი პროტესტის საფუძველი გახდა.
>
> კარგად მახსოვს, დათო უსუფაშვილი შემხვდა პარლამენტის შენობაში. საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა მიდიოდა და რას აკეთებთო – ასეთი საყვედური მითხრა. კონსტიტუციაში ასეთი ცვლილებებით ფაქტიურად სახელმწიფოში პოლიტიკური ბალანსი ნადგურდება, და, – რას აკეთებთო? და გულახდილად ვუთხარი, დათო, მე მგონია, დროებით ქვეყა-

ნაში ჩვენს დიქტატურას ვამყარებთ. ჩემი აზრით და ჩემი შინაგანი რწმენით, დროებით-მეთქი. მაგრამ ყველამ ვნახეთ, რომ ეს დროებითი გაგრძელდა 9 წლის განმავლობაში" .

სწორედ ამ ცხრაწლიანი რეჟიმის (დიქტატურის? ალბათ, უფრო „კონკურენტული ავტორიტარიზმის") არსებობით გამოწვეული აღშფოთების გამო საქართველოს *მუმიებმა, მაჯლაჯუნებმა, ჩარეცხილებმა, უწმინდურებმა, მღრღნელებმა, მნგრეველებმა, გასანადგურებელმა კლასმა, სახელმწიფოს მტრებმა, კრემლის აგენტებმა* და სხვა *ოროსნებმა*, როგორც მათ საჯაროდ არაერთხელ მოიხსენიებდა ბატონი პრეზიდენტი (რას უწოდებდა იგი მათვე პირად საუბრებში, უცნობია, მაგრამ ადვილი მისახვედრი!) და რომლებიც, როგორც გაირკვა, ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, რაღაც მანქანებით პირი შეკრეს და 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე უარი უთხრეს ხელისუფლებაში დატოვებაზე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას".

2008 წლის კატასტროფა

2008 წლის 8-12 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ომი ჩრდილოეთიდან შემოჭრილ რუსეთის არმიასა და საქართველოს შორის. ომი დამთავრდა იმით, რომ საქართველოს სამხედრო ნაწილებმა დატოვეს „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორია და დაიხიეს თბილისისაკენ. რუსულმა არმიამ მოახდინა გორის, ზუგდიდის, სენაკის, ფოთის და რამდენიმე სხვა ქალაქისა და სოფლის დროებითი ოკუპაცია. *კოდორის ხეობა*, ერთადერთი ტერიტორია აფხაზეთში, რომელსაც მანამდე თბილისი აკონტროლებდა და რომლის შეიარაღებაზეც დიდი სახსრები დახარჯა, *ქართულმა სამხედრო შენაერთებმა უბრძოლველად დატოვეს*.

საქართველოს სამხედრო ნაწილებმა მოკლულების სახით დაკარგეს 170 ჯარისკაცი. დაიღუპა უფრო მეტი სამოქალაქო პირი[49]. ქართული სამხედრო ტექნიკის საგრძნობი ნაწილი რუსებს ჩაუვარდა ხელში. რუსულმა არმიამ მიზანმიმართულად ააფეთქა ქართული სამხედრო ბაზების შენობები გორსა და სენაკში.

ოსმა „ბოევიკებმა" დიდი და მცირე ლიახვის ქართულ სოფლებში მოახდინეს ეთნიკური წმენდა *რუსული არმიის თვალწინ, რომელიც გულგრილად უყურებდა ამას*. მათ განდევნეს ოცი ათასამდე ქართველი, გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს მათი სახლები.

[49] აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებისა და პირადად *კათოლიკოს-პატრიარქ ილია II*-ის დიდი წვლილი სისხლისღვრის შეჩერებაში და დაღუპული ქართველი სამხედრო და სამოქალაქო პირების გადმოსვენებაში.

შედარებისათვის: 1982 წელს ლიბანელმა ქრისტიანმა მარონიტმა ფალანგისტებმა *ისრაელის არმიის თვალწინ, რომელიც გულგრილად უყურებდა ამას,* მოაწყვეს ჟლეტა პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებში. ამის გამო ისრაელში შეიქმნა სპეციალური კომისია და მან არაპირდაპირ დამნაშავედ ცნო თავდაცვის მინისტრი *არიელ შარონი,* რომელმაც *„არ მიიღო სათანადო ზომები სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად“.* მინისტრი აიძულეს გადამდგარიყო. რუსეთში ანალოგიური კომისია არ შექმნილა.

იმ ხალხისათვის, რომლის წინაპრებიც ქართულ სოფლებში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა, იქიდან გამოდევნა ტრაგედია იყო. საქართველოში უკვე არსებული ლტოლვილთა არმია კიდევ უფრო გაიზარდა.

იმავე წლის 26 აგვისტოს რუსეთის მთავრობამ ცნო „აფხაზეთის რესპუბლიკისა“ და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა, დაამყარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობა, დადო სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულებები, რომელთა ძალითაც ის პრაქტიკულად უსასრულოდ იქონიებს მათ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზებს და დაიცავს მათ „საზღვრებს საქართველოსთან“.

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ საზღვრები 2008 წელს მოსკოვმა განსაზღვრა ზუსტად ისე, როგორც 1922 წელს სტალინმა დაუდგინა საზღვრები *სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.* ამიტომაც რუსის ჯარმა დაიკავა *მამისონის* უღელტეხილი (ხელისუფლება ცრუობდა, როცა ამბობდა, რომ ასე არ იყო), ახალგორის რაიონი, რომელიც 1990 წლიდან უშუალოდ თბილისს ექვემდებარებოდა, და ის სოფლები, რომლებიც 1990 წელს გამსახურდიას დროინდელმა უზენაესმა საბჭომ თითქოს გადაუქვემდებარა გორის, ქარელის, ონისა და საჩხერის რაიონებს.

კატასტროფის გარდა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ამ ფაქტებს? ნუთუ – „გამარჯვება“, როგორც ამას გვიმტკიცებდა საქართველოს პრეზიდენტი? ის „გამარჯვებად“ მიიჩნევდა იმას, რომ მისი მთავრობა და პირადად თვითონ ადგილზე დარჩნენ, „სახელმწიფო არ ჩამოიშალა“, რუსებმა თბილისი „ვერ აიღეს“.

ზოგიერთმა საქართველოში ირწმუნა, რომ „ჩვენ გავიმარჯვეთ“. უმრავლესობამ – არა.

* * *

რა უძღოდა წინ ამ კატასტროფას?

პრობლემები საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან – აფხაზებსა და ოსებთან, 1917-1918 წლებიდან მოყოლებული არსებობდა, როგორც კი იმპერიის დაშლის შემდეგ სხვადასხვა ეთნოსების ტერიტორიულმა ნაციონალიზმმა ეთნიკური კონფლიქტები გამოიწვია. 1980-იანი წლების ბოლოს ეს

პრობლემები გამოაცოცხლა საბჭოთა კავშირში მიმდინარე დეზინტეგრაციულმა პროცესებმა. 1990 წელს კი ოსებთან ჩვენი ურთიერთობა საერთოდ გაფუჭდა. ამაზე წიგნის სხვა თავებში მიწერია. 1991 წელს ცხინვალის ირგვლივ ინტენსიური სროლა მიმდინარეობდა. 1992 წლიდან სიმწვავე თითქოს თანდათან ჩაქრა და XXI საუკუნის დამდეგს იმის ნიშნებსაც კი ვხედავდით, რომ „სამხრეთ ოსეთის" საქართველოში ერთგვარი „რეინტეგრაცია" შეიძლებოდა მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში ეკონომიკურად ცხინვალის რეგიონი თითქმის მთლიანად ინტეგრირებული იყო საქართველოსთან, თუნდაც ეს კონტრაბანდასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ ცხინვალში, არ არის გამორიცხული, მოსკოვის ხელშეწყობით, თავდაჯერებული რადიკალი დაჯდა „პრეზიდენტად". 2003 წლის ბოლოს თბილისში ვინ მოვიდა სათავეში – ზემოთ ითქვა. ერთობლივი ძალისხმევით მათ საერთოდ ჩატეხეს ურთიერთობის სუსტი ხიდი.

2004 წლის ზაფხულში „ნაცმოძრაობის" ლიდერების მოუხეშავმა მცდელობამ, ერთი ხელის დაკვრით გადაეწყვიტათ პრობლემა და შემოემტკიცებინათ „სამხრეთ ოსეთი", ისე როგორც შემოიმტკიცეს აჭარა, უკუშედეგი მოიტანა. *გორდიასის კვანძის გადაჭრა* მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელს შეეძლო, ჩვენ კი, სამწუხაროდ, ალექსანდრე არა გვყავდა. საერთოდაც, პოლიტიკაში ალექსანდრეების დრო წასული იყო.

ამ წინდაუხედავმა ნაბიჯმა უბიძგა რუსეთს, რომლის სამხედრო ნაწილები „მშვიდობისმყოფელთა ბატალიონის" სახით 1992 წლიდან იდგნენ ცხინვალის გვერდით, უფრო აქტიურად ჩართულიყო ოსი სეპარატისტების შეიარაღებაში. მოსკოვის მიერ გამოგზავნილი ადამიანები დაინიშნენ ცხინვალის *de facto* ადმინისტრაციის „მინისტრებად".

ის, რომ საქართველო თავის მოკავშირედ სახავდა ამერიკას და ვაშინგტონიც არ მალავდა თბილისისადმი კეთილგანწყობას, მხოლოდ აღვივებდა რუსეთის უნდობლობას საქართველოს მთავრობის მიმართ. მოსკოვში კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში არ არსებობს *პრორუსული ძალები* და თბილისის არც ერთი მთავრობა (თუნდაც ის მოსკოვიდან ჩამოეყვანათ, რაც მხოლოდ თეორიულად შეიძლება დავუშვათ) არ დაეთანხმებოდა საქართველოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ტერიტორიაზე ახალი პოლიტიკური წარმონაქმნების შექმნას.

ის, რომ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა – პუტინმა და სააკაშვილმა – ვერ გამონახეს საერთო ენა, პრობლემას სერიოზულად ართულებდა, მაგრამ ეს არ იყო გადამწყვეტი პოლიტიკისათვის.

ეჭვგარეშეა, რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენდა, არ დაეშვა საქართველოს შესვლა ნატოში. მას უნდოდა ეჩვენებინა ამერიკელებისათვის, ვინაა „ხაზეინი" კავკასიაში. 2007 წელს მიუნხენში გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტმა *ვლადიმირ პუტინმა* ძალიან უკმეხად განუცხადა დასავლეთს,

რომ საკუთარი „უწყინარი" პოლიტიკისა და დასავლეთის „ფარისეველობის" გამო რუსეთმა დაკარგა პოზიციები მსოფლიოში და „ახლო საზღვარგარეთში", მაგრამ არ აპირებდა კიდევ რაიმეს დათმობას.

რუსეთი შესაფერის ვითარებას ელოდა, რათა თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა „საქართველოს პრობლემა". 2008 წელს მას ასეთი მომენტი გაუჩნდა. ჩვენმა ხელმძღვანელობამ კი უპასუხისმგებლო რიტორიკითა და მოქმედებით მაქსიმალურად გაუადვილა რუსეთს ამ გარემოებებით ესარგებლა.

იმის არდანახვა, რომ 2008 წელს ჩვენ გარშემო იკერებოდა ყულფი, შეეძლო მხოლოდ ბეც ან თავზეხელაღებულ პოლიტიკოსს.

2008 წლის თებერვალში სერბეთის პროვინცია *კოსოვომ*, რომელიც იქამდე თითქმის ცხრა წელი იყო ნატოს ფაქტობრივი პროტექტორატი, ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სინამდვილეში, ევროპელებმა მისცეს მას ამის უფლება, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა წინასწარ განაცხადა, რომ ცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას, როგორც კი ის ასეთ ნაბიჯს გადადგამს. მართლაც კოსოვოს თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობა მყისვე აღიარეს აშშ-მა, ევროპული კავშირის ქვეყნების უმეტესობამ (ხუთი ქვეყნის გარდა), თურქეთმა და საკმაოდ ბევრმა სხვა სახელმწიფომ.

აშშ და ევროკავშირი საჯაროდ აცხადებდნენ, რომ *„კოსოვო პრეცედენტი არაა, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა"*.

მაგრამ რუსეთმა, რომელმაც არ ცნო კოსოვო ვითომდა სერბეთთან სოლიდარობის გამო, განაცხადა, რომ *„კოსოვო პრეცედენტია!"* ის დაემუქრა დასავლეთს „ასიმეტრიული პასუხით".

საქართველომაც არ ცნო ახალი სახელმწიფო ბალკანეთში. ერთნაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება სულაც არ ნიშნავდა, რომ საქართველო და რუსეთი რაღაცაში სოლიდარულნი იყვნენ.

საქართველოს ხელმძღვანელობის მცდელობა, განსაკუთრებით 2007-2008 წლებში, მოეგვარებინა ურთიერთობა რუსეთთან, წარუმატებელი აღმოჩნდა.

2008 წლის აპრილში ქ. ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველოსა და უკრაინისათვის MAP[50]-ის მიცემის საკითხი იდგა. აშშ-ის პრეზიდენტი *ჯორჯ ბუში* (უმცროსი) და აღმოსავლეთ ევროპის ნატოს წევრი სახელმწიფოების მეთაურები მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას. გერმანიის კანცლერი *ანგელა მერკელი*, საფრანგეთის პრეზიდენტი *ნიკოლა სარკოზი*, აგრეთვე სხვა რამდენიმე სახელმწიფოს მეთაური წინააღმდეგნი იყვნენ. ამას საგარეოპოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრება ედო საფუძვლად: პატარა საქართველოს გამო გერმანია და საფრანგეთი არ გაიფუჭებდნენ ურთიერთობას დიდ რუსეთთან, სადაც სერიოზული ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ. პრეზიდენტი *პუტინი* პირადად ჩავიდა

[50] MAP – Membership Action Plan, [ნატოს] წევრობის სამოქმედო გეგმა.

ბუქარესტში და კიდევ ერთხელ გამოხატა რუსეთის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ნატოს აღმოსავლეთისაკენ გაფართოების გეგმების გამო.

2008 წლის 4 აპრილს მერკელთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე სარკოზიმ განაცხადა:

> „გერმანია და საფრანგეთი იზიარებენ ნატოს გაფართოების ერთსა და იმავე ანალიზს და ჩვენ ერთად ვუჭერთ მხარს, რომ უკრაინა და საქართველო ერთ დღეს შეუერთდნენ ალიანსს და რომ არავის აქვს უფლება ვეტო დაადოს ამას. მაგრამ ჩვენ უნდა მივცეთ დრო ჩვენს თავს იმისთვის, რომ წევრობის პირობები დაკმაყოფილდეს. გერმანიასა და საფრანგეთს საერთო აზრი აქვთ".

დაპირება საკმაოდ ბუნდოვანი იყო: როდის დადგებოდა ეს „ერთი დღე"? საქართველომ, მე მგონია, ან არასწორი სიგნალი მიიღო, ან არასწორად გაიგო ის. „ნაციონალების" პროპაგანდამ „MAP-ზე უკეთეს პირობებზე" ატეხილი ჟრიამულით ბუქარესტის სამიტზე მიღებული სანახევრო გადაწყვეტილება „გამარჯვებად" მოგვასაღა.

არც „MAP"-ი და არც „MAP-ზე უკეთესი" ჩვენთვის ხსნა არ იყო. ნატოს წესდებით მას მხოლოდ თავისი წევრისათვის უნდა გაეწია დახმარება მის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში და არა წევრობის კანდიდატისათვის.

მოსკოვს კი იმავე ბუქარესტის სამიტმა აჩვენა, რომ მისი მოქმედების დრო მოვიდა. როგორც ჩანს, უკვე 2008 წლის აპრილში დაიწყო პრაქტიკული მზადება საქართველოს საწინააღმდეგო ოპერაციის ჩასატარებლად. შიდა ქართლში ოპერაციის განხორციელება რუსეთს ზაფხულში ერჩივნა, რადგან შემოდგომაზე და, მით უმეტეს ზამთარში, როკის გვირაბი, რომლითაც 1988 წლიდან „სამხრეთ ოსეთი" ჩრდილოეთ ოსეთს უკავშირდება, მძიმე ტექნიკისათვის ძნელად გასავლელი ხდება. შემოდგომა-ზამთრის ღრუბლიანი ამინდი რუსულ ავიაციას გაურთულებდა კავკასიონის ქედზე გადაფრენას. საქართველოსთან საომრად რუსეთისათვის საუკეთესო თვე აგვისტო იყო. თანაც იმ დროს წამყვანი ქვეყნების ლიდერები ან საკურორტო ადგილებში იქნებოდნენ ან პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე!

იმ ზაფხულს რუსეთმა ჩაატარა დიდი სამხედრო წვრთნა ჩრდილოეთ კავკასიაში. 2 აგვისტოს წვრთნა დასრულდა, მაგრამ ჯარი *როკის გვირაბის* ჩრდილოეთით სრულ მზადყოფნაში დატოვეს. ეს იმდროინდელ გაზეთებშიც ეწერა, ამისათვის დაზვერვა საჭირო არ იყო.

თუკი რუსეთი საქართველოს ხელისუფლების პროვოცირებას აფხაზეთში მოახდენდა, ის ამისთვისაც მოემზადა. იმ ზაფხულს რუსეთმა ჯავშანტექნიკით გააძლიერა თავისი „სამშვიდობო ძალები" მდ. ენგურის გასწვრივ, აფხაზეთში შეიყვანა სარკინიგზო ჯარები და შეაკეთა 20 წლის განმავლობაში უმოქმედო რკინიგზის მონაკვეთი ქ. ოჩამჩირიდან მდ. ენგურამდე. საქართველოს პროტესტი საერთაშორისო დონეზე ყურად არავინ იღო.

იმ გაზაფხულსა და ზაფხულში აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ახლოს რუსებმა ჩამოაგდეს საქართველოს მიერ ისრაელში შეძენილი რამდენიმე მზვერავი უპილოტო თვითმფრინავი (*drone*).

იმ ზაფხულს ქართლში, ჩვენი სამხედრო რადარის ახლოს, რუსულმა თვითმფრინავმა ჩამოაგდო ავიაბომბი, რომელიც არ აფეთქებულა. რუსები ზანტად უარყოფდნენ ამ ბომბის წარმომავლობას (ჩვენვე გვაბრალებდნენ!), მაგრამ არ უარყოფდნენ იმას, რომ მათი ავიაგამადგურებლები საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოდიოდნენ, მაგალითად, ზუსტად იმ დროს, როდესაც ამერიკის სახელმწიფო მდივნის თვითმფრინავი თბილისში ჯდებოდა.

იმ წლის აგვისტოს დამდეგს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი სრულ მზადყოფნაში მოიყვანეს, ის სევასტოპოლისა და ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზებიდან ზღვაში გავიდა და საქართველოს ნაპირისაკენ გამოემართა.

ოსურმა მხარემ რუსებისაგან მიიღო მძიმე სამხედრო ტექნიკის რამდენიმე ერთეული. იმ ზაფხულს მკვეთრად გახშირდა სროლა ოსური სოფლებიდან, რაზეც ქართული მხარეც პასუხობდა და საერთაშორისო მედია ამაზე წერდა. საქართველოს ხელისუფლებამ უფრო ახლოს მიიყვანა თავისი სამხედრო ტექნიკა ცხინვალთან. ჩვენი ჯარის გადაადგილების დანახვას კოსმოსური გადაღება არ სჭირდებოდა: ამას გზებზე ვხედავდით ან პრესით ვიგებდით.

რუსული დაზვერვა ყველაფერს აკონტროლებდა, ალბათ საქართველოს პრეზიდენტის სატელეფონო საუბრებსაც კი. იქნებ მის გარშემო მყოფი „გავლენის აგენტების" მეშვეობით სწორედ რუსეთისათვის საჭირო დროს „პირველი გასროლის" პროვოცირებასაც ახდენდა?

იმ ზაფხულს თბილისში მოუხშირეს ჩამოსვლა უცხოელმა დიდმოხელეებმა. აქ იყვნენ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი *ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი*, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი *კონდოლიზა რაისი*, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში *ხავიერ სოლანა*, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი *კარელ შვარცენბერგი*. რაზე ელაპარაკებოდნენ ისინი საქართველოს პრეზიდენტს? მაშინ ეს მოსახლეობას გააცნეს, როგორც რუტინული მეგობრული ვიზიტები, მაგრამ „მაღალმა" სტუმრებმა მეტი იცოდნენ და ეს აღელვებდათ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი *კონდოლიზა რაისი* თავისი მოგონებების წიგნში წერდა, რომ 2008 წლის ივლისში მკაცრად უთხრა მიხეილ სააკაშვილს:

> „ბატონო პრეზიდენტო, რაც უნდა მოხდეს, არ მისცეთ რუსებს თქვენი პროვოცირების საშუალება. გახსოვთ, პრეზიდენტი ბუშიც ამბობდა, რომ მოსკოვი შეეცდება სისულელე ჩაგადენინოთ. არ ჩაითრიოთ რუსეთის შეიარაღებული ძალები. ვერავინ დაგეხმარებათ და თქვენ დამარცხდებით".

მართალია, მემუარების ავტორები საკუთარი თავის რეალურზე უფრო ჭკვიანად წარმოჩენას ცდილობენ, ამ შემთხვევაში არა გვაქვს რაისის სიტყ-

ვების სინამდვილეში ეჭვის შეტანის საბაბი: ეს გაფრთხილება სააკაშვილმაც დაადასტურა.

ამერიკელებს არ ესაჭიროებოდათ ომი კავკასიაში და ისინი არ წააქეზებდნენ სააკაშვილს საომრად. რუსეთის უმაღლესი პირები კი ასეთ „წაქეზებას" სრულებით უსაფუძვლოდ აშშ-ის აბრალებდნენ.

ამერიკა არ ჩაერთვებოდა კონფლიქტში ბირთვულ სახელმწიფოსთან, შორს მყოფი, თუნდაც მეგობრული რეჟიმის გამო და არც ჩართულა მასში. ამერიკა არ გვაწვდიდა შეტევით სამხედრო საჭურველს. 2007 წელს საქართველოს მთავრობის თხოვნას, მიეყიდა მისთვის *„სტინგერები"* (ხელით სასროლი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა, რომელმაც 1980-იან წლებში საბჭოთა ავიაციის პარალიზება მოახდინა ავღანეთში) ვაშინგტონმა უარით უპასუხა, რადგან მოსკოვთან ჰქონდა შეთანხმება ასეთი შეიარაღებით ვაჭრობის შეზღუდვაზე.

ვაშინგტონი ყოველთვის მოუწოდებდა საქართველოს, თავი შეეკავებინა რუსეთის მიმართ მძაფრად კონფრონტაციული განცხადებების გაკეთებისა და მისი შეგნებული გაღიზიანებისაგან.

მაგალითად, არა მგონია, ვაშინგტონს მოსწონებოდა 2006 წელს საქართველოში დაპატიმრებული ოთხი რუსი სამხედრო მზვერავის *ეუთოსათვის* გადაცემის პირდაპირ ეთერში ჩვენება – როგორ გამოიყვანეს პოლიციელმა ქალებმა ხელბორკილდადებული რუსი ოფიცრები. ამ სპექტაკლს მიზნად ჰქონდა პრეზიდენტ *პუტინის*, იმავე სისტემიდან მოსული კაცის, გამწარება. ჯაშუშები მოსკოვში გმირებად მიიღეს. ჩვენ კი ამის შედეგად მივიღეთ ემბარგო მთელი ქართული პროდუქციის რუსეთში ექსპორტზე, რუსეთთან საავიაციო მიმოსვლის შეწყვეტა და სრულებით უდანაშაულო ქართველების რუსეთიდან მასობრივი გამოყრა. გვიღირდა ასეთ ფასად ოთხი რუსი ჯაშუშის დამამცირებელი ექსტრადიციის ტელეეკრანებზე დანახვა?

მოგვიანებით პუტინმა ერთ გამოსვლაში თქვა, რომ სწორედ 2006 წელს დაავალა რუსეთის არმიის გენერალურ შტაბს საქართველოს წინააღმდეგ განსახორციელებელი ოპერაციის გეგმის შემუშავება.

იგივე კონდოლიზა რაისი თავის მემუარებში ყურადღებას ამახვილებდა სააკაშვილის ემოციურ და ამპარტავან ხასიათზე, რაც ართულებდა მის ურთიერთობას რუსეთსა და სეპარატისტებთან და ურთულებდა აშშ-ს და ევროკავშირს ჩვენთვის დახმარების გაწევას.

2008 წლის 4 აგვისტოს დაიწყო ოსი ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია ქ. ცხინვალიდან. ეს გამოცხადდა, როგორც „ჩრდილოეთ ოსეთში დასასვენებლად წასვლა".

მზადდებოდა რაღაც ძალიან ცუდი. ეს ლამის ყველამ იცოდა.

2008 წელს, 8 აგვისტოს პეკინში იხსნებოდა ოლიმპიური თამაშები. ჩინეთმა გრანდიოზული ზეიმი მოაწყო. მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები, მათ შორის,

რუსეთის პრემიერ-მინისტრი *ვლადიმირ პუტინი* და აშშ-ს პრეზიდენტი *ჯორჯ ბუში (უმცროსი)*, საპატიო სტუმრების ლოჟაში ისხდნენ და გასაოცარ შოუს ადევნებდნენ თვალს. ამ დროს კი დასავლეთით, კავკასიაში იწყებოდა ხანმოკლე ომი, რომელიც ჩინეთს პირდაპირ არ ეხებოდა, მაგრამ მასთან შეხება მთელ მსოფლიოსთან ერთად მოუხდებოდა.

7 აგვისტოს საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც უმაღლესმა მხედართმთავარმა, საჯაროდ განაცხადა, რომ უბრძანა ჩვენს ჯარს ოსური სოფლებიდან საარტილერიო სროლის საპასუხო ცეცხლი შეეწყვიტათ. მაგრამ შუაღამემდე ხუთი წუთით ადრე, იმავე უმაღლესი მხედართმთავრის ბრძანების შესასრულებლად ქართულმა არმიამ გახსნა საარტილერიო და სარაკეტო ზალპური ცეცხლი ცხინვალის მიმართულებით. ცხინვალი საგრძნობლად დაინგრა. 8 აგვისტოს დილით იქ შევიდნენ ქართული ტანკები და ქვეითი ჯარი, სადაც წინასწარ მომზადებული მედგარი წინააღმდეგობა შეხვდათ: ის, რომ ტანკები ქალაქში ბრძოლისას მოწყვლადია, მეორე მსოფლიო ომის დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ ჩვენმა „სამოქალაქო კლაუზევიცებმა" ეს არ იცოდნენ!

თუმცა რუსულ სამშვიდობო ბატალიონთან კონფრონტაციაში შესვლა ქართულ არმიას არ ევალებოდა, პროვოკაციის შედეგად მაინც მოუხდა შეხლა მასთან. 12 რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ამ ფაქტს რუსული პროპაგანდა განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, როგორც „რუსი ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულს".

8 აგვისტოს დილის 11 საათზე „რუსთავი-2"-ის ეთერში გამოჩნდა საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც „ანგარიში ჩააბარა საზოგადოებას". მან სიტყვასიტყვით თქვა შემდეგი:

> „სეპარატისტების მიერ თამარაშენისა და სხვა, ჩვენი კონტროლის ქვეშ მყოფი სოფლების დაბომბვის გამო ჩვენ გავხსენით ცეცხლი და გადავედით შეტევაზე".

ამის შემდეგ მან ჩამოთვალა განთავისუფლებული რაიონები და სოფლები „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე. კრინტიც არ დაუძრავს რუსეთიდან შემოსულ მოხალისეებზე ან რეგულარულ ჯარზე. გადაცმული რუსი სპეცრაზმელები და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები „სამხრეთ ოსეთში" იყვნენ, მაგრამ ლაპარაკი მათ შესახებ მხოლოდ სამხედრო მოქმედების დამთავრების შემდეგ დაიწყო.

გენერალმა მამუკა ყურაშვილმა რიხიანად განაცხადა, რომ დაიწყო *„კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა ცხინვალის რეგიონში"*.

იმავე დღეს ცხინვალში დაგეგმილი იყო გამარჯვების აღლუმი და პრეზიდენტის ტრიბუნა უკვე გზაში იყო.

კრემლს კი სწორედ ეს „პირველი გასროლა" სჭირდებოდა! საქართველომ ორივე ფეხი ჩაყო დაგებულ ხაფანგში.

რუსულმა არმიამ დაარღვია საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი და შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. ამას აგრესია ეწოდება. საბაბად რუსეთმა გამოიყენა *„გენოციდისაგან რუსეთის მოქალაქეების* [ე.ი. სამხრეთელი ოსების] *გადარჩენა“* და *„საქართველოს იძულება მშვიდობისათვის“*. 8 აგვისტოს დილიდანვე როკის გვირაბში, რომლის ჩაკეტვა ქართულმა მხარემ ვერ შეძლო, გრუხუნებდნენ ჩრდილოეთიდან ნამოსული რუსული ტანკები, რომელთა კოლონები 200 კილომეტრზე იყო გადაჭიმული, დილიდანვე გვბომბავდნენ რუსული თვითმფრინავები. ჩვენი საზენიტო დანადგარები და ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტები საკმარისი და ხარისხიანი არ აღმოჩნდა. რამდენიმე საფრენი აპარატის დაკარგვის მიუხედავად რუსეთის სამხედრო ავიაცია სრულად გაბატონდა საქართველოს ცაში.

მიუხედავად უნიჭო მეთაურობისა, ქართველმა მებრძოლებმა დიდი შეუპოვრობა და გმირობა გამოიჩინეს. მაგრამ როგორ გინდა გაუძლო ჰაერიდან დაბომბვას ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის გარეშე? რჩეული ვაჟკაცები დაგვეღუპა. სასწრაფოდ შეგროვებული რეზერვისტები რეალური ხელმძღვანელობის გარეშე დარჩნენ. 10 აგვისტოს უკვე უკან ვიხევდით.

რუსეთმა კოორდინირებულად შეუტია საქართველოს ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაში. პირველად ისტორიაში მან ომის დროს გამოიყენა *კიბერშეტევა* – ქართული ვებსაიტები პრაქტიკულად დაიბლოკა 8 აგვისტოდან 12 აგვისტოს საღამომდე.

12 აგვისტოს იმ დროს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთის პრეზიდენტის *ნიკოლა სარკოზის* შუამავლობით ცეცხლი საბოლოოდ შეწყდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია რუსებისათვის უბრძოლველად დაეკავებინათ ახალგორის რაიონი, რისთვისაც მათმა ჯავშანტექნიკამ შუა ქართლი გადაიარა.

სარკოზიმ და რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა ხელი მოაწერეს „6-პუნქტიან" სამშვიდობო შეთანხმებას. მაგრამ შეთანხმების უმთავრეს მუხლს – *„მხარეების მიერ სამხედრო ნაწილების ომამდელი დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნებას“* – რუსეთის მხარე დღემდე არ ასრულებს. თავისი პოზიციის გასამართლებლად ის იშველიებს „ახალ პოლიტიკურ რეალიებს", რომლებიც თვითონ შექმნა.

* * *

შეიძლებოდა თუ არა კატასტროფის თავიდან აცილება?

2008 წლის აგვისტომდე ალბათ შეიძლებოდა, თუკი ჩვენს დასავლეთელ მრჩევლებს დავუჯერებდით. მაგრამ აგვისტოში ეს უკვე შეუძლებელი გახდა. მოსკოვი ჩვენს პროვოცირებას შეეცდებოდა აფხაზეთშიც, სადაც უკვე შეყვანილი ჰყავდა ოცი ათასამდე ჯარისკაცი. რალაცას მაინც დაგვაბრალებდნენ.

ჩვენს შინგაზრდილ სტრატეგებს არ გაუთვალისწინებიათ ყველაზე არსებითი პრობლემები:

- რუსეთს არ შეეძლო დაეშვა „სამხრეთ ოსეთის“ ან აფხაზეთის ძალისმიერად დაბრუნება საქართველოს იურისდიქციაში, რადგან ეს მის პრესტიჟს ჩრდილოეთ კავკასიაში ნულამდე დასცემდა და, შესაძლოა, ანტირუსული ამბოხებაც კი გამოეწვია;
- ქართულ არმიას რომც ჩაეკეტა როკის გვირაბი, ჰაერიდან და ზღვიდან მაინც სრულებით დაუცველი ვიყავით. ასეთ შემთხვევაში გარდაუვალად გველოდა რუსული არმიის შეტევა აფხაზეთის მხრიდან, საზღვაო დესანტი, თბილისის დაბომბვა.

ეს უმარტივესი საკითხები პირდაპირ ზედაპირზე იდო. მათი გათვალისწინების გარეშე ჩვენს უმაღლეს მხედართმთავარს „ომობანას“ თამაში გამოსდიოდა, ოღონდ ცოცხალი ადამიანების მონაწილეობით და ნამდვილი ბომბების გამოყენებით.

რადგანაც აშკარად ჩვენზე ძლიერ მტერთან დაპირისპირებისას მხოლოდ საერთაშორისო მორალური მხარდაჭერის იმედზე ვიყავით, *თავიდან უნდა აგვეცილებინა პირველი გასროლა ჩვენი მხრიდან*, რასაც მერე ყველანაირი ექსპერტი, ევროკავშირის საბჭოს მიერ შექმნილი *ჰაიდი ტალიავინის კომისიის* ჩათვლით, თავის დასკვნებში ხაზს გაუსვამს. *რუსეთი უპირობო აგრესორი უნდა გამოსულიყო. ჩვენ გვერჩივნა უპირობო მსხვერპლის როლში ყოფნა.* გვერჩივნა ტელევიზიით არ დაგვენახა „გრადების“ შემზარავი ცეცხლი ცხინვალის თავზე, გვერჩივნა არ შემოგვკვდომოდა რუსული სამშვიდობო ბატალიონის რამდენიმე წევრი, გვერჩივნა 8 აგვისტოს არ მოგვესმინა პრეზიდენტის ინფორმაცია *შეტევაზე გადასვლის* შესახებ: თუ რუსული არმია უკვე შემოსული იყო, მისთვის წინააღმდეგობის გაწევაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი. შემდგომ დღეებში კი არ მოგვესმინა მისივე ახალი ვერსია, რომ რუსული ტანკები 7 აგვისტოს უკვე შემოსულები იყვნენ.

დიდი მადლობა მორალური მხარდაჭერისთვის საგანგებოდ ჩამოსულ პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის პრეზიდენტებს! მაგრამ 12 აგვისტოს რატომ უნდა ენახათ მათაც და ჩვენც თბილისში, პარლამენტის წინ გამართული ცეკვა-თამაში, თითქოს ომი მოვიგეთ?

სხვათა შორის, სწორედ 12 აგვისტოს კრძალავდნენ დიდ მამულიშვილსა და პოეტს *ვახუშტი კოტეტიშვილს*, ერთს იმ მრავალთაგან, ვინც თავიდან „ნაცმოძრაობას“ მხარს უჭერდა და მერე ძალიან ინანა ეს: მან ქართველ ხალხს ტელევიზიით მოუხადა ბოდიში თავისი მცდარი შეფასებისათვის. ვახუშტის დაკრძალვა საერთოდ შეუმჩნეველი დარჩა რუსთაველის გამზირზე ხმაურიანი „ზეიმის“ ფონზე.

„ტალიავინის კომისიის“ დასკვნებიდან, ბუნებრივია, ორივე მხარე თავისთ-

ვის მომგებიან ფრაზებს იყენებს. ჩანართში 28.5 მომყავს რამდენიმე ამონარიდი (ინგლისური დედანი და თარგმანი) სქელტანიანი ანგარიშიდან.

ჩანართი 28.7
ნაწყვეტები ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნიდან (Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia)

„ისმის კითხვა, საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთში ძალის გამოყენება, რაც დაიწყო ცხინვალის დაბომბვით 7-8 აგვისტოს ღამით, იყო თუ არა გამართლებული საერთაშორისო სამართლის მიერ? არ იყო". (There is the question of whether the use of force by Georgia in South Ossetia, beginning with the shelling of Tskhinvali during the night of 7/8 August, was justifiable under international law. It was not).

„მისიას არ შეუძლია დასაბუთებულად მიიჩნიოს საქართველოს მხრიდან იმის მტკიცება, რომ სამხრეთ ოსეთში ფართომასშტაბიანი რუსული სამხედრო შეჭრა მოხდა 2008 წლის 8 აგვისტომდე". (The mission is not in a position to consider as sufficiently substantiated the Georgian claim concerning a large-scale Russian military incursion into South Ossetia before 8 August 2008).

„რუსეთის სამხედრო მოქმედების უმეტესი ნაწილი თვითდაცვის გონივრულ საზღვრებს აღემატებოდა... გაფართოებული რუსული სამხედრო მოქმედება, რომელმაც საქართველოს სიღრმეში შეაღწია, საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელდა". (Much of the Russian action went beyond the reasonable limits of self-defence... Extended Russian military action reaching out into Georgia was conducted in violation of international law).

[უარყოფილია რუსეთის მტკიცება, რომ ის მოქმედებდა სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების დასაცავად] „ომისწინა პერიოდში ათასობით სამხრეთელი ოსისათვის მოქალაქეობის მინიჭების რუსული 'პასპორტიზაციის' სქემა უკანონო იყო და აღნიშნული ადამიანები საქართველოს მოქალაქეებად რჩებოდნენ". (Russia's "passportisation" scheme of granting citizenship to thousands of South Ossetians in the run-up to the war was illegal and the people in question remained Georgian citizens).

რონ ასმუსი, თავის წიგნში *„პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო"*, რომელიც ქართულად ითარგმნა და იმდროინდელი ხელისუფლება ხშირად აკეთებდა მასზე აპელირებას, სამართლიანად აღწერს, როგორ ჩაითრია რუსეთმა საქართველო ომში. ის აგრეთვე წერს:

„ვაშინგტონი გაცეცხლებული იყო იმის გამო, რომ ქართველებმა მოქმედება დაიწყეს, მიუხედავად თვეების განმავლობაში მიღებული ათობით გაფრთხილებისა, არ გაეკეთებინათ ეს (გვ. 176) პრეზიდენტმა სააკაშვილმა 7 აგვისტოს საღამოს უბრძანა თავის არმიას მოქმედების დაწყება, რათა დაეცვა ქართული სოფლები, წინ დაესწრო რუსეთის უფრო დიდი მოქმედებისათვის, რაც მას აშინებდა და იმედი ჰქონდა, რომ ამით მოიგებდა ცოტაოდენ დროს – დროს, რომელიც საჭირო იყო სამხრეთ ოსეთიდან ქართველების ევაკუაციისათვის და დროს, რომელიც საჭირო იყო მსოფლიოს რეაგირებისათვის. მაგრამ მან აამოძრავა უფრო ფართო ომი, რომლის მოგება საქართველოს არ შეეძლო და შექმნა ისეთი დინამიკა, რომლის კონტროლისათვის, საბოლოოდ, ის თითქმის უძლური იყო. გენერლებს აქვთ ძველი გამოთქმა – ომის დაწყება ბრძოლის

მარტივი ნაწილია. მისი დამთავრებაა ბევრად უფრო ძნელი (გვ. 189)".

რონ ასმუსი საქართველოს პრეზიდენტის მოტივებზე, როგორც ჩანს, მისივე მონაყოლის მიხედვით მსჯელობს. *„ცოტაოდენი დროის მოგების მიზნით"* შეტევის დაწყება, თუ დანამდვილებით არ იცი, ვინ რა *„რეაგირებას მოახდენს მსოფლიოში"*, არის სრულებით გაუმართლებელი ავანტიურიზმი, სერიოზული პოლიტიკოსისათვის დაუშვებელი რამ.

მოტივებზე მსჯელობა ახლა თითქმის ფუჭია. შედეგი გვაქვს სამწუხარო.

ომისწინა ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს არმიაზე 8 მილიარდი ლარი დაიხარჯა. რუსეთის პრესა ცრუ განგაშს ტეხდა „საქართველოს მილიტარიზაციის" შესახებ, რაც პროპაგანდისტული ომის ნაწილი იყო. სომხეთმა და აზერბაიჯანმა ბევრად მეტი ფული დახარჯეს შეიარაღებაზე, თანაც ორივე მათგანი სამხედრო ტექნიკას და იარაღს რუსეთისგანაც ყიდულობდა (სომხეთი – მთლიანად, თანაც შეღავათიან ფასებში). მაგრამ მოსკოვს სჭირდებოდა საქართველოს დასახვა „მილიტარისტად". მას სჭირდებოდა, რომ „კბილებამდე შეიარაღებულ" საქართველოს პირველს დაეწყო „აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ", რომ მერე ჩვენთვის დაებრალებინა ყველაფერი. აკი მიაღწია კიდეც!

როგორ დაიხარჯა მილიარდობით ლარი შეიარაღებაზე? რისთვის ვყიდულობდით მოძველებულ საბჭოთა ტანკებსა და სხვა შეტევით იარაღს, მაშინ როცა ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები არასაკმარისი აღმოგვაჩნდა?

საერთოდ, თუ არსებობდა სამხედრო ოპერაციის მართვის გეგმა? *რონ ასმუსი* წერს, რომ ცხინვალის ოპერაციის გეგმა წინადღეს შედგა (გვ.173). გამოდის, რომ ეს უფრო იმპროვიზაცია იყო, ვიდრე დაგეგმილი ოპერაცია. არმიას სამოქალაქო პირები მართავდნენ. უმაღლეს მხედართმთავარს ეს პოზიცია თანამდებობრივად ერგო, სამხედრო განათლება მას არ ჰქონდა. თავდაცვის მინისტრი *დავით კვირაშვილი* ასევე სამოქალაქო პირი იყო, რომელიც მილიარდიან სამხედრო კონტრაქტებთან მიუშვეს. ვისგან იყიდა შეიარაღება და რა ფასად? ომმა ჩამონერა ყველანაირი დანაკარგი, მაგრამ ჩვენი ფული ხომ სადღაც წავიდა?

რასაკვირველია, საქართველოს არ დაუწყია ომი რუსეთის წინააღმდეგ. ომი საქართველოში რუსეთმა დაიწყო, რომელმაც ჯერ მოახდინა საქართველოს ხელისუფლების პროვოცირება, შემდეგ დაარღვია საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი, ჩვენ სუვერენულ ტერიტორიაზე შემოიჭრა და მისი ნაწილების ოკუპაცია მოახდინა.

მაგრამ პროვოკაციაზე აყოლა ძალიან ძვირად დაგვიჯდა.

ამასთან, მხოლოდ ლიდერის დადანაშაულება მართლაც არ იქნებოდა სწორი. გამოცდილმა დიპლომატმა და, უბრალოდ, საღად მოაზროვნე ადამიანმა

ზურაბ აბაშიძემ 2009 წლის ნოემბერში ერთი ჟურნალისტის მიერ გამოთქმულ აზრს, *„დღეს ქართველების უმრავლესობა პრეზიდენტ სააკაშვილს იმაში კი არ ადანაშაულებს, რომ [რუსეთთან] კონფლიქტში ჩაება, არამედ იმაში, რომ ტერიტორიები დაკარგა“*, ასე უპასუხა:

> „პირადად მე, ფრიად კრიტიკულად ვაფასებ იმ პოლიტიკას, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენ მიერ რუსეთის მიმართ ტარდებოდა. ამას ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ. მაგრამ ეს მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი აგვისტოს ომამდე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ძალისმიერი მეთოდით დაბრუნებას უჭერდა მხარს. მე თავად გახლავართ იმ სატელევიზიო გადაცემის მონაწილე, რომელშიც ამ თემაზე იყო საუბარი... ინტერაქტივის კითხვა ასეთი იყო – უნდა დავიბრუნოთ თუ არა ცხინვალი და აფხაზეთი ძალისმიერი მეთოდით? მაყურებელთა უმრავლესობამ ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაბრუნებას მისცა ხმა. ასე რომ, პრობლემა საზოგადოებაშიც არის. აუცილებლად უნდა შევიცვალოთ, გავხდეთ უფრო თვითკრიტიკულები, გავძლიერდეთ და დაველოდოთ იმ მომენტს, როდესაც ტერიტორიების დაბრუნება მშვიდობიანი გზით იქნება შესაძლებელი“.

დავუმატებდი მხოლოდ ერთს: *უგუნური „ურა-პატრიოტები“ ყველა ხალხს ჰყავს.* ხალხი შეიძლება აჰყვეს ამ უგუნურ ნაწილს, რადგან არასაკმარისად ან არასწორადაა ინფორმირებული. მაგრამ მთავრობამ ხალხზე მეტად უნდა იცოდეს, რის გაკეთება შეუძლია ან არ შეუძლია იმ ძალებით, რაც აქვს. თუ ის არასწორად აფასებს თავის ძალას, ის შეცდომას სჩადის, თანაც ქვეყნისათვის ძალიან სახიფათოს, შესაძლოა – საბედისწეროსაც...

* * *

2008 წლის აგვისტოს ომმა რადიკალურად შეცვალა საგარეო და საშინაო ვითარება საქართველოსათვის.

საგარეო ვითარების თვალსაზრისით დიდი ზიანი მიადგა საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკური სივრცისაკენ. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ 2008 წლის ომის შემდეგ ნატოში შესვლა უაღრესად გართულდა. ამის დასტურია გაზეთ Wall Street Journal-ისათვის პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 2009 წელს მიცემული ინტერვიუ (სააკაშვილის აიტყვების ციტირებას ვახდენ 2013 წლის 23 იანვარს *„კვირის პალიტრა“*-ში ჰეტრე მამრაძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით):

> „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს საკითხი [საქართველოს გაწევრიანება ნატოში] თითქმის მკვდარია. ეს ტრაგიკულია. თუ მათ შეძლეს მოეკლათ ნატო [მასში საქართველოს გაწევრიანების იმედი], ეს ნიშნავს, რომ რუსებმა სწორი მოსაზრებით იბრძოლეს. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ კვლავ შესაძლებელია პოლიტიკური მიზნების მიღწევა უხეში, უპატიოსნო საშუალებებით და რომ პუტინი მართალი ყოფილა. მან ბევრჯერ მითხრა. მან მითხრა, თქვენი მოკავშირეები კარგ რამეებს გპირდებიან, მაგრამ დაპირებებს ხშირად ვერ ასრულებენ: მე კარგ რამეებს არ

გპირდებით, მაგრამ რასაც გპირდებით, ყოველთვის ვასრულებ".

2008 წლის მაისში რუსეთის პრეზიდენტად არჩეულმა *დმიტრი მედვედევმა* (ვლადიმირ პუტინი ოთხი წლით პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გადავიდა; 2012 წელს ის ისევ გახდა პრეზიდენტი) ჩრდილოეთ კავკასიაში ბაზირებული 58-ე არმიის ხელმძღვანელობასთან 2012 წელს დახურული შეხვედრისას პირდაპირ თქვა (ინფორმაციამ ამის შესახებ შეგნებულად „გაჟონა" პრესაში):

„ჩვენ რომ 2008 წელს შევმდრკალიყავით, იქნებოდა სულ სხვა გეოპოლიტიკური ვითარება და ქვეყნების მთელი რიგი, რომელთა ნატოში ხელოვნურად შეთრევას ცდილობდნენ, როგორც ჩანს, უკვე იქ იქნებოდნენ".

მედვედევი აზვიადებდა ნატოს საფრთხეს რუსეთისათვის. მაგრამ ის ფაქტობრივად აღიარებდა, რომ 2008 წელს რუსეთმა ომი იმისთვის კი არ დაიწყო, რომ მომხდარიყო „*საქართველოს იძულება მშვიდობისათვის*", რასაც იქამდე ამტკიცებდა მისი პროპაგანდა, არამედ წმინდა გეოპოლიტიკური ამოცანის გადასაჭრელად. ეს იმის არაპირდაპირი აღიარებაცაა, რომ ომი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის და არა „საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის", რასაც დღემდე ამტკიცებს ოფიციალური მოსკოვი.

არაერთხელ თქმულა, რომ „*სიმართლე ომის პირველი მსხვერპლია!*" ასე იყო ამ შემთხვევაშიც, თანაც ორივე მხრიდან. განსაკუთრებით „შთამბეჭდავი" იყო რუსული პროპაგანდისტული ილეთი, როდესაც იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა პუტინმა 2008 წლის 9 აგვისტოს ტელეეთერში განაცხადა, რომ „*ქართულმა მხარემ ჩაიდინა ოსი ხალხის გენოციდი – მოკლულია ორი ათასი ოსი!*" და იქვე დასძინა, რომ სამხრეთიდან ლტოლვილი ოსებით აივსო ჩრდილოეთი ოსეთი. სიცრუე ზედაპირზე იდო: 8 აგვისტოს მომხდარ „გენოციდს" მომდევნო დილით ვერავინ დაადასტურებდა, ვერავინ დაითვლიდა მოკლულ ადამიანებს სამოქალაქო მოსახლეობისაგან წინასწარ პრაქტიკულად დაცლილ ცხინვალში, ხოლო ლტოლვილები 8 და 9 აგვისტოს უბრალოდ ვერ გაიელიდნენ როკის გვირაბს, რომელშიც ჩრდილოეთიდან მოქროდა რუსული ტანკების არმადა. სინამდვილეში, რუსული ცნობების თანახმადვე, დაიღუპა 164 (და არა 2000!) ოსი ეროვნების ადამიანი, აბსოლუტური უმრავლესობა – იარაღით ხელში. მაგრამ ეს აღიარება რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა და ჭირისუფლებისა და სპეციალისტების გარდა არავის ყურადღება არ მიუპყრია.

კრიზისის მომენტში აფორიაქებული საზოგადოება ადვილად ითვისებს ინფორმაციას. დროულად გაშვებული პროპაგანდისტული სიცრუე სამუდამოდ აღიბეჭდება რიგითი მოქალაქის (ობივატელის) გონებაში.

ომის შემდეგ ორივე მხარის ლიდერებმა სასწრაფოდ მიმართეს თავიანთთვის სასარგებლო მითოლოგიის ფორმირებას, რომელსაც თვითონვე დაუჯერეს და საერთაშორისო საზოგადოებას დარწმუნება დაუწყეს, რომ სწორედ მათი ვერსიაა სწორი.

2008 წლის 26 აგვისტოს შემდეგ „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუ-

კიდებელი რესპუბლიკები" ნაკლებ დამოუკიდებლები არიან, ვიდრე იქამდე იყვნენ. ერთმა აფხაზმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მოსწრებულად თქვა: *„2008 წლამდე ჩვენ გვქონდა დამოუკიდებლობა, 2008 წლიდან კი გვაქვს აღიარება!"* 2008 წლამდე ამ ტერიტორიების სტატუსი ოფიციალურად საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა იყო, მაგრამ მათი ლიდერები „კვაზიდამოუკიდებელ" პოლიტიკას ატარებდნენ; სოხუმსა და ცხინვალს თბილისთან მოლაპარაკების თეორიული შანსი ჰქონდათ. ახლა კი ისინი რეალურად დაექვემდებარნენ მოსკოვს, რომელიც მათ აფინანსებს და მათ „საგარეო პოლიტიკას" წარმართავს. „სამხრეთ ოსეთი" მთლიანად რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტის ხარჯზე ცხოვრობს. რუსეთმა სამხედრო იქ ბაზები დააარსა.

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკები" მხოლოდ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურად ან ფინანსურად დაკავშირებულმა რამდენიმე სახელმწიფომ (ვენესუელა, ნიკარაგუა, ნაურუ) აღიარა. რუსეთს არც სჭირდება მათი აღიარება დიდი სახელმწიფოების მიერ, რაც ისევ მოსკოვს შეუქმნის პრობლემას, განსაკუთრებით, აფხაზეთის შემთხვევაში: კრემლს ისღა აკლია, იქაც აშშ-მა და ევროკავშირმა ჩაუყონ ცხვირი!

ამ ტერიტორიების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" არაღიარების პოლიტიკა დასავლეთის სახელმწიფოების მიერ უვადოდ გაგრძელდება. ისინი ამას მხოლოდ საქართველოს ხათრით არ აკეთებენ: მათ ინტერესებშია არ დაუშვან გაეროს წევრი სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოს მიერ ძალადობრივად დანაწევრების პრეცედენტი. მაგრამ რამდენადაა „არაღიარების პოლიტიკა" ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია?

საშინაო ვითარების თვალსაზრისით ომის დროს და უშუალოდ მის შემდეგ მოხდა ქართველი ხალხის კონსოლიდაცია ხელისუფლების ირგვლივ. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

არსებობს გამოთქმა: *„გამარჯვებულებს არ ასამართლებენ"*. მაგრამ დამარცხებულებს – იცოცხლე!

ამიტომ სააკაშვილი შეეცადა შეექმნა ილუზია, რომ „აგვისტოს ომში გაიმარჯვა". ამის არგუმენტად მოჰყავდა ის, რომ შეიძლებოდა უარესი მომხდარიყო, მაგალითად, რუსის ჯარი თბილისში შემოსულიყო, რაც სწორედ მან ააცილა თავიდან საქართველოს. სინამდვილეში, კრემლის ლიდერებმა, პუტინმა და მედვედევმა ალბათ გამოთვალეს (ასეთ გათვლაში მათ საფრანგეთის პრეზიდენტი და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც უნდა წახმარებოდნენ), რომ ვერავითარ გამართლებას ვერ მოუნახავდნენ სხვა ქვეყნის დედაქალაქის აღებას: გორისა და ფოთის რამდენიმეკვირიანი ოკუპაციის გამოც კი მთელი მსოფლიო მოსკოვს კილავდა. სააკაშვილის გაძევება ან მისი ლიკვიდაცია თავიდან ნამდვილად შედიოდა კრემლის გეგმაში: ამაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა *სერგეი ლავროვმა* სატელეფონო საუბარში უთხრა აშშ-ის

სახელმწიფო მდივანს, *კონდოლიზა რაისს*, რომელმაც ეს მსოფლიოს მოსდო. ვაშინგტონი, რომელიც სამხედრო დახმარებას ვერ უწევდა საქართველოს, სამაგიეროდ, პირდაპირ გადაეფარა „დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს".

ბოლოს და ბოლოს, კრემლმა უარი თქვა თბილისში რეჟიმის ძალადობრივად შეცვლაზე. მართლაც, სად მონახავდა რუსული პროპაგანდა სააკაშვილზე უკეთეს მტერს? ნებისმიერ სხვა ქართველ ლიდერთან კრემლს მოლაპარაკება მოუხდებოდა, აქ კი საქმე ჰქონდა „აგრესორთან", რომელთან „ლაპარაკიც არ სურდა"!

სააკაშვილის რიტორიკა კი იმაზე იყო გათვლილი, რომ „დამარცხებულის გასამართლება" არ მომხდარიყო და ეფუძნებოდა ზუსტ ფსიქოლოგიურ გათვლას: ქართველი ხალხის თავმოყვარეობაზე მძიმედ მოქმედებდა ისევ დამარცხებულის როლში ყოფნა და ამიტომაც ის ეჭიდებოდა მიშას გადმოგდებულ „გამარჯვების მაშველ რგოლს".

მაგრამ ფაქტია, რომ რუსის ჯარი თბილისიდან 30-40 კილომეტრში და კასპიის ზღვის აუზიდან წამოსული მაგისტრალური მილსადენებიდან 4-5 კილომეტრში მყარად დადგა. საქართველოს ორი პროვინცია ოკუპირებულია უცხო სახელმწიფოს მიერ და მანვე ცნო მათი დამოუკიდებლობა, ანუ საქართველოს მოსწყვიტა ტერიტორიის თითქმის მეხუთედი.

პრეზიდენტ სააკაშვილის ომამდელი დაპირება, რომ მალე აფხაზეთს დავიბრუნებთ, „ფანტაზია" აღმოჩნდა: საქმეში ჩახედულმა ყველა ადამიანმა ეს ადრევე იცოდა, ისევე როგორც სააკაშვილის ქრონიკული „ფანტაზიორობა". ამ პროპაგანდისტული კამპანიის რეალური მიზანი იყო ლიდერის ირგვლივ ქართული მოსახლეობის კონსოლიდაცია, სხვა არაფერი. ომის შემდეგ შეწყდა 2007 წელს დაწყებული პატრიოტული სიმღერა, რომ *მომავალ წელს სოხუმში მივედიცვართ*, რომლითაც მთავრობა აფხაზეთიდან ლტოლვილებს მხოლოდ საღერღელს უშლიდა, ხოლო ეთნიკურ აფხაზებს – აღიზიანებდა. ომის შემდეგ ნათელი შეიქმნა, რომ მომავალ წელს სოხუმში ვერ შევალთ, და სამთავრობო პროპაგანდა ანტირუსეთულ რიტორიკაზე გადაერთო.

საბოლოოდ კი მკვეთრად შემცირდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც იქამდე პრეზიდენტსა და მის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" უჭერდა მხარს.

2012 წელი: ნორმალური პოლიტიკური პროცესის დასაწყისი?

ამ ქვეთავის სათაური კითხვის ნიშნით სრულდება, რადგან კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ არ ვიცით. იმედი ვიქონიოთ, რომ კითხვის ნიშანი აღარ დაგვჭირდება.

* * *

2009-2011 წლებში „ნაცმოძრაობა“ და მისი ლიდერი, ოპოზიციის მხრიდან ხელის შეშლის სუსტი მცდელობის მიუხედავად, მშვიდად ემზადებოდნენ საქართველოს 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო და 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მორიგი გამარჯვებისათვის.

საქართველოში „ნაცმოძრაობის“ კონტროლქვეშ იყო პარლამენტი, სასამართლო სისტემა, საკონსტიტუციო სასამართლო, პროკურატურა, არმია, პოლიცია (თეორიულად – დეპოლიტიზებული), უშიშროების სამსახური, გუბერნატორების (პრეზიდენტის რწმუნებულების) ინსტიტუტი, ადგილობრივი ხელისუფლება, მათ შორის თბილისის მერია და საკრებულო, ცენტრალური საარჩევნო კომისია. 2008-2009 წლებში „ელჩების ამბოხების“ შემდეგ, როდესაც რამდენიმე ელჩმა პროტესტის ნიშნად დატოვა თანამდებობა[51], საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ უფრო საიმედო ხალხით დაკომპლექტდა.

მმართველი პარტია და სახელმწიფო უკვე შეზრდილი იყო ერთმანეთთან, ამიტომაც პარტიული აქტივისტები ყველა საჯარო სამსახურს, ყველა სასწავლო დაწესებულებას აკონტროლებდნენ.

ადგილობრივმა მსხვილმა ბიზნესმენებმა გაფრთხილების გარეშეც იცოდნენ, რომ „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო მიზნებისათვის უნდა გაეხსნათ ფულის ტომრები და, რასაკვირველია, მთავრობის დაუკითხავად იქიდან არც ერთი თეთრი არ უნდა გადაეგდოთ ოპოზიციური პარტიებისა და არალოიალური მედიისათვის: ვისთვის იყო *საჭირო* თანხის ჩარიცხვა – სათანადო მითითებას მიიღებდნენ!

დასავლეთის მხარდაჭერა გარანტირებული იყო. კარგად ანაზღაურებული ლობისტები თავის საქმეს აკეთებდნენ: მარტო 2012 წელს საქართველოს ბიუჯეტიდან მათზე 16 მილიონი დოლარი დაიხარჯა. თანაც ამ თანხის საკმაო ნაწილი ხელზე ნაღდ ფულად გასცეს, რაც ლობისტს თავის ქვეყანაში გადასახადისგან თავის არიდების საშუალებას აძლევდა და ის „მეტი გულმოდგინებით“ მუშაობდა! ამერიკელი *„მტრედებისათვის“* სააკაშვილი იყო „დემოკრატიის შუქურა და დასაყრდენი“; იქაური *„ქორებისათვის“* კი – კარგად აპრობირებული და ადვილად გამოსაყენებელი „ანტირუსული საფრთხობელა“.

2010 წელს შეიქმნა პრაქტიკულად ახალი კონსტიტუცია, რომელიც 2014 წლიდან შევიდოდა ძალაში; მზად იყო სამართლებრივი ბაზა იმისათვის, რომ *პრეზიდენტ* სააკაშვილის ხელიდან ძალაუფლება ნარნარად გადასცემოდა *პრემიერ-მინისტრ* სააკაშვილს.

მომავალ პარლამენტში, რომლის წევრების გაზრდა 190-მდე იგეგმებოდა, დაქსაქსული და არაპოპულარული ქართული ოპოზიციური სპექტრისათვის

[51] პირველად ასე მოიქცა ლევან მიქელაძე 2007 წლის 7 ნოემბრის დემონსტრაციის დარბევის შემდეგ, რაც მართლაც გმირული ნაბიჯი იყო.

გათვალისწინებული იყო რამდენიმე ათეული ადგილი: „ნაცმოძრაობას" აბსოლუტური უმრავლესობა დარჩებოდა, 40 ან ცოტა მეტი ადგილი კი ოპოზიციასაც დააკმაყოფილებდა და დასაველეთელ დამკვირვებლებსაც. მიკროფონთან მყვირალა რამდენიმე, უკვე გაცვეთილი სახე ან პატენტიანი ტაკიმასხარა ძალიან კარგიც იქნებოდა: მათ ფონზე რეალური საქმის მკეთებელი „ნაციონალები" უკეთ გამოჩნდებოდნენ!

საბოლოოდ, 190-წევრიანი პარლამენტის შექმნაზე უარი ითქვა, რადგან „ქართული ოცნების" გამოჩენამ ასეთი ცვლილება „ნაცმოძრაობისათვის" წამგებიანად აქცია. პარლამენტი 150-წევრიანი დარჩა.

უკვე დაწყებული იყო პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა ქუთაისში, სადაც პირველი სხდომა 2012 წლის 26 მაისს უნდა ჩატარებულიყო. ფართო მინდორში მის გარშემო ყველა, ანუ ასი ათასი, ქუთაისელიც რომ გამოსულიყო საპროტესტოდ, ადგილი მაინც ცარიელი გამოჩნდებოდა! ავ და ბოროტ თბილისელებს კი იქ წასვლა ან დაეზარებოდათ, ან ბენზინის ფული დაენანებოდათ.

* * *

გარკვეული თვალსაზრისით, 2012 წელი საქართველოსათვის დაიწყო 2011 წლის 7 ოქტომბერს. იმ დღეს, „ნაციონალების" მიერ თავისთვის დიდი რუდუნებით მოწმენდილ პოლიტიკურ ცაზე მეხი გავარდა: იდუმალმა ქველმოქმედმა, მილიარდერმა *ბიძინა ივანიშვილმა*, რომლის არსებობა ზოგს *მითი* ეგონა, პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსვლა გადაწყვიტა.

პრაქტიკულად ყველამ საქართველოში მოისმინა ან წაიკითხა მანიფესტი, რომლითაც ივანიშვილმა 7 ოქტომბერს მიმართა მოსახლეობას – რომ ის აპირებს მონაწილეობა მიიღოს 2012 წლის ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში, ამისთვის შექმნის ფართო პოლიტიკურ კოალიციას და გაიმარჯვებს დიდი უპირატესობით.

კოალიციას საბოლოოდ „ქართული ოცნება" ეწოდა (ქვემოთ, შემოკლებით – „კოალიცია").

საპარლამენტო არჩევნების მოსალოდნელ შედეგზე იქამდე ხელჩაქნეულ ხალხს უცებ გაუჩნდა იმედი. საზოგადოებამ იგრძნო, რომ არსებობს მმართველი პარტიის რეალური ალტერნატივა.

ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (ბალტიის ქვეყნების გარდა) მმართველ პოლიტიკურ ძალას ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს საბიუჯეტო სახსრები საარჩევნო პროცესის წარმართვისთვის. ეს კანონდარღვევაა, მაგრამ ვინ რას ეტყვის? ოპოზიციას კი ყოველთვის აკლია ფული. საქართველოშიც მთელი ფინანსური რესურსები, კერძო ბიზნესის ჩათვლით, „ნაცმოძრაობის" განკარგულებაში იყო.

„კოალიციაში" ივანიშვილმა ჩართო იმ დროს მმართველი რეჟიმის მიმართ

ოპოზიციურად განწყობილი პარტიების საკმაოდ ფართო სპექტრი, მაგრამ მის გარეთ დატოვა ისეთი პარტიები, რომლებიც ან „ნაცმოძრაობის“ ფარული სატელიტები იყვნენ, ან საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიუღებელნი. „კოალიციის“ წევრ პარტიებს ერთგვარი გარანტია შეექმნათ, რომ მათაც ექნებოდათ საარჩევნო კამპანიის გასამართი ფინანსები. სინამდვილეში, ხელისუფლებამ სასწრაფოდ შემოიღო ახალი კანონები, რომ ივანიშვილს არ ჰქონოდა საშუალება გამოეყენებინა საკუთარი ფინანსური რესურსები. ამის გამო მან იმაზე ხუთჯერ ნაკლები დახარჯა, რის უფლებასაც ადრე არსებული კანონი აძლევდა. მაგრამ ეს ფულიც ბევრად მეტი იყო იმ გროშებზე, რომლებსაც ჩვეულებრივ ხარჯავდა ოპოზიცია არჩევნების დროს.

ივანიშვილისგან ამომრჩეველი უპირველესად ელოდა არჩევნების მოგებას და პოლიტიკურ ცვლილებას. მისი დაპირება არ ყოფილა ხალხის მატერიალური მდგომარეობის ელვის სისწრაფით გაუმჯობესება (თუმცა ამომრჩეველთა გულუბრყვილო ნაწილი ამასაც ელოდა – არამედ სამართლიანობის აღდგენა, ანუ სწორედ იმის დაბრუნება, რაც ხალხს წაართვეს და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც ხალხს აკლდა.

ამ განცხადებიდან *ერთი წლის შემდეგ* ივანიშვილმა თავისი საარჩევნო გეგმის პირველი ნაწილი შეასრულა: მისმა ახალშექმნილმა გუნდმა არჩევნები მოიგო და პარლამენტში უმრავლესობა შექმნა.

მაგრამ ეს *ერთი წელი* შედგებოდა მრავალ კრიზისგამოვლილი საქართველოსათვისაც კი უჩვეულო პოლიტიკური ვნებათაღელვის თვეების, კვირებისა და დღეებისაგან.

* * *

საჩხერის რაიონის ერთ სოფელში, გლეხის ოჯახში დაბადებულმა *ბიძინა ივანიშვილმა* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაამთავრების შემდეგ რუსეთში განაგრძო მოღვაწეობა, ჯერ სამეცნიერო სფეროში, „პერესტროიკის“ პერიოდიდან კი – ბიზნესში. იმ დროს, და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რამდენიმე წლის განმავლობაში, ყოფილი „საბჭოთა ხალხის“ დიდი ნაწილი გაკოტრდა და გაღარიბდა, ძალიან მცირე ნაწილმა კი გამდიდრება მოახერხა. მაგრამ მხოლოდ ერთეულებმა შეინარჩუნეს და გაამრავლეს ეს სიმდიდრე. ივანიშვილმა პირადი თვისებების წყალობით მოახერხა რუსეთის იმდროინდელი *беспредел*-ის (სრული განუკითხაობის) პირობებში *სიმდიდრის, სიცოცხლისა* და *კარგი სახელის* შენარჩუნება, რაც მაშინ ძალიან იშვიათი მოვლენა იყო: სამდიდრებულთაგან უმრავლესობა ერთ-ერთს მაინც კარგავდა!

XXI საუკუნის დამდეგს ის საქართველოში დაბრუნდა, აქ დამკვიდრდა და ნონიმურ ქველმოქმედებას მოჰკიდა ხელი. მან ააღორძინა საკუთარი სოფელი

ჭორვილა[52] და *საჩხერის რაიონი*. იმერეთში ეს *ერთადერთი* რაიონი იყო, რომელიც მოსახლეობას არ კარგავდა. პირიქით, იქ მოსახლეობის რიცხოვნობამ იმატა კიდეც. ივანიშვილი ეხმარებოდა ქართველ ხელოვანებსა და მეცნიერებს: ბევრი ვეტერანი მსახიობი თუ პოეტი გადაარჩინა შიმშილითა და მოუვლელობით სიკვდილს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. უმეტესწილად მისი სახსრებით აშენდა სამების დიდებული ტაძარი თბილისში, აღორძინდა რამდენიმე ასეული სხვა ეკლესია, კაპიტალურად გარემონტდა თეატრები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბევრი სხვა რამ. მშენებლობასა და რემონტს ძირითადად აწარმოებდა ივანიშვილის დაარსებული, კავკასიაში ყველაზე კარგად აღჭურვილი კომპანია „ელიტა ბურჯი", რომელიც „ნაცმოძრაობის" მთავრობამ 2012 წელს, არჩევნებამდე, დააყადაღა და მისი მანქანებისა და ტექნიკის განიავებას შეუდგა, მაგრამ მთლიანად ვერ მოასწრო ეს.

როგორც გაირკვა, ივანიშვილი 2003 წლიდან ახლოს ყოფილა „ნაცმოძრაობის" ლიდერებთან, აფინანსებდა რეფორმებს, მინისტრების, სხვა სახელმწიფო მოხელეთა და პოლიციელთა გადიდებულ ხელფასებს, პოლიციის აღჭურვას, ბევრ ახალმშენებლობას, რომლების „წითელი ლენტის" გაჭრაზე, რასაკვირველია, სახეგაბადრულ პრეზიდენტს ვხედავდით.

ჯამში ივანიშვილმა მილიარდ-ნახევარ დოლარზე მეტი მოახმარა საქართველოს აღორძინებას. ის კი არ იპარავდა ხაზინიდან, არამედ ავსებდა მას.

მანამ, სანამ ივანიშვილი ეხმარებოდა „ნაცმოძრაობასა" და სააკაშვილის ოჯახის წევრებსაც კი, ანუ 2008 წლამდე, ხელისუფლებას ის უყვარდა და არ გახსენებია მისი ფულის წარმომაელობა!

როდესაც ივანიშვილი მიხვდა (ასე მოგვივიდა ბევრ სხვასაც), რომ ულირს პოლიტიკურ ძალაზე დადო ფსონი და შეუწყვიტა მას პირდაპირი დაფინანსება, ის „ცუდი, მაგრამ ასატანი ოლიგარქი" გახდა.

მაგრამ როდესაც ივანიშვილმა გადაწყვიტა პოლიტიკაში შესვლა – რეჟიმმა ის მტრად გამოაცხადა და დაიწყო იმის მტკიცება, რომ მისი სახით *„რუსული ფე-ეს-ბეს და გაზპრომის ფული"* შემოვიდა.

* * *

2011 წლის 7 ოქტომბერს მმართველი პარტია და მისი ლიდერი ჯერ დაიბნენ, თუმცა მალევე ამოქმედდნენ და სახელმწიფოს მთელი პოლიტიკური არტილერია უძლიერესი კონკურენტის ჩასაძირად შემოაბრუნეს. მაგრამ, როგორც ბრძოლის ველის დათვალიერებამ გვაჩვენა, მათი ყუმბარები უმეტეს-

[52] ეს ისტორიული სოფელია: თედო ჟორდანიას *„ქრონიკებში"* (წიგნი II, 1897, გვ.72-75) აღნერილია გელათის მონასტერში აღმოჩენილი 1189 წლით დათარიღებული გრაგნილი, სადაც რამდენჯერმეა ნახსენები *„არგუითს* (არგვეთის) *ჭორვილა"*, რომელიც გელათის მონასტრისათვის შეუნირავს „მეფეთა მეფეს და დედუფალთა დედუფალს თამარს".

ად ადგილს გადაცილებული ან ვერმიღწეული აღმოჩნდა. ცალკეულმა მოხვედრამ კი მოწინააღმდეგე მძიმედ ვერ დააზიანა. როგორც ჩანს, ავლაბარში მძლავრობდა ისტერიკაში გარდამავალი რისხვა, რომელიც ბრძოლის დროს ძალიან ცუდი მრჩეველია.

ამოქმედდა პროპაგანდა: *„შემოვიდა დიდი რუსული ფული!", „რუსეთში გამდიდრებული მილიარდერი ცდილობს მოისყიდოს ქართველი ხალხი!" „ივანიშვილი პუტინის პროექტია!", „მას დავალებული აქვს საქართველო ჩამოაშოროს დასავლურ კურსს!"* ამ პრიმიტიულმა კლიშეებმა ვერ იმუშავა, თუმცა ისინი პრონაციონალურ მედიაში ჯერაც ჩნდება ხოლმე. „კოალიციის" სახელის გასატეხად „ნაცმოძრაობის" ლობისტები საზღვარგარეთ იყენებდნენ იმავე კლიშეებს, მაგრამ 2013 წელს ისინი მკვეთრად გაუფასურდა.

ბიძინა ივანიშვილს, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეც იყო, და მის მეუღლეს პრეზიდენტის ბრძანებულებით 2011 წლის 11 ოქტომბერს ჩამოერთვათ საქართველოს მოქალაქეობა: მალევე აღმოჩენილი დაუდევრობის გამოსწორების ნაცვლად, პრეზიდენტის სახის შესანარჩუნებლად პარლამენტმა ქვეყნის კონსტიტუციაში (!) შეიტანა ცვლილება, რომლითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ხუთი წელი ცხოვრობდა საქართველოში, მიეცა უფლება ყოფილიყო საქართველოს პარლამენტის წევრი და დაეკავებინა სამთავრობო პოსტი. ივანიშვილმა არ ისარგებლა პარლამენტში არჩევის ასეთი უფლებით.

„ნაცმოძრაობამ" სასწრაფოდ აამოქმედა იურიდიული და ეკონომიკური სანქციები. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისათვის დაფინანსების მოსასპობად ახალი კანონები მიიღეს; გაყინეს „კოალიციაში" შემავალი პარტიების ანგარიშები და მკვეთრად შეზღუდეს მათი პოლიტიკური აქტიურობის საშუალება; დაიწყეს ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანიების გაკოტრება და ზოგი გაუყიდეს კიდეც; ივანიშვილს გამოუწერეს წარმოუდგენელი სიდიდის ჯარიმები, მათ შორის ერთი 76 მილიონი (!) ლარის ოდენობისა; „კოალიციის" 60 შემომწირველს დაუყადაღეს ქონება და საკუთარი ბინებიდან საჯაროდ გამოყარეს; ოპოზიციურ პარტიებზე და მათ მხარდამჭერ პირებზე მიუშვეს სახელმწიფო აუდიტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ულმობელი კონტროლიორი ქ-ნი *მოგელაძე* (რომლის უკვდავი გამოსახულების კოლაჟი სიკვდილის ცელით ხელში გამოაქვეყნა *„კვირის პალიტრამ"*); „კოალიციის" მომხრეებს ან მათი ოჯახის წევრებს აგდებდნენ საჯარო სამსახურიდან; ორი ოპოზიციური ტელეარხის თბილისის გარეთ ჩვენების შესაზღუდად საკაბელო ტელევიზიას *„გლობალ-1"*-სა და ტელეარხ *„მაესტროს"* სატელიტური თეფშები დაუყადაღეს და მათი გაყიდვა პრაქტიკულად აკრძალეს; თბილისის სამარშრუტო ტაქსებში მოხსნეს რადიომიმღებები, რომ მგზავრებს არ მოესმინათ რამდენიმე ოპოზიციურ ტალღაზე გადაცემული „მავნე აზრები"; „კოალიციისათვის" მინიჭებული

საარჩევნო „№ 7“ ლამის უკანასკნელ მომენტში შეუცვალეს „№ 41“-ით, იმ მიზნით რომ მას ვერ მოეხერხებინა ადრე მომზადებული სიმბოლიკის გამოყენება; წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებას“ თბილისში არ შეახვედრეს არც ერთი ბანერი, რომელზეც მას თავისი კანდიდატების რეკლამა შეეძლო განეთავსებინა: დედაქალაქი მოფენილი იყო მხოლოდ „ნაცმოძრაობისა“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატთა გვარებითა და სურათებით. გამოყენებული იქნა პოლიტიკური მზაკვრობის ათასი სხვა ხერხიც.

ყველაფერი ზემოჩამოთვლილი ახლა გვეჩვენება ლამის ანეგდოტურ ფაქტებად და წვრილმან სისაძაგლეებად, მაგრამ არჩევნებამდე ამას ძალიან ავისმომასწავებელი სახე ჰქონდა.

საარჩევნო კამპანიის დროს საქართველოში ჩამოვიდა უნგრეთის პრემიერ-მინისტრი *ვიქტორ ორბანი* (საკმაოდ ოდიოზური პოლიტიკური ფიგურა, რომლის მართვის ავტორიტარულ მეთოდს ევროკავშირი ხშირად აკრიტიკებს) და ქართველ ხალხს მიმართა მოწოდებით, მხარი დაეჭირა „ნაცმოძრაობისათვის“. ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში ამ საგარეო ჩარევას თუ რამ შედეგი მოჰყვა, ზუსტად – განზრახვის საწინააღმდეგო.

საქართველოს მთელი საბანკო სექტორის (და შესაბამისად, ეკონომიკის) სრული კრახი შეეძლო გამოეწვია 2011 წლის ნოემბერში პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, რომლის თანახმადაც კომერციულმა ბანკებმა პირველი იპოთეკარის უფლება დაკარგეს და ეს უფლება სახელმწიფოს გადაეცა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მმართველი პარტიის წარმომადგენლები ამ კანონის შემოღებას იმით ასაბუთებდნენ, რომ „*მთელი ცივილიზებული მსოფლიო ასეთი კანონით მუშაობს*“. დეტალებში რომ არ ჩავღრმავდე, კანონის ერთადერთი მიზანი იყო ივანიშვილების ოჯახის კუთვნილი „ქართუ ბანკის“ გაკოტრება. ყველა სხვა ბანკის ხელმძღვანელობამ დადუმება არჩია, რადგან იცოდა, რომ კანონი მათ არ შეეხებოდა. ხუთი თვის შემდეგ, როდესაც „ქართუ ბანკმა“ 190 მილიონი ლარით იზარალა, იმავე პარლამენტმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აღადგინა კანონის ძველი რედაქცია. „*ცივილიზებული მსოფლიოს პრაქტიკა*“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, როგორც ჩანს, დაავიწყდა! უბრალოდ, ამ ვადის გადაცილების შემდეგ კანონი ავტომატურად გავრცელდებოდა სხვა ბანკებზეც და ქვეყნის ეკონომიკა მართლაც დაიქცეოდა!

ზარალი „ქართუ ბანკს“, რასაკვირველია, არ აუნაზღაურეს.

განა ეს არ არის მმართველი პარტიისა და მისი ლიდერის მიერ პარლამენტითა და ეროვნული ბანკით დანაშაულებრივი მანიპულირების ფაქტი? პრეზიდენტი კი 2012 წლის ბოლოს ყალბი აღშფოთებით ამბობდა, რომ მას, *თურმე*, დააბრალეს „ერთი ბანკის გაკოტრების მცდელობა!“

2012 წლის 21 დეკემბერს საქართველოს 13-მა კომერციულმა ბანკმა თავისი

არაკოლეგიალური ქცევისათვის ბოდიში არ მოიხადა, მაგრამ ერთობლივი განცხადებით აღიარა, რომ

> „საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ერთ კომერციულ ბანკს – „ბანკ ქართუს". დაუშვებლად მიგვაჩნია ნებისმიერი ქმედება სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც მიზნად ისახავს კომერციული სტრუქტურისადმი ზიანის მიყენებას".

ფრთხილი ბანკირები სიმამაცეს ვერ გამოიჩენდნენ ერთი წლით ადრე, როდესაც „ქართუ ბანკის" წინ საქართველოს უბრალო მოქალაქეების რიგი იდგა, რომლებსაც შ ე ა ქ ო ნ დ ა იქ თავიანთი მწირი დანაზოგი, რომ არ დაეშვათ მისი გაკოტრება. ხალხის ეს რიგი უცხოელთა გაოცებას იწვევდა: ისინი მიჩვეულნი არიან, რომ ცუდ დღეში ჩავარდნილი ბანკიდან ხალხი ფულის გ ა მ ო ტ ა ნ ა ს ცდილობს!

თუმცა 2012 წელს ტარდებოდა საპარლამენტო და არა საპრეზიდენტო არჩევნები, „ნაცმოძრაობის" საარჩევნო კამპანიას სათავეში ჩაუდგა თავად პრეზიდენტი, ამავე დროს – პარტიის თავმჯდომარე. მისი ენერგია მართლაც უშრეტი იყო! ის დაქროდა შვეულმფრენით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ტელეკამერების წინ ზედიზედ ხსნიდა სადაზღვევო კომპანიების მიერ აშენებულ ან გარემონტებულ საავადმყოფოებს (ზოგი დაუმთავრებელი იყო!), ხვდებოდა სოფლის მცხოვრებლებს, მასწავლებლებსა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს: ბავშვები განსაკუთრებული ენთუზიაზმით ყვიროდნენ: „მიშა!" „მიშა!"

ბიძინა ივანიშვილმა კარგა ხანს აცალა მმართველ პარტიას საარჩევნო კამპანიის უპასუხოდ წარმართვა. მის ზოგიერთ მომხრეს მოუთმენლობაც კი დაეტყო. „კოალიციამ" მხოლოდ 27 მაისს დაიწყო თავისი საარჩევნო კამპანია და ჩაატარა სულ 12 რეგიონული მიტინგი, სადაც შეკრებილ ათი ათასობით ადამიანს ივანიშვილმა მიმართა. ოთხი თვის შემდეგ, 29 სექტემბერს, დასკვნით მიტინგზე თბილისში, „ქართული ოცნების" მხარდამჭერი ნახევარ მილიონამდე ადამიანი გამოვიდა. ივანიშვილი დღითი დღე იზრდებოდა, როგორც პოლიტიკოსი. ამას ამომრჩეველი ამჩნევდა.

არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე, 18 სექტემბერს დამოუკიდებელმა ტელევიზიებმა *„მაესტრომ"* და *„TV9"*-მ აჩვენეს „ნაცმოძრაობის" მმართველობის პერიოდში დასავლური სტანდარტებით აშენებულ გლდანის № 8 საპყრობილეში პატიმრებისადმი სასტიკად მოპყრობის შემზარავი კადრები. ამას მოჰყვა სტიქიური დემონსტრაციები თბილისში, რომელთაც თსუ სტუდენტობა ჩაუდგა სათავეში.

მმართველი რეჟიმის ისედაც გატეხილი სახელი სულ ძირს დაეცა. „ნაცმოძრაობის" *ანტისიმბოლო გახდა ცოცხი*, რომლითაც პატიმრებს ანამებდნენ.

უკანასკნელ მომენტში რეჟიმმა სცადა ვითარების შემობრუნება: სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი გადადგა,

ისევე, როგორც მისი ერთ-ერთი წინამორბედი (იმ დროისათვის შინაგან საქმეთა მინისტრად გადაყვანილი); სასჯელაღსრულების მინისტრად დაინიშნა, როგორც მერე გაირკვა, სულ ორიოდე კვირით, ერთი ახალგაზრდა კაცი; წამებაში ეჭვმიტანილების ნაწილი დააპატიმრეს. მაგრამ ეს ვეღარაფერს შეცვლიდა. ბედის ბორბალი კარგა ხანია ტრიალებდა „ნაცმოძრაობის" წინააღმდეგ!

„ნაცმოძრაობის" დიდი ძალისხმევა, მის მიერ დახარჯული ფული წყალში გადაყრილი აღმოჩნდა: ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ყურადღება არ მიაქცია ბანერებს, ტელერეკლამას, ბუკლეტებს, „მიმაგრებულ ამხანაგებს", „კოორდინატორებს". 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა ძირითად ოპოზიციურ ძალას – კოალიცია „ქართულ ოცნებას".

„კოალიციის" სიაში პირველ ნომრად არ ეწერა საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ სწორედ ის გახდა პრემიერ-მინისტრი და შექმნა მთავრობა.

იდეა, რომ საქართველოში ახალი წელთაღრიცხვა დაიწყებოდა 2003 წლის 23 ნოემბრიდან, „ვარდების რევოლუციის" დღიდან, განუხორციელებელი დარჩა. ვარდები დაჭკნა!

* * *

„კოალიციამ" პროპორციული წესით ხმების 55 პროცენტი მიიღო და ამან 44 მანდატი მოუტანა მას. 73 მაჟორიტარული ოლქიდან მან 41-ში მოიგო. მისი შედეგი, ალბათ მეტიც იქნებოდა, რომ არა სერიოზული დარღვევები: სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მთიან აჭარაში, სამეგრელოში, ზოგ სხვა სასოფლო რაიონში, სადაც „ნაცმოძრაობამ" მოიგო, აღინიშნებოდა მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის მაქსიმალური გამოყენება, ზეწოლა ამომრჩეველზე, საჯარო სამსახურის მობილიზაცია, რომლის მუშაკებსა და მათი ოჯახის წევრებსაც დაევალათ, არ მიეცათ ხმა „კოალიციისათვის". იყო პირდაპირი გაყალბებაც, მაგალითად, ხაშურისა და ზუგდიდის რაიონებში.

თბილისის ათივე რაიონში, ყველა დიდ და საშუალო ქალაქში, სადაც მოსახლეობაც უფრო გათვითცნობიერებული, დამოუკიდებლად მოაზროვნეა და დამკვირვებლებიც იქ მრავლად იყვნენ, „კოალიციამ" დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

„ნაცმოძრაობამ" ხმების 40 პროცენტი დააგროვა ძირითადად სოფლებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში. ამან 33 მანდატი მისცა მას, რასაც მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვებული 32 დეპუტატი დაემატა, თუმცა მათგან ათიოდე მალევე გაემიჯნა „ნაცმოძრაობას". „ნაცმოძრაობის" ხმების 40 პროცენტი არარეალურად გამოიყურებოდა. მაგრამ ამაზე პროტესტი აღარ გაგრძელებულა.

რეალურად, *არჩევნებს უფრო საპროტესტო ხასიათი ჰქონდა:* ამომრჩეველს უნდოდა ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინა მმართველი პარტია თავის

ლიდერთან ერთად, რომელიც ცოცხალი თავით არ თმობდა ძალაუფლებას.

როგორც ივანიშვილმა თავის პირველსავე განცხადებაში იწინასწარმეტყველა, „*შუა გაიკრიფა*“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვერც ერთმა პარტიამ, გარდა „კოალიციისა“ და „ნაცმოძრაობისა“, ერთი დეპუტატიც კი ვერ გაიყვანა პარლამენტში. ვერც ერთმა სხვა პარტიამ ვერ მოაგროვა ხმების 2 პროცენტზე მეტი.

2012 წელს ამომრჩეველმა არ ისურვა უდროო ექსპერიმენტების ჩატარება და სხვადასხვა პარტიებზე ხმების გაფანტვა: თავის ერთადერთ ხმას ის აძლევდა ერთადერთ ძალას, რომელსაც შეეძლო მანამდე ცხრა წლის განმავლობაში უცვლელი მმართველი ძალის ხელისუფლებიდან ჩამოშორება, ანუ კოალიცია „ქართულ ოცნება“; ან პირიქით, თუ არსებული ხელისუფლების შენარჩუნება სურდა – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.

სხვადასხვა ენაკვიმატი დემაგოგების, სახელგატეხილი ბრძენების, ინტელიგენტი „ლუზერების“ და სხვების ადგილი ამ პარლამენტში არ აღმოჩნდა. იქნებ, მომავალ პარლამენტში აღმოჩნდეს?

კარგია თუ ცუდი ორპარტიული პარლამენტი? ყოველ შემთხვევაში უკეთესია, ვიდრე ერთპარტიული, აქამდე რომ გვქონდა.

მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. მომავალში, როდესაც საქართველოს პარლამენტი პოლიტიკურად აჭრელდება და ძნელად სამართავი გახდება, იქნებ სევდით მოვიგონოთ ორპარტიული საკანონმდებლო ორგანო?

თვალწინ გვაქვს *იტალიის რესპუბლიკის* მაგალითი, სადაც პარლამენტში შესული უამრავი პარტია ხშირად ვერ თანხმდება მთავრობის შექმნაზე და პრეზიდენტის არჩევაზეც კი. *ისრაელის* 120-წევრიან *ქნესეთში* (პარლამენტში), სადაც მოსახვედრად პარტიამ არჩევნებში მონაწილეთა 1,5-პროცენტიანი ბარიერი უნდა დაძლიოს, 1948 წლიდან (ანუ პირველი ქნესეთის არჩევიდანვე) დღემდე არც ერთ პარტიას არ მოუპოვებია ადგილების ნახევარიც კი. ამიტომ ქნესეთში ყოველთვის იქმნება სამთავრობო კოალიცია, რომელიც ორ-სამ წელზე მეტ ხანს ვერ ძლებს. არც ერთ ქნესეთს არ უმუშავია კანონით დადგენილი ოთხი წლის მანძილზე: ყოველთვის რიგგარეშე არჩევნები ტარდება.

ამასთან ერთად, მრავალფეროვანი პარლამენტი იმის საწინდარია, რომ არავის ექნება ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების საშუალება.

ე.წ. „მესამე ძალა“ თავისით გაჩნდება, თუკი ამჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობა ვერ შეასრულებს თავის დაპირებებს, ან საპარლამენტო უმცირესობა კიდევ უფრო დაკარგავს ავტორიტეტს.

მანამ, სანამ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი იქნება (მან რამდენჯერმე განაცხადა, რომ დროებითაა ამ პოსტზე), კოალიცია არ დაიშლება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „კოალიცია“ დაიშლება მას შემდეგ, რაც მოიხსნება „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური რევანშის საფრთხე, ეს კი უკვე 2014 წელს შეიძლება მოხდეს.

„კოალიცია", მართლაც, იდეოლოგიურად მრავალფეროვანია: მასში შედიან როგორც პროდასავლური და ლიბერალური იდეოლოგიის მატარებელი „რესპუბლიკური პარტია" – მგონი, ერთადერთი პარტია მდგრადი იდეოლოგიით, „თავისუფალი დემოკრატები", რომელსაც ასევე გამოკვეთილი ორიენტაცია აქვს დასავლურ ღირებულებებზე – ისე „ტრადიციულ ქართულ ფასეულობებზე" ორიენტირებული პოლიტიკური სუბიექტები.

მაინც მგონია, რომ „კოალიციის" დაშლა საქართველოს ინტერესებში არ შედის: მასში შემავალმა პარტიებმა, ჯობია, ოთხი წელი ითანამშრომლონ!

ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებული საკუთრივ „ქართული ოცნება", როგორც ცალკე პარტია, თითქოს ამჟღავნებს მიდრეკილებას ევროპული სოციალ-დემოკრატიისაკენ. ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

საერთოდ, პარტიები მდგრადია, თუ მისი წევრები ერთიანდებიან რაღაც იდეის გარშემო და არა მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მისაღწევად. ამ თვალსაზრისით, „ნაცმოძრაობის" მომავალი არცთუ ვარდისფერი მეჩვენება: სახელისუფლებო პარტიის იდეოლოგია მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნაა! ვნახოთ, რას მოუტანს მათ „რებრენდინგი".

არჩევნების უმთავრესი დაუყოვნებელი შედეგი ის იყო, რომ გაქრა შიში. ხალხმა თავისუფლად დაიწყო ტელეფონით საუბარი; ხალხმა თავისუფლად შეძლო თავისი პროტესტის გამოხატვა. მაგალითად, გაიმართა გაფიცვები ეკონომიკური მოტივით, რასაც წინა მთავრობა დაუყოვნებლივ დაარბევდა, რომ „ცუდი პრეცედენტი" არ დაეშვა.

შიშის გაქრობას მოჰყვა კანონდარღვევებიც. მაგალითად, მართლაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ლტოლვილებისა ან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ სახელმწიფოს ან კომპანიების კუთვნილ სახლებში შეჭრა, გამგეობების ბლოკირება, გზების გადაკეტვა და ა. შ. ზოგიერთი ასეთი რამ წმინდა სუბიექტური მიზეზებით ხდებოდა და ახალი მთავრობა ვალდებული იყო მიეღო ზომები პროტესტის გამოხატვის ექსტრემალური ფორმების მიმართ. *მაგრამ მუდმივი თვალთვალისა და მიყურადების შიშს ისევ ეს სჯობია.*

ახალი პარლამენტის მიერ ამნისტიის შესახებ მალევე მიღებული კანონის შემდეგ პრაქტიკულად *განახევრდა პატიმართა რაოდენობა* საქართველოს ციხეებში.

* * *

უნდა ითქვას, რომ არჩევნების წაგების შემდეგ სააკაშვილმა სწრაფად აიყვანა ხელში საკუთარი თავი. 1 ოქტომბრის გვიან საღამოს მან აღიარა „ნაცმოძრაობის" დამარცხება. სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთის ფედერაციის, ბელარუსის „პოსტსაბჭოთა სივრცეში" პირველი შემთხვევა იყო, როდესაც იქამდე მმართველი პარტია *არჩევნების გ ზით* იცვლებოდა და

გადასცემდა ხელისუფლებას გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას.

რატომ გადადგა პრეზიდენტმა ასეთი ნაბიჯი?

დადიოდა ხმები, რომ სააკაშვილმა ცნო დამარცხება ამერიკის ელჩის რეკომენდაციით. მაგრამ, ლოგიკურია დავუშვათ, რომ მან და მისმა გარემოცვამ თავადაც სწრაფად გათვალეს, რომ მასობრივი გაყალბება, რაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაუვიდათ, ახლა დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, მეტადრე თბილისში, რომელიც ადრე მმართველმა პარტიამ პირწმინდად წააგო. ხალხის რისხვის ძალა „ნაცმოძრაობისათვის" ნათელი უნდა ყოფილიყო. არჩევნებს უამრავი დამკვირვებელი ესწრებოდა; სხვადასხვა ეგზიტ-პოლების შედეგები ერთხმად აჩვენებდნენ „კოალიციის" *ზვავისებრ გამარჯვებას* (ეს ამერიკული *landslide victory*-ის კალკია, თუმცა იქ „მეწყერთანაა" შედარება!).

„დასავლური მეთოდით", ტელევიზიის მეშვეობით დამარცხების აღიარება ისევ „პირველ რეფორმატორად" წარმოაჩენდა სააკაშვილს ევროპელთა და ამერიკელთა თვალში. რეალურად კი ეს იყო, როგორც ფრანგები იტყვიან, *„Faire bonne mine á mauvais jeu"*[53] .

ამავე დროს, არჩევნებში პარტიის დამარცხების აღიარება სულაც არ ნიშნავდა სააკაშვილის წასვლას პოლიტიკური არენიდან: ის პრეზიდენტად რჩებოდა კიდევ ერთი წლის განმავლობაში; მისი გავლენის ქვეშ იყო თბილისის მერია, ადგილობრივი ხელისუფლება, სასამართლო, საელჩოები, ეროვნული ბანკი. დამარცხების აღიარების მომენტში მოდიოდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატების უმეტესობა იმარჯვებდა და პარლამენტში „კოალიციის" უპირატესობა დიდი არ იქნებოდა. ასეთ პირობებში უკან დახევა კარგად მომზადებულ პოზიციებზე იქიდან სწრაფი რევანშის აღების მოლოდინს ქმნიდა.

სინამდვილეში, „ნაცმოძრაობის" მარცხი უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ის ელოდა. თვით სააკაშვილმა აღიარა, რომ მისი პარტია „ნოკდაუნში" ჩავარდა, თუმცა „ნოკაუტს" უარყოფდა! „ნაცმოძრაობის" სახელით არჩეული მაჟორიტარების ნაწილი სწრაფად გვერდზე გადგა და პარლამენტში შექმნა დამოუკიდებელი, მაგრამ უმრავლესობის მხარდამჭერი ფრაქცია. მართალია, „კოალიციამ" ვერ შეადგინა საკონსტიტუციო უმრავლესობა, ანუ 100 დეპუტატი 150-დან, მაგრამ საკმაოდ მიუახლოვდა მას: პარლამენტის 2012 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნების შემდეგ 86 მანდატს ფლობს და მხარდამჭერ ფრაქციებთან ერთად 96 ხმის შეგროვების იმედი შეუძლია ჰქონდეს.

არჩევნების მეორე დღესვე საქართველოდან გაიქცნენ იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრები, მთავარი პროკურორი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (უშიშროების სამსახურის) ხელმძღვანელი,

[53] სიტყვასიტყვით: *„კარგი გამომეტყველების მილება ცუდი თამაშის დროს"*, ანუ „იხტიბარის არგატეხა".

„ციხის სკანდალთან“ დაკავშირებული და სხვა სახელგატეხილი პირები, რომლებსაც დანაშაულისათვის პასუხის მოთხოვნისა შეეშინდათ.

მაგრამ სხვა მინისტრები კაბინეტებში დარჩნენ: „ნაცმოძრაობის“ მთავრობა 1-დან 20 ოქტომბრამდე ასრულებდა მოვალეობას და ინტენსიურად წვავდა ან ქაღალდის საფქვავით ანადგურებდა ყველა დოკუმენტს, რომლითაც გამოჩნდებოდა უკანონო მოსმენები, დაპატიმრებები, პროვოკაციები, საეჭვო გარიგებები, ელიტური კორუფცია და ა.შ.

ალბათ, ამ ოც დღეში გაქრა ბევრი სამხილი, რომელთა გარეშეც ვერ უმტკიცებს დანაშაულს ყოფილ მინისტრებს პროკურატურა. თანაც პროკურორებად ისევ ის ხალხი მუშაობს (ამდენი ახალი კადრები, უბრალოდ, არ არის), ვინც „ნაცმოძრაობის“ ეპოქაში ბატონობდა სასამართლოზე, სადაც იგივე მოსამართლეები დარჩნენ, რომლებიც „პროკურატურის ბატონობის“ ხანაში ასამართლებდნენ ხალხს.

* * *

გამარჯვებულმა კოალიციამ შექმნა მთავრობა *პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის* ხელმძღვანელობით და დაიწყო მუშაობა წინასაარჩევნო დაპირებების შესასრულებლად.

ახალმა მთავრობამ ბევრ სამინისტროში (მაგალითად, საგარეო საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, რეინტეგრაციის, ჯანდაცვის და ა.შ.) პრაქტიკულად მთლიანად შეინარჩუნა საჯარო სამსახურის მოხელეები. სამართლებრივ სახელმწიფოში სწორედ ასე უნდა ხდებოდეს: საჯარო სამსახური დეპოლიტიზებული უნდა იყოს, მხოლოდ მინისტრები და მისი მოადგილეები უნდა იცვლებოდნენ. ამრიგად, ჩვენ გვაქვს ნორმალური პოლიტიკური პროცესისაკენ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი.

პრობლემა ისაა, რომ ყოფილმა მმართველმა ძალამ თავის დროზე თითქმის ყველგან მოახერხა საჯარო მოხელეების პოლიტიზება. მაგრამ ზოგიერთი ასეთი პირის დათხოვნაც კი (მაგალითად, ადგილობრივი გამგეობებიდან) დაუშვებელი იყო და ახალ ხელისუფლებას ეს ნაკლად ეთვლება.

ახალი მთავრობისათვის მუშაობის დაწყება არ აღმოჩნდა მარტივი საქმე იმ პირობებში, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი ოპოზიციაში გადავიდა ისე, რომ ძალაუფლების მრავალი ბერკეტი შეინარჩუნა. დედაქალაქს ისევ „ნაცმოძრაობა“ მართავდა. სააკაშვილმა განაცხადა, რომ არ სურს იყოს *„კოჭლი იხვი“*[54] და რომ ქვეყანაში *„ორხელისუფლებიანობაა“*. 2013 წლის მაისამდე მან ხუთჯერ დაადო ვეტო პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს. ვეტოს გამოყ-

[54] ამერიკაში წარმოშობილი ტერმინი „lame duck“ (კოჭლი იხვი) გამოიყენება პრეზიდენტის მიმართ, რომელმაც დაამთავრა მეორე (და უკანასკნელი) ვადა, მაგრამ თითქმის სამი თვის განმავლობაში განაგრძობს მუშაობას, სანამ მომდევნო პრეზიდენტს გადააბარებს საქმეებს.

ენების ფაქტი საქართველოს ისტორიაში მანამდე არ გვქონია!

განსხვავებით 2003 წელს ხელისუფლებაში მოსული „ნაცმოძრაობისაგან", რომელსაც *მცირეოდენი წინააღმდეგობა* თუ შეხვდა და ისიც არაორგანიზებული, 2012 წლის 1 ოქტომბერს არჩევნებში გამარჯვებულ კოალიცია „ქართული ოცნებას" *დიდი და კარგად ორგანიზებული წინააღმდეგობა* შეხვდა, რომელიც 2013 წლის პირველ ნახევარში დაძლეული არ არის და ალბათ, ოქტომბრამდე, საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაგრძელდება.

მანამდე კი, გარდა მეტოქე პარტიის კრიტიკისა, რაც სავსებით ნორმალურია, ყოფილი მმართველი პარტიის ხელმძღვანელი, იგივე საქართველოს პრეზიდენტი, საერთაშორისო დონეზე ცდილობდა გაეტეხა სახელი „ქართული ოცნებისა" და მისი ლიდერისათვის. მისი ემისრები და ლობისტები საზღვარგარეთ აქტიურად საქმიანობდნენ ახალი მთავრობის დისკრედიტაციისათვის. თვით პრეზიდენტი სააკაშვილი ჩნდებოდა იმავე ქვეყანაში, სადაც უკვე ნამყოფი იყო ან უნდა ჩასულიყო პრემიერ-მინისტრი. ბიძინა ივანიშვილის საზღვარგარეთ პირველი ვიზიტის დროს პრეზიდენტი პარალელურად ხვდებოდა იმავე ლიდერებსა და ჯგუფებს, რომელთაც პრემიერ-მინისტრის გაცნობა აინტერესებდათ. ეს, სულ ცოტა, გაკვირვებას იწვევდა ჩვენ პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის სერიოზული ოპოზიციონერი არ აკრიტიკებს თავის მთავრობას საზღვარგარეთ. 1947 წელს, მაშინ ოპოზიციაში მყოფმა *სერ უინსტონ ჩერჩილმა* ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში განაცხადა: *„როდესაც საზღვარგარეთ ვარ, წესად მაქვს, არასოდეს არ გავაკრიტიკო და არ შევუტიო ჩემი ქვეყნის მთავრობას. დაკარგული დროის ანაზღაურებას მე შინ ყოფნისას ვახერხებ!*" ეს საყოველთაოდ მიღებული წესია. მაგრამ მიხეილ სააკაშვილი ამ დაუწერელ წესს არ ცნობდა. მაგალითად, ასე მოიქცა ის 2013 წლის 21 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე გამოსვლისას, როცა ახალი ხელისუფლების საჯარო კრიტიკის გარდა ისიც კი თქვა, *რუსული ენა ივანიშვილზე უკეთ ვიცი!*

თუმცა ქართული საზოგადოების საგრძნობი ნაწილი მოითხოვდა და ელოდა ყოფილი ხელისუფლების მრავალი წევრის გასამართლებასა და დასჯას, პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას, ეს არაპერსპექტიული და კონტრპროდუქტიული აღმოჩნდებოდა. ამას ჩვენი დასავლეთელი სტრატეგიული მოკავშირეებიც არ მოგვიწონებდნენ. ისინი *„კოჰაბიტაციისაკენ"*[55] მოგვიწოდებდნენ. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმაც თქვა, რომ თავის პოლიტიკურ ოპონენტებს ისე კი არ მოექცევა,

[55] Cohabitation (ფრ.), სიტყვასიტყვით „[პოლიტიკური] თანაცხოვრება". ტერმინი გამოიყენება საფრანგეთის „მეხუთე რესპუბლიკაში" და ზოგ სხვა სახელმწიფოში, სადაც ხდება ხოლმე, რომ პრეზიდენტი და მთავრობა განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პარტიებს ეკუთვნიან.

როგორც ისინი იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც საქართველოს ეკადრება.

„კოჰაბიტაცია" რთული, მაგრამ მაინც შესაძლებელი პროცესია, მით უმეტეს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრ დეპუტატებს შორისაც არიან კორუფციაში გაუსვრელი, გონიერი და არადოგმატურად მოაზროვნე ადამიანები. 2013 წლის მარტში მათ დაამტკიცეს კიდეც ეს, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობამ და უმცირესობამ ერთხმად მიიღეს დეკლარაცია *საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის უცვლელობის შესახებ* და შეიტანეს ცვლილებები კონსტიტუციაში *პრეზიდენტის აბსოლუტური ძალაუფლების შესაზღუდავად*.

ახალ მთავრობას ყველაზე მეტად გაუჭირდა ხალხის უმთავრესი მოთხოვნის შესრულება – *უსამართლობის ჩამდენთა დასჯა*. მთავრობამ უნდა იმოქმედოს კონსტიტუციურ ჩარჩოებში, ის ვერ მოახდენს ზეწოლას სასამართლოზე. უამრავი დაკითხულიდან (რასაც „ნაცმოძრაობის" ლიდერები „პოლიტიკურ დევნად" აცხადებდნენ) სულ რამდენიმე კაცი დაკავებული და მათაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ბრალდებები წარედგინა. მაგრამ ესაა დემოკრატია. კლასიკური მაგალითია,1920-იანი წლების ამერიკაში ყველასთვის ცნობილი განგსტერისა და კაცისმკვლელის *ალ კაპონეს* გასამართლება და 1931 წელს ციხეში ჩასმა მხოლოდ გადასახადების გადაუხდელობის გამო, რადგან სხვა ბრალდებებს ვერ უმტკიცებდნენ.

ევროპული კავშირისა და აშშ-ის დამოკიდებულება საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილების მიმართ თავიდან ორაზროვანი აღმოჩნდა. ერთი მხრივ, დემოკრატიული პროცესი, ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარების პროცესი თითქოს უნდა მოსწონებოდათ. მეორე მხრივ, არჩევნებში გამარჯვებულ მხარეს იცნობდნენ მხოლოდ დასავლეთის მედიაში ერთხანს გავრცელებული კლიშეთი: *„რუსეთში გამდიდრებული მილიარდერი ივანიშვილი მძაფრადაა დაპირისპირებული დასავლეთში განათლებამიღებულ სააკაშვილთან"*.

2013 წლის 22 მარტს ამერიკელმა პოლიტოლოგმა *კორი უელთმა* ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამერიკის ხელისუფლებას ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა მიღწევები და პრობლემები ჰქონდა საქართველოს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში:

> „2012 წლისათვის უკვე რთული იყო [სააკაშვილის მმართველობის პერიოდის] პრობლემების დამალვა... [ამასთან] ამერიკის ხელისუფლებას არ ეგონა, რომ ქართული საზოგადოების ასე დიდი ნაწილი უჭერდა მხარს ცვლილებებს. აშშ-ში ფიქრობდნენ, რომ თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებაში დარჩებოდა, ვაშინგტონი შეძლებდა მის დარწმუნებას, რომ საჭირო იყო დანყებული რეფორმების გეზის გაგრძელება... ვაშინგტონი პრეზიდენტ სააკაშვილს უპირობოდ არ უჭერდა მხარს. ის ხაზს უსვამდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ არჩევნებს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებდა".

ზოგიერთი რუსი ექსპერტის თვალსაზრისი, რომ *„ივანიშვილი ამერიკის ისეთივე პროექტია, როგორიც სააკაშვილი“*, თითიდანაა გამოწოვილი. კოალიცია „ქართული ოცნება“ გამარჯვება ქართველი ხალხის გადასაწყვეტი იყო და არა ვაშინგტონის, ბრიუსელისა თუ მოსკოვის.

არჩევნების ჩატარებიდან ორიოდე თვის შემდეგ დასავლეთის პოლიტიკოსებისა და მედიის ტონალობამ შეცვლა დაიწყო. თუ არ ჩავთვლით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის *„ევროპის სახალხო პარტიის“* 23 დეპუტატისაგან შემდგარ, საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ ჯგუფს, სერიოზულმა დასავლეთელმა პოლიტიკოსებმა კოალიცია „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერის მოქმედებასა და სიტყვებში დაინახეს წინდახედულება, ზომიერება და პრაგმატიზმი. მათ ისიც ირწმუნეს, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორი არ შეცვლილა, უფრო მეტიც, რეალურად გახდა ორიენტირებული ევროპულ ფასეულობებზე. ეს აღნიშნა საქართველოში შვეიცარიის ელჩმა *გიუნთერ ბეხლერმა* თავის უპრეცედენტო ღია წერილში პრემიერ-მინისტრის მიმართ (ჩვეულებრივ, დიპლომატი საჯაროდ არ აფასებს ხოლმე თავისი ადგილსამყოფელი ქვეყნის ხელისუფლების მოქმედებას).

რუსეთთან კონფრონტაციული ტონის ნაცვლად ახალი ხელისუფლების მიერ უფრო ზომიერის არჩევას (რასაკვირველია, საქართველოს „წითელი ხაზის“ გადაულახავად: იხ. თავი 31, ქვეთავი „ჩვენი მეზობელი რუსეთი“), მასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების აღდგენას ევროპულ კავშირსა და აშშ-ში არავინ გვითვლის „პრორუსულ პოლიტიკად“.

გერმანიის ბუნდესტაგისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრმა *ვიოლა ფონ კრამონმა*, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს, 2013 წლის აპრილში აღნიშნა:

> „ახალმა ხელისუფლებამ განსაზღვრა გადაუდებელი პრიორიტეტები სამართლებრივი სისტემის გასაუმჯობესებლად და ახალი სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად. ხელისუფლებამ მიაღწია მნიშვნელოვან წინსვლას კიდევ უფრო დემოკრატიული საზოგადოების შესაქმნელად. აღდგენილია სიტყვის თავისუფლება, ასევე შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. დასრულდა პოლიტიკური ჩარევა საჯარო დაწესებულებების მუშაობაში. ხელისუფლება ეძებს და ხშირად პოულობს კიდეც კომპრომისულ გადაწყვეტილებებს ოპოზიციასთან. ბრალდებებისა და საჩივრების დიდი რაოდენობა, რომლებითაც ითხოვენ რეაგირებას წინა ხელისუფლების არაკანონიერ მოქმედებებზე, ამჟამინდელი ხელისუფლების წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევაა. [დაზარალებულებს] იმედი აქვთ, რომ ახალი ხელისუფლება შექმნის მართლმსაჯულების ახალ, დამოუკიდებელ სისტემას. შედეგად, მკვეთრად იკლო ევროსასამართლოში შეტანილი საჩივრების რაოდენობამ... სამწუხაროდ, პრეზიდენტი სააკაშვილი უარს აცხადებს ახალ ხელისუფლებასთან პრაგმატულ კოჰაბიტაციაზე“.

* * *

ის, რომ ამ ქვეთავში არ არის კოალიცია „ქართული ოცნებისა" და მისი ლიდერის დიდი კრიტიკა, სულაც არ ნიშნავს ავტორის კონფორმიზმს. უბრალოდ, ახალი მთავრობა სულ რამდენიმე თვეა ხელისუფლებაში. ის ვერც მოასწრებდა თავისი პროგრამის სრულად განხორციელებას (ერთ-ერთი მიზეზია „ორხელისუფლებიანობა"); სერიოზული შეცდომებითაც სახელი ჯერ არ გაუტეხია. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს არავინ აღიქვამს „მესიად" და ეს ძალიან კარგია. მისი (ზოგჯერ, ჩემი აზრით, პოლიტიკოსისათვის გადაჭარბებული) გულახდილობა, რომელიც ხანდახან მის წინააღმდეგვე მოქმედებს, ჯერჯერობით ასატანია.

ამჟამად მთავარი კრიტიკული გზავნილი გამარჯვებული კოალიციის მიმართ შეიძლება ის იყოს, რომ ის არ აღმოჩნდა საკმარისად მომზადებული გამარჯვებისათვის: ეს ძირითადად საკადრო პოლიტიკას ეხება. მიუხედავად ამისა, მან შეძლო საკმაოდ ქმედითუნარიანი მთავრობის ჩამოყალიბება.

ალბათ ნათელია ის ძირითადი მიზნები, რომელთა მიღწევას უნდა ესწრაფვოდეს ახალი ხელისუფლება:

- *სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან;*
- *კანონის უზენაესობა ყველასათვის ერთნაირად უნდა მოქმედებდეს, ქუჩის მათხოვრიდან ქვეყნის პირველ პირამდე;*
- *ქვეყანაში უნდა ბატონობდეს დემოკრატიული მართლწესრიგი, ეფექტიანი (ე.ი. არაკორუმპირებული) სახელმწიფო აპარატითურთ, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების სისტემით;*
- *ხელი უნდა შეეწყოს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;*
- *ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ სახელმწიფოს „თავისად" მიიჩნევდეს მოქალაქეების დიდი უმრავლესობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობები;*
- *ეკონომიკა სამართლებრივად უნდა რეგულირდებოდეს.* სხვანაირად: მენარმე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ბიუჯეტის შევსების საბაბით საგადასახადო სამსახური მას ვერ „გაწეწავს", ხოლო დამნაშავე, თუნდაც ეს სახელმწიფო ორგანო იყოს, დაისჯება.

სია შეიძლებოდა გამეგრძელებინა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია. ამ მიზნების მიღწევა, საბოლოო ჯამში, უფრო მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე მიმდინარე, წმინდა ეკონომიკური საკითხების გადაჭრა. ეს აუცილებელია საქართველოს სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად, რაც ჩვენი საბოლოო მიზანი უნდა იყოს და სწორედ ამისათვის გვჭირდება სწრაფვა ევროატლანტიკური და ევროპული სტრუქტურებისაკენ.

ბუნებრივია, ყველა ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა რამდენიმე წელიწადში შეუძლებელია, მაგრამ თუ გამოჩნდება, რომ სწორი ნაბიჯები იდგმება საჭირო მიმართულებით, მაშინ მოიხსნება კითხვის ნიშანი, დასმული ამ ქვეთავის სათაურში.

თავი 29

საქართველოს უპირველესი საფრთხე – გამწვავებული დემოგრაფია

„დემოგრაფია" მეცნიერებაა და არა საფრთხე! მაგრამ უფრო მოკლედ მოსახლეობის დაბერების, დაბალი შობადობის, ემიგრაციის პრობლემებს ვერც ერთი სხვა სიტყვა ვერ ასახავს.

იმ საფრთხეთა შორის, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას, ყველაზე სერიოზული დემოგრაფიულია.

გაეროს პროგნოზით, 2050 წლისათვის *საქართველოს მოსახლეობა შემცირდება* თითქმის 30 პროცენტით, 3 მილიონამდე, უკეთეს შემთხვევაში, 3,2 მილიონამდე. მოსახლეობის 2 მილიონამდე შემცირებას პროგნოზირებენ მეზობელი *სომხეთისათვისაც*, სადაც ახლა 3,2 მილიონი მცხოვრებია. მეზობელ *აზერბაიჯანში* მოსახლეობა იმავე წლისათვის გაიზრდება 11 პროცენტით (12 მილიონამდე), მეზობელ *თურქეთში* – 32 პროცენტით: იქ 100 მილიონზე მეტი ადამიანი იცხოვრებს, ანუ თურქეთი მოსახლეობის რაოდენობით თითქმის დაეწევა მეზობელ *რუსეთს*, სადაც მოსახლეობის კლების ტემპი საქართველოზე არანაკლებ ინტენსიურია და სადაც 2050 წლისათვის მის შემცირებას 114 მილიონამდე ელიან. ამავე დროს, ძალიან სწრაფად იზრდება მოსახლეობა საქართველოს მეზობელ *ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში*, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში შედიან.

შესაძლოა, ეს პროგნოზები არ გამართლდეს, ან ნაკლებ დრამატული იყოს. მაგრამ ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ დემოგრაფიულად მზარდი ქვეყნებიდან ან რეგიონებიდან მოსახლეობა გადასახლდება იქ, სადაც ერთგვარი დემოგრაფიული ვაკუუმი შეიქმნება?

„ტერიტორიული გამთლიანების", „ოკუპაციის რეჟიმის დამთავრების", „დასავლური ორიენტაციის", „ეკოლოგიური უსაფრთხოების", „მოსახლეობის დასაქმების", „ეკონომიკური განვითარების" და სხვა პრობლემების მოგვარებისთვის ამაოდ გავირჯებით, თუკი საქართველოს ტერიტორიაზე ქართველები უმცირესობად იქცევიან. არადა, XXI საუკუნის ბოლოსათვის ასეთი არასასურველი შედეგი სრულიადაც არ არის გამორიცხული, თუ გავით-

ვალისწინებთ შობადობის ძალიან დაბალ დონეს ჩვენში და ქართველების ემიგრაციის ძალიან მაღალ მაჩვენებელს.

თუკი მართლაც დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა, ჩვენი დაბერებული მოსახლეობა, სოფლად დარჩენილი მწირი და მოუმზადებელი შრომითი რესურსები მუშახელად არ გვეყოფა და უცხოელების შემოდინება გარდაუვალი გახდება. უკვე ვხედავთ, რომ სოფლად მინას ყიდულობენ შრომისმოყვარე *სიკჰები ფენჯაბიდან* (ინდოეთი) და *ბურები* სამხრეთ აფრიკიდან, ალბათ მალე მათ შეუერთდებიან შრომისმოყვარე კორეელები და სხვები. „ნაციონალები", რომლებსაც მხოლოდ დღევანდელი მოგება აინტერესებდათ, ფართოდ იზიდავდნენ *ჩინელებს*, *ინდოელებს*, *თურქებს* სხვადასხვა მშენებლობებზე. უცხოელი მშენებლების ნაწილი აქ რჩებოდა. ამ „წვეთს ზღვაში" კი გაზრდის ტენდენცია აქვს.

ანალოგიების განხილვა ზედმეტი არ იქნებოდა: ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მყოფმა დასავლეთ გერმანიამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში შრომისუნარიანი მამაკაცების დიდი და საუკეთესო ნაწილი დაკარგა, 1963 წელს პირველად მიიღო თურქი *გასტარბაიტერები* (უცხოელი მუშები), სულ რამდენიმე ათასი კაცი. ნახევარი საუკუნის შემდეგ კი გერმანიის მოქალაქეებიდან სამ მილიონს თურქული წარმოშობა აქვს; თითქმის ერთი იმდენი თურქი იქვე ცხოვრობს მოქალაქეობის გარეშე. ბერლინი მსოფლიოში მეორე ქალაქი გახდა სტამბოლის შემდეგ იქ მცხოვრები თურქების რაოდენობით, რომელთა ასიმილაციას მაღალგანვითარებული და მაღალკულტურული გერმანია თავისი 75 მილიონამდე ეთნიკური გერმანელით (მათი რაოდენობა განუხრელად კლებულობს დაბალი შობადობის გამო) ვერ ახერხებს კულტურულ-რელიგიური შეუთავსებლობის მიზეზით.

გერმანიის უმაღლესი ოფიციალური პირებიც კი ალაპარაკდნენ „მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის" უნაყოფობაზე, რითაც ფაქტობრივად გაამართლეს ადრე შერისხული სახელმწიფო მოხელე *თილო სარაცინი*, ვინც 2010 წელს გამოსცა წიგნი, რომლის იდეა იყო, *გერმანია საფრთხეშია – უცხოელები მოზღვავდნენო*.

სხვა მაგალითია *ლონდონი*, სადაც მოსახლეობის 2011 წლის აღწერამ აჩვენა, რომ ადგილობრივი თეთრკანიანი ადამიანები უკვე ნახევარზე ნაკლებნი არიან. დიდ ბრიტანეთში ახლა 1000-ზე მეტი მეჩეთი მოქმედებს.


სამწუხაროდ, ევროპის ზოგ ქვეყანაში უკვე შეინიშნება ქსენოფობიის აღმავლობა. (ულტრა?) ნაციონალისტური პარტიები აგროვებენ ხმების სულ უფრო მზარდ რაოდენობას საყოველთაო და ადგილობრივ არჩევნებზე: საფრანგეთი და ჰოლანდია ამის კარგ მაგალითებს იძლევა.

რა დემოგრაფიული ვითარება გვაქვს საქართველოში? ქვემოთ შევეცადე პასუხი გამეცა ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე (ამ სიტყვაში „ჭირი" და „ბოროტი" ტყუილად როდი იხსენიება!).

მოსახლეობის დინამიკა XX საუკუნის საქართველოში

საბჭოთა პერიოდში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მონაცემები საქართველოს მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ასეთი იყო (ათასებში; ფრჩხილებში მითითებულია ეთნიკურად ქართული მოსახლეობის რიცხოვნობა): 1926 წელს – 2644 (1788), 1939 წელს – 3540 (2174), 1959 წელს – 4044 (2601), 1970 წელს – 4686 (3131), 1979 წელს – 4993 (3433).

1989 წლის იანვარში, როდესაც ჩატარდა საბჭოთა პერიოდის მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა, საქართველოში აღირიცხა 5,4 მილიონი ადამიანი, მათგან ქართველად მიიჩნია თავი 3,787 მილიონმა.



ქართული და არაქართული მოსახლეობა (პროცენტებსა და ათასებში) 1926-2002 წლების აღწერების მონაცემებით

საქართველოს ამჟამინდელ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველებმა თავიანთი რაოდენობის, როგორც ჩანს, *ისტორიულად აბსოლუტურ მაქსიმუმს* – 3,8 მილიონს მიაღწიეს 1990-იანი წლების დამდეგს (ვითომ „დადგენილ" ჩვენი წინაპრების რაოდენობაზე XIII საუკუნეში – „4", „6" ან „12" მილიონზე – მსჯელობა დემოგრაფიის ფარგლებს სცდება: ეს ფანტაზიის სფეროა!).

მიუხედავად ეკონომიკური არაეფექტიანობისა, პირადი ინიციატივის ეკონომიკური ნიჭისა და გაქანების უხეში შეზღუდვისა, სოციალიზმი გარკვეულ სოციალურ გარანტიას აძლევდა რიგით ადამიანს. საბჭოთა ხელისუფლებამ საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ქართულ მოსახლეობას რაოდენობრივი ზრდისათვის. მოიმატა მისმა კულტურულ-საგანმანათლებლო დონემ. იგივე ითქმის თითქმის ყველა სხვა ერზე საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა პერიოდში *ქართული* მოსახლეობა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებ

ში სულ უმნიშვნელო რაოდენობით გაედინებოდა, ხოლო კავშირის გარეთ („საზღვარგარეთ") ემიგრაცია საერთოდ არ ხდებოდა. 1989 წელს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ძირითადად რსფსრ-ში, ცხოვრობდა ქართველთა 5 პროცენტზე ნაკლები (ჯამში 200 ათასამდე). ქართველებს ლიტველებთან ერთად საბჭოთა ხალხებს შორის ყველაზე მაღალი *„შინაყუდობის ინდექსი"* ჰქონდათ – 95-96 პროცენტი, რის მიზეზიც ხელსაყრელი ეკონომიკური ვითარება იყო. დახურული საბჭოთა ბაზრისათვის საქართველოს სოფელი კონკურენციის გარეშე აწარმოებდა იმ დროს ძვირად ღირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (ჩაი, ციტრუსები, კონტინენტური ხილი, ბოსტნეული, ყურძენი). საქართველოს ქალაქებში არსებობდა სტაბილური ინდუსტრიული დასაქმებისა და სხვა რესპუბლიკებთან შედარებით კომფორტული ცხოვრების პირობები.

საქართველოს სსრ-ში ნელა, მაგრამ მატულობდა ქართველების ხვედრითი წილი: 1939 წელს ის შეადგენდა 61,4 პროცენტს, 1989 წელს კი – 70,1 პროცენტს (დანარჩენ 29,9 პროცენტს ეთნიკური უმცირესობები შეადგენდნენ). 1950-იანი წლების შუაგულიდან საქართველოში სტაბილურად კლებულობდა სლავური მოსახლეობის ხვედრითი წონა და მისი აბსოლუტური რაოდენობა.

ქართული მოსახლეობის ზრდაზე მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც ზემოქმედებდა საქართველოში მიმდინარე ეთნიკური უმცირესობების *ქართველებთან შერწყმის* (*ასიმილაციის*) ბუნებრივი პროცესი. ასეთი რამ უფრო მეტად დამახასიათებელი იყო ოსებისა და სომხებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ისინი დომინანტ ქართულ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობდნენ, შედარებით ნაკლებად – სლავებისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე შერეული ქორწინებები, ჩვეულებრივ, ხელს უწყობდა ქართული მოსახლეობის ზრდას[56]. ასიმილაციურ პროცესებზე გავლენას ახდენდა კულტურულ-ცივილიზაციური სიახლოვე, რელიგიური კულტურების მსგავსება, თუნდაც საბჭოთა პერიოდში რელიგია დათრგუნულ მდგომარეობაში ყოფილიყო. ამის დასტურია, რომ რელიგიურად განსხვავებული აზერბაიჯანელებისა და იეზიდების ქართველებთან შერწყმა ძალიან იშვიათი იყო.

აქვე აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ასიმილაციური პროცესები მკვეთრად შენელდა.

ნაკლებად ხდებოდა *ქართველების ასიმილაცია* სხვა ეთნოსების მიერ: ეს ერთგვარი, თუმცა რაოდენობრივად არცთუ დიდი, ტენდენცია იყო მხოლოდ

[56] გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ქმარი ქართველი (სომეხი, რუსი...) იყო, ხოლო ცოლი ებრაელი – ასეთ ოჯახში დაბადებული ბავშვი ებრაული რელიგიური კანონის – *ჰალახას* თანახმად ებრაელად ითვლება. ასეთი ადამიანების საგრძნობმა ნაწილმა 1990-იან წლებში ისარგებლა *ისრაელის „დაბრუნების კანონით"* და „არეული" ქვეყნიდან „მონესრიგებულ" ქვეყანაში გადასახლდა. ამიტომაც შემხვედრია იქაური მოქალაქე, ყოფილი თბილისელები საინტერესო გვარებით – აბესაძე, სიხარულიძე, სმირნოვა, კონსტანტინოვი, გაბრიელიანი...

აფხაზეთის ასსრ-ში. ორი-სამი თაობის განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართველების ნაწილი რუსებთან ენობრივად ასიმილირდებოდა, მაგრამ ასეთი ქართველების რაოდენობაც მცირე იყო.

ანალოგიური ტენდენცია სხვაგანაც არსებობდა. რუსების რაოდენობრივი ზრდა მნიშვნელოვანწილად სხვა ეთნოსების ასიმილაციის გზით ხდებოდა. როდესაც ზოგიერთ რუსულ გვარს ეცნობი – მაგალითად, *ჩეხოვი, გრუზინცევი, ტატარინოვი, ლიტვინი* – ფიქრობ, რომ მათი წინაპარი მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო ჩეხი, ქართველი, თათარი, ლიტველი.

თავის მხრივ, ზოგი რუსი გაქართველდა. ხომ არიან ქართველები ასეთი გვარებით – *იგნატოვი, სოკოლოვი, ოვსიანიკოვი, გერასიმოვი*. არიან სხვა წარმოშობის ქართველებიც, მაგალითად, *მარი, გეხტმანი, ტრიპოლსკი, ვოლსკი*.

ის, რომ ნებისმიერი ერი იზრდება არა მარტო საკუთარი ეთნოსის გენოფონდის ხარჯზე, არამედ სხვა ერებიდან შემომატების გზითაც, უტყუარი ფაქტია. *ასიმილაცია ნორმალური პროცესია, როდესაც ის ძალადობრივად არ ხდება.*

ერი სოციალურ-პოლიტიკური კატეგორიაა და არა ბიოლოგიური. *ქართველია ყველა, ვინც ქართული კულტურა გაითავისა და თავს ქართველად მიიჩნევს.*

XIX-XXI საუკუნეებში ევროპაში საყოველთაო ნორმად იქცა *ერისადმი კუთვნილების განსაზღვრა მოქალაქეობის მიხედვით* თუნდაც ანთროპოლოგიური სხვაობა თვალშისაცემი იყოს, ხოლო გვარი და სახელი – არატიპიური: ხომ არის ბოსნიელთა ოჯახში დაბადებული *ზლატან იბრაჰიმოვიჩი* შვედი, ხოლო შავკანიანი *დიდიე დროგბა* – ფრანგი? როგორც ევროპისაკენ მისწრაფებული ერი, ჩვენც თანდათანობით ნორმად ვაქცეთ ამ პრინციპს.

მოსახლეობის დინამიკის ტენდენციები დამოუკიდებელ საქართველოში

მიმდინარე სტატისტიკა გვაწვდის მონაცემს, რომ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1989 წლის შემდეგ ერთხანს კიდევ იზრდებოდა და *1992 წლის დამდეგს მიაღწია 5,467 მილიონს. როგორც ჩანს, ეს არის მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა*, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ერთდროულად უცხოვრია, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ „ტერიტორიის ტევადობის" მაქსიმუმი მიღწეულია: არის ქვეყნები, სადაც უფრო ნაკლებ ფართობზეც კი სამ-ოთხჯერ მეტი მოსახლეობა ცხოვრობს.

1992 წლიდან მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა შეჩერდა და კლება დაიწყო.

დამოუკიდებელ საქართველოში *მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა* ჩატარდა 2002 წლის 17 იანვარს.

1989 წელთან შედარებით 2002 წლისათვის დაფიქსირდა საქართველოს მოსახლეობის შემცირება 5,445 მილიონიდან 4,356 მილიონამდე. არაოფიციალური შეფასებით ადგილზე მყოფი (*de facto*) მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წელს კიდევ უფრო ნაკლები იყო და იმ დროს სულ 3,9-4,0 მილიონს ითვლიდა[57].

გასათვალისწინებელია, რომ *შედარება არ ეხება ერთსა და იმავე ტერიტორიას.* რეალური ვითარებიდან გამომდინარე, 2002 წლის აღწერა ვერ ჩატარდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლგარეშე დარჩენილ ტერიტორიებზე, სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი"), რომლებიც 2008 წელს რუსეთმა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარა.

1989 წელს ორივე ამ ტერიტორიაზე ჯამში აღირიცხა 650 ათასი ადამიანი. 2002 წლის შეფასებით კი იქ 260 ათასამდე ადამიანი შეიძლება ვივარაუდოთ: „სამხრეთ ოსეთში" დაახლოებით 40 ათასი (ქართული სოფლებისა და ახალგორის რაიონის გარეშე), აფხაზეთში კი 220 ათასამდე.

ჩანართი 29.1
მოსახლეობის აღწერა აფხაზეთში

2011 წლის თებერვალში აფხაზეთში ჩატარებულმა აღწერამ იქ 240,7 ათასი მცხოვრები დააფიქსირა. ეთნიკურ აფხაზად აღირიცხა 122,2 ათასი, ანუ მათ პირველად შეადგინეს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ავტონომიაში.

ეს რიცხვი ხელოვნურად გაზრდილი ჩანს. 1989 წლის უკანასკნელი საბჭოთა აღწერის თანახმად ავტონომიაში აფხაზად 93267 ჩაეწერა: 1970 წლის მონაცემთან შედარებით მათი რაოდენობა 20,1 პროცენტით იყო გაზრდილი, ანუ საშუალოდ წლიურად *1,1 პროცენტით* მატულობდა (საშუალოწლიური ზრდის მაჩვენებელი აქ არაკორექტულადაა გამოთვლილი, მაგრამ ის შესადარებლად დამჭირდა). 2011 წელს კი 1989 წლის აღწერასთან შედარებით აფხაზების რიცხოვნობამ 31 პროცენტით მოიმატა, ანუ საშუალოდ წლიურად *1,4 პროცენტით.* ასეთი ზრდა დიდ ეჭვს ბადებს, თუ გავითვალისწინებთ იმ რეალურ ვითარებას, რომელიც ამ რეგიონს იმავე წლებში ჰქონდა: მძიმე ომი და მამრობითი სქესის ფერტილური ასაკის ადამიანთა საგრძნობი დანაკარგი; მკვეთრად შემცირებული შობადობა; გაზრდილი ემიგრაცია (2010 წლის აღწერამ რუსეთში 11 ათასი აფხაზი დააფიქსირა, მაშინ როცა საბჭოთა პერიოდში რსფსრ-ში თითო-ოროლა აფხაზი ცხოვრობდა). XIX საუკუნეში აფხაზეთიდან ოსმალეთში წასული ე.წ. „მაჰაჯირების" შთამომავალთა XXI საუკუნეში უკან დაბრუნების ფაქტები აღინიშნა, მაგრამ ეს იყო რამდენიმე ასეული და არა ათობით ათასი ადამიანი.

საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ (ანუ 1991 წლის) საზღვრებში 2002 წელს 4,6 მილიონი ადამიანი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რაც 1,2 მილიონით ნაკლებია 1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით.

[57] ეს არის ერთ-ერთი საკმაოდ დამაჯერებელი, მაგრამ არაოფიციალური შეფასების (წულაძე და სხვ.) შედეგი. ამ მონაცემებს მომდევნო ანალიზში ვერ ვიყენებ.

თბილისში *1989 წელს 1,263 მილიონი ადამიანი აღირიცხა, 13 წლის შემდეგ კი 1,084 მილიონი.* წასული თბილისელების ადგილი შეავსეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა (ლტოლვილებმა) და მიგრანტებმა საქართველოს მცირე ქალაქებიდან და სოფლებიდან, სადაც დასაქმება ძალიან გაჭირდა. ამან მკვეთრად შეცვალა დედაქალაქის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული სტრუქტურა.

თუ გავითვალისწინებთ 1989-2002 წლებში *მოსალოდნელ ბუნებრივ ნამატს* (რასაც ნორმალურ პირობებში 13 წლის განმავლობაში 400-450 ათასი შეეძლო შეედგინა), გამოვა, რომ წინა ათწლეულებში არსებული ზრდის ტემპის (წლიურად 0,7-0,9 პროცენტი) შენარჩუნების პირობებში, მთელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას 2002 წელს თითქმის 6 მილიონისათვის უნდა მიეღწია. სინამდვილეში კი ამ პოტენციურად შესაძლებელ რიცხვს მილიონ-ნახევარზე მეტი დააკლდა.

ამის მიზეზია უარყოფითი მიგრაციული ბალანსი და ბუნებრივი მატების შემცირება.

* * *

მოსახლეობის დინამიკის განსასაზღვრად საკმაოდ ზუსტ მონაცემებს მოგვცემდა *მოსახლეობის საყოველთაო აღწერა*, რომელიც თავიდან *დაგეგმილი იყო 2010 წლისათვის.* საქართველოს ყველა მეზობელ ქვეყანაში აღწერა 2009-2010 წლებში უკვე ჩატარდა.

ჩვენთან კი მოსახლეობის აღწერის ჩატარება გადაიდო არადამაჯერებელი მიზეზით – თითქოსდა დაფინანსების შეუძლებლობის გამო! უნდა დავუშვათ, რომ აღწერის გადავადება განაპირობა „ნაცმოძრაობის" ინტერესებმა: 2012 წლისათვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩეველთა სიებით მანიპულირება უფრო ადვილი იქნებოდა, თუკი დამკვირვებლებს არ ეცოდინებოდათ მოსახლეობისა და ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობა. მოსახლეობის დაუდგენელი რაოდენობა საარჩევნო სიებით მანიპულირების კარგი საშუალებაა.

მოსახლეობის აღწერისათვის მომზადებას ორ წლამდე დრო სჭირდება, ამიტომ აღწერა საქართველოში ვერ ჩატარდება 2014 წლამდე.

ბოლო წლების მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის* (*საქსტატი*) *ყოველწლიური შეფასება.*

ამ მონაცემებით 2005 წელს საქართველოში ცხოვრობდა 4322 ათასი, 2012 წელს კი 4496 ათასი ადამიანი (მატებამ 174 ათასი შეადგინა). ეს მონაცემები *მუდმივ მოსახლეობას* ასახავს, ანუ ეს არის ადამიანთა ის ერთობლიობა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს (რეგისტრირებულია) მოცემულ ადგილზე.

მისი ნაწილი, შესაძლოა, საქართველოში დიდხანს არ იმყოფებოდეს ან სულაც სამუდამოდ იყოს წასული სხვა სახელმწიფოში.

საქსტატის მონაცემებით 2005-2012 წლებში *საქართველოს მოსახლეობა მატულობდა* – წლიურად 0,13-0,38 პროცენტით. შობადობა მერყეობდა 10,7-14,4 პრომილეს შორის, ხოლო სიკვდილიანობა – 9,3-10,7 პრომილეს შორის, ანუ შობადობა სიკვდილიანობას აჭარბებდა.

მოსახლეობის ოდნავი ბუნებრივი მატების ამ მაჩვენებლებით ბრავირება საქართველოს „ნაციონალურ" ხელისუფლებას პროპაგანდისტული მიზნით სჭირდებოდა. სააკაშვილს არაერთხელ გაუმეორებია ტელეკამერების წინ, რომ *„მოსახლეობა მატულობს!"*, *„ემიგრანტები სამშობლოში ბრუნდებიან!"*, რაც ქვეყანაში „კარგი მდგომარეობის შექმნის" დასტურად მოჰყავდა.

სინამდვილე კი საპირისპიროა. სკოლიდან მახსოვს ანდაზა: „კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი არ დამალა".

გაეროს მონაცემებით 2005-2010 წლებში მოსახლეობის წლიური კლება საქართველოში 0,79 პროცენტს შეადგენდა (აქ უარყოფითი მიგრაციული სალდოცაა გათვალისწინებული). ბოლო წლების სტატისტიკური მაჩვენებლების თითქოს გაუმჯობესების მიუხედავად, მოსახლეობის კლების საფრთხე არ გამქრალა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის კეთილი ნებით ოჯახში მესამე და მომდევნო ბავშვის მონათვლამ განაპირობა 16 ათასზე მეტი იქამდე მცირეშვილიანი ოჯახის სამ- და მეტშვილიანად გარდაქმნა, რაც ძალიან კარგია. მაგრამ, ეკლესიის ეს კეთილშობილური ნაბიჯი, სამწუხაროდ, ვერ შეცვლის უარყოფით დემოგრაფიულ ტენდენციას.

ჩვენი პრობლემები უფრო მკაფიოდ ჩანს მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებისას.

ცხრილ 29.1-ში, რომელიც ეყრდნობა *აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს* მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს 2011 წლის ივლისის მდგომარეობით (CIA World Factbook, 2011), ნაჩვენებია ოთხი ქვეყნის მოსახლეობის მაჩვენებლები, რომლებიც ერთნაირი მეთოდიკითაა გამოთვლილი და ადგილობრივ პროპაგანდისტულ „გადახრებს" არ ითვალისწინებს. საქართველოს მთელი მოსახლეობა სეპარატისტულ რეგიონებსაც მოიცავს.

საქართველო	4,586	-0,326	1,45	39,1	15,6	16.0
სომხეთი	2,967	0,063	1,37	32,2	17,6	10,1
აზერბაიჯანი	8,372	0,850	2,02	23,2	23,2	6,4
თურქეთი	78,785	1,235	2,15	28,5	26,6	6,3

ცხრილი 29.1. დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

ცხრილი 29.1-დან ნათლად ჩანს, რომ *საქართველოს თავის მეზობლებთან შედარებით ყველაზე ცუდი მდგომარეობა აქვს.* განსხვავებით *საქსტატის* მონაცემებისაგან, CIA მოსახლეობის კლებას უთითებს. მაგრამ *საქსტატის* მიერ მოცემული ზრდის მაჩვენებელიც კი ნაკლებია მეზობელი ქვეყნებისაზე. აშკარად ჩანს, რომ ჩვენთან ყველაზე მცირეა ახალგაზრდა ასაკის ადამიანების ხვედრითი წილი და ყველაზე მაღალია ხნიერი ხალხის წილი. ეს ერის *დაბერების ტენდენციაზე მიუთითებს.* ამას მედიანური ასაკიც აჩვენებს.

მოსახლეობის მარტივი აღწარმოება უზრუნველყოფილია, თუ *ფერტილურობის კოეფიციენტი* (ესაა რეპროდუქტიულ ასაკში – 15-49 წლის – მყოფი ერთი ქალის მიერ შობილთა საშუალო რაოდენობა) 2,11-ს შეადგენს. მაგრამ *საქართველოსა და სომხეთში ფერტილურობის კოეფიციენტი ბევრად დაბალია, ანუ ამ ქვეყნებში მარტივი აღწარმოებაც არ ხდება და მოსახლეობა მომავალში აუცილებლად შემცირდება.* თანაც თუ სომხეთის მოსახლეობა პრაქტიკულად ჰომოგენურია – ყველა სომეხია, საქართველოს ფერტილურობის კოეფიციენტს ოდნავ ზევით სწევს ქვემო ქართლსა და სხვაგან განსახლებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელი ქალების მაღალი ფერტილურობა: საქართველოს რეგიონებში ყველაზე სწრაფად ქვემო ქართლის მოსახლეობა იზრდება.

ცხრილში არ შევიტანე *რუსეთის* მაჩვენებლები. ეს ქვეყანა მეტისმეტად მრავალფეროვანია და მასთან შედარება არაფრისმომცემი იქნებოდა. მაშინ, როცა რუსეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობა (განსაკუთრებით, ეთნიკური რუსებისა) განუხრელად მცირდება, საქართველოს მოსაზღვრე *ჩრდილოეთ კავკასიაში*, განსაკუთრებით დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, მოსახლეობის მატების ტემპი მაღალია – დაახლოებით 1,5 პროცენტი წლიურად, რაც საქართველოს მაჩვენებელს ერთიათად აღემატება.

ქართული მოსახლეობის კლება სერიოზული პოლიტიკური საფრთხეა.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივ ნამატსა და კლებას დიდი გეოგრაფიული განსხვავებულობა ახასიათებთ. ანზორ თოთაძის გამოთვლით, 2000-2009 წლებში *აბსოლუტურმა ბუნებრივმა კლებამ* შეადგინა *კახეთში* – 9752 ადამიანი, *იმერეთში* – 8282, *რაჭა-ლეჩხუმსა* და *ქვემო სვანეთში* – 4154, *გურიაში* – 3448, *მცხეთა-მთიანეთში* – 1735.

იმავე პერიოდში *აბსოლუტური ბუნებრივი მატება აღინიშნა თბილისში* (+29057), *აჭარაში* (+21296), *ქვემო ქართლში* (+18426), *შიდა ქართლში* (+5543), *სამცხე-ჯავახეთსა* (+5456) და *სამეგრელო-ზემო სვანეთში* (+1177). მართალია, დედაქალაქსა და ხუთ სხვა რეგიონში XXI საუკუნის პირველ ათწლეულში მოსახლეობამ იმატა, მაგრამ ეს ნამატი მკვეთრად ნაკლები იყო 1980-1989 წლების მონაცემებთან შედარებით: ასე მაგალითად, სამეგრელოში 1980-89 წლებში ჯამურმა ბუნებრივმა ნამატმა 30 ათასი ადამიანი შეადგინა, ანუ ის თითქმის 30-ჯერ მეტი იყო 2001-2010 წლების ჯამურ ნამატთან (1200-მდე ადამიანი) შედარებით.

გარე მიგრაციების შედეგები

საქართველოს მოსახლეობის კლების ძირითადი მიზეზია XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დაწყებული *მასობრივი ემიგრაცია*, რაც უპირველესად გამოიწვია მკვეთრად გაუარესებულმა ეკონომიკურმა პირობებმა და, აგრეთვე, 1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ: იგულისხმება, როგორც საქართველოს ეთნიკური უმცირესობების მიერ აღქმული საფრთხე, ისე სამოქალაქო ომები, მათ შორის აფხაზეთში, რის გამოც იქიდან მრავალი ადამიანი, როგორც ქართველი, ისე არაქართველი, საქართველოს ფარგლებს გარეთ წავიდა.

1990 წელს საქართველოს ხელმძღვანელობაში მოსული ეროვნული ძალებისა და მათი ლიდერის ზეპატრიოტული რიტორიკა და პრაქტიკული ქმედება შიშის გრძნობას ბადებდა ეთნიკურ უმცირესობათა შორის. მართალია, მათი უფრო დიდი რაოდენობა საქართველოდან გავიდა 1992 წელს და არა 1991-ში, მაგრამ *ემიგრაციული განწყობის შექმნასა* და საკუთრივ *ემიგრაციას* შორის (თუ ეს დაუყოვნებელი გაქცევა არაა, რაც ეთნიკურ წმენდას მოსდევს ხოლმე თან) საკმაო დრო გადის: საჭირო ხდება ქონების გაყიდვა, სხვაგან საცხოვრებლის შოვნა, დასაქმების გარანტიის მოპოვება და ა.შ.

განსაკუთრებული ინტენსივობით *ეთნიკური უმცირესობების ემიგრაცია* ხასიათდებოდა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში. ებრაელები ისრაელში წავიდნენ; ბერძნები – საბერძნეთში; სლავები (რუსები, უკრაინელები და ბელარუსები), აგრეთვე სომხებისა და ქურთების ნაწილი – ძირითადად რუსეთის ფედერაციაში; აზერბაიჯანელების მცირე ნაწილი – აზერბაიჯანში გადასახლდა.

1990-იანი წლებიდან მკვეთრად იმატა *ქართველების გაფანტულობამ* (ბერძნულად – *დიასპორამ*).

სხვადასხვა შეფასებით, საზღვარგარეთ წასულია 0,6-1,0 მილიონი ქართველი. ზუსტი რაოდენობა უცნობია. რიცხვი უფრო საშუალოსთან ახლოს რომც იყოს – 700-800 ათასი ქართველი ემიგრანტი, ესეც გიგანტური მაჩვენებელია. ემპირიული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საქართველოში იშვიათია ოჯახი, რომლის ერთი ან რამდენიმე წევრი საზღვარგარეთ არ იყოს წასული: ჩემი თანატოლი მეგობრების საგრძნობ ნაწილს შვილიშვილები საზღვარგარეთ ჰყავს. ჩვეულებრივ, წასულთა უმრავლესობა გეგმავს დროებით ემიგრაციას და დაბრუნებას „უკეთესი დროის დადგომისას". მაგრამ ეს „უკეთესი დრო" ვერა და ვერ დაგვიდგა. თანაც, რაც უფრო მეტი ენერგიული ახალგაზრდა წავა საზღვარგარეთ, მით უფრო შორს გადავა „უკეთესი დროის" დადგომა.

საზღვარგარეთ ჯერაც მიდის ყველაზე განათლებული, ჯანმრთელი, ფერტილურ (ნაყოფიერ) ასაკში მყოფი მოსახლეობა, რომელიც თავის ქვეყანაში

ვერ ნახულობს შესაფერის საქმესა და ადეკვატურ ანაზღაურებას. ემიგრანტთა შორის ბევრია ქალი. ემიგრაციის პროცესი ავტომატურად ამცირებს შობადობას, ზრდის დაბერებული მოსახლეობის პროცენტს საქართველოში.

მანამ, სანამ ემიგრანტს ჰყავს საქართველოში სარჩენი ოჯახი, ის სამშობლოსთან ეკონომიკურ კავშირს ინარჩუნებს. მაგრამ საზღვარგარეთ დაბადებულ მის შვილებს, თუნდაც ორივე მშობელი ქართველი ჰყავდეთ და მით უმეტეს, თუ ისინი ეთნიკურად შერეულ ოჯახში აღიზარდნენ, საქართველოსთან კავშირი უსუსტდებათ. *ემიგრანტების მომდევნო თაობები ქართველობისათვის შეიძლება დაკარგულები აღმოჩნდნენ.*

საზღვარგარეთ წასული ქართველებიდან ნახევარზე მეტი რუსეთში იმყოფება. ამ შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკაც შეიძლება მოვიშველიოთ, თუნდაც არასაკმარისად ზუსტი.

2002 წელს რუსეთის ფედერაციაში ჩატარებულმა მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ იქ ცხოვრობდა 199 ათასი ქართველი. 2010 წლის აღწერით მათი რაოდენობა 159 ათასამდე შემცირდა (მათ შორის, *მეგრელად* მიუთითა თავი 600-მა ადამიანმა, *აჭარელად* – 211-მა, *ინგილოდ* – 98-მა, სვანად – 45-მა, ხოლო ლაზად – 160-მა). ისინი რუსეთის მთელი მოსახლეობის 0,11%-ს შეადგენდნენ (იხ. ჩანართი 29.2). *ქართველი ებრაელი* რუსეთში სულ 78 აღიწერა (ეს აშკარა შეცდომაა: მე პირადად ვიცნობ იქ მცხოვრებ უფრო მეტ ქართველ ებრაელს!)

ჩანართი 29.2
ქართველები რუსეთის მოსახლეობის 2010 წლის აღწერის მიხედვით

ქართველები, სულ 159 ათასი, არ არიან „მონინავე ადგილზე" იმ ეთნიკურ უმცირესობებს შორის, რომლებიც რუსეთში სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გადასახლდნენ: 2010 წელს უკრაინელად მიიჩნია თავი 1,9 მილიონმა, სომხად – 1,2 მილიონმა, აზერბაიჯანელად – 603 ათასმა. ბოლო შემთხვევაში მონაცემი რეალურთან შედარებით შემცირებული ჩანს: ბაქოში ვარაუდობენ, რომ რუსეთში მილიონზე ბევრად მეტი აზარბაიჯანელია წასული.

არ დაგვავიწყდეს, რომ აღმწერი ვალდებულია ჩაწეროს ისე, როგორც მას მოქალაქე პასუხობს. *მოსკოვში* 38934-მა ადამიანმა ჩააწერინა თავი ქართველად: ამ ქალაქის ეთნიკურ ჯგუფთა შორის ეს VIII ადგილია; *კრასნოდარის მხარეში* 17826 ქართველი აღირიცხა: იქ ისინი ძირითადად *ქ. სოჭსა* და მის შემოგარენში სახლობენ და უმეტესობა აფხაზეთიდან ლტოლვილია; *ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკაში* 9095 ქართველი აღირიცხა, ხოლო *პეტერბურგში* – 8274. ქართველობის ნახევარზე მეტი სხვა ქალაქებშია გაფანტული, კომპაქტურ სასოფლო თემს არსად არ ქმნის და, შესაძლოა, მეორე-მესამე თაობაში ასიმილაციისათვის განწირული აღმოჩნდეს.

რუსეთის ფედერაციაში მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერასთან შედარებით გამოდის, რომ 2010 წლისათვის ქართველების რაოდენობა რუსეთში 40 ათასით შემცირდა – 199 ათასიდან 159 ათასამდე. რამდენად სანდოა ეს რიცხვები?

უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური ვითარება, რომელიც რუსეთში მყოფი

ქართველებისათვის XXI საუკუნის პირველ დეკადაში უარესობისაკენ შეიცვალა. 2000 წელს რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ შეზღუდა ქართველების მიგრაცია რუსეთისაკენ. სავიზო რეჟიმმა სტატუსის ლეგალიზაციის პრობლემა შეუქმნა რუსეთში უკვე მყოფ საქართველოს მოქალაქეებსაც. ამის გამო 2002 წლის აღწერამ რუსეთში რეალურად მცხოვრებზე ბევრად ნაკლები ქართველი აღრიცხა: დიდმა ნაწილმა აღწერას თავი აარიდა ან არაზუსტი მონაცემი მიაწოდა. 2006 წელს რუსეთში გაჩაღებული ანტიქართული კამპანიისა და ქართველების მასობრივი დეპორტაციის შემთხვევებმა უბიძგა რუსეთში არალეგალურად სამუშაოდ დარჩენილ ქართველებს, გაეზარდათ კონსპირაციულობის დონე. ამას დაერთო 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის გამო რუსეთში ატეხილი აღვირახსნილი ანტიქართული ისტერია.

ის 159 ათასი ქართველი, რომლებიც 2010 წლის აღწერამ რუსეთში აღრიცხა, უმეტესწილად რუსული პასპორტის მქონე პირებია, რომელთაც არა აქვთ დეპორტაციის შიში და მზად არიან უპასუხონ ოფიციალური აღმწერის კითხვებს. აღწერამ რუსეთში საქართველოს სულ 12 ათასი მოქალაქე დააფიქსირა, ისიც ალბათ რუსეთის მოქალაქეთა ოჯახის წევრები.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია რუსეთის 2010 წლის აღწერის საერთო ნაკლიც: მან ვერ დააფიქსირა 5,6 მილიონი (!) ადამიანის (მთელი მოსახლეობის თითქმის 4 პროცენტის) ეთნიკური კუთვნილება. ამ ხალხმა, მათ შორის ქართველებმაც, ან აღწერას თავი აარიდა ან თავისი ეროვნება დამალა. ეთნიკური ქართველი რუსეთში აღრიცხულზე (159 ათასი) ბევრად მეტია, ალბათ, სულ ცოტა სამჯერ მეტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მშობლიური ენის მითითების გარეშე რუსეთში აღწერილი აღმოჩნდა 4,544 მილიონი ადამიანი. რუსეთში 172 ათასმა ადამიანმა მიუთითა მშობლიურ ენად ქართველური ენები (მათგან მეგრული 1529-მა, სვანური – 71-მა). სხვათა შორის, ჯამში ეს 13,3 ათასით მეტია იმათზე, ვინც ეროვნებად „ქართველი" (ან ქართული სუბეთნოსი) მიუთითა.

ქართველების ემიგრაცია ხდებოდა აგრეთვე საბერძნეთში, უკრაინაში, გერმანიაში, თურქეთში, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან, სადაც ისინი დასაქმებასა და ნორმალურ შემოსავალს ეძებდნენ. სამწუხაროდ, მათ რიცხვში ურევია არცთუ მცირე რაოდენობის კრიმინალური ელემენტი („კანონიერი ქურდები" და მათი დამქაშები), რაც უარყოფითად მოქმედებს ქართველობის იმიჯზე საზღვარგარეთ.

„მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის" (IOM) შემფასებელი მისია თავის ანგარიშში 2008 წელს წერდა:

„დღეს საქართველოში არ არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული ემიგრაციული პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რა ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები შეიძლება მოჰყვეს პროდუქტიულ სამუშაო ასაკში მყოფი ქართველების მასშტაბურ მიგრაციას ქვეყნიდან. მათ ასევე გაცნობიერებული აქვთ დადებითი შედეგებიც, რაც შესაძლოა მოჰყვეს ფულად გზავნილებს და ამაში დიასპორის მონაწილეობას".

* * *

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში *იმიგრაცია ჯამში ნაკლები იყო, ვიდრე ემიგრაცია საქართველოდან.*

თუ არ ჩავთვლით რეპატრიანტებს (ანუ უკან დაბრუნებულ საქართველოს ყოფილ მოქალაქეებს), იმ უცხოელთა შორის, რომლებიც საქართველოში მკვიდრდებიან, შეფასების თანახმად, გამოირჩევიან სომხები (ზღვისპირა აჭარაში, აფხაზეთში) და თურქები (თბილისში, აჭარაში). 2011 წლისათვის საქართველოში ბინადრობის (დროებითი და მუდმივი) მოწმობა მიეცა 25 ათასზე მეტ ადამიანს, ძირითადად თურქეთიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან, ირანიდან.

მიგრაციის შემფასებელი ზემოხსენებული მისიის დასკვნით არსებობდა (და დღესაც არსებობს) მრავალი პრობლემა საქართველოს საერთაშორისო საზღვრებიდან უცხოელთა შემოდინებისა და შემდეგ ქვეყანაში მათი დროებით თუ ხანგრძლივად დარჩენის მართვაში. საქართველოში ლეგალური იმიგრაცია იმდენად გამარტივებულია, რომ არალეგალური იმიგრაციის საკითხი არც კი დგას. ამის ძირითადი მიზეზებია ქვეყნის მეტისმეტად ლიბერალური და ღია მიგრაციული პოლიტიკა, ძალიან ლიბერალური სავიზო რეჟიმი: ევროპისა და ჩრდილო ამერიკის, იაპონიის, სხვა დემოკრატიული და მეზობელი ქვეყნების გარდა, საქართველოს საზღვრები გახსნილია ირანის, რუსეთის, ახლო აღმოსავლეთის ზოგი ქვეყნის მოქალაქეთათვის. ამავე დროს საქართველოს მოქალაქისათვის ევროპული ვიზის მიღება პრობლემაა, ხოლო რუსეთი ჩვენთვის პრაქტიკულად ჩაკეტილია.

საქართველოში არ არსებობს უცხოელებზე მუშაობის ნებართვის გაცემის ჩამოყალიბებული სისტემა: ყველა უცხოელს შეუძლია მარტივად იპოვოს სამუშაო, წამოიწყოს აქ თავისი ბიზნესი; დასაქმებაზე სამუშაო კონტრაქტის წარდგენისთანავე უცხოელი იღებს [დროებითი] ბინადრობის ნებართვას. მუდმივი ბინადრობის ნებართვა კი შეიძლება მიეცეს უცხოელს, რომელმაც საქართველოში კანონიერ საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში.

საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი საკუთარი მიხედულებისამებრ ურიგებდა საქართველოს მოქალაქის პასპორტს უცხოელებს. ასეთი პასპორტი მიიღო, მაგალითად, ისრაელის ორი ათასზე მეტმა მოქალაქემ.

ევროპის, ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში, ისრაელში შესასვლელ ვიზაში ჩვეულებრივ წერია, რომ უცხოელს იქ მუშაობის უფლება არა აქვს. ეს ქვეყნები საკუთარ მოქალაქეებს იცავენ უცხოელთა კონკურენციისაგან. „ულტრალიბერალური" (მხოლოდ უცხოელთათვის!) „ნაცმოძრაობის" მთავრობა კი თავის მოქალაქეებს არ იცავდა. იმედი მინდა გამოვთქვა, რომ 2012 წელს მოსული მთავრობა მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვას, რაც სულაც არ ნიშნავს ქვეყნის იზოლაციას.

ეთნიკური უმცირესობები

განსხვავებით ჩვენი მეზობლებისაგან, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან, სადაც ეთნიკური უმცირესობები ამჟამად შესაბამისად სულ 2 და 7 პროცენტს შეადგენენ, საქართველო მრავალეთნიკურ სახელმწიფოდ რჩება. 2002 წლის აღწერით აქ მოსახლეობის 16 პროცენტზე მეტი არაქართველი იყო. თუ ამას მივათვლით სეპარატისტულ რეგიონებსაც, პროცენტი ბევრად დიდი იქნება.

ცხრილი 31.2 წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მოსახლეობის *ეთნიკურ სტრუქტურაზე* 1989 და 2002 წლების აღწერების მონაცემების მიხედვით.

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების მაჩვენებელი ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის უარყოფითია. ქართველებისა და აზერბაიჯანელების რაოდენობა შედარებით ნაკლებ შემცირდა, მაშინ როცა ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. XXI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში რჩებოდა 1989 წელს აღრიცხული რუსების, უკრაინელებისა და ბერძნების სულ 13-20 პროცენტი, დანარჩენი საქართველოდან წავიდა.

სლავების მასობრივი ემიგრაციის ერთ-ერთი ახსნა ისაა, რომ მათ შორის ბევრი იყო საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები: ისინი წავიდნენ საბჭოთა არმიასთან ერთად.

რაც შეეხება *ოსებსა და აფხაზებს*, საბჭოთა პერიოდში ისინი სახლობდნენ შესაბამის ავტონომიებში. მაგრამ ერთნახევარჯერ იმაზე მეტი ოსი, რაც 1989 წელს ავტონომიურ ოლქში აღირიცხა (66 ათასი), სამხრეთ ოსეთის აო-ს ფარგლებს გარეთ სახლობდა (100 ათასამდე). ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი წავიდა საქართველოდან 1990-1992 წლებში იმ დროს ხელოვნურად გაღვივებული ეთნიკური კონფლიქტის გამო.

					2002	2002
სულ	5 401	4 372	-1 029	-19,1	100,0	100,0
ქართველი	3 787	3 661	-126	-3,3	70,1	83,8
აზერბაიჯანელი	308	285	- 23	-7,4	5,7	6,5
სომეხი	437	249	-188	-43,1	8,1	5,7
რუსი	341	68	- 274	-80,2	6,3	1,5
ოსი	164	38	-126	-76,8	3,0	0,9
ბერძენი	100	15	- 85	-85.0	1,9	0,3
უკრაინელი	52	7	- 45	-86,5	1,0	0,2
ქურთი/იეზიდი	33	21	-12	-26,4	0,6	0,5
სხვა	178	27	-163	-84,8	3,3	0,6

ცხრილი 29.2. ცვლილებები საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურაში 1989 და 2002 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მიხედვით (ათასებში)

გარკვეულ ირიბ მასალას *ეთნიკური სტრუქტურის დინამიკის* დასაზუსტებლად გვაწვდის საქსტატის მონაცემებზე აგებული ცხრილი სკოლის მოსწავლეების განანილების შესახებ.

ქართულ ენაზე	595,5 (68,7)	582,1 (83,0)	591,1 (85,3)	530,8 (85,5)	552,3 (88,4)
რუსულ ენაზე	180,3 (20,8)	51,8 (7,4)	38,1 (5,5)	34,1 (5,5)	25,4 (4,1)
აზერბაიჯანულ ენაზე	48,9 (5,6)	40,0 (5,7)	38,2 (5,5)	33,5 (5,4)	29,3 (4,7)
სომხურ ენაზე	33,2 (3,8)	27,3 (3,9)	25,8 (3,7)	21,6 (3,5)	17,1 (2,7)
აფხაზურ ენაზე	5,4 (0,6)	...	...	...	...
ოსურ ენაზე	2,8 (0,3)	0,2 (0,03)	0,2 (0,03)	0,2 (0,03)	0,2 (0,03)

ცხრილი 29.3. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა განანილება სწავლების ენის მიხედვით (1990/91 – 2009/10 სასწავლო წლებში)

19 წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეთა რიცხოვნობა 29,5 პროცენტით შემცირდა, რაც აღემატება საქართველოს მთელი მოსახლეობის შემცირების შესახებ ოფიციალურ მონაცემებს, რომელიც იმავე პერიოდში დაახლოებით 20 პროცენტით შემცირებას გვიჩვენებს. ესეც მიგვანიშნებს ჩვენს არასახარბიელო დემოგრაფიულ ვითარებაზე: სკოლის მოსწავლეები მომავალი თაობაა, რომელიც რიცხოვნობით დღევანდელზე ნაკლები იქნება!

1990/91 – 2009/10 სასწავლო წლებში *ქართულ სკოლებში* მოსწავლე ბავშვების რაოდენობამ 7 პროცენტით დაიკლო (რაც მეტია, ვიდრე მთელი ქართული მოსახლეობის კლების ოფიციალური მაჩვენებელი – 3,3 პროცენტი). ამასთან, ქართული სკოლების მოსწავლეთა ხვედრითი წილი გაიზარდა 68,7 პროცენტიდან 88,4 პროცენტამდე. ემპირიული დაკვირვებით ქართულ სკოლებში ახლა საკმაოდ ბევრი არაქართველი სწავლობს, რაც ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საფუძველი შეიძლება გახდეს.

მკვეთრად დაეცა *რუსულ სკოლებში* მოსწავლეთა წილი (20,8 პროცენტიდან 4,1 პროცენტამდე; აბსოლუტური მაჩვენებლებით შემცირებამ 180 ათასიდან 25 ათასამდე შეადგინა). რუსულ სკოლებში მოსწავლეთა უმეტესობა სომეხია, განსაკუთრებით, თბილისში.

სომხურ სკოლებში მოსწავლეთა რიცხოვნობა თითქმის განახევრდა – 33,2 ათასიდან 17,1 ათასამდე. ეს ირიბად მიუთითებს სასკოლო ასაკის სომეხი ბავშვების რაოდენობის *ერთგვარ* შემცირებაზეც (თუმცა მათი საკმაო ნაწილი რუსულ სკოლაში სწავლობს). სომხური სკოლები უპირატესად ჯავახეთში, სამცხისა და წალკის მუნიციპალიტეტებშია გახსნილი.

19 წლის მანძილზე *აზერბაიჯანულ სკოლებში* მოსწავლეთა რიცხოვნობის 40 პროცენტით შემცირება (49 ათასიდან 29 ათასამდე), შესაძლოა, მიუთი-

თებდეს აზერბაიჯანელთა შორის შობადობის ერთგვარ კლებაზე. მაგრამ უფრო მეტად ამაზე უნდა მოქმედებდეს მათი ბავშვების ქართულ სკოლებში მიბარების ნელა მზარდი ტენდენცია, განსაკუთრებით, თბილისსა და რუსთავში, აგრეთვე შიდა ქართლისა და კახეთის სასოფლო რაიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა შორის.

საერთო ჯამში, თუ ზემომოყვანილ სტატისტიკას დავეყრდნობით, საქართველოს პოლიტიკური მომავლისათვის და მისი ეროვნული ინტერესებისათვის ეთნიკურ მრავალფეროვნებაში საგანგაშო არაფერია. მაგრამ *პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომა* ამ აზრს არ გაიზიარებს.

ეთნიკურ გეოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი მრავალეროვანი ქვეყნისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ერის ნაწილი მეზობელ სახელმწიფოშიც ცხოვრობს, ეს გარკვეულ პოლიტიკურ პრობლემას ქმნის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მაგალითად, ის, რომ XIX საუკუნეში იტალიელთა ნაწილი ავსტრიის იმპერიაში იტალიის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა, პოლიტიკური კრიზისების საბაბი ხდებოდა.

ის, რომ *აფხაზები და ოსები საქართველოს პერიფერიაზე სახლობენ და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები შეიქმნა რუსეთის ფედერაციის მიმდებარე ტერიტორიაზე,* გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა მათში სეპარატისტული მოძრაობის გასაღვივებლად. ამას მოსკოვი ყველანაირად აქეზებდა, რადგან საქართველოს დასუსტებისა და მისი ხელახალი დამორჩილების ფაქტორად მოიაზრებდა. „სამხრეთ ოსეთი", გარკვეული პირობითობით, ჩრდილოეთ ოსეთისათვის *ირედენტაა* (იხ. სქოლიო 30).

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს მთავრობის მიერ რეალურად კონტროლირებად ტერიტორიაზე ეთნიკურ უმცირესობებს შორის კომპაქტურ ჯგუფებს – *ეთნოტერიტორიულ თემებს – ქმნიან მხოლოდ აზერბაიჯანელები და სომხები.* დანარჩენი ეთნოსების წარმომადგენლები გაფანტულად ცხოვრობენ და, ხშირ შემთხვევაში, ქართული ოჯახების წევრები არიან.

საგულისხმოა, რომ *საქართველოში არსებული სომხური და აზერბაიჯანული ეთნოტერიტორიული თემების საგრძნობი ნაწილი განსახლებულია შესაბამისი ქვეყნების მიმდებარე რაიონებში* (აზერბაიჯანელები – ქვემო ქართლში, სომხები – ჯავახეთში). ეს გარემოება საქართველოზე გარკვეული ზემოქმედების ბერკეტს აძლევს ბაქოსა და ერევანს. თბილისს კი სიმეტრიული ბერკეტები არ გააჩნია: საინგილოს მცირერიცხოვანი და ნაკლებ გავლენიანი ქართველობა სათვალავში მისაღები თითქმის არაა: მათი რაოდენობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით 15 ათასი აღმოჩნდა, ანუ იმდენივე, რაც ასი წლით ადრე 1897 წლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა. სომხეთში ქართული დიასპორა რეალურად არც არსებობს.

* * *

ცალკე აღებულ *ჯავახეთის პროვინციაში* (*ახალქალაქისა* და *ნინოწმინდის* მუნიციპალიტეტები, ჯამში 95,3 ათასი მცხოვრებით), რომელიც სომხეთის რესპუბლიკას ემეზობლება, *სომხები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ* (94,8 პროცენტი). ბოლო ათწლეულებში მათმა ხვედრითმა წილმა იმატა კიდეც პროვინციიდან *რუსი დუხობორების* ემიგრაციის გამო. თუ ავიღებთ 1926 წლის მოსახლეობის აღწერას, მაშინ სომხები იმავე პროვინციის მოსახლეობის სამ მეოთხედს შეადგენდნენ, დანარჩენი კი ქრისტიანი ქართველები, რუსები, სხვადასხვა ეთნოსის მუსლიმები იყვნენ. ახლა ჯავახეთი პრაქტიკულად მონოეთნიკურია.

ახალციხის მუნიციპალიტეტში სომხები მოსახლეობის 37 პროცენტს შეადგენენ. ჯავახეთის მიმდებარე *წალკის მუნიციპალიტეტის* ბერძნული წარმოშობის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომლებიც იქამდე უმრავლესობას შეადგენდნენ, 1991 წლიდან საბერძნეთში ემიგრაცია ამჯობინა. ამის შედეგად წალკაში იმავე 1829 წელს ჩასახლებული სომხების შთამომავლებმა უმრავლესობა შეადგინეს – 2002 წლის აღწერის თანახმად – 55 პროცენტი (21 ათას მცხოვრებში).

ახალშექმნილი დემოგრაფიული სიტუაცია საბაბს აძლევს სომხურ (ულტრა?) ნაციონალისტურ ძალებს როგორც სომხეთის რესპუბლიკაში, ისე საზღვარგარეთის სომხურ დიასპორაში, ილაპარაკონ *„სამცხე-ჯავახეთ-წალკის ერთიან სომხურ რეგიონზე"*, რომელიც არც ფორმალურად და არც ფაქტობრივად არ არსებობს.

ეს ძალები პერიოდულად ტეხენ ხმაურიან ცრუ განგაშს სომხური თემის „კულტურული შევიწროების", „ქართველების მიერ დემოგრაფიული ცვლილებების" მოხდენის მცდელობის შესახებ (ამას უწოდებენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შეზღუდულ სამონასტრო საქმიანობას, სტიქიით დაზარალებული ქართველების სუბეთნიკური ჯგუფების, აჭარლებისა და სვანების, მცირე ჯგუფების ჩასახლებას, მაგალითად, იმავე წალკაში). ისინი მოითხოვენ ზემოხსენებულ „რეგიონში" სომხური ენის რეგიონულ ოფიციალურ ენად გამოცხადებას, რაც თბილისის მიერ *„de facto* ავტონომიური რეგიონის" ცნობის ტოლფასი იქნებოდა.

ასეთ მოთხოვნებს სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, ჩვეულებრივ, ემიჯნება ხოლმე: 2007 წელს იმდროინდელმა პრეზიდენტმა *რობერტ ქოჩარიანმა* საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოს სომხებმა აუცილებლად უნდა ისწავლონ სახელმწიფო ენა.

არავითარი შეზღუდვა ჯავახეთში სომხური ენის გამოყენებისათვის არ არსებობს: მოქმედებს სომხური სკოლები, გაზეთები ამავე ენაზე გამოდის, ადგილობრივი ტელევიზია სომხურად მაუწყებლობს. ერთადერთი, თბილისში

ოფიციალური დოკუმენტაცია ქართულად უნდა გამოიგზავნოს. ეს ნორმალური მოთხოვნაა. წარმოვიდგინოთ, მოსკოვში დოკუმენტაცია თათრულად, იაკუტურად, ყალმუხურად, ჩუვაშურად, თაბასარანულად და რუსეთის ასიოდე სხვა ენაზე რომ იგზავნებოდეს!

ის, რომ ჯავახეთის სომხობა არ ფლობს ქართულ ენას, საბჭოთა პერიოდში აიხსნებოდა იმით, რომ ერთაშორისი ურთიერთობის ენა ყველგან რუსული იყო. ადგილობრივ მეზობლებად, რომლებთანაც ურთიერთობა სჭირდებოდათ, იქაურ სომხურ ოჯახებს ისევ სომხები ჰყავდათ და არა ქართველები. რატომ ან როგორ უნდა ესწავლათ მათ ქართული ენა?

მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადების და, განსაკუთრებით, 2007 წელს ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გატანის შემდეგ ვითარება შეიცვალა. სახელმწიფო ენაზე კომუნიკაცია აუცილებლობად იქცა. საქართველოს სომხობის გონიერ ნაწილს კარგად ესმის, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა ხელს შეუწყობს ჯავახეთის სომხების კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც სულაც არ გულისხმობს ასიმილაციას. ხომ შეინარჩუნა საფრანგეთში მცხოვრები ნახევარი მილიონი სომხის დიდმა ნაწილმა თავისი ეთნიკური იდენტობა, თუმცა ფრანგულ სკოლებში სწავლობს?

ამასთან, ქართული ენის შესწავლაში ჯავახეთის სომხებს ქმედითად უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფო.

* * *

საქართველოში მცხოვრებ ***აზერბაიჯანელთა*** ოთხი მეხუთედი თავმოყრილია ქვემო ქართლის რაიონებში (2002 წლის აღწერის მონაცემებით, მარნეულში ისინი მთელი მოსახლეობის 83 პროცენტს შეადგენენ, დმანისში – 67 პროცენტს, ბოლნისში – 66 პროცენტს, გარდაბანში – 44 პროცენტს). საგრძნობია და მზარდია მათი წილი კახეთის რაიონების მოსახლეობაში (საგარეჯოში – 32 პროცენტი, ლაგოდეხში – 22 პროცენტი).

აზერბაიჯანელთა უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად, სადაც ძლიერია პატრიარქალური ტრადიციები, რაც ზემოქმედებს ქალის ადრეული გათხოვების წესზე და ქალების განათლების შედარებით დაბალ დონეზე: ეს, იავის მხრივ, მრავალშვილიანობის საწინდარია. 1990-იანი წლებიდან მათი ,ანსახლების რაიონებში სწრაფად აღორძინდა ისლამური ტრადიციები, გაიხნა მრავალი მეჩეთი, რომელთა მშენებლობა საზღვარგარეთიდან (აზერბაი-;ანიდან, ირანიდან) დაფინანსდა.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა დიდი ნაწილი არ ფლობს ქართულ ენას და რც რუსული ენა იცის. უმაღლესი განათლების მისაღებად ბევრი მათგანი ბაქოსა ; განჯაში მიემგზავრება, სადაც ფაქტობრივად ხდება ქვემო ქართლის რეგიონის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიდერების მომზადება. სხვათა შორის, ბევრმა, ვინც აზერბაიჯანში დარჩა, იქ საკმაოდ დიდ კარიერულ წარმატებას მიაღწია: ბაქოში ბევრი „საქართველოელი აზერბაიჯანელი“ მოღვაწეობს!

მარნეულელები და ბოლნისელები უყურებენ ტელეგადაცემებს მხოლოდ ბაქოდან და უკეთ იციან რა ხდება იქ, ვიდრე თბილისში. *მათი ინტეგრაცია საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძნელად ხორციელდება*. ეს, როგორც ჩანს, ზემოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ლოიალობის გრძნობის სისუსტეზე. თუ არ ჩავთვლით პერიოდულ წინასაარჩევნო აქტივობას, სახელმწიფოს ყურადღება ამ ეთნიკური ჯგუფის მიმართ არასაკმარისია.

აზერბაიჯანელებს შორის ბევრია ახალგაზრდა ასაკის ადამიანი: 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 20 წლამდე ასაკისა იყო 43,3 პროცენტი (*შედარებისათვის*: ქართველებში იმავე ასაკის მოსახლეობა სულ 28,3 პროცენტი იყო). აზერბაიჯანელების საშუალო ასაკი საქართველოში იყო 30,7 წელი, ქართველებისა კი – 36,1 წელი.

აზერბაიჯანელი ბავშვების შედარებით მცირე (თუმცა, თანდათან მზარდი) რაოდენობა სწავლობს ქართულ სკოლებში: მრავალეთნიკურ გარემოში სწავლა გააადვილებს მათ ადაპტაციას დემოგრაფიული ქცევის თანამედროვე მოდელთან და ინტეგრაციას ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

დემოგრაფიული გამოწვევები

საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები ასე შეიძლება დაჯგუფდეს:

- *ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა მცირდება*. ახალგაზრდებს თანდათან უქვეითდებათ ოჯახის შექმნის მოტივაცია, ამან იმოქმედა შობადობის მაჩვენებლის კლებაზე და ა.შ. ამ საფრთხის აღმოფხვრა მხოლოდ თანდათანობით, ხანგრძლივმოქმედი დემოგრაფიული პოლიტიკით შეიძლება.
- თუ შენარჩუნდება შობადობისა და სიკვდილიანობის არსებული ტენდენციები და არ შეჩერდება ემიგრაცია, მაშინ *2050 წლისათვის, გაეროს პროგნოზით, საქართველოს მოსახლეობა შემცირდება 3 მილიონამდე* (ყველაზე ოპტიმისტური შეფასებით – 3,2 მილიონამდე). მათ შორის ქართველების რაოდენობა ორ მილიონის ირგვლივ ან ნაკლები იქნება. კლების ეს ტენდენცია არ დამთავრდება საუკუნის შუაგულში: მომავალში ქართველების რაოდენობა შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ახლავე არ დაიწყება ქმედითი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

• საგანგაშოა ის, რომ *შობადობა მკვეთრადაა შემცირებული სოფლად*, საიდანაც ქალაქში ან საზღვარგარეთ მიდის შრომისუნარიანი და ფერტილურ ასაკში მყოფი მოსახლეობა, უპირველესად, ახალგაზრდობა. ამას თან ერთვის *ნარკომანიისა და ლოთობის ფართო გავრცელება*, რაც უარყოფითად მოქმედებს, როგორც ადამიანის ნაყოფიერებაზე, ისე ოჯახის სიმტკიცესა და მომავალი თაობის ნორმალურ აღზრდაზე. სოფელი ყოველთვის იყო ერის აღწარმოების რეზერვუარი, ახლა კი ამ ფუნქციას კარგავს;

• *დეპოპულაცია*, ანუ დაბადებულთა რაოდენობასთან შედარებით გარდაცვლილ პირთა რაოდენობის სიჭარბე, *მკაფიოდაა გამოვლენილი რეგიონულ ჭრილში* და ეხება ქართველებით დასახლებულ მხარეებს;

• ხდება *მოსახლეობის დაბერება, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ფარდობითი კლება*;

• სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს *მოსახლეობის ემიგრაცია*, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა, რომლებიც ვერ ნახულობენ სათანადო დასაქმებისა და ღირსეული ანაზღაურების საშუალებას საქართველოში.

• *ნელმოქმედი საფრთხეა „ტვინის გადინება“* – ინტელექტუალური პოტენციალის წასვლა, რაც შესაძლოა თანდათან სერიოზულ საფრთხედ იქცეს. ყველაზე უკეთ განათლებული პირები საზღვარგარეთ სამუშაოდ მიდიან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საუკეთესო წარმომადგენლები უკვე წავიდნენ) და ხშირად აღარ ბრუნდებიან.

• *ამჟამად საქართველოსათვის დემოგრაფიულ საფრთხეს წარმოადგენს არა იმდენად იმიგრაცია, რამდენადაც ემიგრაცია. მაგრამ პერსპექტივაში ვითარება შეიძლება შეიცვალოს*: იმ შემთხვევაში, თუკი მოსახლეობის კლება გაგრძელდება, საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნება გარკვეული „ვაკუუმი“, რომელსაც შეავსებს გარედან მოსული, ძირითადად, უცხო მოსახლეობა. თუ საქართველოში მართლაც დაიწყება ეკონომიკური აღმასვლა და გაჩნდება ჭარბი სამუშაო ადგილები, ეს მოიზიდავს შრომით მიგრანტებს ყველა მეზობელი და უფრო შორეული (ვთქვათ, აფრიკული და ისლამური) ქვეყნებიდანაც კი.

• მოსახლეობის დაბალი შობადობის, მისი დაბერებისა და შრომითი რესურსების კლების პირობებში სავსებით *შესაძლებელია საქართველო გახდეს იმიგრაციის ქვეყანა*, რაც მკვეთრად შეცვლის ეთნიკურ სტრუქტურას, დაემუქრება ჩვენს კულტურულ ფასეულობებს და, ზოგადად, ეროვნულ თვითმყოფადობას.

• *დემოგრაფიულ დასაბუთებას მოითხოვს ბათუმის, თურქეთთან ახლოს მდებარე ქალაქის, სწრაფი განვითარების სტრატეგია:* მისი ზრდა გარშემო მდებარე ტერიტორიების მოსახლეობის ხარჯზე შეზღუდულია და

მზარდი ქალაქი ბუნებრივად მოიზიდავს მოსახლეობას ახლომდებარე საზღვარგარეთიდან, რამაც შეიძლება მკვეთრად შეცვალოს ეთნოდემოგრაფიული ბალანსი ბათუმსა და მთელ აჭარაშიც.

- *ეთნიკური კონფლიქტის პოტენციური საფრთხე ჯავახეთსა და ქვემო ქართლში სუსტია*; ნაკლებ მოსალოდნელია, რომ სომხეთის ან აზერბაიჯანის ნებისმიერი ხელმძღვანელობა წავიდეს ღია კონფლიქტზე საქართველოსთან, ყოველ შემთხვევაში იქამდე, სანამ მათ მოუგვარებელი აქვს კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო. *ამიტომ „ჯავახეთის საფრთხის“ ან „ქვემო ქართლის საფრთხის“ გაზვიადება არაკონსტრუქციულად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა მათზე თვალის დახუჭვაც საზიანო იქნებოდა.*

თავი 30

ორი დამოუკიდებლობის შედარების ცდა

მსგავსება და სხვაობა

XX საუკუნეში საქართველო ორჯერ გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამიტომაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მისი *პირველი* (1918-1921) და *მეორე დამოუკიდებლობის* (1991 წლის მომდევნო პერიოდის) შესახებ.

ორივე ისტორიული მოვლენის შემთხვევაში *მსგავსება* ის იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მოჰყვა *რუსეთის სახელმწიფოს* (ჯერ იმპერიის, მეორედ – საბჭოთა კავშირის) *დაშლას* და *მარტო საქართველოს* არ მიეცა მოულოდნელი საშუალება, ორჯერ ესარგებლა ამ, ნებისმიერი ერისათვის ნანატრი, შანსით – გამხდარიყო დამოუკიდებელი ქვეყანა: საქართველოსთან ერთად მსოფლიო რუკაზე ჩნდებოდნენ სხვა ახალი ერი-სახელმწიფოებიც.

ორივეჯერ დამოუკიდებლობის მიღწევა დიდი სისხლისღვრის გარეშე აღმოჩნდა შესაძლებელი. ამიტომაც, საბედნიეროდ, აგვცდა მურმან ლებანიძის მიერ 1970-იან წლებში დაწერილ პატრიოტულ ლექსში გამოთქმული წინასწარმეტყველება:

> „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
> არა დაღვრილის, დასაღვრელის, ალბათ მაცნეა.“

მეორე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი მართლაც ბევრი სისხლი დავღვარეთ, სამწუხაროდ, ძირითადად – ფუჭად.

ორივე დამოუკიდებლობის დროს *ანალოგიური ეთნო-ტერიტორიული პრობლემები* შეგვექმნა: მძაფრად – ოსების პრობლემა შიდა ქართლში და აფხაზებისა – ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ნაკლებად – სხვა ეთნიკური უმცირესობებისა.

მაგრამ ორ შემთხვევას შორის ბევრად უფრო დიდია განსხვავება, რომელიც გამოიხატება:

- დამოუკიდებლობის ხანგრძლივობაში;

- იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, რომელიც ქვეყნის ორ დამოუკიდებლობას წინ უძღოდა;
- ეკონომიკურ, შიდა პოლიტიკურ, სოციალურ ვითარებაში, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თავისებურებებში;
- გეოპოლიტიკურ კონტექსტში, რომელშიც უწევდა არსებობა საქართველოს პირველ რესპუბლიკასა და „მეოთხე" რესპუბლიკას (და მომდევნო „რესპუბლიკებსაც");
- ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მცდელობაში.

* * *

ორი დამოუკიდებლობის შედარება უფრო კორექტული იქნება, თუკი თვალსაჩინოებისათვის დაახლოებით თანაბარ დროით მონაკვეთებს ავიღებთ. ვინაიდან 1918-1921 წლების *პირველი რესპუბლიკა* ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში არსებობდა, სამართლიანი იქნება, თუკი მას *მეორე დამოუკიდებლობის* ასევე მოკლე პერიოდს შევადარებთ. ამ მიზნით ავიღე 1992-1995 წლები, ე.წ. *მეოთხე რესპუბლიკა (იხ. თავი 25).*

1995 წელი აღებულია, როგორც დროითი ზღვარი შედარებისათვის (თუმცა, დამოუკიდებლობა, ბუნებრივია, დღესაც გრძელდება), რადგან იმ წელს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი ქართული კონსტიტუცია, რომლის შესაბამისად სახელმწიფოსაც კი სახელი გამოეცვალა – „საქართველო" ნაცვლად „საქართველოს რესპუბლიკისა".

1995 წლიდან დამოუკიდებელი საქართველო უკვე „სიმწიფეში" შედიოდა, რაც არ დასცალდა პირველ რესპუბლიკას.

ამრიგად, *პირველ რესპუბლიკასთან* შესადარებლად 1992-1995 წლების *მეოთხე რესპუბლიკა* ყველაზე შესაფერისად მივიჩნიე.

აქვე შევნიშნავ, რომ რამდენიმე შემთხვევაში 1995 წლის შემდგომი მოვლენების ხსენებაც დამჭირდება.

შედარება საშუალებას იძლევა უკეთ გავიაზროთ, როგორ მიდიოდა ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის მიმართულებით წინა საუკუნის სხვადასხვა პერიოდში და რა უწყობდა ან უშლიდა ხელს ქვეყნის შემდგომ განვითარებას.

დამოუკიდებლობისწინა ვითარების შედარება

პირველი დამოუკიდებლობის წინ პოლიტიკური ვითარება რუსეთის იმპერიაში არავითარ *წინაპირობას* არ ქმნიდა მომავალში საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის.

ნათელია, რომ ასეთი წინაპირობის შექმნა იმპერიის *სუბიექტურ მიზანს* სულაც არ ნარმოადგენდა. ამასთან ერთად, იმპერიამ *ობიექტურად შექმნა* საფუძველი ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის, როდესაც თავის შემადგენლობაში გააერთიანა პრაქტიკულად მთელი ისტორიული საქართველო.

პირველ დამოუკიდებლობამდე *საქართველოს არ ჰქონდა ერთიანი ადმინისტრაცია*. 1801-1917 წლებში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არ არსებობდა საქართველო, როგორც ასეთი: მისი ისტორიული ტერიტორია რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულად იყო დაყოფილი და იმართებოდა პეტერბურგიდან დანიშნული *რუსი მმართველების* მიერ. ცალკეულ შემთხვევაში გუბერნატორი შეიძლებოდა ეთნიკური (ან გარუსებული) ქართველიც ყოფილიყო, მაგრამ ისინი, უბრალოდ, რუსი მოხელეები იყვნენ.

თბილისში მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის აპარატი მთელ კავკასიას მართავდა და არა მხოლოდ საქართველოს. ქართულენოვან გუბერნიებში, ოკრუგებსა და მაზრებში ქართული წარმოშობის *ბიუროკრატია* უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდა. *საქმისწარმოება მხოლოდ რუსულად მიმდინარეობდა.*

არ არსებობდა ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთები, თუმცა იყო მრავალრიცხოვანი და გამოცდილი ქართული წარმოშობის ოფიცრობა და გენერალიტეტი. სხვა საქმეა, რომ მათი ნიჭი, უნარი და შემართება პირველმა რესპუბლიკამ სათანადოდ არ გამოიყენა.

არ არსებობდა *ქართულ ენაზე განათლების მიღების ერთიანი სისტემა*, კერძოდ, არ გექონდა ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი. მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ეროვნული კადრები მცირერიცხოვანი იყო. რაოდენობრივი სიმცირის ერთგვარი კომპენსაცია იყო ის, რომ ბევრი იმათგანი, ვინც ამ სფეროებში მოღვაწეობდა, მაღალი დონის პროფესიონალი იყო.

პოზიტიური მომენტი იყო ქართულ საზოგადოებაში კონსენსუსის არსებობა იმის შესახებ, თუ რა ტერიტორიას მოიცავს *საქართველო*. მეზობლებმაც ძირითადად იცოდნენ, *თუ რა არის საქართველო* და მათი ტერიტორიული დავა ამ ქვეყანასთან შედარებით შეზღუდულ ხასიათს ატარებდა. ეს მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა მეზობლად წარმოშობილ სხვა რესპუბლიკებთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან, რომელთაც მოუხდათ ბრძოლით დაემტკიცებინათ, თუ რა ეკუთვნის თითოეულ მათგანს.

ქართული პოლიტიკური პარტიები დამოუკიდებლობამდე შეიქმნა. ეროვნული ინტერესების დამცველ პოლიტიკურ პარტიებთან (სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები) „ინტერნაციონალისტურ“ კონტრასტს ქმნიდნენ რსდმპ-ის როგორც მემარცხენე – ბოლშევიკური, ისე მემარჯვენე – მენშევიკური ფრთების ადგილობრივი ორგანიზაციები: მათი ქართველი წევრები თავს ერთიანი რუსეთის პარტიის წევრებად მიიჩნევდნენ და არ იყვნენ ორიენტირებულნი დამოუკიდებლობის მოპოვებაზე.

მეორე დამოუკიდებლობის წინა ხანა მკვეთრად განსხვავდებოდა 1918 წლის წინა პერიოდისაგან. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ *ობიექტურად* შეუქმნა საკმარისი წინაპირობა მომავალი დამოუკიდებლობისათვის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, თუმცა *სუბიექტური მიზანი* კრემლისათვის ეს არ ყოფილა.

ვინაიდან საბჭოთა კავშირი აგებული იყო ეთნოტერიტორიულ პრინციპზე, ყველა რესპუბლიკაში არსებობდა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პოლიტიკური, საგანმანათლებლო, კულტურული ატრიბუტები – სამინისტროები, ადგილობრივი მმართველობა, ეროვნულ ენაზე განათლების მიღების სრული სისტემა, მეცნიერებათა აკადემია და ა.შ.

საბჭოთა საქართველო რეალურად სარგებლობდა გარკვეული თვითმმართველობით და იმართებოდა ეთნიკური ქართველების მიერ. ბიუროკრატია რიცხობრივად საკმარისი იყო.

ოფიციალური საქმისწარმოების ენა შერეული იყო: ზოგან ის სახელმწიფო (ანუ ქართულ) ენაზე ხდებოდა, თუმცა პარტიულ ორგანოებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიებსა და ეთნიკურად არაქართულ რეგიონებში – რუსულად. *შედარებისათვის:* ასევე ენობრივად შერეული იყო ოფიციალური საქმისწარმოება მხოლოდ ბალტიის რესპუბლიკებსა და სომხეთში. ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში ის მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა.

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის სერიოზული ნაკლი იყო, რომ მას არ ჰყავდა ეროვნული არმია ან თუნდაც ადგილობრივი საჯარისო ნაწილები. ქართული წარმოშობის ოფიცრობა ძალიან მცირერიცხოვანი და ცუდად მომზადებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ *მეოთხე რესპუბლიკის* პერიოდში დისციპლინირებული და ბრძოლისუნარიანი ეროვნული არმია შეექმნა.

პოლიტიკური პარტიები, რომლებიც გაჩნდნენ (ან იატაკქვეშეთიდან ამოვიდნენ) 1988 წლიდან, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობამდე, იქმნებოდა ძირითადად თითო პირის გარშემო და მათი იდეოლოგია (თუ ის საერთოდ არსებობდა!) ეკლექტური იყო. რამდენიმე გამონაკლისი, როდესაც პარტია იდეოლოგიის გარშემო იყო დარაზმული, ამინდს ვერ ქმნიდა და საზოგადოებაში მათ მხარდაჭერა ნაკლებად ჰქონდათ. ადრე არსებული *საქართველოს კომუნისტური* პარტია დაშლის პროცესში იმყოფებოდა: ამ იდეოლოგიისა მის წევრებსაც აღარ სწამდათ.

მოკლედ, მეორე დამოუკიდებლობის წინ საქართველო ინსტიტუციურად უკეთ იყო მომზადებული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ვიდრე პირველი დამოუკიდებლობის წინ. ამავე დროს, 1918 წელს ელიტები უკეთ იყვნენ მომწიფებული იმავე მიზნისათვის.

ეკონომიკური ვითარების შედარება

პირველი დამოუკიდებლობის დროინდელ *საქართველოში ეკონომიკური ვითარება* სწრაფად მძიმდებოდა. ეს პროცესი ჯერ კიდევ 1918 წლამდე დაიწყო, ვინაიდან რუსეთის იმპერია მსოფლიო ომში იყო ჩაბმული.

რუსეთის იმპერიის დაშლასთან ერთად გარე ბაზარზე ორიენტირებული საქართველოს მრეწველობა (ძირითადად მანგანუმის მოპოვება) თითქმის ჩაკვდა. გართულდა იმპორტი: რუსეთის ევროპული ნაწილი, საიდანაც ძირითადად შემოდიოდა სამომხმარებლო საქონელი, თვითონ ჩაეფლო პოლიტიკურ და თანამდევ ეკონომიკურ ქაოსში.

მსოფლიო ომში ჩართულ ევროპასთან საქართველოს ეკონომიკური კავშირები პრაქტიკულად არ დაუმყარებია (გერმანიის შემთხვევაში არსებობდა განზრახულობა). ისინი არ გაცხოველებულა ომის დამთავრების შემდეგაც, 1918 წლის ნოემბრიდან. მეზობელი აზერბაიჯანი საქართველოსათვის თხევადი საწვავის (ნავთის), ერთადერთ მომწოდებლად რჩებოდა. 1919-1921 წლებში ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში კიდევ უფრო გაუარესდა.

ამასთან, პირველი დამოუკიდებლობის წინა პერიოდში ეკონომიკური კავშირები დანარჩენ იმპერიასთან არც იმდენად ინტენსიური იყო, რომ მათი გაწყვეტა ტრაგიკულად დაჩნეოდა ახალგაზრდა სახელმწიფოს.

XX საუკუნის პირველი მეოთხედის *ტრანსპორტი* მკვეთრად განსხვავდებოდა იმისაგან, რაც იმავე საუკუნის ბოლოსთვის შეიქმნა. მაშინ სახელმწიფოს ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება ხდებოდა ძირითადად *სარკინიგზო ტრანსპორტით*, რომლის ორთქლმავლებისათვის საწვავად იყენებდნენ ტყიბულის ქვანახშირს. ქვეყანაში ჯერაც წამყვანი იყო *საჭაპანო ტრანსპორტი, რომელმაც* გამწევი ძალა – ხარ-კამეჩი და ცხენი იყო. თბილისის *შიდასაქალაქო საზოგადოებრივ ტრანსპორტად* ელექტრომტრამვაი გამოიყენებოდა. საავტომობილო ტრანსპორტი სუსტად იყო განვითარებული და, ამდენად, ბენზინზე დიდი მოთხოვნილება არ არსებობდა.

ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მთავრობას შეეძლო დიდად არ ეზრუნა. ელექტროენერგია მხოლოდ თბილისსა და რამდენიმე საშუალო ქალაქში გამოიყენებოდა, ისიც მცირე მასშტაბით. სოფლად და ქალაქად უმეტესად საწვავი იყო შეშა, განათება კი ნავთის ლამპებით, სანთლებით ან ჭრაქით ხდებოდა.

საქალაქო მოსახლეობის ხვედრითი წილი ეცემოდა, ძირითადად ქალაქებიდან არაქართული ელემენტის საზღვარგარეთ ემიგრაციის გამო. თბილისის მოსახლეობის შედგენილობა, როგორც ეთნიკური, ისე სოციალური, სწრაფად იცვლებოდა. წავიდნენ ვაჭრობასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში ჩაბმული საკმაოდ მრავალრიცხოვანი ევროპელები; წავიდა რუსული არმიის მოსამსახურეთა და რუსული ბიუროკრატიის დიდი ნაწილი; სომხური ბურჟუ-

აზიისა და კულტურული ელიტის უდიდესი ნაწილი ან ერევანში გადასახლდა, ან ევროპაში (ზოგი – სპარსეთსა და ამერიკაშიც).

თბილისში მკვეთრად გაცხოველდა მიგრაცია დასავლეთ საქართველოდან, რამაც გავლენა მოახდინა დედაქალაქის ეთნიკური სტრუქტურის ცვლილებაზე: ქართველთა ხვედრითმა წილმა ზრდა დაიწყო.

ამავე დროს ქალაქს შემოემატა საკმაოდ ბევრი ლტოლვილი ოსმალეთიდან – სომხები, იეზიდები, ასირიელები, რომლებიც, თავიდან მაინც, მოხმარების მცირე ულუფით კმაყოფილდებოდნენ და ქალაქის მოსახლეობის დაბალ კლასებს ავსებდნენ.

ემიგრაცია უპირატესად პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. ქართული მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინება პრაქტიკულად არ მომხდარა. მცირერიცხოვან პოლიტიკურ ემიგრაციას 1921-სა და მომდევნო წლებში ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებაზე გავლენა არ მოუხდენია.

დასაქმებულთა უმრავლესობა კერძო სექტორში მუშაობდა. სახელმწიფო სამსახურში მყოფთა, ანუ ხელფასზე დამოკიდებული მოსახლეობის, რაოდენობა შედარებით მცირე იყო. ქართული ბურჟუაზია, მართალია, ძალიან მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მას ჰქონდა შანსი, გაეზარდა კაპიტალი და მომავალში მეტი როლი ეთამაშა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (80 პროცენტი) სოფლად ცხოვრობდა და უპირატესად ნატურალურ მეურნეობას მისდევდა. ერთადერთი დიდი ქალაქის, თბილისის, გამოკვება ქართულ სოფელს ასე თუ ისე შეეძლო. საქართველო გადაურჩა მასობრივ შიმშილს მოსახლეობის განსახლებისა და დასაქმების იმდროინდელი სტრუქტურის წყალობით.

მოსახლეობის *მოთხოვნილება დიდი არ იყო* და, ამდენად, ეკონომიკური ვითარების გაუარესებას ის შედარებით ადვილად იტანდა.

მეორე დამოუკიდებლობის პერიოდში ეკონომიკური ვითარების დამძიმება ბევრად უფრო რთული გადასატანი აღმოჩნდა.

1991 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქად ცხოვრობდა, დიდი იყო მრეწველობასა და მომსახურების დარგებში ჩაბმულთა წილი. საბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად ყველა, ვინც მუშაობდა, სახელმწიფოს მიერ იყო დაქირავებული. ბურჟუაზია არ არსებობდა („დელეცებსა“ და „კომბინატორებს“ ბიზნესმენებად ვერ მივიჩნევთ).

ერთიანი ეკონომიკური სივრცის დაშლასთან ერთად, პრაქტიკულად გაჩერდა საბჭოთა პერიოდში აშენებული მსხვილი ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც კოოპერაციულ კავშირში იყვნენ საბჭოეთის უამრავ სხვა საწარმოსთან. მრეწველობა, რომელიც იქამდე მუშაობდა უზარმაზარი, გარე კონკურენციისათვის დახურული ეკონომიკური სივრცისათვის, საგარეო კონკურენციის გაჩენის პირობებში სწრაფად ჩაკვდა, ვინაიდან არ ვარგოდა არც მისი პრო-

დუქციის ხარისხი და არც მისი მენეჯმენტი იყო სათანადოდ მომზადებული.

ძალიან მალე უმოქმედოდ დარჩენილი სამრეწველო საწარმოების მანქანა-დანადგარების დიდი ნაწილი ან დაიტაცეს, ან ჯართად გაყიდეს მოხერხებულმა ადამიანებმა, რომელთაც სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ ან არ აკონტროლებდა.

მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა. ისინიც კი, ვინც შემოსავლის რაღაც დამოუკიდებელი წყარო იშოვა (მცირე ბიზნესი, ბინის გაქირავება და სხვ.), რაკი სახელმწიფო სამსახური დაკარგეს, თავს „უმუშევრად" მიიჩნევდნენ.

დაიწყო დიდი ემიგრაცია. ეთნიკური უმცირესობების გასვლა თავიდან ძირითადად პოლიტიკური ფაქტორით იყო განპირობებული, მაგრამ მალე ეკონომიკურმა ფაქტორმა იმძლავრა.

ემიგრაცია შეეხო ეთნიკურ ქართულ მოსახლეობასაც, რაც არ მომხდარა 1918-1921 წლებში. ემიგრაციის ძირითადი მოტივაცია საქართველოში დარჩენილი ოჯახის დახმარება იყო. ფერტილური ასაკის მოსახლეობის ემიგრაციამ მალე დაამძიმა დემოგრაფიული ვითარება საქართველოში.

აფხაზეთში ომის დიდი ხარჯი, იქიდან ლტოლვილი მოსახლეობა, რომელიც *გამოექცა ეთნიკურ წმენდას*, მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს ეკონომიკას.

გლეხი სოფლად ფლობდა მხოლოდ მცირე საკარმიდამო ნაკვეთს, რომლის დამუშავებით საკუთარი ოჯახის ნაწილობრივი გამოკვება შეეძლო. პროდუქციის ის ნამატი, რომელიც ადრე მას საკავშირო ბაზარზე გაჰქონდა, 1992 წლიდან ნაკლებად გადიოდა იმავე სივრცეში, რადგან ყოფილ საკავშირო, ახლა კი რუსეთის, უკრაინის, ცენტრალური აზიის ბაზრებზე გაჩნდა კონკურენცია და მეორეც – *საქართველოს გ ზები უსაფრთხო არ იყო.*

1992 წლიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების დარიგება სოფლის მცხოვრებთათვის პოპულისტური ნაბიჯი აღმოჩნდა. ეკონომიკური ეფექტი წვრილგლეხურ მეურნეობას არ მოაქვს.

გართულდა *ენერგომომარაგება*. 1960 წელს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსში მხოლოდ 40 პროცენტი იყო რესპუბლიკის გარედან შემოტანილ ნედლეული, 30 წლის შემდეგ კი 90 პროცენტზე მეტი (ნავთობპროდუქტები მთლიანად შემოჰქონდათ). 1960-1990 წლებში საქართველოს გაზიფიკაცია, რამაც იმ დროს გადაარჩინა საქართველოს ტყე, სირთულეების მომტანი აღმოჩნდა: თურქმენეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი ადრე იაფი გაზი მკვეთრად გაძვირდა. 1993-1995 წლებში საქართველოში, ძირითადად „ენერგომაფიის" მაქინაციის შედეგად, დაგროვდა *თურქმენეთის დიდი ვალი გაზისათვის (400 მილიონ დოლარზე მეტი)*. სახელმწიფოს ამ ვალის გადასახდელად მრავალი წელი დასჭირდა.

რუსეთის ფედერაციის მთავრობამ არ შექმნა „რუბლის ზონა", რამაც

ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოშიც, ფინანსური კრიზისი გამოიწვია. საქართველოში 1993 წლიდან ტრიალებდა ფულის შემცველი ქაღალდი – კუპონი, რასაც ჰიპერინფლაცია მოჰყვა. მყარი ვალუტა *ლარი* მხოლოდ „მეოთხე რესპუბლიკის" დასასრულს შემოიღეს.

მოკლედ, „მეორე დამოუკიდებლობის" პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება „პირველ დამოუკიდებლობასთან" შედარებით უარესი აღმოჩნდა.

საგარეო-პოლიტიკური და გეოპოლიტიკური შედარება

თუმცა ისტორიული საქართველოს საზღვრები მეზობლებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, *პირველ რესპუბლიკას* საზღვრების შესანარჩუნებად ან ოფიციალური აღიარებისათვის დიპლომატიური და სამხედრო მეთოდებით ბრძოლა მოუხდა. 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულებამ ლეგიტიმურობა შესძინა თბილისის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიას, თუმცა სამხრეთით საკმაოდ დიდი ფართობი მაინც სადავო რჩებოდა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკა შეიქმნა ყოფილი რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეულების – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგების, ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე. ზუსტად ეს ფართობი ცნო ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს სუვერენულ ტერიტორიად 1920 წლის ხელშეკრულების თანახმად (სადავოდ გამოცხადდა მხოლოდ ზაქათალის ოკრუგი).

საქართველოს *„მეორე", „მესამე", „მეოთხე", „მეხუთე" რესპუბლიკების* ჩრდილო საზღვარი გადიოდა სწორედ იმ ხაზზე, რომელიც დაადგინა ამ ხელშეკრულებამ და მას, სიტყვიერად მაინც, 2008 წლის აგვისტომდე აღიარებდა რუსეთის ფედერაცია.

საქართველოს *პირველი დამოუკიდებლობა* სხვადასხვა გეოპოლიტიკურ გარემოებათა დამთხვევის შედეგი იყო. კერძოდ, ეს იყო:

- ბოლშევიკური რევოლუცია რუსეთში და რუსეთის ფაქტობრივი დამარცხება მსოფლიო ომში;
- რუსეთის სამოქალაქო ომი;
- გერმანიის ინტერესები კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში;

ამ ფაქტორებმა გარკვეული ზომით იმუშავა საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ.

1918 წელს საქართველოს უხდებოდა ლავირება ოსმალეთსა და გერმანიას შორის. 1919 წელს საქართველოს უხდებოდა ლავირება ანტანტას, უპირველესად, ბრიტანეთსა და რუსეთს შორის (იმ დროს რუსეთს ჩვენთვის წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიაში მოქმედი დენიკინის სამხედრო ადმინისტრაცია:

დენიკინი გეგმავდა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას).

გეოპოლიტიკური გარემო პირველი ქართული რესპუბლიკისათვის არახელსაყრელი აღმოჩნდა. ომში გამარჯვებულმა ევროპის ზესახელმწიფოებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ გამოამჟღავნეს ინტერესი სამხრეთ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. *დიდმა ბრიტანეთმა,* რომელსაც კავკასიაში მხოლოდ ბაქოს ნავთობი აინტერესებდა, 1920 წლისათვის უკვე დაამყარა კონტროლი ახლო აღმოსავლეთის უფრო დიდ ნავთობმომცემ ბუდობებზე. სამხრეთ კავკასიის მიმართ დაინტერესება არ გამოიჩინეს არც *საფრანგეთმა,* არც *იტალიამ.* აშშ საერთოდ ჩამოშორდა „ძველი სამყაროს" საქმეებს. *ერთა ლიგამ* საქართველო თავის წევრად არ მიიღო.

1920 წლის შუაგულში საქართველო დატოვა ბრიტანულმა სამხედრო მისიამ. კავკასიაში კი გამოჩნდა რუსეთის ახალი დომინანტი ძალა – ბოლშევიკები. იმავე წლის ბოლოს საქართველო გარშემორტყმული აღმოჩნდა ბოლშევიკური რუსეთითა და ქემალისტური თურქეთით, რომელთაც ერთმანეთთან საერთო ენა გამონახეს.

ყველაზე სერიოზული გეოპოლიტიკური პრობლემა „პირველი დამოუკიდებლობის" საქართველოსათვის იყო ის, რომ *კავკასიაში არ არსებობდა ზესახელმწიფოების რეალური მეტოქეობა დომინაციისათვის,* როდესაც პატარა ქვეყნებს დიპლომატიური მანევრირების საშუალება ეძლევათ ხოლმე. პოლიტიკოსის ოსტატობა სწორედ ასეთ მანევრირებაში ვლინდება. 1921 წლის დასაწყისში რეგიონში ასეთი მეტოქეობა შეწყდა: პოტენციურმა მოწინააღმდეგეებმა – რუსეთმა და თურქეთმა – რომელთაც იმ დროს სხვა ფრონტებიც ჰქონდათ, კომპრომისს მიაღწიეს: 1921 წლის 16 მარტს მათ ხელი მოაწერეს „მოსკოვის ხელშეკრულებას", რომლითაც რუსეთმა და თურქეთმა გაიყვეს სამხრეთ კავკასია: ლომის წილი რუსეთს ხვდა.

ყველაფერმა ამან საშუალება მისცა ძველ მეტროპოლიას, რუსეთს, შედარებით ადვილად აღედგინა თავისი გავლენა რეგიონში.

მეორე დამოუკიდებლობის დროინდელი ზოგადი გეოპოლიტიკური ფონისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ 1990-იან წლებში არსებობდა საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო არენაზე თამაშის წესები, რომელთაც მეტ-ნაკლებად იცავდა რუსეთის ფედერაციაც კი.

ყველა მეზობელ ქვეყანასთან საქართველომ შეძლო ხელშეკრულებების დადება, რომლებითაც მეზობლები მის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდნენ. გამონაკლისი აღმოჩნდა რუსეთის ფედერაცია, რომელთანაც *„ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ"* 1994 წელს პრეზიდენტების მიერ იქნა ხელმოწერილი, მაგრამ რუსეთის სათათბირომ მისი რატიფიკაცია არ მოახდინა და ამის საბაბად გამოიყენა ის, რომ საქართველოს ხელისუფლება არ თანხმდებოდა 25 წლის ვადით *უპირობოდ* დაეტოვებინა

რუსეთის სამხედრო ბაზები თავის ტერიტორიაზე. რეალური მიზეზი კი იყო ის, რომ მოსკოვს არ სურდა ხელშეკრულებით ეცნო რუსეთ-საქართველოს საზღვარი, რაც, ბუნებრივია, მის ფარგლებში ტოვებდა აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“.

1993 წელს რუსეთში მიმდინარე შიდა პოლიტიკური დაპირისპირება დამთავრდა პრეზიდენტ ელცინის ხელში ძალაუფლების კონსოლიდაციით. იმავე წელს შემუშავებულ რუსეთის სამხედრო დოქტრინაში მკაფიოდ ჩაინერა, რომ რუსეთი თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს (ე.წ. „კოზირევის დოქტრინა“, 1823 წლის „მონროს დოქტრინის“ ანალოგიით). დასუსტებული რუსეთიც კი მეტისმეტად ძლიერი იყო საქართველოსათვის, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში, კერძოდ აფხაზეთის სამოქალაქო ომში.

იმავე დროს აღმოჩნდა, რომ კავკასია შედის იმხანად ერთადერთი ზესახელმწიფოს, აშშ-ის გლობალური ინტერესების სფეროში. ეს დიდ განსხვავებას ქმნიდა 1918-1921 წლების გეოპოლიტიკურ ვითარებასთან. საქართველოს მიმართ ვაშინგტონის ინტერესი უფრო ნათლად გამოვლინდა 1990-იანი წლების შუაგულიდან. ამის შედეგია, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით აშენდა დიდი სატრანზიტო მილსადენები კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვისა და ანატოლიის მიმართულებით.

მოკლედ, მეორე დამოუკიდებლობის დროს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური და გეოპოლიტიკური გარემო პირველი დამოუკიდებლობის პერიოდთან შედარებით უფრო ხელსაყრელი იყო.

შიდა პოლიტიკური და სოციალური ვითარების შედარება

პირველი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წელს საქართველოს რესპუბლიკაში გაჩნდა საჭიროება, სასწრაფოდ შეექმნათ სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელთა თანამშრომლებს გამოცდილების შეძენა მუშაობაშივე უხდებოდათ. ეროვნულ არმიას მთავრობა სათანადოდ არ (თუ ვერ?) აფინანსებდა, თუმცა ქვეყანაში მრავლად იყვნენ გამოცდილი ოფიცრები და გენერლები.

მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა არასახარბიელო იყო. ეროვნული ბურჟუაზია ძალიან მცირერიცხოვანი გვყავდა. თანაც სოციალ-დემოკრატიული მთავრობა სოციალისტურ იდეებს ეყრდნობოდა და „კლასობრივ მტერს“ – ბურჟუაზიას (აგრეთვე, ძველ არისტოკრატიას) არ სწყალობდა. ამავე დროს, მოსახლეობის მცირერიცხოვანი, განათლებული ნაწილი მზად იყო *სამოქალაქო საზოგადოების* ჩამოსაყალიბებლად. საერთოდ, სამოქალაქო

საზოგადოება, როგორც *„სივრცე ოჯახსა და სახელმწიფოს შორის“* (ეს ჰეგელის სიტყვებია), უფრო მეტად იგრძნობოდა 1918-1921 წლებში, ვიდრე 1991 წლის შემდგომ პერიოდში.

პირველ რესპუბლიკამდე და მის დროსაც გვქონდა საზოგადოებრივი ჯგუფების მთავრობისაგან დამოუკიდებელი მოქმედების მრავალი შემთხვევა: ამის მკაფიო მაგალითია ქართული პროფესურის მიერ თბილისის უნივერსიტეტის დაარსება. თბილისის უნივერსიტეტი „სახელმწიფო“ მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გახდა. ის თავიდანვე არაკომერციული მიზნით დაარსდა, განსხვავებით 1991 წლიდან მოზღვავებული „კერძო უნივერსიტეტებისაგან“.

პირველი დამოუკიდებლობის დროს ქვეყანაში არსებობდა იდეოლოგიაზე და არა მხოლოდ ლიდერის ავტორიტეტზე დაფუძნებული *პოლიტიკური პარტიები*. არსებობდა თავისუფალი პრესა.

ეკლესიის როლი პირველი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დიდად არ გაზრდილა, თუმცა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ უკვე 1917 წელს განაცხადა. იმდროინდელი ხელისუფლება სეკულარიზმს იცავდა, მაგრამ არ ზღუდავდა მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ადრეც ეკლესიურად ცხოვრობდა.

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია იმ დროის კვალობაზე ლიბერალური იყო, მაგალითად, ის საარჩევნო უფლებას ანიჭებდა ქალებს: იგივე უფლება საფრანგეთის ქალებმა მიიღეს 1945 წელს, ხოლო შვეიცარიაში, რომლის კონსტიტუციაც მოდელად გამოიყენეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონშემოქმედებმა, მხოლოდ 1970-იან წლებში.

ამავე დროს, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაზე საუბარი, გარკვეულად, ფუჭია: მას რეალურად არ უმოქმედია, რადგან ის მიიღეს 1921 წლის 21 თებერვალს, სამი დღით ადრე, სანამ სოციალ-დემოკრატთა მთავრობა თბილისიდან გაიქცეოდა.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ძირითადად კოლექტიური იყო. ნოე ჟორდანია არ ყოფილა არც „საქართველოს პირველი პრეზიდენტი“ (ასეთი პოსტი მაშინ საერთოდ არ არსებობდა), არც რიგით პირველი „პრემიერ-მინისტრი“ (მინისტრთა საბჭოს პირველ თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი აირჩიეს, შემდეგ ის შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე კი ჟორდანიამ შეცვალა). *საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის („მენშევიკების“) ხელმძღვანელი პირების მიერ* საქართველო უმეტესწილად კოლექტიურად იმართებოდა: „ისტორიის სახელით“ უნდა ვთქვა, რომ არცთუ კარგად.

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ნოე ჟორდანიას *ისტორიაში სახელი* შეუქმნეს ბოლშევიკებმა, რომლებიც იმდენად ხშირად აიგივებდნენ მის სახელს, უარყოფით კონტექსტში, „მენშევიკურ საქართველოსთან“, რომ მას

შემდეგ, რაც პარადიგმა შეიცვალა და საქართველოს პირველი რესპუბლიკა პოზიტიურ პლანში განიხილება, ნოე ჟორდანია გმირად იქცა.

თუმცა *პირველი რესპუბლიკის* იდეალიზაცია შეცდომა იქნებოდა, მაინც უნდა აღინიშნოს ის დიდი სულიერი აღმავლობა, რაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წელს. სულ მოკლე ხანში თვალსაჩინო გახდა სოციალურ-კულტურული რენესანსი, რომელიც ინერციით გაგრძელდა 1920-იანი წლების საკმაო ხანს და მისი მთლიანად წაშლა 1930-იანი წლებიდან განმტკიცებულმა ტოტალიტარიზმმაც კი ვერ შეძლო.

მეორე დამოუკიდებლობის პერიოდში სახელმწიფო ინსტიტუტები ქვეყანაში უკვე არსებობდა, თუმცა ბიუროკრატიის მომზადების ხარისხი და მისი მორალური დონე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ.

მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა 70 წლის წინანდელზე უარესი აღმოჩნდა. პრაქტიკულად არ არსებობდა ბურჟუაზია. „ბიზნესმენებად" ვერ მივიჩნევთ სხვადასხვა „ცეხავიკებს", „დელეცებსა" და „სპეკულანტებს", რომელთაც შეეძლოთ საქმიანობა მხოლოდ უკონკურენტო გარემოში, მუდმივი დეფიციტის პირობებში. *მუშათა კლასს, რომელსაც მანამდე 70 წლის განმავლობაში „საზოგადოების წარმმართველ ძალას" ეძახდნენ, არავითარი ლიდერობის უნარი არ შესწევდა.* გლეხობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – ის პოლიტიკურად სრულებით არაორგანიზებული იყო.

პოლიტიკურმა პარტიებმა ლიდერების ირგვლივ მოიყარეს თავი. უიშვიათესი გამონაკლისით (მაგ., რესპუბლიკელები) არ არსებობდა რაიმე იდეოლოგიით შეკრული პოლიტიკური პარტიები.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის ვითარებაში ჩამოყალიბებული საზოგადოების მენტალიტეტის შეცვლის ტემპი დაბალი იყო. ეს სავსებით ნორმალურია: საჭიროა გამოიცვალოს თაობები, რომ მათ სხვანაირად იაზროვნონ. რასაკვირველია, სწრაფად ვერ შეიქმნებოდა ნამდვილი ბიზნესის განვითარების პირობები. ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰქონდა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხოლმე ხელს.

ზემოხსენებული უფრო თეორიაა. პრაქტიკაში კი გვქონდა კრიმინალური ელემენტის პარპაში. ხალხი ფიქრობდა ფიზიკურ გადარჩენაზე და არა რაღაც „სამოქალაქო საზოგადოებაზე"...

მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ ადამიანებს სულიერ შეებას ეკლესია ჰპირდებოდა. მათ რელიგიის მეშვეობით დაიწყეს მორალური ვაკუუმის შევსება. *ეკლესიის როლის* ზრდა მთელ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში *„გლასნოსტის"* დროიდანვე დაიწყო. დამოუკიდებელ საქართველოში (და ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში) მკვეთრად იმატა სასულიერო პირების რაოდენობამ. იმძლავრა კლერიკალიზმმა. მართალია, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ „მეოთხე" და მომდევნო ქართული რესპუბლიკების

სეკულარული მთავრობები გადაწყვეტილებათა მიღებისას იძულებულნი ხდებოდნენ მხედველობაში მიეღოთ ეკლესიის მზარდი გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

საქართველოსათვის ხსნა აღმოჩნდა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში *კათოლიკოს-პატრიარქი ილია II* უზარმაზარი ქარიზმის მქონე, ბრძენი ლიდერია. თუმცა ეკლესია ფორმალურად არ ერევა პოლიტიკაში, მაგრამ ილია II-მ ბევრჯერ გადაარჩინა საქართველო შიდაპოლიტიკურ კონფრონტაციას და მანვე ერთგვარად შეარბილა ჩვენი რთული ურთიერთობა ერთმორწმუნე, მაგრამ მტრულად განწყობილ რუსეთთან.

1992-1995 წლებში საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური ხელისუფლება კონსოლიდირებული არ იყო. მიმდინარეობდა ფარული ბრძოლა ძალაუფლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ 1992 წელს *ედუარდ შევარდნაძე* სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს, იგი შებორკილი იყო საშინაო პოლიტიკის გატარებისას. რაციონალური გადაწყვეტილების მიღება ემოციებსა და ამბიციებს ეწირებოდა, რაც აფხაზეთში ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი გახდა, ბუნებრივია, უცხო ქვეყნის მიერ მის პროვოცირებასთან ერთად.

1995 წელს მიღებული იქნა საქართველოს ახალი, მეტ-ნაკლებად დაბალანსებული კონსტიტუცია. იქამდე კი ფორმალურად მოქმედებდა 1921 წლის კონსტიტუცია, რომელსაც არც ერთი კანონი არ ეყრდნობოდა.

მოკლედ, შიდა პოლიტიკური ვითარება მეორე დამოუკიდებლობის პირველ წლებში ისევე მძიმე იყო, როგორც პირველი დამოუკიდებლობის დროს.

გაკვეთილი მომავლისათვის?

ორივე დამოუკიდებლობისას მიღებული მთავარი გაკვეთილი ისაა, რომ ვკითხულობდეთ იმას, რაც გამგებისათვის გასაგებად წერია: *მცირე ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები ზესახელმწიფოსათვის შეიძლება მეორეხარისხოვანი (და მეათეხარისხოვანიც კი) იყოს.*

ამიტომაც *არ უნდა ველოდოთ, რომ რომელიმე ზესახელმწიფო თავს გამოიდებს ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად,* მით უმეტეს, თუკი პრობლემებს ჩვენ თვითონვე *შევიქმნით.*

ნებისმიერმა ხელისუფლებამ ყოველთვის უნდა გამოიყენოს სამხედროებისა და დიპლომატებისათვის ურყევი პრინციპი – *„ვიმუშაოთ საუკეთესო შედეგისათვის, ვემზადოთ ყველაზე უარესისათვის“.* გამოგონილი ილუზიების აფუძველზე მოქმედება, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკის გატარება, ჰატარა ქვეყნისათვის დამღუპველია.

განსხვავებით პირველი დამოუკიდებლობისაგან, მეორე დამოუკიდებლობა უფრო გრძელია და შეუქცევადიც. 1996 წლიდან მოყოლებული პერიოდის შედარება ხანმოკლე 1918-1921 წლების პერიოდთან არაკორექტულად მივიჩნიე.

ორი დამოუკიდებლობის შედარება ცალკე განხილვას მოითხოვს – აქ მხოლოდ მოკლე მონახაზია მოცემული და ისტორიკოსები ამას, ალბათ, გააკეთებენ. ეს საჭიროა იმისათვისაც, რომ *მომავალმა საქართველომ*, ე.ი. ხალხმა და მის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ, გაითვალისწინოს ადრე დაშვებული შეცდომები და, შეძლებისდაგვარად, აარიდოს თავი იმ წყალქვეშა კლდეებს, რომლებიც ყოველთვის ელოდება საერთაშორისო პოლიტიკის ოკეანეში მარტო გასულ პატარა ხომალდს.

თავი 31

საქართველოს სამეზობლო

დამოუკიდებელ საქართველოს ოთხი უშუალო მეზობელი ჰყავს – *რუსეთი, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი*. ქვემოთ მოცემულია ჩვენი მეზობლების შიდა პოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკური კურსის მოკლე დახასიათება არაერთგვაროვანი სქემით: წინ წამოვწიე, ჩემი აზრით, თითოეულისათვის უფრო მნიშვნელოვანი მომენტები.

რადგან ამ წიგნის წინა ნაწილებში სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი განხილულია საბჭოთა და უფრო ადრეული პერიოდის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში, 1991 წლამდე იქ მიმდინარე პროცესებზე აღარ შევჩერებულვარ. თურქეთის რესპუბლიკის შემთხვევაში კი უფრო ხანგრძლივ პერიოდზე მომიხდა საუბარი.

ჩვენი მეზობელი რუსეთი

თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ რუსეთის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ნეიტრალურია. ის არ მიმაჩნია არც საქართველოს *კეთილმოსურნე მეგობრად* და არც რაღაც უნივერსალურ ბოროტ ძალად.

საქართველოს მეზობლად დიდი *რუსეთის მდებარეობა არის კონსტანტა*. ეს გეოგრაფიული აქსიომაა. ოდესღაც, შუა საუკუნეების ბოლოს, *რუსეთის ფაქტორი* ჩვენთვის პოზიტიური იყო, რადგან აბალანსებდა სამხრეთით მდებარე ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკურ ფაქტორს. XX და XXI საუკუნეებში წინ გამოვიდა იმავე ფაქტორის ნეგატიური ელემენტები. პოლიტიკოსის ოსტატობაზეა დამოკიდებული ამ ელემენტების განეიტრალება ან მათთვის გვერდის ავლა. ბევრ ჩვენს ლიდერს ეს ოსტატობა არ აღმოაჩნდა, პირიქით, გაუაზრებელი ქცევითა და სიტყვებით უფრო დაძაბა ურთიერთობა.

რუსეთისა და საქართველოს *პოლიტიკური ურთიერთობა* ყოველთვის ეფუძნებოდა პრაგმატულ საფუძვლებს. რიტორიკა „ერთმორწმუნეობაზე", „სულიერ სიახლოვეზე", „მრავალსაუკუნოვან ისტორიულ კავშირებზე", „თამა-

რის პირველ ქმარზე" („უბედურ რუსზე"), „ქართველი სტალინის როლზე რუსული სახელმწიფოს უდიდეს სამხედრო გამარჯვებაში" და სხვა მსგავსი პროპაგანდისტული პასაჟები, რომელთაც ორივე ქვეყნის პოლიტიკოსები და დიპლომატები ურთიერთობის გარკვეულ ეტაპებზე საჯაროდ უხვად აფრქვევენ ხოლმე, გათვლილია ორივე ქვეყნის გაუცნობიერებელ „საშუალო მოქალაქეზე".

სინამდვილეში, ვახტანგ VI-ს, ერეკლე II-ს, ნოე ჟორდანიას, ედუარდ შევარდნაძესაც და ბევრ სხვასაც სავსებით პრაგმატული მოტივაცია ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობისას: *ან მისი დახმარება სჭირდებოდა, ან მისგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილება.* სხვა საქმეა, რომ სასიკეთო შედეგის მოლოდინი არც ერთ შემთხვევაში საბოლოოდ არ გამართლდა.

პრაგმატიზმი და არა რაღაც აბსტრაქტული „მეგობრობა და ერთმორწმუნეობა" ედო და უდევს საფუძვლად რუსეთის ყველა მმართველის (მათ შორის ერთ-ერთი ქართული წარმოშობისაც კი იყო) დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ: *მათ სურთ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება სხვა ზესახელმწიფოებისაგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად და, პირიქით, მათთვისვე საფრთხის შესაქმნელად.*

ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, საბჭოთა პერიოდში, ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში რუსეთის დიდ ბაზარს და იქიდან შემოტანილ ბუნებრივ რესურსებს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. მიუხედავად ბევრად მცირე ზომისა, საბჭოთა საქართველოსაც ჰქონდა საკმაო ეკონომიკური მნიშვნელობა რუსეთისათვის თავისი კლიმატური რესურსების შესაბამისი სპეციალიზაციის წყალობით (საკურორტო მეურნეობა, მეჩაიეობა, სუბტროპიკული მეხილეობა, მევენახეობა-მეღვინეობა).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში რუსეთისათვის ეს მნიშვნელობა საქართველოს დაეკარგა: მზეზე გასარუჯად რუსები ანტალიაში ან ხურგადაში დადიან, ჩაი ცეილონიდან შემოაქვთ, ციტრუსები – ესპანეთიდან, ღვინო – ჩილედან. დამოუკიდებელი საქართველოსთვისაც რუსული ბაზარი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა „სასიცოცხლო დონეზე": თითქმის შვიდი წელი (2006-2013) ეს ბაზარი ჩვენი პროდუქციისათვის მთლიანად დაკეტილი იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სხვა ბაზრებიც ვიპოვეთ და სხვა მომწოდებლებიც.

ორივე მხარის ეროვნული ინტერესი მეორის მიმართ წმინდა გეოპოლიტიკურია.

სენტიმენტალური გრძნობები შეიძლება არსებობდეს ინდივიდის დონეზე. სახელმწიფო დონეზე შეიძლება მოხდეს *ეროვნული ინტერესების ნაწილობრივი დამთხვევა* (სრული დამთხვევა შეუძლებელია) ან მათი სრული განსხვავება.

შესაბამისად ყალიბდება საგარეო პოლიტიკა.

* * *

რა არის თანამედროვე რუსეთის ფედერაცია?

ცოტა ხნის წინ არსებული მსოფლიო დონის იმპერია ახლა არის დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი, ტერიტორიულად დაპატარავებული და ამის გამო გამწარებული რეგიონული ზესახელმწიფო, რომელიც იძულებულია არსებობისათვის იბრძოლოს საკმაოდ შეზღუდული მეთოდებით. ეკონომიკურად ის თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ნავთობისა და გაზის ექსპორტზე.

მაგრამ რუსეთი დღემდე იმპერიაა, თუნდაც რეგიონული დონისა. საბჭოთა კავშირისაგან მას მემკვიდრეობით შემორჩა დიდძალი ბირთვული იარაღი, რომლის შექმნაში ქართველებსაც შეუტანიათ წვლილი (თუ, მიუძღვით ბრალი). *საგარეო პოლიტიკას რუსეთი ნეოიმპერიალისტული პოზიციიდან წარმართავს.* ეს კრიტიკა არაა, ესაა ფაქტის კონსტატაცია.

თუ დიდ ქვეყნებთან ან მათ ჯგუფებთან (მაგალითად ევროპულ კავშირთან) თანამედროვე რუსეთის ნეოიმპერიალისტული პოლიტიკა ნაკლებად შედეგიანია, პატარა ქვეყნებთან ეს მას უკეთ გამოსდის. ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

თანამედროვე რუსეთის ფედერაცია ცდილობს თავი წარმოაჩინოს რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის გარკვეულ სინთეზად.

ეს ჩანს *თანამედროვე* რუსეთის ფედერაციის *სახელმწიფო სიმბოლიკაშიც*: ორთავიანი არწივი *გერბ*ზე XV საუკუნეში დაღუპული *ბიზანტიიდან აიღეს*; სამფეროვანი *დროშა* XVII საუკუნის ბოლოს მეფე *პიოტრ* (პეტრე) *პირველმა ჰოლანდიიდან* ჩამოიტანა; 2000 წელს რუსეთმა დაიბრუნა 1943 წელს სტალინის მიერ შერჩეული *საბჭოთა კავშირის ჰიმნის* მუსიკა. ჰიმნის ტექსტი კი ახალი რუსული ნაციონალიზმის სულისკვეთებით შეცვალა იმავე *სერგეი მიხალკოვმა*, რომელმაც სამოციოდე წლით ადრე პოეტ *ელ-რეგისტანთან* ერთად შექმნა პოეტური ტექსტი სტალინის მადიდებელი სიტყვების გამოყენებით.

აღნიშნული აღმოსავლურ-დასავლურ-საბჭოთა ნაზავი შემთხვევითი არაა – ის ტენდენციას აჩვენებს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ („Государственная дума", რაც პარლამენტის ქვედა პალატას უთანაბრდება) 1999 წლის ერთი დადგენილებით *საერთაშორისო ურთიერთობების ერთსა და იმავე მონაწილედ, საერთაშორისო სამართლის ერთსა და იმავე სუბიექტად, რომელსაც არასოდეს შეუწყვეტია არსებობა, გამოაცხადა რუსეთის სახელმწიფო, რუსეთის რესპუბლიკა, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ), საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) და რუსეთის ფედერაცია.*

რუსეთის სახელმწიფოში იგულისხმება რუსეთის სამეფო (1721 წლამდე) და რუსეთის იმპერია (1721-1917). *რუსეთის რესპუბლიკა* არსებობდა 1917 წელს,

რსფსრ – 1917-1922 წლებში, *სსრკ* – 1922-1991 წლებში, *რუსეთის ფედერაცია* – 1991 წლიდან დღემდე.

ამრიგად, რუსეთის ფედერაცია აცხადებს თავს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ბოლო ნახევარი ათასწლეულის განმავლობაში არსებული ყველა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრედ.

საინტერესოა, რომ XIII-XV საუკუნეებში თითქმის იმავე ტერიტორიის პატრონს – თათარ-მონღოლთა *„ოქროს ურდოს“* – რუსეთი თავის წინამორბედად *არ მიიჩნევს, ალბათ იმის გამო, რომ მისი ისტორიული სტერეოტიპები „ოქროს ურდოს“ მხოლოდ ნეგატიურ ფერებში ხატავენ. სინამდვილეში კი* სწორედ *ურდოს ხანების* მმართველობის წესები იყო რუსეთის სამეფოს ბირთვის – მოსკოვის დიდი სამთავროსათვის მისაბაძი წარმატებული მაგალითი. *„ოქროს ურდოს“* ტერიტორიული მემკვიდრეობა მთლიანად გადავიდა მოსკოვის დიდი მთავრების, მომავალი *რუსეთის ცარების* ხელში. ბუნებრივია, ეს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით გაკეთდა, რადგან შუა საუკუნეებში (მგონი, შემდეგაც) „კანონიერ მემკვიდრეობას“ ყოველთვის ეუფლებოდა სხვებზე უფრო ძლიერი „მემკვიდრე“.

რადგანაც რუსეთის ფედერაცია თავს აცხადებს ყველა წინა რუსული სახელმწიფოს სამართალმემკვიდრედ, ის, ცხადია, უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას ადრე ჩადენილი ყველა როგორც „კეთილი“, ისე „ბოროტი“ საქმისათვის. ბრჭყალები იმიტომ ვიხმარე, რომ განსხვავება ამ საქმეებს შორის ფარდობითია: ერთი და იგივე საქმე ერთისათვის კეთილია, მეორისათვის კი – ბოროტი.

რუსეთს ავიწყდება თავისი სამართალმემკვიდრეობა მაშინ, როდესაც საუბარია 1939 წელს ჰიტლერთან ერთად ევროპის გაყოფაზე,1956 წელს – ბუდაპეშტში, 1968 წელს – პრაჰაში, 1979 წელს ქაბულში საბჭოთა ტანკების შეყვანაზე. რუსეთის არც ხელისუფლებას და არც ხალხის დიდ ნაწილს არ უნდა ცალსახად გამოაცხადოს *სტალინიზმი* ისეთსავე ბოროტებად, როგორიც იყო *ჰიტლერიზმი*. როდესაც 2009 წელს ორივე ეს რეჟიმი დაგმო *ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ*, ოფიციალურმა მოსკოვმა და რუსმა ხალხმა თავი ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნეს.

რუსეთის *დუმაში* ერთხანს ტრიალებდა იდეა, რომ რუსეთს თავი გამოეცხადებინა საბჭოთა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრედ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, მათ შორის, სახელმწიფო ვალების, სფეროში (მან ისედაც აიღო თავის თავზე საბჭოთა კავშირის საგარეო ვალები, მაგრამ, აგრეთვე, დაიტოვა საგარეო აქტივები, საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღი, ვეტოს უფლება გაეროს უშიშროების საბჭოში), მაგრამ *არც იურიდიულად და არც მორალურად არ აეღო პასუხისმგებლობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულზე* როგორც საბჭოთა კავშირის

ტერიტორიაზე, ისე აღმოსავლეთ ევროპაში. კანონპროექტი, რამდენადაც ვიცი, არ გასულა კენჭისყრაზე. ეს ძალიან „სათავისო დოქტრინა" იქნებოდა! მას შეეძლო პრეცედენტი შეექმნა ზოგიერთი სხვა ისტორიული დანაშაულის (მაგალითად, ჰიტლერული გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლიუსის) მორალური გამართლებისათვის.

2005 წელს რუსეთის პრეზიდენტმა *ელადიმირ პუტინმა* დიდი გულისნუხილით განაცხადა, რომ *„სსრკ-ის დაშლა საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო"*.

ეს ისე ითქვა, თითქოს იმავე XX საუკუნის მეორე დეკადაში რამდენიმე ევროპული იმპერიის კრახი ნაკლები გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. მაშინაც ხომ დაზარალდნენ არა მარტო ამ იმპერიების მესვეურები, არამედ მათი მოსახლეობის დიდი ნაწილიც?

რუსეთის იმპერიის ნაცვლად შექმნილი პოლიტიკურად პლურალისტური პირველი რუსული რესპუბლიკის 1917 წლის ბოლოს დანგრევა ძალადობრივად მოხდა, თანაც სწორედ მომავალში საბჭოთა კავშირის მშენებელი ბოლშევიკების მიერ (იგულისხმება *ოქტომბრის რევოლუცია*, რომელსაც გერმანიასთან 1918 წლის *ბრესტის სეპარატული ზავი* მოჰყვა).

პირველ რუსულ რესპუბლიკას *იქნებ* შეეძლო კიდეც შეექმნა ხალხთა დემოკრატიული ფედერაცია (კონფედერაცია?), ბოლშევიკების მიერ ძირში მოჭრილი რომ არ დაცემულიყო? ამას მოჰყვა სამწლიანი სამოქალაქო ომი, როდესაც უამრავი ადამიანი ძმათაკვლის მსხვერპლი გახდა.

1918 წლიდან რუსეთის საზოგადოების ელიტური ნაწილი საზღვარგარეთ გაიქცა, მიატოვა დიდძალი ქონება და საუკუნეების განმავლობაში შეძენილი ან შექმნილი კულტურული ფასეულობანი, რომლის საგრძნობი ნაწილი საბჭოთა კავშირის მშენებლებმა დაიტაცეს, მოსპეს ან საზღვარგარეთ გაყიდეს. ქრისტიანული კულტურის ნიადაგზე წარმოქმნილი ბრწყინვალე რუსული ინტელიგენციის ადგილი უპირატესად დაიკავა ენობრივად რუსიფიცირებულმა ელემენტმა, რომელიც სხვა კულტურულ ტრადიციებზე იყო აღზრდილი და რომლისთვისაც ადვილი აღმოჩნდა ახალ ინტერნაციონალურ საბჭოთა კულტურასთან შეგუება.

განა 1917-1920 წლების ამბები რუსეთისათვის უფრო დიდი უბედურება არ იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის უსისხლო დაშლა 1991 წელს?

* * *

საბჭოთა კავშირის დაშლამ რუსეთი გეოგრაფიულად „გადასწია" ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ. მან დაკარგა შავ და ბალტიის ზღვაზე გასასვლელის დიდი ნაწილი, რაც მისმა მეფეებმა დიდი ბრძოლების შედეგად დაიპყრეს XVIII საუკუნეში. რუსეთი არსებითად დაუბრუნდა XVII საუკუნის (ზოგან – XVI

საუკუნის) საზღვრებს, ანუ იმ მდგომარეობას, სანამ იგი უკრაინას, ბალტიისპირეთს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შეიერთებდა. ყოფილი რუსეთის იმპერიის ფართობი (22 მილიონი კვ. კილომეტრი – მსოფლიო ხმელეთის ერთი მეექვსედი), რომელზეც 1920-იანი წლებიდან განლაგებული იყო საბჭოთა კავშირი, 1991 წლის ბოლოს შემცირდა 5 მილიონი კვ. კილომეტრით.

მართალია, რუსეთი თავისი 17 მილიონი კვ. კილომეტრი ფართობით ისევ რჩება მსოფლიოში უდიდეს სახელმწიფოდ, მაგრამ მან დაკარგა ნავსადგურები ბალტიის ზღვაზე (გარდა *პეტერბურგისა* და *კალინინგრადისა: ეს უკანასკნელი არის* ექსკლავი) და შავ ზღვაზე, მათ შორის, XVIII საუკუნის ბოლოს იმპერიის მიერ დაარსებული მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა *სევასტოპოლი*, რომლის იჯარით აღება მოსკოვს დამოუკიდებელი უკრაინისაგან მოუხდა.

რა გასაკვირია, რომ რუსეთში გაჩნდა *„ევრასალის სინდრომის"* ნაირსახეობა (იხ. თავი 13) – გულისტკივილი იმპერიის შემცირების გამო და სიძულვილი იმ გამოგონილი მტრების მიმართ, რომლებმაც ეს თითქოს გამოიწვიეს. „ანტი-ამერიკანიზმი", „ანტი-*ნატო*-ელობა" ხალხში ბევრს გადაედო: საკმარისია ინტერნეტის რადიკალურ საიტებზე იხილოთ ბლოგერების გამოხმაურებები!

მოსახლეობის რაოდენობით (287 მილიონი 1989 წელს) საბჭოთა კავშირი მსოფლიოში მესამე სახელმწიფო იყო. 2012 წელს კი რუსეთის ფედერაცია 143 მილიონი მცხოვრებით მსოფლიოში მეცხრე ადგილზე იმყოფებოდა: ჩინეთის, ინდოეთისა და აშშ-ის გარდა, მას უკვე გაუსწრეს ინდონეზიამ, ბრაზილიამ, პაკისტანმა, ნიგერიამ, ბანგლადეშმა.

მოსახლეობის ზრდის ტემპით მსოფლიოს 230 პოლიტიკურ ერთეულს შორის რუსეთი 221-ე ადგილზე აღმოჩნდა: გაეროს მონაცემებით 2005-2010 წლებში რუსეთის მოსახლეობის რაოდენობა წლიურად 0,51 პროცენტით მცირდებოდა. ეთნიკური რუსების რაოდენობა 2010 წელს თითქმის 9 მილიონით (!) ნაკლები იყო, ვიდრე 1989 წელს (119,8 მილიონიდან 111 მილიონამდე შემცირდა). ამის ძირითადი მიზეზი ალკოჰოლიზმია. ერისათვის ეს ტრაგიკული მომავლის მომასწავებელია.

რუსეთისათვის სახიფათოა ის, რომ მისი აზიური სამფლობელო – ურალის ქედიდან წყნარ ოკეანემდე, სადაც მსოფლიოს უდიდესი ბუნებრივი რესურსებია თავმოყრილი, მოსახლეობისაგან იცლება: უზარმაზარ ტერიტორიაზე სულ 16 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ჩინეთის *ჰეილუნძიანისა* და *ძილინის* პროვინციებში 64 მილიონზე მეტი მცხოვრებია, მაშინ როცა მეზობლად მდებარე რუსეთის *ხაბაროვსკის ოლქსა* და *პრიმორიეს მხარეში* – 4 მილიონზე ნაკლები და ეს რაოდენობაც მცირდება.

რუსეთს შრომითი რესურსების შევსება შეუძლია მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოსული იმიგრანტების ხარჯზე. შუა აზიის, კავკასიის ქვეყნების, უკრაინის, მოლდოვის ბევრი მოქალაქე რუსეთში მუშაობს და მის ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება. ერთდროულად ისინი სამშობლოში

დარჩენილ საკუთარ ოჯახებსაც ეხმარებიან: მათ მიერ რუსეთიდან თავიანთ ქვეყნებში გადარიცხულმა თანხამ 2012 წელს 21 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ამავე დროს, რასობრივად და რელიგიურად განსხვავებული ელემენტი რუსეთში ქსენოფობიის ობიექტი ხდება. ევროპაში რასიზმით ყველაზე გამორჩეული ფეხბურთის ფანები პეტერბურგში ცხოვრობენ და ადგილობრივ „ზენიტს" გულშემატკივრობენ. მოსკოვში უკვე გამოჩნდნენ *„დრუჟინნიკები"* (მოხალისე „პოლიციელები"), რომლებმაც დედაქალაქი უნდა გაწმინდონ „არალეგალებისგან", მაშინ როცა სწორედ ამ „არალეგალებზე" დგას წვრილი ვაჭრობა, ქალაქის დასუფთავება: მოსკოვის თითქმის ყველა მეეზოვე ეროვნებით ტაჯიკია.

რუსეთი ტრადიციულად იყო გასამხედროებული სახელმწიფო. მეფე *პიოტრ პირველიდან* მოყოლებული კარგად გაწვრთნილი მუდმივი არმია ქვეყნის ხერხემალს ქმნიდა. არსებულ პირობებში კი რუსეთის არმიას მხოლოდ პატარა საქართველოს დამარცხება თუ შეუძლია. მეტ-ნაკლებად თანასწორ პოტენციურ მეტოქეებთან შედარებით რუსეთი სუსტია. მართალია, ის შეუდგა სამხედრო გადაიარაღების მასშტაბური პროგრამის განხორციელებას, 2012 წელს იყიდა საფრანგეთისაგან თანამედროვე სადესანტო ხომალდი *„მისტრალი"*, 2013 წელს წყალში ჩაუშვა საკუთარი წარმოების ატომურძრავიანი წყალქვეშა ნავი *„იური დოლგორუკი"* და ა. შ., მაგრამ არსებული პრაქტიკა გვკარნახობს, რომ ტექნიკას კარგი ექსპლუატაცია ესაჭიროება, რაც რუსეთის არმიისათვის დამახასიათებელი არაა. ბოლო დროს ცნობილი გახდა მის თავდაცვით უწყებაში გიგანტური დატაცების ფაქტები, რაც ადრეც ხდებოდა, მაგრამ არ ხმაურდებოდა.

2011 წელს სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი იყო რუსეთის 21 მილიონი მოქალაქე (არმიაში გაწვევა სამხედრო კომისარიატებისათვის ყოველწლიურად სულ უფრო მძიმე თავსატეხი ხდება), ამერიკაში – 60 მილიონი, ინდოეთში – 237 მილიონი, ხოლო ჩინეთში – 315 მილიონი.

მოსკოვში გაგონილი ერთი ხუმრობა საკმაოდ ნიშანდობლივია: *„რუსეთში შეჭრის შემთხვევაში ჩინეთის არმიის მთავარი ამოცანა იქნება მოწინააღმდეგის არმიის აღმოჩენა!"*

ახლომდებარე ძველი მეტოქეებიც წამოეწივნენ რუსეთს: ირანსა და თურქეთში სამხედრო სამსახურისათვის ვარგისია 17-17 მილიონი ადამიანი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკელებმა ძალიან მოიწადინეს, რომ მისი ბირთვული იარაღი ერთ, ამჯერად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ხელში აღმოჩენილიყო. ამიტომ უკრაინა და ყაზახეთი, სადაც ეს იარაღი ისევე იყო განლაგებული, როგორც რუსეთის ფედერაციაში, დააჯერეს (მათ შორის ფინანსური მოტივაციითაც) ბირთვული იარაღი რუსეთისათვის გადაეცათ, რომელიც ბირთვულ იარაღს სტრატეგიული შეკავების საშუალებად მიიჩნევს, მაგრამ თავის სამხედრო დოქტრინაში მისი პრევენციულად გამოყენების უფლებაც ჩაიწერა.

ამერიკამ გაიღო დიდი თანხა, რომ ბირთვული ფიზიკის საბჭოთა მეცნიერები და პრაქტიკოსები არ დაფანტულიყვნენ (ამერიკელებს განსაკუთრებით აშფოთებდათ ირანში მათი წასვლა) და სათანადო ანაზღაურებით ადგილზე დარჩენილიყვნენ, ან ამერიკაში გადასულიყვნენ. მიუხედავად ამისა, მრავალი საიდუმლოს მცოდნე საბჭოთა სპეციალისტების ნაწილი, ცხადია, ირანშიც წავიდა, პაკისტანშიც და კიდევ ვინ იცის, სად.

* * *

დამოუკიდებელი *რუსეთის ფედერაციის* ბოლო ათწლეულების *ისტორია* აშკარად იყოფა ორ პერიოდად – „ელცინის ეპოქად"(1991-1999) და „პუტინის ეპოქად"(1999-წლიდან დღემდე).

„ელცინის ეპოქა". XX საუკუნის ბოლო დეკადაში რუსეთი ისეთივე *სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებს* განიცდიდა, როგორსაც დანარჩენი პოსტსაბჭოთა სივრცე. მთლიანი შიდა პროდუქტი 1990-1993 წლებში ორჯერ შემცირდა. მრეწველობის მრავალი დარგი კოლაფსში ჩავარდა.

ყველაზე მომგებიანი საწარმოებისა (ალუმინის, ნიკელის, ფოლადის მწარმოებელი) და ნავთობის საბადოების პრაქტიკულად სტიქიურმა, ან, უფრო ზუსტად, ხელისუფლებასთან გარიგებით მომხდარმა პრივატიზაციამ (რუსებმა ამას უწოდეს *„прихватизация"*, სადაც *„приватизация"*-ს ჩაუმატეს ერთი ასო სიტყვიდან *прихватить*, რაც „მიტაცებას" ნიშნავს) საოცრად გაამდიდრა ყოჩაღი უმცირესობა – ყველანაირი აბრამოვიჩები, ბერეზოვსკები, დერიპასკები, ლუჟკოვ-ბატურინები, პოტანინები, ფრიდმანები, უსმანოვები, ხოდორკოვსკები – და გააღარიბა უმრავლესობა. მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა 1990-იან წლებში მკვეთრად გაუარესდა, მეტადრე დედაქალაქ მოსკოვის გარეთ. 1998 წლის აგვისტოში ქვეყანას *დეფოლტის* გამოცხადება მოუწია, ანუ სახელმწიფო ვალის გადახდაზე უარის თქმა.

ერთგვარ პოზიტიურ ეკონომიკურ ფაქტორად რუსეთის ფედერაციისათვის აღმოჩნდა ის, რომ მას ჩამოშორდა ყოფილი „დოტაციური მოკავშირე რესპუბლიკები". გარდა ამისა, მას აღარ უხდებოდა ე.წ. „განვითარებადი სამყაროს სოციალისტური ორიენტაციის" ქვეყნებისათვის „უანგარო დახმარების" აღმოჩენა.

1990-იანი წლების რუსეთში არსებობდა პოლიტიკური პლურალიზმი, სიტყვის თავისუფლება. გარკვეული ლიბერალიზაციის ფონზე თითქოს უცნაურია, რომ *მთავარ ნაციონალისტურ ძალად იქცა რუსეთის კომპარტია.* თუმცა აქ გასაკვირი არაფერია. მართალია, მანამდე თითქმის საუკუნის განმავლობაში რუსი კომუნისტები თავს „ინტერნაციონალისტებად" აცხადებდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი რუსეთს მიიჩნევდნენ *კომუნიზმის ცენტრად.* მათთვის იდეალურ პირობებში ყველა სხვა სახელმწიფო და ერი ან საბჭოთა კავშირის

ნაწილი უნდა გამხდარიყო ან მისი „ყმადნაფიცი“, ხოლო ერთაშორისი ენა ყველგან რუსული უნდა ყოფილიყო. რეალურად ეს ნაციონალიზმია (ვიმეორებ, სიტყვას ნეგატიურ მნიშვნელობას არ ვაძლევ). კომუნისტური სახელმწიფოს სათავეში მყოფი არარუსებიც კი რუსეთისათვის იღვწოდნენ: ყველაზე კარგი მაგალითია *იოსებ ჯუღაშვილი*, იგივე *სტალინი*.

ერთგვარ ლიბერალიზაციას თან ახლდა სამართლებრივი განუკითხაობა, კრიმინალების პარპაში, უწესრიგობა. 1990-იანი წლების რუსეთის მოსახლეობის საერთო უკმაყოფილებას ამძაფრებდა სუბიექტური ფაქტორი – სულ უფრო მკვეთრად გამოვლენილი პრეზიდენტ *ბორის ელცინის* უარყოფითი თვისებები, მისი უპასუხისმგებლო ქცევა, ლოთობა, მისი გარემოცვის დაუფარავი კორუმპირებულობა.

„პუტინის ეპოქა“. 1999 წლის ბოლო დღეს პრეზიდენტი ელცინი ვადაზე თითქმის ერთი წლით ადრე გადადგა პოსტიდან. ამის შესახებ მოულოდნელი განცხადება მან ტელეკამერების წინ გააკეთა და იქვე დაასახელა თავისი მემკვიდრე – ოთხი თვით ადრე დანიშნული პრემიერ-მინისტრი *ვლადიმირ პუტინი*. 2000 წელს ეს უკანასკნელი რუსეთის მეორე პრეზიდენტად აირჩიეს.

ძალაუფლებაში მოსვლისთანავე ახალმა პრეზიდენტმა „ძალაუფლების ვერტიკალის“ გაძლიერება დაიწყო. მან მოიხმო თავისი ძველი თანამშრომლები იმავე სამსახურიდან, სადაც ის საბჭოთა პერიოდში მუშაობდა – *საგარეო დაზვერვიდან, ძირითადად* პეტერბურგელები, საიდანაც თვითონ იყო წარმოშობით. მის დროს გაუქმდა გუბერნატორების არჩევის წესი (რის გამოც, სხვათა შორის, მაღალ თანამდებობაზე ზოგან ნამდვილ განგსტერებს ირჩევდნენ), შეიქმნა ძლიერი სახელისუფლებო პარტია *„Единая Россия“ („ერთიანი რუსეთი“)*. სახელმწიფო ინსტიტუტები განმტკიცდა. ჩეჩნეთში ომის შედეგად (იხ. ქვემოთ) შეჩერდა ცენტრიდანული ძალების მოქმედება. პუტინმა სახელმწიფოს საკუთრებაში დააბრუნებინა ან „საიმედო ოლიგარქებს“ გადასცა ადრე პრივატიზებული ნავთობ- და გაზმომპოვებელი საბადოები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სულ რამდენიმე წელიწადში რუსეთმა გაისტუმრა საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი დიდი საგარეო ვალი.

რუსეთის ისტორიაში პუტინი შევა როგორც ლიდერი, რომელმაც შეაჩერა სახელმწიფოს რღვევა და ნაწილობრივ აღუდგინა მას თითქმის დაკარგული საერთაშორისო პრესტიჟი[58].

[58] ნათელია, რომ ქართველების უმეტესობა პუტინის მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. მაგრამ ერთია უცხოელთა დამოკიდებულება სხვა ქვეყნის პოლიტიკოსის მიმართ და მეორე – ღვანლი, რომელიც პოლიტიკოსმა საკუთარ ქვეყანას დასდო. შედარებისათვის: *შაჰ აბას I*, რომელსაც საქართველოში სამართლიანად აქვს დამაქცევარის სახელი, თავის ქვეყანაში „აბას დიდად“ იწოდება, რადგან მან გააერთიანა დაშლის პირზე მისული სპარსეთი და დაამარცხა მისი სახელმწიფოებრიობის უმთავრესი მტერი – ოსმალეთი.

XXI საუკუნის დამდეგს რუსეთს ძალიან გაუმართლა: 1990-იანი წლებში ნავთობის მსოფლიო ფასი დაბალი იყო (1998 წელს ერთი ბარელი ნავთობი საშუალოდ 13 აშშ დოლარი ღირდა), 2001 წლიდან კი ფასმა ფანტასტიკური ზრდა დაიწყო: 2004 წელს ბარელ ნავთობში საშუალოდ 28 დოლარს იძლეოდნენ, 2007 წელს – 72 დოლარს, 2012 წელს – 98 დოლარს! პარალელურად გაიზარდა ბუნებრივი გაზის ფასიც, რომელიც კონტინენტურ ევროპაში ძირითადად ნავთობის ფასზეა მიბმული. რუსეთი, რომლის საექსპორტო შემოსავალს სწორედ ნავთობი და გაზი ქმნიდა, სწრაფად გამდიდრდა, თანაც შემოსავალი სახელმწიფომაც მიიღო. ამან საშუალება მისცა მის მთავრობას გაეზარდა სახელმწიფო სამსახურში მყოფთა ხელფასები, პენსიები. 2014 წელს რუსეთი პირველად უმასპინძლებს ზამთრის ოლიმპიადას, რომელიც ქ. სოჭში ჩატარდება. 2018 წელს ის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა იქნება.

ამავე დროს, რუსეთი ვერ გახდა ქვეყანა, სადაც შესაძლებელია კაპიტალის საიმედოდ დაბანდება. უპირატესად ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციით გამდიდრებული ადამიანები ჩქარობენ მოგება საზღვარგარეთ გაიტანონ, იქაურ ბანკებში შეინახონ ან დააბანდონ, მაგალითად, ინგლისის საფეხბურთო კლუბებსა და გაზეთებში. რუსი მილიონერები თავიანთ შვილებს განათლებას საზღვარგარეთ (ყველაზე ხშირად – დიდ ბრიტანეთში) აძლევენ და ცდილობენ იქვე დაამკვიდრონ ისინი: რუსეთიდან ბრიტანეთში 300 ათასი ადამიანი გადასახლდა, ხოლო ლონდონში რუსი მილიონერების დიდი კოლონიაა!

რუსეთიდან კაპიტალის გადინება უზარმაზარ მასშტაბებს აღწევს: 2012 წელს ქვეყნიდან 56,7 (!) მილიარდი აშშ დოლარი გავიდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში არასახარბიელოა, კრიმინალური ვითარება დაძაბულია, მოხელეების კორუმპირებულობა – უსაზღვრო.

2013 წელს ძალაში შევიდა კანონი, რომელიც რუს მოხელეებს და მათი ოჯახის წევრებს უკრძალავს საზღვარგარეთ იქონიონ საბანკო ანგარიშები და უძრავი ქონება. ასეთი კანონი კარგი ცხოვრების გამო არ მიუღიათ: როგორც ჩანს, რუსი დიდმოხელეებისათვის დასავლეთში „სათადარიგო აეროდრომის“ ქონა ფართოდ გავრცელებული სენია!

2008 წელს პრეზიდენტობის ორი დაშვებული ვადის შემდეგ *ვლადიმირ პუტინმა* კონსტიტუციის შეცვლა არ ინება და ხელისუფლებაში დარჩენის უფრო დახვეწილი მეთოდი აირჩია. მან თავის მემკვიდრედ დაასახელა იქამდე ნაკლებად ცნობილი ვიცე-პრემიერი, თავისი მეგობარი *დმიტრი მედვედევი*. ეს უკანასკნელი 2008 წლის გაზაფხულზე აირჩიეს პრეზიდენტად. მან კი პრემიერ-მინისტრად *ვლადიმირ პუტინი* დანიშნა (!), რომელმაც ქვეყნის მართვის რეალური სადავეები შეინარჩუნა. მედვედევი „ლიბერალიზმის მომხრედ“ აჩვენებდა თავს მსოფლიოს, მაგრამ ლაპარაკის გარდა დემოკრატიზაციისათვის არაფერი გაუკეთებია. რუსეთის ისტორიაში ის შევა, მხოლოდ და მხოლოდ როგორც

„დიდი მხედართმთავარი" – 2008 წელს „საქართველოს მძლეველი"!

მედვედევმა რუსეთის მორჩილ სახელმწიფო სათათბიროს დიდი მსჯელობის გარეშე მიაღებინა კანონი პრეზიდენტის უფლებამოსილების ოთხიდან ექვს წლამდე გაზრდის შესახებ. კანონი მხოლოდ 2012 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო. იმ წელს *დმიტრი მედვედევს* პრეზიდენტობის პირველი ვადა გაუვიდა და მან ამ თანამდებობისათვის „შესაფერის მემკვიდრედ" *ვლადიმირ პუტინი* მიიჩნია, რომელიც ამჯერად ექვსწლიანი ვადით აირჩიეს პრეზიდენტად. მას კიდევ ერთი ექვსწლიანი ვადით არჩევის უფლება აქვს და თეორიულად 2024 წლამდე შეუძლია დარჩეს რუსეთის პირველ პირად. მადლიერმა პუტინმა პრემიერ-მინისტრად, ბუნებრივია, დმიტრი მედვედევი დანიშნა!

ასეთი „პოლიტიკური როქი" შესაძლებელია მხოლოდ ავტორიტარული ხელისუფლების მქონე ქვეყანაში, სადაც სიტყვა „დემოკრატიას" რიტუალური ხასიათი აქვს და არჩევნების შედეგები წყნარ კაბინეტებში წინასწარ ისაზღვრება.

„პუტინ-მედვედევის ტანდემი", ალბათ, ისტორიის სახელმძღვანელოებში შევა. მაგრამ ის ხშირად განმეორებული პრეცედენტი არ გახდება, რადგან დიქტატორებს თავიანთ გარემოცვაში ასეთივე თვინიერი „ადგილშემნახველის" მონახვა გაუჭირდებათ.

* * *

რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე *ჩეჩნეთის* შესახებ მის ზომასთან (ფართობი 15,7 ათასი კვ. კილომეტრი, მოსახლეობა 2012 წელს 1,3 მილიონი) შეუფერებლად მეტის თქმა მიხდება, რადგან სწორედ მისი მცირერიცხოვანი მოსახლეობის ბრძოლა XIX და XX საუკუნეების განმავლობაში უქმნიდა უდიდეს საფრთხეს რუსეთის (იმპერიის, საბჭოთა კავშირის, ფედერაციის) ტერიტორიულ მთლიანობას.

1994-1996 წლებში რუსეთი აწარმოებდა ომს საკუთარ სეპარატისტულ რეგიონთან – ჩეჩნეთთან, რომელმაც 1992 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სახელად *„იჩქერია"* დაირქვა. ბრძოლის წარმოების არატრადიციული მეთოდებით, ტერორისტული აქტებითა და ტოტალური დაბომბვებით გამორჩეული ეს ომი, რომელსაც რუსეთის არმიის კორუმპირებული გენერლები აწარმოებდნენ (საკმარისია ითქვას, რომ იარაღს ჩეჩენი მეამბოხეები რუსეთის სამხედრო ნაწილებში ყიდულობდნენ), რუსულ საზოგადოებაში უაღრესად არაპოპულარული იყო. ომის დროს „ფედერალებმა" (ასე უწოდებდნენ რუსეთის არმიის მოსამსახურეებს) მოკლეს ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი, გენერალი *ჯოჰარ დუდაევი*. 1996 წელს მის ნაცვლად პრეზიდენტად აირჩიეს *ასლან მასხადოვი* (2005 წელს ისიც მოკლეს), საბჭოთა არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ჩეჩნეთის გამარჯვებაში რუსეთის არმიასთან ასიმეტრიულ ომში.

1996 წელს ომი დამთავრდა ქ. *ხასავიურთში* დადებული შეთანხმებით, რომლის თანახმადაც ხუთი წლის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის საკითხზე.

1999 წლის შემოდგომიდან, როგორც კი პრემიერ-მინისტრად *ვლადიმირ პუტინი* დაინიშნა, რუსეთმა ისევ გააქტიურა თავისი *კავკასიური პოლიტიკა*. დაიწყო „ჩეჩნეთის მეორე ომი", რის ერთ-ერთ საბაბად გამოიყენეს იმავე წლის სექტემბერში დედაქალაქ *მოსკოვსა* და ერთ პროვინციულ ქალაქ *ვოლგოდონსკში* დღემდე დაუდგენელი პირების მიერ სამი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აფეთქება, რასაც ძალიან დიდი მსხვერპლი მოჰყვა. დანაშაულზე პასუხისმგებლობა არავის აუღია. რუსეთის პროკურატურამ ჩეჩნები დაადანაშაულა და ეს მსოფლიოს მოსდო, თუმცა არავინ გაუსამართლებიათ. თუ ეს პოლიტიკური ტერორიზმის აქტი იყო, გაუგებარია, რა იყო მისი მიზანი? რატომ უნდა ნდომებოდათ ჩეჩნებს შიშის დათესვა („ტერორი" ძველბერძნულად ნიშნავს *შიშს, ძრწოლას*) ქვეყანაში, რომელთანაც დადებული შეთანხმებით მალე უნდა ჩატარებულიყო ზემოხსენებული რეფერენდუმი?

იმავე 1999 წელს ქალაქ რიაზანში მოსახლეობამ შეამჩნია, რომ ერთი სახლის სარდაფში დაუდგენელ პირებს შეაქვთ ისეთივე ტიპის ტომრები, როგორებშიც იდო მოსკოვისა და ვოლგოდონსკის სამი სახლის ასაფეთქებელი მასალა. განგაშის ატეხის გამო ტომრები უკან გაიტანეს. 2002 წელს *რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ეს „დაუდგენელი პირები" მართლაც იყვნენ ფეესბე-ს (უშიშროების ფედერალური სამსახურის) თანამშრომლები*, მაგრამ „ტომრებში შაქარი ეყარა" და არა ასაფეთქებელი მასალაო. *ფეესბე* თურმე ამოწმებდა ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მზადყოფნას „ტერორიზმის შესაძლო აქტების წინასწარ აღმოსაფხვრელად". ეს ყველაფერი დიდ ეჭვს ბადებს.

ბევრი რუსი სოციოლოგი და პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ 1999 წლის სექტემბერში *სახლების აფეთქება და ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყება უბრალოდ კი არ დაემთხვა „პუტინის ეპოქის" დაწყებას, არამედ დიდწილად განაპირობა ამ ეპოქის სახე*. ამ მოვლენებმა რუსეთის საზოგადოებას შიშის ზარი დასცა. გაჩნდა მოლოდინი „მტკიცე ლიდერისა", რომელიც კარს მომდგარი უბედურებისაგან დაიცავდა ადამიანებს. ამის შედეგია, რომ რუსეთის საზოგადოება შეეგუა „ხისტი პოლიტიკური რეჟიმის" ჩამოყალიბებას.

1999 წლის სექტემბერში პუტინმა გასცა ბრძანება ჩეჩნეთის „ტერორისტთა ბუდის" აღმოსაფხვრელად. მისი დედაქალაქი *გროზნო* კიდევ ერთხელ გაასწორეს მიწასთან.

ჩეჩნეთის ჩასაწყნარებლად კრემლმა იარაღის გარდა სხვა ხერხიც გამოიყენა. მოუსვენარ რესპუბლიკას (რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში *„რესპუბლიკა"* ავტონომიურ ერთეულს აღნიშნავს) პუტინმა პრეზიდენტად

აარჩევინა ყოფილი მტერი, *მუფთი* (რელიგიური ხელმძღვანელი) *აჰმათ კადიროვი*, რომელიც 1999 წლის შემოდგომაზე „ფედერალების" მხარეს გადავიდა.

კადიროვმა თავის კლანთან ერთად დიდძალი ფინანსური დახმარება მიიღო მოსკოვიდან. ყოფილმა თანამებრძოლებმა კადიროვს ღალატი არ აპატიეს და 2004 წლის 9 მაისს „გამარჯვების ზეიმის" დროს სტადიონზე ააფეთქეს. მეორე დღესვე პუტინმა აჰმათ კადიროვს მიანიჭა რუსეთის ფედერაციის გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ).

მოკლულის ნაცვლად მოსკოვმა ფსონი დადო მის ვაჟიშვილ *რამზან კადიროვზე*, რომელიც 2007 წლიდან, მას შემდეგ რაც 30 წელი შეუსრულდა (ეს ასაკობრივი შეზღუდვა ადგილობრივ კონსტიტუციაში უწერიათ) ოფიციალურად გახდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. *რამზანი* ერთგულად ემსახურება მოსკოვს, ბუნებრივია, მანამ, სანამ იქიდან მომდინარე ფინანსური ნაკადი არ დამშრალა. ქალაქი გროზნო პრაქტიკულად ხელახლა აშენდა, იქ დაიდგა აჰმათ კადიროვის 10-მეტრიანი ძეგლი, რომელიც ზურაბ წერეთელმა შექმნა. აღდგა ბევრი სხვა ქალაქი და სოფელიც.

ამასთან ერთად, რამზან კადიროვი არაორდინარული (რბილად რომ ვთქვათ) გამონათქვამებითა და ქცევით გამოირჩევა. მას შეუძლია, მაგალითად, ოქროს პისტოლეტის ხელში ტრიალით ამტკიცოს, რომ ჩეჩნეთს ფულს უგზავნის ალაჰი! ალაჰის გამოგზავნილი ფულის საკმაო ნაწილი, ბუნებრივია, უკვალოდ ქრება. კადიროვის მართვის მეთოდები შუა საუკუნეების მსხვილი ფეოდალისათვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე XXI საუკუნის ადმინისტრატორისათვის: Human Rights Watch-ის ცნობით ახალგაზრდა მმართველის (რამზანი 2012 წელს 35 წლისა გახდა) მიმართ არალოიალურად განწყობილთა ძალადობრივი „გაქრობა", უკანონო ციხეები, „ბოევიკების" ოჯახის წევრების მძევლად აყვანა ნორმად იქცა.

კრემლი კი ავტონომიის მმართველის ქცევაზე თვალს ხუჭავს; უფრო მეტიც, ახალისებს და მაქსიმალურად ეფერება. რამზან კადიროვს რუსეთის ფედერაციის გმირის წოდება მიენიჭა, ის გროზნოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გახდა.

ნუთუ კრემლს სჯერა, რომ ამ გზით ის სამუდამოდ მოიგებს ჩეჩნების გულს და მომავალ ამბოხებაზე ხელს ააღებინებს?

* * *

რუსეთის მიერ საქართველოს დაკარგვის ალბათობა უკვე 1989 წელს თითქმის რეალობად იქცა. მაგრამ მოსკოვში ისეთი არეულობა სუფევდა, რომ მისი კომუნისტური ხელმძღვანელობის გაუაზრებელი „ნეგატიური ნაბიჯების" მოწმე გავხდით. ასეთი ნაბიჯების პროვოცირებას თბილისიც ახდენდა,

სადაც 1990 წლის ბოლოს ისეთი მთავრობა დაჯდა, რომ მის მიმართ კრემლის თეორიულად დასაშვები (მაგრამ პრაქტიკულად არშემდგარი) „პოზიტიური ნაბიჯებიც" კი უშედეგო იქნებოდა.

ახლა ძნელია სრული სიზუსტით იმის დადგენა, ვინ გადადგა ის პირველი ნაბიჯი, რომელმაც გამოიწვია ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესება – საქართველომ თუ რუსეთმა? რომელი გაჩნდა ადრე – ქათამი თუ კვერცხი?

მაგრამ კონფლიქტის ქრონოლოგიის დადგენის გარეშეც ისტორიული განვითარება და რუკაზე დახედვა გვიჩვენებდა, რომ პრობლემების წარმოშობა ჩვენ შორის გარდაუვალი იყო: *რუსეთს გეოპოლიტიკურად ესაჭიროებოდა მას ზე დამოკიდებული საქართველო; საქართველოს კი ესაჭიროებოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ამისათვის მზად იყო სხვა გეოპოლიტიკურ ძალას დაყრდნობოდა.*

თეორიულად შესაძლებელი იყო, რომ ამ ქვეყნების ურთიერთპრობლემებს დიდი სიმწვავე არ შეეძინათ. *პრაქტიკულად* ასე არ მოხდა.

1990-იან წლებში რუსეთის ფედერაცია, ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს, სიტყვიერად ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობას საქართველოსთან, რეალურად კი თბილისის წინააღმდეგ ამხედრებდა პერიფერიულ ავტონომიებს, რომელთაც განიხილავდა „ანკესის ჩანგლებად" *საქართველოს გეოპოლიტიკური ვექტორის დასავლეთის მიმართულებით გადახრის* შესაკავებლად. ამ ვექტორის შეცვლის აუცილებლობას კი ქმნიდა იმავე რუსეთის, რბილად რომ ვთქვათ, ორჭოფული დამოკიდებულება თუნდაც მის მიმართ მეტ-ნაკლებად ლოიალური „გვიანი შევარდნაძის" საქართველოს მიმართ. 1999 წელს საქართველომ, ისევე, როგორც აზერბაიჯანმა და უზბეკეთმა, აღარ გააგრძელა წევრობა რუსეთის ეგიდით შექმნილ და იმ დროს პრაქტიკულად უმოქმედო *„კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში" (ცუხო).* მოსკოვში ეს „ღალატად" აღიქვეს. ერთი სიტყვით, მანკიერი წრე შეიკრა.

1999 წლის სექტემბრიდან რუსეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნულმა (მალე პრეზიდენტად არჩეულმა) ვლადიმირ პუტინმა აგრძნობინა საქართველოს და, თავიდან, აზერბაიჯანსაც, რაც ირიბ ულტიმატუმად უნდა მიგვეჩნია: ან მხარს დაგვიჭერთ ჩეჩენ სეპარატისტებთან გადამწყვეტ ომში, ან დაგსჯით – თქვენი მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმს შემოვიღებთ. ეს მართლაც მძიმე სასჯელი იქნებოდა მაშინ, როდესაც სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი რუსეთში საშოვარზე იყო გასული და იქიდან არჩენდა ოჯახს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი *ჰეიდარ ალიევი* რაღაცნაირად გაურიგდა რუსეთს. შევარდნაძემ კი უარი თქვა რუსეთის მოთხოვნაზე, შემოეშვა მისი სამხედრო ნაწილები (იქნებ დასავლეთის ქვეყნებთან კონსულტაციის შემდეგ?), რომლებიც სამხრეთიდან შეუტევდნენ ჩეჩნებს და გზად, პანკისის

ხეობასაც გაწმენდდნენ იქ ჩაბუდებული ჩეჩენი „ბოევიკებისაგან“.

რასაკვირველია, ეს არ იქნებოდა ორასი წლის წინანდელი სცენარის პირდაპირი გამეორება, როდესაც 1799 წელს საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა, ორი წლის შემდეგ კი რუსეთის იმპერიაში თბილისის გუბერნია გაჩნდა. მაგრამ რაღაც მსგავსი შეიძლებოდა მომხდარიყო.

ჩეჩნების სამარადისო მტრად გადაკიდება საქართველოს ნამდვილად არ ესაჭიროებოდა.

ასეა თუ ისე, რუსეთის ფედერაციამ დაგვსაჯა – მკვეთრად გაამკაცრა ურთიერთობა საქართველოსთან, როდესაც 2000 წლის 5 დეკემბერს მასთან, *დსთ*-ის ქვეყნებიდან ერთადერთთან, *სავიზო რეჟიმი* შემოიღო. ეს იყო მკაფიო ნიშანი *საქართველოსათვის*, რომელიც არ ამჟღავნებდა ლოიალობას კრემლის მიმართ და დასავლეთისაკენ ეჭირა თვალი.

რუსეთის დიდ გაღიზიანებას იწვევდა საქართველოს როლი დასავლურ პოლიტიკაში, რომელიც მიზნად ისახავდა დაენგრია ენერგომატარებლების ტრანზიტის რუსული მონოპოლია. მოსკოვი არ ფარავდა, რომ სურდა, საქართველოს უარი ეთქვა *ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტ*ზე, რომელსაც საქართველოზე უნდა გაევლო, და მის ნაცვლად ბაქო-ნოვოროსიისკის პროექტისათვის დაეჭირა მხარი.

ედუარდ შევარდნაძემ 2000 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა:

> „სამწუხაროდ, რუსეთში ჯერაც ცოცხლობს იდეა, რომ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა რატომღაც უპირატესობა უნდა მიანიჭონ რუსულ ინტერესებს და ხანდახან ისინი საკუთარ ინტერესებზე წინ დააყენონ".

როდესაც თბილისი არ დათანხმდა საკუთარი ინტერესების დათმობას, XXI საუკუნის დამდეგიდანვე რუსეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ საქართველოს „მოფერების“ თამაშს აზრი აღარა აქვს, საჭიროა მისი დამორჩილება ეკონომიკური გაღატაკების გზით. სავიზო რეჟიმს 2006 წლიდან დაემატა ემბარგო ქართული პროდუქციის იმპორტზე: გამოგონილი საბაბით – *„სანიტარულ ნორმებთან შეუსაბამობის გამო“* (სინამდვილეში, როგორც 28-ე თავში აღინიშნა, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო), აიკრძალა ყველანაირი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის – ღვინის, ხილის, მინერალური წყლების, ბოსტნეულის, მწვანილის – საქართველოდან რუსეთში შეტანა. მოსკოვმა მათ მიაყოლა ფეროშენადნობების იმპორტის აკრძალვაც, ალბათ მათი წარმოებისას სანიტარული ნორმების დარღვევისა და ზესტაფონში გარემოს დაბინძურების გამო! მოსკოვის გადაწყვეტილებით, საჰაერო მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის შეწყდა. ვისაც რუსეთიდან თბილისში გამოფრენა უნდოდა, ის ყველაზე ახლომდებარე ერევნის აეროპორტში მოდიოდა: რამდენიმე წლის განმავლობაში ერევნელი ტაქსისტებისათვის თბილისი ყველაზე სარფიანი დანიშნულების ადგილი იყო!

2008 წელს რუსეთმა საქართველოზე სამხედრო ზემოქმედება განახორციელა, რისთვისაც საბაბად გამოიყენა თბილისის იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკურად გაუაზრებელი ქცევა და კონკრეტული ნაბიჯები (ეს განხილულია 28-ე თავში). რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე ძალისმიერად შექმნა სამხედრო ფორპოსტები, რომელთაც „დამოუკიდებელი სახელმწიფოები" დაარქვა და იქ თავისი საელჩოები გახსნა. საქართველოს ხელისუფლებას ისღა დარჩენოდა, რომ 2008 წლის სექტემბერში დიპლომატიური ურთიერთობა გაეწყვიტა რუსეთთან.

მიუხედავად ამისა, 2011 წელს საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრი, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად დათანხმდა, რომ იმავე ორგანიზაციაში რუსეთი მიეღოთ (იქამდე ამას დაეთანხმა მსო-ს ყველა წევრი და რუსეთის მისაღებად მხოლოდ ჩვენი ხმა იყო საჭირო). იმავე 2011 წელს საქართველომ ცალმხრივად გააუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთთან, ანუ რუსეთის მოქალაქეებს თავისუფლად შემოსვლის ნება დაერთო. ამ შეღავათით, რეალურად, რუსეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველები უფრო სარგებლობენ, ვიდრე საკუთრივ რუსები, მაგრამ რუსი ტურისტებიც გამოჩნდნენ. საქართველომ ფაქტობრივად კარი გაუხსნა რუსულ კაპიტალს.

საქართველოს მხრიდან დათმობების სანაცვლოდ რუსეთს ანალოგიური ნაბიჯები არ გადაუდგამს: სავიზო რეჟიმი ძალაშია; რუსი გენერლების პერიოდული მწვავე რიტორიკა მუქარით იყო აღსავსე; კრემლი მოითხოვდა (და მოითხოვს) საქართველოს პროდასავლური საგარეოპოლიტიკური ვექტორის შეცვლას.

რუსეთის ხელმძღვანელობა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ იმეორებდა, რომ არ სურს ლაპარაკიც კი მიხეილ სააკაშვილთან, რომელსაც ის „საქართველო-სამხრეთ ოსეთის (!) ომისათვის" პასუხისმგებელ სამხედრო დამნაშავედ აცხადებდა. სააკაშვილისა და პუტინის პირადი ანტიპათია ერთიმეორის მიმართ რუსეთისათვის მხოლოდ საბაბი იყო: საქართველოსაგან ავტონომიების მოწყვეტის შემდეგ კრემლს საერთოდ არ ესაჭიროებოდა რაიმე სახის ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასთან, რომ არ დაეხარჯა დრო და ნერვები დისკუსიაში მეზობელი ქვეყნის ტერიტორიების ფაქტობრივი ოკუპაციის შესახებ. ამ თვალსაზრისით, კრემლს ხელს აძლევდა საქართველოს სათავეში იმ პირის დარჩენა, ვისთანაც ურთიერთობაზე ის საჯაროდ აცხადებდა უარს.

2012 წლის შემოდგომაზე საქართველოში დემოკრატიულად არჩეულმა ახალმა ხელისუფლებამ გამოხატა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების კეთილი ნება, იმ დათქმით, რომ არ იქნებოდა გადალახული მისი „წითელი ხაზი" – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოს მიეღო მონა-

წილეობა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც რუსეთის ჩრდილო კავკასიაში, ქ. სოჭში უნდა გამართულიყო.

რუსეთის ხელისუფლებისათვის ახალი ქართული ინიციატივა გარკვეული დისკომფორტის შემქმნელი აღმოჩნდა და ის რამდენიმე კვირის განმავლობაში პასუხს არ იძლეოდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, კრემლმა თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნია საქართველოსთან ერთგვარ დიალოგზე წასვლა.

2012 წლის 14 დეკემბერს პირველად ბოლო ოთხი წლის მანძილზე შედგა ქართველი და რუსი დიპლომატების (*ზურაბ აბაშიძე და გრიგორი კარასინი*) პირისპირ ოფიციალური შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე, შვეიცარიაში. ლაპარაკი ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების შესახებ შემდგომშიც გაგრძელდა.

რუსეთი, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, ისედაც ვალდებულია გახსნას ბაზარი მსო-ს სხვა წევრისათვის – საქართველოსათვის. 2013 წლიდან განახლდება ქართული ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი რუსეთში. მოსკოვი მზად არის კულტურული კონტაქტებისთვისაც.

ორივე მხარის პოლიტიკური „წითელი ხაზი" კი ერთმანეთს ეჯახება:

- *რუსეთს არ შეუძლია დათმოს ახალი რეალიები,* ანუ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" მის მიერვე აღიარებული „დამოუკიდებლობა". ეს რომ გააკეთოს, მოსკოვს გაუნაწყენდებიან ჩრდილო-ოსები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ადიღეელები. რუსეთი, რასაკვირველია, ამით არ დაკარგავს ჩრდილო კავკასიას, მაგრამ დაკარგავს სახეს. რას მიიღებს სანაცვლოდ?
- *საქართველოს* ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს უარი თქვას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.
- *რუსეთს* არ უნდა თავის სამხრეთ საზღვართან ნატოს წევრი სახელმწიფო ჰყავდეს (თუმცა ნათელია, რომ ის ვერ შეუქმნის რუსეთს რეალურ საფრთხეს).
- *საქართველოს* თავისი მომავლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია ევროატლანტიკურ სივრცეში დამკვიდრება (თუმცა ნათელია, რომ ნატო არ/ვერ გაუწევს საქართველოს დახმარებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში).

ამასთან, არის გარკვეული სფეროები, სადაც შესაძლებელია *საერთო ინტერესების ან კომპრომისების გამონახვა*:

✓ *რუსეთს* სჭირდება სახმელეთო სატრანსპორტო კავშირი თავის სტრატეგიულ მოკავშირე სომხეთთან, რაც საქართველოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

✓ *საქართველოს* სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას გამოადგებოდა მეზობლად მდებარე რუსეთის დიდი ბაზარი (მას ალტერნა-

ტივაც მოეძებნება, ოღონდ ამას საკმაო დრო და კაპიტალდაბანდება დასჭირდება).

✓ ერთგვარი პრაგმატული დამთხვევა ორივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებში არის დამოკიდებულება ჩრდილო კავკასიის მიმართ. *რუსეთს არ სჭირდება*, რომ საქართველო იქ დესტაბილიზაციის მოხდენას ცდილობდეს. *realpolitic*-ის პოზიციიდან *საქართველოს არ სჭირდება* იქ რუსეთის გავლენის შემცირება.

„ურა-პატრიოტების" თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ უნდა ვთქვა, რომ *რუსეთის* [ჰიპოთეტური] *დაშლა საქართველოსათვის სასარგებლო არ იქნებოდა*. ასეთ შემთხვევაში ჩვენი საზღვრის პერიმეტრზე გაჩნდება არაპროგნოზირებადი, ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმართ მიდრეკილი და დემოგრაფიულად სწრაფად მზარდი სახელმწიფოების მთელი რიგი, რომელთაც ერთმანეთთან ექნებოდათ ტერიტორიული კონფლიქტები. იქიდან [ჰიპოთეტურ] ლტოლვილთა მასა საქართველოში შეიძლება ჩაგვისახლდეს.

რუსეთთან პოლიტიკური დარეგულირებისათვის მოცდა კიდევ დიდხანს მოგვიწევს. ივანიშვილმა სწორად თქვა, *„ქართულ-რუსული ურთიერთობის ჩიხში შეყვანა ადვილი იყო; იქიდან გამოსვლაა ძალიან ძნელი"*.

არ უნდა გექონდეს „ურთიერთობათა დათბობის" გადაჭარბებული მოლოდინი. ვინ იცის, იქნებ ამ ცდას დიდი იმედგაცრუება მოჰყვეს.

ჩვენი მეზობელი თურქეთი

1923 წლის 24 ივლისს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში თურქეთმა *„ერთა ლიგის"* რამდენიმე ქვეყანასთან ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელმაც გააბათილა 1920 წელს დადებული სევრის ხელშეკრულება და თურქეთის სუვერენულ ტერიტორიად აღიარა მცირე აზიის ნახევარკუნძული და აღმოსავლეთი ანატოლია (მთელ აზიურ თურქეთს „ანატოლიას" უწოდებენ), ხოლო ევროპაში – აღმოსავლეთ თრაკიის ნაწილი ქალაქ სტამბოლის ირგვლივ.

მოგვიანებით, 1939 წელს, ქვეყნის სამხრეთი საზღვარი ნაწილობრივ შეიცვალა: საფრანგეთთან გარიგებით მისი სამანდატო ტერიტორიის, სირიის, ხარჯზე თურქეთი 4,7 ათასი კვ. კილომეტრით გაფართოვდა, როდესაც შეიერთა *ალექსანდრეტას სანჯაყი:* ამჟამად მას *ჰათაის ილი* ეწოდება.

1923 წლის ოქტომბერში თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. ანკარა ოფიციალურად გახდა მისი დედაქალაქი. დიდმა ეროვნულმა კრებამ (მეჯლისმა) ქვეყნის პირველ პრეზიდენტად აირჩია გენერალი *მუსტაფა ქემალი*, რომელმაც 1935 წლიდან აიღო *ქემალ ათათურქის* სახელი.

ქემალისტები, რომელთაც ახალი სახელმწიფოს მშენებლობა წამოიწყეს,

მიხვდნენ, რომ *პანთიურქისტული* [59] იდეა ლოგიკურ ხაფანგს უგებდა მათ ერს. თუკი თურქები ცენტრალურ აზიაში გააგრძელებდნენ ისტორიული სამშობლოს ძიებას (საიდანაც მათი წინაპრები რვა-ცხრა საუკუნით ადრე მართლაც მოვიდნენ ახლო აღმოსავლეთში), მაშინ სუსტდებოდა მათი პრეტენზია ანატოლიაზე, როგორც „ნამდვილ სამშობლოზე". ასეთ შემთხვევაში ბერძნების პრეტენზიას იმავე ტერიტორიის მიმართ მეტი მორალური, თუ სამართლებრივი არა, ძალა ეძლეოდა. ყველამ იცოდა, რომ 5-15 საუკუნით ადრე მთელი ეს ტერიტორია [აღმოსავლეთ] რომის იმპერიის (ევროპაში *ბიზანტიად* წოდებულის) შემადგენლობაში შედიოდა და კონსტანტინოპოლი მისმა იმპერატორებმა ააგეს. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ანატოლიაზე პრეტენზია ჰქონდათ სომხებს.

ყველაზე ლოგიკური იყო პანთიურქიზმზე, როგორც სტრატეგიულ კონცეფციაზე, უარის თქმა და რეალურად დაკავებულ ტერიტორიაზე ისტორიული უფლებების დასაბუთება. ამიტომაც გაჩნდა ახალი სახელმწიფო მითოლოგია – *თურქები ანატოლიის ავტოხტონური მოსახლეობაა და ისინი ხეთებისა და შუმერების შთამომავლები არიან!* ეს სიმბოლიკაშიც გამოჩნდა: მაგალითად, 1920-იან წლებში დაარსებულ ორ სახელმწიფო ბანკს დაერქვა *„ეთიბანკი"* და *„სუმერბანკი"*, ანუ „ხეთური" და „შუმერული" ბანკები.

თურქების ავტოხტონობის თეორიას გენეტური თვალსაზრისით იქნებ აქვს კიდეც ერთგვარი გამართლება. ანატოლიის თანამედროვე მოსახლეობის ნაწილი მართლაც უნდა წარმოადგენდეს ძველი, სავსებით შესაძლოა, *ხეთების დროინდელი*, მოსახლეობის შთამომავლობას, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში განიცდიდა ლინგვისტურ-კულტურულ ცვლილებებს, ხოლო ბოლო საუკუნეების განმავლობაში გათურქდა. ამდენად, თანამედროვე ანატოლიელი თურქების შორეულ გენეტურ წინაპრებს შორის სხვა ადგილობრივ ხალხებთან ერთად ხეთებიც შეიძლება ვივარაუდოთ.

მაგრამ, რასაკვირველია, თანამედროვე თურქები ხეთების პირდაპირი მემკვიდრეები არ არიან. ხეთების ინდოევროპულ ენას არაფერი აქვს საერთო თურქულთან, რომელიც ალთაურ ენობრივ ოჯახს განეკუთვნება. მით უმეტეს, მეცნიერულად დაუსაბუთებელია სამხრეთ შუამდინარეთში 5-6 ათასწლეულის წინ მოსახლე შუმერების თურქების წინაპრებად მიჩნევა.

[59] *პანთიურქიზმი* იყო ენობრივად მონათესავე ყველა თიურქულენოვანი ხალხის (თურქების, აზერბაიჯანელების, თურქმენების, უზბეკების, ყაზახების, თათრების და ა. შ.) ერთ სახელმწიფოში – „თურანში" – გაერთიანების ქიმერული იდეა. 1918 წლის ოქტომბრამდე პანთიურქიზმის იდეას ემხრობოდა და ცხოვრებაში ატარებდა ოსმალეთის იმპერიის მმართველი პარტია „ერთიანობა და პროგრესი".

ჩანართი 31.1
მითოლოგია სახელმწიფო მშენებლობის სამსახურში

ისტორიულ მითებს სახელმწიფოს მშენებლობისას სარგებლობის მოტანაც შეუძლია და ახალი პრობლემების შექმნაც.

ებრაელებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს შექმნეს საკუთარი ნაციონალური იდეოლოგია – სიონიზმი და მსოფლიოს გაახსენეს, რომ ორი ათასი წლის წინ მათი წინაპრები პალესტინაში ცხოვრობდნენ. *ეს არ იყო მითი*, მაგრამ 18-19 საუკუნის განმავლობაში სხვაგან ცხოვრების შემდეგ „ისტორიული სამშობლოს" მოთხოვნა ძალიან სახიფათო რამაა: გავიხსენოთ, რომ ბრიტანეთში 15 საუკუნის წინ ცხოვრობდნენ კელტები და არა ანგლო-საქსები, საფრანგეთში გალები და არა ფრანკები, სტამბოლში ბერძნები და არა თურქები, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკებში ევროპელებს არც იცნობდნენ და ა.შ. ბრიტების შთამომავლებმა ახლა რომ მოითხოვონ ანგლო-საქსების მიერ ლონდონის დაცლა, ბერძნებმა – კონსტანტინოპოლი, ხოლო ლენაპეს ტომის ინდიელებმა – ნიუ-იორკი, ამას მსოფლიო გაგებით ვერ შეხვდება. მართალია, ებრაელების სასარგებლოდ მუშაობდა ბიბლიის არგუმენტი, რომელსაც მსოფლიოს დიდი ნაწილი „წმინდა ნიგნად" მიიჩნევს. იუდეველების ლოცვაში განუწყვეტლივ ისმოდა, „მომავალ წელს – იერუსალიმში!" სიონიზმმა პალესტინაში დაბრუნების სიგნალი მისცა დიასპორაში მცხოვრებ ხალხს. მაგრამ მათ იარაღის ძალით მოუხდათ იქ დამკვიდრება და დღემდე უხდებათ ბრძოლა არაბებთან, რომლებიც ადგილზე დახვდნენ.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში სომხებმა გაიხსენეს ტიგრან დიდის დროინდელი *არმენია*, რომელიც ძვ.წ. I საუკუნეში ძალიან მოკლე ხანს ფარავდა ახლო აღმოსავლეთის საკმაო ნაწილს. გარდა ამისა, მათვე მოახდინეს ძვ.წ. I ათასწლეულში აღმოსავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში არსებული სამეფოს – ურარტუს – „კულტურული ნაციონალიზაცია", თუნდაც ინდოევროპულ ენათა ოჯახში შემავალ სომხურ ენასა და, სულ სხვა (ხურიტული?) ენობრივი ოჯახის წევრ ურარტულ ენას ერთმანეთში საერთო არაფერი ჰქონდათ. სომხური ნაციონალური იდეა ამ მითოლოგიითაც იკვებებოდა.

არაბმა ისტორიკოსებმა XX საუკუნეში დაიწყეს იმის „გახსენება", რომ ძველი სირიელები, ეგვიპტელები და შუამდინარეთის მკვიდრნი „თურმე არაბები იყვნენ" და, ამდენად, VII საუკუნეში ხალიფა ომარი *კი არ იპყრობდა, არამედ ათავისუფლებდა* მათ ბიზანტიის ან ირანის უღლისაგან! სინამდვილეში, ეს მითი იყო: აღნიშნული ხალხები არაბთა დაპყრობამდე სხვა ენებზე ლაპარაკობდნენ და სულაც არ მიიჩნევდნენ თავს „არაბებად", რაც მაშინ მომთაბარე ბედუინის სინონიმი იყო.

ომთაშორის პერიოდში თურქეთში დიდი ძვრები მოხდა. ქვეყანამ *ვესტერნიზაცია* და *ევროპეიზაცია* დაისახა მიზნად. ამ მიმართულებით იდგმებოდა ნაბიჯები ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ევროპული მოდელის დემოკრატიის ჩამოყალიბების გარეშე. დემოკრატიასთან დაახლოება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

სახელმწიფოსათვის, რომელიც მოდერნიზაციას განიცდიდა, ანუ შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობაში გადადიოდა, ავტორიტარიზმი, როგორც ჩანს, გარდაუვალი იყო: დემოკრატიზაცია მომდევნო სტადია უნდა ყოფილიყო. რეალურად, ასეც მოხდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ომთაშორის პერიოდში

ავტორიტარიზმი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ლამის ნორმად იქცა, ხოლო რუსეთში, იტალიასა და გერმანიაში ის ტოტალიტარიზმშიც კი გადაიზარდა.

ქემალ ათათურქი ერთპიროვნულად მართავდა სახელმწიფოს 1938 წლამდე, გადაცვალებამდე. მისი ავტორიტარიზმის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თურქი ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭება; შარიათის წესით ქორწინების ნაცვლად სამოქალაქო რეგისტრაციის დანერგვა; პოლიგამიის აკრძალვა; განათლების ევროპული სისტემის შემოღება და გოგონების სავალდებულო სწავლების დაწყება; თურქული ენის ფონეტიკისათვის ყოვლად მოუხერხებელი არაბული ანბანის ლათინურით შეცვლა; ევროპული სამართლის კოდექსების დამკვიდრება; გვარების შემოღება (იქამდე თურქები მხოლოდ სახელსა და მეტსახელს იყენებდნენ); ჩადრის ტარების აკრძალვა; ტანსაცმლის ევროპულ ყაიდაზე გადაყვანა (უპირველესად აიკრძალა წითელი ფესის, როგორც „ჩამორჩენილობის სიმბოლოს" ტარება და დამკვიდრდა კეპი ან შლაპა); ევროპული კალენდრის დანერგვა და ა.შ. ეს ყველაფერი სულ 10-15 წელიწადში გაკეთდა.

ათათურქისა და მისი თანამებრძოლი ოფიცრების ნებით გახდა თურქეთი პირველი ისლამური ქვეყანა, რომელიც სახელმწიფო მშენებლობას საერო საფუძველზე იწყებდა. სეკულარიზმის გარანტად თურქეთის არმია იქცა. რესპუბლიკის კონსტიტუციაში სიტყვაც არ იყო ნახსენები *შარიათზე* (ისლამურ სამართალზე). მუსლიმთა სულიერი ლიდერი *ხალიფა* ქვეყნიდან გააძევეს. აიკრძალა მეჩეთების მშენებლობა და მოლების მომზადება. 1453 წლიდან მეჩეთად გადაქცეული სტამბოლის *აია სოფიის* ეკლესია 1935 წელს მუზეუმად გადაკეთდა და ყველა რჯულის ადამიანისათვის შესაძლებელი გახდა VI საუკუნის ბიზანტიური ხელოვნების შედევრის დათვალიერება.

თურქეთის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ობიექტურად განპირობებული იყო იმით, რომ სულტნის დროინდელი მთლიანად არათურქული ბურჟუაზია, რომელშიც ბერძნები და სომხები დომინირებდნენ, უაღრესად შეთხელდა. 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულების თანახმად მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთთან და 1,3 მილიონ ბერძენს დაატოვებინეს თურქეთი, რომელმაც თავის მხრივ მიიღო 400 ათასზე მეტი თურქი საბერძნეთიდან. მცირერიცხოვანი სომხები და ბერძნები მხოლოდ სტამბოლში დარჩნენ.

თურქეთის ეკონომიკაში ზემოხსენებული ეთნიკური ჯგუფების ბურჟუაზიის როლის მკვეთრ შესუსტებასთან ერთად შემცირდა კერძო კაპიტალდაბანდების ბაზა. ამიტომაც სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვა. ეს ეკონომიკური პოლიტიკა ცნობილია *ეტატიზმის* სახელით (ფრანგული სიტყვიდან *état – სახელმწიფო;* თურქული ფონეტიკის გავლენით ხანდახან *ეთათიზმს* იყენებენ). მთავრობა აფინანსებდა სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის, სამრეწველო საწარმოე-

ბის მშენებლობას. სახელმწიფო მონოპოლია შენარჩუნდა ზოგი პროდუქტის (შაქარი, მარილი, თამბაქო, ჩაი, ალკოჰოლი) წარმოებასა და გასაღებაზე: სტაბილური ფასების შენარჩუნება ერთგვარი სოციალური პოლიტიკა იყო. თურქეთში არ გაუქმებულა ეკონომიკის კერძო სექტორი. სოფლად შენარჩუნდა თუნდაც დაბალპროდუქტიული, მაგრამ კერძო მეურნეობა.

ევროპის ფონზე თურქეთი სოციალურ-ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად რჩებოდა. მაგრამ აზიისა (იაპონიის გამოკლებით) და ზოგადად ისლამური სამყაროს ფონზე თურქეთი მოდერნიზაციის აშკარა ლიდერი გახდა.

საგარეო პოლიტიკაში ათათურქის მიზანი იყო ყოველგვარი ავანტიურისათვის თავის არიდება და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება. *„მშვიდობა – მსოფლიოში, მშვიდობა – ქვეყანაში“:* ათათურქის ამ ლოზუნგს თურქეთში დღემდე იყენებენ.

1938 წლიდან, ათათურქის გარდაცვალების შემდეგ მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს ფაქტობრივი ნეიტრალიტეტის გეზი. ძალიან ფრთხილმა მეორე პრეზიდენტმა *ისმეთ ინონიუმ* და მისმა მთავრობამ დიპლომატიური ხერხები გამოიყენეს, აარიდეს თურქეთი მეორე მსოფლიო ომში ჩაბმას და ამით ქვეყანა გადაარჩინეს. ერთმა ავტორმა იმდროინდელ თურქეთს ერთგვარი გაკილვით უწოდა *Evasive Neutral* (თავისამრიდებელი ნეიტრალი). მაგრამ იგივე სიტყვები თურქული დიპლომატიის ქებადაც შეგვიძლია აღვიქვათ. თურქეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას 1945 წლის თებერვალში, როდესაც ომის შედეგი უკვე ნათელი იყო. საბრძოლო მოქმედებებში მის არც ერთ ჯარისკაცს არ მიუღია მონაწილეობა. 1940-იანი წლების მეორე ნახევარში თურქეთმა აშშ-ის დახმარებით მოახერხა თავიდან აეცილებინა ომი საბჭოთა კავშირთან (იხ. თავი 15).

1946 წლიდან დამკვიდრდა მრავალპარტიულობა, როგორც პროდასავლური ვექტორის სიმბოლო. 1950 წლის საპარლამენტო არჩევნები ახალშექმნილმა დემოკრატიულმა პარტიამ მოუგო იქამდე მონოპოლიური ძალაუფლების მქონე სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას.

დემოკრატიული ინსტიტუტები თანდათან განმტკიცდა, თუმცა 1960, 1971, 1980 და 1997 წლებში ქვეყანაში მოხდა სამხედრო გადატრიალებები, რომელთაც გენერალიტეტი იმით ამართლებდა, რომ იმდროინდელი მთავრობები ღალატობდნენ სეკულარიზმის პრინციპებს. ყოველი გადატრიალების შემდეგ ერთ-ორ წელიწადში სამხედროები უბრუნებდნენ ძალაუფლებას სამოქალაქო პირებსა და პოლიტიკურ პარტიებს.

1963 წლიდან თურქეთი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ამჟამად – ევროპული კავშირის) ასოცირებული წევრია, 1996 წლიდან საბაჟო კავშირშია მასთან. მაგრამ 1987 წელს შეტანილი განაცხადი ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე ჯერაც არ დაკმაყოფილებულა.

ბრიუსელის ოფიციალური აზრით, თურქეთი ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი მოთხოვნების (ე.წ *„კოპენჰაგენის კრიტერიუმების“*) საგრძნობ ნაწილს. თურქეთში კი ბევრი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მეტისმეტად მომთხოვნი მიდგომა მათი ქვეყნის მიმართ მიკერძოებულია, რომ ის განპირობებულია უფრო კულტურული განსხვავებებით (*„ევროკავშირი – ქრისტიანული კლუბია!“*), ვიდრე სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების საჭიროებით თურქეთში.

რეალობაა, რომ ევროპას აშინებს თურქეთის დიდი დემოგრაფიული პოტენციალი და მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება: 2010 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად თურქეთში 74 მილიონი კაცი ცხოვრობდა (ამ მაჩვენებლით ის ევროპაში მეორე ქვეყანაა გერმანიის შემდეგ). თურქეთის მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველწლიურად ერთი მილიონით მატულობს, მაშინ როცა ევროპის ქვეყნების უმეტესობაში, მათ შორის გერმანიაში, მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს ან თუ სტაბილობას ინარჩუნებს, მხოლოდ აზიიდან და აფრიკიდან შესული იმიგრანტების ხარჯზე. მუსლიმების, მათ შორის თურქების, კულტურული ასიმილირება ევროპისათვის ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ქრისტიანი შავკანიანი აფრიკელებისა.

1980-იანი წლებიდან თურქეთმა დაიწყო სწრაფი ეკონომიკური განვითარება. 2012 წლის ბოლოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით *თურქეთი* მე-16 ადგილზე იყო მსოფლიოს ქვეყნებს შორის (ევროპაში ის მე-7, ხოლო აზიაში – მე-5 ადგილზეა). *თურქეთს* აქვს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ყველაზე დივერსიფიცირებული ეკონომიკა, რაც ეყრდნობა მის დიდ ტერიტორიას, დიდ ბუნებრივ რესურსებს (თუმცა მას ძალიან მცირე ნავთობისა და გაზის საბადოები აქვს), დიდ შრომით რესურსებს, რომელთა კვალიფიკაცია იზრდება, და დიდ სამომხმარებლო ბაზარს. ძირითადი ფაქტორი მისი ეკონომიკური წინსვლისათვის აღმოჩნდა სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ბიზნესისათვის შექმნილი ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო, სახელმწიფო კაპიტალიზმზე (*ეტატიზმზე*) საბოლოო უარის თქმა. საბაზრო ეკონომიკის სტიმულირებამ რამდენიმე ათწლეულში მოიტანა შედეგი მრავალრიცხოვანი საშუალო კლასის შექმნის სახით, რომელსაც უკვე შეუძლია ქვეყნის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა.

საბჭოთა კავშირის დაშლის (1991 წ.) შემდეგ თურქეთისათვის გაიხსნა უზარმაზარი ბაზარი. რუსეთშიც კი თურქული ინვესტიციები და საქონელი უწყვეტ ნაკადად მიედინება, ხოლო *საქართველოსათვის თურქეთი უმთავრესი სავაჭრო პარტნიორი გახდა.*

* * *

2002 წლიდან თურქეთს სათავეში უდგას „სამართლიანობისა და განვითარების პარტია" *(სგპ; Adalet ve Kalkınma Partisi, AKP)*, რომელიც დაარსდა ერთი წლით ადრე, 2001 წელს. 2007 და 2011 წლების *თურქეთის დიდი ეროვნული კრების* არჩევნებში *სგპ*-მ მზარდი უპირატესობით გაიმარჯვა, რაც თურქეთის პოლიტიკისათვის უჩვეულო რამაა: იქამდე ყველა მმართველი პარტია სწრაფად იტეხდა სახელს დაპირებების შეუსრულებლობით და აგებდა მომდევნო არჩევნებს.

2010 წლის სექტემბერში ჩატარებულ რეფერენდუმზე 58 პროცენტმა მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო რეფორმას, რომლის თანახმადაც მოხდა უშიშროების საბჭოს, სადაც გენერლები დომინირებდნენ, ფუნქციების შემცირება, სამხედრო პირების სამოქალაქო სასამართლოსადმი დაქვემდებარება. გენერალიტეტმა ძალაუფლების ბერკეტები არსებითად დაკარგა.

სგპ-ს „ზომიერად ისლამისტურად" ახასიათებენ. პარტია ეყრდნობა ანატოლიის ქალაქების საშუალო კლასებს, გლეხობას, რომელთათვისაც ისლამი მამა-პაპათა რელიგიაა; ეს კლასები ქემალისტურ სეკულარიზმს ადრეც ალმაცერად უყურებდნენ, თუმცა არც ისლამურ რადიკალიზმს უჭერდნენ მხარს. პრემიერ-მინისტრ *ერდოღანის „ლიბერალური ისლამიზმი"*, რომელიც არც სახელმწიფოს სეკულარულ ხასიათს უარყოფს და არც რელიგიას ებრძვის, ამ კლასებისათვის სავსებით მისაღებია.

თურქეთის საზოგადოება სრულად ვერც გამოვა ისლამის გავლენის სფეროდან. ერთმა თურქმა ინტელექტუალმა, ადრე – მარქსისტმა, ახლა კი რადიკალური ისლამის მომხრე *ისმეთ ოზელმა*, მოსწრებულად თქვა: *„როგორც პოლიტიკური სისტემა თურქეთში სოციალიზმი შესაძლებელია, თურქიზმი* [ეთნიკური ნაციონალიზმი: რ.გ] *– მოსალოდნელია, ისლამი – უეჭველია"*.

თურქეთისათვის ერთ-ერთ უმთავრეს შიდაპოლიტიკურ საკითხად რჩება *ქურთულ უმცირესობასთან ურთიერთობათა ნორმალიზაცია*. ქურთების ინტეგრირებულობა თურქეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდია, თუმცა ისინი არ არიან მთლიანად ემანსიპირებულნი და მათი, როგორც ეთნოსის, პოლიტიკური უფლებები შეზღუდულია. არ შეიძლება ითქვას, რომ სეპარატიზმი ქურთებს შორის დომინანტური პოლიტიკური მიმართულებაა, მაგრამ ასეთი განწყობა საზოგადოების ნაწილში ბორგავს. *ქურთისტანის მუშათა პარტია (PKK)*, რომელიც მარქსისტულ იდეოლოგიას იყენებს, ერთდროულად, სეპარატისტულიცაა. ბოლო დრომდე ის არ ერიდებოდა ტერორისტული მეთოდების გამოყენებასაც, მათ შორის, მისი აზრით, „კოლაბორაციონისტი" ქურთების წინააღმდეგ. *PKK* საერთაშორისო დონეზე ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული.

XXI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც თურქეთი ეკონომიკურად მომძლავრდა,

მისი *საგარეო პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა სწორედ იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ადრე შედიოდნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში* ან მისი გავლენის სფეროში. პოლიტიკის ასეთი გეოგრაფიული ვექტორის მიმართ ზოგიერთი ჟურნალისტი და პოლიტოლოგი იყენებს კლიშეს *„ნეოოსმალიზმი"* (neo-Ottomanism). თურქეთში ამ ტერმინს უფრო ხშირად იყენებენ მმართველი პარტიის ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები, რომელთაც უნდათ „აჩვენონ კავშირი არსებული ხელისუფლებისა და ოსმალების ჩამორჩენილობასა და რეაქციულობას შორის", რაც სავსებით ბუნებრივია ოპოზიციური პარტიებისათვის. თურქეთის ამჟამინდელი *სგპ*-ის მთავრობა კი ამ ტერმინის გამოყენების წინააღმდეგია.

„ცივი ომის" პერიოდში *თურქეთი ამერიკის მთავარი პარტნიორი იყო ნატოს სამხრეთ ფლანგ*ზე. იმ პერიოდში თურქეთი ძალიან იყო დამოკიდებული ამერიკის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარებაზე. „ცივი ომის" დამთავრებამ კი თურქეთს მოაშორა ძირითადი საფრთხე – საბჭოთა კავშირი. მან საკუთარი საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო ნატოს და ვაშინგტონის დაუკითხავად.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის მიზნად *სგპ-მ* გამოაცხადა მისი საზღვრების პერიმეტრზე „მეგობრული სახელმწიფოების რკალის" შექმნა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის *აჰმეთ დავუთოღლუს* ლოზუნგი იყო *„ნულოვანი პრობლემები მე*ზობლებთან"! ამის რეალური შედეგი XXI საუკუნის პირველ ათწლეულში აღმოჩნდა ურთიერთობათა ნორმალიზაცია საბერძნეთთან, ირანთან, სირიასთან, ერაყთან და, ზოგადად, არაბულ სამყაროსთან. ბულგარეთთან და საქართველოსთან ადრე არსებული ნორმალური ურთიერთობა შენარჩუნდა. ერდოღანის მთავრობამ მეტი ტოლერანტობა გამოამჟღავნა ეთნიკური უმცირესობების მიმართ. აღსანიშნავია, რომ თურქეთმა საკუთარი ხარჯით აღადგინა ვანის ტბის კუნძულზე მდებარე XI საუკუნის *ახთამარის* სომხური ეკლესია, აღადგენს *ანისს* (სომხეთის ერთ-ერთ ძველ დედაქალაქს), *ქართულ ეკლესიებს* ტაო-კლარჯეთში.

მაგრამ უკვე 2009 წლიდან თურქეთს გაუფუჭდა ურთიერთობა ისრაელთან[60] და ერაყთან, 2011 წლიდან – სირიასთან. ვერ მოხერხდა ურთიერთობათა ნორმალიზაცია და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სომხეთთან, [სამხრეთ] კვიპროსთან.

ამერიკის გავლენიანი სომხური ლობის მრავალწლიანი დაჟინებული მცდელობა, მიაღებინოს აშშ-ის კონგრესს რეზოლუცია 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში მომხდარი მოვლენების „სომეხთა გენოციდად" აღიარების შესახებ, არის მუდმივი *გამაღიზიანებელი ფაქტორი ანკარისა და ვაშინგტო-*

[60] აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას დიდი ძალისხმევით 2013 წლიდან ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის აღდგა.

ნის ურთიერთობაში. მართალია, კონგრესში ამ რეზოლუციის მსვლელობას აჩერებს ხოლმე აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ზეწოლა, მაგრამ ის მაინც მუდმივად ემუქრება ამერიკა-თურქეთის ურთიერთობას.

სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებდა, რომ XXI საუკუნის პირველ დეკადაში თურქების სულ 10-15 პროცენტი თუ იყო პოზიტიურად განწყობილი ამერიკის მიმართ.

* * *

გვინდა თუ არა, „ბუფერული სახელმწიფოს" როლში გამოსვლა, *საქართველო* რეალურად არის ბუფერი ძველ მტრებს და ამჟამად ფაქტობრივ გეოპოლიტიკურ მეტოქეებს, *თურქეთსა* და *რუსეთს*, შორის. ორივე ესწრაფვის განავრცოს ან შეინარჩუნოს თავისი გავლენა მთელ კავკასიაზე. გეოპოლიტიკური ლოგიკიდან გამომდინარე, თურქეთი დაინტერესებული უნდა იყოს საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, მისი პოლიტიკური და სამხედრო მდგრადობის განმტკიცებით. თურქეთმა გაგვიწია საგრძნობი დახმარება სამხედრო მშენებლობაში; ის სტაბილურად უცხადებს მხარდაჭერას ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, რასაც ქართველი ხალხი დიდად აფასებს; საქართველოსთვის თურქეთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია; ქართველების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ავიაკომპანია „*Türk Hava Yolları*"-ის („თურქული საჰაერო გზები") მეშვეობით დაფრინავს და სტამბოლის აეროპორტები ჩვენთვის ძირითადი კარიბჭეა გარე სამყაროში; თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ ურთიერთსატრანზიტო მნიშვნელობა კიდევ უფრო გაგვეზრდება.

საქართველოსთან სასაზღვრო საავტომობილო გადასასვლელების (საბაჟო-გამშვები პუნქტების) გახსნა ძალიან კეთილისმყოფელი შედეგის მომტანი აღმოჩნდა თურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის, რომლებიც „ცივი ომის" პერიოდში თურქეთის ყველაზე ჩაკეტილი, მიყრუებული და ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონები იყო. ისინი გამოაცოცხლა *სატრანზიტო ფუნქციამ,* რადგან ამ გზებით თურქეთი უკავშირდება არა მარტო საქართველოს, არამედ აზერბაიჯანს, ცენტრალურ აზიასა და, ეკონომიკური თვალსაზრისით, სომხეთსაც კი. თურქეთის ზემოხსენებულ პროვინციებში გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, გაჩნდა უამრავი კომერციული კომპანია, სამრეწველო სანარმოებიც კი.

თურქული კაპიტალის შემოდინებას საქართველოში განსაკუთრებით ახალისებდა პრეზიდენტი სააკაშვილი. ასეთი კაპიტალდაბანდება განსაკუთრებით იგრძნობა აჭარაში. ბათუმში უკვე არის მთელი ქუჩები, სადაც მაღაზიებისა და რესტორნების უმეტესობა თურქულია და მათი კლიენტურაც ძირითადად თურქია.

კერძო თურქული კომპანიები საკმაოდ აქტიურად ვაჭრობენ სეპარატისტულ აფხაზეთთანაც.

თურქეთის *კულტურული ექსპანსია* პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მჟღავნდება იქ სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის, უნივერსიტეტების გახსნაში, რომელთა მიერ გამოშვებულ კადრებს, ბუნებრივია, დიდი სიმპათია აქვთ თურქეთის მიმართ. ასეთი სასწავლებლები საქართველოშიც არსებობს, მაგალითად, *დემირელის კოლეჯი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.*

თურქეთში ისლამის გაძლიერება, რასაკვირველია, იწვევს ისლამისათვის დამახასიათებელი *პროზელიტიზმის აქტივიზაციას.* თურქეთში ბაზირებული, როგორც ჩანს, კერძო რელიგიური ორგანიზაციების მიერ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სუნიტური ისლამის აღორძინებისათვის თურქეთის მიმდებარე საქართველოს რაიონებში, განსაკუთრებით მთიან აჭარაში, სადაც ისლამი XVII-XVIII საუკუნეებში გავრცელდა (მაგრამ მკვეთრად შესუსტდა XX საუკუნეში). ასეთი მუშაობა იგრძნობა საქართველოს სხვა სასოფლო რეგიონებში მთიანი აჭარიდან ჩამოსახლებულ ეკოლოგიურ მიგრანტებს შორისაც. არ მინდა რელიგიური საკითხის დრამატიზაცია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეს პროცესები არ ემსახურება.

ჩვენი მეზობლები – სომხეთი და აზერბაიჯანი

ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, აზერბაიჯანსა და სომხეთს პოლიტიკურ-გეოგრაფიულად აერთიანებს ერთადერთი რამ, რითაც შემიძლია ავხსნა მათი საერთო ქვეთავში განხილვა: ეს არის 1988 წელს დაწყებული და ჯერაც დაუმთავრებელი ომი მთიანი ყარაბაღისათვის. ამ ომის მიზეზებსა და მის საწყის ეტაპზე საუბარი მქონდა 24-ე თავში.

1988 წლის ბოლოდან ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში შემავალ სომხეთსა და აზერბაიჯანში დაიწყო და მალე დამთავრდა *ეთნოდემოგრაფიული ძვრები,* დაკავშირებული ტერიტორიულ დავასთან. 1989 წლის დასაწყისისათვის სომხეთის სსრ-ის მთელი აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომელიც იქამდე 160 ათასს ითვლიდა, განიდევნა აზერბაიჯანის სსრ-ში და ჩვენმა მეზობელმა სომხეთმა „ეთნიკურ სიწმინდეს" მიაღწია: მცხოვრებთა 98 პროცენტი იქ სომეხია. მომდევნო ორი წლის განმავლობაში უკვე მთელი სომხური მოსახლეობა (ყარაბაღში მცხოვრებთა გარდა) განიდევნა აზერბაიჯანიდან. ეს მეზობელიც მიისწრაფვის „ეთნიკური სიწმინდისაკენ": მცხოვრებთა 93 პროცენტი იქ აზერბაიჯანელია.

მთიანი ყარაბაღის ირგვლივ სამხედრო მოქმედებების გამო 1993 წელს თურქეთმა ჩაკეტა იქამდე ორიოდე წლის განმავლობაში გახსნილი საზღვარი სომხეთთან.

1994 წლის მაისში ომი შეწერდა დროებითი დაზავებით. სამშვიდობო ხელშეკრულება არ დადებულა. ამ დროიდან მოყოლებული *სომხეთის არმია „მთიანი ყარაბაღის თავდაცვით ძალებთან" ერთად აკონტროლებს აზერბაიჯანის საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტერიტორიის დაახლოებით 18 პროცენტს*, სადაც არც ერთი აზერბაიჯანელი არ დარჩა. სადემარკაციო ხაზის გასწვრივ სანგრებში სომეხი და აზერბაიჯანელი ჯარისკაცები ერთმანეთის პირისპირ ოცი წელია სხედან. პერიოდულად ხდება ხოლმე სამხედრო პროვოკაციები, რომლებიც პრესაში ერთგვარ ჩოჩქოლს იწვევს. მაგრამ ამ პროვოკაციებს არ მოჰყოლია სერიოზული გაგრძელება. არაპროგნოზირებადი შედეგის მომტანი კონფლიქტის ესკალაციის საფრთხე ორივე მხარეს ესმის.

მართალია, სომხური და აზერბაიჯანული პატრიოტული მედიის საბრძოლო რიტორიკა პოტენციურ მოწინააღმდეგეს მხდალად და უნიჭოდ წარმოადგენს, მაგრამ გულის სიღრმეში ორივე მხარეს ესმის, რომ ეს მთლად ასე არაა.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ადრე მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობა ორ ხალხს შორის ახლა ურთიერთსიძულვილშია გადაზრდილი. ამის მაგალითია ის, რომ ბუდაპეშტში ნატოს ეგიდით სასწავლოდ ჩასულმა აზერბაიჯანელმა ოფიცერმა იმავე პროგრამით იქ მოსწავლე სომეხი ოფიცერი ნაჯახით მოკლა მძინარე. მკვლელი, რომელსაც უნგრეთში სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, 2012 წელს ბაქოს გადასცეს იმ პირობით, რომ სასჯელს იქ მოიხდიდა. ის კი გაათავისუფლეს და ოფიციალურმა ხელისუფლებამ და ხალხმა „ეროვნულ გმირად" შერაცხა. სომხეთმა კი დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა უნგრეთთან.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში, აგრეთვე მთიან ყარაბაღში, არიან სავსებით გონიერი პოლიტიკოსები, რომელთაც ესმით, რომ კონფლიქტის შემდგომი გამწვავება მხოლოდ უარეს შედეგს მოიტანს, ვერც ერთი მხარე ვერ მიდის დათმობაზე.

ბაქო მოითხოვს დაკარგულ ტერიტორიას და იქ მილიონამდე აზერბაიჯანელი ლტოლვილის დაბრუნებას.

ერევნის ნებისმიერი მთავრობისათვის ამ მოთხოვნის თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია: სომხეთის საზოგადოებრივი აზრი, თითქმის სრულად, მთიანი ყარაბაღის საკითხში რაიმე დათმობის წინააღმდეგია.

ამავე დროს, ბაქოსათვის ნათელია, რომ სომხეთთან ომის განახლების შემთხვევაში მის სამხედრო წარმატებას მოსკოვის გარანტია ესაჭიროება.

სომხეთისათვის, რომელიც რუსეთთან, ბელარუსთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთთან ერთად შედის სამხედრო ბლოკ *კუბო*-ში, ასევე ნათელია, რომ აზერბაიჯანის მიერ ომის დაწყების შემთხვევაში ისევ რუსეთის იმედი უნდა ჰქონდეს.

დაზავების რეჟიმი ორ კავკასიურ რესპუბლიკას შორის მომგებიანია კრემლისათვის. *რუსეთის ხელმძღვანელობაში მთიანი ყარაბაღის გადაუჭრელ კონფლიქტს, როგორც ჩანს, ორივე მხარეზე ზემოქმედების შესანიშნავ საშუალებად მიიჩნევენ, თუმცა მის დიპლომატიას დიდი გაქნილობის გამოჩენა უწევს.*

დასავლეთის როლი კონფლიქტის მოგვარებაში მეტად მოკრძალებულია და მხოლოდ მშვიდობისმყვარულ რიტორიკასა და ფუჭ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში თუ ვლინდება. ეუთოს ე.წ. „მინსკის ჯგუფი", რომელსაც რუსეთის, საფრანგეთისა და აშშ-ის წარმომადგენლები თანათავმჯდომარეობენ, ორი ათეული წელია ძალიან დუნედ, თითქოს ცდილობს ხელი შეუწყოს ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას.

საქართველოს საზღვრებთან ახლოს სამხედრო მოქმედების განახლება ჩვენთვის უაღრესად სახიფათოა, თუნდაც იმის გამო, რომ შეფერხდება (ან შეწყდება) ჩვენი ტერიტორიის გამოყენება კასპიის აუზის ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისათვის (ომის დროს უპირველესად ნავთობისა და გაზის მილსადენები დაზიანდება); რუსეთს დასჭირდება კონტაქტი მოკავშირე სომხეთთან, რომელთანაც საერთო საზღვარი არა აქვს – შუაში საქართველოა; საქართველოში შეიძლება დაიწყოს ლტოლვილების შემოდინება. ომს ბევრი სხვა უარყოფითი შედეგიც მოჰყვება.

მთიანი ყარაბაღისათვის ომმა, რომელიც ფორმალურად დამთავრებული არაა, ჩვენი ორივე მეზობელი ქვეყნის მილიტარიზაციას შეუწყო ხელი. *ორივე მხარე იარაღდება* და ჩვენი მეზობელი ქვეყნების არმიები შეიარაღებითა და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით საქართველოს ჯარს რამდენჯერმე აღემატებიან.

საომარი მდგომარეობის შენარჩუნება არაპირდაპირ ხელს უშლის საზოგადოების დემოკრატიზაციას. ორივე ქვეყნის არსებულ ხელისუფლებას, რომელსაც, ბუნებრივია, ძალაუფლება არ ემეტება, შეუძლია გამოიყენოს საგარეო საფრთხე, როგორც „თავის ირგვლივ" საზოგადოების სრული კონსოლიდაციის ფაქტორი.

* * *

აზერბაიჯანში განმტკიცდა *ალიევების* ხელისუფლება. პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის გარდაცვალებამდე ორიოდე კვირით ადრე, 2003 წელს, იმავე პოსტზე მას ჩაენაცვლა მისი ვაჟი – *ილხამ ალიევი, რომელსაც შეცვლილი კონსტიტუცია პრეზიდენტად არჩევის ლიმიტს არ უწესებს.* აზერბაიჯანული ოპოზიცია სუსტია და დათრგუნული.

აზერბაიჯანის მდიდარმა ენერგეტიკულმა რესურსებმა მის მიმართ ტრანსნაციონალური კორპორაციების დიდი ინტერესი გააღვივა და თითქმის დაამუნ-

ჯა დასავლეთის ქვეყნების მთავრობების ჩვეულებრივ დიდი მომთხოვნელობა დემოკრატიის ნორმების დაცვისადმი. ბაქოსაკენ ინვესტიციების მდინარე წარიმართა. ამან მმართველი რეჟიმიც ნელში გაამაგრა და მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მდიდარი მმართველი კლასის წარმოქმნაც განაპირობა. ეკონომიკურად აზერბაიჯანი სწრაფად განვითარდა. მისმა დედაქალაქმა ბაქომ სახე იცვალა და დამშვენდა.

აზერბაიჯანისათვის ყველაზე ხელსაყრელი აღმოჩნდა თავისი ნავთობისა და გაზის ექსპორტი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მეშვეობით. ის იყენებს საქართველოს რკინიგზას და საავტომობილო გზებს. ალბათ 2014 წელს მწყობრში ჩადგება ამჟამად მშენებარე ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა, რომელიც აზერბაიჯანს თურქეთთან (აგრეთვე ცენტრალურ აზიასა და ევროპას) დააკავშირებს.

ყველაფერმა ამან საქართველო და აზერბაიჯანი ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძალიან დააახლოვა და ისინი სტრატეგიულ პარტნიორებად აქცია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ტერმინს *„სტრატეგიული პარტნიორობა"* იმდენად ხშირად და ამაოდ იყენებენ, რომ მისი მნიშვნელობის დევალვაცია მოხდა. მაგრამ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ის ძველ (და ძირითად) მნიშვნელობას ინარჩუნებს.

აზერბაიჯანისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო *თურქეთის რესპუბლიკის* მიერ მისთვის გაწეული მრავალმხრივი ჰუმანიტარული (დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე) და დიპლომატიური დახმარება. თურქეთი ლინგვო-რელიგიურ საფუძველზე აზერბაიჯანის მოძმე ქვეყანაა. თურქული და აზერბაიჯანული ახლო მონათესავე ენებია: *ორივე თიურქული ენაა.* ორივე ქვეყანაში ისლამია გავრცელებული, თუნდაც სხვადასხვა მიმართულებისა, მაგრამ ამ სხვაობას ახლა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისას მიმდინარე *სამხედრო მოქმედებებში თურქეთის არმია არ ჩარეულა,* რაც სავსებით რაციონალური გადაწყვეტილება იყო: წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში სხვა ძალების სამხედრო გააქტიურებაც შეიძლებოდა დაწყებულიყო.

რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობა უფრო „ცივი მშვიდობის" სახეს ატარებს. მართალია, ქვეყნები ერთმანეთს „სტრატეგიულ პარტნიორებს" უწოდებენ, მაგრამ ურთიერთუნდობლობა კულისებში ჩანს ხოლმე. ბაქო უკმაყოფილოა მოსკოვის მიერ ერევნისათვის გაწეული სერიოზული სამხედრო დახმარებით, თუმცა თვითონაც ყიდულობს რუსეთში ანალოგიურ სამხედრო ტექნიკას, მაგალითად, სარაკეტო-საზენიტო კომპლექსებს C-300-ს (როგორც ჩანს, სომხეთზე უფრო მეტს იხდის!). უკანასკნელი რუსული სამხედრო ბაზა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე – *გაბალას რადიოლოკაციური სადგური* – 2013 წელს დაიხურა.

ირანისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკა „უხერხული" მეზობელია, მიუხედავად რელიგიურ-კულტურული სიახლოვისა (აზერბაიჯანში ძირითადად შიიტური მიმართულების ისლამია გავრცელებული, ისევე როგორც ირანში). ვერ ხერხდება კასპიის ზღვის ფსკერის გაყოფა (ნავთობისა და გაზის საბადოები აზერბაიჯანის მიერ თავისად გამოცხადებულ სექტორში მდებარეობს, მეზობელი ირანის სექტორში კი ასეთი წიაღისეული ჯერ არ აღმოუჩენიათ); ბაქოს არაოფიციალურ წრეებში, ხანდახან – ოფიციალურშიც, ირედენტისტული იდეები ტრიალებს მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე *ირანის აზერბაიჯანის* მიმართ, სადაც მრავალი მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ბაქოში ხშირად ჟღერს ხოლმე იდეა „ორი აზერბაიჯანის გაერთიანების" შესახებ. ფაქტია, რომ *თეირანი* არ ენდობა ბაქოს და პერიოდულად აკეთებს დიპლომატიურ დემარშებს. სამაგიეროდ, იგივე თეირანი შედარებით უფრო თბილადაა განწყობილი *ერევნის* მიმართ.

ნავთობის ექსპორტის ხარჯზე გამდიდრებამ საშუალება მისცა აზერბაიჯანს მკვეთრად გაეზარდა თავისი სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც ახლა აღემატება სომხეთის მთლიან ბიუჯეტს. შეიქმნა საკუთარი სამხედრო მრეწველობა და შესაძლებელი გახდა გაზრდილიყო *მაღალტექნოლოგიური იარაღის იმპორტი ისრაელიდან* (იქნებ იმიტომ, რომ აზერბაიჯანს ისრაელი მიიჩნევს ირანის პოტენციურ მოწინააღმდეგედ?). 2012 წელს აზერბაიჯანმა დადო საერთო ჯამში 1,6 მილიარდი დოლარის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შეძენის კონტრაქტები ისრაელის კომპანიებთან – Elbit Systems, Rafael, IWI, IMI.

* * *

მთიანი ყარაბაღის ომის გამო *სომხეთი ფაქტობრივ გეოპოლიტიკურ ჩიხში აღმოჩნდა*: აღმოსავლეთით მას არა აქვს არავითარი კავშირი აზერბაიჯანთან ან მისი გავლით რუსეთთან (საბჭოთა პერიოდში მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი ერევნიდან მოსკოვამდე აზერბაიჯანზე გადიოდა), დასავლეთით – შეწყვეტილია პირდაპირი კავშირი თურქეთთან (თუმცა საქართველოს გავლით იქ შემოდის თურქული საქონელი, ხოლო თურქეთში საშოვარზე გასულია 40 ათასზე მეტი სომხეთის მოქალაქე, რომელიც იქ არალეგალურად მუშაობს და შინ საკმაო თანხას აგზავნის). სამხრეთით, ირანისაკენ, სომხეთს აქვს კონტაქტები, მაგრამ რუსეთიდან კასპიის ზღვითა და ირანის ტერიტორიის გავლით შემოსული ტვირთები სომხეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მეხუთედზე ნაკლებია.

1995 წლიდან (2010 წელს გაგრძელებული შეთანხმებით – 2044 წლამდე) სომხეთის ქალაქ *გიუმრიში* განლაგებულია *რუსული მძლავრი სამხედრო ბაზა*, რომლისთვისაც მიწის იჯარას რუსეთი სომხეთს არ უხდის, რადგან ამაგიეროდ ჰპირდება, რომ ბაზა სომხეთის უსაფრთხოებასაც მოემსახურება.

დამოუკიდებელი სომხეთის *პოლიტიკური ისტორიის* მნიშვნელოვანი

მოვლენები 1990-იან წლებში მოხდა. 1997 წელს გადადგა სომხეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი *ლევონ ტერ-პეტროსიანი*, რაც მას მოსთხოვა თავდაცვის მეტისმეტად გავლენიანმა მინისტრმა *ვაზგენ სარგსიანმა:* სხვა ნაციონალ-პატრიოტებთან ერთად მან მიიჩნია, რომ პრეზიდენტი აპირებდა მთიანი ყარაბაღის საკითხში სერიოზულ დათმობაზე წასვლას და ეს ეროვნული ინტერესების ღალატად ჩაუთვალა.

სომხეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტად 1998 წელს აირჩიეს *რობერტ ქოჩარიანი*, რომელიც წარმოშობით მთიანი ყარაბაღიდან იყო (2008 წელს ის ამ პოსტზე შეცვალა ასევე ყარაბაღელმა *სერჟ სარგსიანმა*, რომელიც 2013 წლის არჩევნების მოგების შემდეგ პრეზიდენტად 2018 წლამდე დარჩება).

1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის ეროვნულ კრებაში (პარლამენტში) გაუგონარი რამ მოხდა: დაუბრკოლებლად შესულმა ტერორისტებმა სატელევიზიო კამერების წინაშე დახოცეს ზემოხსენებული *ვაზგენ სარგსიანი*, იმ დროისათვის უკვე პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე *კარენ დემირჭიანი* და მისი მოადგილეები. გამოძიებამ ტერორისტების პირად ანტიპათიაზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა სომხეთში ბევრს ღრღნიდა ეჭვი, რომ სროლის მოტივი უფრო პოლიტიკურ საკითხებს უკავშირდებოდა.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ მმართველი *რესპუბლიკური პარტია* სომხეთში პრაქტიკულად ერთპიროვნულ ძალად იქცა. რობერტ ქოჩარიანმა პოზიცია განიმტკიცა. სომხეთში არსებობს პოლიტიკური ოპოზიციაც, თუმცა, ძალაუფლებაში მოსვლის შანსი ოპოზიციურ პარტიებს ალბათ დიდხანს არ მიეცემათ.

ბუნებრივი რესურსებით ღარიბი სომხეთის მთავარი ეკონომიკური დასაყრდენი აღმოჩნდა მისი დიასპორა (სომხურად *„სფიურქ“*-ი). *„ახალი სფიურქი“* – საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში სომხეთის რესპუბლიკიდან ძირითადად რუსეთში, უკრაინაში, დსთ-ის სხვა ქვეყნებსა და ევროპაში წასული ადამიანები – შინ დარჩენილ ოჯახის წევრებს წლიურად მილიარდ დოლარზე მეტს აწვდის. 2012 წელს სომხეთში გადარიცხულმა თანხამ 1,5 მილიარდი დოლარი შეადგინა (მათ შორის, რუსეთიდან – 740 მილიონი).

„ძველი სფიურქი“ – ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიიდან XX საუკუნის პირველ მეოთხედში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, საფრანგეთში, ლიბანში წასული სომხები (აშშ-ში ისინი საკმაოდ მძლავრ პოლიტიკურ *ლობის* ქმნიან) და სომხეთის რესპუბლიკას ეხმარებიან საგარეო პოლიტიკის გატარებაში. მისი ეკონომიკური დახმარება „ახალი სფიურქის“ გადმორიცხვებთან შედარებით ნაკლებია და უპირატესად სახელმწიფოსათვისაა გაწეული, მაგალითად, სომხეთის, აგრეთვე მთიანი ყარაბაღის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის.

„ძველი სფიურქის“ პოლიტიკური დახმარება ხანდახან ეწინააღმდეგება რესპუბლიკის ხელმძღვანელობის რეალისტურ მიზნებს. ეს განსაკუთრებით

გამოჩნდა XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქმე მიდგა სომხეთ-თურქეთის პრობლემების დარეგულირებაზე. 2009 წელს ამერიკის, რუსეთის, ევროკავშირის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელთა თანდასწრებით ხელი მოეწერა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა დარეგულირების ორ ოქმს, რომელთა რატიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელი ხდებოდა მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და 1993 წელს თურქეთის მიერ სომხეთთან ჩაკეტილი საზღვრის გახსნა.

მაგრამ ამ შემთხვევაში მოხდა *აზერბაიჯანის, სომხური „ძველი სფიურქისა“ და რუსეთის ინტერესთა მოულოდნელი დამთხვევა:*

- აზერბაიჯანი შეაშფოთა თურქეთთან სომხეთის დაახლოებამ იმ პირობებში, როდესაც მთიანი ყარაბაღის პრობლემა მოუგვარებელია. ბაქომ ყველანარი ზეწოლა განახორციელა თურქეთის ხელისუფლებაზე, რომ მას არ მოეხდინა შეთანხმების რატიფიკაცია;
- სომხეთ-თურქეთის შეთანხმება, ბუნებრივია, გულისხმობდა არსებული საზღვრების ცნობას (ეს მკაფიოდ განაცხადა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა *ედუარდ ნალბანდიანმა*) და მეცნიერთა ერთობლივი კომისიის ჩამოყალიბებას 1915 წლის მოვლენების შესასწავლად. ეს ორი პირობა *„ძველმა სფიურქმა“* და ადგილობრივმა ნაციონალისტურმა ძალებმა აღიქვეს, როგორც სომხეთის მხრიდან თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმა და „გენოციდის“ ეჭვქვეშ დაყენება. ამიტომაც *„სფიურქმა“* დიდი ზეწოლა მოახდინა სომხეთის ხელისუფლებაზე, რომ მას არ მოეხდინა შეთანხმების რატიფიკაცია;
- რუსეთი სულაც არ არის დაინტერესებული, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის მოხდეს ურთიერთობათა ნორმალიზაცია, რადგან ამ შემთხვევაში სომხეთში შეიძლება გაძლიერდეს პროდასავლური საგარეოპოლიტიკური ვექტორი, ხოლო სომხეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. რუსეთს არ დასჭირვებია განსაკუთრებული ზეწოლა რომელიმე მხარეზე: მან უბრალოდ არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მომხდარიყო შეთანხმების რატიფიკაცია. მისი უმოქმედობა ზეწოლის ტოლფასი აღმოჩნდა.

რეალურ „საგარეო პოლიტიკურ საყრდენად“ სომხეთი იძულებულია გამოიყენოს *რუსეთის ფედერაცია. რუსეთს კი სომხეთი ესაჭიროება, როგორც ფორპოსტი*[61] *კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში.* სომხები განსაკუთრებით გაანაწყენა მათ მიმართ ამ *დამამცირებელი* სიტყვის – „ფორპოსტის“ – გამოყენებამ (ის ერთხელ გულუბრყვილოდ ახსენა რუსეთის დუმის იმდროინდელმა თავმჯდომარემ *ბორის გრიზლოვმა*). „პოლიტიკურად არა-

[61] გერმანული Vorposten-იდან, რაც სამხედრო საქმეში ნიშნავს მონინააღმდეგესთან ყველაზე ახლოს განლაგებულ საგუშაგოს.

კორექტულ" სიტყვას რუსეთის ელიტა და პრესა აღარ იყენებს, მაგრამ ამით რუსული გეოპოლიტიკა არ შეცვლილა.

ახალმა გასასვლელმა სამხრეთის მიმართულებით – *ირანთან დასაკავშირებლად* გაყვანილმა რთული პროფილის საავტომობილო გზამ, მდ. არაქსზე სასწრაფოდ აშენებულმა ხიდმა, სასაზღვრო-გამშვებმა პუნქტმა – მცირეოდენი ეკონომიკური შვება მისცა სომხეთს, მაგრამ გეოპოლიტიკური ჩიხიდან ის ვერ გამოიყვანა, რადგან თვით ირანის ისლამური რესპუბლიკაა იზოლირებული დასავლეთის ქვეყნებისაგან.

რუსეთსა და დასავლეთთან მყარი ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა სომხეთს ძირითადად საქართველოს გავლით შეუძლია იქონიოს. ის იყენებს საქართველოს ნავსადგურებს და აქვს სახმელეთო კავშირი რუსეთთან საქართველოს სამხედრო გზისა და ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით. სომხეთი ძალიანაა დაინტერესებული, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის აღდგეს სარკინიგზო მიმოსვლა აფხაზეთის გავლით. ეს კომპლექსური პოლიტიკური პრობლემაა და საქართველოს ვერც ერთი მთავრობა ვერ დათანხმდება მის გადაწყვეტას მხოლოდ სომხეთის ინტერესების გათვალისწინებით და საკუთარი ინტერესების უგულებელყოფით. *ამ ეტაპზე კი რკინიგზის აღდგენა საქართველოს არც ეკონომიკურ და არც პოლიტიკურ ინტერესებს არ ემსახურება.*

საქართველოს დესტაბილიზაცია სომხეთისათვის საფრთხეს შეიცავს და მის ყველა ხელისუფალს კარგად ესმოდა და ესმის, რომ სტაბილობა მეზობელ ქვეყანაში *გეოპოლიტიკური იმპერატივია.* ერევანში ახსოვთ, რომ მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს სომხეთს სულ რამდენიმე დღეში შეექმნა საავტომობილო სანვავის გარეშე დარჩენის პრობლემა.

საქართველოზე სატრანზიტო დამოკიდებულება ხელს არ უშლიდა ცალკეულ პირებსა და ჯგუფებს სომხეთში და მის ფარგლებს გარეთ განუწყვეტელი პროპაგანდისტული ზეგაელენით დაენერგათ საზოგადოებრივი აზრი, რომ *„საქართველო და ქართველები ჩვენი მეგობრები არ არიან".* მინდა მჯეროდეს, რომ ასეთი ძალები უმცირესობაა სომეხ ხალხში.

თავი 32

ცოტა მოშორებით მყოფი დანარჩენი მსოფლიო

ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, ძირითადად 1991 წელს, ევროპასა და აზიაში შეიქმნა 23 ახალი სახელმწიფო, რომლების უმრავლესობაც არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ზოგიერთი კი ძალიან დიდი ხნის წინ არსებობდა ფეოდალური მონარქიების სახით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად პოლიტიკურ რუკას დაუბრუნდა 1917-1922 წლებში რესპუბლიკის სახით ცალკე არსებული ***რუსეთი*** (იგივე *რუსეთის ფედერაცია*).

1918-1940 წლებში დამოუკიდებელი ***ლიტვა, ლატვია, ესტონეთი*** 1991 წელს აღდგნენ *თითქმის ძველ*, 1940 წლამდე არსებულ, საზღვრებში. ლიტვის სახელმწიფო შუა საუკუნეებშიც არსებობდა. ლატვიასა და ესტონეთს კი დამოუკიდებელი სახით 1918 წლამდე არ უარსებიათ: ისინი XX საუკუნის პოლიტიკურ-გეოგრაფიული ქმნილებები არიან.

1918-1920/21 წლებში დამოუკიდებელი რესპუბლიკები ***საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა*** და ***ბელორუსია*** კვლავ გამოჩნდნენ მსოფლიო ასპარეზზე. მათი, ისევე როგორც ყველა სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის, *ადმინისტრაციული საზღვრები* საერთაშორისო დონეზე ცნობილ იქნა *სახელმწიფო საზღვრებად*. მაგრამ სამხრეთ კავკასიაში 1990-იანი წლების დამდეგს უკვე დაწყებული იყო ამ საზღვრების ძალადობრივი გადასინჯვა.

შუა საუკუნეებში ფეოდალური სამთავროს სახით არსებული ***მოლდოვა*** (მისი ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი რუმინეთშია მოქცეული, სადაც ამავე სახელის მქონე პროვინცია არსებობს) რესპუბლიკის სახით მოგვევლინა. მაგრამ მის აღმოსავლეთ ნაწილში, *დნესტრისპირეთში*, ეთნიკურად შერეული მოსახლეობის სეპარატისტული (უფრო „ანტირუმინული") განწყობა კრემლმა წაახალისა. *დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა*, რომლის

ტერიტორიაზეც დღემდე რჩება რუსეთის სამხედრო ბაზა, ფაქტობრივად *არაღიარებული სახელმწიფოა.*

მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე პირველად გამოჩნდნენ ასეთი სახელის მქონე სახელმწიფოები – ***ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი,*** რომლებიც საბჭოთა კავშირის ნიაღში აღმოცენდნენ და მათი საზღვრები 1920-30-იან წლებში კრემლში მოიხაზა.

ყველა მათგანში უკვე დაწყებულია ისტორიული მითოლოგიის შექმნა საკუთარი „უძველესი სახელმწიფოებრიობის" შესახებ.

1992 წლის მიწურულს ***ჩეხეთი*** და ***სლოვაკეთი*** მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. სლოვაკეთი ისტორიაში პირველად გახდა დამოუკიდებელი, თუ ასეთად არ მივიჩნევთ ჰიტლერის მიერ 1938 წელს შექმნილ მარიონეტულ სლოვაკეთის სახელმწიფოს, რომელმაც 1944 წლამდე იარსება.

1990 წელს ევროპაში გაქრა ერთი პოლიტიკური ერთეული – *გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა*: ის საკუთარი ხალხის ნებით შეუერთდა ძირითად გერმანულ სახელმწიფოს – ***გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას,*** რომელმაც გააერთიანა ორად გაყოფილი *ბერლინიც* და მას გერმანიის დედაქალაქის სტატუსი დაუბრუნა.

* * *

იუგოსლავიის დაშლა იმსახურებს მეტ ყურადღებას, თუნდაც იმიტომ, რომ *იქ მიმდინარე პროცესებს ხანდახან საქართველოს პოლიტიკურ პროცესებს ადარებენ,* ხშირად – უსაფუძვლოდ. ამავე დროს, იუგოსლავიის მაგალითიდან ჩვენთვის საჭირო ზოგიერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ.

1918-1941 წლებში იუგოსლავია *იყო მონარქია, რომელიც შეიქმნა სერბიის სამეფოს ბაზაზე. სერბებმა თავის გარშემო* არცთუ ნებაყოფლობით გააერთიანეს სამხრეთ-სლავური ეთნოსები (*იუგოსლავია* „სამხრეთსლავეთს" ნიშნავს).

1945-1991 წლებში არსებობდა კომუნისტური იუგოსლავია, რომელსაც დაერქვა *იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა* (ისფრ). ფედერაცია *ექვს* თანასწორუფლებიან რესპუბლიკას მოიცავდა: *სერბიას, ხორვატიას, ჩერნოგორიას, ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, სლოვენიას, მაკედონიას.*

სერბები, ჩერნოგორიელები და მაკედონიელები *მართლმადიდებლები* არიან. სხვა სამხრეთ-სლავური ეთნოსები კი ან *კათოლიკეები* (ხორვატები და სლოვენები) არიან, ან *მუსლიმები* (ბოსნიელები). სერბიაში შემავალ *კოსოვოში მცხოვრები მუსლიმი ალბანელები საერთოდ არ განეკუთვნებიან სლავებს.* მათ გარდა იუგოსლავიაში კიდევ ათამდე სხვა მცირერიცხოვანი ხალხი ცხოვრობდა. ასეთი ეთნო-რელიგიური სიჭრელე იუგოსლავიის არსებობისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ისფრ-ის ერთიანობას ინარჩუნებდა მისი დამაარსებლისა და პირველი პრე-

ზიდენტის *იოსიპ ბროზ ტიტოს დიდი ავტორიტეტი.* ის ერთადერთი მმართველი პარტიის (კომუნისტურის) ხელმძღვანელიც იყო და არმიასაც სარდლობდა. *ტიტოს დროს იუგოსლავია ატარებდა ე.წ. „მიუმხრობლობის" პოლიტიკას, ანუ არც საბჭოთა ბლოკში შედიოდა და არც დასავლურში. ქვეყანა, სხვა კომუნისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურად უფრო განვითარებული იყო და უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ ევროპასთან.*

1980 წელს ტიტოს გარდაცვალებისთანავე მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ სხეულში სერიოზულმა ბზარმა იჩინა თავი. 1981 წელს *ავტონომიურ ოლქ კოსოვოს* ადგილობრივმა ალბანურმა უმრავლესობამ მოითხოვა ცალკე რესპუბლიკის შექმნა *ისფრ*-ის შემადგენლობაში. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. 1990 წელს სერბიის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ მკვეთრად შეამცირა, თითქმის გააუქმა, კოსოვოს ავტონომიური უფლებები.

1980-90-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა კავშირში მიმდინარე დეზინტეგრაციულმა პროცესებმა იუგოსლავიის დაშლას მისცა იმპულსი. ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით იუგოსლავიაში ანალოგიური პროცესი მშვიდობიანად არ მომხდარა: დაშლას წინ აღუდგა ისფრ-ის ყველაზე დიდი რესპუბლიკა *სერბია.*

იუგოსლავიის ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულმა რესპუბლიკებმა *სლოვენიამ* და *ხორვატიამ* 1991 წლის 25 ივნისს ერთდროულად ცალმხრივად გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. *ევროპული კავშირის* ქვეყნებმა და *გაერომ* 1992 წლის 15 იანვარს ორივე რესპუბლიკა დამოუკიდებლად აღიარეს.

სერბეთმა სცადა ერთიანი სახელმწიფოს გადარჩენა და მისი დაშლისათვის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა. *იუგოსლავიის სახალხო არმიას* ხელმძღვანელობდა უპირატესად სერბული წარმოშობის გენერალიტეტი, ჯარისკაცები კი ყველა ეროვნებისა იყვნენ, რომელთაც ან არ ესმოდათ, ან არ მოსწონდათ ბრძოლის მიზანი. ეს მკვეთრად ამცირებდა არმიის ბრძოლისუნარიანობას მანამდე, სანამ არმია მხოლოდ სერბული გახდებოდა. იუგოსლავიის არმიის შეიარაღება და ინფრასტრუქტურა ძირითადად სერბეთის არმიას დარჩა.

ამავე დროს, რადგან *ისფრ*-ის კონსტიტუციის თანახმად ყველა რესპუბლიკას ჰქონდა *„ტერიტორიული დაცვის ძალები"*, მათ საფუძველზე საკმაოდ სწრაფად ჩამოყალიბდა ახალ სახელმწიფოთა არმიები. ომი გარდაუვალი გახდა.

სლოვენიას არა აქვს საერთო საზღვარი სერბიასთან და 1991 წელს იქ მოხდა მცირე სამხედრო შეტაკებები („ათდღიანი ომი", რომლის დროსაც დაღუპულთა საერთო რაოდენობამ 100-იოდე კაცი შეადგინა). ცენტრალურ ევროპასთან კულტურულ-გეოგრაფიულმა სიახლოვემ სლოვენიაზე პოზიტიურად იმოქმედა. ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკებიდან სლოვენია პირველი მიიღეს *ევროპულ კავშირში.*

სლოვენიისაგან განსხვავებით *ხორვატია* ესაზღვრება სერბიას; იქ შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა. სასტიკი ომი ხორვატიაში ოთხ წელიწადს მიმდინარეობდა. სერბიამ 1995 წელს ფაქტობრივად ცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ხორვატია და მოგვიანებით მასთან დიპლომატიური ურთიერთობაც დაამყარა.

1992 წელს იუგოსლავიას გამოეყვნენ ადრე მასში შემავალი რესპუბლიკები *მაკედონია* და *ბოსნია და ჰერცეგოვინა*. ორივეს მაშინვე გაუჩნდა პოლიტიკური პრობლემები.

მაკედონიის მოსახლეობის უმეტესობა მართლმადიდებელია, თუმცა მოსახლეობის 27 პროცენტზე მეტი იქ მუსლიმი ალბანელია, რომელთაც მაღალი შობადობა ახასიათებთ. ადგილობრივ ალბანელებთან სლავი მაკედონიელების ხანმოკლე სამოქალაქო ომი 2001 წელს დამთავრდა იმით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დაჟინებული რჩევით ალბანელები მაკედონიის პოლიტიკურ მართვაში ჩართეს. სლავ მაკედონიელთა ენა ძალიან ახლოსაა ბულგარულთან (ბულგარელი მკვლევრები „მაკედონიურს" ბულგარული ენის დიალექტად მიიჩნევენ). სწორედ ამიტომ ბელგრადმა ჯერ კიდევ 1940-იან წლებში იზრუნა ბულგარეთისაგან მაკედონიის მცხოვრებთა დაშორებაზე: მათთვის შეიქმნა „ცალკე ენა".

რაც შეეხება *ბოსნიასა და ჰერცეგოვინას* (სახელები ეკუთვნით შუა საუკუნეებში არსებულ სამთავროებს, რომელთა შორის გეოგრაფიული მიჯნა აღარ არსებობს), 1991-წელს ამ რესპუბლიკაში მცხოვრებთა 43 პროცენტი *მუსლიმი* იყო (ესაა შუა საუკუნეებში ისლამზე მოქცეული სერბულენოვანი ხალხი, რომელსაც ტიტოს ხელისუფლების დროს ოფიციალურად *„მუსულმან"*-ს უწოდებდნენ: ამჟამად მათ *„ბოსნიაკების"* სახელით იცნობენ). *მართლმადიდებელი სერბები* შეადგენდნენ 31 პროცენტს, *კათოლიკე ხორვატები* – 17 პროცენტს, ხოლო 9 პროცენტს – ალბანელები, ბოშები, ჩერნოგორიელები და სხვები.

ბოსნიელმა სერბებმა არ ისურვეს ახალ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ცხოვრება და ძალით სცადეს „თავიანთი ტერიტორიების" საკუთრივ სერბიასთან მიერთება. ამას სისხლიანი სამოქალაქო ომი მოჰყვა (1992-1995 წწ), როდესაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებული გახდა აყრილიყო. 1995 წლის ბოლოს საერთაშორისო ძალისხმევით მოხერხდა მშვიდობის დამყარება და თემთაშორისი კომპრომისის მიღწევა, თუმცა ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიული და პოლიტიკური სისტემა არასტაბილური და მყიფე რჩება.

სერბეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე, ძირითადად ალბანელებით დასახლებულ პროვინცია *კოსოვოში* სეპარატიზმი კარგა ხანია არსებობდა. მასთან ბრძოლაში ბელგრადმა გადააჭარბა „დასაშვებ ნორმას", გამოიყენა თავისი არმიის თითქმის მთელი ძალა, რაც, საბოლოოდ, ძვირად დაუჯდა. დასავლეთის ქვეყნებმა სერბეთი კოსოვოში „გენოციდის მონყობაში" დაადანაშაულეს, რაც

მოგვიანებით არ დადასტურდა. მაგრამ იქამდე სერბეთის წინააღმდეგ ომში ჩაერთო *ნატო:* მისი თვითმფრინავები 1999 წელს ორ თვეზე მეტხანს ბომბავდნენ ინფრასტრუქტურულ და სამხედრო ობიექტებს ბელგრადსა და მთელ ქვეყანაში. სერბეთი დამარცხდა. გაერომ *კოსოვო საერთაშორისო კონტროლს დაუქვემდებარა* და ის პრაქტიკულად მოსწყვიტა სერბეთს. *რუსეთი ფარისეელურად უჭერდა მხარს სერბეთს,* თუმცა რეალური დახმარება მისთვის არ აღმოუჩენია.

2008 წლის თებერვალში *კოსოვომ* ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. აშშ-მა, ევროპული კავშირის ქვეყნების უმეტესობამ (ხუთი ქვეყნის გარდა), თურქეთმა და ბევრმა სხვა ქვეყანამ დაუყოვნებლივ ცნეს ახალი სახელმწიფო. მაგრამ გაეროში მას ჯერ ვერ მიიღებენ: უშიშროების საბჭოში რუსეთი ამას დაბლოკავს.

დასავლურმა პროპაგანდამ იზრუნა, რომ სერბები „ბოროტი ძალის" როლში გამოეყვანათ. სერბულმა არმიამ მართლაც ჩაიდინა არაერთი *სამხედრო დანაშაული* ხორვატიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, კოსოვოში. ამავე დროს არანაკლები დანაშაული იქნა ჩადენილი სერბული სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, მაგალითად ხორვატიის არმიის, კოსოვოს ალბანელთა სამხედრო შენაერთების მიერ.

იუგოსლავიის ომებს ჯამში 250 ათასამდე ადამიანი შეეწირა, ორ მილიონზე მეტი იქცა *„ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირად" ან ლტოლვილად.*

2006 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ ცალკე სახელმწიფოს შექმნა არჩია *ჩერნოგორიამ (მონტენეგრომ),* რომლის მოსახლეობა სერბულენოვანია და მართლმადიდებელი, ისევე, როგორც სერბეთში.

იუგოსლავიის ადგილზე ახლა ფაქტობრივად შვიდი სახელმწიფო არსებობს.

იუგოსლავიის მაგალითზე შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ *ფედერაციები, რომელთა წევრები ეთნიკურ ნიადაგ ზე არიან აღმოცენებულნი, როგორც წესი, არამდგრადია.* ამის კარგი მაგალითებია საბჭოთა *კავშირიცა* და *ჩეხოსლოვაკიაც.* გარკვეულ საფრთხეს უქმნის *კანადის* ფედერაციის ტერიტორიულ მთლიანობას ფრანგულენოვანი წევრი – *კებეკი.* არსებობს სეცესიონიზმის გარკვეული რისკი ინდოეთში, სადაც შტატები ეთნიკურ ნიადაგზეა შექმნილი: ამის მაგალითებია *ქაშმირში, ფენჯაბში, თამილნადუში* მომხდარი მოვლენები. უფრო მყარად დგანან ხოლმე ფეხზე წმინდა ტერიტორიულ პრინციპზე ნარმოქმნილი ფედერაციები, მაგალითად, *ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია.*

ხანდახან, რუსულ და დასავლეთის ლიბერალურ პრესაში *არის ხოლმე მცდელობა მოინახოს ანალოგია 1990-იანი წლების დასაწყისში იუგოსლავიასა და საქართველოში მომხდარ პროცესებს შორის.*

მაგრამ საერთაშორისო სამართლის პოზიციიდან მსგავსების ძიება არაკო-

რექტულია: იუგოსლავიის ფედერაცია საკუთარი კონსტიტუციის შესაბამისად დაიშალა შემადგენელ ნაწილებად (ეს არ ეხება კოსოვოს). *საქართველო კი ფედერაცია არ ყოფილა*, მისი ავტონომიები ფედერაციის სუბიექტები არ იყვნენ და იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით დამოუკიდებლობა მათ არ ეკუთვნოდათ, მაშინ როცა ერთიანი საქართველო, ისევე როგორც ყველა სხვა საბჭოთა *მოკავშირე* რესპუბლიკა კანონიერად გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

თუმცა რეალობაა, რომ ძლიერი სახელმწიფოები არად დაგიდევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, თუკი ისინი მათ ინტერესებს არ შეესაბამება, მაგრამ *იუგოსლავიის დაშლის მაგალითი მაინც არგუმენტია იმათი აზრის საწინააღმდეგოდ, რომლებიც თანამედროვე საქართველოს ფედერალიზაციისაკენ მოუწოდებენ.*

* * *

აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიის ადგილზე ერთ-ერთი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა XX საუკუნის ბოლოდან სერიოზულ *„პოლიტიკურ-ტერმინოლოგიურ"* პრობლემას ქმნის. იუგოსლავიის სამხრეთ ნაწილში მდებარე რესპუბლიკას *„მაკედონია"* ერქვა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მან ამავე სახელით სცადა საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრება, რასაც შეეწინააღმდეგა მეზობელი საბერძნეთი, რომლის ორი პროვინცია ატარებს იმავე სახელს – აღმოსავლეთი და დასავლეთი *მაკედონია*.

საბერძნეთი დღემდე წინააღმდეგია, რომ არსებობდეს სახელმწიფო, სახელად „მაკედონია" და არგუმენტად მოაქვს, რომ ეს გეოგრაფიული ტერმინი არსებობდა დიდი ხნით ადრე (ეს მართლაც ასეა: ტერმინი „მაკედონია" ბერძნულ ისტორიას უკავშირდება, გავიხსენოთ *ალექსანდრე მაკედონელი*!), სანამ ახ. წ. VI საუკუნის ბოლოს სლავები ამ მიწაზე მოვიდოდნენ და დასახლდებოდნენ. ათენის აზრით, მეზობელი სახელმწიფოს სახელმა შესაძლოა რაღაც ეტაპზე წარმოშვას ტერიტორიული პრეტენზია საბერძნეთის მიმართ. თუმცა მაკედონიის რესპუბლიკაში ცხოვრობენ სლავები და ალბანელები, ხოლო საბერძნეთის მაკედონიაში – ბერძნები, საბერძნეთს მაინც აშინებს პოტენციური ირედენტიზმი, რომელიც ტოპონიმთანაა დაკავშირებული (სხვა მაგალითების შესახებ იხ. ჩანართი 30.1).

ათენი კატეგორიულად მოითხოვს, რომ მეზობელ სახელმწიფოს არ ერქვას იგივე სახელი, რაც მის პროვინციებს: მისი წინადადებაა ახალ სახელმწიფოს *„სკოპიეს რესპუბლიკა"* (დედაქალაქის სახელის მიხედვით) დაერქვას.

სწორედ ქვეყნის სახელის გამო საბერძნეთმა 2008 წელს ვეტო დაადო მაკედონიის შესვლას *ნატოს* შემადგენლობაში. გაეროში კი ბერძნების მოთხოვნით ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო მიიღეს უცნაური სახელით „ყოფილი

იუგოსლავიური რესპუბლიკა მაკედონია" (Former Yugoslav Republic of Macedonia, შემოკლებით FYROM).

ჩანართი 32.1
ტოპონიმებთან დაკავშირებული პოლიტიკური პრობლემების მაგალითები

ირანი სერიოზულ პრობლემას ხედავს იმაში, რომ მდ. არაქსის ჩრდილოეთით მცხოვრებმა კავკასიელმა თიურქებმა 1918 წელს ახალ სახელმწიფოს „*აზერბაიჯანი*" დაარქვეს, მაშინ როცა ადრე ეს ტოპონიმი ამ ტერიტორიის სახელად არ გამოიყენებოდა. სახელს „აზერბაიჯანი" მრავალი საუკუნეა ატარებს მდ. არაქსის სამხრეთით, ირანის შემადგენლობაში მყოფი პროვინცია (ქართულ ისტორიულ წყაროებში ის „*ადარბადაგანად*" მოიხსენიება). 1946 წელს სტალინმა სცადა *აზერბაიჯანული ირედენტიზმის* კარტის გათამაშება, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს ირანში შესული საბჭოთა არმიების საფარქვეშ ქ. თავრიზში „ავტონომიური ირანის აზერბაიჯანის" შექმნა გამოაცხადებინა. ბაქოში მაშინვე დაიწყო ორი აზერბაიჯანის შეერთების კამპანია, მაგრამ ის იმავე წელს შეწყდა, რადგან ამერიკამ კატეგორიულად მოსთხოვა საბჭოთა კავშირს ირანიდან ჯარის გაყვანა. „აზერბაიჯანული ირედენტიზმის" პოტენციური პრობლემა ამოწურული არაა და ის პერიოდულად ამოტივტივდება ხოლმე.

იტალიაში ანალოგიურ პრობლემად მიიჩნევდნენ მის შემადგენლობაში მყოფი *ალტო ადიჯეს* პროვინციისათვის სახელის „*სამხრეთ ტიროლის*" გამოყენებას: *ტიროლი* ავსტრიაში მდებარეობს. ახლა ეს პრობლემა მოხსნილია: იტალიელებს აღარ აშინებთ „ავსტრიული ირედენტიზმი" და ამ სახელს იოლად უყურებენ.

1980-იანი წლების ბოლოდან, დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებულ *საქართველოში* გაჩნდა ოსური სეპარატიზმი და აღორძინდა 1919-1920 წლების იდეა „ორი ოსეთის" გაერთიანების შესახებ. ამიტომ გაჩნდა ტენდენცია შიდა ქართლის ტერიტორიის ჩრდილო ნაწილს მანამდე გამოყენებული „სამხრეთ ოსეთის" ნაცვლად ვუწოდოთ „სამაჩაბლო" ან „ცხინვალის რეგიონი". ძირძველი ოსეთი რუსეთის ფედერაციაში იმყოფება, თუმცა მას „ჩრდილოეთ ოსეთად" იცნობენ.

ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე

მსოფლიო მასშტაბის *ეკონომიკურ-გეოგრაფიული ძვრები* იმსახურებს ყურადღებას, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში მათ აუცილებლად მოჰყვება ძალთა პოლიტიკური გადანაწილება.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში XX საუკუნის განმავლობაში სერიოზულად შეიცვალა კლასობრივი სტრუქტურა. თუ საუკუნის დასაწყისში კომუნისტური პარტიების დასაყრდენი იქ იყო პროლეტარიატი, სხვანაირად, ფიზიკური შრომით დაკავებული მრავალრიცხოვანი მუშათა კლასი, საუკუნის ბოლოსათვის ეს კლასი პროპორციულად და სრულიად საგრძნობლად შემცირდა. მძიმე ფიზიკური შრომა მექანიზებულმა შეცვალა. ეკონომიკური

ბრძოლის მეთოდები დიდად არ შეცვლილა – მუშები და მოსამსახურეები კვლავინდებურად იფიცებიან ან „იტალიურ გაფიცვას“ აწყობენ – მუშაობენ ზუსტად ინსტრუქციის თანახმად და ნელა! მაგრამ გაფიცვებს წმინდა ეკონომიკური მიზნები აქვს და არა მთავრობის დამხობა: პოლიტიკური ცვლილებები არჩევნების დროს ხდება. მუშებისა და მოსამსახურეების (ე.წ. „ლურჯი“ და „თეთრი“ საყელოების) ხელფასი მკვეთრად გაიზარდა. კომპარტიების გავლენა კი ყველგან დაეცა.

რადგან მზა პროდუქციის ღირებულებაში უდიდესი წილი შრომის ანაზღაურებაზე მოდის, ამიტომ მსხვილი კორპორაციები დაინტერესდნენ თავიანთი წარმოების გადატანით იმ ქვეყნებში, სადაც მუშახელი იაფია. ამან ხელი შეუწყო ადრე ჩამორჩენილი („განვითარებადი“) ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლას.

მარქსიზმის კლასიკოსებს, მაგალითად, ლენინს, XX საუკუნის მეორე ნახევარში რომ ეცხოვრათ, მათ მოუხდებოდათ თავიანთი თეორიის საფუძვლიანი გადახედვა. თუ წინა საუკუნის დასაწყისში უცხოური კაპიტალის შეტანა ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში (იმ დროს ეს ჩვეულებრივ იყო კოლონიური, არასუვერენული ტერიტორია) ამ უკანასკნელის ეკონომიკური და პოლიტიკური დაკაბალების ტოლფასი იყო, ერთი საუკუნის შემდეგ ყველა ქვეყანას სურს მოიზიდოს უცხოური კაპიტალი. ეს ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას, უპირველესად იმის გამო, რომ მრეწველობაში და, ზოგადად, საწარმოო ან არასაწარმოო სექტორში დაბანდებული კაპიტალი (*ინვესტიციები*) ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას ემსახურება. დასაქმებულთა ხელფასი და უცხოური კაპიტალის მოგება იბეგრება, რაც სახელმწიფოს ბიუჯეტს ავსებს.

წარმოების გადანაცვლებამ იაფი (ჯერჯერობით მაინც!) მუშახელის მქონე ქვეყნებში წარმოქმნა მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური გათანაბრების ტენდენცია. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ყოფილ ბრიტანულ, ფრანგულ, ჰოლანდიურ კოლონიებში (შესაბამისად – *მალაიზიაში, ვიეტნამში, ინდონეზიაში*), რომლებიც ადრე მხოლოდ ნედლეულს აწვდიდნენ თავიანთ მეტროპოლიებს, ახლა წარმოების მოწინავე დარგები ინერგება.

ინდოეთი, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბრიტანეთის უუფლებო კოლონია, მაღალი ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელი გახდა.

ჩინეთი, საუკუნის პირველ ნახევარში გაუთავებელ ომებში ჩართული მისუსტებული გოლიათი, რომელსაც ადვილად არბევდნენ იაპონელები, 1980-იანი წლებიდან უსწრაფესად განვითარდა. XX საუკუნის ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების საყოფაცხოვრებო საქონლის ბაზრის ნახევარი, თუ მეტი არა, *ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში* (*ჩსრ*) წარმოებულმა პროდუქციამ დაიკავა. ამავე დროს, *ჩსრ*-მ საკუთარი მძლავრი სამხედრო მრეწველობა შექ-

მნა. ის ბირთვული ქვეყანა გახდა. მოელიან, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით 2030 წლის შემდეგ *ჩსრ* გაუსწრებს *აშშ*-ს და მსოფლიოში პირველი ქვეყანა იქნება. ეჭვგარეშეა, რომ XXI საუკუნეში სწორედ *ჩსრ* გახდება მსოფლიო ჰეგემონობაში აშშ-ის მეტოქე, განსაკუთრებით, თუკი ის იმ დროისათვის დაიბრუნებს კუნძულ *ტაივანს*.

ტაივანი ჩინეთის ნაწილია, სადაც 1949 წელს გადასახლდა სამოქალაქო ომში დამარცხებული გომინდანის პარტიის მრავალრიცხოვანი წევრი. ამერიკელებმა შეუწყვეს ხელი ტაივანის გადაქცევას ინდუსტრიულ ქვეყნად, რომლის ეკონომიკა 1970-იან წლებში *ჩსრ*-სას თითქმის უტოლდებოდა. იმ პერიოდში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ხშირად მოიხსენიებდნენ *„კონტინენტურ ჩინეთად“*. ტაივანი *„კუნძულოვანი ჩინეთი“* იყო.

ზემოთ ვახსენე *ნავთობის ექსპორტიორი, ადრე უღარიბესი, ქვეყნების* სწრაფი გამდიდრება XX საუკუნის ბოლო მესამედში. *ქუვეითს, კატარს, საუდის არაბეთს, გაერთიანებულ არაბულ საამიროებს* XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში თვითონ შეეძლოთ დაებანდებინათ კაპიტალი გერმანიასა თუ დიდ ბრიტანეთში, ეყიდათ ინგლისის პრემიერ-ლიგის საფეხბურთო კლუბებიც კი!

მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით (მსყიდველობითი უნარის პარიტეტით) მსოფლიოს პირველ ოცეულში ადრე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან ერთად XXI საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ სულ ნახევარი საუკუნის წინ უიმედოდ ჩამორჩენილად მიჩნეული ქვეყნები *ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა* (2012 წელს ის მე-2 ადგილზე იყო *აშშ*-ის შემდეგ), *ინდოეთი* (მე-3), *ბრაზილია* (მე-7), *მექსიკა* (მე-11), *სამხრეთ კორეა* (მე-12), *ინდონეზია* (მე-15), *თურქეთი* (მე-16), *ირანი* (მე-17), *ტაივანი* (მე-19). მათთან ახლოს იყვნენ *საუდის არაბეთი* (23-ე), *ტაილანდი* (24-ე), *ეგვიპტე* (26-ე). თანაც *მხოლოდ ნავთობით გამდიდრებული* მათ შორის მხოლოდ *ირანი* და *საუდის არაბეთია*.

სამრეწველო განვითარების ტემპებით 2000-იან წლებში პირველ ოცეულში მოხვედრილი თითქმის ყველა ქვეყანა ყოფილი კოლონიაა – *ანგოლა, პანამა, უზბეკეთი, ეთიოპია, მოზამბიკი, განა* და ა.შ. ბუნებრივია, ზრდის მაღალი ტემპები იქ (ისევე, როგორც *საქართველოსა და სომხეთში*) განპირობებულია ძალიან დაბალი საწყისი წერტილით: როდესაც ეს ქვეყნები განვითარების მაღალ დონეს მიაღწევენ, მათი წლიური ზრდის ტემპი 10 და მეტი პროცენტი ვეღარ იქნება.

განვითარებული ქვეყნების ძველ ინდუსტრიულ რაიონებში *სტრუქტურული ცვლილებები* მოხდა. ზოგჯერ ეს საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად მტკივნეული აღმოჩნდა. მაგალითად, ინგლისის ქალაქ *მანჩესტერში*, რომელიც XVIII საუკუნის შუაგულიდან ორასზე მეტი წელი მსოფლიოში საფეიქრო მრეწველობის უდიდესი ცენტრი იყო, ახლა არც ერთი საფეიქრო ფაბრიკა არ მუშაობს. სამაგიეროდ, მანჩესტერი საბანკო-საფინანსო მომსახურების ცენტრად იქცა.

მაგრამ, არცთუ იშვიათად, სტრუქტურული ცვლილებები დრამატულ ხასიათს იღებს: თუკი, მაგალითად, გერმანიაში ან ბელგიაში ქარხანა იხურება მისი, ვთქვათ, ფილიპინებზე ან მექსიკაში გადატანის გამო, ადგილობრივი მუშახელი უმუშევარი რჩება. მთავრობებს უხდებათ ეკონომიკური პოლიტიკის მისადაგება ასეთ ვითარებასთან, რაც მხოლოდ მდიდარ ქვეყნებს ძალუძთ გააკეთონ.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უფრო რთული პრობლემების წინაშე დადგნენ, როდესაც სოციალიზმის ეპოქაში ჩამოყალიბებული მათი არაეფექტიანი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, ხოლო სამომხმარებლო ბაზარი დაიჭირა ჩინეთის, ინდოეთის, თურქეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების შედარებით იაფმა პროდუქციამ, რომელსაც ადგილობრივი წარმოება კონკურენციას ვერ უწევს.

მსოფლიოში ფართო მასშტაბი მიიღო *შრომითმა მიგრაციამ*. მიგრანტების მიერ სამშობლოში გადარიცხული თანხა (remittances) ზოგი ქვეყნისათვის უდიდესი დახმარებაა. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მონაცემებით, ყოფილ სოციალისტურ და საბჭოთა ქვეყნებში შრომითი მიგრანტების გადარიცხვების ჯამურმა თანხამ 2011 წელს თითქმის 40 მილიარდს მიაღწია. მაგალითად, ტაჯიკეთში ასეთმა გადარიცხვებმა მისი მშპ-ის 48 პროცენტი შეადგინა, ყირგიზეთში – 29 პროცენტი, მოლდოვაში – 23 პროცენტი, სომხეთში 15 პროცენტი, უზბეკეთში, ალბანეთში, სერბეთში, ჩერნოგორიასა და საქართველოში – 8-9 პროცენტი.

სამომხმარებლო საზოგადოების განვითარება

სამომხმარებლო საზოგადოების შექმნას დასავლეთის რეალურ მიღწევად მიიჩნევენ. მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეკონომიკის განუწყვეტელი ზრდის ფაქტორად იქცა. მწარმოებლები ერთმანეთთან კონკურენციაში სულ ახალ-ახალ პროდუქტს იგონებენ და სთავაზობენ მომხმარებელს. საზოგადოება მიეჩვია მოხმარების ზრდას. ეს უკვე ნორმაა.

ახლა საყოველთაოდ გავრცელებული creditcard (ბანკის საკრედიტო ბარათი), რომელიც პირველად წინა საუკუნის შუაგულში გამოჩნდა, *სამომხმარებლო საზოგადოების* ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. 1949 წელს ამერიკელმა *ფრენკ მაკნამარამ* დააპატენტა თავისი გამოგონება – Diners Club-ის ბარათი (თავიდან ის ქალალდისა იყო: მოგვიანებით მისთვის პლასტიკატი გამოიყენეს) – რომლის მფლობელებსაც ნიუ-იორკის ბევრ რესტორანში უნაღდო ანგარიშსწორება შეეძლოთ. მალე ამ ბარათს 20 ათასამდე კლიენტი გაუჩნდა. ფრენკ მაკნამარამ საკუთარი გამოგონების პერსპექტიულობა არ ირწმუნა და ერთ წელიწადში პატენტი გაყიდა. ის სიღარიბეში მოკვდა.

მაგრამ მსხვილმა ბიზნესმა მაშინვე აულო ალღო *„პლესტიკ“*-ის მფლობელთა ფსიქოლოგიას – ისინი ხარჯებს არ ითვლიან და ბანკისაგან სესხს ადვილად იღებენ. ამის საპირისპიროდ, თუ ნაღდი ფულით იხდი და ჯიბეში ის გამოგელია, ცოტა ვინმე თუ გასესხებს იქვე ფულს. ამერიკისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მოსახლეობამ მალე კრედიტით დაიწყო ცხოვრება. საკრედიტო პლასტიკური ბარათები საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა და საუკუნის ბოლოს პოსტსაბჭოთა სირცეშიც შემოაღწია.

საკრედიტო ბარათები ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი სტიმულიც გახდა: მეტს ხარჯავ, მეტია წარმოებაცა და მომსახურებაც. თუ ხალხი საკრედიტო ბარათების გამოყენებას შეწყვეტს, ეკონომიკა მალევე შეფერხდება.

ამავე დროს, გიგანტურად *გაიზარდა დავალიანება საკრედიტო დაწესებულებებისადმი*. ვალები კი, გარკვეულ გარემოებაში, კრიზისის საფუძველი შეიძლება გახდეს. გავიხსენოთ 2008 წელი, როდესაც ბანკებისათვის ამერიკელების უზარმაზარი იპოთეკური დავალიანება (რასაკვირველია, ის საკრედიტო ბარათებით *არ* შექმნილა) მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიზეზი გახდა.

ზემოთქმული არ არის სამომხმარებლო საზოგადოებასთან დაკავშირებული ერთადერთი პრობლემა.

პროდუქციის ზრდა *ბუნებრივი*, უმეტეს შემთხვევაში, *აღუდგენადი რესურსების მზარდ გამოყენებას* გულისხმობს.

ახლა თითქოს მოდიდანაა გამოსული 1970-იანი წლების *ალარმისტული მოწოდებები – რესურსები დედამიწა ზე მალე გამოილევა*! ასეთ მოწოდებებს ზღვრად აღებული ჰქონდათ 2000 წელი, რომელიც იმ დროს ძალიან შორეულ მომავლად გვეჩვენებოდა. ამის მაგალითი იყო ელიტური *„რომის კლუბის“* მიერ სპონსირებული წიგნი *„ზრდის ლიმიტები“*. მაშინ ასეთ პუბლიკაციებს სერიოზულად აღვიქვამდით.

პროგნოზები რესურსების ამოწურვის შესახებ ჯერჯერობით არ გამართლდა – ნავთობი, რომლის მარაგის დასრულებას XX საუკუნის ბოლოს ვარაუდობდნენ, იმდენი აღმოჩნდა, რომ მისი ამოწურვის დრო ახლა XXI საუკუნის დასასრულისათვის გადააქვთ. გეოლოგები პოულობენ ბუნებრივი გაზისა და მადნეული რესურსების ახალ-ახალ საბადოებსაც.

იმდროინდელი პროგნოზები კი, მოდიფიცირებული სახით, მაინც გასათვალისწინებელია. არა მარტო მადნეული და ენერგეტიკული რესურსების უკმარისობა, არამედ მტკნარი წყლისაც, უკვე იგრძნობა და მომავალში მათ დეფიციტს ჩვენი შვილები და შვილიშვილები ბევრად მძაფრად იგრძნობენ, რაც არცთუ სასიამოვნო პერსპექტივაა. *ერთი-ორი საუკუნის შემდეგ კი ბუნებრივი რესურსების დეფიციტი მართლაც აუტანელი გახდება და ხანგრძლივ კრიზისს, შესაძლოა, გლობალურ კატასტროფასაც კი, გამოიწვევს.*

კეთილდღეობა ჯერჯერობით *გეოგრაფიულად კონცენტრირებულია* ე.წ.

„დასავლეთში“, რომელიც ევროპისა და ჩრდილო ამერიკის გარდა ავსტრალიასა და იაპონიასაც მოიცავს. როდესაც დასავლური ტიპის კეთილდღეობა სხვა დიდ ქვეყნებშიც გავრცელდება, *სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების* დეფიციტიც თვალსაჩინო გახდება. *„კაცობრიობას შიმშილი ელის, როდესაც ჩინელები მიხვდებიან, რომ ბრინჯი მხოლოდ გარნირია“*: ამ ხუმრობაში რეალობაც ჩანს!

არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს მრენველობისა და ტრანსპორტის მიერ ***ნახშირორჟანგის სულ უფრო მზარდი გამოყოფა***, რაც, როგორც ამბობენ, გლობალურ დათბობას უწყობს ხელს, აგრეთვე სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაგავი, რომლის სრულად გადამუშავება ვერ ხერხდება, ხმელეთისა და ზღვის მოფენა ცელოფანის პარკებით.

კიდევ ერთი პრობლემაა *მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა* (არ მინდა გამოვიყენო სიტყვა – „მოტყუება“), რაც ახალი რამე არაა, ისევე ძველია, როგორც ვაჭრობა, რომელიც „ნეოლითური რევოლუციის“ დროიდან დაინყო. მაგრამ გლობალური მონოპოლიზაციის პირობებში *მომხმარებლის შეცდომაში შეყვანაც* გლობალურ მასშტაბს იძენს. ავიღოთ, მაგალითად, *ფარმაცევტიკა*, სადაც გიგანტური მოგება კეთდება: ადამიანებს ავადმყოფობა სჩვევიათ და წამლებზე ისინი ეკონომიას არ აკეთებენ! ფარმაცევტული კომპანიები, რომლებიც სულ უფრო მეტად მიისწრაფვიან მსოფლიო მონოპოლიზაციისაკენ, ხშირად „ყიდულობენ“ მეცნიერებსა და რესპექტაბელურ სამედიცინო ჟურნალებს, როდესაც სპონსირებას უწევენ „პოზიტიურ“ გამოკვლევებს საკუთარი წამლების შესახებ. ეს წამლები კი, ზოგიერთ შემთხვევაში, სულაც არაა ისე ეფექტური, როგორც მათზე იწერება. მაგრამ ისინი იყიდება! თანაც კომპანიები ზრდიან წამლის ფასს, შეგნებულად ამოკლებენ მოხმარების ვადებს, იმისთვის რომ მომხმარებელმა უფრო ხშირად იყიდოს ისინი.

ასეთი მოვლენები ფარმაცევტიკაში უკეთ ჩანს, მაგრამ ისინი მხოლოდ ამ დარგში არ ვლინდება.

რაც შეეხება *საქართველოს*, აქ რამდენიმე სააფთიაქო კომპანიამ მოახერხა მონოპოლიური ნიშის დაკავება, უსაშველოდ გაზარდა იმპორტული ან საკუთარი წარმოების წამლის ფასები; მათვე შექმნეს საკუთარი სადაზღვევო კომპანიები და საავადმყოფოების ქსელები...

ერთი სიტყვით, ჩვენც შევაღწიეთ მონოპოლისტურ კაპიტალიზმში!

* * *

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ფენომენია *საერთაშორისო ტურიზმის უდიდესი ზრდა*. წინა საუკუნის ბოლოს ტურისტების მომსახურებაში პირდაპირ ან ირიბად ჩართული იყო მსოფლიოში დასაქმებულებიდან ყოველი მეთორმეტე ადამიანი. ტურიზმის წილად მოდიოდა მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტი, სამომხმარებლო ხარჯების 11 პროცენტი.

ქვეყნების მთელი რიგისათვის, განსაკუთრებით *ევროპის, ჩრდილო ამერიკის*, ხოლო საუკუნის ბოლოსათვის – *აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის* სახელმწიფოებისათვის, ტურიზმი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახდა. ასე მაგალითად, მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალ ქვეყანაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1965 წელს 13 ათასი ტურისტული მიზნით შემოსული ვიზიტორი აღირიცხა, 2011 წელს კი – 58 მილიონი; თუ ამათ მივათვლით *ჰონკონგში*[82] ჩასულ 22 მილიონ უცხოელ სტუმარსაც, „კონტინენტურ ჩინეთში" 80 მილიონი ჩასულა (მეტი ვიდრე საფრანგეთში – იქამდე ტურისტების რაოდენობით მსოფლიოში პირველ ქვეყანაში), ხოლო შემოსავალი მათგან 77 მილიარდი აშშ დოლარი იყო. იმავე 1965-2011 წლებში ჩინეთიდან ტურისტული მიზნით გასულთა რაოდენობა კი პრაქტიკული ნულიდან 55 მილიონამდე გაიზარდა, რომელთაც საზღვარგარეთ 73 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯეს.

XXI საუკუნის დასაწყისში მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად თავისი ქვეყნის გარეთ მოგზაურობდა ერთ მილიარდზე მეტი ადამიანი. ისინი საზღვარგარეთ ტრილიონამდე დოლარს ტოვებდნენ და კიდევ თითქმის ერთი ამდენივე ტრანსპორტზე (ძირითადად – საჰაეროზე) ეხარჯებოდათ.

1950-იანი წლების ბოლოდან საბჭოთა მოქალაქეებისთვისაც გახდა შესაძლებელი საზღვარგარეთ ტურისტულ მოგზაურობაში წასვლა. მაგრამ შესაძლებლობა ძალიან შეზღუდული იყო: საჭირო იყო ტურისტულ ჯგუფში „მოხვედრა" (ჩვეულებრივ, პროტექციით), დახასიათების მიღება სამსახურის ადგილიდან და პარტიულ ორგანოებში. პიროვნებას ამოწმებდა *კაგებე* – ხომ არ არის საფრთხე, რომ ის საზღვარგარეთ დარჩეს? კარგად შემოწმებულთაგან ზოგი მაინც რჩებოდა!

უცხოეთში ნამყოფ ტურისტებს ჩამოჰქონდათ მცირეოდენი უცხოური საქონელი (უკეთესი, ვიდრე ადგილობრივი!) და ინფორმაცია *იქ* არსებული „კარგი ცხოვრების" შესახებ. ბუნებრივია, ისინი ზედაპირზე არსებულ კეთილდღეობას ხედავდნენ, სავსე მაღაზიებს, გართობის უხვ საშუალებას. რამდენს მუშაობს იქაური ადამიანი, რამდენ გადასახადს იხდის – ეს მათთვის უცნობი რჩებოდა. მაგრამ, საერთო ჯამში, საზღვარგარეთ მოგზაურობა ანგრევდა მითს სამშობლოში „სოციალისტური სამოთხის" არსებობის შესახებ.

საბჭოთა კავშირში ჩამოსულ უცხოელ ტურისტებს პოტენციურ ჯაშუშებად მიიჩნევდნენ. მათ უთვალთვალებდნენ. საბჭოთა ადამიანებს მათთან კონტაქტისა ეშინოდათ.

კარგია, რომ ეს ყველაფერი კომუნიზმთან ერთად წარსულს ჩაბარდა!

საერთაშორისო ტურიზმის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს „უხილავ

[82] *ჰონკონგი* (ჩინურად – *სიანგანი*) ყოფილი ბრიტანული კოლონიაა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 1997 წელს დაუბრუნდა, თუმცა მას შეუნარჩუნდა ადმინისტრაციული და ეკონომიკური ავტონომია.

ვაჭრობას" უწოდებენ. მართლაც, ტურისტულ მომსახურებას, ვაჭრობისაგან განსხვავებით არა აქვს ნივთიერი ფორმა: მომსახურება იქვე მოიხმარება, სადაც იწარმოება, ტურისტს კი შინ მიაქვს მხოლოდ არამატერიალური შთაბეჭდილება ან მცირე მატერიალური სუვენირი.

საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკური ზრდისა და გლობალიზაციის ფაქტორად იქცა. ის ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების ჰუმანიზაციას, რადგან ტურიზმის ეკონომიკაში მთავარია ადამიანი, მისი ნება და არჩევანი, პირადი მოტივაცია და შეზღუდვები.

რეგიონებში, რომლებიც უცხოელი ტურისტების მომსახურებაზე დასპეციალდნენ, იცვლება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ფსიქოლოგია. პატრიარქალური ჩვევები წარსულს ბარდება.

ტრადიციულ ფასეულობებზე გაზრდილ ადამიანებში ასეთი ცვლილებები უარყოფით გრძნობებს იწვევს.

ეს გასაგებია. რა ვქნათ?

ცვლილებები, ხანდახან ძალიან უსიამოვნოც კი, *ეკონომიკური პროგრესის* გარდაუვალი თანამდევია. ავტომობილი ურემზე მეტად აბინძურებს ჰაერს, მაგრამ ურმის ჭრიალით გახალისებულ *სასოფლო იდილიასთან* დაბრუნება ხალხის მასების მოთხოვნილება ჯერ არ გამხდარა. მართალია, არსებობს ე.წ. „აგროტურიზმი", მაგრამ ის მასობრივი მოვლენა ვერ გახდება.

* * *

ახლა ძნელად თუ წარმოგვიდგენია თანამედროვე ადამიანი *კომპიუტერული ცოდნის* მინიმუმის გარეშე. კომპიუტერის მასობრივი ცოდნა წინა საუკუნის ბოლო დეკადებში იწყებს გაჩენას. მამაჩემს, რომელიც 1974 წლის დასაწყისში გარდაიცვალა, კომპიუტერი თვალით არ უნახავს.

1973 წელს პირველად დავამუშავე კომპიუტერზე ჩემი სამეცნიერო სტატიისათვის საჭირო დიდი სტატისტიკური მასივი. ლონდონის უნივერსიტეტის *კინგს კოლეჯის* (იქ სამეცნიერო სტაჟირებას გავდიოდი) გეოგრაფიის დეპარტამენტის გამგის, პროფესორ *ბილ მორგანის* რეკომენდაციის გარეშე კოლეჯის კომპიუტერული ცენტრი ამ მასივის დამუშავებას რამდენიმე თვეს მოანდომებდა. მე მხოლოდ ორი კვირა ვიყავი რიგში ჩაწერილი, სანამ ოპერატორი მასალის პერფობარათებზე გადატანას დაიწყებდა. დღევანდელთან შედარებით იმ პერიოდის კომპიუტერზე მუშაობა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა, მაგრამ მაშინ ეს დრო მასალის ხელით დამუშავებასთან შედარებით საოცრად მოკლედ გვეჩვენებოდა.

1975 წელს უკვე თბილისში ვამუშავებდი სხვა სტატისტიკურ მასივს. უზარმაზარ დარბაზში განთავსებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიამაყე, საბჭოთა წარმოების *ელექტრო-გამომთვლელი მანქანა „ბესმ-ე"*, იმაზე

უფრო სწრაფად მომუშავე, ლონდონის *კინგს კოლეჯში* რომ იდგა – ასეთი მთელ კავშირში სულ რამდენიმე იყო. რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული ალუმინის ყუთებისაგან აღმართულ კედლებზე ციმციმებდნენ ნათურები, რომლებიც, ბუნებრივია, ხურდებოდნენ. ამიტომაც, დარბაზში გაგრილების ისეთი სისტემა ჰქონდათ, რომ გაგანია ივლისში იქ პალტოთი და ქუდით უნდა მჯდარიყავი. ასეთივე პირობები იყო იმდროინდელ სხვა გამოთვლით ცენტრებშიც.

ახალგაზრდა დოცენტი *კოტე ცისკარიძე* ინგლისელებზე უკეთესი პროგრამისტი აღმოჩნდა: *„ჩამოაყალიბეთ სიტყვიერად თქვენი ამოცანები, მე კი მანქანას მისივე ენაზე აქვე მივცემ ბრძანებას!“* კოტემ შესანიშნავი პროგრამა შექმნა და გაყინულ დარბაზში დიდხანს ჯდომა არ დამჭირვებია. ვფიქრობ, კოტეს თავისი ნიჭითა და ცოდნით ამერიკაში რომ ეცხოვრა, ახლა ამერიკის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიან *ბილ გეიტს* ზე უფრო ღარიბი, მაგრამ მილიონერი მაინც იქნებოდა. მაშინ კი ის ბედნიერი იყო, რომ პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მომატების გამო დოცენტის თვიური ხელფასი 250 მანეთამდე გაუზარდეს.

კომპიუტერული ტექნიკის განვითარება უსწრაფესად დაიწყო. რამდენიმე წლის შემდეგ *„ბესმ-5“* ჩამოწერეს, როგორც მორალურად მოძველებული. მასზე ათიათასჯერ უფრო სწრაფ პორტატიულ კომპიუტერს, რომელშიც ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემს მაგიდაზე 37 x 25 სანტიმეტრის ფართობი უჭირავს. ცივი დარბაზიც არ მჭირდება!

ნამდვილი *კომპიუტერული ეპოქის* დადგომის მაცნე აღმოჩნდა პირველი პერსონალური კომპიუტერის პროტოტიპი *–ეგმ „Altair 8800“*, რომელიც 1975 წელს შექმნა 33 წლის ამერიკელმა ინჟინერმა *ჰენრი ედვარდ (ედ) რობერტსმა*. ეგმ-ს ეკრანი არ ჰქონდა. სწორედ ამ ეგმ-სათვის *Basic*-ის კომპიუტერულ ენაზე დაწერა პროგრამა ორმა სტუდენტმა, *ბილ გეიტსმა* და *პოლ ალენმა:* მათ ფერადი ჟურნალის გარეკანზე ნახეს ეგმ-ის სურათი, დაურეკეს ედ რობერტსს და შესთავაზეს, საქმეში გამოგვცადეო! პროგრამამ იმუშავა. მალე *ბიჭებმა დააარსეს კომპანია „მაიკროსოფტი“*, რომელიც სულ უფრო რთულ და დახვეწილ პროგრამულ უზრუნველყოფას ამუშავებდა: წინამდებარე წიგნიც კი მისი ერთ-ერთი უახლესი პროგრამის გამოყენებით ინერება.

რობერტსმა თავისი კომპანია 1977 წელს გაყიდა. პერსონალური კომპიუტერების მასობრივი წარმოება სხვა ამერიკულმა კომპანიებმა დაიწყეს. *„მაიკროსოფტი“* კი ბაზარზე დარჩა და ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კორპორაციაა. მისი დამაარსებლები მილიარდერებად იქცნენ.

საბჭოთა კავშირში პერსონალური კომპიუტერების მასობრივი წარმოება ვერ დანერგეს. ეს მისი მკვეთრი ტექნოლოგიური ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

* * *

გლობალიზაციის დაჩქარების ფაქტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება გახდა. *ფიჭოვანი* (მობილური) *ტელეფონები, თანამგზავრული ტელევიზია* XX საუკუნის ბოლოდან მთელ მსოფლიოს მოედო. 1980-იან წლებში გამოგონებულმა *ინტერნეტმა გადატრიალება მოახდინა კავშირურთიერთობებში და ინფორმაციის გავრცელებაში*. ინტერნეტის ბაზაზე შექმნილმა სოციალურმა ქსელებმა –*ფეისბუქმა, ტვიტერმა* და მსგავსებმა – 2011 წელს ისლამურ ქვეყნებში „არაბული გაზაფხულის" სახელით ცნობილ სოციალურ რევოლუციასაც კი შეუწყვეს ხელი.

თუმცა „პროტო-ინტერნეტის" ელემენტები მრავალი მეცნიერისა და ტექნიკოსის მიერ უკვე 1960-იანი წლებიდან მუშავდებოდა, „მსოფლიო ქსელის" (www) გამომგონებელი ცნობილია: ეს იყო ინგლისელი *თიმ ბერნერს-ლი* (Sir Tim Berners-Lee), რომელმაც ის 1989 წელს შექმნა. 1991 წლიდან ქსელი საჯარო გახდა. ალბათ სიმბოლურია, რომ ინტერნეტის მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლა *ცივი ომის* დამთავრებას დაემთხვა.

ინტერნეტის გამოყენების გარეშე ნებისმიერი პროგრესი ახლა შეუძლებელია. ის საზოგადოების გახსნილობის გარკვეული ინდიკატორიცაა.

1998 წელს *საქართველოში* ინტერნეტს 5 ათასი მომხმარებელი ჰყავდა, 2000 წელს – 23 ათასი, ხოლო 2011 წელს – 1,7 მილიონი, ანუ *მოსახლეობის 36,6 პროცენტს ხელი მიუწვდებოდა მასზე*. იმავე 2011 წელს თურქმენეთსა და ბანგლადეშში ინტერნეტით მოსახლეობის 5-5 პროცენტი სარგებლობდა, სომალიში – 2 პროცენტი, ხოლო ჩრდილო კორეაში სულ 605 (!) ადამიანი (0,0 პროცენტი).

ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი 1990-იან წლებში ყოველწლიურად ორმაგდებოდა. 2012 წელს მას მსოფლიოში ოთხ მილიარდამდე ადამიანი იყენებდა.

ინტერნეტზე, სოციალური ქსელების ჩამოყალიბებაზე, მულტიმედიაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მათ ერთგვარად უარყოფით გავლენას მოზარდი თაობის მიერ სრულყოფილი საშუალო განათლების მიღებაზე: სისტემურ განათლებას, მიუხედავად კომპიუტერიზაციისა, ადამიანი მაინც წიგნიდან თუ მიიღებს.

კომპიუტერულ საუკუნეში დიდ თავსატეხად იქცა *საიდუმლოების შენახვა*. არადა, ამის გარეშე სახელმწიფოს ფუნქციონირება შეუძლებელია.

2010 წელს ინტერნეტ-პორტალმა Wikileaks-მა გამოამზეურა ხელში ჩაგდებული აშშ-ის საგარეო უწყების კონფიდენციალური ინფორმაციის დიდი რაოდენობა, რომელშიც დიპლომატები მხოლოდ თავიანთი კოლეგებისა და უფროსებისათვის განკუთვნილი გულახდილობით ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებსა და მათ პოლიტიკაზე. ამ ინფორმაციის გამოაშ-

კარავებას საერთაშორისო დონეზე სულ ცოტა უკმაყოფილება, ზოგიერთ შემთხვევაში – სკანდალიც კი მოჰყვა.

მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ *ინტერნეტის თავისუფლებას ემუქრება ავტორიტარული სახელმწიფო*. XXI საუკუნეში *საუდის არაბეთში* მომხმარებლებს არ შეუძლიათ შევიდნენ იმ საიტებზე, რომლებიც ისლამური მორალისათვის მიუღებელია; *ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში* სახელმწიფო კონტროლს უწევს მთელ ინტერნეტს; *რუსეთის ფედერაციაში* ყველა ვებგვერდის, რომელთაც მოქალაქენი კითხულობენ, 70 პროცენტი ეკუთვნის ერთ კომპანიას – mail.ru-ს, მისი დამაარსებელი კი რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია: არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ დააკვირდნენ, თუ რას კითხულობენ ინტერნეტში შესული mail.ru-ს მოსარგებლენი.

გაიზარდა იმის საფრთხე, რომ ე.წ. „*კიბერსივრცე*" საბრძოლო მოქმედების ველად შეიძლება გადაიქცეს. *პენტაგონის* (ამერიკის თავდაცვის სამინისტროს) ყველანაირად დაცული კომპიუტერული ბაზებისა და ქსელების გატეხას მსოფლიოში მოქმედი ასზე მეტი სპეცსამსახური ცდილობს და ზოგჯერ ნაწილობრივ წარმატებასაც აღნევს.

თუ ადრე ქაღალდზე გადატანილ საიდუმლო ინფორმაციას [შედარებით] საიმედოდ ინახავდნენ, ახლა კომპიუტერებში ინახება მონაცემთა უზარმაზარი ბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია თანამშრომელთა ძალიან დიდი რაოდენობისათვის. ამ ბაზებში შეღწევა [შედარებით] ადვილი გახდა. ციფრობრივ (დიგიტალურ) ფორმატში გადაყვანილი ინფორმაციის მასობრივი დაკარგვის რისკი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ქაღალდზე ასახული მასალისა.

ევროპა გაერთიანებას იწყებს, მაგრამ ვერ ამთავრებს

1957 წელს მოხდა მოვლენა, რომელიც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, უნიკალურია კაცობრიობის ისტორიაში. იმ წლის 25 მარტს რომში გაფორმდა დოკუმენტი, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა „*ხელშეკრულება ევროპული ეკონომიკური გაერთიანების/თანამეგობრობის (ეეგ) შექმნის შესახებ*". ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთ გერმანიის), საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდის და ლუქსემბურგის პირველი პირები.

ეეგ-ი ცარიელ ადგილზე არ იქმნებოდა: უკვე 1951 წლიდან არსებობდა *ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება*", რომელშიც იგივე ექვსი ქვეყანა შედიოდა. ექვსი წლის შემდეგ კი თანამშრომლობის დონე ხარისხობრივად ამაღლდა.

მოვლენის უნიკალურობა ის იყო, რომ ქვეყნები, რომლებიც სულ 12-17 წლის წინ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთიმეორეს, რევანშზე ფიქრის ნაცვლად ნებაყოფლობით თმობდნენ თავიანთი ეკონომიკური და, გარკვეულად, პოლიტიკური სუვერენიტეტის ნაწილს და ერთიანდებოდნენ საკუთარი ხალხების საკეთილდღეოდ. *ომი მათ შორის შეუძლებელი ხდებოდა.*

ახალშექმნილ გაერთიანებას ხშირად *„საერთო ბაზრის"* სახელით მოიხსენიებდნენ. მოგვიანებით მისი ოფიციალური სახელი გახდა *„ევროპული კავშირი"*. მისი ძირითადი მიზნები იყო ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა, სასაზღვრო და საბაჟო ბარიერების მოხსნა, ევროპის ხალხების დაახლოება.

განვლილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ გაერთიანებას ევროპის კიდევ 22 ქვეყანა საკუთარი სურვილით შეუერთდა, ზოგიერთი – მის კარზე დიდი ხნის კაკუნის შემდეგ.


1957 წელს დიდმა ბრიტანეთმა არ ისურვა ხელის შებოჭვა „კონტინენტთან" დამატებითი კავშირებით. ეს კუნძულოვანი სამეფო კვლავაც კონტინენტურ ევროპასთან შედარებით პრივილეგირებულ ქვეყნად მიიჩნევდა თავს. მაგრამ როდესაც დიდი ბრიტანეთი დარწმუნდა *ეეგ*-ის სიცოცხლისუნარიანობასა და სარგებლიანობაში, 16 წლის შემდეგ შეუერთდა თანამეგობრობას.

„კონტინენტთან" ბრიტანეთის „ფიზიკური გაერთიანების" სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ 1994 წელს გახსნილი „Chunnel"-ი, 50-კილომეტრიანი წყალქვეშა გვირაბი ლა-მანშის სრუტის ქვეშ. იქამდე ინგლისელები „კონტინენტისაგან" მკვეთრად განსხვავებულ „სხვად" აღიქვამდნენ თავს. ზღვამ დაიცვა მათი კუნძული ესპანეთის მეფე *ფელიპე II-საგან*, საფრანგეთის იმპერატორ *ნაპოლეონისა* და ნაცისტური გერმანიის ფიურერ *ადოლფ ჰიტლერისაგან*. ამიერიდან კი ევროპის კონტინენტიდან მტრის შემოჭრის შიში და ევროპის „უცხო სამყაროდ" აღქმა დიდ ბრიტანეთში თანდათან გაქრობას იწყებდა, თუმცა დღემდე ის ბოლომდე არ განელებულა და ევროპაში ყველაზე მეტი „ევროსკეპტიკოსი" ისევ ამ კუნძულზე ცხოვრობს.

ევროპულ კავშირში ახლა შედის დასავლეთ და ცენტრალური ევროპის 28 სახელმწიფო (ნახ. 32.1). დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს (ყოფილ იუგოსლავიასა და ალბანეთს) ევროკავშირი თანდათან შეიკედლებს. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებიდან ევროკავშირში უკვე შესულია მათ შორის ყველაზე განვითარებული *სლოვენია და ხორვატია*. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან – ასევე ყველაზე განვითარებული (ყოფილი საბჭოთა კავშირის ფონზე) *ესტონეთი, ლატვია და ლიტვა*.

რამდენიმე ქვეყანას – *თურქეთს, საქართველოს, უკრაინას (ალბათ, მოლდოვასაც, რომელშიც რუმინეთთან შეერთების მსურველი საკმაო რაოდენობით ცხოვრობს)* – გაერთიანებაში შესვლის სურვილის მიუხედავად, დიდხანს ლოდინი მოუწევს.

ევროპულ კავშირში შეგნებულად არ შევიდნენ *ნორვეგია* და *შვეიცარია*: რეფერენდუმების შემდეგ ამ მდიდარი ქვეყნების ხალხებმა არ ისურვეს ხელის შებოჭვა ბრიუსელში შემუშავებული შეზღუდვებით და საკუთარ ხარჯზე ღარიბი და მფლანგველი ქვეყნების შენახვა[63].



ნახ.32.1. ევროპული კავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები (2013)

2012 წლის ბოლოს საერთო-ევროპული ვალუტა *ევრო* ბრუნავდა ევროპის კავშირის 28-იდან 17 სახელმწიფოში. დანარჩენებისაგან ელიან ეკონომიკური განვითარების ისეთი დონის მიღწევას, რომ იქაც ევროს დამკვიდრება გახდეს შესაძლებელი. *ევროს ზონაში* შესვლას არ გეგმავს მხოლოდ დიდი ბრიტანეთი, რომლის *გირვანქა* (UK Pound) კვლავაც მსოფლიო ვალუტად რჩება. ამის გამარტლებად ლონდონს ისიც აქვს, რომ ევროზონაში შემავალი ქვეყნების ნაწილი თავისი უყაირათობით მთელ გაერთიანებას უქმნის სერიოზულ პრობლემებს.

[63] XXI საუკუნის დასაწყისში საბერძნეთის მოსახლეობამ აჩვენა, რომ გაუთავებელი გაფიცებია და იმაზე მეტის მოთხოვნით, რაც მოქალაქეებმა ბიუჯეტის ხარჯზე შეიძლება მიიღონ, ერთ ცირე ქვეყანას სავსებით შეუძლია შეარყიოს მთელი *ევროკავშირის* ეკონომიკა. ნორვეგია და ვეიცარია კი ასეთ პრობლემას ასცდნენ.

რა მოხდა? რატომ მოუნდათ ევროპის ქვეყნებს გაერთიანება „ძველ მტრებთან“ და საკუთარ ვალუტაზე უარის თქმაც კი?

რატომ დათანხმდნენ ევროპის ქვეყნების მთავრობები, საუკუნეების განმავლობაში ცნობილი და, ზოგიერთ შემთხვევაში, საიმედო ვალუტების, როგორიც იყო [გერმანული] *დოიჩემარკი*, [ფრანგული] *ფრანკი* და [ჰოლანდიური] *გულდენი*, აგრეთვე ბელგიური *ფრანკი*, ესპანური *პესეტა*, იტალიური *ლირა*, ბერძნული *დრაჰმა*, პორტუგალიური *ესკუდო*, შვედური *კრონა* და *სხვა ფულის ნიშნები*, მხოლოდ ნუმიზმატების კოლექციებში დარჩენას და 1999 წლის 4 იანვრიდან ევროს შემოღებას?

საქმე ისაა, რომ ევროპაში გაიმარჯვა საღმა აზრმა.

სისულელედ მიმაჩნია ყოველგვარი ტრანსცენდენტური და ირაციონალური ფაქტორებით პოლიტიკის ახსნა. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მართლაც შეიძლება ვილაპარაკოთ რაღაც *კოლექტიურ ეთოლოგიაზე*, გადარჩენის რაღაც *ინსტინქტ ზე*, რომელიც ევროპას გაუჩნდა დემოგრაფიულად, ეკონომიკურად, სამხედრო-სტრატეგიულად ძალიან სწრაფად განვითარებადი დანარჩენი მსოფლიოს ფონზე.

გაერთიანების მთავარი ინიციატორები იყვნენ იმ დროს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი (იქამდე ორგზის პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი) *რობერ შუმანი* და დასავლეთ გერმანიის კანცლერი *კონრად ადენაუერი*. *მაგრამ* გაერთიანების იდეის მთავარი გენერატორი იყო ფრანგი დიპლომატი *ჟან მონე* (1888-1979), რომელსაც მაღალი ოფიციალური თანამდებობა არ ეჭირა. ეს პოლიტიკური ფიგურები თითქოს ტრივიალურ და პოპულისტურ აზრებს უზიარებდნენ ევროპელებს – „*საზღვრები უნდა გაიხსნას და საქონელმა, კაპიტალმა, მუშაძალამ დაუბრკოლებლად უნდა იმოძრაოს*“, „*ომი დაუშვებელია*“, „*ხალხებმა ურთიერთუნდობლობაზე უარი უნდა თქვან*“. ეს ყველაფერი მანამდეც მრავალჯერ ითქვა, მაგრამ არასოდეს შესრულებულა.

ამჯერად კი ეს მარტივი და სწორი ფორმულები საყოველთაოდ მისაღები და განხორციელებადი აღმოჩნდა იმის გამო, რომ საუკუნის პირველი ნახევრის ორმა დამანგრეველმა და სისხლიანმა ომმა ჭკუა ასწავლა ევროპელებს და ისინი ნაციონალ-რადიკალებს ყურს აღარ უგდებდნენ. *წინა პლანზე გამოვიდა რაციონალურად მოაზროვნე და არა ინსტინქტურად მოქმედი ან იდეოლოგიურად აღტკინებული ლიდერების პოლიტიკური ნება.*

გაერთიანების შემდეგ „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარება მართლაც მკვეთრად დაჩქარდა.

ასე მაგალითად, *იტალია*, 1957 წელს გაერთიანებულ ექვსეულში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა, საიდანაც მილიონობით უწიგნურ და ღატაკ ადამიანს უმუშევრობა ერეკებოდა უფრო ჩრდილოეთით განლაგებულ ინდუსტრიულ

სახელმწიფოებში (გერმანია, ჰოლანდია, ბელგია), უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ეკონომიკურ ბუმს განიცდიდა. *1957 წელს რომის ცენტრალურ ქუჩებზე ადამიანი შეიძლებოდა გადაყროდა მეცხვარესა და მის ფარას*, ათიოდე წლის შემდეგ კი ქუჩები მანქანებით გადაიტვირთა. ცხვარს კი მხოლოდ დაკლულს თუ ნახავდით მაღაზიებსა და რესტორნებში. იმავე 1957 წელს იტალიურმა ავტოკონცერნმა FIAT-მა გამოუშვა თავისი პირველი მინიავტომობილი *„500“* (Cinquecento), რომელიც მალე ბევრისათვის ხელმისაწვდომი გახდა: ამ მოდელს 1975 წლამდე უშვებდნენ, ხოლო III ათასწლეულის დამდეგს ის მოდიფიცირებული სახით აღადგინეს.

ძალიან მნიშვნელოვანი, შესაძლოა გადამწყვეტიც კი, გაერთიანების შექმნაში იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) პოზიცია, რომელსაც დიდი ლიდერი *კონრად ადენაუერი* წარმოადგენდა. ომში მძიმედ დამარცხებული და პრაქტიკულად მკვდრეთით აღმდგარი [დასავლეთ] გერმანია უარს ამბობდა ვინმესათვის სამაგიეროს გადახდაზე, ურიგდებოდა გერმანიის შემცირებულ ტერიტორიას, თუმცა პოლიტიკურ მიზნად იტოვებდა ყოფილ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შექმნილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან (გდრ) მშვიდობიან გაერთიანებას. შრომისმოყვარე და მოწესრიგებული გერმანელები სწრაფად წმენდდნენ ნანგრევებისაგან საკუთარ მიწას, აღადგენდნენ დანგრეულ ქარხნებს. საკმაოდ მალე გფრ მსოფლიოს მეორე ინდუსტრიული ქვეყანა გახდა (აშშ-ის შემდეგ) და ყოფილ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში, გდრ-ში, დარჩენილი თანამემამულეებისათვის სანუკვარ ოცნებად იქცა.

სოციალისტური გდრ-ის ბევრი მოქალაქე „ფეხებით აძლევდა ხმას“ კაპიტალიზმს, როდესაც გფრ-ში გადადიოდა. 1949-1961 წლებში მაშინ ჯერ კიდევ *განუყოფელი ბერლინის* მეშვეობით აღმოსავლეთიდან დასავლეთ გერმანიაში ორნახევარი მილიონი გერმანელი გადავიდა. სწორედ ამ „უმსგავსობის“ აღმოსაფხვრელად 1961 წელს კრემლის დავალებით გდრ-ის ხელმძღვანელობამ ბეტონის კედელი აღმართა შუა ქალაქში და *ფიზიკურად გაყო ბერლინი*.

მაშინ, როცა დასავლეთ ევროპა საზღვრებს ხსნიდა, გერმანიის გულში კომუნისტები გამმიჯნავ კედელს აშენებდნენ! ცენტრალურ ევროპაში კიდევ თითქმის 30 წელიწადს იყო ჩამოშვებული *„რკინის ფარდა“*.

ჩანართი 32.2
ევროპული კავშირის ენების შესახებ

ამჟამად ევროკავშირის ოფიციალური ენებია ყველა მასში შემავალი წევრის სახელმწიფო ენა ან ენები, რაც ჯამში 27-ს შეადგენს. ოფიციალური დოკუმენტები ყველა ამ ენაზე ითარგმნება. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ასეული მთარგმნელი იქნება საჭირო ბრიუსელში!

1957 წელს კი, როდესაც რომში დებდნენ ხელშეკრულებას *ევროპული ეკონომიკური გაერთიანების* შექმნის შესახებ, ისმოდა საუბარი მხოლოდ ოთხ ენაზე –

ესენი იყო ფრანგული, იტალიური, გერმანული, პოლანდიური. ერთმანეთთან ურთიერთობაში ლიდერები ძირითადად ფრანგულს იყენებდნენ. ინგლისურს თითქმის არ იყენებდნენ.

XXI საუკუნის დასაწყისში კი *ევროპულ კავშირად* გადაქცეული „საერთო ბაზარი" 500 მილიონ ადამიანს აერთიანებს, რომლებიც *ფრანკოფონების* (ფრანგულენოვანთა) უმკაყოფილების მიუხედავად, *lingua franca*-დ (ერთაშორისი ურთიერთობის ენად) *ინგლისურს იყენებენ.*

ევროპაში ინგლისურს მშობლიურ ენად სულ 65 მილიონამდე ადამიანი მიიჩნევს (დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში), უფრო მეტი ფრანგულენოვანია (საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში), გერმანული ენა მშობლიურია თითქმის 100 მილიონისათვის (გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიასა და ლუქსემბურგში).

ის, რომ *lingua franca* ინგლისურია, რასაკვირველია, გლობალიზაციის გამოხატულებაა და იმის შედეგია, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა ძირითადად ინგლისურენოვანი *ამერიკის შეერთებული შტატების* პოლიტიკური და ეკონომიკური გაელენა: კონსტიტუციურად აშშ-ს არ გააჩნია სახელმწიფო ენა, მაგრამ ინგლისური ფაქტობრივად ასრულებს ამ ფუნქციას. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიურ იმპერიაში – ეს კი მთელ მსოფლიოს 50-ზე მეტი სახელმწიფოა, ჯამში ორ მილიარდამდე მცხოვრებით – დღემდე გავრცელებული მეორე ენა, ზოგჯერ კი სულაც პირველი, *ინგლისურია.*

სხვათა შორის, უცხო ენების არცოდნა ერთი კურიოზის მიზეზიც გახდა. როდესაც 1957 წელს მრავალგვერდიან შეთანხმებაზე საზეიმო ხელმოწერა ხდებოდა, სქელ ტომში მხოლოდ თაეფურცელი იყო დაბეჭდილი, დანარჩენი ფურცლები ცარიელი იყო. თურმე ხელმოწერის წინა ღამეს იტალიელმა დამლაგებელმა ქალებმა, რომელთაც მხოლოდ საკუთარი ენა იცოდნენ, მოხვეტეს *გაუგებარ უცხო ენებ* ზე დაბეჭდილი ათასობით ფურცელი, რომელიც მაკულატურად მიიჩნიეს და სანაგვეზე გაგზავნეს. ახალი თარგმანის შესრულება და ხელის საბეჭდ მანქანაზე მისი გამრავლება დღეებს მოითხოვდა. ამიტომაც დათანხმდნენ სახელმწიფოთა მეთაურები პატარა მისტიფიკაციაზე – ცარიელ ფურცლებს მოანერეს ხელი.

* * *

2013 წლის შუაგულში *ევროპული კავშირი მოცავს 28 სახელმწიფოს* (ნახ. 32.1): უკანასკნელ წევრად *ხორვატია* მიიღეს. ნატოს წევრი ევროპული ქვეყნებიდან მასში არ შედიან მხოლოდ *ნორვეგია, ისლანდია* და *ალბანეთი:* ორი უკანასკნელი წევრობის კანდიდატია. ნორვეგია ევროკავშირში შესვლას არც გეგმავს.

ევროპული კავშირის შტაბ-ბინა *ბრიუსელშია* (ბელგია) განლაგებული. „ბრიუსელი" ევროკავშირის ევფემიზმად იქცა, ისე როგორც „ვაშინგტონი" აშშ-ის ევფემიზმია, „მოსკოვი" – რუსეთისა. ევროკავშირის ზოგიერთი მმართველი ორგანო აგრეთვე განლაგებულია *ლუქსემბურგში, სტრასბურგში* (საფრანგეთი), ხოლო ევროპის ცენტრალური ბანკი *ფრანკფურტში* (გერმანია) მდებარეობს.

ოფიციალური დოკუმენტაციის მოცულობა საოცრად გაიზარდა და, შესაბამისად, გაიბერა ბიუროკრატიული აპარატი. „*ბრიუსელის ბიუროკრატია*"

ევროპული სატირის საუკეთესო საკბილო გახდა!

ის, რომ *ევროკავშირში ეკონომიკური ვითარება „ჭრელია“*, ანუ განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, თვალნათლივ ჩანს.

როდესაც ექვსი ქვეყანა 1957 წელს აარსებდა *ევროპულ ეკონომიკურ გაერთიანებას*, მას მხოლოდ ერთი სუსტად განვითარებული წევრი ჰყავდა – იტალია. თანაც იტალია ძალიან სწრაფად წავიდა წინ, ძირითადად ინდუსტრიულად განვითარებული საკუთარი ჩრდილოეთის (ლომბარდიის) პოტენციალზე დაყრდნობით.

1973 წელს მიღებული ახალი წევრები მაღალგანვითარებული *დიდი ბრიტანეთი* და *დანია* იყვნენ, ხოლო ჩამორჩენილი, პატარა *ირლანდიის რესპუბლიკის* დახმარება ძნელი არ აღმოჩნდა. ოციოდე წლის შემდეგ ირლანდიაც ფეხზე დადგა.

განსხვავებით საბჭოთა კავშირისა და მისი პოლიტიკური ბლოკისაგან, სადაც ახალი წევრების „მიღებას“ მოსკოვი მხოლოდ იძულების გზით ახდენდა, ევროპულ კავშირში შესვლა პრივილეგიად ითვლება და დიდი კაკუნის შემდეგ მის კარს მხოლოდ რჩეულებს უღებენ.

მაგრამ 1981 წლიდან ევროკავშირმა, როგორც მისი ახლანდელი ხელმძღვანელები აღიარებენ, გაფართოებისას შეცდომების სერია დაუშვა. მაგალითად, იმ წელს მიღებული *საბერძნეთი*, როგორც გვიან გაირკვა, ბევრად მეტს მოიხმარდა, ვიდრე აწარმოებდა და XXI საუკუნის პირველ დეკადებში უმძიმეს ფინანსურ კრიზისში გაეხვა. ახლა ის უფრო წარმატებული ქვეყნების, უპირველესად გერმანიის, დახმარების იმედზეა.

ევროკავშირის „ეკონომიკურ ლოკომოტივს“ – *გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას* 1990 წლიდან დიდი ძალისხმევა და სახსრები დასჭირდა ყოფილი *გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის* ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული აბსორბირებისათვის. ცენტრალური ევროპის, ბალტიის, აღმოსავლეთ ბალკანეთის ქვეყნების „გათავისება“ ევროკავშირს კიდევ უფრო გაუჭირდა. ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირის უღარიბესი ქვეყნებია და მათაც დახმარება ესაჭიროებათ.

თურქეთის რესპუბლიკის ევროკავშირში შესაძლო მიღებაზე (უფრო – არმიღებაზე!) საუბარი წიგნის ამავე თავის შესაბამის ქვეთავში მაქვს.

საქართველოს მიღება ევროკავშირში, როგორც ჩანს, საკმაოდ შორეული პერსპექტივაა: ევროკავშირს ჯერ დასავლეთ ბალკანეთის აბსორბირება არ დაუმთავრებია და შემდგომ გაფართოებაზე პირობის მიცემას სხვა ქვეყნებისათვის 2020 წლამდე არ აპირებს. მაგრამ მასთან თანამშრომლობას საქართველო უკვე ახორციელებს და გარკვეულ ეკონომიკურ შეღავათს, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის ფორმით, მალე მიიღებს. ბრიუსელი სავიზო რეჟიმის გამარტივებასაც გვპირდება და ეგებ ასოცირებულ წევრადაც მიგვიღოს!

* * *

არ შეიძლება გვერდის ავლა *ევროპული კავშირის განვითარების სირთულეებისთვისაც*.

თავიდან დასაცლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის გაერთიანება არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სახელმწიფოთა პოლიტიკურ კავშირსაც ითვალისწინებდა: გერმანია და საფრანგეთი, რომელთაც იქამდე განვლილი 80 წლის განმავლობაში სამჯერ იომეს (და ორჯერ მსოფლიოც აიყოლიეს!) ახლა ომზე უარს ამბობდნენ და თითქმის ყველაფერზე საერთო-მოკავშირულ აზრზე დგებოდნენ. გერმანიის გაერთიანებაზე საფრანგეთის თანხმობის გამოცხადების შემდეგ საერთო-ევროპული ვალუტის შემოღებას გერმანიაც დაეთანხმა.

მაგრამ ევროპული კავშირი მეტისმეტად სწრაფად გაფართოვდა; საბერძნეთი მეტს ხარჯავდა, ვიდრე შემოსავალი ჰქონდა; დიდი ბრიტანეთი განუწყვეტლივ უსვამდა ხაზს თავის განსაკუთრებულობას (სხვათა შორის, საფრანგეთის პრეზიდენტი *შარლ დე გოლი* ეწინააღმდეგებოდა მის მიღებას კავშირში); ეკონომიკური დისპროპორციების აღმოფხვრა წარმატებული ქვეყნების ხარჯზე დაუსრულებელი პროცესი აღმოჩნდა.

საერთაშორისო არენაზე ევროპული კავშირის 28 ქვეყანა ყოველთვის როდი ლაპარაკობს ერთი ხმით. საგარეო პოლიტიკაში ხშირად ჭირს კონსენსუსის მიღწევა; საგარეოპოლიტიკური ვექტორი, თუმცა, პრინციპულად ერთნაირია, მაგრამ მრავალი გადახრა ახასიათებს. ქვეყნების თავდაცვითი ხარჯების წილი მათსავე ბიუჯეტებში ძალიან უთანაბროა.

ამის შედეგად, *საგარეოპოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით* ევროპული კავშირი *მსოფლიო მასშტაბით თანდათან კარგავს პოზიციებს*. ერთიანი ევროპის სამხედრო ძალის (რომელიც გაერთიანებული არც არის) *ფაქტობრივი იგნორირება* უკვე ახლა შეუძლიათ ამერიკას, რუსეთს, ჩინეთს, ხოლო ახლო მომავალში ალბათ – ინდოეთს, ბრაზილიას, ირანს, თურქეთს (თუ ეს უკანასკნელი ევროკავშირმა თავის რიგებში არ მიიღო).

არსებობს შიდა წინააღმდეგობებიც.

დიდ ბრიტანეთში „ევროსკეპტიკოსების" საკმაოდ დიდი არმიაა, რომელიც პერიოდულად აყენებს ხოლმე ევროკავშირიდან გასვლის საკითხს, რადგან მიაჩნია, რომ „ბრიუსელის ბიუროკრატია აუტანელია" და ის არც „ბრიტანულ განსაკუთრებულობას" ითვალისწინებს. დიდი ბრიტანეთი არ აპირებს, მაგალითად, ერთიან ვალუტა *ევროზე* გადასვლას, ის არ უერთდება *„შენგენის ხელშეკრულებას"*, რომელიც ევროპული კავშირის ქვეყნების დიდი ნაწილის საერთო საავიზო პოლიტიკას განსაზღვრავს (ანუ ერთი ქვეყნის მიერ გაცემული ვიზით რამდენიმე ქვეყანაში შეიძლება მგზავრობა). დიდ ბრიტანეთში 2016 წლისათვის იგეგმება რეფერენდუმის გამართვა ევროკავშირში წევრობის შენარჩუნების (ან განსაკუთრებული წევრობის) შესახებ.

სამხრეთ ევროპის ქვეყნების – საბერძნეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, კვიპროსის, აგრეთვე ირლანდიის, ბალტიის ქვეყნების ეკონომიკებში 2010-იან წლებში სერიოზული პრობლემები გაჩნდა. მართალია, საბერძნეთისა და კვიპროსის გარდა, არც ერთი სხვა ქვეყნის ევროს ზონიდან გასვლის საკითხი არ წამოჭრილა და ამ შემთხვევებშიც, როგორც ჩანს, ასეთი რადიკალური ზომა საჭირო არ გახდება.

ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად ევროკავშირს სთავაზობენ *ცენტრალიზაციას*, ანუ ფაქტობრივ ფედერალიზაციას ერთი დიდი სახელმწიფოს შიგნით, ხელისუფლების საერთო ორგანოებით, საერთო არმიით, ვალუტითა და გადასახადებით. ბიუჯეტის გადახარჯვა დაუშვებელი გახდება. ასეთ შემთხვევაში, ამჟამინდელი სახელმწიფოები, რომლებიც ერთიანი ევროპის ოლქებად გადაიქცევიან, სუვერენიტეტს დაკარგავენ.

ცენტრალიზაციის იდეა გაჩნდა გერმანიაში, რომელმაც თავის დროზე ნებაყოფლობით თქვა უარი თავის სუპერმდგრად ვალუტა *დოიჩემარკ*ზე საერთო ევროპული ვალუტის შემოსაღებად, და რომლის გადასახადის გადამხდელებს ახლა უხდებათ სხვა ქვეყნების მიერ დაგროვილი ვალების გადახდა. იქ არიან ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ პრაგმატული (და არა სენტიმენტალური) პოზიციიდან, ცენტრალიზაცია ევროპული კავშირის გადარჩენის ერთადერთი გონივრული გზა იქნებოდა.

ამავე დროს, ცენტრალიზაციის და, მასთან ერთად, ბიუჯეტის კონტროლის პერსპექტივას მიუღებლად მიიჩნევს ზოგი ქვეყანა, მათ შორის, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი (ამ უკანასკნელმა ყველაზე დიდი ვალი დააგროვა). თუ ასეთი ხელშეკრულების პროექტი მომზადდება, რატიფიკაციის დროს მას ბევრ სხვა ქვეყანაშიც ელის უარი და ცენტრალიზაცია ვერ განხორციელდება.

ხანდახან არის მცდელობა *შეადარონ* ერთმანეთს XX საუკუნეში შექმნილი *ევროპული კავშირი* და XI-XIX საუკუნეებში არსებული *„გერმანელი ერის რომის სალვთო იმპერია“*, რომელშიც შედიოდა არა მარტო გერმანელებით, არამედ სხვა ეთნოსებით დასახლებული 300-ზე მეტი პოლიტიკური წარმონაქმნი. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში *„რომის სალვთო იმპერიას“* შინაგანი წინააღმდეგობები ღრღნიდა და ის უფრო ვირტუალური პოლიტიკური ორგანიზმი იყო, ვიდრე რეალური. 1806 წელს ის ოფიციალურად გაუქმდა.

შედარება არაკორექტული მეჩვენება: ევროკავშირი მოქმედი სტრუქტურაა, ის უბრალოდ საჭიროებს *დროს*, რომ უფრო ეფექტიანი გახდეს. მაგრამ თუ *დრო* ყაირათიანად არ გამოიყენეს, ისტორიული ანალოგია, შესაძლოა, არცთუ უადგილო აღმოჩნდეს.

* * *

გაჩნდა აზრი, რომ ევროპული კავშირის არსებობა ხელს შეუწყობდა *საერთოევროპული თვითშეგნების ჩამოყალიბებას* და რამდენიმე ათეული ერის ნაცვლად გაჩნდებოდა ერთი „ევროპელი ერი".

რეალურად ასე არ ხდება და ვერც მოხდება. ევროპის ეროვნული კულტურები მდგრადია და მათი ნიველირება ძნელია, თუ შეუძლებელი არა. მიუხედავად ევროპის ქვეყნების ცივილიზაციური ერთობისა, საერთო კულტურული ფესვებისა (ის ქრისტიანობაზეა აღმოცენებული) და ფასეულობათა სისტემების მსგავსებისა, ევროპაში *ერთი ერი ვერ შეიქმნება.*

პირიქით, ერთიან და მდიდარ ევროპაშიც არ დამთავრებულა *ეთნოტერიტორიული ნაციონალიზმით გამოწვეული სეპარატიზმი.* 28 *ევროპელი ერი* მხოლოდ *მოქალაქეობით* ისაზღვრება (*nationality* და *citisenship*, პრაქტიკულად სინონიმებად ითვლება). სინამდვილეში ევროპელი ეთნოსები ბევრად მეტია. ევროპის სწორედ ეკონომიკურად ყველაზე წარმატებულ რეგიონებშია გავრცელებული *სეცესიონიზმის* (გამოყოფის) იდეები.

ესპანეთის ფონზე ყველაზე განვითარებულ *კატალონიაში* და საკმაოდ განვითარებულ *ბასკეთში*, ბელგიაში – ფრანგულენოვან *ვალონიაზე* უფრო მდიდარ *ფლანდრიაში*, დიდ ბრიტანეთში – ჩრდილოეთის ზღვის ფსკერქვეშ ნავთობის დიდი საბადოების მქონე *შოტლანდიაში*, იტალიის ყველაზე ინდუსტრიალიზებულ *ლომბარდიაში* (სადაც ადრე არსებული მილანის საჰერცოგოს ტერიტორიაზე ჯერაც ლაპარაკობენ დასავლეთ-ლომბარდულ ენაზე, რომელიც დანარჩენ იტალიელებს არ ესმით) არსებობენ ნაციონალისტური პარტიები, საკმაო რაოდენობის მხარდამჭერებით, რომლებიც ახალი სახელმწიფოების შექმნას ესწრაფვიან.

ევროკავშირის წევრ რუმინეთს აწუხებს, რომ მისი *სეკუის* მხარე (ისტორიული *ტრანსილვანიის* უნგრელებით დასახლებული ნაწილი) ავტონომიას ითხოვს, რაც, *ბუქარესტის* აზრით, გამოყოფის პირველ ეტაპად შეიძლება იქცეს. გერმანიის მიწებსაც ახასიათებს გარკვეული სეპარატიზმი: არის ირიბი ცნობები, თითქოს *ბადენ-ვიურტემბერგის* მოსახლეობის ნაწილს შვეიცარიასთან სურს შეერთება, ხოლო *ბავარიის* მოსახლეობის ნაწილს – ცალკე სახელმწიფოს შექმნა.

2013 წლის იანვარში ბარსელონაში კატალონიის პარლამენტმა სუვერენიტეტი გამოაცხადა, მართალია, ჯერჯერობით სეცესიის გარეშე.

ჩანართი 32.3
შოტლანდიის რესპუბლიკა?

2012 წლის 15 ოქტომბერს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტმა *დეივიდ კემერონმა* და „შოტლანდიის ნაციონალური პარტიის" (SNP) უცვლელმა თავმჯდომარემ *ალექს სელმონდმა* ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც 2014 წლის შემოდგომაზე *შოტლანდიაში ჩატარდება რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე* (კენჭისყრაში 16 წლის ასაკიდან შეიძლება მონაწილეობა).

შოტლანდია და ინგლისი ერთი, შოტლანდიელი, მონარქის ხელქვეით გაერთიანდნენ 1603 წელს. გაჩნდა ტერმინები „*დიდი ბრიტანეთი*" (Great Britain) და „*შეერთებული სამეფო*" (United Kingdom). 1707 წელს შოტლანდიის პარლამენტი ინგლისისას შეუერთდა.

1997 წელს დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 60 პროცენტმა საყოველთაო რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა „*დევოლუციას*" – სახელისუფლებო უფლებამოსილებათა ნაწილის გადაცემას შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიისათვის.

ედინბურგში შოტლანდიის პარლამენტი აღდგა. შოტლანდია იქამდეც პრაქტიკულად დამოუკიდებელი იყო სასამართლო, ჯანდაცვის, განათლების, სატრანსპორტო სისტემებში. მას ინგლისისგან განსხვავებული რელიგიური ინსტიტუტები აქვს და დიდი ხანია ცალკე ატარებს საფეხბურთო ჩემპიონატს.

2011 წლის მაისში შოტლანდიის პარლამენტში პირველად შეადგინეს უმრავლესობა SNP-ს დეპუტატებმა.

გამოკითხვები აჩვენებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას (ჯერჯერობით!) არ უნდა დიდი ბრიტანეთისაგან გამოყოფა. მაგრამ თუ რეფერენდუმს შოტლანდიელი ნაციონალისტები მოიგებენ, ლონდონი კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის დამოუკიდებლობას სცნობს და 2016 წელს ის დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდება.

ყველა ზემოხსენებული, ჰიპოთეტურად დასაშვები, პოლიტიკური წარმონაქმნი თავს ხედავს *ევროპულ კავშირში*, რომელშიც მათი ცალკე წევრებად ავტომატური მიღება არ მოხდება. 2012 წლის ნოემბერში ევროპული კომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა, რომ ჰიპოთეტურ ახალწარმოქმნილ სახელმწიფოებს მოუხდებათ რიგში ჩადგომა ევროპული კავშირის წევრობისათვის. ბუნებრივია, ევროზონაშიც მათ დაუყოვნებლივ არ მიიღებენ, რაც მათ ამჟამინდელ ეკონომიკურ უპირატესობას სულ ცოტა გაანახევრებს. შოტლანდიელი ნაციონალისტების სურვილს, რომ ჰიპოთეტური „შოტლანდიის რესპუბლიკა" ინგლისური პაუნდის (გირვანქის) ზონაში დარჩეს ლონდონი არ თანხმდება და ეს რეფერენდუმის შედეგზე იმოქმედებს. ევროკავშირში შოტლანდიის მიღებას, ეჭვგარეშეა, დაბლოკავს ესპანეთი, რომელსაც არ მოუნდება სეცესიონიზმის პრეცედენტის დაშვება, როდესაც თვითონ ჰყავს სეცესიონისტები კატალონიაში, ბასკეთში, გალისიაში.

ყველა შემთხვევაში, ლაპარაკია დემოკრატიულ, მშვიდობიან გამოყოფაზე და არა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებაზე. ხოლო ამომრჩეველი გადაწყვეტილებას მიიღებს არა ემოციურ, არამედ რაციონალურ, ანუ ეკონომიკურ,

საფუძველზე. *არსებობს დიდი ალბათობა, რომ ევროპის რეგიონების სეპარატიზმი უმეტეს შემთხვევაში რეალურ სეცესიამდე არ მივა.*

ნატო ფუნქციის ძიებაში და საქართველო

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1949 წლის 4 აპრილს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა რიგმა დააარსა *ჩრდილო ატლანტიკის შეთანხმების ორგანიზაცია* (NATO), რომლის გაცხადებული მიზანი იყო საბჭოთა ექსპანსიონიზმისაგან თავის დაცვა.

სწორედ 1949 წელს საბჭოთა კავშირმა შექმნა თავისი ატომური ბომბი (არსებითად მოიპარა დასავლური ტექნოლოგია) და გამალებით მუშაობდა უფრო დამანგრეველი წყალბადის ბომბის შექმნაზე. მუდმივ მზადყოფნაში მყოფი საბჭოთა არმია იდგა აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთში. საფრთხე დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისათვის საკმაოდ რეალური იყო. ამერიკამ თავისი „ბირთვული ქოლგა" გადაუფარა დასავლეთ ევროპას, ანუ საკუთარი სამხედრო (სარაკეტო, საავიაციო) ბაზები შეუქმნა ამერიკული და საბჭოთა ბირთვული იარაღის ბალანსმა განაპირობა ის, რომ *ცივი ომის* პერიოდში ცხელი ომი ზესახელმწიფოებს შორის არ მომხდარა.

ცივი ომის დამთავრებამ ნატოს ფუნქცია დაუკარგა. რუსული ალბათ იყო გამოკვეთილი და აშკარა მტერი, თანაც ის დასუსტდა, მას შემოეცალა „წარმავალი იმპერია" – ევროპის სოციალისტური ქვეყნები, და „შიდა იმპერია" – ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, რომლებიც თვითონ შევიდნენ ნატოს შემადგენლობაში: 1999 წელს – *პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია;* 2004 წელს – *ლიტვა, ლატვია, ესტონეთი;* 2008 წელს – *ბულგარეთი და რუმინეთი;* 2009 *წელს – ალბანეთი* და *ხორვატია* (იხ. ნახ. 32.1).

2013 წელს ნატოს წევრ 28 ქვეყანას ჯამში ჰყავდა 900 მილიონზე მეტი მცხოვრები (მათგან ერთი მესამედი – ამერიკელია), რომლებიც თავდაცვის მიზნებისათვის წლიურად 1 ტრილიონ დოლარზე მეტს ხარჯავდნენ (მათ შორის, 70 პროცენტს – ამერიკა).

ნატომ თავის ფუნქციად მიიჩნია იუგოსლავიაში სერბული ნაციონალიზმის შეკავება, როდესაც 1999 წელს ჩაება მასთან ომში კოსოვოში ალბანელთა საკმაოდ საეჭვო „გენოციდის" მოწყობის გამო. 2001 წლიდან ნატო აელანეთში ებრძვის თალიბების ფუნდამენტალისტურ ორგანიზაციას, რომელიც საპასუხოდ ტერორისტულ მეთოდებს იყენებს. 2011 წელს ნატოს ქვეყნები, უპირველესად საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, მონაწილეობდნენ *ლიბიის სამოქალაქო ომში*, როდესაც ლიბიის დიქტატორის *მუამარ კადაფის* წინააღმდეგ აჯანყებულებს საჰაერო ფარს უქმნიდნენ. ეს ოპერაცია ამერიკის დახმარების

გარეშე წარუმატებელი იქნებოდა. ამავე დროს გერმანიამ უარი თქვა ლიბიის ოპერაციაში მონაწილეობაზე, რადგან მისი არმიის (ბუნდესვერის) ნებისმიერი აქცია საზღვარგარეთ საჭიროებს პარლამენტის (ბუნდესტაგის) თანხმობას.

2013 წლის დასაწყისში ნატოს წამყვანმა ქვეყნებმა განალაგეს ანტისარაკეტო სისტემა „პეტრიოტი" თურქეთ-სირიის საზღვრის გასწვრივ და ნატოს წევრ თურქეთს საჰაერო ფარი შეუქმნეს სამოქალაქო ომში ჩაბმული და გაუბედურებული სირიის მხრიდან ძალიან ჰიპოთეტური შეტევის წინააღმდეგ, თუმცა „ბოროტი ენები" ამბობენ, რომ *საჰაერო ფარი უფრო ირანის რაკეტების წინააღმდეგ დაამონტაჟეს.*

ნატო სულ უფრო მეტად იხრება იქით, რომ თავის ძირითად ფუნქციად აქციოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ეჭვგარეშეა, ეს კეთილშობილური მისიაა. მაგრამ ალიანსის წევრ მრავალ ქვეყანაში ტერორიზმი არ აღიქმება იმავე მასშტაბის საფრთხედ, რაც ადრე ყველა წევრ-ქვეყანას აერთიანებდა: საბჭოთა საფრთხე უფრო რეალური და საშიში ჩანდა.

ნატოს ევროპელი წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში იკვეთება თავდაცვის ხარჯების შემცირების ტენდენცია, რაც ნიშნავს, რომ ისინი სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი ამერიკის სამხედრო ძალაზე. ის კი უსაზღვრო არ არის. ამერიკელების მხურვალე მოწოდებას თავიანთი ევროპელი მოკავშირების მიმართ – მეტი წვლილი შეიტანონ თავდაცვის საერთო საქმეში, ჩუმი უარი ხვდება.

2012 წლის მაისში ჩიკაგოში ჩატარებულ ნატოს სამიტზე დაისახა ფართო რეფორმების პროგრამა, რომელთა შორის უმთავრესი იყო *ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება.* ერთი წლის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს ცარიელი დაპირება იყო. პროგრამა არ სრულდება. ცალკეული ქვეყნები საკუთარ ინტერესებს ალიანსის საერთო ინტერესებზე მაღლა აყენებენ. მაგალითად, საფრანგეთს აქვს „კონცეპტუალური პრობლემები" ნატოს (ფაქტობრივად, აშშ-ის) რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემასთან მიმართებით; თურქეთი უარს აცხადებს „ნატოს პარტნიორობის კონცეფციის" მხარდაჭერაზე; ანკარას არ სურს თანამშრომლობა ევროკავშირთან, რომლის წევრია [სამხრეთ] კვიპროსი, რომელთანაც თურქეთს დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს. ჯერ კიდევ 2008 წელს საბერძნეთმა ვეტო დაადო ნატოს რიგებში მაკედონიის მიღებას და ჯერაც ამ აზრზეა.

ნატო კონსენსუსის პრინციპით მუშაობს: უკლებლივ ყველა წევრ-ქვეყანას საერთო აზრი უნდა ჰქონდეს. ერთი წევრი ქვეყნის სხვაგვარ აზრს შეუძლია ჩაშალოს ნებისმიერი საერთო საქმე. ეს ჩვენც კარგად უნდა გავითვალისწინოთ!

აშშ-ის თავდაცვითი ვექტორი სულ უფრო მეტად იხრება *აზია-წყნარი ოკეანის (Asia-Pacific)* რეგიონისაკენ, სადაც მას მეტი ეკონომიკური ინტერე-

სები აქვს და პოტენციურად მეტი გამოწვევებიც ელის. აშშ-ს სურს, რომ ნატოს ევროპელმა წევრებმა თვითონ უპასუხონ გამოწვევებს მათ გარშემო.

ნატო, რასაკვირველია, არ არის მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია. ის ერთდროულად არის პოლიტიკური ორგანიზაციაც, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს ევროპული ფასეულობების გავრცელებას. *ამ თვალსაზრისით, საქართველოს დემოკრატიული მომავლისათვის ალიანსი ყველაზე მისაღები მოკავშირე იქნებოდა.*

ის, რომ *საქართველოს საკუთარი მიზნები* დემოკრატიზაციის გაღრმავებასთან ერთად არის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქართველი ხალხისათვის კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. ასევე ნათელია, რომ ჩვენ გვესაჭიროება ძლიერი ფარი იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი მიზნების აღსრულებას შეეწინააღმდეგება.

რომელ დიდ ძალას, რომელსაც გეოპოლიტიკური ინტერესები შეიძლება ჰქონდეს კავკასიაში, შეგვიძლია ვთხოვოთ, გამოგვიწოდოს ასეთი ფარი?

ირანს? ჩინეთს? რუსეთს? თურქეთს *(ნატოს გარეშე)?* ნატოს *(თურქეთთან ერთად)?*

ირანს რთული საგარეო პრობლემები და სულ სხვა იდეოლოგია აქვს; *ჩინეთი* შორსაა (გეოგრაფიულად და დემოკრატიისგანაც!); *რუსეთი* ვერ იქნება დემოკრატიის განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის მაგალითი და ვერც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტი – საქმე ზუსტად საპირისპიროდაა! *თურქეთი* დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს და *ნატოს გარეშე* მას სხვა გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს.

პასუხი ერთია: *ფარი შეგვიძლია ვთხოვოთ მხოლოდ ნატოს (თურქეთთან ერთად).* ნატო ჩვენ მიგვაჩნია *საშუალებად*, რომ საბოლოოდ გამოვიდეთ რუსეთის გავლენის სფეროდან.

2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის დროს საქართველოს მოსახლეობის 77-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის გაწევრიანებას ნატოში.

ამავე დროს, მოქნილი საგარეო პოლიტიკის გასატარებლად ჩვენ უნდა გექონდეს ასეთი კითხვების დასმის მორალური უფლება: *ხომ არ მოგვიტანს ნატოსკენ სწრაფვა მეტ ხიფათს, ვიდრე მოგებას? საერთოდ, ვუნდივართ კი ამ ალიანსში? და თუ არ ვუნდივართ, რატომ?*

„ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებამ საქართველოსათვის ნატოს რეალურ საჭიროებაზე კითხვის დასმაც კი მკრეხელობას გაუთანაბრა. ნატოს გენერალური მდივნის აზრს ჩვენთვის ლამის ისეთივე მნიშვნელობა მიენიჭა, როგორიც რომის პაპის ენციკლიკას მორწმუნე კათოლიკესათვის. ნატოს მიმართ დამოკიდებულება იქცა რაღაც ლაკმუსის ქაღალდად: პოზიტიური გრძნობის გამომხატველი ადამიანი პატრიოტი იყო, ხოლო ის, ვინც ნატოს

საჭიროებაზე მერყეობდა – მოღალატე, ანუ რუსეთის აგენტი! ასეთი მანიქეველური მიდგომა – ყველაფერი ან თეთრია, ან შავი – უფრო დოგმატიზმის გამოხატულებაა, ვიდრე პრაგმატიზმისა.

2012 წლის ოქტომბრიდან საპარლამენტო ოპოზიციაში გადასული „ნაციონალები" პროვოკაციულად მოითხოვდნენ ქვეყნის დასავლური ორიენტაციის ურყევობა კონსტიტუციაში აესახათ. „ნაციონალებმა" იცოდნენ, რომ ეს მოთხოვნა ღია კარის მტვრევაა, მაგრამ თავის ოპონენტს, მმართველ კოალიციას ნამუსზე აგდებდნენ: *„აბა, დაგვანახეთ, გსურთ თუ არა დასავლური ვექტორის სამარადისოდ შენარჩუნება!"*

კონსტიტუცია მუდმივი დოკუმენტია, საგარეო პოლიტიკური კურსი კი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ყალიბდება და მოქნილი უნდა იყოს. ისტორიას ახსოვს ჩვენი ქვეყნის საუკუნოვანი ორიენტაცია ბიზანტიაზე, მონღოლთა ილხანებზე, სეფიანთა სპარსეთზე, რუსეთის იმპერიაზე. დიახ, ყველა ასეთი ორიენტაცია იძულებითი იყო, გამოწვეული გარემოებებით. დიახ, ეს იმპერიები წარსულს ჩაბარდნენ. მაგრამ არც ნატოა უცვლელი და უკვდავი (მესმის, ეს სიტყვები მკრეხელობაა – „ნაციონალურად"!)

„ნატოში, ნატოში გვინდა!" – ამის ძახილი იყო „ნაცმოძრაობის" ლიდერების მიერ ქართველი ხალხისათვის „გეოპოლიტიკური ხავსის მიწოდების" კარგად შემზადებული ოინი.

რუსეთი თავისი ინტერესების ხელყოფად მიიჩნევს *„აღმოსავლეთისაკენ ნატოს გაფართოებას"* (საქართველოსთან ერთად იგულისხმებოდა უკრაინა, მანამ, სანამ მისი ხელმძღვანელობა 2009 წელს უარს იტყოდა ამაზე: უკრაინის მოსახლეობა ამ საკითხში ერთსულოვანი არ ყოფილა, მეტი წილი არც უჭერდა მხარს ნატოში შესვლას. „აღმოსავლეთით" მხოლოდ საქართველო დარჩა). თუ XX საუკუნის ბოლო დეკადაში და ცოტა ხანს, XXI საუკუნის დასაწყისში ყოფილი ზესახელმწიფო, რომელიც საკმარისად ძლიერად არ გრძნობდა თავს, იძულებული იყო ეყლაპა მწარე აბები და აეტანა მისი ყოფილი სატელიტების შესვლა „მტრულ ბანაკში", ახლა რუსეთი ბევრად უფრო აგრესიული გახდა. 2008 წელს საქართველოსთან ომმა მკაფიოდ დაანახა მსოფლიოს, რომ რუსეთი ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს საკუთარ backyard-ში, ანუ „უკანა ეზოში" ხედავს და მერყევი, არაერთგვაროვანი აზრის მქონე ნატოს აინუნშიც არ აგდებს.

ევროპაში ყველაზე გავლენიანი ნატოს წევრი – გერმანია და მასთან ერთად რამდენიმე სხვა ქვეყანაც ალიანსში საქართველოს მიღების წინააღმდეგია. ნატო კი გადაწყვეტილებებს კონსენსუსით იღებს.

გამოდის, რომ არ ვუნდივართ? ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.

რატომ? ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ბერლინი ვერ წავა მოსკოვის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც გერმანულ ფირმებს უზარმაზარი ეკონომიკური

ინტერესები აქვთ რუსეთში და გერმანია რუსული გაზის უმთავრესი მომხმარებელია. 2008 წლის ომმა კიდევ უფრო შეამცირა საქართველოს ნატოში გაწევრიანების შანსი, რადგან ალიანსს სულაც არ უნდა ბირთვულ სახელმწიფოსთან სერიოზულ კონფრონტაციაზე წასვლა.

ჯერჯერობით მიუღწეველი რჩება ნატოში ჩვენი შესვლა და თუნდაც „MAP-ზე უკეთესის“ მიღება, რასაც 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე ცალყბად დაგვპირდნენ გერმანიისა და საფრანგეთის პირველი პირები – *ანგელა მერკელი* და *ნიკოლა სარკოზი*, ისიც აშშ-ის პრეზიდენტის *ჯორჯ ბუშის* (უმც.) ზეწოლის შედეგად, რომელსაც მართლაც სურდა ალიანსში საქართველოს გაწევრიანება. პრეზიდენტ *ბარაკ ობამასგან* ასეთიე თავგამოდების ნიშნებს, ჯერჯერობით, ვერ ვხედავთ.

სამწუხარო რეალობაა, რომ ნატო არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც ტერიტორიულ პრობლემებს მოგვიგვარებს. საქართველოს გამო რუსეთთან პირდაპირ კონფრონტაციაზე ის არ წავა. პირიქით, 2009 წლიდან ნატომ განაახლა ერთი წლით ადრე, სწორედ საქართველოსადმი სოლიდარობის ნიშნად, შეჩერებული ურთიერთობა რუსეთთან; ამერიკამ მასთან ე.წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკა წამოიწყო (მართალია, საბოლოოდ ის უშედეგოდ დასრულდა).

ნატოს შესაძლებლობებთან დაკავშირებით საყურადღებოა *რონალდ ასმუსისა* და მისი რამდენიმე თანაავტორის მიერ 2010 წელს გამოთქმული აზრი:

> „2008 წლის აგვისტოში ნატომ ვერ შეამჩნია, რომ ახლოვდებოდა რუსეთ-საქართველოს ომი, ხოლო როდესაც სამხედრო მოქმედებები დაიწყო, მან მხოლოდ განცხადების გაკეთება შეძლო... შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ალიანსის პასუხი ფუნდამენტურად განსხვავებული იქნებოდა, თუკი რუსეთი თავს დაესხმოდა ნატოს წევრს და არა საქართველოს, რომელიც არ შედის ნატოში. მაგრამ სულაც არაა თვალნათლივი, რომ ალიანსის [წევრი ქვეყნების ურთიერთ-] კონსულტაციის ჭრიალა მექანიზმი მოულოდნელად გაცოცხლდებოდა და დაიწყებდა კრიზისის გადასაწყვეტად ეფექტიან მოქმედებას“.

მთელი ეს მსჯელობა არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფება, ე.წ. „დასავლური ვექტორი“ მცდარია და უნდა შეიცვალოს..

რეალობაა ისეთი, რომ დასავლეთისაკენ სწრაფვის გარდა ჩვენ სხვა გზა არ დაგვრჩა, უფრო ზუსტად, არ დაგვიტოვეს.

მაგრამ ამას არ უნდა ვაკეთებდეთ ყიჟინითა და დიდი დათვის ცხვირწინ პატარა მუშტების ტრიალით.

საგარეო პოლიტიკაში მოქნილობა ხელს არაფერში არ შეგვიშლიდა.

უნიპოლარიზმის ტვირთი ამერიკისათვის

XX საუკუნის ბოლო დეკადაში ყოფილი მეორე ზესახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე *რუსეთის ფედერაცია თავისი წინამორბედის* დაშლისაგან მიღებულ ჭრილობებს ილოკავდა და საკუთარ „დემოკრატიზაცია-ლიბერალიზაციაში“ (ჯამში – წარუმატებელში!) იყო ჩაფლული.

ევროპა გაერთიანებას აგრძელებდა. დანარჩენ დედამიწას ის მხოლოდ ეკონომიკური კუთხით უყურებდა. თუ XX საუკუნის დასაწყისში ევროპული ზესახელმწიფოები ვერ იყოფდნენ მსოფლიოს და ამისთვის დიდ სისხლსაც ღვრიდნენ, XX საუკუნის ბოლოს ევროპაში ზესახელმწიფო აღარ დარჩა. *ევროპულ კავშირს* კი მსოფლიო გეოპოლიტიკური ამბიციები საერთოდ გაუქრა.

ჩინეთი ეკონომიკურად სწრაფად ვითარდებოდა და მსოფლიო ბაზრების დაპყრობით იყო გატაცებული. მაგრამ სხვა ზესახელმწიფოსათვის პოლიტიკური მეტოქეობის გასანევად ჯერ მზად არ იყო.

დანარჩენი მსოფლიო დაქსაქსული იყო.

ასეთ პირობებში *ამერიკის შეერთებული შტატები* მსოფლიო ჰეგემონობის ასპარეზზე სამხედრო-სტრატეგიული მეტოქის გარეშე დარჩა. *ბიპოლარიზმი* (ორპოლუსიანობა), როდესაც ამერიკის პოლიტიკური საპირწონე დიდხანს იყო საბჭოთა კავშირი, *უნიპოლარიზმმა* (ერთპოლუსიანობამ) *შეცვალა*. ისტორიაში პირველად მსოფლიო საკითხებს ერთადერთი არსთაგამრიგე გაუჩნდა, თუმცა ისტორიისათვის ეს სწრაფწარმავალი ეპიზოდი აღმოჩნდა.

აშშ პოლიტიკური და ეკონომიკური დიდების ზენიტში ავიდა. მაგრამ უნიპოლარიზმი მას მძიმე ტვირთად დააწვა. მისი *გლობალური გეოპოლიტიკური* კოდი გულისხმობდა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მომხდარ საქმეში ჩარევას. ხშირად ეს იყო ჰუმანიტარული დახმარება, ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობების განმტკიცება ან, უფრო იშვიათად, საპოლიციო ფუნქციის შესრულება.

„პოსტსაბჭოთა“ სივრცის ნაწილი ამერიკული „სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ“ გამოცხადდა. ამ „სფეროში“ აღმოჩენა *საქართველოსათვის* შვება იყო: *გვიჩნდებოდა სერიოზული გეოპოლიტიკური საპირწონე ჩრდილოეთისათვის*. ამერიკის ინტერესი უფრო კასპიის რეგიონის ენერგეტიკულ რესურსებთან იყო დაკავშირებული, საქართველოს კი სატრანზიტო ფუნქცია დაეკისრა. ჩვენი საგარეოპოლიტიკური ვექტორი კიდევ უფრო დასავლეთით გადაიხარა. ერთ-ერთი პირველი საელჩო საქართველომ ვაშინგტონში გახსნა, ხოლო „თეთრი სახლის“ დაინტერესება საქართველოთი იმაშიც გამოიხატა, რომ თავიდან ერთგვარად არასერიოზული მიდგომის შემდეგ მან ნამდვილი დიპლომატების შერჩევა დაიწყო თბილისში სამსახურისათვის.

ამერიკის შიდაეკონომიკური ვითარება იმდენად წარმატებული იყო, რომ

აშშ-ს 42-ე *პრეზიდენტი ბილ კლინტონის* ადმინისტრაციისათვის 1990-იანი წლების ბოლოს პარადოქსულ პრობლემად იქცა ბიუჯეტის მრავალმილიარდიანი პროფიციტის გახარჯვა.

ამავე დროს, როგორც ჩანს, „კეთილდღეობის თანმხლები ექსცესის" სახით, ამერიკელები საკუთარი პოლიტიკური ინტრიგების სეირს აყურებინებდნენ მსოფლიოს. მაგალითად, მისმა *რესპუბლიკელმა კონგრესმენებმა* საერთაშორისო მასმედიის გასართობად აქციეს *დემოკრატი პრეზიდენტისათვის* პრიმიტიული „სექს-სკანდალის" გამო იმპიჩმენტის (საბოლოოდ, არშემდგარის) გამოცხადების მცდელობა. ამ საკითხისადმი მსოფლიოს სატირულ-იუმორისტული დამოკიდებულების ერთი ნიშანი ის იყო, რომ არავის მიერ აღიარებული „აფხაზეთის რესპუბლიკის" ერთ-ერთ პირველ საფოსტო მარკაზე გამოსახეს პრეზიდენტ *ბილ კლინტონისა* და მისი შემაცდენელი ვინმე *მონიკა ლევინსკის* კარიკატურა.

სხვათა შორის, როგორც სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებდა, ამერიკელების უმრავლესობას ისევ კლინტონი ერჩიენა ფარისეველ, ფსევდომაღალზნეობრივ რესპუბლიკელ კონგრესმენებს.

XX საუკუნე მთავრდებოდა საკმაოდ სკანდალური საპრეზიდენტო არჩევნებით. ამერიკული არჩევნები, რომლებიც მანამდეც მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო პოლიტიკისათვის, გლობალურ შოუდ იქცა.

რთული საარჩევნო სისტემა, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს შეიქმნა იმდროინდელი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით და მას შემდეგ არსებითად არ შეცვლილა, არ გამორიცხავს, რომ *პრეზიდენტად აირჩიონ ადამიანი, ვინც თავის მეტოქეზე ჯამში ნაკლებ ხმას* მიიღებს. ეს იმის გამო შეიძლება მოხდეს, რომ ამერიკის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს ირჩევს *ამომრჩევთა კოლეგია* (electoral college), რომლის წევრთა რაოდენობა 1964 წლიდან მოყოლებული, 538-ითაა განსაზღვრული (ეს უტოლდება სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრთა რაოდენობას, რასაც ემატება 3 ამომრჩევი კოლუმბიის ოლქიდან, სადაც მდებარეობს დედაქალაქი ვაშინგტონი). ხალხმრავალ შტატს მეტი ამომრჩევი (elector) ეკუთვნის: 2000 წელს, მაგალითად, *კალიფორნიას* – 54 ამომრჩევი ჰყავდა, ნიუ-იორკს – 33, *ფლორიდას* – 25, ხალხმცირე შტატს – ნაკლები, მაგალითად, *ალასკას, მონტანას, ვერმონტს* – *3-3. გამარჯვებული ღებულობს ყველაფერს*, ანუ პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, რომელიც „მოიგებს შტატს", *შტატის ყველა ამომრჩევის ხმა ერგება*. ამრიგად, ერთ-ერთმა კანდიდატმა შეიძლება დიდი უპირატესობით მოიგოს რამდენიმე შტატში, მისმა მეტოქემ კი მცირე უპირატესობით მოიგოს მეტ შტატში. პირველს მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიძლება მეტმა ადამიანმა დაუჭიროს მხარი, მაგრამ გამარჯვებული მაინც ის იქნება, ვისაც მეტი ამომრჩევი ეყოლება ზემოხსენებულ 538-ს შორის.

1789 წლის შემდეგ აშშ-ის კონგრესმა განიხილა *ამომრჩევთა კოლეგიის* გაუქმების 700-მდე საკანონმდებლო ინიციატივა – ყველა უშედეგოდ.

ამერიკის ისტორიაში ყოფილა ორი შემთხვევა – უკანასკნელად 1888 წელს, როდესაც პრეზიდენტი გახდა ის, ვისაც საერთო ჯამში მეტოქეზე ნაკლებმა ამერიკელმა დაუჭირა მხარი.

XX საუკუნეში ასეთი რამ არ მომხდარა. ამერიკელებმა დაიჯერეს, რომ მიუხედავად ჩახლართულობისა, მათი საარჩევნო სისტემა მაინც სამართლიანია.

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ *ელ გორს* მთელი *ამერიკის მასშტაბით 540 ათასით მეტმა ადამიანმა მისცა ხმა,* ვიდრე რესპუბლიკელ *ჯორჯ ბუშს* (*უმცროსს*: ეს დანართი საჭიროა, რადგან 1988-1992 წლებში პრეზიდენტი იყო მამამისი, ასევე *ჯორჯ ბუში, უფროსი*). მაგალითად, *კალიფორნიისა* და *ნიუ-იორკის* დიდ შტატებში გორმა 1,5-1,5 მილიონი ხმით მეტი მიიღო ბუშთან შედარებით. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბუშის მიერ უმნიშვნელო უპირატესობით –სულ 537 (!) ხმით მეტი – *ფლორიდის* შტატის მოგება, სადაც 6 მილიონი ადამიანი აძლევდა ხმას. ამან ბუშს ფლორიდის 25 ამომრჩევი მისცა, რითაც მან გაუსწრო გორს (271:266). ფლორიდაში, სადაც გუბერნატორად ბუშის უმცროსი ძმა იყო, ხმების ავტომატურად დათვლისას (და ხელით გადათვლისას) ისეთი ხარვეზები დაუშვეს, რომ ამერიკის ტექნოლოგიური სრულყოფილება მსოფლიოს თვალში საქილიკო გახდა.

ასეა თუ ისე, XX საუკუნის ბოლო წელს აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი გახდა ადამიანი, რომლის IQ (Intelectual Quotient – ინტელექტუალური დონის კოეფიციენტი) ქვეყნის XX საუკუნის პრეზიდენტებს შორის უდაბლესი აღმოჩნდა. ამერიკელი სატირიკოსები უსაფრდებოდნენ მის შეუსაბამო გამონათქვამებს და „ბუშიზმების“ ტომები გამოუშვეს. მათ შორის მოუნახეს, მაგალითად, ასეთები:

> „ჩვენ მთლიანად ვიღებთ პასუხისმგებლობას ვიმუშაოთ ორივე მხარესთან, რათა ჩამოვიყვანოთ ტერორის დონე ორივე მხარისათვის მისაღებ დონემდე“ [2001 წ. 2 ოქტომბერი, კონგრესის ლიდერებთან შეხვედრისას].

> „მე ვთქვი, რომ დავეძებ წასაკითხად წიგნს. ლორამ [მეუღლემ] მითხრა, უნდა სცადო კამიუ. მე კიდევ სამი შექსპირიც წავიკითხე. მე ეკლექტიკური საკითხავი სია მაქვს!“ [2006 წ.].

> „ჩვენ ბევრი ურთიერთობა გვაქვს ჩვენს სამეზობლოში“ [სლოვენიაში, ცენტრალურ ევროპაში, გამოსვლისას, 2008 წ.]

პრეზიდენტის ასეთი ლაფსუსები თავისთავად დიდი უბედურება არაა (არანაკლებ შეცდომებს უშვებდა, მაგალითად, *რონალდ რეიგანი,* რომელიც აშშ-ის ერთ-ერთ საუკეთესო პრეზიდენტადაა მიჩნეული, თუმცა ბრაზილიასა

და ბოლივიას ერთმანეთში ურევდა) – ისინი უბრალოდ პრესასა და ტელევიზიას აძლევენ სახუმარო მასალას.

რამდენადაც ამერიკაში არსებობს *ხელისუფლებათა გამიჯვნა* სხვადასხვა შტოებს შორის და მოქმედებს *ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების წესი* (checks and balances), იქ ნაკლებ მოსალოდნელია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას სერიოზული შეცდომის დაშვება. თუმცა ასეთი რამ გამორიცხული არაა.

ამერიკისა და მსოფლიოსათვის სამწუხაროდ, პრეზიდენტ ბუშის (უმცროსი) ნაკლებ ინფორმირებულობას დაერთო ისეთი მრჩევლების სიმრავლე, რომლებმაც მას არაერთი შეცდომა დააშვებინეს.

* * *

ჯორჯ ბუშს (უმცროსს) ერგო პრობლემა, რომელიც, ვიყოთ სამართლიანნი, პირადად მას არ გამოუწვევია. მისი წინამორბედებისა და ზოგადად დასავლეთის მიერ დაშვებული, შეიძლება ითქვას, ფატალური შეცდომების შედეგი იყო *ისლამიზმის გააქტიურება*. თავისთავად *ისლამიზმი*, ანუ *პოლიტიკური ისლამი*, ნორმალური მოვლენაა და დასავლეთის ცივილიზაციას პირდაპირ საფრთხეს არ ქმნის. მაგრამ მის თანამდევ ფანატიკურ ექსტრემიზმს შეუძლია სერიოზული პრობლემები წარმოშვას მსოფლიოში. ეს გარკვეულწილად აისახა ზოგადად ისლამურ სამყაროში მიმდინარე პროცესებზე. XX საუკუნის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიმდინარე *ევსტერნიზაციას* (დასავლური ცხოვრების წესისა და ღირებულებების დამკვიდრებას) სამწუხარო უკურეაქცია მოჰყვა.

2001 წლის 11 სექტემბერს (შემდგომში „9/11"-ად რომ გახდება ცნობილი) ტერორისტებმა *ნიუ-იორკის „მსოფლიო სავაჭრო ცენტრის"* ორ ცათამბჯენს შეაჯახეს ამერიკაშივე გატაცებული სამოქალაქო თვითმფრინავები. ცათამბჯენები დაინგრა. იმავე დღეს ვაშინგტონში მდებარე *პენტაგონს* (თავდაცვის სამინისტროს შენობას) შეასკდა კიდევ ერთი თვითმფრინავი. მეოთხე გატაცებული თვითმფრინავი ტერორისტებს გზად ჩამოუვარდათ.

როგორც მალე გაირკვა, შეთქმულება მუსლიმურმა ტერორისტულმა ქსელმა *„ალ-კაიდამ"* მოაწყო. მგზავრებით სავსე თვითმფრინავები გაიტაცეს და დამანგრეველ „ფრთოსან რაკეტებად" აქციეს თვითმკვლელმა ტერორისტებმა – ეგვიპტისა და საუდის არაბეთის მოქალაქეებმა.

ჯამში დაიღუპა სამი ათასზე მეტი უდანაშაულო ადამიანი.

აშშ, რომელსაც მსგავსი თავდასხმა მსოფლიო ომების დროსაც არ განუცდია, შოკში ჩავარდა. მასმედიის რეფრენად იქცა ისტერიული ფრაზა: *„ეს ომია! ეს ომია! ეს ომია!"*

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს არ ჰქონდა სხვა გამოსავალი, გარდა *„ტერორიზ-*

მთან ომის" გამოცხადებისა, რომელიც, სამწუხაროდ, მთლად სწორი მიმართულებით არ წარიმართა.

ავღანეთში „*ალ-კაიდას* "ხელმძღვანელის – *უსამა ბინ-ლადენის* დევნამ 2001 წელს იქ აშშ-სა და ნატოს ქვეყნების არმიები მიიყვანა, რომლებსაც სხვა ქვეყნებმაც აღმოუჩინეს დახმარება, მათ შორის, საქართველომაც. ისინი დღესაც (2013 წ.) ავღანეთში არიან.

როგორც გაირკვა (თუმცა ამის გათვლა თავიდანვე შეიძლებოდა), არავითარი გამართლება არ ჰქონდა 2003 წელს ამერიკისა და მისი ზოგიერთი მოკავშირის ჯარების შეყვანას ერაყში. ამ ომის დაწყების ათი წლის თავზე ავტორიტეტულ ბრიტანულ ჟურნალ „*The Economist*"-ს შეეძლო დაესვა ასეთი შეკითხვა:

> „როგორ მოახერხა ამერიკის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთა დიდმა ჯგუფმა (policymaking community) დაეშვა ასეთი კატასტროფული შეცდომა?"

სამწუხაროდ, მოახერხა. მრჩევლებმა, უპირველესად, თავდაცვის მინისტრის მოადგილე *პოლ ეოლფოვიცმა*, რომელსაც „*ერაყის ომის არქიტექტორის*" სახელი შერჩა, ვიცე-პრეზიდენტმა *დიკ ჩეინიმ* და რამდენიმე სხვამ, ყალბი სადაზვერვო ინფორმაციის გამოყენებით დააჯერეს *ჯორჯ ბუში (უმცროსი)*, რომ *სადამ ჰუსეინის ერაყი* ფლობს და ამზადებს მასობრივი განადგურების იარაღს, რაც სინამდვილეს სრულებით არ შეესაბამებოდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი *კოლინ პაუელი* გაეროში აფრიალებდა რაღაც ფურცლებს, თითქოს იმის დასტურად, რომ ერაყი მსოფლიოს უქმნის საფრთხეს. გასაოცარია, რომ ამერიკის თავისუფალი პრესა სავსე იყო ასეთი მცდარი ინფორმაციით, რაც იმაზე მიუთითითებს, რომ *ყველანაირი მედიით მანიპულირებაა შესაძლებელი.* მსოფლიო ლიდერებიდან ბუშს თითქმის არავინ უჭერდა მხარს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ *ტონი ბლერის* გარდა.

გაეროს უშიშროების საბჭოში ერაყში ინტერვენციის რეზოლუცია ხმებს ვერ აგროვებდა, მას საფრანგეთის, რუსეთისა და ჩინეთის ვეტო ელოდა. ამიტომ აშშ-მა გადაწყვიტა მოქმედება გაეროს მხარდაჭერის გარეშე.

ბუში დაარწმუნეს, რომ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ აღდგებოდა ერაყელი ხალხი, და, *რაც მთავარია, ეს ქვეყანა გახდებოდა საიმედო პლაცდარმი უფრო სერიოზული მეტოქის – ირანის წინააღმდეგ* (სადაც, სხვათა შორის, სწორედ სადამ ჰუსეინს მიიჩნევდნენ მთავარ მტრად), რომლის ბირთვული პროგრამა საფრთხეს უქმნიდა ამერიკის მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთში – ისრაელს. აი, ეს იყო ომის რეალური მოტივაცია.

ერაყში ომის შედეგად დაიღუპა ხუთი ათასამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, დაიჭრა 32 ათასი. ერაყში დაიწყო სექტარული ომი. ტერორისტული აქტები იქ ლამის „ნორმად" იქცა.

ამის გამო 2005 წლის 8 ივნისს ბუშმა განაცხადა:

> „...გზა ტერორისტების დამარცხებისა არის თავისუფლების გავრცელება. გესმით, რომ დაამარცხოთ საზოგადოება, რომელსაც წართმეული აქვს იმედი, საზოგადოება, რომლის ხალხი ისეა გამწარებული, რომ უნდა თვითმკვლელებად იქცეს, საჭიროა თავისუფლების გავრცელება, დემოკრატიის გავრცელება".

თუმცა ამ გამონათქვამს „ბუშიზმების" ერთ ტომში წავაწყდი, მასში საქილიკოს ვერაფერს ვხედავ. სავსებით საღი აზრია, თუმცა ის დასრულებული არაა. თუ სამედიცინო ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ერაყის საზოგადოების ავადმყოფობის *დიაგნოზი* („თვითმკვლელ ტერორისტთა მომრავლება") სწორია, *ავადმყოფობის მიზეზიც* („უიმედობა, ხალხის უკიდურესი გამწარება") სწორადაა დადგენილი, *მკურნალობაც* („თავისუფლების, დემოკრატიის გავრცელება") კარგადაა შერჩეული. არაა მითითებული მხოლოდ წამლის მიღების წესი და ის, თუ ვინ „შეიტანა ინფექცია". აი, ამაზე მსჯელობა დასტაქარს გაუჭირდა!

ტონი ბლერმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, *ჯორჯ* ბუშზე უკეთ გარკვეულმა ახლო აღმოსავლეთის პრობლემებში, ასევე „დააჯერებინა თავი" საკუთარ მრჩევლებს ერაყში ინტერვენციის აუცილებლობაში. მასაც უჭირდა აღიარება, რომ „ტერორიზმის ინფექციის" ერთ-ერთი მთავარი შემტანი ბუშთან ერთად თვითონაც იყო.

ინგლისელმა პუბლიცისტმა *ენტონი სემპსონმა* 2005 წელს დაწერა:

> „[2004 წელს] ტონი ბლერმა ნაწილობრივ ბოდიში მოიხადა იმ ყალბი ინფორმაციისათვის, რომელმაც ერაყში ომი გამოიწვია, მაგრამ იფინებდა, რომ ტერორისტებმა აირჩიეს ერაყი ბრძოლის ველად. სინამდვილეში კი ეს ამერიკელები და ბრიტანელები იყვნენ, ვინც ერაყი ბრძოლის ველად გადააქციეს".

ოფიციალურად ომი ერაყში ამერიკას 800 მილიარდ (!) დოლარზე მეტად დაუჯდა. ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომისტმა *ჯოზეფ სტიგლიცმა* კოლეგასთან ერთად გამოთვალა, რომ ამერიკის ეკონომიკაზე ეფექტის გათვალისწინებით, ომი რეალურად 3 ტრილიონი დოლარი დაჯდა.

თუკი რამ მოგება ნახა ამერიკამ, მხოლოდ მისმა სამშენებლო და სამრეწველო კომპანიებმა, რომლებიც ამერიკული ფულით აღადგენდნენ ამერიკელებისვე დანგრეულ ერაყს: ერთ-ერთი ასეთი კომპანია იყო ვიცე-პრეზიდენტ *დიკ ჩეინისთან* დაკავშირებულმა *Halliburton Corporation*.

აშშ, რომელსაც პრეზიდენტ კლინტონის დროს ბიუჯეტის დიდი პროფიციტი ჰქონდა, პრეზიდენტ ბუშის დროს დეფიციტში გადავარდა. თუმცა 2004 წელს ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ ისევ მყარი იყო. უმძიმესმა საფინანსო კრიზისმა, რომელიც მეურნეობის სხვა დარგებსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გადაედო, მხოლოდ 2008 წელს იჩინა თავი.

რაც შეეხება *საქართველოს სამხედრო ნაწილების გაგზავნას ერაყში*, ასეთი

არჩევანი ჩვენს მთავრობას უნდა გაეკეთებინა მიუხედავად იმისა, სწორი იყო თუ არა საქართველოს უძლიერესი მოკავშირე თავისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას. მეგობარს მაშინაც უნდა დაეხმარო, როდესაც ის შეცდომას სჩადის. ამასთან, მეგობარი ქვეყნის მთავრობის მოქმედების კრიტიკული ანალიზის გაკეთებაზეც არ უნდა ვთქვათ უარი.

მომავლის ამერიკელი ისტორიკოსები, ალბათ, სასკოლო სახელმძღვანელოებშიც შეიტანენ „ერაყის კამპანიას", როგორც ამერიკული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მცდარ ნაბიჯს, „ვიეტნამის ომის" შემდეგ.

ამერიკულმა მასმედიამ ეგზისტენციურ საფრთხედ აქცია ტერორიზმი, რომელთან *ომმაც ხელი შეუწყო ჯორჯ ბუშს (უმცროსს) მოეგო 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც.*

იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ ბევრ რიგით ამერიკელს მოსწონდა ბუშის უშუალობა, მისი გულახდილი მიამიტობა. ლიტერატურისა და გეოგრაფიის ცოდნით ის საშუალო ამერიკელის დონეზე იდგა. ინტელექტუალი *ვაცლავ ჰაველი* პრეზიდენტად, დაე, აერჩიათ ვიღაც ჩეხებს, რომლებიც ალბათ სადღაც ჰავაის კუნძულების გადაღმა ცხოვრობენ: ამერიკელები ტეხასელ კოვბოის არჩევდნენ!

* * *

2008 წელს ამერიკის 44-ე პრეზიდენტი ისტორიაში პირველად გახდა შავკანიანი ამერიკელი, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი *ბარაკ ობამა*. 2012 წელს ის ხელმეორედ აირჩიეს ამ პოსტზე. სწორედ მას მოუხდა არაპოპულარული ზომების მიღება ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად და მისი წინამორბედის მიერ წამოწყებული ომებით გამოწვეული ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

ჯორჯ ბუშთან შედარებით ობამა ბევრად უფრო რეალისტურ საგარეოპოლიტიკურ კურსს ატარებს, თუმცა მისი მცდელობა, დაემყარებინა რუსეთთან „გულითადი ურთიერთობა", წარუმატებელი აღმოჩნდა. მისი ადმინისტრაციის დამსახურებაა ერაყიდან სამხედრო კონტინგენტის საბოლოო გამოყვანა. 2014 წლისათვის აშშ გეგმავს გამოსვლას ავღანეთიდან. ახალ ავანტიურაზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და მის სიახლოვეს ამერიკა, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში არ წავა.

პროგნოზი ისეთია, რომ 2030 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დაეწევა აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით და გადაუსწრებს კიდეც. ეკონომიკურ აღმავლობას პოლიტიკური ამბიციებიც სდევს თან. ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები სულ უფრო მეტად იხრება *აზია-წყნარი ოკეანის* რეგიონისკენ, სადაც მას, ალბათ, ჩინეთის შეკავება მოუწევს.

ამერიკის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში ევროპისა და ახლო აღმო-

სავლეთის როლებს ფარდობითი შემცირება ელით. ახლო აღმოსავლეთის ნავთობსა და, მით უმეტეს გაზზე, ამერიკის დამოკიდებულება ისედაც მცირეა, ხოლო არაკონვენციური, თიხაფიქლების გაზის მოპოვებაში რევოლუციური ძვრის წყალობით *(ფრეკინგი)* ამერიკა 2020 წლისათვის თვითონ გახდება გაზის მსოფლიოში უმსხვილესი ექსპორტიორი. ის უკვე ახლა ავიწროებს რუსეთის „გაზპრომს" ევროპულ ბაზრებზე.

უნიპოლარიზმის ტვირთი ამერიკისათვის ალბათ შემსუბუქდება. მაგრამ საეჭვოა, რომ მან მთლიანად თქვას უარი პოლიტიკურ ლიდერობაზე და ნებაყოფლობით დაუთმოს ის სხვა ძალას.

ახლო აღმოსავლეთი თავისი პოლიტიკური პრობლემებითურთ

საქართველოს სამხრეთით მდებარე დიდი და პოლიტიკურად რთული რეგიონის – *ახლო აღმოსავლეთის* – ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას ამ წიგნში ვერ შევეხები (ისინი განხილულია ჩემს სხვა წიგნში „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა"). მაგალითად, აქ არ მექნება საუბარი *„არაბული გაზაფხულისა"* და სირიის სამოქალაქო ომის შესახებ: ამ უკანასკნელს დასასრული არ უჩანს, სულ უფრო მწვავდება და მისმა სავარაუდო შედეგებმა შეიძლება მკვეთრად შეცვალოს გეოპოლიტიკური ვითარება ამ რეგიონში.

უკანასკნელი ორი-სამი ათწლეულის ზოგიერთი პოლიტიკური პრობლემა კი მოკლედ განსახილველია, რადგან მათ საქართველოსთან (ან ქართველებთან) ირიბი კავშირი აქვთ. ირიბი გავლენა ჩანს თუნდაც იმაში, რომ ერაყში აშშ-ის შეჭრის ცალმხრივმა გადაწყვეტილებამ ხუთი წლის შემდეგ მაგალითი მისცა რუსეთის ცალმხრივ გადაწყვეტილებას საქართველოში შეჭრის შესახებ.

* * *

1990 წლის 1 აგვისტოს *ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი თავს დაესხა მე ზობელ ქუვეითს* და სასწრაფოდ შეიერთა ის, როგორც „ერაყის მე-19 პროვინცია". ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის სრული დაპყრობა ჰიტლერისა და სტალინის შემდეგ არსად მომხდარა. ერაყის მიერ ქუვეითის ანექსირებამ მსოფლიო ისტორია თითქოს ნახევარი საუკუნით უკან დააბრუნა და ადრე არსებული, შემდგომში დაგმობილი პოლიტიკური ქცევის წესები მოგვაგონა, რომელსაც ჰიტლერი და სტალინი იყენებდნენ.

მსოფლიო შეშფოთდა. მაგრამ *შეშფოთების მიზეზი პატარა ქვეყნის მიმართ თავხედურ აგრესიაზე უფრო მნიშვნელოვანი პრაგმატული ეკონომიკური ინტერესები იყო.* გარდა იმისა, რომ ერაყმა ნავთობით მდიდარი ქუვეითი შთანთქა, საერთაშორისო საზოგადოების (უპირველესად იგულისხმება აშშ და

დასავლეთ ევროპა) შიშს აძლიერებდა მოლოდინი, რომ აგრესორი არ დაკმაყოფილდებოდა ამ შენაძენით და მისი თავდასხმის მომდევნო ობიექტი ნავთობით კიდევ უფრო მდიდარი *საუდის არაბეთი* გახდებოდა. სპარსეთის ყურის სხვა პატარა საამიროებისა და სამეფოების დაპყრობა სადამ ჰუსეინისათვის რაიმე სამხედრო სირთულეს საერთოდ არ შექმნიდა.

ასეთი განვითარება *მსოფლიოს ნავთობის მომარაგებაში მკვეთრ გადატრიალებას* გამოიწვევდა: ერთი დიქტატორის ხელში აღმოჩნდებოდა მისი მსოფლიო მარაგის ნახევარზე მეტი.

სწორედ ეს საფრთხე და არა პატარა ქვეყნის ბედი ამოძრავებდა *აშშ-ის 41-ე პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს (უფროსს)*, რომელმაც ითავა სამხედრო კოალიციის ჩამოყალიბება ქუვეითის გასათავისუფლებლად. *გადაწყვეტილების მიღების სწორი სტრატეგიისა და მოხერხებული დიპლომატიის წყალობით* ვაშინგტონმა მოკლე დროში მოახერხა მოეპოვებინა გაეროს უშიშროების საბჭოსა და მრავალი ქვეყნის, მათ შორის არაბული ქვეყნების მხარდაჭერა. მძიმე პოლიტიკურ კრიზისში მყოფი საბჭოთა კავშირი კოალიციას არ შეუერთდა, მაგრამ არ გაუწია დახმარება არც ერაყს, რომელსაც ადრე იარაღით ამარაგებდა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების ინიციატორი იყო საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი *ედუარდ შევარდნაძე*.

1991 წლის იანვარ-თებერვალში კოალიციის არმიამ, რომელშიც წამყვან როლს ამერიკის ძალები ასრულებდნენ, განახორციელა ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი", მძიმე მარცხი აგემა სადამ ჰუსეინის არმიას და გაათავისუფლა ქუვეითი. კოალიცია ღრმად შეიჭრა ერაყშიც, მაგრამ მისი სამხედრო ნაწილები ერაყის დედაქალაქ ბაღდადამდე შეგნებულად არ მისულან. *ამერიკელებს არ სურდათ, რომ ბაღდადის აღებით გამოეწვიათ ერაყის დაშლა და ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეალობების შექმნა. მათ არ სურდათ ანტიირანული ერაყის დაშლა და მის* ჩრდილოეთ ნაწილში *ქურთისტანის სახელმწიფოს* წარმოქმნა, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა *იმ დროს აშშ-ის ერთგული მოკავშირე თურქეთი.*

დამარცხებულ აგრესორს გაერომ დაუწესა ეკონომიკური და სამხედრო სანქციები, რამაც სადამ ჰუსეინის რეჟიმი საგრძნობლად დაასუსტა.

„უდაბნოს ქარიშხლის" შედეგად აშშ-ისა და მისი პრეზიდენტის, *ჯორჯ ბუშის (უფროსის)* საერთაშორისო პრესტიჟი არნახულ სიმაღლეზე ავიდა.

* * *

ერაყში წარმატებით გამოწვეული ეიფორიის ფონზე 1991 წელსვე აშშ-ის ძალისხმევით გაიმართა *მადრიდის კონფერენცია*, რომლის მაგიდასთან, *პირველად* ისრაელთან ერთად დასხდნენ არაბული ქვეყნების წარმომადგენლები. *ოეთრ სახლს* (ანუ ვაშინგტონის ადმინისტრაციას) შეექმნა *ილუზია*, რომ

გაჩნდა შესაძლებლობა, დამთავრებულიყო *ისრაელისა და არაბების ნახევარსაუკუნოვანი კონფრონტაცია,* რომელიც მსოფლიო პოლიტიკაზე ძალიან უარყოფითად აისახებოდა.

ჩანართი 32.4
ტერიტორიული პრობლემა ისრაელისა და პალესტინელ არაბთა ურთიერთობაში

1947 წლის *გაეროს* გეგმით პალესტინაში, დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიაზე, რომელიც 28 ათას კვ. კილომეტრს მოიცავდა, უნდა დამთავრებულიყო ბრიტანული მანდატის მოქმედება და იქ უნდა შექმნილიყო ებრაული და არაბული სახელმწიფოები დაახლოებით თანაბრად გაყოფილ მიწაზე (ებრაელებს ცოტა მეტი, 56 პროცენტი, ეძლეოდათ). არაბული მხარე ასეთ გაყოფას არ დაეთანხმა, რასაც ისრაელ-არაბთა 1948-49 წლის ომი მოჰყვა. ომის შედეგად ისრაელის ხელში აღმოჩნდა ტერიტორიის 78 პროცენტი. 1967 წლის „ექვსდღიანი ომის" შემდეგ „სამანდატო პალესტინის" დანარჩენი 22 პროცენტიც ისრაელმა დაიპყრო და იქამდე გაყოფილი ქ. იერუსალიმის აღმოსავლეთი ნაწილი შეიერთა. ისრაელის მიერ ოკუპირებული მდ. იორდანეს *„დასავლეთ ნაპირზე"*[64] მიმდინარეობს *კოლონიზაცია* კარგად გამაგრებული ორასზე მეტი ებრაული ახალშენის მშენებლობის გზით, რომლებიც არაბებით დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებს შორისაა ჩაჭედილი და იქ საგანგებო, მავთულხლართებით დაცული გზებია მიყვანილი. ეს ახალშენები მომავალ *პალესტინის სახელმწიფოს* (2012 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ის „არაწევრ სახელმწიფოდ" აღიარა) სულ უფრო მეტ ფართობს ართმევენ. ეს ვითარება უარესდება კიდეც, რადგან 2013 წლიდან იქეე დაგეგმილია კიდევ 6 ათასი საცხოვრებლის მშენებლობა, სადაც კიდევ სულ ცოტა 25 ათასი ებრაელი მოახალშენე დაიდებს ბინას.

ამჟამად *„დასავლეთ ნაპირზე"*, ფართობით სულ 6 ათას კვ. კილომეტრზე, ცხოვრობს ორ მილიონამდე პალესტინელი არაბი და ნახევარ მილიონამდე ებრაელი მოახალშენე, რომელთაც ერთმანეთთან პრაქტიკულად არა აქვთ მშვიდობიანი კონტაქტი.

მადრიდის კონფერენციაზე *თეთრი სახლის* ზემოხსენებული ილუზია გაფანტა *ისრაელის უდრეკმა უარმა, წასულიყო რაიმე დათმობაზე „დასავლეთ ნაპირზე"* ებრაული ახალშენების გაფართოების საკითხში. რასაკვირველია, ასეთ უარს ახლავს არგუმენტაცია ისრაელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოზიციიდან. მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ამის გამო იყო, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა *ჯეიმზ ბეიკერმა* კონფერენციის დაშლისას ისრაელის პრემიერ-მინისტრს, *იცხაკ შამირს* გაუმეორა *თეთრი სახლის* ტელეფონის ნომერი და სარკასტულად უთხრა: *„როდესაც სამშვიდობოდ სერიოზულად განეწყობით, დაგვირეკეთ".*

ვშიშობ, რომ ასეთი განწყობა დღემდე არ შექმნილა!

[64] ქართული მედია, რატომღაც, იყენებს სრულებით გაუგებარ ტერმინს „მარჯვენა სანაპირო"! *„სანაპირო"* მხოლოდ წყლისპირა ვინრო ზოლია.

პირდაპირი შედეგი – ისრაელ-პალესტინის ტერიტორიული დავის გადაწყვეტა – მადრიდის კონფერენციას არ მოჰყოლია.

სამაგიეროდ, მოკლე დროში გაორმაგდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც ცნეს ისრაელი და დაამყარეს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

იმავე პერიოდში ისრაელში მკვეთრად გაიზარდა *ებრაული ალია* (იმიგრაცია) ჯერ კიდევ (1991 წლის ბოლომდე) არსებული საბჭოთა კავშირიდან, მათ შორის, *საქართველოდან*. დამოუკიდებელმა საქართველომ და ისრაელმა დაუყოვნებლივ დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა და გახსნეს შესაბამისი საელჩოები თბილისში (1992 წ.) და თელ-ავივში (1998 წ.)

1994 წელს *ისრაელმა და იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფომ დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა ერთმანეთთან*, დაადგინეს საზღვარი და მოილაპარაკეს მდინარე იორდანეს წყლების გაყოფაზე. მეზობელი *ეგვიპტის* შემდეგ, რომელთანაც ისრაელმა დიპლომატიური ურთიერთობა 1979 წელს დაამყარა, იორდანია მეორე არაბი მეზობელი იყო, ვისთანაც ურთიერთობა მოწესრიგდა.

1993 წელს ძალაში შევიდა ე.წ. „ოსლოს შეთანხმებები", რომლითაც *ისრაელმა* და *პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ* პირდაპირი დიალოგი დაიწყეს და ახალშექმნილ *პალესტინის ადმინისტრაციას* ისრაელმა დაუქვემდებარა ადრე მისი კონტროლის ქვეშ მყოფი რამდენიმე ქალაქი, რომლებიც *„დასავლეთ ნაპირზეა"* განლაგებული, სადაც თეორიულად უნდა შექმნილიყო პალესტინის არაბული სახელმწიფო. მაგრამ იმავე *„დასავლეთ ნაპირის"* დიდი ნაწილი ისრაელმა თავის სამხედრო კონტროლქვეშ დაიტოვა (ახალშენებისათვის გამოყოფილი ფართობის ზეგით), რასაც საკუთარი სტრატეგიული საჭიროებით ასაბუთებდა.

„ოსლოს შეთანხმებებმა" დაუდგენელი დატოვა [აღმოსავლეთ] *იერუსალიმის სტატუსი (იქ არაბები დღესაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობაა) და მომავალი პალესტინის სახელმწიფოს ზუსტი საზღვრები.*

მშვიდობის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა *ტერიტორიული პრობლემის* გამო. ისრაელისა და პალესტინელ არაბთა მორიგების ყველა მცდელობა, მათ შორის, აშშ-ის პრეზიდენტების, *ბილ კლინტონისა* და *ბარაკ ობამას* (ნაკლებად – *ჯორჯ ბუშის*, უმცროსის) ჩარევითაც კი, უშედეგოა. ისრაელი ამტკიცებს, რომ პალესტინის სრული სუვერენიტეტი მას სამხედრო საფრთხეს შეუქმნის, არაბები კი ამტკიცებენ, რომ „დასავლეთ ნაპირის" 6 ათასი კვ. კილომეტრიც არ რჩებათ.

* * *

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში მსოფლიო პრობლემად გადაქცევა დაიწყო მანამდე სპორადური ხასიათის მქონე *საერთაშორისო ტერორიზმმა*.

ისლამურ სამყაროში არსებულმა ყრუ უკმაყოფილებამ დასავლეთის,

როგორც ისინი ფიქრობდნენ, *„ამპარტავნობის, თავისი ცხოვრების წესის ჩვენთვის თავზე მოხვევის, ჩვენი რესურსების მითვისების, ისრაელის ცალმხრივი მხარდაჭერის“* საბაბითა თუ მიზეზით 1990-იან წლებში გადმონთხევა დაიწყო. ეს ვლინდებოდა ტერორისტულ აქტებში, რომელთა აპოთეოზი გახდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეების მიერ მომზადებული 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე, რაზეც წინა ქვეთავში ითქვა.

მომდევნო წლებში კვლავ ახლო აღმოსავლეთისა და სხვა ისლამური ქვეყნების მოქალაქეებმა (ან იქიდან ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გადასახლებულმა ადამიანებმა) სისხლიანი ტერაქტები განახორციელეს *ლონდონში, მადრიდში, სტამბოლში,* საუდის არაბეთის დედაქალაქ *არ-რიადში* და სხვაგან.

ეს აქტები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ განმახორციელებლებს ოფიციალური მხარდაჭერა აქვთ ისლამურ სამყაროში. საქმე ზუსტად საპირისპიროდაა. ახლო აღმოსავლეთის მთავრობები ისევე ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან ტერორიზმს, როგორც *დასავლეთის* ქვეყნების მთავრობები: ტერორიზმი მათვე უქმნის საფრთხეს.

ამერიკის პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა* (უმცროსმა) „ალ-კაიდას“ დევნის საბაბით 2001 წელსვე მოამზადა და განახორციელა ნატოს ქვეყნების სამხედრო ინტერვენცია ავღანეთში, სადაც, სადაზვერვო ინფორმაციით იმალებოდა მისი ლიდერი *უსამა ბინ-ლადენი* (საბოლოოდ, ამერიკის სპეცრაზმმა მას 2012 წელს ავღანეთის მეზობელ პაკისტანში მიაგნო და იქვე გაანადგურა).

ბინ-ლადენის მოკავშირე მუსლიმი ფუნდამენტალისტების – *თალიბების* (*„თალიბ“* არაბულად „[რელიგიური სასწავლებლის] *სტუდენტს*“ ნიშნავს), ხელისუფლების გასანადგურებლად აშშ-ს, ნატოს დანარჩენი ქვეყნებისა და სხვა, 50-ზე მეტი ქვეყნის ჯარების ავღანეთში „დროებით შესვლა“ კიდევ უფრო გაიჭიმა, ვიდრე საბჭოთა ჯარების „დროებით შესვლა“ იმავე ქვეყანაში 1979 წელს (სინამდვილეში იმ „დროებითობამ“ 10 წელი გასტანა).

ISAF-ის (International Security Assistance Force) შემადგენლობაში *ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი 2012 წელს საქართველოს ჰყავდა.*

აშშ ავღანეთიდან სამხედრო ნაწილების გამოყვანას 2014 წელს გეგმავს. მაგრამ არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ ამის შემდეგ *ქაბულში* ისევ არ დაბრუნდებიან თალიბები.

* * *

2003 წლის *მარტში ერაყში შევიდნენ აშშ და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ნაწილები,* 30-მდე სხვა ქვეყნის (მათ შორის *საქართველოს*) ძირითადად სიმბოლური მხარდაჭერით. საბაბი ისევ „ტერორიზმთან ბრძოლა“ და, აგრეთვე,

„მასობრივი იარაღის წარმოების აღმოფხვრა“ იყო. ეს გაკეთდა მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა* (უმცროსმა) ვერ მოიპოვა ვერც გაეროს უშიშროების საბჭოს და ვერც ამერიკის გავლენიანი მოკავშირეების – საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის (რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთზე, ჩინეთზე, ინდოეთზე) მხარდაჭერა ერაყში ინტერვენციისათვის.

2003 წლამდე ერაყელები არ იყვნენ შემჩნეულნი საერთაშორისო ტერორიზმში, და როგორც სანდო საერთაშორისო ექსპერტებმა ჯერ კიდევ ომამდე, 2002 წლის ბოლოს დაადგინეს, ერაყში არ მიმდინარეობდა არც ერთი სახის მასობრივი განადგურების იარაღის – ბირთვულის, ბიოლოგიურის, ქიმიურის – წარმოება. შემდგომში ეს აღიარეს თვით აშშ-ის სპეცსამსახურებმაც.

ამერიკის პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა)* კი დაუჯერა მრჩევლებს, რომ ერაყში არსებობს მასობრივი განადგურების იარაღის დამზადების საფრთხე და ის „*ბოროტების ღერძის*“ ნაწილია. პარადოქსი იყო, რომ ბუშს ამ არარსებულ „ღერძში“ შეჰყავდა ერთმანეთთან მძაფრად დაპირისპირებული *ირანი და ერაყი* და უმატებდა მათ შორს მდებარე *ჩრდილოეთ კორეას*.

ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი არ იმსახურებდა არავითარ სიმპათიას: ის სასტიკად ჩაგრავდა თავის მოსახლეობას, განსაკუთრებით შიიტ არაბებსა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებ ქურთებს; რვა წლის განმავლობაში ანარმოებდა ავანტიურისტულ ომს მეზობელ ირანთან; თავს დაესხა ქუვეითს. მაგრამ რამდენი სხვა, არანაკლებ პირსისხლიანი დიქტატორი იყო (და დღესაც არის) მსოფლიოში? რატომ არ მოუნდა მათი „გამოსწორება“ ბუშს?

სიმართლეს არ შეეფერება ის ეკონომიკური მოტივაცია, რომელიც „შეთქმულების თეორიის“ მოყვარულებმა მაშინვე მოუნახეს ერაყში ამერიკელების შესვლას: *თითქოს ეს იყო ერაყის მდიდარი ნავთობსარეწების დაუფლება*. რეალურად ერაყის ნავთობის მოპოვებასა და ექსპორტს იგივე კომპანიები ეწევიან, რომლებიც ომამდეც იქ იყვნენ, ერაყის მთავრობამ მათი კონტროლიც კი გააძლიერა.

ფაქტია, რომ ერაყში ინტერვენციისა და მისი დიქტატორის დამხობის მთავარი მიზანი – გადაექციათ ეს სახელმწიფო *საიმედო პლაცდარმად ირანის წინააღმდეგ* – მიუღწეველი დარჩა.

ომის შედეგად ერაყის ხელისუფლებაში მოვიდნენ ქვეყნის უმრავლესობის, შიიტი არაბების, წარმომადგენლები, რომელთაც, ამერიკისა და ისრაელის უკმაყოფილების მიუხედავად, ნორმალური, თუ მეგობრული არა, ურთიერთობა დაამყარეს სწორედ შიიტურ *ირანთან*.

ვიცე-პრეზიდენტ *დიკ ჩეინის* ომისწინა მტკიცების დასაცავად, თითქოს შეერთებულ შტატებს ერაყში ელოდნენ, როგორც განმათავისუფლებელს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2005 წლის 12 დეკემბერს მისთვის დამახასიათებელი „არგუმენტი“ უპოვა:

„მე ვფიქრობ, ჩვენ შემოგვიპატიჟეს. მაგრამ ეს არ იყო მშვიდობიანი შემოპატიჟება" (I think we are welcomed. But it was not a peaceful welcome).

სინამდვილეში ერაყელები, მათ შორის შიიტებიც კი, მტრულად შეხვდნენ კოალიციის ჯარებს. სულ სამ კვირაში ბაღდადის აღება ბუშმა „კამპანიის დასასრულად და გამარჯვებად" გამოაცხადა. ერაყში კი კარგა ხნით მოიშალა მმართველობა, რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა სტაბილური მთავრობის შექმნა, დაიწყო პარტიზანული ბრძოლა ინტერვენტებთან. ქვეყანამ სექტარული ომის მორევში შეტოპა და საშინელმა თემთაშორისმა დაპირისპირებამ სუნიტ და შიიტ არაბებს შორის ასი ათასზე მეტი ერაყელი შეიწირა, ნახევარი მილიონი დასახიჩრდა, 1,6 მილიონი ადამიანი იძულებული გახდა სახლი მიეტოვებინა. მანამდე საპოლიციო მეთოდებით მართული, მაგრამ მოწესრიგებული ერაყი საშიშ ადგილად იქცა.

დიქტატორ *სადამ ჰუსეინის* პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებით (ერაყის სასამართლომ მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა და 2006 წლის ბოლო დღეს სიკვდილით დასაჯა კიდეც) ახლო აღმოსავლეთში შეიცვალა ბალანსი, თანაც აშშ-ისა და ისრაელის საწინააღმდეგოდ.

ინტერვენციის შედეგად სარგებელი ნახა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებმა თითქმის ოთხმა მილიონმა ქურთმა, რომელთაც ადრე სადამ ჰუსეინი სასტიკად ექცეოდა. მათ შექმნეს *ქურთისტანის* [ავტონომიური] *რეგიონი*, საკუთარი პრეზიდენტით, პარლამენტით, არმიით, სამართალდამცავი ორგანოებით, რომელიც *de facto* სახელმწიფოს უფრო ჰგავს. ოფიციალური ანკარა, რომელიც ასეთი განვითარების წინააღმდეგი იყო (თურქეთში სულ ცოტა სამჯერ მეტი ქურთი ცხოვრობს, ვიდრე ერაყში და იქაური პრეცედენტი მათთვის მაგალითის მიმცემი შეიძლება გამხდარიყო), ახლა იძულებულია შეეგუოს ამ რეალობას.

2010 წლის ბოლოს ამერიკის ჯარი საბოლოოდ გავიდა ერაყიდან.

ტაშით ის არ გაუცილებიათ.

* * *

ირანის ისლამური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ (1979 წ.) არსებობდა შიში, რომ ის შეეცდებოდა მოეხდინა *ისლამური რევოლუციის ექსპორტი* სხვა ქვეყნებში. ეს შიში არ გამართლდა, მათ შორის, არც ცენტრალური აზიისა და კავკასიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც მუსლიმური მოსახლეობა დომინირებს. მართალია, *აზერბაიჯანსა* და *საქართველოშიც* (უმთავრესად აზერბაიჯანული მოსახლეობის მქონე ქვემო ქართლში) ირანი დახმარებას უწევდა შიიტურ მოსახლეობას მეჩეთების მშენებლობასა და რელიგიურ განათლებაში, მაგრამ ამას დიდი მასშტაბი არ ჰქონია.

თუ „ცივილიზაციათა შეხლის" კონცეფციის საპირისპიროდ „ცივილიზაცი-

ათა სიახლოვის" ლოგიკას დავეყრდნობით, *ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას*, რომელიც ისტორიულად შიიტურია, მეგობრული ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. ვითარება კი საპირისპიროა.

საქმე შემდეგშია: ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციას *„აზერბაიჯანი"* ჰქვია და საუკუნეების განმავლობაში ერქვა მანამდეც, სანამ მდ. არაქსის ჩრდილოეთით, ძირითადად ყოფილი რუსეთის იმპერიის ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიების ფარგლებში, 1918 წელს შეიქმნებოდა *აზერბაიჯანის რესპუბლიკა*. ირანში ამ ტერიტორიას ისტორიულად *„არანს"* უწოდებენ, ქართულ წყაროებში ეს იყო *„რანი და შირვანი"*. როგორც ზემოთ ითქვა, არც ერთ პოლიტიკურ წარმონაქმნს იქ „აზერბაიჯანი" არ ერქვა.

მაგრამ ფაქტია, რომ მდ. არაქსის სამხრეთითა და ჩრდილოეთით თიურქული მოდგმის მონათესავე ხალხი ცხოვრობს, სარწმუნოებით უმეტესად – შიიტები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღორძინებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, *ებულფაზ ელჩიბეის* დროს, 1991-1992 წლებში, ბაქოში *აზერბაიჯანული ირედენტიზმის* იდეამ წამოიწია, რაც მრავალეროვან ირანს უქმნიდა მუქარას. ახლაც, „ორი აზერბაიჯანის" გაერთიანების იდეა პერიოდულად წამოტივტივდება ხოლმე, ჩვეულებრივ, აზერბაიჯანის მთავრობის ფორმალური მხარდაჭერის გარეშე.

საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიურ ფაქტორზე წინ პოლიტიკური მიზანშეწონილების ფაქტორი გამოდის. *მთიანი ყარაბაღის* კონფლიქტის საომარი ფაზის დროს (1988-1994) შიიტური ირანი უფრო მეტად თანაუგრძნობდა და ეკონომიკურად ეხმარებოდა *ქრისტიანულ* სომხეთს, ვიდრე *ისლამურ, თანაც შიიტურ* აზერბაიჯანს. ამ შემთხვევაში წმინდა გეოპოლიტიკური ლოგიკა მოქმედებდა.

შედარებით ლიბერალურად განწყობილი ირანის პრეზიდენტ *მოჰამედ ჰათამის* შემდეგ ამ პოსტზე 2005 წელს და განმეორებით 2009 წელს აირჩიეს ბევრად უფრო რადიკალურად განწყობილი *მაჰმუდ აჰმადინეჟადი*. მისმა რიტორიკამ მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან, ხოლო ისრაელი პოტენციურად გასანადგურებელ პოლიტიკურ ერთეულად დასახა. 2013 წელს აჰმადინეჟადს ხელახლა ვერ აირჩევენ პრეზიდენტად, მაგრამ საეჭვოა ირანის საგარეო პოლიტიკური კურსი ახალი პრეზიდენტის დროსაც შეიცვალოს.

ამერიკის ეკონომიკური სანქციები ირანის მიმართ უკვე მესამედი საუკუნეა გრძელდება. მისი ზეწოლით მიღებულ *გაეროს* სანქციებს შეუერთდნენ ევროპული კავშირი და რუსეთი (ეს უკანასკნელი – გარკვეული დათქმებით: იგი ერიდება ირანთან ხიდების სრულ დაწვას). მოსკოვი პერიოდულად გამოდის ხოლმე წინადადებით, რომ გაგრძელდეს ირანთან მოლაპარაკება, თუმცა ნათელია, რომ ირანის ბირთვული პროგრამა ამ გზით არ შეწყდება.

წმინდა იდეოლოგიური პოზიციიდან ირანსაც უჭირს დასავლეთის მიმართ

დათმობებზე წასვლა, და თუნდაც ურთიერთობათა ნორმალიზაცია აშშ-სთან, ვინაიდან ეს ჩრდილს მიაყენებს, მის, როგორც *„მსოფლიო ჰეგემონთან შეურიგებელი მებრძოლის"* იმიჯს. ასეთი ბრძოლა კი ისლამური რეჟიმის ერთ-ერთი ძირითადი იდეოლოგიური პოსტულატია.

ირანი არ მალავს, რომ ახორციელებს *ბირთვული ენერგეტიკის პროგრამას*, თუმცა აცხადებს, რომ მას მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათი აქვს. მაგრამ ირანის ბირთვული პროგრამის სამხედრო შემადგენლის ალბათობის გამორიცხვა შეუძლებელია, თუნდაც ამის დამამტკიცებელი პირდაპირი საბუთები არ არსებობდეს. გასათვალისწინებელია, რომ ბირთვული იარაღი გააჩნია ირანის იდეოლოგიურ მტერს – ისრაელს (*„სიონისტურ წარმონაქმნს"*, როგორც მას ირანში უწოდებენ).

ბუნებრივია, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ყველაზე უარყოფითადაა განწყობილი *ისრაელი*, რაც პასუხია ირანის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე.

ამავე დროს, ნათელია, რომ ამერიკას აღარ უნდა ახლო აღმოსავლეთში ახალ ომში ჩაბმა, რომელიც ბევრად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ომები ავღანეთსა და ერაყში. პრაგმატულად მოაზროვნე ამერიკელი პოლიტოლოგები თეთრ სახლს ურჩევენ, მოახდინოს ურთიერთობათა ნორმალიზაცია თეირანთან, მაგრამ უახლოეს დროში ეს ალბათ არ მოხდება.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულში მსოფლიო მასმედიაში განუწყვეტლივ ხდებოდა ვითარების დაძაბვა: ტელეარხების ქსელები ირანის ბირთვული პროგრამის აღმოსაფხვრელად მის წინააღმდეგ ისრაელისა და ამერიკის სამხედრო ოპერაციის ლამის ყოველდღიურ მოლოდინს აჩენდნენ.

იმედი მინდა გამოვთქვა, რომ ომი ირანთან არ მოხდება. ჩვენთვის ის მრავალი გაუთვალისწინებელი პრობლემის მომტანი იქნებოდა.

თავი 33

ორიოდე კითხვა დასკვნის მაგივრად

რა მომავალი აქვს დემოკრატიას საქართველოში?

1992 წლის *სამხედრო გადატრიალება* (ასე უწოდებდა მას ამ აქციის მოთავე თენგიზ კიტოვანიც) *ქართული დემოკრატიული რევოლუციის* მხოლოდ ერთ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ. ეს *რევოლუცია* დაიწყო 1989 წელს, როდესაც მოირყა საბჭოთა ტოტალიტარიზმი; *მისი დასასრული იქნება დასავლური ტიპის დემოკრატიის შეუქცევადი დამკვიდრება, რომელსაც საფუძვლად ექნება კანონის უზენაესობა და დამოუკიდებელი სასამართლო, რასაც ალბათ XXI საუკუნეში უნდა ველოდეთ.*

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XVII-XIX საუკუნეების რევოლუციებმა მყარი საფუძველი შეუქმნეს *დემოკრატიას*.

სხვა საქმეა, რომ არც ერთი დემოკრატია სრულყოფილი არ არის. უინსტონ ჩერჩილმა ერთხელ თქვა:

> „დემოკრატია არის მართვის ყველაზე უარესი ფორმა, თუ არ ჩავთვლით ყველა სხვა ფორმას, რომელთაც დროდადრო იყენებდნენ" [65].

წარმომადგენლობით დემოკრატიაში „ხალხის" შემადგენელი *ყველა* ერთეული (სხვაგვარად – ცალკეული ადამიანი) თანაბრად ბედნიერად შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს. მაგრამ, ბევრი ნაკლის მიუხედავად, დემოკრატიაზე უკეთესი ჯერ არაფერი შექმნილა.

საქართველოში რეალური დემოკრატიის დაფუძნება გართულდა. ვერც ეროვნულმა მოძრაობამ, ვერც „გვიანი შევარდნაძის ეპოქამ" და ვერც „ვარდების რევოლუციამ" *სამართლებრივი სახელმწიფო* ვერ შექმნეს. მაგრამ მათ ობიექტურად ხელი შეუწყვეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, რომელიც XXI საუკუნეში ასეთ სახელწიფოს შექმნის.

---

[65] ამ სიტყვებს ხშირად იმოწმებენ. ამიტომაც მომყავს სრული ციტატა 1947 წლის 11 ნოემბერს თემთა პალატაში ჩერჩილის გამოსვლიდან: „No one pretends that democracy is perfect or all-wise. Indeed, it has been said that democracy is the worst form of Government except all those other forms that have been tried from time to time".

ჩანართი 33.1
შედარება ერთ უცხოურ რევოლუციასთან

XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთი იმდროინდელი შეფასების პარაფრაზირება რომ მოვახდინოთ: *„რევოლუციას ამზადებენ ფილოსოფოსები, ახორციელებენ ჯალათები, ხოლო მისი შედეგებით სარგებლობენ ვიგინდარები“*.

ეს შეფასება საქართველოსაც მიესადაგება. ჩვენც გვყავდა შინ გაზრდილი „ფილოსოფოსები“, „ჯალათები“ და უხვად – „ვიგინდარები“.

1988 წლიდან, როდესაც საქართველოში ეროვნული აღმავლობა დაიწყო, მის სათავეში იდგა ჰუმანიტარული ინტელიგენცია (პირობითად – *„ფილოსოფოსები“*), რომელიც დიდი ხნით ადრე ამზადებდა ხალხს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის და, როგორც გვეგონა, *დემოკრატიისათვის*. ამავე კატეგორიას ეკუთვნოდა ფილოლოგი და მწერალი, *პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც*, რომელიც რევოლუციის ერთ-ერთი საწყისი ეტაპის – 1990 წლის საპარლამენტო არჩევნების – გამარჯვებული იყო. მართალია, შემდგომში ის ტირანიას უყრიდა საფუძველს, რაც რევოლუციების საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი მოვლენაა (გავიხსენოთ *ოლივერ კრომველი, მაქსიმილიან რობესპიერი*), მაგრამ ჯალათობამდე ნამდვილად არ მისულა.

ქართული რევოლუციის მორიგი კულმინაცია იყო 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი *სამხედრო გადატრიალება*, რომელიც *„ჯალათებმა“* მოაწყვეს: ამის მაგალითებია 1992 წლის დასაწყისში თბილისელი ზვიადისტების დემონსტრაციების დახვრეტა, „მხედრიონის“ თარეში სამეგრელოში. მათვე გაახანგრძლივეს სამოქალაქო ომები, მათ შორის აფხაზეთში მისი გადატანით.

მალევე დადგა *„ვიგინდარების“* ხანა, რომელთაც დაიწყეს საქართველოს სახელმწიფო ქონების დატაცება. ვიგინდარების შემადგენლობა შეიძლება იცვლებოდეს. სახელმწიფო ქონების დატაცება კარგად ორგანიზებული „პრივატიზაციის“ ფსევდონიმით 2012 წლამდე გრძელდებოდა.

განვითარდება თუ არა დემოკრატია საქართველოში? მხედველობაში მაქვს მისი რეალური, ანუ „დასავლურ-ლიბერალური“ ვარიანტი და არა რაღაც სუროგატები, ვთქვათ, „სოციალისტური დემოკრატიისა“ ან „სუვერენული დემოკრატიის“ სახით.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისევე რთულია, როგორც ცალსახა პასუხის მონახვა კითხვაზე – რა არის დემოკრატია?

ზოგს შეიძლება ასეთი კონტრკითხვაც კი გაუჩნდეს: გვჭირდება კი დემოკრატია? ბევრ სოციოლოგიურ გამოკითხვაში კითხვაზე: *„რა არის, თქვენი აზრით, დემოკრატია?“* – საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეს არის მატერიალური კეთილდღეობა ყველასათვის, სოციალური სამართლიანობა და ა.შ.

აქ მინდა მოვიყვანო სხვა „სკეპტიკოსის“, ესპანელი მწერლის მიგელ დე უნამუნოს მოსაზრება:

> „მართალი გითხრა, დიდად არ ვარ აღფრთოვანებული ამ დემოკრატიებით. მაგრამ ახლა ეს უკვე გარდუვალია, როგორც ვხედავ. დემოკრატია, რაღაცნაირად ომსაცა ჰგავს, ცივილიზაციასაც, ანდა თვით არსებობასაც კი!... რაღაც გარდუვალი ბოროტებაა და ეგ არის; ან უნდა აღიარო, ან არადა, დაი-

> ღუპო. დემოკრატია გაცილებით მეტ ვალდებულებებსა და მოთხოვნილებებს გვიყენებს, ვიდრე პრივილეგიებსა და უფლებებს გვიწყალობებს. პირველი, რასაც იგი გვაკისრებს, არის ჩვენივე დაინტერესება და ჩვენივე მონაწილეობა საზოგადოებრივ სქემაში, რასაც respublika-ს ვუწოდებთ".

ერთი შეხედვით, ეკონომიკური პროგრესისათვის და ხალხის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სულაც არაა საჭირო დემოკრატია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სადაც დემოკრატია არ არსებობს, ეკონომიკურად სწრაფად ვითარდება, მოსახლეობის უმრავლესობაც, ყოველ შემთხვევაში, დღემდე, უკმაყოფილებას იქ არ (უფრო – ვერ!) გამოხატავს.

იმისათვის, რომ მკითხველმა იცოდეს, თუ რა ტიპის *დემოკრატიას ვემხრობი*, მოვიყვან ციტატას ცნობილი ინგლისელი მწერლის, *ედვარდ მორგან ფორსტერის* ერთი ესსედან:

> „დემოკრატია არ ქმნის ადამიანების იმ თავისებურ ტიპს, რომელსაც ჩვენ დიდ ადამიანებს ვუწოდებთ. ის ქმნის სხვადასხვა სახის უბრალო ადამიანებს, რაც გაცილებით დიდი მიღწევაა. დიდი ადამიანები გარშემო ერთფეროვნების უდაბნოს და, ხშირად, სისხლის ზღვასაც კი ქმნიან. დემოკრატია გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ პიროვნება ძვირფასია თავისთავად და რომ ცივილიზაცია იქმნება სხვადასხვანაირი ადამიანების ჯამისაგან. იგი არ ყოფს მოქალაქეებს ბელადებად და მათ მიმდევრებად. მე ყველაზე მეტად ვაფასებ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ შექმნან ან აღმოაჩინონ რაღაც ახალი და არ მიისწრაფვიან ძალაუფლებისაკენ. ასეთ ხალხს დემოკრატია მეტ შანსს აძლევს წარმატებისათვის, ვიდრე რომელიმე სხვა სისტემა".

მართალია, *ფორსტერის* აზრი უფრო რომანტიკული ჩანს, ვიდრე რეალისტური, მაგრამ მაინც არსებობს ქვეყნების ჯგუფი, ძირითადად ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც დემოკრატია ადამიანს აძლევს შანსს, იყოს *ადამიანი*, სადაც ადამიანებს რეალურად შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ პოლიტიკურ პროცესზე.

რიგ ქვეყნებში კი დემოკრატიაზე მხოლოდ ლაპარაკობენ, თანაც სწორედ ის „დიდი ადამიანები", რომელთაც დემოკრატია წესით არ უნდა ქმნიდეს. სამწუხაროდ, ამ ქვეყნების ჯგუფში შევიდა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი თითქმის ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც.

ფაქტია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ ვერ ამოქმედდა დემოკრატიის მთავარი მექანიზმი – *არჩევნების გ ზით, სახელმწიფო სისტემის შეუცვლელად ხელმძღვანელობის მშვიდობიანი შეცვლა.*

რუსეთში, ბელარუსში, ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიაში ყველგან *შეუცვლელი ლიდერები* გაჩნდნენ. ხელმძღვანელი თუ იცვლება, ის იმავე რეჟიმის მიერ შობილი პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც ძალაუფლებაში მოსვლისთანავე, თავისი წინამორბედის მსგავსად, დაეუფლება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელსაც პირად ანგარიშად განიხილავს.

სხვა (ასევე არადემოკრატიული) ვარიანტია – *ძალაუფლების მშვიდობიანად*

გადაცემა რეჟიმის მიერვე წინასწარ შერჩეული *„საიმედო მემკვიდრისათვის“*: ამის საუკეთესო მაგალითებია რუსეთი – 2000, 2008 და 2012 წლებში, აზერბაიჯანი – 2003 წელს, სომხეთი – 2008 წელს.

ერთი სიტყვით, *დემოკრატიის დროშა* ფრიალებს მხოლოდ დასავლეთიდან მომზირალი თვალის ასახვევად, რომელსაც, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, ხშირად თვითონვე ურჩევნია თავი მოიტყუოს.

საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმა დაარღვია ეს სტერეოტიპი და 2012 წელს, პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში (ბალტიის, უკრაინისა და მოლდოვას გარეშე) შეცვალა ხელისუფლებაში მყარად „მომჯდარი“ პარტია, რომელიც ძალიან ეფექტიანად ახდენდა დასავლეთის წინაშე „დემოკრატიის“ იმიტაციას. ამავე დროს, სწორედ იმიტომ, რომ „კონკურენტული ავტორიტარიზმის“ რეჟიმს უხდებოდა გახედვა დასავლეთისაკენ, მის წინაშე კეკლუცობა, ის „საკმარისად ხისტი“ ვერ აღმოჩნდა.

„ქართული პრეცედენტის“ გაზიარებას შეეცდებიან სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ოპოზიციონერებიც. ვშიშობ, რომ იქაური ავტორიტარული რეჟიმები უფრო სწრაფად იმოქმედებენ, გაითვალისწინებენ „ნაცმოძრაობის“ შეცდომებს და კიდევ უფრო ჩაიკეტებიან „დასავლეთის მავნე ზეგავლენის“ წინააღმდეგ. ჩვენი გამოცდილება უნივერსალური შეიძლება არ გამოდგეს. თუმცა, ვინ იცის?

ჩვენ რაც შეგვეხება, არ უნდა დავუცადოთ სხვა ქვეყნებს, არ უნდა გავუშვათ ხელიდან დემოკრატიზაციის გზაზე მოპოვებული გამარჯვება და არ დავუშვათ დაბრუნება ავტორიტარიზმისა და უსამართლობის ჭაობში.

რას გაიხსენებს შთამომავლობა?

XX საუკუნის დამდეგს ვერც ერთი პროგნოზისტი ან ფანტასტი ვერ წარმოიდგენდა მომდევნო ასი წლის განმავლობაში ატომური ბომბის, მობილური ტელეფონის, ან ინტერნეტის შექმნას. ვერ წარმოიდგენდნენ ორ უსასტიკეს *მსოფლიო ომს* საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში, თუნდაც იმდროინდელ დიპლომატებსა და განსაკუთრებით შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ 1910-იანი წლების დამდეგს ევარაუდათ *დიდი ევროპული ომი*. ურთიერთობა დიდ სახელმწიფოთა სამხედრო კავშირებს შორის სულ უფრო იძაბებოდა, მიმდინარეობდა გამალებული შეიარაღება.

თუმცა არსებობს რომაული შეგონება, *si vis pacem, para bellum* (თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისათვის), მაგრამ დიდძალი შეიარაღება ომის დაწყების ცდუნება უფროა, ვიდრე მისი შემაკავებელი ფაქტორი. ბირთვული იარაღის შექმნამდე ეს მართლაც ასე იყო. საუკუნის მეორე ნახევარში ბირთვული

იარაღის წყალობით წარმოშობილი „შიშის ბალანსი" მშვიდობის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. რამდენ ხანს გაგრძელდება ასე? არავინ იცის.

არსებობს ხალხი, მე თვითონ ბევრ ასეთს შევხვედრივარ, რომელთაც გულწრფელად სჯერათ შექმულების თეორიისა, რომ მსოფლიოს მართავენ რაღაც მჭიდროდ შეკრული ჯგუფები (მასონები, ებრაელები, ზოგადად, ოლიგარქები, მაფია, ამერიკელი იმპერიალისტები, საბჭოთა კომუნისტები და ა.შ.), რომელთაც ყველასა და ყველაფრის დაქვემდებარების მზაკვრული გეგმა აქვთ.

სინამდვილეში, ასეთი გეგმები რომც არსებობდეს, ისინი განუხორციელებელია. მსოფლიოს მართვა შეუძლებელია. დღეს მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს – აშშ-ს უბრალოდ უხდება პასუხის გაცემა გამოწვევებზე, რომლებიც მსოფლიოში ჩნდება და არა პრობლემების მართვა.

ადრეც ასე იყო. ზესახელმწიფოების ლიდერები რაღაცას გეგმავდნენ, მაგრამ მოვლენების განვითარება გეგმებს ყოველთვის რევდა და მათ მხოლოდ რეაქცია უხდებოდათ სტიქიურად მიმდინარე პროცესებზე. ისტორია სავსეა ასეთი ტრაგიკულად დამთავრებული „გეგმებით". მაგალითად, პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია მრავალი ობიექტური და, არცთუ ცოტა სუბიექტური ფაქტორით გამოწვეული პრობლემების სტიქიურმა დახროვებამ და იმ ოთხივე იმპერიის დამხობით დამთავდა, რომელთა დედაქალაქებში „მზაკვრული გეგმები" დგებოდა. მეორე მსოფლიო ომი ბერლინში „დაიგეგმა" და ბერლინის დანგრევით დამთავრდა. კრემლში სახელმწიფოს რეფორმირებას („პერესტროიკას") გეგმავდნენ და სანაცვლოდ მისი დაშლა მიიღეს. ამ წიგნში შეეცადე ასეთი მოვლენები ამეხსნა.

როდესაც უკან, წარსულში ვიხედებით, რაც უფრო შორსაა იგი, მით მეტია განზოგადება – *დროითი მასშტაბი თანდათან მცირდება* და გვახსოვს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი (ჩვენი პოზიციიდან). ჩინელები ძვ. წ. V საუკუნეს კონფუციუსთან დააკავშირებენ; ბერძნები იმავე საუკუნეს – სპარსელებთან ნარმატებულ ომთან; ევროპელები ახ. წ. V საუკუნეში რომის იმპერიის დაღუპვას გაიხსენებენ. ამ დროს კი თითოეული საუკუნის ასწლეულის განმავლობაში უამრავი სხვა მოვლენაც ხდებოდა.

XX საუკუნის რა მოვლენებს გაიხსენებენ საშუალო განათლების მქონე ადამიანები (ან უმაღლესი განათლების მქონე არაისტორიკოსები) ასიოდე წლის შემდეგ, ვთქვათ, XXII საუკუნის დამდეგს?

ალბათ ორ მსოფლიო ომს, დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, ბირთვული იარაღის შექმნას, „ცივ ომს", კომუნისტურ ექსპერიმენტს, რუსეთის ორჯერ დაშლას (1918 და 1991 წლებში).

მაგრამ კიდევ უფრო შორეულ მომავალში, ვთქვათ, XXV საუკუნეში, ხედი XX საუკუნეზე დავიწროვდება: მომავლის ომები დაჩრდილავს XX საუკუნის მსოფლიო ომებს და იმ საუკუნეს ალბათ მხოლოდ *ინტერნეტის შექმნითა*

და *მთვარეზე ადამიანის პირველად გადასვლით* თუ გაიხსენებენ. ამჟამად მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა ხომ უკავშირებს 500 წლის წინანდელ XV საუკუნეს მხოლოდ *კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას*, ხოლო ცოტა უფრო განათლებულები – *გუტენბერგის მიერ წიგნის ბეჭდვის დაწყებას?* XV საუკუნის სისხლისმღვრელი ომები სპეციალისტების მეტს არავის მოაგონდება.

რა გაახსენდებათ XXI საუკუნის შესახებ იმავე XXV საუკუნეში, ახლა ვერავინ იტყვის: ამ საუკუნის თითქმის 9/10 კაცობრიობას ჯერ კიდევ გასაველელი აქვს. იქნებ გლობალურ დათბობას, რასაც მსოფლიო ოკეანის დონის ამაღლება მოჰყვება?

XX საუკუნეში და XXI საუკუნის დასაწყისში, ისევე როგორც ყოველთვის, ხდებოდა მოვლენები, რომელთათვისაც ცალსახა შეფასების მიცემა შეუძლებელია. ყველა მოვლენასა და პროცესს ჰქონდა და აქვს, სულ ცოტა, ორი მხარე, და იმის განსაზღვრა, თუ რომელია მათ შორის „უფრო თეთრი“ ან „უფრო შავი“, ხშირად დამოკიდებულია შემფასებლის გემოვნებაზე.

ამ წიგნში ხანდახან ჩემს თავზე ვიღებდი „შემფასებლის“ როლს, მაგრამ ყოველთვის ვეჭვობდი – ხომ არ ვარ ზედმეტად სუბიექტური?

ერთი რამ ნათელია: XX საუკუნეში საქართველომ მიაღწია საუკუნეების განმავლობაში ნანატრ დამოუკიდებლობას. მიუხედავად გარეშე მტრისა და შიგნით, ჩვენ მიერვე შექმნილი გართულებებისა, ის ბოლოს და ბოლოს, ჩადგა მსოფლიოს თანასწორი ერების (ნაციების) რიგში. განვლილი საუკუნის ყველაზე დიდ მიღწევად ქართველებისათვის ეს მიმაჩნია.

შთამომავლობას ეს არ დაავიწყდება.

რა როლს ასრულებს კლიო?

წიგნი მინდა დავამთავრო მოსალოდნელი რიტორიკული კითხვით და მასზე ასეთივე პასუხი გავცე.

მკითხველმა, თუკი მას გააღიზიანებს ავტორის პოზიცია, შეიძლება იკითხოს: *„რა უფლება აქვს ერთ ადამიანს, უბრალო მოკვდავს, ილაპარაკოს ისტორიის სახელით?“*

პასუხი ასეთი მექნება:

ისტორიის უკვდავი მუზა – *კლიო* (ძველი ბერძნები მას ქალის სახით წარმოადგენდნენ, ისევე როგორც რვა სხვა მუზას, რაც ზოგიერთმა თანამედროვემ შეიძლება *გენდერულ უთანასწორობად* მიიჩნიოს!) – თავისი სახელით არ აქვეყნებს შრომებს და არც ვერდიქტს იძლევა წარსულში მომხდარი მოვლენებისა თუ ჩადენილი ქმედებების შესაფასებლად.

მაგრამ *კლიო* ატარებს ისტორიკოსის კალამს ქაღალდზე, ან, თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით, თითებს – კომპიუტერის კლავიატურაზე.

ისტორიკოსი კი, ეს მოკვდავი ადამიანი, კითხულობს წყაროებს, რომლებიც ახლა უამრავია: არის გაზეთები, ინტერნეტი... თუკი ქვებს შეუძლიათ ღაღადი, არანაკლებ შეუძლიათ ეს ქაღალდსა და ელექტრომატარებლებზე გადატანილ დოკუმენტებს და, უბრალოდ, თვალნათელ ფაქტებს.

ბოლოს და ბოლოს, არსებობს და იარსებებს საღი გონება!

ისტორიკოსი აანალიზებს წარსულის ამბებს, პოულობს სხვებისათვის უხილავ კავშირებს მათ შორის და ლაპარაკობს ისტორიის სახელით.

კლიო მას მხოლოდ შთაგონებას ანიჭებს.

გამოყენებული ლიტერატურის სია

აბაშიძე, ზურაბ

– *ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისკენ.* თბილისი [გამომცემლობის მითითების გარეშე] 2000

– *დანგრეული კედლის ჩრდილში: 1990-1999.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012

ავალიშვილი, ზურაბ. *საქართველოს დამოუკიდებლობა.* (თარგმანი რუსულიდან). თბილისი [გამომცემლობის მითითების გარეშე], 1929

ალექსიძე, ლევან. *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.* თბილისი: ნეკერი. 1994

გამსახურდია, ზვიად. *წერილები, ესსეები.* თბილისი: ხელოვნება, 1991

გაჩეჩილაძე, რევაზ

– *ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა* (მესამე გადამუშავებული გამოცემა). თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011

– *მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.* თბილისი: გაეროს განვითარების (საქართველო) პროგრამა. 1997

– *საქართველოს სოციალური ატლასი.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრი, 1989 [დეპონ. საქართველოს ტექნ. ინფორ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 268 გვ. 29.03.1990]

გვასალია, ცირა. *მადნეული – იაფი საგანძური.* ლიბერალი, 19-25 ნოემბერი, 2012.

გიგინეიშვილი, ოთარ. *თურქი ზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა.* თბილისი: ცოდნა, 1963

გოგებაშვილი, იაკობ. *ბუნების კარი მესამე და მეოთხე წლისათვის.* ოცდამეერთე გამოცემა. თბილისი: მსწრაფლ.-მბეჭდ. ს. ლოსაბერიძისა, 1912

გოგოსაშვილი, ირინე. რეზო ამაშუკელი დუმილს არღვევს და ხელისუფლებასთან შეკრულ პოლიტიკოსებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს ამხელს! *„საერთო გაზეთი“,* 15 სექტემბერი, 2010

გუგუშვილი, ბესარიონ. დაბეჭდეთ ეს და თუ შეუძლია, გასცეს კოკომ ამ კითხვებზე პასუხი. *„ასავალ-დასავალი“,* 2-8 აგვისტო, 2010

გუჩუა, ზურაბ. ჩვენი მთავარი დანაშაული ის არის, რომ ცოცხლები გადავრჩით და მორჩილად დაველოდებით 'წმინდანთაგან' პირველი ქვის გამოსროლას. *„ასავალ-დასავალი“,* 19-25 ივლისი, 2010

დავითაშვილი, ზურაბ. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: მეცნიერება, 2003

ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში). მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ჯაბა სამუშიამ. თბილისი: არტანუჯი, 2005

თბილისი. ენციკლოპედია. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. 2002

თოიძე, ლევან. *ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც: რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის.* თბილისი: ივერთა მხარე, 1991

ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი (შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გოჩა ჯაფარიძისა). თბილისი: ნეკერი, 1999

იუსტიციის სახლის დეფექტები. *კვირის პალიტრა*, 22-28 აპრილი, 2013

კეკელია, ჯანსუღ. *საქართველოს ტერიტორია და საზღვრები.* თბილისი [გამომცემლობის მითითების გარეშე], 1996

ლორთქიფანიძე, მარიამ. *ჩემი გზა: ზოგი რამ, რაც გამახსენდა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა [2007]

მამაცაშვილი, გიორგი. ედუარდ შევარდნაძის „დაკითხვის ოქმი". *„ასაჯალ-დასაჯალი"*, 21-27 თებერვალი, 2011

მამრაძე, პეტრე. ავანტიურა 08.08.08. თბილისი: *პალიტრა L*, 2012

მოსახლეობის რიცხოვნობა, სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა, ქორწინება და განქორწინება. თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკის საინფორმაციო საგამომცემლო ცენტრი, 1990

მელაძე, გიორგი. *საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები.* თბილისი: უნივერსალი, 2013

ნათმელაძე, მაყვალა. *დემოგრაფიული პროცესები 1940-იანი წლების საქართველოში (თურქებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების დეპორტაცია საქართველოდან 1941-1951 წლებში).* თბილისი: მეცნიერება, 1993

ნოდია, გია (რედ.). *სოციალური პოლიტიკა, 4: ძველი ინტელიგენცია და ახალი ინტელექტუალები,* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002

უამთააღმწერელი. *ასწლოვანი მატიანე.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1987

რამიშვილი, აკაკი. *ჩვენი შეცდომები: 1918-1921.* თბილისი: მესამე ასაკი, 2000

რონდელი, ალექსანდრე

– პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. მეორე, განახლებული გამოცემა. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2009

– საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1977

საგადასახადო ამნისტია ტელეკომპანიებისათვის: ახალი მონაცემები სახელისუფლებო მედიის ფინანსირების სქემებს ააშკარავებს. *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"*, 11 თებერვალი, 2013

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. სტრატეგიის განაცხადი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2005

სამუშია, ჯაბა. სააკაშვილი დედამისს კარგად არ უსმენს, თორემ ამდენ შეცდომას არ დაუშვებდა. *„კვირის პალიტრა"*, 15 ნოემბერი, 2010

საქართველოს კომერციული ბანკები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ. *Interpressnews*. 21 დეკემბერი, 2012

საქართველოს ისტორია: XX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა – არტანუჯი. 2003

საქართველოს კონსტიტუცია. სახელმწიფოს უზენაესი კანონი. მიღებულია 1995 წ. 24 აგვისტოს. თბილისი: პრესა, 1995

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2003

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (1989 წ.) სტატისტიკური კრებული. თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, 1991

საქართველო ციფრებში 1990 წ. თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, 1991

საქართველოს სახელმწიფო გადატრიალების წლისთავისათვის: საუბარი თენგიზ კიტოვანთან. *„იბერია-სპექტრი"*, 29 დეკემბერი, 1992

სტალინი, იოსებ. *პირველი ხუთწლედის შედეგები.* მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და ცენტრ. საკონტ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წ. 7 იანვარს. თბილისი: სახელგამი, 1938

ტრეტიაკოვი, ვიტალი (ინტერვიუ). რატომ არის გარდაუვალი დიდი კავკასიური ომი. *„თბილისელები"*, 1 სექტემბერი, 2009

უნამუნო, მიგელ დე. დროისა და სივრცის მიღმა (ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ). *„მნათობი"*, №1 2006, გვ. 103

ფიცხელაური, ნანა. რომელი მნიშვნელოვანი ობიექტები გაყიდა კახა ბენდუქიძემ. *„ყველა სიახლე"* , 24 მარტი 2013

ფონ კრამონი, ვიოლა. სამწუხაროდ, საკაშვილი უარს ამბობს ახალ ხელისუფლებასთან პრაგმატულ კოჰაბიტაციაზე. *Interpressnews*, 8 აპრილი, 2013

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან (სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა). თბილისი: საზოგადოება „ცოდნა", 1991

ქიქოძე, გერონტი. *ეროვნული ენერგია.* თბილისი [გამომცემლობის მითითების გარეშე], 1919

შევარდნაძე, ედუარდ. *ფიქრი წარსულსა და მომავალზე: მემუარები.* თბილისი: პალიტრა L, 2006

წერეთელი, მამუკა. მითი და რეალობა: საქართველოს საგარეო ურთიერთობები. *Interpresnews*, 25 თებერვალი, 2013

წულაძე, გიორგი, ნიკა მაღლაფერიძე, ალექსანდრე ვადაჭკორია. *საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2000.* თბილისი: [საქ. მეცნ.აკად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი], 2001

ჯორჯაძე, არჩილ. *წერილები.* თბილისი: მერანი, 1989

Александрова, Анна. *Международный туризм.* Москва: Кнорус, 2010

Алилуева, Светлана. *Двадцать писем к другу.* Москва: Вся Москва, 1989

Анчабадзе, Зураб. *Очерк этнической истории абхазского народа.* Сухуми: Алашара, 1976

Аракелян, Гензел. Нжде и Мясникян. *„Новое время"*, 26 мая, 2005

Армянский вопрос. *Энциклопедия.* Ереван: Главная редакция Армянской Энциклопедии, 1991

Артамонов, А. К. *Северный Азербайджан: военно-географический очерк.* Тифлисская типография канцелярии главноначальствующего гражданской частью на Кавказе, 1890

Аристотель. *Собрание сочинений в 4-х томах.* Том 4. Москва: Мысль, 1984

Аудитор: деньги США в Ираке потрачены впустую. *bbcrussian.com.* 7 марта 2013

Бажанов, Борис. Сталин с близкого расстояния. *„Альтернативы"*, № 4, 2009

Барсегов, Юрий. Сталин и Армянский вопрос. *„Голос Армении"* 23 декабря, 2006

Безыменский, Лев. *Гитлер и Сталин перед схваткой.* Москва: Вече, 2002

Бердяев, Николай. Истоки и смысл русского коммунизма. *„Юность"*. № 11, 1989

Бескровный, Л. Г. Производство вооружений и боеприпасов для армии в России в период империализма (1898-1917). *Исторические записки,* No 99. Москва: Наука, 1977

Бзежински, Збигнев. *Большой провал: рождение и смерть коммунизма в двадцатом веке.* New York: Liberty Publishing House, 1989

Бокль, Генри Томас. *История цивилизации в Англии,* [перевод А. Н. Буйнацкого], С.-Петербург: Типография Ю. Н. Эглих, 1906

Бушуев, Валерий. *Свет и тени: от Ленина до Путина. Заметки о развилках и персонах российской истории.* Москва: Культурная революция, 2006

Бывшего президента Германии Вульфа обвиняют в коррупции. *BBC Russian.* 13 April, 2013.

Величко, Василий. *Полное собрание сочинений.* Том I. С.-Петербург: Издание М. Д. Муратовой, 1904

Витте, Сергей. *Воспоминания-мемуары.* Т. I&II, Минск-Москва: Харвест-АСТ, 2001

Вклад Польши и поляков в победу союзников во II мировой войне. Варшава: МИД Польши [გამომცემლობის და გამოცემის წლის მითითების გარეშე]

Во Франции судят Жака Ширака по обвинению в коррупции. *bbcrussian.com.* 7 марта 2011 г

Волкова, Наталия. *Этнонимы и племенные названия Северного Кавказа.* Москва: Наука, 1973

Гачечиладзе, Реваз

– Многопартийные выборы в Грузии. *„Социологические исследования"* [Москва] № 5, 1991

– Правда о грузинской зиме. *„Социологические исследования"* [Москва], № 8, 1992

– *Турция.* Москва: Мысль, 1983

Геворкян, Зара. „Огромное значение приобретает изучение официальных турецких документов": считает директор Института востоковедения НАН РА Рубен Сафрастян. *„Голос Армении"*, 24 апреля 2007

[Генерал] Куликов: *СССР дважды не использовал шанс ликвидировать Гитлера* http://www.rian.ru/society/20100525/238407404.html

Готлиб, В. В. *Тайная дипломатия во время первой мировой войны* (перевод с английского). Москва: Соцэкгиз, 1960.

Дерябин, Юрий. Преступники или жертвы: новые споры о прошлом. В Финляндии многие хотят реабилитировать политиков, осужденных за вовлечение страны в войну на стороне гитлеровской Германии. *„Независимая газета"*, 23 ноября, 2005

Джаошвили, Вахтанг. *Население Грузии.* Тбилиси: Мецниереба, 1968

Диасамидзе, Тамаз (ред.). *Региональные конфликты в Грузии – Юго-Осетинская область, Абхазская АССР (1989-2001). Сборник политико-правовых актов.* Второе, дополненное издание. Тбилиси: Центр по исследованию регионализма. Тбилиси, 2005

Дипломатический словарь в трех томах. Четвертое издание. Москва: Наука. 1985

Древнекитайская философия. Собрание текстов в двух томах. Том 1. Москва:. Мысль. 1972,

Дрюон, Морис. *Сильные мира сего* (перевод с французского). Москва: Политиздат, 1991

Еремеев, Дмитрий. *На стыке Европы и Азии: очерки о Турции и турках.* Москва: Наука, 1980

Иванишвили назвал Олимпиаду в Сочи поводом для восстановления отношений с Россией. *ИТАР-ТАСС*, 24 декабря 2012,

Из истории армяно-грузинских отношений. 1918 год. (Пограничные конфликты; переговоры; война; соглашение). Тифлис: государственная типография, 1919

Из истории иностранной интервенции в Армении в 1918 году (Документы и материалы). Ереван: Изд-во Ереванского университета, 1970

История Абхазской АССР (1917-1937). Сухуми: Алашара, 1983

История Азербайджана по документам и публикациям. Под редакцией академика З. М. Буниятова. Баку: Элм, 1990

История Азербайджана в трех томах. Т. 3, часть 1. Баку: Изд-во АН АзССР, 1963

История внешней политики СССР 1917-1985. В двух томах. Изд. пятое, переработанное. Под редакцией А. А. Громыко, Б. Н. Пономарева. Москва: Наука, 1986

История дипломатии. Т. II; Т. III, Москва: Политиздат, 1963, 1965

История России: XX век. Под редакцией В.П. Дмитренко. Москва: АСТ, 2001

История России. Учебный курс. Под редакцией Г. Н. Сердюкова. Москва – Ростов-на-Дону: МарТ. 2004

Итоги Всесоюзной переписи населения 1989 года по Армянской ССР. Ереван: Госкомстат Республики Армения, 1991

Итоги Второй мировой войны. Сборник статей. Перевод с немецкого. Москва: Изд-во иностранной литературы. 1957

Ишханян, Б. *Великие ужасы в г. Баку. Анкетное исследование сентябрьских событий 1918 г.* Тифлис, [გამომცემლობის მითითების გარეშე], 1920

Кавказский календарь. Тифлис, [გამომცემლობის მითითების გარეშე], 1906; 1910; 1913

Казанджян, Рем

– Еще раз к вопросу о подписании Россией в 1921 г. русско-турецкого договора: в свете бывших секретных документов московских архивов. *„Туркологические и османистические исследования"*, Ереван, 2006 стр. 130-146

– Советско-кемалистские отношения в 1920 г. и вопрос Армении в свете секретных документов московских архивов. *„Страны Ближнего и Среднего Востока", XXI*, [Ереван], 2002

Катынский музей. Отдел Музея Войска Польского в Варшаве. Варшава, 2004

Козлов, Виктор. *Национальности СССР (этнодемографический обзор).* Москва: Статистика, 1975

Коппитерс, Бруно, Ник Фоушин, Рубен Апресян (ред-ы). *Нравственные ограничения войны: проблемы и примеры* (в пер.). Москва: Гардарики, 2002

Кречетников, Артем

– *Трофейная Германия.* http://news.bbc.co.uk/go/pr/fr/-/hi/russian/russia/news-id-6634000/6634155.stm 08.05.2007

– *„Садовый шланг" Франклина Рузвельта.* http://news.bbc.co.uk/go/pr/fr/-/hi/russian/ russia/ newsid-6248000/ 6248720. stm 29.06.2007

– Зачем Сталин заключил союз с нацистами? *bbcrussian.com.* 19 августа 2009 г.

Жидков, Спартак. *Бросок Малой Империи.* [Майкоп, 1994]

Лаврова, Татьяна. *Черноморские проливы (исторический очерк).* Ростов-на-Дону [გამომცემლობის მითითების გარეშე], 1997

Левин, Леонид. *Танки РККА: мифы и реалии.* „Красная Звезда", 25 Марта, 2006

Ленин, Владимир

– *Полное собрание сочинений.* 5-ое издание. Том 31, Москва: Политиздат, 1981

– *Последние письма и статьи.* Москва: Политиздат, 1987

Маркедонов, Сергей: Процесс пошел http://www.vz.ru/news/2012/12/17/612240. html

Мартынов, Андрей. Японский городовой против кузькиной матери. Еще одна попытка обвинить мировую закулису в российских бедах. *„Независимая газета"*, 24 ноября, 2005

[Медведев о войне с Грузией] http://www.grani.ru/Politics/Russia/m.193273.phtml.

Мелик-Шахназарян, Левон. *Характер армянского народа.* Ереван: Тираст, 1999

Ментешашвили, Автандил. *Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии.* Тбилиси [типография Тбилисского университета], 1998

Москва дешево вооружает Армению для баланса с Азербайджаном. *„Новое время"* [Ереван], 17 ноября, 2012

Мороз, Виталий. Нет горче цифр [о потерях в ВОВ]. *„Красная Звезда"*, 22 июня, 2005

Народное хозяйство СССР в 1990 г. *Статистический ежегодник.* Москва: Финансы и статистика, 1991

Натали, Шаган. Турки и мы. *„Новое время"* [Ереван], 25 октября, 2007

Национализм в мировой истории. Под редакцией В.А.Тишкова и В. А. Шнирельмана. Москва: Наука, 2007

Невежин, Владимир. *Сталин о войне: Застольные речи 1933-1945 гг.* Москва: ЯУЗА, ЭКСМО, 2007

Новейшая история отечества. XX век. Том 2. Под редакцией А.Ф. Киселева и Э. М. Щагина. Москва: Владос, 1999

Оганесян, Петрос. „Не знаю, как я дышу... после увиденного": Никогайос Адонц об Армянском вопросе. *„Голос Армении"*, 31 мая, 2007

Палеолог, Морис. *Царская Россия накануне революции* (перевод с французского). Москва – Петроград. Государственное издательство, 1923 [репринтное воспроизведение. Москва: Политиздат, 1991]

Парсамян, В.А. *А.С. Грибоедов и переселение армян. В сборнике: Из истории вековой дружбы.* Ереван: Изд-во АН АрмССР, 1983. стр. 135-146

Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. Под редакцией Н.А.Тройницкого. Том II, С.-Петербург, [გამომცემლობის მითითების გარეშე], 1905

Политология. Энциклопедический словарь. Общая редакция и составление: Ю.И.

Аверьянов. Москва: Изд-во Московского коммерческого университета, 1993

Поляков, Ю.А., Жиромская В.Б., Киселев И.Н. Полвека молчания (Всесоюзная перепись населения 1937 г.). *Социологические исследования* №№ 6-8, 1990

Празаускас, А. А. (ред.) *Этнос и политика: хрестоматия.* Москва: УРАО, 2000

Реза, Энаят-олла. *Азарбайджан и Арран (Атурпатакан и Кавказская Албания)* (Перевод с персидского). Ереван: Изд-во М. Варандяна, 1993

Россия XX век. Документы. Лаврентий Берия, 1953. *Стенограмма Июльского пленума ЦК КПСС и другие документы.* Составители В. Наумов, Ю. Сигачев. Москва: Международный фонд „Демократия", 1999

Симонов, Константин. *Глазами человека моего поколения. Размышления о И.В. Сталине.* Москва: Книга, 1990

Ситин, Павел. Доклад Правительству РСФСР, 22-30 Апреля 1921. Материал Грузинского Центрального Государственного Архива: Фонд 1874, инв. I, п. 4. გაზ. *„იერია ექსპრესი"*, 127-135, 15-24 აგვისტო, 1993

Скаков, Александр. *Принципиальное решение об ударе по Нагорному Карабаху в Баку уже принято*, http://www.regnum.ru/news/1609438.html 02.01.2013

Советско-израильские отношения. *Том 2, книга 1.* Москва: Международные отношения, 2000

СССР-Германия 1939-1941. *Документы и материалы о советско-германских отношениях с сентября 1939 г. по июнь 1941 г.* 2 тома. Вильнюс: Мокслас, 1989

Соколов, Борис. *Вторая Мировая: факты и версии.* Москва:АСТ-ПРЕСС-КНИГА, 2005

Сталин, Иосиф. *Сочинения.* Т. 5 (1921-1923). Москва: ОГИЗ, 1947

Суворов, Виктор. *Ледокол. Кто начал вторую мировую войну?* Москва: АСТ, 2005

Токаржевский, Е.А. *Из истории иностранной интервенции и гражданской войны в Азербайджане.* Баку: Изд-во АН АзССР, 1963

Третьяков, Виталий. Бесхребетная Россия. *„Политический класс".* № 1-2, 2005

Шеварднадзе, Эдуард. *Мой выбор: в защиту демократии и свободы.* Москва: Новости, 1991

Шишов, Алексей. *Схватка за Кавказ XVI-XX.* Москва: Вече, 2005

Ширер, Уильям. *Взлет и падение Третьего Рейха. В 2-х томах.* Перевод с английского. Москва: Воениздат, 1991

Фурман, Дмитрий

– Армянское национальное движение: история и психология. *„Свободная мысль"* [Москва], № 16, 1992

– Несостоявшаяся революция. Политическая борьба в Азербайджане (1988-1993 годы). *„Дружба народов"*, № 4, 1994

– Случай России. *„Свободная Мысль"* [Москва], No 9, 1997

Цуциев, Артур. *Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004).* Москва: Европа, 2006

Уильямс, Нэвил. *Полная хронология XX века.* Перевод с английского (HELICON). Москва: ВЕЧЕ+АСТ. 1999

Эйрамджянц, Левон. 25 лет истекли 16 Марта 1946 года. *„Голос Армении".* 23 Мая, 2006

Эристов-Шарвашидзе, Н. *Памятная записка о нуждах грузинскаго народа.* Москва: Университетская типография на Страстном бульваре, 1906

Asmus, Ronald D. *A Little War that Shook the World: Georgia, Russia and the Future of the West.* N.Y.: Palgrave Macmillan, 2010

Asmus, Ronald D., Stefan Czmur, Chris Donnelly, Airis Ronis, Tomas Valasek and Klaus Wittman. NATO, New allies and reassurances. *Centre for European Reform Policy brief,* [London], May 2010

Atlas historyczny swiata. Warshawa: Państwowe predsiębiorstwo wydawnictw kartograficznych, 1974

Barbour, William & Carol Wekesser (eds.). *The Breakup of the Soviet Union: Opposing Viewpoints.* San Diego, CA: Greenhaven Press, Inc. 1994

Biger, Gideon (ed.). *The Encyclopedia of International Boundaries.* New York: Facts On File, 1995

Bradshaw, Michael. *The Economic Effects of Soviet Dissolution.* [London] Royal Institute of International Affairs, 1993

Bremmer, Ian & Ray Taras (eds). *New States, New Politics: Building the Post-Soviet Nations.* Cambridge University Press, 1997

Buchanan, Allen. *Secession: The Morality of Political Divorce from Fort Sumter to Lithuania and Quebec.* Boulder – San Francisco – Oxford: Westview Press. 1991

Cecire, Michael. Georgia's Lessons for Democratic Development. *The American Interest,* 22 March, 2013

Cornell, Svante E. Autonomy as a Source of Conflict: Caucasian Conflicts in Theoretical Perspective. *World Politics,* Vol. 54, January 2002, pp. 245-276

Demographic Yearbook 2000. New York: United Nations, 2002;

De Waal, Thomas

– *The Caucasus: an Introduction.* Oxford, University Press, 2010

– Three Mirages and Two Markets: Understanding the South Caucasus. *Carnegie Commentary, Russia and Eurasia Program*: September 2010

Diuk, Nadia & Adrian Kaparnicky. *New Nations Rising: The Fall of the Soviets and the Challenge of Independence.* New York, etc: John Wiley & Sons, 1993

Eisenhower, Dwight D. *Crusade in Europe.* New York: 1948

Encyclopedia Britannica. 15th edition, 1997

Farwick, Dieter. *After the war in Georgia: Less cooperation and more confrontation?* (http:worldsecuritynetwork.com/dsp/dsp–authorBio3.cfm?authD=5).18 September 2008

Freeze, Gregory L. (ed.) *Russia: a History.* Oxford-New York: Oxford University Press, 1997

Fromkin, David. *A Peace to End All Peace: the Fall of the Ottoman Empire and the Creation of the Modern Middle East.* New York: Henry Holt and Co., 2001

Gachechiladze, Revaz

– Analysis of Regional Differences in the Material Welfare of Population of the Georgian SSR. *Soviet Geography* [USA] Vol. XXIX, 1988

– Geographical Background to a Settlement of the Conflict in Abkhazia. in: B. Coppieters et al. (eds). Georgians and Abkhazians. The Search for a Peace Settlement. *Bundesinstitut für ostwissenschaftliche und internationale Studien.* [Köln, Deutschland], Oktober 1998

– Geopolitics in the South Caucasus: Local and External players. *Geopolitics* [UK], Vol. 7, No 1, 2002

– *The New Georgia: Space, Society, Politics.* London: UCL Press, 1995

– National Idea, State-building and Boundaries in the Post-Soviet Space (the case of Georgia). *GeoJournal* [The Netherlands] Vol. 43, September, 1997

– Social-Geographical Problems of a Metropolitan Region within a Soviet Republic: a case study of the Tbilisi Metropolitan Region, Georgia. *Geoforum* [UK], Vol. 21, N 4, 1990

– The Making of the New Georgia: Development Factors – Pluses and Minuses. *Caucasian Regional Studies* [Georgia], Vol. 3, No 1, 1998

Giddens, Anthony. *Sociology.* London: Polity Press. 1991

Gilbert, Martin (Cartographic consultant Arthur Banks). *Soviet History Atlas.* London & Henley: Routledge & Kegan Paul. 1979

Gwynne, Robert N., Thomas Klak, Denis J.B. Shaw. *Alternative Capitalisms.* London: Arnold, 2003

The Holy Roman Empire. The „old empire" offers surprising lessons for the European Union today. *The Economist*, 22 December, 2012

Hovannisian, Richard G. *The Republic of Armenia.* Volumes I-IV. Berkeley-LA-London: University of California Press, 1971-1977

http://blogs.koreanclass101.com/blog/2009/08/25/presidents-of-south-korea-an-overview-and-timeline/

Huntington, Samuel P. *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order.* New York: Simon & Schuster, 1996

Janda, Kenneth, Jeffrey M. Berry, Jerry Goldman. *The Challenge of Democracy: Government in America.* Fifth edition. Houghton Mifflin, 1997

Jibladze, Kakha. Russia's Opposition to Georgia's Quest for NATO Membership, *China and Eurasia Forum Quarterly*, Volume 5, No. 1, 2007

Jones, Stephen.

– *Georgia: A Political History of Independence*, London: I. B. Tauris. 2012

– *Socialism in Georgian colors: The Europian Road to Social Democracy 1883-1917.* Cambrige, Mass., London: Harward University Press 2005

Khrushchev Remembers. *With an Introduction, Commentary and Notes by Edward Crankshaw.* London: Book Club Association. 1971

Levitsky, Steven & Lucan A. Way. *Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes After the Cold War.* New York: Cambridge University Press, 2010

Lewis, Bernard. *What Went Wrong? Western Impact and Middle Eastern Response.* London: Phoenix, 2002

Marshall, Gordon (ed.). *The Concise Oxford Dictionary of Sociology.* Oxford University Press: Oxford & New York, 1994

Marx, Karl & Friedrich Engels. *The Communist Manifesto.* With an introduction by A.J.P.Taylor. Harmondsworth: Penguin, 1987

McEvedy, Kevin. *The New Penguin Atlas of Medieval History.* Oxford: Penguin Books. [გამოცემის წლის გარეშე]

Mitchell, Lincoln. Georgia: Four Observations and Four Questions from the Georgian Election. *EurasiaNet's Weekly Digest.* November 15, 2012

Montefiore, Simon Sebag. *Stalin. The Court of The Red Tsar.* London: Weidenfeld & Nickolson, 2003

Murphy, David E. *What Stalin Knew: The Enigma of Barbarossa.* New Haven & London: Yale University Press, 2005

Pahlavi, Mohammad Reza. *Answer to History.* New York, 1980

Pallot, Judith. *Land Reform in Russia 1906-1917: Peasant's Responses to Stolypin's Project of Rural Transformation.* Oxford: Clarendon Press, 1999

Radvanyi, Jean. *Caucase: Le grand jeu des influences.* Paris: Editions du Cygne, 2011

Remnick, David. *Lenin's Tomb: The Last Days of the Soviet Empire.* New York: Vintage Books, 1994

Roberts, Martin. Voters deal blow to Catalan president's hopes for independence referendum. *The Guardian.* November 26, 2012

Rywkin, Michael (ed.) *Russian Colonial Expansion to 1917.* London & New York: Mansell Publishing Limited,1988

Sampson, Anthony. *Who Runs this Place: Anatomy of Britain in the 21st Century.* London: John Murray, 2005

Sarrazin, Thilo. *Deutschland shafft sich ab. Wie wir unser Land aufs Spiel setzen.* München: DVA, 2010

Sebestyen, Victor. The West ignores the lessons of Soviet disgrace in Afghanistan: Afghan war became threshold for the catastrophy of the USSR, now NATO repeats the same mistakes. *The Times,* July 19, 2009

Sela, Avraham (ed.). *The Continuum Political Encyclopedia of the Middle East (revised and updated edition).* New York & London: Continuum, 2002

Sonyel, Salahi. *The Great War and the Tragedy of Anatolia (Turks and Armenians in the Maelstrom of Major Powers).* Ankara: Turkish Historical Society Printing House, 2000

Suny, Ronald Grigor. *The Making of the Georgian Nation.* Second edition. Bloomington & Indianapolis: Indiana University Press, 1994

Stokes, Gale. *The Walls Came Tumbling Down: The Collapse of Communism in Eastern Europe.* New York-Oxford: Oxford University Press, 1993

Strong, Robert A. *Decisions and Dilemmas: Case Studies in Presidential Foreign Policy Making.* Englewood Cliffs: Prentice Hall, 1992

The Armenian Massacre. Compiled by James Nazer. New York and Montreal: T & T Publishing, Inc., 1970 M

The country formerly known as Syria. *The Economist.* 23 February, 2013

The Oxford Dictionary of Political Quotations, edited by Antony Jay. Oxford: Oxford University Press, 1996

Trotsky, Leon. *The Revolution Betrayed. What is the Soviet Union and where is it going?* Pathfinder Press: New York, 1972 [first published in 1937]

Turkish Foreign Minister rejects „neo-Ottoman" label. *Hürriet Daily News,* August 29, 2011

Weber, Frank G. *The evasive neutral: Germany, Britain and the quest for a Tukish alliance in the second World War.* Columbia: University of Missouri Press, 1979

Woodruff, William. *A Consise History of the Modern World. 1500 to the Present: A guide to World Affairs.* London: Abacus, 2005

Wright, John F.D., Suzanne Goldenberg, Richard Schofield (eds.) *Transcaucasian boundaries.* London: UCL Press, 1996

გეოგრაფიული სახელების საძიებელი

შემოკლებები: დ. – დაბა; კ-ბი – კუნძულები; მდ. – მდინარე; ნკ. – ნახევარკუნძული; პ. – პროვინცია (შტატი, გუბერნია, ოლქი); რ. – ადმინისტრაციული რაიონი სსრკ-ში; რგ. – რეგიონი; ს. – სოფელი; სხ. – სახელმწიფო; ქ. – ქალაქი.

ა

აბადანი, ქ. 141
აბასთუმანი, დ. 137
აბაშა, ს. 91
ადანის ილი, პ. 83
ავსტრალია 34, 97, 291, 740
ავსტრია, სხ. 98, 113-114, 245-260, 276, 282, 320, 385, 451, 499, 706, 757
ავსტრია-უნგრეთის იმპერია, სხ. 37, 47, 66, 77, 92-119, 252-253
ავღანეთი, სხ. 34-36, 45, 395, 453, 463-475, 496, 501, 505
აზერბაიჯანი, სხ. 20-22, 54-60, 106, 115, 121-171, 180-187, 195-200, 211, 222-241, 288, 333-334, 349-350, 378-385, 422-439, 467, 507, 513-524, 547, 553, 575-578, 667, 692, 728-736, 782, 787
აზია 31-52, 76, 163, 186, 200, 213, 222, 253, 259, 290, 305-328, 363, 379, 381-395, 404, 448, 720, 723, 736, 743, 786
ათენი, ქ. 150, 156, 301
აიგუნი, ქ. 45
აიოვას შტატი, პ. 404
ალაევერდი, ქ. 69, 153
ალაზნის ველი 433
ალამოგორდო, ს. 331
ალასკა, პ. 43, 47, 769
ალბანეთი, სხ. 38, 136, 278-279, 317, 447, 450
ალეუტის კ-ბი 43
ალექსანდროპოლი (იხ. გიუმრი)
ალმათი (ალმა-ათა, ვერნი), ქ. 513-514, 380
ალუირი, სხ. 395-397, 497-498
ალტო ადიჯე (სამხრეთ ტიროლი), პ. 253
ამანი, ქ. 586
ამასიის რნ. 183
ამერიკა (ამერიკის შეერთებული შტატები, აშშ), სხ. 22, 291, 316, 345, 392-397, 404-420, 443-500, 512, 534, 562-563, 637, 693-697, 708-709, 730-759, 768-789
ა/კსფსრ (ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა), პ. 132, 195, 527
ამუ-დარია, მდ. 404
ამური, მდ. 45
ანატოლია, პ. 62, 79, 84, 104-108, 135-162, 336, 719-721
ანგოლა, სხ. 395-396, 498, 744
ანდორა, სხ. 33
ანკარა, ქ. 120, 155-180, 329-338, 454, 586, 719
აპარანი, ქ. 477
არაბეთის ნკ. 106, 115, 130, 311
არაბული სამყარო 97, 115, 313
არალის ზღვა 404
არარატის დაბლობი 80
არარატის მთა 184, 418-421
არაქსი (არეზი), მდ. 44, 62, 80, 136, 732
ართვინის ოკრუგი, პ. 59, 158, 184-186, 336
არმავირი, ქ. 80
არტაანი (არდაჰანი), ქ. 124, 146, 181-186, 331-337
ასამი, პ. 311
ასკერანი, ქ. 522
ასტანა (ცელინოგრადი, აქმოლა), ქ. 514
ასტრახანი, ქ. 42
ასუანის კაშხალი 395
ატლანტის ოკეანე 35, 111
აფრიკა 24, 31-35, 49, 76, 97, 115, 143-144, 171, 283, 314-317
აფშერონის ნკ. 56, 69
აფხაზეთი, პ. 55-74, 157-158, 187-199, 303, 367, 376-387, 429-439, 501, 518-523, 535, 549-590, 694, 700, 785
აღსტევი (აღსთაფა) მდ. 148
აშხაბადი (აშგაბადი), ქ. 411

ანყური, ს. 137
აჭარა, პ. 55-57, 165, 186-191, 327-328, 367, 376, 405, 439, 534, 581-582
ახალგორი (ლენინგორი), ქ. 240, 368
ახალი ზელანდია, სხ. 34, 97
ახალქალაქი, ქ. 521, 683, 684
ახალქალაქის მაზრა 148-152, 168, 185
ახალციხე, ქ. 555, 683
ახალციხის მაზრა 137
ახალხევის რ. 326
ახლო აღმოსავლეთი, რგ. 17-19, 345, 448, 695-696, 734, 776
ახურიანი (არფა-ჩაი), მდ. 183

ბ

ბაბილონი, ქ. 442
ბადენ-ვიურტემბერგი, პ. 761
ბავარია, პ. 207, 761
ბათუმი, ქ. 55-69, 76, 92, 120-125, 137-146, 157, 174-178, 186, 191, 237, 336, 578, 582, 695
ბალკანეთის ნკ. 32, 38, 42, 44, 79, 98, 100, 112-114, 253, 279, 330-331, 353, 448, 562-563
ბალტიის ზღვა 44-49, 265-266
ბალტია (ბალტიისპირეთი), რგ. 404, 512
ბანგლადეში, სხ. 97, 312
ბაქო, ქ. 22, 55-56, 62-70, 82-85, 92, 106, 120-141, 147, 153-157, 165, 170, 174-175, 185, 242, 334, 378, 385, 398, 413, 429, 467, 507, 516-524, 580, 585, 682, 696, 732, 782
ბაქოს გუბერნია, პ. 55-56
ბაღდადი, ქ. 36, 104-106, 776
ბაჰრეინი, სხ. 462
ბეირუთი 106, 149
ბელარუსი (ბელორუსია), სხ. 24, 114, 124, 346, 375, 393, 404, 509, 513, 529, 574, 736
ბელგია, სხ. 33, 66, 96, 102, 111, 159-161, 254, 282, 412, 449-451, 745, 752-761
ბელგრადი, ქ. 99-100, 112, 278, 301, 317-318, 451-452
ბელოვეჟიეს ტყერი 24
ბენგალია, პ. 311, 312
ბერდი (თოვუზკალე), ქ. 148
ბერლინი, ქ. 35-36, 95-108, 117, 170-171, 251, 268, 277-285, 296, 301, 309, 320, 330, 339, 352, 449-452, 500, 737, 756
ბესარაბია, პ. 262, 268, 276, 307
ბიზანტია, სხ. 75-79, 720, 721, 722
ბითლისის ვილაიეთი, პ. 83, 164
ბირმა (მიანმა), სხ. 291, 310, 498
ბიშკეკი (ფრუნზე), ქ. 380
ბოლივია, სხ. 171
ბოლნისი (ეკატერინენფელდი), ქ. 153, 684
ბონი, ქ. 309
ბორჩალოს მაზრა 59, 152-153, 173
ბოსნია და ჰერცეგოვინა, სხ. 253, 737-740
ბოსფორის სრუტე 103, 330-331, 338
ბოპემია, პ. 259
ბრაზილია, სხ. 97, 254, 744, 759
ბრატისლავა, ქ. 420, 476
ბრიტანეთი (დიდი ბრიტანეთი), სხ. 33-36, 43-45, 66, 75, 95-104, 111-119, 135-141, 156-163, 171-172, 178, 182, 211, 222, 247-249, 258-272, 278-279, 283-291, 296, 307, 310-335, 444 449, 464, 470, 476, 743, 753-757
ბრიუსელი, ქ. 451, 754
ბრუნეი, სხ. 462
ბუდაპეშტი, ქ. 99, 252, 301, 450, 479, 705
ბუდიონოვსკი (სურბ ხაჩი), ქ. 80
ბუენოს-აირესი, ქ. 479
ბუინაკსკი (თემირ-ხან-შურა), ქ. 106
ბულგარეთი, სხ. 38, 102, 109-111, 253, 278, 283, 317, 447, 450, 493, 500, 739
ბუშეჰრი, ქ. 466
ბუხარა, ქ. 186, 363, 430

გ

გაგრა, ქ. 55, 158
გაერთიანებული არაბული საამიროები (გას-ი), სხ. 462
გალი, ქ. 405, 535, 565-566
გალიპოლის (გელიბოლუ) ნკ. 104-105
გალიცია, პ. 98, 108, 307
განა, სხ. 744
განთიადი (პილენკოვო), ს. 55
განჯა (ელისავეტპოლი, კიროვაბადი), ქ. 56, 62, 133-136, 241
გარდაბანი, ქ. 573, 684
გდანსკი (დანციგი), ქ. 307
გეორგიევსკი, ქ. 73, 77, 121, 151-152
გერმანია, სხ. 33-38, 52, 66, 78, 92-144, 159-160, 168-172, 178, 203-207, 218-219, 225, 231, 245-332, 346, 350, 359-363, 369, 375, 396, 409, 421, 444-458, 462-468, 474-479, 491-493, 500-505, 533, 562-563, 695, 706, 722, 737, 745, 752-761
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სხ. 309, 317, 320, 346, 450, 756
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სხ. 309
გერნიკა, ქ. 468
გიბრალტარის სრუტე 446
გიუმრი (ალექსანდროპოლი, ლენინაკანი), ქ. 65, 137-138, 164-165, 183-184, 240, 399, 418, 732
გიუმუშჰანე, ქ. 62
გოლანის მაღლობი 460-461

გომი, ს. 91
გორი, ქ. 58, 87, 91, 362, 368, 412
გორის მაზრა 58
გრიუნვალდი, ს. 102
გროზნო, ქ. 541, 549, 558, 565, 713
გუდაუთა, ქ. 532, 556, 560-562, 584
გურია, პ. 58, 73, 405, 551

დ

დაგომისი, დ. 582-583
დამასკო, ქ. 104, 106, 586
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) 369
დანია, სხ. 38, 254, 282, 305, 449
დარდანელის სრუტე 103-104, 330-331, 338
დარიალი, ს. 303, 326
დარუბანდი (დერბენტი), ქ. 106
დაღესტნის ოლქი (დაღესტნის ასსრ), პ. 55, 376
დებედა, მდ. 154
დეტროიტი, ქ. 39
დილიჯანი, ქ. 148
დმანისი, ქ. 684
დნეპრი, მდ. 41, 297
დნესტრისპირეთი, პ. 530, 562, 736
დობრუჯა, პ. 38
დოდეკანესის კ-ბი 37, 305
დონეცკი (სტალინო, იუზოვკა), ქ. 241
დონის როსტოვი 80
დრეზდენი, ქ. 301, 468
დუშანბე (სტალინაბადი, დუშამბე), ქ. 241, 380
დუშეთის მაზრა 58

ე

ეგეოსის ზღვა 38
ეგვიპტე, სხ. 19, 115, 283, 313, 395, 397, 460, 461, 498, 771, 778
ევრაზია 39, 41, 92, 99, 113, 319
ევროპა 18-19, 24, 32-57, 69-72, 78-84, 95-119, 134-135, 171, 178, 203-207, 238-239, 248-262, 270-273, 279-283, 294-300, 310-317, 331-338, 394-396, 412-413, 439-452, 461, 471-495, 501, 524, 534, 563-564, 570-671, 692-696, 705-706, 719-720, 736-738, 748, 753-761, 768, 776, 786
ევროპული კავშირი 21, 513, 637, 663, 723, 738-740, 753-762, 782
ეთიოპია (აბისინია), სხ. 34, 257, 363, 395, 498, 744
ეკატერინბურგი (სვერდლოვსკი), ქ. 241
ელ სალვადორი, სხ. 476
ელ-ალამეინი, ს. 283
ელზასი (ალზასი), პ. 95, 98
ელისავეტპოლი (იხ. განჯა)
ელისავეტპოლის გუბერნია, პ. 57, 148-149, 181-183, 378
ენგური, მდ. 517, 566
ერაყი, სხ. 101, 115, 141, 161-163, 223, 283, 313, 322, 395, 462, 466, 498, 775-776
ერგნეთი, ს. 583
ერევანი, ქ. 22, 63-65, 83, 133, 139, 151-154, 161-165, 176, 182, 230, 334-335, 378, 381, 385, 398-401, 418, 429, 477, 520-523, 585-586, 682, 693
ერევნის სახანო (გუბერნია), პ. 62, 151
ერზურუმი, ქ. 19, 81-83, 104-106, 152, 162, 418, 580
ერზურუმის ეიალეთი (ვილაიეთი), პ. 81
ერიტრეა, სხ. 37
ესპანეთი, სხ. 33, 96, 202, 249, 257-259, 283
ესტლანდიის გუბერნია, პ. 53
ესტონეთი, სხ. 114, 124, 144-145, 160, 171, 200, 257, 262, 267, 282, 305, 371, 394, 507, 512-513, 553, 570, 736, 753, 763
ეშერა, ს. 560
ეჩმიაძინი (ვაღარშაპატი), ქ. 70, 78, 137, 335

ვ

ვალონია, პ. 761
ვანაძორი (ქარაკლისი, კიროვაკანი), ქ. 154, 241
ვანი, ქ. 19, 83, 104-106, 418
ვანის ვილაიეთი, პ. 83, 104
ვარშავა, ქ. 64, 170-171, 264-265, 301, 316-318, 355, 449-452, 475, 500, 585
ვარშავის საომევოდო, პ. 264
ვატერლოო (უოტერლუ), ს. 254
ვაშინგტონი, ქ. 35-36, 43, 159, 162-164, 291, 314-315, 331-332
ვენა, ქ. 84, 97-99, 108, 252, 301
ვენესუელა, სხ. 462
ვენეცია, ქ. 19
ვერმონტის შტატი, პ. 769
ვერსალი, ქ. 51, 71, 161, 171, 252-254, 265, 289
ვესტ ნოისე, მდ. 307
ვესტ-ინდოეთი, რგ. 34
ვიატკა (ქიროვი), ქ. 241
ვიეტნამი, სხ. 310, 318, 395, 453-458, 485, 498, 743
ვილნიუსი (ვილნო), ქ. 144, 262-267, 507, 516
ვისლა, მდ. 262, 301
ვიურტემბერგი, სხ. 761
ვლადივოსტოკი, ქ. 39, 45-46, 492
ვლადიკავკაზი (ძაუჯიკაუ, კავკაჟი, ორჯონიკიძე), ქ. 67, 155, 242, 327
ვოიეოდინა, პ. 253

ვოლგა, მდ. 241
ვოლგისპირეთი, რგ. 185, 242, 325, 383, 497
ვოლგოგრადი (სტალინგრადი, ცარიცინი), ქ. 241
ვროცლავი (ბრესლაუ), ქ. 307

ზ

ზანგეზურის მაზრა 57, 147-150, 181-184
ზაქათალა, ქ. 695
ზაქათალის ოკრუგი (საინგილო, ჭარბელაქანი), პ. 55, 56, 58, 60, 62, 76, 146, 147, 160, 181, 187
ზუგდიდი, ქ. 384, 412
ზუგდიდის მაზრა (რაიონი) 58, 60

თ

თაერიზი, ქ. 334
თაეუზი (თოეუზი), ქ. 87, 90-91
თათარსტანი (თათრეთი), პ. 530
თალიშის სახანო, პ. 136
თამილნადუ, პ. 740
თბილისი, ქ. 19, 22, 50, 55, 63-92, 107, 121-199, 230, 236-241, 288, 321, 326, 334, 338, 350, 357-358, 367, 378-385, 398-401, 410-415, 421-442, 467, 476, 480, 507, 514-524, 539-540, 549-558, 564-567, 570-573, 578-590, 682, 690-698, 714-716, 749
თეთრწყარო (ბელი კლიუჩი, აღბულაღი), ქ. 153
თეირანი, ქ. 37, 81, 301, 307, 334, 396, 463-466, 586, 732
თელავი, ქ. 58
თელავის მაზრა 58
თერგის ოლქი, პ. 55, 58
თეძმის ხეობა 543
თიანეთის მაზრა 58
თურანი, რგ. 104, 106, 720
თურქეთი, სხ. 20-22, 36-38, 59, 62, 81-83, 92, 105, 120, 134-135, 149-191, 245, 253, 257, 283, 299, 310, 327-338, 381-383, 396, 421, 446-449, 467, 520, 570-581, 667, 708, 719-723, 731-733, 744-745, 753, 759, 776
თურქესტანი, რგ. 53, 106
თურქმენეთი (თურქმენისტანი), სხ. 200, 404, 439, 513-515, 578, 694, 737, 751

ი

იალბუზის მთა 326
იალტა, ქ. 292, 307
იაპონია, სხ. 34-37, 46-49, 77, 96-97, 159-161, 208, 228, 256-262, 273-294, 300-310, 319-337, 723
იემენი, სხ. 395, 498
იერუსალიმი, ქ. 104-106, 116, 251-252, 313-314, 721
ითუმკალეს რ. 326
იმერეთი, პ. 55, 58, 73, 88, 177, 439
ინგლისი, სხ. 34-39, 94, 99, 108, 206, 228, 278, 292, 301, 335
ინდოეთი (ბჰარათი), სხ. 19, 348, 311-312, 393, 397, 404-405, 439, 452, 708, 740-745, 759
ინდოეთის ოკეანე 36, 44-45
ინდონეზია, სხ. 291, 310, 462, 743-744
ინდოჩინეთის ნ. 291, 310
იორდანე, მდ. 313-314, 777-778
იორდანია (ტრანსიორდანია), სხ. 115, 163, 313-315, 778
ირანი (სპარსეთი), სხ. 37, 75, 236, 288, 310, 329, 332-334, 383, 396, 439, 446-467, 483, 515, 524, 573, 708-709, 731-735, 744-745, 759, 771
ირანის აზერბაიჯანი, პ. 732
ირკუტსკი, ქ. 435
ირლანდია (ეირე), სხ. 115, 283
ისლანდია, სხ. 305, 449
ისრაელი, სხ. 289, 312-315, 322, 345, 353-355, 394-395, 420, 435, 439, 452-453, 460-461, 466, 481, 578, 776-779
ისტრია, ნკ. 305
ისფაჰანი, ქ. 79, 80, 363, 373
იტალია, სხ. 37, 96, 112, 135, 141, 159, 161, 171, 178, 205, 231, 246-260, 266, 278, 283-286, 299, 305, 394, 409, 449, 462, 696, 722, 752-755, 761
იუგოსლავია (სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო), სხ. 100, 114, 161, 203, 278, 282, 288, 299-300, 305, 317-318, 349-351, 397, 447, 475, 482, 563, 691, 737-741, 753
იურმალა, ქ. 387
იღდირი, ქ. 184
იჯევანი (ქარავანსარაი), ქ. 148, 549

კ

კავკასია, რგ. 23, 44, 52-91, 103-106, 115-200, 209-211, 222, 241-242, 253, 268, 303, 325-339, 378-383, 721
კავკასიონის ქედი 58, 192-194
კალინინგრადი (კენიგსბერგი), ქ. 241, 309
კალინინის ოლქი, პ. 271
კალიფორნიის შტატი, პ. 39, 151, 769-770
კამბოჯა, სხ. 395, 455-456, 498
კანადა, სხ. 34, 97, 449, 559, 740
კაპანი (ღაფანი), ქ. 150
კარაკლისი (იხ. ვანაძორი)
კარაჩაევსკი (მიქოიან-შაპარი, ქლუხორი), ქ. 241

კარელია, პ. 195, 266, 308, 315
კარპატის მთები 47
კასპიის ზღვა 22, 524, 579, 697
კატარი, სხ. 462, 744
კატინის ტყე 271, 304
კახეთი, პ. 18-19, 373, 569, 684
კემბრიჯი, ქ. 119
კეებეკი, პ. 740
კვიპროსი, სხ. 530
კიევი, ქ. 64, 157, 170, 230, 288-289, 297, 301
კილიკია, პ. 83, 134
კიშინიოვი, ქ. 377
კლაიპედა (მემელი), ქ. 144, 260, 387
კლარჯეთი, პ. 74, 336-337
კოვენტრი, ქ. 301
კოლა-არტაანი, პ. 74
კოლუმბია, სხ. 35, 171
კომპიენის ტყე 110
კორეა (სამხრეთ კორეა), სხ. 37, 47, 293, 310, 318, 452-455, 485, 744
კოსოვო, პ. 637-741
კრასნოდარის მხარე 59, 392, 430
კრეტა, კ. 38, 279
კუბა, სხ. 395-396, 459, 485, 498
კურილის კ-ბი 293, 309

ლ

ლაგოდეხი, ქ. 439, 684
ლაზეთი, პ. 336
ლაოსი, სხ. 395, 455-456, 498
ლარსი, ს. 326
ლას-ვეგასი, ქ. 246
ლატვია, სხ. 114, 124, 144-145, 160, 200, 226, 249, 257, 262, 267, 282, 305, 372, 376, 512-513, 736, 753, 763
ლაჩინი, ქ. 195
ლენინაბადი, ქ. 240
ლენინგრადი (იხ. პეტერბურგი)
ლენქორანი, ქ. 44
ლეჩხუმის მაზრა 58, 60
ლვოვი, ქ. 293
ლიბანი, სხ. 115, 163, 782
ლიბერია, სხ 34, 174
ლიბია, სხ. 32, 37, 395, 498
ლივერპული, ქ. 480
ლიტვა, სხ. 114, 124, 144-145, 160, 200, 254, 260-272, 282, 305, 346, 379, 512-513, 553, 574, 736, 753, 763
ლიუბლინის სავოევოდო, პ. 264
ლიხნი, ს. 430
ლიხტენშტაინი, სხ. 33
ლოზანა, ქ. 106, 719, 722
ლომბარდია, პ. 761
ლონდონი, ქ. 36-37, 43-46, 84, 95, 101, 112-117, 141-143, 172-174, 254, 260-265, 271, 300-301, 311-315, 322, 364, 385, 452, 749, 750
ლორე (ლორი), პ. 59, 128, 145, 150-158, 173, 181-185, 377
ლორენი (ლოტარინგია), პ. 95, 98
ლოს-ანჯელესი, ქ. 39, 475
ლუგანსკი (ვოროშილოვგრადი), ქ. 242
ლუქსემბურგი, სხ. 111, 282, 449, 752, 757

მ

მაგნიტოგორსკი, ქ. 363
მადათოვის (ორბელიანის) კუნძული 429
მადრიდი, ქ. 478, 776-778
მაკედონია, სხ. 739-741
მალაიზია (მალაია), სხ. 291, 462, 743
მამისონის უღელტეხილი 368
მანილა, ქ. 301
მანჩესტერი, ქ. 478, 744
მანჯოუ-გო, სხ. 290, 294
მანჯურია, პ. 45, 46, 290, 293, 309, 320
მანპეტენის კუნძული 143
მარაღა, ქ. 81
მარნა, მდ. 102
მარნეული, ქ. 684
„მარჯვენა ნაპირი" (მდ. იორდანესი) 777
მაქუ, ქ. 81
მახათას მთა 414
მახაჩკალა (პორტ-პეტროვსკი), ქ. 106, 155
მედინა, ქ. 104, 115
მედნოე, ს. 271
მესხეთი (სამცხე), პ. 134, 138, 151, 155, 325-329, 383
მესხეთ-ჯავახეთი, პ. 61, 74, 81, 150-152, 328
მექა, ქ. 115
მექსიკა, სხ. 174, 744, 745
მეღრი (გენუაზი), ქ. 150
მეჩაბადი, ქ. 334
მთიანი ბადახშანი, პ. 376
მთიანი ყარაბაღი, პ. 57, 139, 148-149, 155-156, 180-181, 186, 195, 376-378, 430, 515-530, 562, 728-733
მთიელთა და დაღესტნის რესპუბლიკა, სხ. 140
მილანი, ქ. 478, 761
მისურის შტატი, პ. 444
მიუნხენი, ქ. 478
მოზამბიკი, სხ. 744
მოლდოვა (მოლდავეთი), სხ. 54, 144, 200, 376-377, 432, 507, 513, 529, 575
მონაკო, სხ. 33
მონტანას შტატი, პ. 769
მონტევიდეო, ქ. 479

მონღოლეთი, სხ. 290, 318
მონღოლთა იმპერია, სხ. 42
მორავია, პ. 259
მოსკოვი, ქ. 20-24, 32, 42-45, 70, 79, 120-123, 130-138, 149-150, 160, 165, 170-184, 191, 197-200, 209-211, 225-242, 251, 257-284, 290, 319-321, 331-337, 345, 350-356, 361-365, 371-379, 385, 393-402, 410-413, 419-432, 441, 446-466, 472-477, 489, 492, 500-510, 515-516, 521-523, 529, 534, 539, 543-551, 556-558, 562-565, 580, 584, 682, 695-696, 714-716, 729
მოსკოვის დიდი სამთავრო, სხ. 42
მოსულის ვილაიეთი, პ. 141
მტკვარი, მდ. 83, 151, 236
მურმანსკი, ქ. 492
მუში, ქ. 83, 162
მუშის ვილაიეთი, პ. 83
მცირე აზიის ნკ. 163, 253, 305
მცხეთა, ქ. 91, 177

ნ

ნაგასაკი, ქ. 292, 293, 338
ნახჭევანი, ქ. 149, 161, 180, 186, 376, 521
ნახჭევნის სახანო (მაზრა, ასსრ), პ. 55, 57, 81, 137, 147-149, 181-184, 195, 198
ნეპალი, სხ. 34
ნიგერია, სხ. 462
ნიდერლანდი (ჰოლანდია), სხ. 33, 96, 159, 282, 300, 310, 412, 443, 449, 704, 752, 756
ნინოწმინდა, ქ. 683
ნინოწმინდის რ. 185
ნიუ-დელი, ქ. 311-312
ნიუ-იორკი, ქ. 39, 257, 314, 769
ნიუ-მექსიკო, პ. 331
ნიურნბერგი, ქ. 271, 304, 356, 502
ნოემბერიანი (ბარანა), ქ. 148
ნოეოროსიისკი, ქ. 55, 141
ნორ ნახიჯევანი, ქ. 80
ნორვეგია, სხ. 38, 171, 266, 282, 449, 462, 754
ნორმანდია, პ. 283
ნოუ ჯოლფა, ქ. 80

ო

ოდერი (ოდრა), მდ. 307
ოდესა, ქ. 64, 230, 379
ოზურგეთი (მახარაძე), ქ. 176
ოზურგეთის მაზრა 58
ოლთისი, ქ. 146, 164, 181, 186, 336-337
ომანი, სხ. 34, 115, 462
ოპოლიე (ოპელნი), ქ. 307
ოსეთი, პ. 194, 326-327, 682
ოსვენციმი (აუშვიცი), ს. 363
ოსლო, ქ. 778
ოსმალეთის იმპერია (ოსმალეთი), სხ. 32, 37, 99, 103-105, 115, 126, 151, 190, 253, 334, 726
ოქროს ურდო, სხ. 42, 365, 705
ოქსფორდი, ქ. 119, 464
ოშის ოლქი, პ. 430
ოჩამჩირე, ქ. 565-566

პ

პაკისტანი, სხ. 36, 97, 311-312, 452, 469, 709
პალესტინა, პ. 115-117, 163, 251, 289, 312-313, 721
პამბაკი, პ. 154
პამბაკის ქედი 152
პანამა, სხ. 35-36, 174, 744
პანამის არხი 36
პანკისის ხეობა 589
პანონია, პ. 143
პარაგვაი, სხ. 171
პარიზი, ქ. 39, 43, 70, 84, 95, 98, 101-102, 112-115, 141-143, 161, 172-174, 178, 245, 252-254, 260-268, 301, 315
პეკინი, ქ. 36, 45, 290, 319, 356, 457-458
პერლ-ჰარბორი, ქ. 290-291
პერმი (მოლოტოვი), ქ. 241
პეტერბურგი (სანქტ-პეტერბურგი, პეტროგრადი, ლენინგრადი), ქ. 32-37, 43-47, 56-61, 70-77, 81-86, 98-100, 108, 121, 151, 202, 242, 350, 400-401, 476, 480, 487, 517, 574
პეჩენგა (პეტსამო), ქ. 308
პლოეშტი, ქ. 276
პოლონეთი, სხ. 44, 53, 71, 80, 113-114, 123-124, 144, 157, 161, 170-171, 178, 228, 249, 253-275, 282, 288, 293, 299-301, 307-310, 317, 320, 355, 375, 379, 394, 432, 447, 450, 464, 478, 493, 499-500, 505
პომპეი, ქ. 586
პორკალა, ქ. 308
პორტ-არტური (ლიუშუნი), ქ. 46, 49, 309
პორტუგალია, სხ. 33, 96, 161, 171, 249, 283, 449, 497
პოტსდამი, ქ. 309, 331, 335, 396, 447
პრაჰა, ქ. 301, 420, 450, 476, 479, 705
პრიმორიეს მხარე, პ. 45
პრუსია, სხ. 19, 95, 102, 113, 241, 307, 309

რ

რანი, პ. 136
რაჭის მაზრა 58
რიგა, ქ. 64, 301
რიონი, სდ. 91
რიუკიუს კ-ბი 37
როკის გვირაბი 193, 194

რომი, ქ. 24, 42, 78, 235, 248, 251, 283, 301, 421, 720
როსტოკი, ქ. 301
როტერდამი, ქ. 412, 468
რსფსრ (რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა) 146, 157, 160, 180, 186, 189, 192, 199, 200, 228, 307, 309, 315, 325
რუმინეთი, სხ. 38, 71, 161, 249, 253, 254, 257, 259, 262, 268, 276, 283, 307, 310, 317, 447, 450, 474, 493, 500, 513, 529, 575, 736, 761, 763
რური, პ. 301
რუსეთის იმპერია, სხ. 35, 44-46, 53, 59, 61, 73-77, 81-89, 95, 98, 105, 126, 151-152, 185-190, 239, 309, 327, 378-379
რუსეთის ფედერაცია (რუსეთი), სხ. 18-22, 55, 198-200, 206, 218-220, 239, 242, 284, 308-309, 323, 329, 344, 351-354, 362-375, 383-394, 403-451, 457-458, 464-479, 484-485, 494-501, 505-510, 520-524, 540-541, 549-586, 667, 682, 688-697, 702-719, 730-740, 752, 759, 768, 786-788
რუსთავი, ქ. 398, 438-439

ს

საბერძნეთი, სხ. 38, 106, 135, 155-156, 161-163, 279, 282-288, 305, 318, 332, 449, 573, 578, 683, 722, 741, 754
საბჭოთა კავშირი (სსრკ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი), სხ. 22, 24, 31, 52, 114, 124, 144, 158, 170-179, 188-190, 195, 199-200, 205-206, 210-241, 247-339, 343-362, 378, 382, 444-445, 543, 552, 572-574, 585-587, 688, 691-693, 699, 704-709, 723, 736-740, 748-753, 768, 776, 781, 786
საგარეჯო, ქ. 684
სადახლო, ს. 154
სალმასთი, ქ. 81
სამარა (კუიბიშევი), ქ. 241, 282
სამარყანდი, ქ. 363, 430
სამეგრელო, პ. 55, 58, 73, 405, 440, 551, 564-570, 583, 785
სამტრედია, ქ. 91
სამურზაყანო, პ. 60-61, 551, 564-566, 583
სამცხე-საათაბაგო, სხ. 73, 151
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (ს. ა. კავშირი), სხ. 34, 97, 171
სამხრეთ კავკასია, რგ. 23, 44, 52-69, 77, 81-83, 119-157, 168, 174, 179-187, 196-199, 222, 268, 303, 325, 333-339, 380-382, 721
„სამხრეთ ოსეთი" („სამაჩაბლო", ცხინვალის რეგიონი), პ. 58, 192-194, 199, 368, 378, 523, 539-540, 582-583, 589, 672, 680-682, 691
სან-მარინო, სხ. 33
სარაევო, ქ. 24, 37, 99, 252
სარაი, ქ. 365
სარატოვი, ქ. 435
სარიყამიში, ქ. 164
სარფი, ს. 581
საუდის არაბეთი, სხ. 115, 462, 495, 744, 752, 771, 776
საფრანგეთი, სხ. 19, 33, 43, 66, 71, 95-102, 108-119, 135, 140-141, 156, 159-163, 172, 178, 202, 206, 211, 239, 245, 254-272, 282-283, 291, 300, 305, 310, 314-315, 355, 364, 396, 449, 455, 497, 500, 527, 546-548, 684, 696-698, 719, 730, 752-757, 785
საქართველო, სხ. 15-26, 41, 55-67, 72-78, 87-89, 92, 106, 115, 120-200, 211-217, 222-237, 242-244, 281, 288, 301-303, 321-339, 346-358, 362-394, 401-443, 460, 467, 476-477, 488-491, 502-589, 667-673, 680-701, 708, 714-719, 730-741, 751, 785, 789
საქართველო-იმერეთის გუბერნია, პ. 54-55
სახალინი, კ. 45-47, 293, 309
სევრი, ქ. 161-165, 335, 719
სეკუის მხარე, პ. 761
სენაკი (მიხა ცხაკაია), ქ. 242, 384, 405
სენაკის მაზრა 58, 60
სერბეთი, სხ. 37-38, 98-100, 111-112, 252, 254, 451, 738-741
სვანეთი, პ. 55, 58, 73, 431, 566
სევრდლოვსკი (ეკატერინბურგი), ქ. 435, 476
სვერდლოვსკის ოლქი, პ. 352
სინას ნკ. 460-461
სინგაპური, ქ. 291
სინდი, პ. 311
სინძიანი, პ. 407
სირია, სხ. 79, 105, 115, 161, 163, 313-314, 395, 460-461, 498, 719, 726
სიუნიქის მარზი, პ. 57, 149
სიღნაღის მაზრა 58, 147, 181, 185
სიცილია, პ. 246, 283
სლოვაკეთი, სხ. 253, 261, 283, 421, 737, 763
სლოვენია, სხ. 71, 252-253, 318, 738-739, 753, 763
სმოლენსკის ოლქი, პ. 271
სომალი, სხ. 37
სომხეთი, სხ. 20-22, 55-60, 80-83, 106-108, 112-165, 171-175, 180-186, 195-197, 200, 226-227, 230, 234, 241, 327, 331-337, 375-386, 399, 416-422, 430-432, 477, 507, 515-529, 547, 549, 553, 575, 583, 682-683, 690-691, 728-736, 782, 787
სოჭი, ქ. 55, 190, 582-583
სოხუმი, ქ. 188, 323, 334, 385, 430, 518, 558-567

სოხუმის ოკრუგი, პ. 55-63, 76, 85, 146, 157, 187-188
სტავროპოლი (ვოროშილოვსკი), ქ. 241
სტავროპოლის გუბერნია (მხარე), პ. 55, 59
სტალინაბადი (იხ. დუშანბე)
სტალინგრადი (იხ. ვოლგოგრადი)
სტალინირი (იხ. ცხინვალი)
სტალინო (იხ. დონეცკი)
სტამბოლი (კონსტანტინოპოლი), ქ. 19, 32, 44, 65, 79, 97-99, 104-106, 115, 138, 156, 161, 164, 584, 719, 722
სტარობელსკი, ს. 271
სტეფანავანი (ჯალალ-ოღლი), ქ. 139
სტეფანაკერტი (ხანკენდი), ქ. 139, 522
სუდეტის ოლქი, პ. 259-261
სუეცის არხი 141, 460, 478
სუმგაითი, ქ. 398, 438, 523
სურმალუს მაზრა 137, 164, 184
სუფსა, ს. 579

ტ

ტავუშის მარზი, პ. 148
ტაივანი (ფორმოზა), კ. 37, 318, 744
ტაილანდი (სიამი), სხ. 34, 174, 291
ტალინი, ქ. 267, 387
ტანენბერგი, ს. 102
ტაო, პ. 74, 336-337
ტარტუ (დერპტი, იურიევი), ქ. 64, 171
ტაშკენტი, ქ. 64, 67, 363, 380
ტაჯიკეთი (ტაჯიკისტანი), სხ. 186, 200, 241, 315, 382, 430, 513, 575, 737
ტიანძინი, ქ. 290
ტიბეტი, პ. 36
ტიშინი (ციშინი), პ. 261
ტოკიო, ქ. 46, 254, 273, 285, 291-292, 301, 305
ტოლიატი, ქ. 494
ტრანსილვანია, პ. 253, 761
ტრაპიზონი (ტრაბზონი), ქ. 19
ტრაპიზონის ვილაიეთი, პ. 104-106, 162
ტრიესტი, ქ. 305
ტუვა, პ. 307
ტფილისის გუბერნია, პ. 58-62, 82, 87, 128, 147-154, 181-185, 377
ტყიბული, ქ. 69

უ

უზბეკეთი (უზბეკისტანი), სხ. 186, 200, 234, 376, 404, 430, 513-515, 520, 575, 578, 737, 744
უზუნლარი, ს. 153
უკრაინა, სხ. 24, 54, 58, 71, 98, 108, 114, 124, 170, 199, 200, 221-222, 227, 234, 242, 253, 261, 266-268, 276, 282, 299, 307-308, 315, 326-327, 346, 350, 356, 372-382, 394, 402, 404, 408, 421, 488, 496, 513, 517, 529, 540, 553, 574, 578-579, 694, 707-708, 736, 753
ულან-ბატორი, ქ. 159
უნგრეთი, სხ. 375, 385, 432, 447, 450, 493, 499-500, 505, 763
უჟგოროდის ოლქი (რუთენია), პ. 307
ურალი, პ. 216, 221, 241, 270
ურარტუ, სხ. 721
ურმია, ქ. 81
უსტ-კამენოგორსკი, ქ. 352
უსური, მდ. 45

ფ

ფენჯაბი, პ. 311, 740
ფიანჯი, მდ. 453
ფილიპინები, სხ. 291, 745
ფინეთი, სხ. 53-54, 114, 123-124, 195, 249, 256, 259, 262, 266-267, 273, 283, 297, 308, 310, 315, 479, 504
ფლისინგენი, ქ. 412
ფლორიდის შტატი, პ. 769-770
ფოთი, ქ. 64, 69, 517, 567
ფოლკლენდის კბ-ი 476
ფსხუ, ს. 303
ფულტონი, ქ. 444

ქ

ქაბული, ქ. 453, 463, 467-469, 479, 705
ქარელი, ქ. 193
ქართლი, პ. 18, 62, 89, 121, 128, 192-193, 242, 334, 373, 426, 439-440, 570, 582
ქართლ-კახეთის სამეფო, სხ. 61, 67, 73, 133, 151-153
ქაშმირი, პ. 311-312, 740
ქელბაჯარი, ქ. 195
ქერჩი, ქ. 302
ქვემო ქართლი, პ. 439, 682-684
ქუვეითი, სხ. 744, 775-776
ქუთაისი, ქ. 58, 64, 67, 151, 358, 421-423, 435, 567, 572, 695
ქუთაისის გუბერნია, პ. 55-61, 76, 77, 87, 146, 157
ქურთისტანი, პ. 161, 195, 334, 776
ქურთისტანი, წითელი, რ. 195

ყ

ყაზანი, ქ. 42, 230
ყაზახეთი (ყაზახსტანი), სხ. 52, 195, 200, 213, 220-222, 325, 346, 350, 376, 404, 513-514, 578-579, 708, 737
ყაზახის სასულტნო (მაზრა), პ. 147-148, 181-184, 221
ყაზბეგი (სტეფანწმინდა), დ. 442

ყაზბეგის რ. 326-327
ყაზვინი, ქ. 334
ყარაბაღი, მთიანი, პ. 57, 62, 136, 139, 148-149, 153-156, 161, 180-181, 186, 195, 378, 782
ყარაბაღის სახანო, პ. 57, 136, 334
ყარაქალფაქეთი, პ. 382
ყარსი, ქ. 124, 164, 165, 331
ყარსის ოლქი, პ. 55-57, 76, 106, 146-148, 164, 181-184, 331
ყაღიზმანი, ქ. 164
ყიზლარი, ქ. 80
ყირგიზეთი (ყირგიზსტანი), სხ. 200, 315, 325, 430, 513, 737
ყირიმი, პ. 157, 171, 190, 326-327, 432, 509
ყუბანის ოლქი, პ. 55
ყუბის სახანო, პ. 136

შ

შავი ზღვა 44, 69, 99, 103, 190, 330
შავი ზღვის გუბერნია, პ. 55, 158
შავშეთი, პ. 74
შამლუღი, ს. 153
შამშადილის სასულტნო, პ. 147
შამხორი, ს. 90-91
შანხაი, ქ. 290
შარურ-დარალაგიოზის მაზრა 57, 137, 147, 184
შატოი, ს. 326
შაუმიანი (შულავერი), დ. 139, 242
შაჰალი, ს. 153
შემახა, ქ. 55-56, 334
შექის სახანო, პ. 136
შვედეთი, სხ. 38, 54, 109, 266, 283
შვეიცარია, სხ. 33, 108-109, 159, 171, 196, 283, 698, 719, 754, 757, 761
შირვანი, პ. 55, 136
შორაპნის მაზრა 58, 87-88
შორეული აღმოსავლეთი, პ. 288, 290, 305
შოტლანდია, პ. 364, 761
შრი ლანკა (ცეილონი), სხ. 404-405
შუა აზია 36, 52, 186, 200, 213, 222, 328, 363, 379-383, 392-393, 470, 540, 553
შუმერი, სხ. 442
შუშა, ქ. 519
შუშის მაზრა 57, 148
შჩეცინი (შტეტინი), ქ. 307

ჩ

ჩერნობილი, ქ. 496, 517
ჩერნოგორია (მონტენეგრო), სხ. 37, 38, 737, 740
ჩეჩნეთი (იჩქერია), პ. 468, 530, 549-550, 558, 565, 713
ჩეხეთი, სხ. 114, 253, 259-261, 282, 442, 737, 763
ჩეხოსლოვაკია, სხ. 114, 161, 253, 259-261, 299, 307, 310, 317, 320, 420, 447, 450, 475, 493, 500, 505, 738
ჩილე, სხ. 171, 457-460
ჩინეთი, სხ. 24, 34-37, 45-47, 75, 96-97, 202, 221, 225, 257-259, 278, 290-291, 294, 309-310, 314, 318-319, 355-356, 393, 404, 407, 448, 454-458, 464, 479, 485, 489, 572, 708, 743-748, 752, 759, 768, 786
ჩმი, ს. 326
ჩრდილოეთ ბუკოვინა (ჩერნიეცის ოლქი), პ. 268, 276, 307
ჩრდილოეთ კავკასია, რგ. 387, 582
ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია (იხ. ოსეთი), პ.
„ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა", პ. 530

ც

ცენტრალური აზია, რგ. 384, 497, 509, 694
ციმბირი, პ. 42, 49, 52, 82, 185, 213, 216, 220, 266, 268, 281, 286, 291, 297, 325, 350, 352, 359, 367, 402, 411, 419, 439, 446, 489, 492
ცუშიმას სრუტე 47, 49
ცხინვალი (სტალინირი), ქ. 193, 242, 368, 518, 539, 569, 582, 583
ცხინვალის რეგიონი, პ. 582, 583

წ

წალენჯიხა, ქ. 384
წალკა, ქ. 683
წევა, ს. 87, 89
წყნარი ოკეანე 96, 254, 259, 290-291, 323
წყნეთი, ს. 66

ჭ

ჭიათურა, ქ. 69

ხ

ხაბაროვსკის მხარე, პ. 45
ხარაგაული (ორჯონიკიძე), დ. 242
ხარკოვი, ქ. 230, 435
ხასანის ტბა 290
ხევი, პ. 152
ხმელთაშუა ზღვა 44, 45, 83, 99, 318, 580, 697
ხოი, ქ. 81
ხონი (წულუკიძე), ქ. 384
ხორეზმი, სხ. 186
ხორვატია, სხ. 71, 249, 252, 253, 278, 283, 300, 318, 737, 738, 739, 740

ჯ

ჯავა, ქ. 58, 192, 532
ჯავახეთი, პ. 134, 151-152, 682-684

ჯევანშირის მაზრა 57, 148
ჯეიჰანი, მდ. 467, 524, 580, 716
ჯულფა (ჯუღა), ქ. 80, 138

პ

პავაის კ-ბი 290
პათაის ილი (ალექსანდრეტას სანჯაყი), პ. 719
პაიდარბეკი, ს. 153
პაიტი, სხ. 174
პამამლუ (სპიტაკი), ქ. 153-154
პამბურგი, ქ. 301, 468
პარბინი, ქ. 46
პინდუყუშის ქედი 36
პიროშიმა, ქ. 292-293, 323, 338
პიჯაზი, სხ. 115, 161
პოკაიდო, კ. 293
პოლანდია (იხ. ნიდერლანდი)
პოლიეუდი, ქ. 39

საკუთარი სახელების საძიებელი

ა

აბაშიძე, ზურაბ 646, 718
აბაშიძე, ირაკლი 303
აბდ ალ-აზიზ ას-საუდი 115
აბდულ-ჰამიდ II 32
აბოეიანი 385
აბულაძე 502
აგანბეგიანი 522
ადეიშვილი 619
ადენაუერი 755-756
ადონცი 106
ავალიშვილი 163, 166
ათათურქი (იხ. ქემალი)
ათარბეგოვი 182
აიზენჰაუერი 296
ალენბი 252
ალენი 750
ალექსანდრ II 43, 50, 65, 152
ალექსანდრ ნევსკი 237, 365
ალიევი, ილხამ 730
ალიევი, ჰეიდარ 425, 427, 730
ალიენდე 459-460
ალილუევა 346, 366, 421
ამალრიკი 488-489
ამინი 225, 467, 468
ამირეჯიბი 442
ანდროპოვი 467, 486-487, 504
ანტონოვსკაია 366
ანჩაბაძე 366
არამი 418
არამიანცი 69
არბატოვი 287
არისტოტელე 542-543
არმსტრონგი 473
არუთინოვი 376
არძინბა 556, 560, 562
ასათიანი 234
ასმუსი 644-645, 767
აფაქიძე 535
აღა-მაჰმად-ხანი 175
ახმეტელი 227
ახრომეევი 470, 510
აჯმადინეჟადი 782

ბ

ბაგიროვი 234, 349
ბალაიანი 522
ბალფური 116-117
ბარამიძე 569
ბარენბოიმი 481
ბატიცკი 350
ბაქრაძე 532
ბევინი 117
ბეიკერი 563, 777
ბენ-გურიონი 353, 354
ბენდუქიძე 614
ბეპაევი 555
ბერდიაევი 207-208, 214, 490
ბერია 179, 224, 227-228, 233-234, 240-242, 271, 324, 344-352, 423
ბერლუსკონი 394
ბერნერს-ლი 751
ბირნსი 444
ბისმარკი 204, 279
ბლერი 772-773
ბოგროვი 50
ბოკლი 206
ბჟეზინსკი 362
ბრაუნი 321-322
ბრეჟნევი 232, 372, 376, 386-393, 397, 402, 406, 420-425, 430, 457-458, 486, 503-504, 514
ბრეხტი 254, 442
ბროზ ტიტო 318
ბრუსილოვი 47-48
ბუბნოვი 210
ბუდიონი 177
ბულგაკოვი 234
ბულგანინი 344, 353, 397
ბურბონები 527
ბუში, ჯორჯ (უმცროსი) 770, 771
ბუში, ჯორჯ (უფროსი) 563, 776

გ

გაგარინი 472
გაიდარი 510
გალაზოვი 194
გალილეო 548
გამსახურდია, ზვიად 357-460, 509-510, 519, 532-558, 565-568, 575, 581, 785

გამსახურდია, კონსტანტინე 547, 568
გაფრინდაშვილი 476
გაფუროვი 513
გაჩეჩილაძე, გიეი 25, 90, 177, 412, 479
გაჩეჩილაძე, ლეუან 623, 632
გეგეშიძე 399, 423
გეიტსი 750
გენშერი 563
გერასიმოვი 671
გეხტმანი 671
გიორინგი 304
გოგებაშვილი 73, 89, 92, 429, 439
გოგლიძე 350
გოდუნოვი 344
გოლიკოვი 280-281, 282
გოლიცინი 81
გორბაჩოვი 200
გორკი 51, 233, 235, 242
გრიშაშვილი 236, 586
გრომიკო 487
გუგუშვილი 537, 567, 568, 576
გუდერიანი 281-282
გუმბარიძე 630
გურამიშვილი 569
გუტენბერგი 789
გუჩუა 567

დ

დე გოლი 527, 759
დეკანოზოვი 350
დემირჭიანი 553, 733
დენ სიაოპინი 407, 464
დენიკინი 140-141, 211, 213
დრექსლერი 249
დრიუონი 31, 245
დუდაევი 468, 549, 558, 561
დუმბაძე 460, 482
დურნოვო 98

ე

ედისონი 238
ეირამჯიანცი 337
ეკატერინა II 43, 133, 324, 344, 364
ელიავა 188
ელიზაბეთ I 577
ელიოზიშვილი 47, 87
ელცინი 508-510, 552, 560, 564, 582, 583, 710
ენგელსი 203-207, 240, 321, 433, 484
ეჟოვი 179, 224-228
ერდოლანი 725-726
ერეკლე II 61-62, 133, 152
ერმაკოვი 586
ეძგვერაძე 176-177

ვ

ვაგნერი 481
ვაიდენბაუმი 85
ვაჟა-ფშაველა 92, 324
ვახუშტი 326
ვებერი 207
ველიჩკო 89
ვერდი 478
ვილპელმ II 94-95, 479
ვიტე 46-47, 53
ვიტორიო-ემანუელე II 248
ვიშინსკი 359
ვიცლებენი 284
ვლასოვი 286
ვლოძიმირსკი 350
ვოლსკი 671
ვოლფოვიცი 772
ვორონცოვი 65
ვოროშილოვი 241-242, 263
ვრანგელი 157, 170-171, 213
ვრაციანი 418

ზ

ზარობიანი 376-377
ზინოვიევი 117, 210, 223
ზუბალაშვილები 69

თ

თამარი 440
თარხნიშვილი 623
თაყაიშვილი 167
თეთრერი 464
თემურ-ლენგი 363
თოთაძე 675

ი

იაშვილი 227
იგნატოვი 671
ივანიშვილი 602, 651-665, 717, 719
ილია II 634, 674, 700
ინგოროყვა 107
ინონიუ 723
იოანე პაველ II 464, 499
იოსელიანი 550-557, 580
იუდენიჩი 213
იშხანიანი 138

კ

კაგანოვიჩი, ლაზარ 117, 227, 347
კაგანოვიჩი, მიხაილ 347
კაზანჯიანი 183
კალინინი 241
კამალოვი 376

კამენევი 117, 210, 223, 240, 502
კამო 418
კაპუტიკიანი 522
კარიმოვი 513
კასტრო 395-396
კბილაშვილი 615
კემერონი 762
კენანი 319, 444-447
კერზონი 141
კიმ ირ სენი 310, 454
კიმ ჩენ ირი 310
კიროვი 170, 173, 222-223, 240-241, 502
კლემანსო 161
კლინტონი, ბილ 563, 769, 773, 778
კოლბინი 514
კოლჩაკი 213
კონევი 296
კონ-ძი (კონფუციუსი) 628
კოსიგინი 390-391
კოსტავა 357, 547
კოჩინიანი 376
კრომველი 785
კუბერტენი 474
კუნაევი 376, 514
კურჩატოვი 351

ლ

ლავროვი 649
ლარინი 117, 240
ლაშხია 559
ლე დიკ თჰო 456
ლებანიძე 688
ლენინი 108-109, 121-129, 157, 170-173, 188, 198, 207-216, 223, 226, 229, 234, 238-243, 268, 288, 317, 321, 343, 355, 357, 361, 366, 374-375, 409, 421-427, 502-504, 518, 554
ლენონი 480
ლეო 418
ლიმან ფონ სანდერსი 105
ლისენკო 231
ლიტვინოვი 117, 240, 257
ლიუდენდორფი 102
ლოიდ-ჯორჯი 161
ლუი ნაპოლეონი 548

მ

მანერჰაიმი 266, 308, 561
მაუროდი 573-574
მაზნიაშვილი 158-159, 561
მაიაკოვსკი 174
მაილოვი 69
მაკართური 293
მაკარტნი 480
მაკინდერი 41
მაკ-კინლი 35
მაკნამარა, რობერტ 457
მაკნამარა, ფრენკ 745
მალენკოვი 227, 344, 347, 349, 352
მამარდაშვილი 206, 542
მამრაძე 625
მანთაშევი 69-71
მანშტაინი 302
მაო ძედუნი 225, 294, 318-319, 356, 454
მარადონა 476
მარი 671
მარტოვი 127
მარქსი 92, 203-207, 240, 321, 363, 433, 481, 484, 548
მარშალი 319, 351, 353, 356, 412-413, 493
მარხლევსკი 171
მასალსკი 48
მაცუოკა 290
მაჭავარიანი 88
მახარაძე, გერასიმე 154, 176
მახარაძე, ფელიპე 176, 199
მდივანი, ბუდუ 176, 199
მდივანი, სვიმონ 176
მედოფი 394
მეირი 345
მეიძი 48
მერაბიშვილი 611, 619
მერიმე 243
მერკელი 637-638, 767
მერკულოვი 350
მეხლისი 275, 302
მიასნიკიანი 377-378, 418
მირზოევი 69
მირცხულავა 346, 349
მიქელაძე 227
მიქოიანი 139, 227, 241, 343, 345, 355
მოგილევსკი 378
მოლოტოვი 227, 240-241, 261-273, 330-331, 334, 343-345, 352
მონე 755
მონრო 35
მორგანი 749
მოროზოვი 243
მოჰამედ რეზა 465
მუკავანაძე 376, 399, 422-426
მუსოლინი 208, 235, 248-251, 259, 266, 279, 283, 361, 363
მუხიტდინოვი 376

ნ

ნაზარბაევი 514-515
ნათალი 150

ნალბანდიანი 734
ნაპოლეონი 753
ნიაზოვი (თურქმენბაში) 513-515
ნიზამი 350, 385
ნიკოლაი II 94, 97, 100, 108, 121, 309, 324
ნიქსონი 456, 458
ნიშანოვი 513
ნიშნიანიძე 282
ნობელი 40, 69
ნუდეპი 418

ო

ო'პენრი 458
ობამა 726, 767, 774, 778
ოკუჯავა 199
ოლმერტი 394
ორბელიანი 18, 429
ორუელი 354, 488
ორჯონიკიძე 170, 173, 179, 188, 198-199, 241-242, 418, 502
ოქრუაშვილი 632-633

პ

პაკ ჩონ ჰი 631-632
პაკ კინ პე 632
პალმერსტონი 75
პასკევიჩი 151, 152, 241
პატარკაციშვილი 416, 608, 611, 621
პატიაშვილი 422, 431-432
პატკანოვი 60
პენ დეხუაი 356
პერი 48
პეტრიაშვილი 536
პეტროსიანი 477
პილსუდსკი 157, 561
პინოჩეტი 459
პიოტრ (პეტრე) I 240, 704, 708
პიტოევი 69-70
პლეხანოვი 127, 168
პოდგორნი 376, 390
პოლიაკოვები 379
პოტიე 203
პრიმაკოვი 549
პრუევალსკი 242
პუგო 510
პუტინი 229, 365, 710, 713
პუშკინი 32, 58, 202, 478-479

ჟ

ჟამთააღმწერელი 26
ჟანა დ'არკი 546
ჟდანოვი, ანდრეი 346
ჟვანია 591,-594, 599-600, 603
ჟიდი 361
ჟორდანია 698-699
ჟუკოვი 281, 295-296, 348, 353

რ

რაისი 639-640, 649
რაიტები 39
რამიშვილი 698
რატცელი 42
რაშიდოვი 376
რეზერფორდი 40, 261
რემი 225
რიონტგენი 39
რიურიკოვიჩები 42
რობერტსი 750
რობესპიერი 785
როდრიგესი 479
როზენბერგები 323
როინიშვილი 586
როისი 39
როლსი 39
რომანოვები 487
რომანოვი, მიხაილ 65
როტშილდები 69
რუზველტი, თეოდორ 35
რუზველტი, ფრანკლინ დელანო 217-218, 258, 285, 290, 301, 331, 448
რუსთაველი 350, 385, 414, 421, 442, 478, 531, 532, 587
რუსო 204
რუსტი 504
რუცკოი 468, 564

ს

სააკაშვილი 368, 577, 590-593, 596, 599-600, 606, 610-611, 614, 618-633, 636, 639-640, 644-650, 653, 659-664, 674, 679, 717, 727
საბორიდო 479
საიდი 137
სამსონოვი 102
სარაჯოღლუ 337
სარგსიანი, ვაზგენ 733
სარგსიანი, სერჟ 733
სარკოზი 637-638, 642, 767
საღარაძე 378
სელმონდი 762
სვერდლოვი 117, 201, 241
სიგუა 550, 555
სიმონოვი 364
სიტინი 179, 182, 187-188, 197
სიუარდი 43
სიუნი 362
სმითი 391

სოკოლნიკოვი 117, 210
სოკოლოვი 298
სოლჟენიცინი 224
სოროსი 602
სოსლამბეკოვი 558
სპასკი 476
სტალინი 92, 118, 121, 139, 149, 154, 158, 160, 170, 173, 175, 178-179, 182, 188-189, 196-200, 208, 210, 214-235, 239-243, 249, 258-282, 285, 290-294, 297-303, 307, 309, 313-339, 343-349, 352-357, 360-368, 372-374, 379-380, 386, 391, 394-397, 405, 409, 412, 414, 420-421, 442-448, 452, 491-492, 502-504, 704, 710
სტოლიპინი 49, 50, 207
სტურუა 442
სუვოროვი 280
სუკარნო 310
სუშონი 103

ტ

ტაბიძე, გალაკტიონ 129, 548
ტაბიძე, ტიციან 227
ტალიავინი 643-644
ტელმანი 255
ტერ-პეტროსიანი 164, 732
ტიბეტსი 292
ტიგრან II 82
ტიტო 318, 349, 351, 475, 738-739
ტოგო 49
ტოკვილი 391, 506
ტოკუგავა 48
ტოროშელიძე 188
ტრევორ-როპერი 511
ტრიპოლსკი 671
ტროცკი 117, 121, 188, 207, 210, 213-214, 220, 223, 240, 366, 502
ტრუმენი 316, 331-332, 444, 447-448
ტუხაჩევსკი 170, 223, 502

უ

უგულავა 607, 625
უილსონი, ვუდრო 119, 140, 162-163, 291, 331, 335
უილსონი, ჩარლი 469
უილსონი, ჰენრი 141
ულიანოვი (იხ. ლენინი)
ულუ დავითი 26
უორდროპი, მერჯორი 141
უორდროპი, ოლიევრ 141
ურიცკი 117
უსმანხოჯაევი 513
უსუფაშვილი 633

ფ

ფალკონე 243
ფილიპე II 753
ფიროსმანაშვილი 66
ფიშერი 476
ფოიხტვანგერი 361
ფონ ბრაუნი 473
ფონ კრამონი 664
ფორსტერი 786
ფოში 110
ფრანც ფერდინანდი 99
ფრიში 322
ფრუნზე 186, 502
ფურმანი 136

ქ

ქავთარაძე 188
ქემალი 105, 120, 156-157, 719
ქემალ-ფაშა (ათათურქი) 561
ქობალია 405, 555, 565
ქობულოვი 350
ქოჩარიანი 733

ღ

ღუკასოვი 69

შ

შა(ჰ)უმიანი 418
შამირი 777
შარტავა 441, 565, 566
შაჰ-აბას I 80, 236
შევარდნაძე 358, 422, 425-432, 501-505, 510, 541, 551-554, 557, 560-567, 575-585, 700, 716
შელესტი 376
შექსპირი 412, 441, 478
შიკლგრუბერი 92, 240
შლიფენი 101-102
შტაუფენბერგი 284
შულენბურგი 264, 284

ჩ

ჩაიკოვსკი 107
ჩან კაიში 294, 318, 454
ჩანტლაძე 579
ჩარკვიანი 179, 346, 439
ჩაუშესკუ 500
ჩემბერლენი 260, 263
ჩერნენკო 487, 504
ჩერჩილი 141, 258, 263, 283, 296, 301, 363, 444, 448
ჩუკოვსკი 410
ჩხეიძე 129, 130
ჩხენკელი 129, 130

ც

ცინცაძე 199
ცისკარიძე 750

ძ

ძერჟინსკი 198, 212, 502

წ

წერეთელი, აკაკი 92
წერეთელი, ირაკლი 129
წულუკიძე 418

ჭ

ჭავჭავაძე 66, 72, 74, 78, 92
ჭანუყვაძე 423
ჭიაურელი 366

ხ

ხანჯიანი 418
ხაჩატურიანი 231
ხომეინი 465, 467
ხომტარია 69
ხრუშჩოვი 175, 210, 227, 232, 234, 266, 298, 319, 326-327, 344-349, 352-357, 372-374, 386, 391-392, 395-399, 404, 420-424, 433, 472-473, 492-494, 504, 514

ჯ

ჯავახიშვილი, ივანე 89, 227
ჯაოშვილი 438
ჯავახიშვილი, მიხეილ 192, 227, 423
ჯაფარიძე 131
ჯეიმზ I 364
ჯემალ-ფაშა 107
ჯონსონი 335
ჯორჯ V 94
ჯუღაშვილი (იხ. სტალინი)

ჰ

ჰაბსბურგები 442
ჰაიზენბერგი 322
ჰინდენბურგი 102, 256
ჰიტლერი 110, 118, 208, 218-219, 225, 232, 240, 249-250, 255-285, 289, 296-301, 304-307, 320, 322, 330-331, 356, 361, 363, 452, 481, 512, 705, 737, 753
ჰოვანისიანი 151
ჰონეკერი 500
ჰუსეინი, სადამ 101, 223, 322, 466, 775-776